ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა -
მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე
(1941-1956 წწ)

Georgian Comparative Literature Association
(GCLA)

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Bolshevism and Georgian Literature

From the World War II to the 20th Congress of the CPSU

(1941-1956)

Tbilisi
2019

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული
ასოციაცია (GCLA)

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა

მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან
სკკპ მე-20 ყრილობამდე
(1941-1956 წწ)

თბილისი
2019

უაკ(UDC) 821.353.1.09 +821.353.1.092

კომპარატივისტული ლიტერატურის ქართული ასოციაცია (GCLA)
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№ 217512) ფარგლებში

პროექტი განხორციელდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მხარდაჭერით

რედაქტორები:
მაკა ელბაქიძე, ირმა რატიანი

© მაკა ელბაქიძე, მანანა კვატაია, ნონა კუპრეიშვილი, ადა ნემსაძე, ირმა რატიანი, მანანა შამილიშვილი, ზოია ცხადაია, მარიამ გიორგაშვილი, მერაბ ღაღანიძე, გოჩა კუჭუხიძე, თამარ ნუცუბიძე

ოპერატორ-დამკაბადონებელი:
თინათინ დუგლაძე

ყდის დიზაინი:
ნოდარ სუმბაძისა

გამომცემლობა „მწიგნობარი“

ISBN

სარჩევი

ირმა რატიანი
მაკა ელბაქიძე
Homo Sovieticus-ის პოლიტიკური მოდელი
და ქართული ნაციონალური იდეა.....11

პორტრეტები

ზოია ცხადაია
ლადო ასათიანი.....22

ადა ნემსაძე
ლადო ბალიაური.....34

ზოია ცხადაია
ალექსანდრე ბეგაშვილი.....60

მანანა შამილიშვილი
მოსე გოგიბერიძე.....76

ზოია ცხადაია
მიხეილ ზანდუკელი.....92

ადა ნემსაძე
ტიტე მარგველაშვილი.....113

ნონა კუპრეიშვილი
გივი მაღულარია.....145

თამარ ნუცუბიძე
შალვა ნუცუბიძე.....152

მანანა კვატაია
ტერენტი ყიფიანი.....157

მარიამ გიორგაშვილი
ოტია პაჭკორია.....169

ნონა კუპრეიშვილი
ვლადიმერ სულაბერიძე.....179

ზოია ცხადაია
სამსონ სულაკაური.....191

ადა ნემსაძე
ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი.....199

მანანა კვატაია
ლევან ხაინდრავა.....221

ეროვნული საგანძურის დაბრუნება საქართველოში

მანანა კვატაია
ქართული ეროვნული საგანძურის
თავგადასავალი.....231

მამულიშვილური თავდადება...

მარიამ გიორგაშვილი
ექვთიმე თაყაიშვილი.....232

თანადგომა...

მანანა კვატაია
გიორგი გეგელიას საქმე.....240

... და ორმაგი სტანდარტების დრო

მანანა კვატაია
პეტრე შარიას საქმე.....247

გიგლა ბერბიჭაშვილის საქმე

ზოია ცხადაია
გიგლა ბერბიჭაშვილის საქმე.....267

1942 წლის შეთქმულება და სამანელების საქმე

ადა ნემსაძე
მანანა შამილიშვილი
ზოია ცხადაია
1942 წლის შეთქმულება და „სამანი“.....299

მანანა შამილიშვილი
დრამატული ეპიზოდი
კომედიოგრაფის ცხოვრებიდან.....307

ზოია ცხადაია
გიორგი ძიგვაშვილი.....314
კოტე ხიმშიაშვილი.....324
ადამ ბობღიაშვილი.....339
გიორგი ქადაგიძე.....345
ილია ცისკარიშვილი.....348
არჩილ კიტოშვილი.....355

ლიტერატურული სალონი „ანათემა“

მარიამ გიორგაშვილი
საქმე №210 – ლიტერატურული
სალონი „ანათემა“.....389

პარტორგანიზაცია – მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი

ზოია ცხადაია
მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის
არქივიდან (1941-1947 წწ.).....403

ნონა კუპრეიშვილი
მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის
არქივიდან (1949-1953 წწ).....413

ზოია ცხადაია
ნონა კუპრეიშვილი
ქუთაისის ეროვნული არქივის მასალები.....419

ზოია ცხადაია
აჭარის მწერალთა კავშირის
პირველადი პარტიული ორგანიზაცია
1953-1956 წლებში.....428

მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაცია

მაკა ელბაქიძე
მეორე მსოფლიო ომი და ქართული
ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები.....437

გოჩა კუჭუხიძე
„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“
(ილია კუჭუხიძის მოგონებები
ქართველთა ლეგიონის შესახებ).....459

ლიტერატურა იდეოლოგიის ტყვეობაში

მერაბ ღაღანიძე
ისტორიული პიესის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია:
ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურება
პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ გამო.....489

მანანა შამილიშვილი
ადა ნემსაძე
კარიკატურა – ანტისაბჭოთა
იდეოლოგიური იარაღი.....507

ლიტერატურის ინსტიტუტის რეპრესირებული თანამშრომლები

ნონა კუპრეიშვილი
მირიან აბულაძე.....524

ზოია ცხადაია
ელენე (ლოლიტა) ვირსალაძე.....529

მანანა შამილიშვილი
ალექსანდრე კალანდაძე.....536

ზოია ცხადაია
გიორგი კალანდაძე.....541

ზოია ცხადაია
რამაზ (ნუკრი) კობიძე.....553

მანანა კვატაია
ივანე ლოლაშვილი.....560

ნონა კუპრეიშვილი
იოსებ ლორთქიფანიძე.....576

ნონა კუპრეიშვილი
იოსებ მეგრელიძე.....583

ზოია ცხადაია
თამარ (თათული) ღვინიაშვილი.....593

ადამიანური ისტორიები

მანანა შამილიშვილი
მანანა კვატაია
ადამიანური ისტორიები.....607

ზოია ცხადაია
ლევან (ლეო) კონსტანტინეს ძე აბაშიძე.....618

ადა ნემსაძე
ფიოდორ რადოლინ-გაუკი.....628

მარიამ გიორგაშვილი
დავით კავსაძე.....638

ადა ნემსაძე
გრიგოლ კოსტავა.....648

ადა ნემსაძე
ტარიელ ქუთათელაძე.....656

მანანა კვატაია
სვიმონ ციციშვილი.....661

ზოია ცხადაია
„გველის პერანგოსანი“ –
ბრალდების მთავარი არგუმენტი.....667

ადა ნემსაძე
„ჩვეულებრივი“ ტრაგედიები.....674

მივიწყებული ფურცლები

გივი მაღულარია
ფრაგმენტები მოგონებებიდან
„წარსულის გამოძახილი“.....691

ოტია პაჭკორია
დაბრუნება მისადგომებთან.....694
ჩანახატი.....695

ლადო სულაბერიძე
ბედის ვარსკვლავი.....697
კავკასიონი.....697
ძველ ნანგრევებთან.....699
მეგობრებს.....699
კალიმა (კომპოზიცია).....700

გიორგი ძიგვაშვილი
შეხვედრა.....714
ღამე ოპერის ბაღში.....715
ხევსურები არაგვის პირთან.....716

კოტე ხიმშიაშვილი
მეკოჭობე.....717

გიორგი ქადაგიძე
ვაჟას.....722
* * *შენი თვალები ზღვებია.....722

არჩილ კიტოშვილი
ანდერძი.....723
გატყდომა.....724

ტერენტი ყიფიანი
სამშობლო.....725
სიმღერა სამშობლოზე.....726

დოკუმენტები.....727
საძიებლები.....773

მაკა ელბაქიძე
ირმა რატიანი

Homo Sovieticus-ის პოლიტიკური მოდელი და ქართული ნაციონალური იდეა

წინამდებარე ნაშრომი მასშტაბური პროექტის – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა“ – მეორე ნაწილს წარმოადგენს. პირველი წიგნი, რომელიც 2016 წელს გამოიცა, ეთმობოდა ქართული სამწერლობო პროცესის გააზრებას ბოლშევიზმის ფორმირებისა და იდეურ-პოლიტიკური ზეობის ხანაში (1921-1941 წწ.) ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალის საფუძველზე*. პირველ წიგნში დასმულმა საკითხებმა კვლევის შემდგომი გაგრძელება მოითხოვა, რაც განხორციელდა კიდევაც პროექტის მომდევნო ეტაპზე – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე“. კვლევის ახალი ეტაპი დაეთმო ქართულ მწერლობაში მიმდინარე პროცესების ანალიზს იმ ისტორიულ მონაკვეთში, როდესაც ბოლშევიზმმა ახალ პოლიტიკურ ფაზაში, ხოლო მისდამი დამოკიდებულებამ რამდენადმე განსხვავებულ რაკურსში გადაინაცვლა (1941-1956 წწ.).

ტოტალიტარიზმის, როგორც ძალადობრივი მმართველობის, უპირველესი ნიშანი იდეოლოგიური დიქტატურის შექმნა, კლიშეების ფორმირება და დანერგვაა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვნად ზღუდავს ლიტერატურული თავისუფლების ფარგლებს. ამის ნათელი მაგალითი იყო გასული საუკუნის 20-იანი და 30-იანი წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. იგივე შეიძლება ითქვას მომდევნო ოცწლეულზეც, როცა 1930-იან წლებში ჩატარებული „პოლიტიკური წმენდის“ უმძიმესი შედეგებისა და უკვე გაჩაღებული მეორე მსოფლიო ომის

* საარქივო მასალაზე ხელმისაწვდომობისათვის მადლობას მოვახსენებთ საქართველოს შსს არქივს.

ფონზე, საბჭოთა ტოტალიტარიზმმა განვითარების სპეციფიკურ ფაზაში შეაბიჯა.

1940-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად, საბჭოთა საზოგადოებაში, მათ შორის ქართულში, თავი იჩინა ახალმა ტენდენციამ – პატრიოტიზმის გაღვივებამ: მოხდა საბჭოთა მოქალაქეთა მობილიზაცია საერთო მტრის, ფაშიზმის წინააღმდეგ. ამ ტენდენციამ საიმედოდ გაამაგრა სტალინური რეჟიმის ფუნდამენტი და ხელი შეუწყო Homo Sovieticus-ის მოდელის საბოლოო ფორმირებას, თუმცაღა, გაძლიერდა პროტესტის ტალღაც არსებული რეჟიმის მიმართ. შესაბამისად, ე.წ. დიდი სამამულო ომის წლებში უკვე ერთმანეთის პარალელურად თანაარსებობდა, ერთი მხრივ, პატრიოტიზმის ნიშნით აღბეჭდილი პროპაგანდისტული ლიტერატურული პროდუქცია, მეორე მხრივ კი, ანტიტოტალიტარული სულისკვეთებით გაჟღენთილი ტექსტები (წარმოდგენილი წიგნის ავტორები შეეცდებიან აუხსნან მკითხველს, თუ რას ეფუძნებოდა ამ ორი, ურთიერთგამომრიცხავი ტენდენციის როგორც ფორმირება, ისე – თანაარსებობა).

არსებულ ვითარებაში, ბუნებრივია, გააქტიურდა რეპრესიების მანქანა. ბევრი, ვინც 1924 თუ 1937 წლების „წმენდას“ გადაურჩა, სწორედ ამ პეროდში შეეწირა რეჟიმს. ისჯებოდა სიტყვა, ქმედება, ეჭვი, იმედი და იკრძალებოდა ფიქრი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტებით თვალნათლივ იკვეთება ის მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარება, რომლის ფონზეც თამაშდებოდა როგორც გლობალური, ისე მილიონობით საბჭოთა მოქალაქის პიროვნული დრამა. მშვიდობიან მოსახლეობასთან ერთად შიმშილობდა ჯარი. არქივში დაცულია ბევრი ისეთი საქმე, რომლებშიც ჩანს ჯარისკაცების უკმაყოფილება შიმშილით და, იმავდროულად, იმედი იმისა, რომ ჰიტლერის გამარჯვების შემთხვევაში მათ გასაჭირს ბოლო მოეღებოდა. ცხადია, ამგვარი გამონათქვამები ანტისაბჭოთა აგიტაციად იყო მიჩნეული და მათ „ავტორებსაც“ უვადო პატიმრობა ან სიკვდილი ელოდათ. პატრიოტულად განწყობილი ყოფილი სახელისუფლებო პარტიის, სოციალდემოკრატთა აქტივისტები, ნონკონფორმისტი პროფესორები (მიხეილ ზანდუკელი, იოსებ მეგრელიძე, გიორგი კალანდაძე,

ერეკლე ტატიშვილი და სხვ) და სტუდენტები, რომელთა შორის არაერთი ნიჭიერი მწერალი და მოაზროვნე იყო (კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, გიორგი ქადაგიძე, არჩილ კიტოშვილი, ადამ ბობღიაშვილი, ილია ცისკარიშვილი და სხვ) არ ურიგდებოდნენ ბოლშევიკურ მმართველობას, ცდილობდნენ ყოველი ღონე ეხმარათ, რათა საერთო სახალხო მობილიზაციის გზით



ძმებო ქართველებო!

ჩვენ, თქვენი ძმები ვდგევართ გერმანულ ჯარის რიგებში, ჩვენი ქვეყნის საზღვრებზედ, თქვენი გასანთავისუფლებლად!

შესდექით! არ ესროლოთ თქვენ ძმებს! გადმოდით ჩვენს მხარეზედ!

შეაბრუნეთ იარაღი თქვენი მჩაგვრელთა წინააღმდეგ!

ქართველი ლეგიონერები!

აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა (იხ. 1942 წლის შეთქმულების მონაწილეთა და „სამანის“ საქმე). მიზნის მიღწევის უმოკლეს გზად მათ მეორე მსოფლიო ომში რუსეთის მარცხი და გერმანულ ძალებთან კოლაბორაცია ესახებოდათ. სშსს არქივში არაერთი სისხლის სამართლის საქმეა დაცული ჰიტლერული არმიის რიგებში მებრძოლი ქართველების შესახებ, რომლებიც სწორედ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ გაწევრიანდნენ ეროვნულ ლეგიონებში. თავიანთ ჩვენებებში პატიმრები საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით ყვებიან, თუ როგორ ცხოვრობდნენ ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, როგორი დისციპლინა იყო გერმანული დაზვერვის, აუშვიტცის სკოლაში და ა.შ. ზოგიერთ საქმეში დაცულია ე.წ. „ფაშისტური ფურცლები“, რომლებშიც ნაცისტების მხარეს გადასული ქართველები მოუწოდებენ თანამემამულეებს, არ ესროლონ, არამედ გადავიდნენ მათ რიგებში და სამშობლო კომუნისტური დიქტატურისგან გაათავისუფლონ. ანტისაბჭოთა იატაკქვეშა ორგანიზაციებსა და წინააღმდეგობის ჯგუფებში გაწევრიანებული პირები აქტიურ აგიტაციურ საქმიანობას ეწეოდნენ ნაცნობ-მეგობართა შორის და უფრო ფართო წრეებშიც. ავრცელებდნენ პროკლამაციებს, იატაკქვეშა გამოცე-

მებს, რომლებშიც საომარი მოქმედებების რეალურ ვითარებას აცნობდნენ მოსახლეობას და საბჭოთა არმიის გერმანიასთან გარდაუვალ მარცხს ვარაუდობდნენ. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. მეამბოხეებს ბოლშევიკური რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა: უკლებლივ ყველა შემთხვევაში „სამშობლოს მოღალატის“ ბრალდებით დაპატიმრებულთა მიმართ გამოყენებული იყო სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა. საქმეების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ საძიებელ პერიოდში იყვნენ ისეთი სამხედრო ტყვეებიც, რომელთაც რეპატრიაციის დროს ფილტრაციის ბანაკში დამალეს თავიანთი „დანაშაულებრივი საქმიანობა“, მაგრამ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა, რასაკვირველია, გამოავლინა ასეთი პირები და შესაბამისი სასჯელი მიუზღო: 10 წლით გადაასახლა ციმბირისა და შუა აზიის შრომაგასწორების ბანაკებში (იხ. ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის, ილია ტატიშვილის, ლადო სულაბერიძის, და ა.შ საქმეები).

ანტისაბჭოთა ტენდენცია ყველაზე მკაფიოდ გამოიკვეთა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობაში, რომელიც საგრძნობლად გამოცოცხლდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ. რევოლუციურ ქარიშხალს გარიდებულ თუ საზღვარგარეთ იძულებით გადასახლებულ ჩვენს თანამემამულეებს (მიხეილ კედია, მიხეილ ახმეტელი, ალექსანდრე ნიკურაძე, გიორგი მაღალაშვილი, შალვა მაღლაკელიძე, ფრიდონ წულუკიძე, დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია, მიხეილ ქავთარაძე, ალექსანდრე ცომაია, ვლადიმერ ახმეტელი, შალვა ამირეჯიბი), რომელთა შორის არაერთი მეცნიერი და მწერალი იყო (მიხეილ წერეთელი; კიტა ჩხენკელი, მიქელ თარხნიშვილი, ილია კუჭუხიძე) ომში საბჭოთა კავშირის დამარცხების და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენის იმედი ჩაესახათ, თუმცა, როგორც წინამდებარე წიგნის ფურცლებიდან დავინახავთ, მათ პოლიტიკურ ილუზიებს განხორციელება არ ეწერა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე საქართველოს პოლიტიკური დევნის ახალმა ტალღამ გადაუარა. რეპრესიები შეეხო არა მარტო ტყვედ ჩავარდნილ ოფიცრებსა და ჯარის-

კაცებს (მათ რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი მეცნიერი ივანე ლოლაშვილი, დამსახურებული არქიტექტორი ტარიელ ქუთათელაძე, ქართველი ლოტბარი და მომღერალი დავით კავსაძე და სხვ), პარტიზანული თუ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებს, არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ნაცისტურ გერმანიასთან ბრძოლებში (მაგალითად, ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ალექსანდრე კალანდაძე, იოსებ ლორთქიფანიძე). მიუხედავად ამისა, ქართველი ინტელექტუალები ერთიანდებიან ლიტერატურულ სალონებში, სადაც პოეტური თუ პროზაული ტექსტების ფონზე მკაფიოდ ჟღერს ანტისაბჭოთა (ანტისტალინური) განწყობა, მსჯელობა იმაზე, თუ როგორ შეიძლება დამპყრობლის კლანჭებიდან ქვეყნის გამოხსნა. რასაკვირველია, სადამსჯელო მანქანა ამჯერადაც სრული დატვირთვით ამუშავდა და დაჯგუფების წევრთა უმრავლესობას (მათ შორის ოტია პაჭკორიას, გივი მაღულარიას, თენგიზ ზალდასტანიშვილს, ჟორეს ცინცაძეს და სხვ.) ციმბირისა და ყაზახეთის ბანაკებში ოცდახუთწლიანი ჯოჯოხეთი მიუსაჯა.

საარქივო მასალის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ეს ტენდენცია 50-იანი წლების დასაწყისშიც გაგრძელდა. 1951 წელს საქართველოდან პოლიტიკური მოტივებით ყაზახეთსა და შუა აზიაში გადაასახლეს რამდენიმე ათასი კაცი, ძირითადად, ინტელიგენცია. რეპრესიის მსხვერპლთა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც 20-30-იან წლებში უკვე იყვნენ მსჯავრდებულები და სასჯელიც მოხდილი ჰქონდათ. გადასახლებულთა შორის კვლავ აღმოჩდნენ სამხედრო ტყვეები, პარტიზანები და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები. რეპრესიებს ვერ გადაურჩნენ ისინიც, ვისაც ნათესავები საზღვარგარეთ ჰყავდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ პოეტთა ომის შემდგომი თაობის სულისკვეთება ერთგვარად ემიჯნება იმ პათეტიკურ-ჰეროიკულ პათოსს, რომელიც 30-40-იანი წლებისათვის იყო დამახასიათებელი. მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის სიმძლავრისა და არნახული იდეოლოგიური წნეხისა, ომის შემდგომი თაობის შემოქმედებაში წინ წამოიწია სამოქალაქო მოტივმა, რომ-

ლის მთავარ ტენდეციად იქცა პიროვნების, ინდივიდის სულიერი განცდებისა და ინტერესების წარმოსახვა. ამგვარი პოეტური სულისკვეთება ეხმიანებოდა იმ დროის ადამიანთა სულიერ მოთხოვნებსა და სულისკვეთებას, რამაც თავის მხრივ განაპირობა მკითხველის ინტერესი ახალი პოეტური თაობისადმი.

წიგნის ავტორთა მიზანი იყო ბოლშევიზმის ინტელექტუალური ტერორის სისტემური და დანაშაულებრივი მექანიზმის აღდგენა, ცალკეულ მწერალთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების, მათი ინტელექტუალური თუ პიროვნული თავისუფლების შეზღუდვისა თუ ხელყოფის აქამდე უცნობი დეტალების გამოვლენა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს საკვლევი პერიოდის ქართული მწერლობის სრულიად ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტირებისა.

პორტრეტები

* * *

ანტირუსულ მოძრაობას საქართველოში არცთუ მცირე ისტორია აქვს. ლამის გეორგიევსკის ტრაქტატიდან (1783 წელი) მოყოლებული არ განელებულა ფარული თუ აშკარა ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ. ბუნებრივია, ამ ხანგრძლივ გზაზე იყო შესვენებებიც და შედარებით ინტენსიურ მოქმედებათა პერიოდებიც. როდესაც აშკარა ბრძოლები უშედეგოდ მთავრდებოდა, საზოგადოება ტაქტიკას იცვლიდა და ფარული წინააღმდეგობრივი მოძრაობების ჩამოყალიბებით ჩაანაცვლებდა ხოლმე მას. ასე მოხდა XX საუკუნეშიც. თუკი 20-30-იანი წლების ანტიბოლშევიკური ფრონტი გაბედული და თამამი მოქმედებებით ხასიათდებოდა, მომდევნო ათწლეულებში სიტუაცია შეიცვალა. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო ვითარებამაც შეუწყო ამას ხელი.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ევროპაში პოლიტიკური სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ჩიხში შესულ ვითარებას გამოსავლად ერთადერთი გზა დარჩა – სისხლისღვრა. ასე დაიწყო II მსოფლიო ომი, რომელშიც თავისთავად აღმოჩნდა ჩართული საბჭოთა კავშირში მოქცეული საქართველოც. მოსახლეობაც – ზოგი ნებით, ზოგი ძალით – ჩაერთო ამ სასტიკ ომში. საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფია გადაჭრით ამტკიცებდა, რომ საბჭოთა ხალხი ერთიანი და ერთსულოვანი იყო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმც მაშინდელი უშიშროების არქივის მასალებით რამდენადმე სხვა სურათი იხატება. კერძოდ, ანტისაბჭოთა სულისკვეთების ადამიანებისათვის ეს ომი გარკვეულ იმედადაც კი იქცა – თითქოს ახალი გზა გამოჩნდა „წითელი“ დიქტატურისგან გათავისუფლებისა. ამიტომაც ქართული შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ფარულად კვლავ სისტემასთან დაპირისპირება გადაწყვიტა, რადგან ფაშიზმის შესაძლო გამარჯვებამ მას ნანატრი თავისუფლების იმედი გაუჩინა.

II მსოფლიო ომის დროს საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთაც) რამდენიმე ასეთი არალეგალური ანტისაბჭოთა „კონტრრევოლუციური“ (როგორც მაშინდელი მასალები უწოდებენ) დაჯგუფება ჩამოყალიბდა. ეს დაჯგუფებები არსებობდნენ უშუალოდ წითელი არმიის რიგებშიც და სამოქალაქო საზოგადოებაშიც (უნივერსიტეტში, თეატრში...). გარდა ამისა, იყვნენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც არ გაერთიანებულან არანაირ ჯგუფებში, თუმც მკვეთრი ანტისაბჭოთა განწყობა ჰქონდათ და იმედით შესცქეროდნენ ფაშისტური გერმანიის გამარჯვებას. ამ „ხავსს“, მათ გარდა, განსაკუთრებით 20-იანი წლების ევროპული ემიგრაცია ეჭიდებოდა, როგორც საქართველოს ბოლშევიკური ტერორისაგან გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების უკანასკნელ იმედს.

ომის დროს ტყვეობაში აღმოჩენილი ბევრი ცნობილი მოღვაწე (ასევე ბევრი რიგითი, საზოგადოებისთვის უცნობი ადამიანი) საკუთარი ნებით გადავიდა ფაშისტური გერმანიის მხარეს და მათ რიგებში დაიწყო ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისათვის. მრავალტანჯული ერი კიდევ ერთი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა – ფრონტის ორივე მხარეს ქართველი იდგა, ორივე სამშობლოს ბედნიერებისთვის იბრძოდა და ორივე დარწმუნებული იყო საკუთარი პოზიციის სიმართლეში... ახლა ძალიან ძნელია მათი შეფასება, რომელი იყო მართალი: ის, ვინც ფაშიზმს ებრძოდა, თუ ის, ვინც ფაშიზმის მხარეს მდგარი – საძულველ ბოლშევიზმს? მოღალატე იყო თუ პატრიოტი ეროვნებით ქართველი, მოსკოვში მოღვაწე ფუტურისტი პოეტი და მთარგმნელი ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი (ჩაჩიკოვი)? მწერალი ლევან ხაინდრავა? ქართველი ლეგიონერები: შალვა სოსლანი, ტერენტი ყიფიანი და სხვები? ფარული ორგანიზაციის წევრები: ლადო ბალიაური, კოტე ხიმშიაშვილი, ადამ ბობღიაშვილი და ბევრი მათნაირი? ვისზე ნაკლებად უყვარდა საქართველო 20-იან წლებში ემიგრაციაში წასულ ტიტე მარგველაშვილს, რომელიც გებელსის პროპაგანდის სამსახურშიც კი მუშაობდა ომის წლებში?..

წიგნის ეს ნაკვეთი სწორედ ასეთი ადამიანების ტრაგიკულ ამბებს ეთმობა. მათი ნაწილი ომის შემდეგ იძულებული გახდა,

ფილტრაციის ბანაკები გაევლო და სამშობლოში დაბრუნებულიყო, ზოგიც მოტყუებით ჩამოიყვანეს. თუმცა რეპატრირებულ ყოფილ ტყვეებს წინ კიდევ ერთი, იქნებ უარესიც, ტყვეობა ელოდათ, ამჯერად უკვე საბჭოთა „სამშობლოში“. ზოგი მათგანი აქვე, მშობლიურ მიწაზე აღესრულა, ზოგი – შორეულ გადასახლებაში, ზოგმა იქიდან დაბრუნებაც შეძლო და ცხოვრების გაგრძელებაც, თუმც მთელი ცხოვრება საბჭოთა „კგბ“-ს ეჭვის თვალი ვერ მოიცილა...

მომავალში სწორი გზის მისაგნებად ერს საკუთარი შეულამაზებელი წარსულის ცოდნა და მისი სწორი გაანალიზება სჭირდება, ნამდვილი გმირებისა და მოღალატეების აღმოჩენა. ამ რეალობას კი საარქივო დუკუმენტები ინახავენ. წიგნის ამ ნაწილში დაბეჭდილ თითოეულ პორტრეტს სწორედ ამ ადამიანების სისხლის სამართლის საქმეები ერთვის თან, როგორც მათი ანტისაბჭოთა, „მოღალატეობრივი“ ცხოვრების უტყუარი საბუთი...

ზოია ცხადაია

ლადო ასათიანი

„მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“...
ლადო ასათიანი

„ცხოვრება წარმართივით უნდა გიყვარდესო“, – წერდა სრულიად ახალგაზრდა ლადო ასათიანი და მთელი მისი პოეზია ამის დასტურია. თუმცა „ხანმა უნდობარმა“ სრულიად სხვა რამეც ათქმევინა. „მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები, / მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“... ეს არ იყო მხოლოდ უკურნებელი სენისგან გულგატეხილი ჭაბუკის ნათქვამი. გაუსაძლისი ეპოქის რეალობაში ის ასე ხედავდა თავის აღსასრულს. 1937-38 წლების რეპრესიებმა დიდი ტკივილი მიაყენა ლადოს ოჯახს, პირადად მის მგრძნობიარე სულს. დაატიმრეს ლადოს დედ-მამა. მამა მალე გაათავისუფლეს, დედა გადაასახლეს ყაზახეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა – იგი ტაშკენტის ციხეში გარდაიცვალა 1942 წელს.

ლადო (ვლადიმერ) მექის ძე ასათიანი დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში.* ქუთაისის ცენტრალურ არქივში აღმოჩენილი ანკეტა, შევსებული ცაგერის რაიონის სასოფლო-სამეურნეო

* ქუთაისის ცენტრალურ არქივში (ფონდი №1142, ან 1. ს. 1. ფ. 5) ინახება ვლადიმერ (ლადო) მექის ძე ასათიანის დაბადების მოწმობის ასლი, გაცემული წიფერჩის სას. საბჭოს მიერ, ქ. ქუთაისის მმაჩის ბიუროს დაბადების მოწმობა №791-ის საფუძველზე, რომლის თანახმადაც იგი დაბადებულა 1915 წლის 14 სექტემბერს (წაშლილია 14 იანვარი) რაც უთუოდ ტექნიკური ხარვეზით თუ დაუდევრობითაა გამოწვეული.

ტექნიკუმის დირექციის მიერ 1934 წლის, 18 ივლისს გვაწვდის ინფორმაციას ლადო ასათიანის ბიოგრაფიის შესახებ:

დაბადების წელი – 1915, 14 იანვარი, ქ. ქუთაისი

მცხ. – ცაგერის რ.

დაამთავრა – ცაგერის სას. სამ. ტექნიკუმი (მეხილეობა-მებოსტნეობა) 1934 წ.

უპარტიო.

კითხვა – ხართ თუ არა დამკვრელი?

პასუხი – კი.

სოციალური მდგომარეობა – კოლმეურნე, ტექნიკი.

კითხვა – რა შრომას ეწეოდით?

პასუხი – 17 წლიდან 19 წლამდე, 1919 წლიდან 24 წლამდე, 24 წლიდან დღემდე

ვსწავლობდი ყველა ამ დროში.

მშობლების სოციალური მდგომარეობა – ჩამოთვლილთაგან გახაზულია:

კოლმეურნე, ღარიბი, მოსამსახურე, მასწავლებელი.

მშობლების საცხოვრებელი ადგილი – ბარდნალა.*

ლადო ასათიანმა 1934 წელს წარჩინებით დაამთავრა ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და იმ წელსვე ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, იმავე წელს გადავიდა ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1938 წელს.

სტუდენტობის პირველივე წლიდან დაიწყო ლადომ ლიტერატურული ცხოვრება. 1935 წლის 15 სექტემბერს გაზ. „სტალინელის“ №212-ში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „ჩვენ კვლავ მოვედით“. 1936 წლის 25 თებერვალს ამავე გაზეთში იბეჭდება „თებერვლის დილა“. ამის შემდეგ თითქმის ყოველ თვეს – მარტში, აპრილში, მაისში – იბეჭდება მისი ლექსები. გაზეთ „სტალინელის“ 5 მაისის საიუბილეო (მეასე) ნომერში დაიბეჭდა ლადოს ლექსი სურათით და მისივე წერილი „ეს სიხარული შენ მომიტანე, ჩემო გაზეთო“; ამავე ნომერში დაიბეჭდა გაზეთის თანამშრომლის, ლევან ხუროძის, სტატია „სტრიქონები იზ-

* ქ. ცა. ფონდი №1142 ან 1 ს.1 ფ1(2).

რდებიან“. სტატიის მთავარი ადრესატი ლადო ასათიანი იყო. მას უკვე ლექსის ოსტატად ასახელებენ. „ცხრამეტი წლის ჭაბუკისთვის ეს დიდი აღიარება იყო... ლადოს სახელი დღითიდღე სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. იქნებ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ იგი „ყელმოღერებული, თავაწეული უფრო ამაყად დააბიჯებდა ვარდ-ყვავილებით მოქარგულ ქუთაისის ქუჩებში“ (შალამბერიძე 1993: 55). ლადო ხალისით მონაწილეობდა მწერალთა კავშირის ქუთაისის მცირერიცხოვანი განყოფილების ლიტერატურულ საქმიანობაში. მალე (1936) მწერალთა კავშირის კანდიდატადაც მიიღეს. ხშირად გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე და ფოლკლორის სექციაშიც მუშაობდა. როგორც ნიკა აგიაშვილი იგონებს, ინსტიტუტში გამართულ ილია ჭავჭავაძის საღამოზე (1937) ლადო შეუმჩნეველი არ დარჩენია ვახტანგ კოტეტიშვილს (მომხსენებელს) და მისგან იქ წაკითხული ლექსი მოუთხოვია. ლადოსაც სახსოვრად გადაუცია გაზეთიდან ამოჭრილი „საგურამოში ხე არის ერთი“ (გ. შალამბერიძის ინფორმაციით, ეს მოხდა 1937 წლის 2 ივნისს).

გაზ. „სტალინელის“ 1937 წლის 8 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული განცხადება იუწყებოდა, რომ 9 ივნისს მწერალთა სახლში გაიმართებოდა ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამო. ლექსებს წაიკითხავდნენ ი. ხოშტარია, დ. თომაშვილი, ალ. ადამია, ვ. ლორთქიფანიძე, ლ. ასათიანი, მ. ალავიძე, გ. გიასელი, ს. ისიანი, ევ. ფურცხვანიძე, ვ. სულაბერიძე. 9 ივნისს, მართლაც, გაიმართა საღამო, მაგრამ ლადოს სიტყვა არ მისცეს. 11 ივნისს გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმ საღამოს ჩატარების შესახებ, მაგრამ ლადო ასათიანი მოხსენიებული არ იყო. „აქედან იწყება ქუთაისის ლიტერატურული ცხოვრებიდან ლადოს თითქმის მთელი წლით გარიყვის სევდიანი პერიოდი“ (შალამბერიძე 1993: 59-60). ამის შემდეგ პოეტის ნაწარმოებები კარგა ხანს აღარ გამოქვეყნებულა. „დაიწყო ერთგვარი დუმილის, უფრო სწორად, ნაძალადევი დუმილის პერიოდი ჭაბუკის ცხოვრებაში. ინტრიგებმა და ენის მიტან-მოტანამ ისეთი ვითარება შექმნა, რომ ლადოს ლექსებს აღარ ბეჭდავდნენ. ამას დაერთო მისი ოჯახური პირობების მკვეთრად გაუარესება“ (შალამბერიძე 1993: 79). „გაუგებრობის ნიადაგზე, – იხსენებს

გ. შალამბერიძე,* – ლადო და ამ სტრიქონების ავტორიც ერთ ხანს პედაგოგიური ინსტიტუტიდან გარიცხული ვიყავით“. ბ-ნი გიორგი შალამბერიძის მოგონებები 70-იან წლებშია დაწერილი. ჯერ კიდევ „გაუგებრობა“ უნდა რქმეოდა ყოველივე იმას, რაც რეპრესირებული მშობლების ღირსეულ შვილებს დაატყდათ თავს ინსტიტუტიდან გარიცხვის სახით. ისინი 1937 წლის 28 ივნისს გარიცხეს ინსტიტუტიდან, გიორგი შალამბერიძე მაშინ III კურსის სტუდენტი იყო, ლადო ასათიანი – IV კურსისა. ბრძანების ასლი ლადო ასათიანის ინსტიტუტიდან გარიცხვის შესახებ ინახება ქუთაისის ცენტრალურ არქივში:

ბრძანება

ქუთაისის სახ. პედინსტიტუტისადმი №6-1-10-II-38 წ.

კონტრრევოლუციური ლაყბობისათვის, ლექტორების და სტუდენტების დისკრედიტაციისათვის, ნორმალურ სასწავლო მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანის ცდისათვის, ლიტერატურული ფაკულტეტის IV კურსის ჯგ. №54-ის სტუდ. ვლადიმერ ასათიანი გაირიცხოს ინსტიტუტიდან.

დირექტორის მოვალ. შემსრულებელი – ლ. ჭელიძე
სწორია: საქმეთა მმართველი – ჭარხალაშვილი

ბრძანება ჩაიბარა და ხელმოწერით დაადასტურა ლადო ასათიანმა... სხვადასხვა ინსტანციაში კარდაკარ სიარულის შემდეგ, 1938 წლის 29 მარტს, პარტიის ქალაქკომის ბიუროს სხდომამ მათი გარიცხვა უკანონოდ მიიჩნია და ლადო ასათიანი და გიორგი შალამბერიძე ინსტიტუტში აღადგინეს. 1938 წლის 31 მარტით დათარიღებულ წერილში ლადო თავის უფროს მეგობარს, ნიკა აგიაშვილს, წერდა: „ძვირფასო ნიკალაშა! აღმადგინეს, მომეხსნა ყველა ბრალდებები, ხურციძეს**

* ცნობილი ენათმეცნიერის, ფილ. მეც. კანდიდატის, გიორგი შალამბერიძის მამა, ერმილე ბახვას ძე შალამბერიძე, დააპატიმრეს 1937 წელს და სისხლის სამართლის 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედების მიმართული დანაშაულის მომზადებასა და ჩატარებისათვის) მუხლის საფუძველზე მიესაჯა დახვრეტა, რომელიც სისრულეში მოყვანილ იქნა 1937 წ. 4 ოქტომბერს.

** ხურციძე – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის იმჟამინდელი მდივანი.

საყვედური მიარტყეს – ჩემი უდანაშაულოდ გარიცხვისათვის. დაავალეს დირექტორს ყოველდღიური მზრუნველობა გამოიჩინოს ჩემზე და სხ... მხოლოდ სტიპენდიას არ მაძლევენ, არც განაცდურს და არც აწი“... როგორც ირკვევა, ლადომ ამის შემდეგ სცადა, სადმე ემუშავა და განცხადებით მიმართა ინსტიტუტის დირექტორს.



ლადოს გულში სხვა ცეცხლიც ენთო. „უცხო მხარეში“ დაკარგული დედის ბედი და მონატრება არ ასვენებდა. დედის ძველ წერილებში ეძებდა მშობლის სითბოს, ესიყვარულებოდა „დარდით გულგასერილი“.

ვკითხულობ, ვღელავ, ქართლის მთებიდან
გინატრე შვილმა, იტირა ლექსმა,
ამ გაყვითლებულ წერილებიდან
მე შენი გულის ფართქალი მესმა.

ჰაუ, რამდენი ცრემლები ვღვარე,
როცა გავყევი წუხილის დემონს:
ნეტავ სადა ხარ ან რომელ მხარეს,
სულზე უტკბესო დედილო ჩემო?

ეპოქაში, როდესაც ხმამაღლა ფიქრიც კი აკრძალული და საშიში იყო, შინაგანი პროტესტის გამოსახატავად ისევ ლექსს იშველიებდა... შემთხვევით არ უთქვამს, „რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს / და ლექსი თვითონ ტკივილი არი". თავის სახელს მაინც არქმევდა იმ რეჟიმის უსამართლობას და უმსგავსობას, რომელმაც სიცოცხლე მოუშხამა:

ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს
დაუბანელმა გლეხის კაცებმა,
ნეტავ შენსავით ბნელში ვტიროდე,
არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას.

ნაწყვეტი „ქუთათელთ სამედიცინო მოღვაწეობიდან":* „სტუდენტობის დროს ლადო ავადმყოფობდა მალარიით, რასაც ტუბერკულოზიც დაერთო. 1938 წელს მეგობრებმა ლადო მივიყვანეთ ტუბდისპანსერში. ლადო გააშუქა ქალაქის მთავარმა რენტგენოლოგმა შალვა დავითაშვილმა, გასინჯა მთავარმა ექიმმა დავით ჩეჩელაშვილმა. შალვა დავითაშვილმა საიდუმლოდ გულისტიკივილით გვითხრა: არ ვიცი, რა მემართება, ამას რას ხედავს ჩემი თვალებიო...

...ცნობილი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი, აკადემიკოსი ანგია ბოჭორიშვილი ამბობდა: „მე მძულს ჭლექი, რომელმაც იმსხვერპლა შესანიშნავი პოეტი ლადო ასათიანი. ზოგს ჭლექი ეგოისტად აქცევდა. ლადო ასათიანმა კი სძლია მას და სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში უკვდავება დაიმკვიდრა"**... უახ-

* სტატიის ავტორი – მიხეილ ალავიძე, ლადო ასათიანის უახლოესი მეგობარი.

** ალავიძე, მ. „ქუთათელთა სამედიცინო მოღვაწეობიდან", გაზ. „ქუთაისი", 20.VII. 1976 წ. სტატია ინახება ქუთაისის ცენტრალურ არქივში: პირადი წარმოშობის ფონდი; ფონდი №1142 პოეტ ლადო ასათიანის ფონდი. აღწერა 1. საგაზეთო სტატია (ფონდის შემქმნელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ) 1976.

ლოესი მეგობრები გვერდით ედგნენ სასოწარკვეთილ მეგობარს. ლადოც მათთან ურთიერთობით იმსუბუქებდა უმძიმეს სულიერ ტკივილებს. პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის ნარკვევში „ლადო ასათიანი“ წარმოგვიდგენს უახლოესი მეგობრებისადმი გაგზავნილ ლადოს პოეტურ ბარათებს, მათ შორის, 1938 წლის 14 იანვარს (ლადო ხშირად სალაღობო პოეტურ წერილებსაც უგზავნიდა თავის მეგობრებს, როცა საამისო განწყობა ჰქონდა), რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი ავტობიოგრაფიის ნაწილია, ემოციური, მტკივნეული.

> თქვენ შემაყვარეთ მე სიცოცხლე მზის ბრწყინვალებით,
> არ მიმატოვეთ ობოლი და მიუსაფარი,
> თქვენ შემომხედეთ ბიბლიური მტრედის თვალებით
> და მომაგონეთ დედის მიერ თქმული ზღაპარი, –

„ასეთია დედის ტრაგედიით თავსდატეხილი ტკივილის გაუნელებელი ექო, ტკივილისა, რომელსაც პოეტი ასე მგრძნობიარედ უმჟღავნებს, როგორც თავად წერს, თავისი „ალალი სიჭაბუკის მეგობრებს: ნელის, მაროს, მარუსიას და სხვებს“ (ნიკოლეიშვილი 1994: 631-632).*

1938 წლის გაზაფხულიდან ლადო თბილისში გადადის და „ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში იწყებს მუშაობას. სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად აღარ ჩამოსულა, ისე კი ერთხელ მოინახულა ქუთაისი, ივნისის ბოლოს, – წერს გოგი შალამბერიძე. შავი სატინის პერანგზე ცისფერი ჰალსტუხი ეკეთა, ლურჯი ბოსტონის შარვალი ეცვა, ახალი ფეხსაცმელი ეყიდა... ბაღის კიდეზე შეგვხვდა მე და ავქსენტი მიშველაძეს“ (შალამბერიძე 1993: 105).

1939 წელს ლადომ ლექსი გამოაქვეყნა ჟურნალში „ჩვენი თაობა“. ამას მოჰყვა სხვა ლექსები მომდევნო ნომრებში. ამიერიდან თბილისი იქცა მისი პოეტურ-მოქალაქეობრივი სიყვარულის სიმბოლურ ცენტრად, რომელიც, ცნობიერად თუ იმპულსურად, ავსებდა მას შემოქმედებითი ენერგიით.

---

* ლექსი დაიბეჭდა ჟურნ. „ჭოროხში“, 1975 წ. №5. (ნელი დუმბაძის პუბლიკაცია).

ლადო ასათიანი მეუღლესთან,
ანიკო ვაჩნაძესთან ერთად

ლადო ასათიანი არ ეკუთვნოდა „ქართული საბჭოთა ლიტერატუროკრატიის ბირთვს“ (ანდრიაძე 2004: 43). სამშობლოს თემა, მისთვის ესოდენ გამორჩეული, არ განზოგადებულა „დიადი სამშობლოს“ თემად. იყო ერთი პარადოქსიც: 30-იანი წლების მიწურულიდან აღარ იკრძალებოდა პატრიოტული, ისტორიული თემატიკა. მოახლოვებული ომის საშიშროებამ განაპირობა ნაციონალური ნარატივის „დაშვება“ (სამშობლო, როგორც დიდი სამშობლოს ნაწილი), რაც პოეტებმა ქართული პოეზიის სასიკეთოდ გამოიყენეს: საქართველოს სადიდებლად ბევრი შედევრი შექმნეს, რომელთა შორის ლადო ასათიანის ლირიკულ ტექსტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (თუმცა, ისიც გვახსოვს, ლადო ასათიანის ლირიკული კრებული „წინაპრები“ ამ სახელწოდებამ რომ იმსხვერპლა – რა დროს წინაპრებიაო... – ესეც პარადოქსების ქვეყნის სტილი იყო).

ლადო ასათიანის შემოქმედების ბოლო წლები (1940-1943) უმძიმესი იყო მთელი ქართველი ერისათვის და თავად პოეტისთვის. „ვიცი, ჩემი ცხოვრება ხანმოკლე იქნება... სახარებას ქართული სიტყვისთვის უფრო ვკითხულობ, „ნეტარ იყვნენ გლახაკნი“ – ჩემი საქმე არ არის“ (ასათიანი 1988: 124). ამ პატარა ჩანაწერებშიც კარგად ჩანს ლადო ასათიანის პიროვნული და პოეტური სული: დაუცხრომელი სიჭაბუკე, სიცოცხლის განსაკუთრებული სიყვარული, აღტაცება ამქვეყნიური ყოფით,

სილამაზით, აწმყოთი თუ წარსულით. მისი ლექსები გვაძლევენ საფუძველს, ვიფიქროთ: ლადო ასათიანს საუკუნეც რომ ეცოცხლა, ჭაბუკური გზნება და სიცოცხლის ტრფიალი არ განელდებოდა მის პოეზიაში. რა იყო სიცოცხლისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი? იქნებ, თავად მისი შინაგანი სამყარო, ადამიანური ბუნება, გენეტიკურად თანდაყოლილი, ისტორიული მეხსიერებიდან გადმოცემული, რომლის საწყისი, ვინ იცის, წინაპართა რომელი თაობიდან მოდიოდა... ან, იქნებ, მოახლოებული, გარდაუვალი სიკვდილის შიშმა გაახელინა ფართოდ თვალები და უფრო აღმატებულად დაანახა მატერიალური სამყაროს მშვენიერება. „რუსთაველის პროსპექტზე ხეტიალი ნუ მომიშალოს ღმერთმაო“, – რუსთაველის პროსპექტი ამ მშვენიერების ცენტრი იყო, საიდანაც განუმეორებელი ხიბლით მოჩანდა ბარდნალა, აბასთუმანი, ქართლის მინდვრები...

მიუხედავად გარდაუვალი საბედისწერო განაჩენისა, რომელსაც რეალობა უმზადებდა, ყოფიერება მისთვის აბსურდამდე არ დასულა, არ გაუცხოებულა მისგან, მთელი არსით შეიგრძნობდა სიცოცხლით მონიჭებული ბედნიერების მცირედსაც.

1940 წელი... ლადო ასათიანის დედა გადასახლებაშია და – ჯერ კიდევ ცოცხალი, დარდის და წუხილის ხმამაღალი უფლებაც აკრძალულია. სრულიად მარტივი პოეტური ფრაზა, შეფარვით, საუკუნის ტკივილს დაიტევს:

შენ, მამაჩემო, რად დარდობ,
რამ დაგისველა თვალები?
ან შენ სადა ხარ, დედილო,
რომ ლექსი გამაბედვინო?!
რად არ ჭიხვინებს ვეება
ლაფშა, ლაგამის მკვნეტავი?
ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი!
(„ბარდნალა“)

სიკვდილ-სიცოცხლის საზრისი თანდათან გამძაფრდა პოეტის ლირიკაში; ფილოსოფიური გააზრება პოეტურ წარმოსახვებშია გამოტარებული: ხან „შავი შიშით“ იმ მდუმარე ლოდებ-

თან, რომლებთანაც მალე თავად იპოვის განსასვენებელს („სასაფლაო“, 1941); ხან თავის ოდა-სახლში, პაპის ძველ ტახტზე, ვიდრე სიკვდილის ჭვალი გულზე დაესობოდეს („ვიდრე სიკვდილი“, 1941). ასეთივე განწყობილებითაა შექმნილი: „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო“ (1941), „აბასთუმანი“ (1941), „სარწყული“ (1941) და სხვ. ლადო ასათიანის პოეტური განწყობილებების უმთავრესი მსაზღვრელი ამ ვითარებაში არის მიწიერი ყოფა და ბედისწერა:

ახლა ხომ მხედავ? ვინა ვარ, რა ვარ –
უკანასკნელი პირვანდელს ვგავარ.
მზეს და სინათლეს გამოვექეცი,
მიწა ვიყავ და მიწად ვიქეცი.
(„უცნობი პოეტის რვეულიდან“)

მან თითქოს თავადვე დახურა ბედისწერის წიგნი. ასე, გარდაუვალ სიკვდილთან ომში იყო ჩართული სრულიად ახალგაზრდა პოეტი, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. ერთხანს თავადაც იყო ჯარში, მაგრამ, ავადმყოფობის გამო, მალევე დააბრუნეს. 1939 წლის 5 ნოემბერს წერილი გაუგზავნა ნიკა აგიაშვილს როსტოვიდან: „ნიკალაი! როსტოვში ვართ, ირგვლივ თოვლია და ყინვა საშინელი.

არ ვიცით, სად მივდივართ, მე ავად ვარ, სიცხე მაქვს 37,5. უფრო უარესად ვიყავი გზაზე, ექიმიც კი გამოიძახეს ჩემთვის მახაჩყალიდან. არაფერია, გავუძლებ“ (ასათიანი 1988: 143).

ომის თემატიკას ლადო ასათიანი თავისებურად შეეხმიანა – არა პათეტიკური მოწოდებებით, არამედ ტრადიციული, გულში გამოტარებული, ძარღვიანი ქართული ლექსით – წინაპართა ვაჟკაცობაზე, გმირობაზე – „ცხრა ძმა ხერხეულიძე“ (1943), „ასპინძა“ (1942), „ბასიანის ბრძოლა“ (1942) და სხვ. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, 1943 წელს, არის დაწერილი ლადო ასათიანის „ქართული ენა“, დედა-ენის სადიდებელი ლექსი.

ეს წარმატებები, პოეტური სილაღე და ჯიუტად შენარჩუნებული შემოქმედებითი გულწრფელობა არ აპატიეს კომპარტიის იდეოლოგებმა. ეს იყო მთავარი მიზეზი მისი პირველი წიგნის

განადგურებისა. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 1942 წლის მიწურულს, საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილების შესაბამისად, მწერალთა გამგეობის პლენუმმა იმსჯელა ლიტერატურულ-მხატვრული პროდუქციის ხარისხის ამაღლების შესახებ (მომხსენებელი ი. აბაშიძე). პლენუმმა გამოყო სარედაქციო კომისია, რომელსაც ევალებოდა გამომცემლობის მიერ წარმოდგენილ ყოველ განხილულ ნაწარმოებზე წერილობითი დასკვნის წარდგენა მისი გამოცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. საბოლოო გადაწვეტილებას პრეზიდიუმი იღებდა. ამ სარედაქციო კომისიაში შედიოდნენ: ლეო ქიაჩელი (თავმჯდომარე), ა. გაწერელია, გ. ლეონიძე, ბ. ჟღენტი, გ. ქიქოძე, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია; კომისიის მდივნობა დაევალა კლავდია დევდარიანს. 1943 წელს, ლადოს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ამ კომისიამ (იძულების წესით უთუოდ) განიხილა გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ გამოგზავნილი ლადო ასათიანის ლექსების კრებულ „წინაპრების“ დაბეჭდვის შესახებ სარედაქციო კომისიის დასკვნა და დაადგინა – „უარყოფილი იქნეს სარედაქციო კომისიის დასკვნა ლადო ასათიანის ლექსების წიგნის გამოცემის შესახებ: წიგნი არ გამოიცეს“ (კვერენჩხილაძე 1997: 181). (პრეზიდიუმმა თავი შეიკავა აგრეთვე მწერალ ლადო ავალიანის ნოველების გამოცემაზე). ამ დადგენილების თანახმად ლადო ასათიანის წიგნი „წინაპრების“ მთელი ტირაჟი დაჭრეს (გარდა საავტორო ცალებისა). სულ მალე, 1943 წლის 23 ივნისს, ლადო გარდაიცვალა... აქ შეიძლება გავიხსენოთ მარინა ცვეტაევას მშვენიერი ნათქვამი თავის „წარუმატებელ“ ლირიკაზე: „Моим стихам, как драгоценным винам, настанет свой черед“... (ცვეტაევა 1990: 52). ლადოს „დამნაშავე“ ლექსებსაც მალე დაუდგა თავიანთი ჟამი. 1944 წელს წიგნი ხელახლა გამოიცა, ძალიან მალე – ქრონიკისათვის, ძალიან გვიან – ლადოსათვის... „შენ როცა ამ წიგნს ხელში აიღებ, ცოცხალთა შორის მე არ ვიქნები“-ო – თქვა და აღსრულდა. პირდაპირი გაგებით ახდა ლადოს ნათქვამი: „... რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად, / რომ ცხოვრებამ ვერსოდეს დაგვაბეროს“... ის სულიერ სიჭაბუკეზე და სულიერ უბერებლობაზე ოცნებობდა, რაც არ არგუნა დროებამ და ბედისწერამ.

ლექსში „მანანა ორბელიანის სურათზე“ ლადო თავის პატარა, ქვეყნად ახალმოვლენილ ქალიშვილს ისე ავედრებს ლექსის ადრესატს, როგორც ღვთისმშობელს:

...შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ გგავდეს მარტო,
ერისთვის ქალო, ფიქალო, მკერდბუმბერაზო ვარდო!
.....
შენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს,
ქალობა დაიმკვეხაროს, ცა და ქვეყანამ ნახოს.
მე კი, თუნდ მიწა მეყაროს სადმე, თბილისის ახლოს...
(1941)

ლადო ასათიანი ისე წავიდა, ვერ დაამახსოვრა შვილს თავისი სახე. თბილისის მიწას კი მიებარა, ჯერ ვაკის სასაფლაოზე, შემდეგ – 1968 წელს დიდუბის პანთეონში...

აწ ჩავლილია მაღალი კაცი,
სიკვდილის შემდეგ წინ წარვსდგით ბიჯით,
ორჯერ გავზომეთ საზომით მკაცრით,
– დავკმაყოფილდით დიდუბის მიწით!

– წერდა მურმან ლებანიძე, მისი სიტყვით – „არცთუ ორაზროვნად...

დამოწმებანი:

ავალიანი 1972: ავალიანი, ლ. „ალექსანდრე საჯაია“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,* №13, თბილისი: 1972.

ანდრიაძე 2004: ანდრიაძე, დ. *რევოლუციის წერითი პროექტი.* ჟურნ. კრიტერიუმი №11-12, თბილისი: 2004.

ასათიანი 1988: ასათიანი, ლ. *რჩეული.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1988.

კვერენჩხილაძე 1997: კვერენჩხილაძე, რ. *საქართველოს მწერალთა კავშირი – 1917-1990.* ჟურნ. მნათობი, №11, 12. თბილისი:1997.

ნიკოლეიშვილი 1994: ნიკოლეიშვილი, ა. „ლადო ასათიანი“. *XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები.* I. ქუთაისი: „მოწამეთა“, 1994.

შალამბერიძე 1993: შალამბერიძე, გ. *მომღერალი მომღერლების ქვეყანაში.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.

ცვეტაევა 1990: Цветаева, М. *Моим стихам. Избранное.* Москва: издательство «Просвещение», 1990.

ადა ნემსაძე

ლადო ბალიაური

მწერალი ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე ბალიაური 1907 წელს დაიბადა დუშეთის რაიონის ს.ახიელში (არხოტის თემი). იგი მეხუთე შვილი იყო ოჯახში ოთხი ქალიშვილის შემდეგ. 1938 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. პირველი მოთხრობაც ამავე წელს გამოუქვეყნებია გაზ. „მუშაში“, ამის შემდეგ მისი ნაწერები უკვე სისტემატურად იბეჭდებოდა „ჩვენს თაობაში“, „მნათობში“, გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, გამოუცია რომანიც „შურისგება“ (თბილისი, „ფედერაცია“, 1941 წ.).

მანამდე კი მის ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარა, რომელიც წლების შემდეგ, პატიმრობისას, კიდევ ერთხელ გაუხსენეს. 1927 წელს არხოტის სოფსაბჭოს თავმჯდომარეობიდან გადაუყენებიათ ბეციკა წიკლაური და მის მაგივრად ლადო ბალიაური აურჩევიათ (მას ამ თანამდებობაზე 1930 წლამდე უმუშავია). ამის გამო წიკლაურები დამუქრებიან ბალიაურებს. 1933 წელს* ბეციკა წიკლაურის შვილმა, წვრილა წიკლაურმა, როგორც ირკვევა, ბოლშევიკების მიერ მოსყიდულმა, მოკლა სოფსაბჭოს ყოფილი მდივანი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი, ბოლშევიკებთან შეურიგებელი თომა ბალიაური. ამ ფაქტს უკიდურესად დაუძაბავს ურთიერთობა ორ გვარს შორის. ლადო ამ დროს ლენინგრადში

* ლ. ოჩიაურის ცნობით, 1934 წელს (ლ. ოჩიაური, იყავ ძლიერი, ქართველო ერო! თომა ბალიაური. ვასილ წერეთლის (1862-1937) დაბადებიდან 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია (თბილისი-ჭიათურა, 2012 წლის 18-20 ოქტომბერი). პროგრამა და მასალების კრებული, თბილისი-ჭიათურა, 2012, გვ. 31).

იყო სასწავლებლად. დას, ნათელა ბალიაურს, შეუტყობინებია ეს ტრაგიკული ამბავი ძმისათვის. მასაც მიუტოვებია სწავლა და, საქართველოში დაბრუნებულს, 1934 წლის 10 აპრილს ხევსურული ტრადიციისამებრ სისხლის აღების მიზნით ს. ამღაში ვინტოვკიდან 4 გასროლით მოუკლავს ბეციკა წიკლაური. ამის შემდეგ წასულა თბილისში და სახელმწიფო უნივერსიტეტში დაუწყია სწავლა. სხვა ცნობით,* კვლავ ლენინგრადში დაბრუნებულა. ქართული ენციკლოპედიის I ტომის მიხედვით, იგი 1934-1939 წლებში სწავლობდა ლენინგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, 1936-1941 წლებში კი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო.** სავარაუდოდ, მკვლელობიდან გარკვეული ხნის შემდეგ დაბრუნებულა ლენინგრადში, იქიდან ჩამოსულს კი კვლავ გაუგრძელებია სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისივე თქმით, 1937 წელს იგი პროკურატურას გამოუძახებია აღნიშნულ საქმეზე და ჩვენება მიუცია კიდეც დუშეთში. როგორც ჩანს, მაშინ საქმეს მსვლელობა არ მოჰყოლია (სს საქმეში არსებულ საბრალდებო დასკვნაში ამის მიზეზად მწერლის ლენინგრადში გაქცევაა დასახელებული***), 1940 წელს კი, როცა ლადო ბალიაური მწერალთა კავშირის დავალებით მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების შესაკრებად იყო გაგზავნილი მთაში, კვლავ განუახლებიათ მისი დევნა ამ საქმეზე. საქმეში ჩარეულა საქართველოს მწერალთა კავშირი და დევნა შეწყვეტილა. როგორც სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, იგი 1940-41 წლებში დაუკითხავთ და გადაუციათ სახალხო სასამართლოსთვის, 1941 წელს დაკავებულიც ყოფილა, სავარაუდოდ, მცირე ხნით. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკმაოდ ბუნდოვანია ამ მკვლელობის როგორც გამოძიების, ისე სასჯელის ამბავიც.

1941 წლიდან ლადო ბალიაური ანტისაბჭოთა საქმიანობაში ებმება. 1943 წლის ივნისში გაცემული ორდერის საფუძველზე

---

* იქვე. გვ.31.

** საქართველო. ენციკლოპედია. ტ. 1. თბილისი: 1997, გვ. 345.

*** შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე №43505-07, ტ. 2, ბალიაური ვ. დ.

იგი 24 ივნისს დაუპატიმრებიათ. ბრალად ედებოდა 1941 წლიდან არალეგალური კონტრრევოლუციური მეამბოხე ორგანიზაციის კომიტეტის წევრობა, რომლის დავალებითაც ეწეოდა აქტიურ კ/რ საქმიანობას (ორგანიზაციაში ახალი წევრების გადმობირება-ჩაბმა, კ/რ მუშაობის გაშლა პერიფერიებში, ფრონტის ხაზის საქართველოსთან მოახლოების დროს შეიარაღებული აჯანყების წამოწყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა ფაშისტური ჯარების დახმარებით). 1942 წლიდან, როცა ორგანიზაციის რამდენიმე წევრი დააპატიმრეს, ლადო ბალიაური არალეგალურ მდგომარეობაში გადასულა და შეიარაღებული შეერთებია „პოლიტიკურ ბანდიტებს ყაზბეგის რაიონში“. აღნიშნულ დანაშაულს ითვალისწინებდა მაშინდელი სსკ-ის 19-58[2], 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლები. 30 ივნისს აღმკვეც ზომად განუსაზღვრეს პატიმრობა. 2 ივლისს გაუჩხრეკიათ მისი საცხოვრებელი ბინა თბილისში, ყიფიანის ქ. №27-ში. მას ამ დროს ჰყოლია მეუღლე ქეთევან ჭელიძე და 11 წლის ქალიშვილი ლამარა პირველი ქორწინებიდან.

ლადო ბალიაური ჩვენებაში აღნიშნავს, რომ უკმაყოფილების განცდა ხელისუფლების მიმართ სწორედ იმ დროს გასჩენია, როცა მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. შემდეგ მას გაუცვნია მწერალი ადამ ბობღიაშვილი, რომელთან ურთიერთობამაც განუმტკიცა ეს განწყობა. 1941 წლის დეკემბრიდან კი იგი ანტისაბჭოთა ორგანიზაციის „არალეგალური კომიტეტის“ (როგორც უწოდეს მას ერთ-ერთ შეკრებაზე) წევრი ხდება. ხელმძღვანელად აირჩიეს გიორგი ქადაგიძე. ორგანიზაცია აპირებდა ანტისაბჭოთა ჟურნალის გამოცემასაც, რისთვისაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან მოიპარეს საბეჭდი მანქანა. ბალიაურს თურმე ორგანიზაციაში ევალებოდა ქართველი ხალხის ისტორიის დაწერა. 1942 წლის ოქტომბრიდან, როცა ვითარება დაიძაბა, იგი არალეგალურ მდგომარეობაში გადადის – მიემგზავრება ხევსურეთში, სადაც არაბულებში, კერძოდ, გიგიტა არაბულის სახლში, იმალება დაჭერამდე. 1943 წლის აპრილში შსსკ-მა (НКВД) მიაგნო მის კვალს და შეიარაღებული შეტაკების შედეგად დააპატიმრა, ამ დროს იგი დაჭრილა ფეხში. დაჭრილი გადაიყვანეს თბილისში, ციხის №1 საავად-

მყოფოში სამკურნალოდ. სექტემბერში გამოჯანმრთელებული ბალიაური კვლავ ციხეში გადააგზავნეს და ძიებაც გაგრძელდა, რომელიც 1943 წლის ოქტომბერში დაუმთავრებიათ. ბრალდებულს წარუდგინეს ბრალი და საქმე გადასცეს სსსრ შსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალს. ტრიბუნლმა 1943 წლის 11 ნოემბერს დადგენილება გამოიტანა; 18 ნოემბრის განაჩენით კი მას დაუმტკიცეს ბრალი, გათვალისწინებული სსსრ სსკ-ის 19-58[2], 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით და მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით შრომა-გასწორების ბანაკში გადასახლებითა და პირადი ქონების კონფისკაციით, შემდეგი 5 წლით კი – პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით.

1953 წელს ლადო ბალიაურმა ათწლიანი სასჯელი მოიხადა. ამ დროს იგი კვლავ შუა აზიაშია. მისი მაშინდელი ყოფა კარგად ჩანს იმდროინდელი წერილიდან: „თავზარი დამცა განთავისუფლების შემდეგ ამ უკუნეთ ტრამალზე დარჩენამ უკაპიკოდ, უმეგობროდ, სამი დღე პური არ მიჭამია, ერთი საათი არ დამისვენებია, მაგრამ უკანასკნელი ღონე მოვიკრიფე, თავს გავუწყერი და წაქცეული ფეხზე დავდექი. საშინელი ქარბუქი და სიცივეა აქ – სიარული ძნელია. მით უმეტეს ჩემთვის, ზამთარში ძალიან ვკოჭლობ. ხშირად სინათლე არა მაქვს, არც მაგიდა, რომელზედაც წერა და კითხვა შეიძლება. არც მელანი და სამელნე“.* გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია 1954 წლის 17 მარტს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სახელზე დაწერილი განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „1942 წელს პასუხისგებაში ვიქენი მიცემული, გამასამართლეს პოლიტიკური მუხლით. ათწლიანი სასჯელი მოვიხადე პატიოსანი შრომით. განვთავისუფლდი ერთი წლის წინეთ. ამჟამად მაქვს საბჭოთა მოქალაქის ყველა უფლებები. გთხოვთ მიშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს და ნება დამრთოთ, ჩემი ნაწარმოებები გამოვაქვეყნო საქართველოს ლიტერატურულ ორგანოებში...“.** კიდევაც რომ დასცლოდა, ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის დასჯილი ადამი-

* რ. ნიშნიანიძე, XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თბილისი: „ლომისი“, 2000, გვ. 245.
** იქვე, გვ. 239.

ანისთვის ჩვეულებრივი ცხოვრების გაგრძელება ძალიან რთული იყო. მაგრამ ლადო ბალიაურს ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ ეწერა, მოულოდნელად იგი ტრაგიკულად გარდაცვლილა 1954 წლის აგვისტოში. როგორც მისი მეუღლე ჰალიმათი (ლადოს გადასახლებაში შეუქმნია ახალი ოჯახი) წერდა ოჯახს, დამხრჩვალა („Попал неосторожно в глубокое место… и утонул“).*

1958 წელს მწერლის ქალიშვილს თხოვნით მიუმართავს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ინაურისთვის, სადაც აღნიშნავდა, რომ მამამისი გარდაიცვალა გადასახლებაში 1954 წლის 15 აგვისტოს. იგი ითხოვდა მის რეაბილიტაციას.

უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე
ამხ. ინაურს

ლამარა ვლადიმერის (ლადო) ასული ბალიაურის
(ს. ბარისახო, დუშეთის მაზრა)

განცხადება

მამა ჩემი, მწერალი ბალიაური ლადო გარდაიცვალა გადასახლებაში (შუა აზია, კარაგანდა) 1954 წლის 15 აგვისტოს. მაგრამ დღემდე არ არის რეაბილიტირებული. რაც მეტად ამძიმებს ჩემ მდგომარეობას.

ჩემი მდგომარეობა კი ისედაც საკმაოდ მძიმეა: ქვრივი ვარ, პატარა ბავშვით ხელში. მოსავლელი და სარჩენი მყავს სიბერისაგან უნარდაკარგული ბებია (86 წლისა) და მოხუცი მამიდა (75 წლისა). გთხოვთ, გასცეთ განკარგულება, რათა გაარჩიოთ მამაჩემის, მწერალ ლადო ბალიაურის საქმე და მისცეთ მას რეაბილიტაცია.

ლამარა ბალიაური
10/VIII – 1958 წ.

საქმე განიხილეს, მაგრამ თხოვნა არ დააკმაყოფილეს. 2003 წელს კიდევ ერთხელ აღიძრა საქმე რეაბილიტაციის შესახებ.

* რ. ნიშნიანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

საქმე იხილებოდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. გადაწყვეტილების შესახებ ცნობა საქმეში არ არის.

1953 წლის 6 სექტემბერს ლადო ბალიაურს ჩაუწერია: „ჩემო ქართველებო! ჩემო სამშობლო მიწავ! ნუ დამივიწყებთ... თუ დავბრუნდი საქართველოში...“ წინადადება აქ წყდება...

ფონდი №6, საარქივო №43505-07, ტ. №2, ყუთი №105.
ბალიაური ვლადიმერ დავითის ძე

დადგენილება

დაპატიმრებაზე

ქალ. თბილისი ივნისი 1943 წ.

მე, სსსრ სუკ-ის საგამოძიებო განყოფილების გამომძიებელმა სსრკ შსსკ სახ. უშიშროების კაპიტანმა

ოკუჯავამ

განვიხილე რა სსსრ შსსკ-ში შემოსული მამხილებელ-დანაშაულებრივი მასალები შესახებ **ბალიაური** ვლადიმერ (ლადო) დავითის ძისა, დაბ. 1907 წ. მცხ. ს. ახიელი, დუშეთის რ-ნი, საქ. სსრ, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, იმყოფებოდა არალეგალურ მდგომარეობაში.

ვპოვე:

ბალიაური ვ. დ. 1941 წლის ოქტომბრიდან იყო წევრი ლიკვიდირებული არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაციისა, რომლის დავალებითაც ეწეოდა აქტიურ კ/რ საქმიანობას ამ ორგანიზაციაში ახალი წევრების გადმობირებით. იყო ამ არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, ესწრებოდა კ/რ შეკრებებს, სადაც იხილებოდა საკითხები: ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, ახალი წევრების გადაბირება, კ/რ მუშაობის გაშლა პერიფერიებში, ფრონტის ხაზის საქართველოსთან მოახლო-

ების დროს შეიარაღებული აჯანყების წამოწყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა ფაშისტური ჯარების დახმარებით. ამ ორგანიზაციის ცალკეულ წევრთა დაპატიმრების შემდეგ 1942 წლიდან ბალიაური ვ. დ. გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული შეუერთდა პოლიტიკურ ბანდიტებს ყაზბეგის რაიონში. მხილებულია ჩვენებებით: ჭელიძე ა. გ., ქადაგიძე გ. ი., მაკალათია ნ. ი.

დავადგინე:

ბალიაური ვლადიმერ (ლადო) დავითის ძე
მცხოვრები ქ. თბილისი, ყიფიანის ქ. 27.
იქნეს გაჩხრეკილი და დაპატიმრებული.

სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
სახ. უშიშროების კაპიტანი ოკუჯავა

ოპერრწმუნ. სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
უფრ. სახ. უშიშროების მაიორი მარქაროვი

„ვეთანხმები“ საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების პოლკოვნიკი მიქაუტაძე

დაკითხვის ოქმი

1943 წლის 14 სექტემბერს მე, სსსრ სუკ-ის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა კაპიტანმა გ. ბ. ოკუჯავამ დავკითხე როგორც ბრალდებული

1. **გვარი** – ბალიაური
2. **სახელი, მამის სახელი** – ვლადიმერ დავითის ძე
3. **დაბადების დრო** – 1907
4. **დაბადების ადგილი** – არხოტი, დუშეთის რ-ნი, სსსრ
5. **საცხოვრებელი ადგილი** – თბილისი, ყიფიანის ქ. 27
6. **ეროვნება და ქვეშევრდომობა** – ქართველი, სსრკ მოქალაქე

7. პასპორტი – ჰქონდა, 5 წლის წინ ჩამოართვეს
8. ხელობა – მწერალი
9. სოც. წარმოშობა – გლეხი
10. სოც. მდგომარეობა
ა) რევოლუციამდე
ბ) რევოლუციის შემდეგ – სწავლობდა, მწერალი
11. ოჯახური მდგომარეობა – ცოლი – ჭელიძე ქეთევან გიორგის ასული, 26 წლის, დიასახლისი, ქალიშვილი – ლამარა, 11 წლის
12. განათლება – დაუმთავრებელი უმაღლესი
13. პარტიულობა – უპარტიო
14. რა დევნას განიცდიდა
ა) რევოლუციამდე
ბ) რევოლუციის შემდეგ – 1941 წ. დაკავებული იყო მკვლელობის გამო
15. რა საჩუქრები და ჯილდოები აქვს მიღებული საბჭოთა მთავრობისგან – არაფერი
16. სამხედრო აღრიცხვის კატეგორია – იმყოფებოდა აღრიცხვაზე ბერიას სახელობის РЗК-ში, ქ. თბილისი
17. წითელ ჯარში სამსახური – არა
18. თეთრების და სხვა კ/რ ჯარში სამსახური – არა
19. ბანდ. გამოსვლებში, აჯანყებებში და კონტ.-რევ ორგანიზაციებში მონაწილეობა ?
20. ცნობები საზოგად.-პოლიტ. მოღვაწეობის შესახებ – მწერალი

14 სექტემბერი 1943

დაკითხვა დაიწყო 13. 00 სთ
დაკითხვა დამთავრდა 19. 30 სთ

კითხვა: თქვენ დაკავებული ხართ აქტიური კ/რ საქმიანობის გამო. რას იტყვით ამის შესახებ არსებითად?

პასუხი: აქტიურ კ/რ მუშაობას მე არ ვეწეოდი, თუმც მე ვიყავი საქმის კურსში ცალკეულ პირთა აქტიური კ/რ მუშაობის

შესახებ, რის შესახებაც მოგცემთ ჩვენებას. როგორც საქართველოს პროკურატურისა და მთელი ჩემი სოფლისთვისაა ცნობილი, 1934 წლის აპრილის შუა რიცხვებში მე მოვკალი ჩემივე სოფლის მცხოვრები, სოფლის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბეციკა ბაბოს ძე წიკლაური, რომელ საქმეზეც რამდენიმე წლის შემდეგ 1940-41 წლებში მე დამკითხეს და გადამცეს სახალხო სასამართლოს იმ დროს, როცა მე ვეწეოდი შემოქმედებით მუშაობას. ამ საქმის წამოწყებამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა, ჩემს ნაშრომებს მაშინ არ ბეჭდავდნენ, რამაც, გარკვეულწილად, განმაწყო ანტისაბჭოთად და მე გამოვთქვი უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მისამართით.

კითხვა: სოფლის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის წიკლაურის მკვლელობის შესახებ თქვენ ცალკე იქნებით დაკითხული. ამჯერად კი მოგვეცით ჩვენება თქვენი ანტისაბჭოთა კ/რ საქმიანობის შესახებ.

პასუხი: ... ზემოთქმულის გამო ჩემი უკმაყოფილება შეამჩნია ჩემმა სიძემ, ჭელიძე ალექსანდრე (შურა) გიორგის ძემ, და გამაცნო მე ბობღიაშვილი ადამი, რომლის ფსევდონიმი იყო „ადამ ალვანელი“, რომელიც მე დიდი ხანია ვიცოდი, როგორც პოეტი. გაცნობიდან 4-5 დღის შემდეგ ალ. ჭელიძემ წამიყვანა ადამ ბობღიაშვილის სახლში, სადაც ჩვენ შორის გაიმართა ლიტერატურული საუბარი. ამ საუბრისას ბობღიაშვილმა გააკრიტიკა ჩემი ნაწარმოები „შურისგება“, თქვა, რომ მასში მოყვანილი ლექსები ჩანს როგორც კარგი ქსოვილის საკერებელი რაღაც ცუდ პერანგზე. მან მითხრა: „როგორ არ გეშინია, რომ ასეთ საქებარ სიტყვებს წერ საბჭოთა ხელისუფლებაზეო, როგორ აპირებ თავის შველას, როცა მოვლენ გერმანელები, მათ ხომ ექნებათ დოკუმენტი, როცა შენ წერ, თითქოს ხევსურები აყვავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დროსო“. ამ საუბრისას ჩემმა სიძემ, ალექსანდრე ჭელიძემაც, ბობღიაშვილის ანალოგიური სიტყვები მითხრა, რომ ასეთი ნაწარმოების შექმნის გამო გერმანელების ხელში კარგი არ გელისო. ჭელიძემ მითხრა, ხევსურების ცხოვრებაზე საბჭოთა ხელისუფლების ხელში კი არ უნდა წერო, არამედ საქართველოს ისტორიაზე, ქართველი

ხალხის ისტორიაზე. ამრიგად დაიწყეს ბობღიაშვილმა და ჭელიძემ ჩემი დამუშავება 1941 წლის დეკემბრიდან.

ამ შეხვედრიდან 6-7 დღის მერე ბობღიაშვილს უნდა წაეკითხა ლექცია სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ „გველის მჭამელის“ საფუძველზე. დამპატიჟა მეც. წავედი ჭელიძესთან ერთად. ლექციის დასრულების შემდეგ მე, ჭელიძე და გიორგი ქადაგიძე წამოვედით ერთად ზემელისკენ. გზაში ქადაგიძე და ბობღიაშვილი თუშურად საუბრობდნენ და ხშირად ახსენებდნენ ჩემს სახელს, როცა ვკითხე მიზეზი, მითხრა, როცა გერმანელები მოვლენ, შენ ალბათ გაიქცევი ხევსურეთში და იქ დაიმალებიო. რაზეც მე ვუპასუხე, რომ მხდალი არა ვარ და დამალვასაც არ ვაპირებ-მეთქი. მაშინ ქადაგიძემ თქვა, რომ საბჭოთა ჯარები ვერ შეძლებენ გერმანელების შეჩერებას და ისინი აუცილებლად მოვლენო. აი მაშინ შენ გაგიჭირდება, როგორც კომკავშირელსა და საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენელს. ამ საუბრით მივედით ზემელთან და დავიშალეთ.

1942 წლის იანვარში კვლავ შევხვდი ჭელიძეს და მან წამიყვანა პუშკინის ბაღში. იქ იყვნენ ქადაგიძე და ბობღიაშვილი, შემომთავაზეს მეც, რომ წავსულიყავი კახეთში, სადაც მას ჰყავდა სანდო ხალხი. თუკი დაგვეხმარები, ჩვენ გიშველით, როდესაც გერმანელების ჯარები შემოვლენ საქართველოშიო. მე ამაზე თანხმობა არ მიმიცია. მაშინ ქადაგიძემ მთხოვა, ამის შესახებ არავისთვის მეთქვა და ამის მერე წამოვედი.

1942 წლის იანვრის ბოლოს ჭელიძემ გამომიარა სახლში და წამომიყვანა. გზაში შეგვხვდნენ ქადაგიძე და ბობღიაშვილი, ამ დროს მითხრეს, რომ მათ ჰქონდათ ანტისაბჭოთა ორგანიზაცია და მთხოვა დავხმარებოდი, რისთვისაც საჭირო იყო კახეთში წასვლა. მე არ დავთანხმდი, მან მკაცრად გამაფრთხილა, არავისთვის მეთქვა ამის შესახებ. ამის შემდეგ მე მათ აღარ შევხვედრივარ და არ ვიცი, რა მოხდა. 1942 წლის 7 თებერვალს კვლავ გამომიარა ჭელიძემ და წამიყვანა ადამ ბობღიაშვილთან შესახვედრად. მან კვლავ შემომთავაზა კახეთში წასვლა, რაზეც მე ისევ უარი ვუთხარი და ამის შემდეგ გადავედი ჩემი სიძის, ნიკოლოზ მაკალათიას, სახლში, სადაც ვიმალებოდი. რამდენიმე

დღის შემდეგ ჭელიძეც გადმოვიდა მაკალათიასთან სახლში და ჩვენ ორივე ვიმყოფებოდით იქ არალეგალურ მდგომარეობაში 1942 წლის აპრილამდე. მერე გადავედით ალექსანდრეს დეიდის სახლში, სადაც ვიმალებოდით 1942 წლის ივნისამდე. ივნისში წავედი ჩემს სოფელში, შუაფხოში, სადაც დავრჩი ოქტომბრამდე. 13 ოქტომბერს ჩემთან სახლში მოვიდა დუშეთის მილიციის თანამშრომელი, მგონი, ადუა არაბული, რომელმაც მითხრა, რომ ჩემი საქმისთვის მიდიოდა არხოტში. რამდენიმე დღის შემდეგ მივდიოდი ბარისახოში, ადუა შემხვდა გზაში და მითხრა, უნდა დაგაპატიმროო. ამის გაგონებისას მე დავშორდი მათ და გავემართე ჩემს დებთან და სიძესთან არაბულ გიორგისთან ს.ჯუთაში, სადაც ვიმალებოდი მე 1943 წლის 19 აპრილამდე, ანუ ჩემს დაჭრამდე და დაპატიმრებამდე.

კითხვა: უთხარით გამოძიებას, რატომ გადახვედით არალეგალურ მდგომარეობაში 1942 წლის თებერვლიდან?

პასუხი: მე გადავედი არალეგალურ მდგომარეობაში, რადგან შემეშინდა დაპატიმრებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებისა.

კითხვა: რატომ?

პასუხი: რადგან მე ვიყავი გაფრთხილებული ქადაგიძისგან: რადგან მე მას უარი ვუთხარი კახეთში არალეგალურ მუშაობაზე, თუკი ჩაიშლებოდა საქმე, მეც მომიწევდა პასუხისგება.

კითხვა: თქვენ არ გითქვამთ გამოძიებისთვის თქვენი არალეგალური მუშაობის შესახებ, ამიტომ მოგიწოდებთ, შემდეგი დაკითხვისას მოუთხროთ გამოძიებას თქვენი გადამბირებლური საქმიანობის შესახებ.

16 სექტემბერი 1943 წ.

დაკითხვა დაიწყო 10.40 სთ.
დაკითხვა დამთავრდა 16.00 სთ.

კითხვა: თქვენ წინა დაკითხვაზე გამოძიებისათვის არ მიგიციათ სრული ინფორმაცია თქვენი კ/რ საქმიანობის შესახებ, გამოძიება გთავაზობთ, უპასუხოთ ამ კითხვას სრულად.

პასუხი: დიახ, მე არ მომიყოლია სრულად ჩემი საქმიანობის შესახებ. ახლა გადავწყვიტე, აღარ დავმალო არაფერი და მივცე გამოძიებას სრული ინფორმაცია. 1941 წლის დეკემბრის დასაწყისში ჭელიძე ალექსანდრემ წამიყვანა გიორგი ქადაგიძის სახლში ვახშამზე. იქ იყვნენ თვით ქადაგიძე და ადამ ბობღიაშვილი. სუფრაზე საუბარი ჩამოვარდა გერმანია-სსრკ-ის ომზე. ბობღიაშვილმა თქვა, რომ გერმანელთა გამარჯვება გარდაუვალია და მალე საქართველოს მოადგებიანო. ჩემს კითხვაზე, რა მოხდებოდა ამის შემდეგ, ქადაგიძემ მიპასუხა: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გერმანელები არ შეგვეხონ ჩვენ და შევინარჩუნოთ სიცოცხლე, რომ ჩვენი ხალხი არ დაზარალდეს. ჩემს კითხვაზე, როგორ უნდა მოგვეხერხებინა ეს, ქადაგიძემ მიპასუხა: ჩვენ უნდა გავუკეთოთ ორგანიზება საქმეს, საჭიროა სააგიტაციო მუშაობა ხალხში, რომ ფრონტის ხაზის საქართველოსთან მოახლოების დროს არცერთი ტყვია არ გავარდეს მათ წინააღმდეგ, ამით გადავარჩენთ ხალხს. ამისთვის არსებობს არალეგალური კ/რ ორგანიზაცია, რომლის წევრიც არის ის და რომლის მიზანიცაა, დახმარება აღმოუჩინოს გერმანულ საოკუპაციო ჯარებს. მან შემომთავაზა, ჩავბმულიყავი ამ არალეგალურ საქმიანობაში. მე ამაზე შევყოყმანდი. მაშინ ბობღიაშვილმა თქვა ჩემზე, რომ ლადო მხდალიაო. ამის შემდეგ მე მათ დავთანხმდი არალეგალურ მუშაობაზე. მათ მითხრეს, რომ სამუშაოს შესახებ მოგვიანებით დამელაპარაკებოდნენ, ეს იყო ძალზე საიდუმლო ამბავი და არავისთვის არ უნდა მეთქვა.

ამის შემდეგ 10 დღეში, დაახლ. დეკემბრის შუა რიცხვებში, ჭელიძე ალექსანდრემ წამიყვანა ქადაგიძის სახლში. იქ ასევე იყვნენ ბობღიაშვილი და კახეთიდან ჩამოსული ჭიაბრიშვილი გიორგი, რომელიც ასევე ყოფილა ჩვენი ორგანიზაციის წევრი. შეკრებაზე ვიხილავდით კ/რ მუშაობის საკითხებს. ჭიაბრიშვილმა შემოიტანა წინადადება, რომ გამოგვეცა ჟურნალი, რომელშიც იქნებოდა რამდენიმე ანტისაბჭოთა სტატია ჩვენი ორგანიზაციის ხელმოწერით. ვინაიდან სანდო მემანქანე არ გვყავდა, გადავწყვიტეთ, გვეპოვა მანქანა და ჩვენ თვითონ დაგვებეჭდა რამდენიმე ცალი ჟურნალი. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა საბეჭდი მანქანა. მაშინ ჭიაბრიშვილმა თქვა, კახეთში რომელიმე კოლ-

მეურნეობიდან მოვიპაროთო, რასაც იღებდა საკუთარ თავზე. მე არ ვიცი, ეს განხორციელდა თუ არა, ჭიაბრიშვილი მეტად აღარ მინახავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ორგანიზაციამ იშოვა საბეჭდი მანქანა, როგორც ქადაგიძემ მითხრა, იგი მოიპარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიიდან, ფანჯრიდან შეიპარნენ ქადაგიძე, ჭელიძე და ბობღიაშვილი.

კითხვა: რომელი ანტისაბჭოთა ჟურნალები და კ/რ ფურცლები დაბეჭდეთ ამ მანქანაზე?

პასუხი: არანაირი ანტისაბჭოთა ჟურნალი ან კ/რ ფურცელი არ დაგვიბეჭდავს.

კითხვა: თქვენ ხომ აღნიშნეთ, რომ მანქანა მოიპარეთ სახ. უნივერსიტეტიდან ამისათვის?

პასუხი: დიახ, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ არ ვიცოდით ბეჭდვა, თანაც არ გვქონდა საიდუმლო ადგილი, სადაც შევძლებდით ამის გაკეთებას, რადგან ბეჭდვას აქვს მაღალი ხმა.

20 სექტემბერი 1943 წ.

დაკითხვა დაიწყო 11.00 სთ
დაკითხვა დამთავრდა 16.40 სთ

კითხვა: ბრალდებულო ბალიაურო, ჩამოთვალეთ თქვენი არალეგალური ორგანიზაციის წევრები.

პასუხი: ორგანიზაციის წევრები ვიყავით:

1. მე – ბალიაური ვლადიმერ
2. ჭელიძე ალექსანდრე
3. ქადაგიძე გიორგი
4. ბობღიაშვილი ადამი
5. ჭიაბრიშვილი გიორგი

კითხვა: უამბეთ გამოძიებას ორგანიზაციის პრაქტიკული საქმიანობის შესახებ.

პასუხი: 1941 წლის დეკემბერში ერთ-ერთი შეკრების დროს წამოიჭრა ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევის საკითხი. ქადაგიძემ დამასახელა მე. მე უარი ვთქვი და დავასახელე ბობღიაშვილი, მანაც უარი თქვა. ამის შემდეგ ხელმძღვანელად ავირჩიეთ ქადაგიძე გიორგი. იმავე შეკრებაზე ჩვენს გუნდს ეწოდა არალეგალური კომიტეტი. გვინდოდა ორგანიზაციისთვის რამე

კონკრეტული სახელის დარქმევა, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრეთ. იმავე შეკრებაზე წამოიჭრა ანტისაბჭოთა ჟურნალის გამოცემის იდეა, რაზეც უკვე ვისაუბრე წინა დაკითხვისას...

კითხვა: კონკრეტულად ვის რა დავალება გქონდათ ორგანიზაციაში?

პასუხი: კონკრეტულად ვის რა გვევალებოდა, არ ვიცი, შემიძლია გითხრათ, რომ მე პირადად მევალებოდა ქართველი ხალხის ისტორიის დაწერა, ასევე საქართველოს რუსეთთან შეერთება.

კითხვა: ვინ გადაიბირეთ პირადად თქვენ აღნიშნულ ორგანიზაციაში?

პასუხი: მე პირადად არავინ არ გადამიბირებია, მე არ მევალებოდა ახალი წევრების ჩაბმა ორგანიზაციაში. რაც შეეხება ორგანიზაციის დანარჩენ წევრთა მიერ ჩატარებულ გადმომბირებელ საქმიანობას, ამის შესახებაც არაფერი ვიცი, რადგან მე არ ვიყავი ინფორმირებული ამის შესახებ.

22 სექტემბერი 1943 წ.

დაკითხვა დაიწყო 11.00 სთ
დაკითხვა დამთავრდა 15.35 სთ

კითხვა: თქვენ, როგორც კომიტეტის წევრს, გევალებოდათ ახალი წევრების ჩაბმა ორგანიზაციაში, ვინ გადაიბირეთ პირადად თქვენ და რომელი ანტისაბჭოთა სტატიები დაწერეთ თქვენი ანტისაბჭოთა ჟურნალისთვის?

პასუხი: ორგანიზაციაში მე არავინ გადამიბირებია, ასეთი დავალება მე არ მქონდა, ასევე არ დამიწერია არანაირი ანტისაბჭოთა სტატია, მიუხედავად იმისა, რომ საბეჭდი მანქანა უკვე გვქონდა. თანაც მანქანის მოპოვების შემდეგ მალევე დააპატიმრეს გიორგი ქადაგიძე, მე შემეშინდა და ამის შემდეგ გადავედი არალეგალურ მდგომარეობაში.

კითხვა: გინდათ თქვათ, რომ ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ შეწყვიტეთ არალეგალური მუშაობა?

პასუხი: როგორც გითხარით, ქადაგიძის დაჭერის შემდეგ ბობღიაშვილიც კახეთში გაემგზავრა, მეც დაპატიმრების შიშით არალეგალური მუშაობა აღარ გამიგრძელებია.

კითხვა: ტყუით, თქვენ დაპატიმრების დღემდე ეწეოდით არალეგალურ საქმიანობას, რის დამალვასაც ცდილობთ. მოუყევით გამოძიებას თქვენი საქმიანობა და დაასახელეთ ყველა პირი, ვისთანაც თქვენ გქონდათ საუბარი არალეგალურ საქმიანობაზე.

პასუხი: არალეგალურ საქმიანობაზე არავისთან მისაუბრია.

კითხვა: ვინ იცოდა თქვენი ოჯახის წევრებიდან, რომ იმალებოდით დაპატიმრების შიშით?

პასუხი: ჩემმა სიძემ ნიკოლოზ მაკალათიამ, ჩემმა მეუღლემ ჭელიძე ქეთევანმა, ჩემმა ცოლის დამ ელენე ჭელიძემ, ჩემი ცოლის დეიდამ ანა ჭელიძე-გოგოლაძემ, შემდეგ კი ს. ჯუთის მცხოვრებლებმა გიორგი არაბულმა, მისმა ცოლმა სანდუა არაბულმა, გიგიტა არაბულმა და მისმა ცოლმა თარუა არაბულმა.

კითხვა: იცოდნენ მათ, რატომ იმალებოდით?

პასუხი: დიახ, მათ იცოდნენ ჩემი დამალვის მიზეზი... მეტი არაფრის დამატება არ შემიძლია.

25 სექტემბერი 1943 წ.

დაკითხვა დაიწყო 10.05 სთ
დაკითხვა დამთავრდა 13.20 სთ

კითხვა: დაკავებისა და ჩხრეკისას თქვენ აღმოგიჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი. მიეცით ჩვენება, როდის და ვისგან მიიღეთ ეს იარაღი?

პასუხი: დიახ, ჩხრეკისას მე მიპოვეს „ბრაუნინგის“ სისტემის იარაღი და ვინტოვკა საბრძოლო მასალით. ეს იარაღები მე მოვიპოვე 1929-30 წლებში, როდესაც ვიყავი სოფსაბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ, 1930 წელს არ ჩამიბარებია სახელმწიფო ორგანოებისათვის და ვინახავდი სახლში უნებართვოდ, როდესაც მომიწია არალეგალურ მდგომარეობაში გადასვლა და ვიმალებოდი ყაზბეგის რაიონში, ეს იარაღებიც წავიღე თან.

კითხვა: კიდევ ვის ჰქონდა თქვენი არალეგალური ორგანიზაციიდან იარაღი?

პასუხი: ჩვენი ორგანიზაციის წევრებს სურდათ შეიარაღება, ქადაგიძემ დასვა საკითხი, რომ იარაღი უნდა მოგვეპოვებინა კახეთში. მაგრამ მოიპოვეს მათ ეს იარაღი თუ არა და ვის რა იარაღი ჰქონდა, მე არ ვიცი.

კითხვა: რას აპირებდით ამ იარაღით?

პასუხი: არალეგალურ საქმიანობაზე გადასვლის დღიდანვე მე ვკითხულობდი წიგნებს და ვწერდი ნაწარმოებებს, მეტი არაფერი გამიკეთებია.

კითხვა: არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი არ ეწეოდით ყაჩაღურ საქმიანობას?

პასუხი: არა, ყაჩაღობას მე არ ვეწეოდი, როგორც უკვე ვთქვი, ვიმალებოდი ჩემს მშობლებთან, სადაც სრულად ვიყავი უზრუნველყოფილი საკვებით, ამიტომ მე არ მჭირდებოდა მოსახლეობაზე ძალადობა.

კითხვა: არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლის შემდეგ ვისთან გქონდათ კავშირი თქვენი კ/რ ორგანიზაციიდან?

პასუხი: როგორც წინა დაკითხვებისას ვაჩვენე, ამის შემდეგ არავისთან აღარ მქონია კავშირი, მე მათ შესახებ აღარაფერი ვიცი, გარდა ჭელიძე ალექსანდრესი, ვისთან ერთადაც ვიმალებოდი 1942 წლის ივლისამდე.

კითხვა: წითელი არმიიდან დეზერტირებულ და ხელისუფლებისაგან დამალულ პირთაგან ვისთან იყავით დაკავშირებული ყაზბეგის რ-ნში?

პასუხი: ასეთ პირებთან მე დაკავშირებული არ ვყოფილვარ, ასეთი კატეგორიის პიროვნებებს არ ვიცნობ და არ შევხვედრივარ. 1942 წლის ოქტომბრიდან, რაც არაბულებში ვიმალებოდი, არავის არ დავკავშირებივარ. ჩემი იქ მისვლიდან მალევე მოვიდა თოვლი, გზები ჩაიკეტა და 1943 წლის აპრილამდე იქ ვიმყოფებოდი. 1943 წლის აპრილში, როცა ორგანოს თანამშრომლებმა მიპოვეს გიგიტა არაბულის სახლში, სროლისას დავიჭერი ორივე ფეხში, რის შემდეგაც ჩავბარდი ნკვდ-ს თანამშრომლებს. მათ მიმიყვანეს ყაზბეგის ნკვდ-ში, იქიდან კი თბილისის ციხის საავადმყოფოში.

ამის მეტი სათქმელი ამ საკითხზე არაფერი მაქვს.

1 ოქტომბერი 1943 წ.

დაკითხვა დაიწყო 15.20 სთ
დაკითხვა დამთავრდა 16.30 სთ

კითხვა: თქვენთვის წარდგენილია ბრალი, რომ 1941 წლის დეკემბრიდან იყავით კ/რ არალეგალური მეამბოხე ორგანიზაციისა და ამ ორგანიზაციის არალეგალური კომიტეტის წევრი, ესწრებოდით სხდომებს, სადაც იხილებოდა ახალი წევრების გადაბირების საკითხი, არალეგალური მუშაობის პერიფერიებში გაშლის საკითხი, ფრონტის ხაზის საქართველოს საზღვრებთან მოახლოებისას შეიარაღებული გამოსვლის მოწყობის საკითხი, საქართველოში გერმანიის მფარველობის ქვეშ ფაშისტური წყობის დამყარების საკითხი, რაც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-58[2], 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით. ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ აღნიშნულ ბრალდებაში?

პასუხი: დიახ, აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში სრულად ვცნობ თავს დამნაშავედ.

23 ოქტომბერი 1943 წ.

საბრალდებო დასკვნა

ბრალდებულის ბალიაური ვლადიმერ დავითის ძის საძიებო საქმეზე №5095 საქ. სსკ 19-58-2, 58-10 II ნაწ. და 58-11 მუხლებით.

1942 წლის დასაწყისში საქ. სსრ შინსაქსახკომის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ იქნა არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაცია, რომლის აქტიური წევრები: ჭელიძე ალექსანდრე გიორგის ძე, ბალიაური ვლადიმერ დავითის ძე და სხვ., შეეშინდათ რა დაპატიმრებისა აღნიშნული ორგანიზაციის აღმოჩენის შემდეგ, გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაში და ემალებოდნენ ხელისუფლებას.

ძიების შედეგად ჭელიძე ა. გ. 9/X-42 წ. იქნა დაპატიმრებული და მიეცა სისხ. სამართლის პასუხისგებაში, გასამართლდა

სსსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალის მიერ 12-13/IV-43 წ., ხოლო ბალიაური ვ. დ. არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდა ყაზბეგის რ-ნის ს. ჯუთაში თავის სიძესთან გიორგი აბოს ძე არაბულთან და გიორგი გიორგის ძე არაბულთან. იგი ცდილობდა, არ ჩაბარებოდა ხელისუფლებას, სროლისას დაიჭრა და გადმოყვანილ იქნა თბილისის ციხის №1 საავადმყოფოში სამკურნალოდ.

გამოჯანმრთელების შემდეგ 1943 წ. 14 სექტემბერს ბრალდ. ბალიაური ვ. დ. დაიკითხა, ძიების პროცესში მან თავი დამნაშავედ ცნო წაყენებულ ბრალში, მისცა ჩვენება, რომ იგი 1941 წლის დეკემბერში ჭელიძე ალექსანდრეს მხრიდან შესაბამისი ანტისაბჭოთა სულისკვეთებით დამუშავების შემდეგ ჩართო არალეგალურ კ/რ მეამბოხე ორგანიზაციაში ქადაგიძე გიორგიმ, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედიოდა ბრალდებული ბალიაური ვ. დ., ესწრებოდა აღნიშნული კომიტეტის სხდომებს, სადაც იხილებოდა ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები ახალი წევრების გადაბირებისა და პერიფერიებში კ/რ მუშაობის გაშლის შესახებ, ფრონტის ხაზის საქართველოსთან მოახლოებისას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ, საქართველოში საბჭოთა წყობის დამხობისა და „დამოუკიდებელი ნაციონალური საქართველოს“ დამყარების შესახებ ფაშისტური ჯარების დახმარებით.

ამ შეკრებებზე დაისვა საკითხი ანტისაბჭოთა ჟურნალისა და პროკლამაციების გამოცემის შესახებაც, რომლის დასაბეჭდადაც კომიტეტის დავალებით ჭელიძე ალექსანდრემ, ქადაგიძე გიორგიმ და ბობღიაშვილმა ადამმა 1941 წლის დეკემბერში საბეჭდი მანქანა მოიპარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ ჩამარხეს მიწაში ჭელიძე ალექსანდრეს დეიდის – გოგოლაძე ანას სახლის ეზოში. ამ მანქანაზე არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტის წევრებს – ჭელიძეს და ბალიაურს – უნდა დაებეჭდათ კ/რ ფურცლები.

ბრალდ. ბალიაური აღნიშნული ორგანიზაციის აქტიური წევრის, ქადაგიძე გიორგის დაპატიმრების შემდეგ, გრძნობდა

რა საკუთარი დანაშაულის სიმძიმეს, ეშინოდა რა დაპატიმრებისა, ჭელიძე ალექსანდრესთან ერთად გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში 1942 წლის თებერვალში და იმალებოდა ჯერ ნიკოლოზ მაკალათიას, შემდეგ კი ანა გოგოლაძის სახლში, რომელთაც იცოდნენ მისი კ/რ საქმიანობის შესახებ და ყველაფრით უწყობდნენ ხელს. 1942 წლის ივნისში ბრალდ. ბალიაურმა ჭელიძე ალექსანდრე დატოვა თბილისში და თავად გაემგზავრა ყაზბეგის რ-ნში შეიარაღებული ცეცხლსასროლი იარაღით – პისტოლეტი „ბრაუნინგით“, ვინტოვკითა და საომარი მასალით – თავი შეაფარა ყაზბეგის რ-ნის ს. ჯუთაში თავის სიძესთან გიორგი აბოს ძე არაბულთან და გიორგი გიორგის ძე არაბულთან, სადაც იმალებოდა დაპატიმრებამდე.

საქმეზე გასამართლებულ სხვა პირთა: ქადაგიძე გიორგის, ჭელიძე ალექსანდრეს, მაკალათია ნიკოლოზის და ჭელიძე ელენეს ჩვენებებით ბალიაური ვლადიმერის ბრალეულობა მისი კ/რ საქმიანობის შესახებ სრულადაა დადასტურებული.

ბრალდებული ბალიაური ვ. დ. სრულად ცნობს თავს დამნაშავედ წაყენებულ ბრალში, რაც ასევე დასტურდება ქადაგიძე გიორგის, ჭელიძე ალექსანდრეს, მაკალათია ნიკოლოზის და ჭელიძე ელენეს ჩვენებებით.

ზემოთქმულზე დაყრდნობით
ბრალი ედება:

ბალიაური ვლადიმერ დავითის ძე, დაბ. 1907 წ., მცხ. დუშეთის რ-ნის ს. არხოტში, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, გლეხი, არასრული უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, 1943 წ. სისხლის აღების ნიადაგზე მოკლა არხოტის სოფსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბეციკა წიკლაური, რაზედაც აღიძრა სისხ. სამართლის საქმე, მაგრამ ბრალდ. ბალიაური არ იქნა მიცემული სისხ. სამართლის პასუხისგებაში, ვინაიდან იგი დაიმალა ქ. ლენინგრადში, ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ იგი თანამშრომლობდა საქართველოს მწერალთა კავშირთან.

იმაში, რომ

1941 წლის დეკემბერში ჩართო არალეგალურ კ/რ მეამბოხე ორგანიზაციაში მისმა ხელმძღვანელმა ჭელიძე ალექსანდრემ, ესწრებოდა აღნიშნული ორგანიზაციის სხდომებს, სადაც იხილებოდა ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, ახალი წევრების გადაბირებისა და პერიფერიებში კ/რ მუშაობის გაშლის შესახებდა ფრონტის ხაზის საქართველოსთან მოახლოებისას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ საბჭოთა წყობის დამხობისა და საქართველოს ფაშისტური წყობის დამყარების შესახებ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

ანუ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქ. სსკ 19-58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით.

საქმეზე ძიება ჩაითვალოს დამთავრებულად და ბრალდება დამტკიცებულად.

ძიების საქმე №5095 ბრალდების შესახებ ბალიური ვ. დ. სსსრ პროკურორის მიერ გაგზავნილ იქნას მოსასმენად სსსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალისთვის.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია 23 ოქტომბერს 1943 წ.

გამომძიებელი სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
უშიშროების კაპიტანი ოკუჯავა

„ვუერთდები“ გან-ბის უფროსი სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
უშიშროების მაიორი მარქაროვი

„ვეთანხმები“ სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ. უფროსი
სახ. უშიშროების პოლკოვნიკი მიქაუტაძე

ცნობა: ბრალდ. ბალიაური ვ. დ. იმყოფება სსსრ შსსკ შინაგან ციხეში.

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ “
სსსრ პროკურორის მოადგილე
სპეცსაქმეებში ვ. შონია
11 ნოემბერი 1943 წ.
ქ. თბილისი

დადგენილება

ძიების საქმე 5095 ბალიაური ვლადიმერ დავითის ძის ბრალდების შესახებ

მე, სსსრ პროკურორის თანაშემწემ სპეცსაქმეებში, ვ. ხმალაძემ, გადავხედე რა ბრალდების საქმეს ბალიაური ვლადიმერ დავითის ძისა, დაბ. 1907 წ., მცხ. დუშეთის რ-ნის ს. არხოტში, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, გლეხი, არასრული უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, მცხ. ქ. თბილისში ყიფიანის ქ. № 25, ბრალდებული სსსრ სსკ-ის 19-58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით

ვპოვე:

ბრალდ. ბალიაური ვ. დ. იყო აქტიური წევრი არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაციისა, რომელიც გამოაშკარავებულ და ლიკვიდირებულ იქნა 1942 წელს და რომლის წევრებიც ჭელიძე ა. გ., კობაიძე ა. ვ., კაჭირიშვილი ვ. პ. და სხვები ძიების შედეგად იქნენ დაკავებულნი და გასამართლებულნი, ბრალდებული ბალიაური ვ. დ. კი იმყოფებოდა არალეგალურ მდგომარეობაში, მაგრამ 1943 წლის აპრილში ორმხრივი სროლისას დაიჭრა და გადაყვანილ იქნა თბილისის ციხის №1 საავადმყოფოში სამკურნალოდ.

გამოჯანმრთელების შემდეგ ბრალდ. ბალიაურ ვ. დ.-ს დაკითხვისას არ უარუყვია თავისი კ/რ საქმიანობა და მისთვის წარდგენილ ბრალში სრულად ცნო თავი დამნაშავედ და აჩვენა, რომ ის ნამდვილად იყო აქტიური წევრი არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაციისა.

ნათქვამი მტკიცდება ასევე ჭელიძე ა. გ.-ს, გოგოლაძე ა. მ.-ს, არაბული გ. გ.-სა და არაბული გ. ა.-ს ჩვენებებით, ასევე საქმეზე გასამართლებული აღნიშნული არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაციის წევრთა ჩვენებებით.

ბრალდ. ბალიაური ვ. დ. ასევე მხილებულია სსსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო სხდომის 1943 წ. 13 აპრილის ოქმით.

მივიღე რა მხედველობაში აღნიშნული

დავადგინე:

სსსრ შსსკ-ის 1943 წლის 23 ოქტომბრის საბრალდებო დასკვნა საქმეზე ბალიაური ვ. დ. სსსრ სსკ-ის 19-58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით დ ა მ ტ კ ი ც დ ე ს და საქმე გადაეგზავნოს არსებითი განხილვისთვის სსსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალს.

სსსრ პროკურორის თანაშემწე
სპეცსაქმეებში ვ. ხმალაძე

ხელწერილი
საბრალდებო დადგენილების (დასკვნის) ჩაბარებაზე

ჩემ საქმეზე შემდგარი საბრალმდებულო დადგენილების ასლი ჩავიბარე სსსრ სანაპირო და შინა დაცვის სამხედრო ტრიბუნალიდან 18 ნოემბერს 1943 წ. 10 საათზე.

ვ. ბალიაური

საქმე №4172/43

განაჩენი № 3062

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით:

1943 წ. 18 ნოემბერს საქართველოს სსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალი, ქ. თბილისი, შემადგენლობით:

თავმჯდომარე – იუსტიციის კაპიტანი ყურაშვილი
წევრები: ნავროზაშვილი, მურადაშვილი
მდივანი: დავითაშვილი

განიხილა დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმე ბრალდების შესახებ:

ბალიაური ვლადიმერ დავითის ძე, დაბ. 1907 წ., მცხ. დუშეთის რ-ნის ს. არხოტში, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, გლეხი, არასრული უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, ნასამართლევი არაა, იმყოფებოდა ძიებაში 1943 წ. სისხლის აღების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის გამო – სსსრ სსკ-ის 19-58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით.

სამხედრო ტრიბუნალმა

დაადგინა

დიდი სამამულო ომის წლებში, 1941 წლის ბოლოს, ქ. თბილისში ანტისაბჭოთა ელემენტების მიერ ქადაგიძე გიორგის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა არალეგალური კ/რ მეამბოხე ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

აღნიშნული ორგანიზაციის წევრები იყვნენ: ქადაგიძე გ. პ., ჭელიძე ა. გ., ბობღიაშვილი, ჭიაბრიშვილი, იმედაძე და ბალიაური.

მსჯავრდებული ბალიაური 1941 წ. დეკემბერში ჭელიძე ალექსანდრეს მხრიდან შესაბამისი ანტისაბჭოთა სულისკვეთებით დამუშავების შემდეგ ჩართო არალეგალურ კ/რ მეამბოხე ორგანიზაციაში ქადაგიძე გიორგიმ, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტი. მის შემადგენლობაში შედიოდა ბრალდებული ბალიაური ვ. დ. იგი ესწრებოდა აღნიშნული კომიტეტის სხდომებს, სადაც იხილებოდა ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, საკითხები ახალი წევრების გადაბირებისა, პერიფერიებში კ/რ მუშაობის გაშლისა, ანტისაბჭოთა ჟურნალისა და პროკლამაციების გამოცემის შესახებ. ჟურნალისა და პროკლამაციების დასაბეჭდად კომიტეტის დავალებით ჭელიძე ალექსანდრემ, ქადაგიძე გიორგიმ და ბობღიაშვილმა ადამმა 1941 წლის დეკემბერში საბეჭდი მანქანა მოიპარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელიც ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ ჩამარხეს მიწაში ჭელიძე ალექსანდრეს დეიდის, გოგოლაძე ანას, სახლის ეზოში. ამ მანქანაზე არალეგალური ორგანიზაციის კომიტეტის წევრებს – ჭელიძეს და ბალიაურს – უნდა დაებეჭდათ კ/რ ფურცლები.

ბრალდ. ბალიაური აღნიშნული ორგანიზაციის აქტიური წევრის – ქადაგიძე გიორგის დაპატიმრების შემდეგ, გრძნობდა რა საკუთარი დანაშაულის სიმძიმეს, ეშინოდა რა დაპატიმრებისა, ჭელიძე ალექსანდრესთან ერთად გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში 1942 წლის თებერვალში და იმალებოდა ჯერ ნიკოლოზ მაკალათიას, შემდეგ კი ანა გოგოლაძის სახლში, რომელთაც იცოდნენ მისი კ/რ საქმიანობის შესახებ და ყველაფრით უწყობდნენ ხელს. 1942 წლის ივნისში კი ბრალდ. ბალიაურმა ჭელიძე ალექსანდრე დატოვა თბილისში და თავად გაემგზავრა ყაზბეგის რ-ნში. შეიარაღებულმა ცეცხლსასროლი იარაღით – პისტოლეტი „ბრაუნინგით“, ვინტოვკითა და საბრძოლო მასალით – თავი შეაფარა ყაზბეგის რ-ნის ს. ჯუთაში თავის სიძესთან, არაბულ გიორგი აბოს ძესთან და არაბულ გიორგი გიორგის ძესთან, სადაც იმალებოდა დაპატიმრებამდე.

ამრიგად, სამხედრო ტრიბუნალის მიერ ბალიაურ ვლადიმერ დავითის ძისთვის წაყენებული ბრალი, რომელი დანაშაულიც

გათვალისწინებულია საქ. სსკ 19-58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით, დადასტურებულია.

სასამართლო ითვალისწინებს რა გარემოებებს და მსჯავრდებულ ბალიაურის პიროვნებას, აქვს საშუალება, არ გამოიყენოს ბალიაურთან დამოკიდებულებაში სასჯელის უმაღლესი ზომა.

სამხედრო ტრიბუნალი

ადგენს:

ბალიაურ ვლადიმერ დავითის ძეს ჩადენილი დანაშაულისთვის მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით შრომა-გასწორების ბანაკში, პირადი ქონების კონფისკაციითა და შემდეგი 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით.

სსსრ სსკ-ის 29-ე მუხლის თანახმად, სასჯელის ათვლა დაიწყოს 1943 წლის 30 ივნისიდან.

ჩამორთმეული „ბრაუნინგის“ სისტემის იარაღი გადაეცეს სსსრ მილიციის განყოფილებას.

თავმჯდომარე: ყურაშვილი
წევრები: ნავროზაშვილი, მურადაშვილი
მდივანი: დავითაშვილი

1943 წლის 12-13 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა საქ. შსსკ-ის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს დახურული სხდომა ბრალდებულისა და დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე. სხდომა მიმდინარეობდა 20 საათი. სხდომამ გამოიტანა გადაწყვეტილება: ჭელიძე ალექსანდრეს, კობაიძე ალექსანდრეს, შოშიაშვილ ელიზბარს, მაკალათია ნიკოლოზსა და ჭელიძე ელენეს მიესაჯათ დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით, გოგოლაძე ანას – თავისუფლების აღკვეთა 5 წლით შეწყალების უფლების გარეშე (შემდეგ შეუმცირდა 3 წლამდე მცირეწლოვანი შვილების გამო).

1959 წლის 27 იანვრის დადგენილებით თბილისში ამიერკავკასიის სამხ. ოლქის სამხედრო პროკურორის მოადგილის,

იუსტიციის პოლკოვნიკ მ. სკოპცოვის თავმჯდომარეობით სასამართლომ განიხილა საარქივო-საგამოძიებო საქმე №78919 მსჯავრდებულ ბალიაური ვლადიმერ დავითის ძის რეაბილიტაციის შესახებ და სსსრ შსსკ ჯარების სამხედრო ტრიბუნალის 1943 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. გასამართლებული ვლადიმერ ბალიაურის ქალიშვილის თხოვნა არ იქნას დაკმაყოფილებული.

2003 წელს კიდევ ერთხელ აღიძრა საქმე რეაბილიტაციის შესახებ. საქმე იხილებოდა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში. გადაწყვეტილების შესახებ ცნობა საქმეში არ არის.

ზოია ცხადაია

ალექსანდრე ბეგაშვილი

ცნობილ ქართველ პოეტსა და მოღვაწეს, ალექსანდრე ბეგაშვილს, სრულიად ახალგაზრდას (19 წლისას) შეეხო 1942 წლის რეპრესიები. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი დაუსმენლობისთვის დააპატიმრეს და 8 წელი ავჭალის კოლონიაში გაატარებინეს, რამაც სამუდამოდ დაასვა დაღი მის ცხოვრებას. „შინაგანი კეთილშობილებით გამორჩეული“, – ასე ახასიათებდნენ და აფასებდნენ მას სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ისინი, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონია.

ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილი დაიბადა 1923 წლის 14 აპრილს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქუთაისის ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც სწავლობდა 1942 წლამდე. სწავლას მოწყურებულ, პოეზიით გატაცებულ ახალგაზრდას ყოველგვარი გზა გადაეკეტა წინსვლისათვის. თითქმის 30 წლის შემდეგ, 1970 წელს, დაასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. ალექსანდრე ბეგაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგედ, ჟურნალების: „საქართველოს ეკონომისტი“, „მნათობი“, გაზეთების: „გამარჯვება“, „კომუნისტი“, „სახალხო განათლება“, „ახალი ფილმები“, „ეკრანის ამბები“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვ. სტილისტ-რედაქტორად.

ალექსანდრე ბეგაშვილის ლექსები 1952 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“. მას შემდეგ სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში. გამოცემული აქვს ათამდე პოეტური კრებული: „ახალი ლექსები“, „ნიკორწმინდის ვარსკვლავი“, „რასაც ვუგალობ“, „სახსოვარი“ და სხვ. სიცოცხლის ბოლოს, 1988 წელს, მან გამოსცა ლექსების, მოთხრობებისა და თარგმანების სრული კრებული; მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ და სხვა (საბჭოთა კავშირის ხალხთა) ენებზე. ალექსანდრე ბეგაშვილი თავადაც ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. თარგმნიდა რუსულიდან, უკრაინულიდან, სომხურიდან, აზერბაიჯანულიდან, კერძოდ, თარგმნილი აქვს კ. მაიაკოვსკის, ნ. ტიხონოვის, ს. რუსტამის ლექსები, ოლეს გონჩარის რომანი „სიყვარულის სანაპირო“ და სხვ.

ალექსანდრე ბეგაშვილი ავტორია მრავალი მხატვრული ნარკვევისა, წერდა რეცენზიებს საბავშვო წიგნებზე (ი. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“, გრ. აბაშიძის „ვინ დიდი და ვინ პატარა“ და სხვ.), მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებზე, მსახიობებზე... მან რამდენიმე სტატია უძღვნა ქართული ენის სიწმინდის დაცვის საკითხს. იგი ჩინებულ სტილისტად იყო აღიარებული და დიდი წვლილი შეჰქონდა ამ საქმეში ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული მასალებით („ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, „ქართული სწორმეტყველების საკითხები“, რეცენზია შ. ძიძიგურის წიგნზე „საენათმეცნიერო საუბრები“ და სხვ).

ალექსანდრე ბეგაშვილი გარდაიცვალა 1989 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ბეგაშვილს პატიმრობის შემდეგ არ შეუწყვეტია მეცნიერული მოღვაწეობა, იგრძნობოდა, რომ მას საშინელი დაღი დაასვა რეპრესიების წლებმა. მისი მარტოობისკენ სწრაფვა და ხმაურიანი, გახსნილი ცხოვრებისგან განაპირება, ცხადია, განპირობებული იყო იმ ფსიქოლოგიური სტრესითა და შიშით, რომელიც თან სდევდა თითქმის ყველა რეპრესირებულს.

მწერალი რევაზ კვერენჩხილაძე იხსენებს: „30 წელიწადი გრძელდებოდა ჩვენი ნაცნობ-მეგობრობა. ხშირად ვსაუბრობდით. სანდო კაცად მთვლიდა ალექსანდრე, მაგრამ მაინც ვამ-

ჩნევდი – შიშით დაღი ჰქონდა დასმული სამუდამოდ (იმათაც ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ, ვინც სასჯელს მასთან ერთად იხდიდა). ამის გამო ვერც მოგონებას წერდა, არც ლექსში მიუნიშნებია სადმე იმ წლებზე, გარდა ბანაკიდან ჭაბუა ამირეჯიბის გაქცევისა. „ერთი ბიჭი დამეკარგა, წითელხალათიანი“... იქნებ ვცდები?“ (კვერენჩხილაძე 2017: 170-171).

და მაინც... ალექსანდრე ბეგაშვილის რამდენიმე ლექსში შეიძლება ამოვიკითხოთ ის უთქმელი, ფარული დარდი და გულისტკივილი, რომელსაც უხმოდ ატარებდა. 1960 წელს გამოცემულ კრებულში მას შეტანილი აქვს ლექსი „იქნებ იმიტომ ვერ დავწერე ეს ლექსი დღემდე“ (მამას). როგორც ირკვევა, მამა პატიმრობაში ყოფნის დროს გარდაცვლია და, რა თქმა უნდა, ვერც დაიტირებდა. **„ვერ გაგაცილე, ვერ მიგყევი სამარის კართან... რა ვქნა, საფლავზე ვერ დაგიდგი ძვირფასი ძეგლი“...** ერთადერთი საშუალება მამისთვის პატივის მიგებისა ლექსი იყო, მაგრამ, როგორც მიანიშნებს, აქაც „უღონო“, უძლური, შებოჭილია, რომ სათქმელი ღიად თქვას. პოეტის სულიერი ტკივილის ამოკითხვა, გაგება მხოლოდ მისთვისაა გასაგები, ვინც ალექსანდრე ბეგაშვილის ცხოვრების ამ მწარე ისტორიას იცნობს:

მსურდა ეს ლექსი ყოფილიყო
ვითარცა ძეგლი,
მაგრამ არ მახსოვს უღონობა
ამაზე მეტი,
ვაგლახ, სათქმელი დიდი ზღვაა, –
ეს ლექსი – წვეთი.

შენი სახელის ხსენებას მე
დუმილით ვხვდები.
რომ მკითხონ, თვითონ მე არ ვიცი,
რად ხდება ასე.

ალბათ დიდ გრძნობას
ვერ ეწყობა უბრალო სიტყვა...
და ამ ლექსს დღესაც არ დავწერდი,
ამ ქვეყანაზე
კაცის დუმილის წაკითხვა რომ
შეეძლოს ვინმეს...

1969 წელს გამოცემულ კრებულში ალექსანდრე ბეგაშვილს ამ ლექსის სათაური ასე შეუცვლია: „ქვეყნად დუმილის წაკითხვა რომ შეეძლოს ვინმეს“ და ამავე ლექსით სრულდება წიგნი.

ასევე, ნიშანდობლივია მისი ვრცელი ლექსი „გიგონებთ“, რომელიც სიცოცხლის ბოლოს დაუწერია. პოეტის ადრესატები არიან 1937 წელს რეპრესირებული ქართველი მწერლები და ხელოვანები. პირველს იგი სანდრო ახმეტელს ახსენებს, კაცს, რომელიც „ღმერთს არ მისცემდა ვაჟკაცობის შელახვის ნებას“... „ორპირის ფშანზე გაზრდილ ბიჭს“ (ტიციანს) კი ასე მიმართავს: „ჯერ დაუცლელო, გაუთლელო ლერწამის ღერო“... „მარტო წვავ, გრძნობავ, მარტო ცეცხლო და მარტო ნიჭო“... იგონებს „მოხუც გრიგოლ წერეთელს“, ევგენი მიქელაძეს მისი „გრძნეული ჯოხით“; „ოქროსვარაყებიან კალმის პატრონს“, მიხეილ ჯავახიშვილს („შენ ზურგით მიგაქვს საუკუნის ქართული პროზა“)... პაოლო იაშვილისადმი მიმართვაში კი საყვედური მიემართება იმ „ცენტრალკის ლულას“, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა თვითმკვლელ პოეტს, თუმცა ქვეტექსტი ნათელია, ვის ეკუთვნოდა ეს „საყვედური“:

მე ვერ შევესწარ მომლხენს, კეთილს,
რაინდს და გულადს...
ასიათასი რისხვა,
წყევლა „ცენტრალკის“ ლულას!
რისხვა და გმობა
წუთებს შენი გარდაცვალების...

ერთ-ერთ ლექსში („სახსოვარი“) ალექსანდრე ბეგაშვილი თავის მკითხველს ასე მიმართავს: „რას გაგაკვირვებ, რომ მოგიძღვნი მე ამ ძღვენს მცირეს, მაგრამ... ბალახი გაგიწოდე ირემმა ირემს!“ მის პოეზიაში მრავლად არის ისეთი ტექსტები, რომელთაც გულგრილად ვერ აუვლის გვერდს მკითხველი. ლექსები აჭარაზე, აფხაზეთზე, მის საყვარელ კახეთზე, „ეგრისის სიმფონია“ და სხვები, რომლებშიც იგი საქართველოს კუთხეების მიმართ გულწრფელი პოეტური სტრიქონებით თავის ემოციებს გამოხატავს... მრავალი მიძღვნის ავტორია

ალექსანდრე ბეგაშვილი, რომელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვერებელია „ტერენტი გრანელს“. ლექსი იმ დროს არის დაწერილი, როცა გრანელი ჯერ კიდევ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე განისვენებდა – უპატრონო, მივიწყებული (მივიწყებული ხელისუფლებისა და საზოგადოების იმ ნაწილის მიერ, რომელსაც ევალებოდა ამ უდავოდ ნიჭიერი პოეტის სახელისა და საფლავის მოვლა-პატრონობა):

არ მასვენებ, გულში ჩამრჩი დარდად,
შენ უიღბლო, უბედურო ჩანგო,
მსურს მოვიდე და ეს ლექსი ვარდად
შენს საფლავზე ეკალ-ბარდში ჩავრგო.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ბეგაშვილს თავისი ცხოვრების ყველაზე უსიამოვნო ისტორია ქუთაისში გადახდა (იქ დააპატიმრეს), ეს ქალაქი მის მეხსიერებაში მაინც ძვირფას მოგონებად დარჩა. ნოსტალგია, მონატრება ქუთაისში გატარებული დღეებისა (სულ ორიოდე წელი) სიცოცხლის ბოლომდე თავს არ ავიწყებდა. წარსულის ავადმოსაგონარმა შემთხვევამ, როგორც ჩანს, ოდნავადაც ვერ მიაყენა ჩრდილი ამ გრძნობას, სიჭაბუკის აღმაფრენას, „სავარდო და სამაისო ქუთაისის“ სიყვარულში რომ გამოხატა წლების შემდეგ. ლექსსაც ასე დაარქმევს: „სავარდო და სამაისო ქუთაისს“ (გალაკტიონის ალუზიით):

ო, მენატრება ტალღა რიონის
და რაღაც სულ სხვა მოვიმიზეზე...
აქ ნაფეხურებს გალაკტიონის,
დავდივარ, ვეძებ ბაღის კიდეზე.
ოცნების კართან შემომათენდა,
გეტრფი, ქალაქო, ბრძენთა აკვანო...
აქ დიდ აკაკის, – ბულბულს ქართველთა –
ბაღში ვეახელ, რომ ვეთაყვანო!
აქ, დიდ ჭადრებში,
აქ, დიდ ნაძვებში
უხვად იფრქვევა სხივთა ჩანჩქერი...

ფალიაშვილი ზის სავარძელში,
ჩანგის მთრთოლვარე სიმებს დასცქერის.
ხარობს ქალაქი გულის ბარაქით,
მტრის და ავსულის თვალი დაივსო...
ელავს ქალაქი, ბრწყინავს ქალაქი –
მართლაც სავარდო და სამაისო.

ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილის საგამოძიებო საქმის მასალებიდან – ფონდი № 6. საქმე №19108-62 საარქივო №42$_{1458-07,}$ ტ.3. ყ. 315. გვ. 29

ალექსანდრე ბეგაშვილის დაპატიმრების სანქცია გაცემულია ქუთაისში, 1942 წლის 7 სექტემბერს, შინაგარ საქმეთა სახალხო კომისარიატის პოლკოვნიკ შავგულიძის მიერ.

დააპატიმრა ამავე ორგანოს ლეიტენანტმა კალანტაროვმა, 1942 წლის 13 სექტემბერს და მოათავსეს ქუთაისის მე-2 ციხეში.

ანკეტა: ბეგაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე

დაბ. 1923 წ. სიღნაღი, ს. ანაგა

ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ექსტერნატის (დაუსწრებელი სექტორი) ენისა და ლიტ. ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი

დედა – ელენა დიმიტრის ასული დარჩიაშვილი-ბეგაშვილი, მეოჯახე

და – ცირა ბეგაშვილი, მე-8 კლასის მოსწავლე

ბეგაშვილი კომკავშირელია 1935 წლიდან.

1942 წლამდე სწავლობდა ქუთაისში, 1942 წლის აპრილში საბუთები გადაიტანა თსუ-ში გადასვლის გამო, რაც ვერ მოახერხა და უკან დაბრუნდა. დაბრუნების შემდეგ ის მიიღეს არა დასწრებულზე – არამედ ექსტერნატზე (საქმეში დევს ბეგაშვილის პასპორტი და სტუდბილეთი).

დაკითხვის დროს მას დაუსვეს კითხვა, რატომ გადავიდა თბილისში.

პასუხი: ოჯახთან ახლოს ვიქნებოდი და იქ მამიდაშვილთან ვცხოვრობდი. ქუთაისში ნაკლები პირობები მქონდა.

საქმეში დევს პროკურორ შავგულიძისადმი ქუთაისში სიღნაღის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელ რეხვიაშვილის მიერ გამოგზავნილი ცნობა, რომელშიც წერია:

ალექსანდრე ბეგაშვილის მამა არის კოლმეურნე, მჭედელი. ოჯახის არცერთი წევრი არ ყოფილა რამე საეჭვო საქმეში შემჩნეული. რამე მაკომპრომატირებელი ფაქტები არ აქვთ არც მათ ახლობლებს და ნათესავებს.

ცნობა №2984. 3.VIII-1942 წ.

(ე.ი. ეს ცნობა ბეგაშვილის დაჭერამდე მოუთხოვიათ სიღნაღიდან, ეძებდნენ კომპრომატებს).

მთავარი ბრალდებული ამ საქმეში იყო **ბასკანჩალაძე პეტრე ბიქტორის-ძე**, დაბ. 1895 წელს, სამტრედიის რ. სოფ. ნაჩხეტური, პენსიონერი (ტუბერკულოზით დაავადებული), უმაღლესი განათლებით.

პროფესია – ბუღალტერი. მუშაობს: ფაშისტური ორგანიზაციის წევრი, ეწევა აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას.

დაპატიმრების მოტივი: მამხილებელი დანაშაული.

პეტრე ბასკანჩალაძე დაიჭირეს 1942 წლის 5 სექტემბერს.

მუხლი – 58-10 ნაწ. 2 და 58-11 (ხელს აწერს პროკურორი შავგულიძე, დაიჭირა ლეიტენანტმა კალანტაროვმა).

ცხოვრობს ქუთაისში, კიროვის ქ. 70 (ა. ბეგაშვილის მეზობლად – ზ.ც.). ცოლშვილიანი, უპარტიო; ქუთაისში ცხოვრობს მკურნალობის მიზნით.

ბასკანჩალაძის დაკითხვის ოქმებიდან:

კითხვა: ვის იცნობდით პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებიდან?

პასუხი: ივანე ბახიას, რომელიც 25 აგვისტოს ვნახე, კომისარიატში იყო გამოძახებული. იქნებ, ჯარშია უკვე. ვიცნობ აგრეთვე **მის ამხანაგს, სახელი და გვარი არ მახსოვს. კახეთიდანაა** (გულისხმობს ა. ბეგაშვილს); მე ამ კახელთან კავშირი არ მქონია, გარდა იმისა, რომ მე ერთხელ დერეფანში გამოვი-

ტანე ევროპის რუკა და ბახიასთან ერთად ჩემთან ამ რუკასთან მოვიდა **ბახიას კახელი ამხანაგი**. მე არ ვიცი მისი გვარი და საერთოდ მასზე გაჯავრებული ვიყავი... ჩემს პირსაბანში იბანდა პირს და არ იცავდა სისუფთავეს. მე ავუკრძალე, ესარგებლა ჩემი პირსაბანით. ბახიამ მითხრა: ერთი საწყალი ბიჭია და ნუ გაუჯავრდებიო. ეს უკანასკნელი კი ბახიას კარგი ამხანაგი იყო. 20-25 აგვისტოს ის კახეთში წავიდა.

კითხვა: სხვა რაიმე საკითხის ირგვლივ ხომ არ გქონიათ უთანხმოება ბახიას კახელ ამხანაგთან და თვით ბახიასთან.

პასუხი: არავითარი უთანხმოება... პირიქით – ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, რომ მე ვპატიჟებდი ჩემთან სახლში ბახიას და მის კახელ ამხანაგს... ისინი ცხოვრობდნენ ერთად, ჩემს მეზობლად. გვისაუბრია ერთად საერთაშორისო საკითხებზე, გაზეთი წაგვიკითხავს, გვისაუბრია ლიტერატურის საკითხებზე როგორც ბახიას, აგრეთვე ბეგაშვილს... ზოგჯერ მე მათ ვეხმარებოდი რუსული ენის შესწავლაში...

კითხვა: პოლიტიკურ თემაზე თუ გქონიათ ურთიერთშორისი საუბარი?

პასუხი: პოლიტიკურ თემაზე საუბარი არ გვქონია... გვისაუბრია თანამედროვე საკითხების ირგვლივ – გაზეთში წაკითხულის ირგვლივ და აგრეთვე ლიტერატურის საკითხების ირგვლივ.

საქმეში დევს ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის ე.წ. მანდატი (დანაშაულის ერთ-ერთი მტკიცებულების სახით), რომელიც, ბასკანჩალაძის მტკიცებით, გერმანელებს გადმოუყრიათ თვითმფრინავიდან სამტრედიაში... „შინსახკომის ორგანოსთვის უნდა ჩაებარებინა სპეცსამსახურის ადმინისტრაციას, მაგრამ ნესტორ ქუთელიას მოუპარავს 1 ცალი მანდატი, რომელიც სახლში მიუტანა, რათა გააცნონ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს...“ (ეს მანდატი დევს საქმეში, – ზ.ც.). ასე შექმნილა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის თანამგრძნობთა ჯგუფები... შემდეგ ასახელებს ამ თანამგრძნობთა გვარებს **(ბეგაშვილის გვარი ჯერ არ დაუსახელებია)**...

24 სექტემბერს, ხანგრძლივი დაკითხვის დროს, პ. ბასკან-ჩალაძემ გამოძიების მიერ რამდენჯერმე განმეორებულ კითხვას უპასუხა: „მე დავეთანხმე (ქუთელიას) და გადავეცი მანდატი ჩემს მეზობელს, სტუდენტ ივანე ალექსანდრეს ძე ბახიას, რომელიც მთელი თავისი არსებით მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მეც ამ მდგომარეობით ვისარგებლე. ვცადე აგრეთვე მანდატი გადამეცა და ჩამეთრია ფაშისტურ ორგანიზაციაში იგივე მეზობელი, ბახიას კარგი ამხანაგი, სტუდენტი **ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილი**, რომელმაც დამიბრუნა უკანვე მანდატი. იქ უარი განმიცხადა: „მე შემიძლია თანაგრძნობა გაგიწიო, მაგრამ არ გავხდები ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წევრი, რის გამოც მე შევშინდი, რომ არ გამამჟღავნოს ბეგაშვილმა-მეთქი... ბახიამ დამაიმედა: „ნუ გეშინია, ბეგაშვილი ალექსანდრე ჩვენი კაცი არის, არ გაგვცემსო“. სხვა დანარჩენზე არ მინდოდა, რომ ვინმე ჩამერია ფაშისტურ ორგანიზაციაში...

ალექსანდრე ბეგაშვილის დაკითხვის ოქმებიდან

7.IX.1942.

კითხვა: როგორ დაუახლოვდით პედ.ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის ლექტორს ზაქარია რამიშვილს?

პასუხი: 1942 წლის იანვარში (რიცხვი არ მახსოვს) ინსტიტუტში იყო ანტიფაშისტური საღამო, რომელიც გამართა თბილისიდან ჩამოსულმა მწერალთა ბრიგადამ: ს. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, ირ. აბაშიძე და სხვები. წავიკითხე ჩემი ლექსი, რომელიც მოეწონა აუდიტორიას, მწერალთა ბრიგადას. აქედან გავიცანი მე ზაქარია რამიშვილი. მეორე თუ მესამე დღეს შემხვდა და მითხრა, თქვენ კარგი ლექსი წაიკითხეთო... როგორც ლექსტორი, პატივს მცემდა, მაფასებდა...

კითხვა: ვინ ესწრებოდა თქვენი ამხანაგებიდან იმ საღამოს?

ბეგაშვილი ზოგს ასახელებს, ზოგი არ ახსოვს... აგრეთვე ყვება, რომ ქუთაისში ჯერ ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, შემდეგ, ბახიას შეთავაზებით, დროებით მასთან ცხოვრობდა... ეკითხებიან და ასახელებს, ვინ ცხოვრობდა კიდევ საერთო საცხოვრებელში...

კითხვა: ჩამოთვალეთ თქვენი ახლო ამხანაგები როგორც ქუთაისში მცხოვრებნი, აგრეთვე საერთოდ.

პასუხი: სერგო ჭელიძე – სტუდენტი, ამჟამად წითელ არმიაშია; მურმან ლებანიძე – სტუდენტი, ამჟამად წითელ არმიაშია, ვასილ ბაიაძე, მცხ. გორში, ამჟამად წითელ არმიაშია.

ალექსანდრე ბეგაშვილს ეკითხებიან კონკრეტული პირების, განსაკუთრებით პატიმრობაში მყოფ ივანე ბახიას შესახებ. პასუხად ბეგაშვილი ამბობს: „მე არ შემიძლია ის ჩავთვალო სულიერ ამხანაგად – მეგობრად... ვერ ვეგუებოდი მას, მაგრამ მან მე პატივი მცა, თავის ოთახში ადგილი დამითმო... შევეჩვიე მას ნაწილობრივ, მაგრამ ხასიათით ძალიან განსხვავდებოდა ჩემი ხასიათისგან, ის არის ჩქარი, მე კი, როგორც კახელი, ვარ დინჯი. ჩვენი ბუნება ვერ ეგუებოდა ერთმანეთს... განსხვავებული იყო ჩვენი ლიტერატურული გემოვნებაც... ის რომ არ იყვეს ურჩი და ჯიუტი, მე უფრო კარგი დამოკიდებულება მექნებოდა მასთან.

8.IX.1942

კითხვა: გქონდათ რამე უსიამოვნო შემთხვევა ქუთაისში?

პასუხი: შემიყვარდა ერთი სტუდენტი ქალი, ეთერ სამსონის ასული მეძველია, საბოლოოდ, მე ძალიან ჩამენერგა მისი სიყვარული და რადგან არ თანამიგრძნობდა, გადავწყვიტე წავსულიყავი სრულიად ქუთაისიდან. ეს ამბავი ხდებოდა 1941 წლის დამთავრებამდე. ეს იყო უსიამოვნობის შემთხვევა ჩემს მიმართ...

კითხვა: კიდევ ვისთან გქონდათ უსიამოვნება?

პასუხი: გარკვეული რამე უსიამოვნება რომ შემხვედროდეს, ასეთ რამ არ მახსოვს...

კითხვა: დაასახელეთ ფაქტები, თუ რა სახის ანტისაბჭოთა ლაყბობაში გყავთ შემჩნეული ივანე ბახია.

პასუხი: დრო და რიცხვი არ მახსოვს. ივანე ბახიას ხშირად უთქვამს ჩემთვის საერთო საუბარში: თანამედროვე ომში გერმანიის გამარჯვებაა აუცილებელი... ივანე ბახია კარგ დამოკიდებულებაში იყო პ. ბასკანჩალაძესთან. ის მსახურობს რაჭაში, ხშირად ჩამოდის ქუთაისში. არის არასაიმედო ელემენტი. ბასკანჩალაძე და ბახია ხშირად მინახავს მე რუკასთან მდგომნი, რომლებიც ეჩურჩულებოდნენ ერთიმეორეს. კარგად მახ-

სოვს ერთი მომენტი, როდესაც ბახიას უთხრა ბასკანჩალაძემ დერეფანში: სოციალიზმის ხსენება 500 წელი მოისპობაო... ამ ნიადაგზე მე ხშირად ვაფრთხილებდი ბახიას, არ ელაპარაკნა ანტისაბჭოთა სიტყვები... ეს მომენტიც შეიძლება ჩაითვალოს ჩემთვის უსიამოვნებად...

კითხვა: კიდევ გაიხსენეთ, რა შემთხვევას ჰქონდა ქუთაისში ადგილი.

პასუხი: იყო ასეთი უსიამოვნება, რომელიც არ მინდოდა გამემხილა... რომელიც შიშს მგვრიდა (ნანობს, რომ თავის დროზე ვერ გაბედა, ეცნობებინა ყოველივე შინსახკომის ორგანოებისათვის და ამაშიც დამნაშავედ გრძნობს თავს)...

... „1942 წლის 12 აგვისტოს მარტო ვიყავი ივანე ბახიას ოთახში. რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან ბასკანჩალაძე, ბახია იკითხა. რათ დაეძებ ეგრე გულდაგულ ბახიას-თქო... ბასკანჩალაძე თავის ოთახში შევიდა, გამოიტანა დაკეცილი ქაღალდი, ფანჯარასთან გადმომცა... სათაურად ეწერა „მანდატი“, ქართულად და გერმანულად. შემდეგ კი დაწერილი იყო:

„ამხანაგებო! უკვე დადგა ჟამი განთავისუფლების. ჰიტლერი არის გლეხების სურვილების 99%-ით შემსრულებელი...“ კიდევ იყო რაღაც დაწერილი, მაგრამ არ მახსოვს... ტექსტის დამთავრების შემდეგ ეწერა: „საქართველოს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“... შემდეგ ბასკანჩალაძემ მითხრა, არსებობს ამ ორგანიზაციის თანამგრძნობთა ჯგუფი, რომელიც დღეს 50 კაცს აერთიანებსო... პ.ბასკანჩალაძეს ვუთხარი, ასეთი საქმეებისგან თავი შორს მიჭირავს-მეთქი... ბახია რომ მოვიდა, მან გამაფრთხილა, შორს დაიჭირე თავი ბასკანჩალაძისგანო, როგორც შავბნელ პიროვნებისგან ა.შ... მაგრამ ბახია მაინც შევიდა ბასკანჩალაძესთან.

კითხვა: რატომ არ ეცადეთ, რომ აგეცდინათ ბახია ცუდი გზისაგან, რომ ის არ მოქცეულიყო ბასკანჩალაძის გავლენის ქვეშ და არ გამხდარიყო ნაციონალისტურ-სოციალისტური ორგანიზაციის წევრი?

პასუხი: მე უკვე აღარაფრად ჩავაგდე ბასკანჩალაძის ნალაპარაკევი და ამიტომ...

უსვამენ დამაბნეველ კითხვას... საბოლოოდ პასუხობს: კიდევ ვიმეორებ. მხოლოდ ერთხელ მელაპარაკა მე (ბასკანჩალაძე იგულისხმება) აღნიშნული საკითხის ირგვლივ... ჩემთვის საკვირველია, როგორ მენდო ის მე, მაგრამ ვაღიარებ, რომ ბასკანჩალაძემ გამაფრთხილა, ვინც გასცემს ამ ორგანიზაციას, ის აუცილებლად დახვრეტილი იქნებაო, ხოლო თუ ვინ და როგორ დაიხვრიტებოდა ამ ორგანიზაციის გამცემი, ეს არ უთქვამს ჩემთვის ბასკანჩალაძეს...

15.X.1942

ბასკანჩალაძისა და ა. ბეგაშვილის დასპირისპირების ოქმიდან (ისინი მანამდეც ზედიზედ რამდენჯერმე დააპირისპირეს):

პეტრე ბასკანჩალაძე: ალექსანდრე ბეგაშვილს მე ვამჟღავნებ შემდეგ საკითხებში, რომ ეს უკანასკნელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა თავის ეკონომიური პირობების ირგვლივ. მაგ. 1942 წლის ოქტომბერში ჩემს ოთახში ვიყავით მე, ბეგაშვილი და ბახია. ვსაუზმობდით. ამ დროს ბეგაშვილმა დაიწყო ლაპარაკი: „მე სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ვიყავი, მაგრამ ვერ დავწინაურდი. პირიქით – დამაქვეითენ, რადგან ვერ შევძელი ჯაშუშობის გაწევა და ადამიანის გაცემაო. ილაპარაკა ისიც, რომ მამაჩემი მუშაობს, შრომობს, მაგრამ მისი ნაშრომი თვითონაც ვერ ჰყოფნის და მე აქ შიმშილით ვკვდებიო“. უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმაზედაც, რომ ხელისუფლებამ სტუდენტებს სტიპენდიები მოუხსნაო...

პ. ბასკანჩალაძე აღნიშნავს იმას, რომ ისარგებლა ბეგაშვილის ანტისაბჭოთა განწყობით და მას იმავე დღეს შესთავაზა ორი ცალი მანდატი, ერთი მისთვის და მეორე ბახიასთვის გადასაცემად: „ბეგაშვილმა წაიღო მანდატები, წაიკითხა, 1 ცალი უკან მომიტანა და მითხრა: მე წავიკითხე თქვენს მიერ გადმოცემული მანდატი და თანავუგრძნობ ნაციონალისტურ-სოციალისტურ პარტიას, მაგრამ ამ ორგანიზაციაში მუშაობა კი არ შემიძლიაო და მაშინ იყო, რომ მე გავუჯავრდი ალექსანდრე ბეგაშვილს, თუ არ გინდოდა ამ ორგანიზაციაში მუშაობა, რად დამიახლოვდი და რათ დაძვრებოდი ჩემთან-თქო და მოვშორდი კიდეც და წაველი ქალაქში.

ალექსანდრე ბეგაშვილი: ბასკანჩალაძემ მკითხა, ვიყავი თუ არა კომკავშირელი, რაზედაც მე ვუპასუხე, რომ კომკავშირელიც ვიყავი და სკოლის კომკავშირის მდივანიც. მაშინ იყო, რომ ბასკანჩალაძემ მითხრა. თქვენ ალბათ ჯაშუშობა გეყვარებათ, თორემ სხვა გზით ვერ გახდებოდით კომკავშირის კომიტეტის მდივანი, რაზედაც მე დავუწყე დამტკიცება ბასკანჩალაძეს, რომ მე არავითარი ჯაშუში არ ვყოფილვარ-მეთქი და არც ის მითქვამს ბასკანჩალაძისთვის, რომ თითქოს ჯაშუშობა და ადამიანის გაცემა ვერ შევძელი და ამიტომ მომხსნეს კომკავშირის კომიტეტის მდივნობიდან-თქო და არც ის მილაპარაკია ბასკანჩალაძესთან, შიმშილით ვკვდები და მამაჩემს ნაშრომი თვითონ არ ჰყოფნის-თქო.

ალექსანდრე ბეგაშვილის დაკითხვის ოქმიდან

12.XI.1942

კითხვა: ვაგრძელებთ თქვენს დაკითხვას და გვიპასუხეთ, რა საუბარი ჩაატარეთ თქვენ გრიგოლ რობაქიძის და მისი ნაწარმოების „გველის პერანგოსნის“ (ერევათ „გველის პერანგში“) შესახებ.

პასუხი: მე არასოდეს მიხსენებია გრიგოლ რობაქიძე და არც მისი ნაწარმოები „გველის პერანგოსანი“ (საერთოდ მე პირველად მესმის ეს სახელი).

კითხვა: როგორ, თქვენ არ გაგიგონიათ გრიგოლ რობაქიძე?

პასუხი: საერთოდ მსმენია გრიგოლ რობაქიძე, რომ ის არის მწერალი, მაგრამ მისი ნაწარმოების „გველის პერანგის“ (სწორად ამბობს) შესახებ წარმოდგენაც არა მაქვს.

კითხვა: რა იცით, რა გაგიგონიათ გრიგოლ რობაქიძის შესახებ?

პასუხი: გამიგონია, რომ გრიგოლ რობაქიძე არის ჰიტლერის პირადი მდივანი.

კითხვა: ვისგან გაიგეთ, ვინ გითხრათ?

პასუხი: არ შემიძლია, გიპასუხოთ, რადგან არ მახსოვს, თუ ვისგან გავიგე.

კითხვა: რომელ წელში წაიკითხეთ თქვენ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგოსანი“?

პასუხი: ვიმეორებ, რომ წიგნი „გველის პერანგოსანი“ არ წამიკითხავს და არც ვიცი მისი შინაარსის შესახებ.

კითხვა: თქვენ არ იძლვით სწორ ჩვენებებს. ამიტომ გამოძიება გირჩევთ ილაპარაკოთ სიმართლე, თუ როდის წაიკითხეთ თქვენ „გველის პერანგოსანი“, სად იშოვეთ ხსენებული წიგნი და საერთოდ შემდეგაც რა საუბარი გქონდათ ამ წიგნის შესახებ.

პასუხი: წიგნი „გველის პერანგოსანი“ მე არ წამიკითხავს, არც განმიზრახავს მისი წაკითხვა და, აქედან გამომდინარე, მე რა საუბარი უნდა ჩამეტარებინა მის ირგვლივ. შეიძლება წავიკითხე სადმე კრიტიკა (!) აღნიშნული წიგნის ირგვლივ და იქნებ ვილაპარაკე კიდევ რაიმე, მაგრამ აღარ მახსოვს, თუ რა ვილაპარაკე.*

კითხვა: დაფიქრდით და გაიხსენეთ.

პასუხი: გამახსენდა, რომ გრიგოლ რობაქიძეზე, მის ნაწარმოებზე „გველის პერანგზე“ მქონდა ერთხელ საუბარი, მაგრამ თუ ვისთან და სად, არ მახსოვს.

კითხვა: რა სახის საუბარი გქონდათ?

პასუხი: ამ წიგნის ავტორი გრიგოლ რობაქიძე არის გერმანიაში და ამბობენ, თითქოს ის ჰიტლერის პირადი მდივანი იყვეს, მაგრამ არ არის მართალი. ეს ცილისწამებაა გრიგოლ რობაქიძის მიმართ-თქო, მაგრამ აღვნიშნავ, რომ მე ჩემს მოსაუბრეს ტყუილი ვუთხარი, სინამდვილეში მე არ წამიკითხავს წიგნი „გველის პერანგოსანი“ და რამ სხვა „გველის პერანგი“.

კითხვა: რაში დაგვჭირდათ გრიგოლ რობაქიძის ხსენება და ან კიდევ ტყვილების ლაპარაკი თქვენ მოსაუბრესთან?

პასუხი: აღნიშნული საკითხის ირგვლივ მე საუბარი მქონდა ერთ პიროვნებასთან და არა მოსაუბრეებთან, ხოლო თუ რათ დამჭირდა გრიგოლ რობაქიძეზე ლაპარაკი, ეს იმიტომ, რომ ჩემსა და ჩემს მოსაუბრეს შორის საკითხი ჩამოვარდა საერთოდ ლიტერატურაზე და მე რომ ჩემი თავი ამემაღლებინა როგორც ლიტერატურის მცოდნეს, ჩემს მოსაუბრეს ველაპარაკე: „ვკი-

---

* ა. ბეგაშვილს, როგორც ჩანს, წაკითხული აქვს გ. მუშიშვილის „გველის პერანგოსანი“, კრიტიკული წიგნი გრ. რობაქიძის „გველის პერანგზე“, მაგრამ აშკარად არ ამჟღავნებს, გამომძიებლები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან „გველის პერანგსა“ და „გველის პერანგოსანს“.

თხულობ „გველის პერანგოსანს“-თქო და ამას მოვაყოლე თვით გრიგოლ რობაქიძის შესახებაც ის, რაც ზევით უკვე აღვნიშნე.

კითხვა: თქვენ თავის გამოჩენა გინდოდათ, როგორც ლიტერატურის კარგ მცოდნეს?

პასუხი: დიახ და ამიტომ ველაპარაკე ჩემს მოსაუბრეს, ვკითხულობ „გველის პერანგოსანს-თქო“.

კითხვა: თქვენი ლიტერატურული ცოდნის ამაღლებისათვის რატომ მაინცდამაინც „გველის პერანგოსანი“ აირჩიეთ?

პასუხი: იმიტომ, რომ საუბრის დროს მხოლოდ „გველის პერანგოსანი“ გამახსენდა.

კითხვა: თქვენ აღიარებთ, რომ საუბრის დროს მხოლოდ „გველის პერანგოსანი“ გაგახსენდათ და აღიარებთ იმასაც, რომ თქვენ ის წიგნი წაკითხული არ გაქვთ? საიდან იყავით თქვენ დარწმუნებული, რომ ის წიგნი კარგი იყო და აირჩიეთ ის. მოსაუბრეს უთხარით ვკითხულობ „გველის პერანგოსანსო“?

პასუხი: მე ის მომივიდა დაუფიქრებლად, თორემ ეს წიგნი თვალით არ მინახავს.

კითხვა: კი მაგრამ რაღა მაინცდამაინც „გველის პერანგოსანი“ ახსენეთ და არა სხვა რომელიმე წიგნი?

პასუხი: იმ დღეებში მე რომელიღაც წიგნში, სახელი არ მახსოვს, წავიკითხე კრიტიკა „გველის პერანგზე“. ეს წიგნი იყო ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

კითხვა: რაში დაგჭირდათ თქვენ მოსაუბრესთან გრიგოლ რობაქიძის დახასიათება?

პასუხი: მე მომივიდა ჩემი ახალგაზრდული დაუკვირებლობით, რომ მე ჩემს მოსაუბრეს ველაპარაკე: „ხალხში ასეთი ხმებია, თითქოს გრიგოლ რობაქიძე ჰიტრელის მდივანი იყვეს, მაგრამ მე არ მჯერა, რომ ხალხი მრავალ ჭორებს ავრცელებს-თქო“.

კითხვა: რა გსურდათ თქვენ თქვენი ასეთი შეხედულებით გრიგოლ რობაქიძის მიმართ გეთქვათ?

პასუხი: მე ამ შეკითხვაზე მიძნელდება პასუხის გაცემა, მე არაფერი არ მსურდა მეთქვა გრიგოლ რობაქიძეზე.

კითხვა: მაშ უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ ახსენეთ თქვენ ჰიტლერი და რობაქიძე?

პასუხი: ამ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ, მე არ ვიცი, თუ რატომ ვახსენე ჰიტლერი და აგრეთვე რობაქიძე.

კითხვა: თქვენ არ იძლევით სწორ ჩვენებას თქვენს მიმართ დასმული შეკითხვების ირგვლივ, ამიტომ გამოძიება განმეორებით გაფრთხილებთ და გირჩევთ, ილაპარაკოთ სიმართლე, თუ როდის წაიკითხეთ თქვენ წიგნი „გველისპერანგოსანი“ და ვის რა უამბეთ ამის ირგვლივ.

პასუხი: არ წამიკითხავს და ვისაუბრეთ თუ არა, არ მახსოვს...

კითხვა: ჰიტლერისა და გრიგოლ რობაქიძის შესახებ კიდევ ვისთან რა გაქვთ ნალაპარაკევი?

პასუხი: არ მაგონდება...

ოქმი წყდება.

ალექსანდრე ბეგაშვილს განაჩენი გამოუტანეს 1943 წლის 20 ოქტომბერს:

განაჩენი №2447, ახალი საქმისა №3434/43 (გვ. 1-2)

1943 წლის 20 ოქტომბერს ქ. ქუთაისში სამხედრო ტრიბუნალმა იუსტიციის კაპიტან კ. ყურაშვილისა და წევრების: სოხაძე და ჯანელიძის შემადგელობით გამოიტანეს განაჩენი:

ბეგაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, დაბადებული 1923 წელს, ს. ანაგა, სიღნაღის რაიონი, ქართველი, მცხ. ქუთაისში, კიროვის ქ. 70, წარმომავლობა – გლეხი, სტუდენტი, ალკკ წევრი, დაუოჯახებელი, მანამ არ ყოფილა ნასამართლევი.

ბრალდებულია მუხლი 58-10, ნაწ. II და 58-11.

მიესაჯოს 8 წელი (3 წელი პოლიტიკური უფლების აკრძალვით) სასჯელის მოხდით შრომა-გასწორების კოლონიაში.

იგივე განაჩენი გამოუტანეს ბახიას.

პ. ბასკანჩალაძე ცალკე გასამართლდა, მიესაჯა 8 წლით გადასახლება. როგორც მისი დედის განცხადებიდან ირკვევა, ის იქიდან არ დაბრუნებულა.

მანანა შამილიშვილი

მოსე გოგიბერიძე

გამოჩენილმა ქართველმა ფილოსოფოსმა მოსე ივანეს ძე გოგიბერიძემ (1897 – 1949) საბჭოთა ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხვედრი გაიზიარა. ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით შორეულ აქტიუბინსკში გადასახლებამისჯილი ფილოსოფოსი ოჯახსა და სამშობლოს მონატრებული 52 წლის ასაკში გამოეთხოვა სიცოცხლეს. მისი ტრაგიკული ცხოვრების მთავარი ამბავი უკავშირდება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდს. ნათელი აზროვნებით, იშვიათი მეხსიერებითა და დიდი ნიჭიერებით გამორჩეული მოსე გოგიბერიძე ა ღმოჩნდა იმ ახალგაზრდათა შორის, რომლებიც დამოუკიდებელი ქვეყნის მთავრობამ ევროპულ საგანმანათლებლო კერებში გაგზავნა ცოდნის მისაღებად. 1918 წელს იგი ქართველ სტუდენტებთან ერთად გაემგზავრა გერმანიაში. ასე შეხვდა სწავლას მოწყურებული ყმაწვილკაცი სათაყვანებელ ქვეყანასა და საკუთარ ბედისწერას.

გერმანიაში მივლენილი მოსე ცოდნას ეზიარა მსოფლიო ფილოსოფიური კულტურის უდიდეს ცენტრებში, ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში. სწორედ მარბურგის უნივერსიტეტში შედგა მისი სამეცნიერო ნათლობა – საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსის ნიკოლაი ჰარტმანის ხელმძღვანელობით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. თუმცა, სანამ ამ დიდმნიშვნელოვან, მისი ბედის განმსაზღვრელ ამბავზე ვისაუბრებდეთ, ქართველი მეცნიერის ცხოვრების გზას მივადევნოთ თვალი.

პროფესორი მოსე გოგიბერიძე დაიბადა 1897 წლის 27 აგვისტოს ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვენობანში. აქ გაატარა ბავშ-

ვობის წლები. შვიდი წლის მოსე სასწავლებლად მიიყვანეს ქვენობნის სამრევლო სკოლაში. 1908 წლიდან სწავლა განაგრძო ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში, რომელიც 1914 წელს წარჩინებით დაამთავრა. ოჯახში დატრიალებულმა უბედურებამ მალე დაასრულა მისი უდარდელი ბავშვობა. ცამეტი წლისას, 1910 წლის თებერვალში, ჯერ მამა გარდაეცვალა, ერთი თვის შემდეგ კი – ბიძა, რომელიც მათთან ცხოვრობდა. ფილოსოფოსი ასე იგონებს ამ ტრაგიკულ ამბავს: „მე, 13 წლის ყმაწვილი, ახლა უხუცესი მამაკაცი ვიყავი ოჯახში, მაგრამ ჩემს მოვალეობას და მდგომარეობას კარგად ვგრძნობდი. ახლა ჩემი მთავარი მიზანი იყო ჩქარა კაცი გავმხდარიყავი და მამაჩემის სურვილი შემესრულებინა“.* მოსე გოგიბერიძის მთელი მომდევნო ცხოვრება და მოღვაწეობა თითქოს ამ სიტყვების მტკიცებას წარმოადგენდა.

მოსე გოგიბერიძე ბერლინში

1914 წელს იგი სწავლას განაგრძობს ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, შემდეგ კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. სემინარიაში სწავლის პერიოდში მონდომებული მოსწავლე გულმოდგინედ ეწაფება ცოდნას. სასწავლებლის მდიდარ ბიბლიოთეკაში განუწყვეტლივ კითხულობს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. განსაკუთრებით მოსწონს ბაირონი, აღფრთოვანებულია რენანით. სემინარიული ხანიდან ერთი ასეთი საგულისხმო ფაქტი შემორჩა მის მეხსიერებას. საახალწლო არდადეგებზე შინ რომ ბრუნდებოდა, თან მიჰქონდა თურმე ათიოდე წიგნი და

* მ. შამილიშვილი, „სიბრძნე ფილოსოფოსის ცხოვრებისა“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 17-24 ოქტომბერი, 1997 წ., გვ.: 11.

სამი გირვანქა შაქარი. უკანასკნელი „სემინარიის პანსიონატში მოცემული ულუფისგან შევაგროვე. თვეების მანძილზე ქაღალდებში და წიგნებში ვმალე, რათა დედაჩემისათვის საჩუქრად მიმეტანა“,* – იგონებდა შემდგომში მზრუნველი შვილი.

როგორც აღვნიშნეთ, 1918 წელს ნიჭიერი ახალგაზრდა სასწავლებლად მიემგზავრება გერმანიაში. იგი ლადო გუდიაშვილთან, დავით კაკაბაძესთან, ზურაბ ელიავასთან და შემდგომში ცნობილ სხვა არაერთ მოღვაწესთან ერთად მოხვდა უცხოეთში გასაგზავნ სტუდენტთა 25 კაციან სიაში. პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის „საუწყებათშორისო კომისიის“ მიერ დამტკიცებულ დამატებით სიას აქვეყნებს 1919 წლის 22 ნოემბრის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.** მოსე მეთოთხმეტეა ამ ჩამონათვალში.

მოსე გოგიბერიძე და ბიძინა რამიშვილი

გერმანიაში ჩასული ყმაწვილკაცი სწავლას იწყებს ბერლინის უნივერსიტეტში. სპეციალობად ირჩევს ფილოსოფიას, ხოლო დამხმარე დისციპლინებად – საბუნებისმეტყველო საგნებსა და ნაციონალურ ეკონომიკას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქ-აქცევს მათემატიკასა და ფიზიკას. „ვითომც და კინომატოგრაფის მოძრავი სურათები, ისე იცვლება ჩემი ცხოვრება, – წერს სტუდენტი მოსე ბერლინიდან, – „შარშან ამ დროს სიმწიფის მოწმობაც თუ საოც-

* ი. მეგრელიძის ბოლოთქმა მისი რედაქტორობით შედგენილ მ. გოგიბერიძის შრომათა კრებულზე „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, თბილისი, გამომც. „საბჭოთა მწერალი“, 1961 წ., გვ.: 296.

** აღნიშნული ინფორმაცია იხილეთ ვებმისამართზე: https://civil.ge/ka/archives/328442?fbclid=IwAR3X 153QdOVg1nKUhFykB_WMit6mcPQfRbVncWSedSejknvWeRgZEyCN8w (ბოლო ნახვა: 19.12.2019)

ნებო საგანი იყო, ახლა ერთი თვეა ქ. ბერლინში ვცხოვრობ და უკვე ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ“.* მიზანსწრაფული ახალგაზრდა ღრმადაა დარწმუნებული, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ძირითად სპეციალობად ფილოსოფია აირჩია. ამ გადაწყვეტილებას იგი თავისი სამშობლოს, ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოს საჭიროებით ხსნის: „ჩვენს პატარა ქვეყანას ინჟინრებსა და სხვა სპეციალისტებთან ერთად სჭირდება კიდევ ევროპული განათლების ხალხი. აი, მაგალითად: კარგი მასწავლებელი, მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი და სხვა“.**

მოსე გოგიბერიძის სადოქტორო დიპლომი

მოსე აღფრთოვანებულია მეგაპოლისური ცხოვრებით, ქალაქის სიმშვენიერით. ქართველი სტუდენტი მოწმეა 1919 წლის ბერლინის რევოლუციისა, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მასსა და მის მეგობრებზე. ლადო ახმეტელაშვილთან, ბიძინა რამიშვილთან და მიშა ხუნდაძესთან ერთად იგი შემსწრეა მთავრობის ძალებისა და რევოლუციონერთა შეტაკებისა უნტერ დენ ლინდენზე. უამრავი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ცნობილ მოღვაწეებთან. წილად ხვდა ბედნიერება, დასწრებოდა ა. აინშტაინის უკანასკნელ ლექციას ბერლინის უმაღლეს სასწავლებელში, როცა დიდ მეცნიერს შოვინისტურად განწყობილმა გერმანელმა სტუდეტებმა ლექციის წაკითხვის საშუალება არ მისცეს. რევოლუციის

* ამონარიდი მ. გოგიბერიძის წერილიდან, რომელიც მან 1919 წლის 20 აპრილს თავის სატრფოს, სესილია ლომაძეს, ბერლინიდან გამოუგზავნა. დაცულია ფილოსოფოსის საოჯახო არქივში.
** იქვე.

დღეებში გაიცნო და დაუახლოვდა კარლ კაუცკისა და მის მეუღლეს, ლუიზას, რომელთაც მერე შინ ხშირად სტუმრობდა (კაუცკისთან მეგობრობა და მის ოჯახში გადაღებული ფოტოსურათები საბედისწერო აღმოჩნდა მოსე გოგიბერიძისთვის. ეს ფაქტი გამოიყენეს დაპატიმრებისას, მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის მამტკიცებელ ერთ-ერთ სამხილად). ასეთი საინტერესო, მღელვარე ცხოვრება სასიკეთო კვალს ტოვებდა თავისუფლებისმოყვარე ჭაბუკის აზროვნებზე, აყალიბებდა მის მსოფლაღქმას.

1922 წელს მოსე გოგიბერიძე პროფესორ ნ. ჰარტმანის ხელმძღვანელობით იცავს სადოქტორო დისერტაციას: „სოლომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან კავშირში“ (ნაშრომი ამ სათაურით იმავე წელს გამოიცა მარბურგში). 25 წლის ახალგაზრდა ფილოსოფიის დოქტორის წოდებით ბრუნდება სამშობლოში და აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1923 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ინიშნება ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელ მდივნად და ამ რანგში რვა წლის მანძილზე ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა.

„მნათობში“ მუშაობის წლები (1924-1932) გამორჩეული პერიოდია მოსე გოგიბერიძის ცხოვრებაში. გასული საუკუნის მნიშვნელოვანი გამოცემის წარმატებაში დიდია მისი პირველი პასუხისმგებელი მდივნის წვლილი. ამ შემთხვევაში მართლაც ზედმიწევნით მოირგო სიტყვის არსმა შესაფერისი „სამოსელი“ – მდივნის მოვალეობა უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვდა, რასაც ფილოსოფოსი თავდაუზოგავი შრომით უძღვებოდა. სარედაქციო საქმიანობაში აღნიშნული თანამდებობა რომ წარმმართველ მუშაკობას გულისხმობდა, ამაზე ნათლად მეტყველებს გალაკტიონის სიტყვები: „ვარ იქ (საუბარია ჟურნალ „სახალხო გვარდიაზე“ – მ.შ.) მდივნად და მაშასადამე, ყველაფრად“. მსგავსად პოეტთა მეფისა, მოსეც „ყველაფრად“* მუშაობდა

* ნ. ტაბიძე, „გალაკტიონი – რედაქტორი და გამომცემელი“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1997, გვ.: 6.

ჟურნალში. „მნათობის“ რედაქცია მოსეს უზარმაზარი პორ-ტფელი იყოო, – იგონებდა გალაკტიონი.*

ზედმეტი არ იქნება, თუკი გავიხსენებთ, რა შედიოდა პასუ-ხისმგებელი მდივნის ფუნქციებში: სარედაქციო მუშაობის მეთვალყურეობა, ლიტერატურული მასალების შეგროვება – დამუშავება, ილუსტრაციების მოპოვება – მომზადება, დაკა-ბადონებაზე თვალის მიდევნება, მკითხველთა მიღება და ა.შ. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ყველაფრად“ მუშაობა განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სიფხიზლეს მოითხოვდა მუდმივი იდეოლოგიური და პოლიტიკური ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მდივნისგან.



ბერლინური უსტარი სატრფოს, სესილი ლომაძეს

„მნათობის“ მდივანს, ფაქ-ტობრივად, რედაქტორის მო-ვალეობის შესრულება უხდე-ბოდა. რაც შეეხება ჟურნალის ოფიციალური რედაქტორის ვი-ნაობის საკითხს, ცნობილია, რომ „მნათობის“ დაარსების იდეა პოლიკარპე კაკაბაძეს ეკუთვნის. ამ ვერსიის მართე-ბულობას მამის მოგონებები-თა და მასთან პირადი საუბ-რებიდან მოხმობილი ფაქტე-ბით ამტკიცებს მწერლის ქა-ლიშვილი მანანა კაკაბაძე.**

იგი უარყოფს მოსაზრებას მოსე გოგიბერიძის ან ვალია ბახტაძის რედაქტორობის თა-ობაზე. მ. კაკაბაძის აღნიშნულ თვალსაზრისს ამყარებს „მნათობის“ მესვეურთა თანამედრო-ვის, გ. მებუკეს მოგონება: „მაშინ ჟურნალის პასუხისმგებელი

---

* ლორთქიფანიძე, “გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა”, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968, გვ. 143.

** მ. კაკაბაძე, „დამაარსებელ“ ჟურნალი „მნათობი“, 1999 წ., № 9-10, გვ. 135-146.

რედაქტორი იყო ვ. ბახტაძე, რედაქციის გამგე – დრამატურგი პ. კაკაბაძე, პასუხისმგებელი მდივანი – მ. გოგიბერიძე“.* მისი თქმით, მ. გოგიბერიძეცა და პარტიული ელიტის წევრი ლიტერატორი ვალია ბახტაძეც პოლიკარპე კაკაბაძეს მიუწვევია ჟურნალში სათანამშრომლოდ. თუმცა, ჟურნალში არაა მითითებული ცნობილი დრამატურგისა და ფილოსოფოსის გვარები, სარედაქციო თანამდებობების შესაბამისად. სამაგიეროდ, ვ.ბახტაძის გვარი, როგორც რედაქტორისა, ჟურნალის ყოველი ნომრის თავფურცელზეა გამოტანილი. ჩანს, მისი როლი უმთავრესად ჟურნალის იდეური მიმართულებისა და მთავრობის დირექტივათა აღსრულების გაკონტროლებით შემოიფარგლებოდა.

ქართული მწერლობის მოამაგემ, მოსე გოგიბერიძემ, ჟურნალში სათანამშრომლოდ მიიწვია თავისი თანადროულობის ყველა ცნობილი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მალე გოგიბერიძეთა ოჯახი მაშინდელი საზოგადოების რჩეულ წარმომადგენელთა თავშეყრის ადგილად იქცა. ცხოვრების ამ საინტერესო პერიოდის გახსენება ძალიან უყვარდა ფილოსოფოსის ქალიშვილს, ლილის. მისი გადმოცემით, შაბათ საღამოს მათ ბინაში თავს იყრიდნენ მამის მეგობრები და ჟურნალის ცნობილი ავტორები: კონსტანტინე გამსახურდია, პოლიკარპე კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე, გოგლა ლეონიძე და სხვები. მათი ხელმოწერით დამშვენებული წიგნების ნაწილი (რაც ჩხრეკას გადაურჩა) დღესაც ინახება ფილოსოფოსის საოჯახო ბიბლიოთეკაში.

მ. გოგიბერიძემ პირველმა დაბეჭდა „მნათობში“ მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებები. „ჩემს პირველ ნათლიას მოსე გოგიბერიძეს დიდის პატივისცემით. ავტორი“ – ასე წააწერა მადლიერმა მწერალმა „არსენა მარაბდელის“ ფილოსოფოსისთვის ნაჩუქარ ეგზემპლარს. მისი დიდი მოწადინებით დაიბეჭდა ასევე გალაკტიონის არაერთი შედევრი. პოეტის “ასი ლექსიც“ მათ შორისაა (ჟ. „მნათობი“, 1925 წ., № 20, გვ.: 94-119). გალაკტიონის თქმით, მოსე ძლიერ გაუოცებია მის სურვილს, რომ ასივე ლექ-

* გ. მებუკე, „ასი ლექსის ისტორია“, გაზ. „თბილისი“, 15 აგვისტო, 1963 წ., № 191(3114), გვ. 3.

სი ჟურნალის ერთ ნომერში გამოქვეყნებულიყო. მეგობრულად ურჩევია პოეტისთვის: „ჯობს თითო-თითოდ დაბეჭდო, თორემ ასე ჰონორარს მხოლოდ ერთი ლექსისას მიიღებო. ამ ეპიზოდითაც კარგად ჩანს, როგორ ზრუნავდა „მნათობის“ მესვეური თავის ავტორებზე. „მშვენიერია, იშვიათია“... – აღტაცებას ვერ მალავდა თურმე მოსე კითხვისას და განუწყვეტლივ იმეორებდა „ასი ლექსის“ პროლოგიდან პირველ სტროფებს: „რა საოცარი დასრულდა წლები“...*

მ. გოგიბერიძის მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე სხვა მრავალი ცნობილი მწერლისა და მეცნიერის ნაწარმოებები დაისტამბა. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ: გრ. რობაქიძის, კ. გამსახურდიას, ტ. ტაბიძის, დ.კლდიაშვილის, კ. ნადირაძის, პ. იაშვილის, ნ. ლორთქიფანიძის, გ.ქიქოძის, კ. კაპანელის, შ.ნუცუბიძის, ს. დანელიას და სხვათა თხზულებები.

მოსე გოგიბერიძე მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორთან ერთად

მწერლობის დიდი გულშემატკივარი ფილოსოფოსი თავადაც ნამაქიანი სიტყვის ოსტატი იყო. მან საოცარი ენამზეობით გადმოგვცა რუსთაველის პოეტიკისა და ბარათაშვილის ლექსის ფილოსოფიური პრობლემატიკა. „მნათობში“ გამოქვეყნდა მ. გოგიბერიძის მნიშვნელოვანი შრომები: „ა. აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“ (აქვე უნდა ითქვას, რომ 1924 წელს ჟურნალის 1–3-ე ნო-მერში დაბეჭდილი ამ ნაშრომით ავტორმა საქა-

* გ. მებუკე, იქვე.

რთველოში პირველმა მოჰკიდა ხელი ბუნების ფილოსოფიის, კერძოდ, ფიზიკის ფილოსოფიური პრობლემატი-კის კვლევას), „კანტის დაბადებიდან 200 წლის შესრულების გამო“ (1914, № 2), „მეცნიერება და რევოლუცია“ (1924, №6), „ორგანოტროპიზმი“ (1925, 8-9), „ბენედიქტ სპინოზა“ (1927, №7), „კაიზერლინგი“ (1927, №11-12), „ფილოსოფია კარლ კაუცკის ახალ წიგნში“ (1928, №8-9), „კაპიტალის“ ქართულად გამოსვლის გამო“ (1930, №5-6) და ა.შ. დასახელებული პუბლიკაციები ჟურნალის „მეცნიერებისა და პუბლიცისტიკის“ და „ბიბლიოგრაფიის“ განყოფილებებში იბეჭდებოდა (ზოგადად, ჟურნალი ოთხი განყოფილებისგან შედგებოდა. აღნიშნული ორის გარდა, არსებობდა კიდევ „მხატვრული ლიტერატურა. საქართველო, რუსეთი, დასავლეთი“, სადაც ორიგინალურთან ერთად, ნათარგმნი ლიტერატურული ნაწარმოებები იბეჭდებოდა და „კრიტიკა, მხატვრობა და მემუარები“). ავტორი პუბლიკაციებს ხელს მეტწილად სრულად აწერდა, ზოგჯერ კი – ინიციალებით: „მ. გ.“ ან „გ.“.

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალ „მნათობში“ მუშაობის წლები მოსე გოგიბერიძის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპია. ჟურნალის რედაქცია მისთვის ის ოაზისი იყო, სადაც შეეძლო ადამიანისა და ფილოსოფიისადმი მტრულად განწყობილი რეალობის მიღმა განხორციელებული თავისუფლებით ეცხოვრა; მიუხედავად ძლიერი წინაღობებისა, მუდმივი საფრთხისა, ეღვაწა მშობლიური კულტურის სასიკეთოდ; სავსედ, მძაფრად შეეგრძნო ქართული მწერლობისა და ინტელექტუალური აზრის ცხოველმყოფელობა, სიტყვამოუმცდარი ჟურნალისტიკის ძალა.

მოსე გოგიბერიძის სახელი ქართველ მეცნიერთა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელმაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ქართული უნივერსიტეტის აღორძინების, ეროვნული ფილოსოფიური სკოლის განვითარების საქმეს. 1930 წელს ნიკოლაი ჰარტმანის მოწაფეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორად ირჩევენ, 1939 წლის 22 მაისს კი უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგედ ნიშნავენ.

ამ პერიოდში იწყებს იგი კანტის „პროლეგომენების“ თარგმნას. თარგმანი 1936 წელს გამოაქვეყნა, დაურთო საინტერესო

შესავალი და კომენტარები. ამ ფაქტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მოსე გოგიბერიძის ფილოსოფიური ნააზრევის პირუთვნელი შემფასებელი, პროფესორი გურამ თევზაძე. მისი თქმით, ერის კულტურას ეკუთვნის არა მხოლოდ ის, რაც ამ ერის ენაზეა დაწერილი, არამედ ისიც, რაც ამ ენაზეა თარგმნილი. ჰეგელისეული სენტენციის ამ პერიფრაზირებით ავტორი ხაზს უსვამს მოსე გოგიბერიძის ღვაწლს მთარგმნელობით საქმეში.

აღსანიშნავია, რომ „პროლეგომენების“ გოგიბერიძისეული თარგმანი ხელმეორედ გამოიცა 2006 წელს.* ამ ახალ, ორენოვან გამოცემას წამძღვარებული აქვს გ. თევზაძის ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც წარმოჩენილია ქართველი კანტიანელის, მ. გოგიბერიძის, ორიგინალური კონცეფციის მნიშვნელობა კენიგსბერგელი გენიოსის ნააზრევის კვლევაში. ავტორის შეფასებით, „მ. გოგიბერიძის მიერ კანტის „პროლეგომენების“ ქართული თარგმანი და დიდი გერმანელი ფილოსოფოსის ურთულესი მოძღვრების მის მიერ წარმოდგენილი კონცეფცია კანტის გაგებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საფუძვლიანია, რომელიც ქართული კულტურისათვის არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას“.**

უნდა ითქვას, რომ მოსე გოგიბერიძეს თარგმნილი ჰქონდა აგრეთვე კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“, რომელიც მისი დაპატიმრების დროს დაიკარგა. იმანუელ კანტის ეს მთავარი ნაშრომი დიდი ხნის შემდეგ, მხოლოდ 1979 წელს ითარგმნა ფილოსოფოსის მოწაფის, შალვა პაპუაშვილის მიერ.***

მ. გოგიბერიძემ არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ფილოსოფიის ისტორიის პრობლემატიკას, – იქნება ეს მრავალრიცხოვანი წერილები ძველი და ახალი დროის ფილოსოფიის წარმომადგენელთა შესახებ, თუ ნარკვევები ქართული ფილოსოფიიდან

---

* აღნიშნული წიგნი გამოსცეს ფილოსოფოსის შვილიშვილმა, გუბაზ გოგიბერიძემ და გურამ თევზაძის მოწაფემ, ალექსანდრე ალადაშვილმა.

** იმანუელ კანტი, „პროლეგომენები“, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2006 წ., გვ.: 41.

*** თარგმანს დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა არქივებში ფილოსოფოსის ვაჟი, იულონ გოგიბერიძე, თუმცა მის კვალს ვერსად მიაგნო. იგი სამუდამოდ დაიკარგა შინსახკომელთა მიერ სახლის ჩხრეკისას წაღებულ სხვა ნაშრომებთან ერთად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესურა ივანე ჯავახიშვილთან ერთად 1925 წელს
(მ. გოგიბერიძე მეორეა მარცხნიდან მეორე რიგში)

და რაც მთავარია, მისი ცნობილი „ფილოსოფიის ისტორია“, ტ. I (1941), რომელიც წარმოადგენს ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიას თალესიდან კანტამდე.ამ ნაშრომშიმ. გოგიბერიძემ შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნება განიხილა მონიშნულ ეპოქაში ქართული ფილოსოფიური აზროვნების მონაპოვრის გათვალისწინებით. პეტრიწისა და რუსთაველს აქ პირველად მიენიჭა ადგილი ფილოსოფიის განვითარების საერთო პროცესში. სამწუხაროდ, უკვე დასაბეჭდად გამზადებული ამ ნაშრომის მეორე ტომი, კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ გოგიბერიძისეულ ქართულ თარგმანთან ერთად, მისი დაპატიმრებისას დაიკარგა. დაკარგულ ნაშრომთა შორის უნდა იყოს ასევე ქართველი ფილოსოფოსის კიდევ ერთი თარგმანი – ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაისი“.* ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა მის მიერ თარგმნილი აღნიშნული ნაშრომის ბო-

* ამ ვარაუდს იზიარებს ედუარდ კოდუა ნარკვევში „შპენგლერის „პოლიტიკის ფილოსოფია“, რომელიც მ. გოგიბერიძის აღნიშნულ თარგმანს ერთვის. იხ.: „ოსვალდ შპენგლერი – „პოლიტიკის ფილოსოფია“, მაქს ვებერი – „ხარიზმული ბატონობა“, პოლიტიკური განათლების ასოციაცია, თბილისი, 1995, გვ.: 44.

ლო, ჩვენამდე მოღწეული მეტად საგულისხმო ნაწილი „პოლიტიკის ფილოსოფია“.

მოსე გოგიბერიძის გერმანიის შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობა განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა. ფილოსოფოსის მნიშვნელოვან თხზულებათა შორის უნდა დავასახელოთ „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“, რომელიც გერმანიაში დაცული მისივე სადოქტორო დისერტაციის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. მოსე გოგიბერიძე დაახლოებით ასი წლის შემდეგ აღადგენს ქართულ ფილოსოფიაში სოლომონ დოდაშვილის ნააზრევის კავშირს კანტთან. გ. თევზაძის შეფასებით, „გ. ქიქოძის ნარკვევების, შ. ნუცუბიძის „ფილოსოფიის შესავლისა“ და მ. გოგიბერიძის წერილების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ კანტის გავლენა თანდათან იზრდებოდა და შინაგანი ხდებოდა“.* ფილოსოფოსის აღნიშნული თხზულება, რომელიც ორიგინალური სისტემის აგების საინტერესო მცდელობა გახლავთ, მხოლოდ 1970 წელს დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში. ამ დროიდან მეცნიერი თანდათან იბრუნებს კუთვნილ ადგილს ქართულ ფილოსოფიასა და კულტურაში. 1970-1978 წლებში გამოიცა მისი რჩეული ფილოსოფიური თხზულებების ოთხი ტომი.

მომდევნო წლებში არაერთგზის აღინიშნა მ. გოგიბერიძის საიუბილეო თარიღები, ჩატარდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღონისძიებები. 1997 წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა იზეიმა მ. გოგიბერიძის დაბადების 100 წლისთავი. სამეცნიერო კონფერენციები გაიმართა თბილისსა და ფილოსოფოსის მშობლიურ სოფელში, ქვენობანში, სადაც იულონ გოგიბერიძის მონდომებითა და თაოსნობით აშენდა მ. გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი. იულონის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმეს წლების მანძილზე მზრუნველობას არ აკლებდა მისი მეუღლე რენო დოლიძე. სახლ-მუზეუმი დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს და ამაში ფილოსოფოსის შთამომავალთა დიდი წვლილიცაა.

---

* გ. თევზაძე, „მოსე გოგიბერიძე და კანტოლოგია საქართველოში“, წინასიტყვაობა ი. კანტის „პროლეგომენებისა“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2006, გვ.: 11.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მოსე გოგიბერიძის მეგობრისა და მისი შემოქმედების მოამაგის იოსებ მეგრელიძის ღვაწლი. მან მოახერხა და ჯერ კიდევ 1961 წელს გამოსცა მეცნიერის თხზულებათა კრებული „რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები“, რომელიც ქართული ფილოსოფიისა და კულტურის საკითხებზე შექმნილ ნაშრომებს აერთიანებს. წიგნის ბოლოთქმაში ცნობილი ენათმეცნიერი რეაბილიტაციის შემდეგ პირველად აფასებს მ. გოგიბერიძის დამსახურებას ქართული მეცნიერების წინაშე, თუმცა, იმ დროში გასაკვირი არაა, რომ მკაცრად იცავს კონიუნქტურას და ერთი სიტყვითაც არ მიანიშნებს რეპრესირებული მეცნიერის ტრაგიკულ ხვედრზე.

1942 წელს მოსე გოგიბერიძე დააპატიმრეს ნაცისტური გერმანიის მთავრობასთან ფარული კავშირის ბრალდებით და უვადო გადასახლება მიუსაჯეს ყაზახეთში, აქტიუბინსკის ოლქში. დაპატიმრების მიზეზი ბევრი არ უძებნიათ. მოსე ცნობილი იყო ენაკვიმატობით, მაგრამ ყველას როდი მოსწონდა მისი მოსწრებული და მართალი სიტყვა. იხსენებენ მ. გოგიბერიძის წიგნის საჯარო განხილვისას მის დიალოგს ერთ-ერთ მაღალჩინოსან პარტიულთან. პარტიულს უთქვამს: მე ხარაზის მოწაფე ვიყავი და თქვენ ისე უნდა წეროთ წიგნები, რომ ისინი ჩემთვის გასაგები იყოსო. გოგიბერიძის პასუხი ასეთი იყო: თქვენ ხარაზის მოწაფე იყავით, მე კი ნიკოლაი ჰარტმანის, როგორ უნდა გავუგოთ ერთმანეთსო.* საბჭოთა საქართველოს იდეოლოგიურ მესვეურებს ისედაც არ მოსდიოდათ თვალში გერმანიამოვლილი პროფესორი და ეჭვით უყურებდნენ მის საქმიანობას. ეს უნდობლობა არა მხოლოდ ზემოხსენებული, არამედ სხვა ფაქტებითაც იყო გამოწვეული (მათ შორის, გერმანიაში ყოფნისას კარლ კაუცკისთან ნაცნობობის გამოც), რისთვისაც მეცნიერი სამაგალითოდ დაისაჯა.

იმ ავბედით დროს განსაცდელს ვერ გადაურჩნენ მოსე გოგიბერიძის ოჯახის წევრებიც. 1937 წელს სიკვდილით დაისაჯნენ მისი ძმები: გრიგოლი (გრიშა) და მიხეილი (მიშიკო). გრიგოლი ცნო-

* გ. თევზაძე „მოსე გოგიბერიძე და კანტოლოგია საქართველოში“, წინასიტყვაობა ი. კანტის „პროლეგომენებისა“, გამომც. „მერიდიან“, თბილისი, 2006, გვ.: 34.

ფოტო გოგიბერიძეების სოჯახო ალბომიდან

ბილი ბიოლოგი იყო, მიხეილი კი უცხოეთში დიპ-ლომატიურ საქმი-ანობას ეწეოდა (მას ებრაული წარმოშობის ამე-რიკელი ცოლი ჰყავდა – აიდა კოენი). მრავალი წელი დაჰყო გა-დასახლებაში მო-სეს დამ, ელენემ. რეპრესიები შეეხოთ ფილოსოფოსის შვილებსაც. სხვა „ხალ-ხის მტრების“ შვილების მსგავსად, მათაც აეკრძალათ უნი-ვერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე სწავლა. საბო-ლოოდ, იულონმა (ულიმ) მეტალურგია აირჩია (ახალგაზ-რდულ ასაკში პატიმრის ხვედრი მასაც ერგო), ლილიმ კი – სოფლის მეურნეობა. ორივე წარმატებული იყო თავის სფერო-ში, თუმცა საქართველოს ისტორიისადმი ინტერესი იულონს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. ამაზე მეტყველებს მამის ბიბ-ლიოთეკაში დაცული წიგნების არშიებზე მინაწერი მისი სა-ყურადღებო კომენტარები.

მრავალი წელი ეძებდა უსამართლოდ რეპრესირებული მამის არქივს იულონი. ნაცნობის დახმარებით შეუძლებელს მიაღწია კიდეც და საბჭოთა უშიშროების არქივში მისი დაკითხვის ოქ-მის ნახვის უფლება მოიპოვა. რაც იქ წაიკითხა, იმან მოსვენება დაუკარგა. რომ ვერ წარმოეგდინა, ისეთი ჩვენებები იხილა – მათი, ვინც უღალატო ეგონა და ოჯახის გულშემატკივრად მიაჩნდა. მაინც არავისთვის გაუმხელია, საიდუმლოდ შეინახა ეს მძიმე ტვირთი. მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, საოცრად სულგრძელი – არ ისურვა, წინაპრების ავკაცობის გამო უდა-ნაშაულო შთამომავლებს ეგოთ პასუხი. „იუდა“!, „გამყიდვე-ლი“! – მხოლოდ მსგავსი მარგინალიები ამხელდნენ შვილის

მოუთოკავ ბრაზსა და სასოწარკვეთას, დამსმენთა წიგნების გვერდებზე ჩვეული წესით რომ მიუწერია.

სამწუხაროდ, ინფორმაცია მოსე გოგიბერიძის დაპატიმრების საქმესთან დაკავშირებით შსს არქივში დღეს ვეღარ მოვიძიეთ. მხოლოდ ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით გასამართლებული უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტის საქმეებში აღმოჩნდა ჩანაწერები სალექციო განრიგის შესახებ, სადაც ლექტორის რანგში მოსე გოგიბერიძე და მისი სალექციო კურსებია მოხსენიებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფილოსოფოსის საქმე, სხვა ცნობილ პირთა დოკუმენტაციის მსგავსად, თბილისის ომისას შეიწირა ხანძარმა.

მოსე გოგიბერიძემ შვიდი წელი დაჰყო გადასახლებაში, მაგრამ არც განსაცდელის ჟამს დაუკარგავს ხასიათის სიმტკიცე. „თუ ადამიანმა პატივის შეგნება შეინარჩუნა, შეინარჩუნა აგრეთვე ინტელექტის დამოუკიდებლობა და ნებისყოფის შეუპოვრობა, იგი მაშინ კიდევ პიროვნებაა და მეობა მისი არის შეულახავი. ყოფის რა პირობაში არ მოხვდეს ასეთი ადამიანი, იგი მაინც შეინარჩუნებს სიმტკიცეს ხასიათისა და დარჩება პიროვნებად. სული ჩემი ჯანსაღია, ინტელექტი ძველებურად მუშაობს, კალმის წვერი არ დამჩლუნგებია. ამიტომ მე სულის სიმშვიდე ერთ წუთსაც არ მტოვებს“* – წერდა პატიმარი მეცნიერი თავის ქალიშვილს შორეული აქტიუბინსკიდან.

გადასახლებაში მყოფი ფილოსოფოსი არ ნებდებოდა, მაინც მუყაითად განაგრძობდა მუშაობას. ბანაკში სამეცნიერო სემინარიც კი ჩამოაყალიბა. ამ ამბავს დიდი მადლიერებით იხსენებდნენ მის ბედქვეშ მყოფი ადამიანები. მას „ადამიანის სულის ექიმს“ უწოდებდნენ. მიუხედავად ხასიათის ასეთი სიმტკიცისა, სულის სიჯანსაღისა, ყოფის უმძიმესმა პირობებმა თავისი გაიტანა. ამას დაემატა სამწუხარო ფაქტი, რომელიც პატიმრისთვის საბედისწერო აღმოჩნდა – შეიტყო, რომ უნივერსიტეტიდან გაგზავნილ თხოვნას მისი შეწყალების თაობაზე უარი ეთქვა საქართველოდანვე გაგზავნილი საპირისპირო მოთხოვნის

* ამონარიდი წერილიდან, რომელიც დაცულია ფილოსოფოსის საოჯახო არქივში

გამო. ასეთ მძიმე დარტყმას ვეღარ გაუძლო. ჯანმრთელობა-შერყეული და გულმოკლული ფილოსოფოსი 1949 წლის 10 ოქ-ტომბერს, გადასახლებაში გარდაიცვალა. იგი თანაბანაკელმა პატიმრებმა დაასაფლავეს.

მოსე გოგიბერიძემ გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემ-დეგ მიიღო რეაბილიტაცია. გალაკტიონს 1956 წლის 23 ივლისს დღიურში ჩაუწერია: „მოსე გოგიბერიძე რეაბილიტირებულია. შემხვდა მწერალთა კავშირში მისი და!“* ეს გახლდათ ელენე. ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებული მოსეს უფროსი და. მან ძმის ნეშტი ჩემოდნით მალულად ჩამოიტანა შორეული აქ-ტიუბინსკიდან, თბილისში მესაფლავეს საიდუმლოდ მოურიგდა და ძმისშვილ ლილისთან ერთად ღამით, ვაკის სასაფლაოზე, დე-დის გულზე დაასვენა ნატანჯი ძმის ცხედარი.

ასე ტრაგიკულად დასრულდა ფილოსოფოსის დღემოკლე სიცოცხლე. როგორც სათაყვანო სოკრატეს, მასაც სისტემამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ბერძენმა ბრძენკაცმა სამ-შობლოსთან განშორებას სამსალა არჩია, თქვა, მშობლიურ მი-წას სანდლებით ვერ წაიღებო. მას არჩევანი მაინც ერგო, მის ქართველ მიმდევარს კი – არა. მშობელ მიწას სამუდამოდ მოშო-რებულმა ვიზიონერმა „გუბაზოულის ჭალებზე“ ფიქრში და-ლია სული... მოსე გოგიბერიძისა და მის მსგავსად, რეპრესიულ სისტემას შეწირულთა ისტორიები ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დაუნდობლად უსწორდება კაცთმოძულე რეჟიმი თავი-სუფლებისმოყვარე ადამიანებს, საზოგადოების მოაზროვნე ნაწილს; უტყუარი საბუთია მათ წინააღმდეგ, ვინც საბჭოური წარსულის რომანტიზებასა და გამართლებას რამეგვარად ცდილობს. ჩვენი ვალია, არ დავივიწყოთ, გავუფრთხილდეთ მათ სახელს, ვინც საკუთარი სიცოცხლე სამშობლოსა და მაღალი ჰუ-მანური იდეალებისადმი ერთგულების სამსხვერპლოზე მიიტანა.

---

* გალაკტიონ ტაბიძე, დღიური- 361-1956 წელი, ვებმის.: http://galaktion.ge/?page=Diaries&year=-1&p=0&id=4683 (ბოლო ნახვა: 6.12.2019). გალაკ-ტიონი თავის ჩანაწერებში მოსე გოგიბერიძეს სხვაგანაც არაერთგზის მოიხსენიებს.

ზოია ცხადაია

მიხეილ ზანდუკელი

მიხეილ ზანდუკელი – ქართული კულტურის გამორჩეული მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – გამორჩეული იყო მაღალი შინაგანი კულტურით, ზნეობით, კოლეგებთან და სტუდენტებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებით, რომელშიც ვლინდებოდა პროფესიონალიზმი და ადამიანური კეთილშობილება. ასეთი ახსოვთ პროფესორი ზანდუკელი მათ, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება, მისი მოწაფეები ყოფილიყვნენ (საბედნიეროდ, ჩემს თაობასაც, – ზ.ც.). „ბატონი მიხეილი უმალ ქმნიდა საქმიან ატმოსფეროს. მოდიოდა საგანგებოდ ჩაცმული, მხნე, ზუსტად დროზე და – მუდამ კარგ ხასიათზე... ენერგიული და შემართული იყო... მორალიზების გარეშე ის მაგალითს აჩვენებდა თავისი პიროვნებით და ცხოვრების წესით თავის უთვალავ შეგირდებს“ (ყუბანეიშვილი 1990: 7). ამას, ეჭვგარეშეა, დაეთანხმება ყველა, ვინც პირადად იცნობდა მიხეილ ზანდუკელს, ვისაც ახსოვს მისი მშვიდი, ღიმილიანი სახე და უაღრესად საინტერესო საუბრები ლიტერატურაზე...

მიხეილ ზანდუკელი 1888 წლის 1(14) ოქტომბერს დაიბადა დუშეთის რაიონის სოფ. არანისში, ტახტის აზნაურის ოდესღაც შეძლებულ ოჯახში. მამამისი, ზურაბ გრიგოლის ძე ზანდუკელი, იყო შვილიშვილი დავით ზანდუკელისა, რომელიც წევრი იყო იმ დეპუტაციისა, საქართველოდან რომ წარგზავნეს ალექსანდრე პირველის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოს რუ-

სეთთან შეერთების მანიფესტის გამოცხადებაზე დასასწრებ-ლად (იხ. იოსელიანი 1936: 240). 1897 წელს მიხეილ ზანდუკელი მამამ შეიყვანა თბილისის ქართველ თავადაზნაურთა სკოლაში, რომელიც პირველი ქართული სკოლა იყო რუსეთის მიერ საქარ-თველოს ანექსიის შემდეგ, „რასაც ხელს უწყობდა ჩვენი მოწი-ნავე საზოგადოება ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით“ (ზან-დუკელი 2019: 16). 1901-1906 წლებში იგი სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, სადაც ასწავლიდნენ ექვთიმე თაყაიშვილისა და შიო ჩიტაძის მიერ შერჩეული პედაგოგები: სიმღერას – ზაქარია ფალიაშვილი, ვიოლინოს – რჩეული პედაგოგები. აქ ისწავლა ვიოლინო... „რაც ავითვისე, იმასაც საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი შინაგანი ბუნების დახვეწაში“ (ზანდუკელი 2019: 27).* 1909 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1913 წელს პირველი ხარისხის დიპლომით და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდებით. მოსკოვის უნივერსიტე-ტი, როგორც მიხეილ ზანდუკელი წერს, სარგებლობდა ავტო-ნომიით და სტუდენტებს განვითარების დიდ შესაძლებლობას აძლევდა. მიხეილიც კარგად იყენებდა ამ უფლებებს და აქტი-ურად ერთვებოდა სხვადასხვა ლიტერატურულ და სამეცნი-ერო წრეში. 1910-1911 წლებში, როცა გახშირდა საპროტესტო გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი ამ მიტინგების აქტიური მონაწილე იყო. პირველად მაშინ დააპატიმრეს და ორი დღე პოლიციაში გაატარა.

„დიდი პედაგოგ-პროფესორები“, – ასეთ შეფასებას აძლევ-და ზანდუკელი თავის მასწავლებლებს. იგი სტუდენტებისთ-ვის დიდ სკოლად მიიჩნევდა, ასევე, მოსკოვის უნივერსიტეტში გამართულ ღია სხდომებზე, მაგალითად, დისერტაციების დაც-ვაზე დასწრებას და მეცნიერული დისკუსიების მოსმენას, რაც უდიდეს გავლენას ახდენდა მომავალი მეცნიერების პროფე-

* გადასახლებაში მიხეილ ზანდუკელს უცდია, და არც ისე წარუმატებლად, ვიოლინოზე დაკვრა და მცირეოდენი თანხის მიწოდება ობოლი ძმისწუ-ლებისათვის. იქაურ კაფე-სასადილოში, „რუსკი კაზაჩოკში“ უკრავდა ვი-ოლინოზე. ინფორმაცია მოგვაწოდა ქ-ნმა მაყვალა ზანდუკელმა, მიხეილ ზანდუკელის შვილობილმა (ძმის შვილიშვილმა).

სიონალებად ჩამოყალიბებაზე. სწორედ ეს გავლენა ეტყობოდა მას, როგორც პედაგოგს, მეცნიერს, ადამიანს. 1914-1920 წლებში ზანდუკელი თბილისში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა. 1921-22 წლებში იყო საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საშუალო და უმაღლესი სკოლების მთავარი სამმართველოს გამგე, შემდეგ – 1929 წლამდე თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი შრომის სკოლის გამგე, ხოლო 1933 წლიდან რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებულ ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის სექციას. წლების მანძილზე, სიცოცხლის დასასრულამდე (1968 წ.) კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, აგრეთვე – პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 30-იან წლებში – ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ასევე – თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იყო საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

მიხეილ ზანდუკელს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლისა და სისტემატიზაციის საქმეში. მისი ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა“ (1932-36) სამ ტომად გამოიცა. აღსანიშნავია ზანდუკელის გამოკვლევები: „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“, „თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“, „ვაჟა-ფშაველა“, „ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა“, „შიო არაგვისპირელი“, „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“ და მრავალი სხვა.

წინააღმდეგობები თავიდანვე არ აკლდა მიხეილ ზანდუკელს. 1927 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ახალი ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსს. 1928 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს დადგენილების საფუძველზე უნივერსიტეტმა დაბეჭდა მისი ნაშრომი „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“, რომელშიც ილია ჭავჭავაძე შეფასებული ჰყავდა, „როგორც რადიკალურ-დემოკრატი, რუსეთის 60-იანი წლების მოწინავე იდეებზე აღზრდილი, დიდი პატრიოტი, ჩვენი ცხოვრების წინამსვლელობის შემფერხებელი მდგომარეობისა და ტრადიციების

წინააღმდეგ მებრძოლი, პირველ რიგში, ბატონყმობის წინააღ-მდეგ მებრძოლი“ (ზანდუკელი 2019: 170). ეს შრომა მიხეილ ზანდუკელმა წარადგინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქ-ტორის ხარისხის მოსაპოვებლად. უნივერსიტეტის რექტორი მალაქია ტოროშელიძე უკმაყოფილო დარჩა ილია ჭავჭავაძის ამგვარი შეფასებით და შექმნა კომისია, რომელსაც საჯაროდ უნდა განეხილა ეს ნაშრომი, რაც ვერ განხორციელდა, რადგან ტოროშელიძე რექტორობიდან გაათავისუფლეს და მწერალ-თა კავშირის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. 1929 წლის ბოლოს უნივერსიტეტს გამოეყო სხვადასხვა ფაკულტეტი ცალკე ინ-სტიტუტების სტატუსით. დარჩენილი ფაკულტეტები გაერთი-ანდა ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში. ეს იყო უნივერსიტეტის ძირითადი ნაწილის შემცველი. 1930 წელს ახალმა დირექტორმა, ივანე ვაშაყმაძემ (ახალჩამოსული მოსკოვის წითელ-პროფე-სორების ინსტიტუტის* დამთავრების შემდეგ) (ზანდუკელი 2019: 172) საქართველოს ცეკას დავალებით უნივერსიტეტის (ახლა პედინსტიტუტის) ყველა თანამშრომელი რეჟიმის მიმართ და-მოკიდებულების მიხედვით სამ ჯგუფად გაყო: 1. წითელი პრო-ფესორები, რომლებიც ურყევად იდგნენ საბჭოთა პლატფორ-მაზე; 2. რეაქციონერები და 3. ჭაობში მყოფნი... ამ უკანასკნელს მიაკუთვნებდნენ მიხეილ ზანდუკელს (ზანდუკელი 2019: 172). მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, მიხეილ ზანდუკელმა შეძ-ლო თავისი საქმის დასრულება და 1936 წელს დაიცვა სადოქ-ტორო დისერტაცია.

თაობები იზრდებოდნენ მიხეილ ზანდუკელის წიგნებზე, თუმცა გასული საუკუნის ტრაგიკულმა მოვლენებმა შეაჩერა მისი სამეცნიერო მოღვაწეობა. 40-იანი წლების მასშტაბური რეპრესიები მიხეილ ზანდუკელსაც შეეხო. 1990 წელს მიხეილ ზანდუკელის დაბადებიდან 100 წლის აღსანიშნავად გაზეთ

* წითელი პროფესორების ინსტიტუტი – სპეც. უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა საზ. მეცნ. პედაგოგებს უმაღლესი სასწავლებლები-სათვის, მუშაკებს სამეცნ-კვლ. დაწესებულებებისა და ცენტრ. პარტ. და სახელმწიფო ორგანოებისათვის. დაარსდა მოსკოვში 1921 წ. (ლენინის ხელმოწერით). მას ხელმძღვანელობას უწევდა პარტიის ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილება. წითელი პროფესორების ინსტიტუტი გაუქ-მდა 30-იან წლებში (ქსე 1987: 318).

„ახალგაზრდა კომუნისტში“ მასზე მოგონებები დაიბეჭდა (ს.ყუბანეიშვილი, ი. მეგრელიძე). იქვე სარედაქციო კოლეგიამ გამოაქვეყნა საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი ბარათი,* რომლის ავტორია ფილიპე მახარაძე. რედაქციამ გამოთქვა ეჭვი, რომ ზანდუკელი ამ „ფრიად საიდუმლო“ და ცილისმწამებლური ბარათის „წყალობით“ დააპატიმრეს (წერილის ადრესატია თბილისის უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი დავით ყიფშიძე). მკითხველს ვთავაზობთ სრულ ტექტს:

„პატივცემულო ამხანაგო დავით! საჭიროთ მიმაჩნია, ერთ გარემოებაზე მოგწეროთ. ეს მოწერილობა არ არის ოფიციალური ხასიათის, ხოლო თუ საჭირო იქნება, ოფიციალურადაც მოგწერთ. საქმე შემდეგშია: თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში ერთ-ერთი პროფესორის თუ დეკანის მხრით ადგილი აქვს დაუშვებელ საქციელს სტუდენტებისა თუ ასპირანტების მიმართ: ყვირილს, უხეში სიტყვების ხმარებას, პირდაპირ შეურაცხმყოფელ საქციელს. ასეთი რამ შეუძლებელია საბჭოთა დაწესებულებაში, მით უფრო, მეცნიერების ტაძარში. მით უფრო აღმაშფოთებელია ასეთი საქციელი პროფესორის და დეკანის მხრით და თუ ვინმე საბჭოთა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში მეცნიერების ტაძარში პროფესორის ქურქში გახვეული ამას ჩადის, იგი უთუოდ სხვა დროის და **სხვა წესწყობილების ნაშთია** და ჩვენ საბჭოთა წყობილებასთან არა აქვს რა საერთო. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ნება მივსცეთ მათ განაგრძონ ამ ძველი წესწყობილების ჩვევების პრაქტიკა. შეიძლება თქვენ მიხვდით კიდეც, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი. ეს არის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დეკანი მოქ. ზანდუკელი. მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თქვენ მიიღებთ უხეშ, დაუშვებელ, ბიუროკრატიული ჩვევების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომებს.

თქვენი პატივისმცემელი ფ. მახარაძე**

1941 წლის 30 აპრილი.

---

* გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციამ, რომელმაც დაბეჭდა ამ ხელნაწერი ბარათის ფოტოასლი, საგანგებო მადლობა გადაუხადა პროფესორებს სოლომონ ხუციშვილს და ნოდარ ტაბიძეს მისი მიწოდებისათვის.

** ფილიპე მახარაძე – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ფილიპე მახარაძე 1941 წლის ბოლოს, 10 დეკემბერს, გარდაიცვალა, მაგრამ მისმა თხოვნა, ჩანს, დააკმაყოფილეს. გარდა ამისა, მიხეილ ზანდუკელის დასაპატიმრებლად სხვა „მიზეზებიც“ გამოინახა.

სიცოცხლის ბოლომდე ილიას მოძულე ფილიპე მახარაძეს*, უდავოა, აღიზიანებდა ილია ჭავჭავაძის ესოდენ პოზიტიურად შემფასებელი მეცნიერის არსებობა, ამიტომ ძალისხმევა არ დაიშურა ზანდუკელის დასაპატიმრებლად.

რევაზ კვერენჩხილაძის ინფორმაციით**, ზანდუკელი 1922 წლის 10 მაისს დაუპატიმრებიათ (იგი ამ დროს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის საშუალო და უმაღლესი სკოლების მთავარი სამმართველოს გამგე იყო). საგანგებო კომისიის პრეზიდიუმმა 11 ივლისს დაადგინა, რომ საქმის წარმოება შეწყვეტილიყო მ. ზანდუკელის კონტრრევოლუციონერობის დამამტკიცებელი საკმარისი მასალების არარსებობის გამო (ფ.23-24) და 15 მაისს იგი გაათავისუფლა. თუმცა 5 ივლისს იგი ისევ დაიბარეს და დაკითხეს.

კითხვა: როგორ უყურებთ არსებულ წეს-წყობილებას?

პასუხი: დარგს, რომელსაც ვიცნობ, განათლებას, რაციონალურად...

დაკითხვისას მეცნიერმა აღნიშნა, რომ იგი მომხრე იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა... კითხვაზე, თუ რომელ მიმდინარეობას უჭერდა მხარს საქართველოში, დამაჯერებელი პასუხის გაცემა ვერ შეძლო, რადგან არ ეკუთვნოდა არც ერთ პარტიას, ხოლო რაც შეეხებოდა მის პირად აზრს, ზოგიერთ საკითხში, (მაგ. ეროვნულში), ეთანხმებოდა მემარჯვენებეს (ფ. 18-19).

1937 წლის 1-ლი დეკემბრიდან შინსახკოშმი მიხეილ ზანდუკელის მიმართ კიდევ უფრო მძიმე ბრალდება იდო. ერთ ცნობილ პატიმარს (შემდეგ დახვრეტილს) სასტიკი წამების შედეგად მიაცემინეს ჩვენება, რომ პროფ. მ. ზანდუკელი სოციალ-

---

* ილიაზე ფილიპე მახარაძის შეხედულებები იხ. წინამდებარე წიგნის თავში „გიგლა ბერბიჭაშვილის საქმე“ (გვ.261).

** მიხეილ ზანდუკელის პირველი საქმე, №1200, ფ.22.

ფედერალისტთა არალეგალური პარტიის თბილისის უნივერსიტეტის ძირითად უჯრედში ირიცხებოდა, როგორც ამ პარტიის კომიტეტის წევრი და რომ ის ამ პარტიაში მან ჩააბა (საქმე №1236). ეს იყო იმ კატეგორიის ჩვენება, რომელსაც ცნობილი ჯალათები (ნიბლაძე, მარქაროვი, რაფავა და სხვები) სასტიკი წამებით იღებდნენ პატიმრებისგან და საჭირო დროს ამ ჩვენებებს სხვებისათვის ბრალდების წასაყენებლად იყენებდნენ. მიხეილ ზანდუკელის წინააღმდეგაც, ცხადია, არსებობდა ამგვარი ბრალდებები, ფილიპე მახარაძის წერილმა კი უთუოდ დენთის როლი შეასრულა. 1941 წლის სექტემბერში (კონკრეტულ რიცხვს მ. ზუნდუკელი ვერ იხსენებს) იგი ქუჩიდან მოტყუებით (ცეკაში გიბარებენო) შინსახკომში მიიყვანეს და საგამომძიებლო განყოფილების უფროსს, ირაკლი ნიბლაძეს წარუდგინეს. გაუბეს საუბარი ომზე, შექმნილ მდგომარეობაზე. „საგრძნობ ხანგრძლივი ამგვარი საუბრის შემდეგ ირაკლი ნიბლაძე წინადადებას მაძლევს, რომ უნივერსიტეტში ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ გავიგებ ხელისუფლებისადმი მავნებელი ჯგუფის მოქმედების შესახებ, შევატყობინო შინსახკომს... და რომ კანონის ძალით, ყოველი საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია ამგვარი შემთხვევები აცნობოს შინსახკომს“ (ზანდუკელი 2019: 185). დიდხანს ამტკიცებდა ზანდუკელი, რომ ის ადამიანების დასმენას ვერ შეძლებდა. ღამის 12 საათზე მოვიდა რაფავა. მან იგივე შესთავაზა პროფესორს: ჯერ – თავაზიანად, შემდეგ – მუქარით: ორ-სამ დღეში ისე გაგიხდი საქმეს, რომ თავ-ბედი იწყევლოო. ზანდუკელი ცალკე გაიყვანეს – კვლავ დაემუქრნენ და შეახსენეს, რა მოელოდა ციხეში... „ჩემს თავში მწარე ფიქრები ირეოდნენ: ჩემი მოტაცება როგორ მძიმე, გამანადგურებელ განცდას შექმნის ჩემს გაზრდილ, გამოუცდელ უპატრონო ძმისწულებში, რომელთაც ჩემს გარეშე ნამდვილი გულშემატკივარი არა რჩებათ... სასტიკად ილახებოდა ჩემი თავმოყვარეობა...სიცოცხლე აღარ ღირს, მაგრამ ტანჯვაში სიკვდილს, ისევ მივცემ ხელწერილს, გავალ შინასახკომიდან, ვნახავ ჩემს ობლებს – ძმისწულებს და თავს მოვიკლავ-მეთქი. შინსახკომში სიკვდილს ვამჯობინე გარეთ, თუნდაც ღობის ძირას სიკვდილი

(ზანდუკელი 2019: 190). ხელწერილი თვითონ გამომძიებელმა (გურგენიძემ) დაწერა და მიხეილ ზანდუკელს ხელი მოაწერინა...

პროფესორმა ძველებურად გააგრძელა მუშაობა. მალევე, 1942 წლის 20 იანვარს, მიხეილ ზანდუკელი ისევ დააპატიმრეს (აქვე გავიხსენოთ, რომ მისი ასპირანტი, გიორგი ქადაგიძე, ერთ კვირაში, 27 იანვარს დააკავეს. მოგონებათა წიგნში მიხეილ ზანდუკელი მას საგანგებოდ იხსენიებს). ზანდუკელმა, ჩანს, ვერ ითანამშრომლა გამოძიებასთან და თვითონ „დაასწრო" საპატიმროში თავის ასპირანტებს. ორი წელიწადი გრძელდებოდა შინსახკომის ციხეში ზანდუკელის ტანჯვა: დილიდან საღამომდე ფეხზე იდგა, ზოგჯერ – კედლისკენ პირით შებრუნებული. მის საქმეს, ძირითადად, ირაკლი ნიბლაძე იძიებდა. იგი ხშირად ეკითხებოდა მიხეილ ზანდუკელს მისი ასპირანტების შესახებ. „მალე გავიგე, რომ შინსახკომმა თურმე უკვე დააპატიმრა უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების ასპირანტების ჯგუფი, რომელსაც ბრალდებოდა არალეგალური მუშაობა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ შორის თურმე ჩემი ასპირანტებიც ყოფილან: გ. ქადაგიძე, იმერლიშვილი, კოტე* (გვარი არ მახსოვს). მეკითხებოდნენ ასპირანტების შესახებ. მე მხოლოდ დადებითი დახასიათების მიცემა შემეძლო, ასეც ვაძლევდი... ნიბლაძე მეუბნებოდა, რომ უნივერსიტეტში არალეგალური ორგანიზაციაა და თითქოს მე მას ვხელმძღვანელობ. მთხოვდა, დამესახელებინა მისი წევრები. მე ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ არალეგალური ორგანიზაცია არასოდეს არა მქონია, არც ვიცი, და, ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტშიც არ არის ასეთი ორგანიზაცია. ეს მოგონილია ბოროტი, უპასუხისმგებლო კაცისა... ნიბლაძემ თავისი თანდასწრებით მარქაროვს (ცნობილ ჯალათს ზ.ც.) აცემინა ჩემი თავი: იქვე, ნიბლაძის კაბინეტში დამაწვინეს, ფეხთ გამხადეს და ნიბლაძემ უბრძანა მარქაროვს, ჩემთვის ფეხის გულებზე ერტყა დალურჯებამდე – დასიებამდე... მეუბნებოდნენ, მეთქვა, რომ მაქვს არალეგალური ორგანიზაცია და დამესახელებინა წევრთა გვარები... მე

* იგულისხმებიან გიორგი იმერლიშვილი და კოტე ჯოგლიძე – მიხეილ ზანდუკელის ასპირანტები (მათ შესახებ იხ. წინამდებარე წიგნის შესაბამისი თავი „1942 წლის შეთქმულება და სამანი", გვ. 293).

ჩემსას ვიმეორებდი, ეს ამბავი მოგონილია, არავითარი ასეთი ორგანიზაცია არ მქონია და არსებობაც არ ვიცი-მეთქი. ნაცემი, დაბეჟილი, ფეხებდალურჯებული წამიყვანეს კამერაში“ (ზანდუკელი 2019: 197). პარალელურად, ზანდუკელის დაკითხვას აწარმოებდა რაფავა. ჩამოათვლევინა ასპირანტები. შეეკითხა ჯერ გრიგოლ კიკნაძის, შემდეგ – ასპირანტ გიორგი ქადაგიძის შესახებ. ზანდუკელმა ორივე დადებითად დაახასიათა. გიორგი ქადაგიძეს ნიჭიერი, უნარიანი, ენერგიული ახალგაზრდა უწოდა, აღნიშნა, რომ „ნაწარმოების, მწერლისა და ლიტერატურული მოვლენის არსის სწრაფი და სწორი მიხვედრა აქვს და ამასთან აზრის თავისებური, ორიგინალური განვითარების უნარი ახასიათებს. ის მთიულია, გარეგნულად თითქოს უხეში, მაგრამ იშვიათი, დახვეწილი მხატვრული გემოვნების პატრონია. აი, ამიტომ წამოვწიე მეთქი... ახლა რაფავა ასპირანტ იმერლიშვილზე შემეკითხა. რაც შეეხება ასპირანტ იმერლიშვილს, ისიც სრულიად დამსახურებულად არის ასპირანტურაში მიღებული. ისიც ჩუმი, მონდომებული, წესიერი და ნიჭიერი, დაინტერესებული სტუდენტი იყო. წარჩინებით დაამთავრა ჩვენი უნივერსიტეტი. მოინდომა ჩემთან, ასპირანტურაში შემოსვლა. მე მას განვუცხადე: შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ, ჩემო კარგო, რუსული ძალიან სუსტად იცი. ახალი ქართული ლიტერატურის მეცნიერული შესწავლა კი ძალიან ძნელია რუსეთის XVIII-XIX საუკუნეების ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების გარეშე. ეს კი შენ გაკლია და ამიტომ თავს ვიკავებ-მეთქი. ღარიბი, მგონი ობოლი ბიჭი იმერიშვილი წავიდა რუსეთში – მოსკოვში. იქ ვ.ი. ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში იშოვა ადგილი ქართული წიგნების განყოფილებაში. ნახევრად მშიერ-მწყურვალ-შიშველმა რუსული ენის ათვისების მიზნით იქ დაიწყო მუშაობა. იქვე შეძლო ასპირანტურაში შესვლა, გადავიდა მეორე კურსზე, ჩასაბარებელ საგნებში მიეღო ხუთიანები და ზაფხულში დაბრუნდა სამშობლოში – თბილისში. შეიტანა თურმე განცხადება დოკუმენტებით ჩვენს განსახკომში თხოვნით, მიეღოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში ახალ ქართულ ლიტერატურაში პირველ კურსზე. განსახკომმა გადმოუგზავნა ეს განცხადება

უნივერსიტეტს, რექტორმა მე გადმომიგზავნა დასკვნისათვის (მაშინ ფილოლოგიური ფაკულტეტის დეკანი ვიყავი). რა უფლება მქონდა, იმერლიშვილი არ მიმეღო პირველ კურსზე?.. ჩვენს შორის პაუზა ჩამოვარდა... რაფავას დამაჯერებელი ტონით მივმართე: მე, ასეთს უსამართლო მძიმე მდგომარეობაში ვარ ჩავარდნილი სამი პიროვნების (პ.ც., ა.მ., და გ.ა.) ყალბი, უპასუხისმგებლო „დანოსის“ მიხედვით, რომელთა საკანდიდატო დისერტაციის მიღება შეუძლებლად მივიჩნიე. რაფავამ თავი ჩაღუნა და ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ მითხრა, – იმათ ჩემთვის არაფერი უთქვამთო (ზანდუკელი 2019: 199-200). გამოკითხვა მშვიდად არ დამთავრებულა. ზანდუკელის „თავხედობით“ განრისხებულმა რაფავამ იგი ყვირილით გააყვანინა და მხოლოდ ერთი თვის შემდეგ დაკითხა – ისევ გიორგი ქადაგიძის შესახებ დაუსვა კითხვები: როგორი იყო მისი დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ. ზანდუკელმა უაპსუხა, რომ ქადაგიძე პოეტური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული, იყო პატრიოტი... მან დაასახელა ქადაგიძის ლექსი „რას შეგადარო“ და რაფავას უთხრა, რომ სტალინზე უკეთესი ლექსი ჯერ არც ერთ პოეტს არ დაეწერა. შეკითხვაზე, როგორი იყო ქადაგიძის საზოგადოებრივი ღირსება, – მიხეილ ზანდუკელმა უპასუხა: „ქადაგიძე პარტიულია“... „პარტია არა სცდება“... რაფავას მისი პასუხის კილო არ მოეწონა და ხმის ამაღლებით უთხრა: „თქვენ მეც დამცინით და პარტიასაცო“... ამის შემდეგ ზანდუკელი რაფავას არ გამო-უძახებია, მიუხედავად იმისა, რომ ამას ითხოვდა თავად პატიმარი – უიმედოდ საკანში გამოკეტილი... კარგა ხნის შემდეგ დაკითხვები განახლდა, თანაც ისევ ტრაფარეტული შეკითხვებით. პროფესორს წინ დაუდეს ოთხი ცნობილი ადამიანის ჩვენებები. ისინი ზანდუკელს ასახელებდნენ იმ ანტისაბჭოური ორგანიზაციის წევრად, რომელიც თითქოს თავად დაეარსებინათ (თითოეულს ცალ-ცალკე). ერთ-ერთი, უკვე დახვრეტილი, იმასაც აღნიშნავდა, რომ თითქოს მან ზანდუკელთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა გიორგი ახვლედიანი, მერე აკაკი შანიძე, კორნელი კეკელიძე, შემდეგ თვითონაც მოელაპარაკა და ზანდუკელმაც თანხმობა განუცხადა. პედაგოგი ა.მ. კი აცხადებდა, რომ მის ბინაზე იმართებოდა ანტისაბჭოური სხდომები და

მათში ზანდუკელიც იღებდა მონაწილეობას (ზანდუკელი 2019: 200-202). ვინც სუკის არქივებში განადგურებას გადარჩენილ, თუნდაც შედარებით უმნიშვნელო მასალებს, განსაკუთრებით კი ბრალდებებსა და ჩვენებებს გასცნობია, ასევე რეაბილიტაციის დროს გამართულ სასამართლო სხდომების ოქმებში გაცხადებული მათი წამების შესახებ ამოუკითხავს, ეჭვი არ შეეპარება, რომ უმეტესი ამ ჩვენებებისა იძულებით იყო მიღებული, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, სისტემა ამ მეთოდებით თავის მიზანს აღწევდა.

სამთვიანი პაუზის შემდეგ მიხეილ ზანდუკელი ვინმე გუჯაბიძემ დაკითხა. ისევ დაემუქრა, რომ თუ არ დაასახელებდა იმ არალეგალურ ორგანიზაციას, რომლის წევრიც იგი იყო, ვერასდროს ნახავდა მზის სინათლეს და რომ მხოლოდ ერთი ფარატინა ქაღალდი იყო საკმარისი იმაში დასარწმუნებლად, რომ ის ვითომ ციხეში გარდაიცვალა. პატიმრის პასუხი ისევ უცვლელი იყო: ის არასოდეს ყოფილა ასეთი ორგანიზაციის წევრი და ვერც სხვას ჩააგდებდა ისეთ წვალებაში, როგორშიც თვითონ იყო... რომ რაც არ ყოფილა, ვერ იტყოდა (ზანდუკელი 2019: 205). გუჯაბიძემ უმცროს გამომძიებელ ოკუჯავას აცემინა ზანდუკელი, ფეხის გულებზე ჯოხის დარტყმა უბრძანა. ესეც არ აკმარეს და ხუთი დღით კარცერში ჩააგდეს, ბნელ, ცარიელ სარდაფში (მიხეილ ზანდუკელს სწორედ იქ დაუზიანდა მარჯვენა ხელის „მთავარი თითი“, როგორც თვითონ უწოდებს). ზანდუკელის სიჯიუტეს ჯალათები მისი, როგორც მთიელის, ბუნებით ხსნიდნენ.

ამის შემდეგ იგი თითქოს დაივიწყეს, დაკითხვებზე აღარ იძახებდნენ. ამასობაში თითქმის ორი წელი გავიდა. საბჭოთა კავშირის წინსვლამ ომში პოლიტიკური პატიმრების მდგომარეობა ოდნავ შეცვალა. როცა ერთხელ მიხეილ ზანდუკელი („ცარიელი ძვალი და ტყავი“) ნიბლაძესთან შეიყვანეს, გამომძიებელი უფრო დინჯად, მშვიდად ესაუბრა, საბჭოთა ჯარის წარმატებებიც აუწყა... იქვე შემოსულმა გუჯაბიძემ კვლავ დაპატიმრებულ ასპირანტებზე დაუწყო გამოკითხვა. არადა უკვე 1943 წლის მარტი იდგა. შეთქმულებიდან 17 ახალგაზრდა, მათ შორის, მიხეილ ზანდუკელის ასპირანტები, დახვრეტილები იყვნენ.

მას ამ ფაქტის შესახებ არაფერი უთხრეს, გამომძიებელი ისევ ამ თემას უტრიალებდა... არიგებდა, ემუქრებოდა... „მითხარი, რომ ორგანიზაცია გქონდათ. აქვე შევადგენ მოკლე ოქმს და გაგიშვებო“ (ზანდუკელი 2019: 207). რამდენიმესაათიანი უშედეგო დაკითხვის შემდეგ პატიმარი საკანში გადაიყვანეს. მანამდე კარცერში მყოფს საკნის ჭუჭყიანი ლოგინი გაწკრიალებულ, რბილ და სასიამოვნო საწოლად მოეჩვენა... მიილია გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა... 1944 წლის 20 იანვარს გამოუცხადეს, რომ ასახლებდნენ. „სტოლიპინის ვაგონებით“ ჯერ ბაქოს ციხეში მიიყვანეს, იქიდან ციმბირში – კრასნოვოდსკაში. ყველა ასაკის და კატეგორიის ადამიანს მოეყარა თავი ვაგონებში: მოწაფეებს, სტუდენტებს, ასპირანტებს, მასწავლებლებს, ექიმებს, პროფესორებს, ზარის მოთამაშეებსა და მკვლელებს... „საგულისხმო მასალა იყო ადამიანის ბუნების გაცნობისათვის. ჩემი ამ ხნის განმავლობაში ციხეში და ეტაპში მიღებული დაკვირვებიდან და შთაბეჭდილებებიდან ახირებული დასკვნა გამოვიტანე: ვინც ციხეში არ მჯდარა და ეტაპში მოგზაურობა არ განუცდია, მას ძნელად ექნება ადამიანის ნამდვილ ბუნებაზე სწორი წარმოდგენა. ადამიანი ბევრ და ხშირ შემთხვევაში იქ შიშვლდება თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ეს საუკეთესო გამოსაცდელი ბრძმედია“, – წერს მიხეილ ზანდუკელი თავის მოგონებების წიგნში, რომელიც არ არის ავტორის თავს გადახდენილი ტრაგიკული მოვლენების ამსახველი მშრალი ქრონიკა, არამედ ტოტალიტარული რეჟიმის ამსახველი მრავლისმთქმელი ისტორიაა, აღსავსე სულისშემძვრელი ფაქტებით, ჯალათთა და მსხვერპლთა მრავალფეროვანი სახეებით, ტკივილებით... ჭირშიც კი პროფესიული განწყობით ამაღლებული კაცის ნატურა იკითხება მის ნაწერში, თუნდაც წიგნის ასეთ ქვესათაურში **„დაუვიწყარი ღამე კასპიის ზღვაზე და შორი გზით... ციმბირისაკენ“...** ასეთმა შინაგანმა ბუნებამ და, როგორც თავად იტყვის, მთიელი კაცის ხასიათმა შეაძლებინა ღირსეული გაძლება, ისე, რომ ამ ჯოჯოხეთშიც კი ეგრძნო სამყაროს მშვენიერება...

ჩკალოვში ჩასულმა აღმოაჩინა, რომ იქ თურმე სასჯელს იხდიდა მისი ყოფილი სტუდენტი, პუშკინის სახელობის პედა-

გოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი სოსო (იოსებ) მეგრელიძე. მასთან შეხვედრა დიდი სიხარულისა და იმედის მომცემი იყო ზანდუკელისთვის. სამსახურს ერთად ეძებდნენ. ჯერ ისეთი სამუშაო შესთავაზეს, რომელიც მძიმე ფიზიკურ შრომას მოითხოვდა, შემდეგ ჩკალოვიდან პეტროვკაში დაბრუნებულს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მდივნის თანამდებობა მისცა თვეში 200 მანეთად, თანაც დღეში 300 გრამ პურს დაჰპირდა. ზანდუკელი ერთხანს ათწლედშიც მუშაობდა – რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. წიგნის ერთ-ერთ თავში „გადასახლებული ქართველები ჭირშიც ერთმანეთის გვერდით დგანან“ მიხეილ ზანდუკელი ბევრ ქართველს იხსენებს კეთილად, განსაკუთრებით სოსო მეგრელიძეს, როგორც ყველაზე მოხერხებულს, ენერგიულს: „ყველაფერს დაუზარებლად და რიგზე სოსო აკეთებდა. შემდეგშიც, ზვამბაიას* საფლავი რომ არ დაკარგულიყო, სოსოს ინიციატივით ერთი ყაზახი გამოვნახეთ, საფლავის ქვა გავათლევინეთ ქართული წარწერით და საფლავზე დავუდგით“ (ზანდუკელი 2019: 244).** მიხეილ ზანდუკელი თავის დანაზოგს (ალბათ თვითონ იკლებდა) ობოლ ძმისწულებს უგზავნიდა. თუმცა პირველ ხანებში ისინი თავად უგზავნიდნენ ბიძას „გადაცემას“, როგორც მიხეილ ზანდუკელი უწოდებდა პატიმრის ამანათს, ე.წ. „პერედაჩას“, მაგრამ მოხდა ტრაგედია, რომელმაც მიხეილ ზანდუკელის ყველა უბედურება გადაფარა – თბილისში გარდაიცვალა მისი უფროსი ძმისწული ნინო, რაც უდიდესი ტკივილი იყო ბიძისთვის. ვერანაირი წამალი ვერ მაძინებდაო, – წერდა იგი თავის მოგონებათა წიგნში.

1947 წელს მიხეილ ზანდუკელი გადასახლებიდან დაბრუნდა. დაუბრუნდა იმედად და სიხარულად ძმისწულებს: თამარ, ფიქრია, მაყვალა ზანდუკელებს. „მოვიხადე დაუმსახურებელი სასჯელიო“, – წერდა იგი, – იხსენებდა, როგორ მოწიწებით

* ეროვნებით აფხაზი, ექიმი ნიკოლოზ ზვამბაია, რომელთანაც ქართველი პატიმრები მეგობრობდნენ, პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა. უპატრონეს ქართველებმა, მკურნალობა არ დააკლეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ფული შეუგროვეს და გაუგზავნეს.

** იოსებ მეგრელიძის კეთილშობილურ ბუნებაზე მეტყველებს კიდევ ერთი ფაქტი: სწორედ მისი ინიციატივით გადმოასვენეს ცნობილი მწერალი, უდროოდ დაღუპული ჭოლა ლომთათიძე დიდუბის პანთეონში...

შეაბიჯა თავის უნივერსიტეტში, სადაც 20 წელიწადზე მეტი ასწავლიდა. „ვფიქრობ სინდისიერად და არა უსარგებლოდ, განვაგრძო დაუმსახურებლად შეწყვეტილი მუშაობა“, – ამ გან-ზრახვით მივიდა იგი უნივერსიტეტის რექტორთან, ნიკო კეცხოველთან, რომელიც სიხარულით შეხვდა და დახმარება აღუთქვა... ასე ხვდებოდნენ ყველგან მისი სახელოვანი კოლეგები, თუმცა ყველაფერი მაინც სამთავრობო დონეზე წყდებოდა... ასე დარჩა იგი ერთხანს უმუშევრად, უსახსროდ, უფუნქციოდ. არ მიიღეს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში... შტატები შევსებულიაო, – უთხრეს პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. საბოლოოდ განათლების მინისტრმა ვიქტორ კუპრაძემ საშუალო სკოლის მასწავლებლობა შესთავაზა. ერთი „სიკეთე“ ის იყო, რომ იზრუნეს, სასწავლებელი მისი ბინის ახლოს გამოენახათ. და მიხეილ ზანდუკელიც მთელი გულით შეუდგა მოზარდებისთვის რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. ალბათ ბევრ მოსწავლეს დაამახსოვრდა სამუდამოდ ეს დიდებული პიროვნება, რომელსაც ერთი წუთითაც არ უთაკილია შეთავაზებული სამუშაო, ეს იყო, რომ „მასწავლებლობა ისედაც შევიწყროვებულ ჯიბეს ავიწროვებდა“, თავის გატანა კი აუცილებელი იყო მისთვის: ძლივს, დიდი ხნის ბრძოლის შედეგად დაიბრუნა თავისი კუთვნილი ბინა. მისი ბიბლიოთეკის საუკეთესო ნაწილი – ძველი ქართული ჟურნალები – შეისყიდეს წიგნის პალატამ და იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკამ. ამის გახსენებაზე აღმოხდებოდა ხოლმე: „რა უმართებულოდ და უაზროდ ამეწეწა ცხოვრება“...

1948 წლის პირველი სექტემბრიდან ის ნახევარ განაკვეთზე აიყვანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პუშკინის ინსტიტუტში. რექტორების – ნიკო კეცხოველისა და არჩილ ხარაძის ხელი ერია ამ კეთილ საქმეში. ხელისუფლება მაინც ფრთხილად იყო, დროდადრო „არასაიმედო“ მეცნიერებს თავს ახსენებდა:

1949 წლის 16 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ლიტერატურული კათედრების გაერთიანებულ სხდომაზე ბესარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება „ანტიპატ-

რიოტიზმისა და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წიანაღმდეგ ლიტერატურათმოდნეობასა და მხატვრულ კრიტიკაში“. მომხსენებლის პათოსი კრიტიკული იყო თითქმის ყველას მიმართ, მაგრამ განსაკუთრებული იერიში მან კონსტანტინე კაპანელსა* და მიხეილ ზანდუკელზე მიიტანა: „ზოგიერთი ჩვენი მკვლევარები ჯერ კიდევ არ გასცილებიან ცნობილი ბურჟუაზიული ნაციონალისტის კიტა აბაშიძის კომპარატივისტულ-ევოლუციურ მეთოდს და ჯერ კიდევ მის მიერ მოცემული სქემების ტყვეობაში იმყოფებიან. ჩვენს სტუდენტებს მე-19 საუკუნის ლიტერატურის შესახებ ხშირად ხელთა აქვთ კაპანელის, ზანდუკელის და სხვათა წიგნები, რომლებიც ვერ იძლევიან ჩვენი წარსულის მარქსისტულ-ლენინურ ახსნას“**... წერილში აღნიშნულია, რომ „განცვიფრება გამოიწვია ტრიფონ რუხაძის გამოსვლამ, იმით, რომ იგი უსაბუთოდ გამოექომაგა ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარს, რომელიც სამართლიანად გააკრიტიკა მომხსენებელმა. როგორც ამხ. ა. ბარამიძემ აღნიშნა, „ტრიფონ რუხაძის გამოსვლა უპრინციპო და გაუმართლებელი იყო“... ზოგმა მონანიებით, ზოგმა დუმილით მიიღო ეს კრიტიკა. უპრინციპობა, ალბათ, უფრო ის დუმილი იყო, რომელიც იმ დღეს დარბაზში ჩამომდგარიყო, მაგრამ შიშს ჯერაც ფართო თვალები ჰქონდა...

1953 წელს ახალი უსიამოვნება დაატყდა თავს მიხეილ ზანდუკელს – იგი თელავში გადაასახლეს. როგორც ნასამართლევს და გადასახლებულს, ვერ უშველა უნივერსიტეტის რექტორის შუამდგომლობამ ცეკას პირველი მდივნის წინაშე, რომ იგი თბილისში დაეტოვებინათ. 1953 წლის თებერვლიდან ზანდუკელმა მუშაობა დაიწყო თელავის უნივერსიტეტში, მაგრამ მალე გადასახლებულთა ამნისტია გამოცხადდა და ამით

* პარადოქსი იყო კ. კაპანელის გარდაცვალების შემდეგ გაზ. „კომუნისტში“, 1952 წ. 26. XII, № 304, დაბეჭდილი შენიშვნა „ერთი ნეკროლოგის შესახებ“, რომელშიც მკაცრად, ირონიულად არის გაკრიტიკებული კაპანელის ნეკროლოგი და რედაქცია, რომელმაც ამ ნეკროლოგის სახით გამოაქვეყნა იდეალისტური და მავნე წიგნების პროპაგანდა“... გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქციამ 1953 წლის 4 იანვარს (გაზ. №2) ბოდიში მოიხადა და „შეცდომა“ აღიარა.

** დაწვრილებით იხ. ბ. ჟღენტი. *ანტიპარტიული და ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ.* „ლიტერატურა და ხელოვნება“. 1949 წლის 20 მარტი.

დასრულდა უკვე 62 წელს მიტანებული პროფესორის აწეწილი ცხოვრება. იგი კვლავ თავის უნივერსიტეტს დაუბრუნდა – წარსულის მოუშუშებელი ტკივილებით და ჭრილობებით, თუმცა ამას ძნელად შეატყობდით.

„ახლა ვამუშავებ ვაჟა-ფშაველას ლექსის რიტმს, მძიმე საკვლევი შრომა საგრძნობი მოცულობისა გამოდის. ვფიქრობ, 1968 წელს დავამთავრებ. რას გავაკეთებ შემდეგ – ბედს მივანდოთ, რამდენად შემრჩება კვლევითი შრომის უნარი“, – ასე ამთავრებს მიხეილ ზანდუკელი მოგონებების წიგნს „ჩემი ცხოვრების გზაზე“... სამწუხაროდ, მისი ცხოვრების გზა სწორედ 1968 წელს დასრულდა.

დამოწმებანი:

ზანდუკელი 2019: ზანდუკელი, მ. *ჩემი ცხოვრების გზა*. თბილისი: გამომცემლობა „აზრი“, 2019.

იოსელიანი 1936: იოსელიანი, პლ. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“*. აკ. გაწერელიას შესავლით, რედაქციითა და შენიშვნებით. 1936.

ქსე 1987: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 11. თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს სსრ განსახკომის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“, 1987.

ყუბანეიშვილი 1990: ყუბანეიშვილი, ს. „მოძღვარი“. გაზ. *„ახალგაზრდა კომუნისტი“*, 1 მარტი, 1990.

მიხეილ ზურაბის ძე ზანდუკელი*
დადგენილება დაპატიმრებზე

ქალ. თბილისი იანვარი 1942 წ.

მე, საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა, სსრკ შსსკ სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტმა

დოლიძემ

განვიხილე რა სსსრ შსსკ-ში შემოსული მამხილებელ-დანაშაულებრივი მასალები ზანდუკელი მიზეილ ზურაბის ძი-

* საარქივო მასალა თარგმნა და მოამზადა ადა ნემსაძემ.

სა, დაბ. 1889 წ., მცხ. ს. არანისში, დუშეთის რ-ნი, ქართველი, სსრკ მოქალაქე, სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ვპოვე:

სსსრ შსსკ-ში არსებული მასალით დგინდება, რომ ზანდუკელი მ. ზ. ეწევა მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზანდუკელი სახ. უნივერსიტეტის თანამშრომლებში ეწევა ა/ს აგიტაციას, გამოთქვამს რა:

„...მე ძალიან მანერვიულებს, რომ ჰიტლერი ასე ნელა მოქმედებს. ჩვენთვის ქართველებისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რაც შეიძლება სწრაფად აიღოს ჰიტლერმა მოსკოვი. ნეტავ მალე მოხდეს ეს, რომ აქაურმა ბოროტმოქმედებმა ვერ შეძლონ ჩვენი ვნება, თორემ თუ დიდხანს გაიწელება, ყველა ჩვენგანს ასე თუ ისე საეჭვოდ მოკლავენ.“

დავადგინე:

ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე
მცხოვრები კობის ქ. 21-ა.
იქნეს გაჩხრეკილი და დაპატიმრებული.

სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი დოლიძე
ოპერრწმუნ. სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
უფრ. სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი
თავდიშვილი

„ვეთანხმები“ საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე

დადგენილება
აღმკვეცა ზომის არჩევისა

ქალაქი თბილისი იანვარი 1942 წ. მე, საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა სსსრ შსსკ სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტმა დოლიძემ

განვიხილე სსსრ შსსკ-ში შემოსული მამხილებელი დანაშაულებრივი მასალები:

გვარი – ზანდუკელი
სახელი და მამის სახელი – მიხეილ ზურაბის ძე
დაბადების წელი – 1889
დაბადების ადგილი – ს. არანისი, დუშეთის რ-ნი
პროფესია და სპეციალობა – პროფესორი
სამსახურის ადგილი და თანამდებობა – სტალინის სახ. სახელმწიფო უნ-ტის პროფესორი
პარტიულობა – უპარტიო
განათლება – უმაღლესი
ეროვნება – ქართველი
ქვეშევრდომობა – სსრკ
ოჯახური მდგომარეობა –
მისამართი – კობის ქ. 21-ა

ვ პ ო ვ ე: რომ ზანდუკელი მ. ზ. ეჭვმიტანილია დანაშაულში გათვალისწინებული სსსრ სისხ. სამ. კოდ. მუხ. 58/10-ის II ნაწ. და 58/11 და მივიღე რა მხედველობაში, რომ

ზანდუკელი მ. ზ.-ს თავისუფლებაში ყოფნა გამოიწვევს გამოძიებაზე ზეგავლენის მოხდენას და ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ დროებით წესდების 44-ე და 49-ე მუხლებით,

დავადგინე:

აღმკვეცა ზომად ძიებისა და სასამართლოსგან თავის არიდების მიზნით ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძის მიმართ აერჩიოს ***პატიმრობა***, რის შესახებ თანახმად საქ. სსრ დროებ.

წეს. 45-ე მუხ. გამოეცხადოს პატიმარს ხელწერილის ქვეშ ამავე დადგენილებზე.

თანახმად საქ. სსრ დროებ. წეს. 50-ე მუხ. დადგენილების ასლი გადაეგზავნოს პროკურორს და გადაეცეს ციხის უფროსს საპატიმრო პირად საქმეზე დასართავად.

სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი დოლიძე
ოპერრწმუნ. სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ.
უფრ. სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი
თავდიშვილი

„ვეთანხმები“ საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე
დადგენილება მე გამომეცხადა
ხელის მოწერა

დადგენილება

ბრალდების წარდგენისა

ქალაქი თბილისი 1942 წ. 2 თებერვალს

მე, საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსი სსსრ შსსკ სახ. უშიშროების უმცროსმა ლეიტენანტმა თავდიშვილმა

განვიხილე კვლევა-ძიების მასალა საქმეზე 2036 და მივიღე რა მხედველობაში, რომ

ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე

საკმაოდ მხილებულია მასშიდ, რომ არის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა და ეწევა არალეგალურ კ/რ მუშაობას.

დავადგინე:

ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ დროებითი წესების 36 მუხ. მიცემულ იქნეს პასუხისგებაში ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძე სისხ. სამ. კოდ. მუხ. 58/10-ის II ნაწ და 58/11. რის შესახებ გამოეცხადოს პატიმარს ხელწერის ქვეშ ამავე დადგენილებაზე. ასლი ამ დადგენილებისა თანახმად საქ. სსრ დროებითი წესების 45-ე მუხ. გადაეგზავნოს პროკურატურას.

გამომძიებელი

„ვეთანხმები“ სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო განყ. უფრ. სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი თავდიშვილი

აღნიშნული დადგენილება გამომეცხადა 2/II.1942 წ.
ბრალდებულის ხელის მოწერა ზანდუკელი

ვადასტურებ თავდიშვილი

19 აპრილი 1942 წ.

სსსრ შსსკ საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამოძიებო განყოფილების უფროსმა, სახელმწიფო უშიშროების უმცროსმა ლეიტენანტმა თავდიშვილმა განვიხილე საქმე №2036 ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძის ბრალდებისა გამო დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია სსსრ სსკ-ის 58/10 და 58/11 მუხლებით.

საგამოძიებო წარმოება საქმეზე –

ზანდუკელი მიხეილ ზურაბის ძისა – დაბადებული 1889 წ., მცხ. დუშეთის რ-ნის ს. არანისში, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ყოფილი წევრი, თავადი, დაუოჯახებელი, უმაღლესი განათლებით, პროფესორი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის უფროსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში,

დაიწყო 19/1-42 წ. იმ ცნობების საფუძველზე, რომ იგი ეწევა არალეგალურ კ/რ მუშაობას და მავნე ა/ს აგიტაციას. ძიებისას ბრალდებულმა ზანდუკელმა მ. ზ.-მ თავი დამნაშავედ ცნო მასში, რომ **1828-1829 წლებში** მისთვის ცნობილი იყო არალეგალური კ/რ ორგანიზაციის არსებობის შესახებ და მან ამის შესახებ არ აცნობა სახელმწიფო ორგანოებს; სახ. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივთან საუბრისას ჰქონდა მთელი რიგი ა/ს ცილისმწამებლური გამოთქმები, აქებდა გერმანიის ძლიერებას და არ სჯეროდა საბჭოთა კავშირის ძალისა, ამასთანავე უარყოფდა რაიმე არალეგალურ ორგანიზაციაში კ/რ მუშაობას, თუმც ეს სრულებით ვლინდება საქმის მასალებით.

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ბრალდებული ზანდუკელი მ. ზ. მალავდა საკუთარ კ/რ მოღვაწეობას და მისი კავშირების დასადგენად აუცილებელია ჩატარდეს მთელი რიგი საგამოძიებო ღონისძიებები, როგორებიცა: დაკითხვების გაგრძელება, დამატებითი დაპატიმრებები და სხვა საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

გაგრძელდეს გამოძიება და საგამოძიებო საქმე №2036-ში ბრალდებული ზანდუკელი მ. ზ. პატიმრობაში დარჩეს კიდევ ერთი თვით, ანუ 1942 წლის 19 მარტიდან 19 აპრილამდე.

ოპერრწმუნ. სსსრ შსსკ სპგ-ს საგამოძიებო
განყ. უფრ. სახ. უშიშროების უმც. ლეიტენანტი
თავდიშვილი

„ვეთანხმები“ საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე

ადა ნემსაძე

ტიტე მარგველაშვილი

ტიტე (ტიტუს) ფეოდოსის (თადეოზის) ძე მარგველაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში 1890* წლის 2 აპრილს თადეოზ მარგველაშვილისა და პელაგია ჭავჭანიძის ოჯახში. თედეოზს თავიდან მუშად უმუშავია ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში, მაგრამ შემდეგ სიმამართან ერთად მარგანეცის მოპოვებას შესდგომია და გამდიდრებულა კიდეც. ჭიათურაში ჰქონია მარგანეცის საექსპლოატაციო საწარმო, ქუთაისთან, ჭიშურა-ბროლიქედის დასახლებაში – მამულები, ქუთაისში კი – ორი საცხოვრებელი სახლი, ოთხი წყლის წისქვილი და ოთხი მაღაზია.

პატარა ტიტეს ჯერ ქუთაისში, ილარიონ მატარაძის კერძო მოსამზადებელ სასწავლებელში უსწავლია, შემდეგ – რეალურ სასწავლებელში, 1908 წლიდან კი გერმანიაში, ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე გაუგრძელებია სწავლა. 1914 წელს სადოქტორო დისერტაციაც დაუცავს ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტში თემაზე „კოლხეთი, იბერია და ალბანეთი ძვ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის მიჯნაზე, სტრაბონის განსაკუთრებული გათვალისწინებით“ და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიუღია.

---

* ქალბატონ ნაირა გელაშვილის მიერ შედგენილ ნარკვევში „შტრიხები გივი და ტიტე მარგველაშვილების ბიოგრაფიისათვის“ (რომელიც ბოლოში ერთვის წიგნს – გივი მარგველაშვილი, კაპიტანი ვაკუში, კავკასიური სახლი, 2005) აღნიშნულია 1891 წელი. ჩვენ ვეყრდნობით მის ანკეტასა და ჩვენებას სისხლის სამართლის საქმიდან.

1914 წლის მაისში ტიტე მარგველაშვილი საქართველოში ბრუნდება და 1914-17 წლებში უცხო ენის პედაგოგად მუშაობს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, პარალელურად ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწევა, ისტორიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის წერილებს წერს და ქუთაისსა და თბილისში აქვეყნებს. აქედანვე იწყება მისი პარტიული საქმიანობაც, იგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი კომიტეტის წევრია. 1918 წლის 26 მაისს მან, როგორც საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრმა, ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას. იგი მთავრობის მიერ გატარებული საერობო რეფორმის მთავარი ინსტრუქტორი გახლდათ. 1921 წლის თებერვალში, ოკუპაციამდე ერთი კვირით ადრე, ტიტე მარგველაშვილი გაემგზავრა ბათუმში, იქიდან კი სხვებთან ერთად ჯერ სტამბოლში, საბოლოოდ კი ბერლინში ჩავიდა და იქ დასახლდა. 1922 წელს ძმამ, ვასილ მარგველაშვილმა, საქართველოდან მეუღლე და ქალიშვილიც ჩაუყვანა.*

ემიგრაციაში ტიტე მარგველაშვილი სხვადასხვა სავაჭრო ფირმაში მუშაობდა აგენტ-ექსპედიტორად. პარალელურად წერდა როგორც ისტორიულ-კულტურული, ასევე ანტისაბჭოთა ხასიათის წერილებს და ბეჭდავდა ემიგრანტულ პრესაში. 1941-42 წლებში მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხელმძღვანელობდა პროპაგანდის განყოფილების ე.წ. „ქართულ რედაქციას“, ამზადებდა მასალებს რადიოსათვის. აქვე მუშაობდა მისი ქალიშვილი ელიზავეტაც.

ტიტე მარგველაშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქართველ ემიგრანტთა ცხოვრებაში. იგი 1921-23 და 1941-45 წლებში თავმჯდომარეობდა ბერლინის ქართულ სათვისტომოს, 1933 წელს კი მისი ინიციატივით შეიქმნა *ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია*, რომლის პირველი თავმჯდომარეც თავად იყო.

ომის დამთავრების შემდეგ ტიტე მარგველაშვილი ვაჟიშვილთან (მწერალი და ფილოსოფოსი გივი მარგველაშვილი) ერ-

* ბიოგრაფიული დეტალების დასადგენად, გარდა დაპატიმრებულის ჩვენებისა, ვსარგებლობთ ქართულ-გერმანული არქივის მონაცემებით – http://german-georgian.archive.ge/ka/biography/26/documents

თად ბერლინში დარჩა, ქალიშვილი ელიზავეტა კი ჯერ იტალიაში გაემგზავრა, მოგვიანებით კი – არგენტინაში, ბუენოს-აირესში, სადაც გარდაცვალებამდე (2003 წელი) ცხოვრობდა.

მარგველაშვილები ბრიტანულ სექტორში ცხოვრობდნენ, რაც თითქოს უსაფრთხო უნდა ყოფილიყო მათთვის, მაგრამ 1945 წელს იგი ვაჟიშვილთან ერთად მოტყუებით გადაიყვანეს აღმოსავლეთ ბერლინში, სადაც მამა-შვილი ერთმანეთს დაუშორეს: 18 წლის გივი ჯერ ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს 2 წლით და შემდეგ თბილისში, ნათესავებთან გამოგზავნეს, თავად ტიტე კი საბჭოთა კავშირის სუკ-ის ტყვედ იქცა.

როგორც სისხლის სამართლის საქმის საიდუმლო მასალებიდან ირკვევა, 1946 წლის 21 თებერვალს ქ. ბერლინიდან მოსკოვში გადმოუგზავნიათ დაპატიმრებული ტიტე მარგველაშვილი (ცალკე ბადრაგით გზავნიან მის ვაჟიშვილს). 1946 წლის 28 თებერვალს იგი დააპატიმრეს ქ. მოსკოვში, 15 მარტს კი ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა საქმიანობა და აღმკვეც ზომად მიუსაჯეს პატიმრობა. 20 მარტიდან 5 თვის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს მისი დაკითხვა თუ დაპირისპირება მოწმეებთან. 1946 წლის 21 აგვისტოს *საბრალდებო დასკვნის* მიხედვით, ბრალდებულ ტიტე მარგველაშვილს ანტისაბჭოთა სტატიების წერისა და გამოქვეყნებისთვის, ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა ჯგუფებთან კავშირისთვის, „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ დაარსებისა და თავმჯდომარეობისათვის, ომის დროს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობისა და იქ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის ბრალი დაედო საქართველოს სსრ სსკ-ის 58. 4, 58. 10-ის II ნაწილითა და 58. 11 მუხლებით. 1946 წლის 7-9 სექტემბერს ქ. თბილისში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის დახურული სხდომა, რომელმაც ბრალი დადასტურებულად ჩათვალა და ბრალდებული დამნაშავედ ცნო. მას, როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას, შეუფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა*** მთელი ქონების კონფისკაციით.

როგორც ოქმშია აღნიშნული, ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო სრულად.

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1946 წლის 17 ოქტომბერს.

1990 წლის 31 იანვარს განაჩენი გაასაჩივრეს, მაგრამ საქართველოს მაშინდელმა პროკურატურამ საჩივარი არ დააკმაყოფილა და ტიტე მარგველაშვილს რეაბილიტაცია არ მისცა.

ფონდი 6, საარქივო № 46182, მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძე*

სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატს,
არმიის გენერალს ამხ. მერკულოვს

თქვენი სატელეფონი ბრძანების თანახმად 1946 წ. 21 თებერვალს იგზავნება საიდუმლოდ აყვანილი ემიგრანტი მარგველაშვილი ტიტე.

ამავდროულად გაცნობებთ, რომ მარგველაშვილ ტიტესთან ერთად აყვანილ იქნა მისი 18 წლის ვაჟიშვილი გივი. ეს ღონისძიება გატარებულია ემიგრანტთა შორის მარგველაშვილის შვილთან ერთად ქ. ბერლინიდან დროებით გასვლის შთაბეჭდილების შესაქმნელად.

მარგველაშვილს გერმანიაში ოჯახის სხვა წევრები არ ჰყავს.

მარგველაშვილის შვილი გამოგზავნილ იქნება თქვენს განკარგულებაში ცალკე სპეციალური ბადრაგით.

შსსკ ოპერატიული სექტორის უფროსი ქ. ბერლინში
გენერალ-მაიორი სიდნევი

1 მარტი 1946 წ.

* საქმე, გარდა საბოლოო ოქმისა და განაჩენისა, წარმოებულია რუსულ ენაზე.

დადგენილება

დ ა პ ა ტ ი მ რ ე ბ ა ზ ე

ქალ. მოსკოვი 13 მარტი 1946 წ.

მე, სსრკ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა პოდპოლკოვნიკმა ბოლხოვიტინმა განვიხილე მასალები მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძის შესახებ, დაბ. 1890 წ., მცხ. ქუთაისში, საქ. სსრ, ემიგრანტი, მოქალაქეობის გარეშე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ბერლინის რაიონის ვილმერსდორფის მაგისტრატის მთარგმნელი, მცხ. ქ. ბერლინში, გიუნცელშტრასე №24-ში.

ვპოვე:

სსრკ სუსკ-ის მასალების მიხედვით მარგველაშვილი მხილებულია მასში, რომ საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარებამდე იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, თანამშრომლობდა მენშევიკებთან და მუშაობდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან, ხოლო 1921 წელს საზღვარგარეთ ემიგრაციის შემდეგ იგი მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1921-დან 1935 წლამდე მარგველაშვილი ცხოვრობდა ბერლინში, პარიზის ნაციონალ-დემოკრატიული ცენტრის გაზეთებში „სამშობლოსათვის“ და „საქართველოს გუშაგი“ სისტემატურად წერდა და აქვეყნებდა ანტისაბჭოთა სტატიებს, რომლებშიც იყო ცილისწამება საბჭოთა რუსეთში სახელმწიფო წყობისა და კომუნისტური პარტიის შესახებ.

იმავე პერიოდში და მოგვიანებითაც მარგველაშვილი წარუდგენდა ხოლმე გერმანიის ხელისუფლებას საინფორმაციო მოხსენებებს ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა მუშაობის

შესახებ იმ მიზნით, რომ ორგანიზაციის ანტისაბჭოთა მუშაობა დაეკავშირებინა გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკისათვის.

1934 წელს მარგველაშვილის ინიციატივით ბერლინში დაფუძნდა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ („ქნო“), რომლის ამოცანაც იყო ყველა ქართული ნაციონალისტური დაჯგუფების გაერთიანება ერთ ორგანიზაციაში, რომელიც იბრძოლებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

იყო რა „ქნო-ის“ პირველი თავმჯდომარე, მარგველაშვილმა დაწერა მოხსენება ამ ორგანიზაციის ანტისაბჭოთა მიზნებზე, ასევე მდგომარეობაზე საბჭოთა საქართველოში და წარუდგინა იგი ალფრედ როზენბერგს. გარდა ამისა, იგი იბირებდა ორგანიზაციაში ახალ წევრებს, მანვე ჩამოაყალიბა სამოქმედო პროგრამაც.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს მარგველაშვილი, იყო რა თავმჯდომარე ბერლინის ქართული კოლონიისა, აწყობდა ქართველთა შეკრებებს, რომლებზეც გამოდიოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სიტყვით, ამტკიცებდა, რომ გერმანული ჯარები აუცილებლად დაამარცხებენ წითელ არმიას.

1941 წელს ტ. მარგველაშვილი მუშაობას იწყებს გებელსის პროპაგანდის სამინისტროში და მონაწილეობს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული პროპაგანდის წარმოებაში.

მარგველაშვილის მტრული საქმიანობის შესახებ დაპატიმრებულმა ქართველმა ემიგრანტმა ტოგონიძე ვ. დ.-მ დაკითხვაზე 1946 წლის 11 თებერვალს განაცხადა:

„1941 წელს, გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მარგველაშვილი გერმანელების მიერ შეყვანილ იქნა პროპაგანდის განყოფილებაში. ამის თანამონაწილე იყო მისი ქალიშვილიც... ფაშისტური დაჯგუფების მონაწილე მარგველაშვილი თარგმნიდა გერმანულ პროპაგანდისტულ მასალას ქართულ ენაზე და გადასცემდა მას რადიოთი...

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის მთელი პერიოდის განმავლობაში მარგველაშვილი ანტისაბჭოთა აგიტაციის ჩატარების

მიზნით პერიოდულად აწყობდა ქართული კოლონიის წევრთა შეკრებებს და გამოთქვამდა ცილისწამებებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.“

დაპატიმრებულ ტოგონიძის ჩვენება დასტურდება ასევე დაპატიმრებული ქართველი ემიგრანტის კორნელი მიტროფანეს ძე ხოშტარიას ჩვენებით და სხვა მასალებით.

არსებულის საფუძველზე ვიხელმძღვანელე რა რსფსრ უპკ 146, 158 და 175 მუხლებით,

დავადგინე:

მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძე იქნას დაპატიმრებული და გაჩხრეკილი.

სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსი გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

„ვეთანხმები“ სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე – პოლკოვნიკი შვარცმანი

სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსი – გენერალ-ლეიტენანტი ვლოდზიმირსკი

დადგენილება

აღმკვეცი ზომის არჩევისა

15 მარტი 1946 წ.

მე, სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა პოდპოლკოვნიკმა ბოლხოვიტინმა

განვიხილე შემოსული მასალები დანაშაულებრივი საქმიანობისა: **მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძე.**

ვპოვე: რომ მარგველაშვილი ტ. ფ. ეჭვმიტანილია დანაშაულში გათვალისწინებული სსსრ სისხ. სამ. კოდ. 58/4 და 58/11 მუხ. და მივიღე რა მხედველობაში, რომ

მარგველაშვილი ტ. ფ. -ს

თავისუფლებაში ყოფნა გამოიწვევს ძიებისა და სასამართლოსთვის თავის არიდებას

დავადგინე:

აღმკვეც ზომად ძიებისა და სასამართლოსგან თავის არიდების მიზნით

მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძის მიმართ აერჩიოს პატიმრობა, თანახმად სსრკ უპკ 146-ე მუხ.

რსფსრ უპკ 146-ე მუხ. თანახმად ასლი გადაეგზავნოს პროკურორს და გადაეცეს ციხის უფროსს საპატიმრო პირად საქმეზე დასართავად.

სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსი გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

„ვეთანხმები“ სსსრ სუსკ-ის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილების უფროსი – გენერალ-ლეიტენანტი ვლოდზიმირსკი

დადგენილება მე გამომეცხადა 16 მარტი 1946 წ.
ხელის მოწერა *Т. Ф. Маргвелашвили*

ანკეტა

1. **გვარი, სახელი, მამის სახელი** – მარგველაშვილი ტიტე ფეოდოსის ძე
2. **დაბადების წელი და ადგილი** – 1890 წ. ქ. ქუთაისი, საქართველო
3. **მუდმივი საცხოვრებელი ადგილი** – ქ. ბერლინი, გიუნცელშტრასე 24/25

4. პროფესია და სპეციალობა – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

5. უკანასკნელი სამუშაო ადგილი – ქ. ბერლინი, მაგისტრატის ევროპული ენების მთარგმნელი

6. ეროვნება – ქართველი

7. მოქალაქეობა – 1921 წლიდან მოქალაქეობის გარეშე

8. პარტიულობა – ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1917-1921 წლებში

9. განათლება (მიუთითეთ, რა დაამთავრა) – უმაღლესი, ლაიპციგის უნივერსიტეტი 1914 წ.

10. სოც. და პოლიტ. წარსული – მამა იყო მარგანეცის მეწარმე

11. ნასამართლეობა – არა

12. მონაწილეობა სამამულო ომში – არა

13. იყო თუ არა მოწინააღმდეგის ოკუპირებულ ტერიტორიაზე – არა

14. ოჯახური მდგომარეობა

მამა – მარგველაშვილი ფეოდოსი იოსების ძე, 1865 წ.
დედა – მარგველაშვილი პელაგია სიმონის ასული
ცოლი – მარგველაშვილი, გარდაიცვალა 1932 წ. ბერლინში
შვილები – მარგველაშვილი ელიზავეტა ტიტეს ასული, 1920 წ.
მარგველაშვილი გივი ტიტეს ძე, 1927 წ.

15. დაპატიმრების თარიღი – 28. 02. 1946 წ.

ტიტე მარგველაშვილის დაკითხვის ოქმი

20 მარტი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 22. 00 სთ
დაკითხვა დამთავრდა 23. 30 სთ

კითხვა: თქვენი ოჯახური წარმომავლობა.

პასუხი: დავიბადე 1890 წელს ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკის მუშის, ფეოდოსი მარგველაშვილის ოჯახში. 1896 წლიდან მამამ ჭიათურაში სიმამრთან ერთად მარგანეცის საქმეს მიჰყო ხელი. რამდენიმე წელში გამდიდრდა, მარგანეცის მრეწველი გახდა. ქუთაისში, ჭიშურა-ბროლიქედის დასახლებაში, შეიძინა მამული, ოთხი წყლის წისქვილი, ქალაქ ქუთაისში ორი საცხოვრე-

ბელი სახლი, ოთხი მაღაზია, ასევე ჰქონდა ჭიათურაში მარგანეცის საექსპლოატაციო საწარმო.

კითხვა: სად სწავლობდით?

პასუხი: ჯერ ქუთაისში, ილარიონ მატარაძის კერძო მოსამზადებელ სასწავლებელში, მერე რეალურ სასწავლებელში, 1908-დან 1914 წლამდე კი გერმანიაში, ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

კითხვა: დაამთავრეთ ეს უნივერსიტეტი?

პასუხი: დიახ, დავამთავრე, 1914 წელს ქ. ჰალეში დავიცავი სადოქტორო დისერტაცია.

კითხვა: 1914 წლამდე იყავით სხვა ქვეყნებში?

პასუხი: 1911-12 წლებში ზაფხულის არდადეგებზე ვიყავი შვეიცარიასა და საფრანგეთში, 1914 წელს 3 თვე ვიყავი ლონდონში.

კითხვა: რა მიზნით იყავით საფრანგეთში, შვეიცარიასა და ინგლისში პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში?

პასუხი: აღნიშნულ ქვეყნებში გავემგზავრე ფრანგული და ინგლისური ენების სრულყოფისა და სამეტყველო პრაქტიკისათვის.

კითხვა: როდის დაბრუნდით საქართველოში?

პასუხი: 1914 წლის მაისში ლონდონიდან რუსეთის გავლით.

კითხვა: რას საქმიანობდით საქართველოში?

პასუხი: 1914-დან 1917 წლამდე ვმუშაობდი უცხო ენების პედაგოგად ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ამავდროულად, ვეწეოდი ჟურნალისტურ საქმიანობასაც – ვწერდი ისტორიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის წერილებს და ვბეჭდავდი ქუთაისისა და თბილისის გაზეთებში. ისინი ასახავდნენ ეროვნულ-დემოკრატიული წრეების იდეოლოგიას.

კითხვა: რა ურთიერთობა გქონდათ ამ პარტიასთან?

პასუხი: მე ვმონაწილეობდი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში, პირველივე კონფერენციაზე თბილისში 1917 წელს ამირჩიეს მისი მთავარი კომიტეტის წევრად. შემდეშიც, ემიგრაციაში ყოფნისას, მე დავრჩი ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის ერთგული.

კითხვა: გვიამბეთ თქვენი მოღვაწეობის შესახებ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში 1917 წლიდან საქართველოს გასაბჭოებამდე.

პასუხი: პარტიის იდეოლოგიის შექმნაში მე 1914 წლიდან ვმონაწილეობ. ამ დროიდანვე ვაქვეყნებდი ჩვენი პარტიის ბეჭდვით ორგანოებში მათი იდეოლოგიის ამსახველ სტატიებს. პარტიის დავალებით დავდიოდი საქართველოს ქალაქებში, ვკითხულობდი ლექციებსა და მოხსენებებს. ჩემი პუბლიცისტური მოღვაწეობა, მათ შორის ეროვნულ-დემოკრატიულ პრესაში, ეკუთვნის 1914-1921 წლებს და მიმართულია ძირითადად საქართველოში მარქსიზმის გავრცელებისა და ქართველ მენშევიკთა წინააღმდეგ, რომლებთანაც ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატებს, ეროვნული და საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საკითხებზე უთანხმოება გვქონდა. ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნდა, საქართველოდან რუსული ჯარების გასვლისთანავე შეგვექმნა თავისუფალი სახელმწიფო და არ დაგვეშვა არცერთი უცხო ქვეყნის ჯარი საქართველოში, მათ შორის რუსული და თურქული. მენშევიკები ამაზე ყოყმანობდნენ და ამიტომ გვქონდა მათთან ბრძოლა.

კითხვა: რა საქმიანობას ეწეოდით საქართველოს გასაბჭოების წინა პერიოდში?

პასუხი: 1920 წლის ივლისიდან 1921 წლის თებერვლამდე ვწერდი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის სტატიებს, ვბეჭდავდი გაზეთ „საქართველოში“ და რუსულ „Союза городов Грузии“-ში. 1921 წლის თებერვალში შევადგინე და დავარედაქტირე გაზ. „საქართველო“ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო), ხოლო წითელი არმიის თბილისში შემოსვლამდე ერთი კვირით ადრე გავემგზავრე ქ. ბათუმში, იქიდან გემით „ოლენ“ სხვებთან ერთად დავტოვე საქართველო და გავემართე კონსტანტინეპოლისკენ.

კითხვა: ანუ არ მოისურვეთ საბჭოთა კავშირში ცხოვრება და არჩიეთ საზღვარგარეთ გაქცევა?

პასუხი: დიახ. მე მიმაჩნდა, რომ საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარება ძალადობრივი გზით მოხდა წითელი არმიის დახმარებით. მე ამ ფაქტის მოწინააღმდეგე ვიყავი, რადგან ამაში ვხედავდი საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულების რღვევას. ამიტომ წავედი საზღვარგარეთ.

კითხვა: ამის შემდეგ ემიგრაციაში ეწეოდით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მუშაობას?

პასუხი: მე ვიყავი მტრულად განწყობილი საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა მუშაობის გააქტიურება ჩემი მიზანი არ ყოფილა, რადგან მიმაჩნდა, რომ თანდათან საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების გზით და საქართველოს საკითხის ინტერნაციონალურ მასშტაბში დაყენებით ჩვენ, სსრკ-ის მოწინააღმდგეები, მივაღწევდით ისეთ მდგომარეობას, რომ საქართველო გაგვეხადა თავისუფალი არასაბჭოთა სახელმწიფო. კონსტანტინეპოლში ყოფნის ბოლო კვირას გრიგოლ ვეშაპელმა გამაცნო დეპეშა, რომელიც პარიზიდან მიიღო საქართველოს ელჩის აკაკი ჩხენკელისაგან. მე შემომთავაზეს პარიზში გამგზავრება, რაზეც უარი ვთქვი და გადავწყვიტე, მუდმივ საცხოვრებლად წავსულიყავი გერმანიაში. 1921 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მე მატარებლით გავემგზავრე კონსტანტინეპოლიდან ბერლინში და იქ ვცხოვრობდი, ფაქტობრივად, ქალაქიდან გაუსვლელად.

კითხვა: გვიამბეთ თქვენი ემიგრაციული საქმიანობის შესახებ ბერლინში.

პასუხი: 1922-27 წლებში ვმუშაობდი სავაჭრო ფირმა „იმპექსში“, ვხელმძღვანელობდი ამ ფირმის სოფლის მეურნეობის, ტექსტილისა და სხვა საქონლის გაყიდვებს. 1927 წელს გადავედი გერმანიის სატრანსპორტო-სააქციო საზოგადოება „ფრაბრაში“ აგენტ-ექსპედიტორად 1929 წლამდე. იქიდან გადავედი ფირმა „რემუსში“ ასევე აგენტ-ექსპედიტორად 1932 წლამდე. ცოტა ხანი ვიმუშავე ბერლინის სატრანსპორტო საზოგადოებაში „ოტო და კომპანია“, 1932 წლიდან 1942 წლამდე კი ვიყავი ბერლინში სატრანსპორტო ფირმის „როლანდის და შმიდტის“ აგენტ-ექსპედიტორი. 1943 წელს დავიწყე მუშაობა ბერლინის სააქციო საზოგადოებაში „ლიასენი და კომპანია“ იმავე თანამდებობაზე. ბოლოს კი ბერლინის სისტემატური დაბომბვების გამო ამ საქმიანობას ჩამოვშორდი.

კითხვა: თქვენ ბრალდებული ხართ ემიგრაციაში ყოფნის წლებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტიურ მტრულ საქმიანობასა და უცხოურ დაზვერვასთან კავშირში. აღიარებთ ამას?

პასუხი: მე არასოდეს მითანამშრომლია უცხოურ დაზვერვასთან. ვაღიარებ იმას, რომ მთელი ემიგრაციის პერიოდში მტრულად ვიყავი განწყობილი სსრკ-ის წინააღმდეგ, კერძოდ კი მისი პოლიტიკის გამო საქართველოს მიმართ. ამ ნიადაგზე ვწერდი ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ სტატიებს ქართულ ემიგრანტულ პრესაში. ასეთი ანტისაბჭოთა გამოსვლები მქონდა ბერლინის ქართული კოლონიის წევრთა შეკრებებზეც. მე თავს ვთვლი დამნაშავედ იმაში, რომ 1941-1942 წლებში ომის დროს ოფიციალურად ვმუშაობდი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ვხელმძღვანელობდი გერმანელთა მიერ შექმნილ ე. წ. „ქართულ რედაქციას". ვთარგმნიდი მასალებს, რომლებიც მერე გადაიცემოდა რადიოთი.

კითხვა: რა მასალები იყო ეს?

პასუხი: სხვადასხვა სახის ცილისმწამებლური მასალა, რომელიც ეხებოდა სსრკ-ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, კოლმეურნეობებს, მუშათა ცხოვრებას ფაბრიკა-ქარხნებში. ვაქებდით გერმანიის აგრარულ პოლიტიკას. ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც გერმანიას გამოადგებოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროპაგანდისათვის.

კითხვა: ვინ ახორციელებდა მასალის ბეჭდვას?

პასუხი: მე, გომართელი და ტულუში. ჩემი ქალიშვილი ელიზავეტაც ასევე მუშაობდა მათთან.

კითხვა: ამ სამუშაოს თქვენ გესტაპოსთან ერთად აწარმოებდით?

პასუხი: ჩემი აზრით, გესტაპოს ამასთან კავშირი არ ჰქონდა. ჩვენი ხელმძღვანელი იყო სამინისტროს თანამშრომელი კონრადი, რომელმაც მიგვიწვია ჩვენ.

კითხვა: ახლა გვიამბეთ, რა საქმიანობას ეწეოდით გერმანიის დაზვერვის ორგანოების დავალებით?

პასუხი: კიდევ ერთხელ ვაცხადებ, არც გერმანულ და არც სხვა ქვეყნის დაზვერვასთან არანაირი კავშირი არ მქონია და მათთან არ მიმუშავია. საერთოდ, 1942 წლის მერე სერიოზული

მტრული ანტისაბჭოთა მუშაობა არ მიწარმოებია, თუ არ ჩავთვლით სიტყვით გამოსვლას ბერლინის ქართული კოლონიის შეკრებებზე, რომლებიც იმართებოდა წესისამებრ 25 თებერვალს (საქართველოს გასაბჭოების დღეს), 26 მაისს (საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს) და 29 აგვისტოს (1924 წლის აჯანყების წლისთავებზე). ვაკრიტიკებდი ნოე ჟორდანიას მენშევიკურ მთავრობას, საბჭოთა ხელისუფლების ძალადობას საქართველოზე, ვადანაშაულებდი მას 1920 წლის ხელშეკრულების დარღვევაში...

დაკითხვის ოქმი

1 აპრილი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 14. 35 სთ
დაკითხვა დამთავრდა 16. 10 სთ

კითხვა: გვითხარით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თქვენი სხვა საქმიანობის შესახებ.

პასუხი: მე უკვე გიამბეთ ჩემი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ.

კითხვა: თქვენ გუშინ დაკითხვაზე წარგიდგინეს ბრალი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ოლქების განყოფილებასთან და გესტაპოსთან თანამშრომლობის გამო, მრავალი წლის მანძილზე და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს ეწეოდით აქტიურ მტრულ საქმიანობას სსრკ-ის წინააღმდეგ, ანუ დანაშაული, გათვალისწინებული რსფსრ სსკ-ის 58. 4 და 58. 6 მუხლებით. გვიამბეთ ამ საქმიანობის შესახებ ყველაფერი.

პასუხი: მე გესტაპოსთან არასოდეს მითანამშრომლია და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ოლქების განყოფილებასთანაც თანამშრომლობის მხრივ არანაირი შეხება არ მქონია.

კითხვა: ძიებისათვის ცნობილია თქვენი მრავალწლიანი თანამშრომლობა გესტაპოსთან და მტრული განწყობა საბჭოთა

კავშირის წინააღმდეგ. გთავაზობთ კიდევ ერთხელ, გვითხრათ სიმართლე.

პასუხი: მე ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს გესტაპოსგან არანაირი ანტისაბჭოთა დავალება არ მიმიღია და შესაბამისად არ შემისრულებია. ვთვლი, რომ ეს ბრალდება რაღაც გაუგებრობით ან ჩემ შესახებ არასწორი ინფორმაციითაა გამოწვეული.

კითხვა: თქვენი დაპატიმრების საფუძველი იყო ძიებისას შემოწმებული მასალები თქვენი მტრული საქმიანობის შესახებ, ამიტომ ნუ ცდილობთ გვერდის ავლას და თქვით სიმართლე.

პასუხი: მე უკვე გითხარით ჩემი ანტისაბჭოთა საქმიანობის შესახებ და დასამატებელი არაფერი მაქვს. გესტაპოსთან არასოდეს მითანამშრომლია და ამის შესახებ სათქმელი არაფერი მაქვს.

კითხვა: გამოძიებას თქვენი არ სჯერა და ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდებით.

ოქმი პირადად წავიკითხე, ჩემი საუბარი ჩაწერილია სწორად:
Маргвелашвили

დავკითხე:
სსრკ სუკ-ის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფ. გამომძიებელი – პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

დაკითხვის ოქმი

16 აპრილი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 22. 00 სთ
დაკითხვა დამთავრდა 24. 00 სთ

კითხვა: წინა დაკითხვებზე თქვენ აჩვენეთ, რომ ბერლინში ცხოვრებისას არაერთხელ გამოგიძახეს გესტაპოში. ეს გამოძახებები უკავშირდება თქვენს თანამშრომლობას გერმანულ დაზვერვასთან?

პასუხი: არავითარ შემთხვევაში, გერმანულ დაზვერვასთან არასოდეს მითანამშრომლია და გესტაპოშიც მიძახებდნენ სხვადასხვა მიზეზით.

კითხვა: საეჭვოა, რომ ეს ასე ყოფილიყო. თუმც აჩვენეთ, რა შემთხვევებში და რა მდგომარეობაში გიწევდათ შეხება გესტაპოსთან.

პასუხი: პირველად 1933 წლის ზაფხულში გამომიძახეს გესტაპოში მისამართზე – ბერლინი, ალბრეხტშტრასე №8. დამკითხა ორმა თანამშრომელმა, თუ რა ურთიერთობა მქონდა ქართველ ემიგრანტებთან – მიხეილ წულუკიძესთან, ნიკო იმნაიშვილთან და ალექსანდრე ნიკურაძესთან, რომლებიც სხვა ემიგრანტთა ან გერმანელთა ცნობების საფუძველზე ეჭვმიტანილნი იყვნენ გერმანელთა მიერ მარქსისტულ და ანტიგერმანულ საქმიანობაში. მე დადებითად დავახასიათე ბერლინის ქართული კოლონიის წევრი ეს პიროვნებები და გამომიშვეს.

კითხვა: რა ბედი ეწიათ იმ ქართველ ემიგრანტებს, ვის შესახებაც დაგკითხეს გესტაპოში?

პასუხი: მათ ემუქრებოდათ გერმანიიდან გასახლება, მაგრამ რამდენადაც ვიცი, არანაირი რეპრესია მათ წინააღმდეგ გესტაპოს არ ჩაუტარებია.

კითხვა: საიდან იცით, რომ გერმანელები აპირებდნენ მათ გასახლებას გერმანიიდან?

პასუხი: ამის შესახებ მითხრეს დაკითხვისას გესტაპოს თანამშრომლებმა, ოღონდ ბერლინიდან გასახლებაზე საუბრობდნენ თუ გერმანიიდან, ზუსტად არ მახსოვს.

კითხვა: გესტაპოს წარმომადგენლები რატომ საუბრობდნენ თქვენთან, ვის უპირებდნენ გასახლებას გერმანიიდან ან ბერლინიდან. იმიტომ ხომ არა, რომ თქვენ მათთან თანამშრომლობდით?

პასუხი: მე არ ვიცი, რატომ მაცნობეს მათ ეს ამბავი, ალბათ იმიტომ, რომ საუბარი იყო გასახლებაზე. ვვარაუდობ, რომ ეს მოთხოვნა იყო მათ ინფორმატორთა განცხადებაში და ამიტომ შეეხნენ დაკითხვაზე.

კითხვა: მხოლოდ ამ ემიგრანტთა შესახებ იყო საუბარი გესტაპოში?

პასუხი: მგონი ამ დაკითხვაზე მკითხეს მიხეილ ყაუხჩიშვილისა და ვალერიან ტოგონიძის შესახებაც – იყო თუ არა პირველი მათგანის ცოლი ებრაელი და სწორია თუ არა, რომ ტოგონიძე არღვევს კოლონიის ცხოვრების სიმშვიდეს.

კითხვა: რატომ ითხოვდნენ ამის გაგებას მაინცდამაინც თქვენგან და არა ბერლინის ქართველთა კოლონიის ხელმძღვანელობისგან ან სხვა ემიგრანტებისგან, ვინც უკეთ იცნობდა ტოგონიძესა და ყაუხჩიშვილს?

პასუხი: ტოგონიძისა და ყაუხჩიშვილის შესახებ გერმანელებს მარტო მე არ დავუკითხივარ. მე მათ მკითხეს, როგორც ქართული კოლონიის ძველ წევრსა და ყოფილ ხელმძღვანელს და როგორც „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციის“ წარმომადგენელს.

კითხვა: კიდევ როდის იყავით გესტაპოში?

პასუხი: 1935-1936 წლებში.

კითხვა: რასთან დაკავშირებით?

პასუხი: გამოძახებით. მაშინ გესტაპოში გამოიძახეს ბევრი ემიგრანტი, მათ შორის მიხაკო წერეთელიც. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, მათ ეკითხებოდნენ: მართლა იყვნენ თუ არა ჩემი მშობლები სულით ავადმყოფნი, ხომ არ ვარ მე მემკვიდრეობით სულით ავადმყოფი და საშიში ელემენტი გერმანიისათვის, მოკლედ, ამოწმებდნენ რაღაც აბსურდულ ინფორმაციას და არკვევდნენ ჩემი გერმანიაში დარჩენის შესაძლებლობას. მე ველოდი გესტაპოში გამოძახებას და მალე გამომიძახეს კიდეც. უარვყავი რა ეს ინფორმაცია, გესტაპოს თანამშრომელს განვუცხადე, რომ ნაციონალ-სოციალიზმის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ არანაირი უარყოფითი საუბარი არ მქონია, მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმები მას და გამომიშვეს. ამ გაუგებრობის შემთხვევითი მოწმე იყო ქართველი ემიგრანტი ფაჩულია, რომელიც დღეს ბერლინში ცხოვრობს.

კითხვა: ხომ არ იგონებთ, როდესაც ამბობთ, რომ გესტაპოში თქვენი გამოძახების მიზეზი იყო იმის გარკვევა, იყავით თუ არა თქვენ მემკვიდრეობით სულით ავადმყოფი?

პასუხი: მე სიმართლეს მოგახსენებთ. გესტაპოში ვიღაცას შეუტყობინებია, რომ ჩემი მშობლები სულით ავადმყოფობის გამო გარდაიცვალნენ და მეც მემკვიდრეობით მაქვს ეს დაავადება. მე მომიწია ამ ვერსიის უარყოფა და მხოლოდ ეს იყო ჩემი გამოძახების მიზეზი გესტაპოში.

ოქმი პირადად წავიკითხე, ჩემი საუბარი ჩაწერილია სწორად: *Маргвелашвили*

დავკითხე:
სსრკ სუკ-ის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფ. გამომძიებელი – პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

დამატებით: გამახსენდა, რომ ნიკურაძე იყო პირველი, ვინც გაიგო, რომ ინფორმაცია მასზე და სხვა ქართველებზე მათი გასახლების მიზნით იყო შეგროვებული. ასე რომ, ესეც მე თავიდან გავიგე არა თანამშრომლებისგან, არამედ ნიკურაძისგან.

ბოლო პასუხის დაზუსტება: ჩემზე ამბობდნენ, ხომ არ მექნება მე ცუდი მემკვიდრეობა. მე აღშფოთებულმა უარვყავი ეს სიცრუე.

დაკითხვის ოქმი

24 აპრილი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 13. 10 სთ
დაკითხვა დამთავრდა 15. 00 სთ

კითხვა: გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც წინა დაკითხვაზე აჩვენეთ, კიდევ როდის იყავით გესტაპოში გამოძახებული?

პასუხი: მესამედ ვიყავი 1937 წელს, როცა ყველა ბერლინში მცხოვრები ქართველი გამოიძახეს და აცნობეს ემიგრანტული ორგანიზაციების მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ. დამკითხა გესტაპოს ორმა თანამშრომელმა.

კითხვა: რაზე?

პასუხი: გესტაპოელები ინტერესდებოდნენ ჩემი პარტიული კუთვნილებით წარსულსა და აწმყოში, მაქვს თუ არა მიმოწერა საქართველოში მცხოვრებ მშობლებთან, ასევე უნდოდათ გაეგოთ, ხომ არ იყო დედაჩემი ებრაელი. დაკითხვის შემდეგ მეც და სხვა ემიგრანტებსაც გამოგვიცხადეს, რომ გერმანიის ხელისუფლება კრძალავდა ემიგრანტული დაჯგუფებების მოღვაწეობას გერმანიის ტერიტორიაზე და რომ არსებობის უფლება ეძლევა მხოლოდ ერთ ქართულ კოლონიას...

კითხვა: ახლა გვითხარით, თქვენ თვითონ, საკუთარი ნებით როდის ეწვიეთ გესტაპოს და ამ დაწესებულების რომელ თანამშრომლებს შეხვდით თქვენი გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობის ნიადაგზე.

პასუხი: როგორც წინა დაკითხვებზე განგიცხადეთ, არანაირი კავშირი გერმანულ დაზვერვასთან არ მქონია.

კითხვა: ცნობილია, რომ ბერლინის ქართველთა კოლონია იყო გესტაპოს დაკვირვების ქვეშ და თქვენ, როგორც კოლონიის ხელმძღვანელს, მჭირდო კავშირი გექნებოდათ გერმანული დაზვერვის თანამშრომლებთან. რატომ დუმხართ ამის შესახებ?

პასუხი: ის, რომ ბერლინის ქართული კოლონია გესტაპოს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ეჭვმიუტანელი ფაქტია. მაგრამ ამასთან უნდა განვაცხადო, რომ ეს დაკვირვება ქართული ემიგრაციის მოღვაწეობაზე ხორციელდებოდა გესტაპოს თანამშრომელთა მიერ არა ჩემზე, როგორც კოლონიის ხელმძღვანელზე და ქართული კოლონიის მმართველობაზე, არამედ „კავკასიის სამმართველოზე“, რომელსაც ხელმძღვანელობდა დოქტორი ლადო ახმეტელი, შემდეგ კი გიორგი კერესელიძე.

კითხვა: რა შეხება გქონდათ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ოლქების განყოფილებასთან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალფრედ როზენბერგი?

პასუხი: ამ სამინისტროში მუშაობდნენ ქართველი ემიგრანტები ვალერიან ტოგონიძე, გიორგი მაღალაშვილი და სხვები. მათ ვხვდებოდი, როგორც კოლონიის წევრებს, საერთო შეხვედრებზე.

ოქმი პირადად წავიკითხე, ჩემი საუბარი ჩაწერილია სწორად:
Маргвелашвили

დავკითხე:
სსრკ სუკ-ის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფ. გამომძიებელი – პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

დაკითხვის ოქმი

24 მაისი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 22. 00 სთ

კითხვა: როგორც გერმანიაში ქართული კოლონიის ხელმძღვანელისთვის, თქვენთვის კარგად იქნებოდა ცნობილი ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ. გვიამბეთ ამის შესახებ დაწვრილებით.

პასუხი: საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომამდე გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტები ანტისაბჭოთა მუშაობაში აქტიურობას არ იჩენდნენ, ხოლო 1941-45 წლებში პირიქით, ზოგი მათგანი აქტიურად თანამშრომლობდა გერმანელებთან. გერმანიაში მცხოვრები მენშევიკური მთავრობის ყოფილი ელჩი დოქტორი ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი 1921 წლიდან გამუდმებულ კავშირში იყო გერმანელებთან, კერძოდ, რაიხსტაგში გერმანული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან და რაიხსტაგის პრეზიდენტ ლობესთან. ამან იქამდე მიგვიყვანა, რომ ახმეტელის მომხრეები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ცნობილი წევრები გერმანულ რაიხსტაგში ბერნშტაინის, კაუტსკისა და სხვათა სახით, ესწრებოდნენ ქართული კოლონიის შეკრებებს, გამოხატავდნენ სიმპათიას ქართველი ხალხის მიმართ და თავიანთ გამოსვლებში მხარს უჭერდნენ ემიგრაციის „განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეას“. ქართული ემიგრაცია მაშინ, გარდა განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ ზოგადი განცხადებებისა, აქტიურ მუშაობას არ ეწეოდა.

ქართული ემიგრაციის პარიზულმა ცენტრმა თავიდან გამოავლინა დიდი ინტერესი გერმანიაში მცხოვრები ემიგრანტებისადმი. პარიზიდან ბერლინში ჩამოვიდნენ ემიგრანტები ჩხეიძე, ნოე რამიშვილი და სხვები, დაესწრნენ ქართული ემიგრაციის შეკრებებს, მაგრამ შემდეგ ეს შეწყდა.

1924 წელს პარიზში ე. წ. „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტის“ შექმნის შემდეგ ახმეტელს სურდა, ასეთივე ორგანიზაცია შექმნილიყო ბერლინში ნოე ჟორდანიას დირექტივებით, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა.

პარიზში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის, გვაზავას მიერ ჩემთვის შემოთავაზებულ წინადადებაზე, მხარი დამეჭირა პარიზის ემიგრაციის „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტისათვის“, მე პირადად უარი განვაცხადე.

ბერლინის ქართველობის უდიდესმა ნაწილმა, რომელიც მაშინ თავს ეროვნულ-დემოკრატებს მიაკუთვნებდა ჩემი, ნიკო ნაკაშიძის, რომან მკურნალისა და სხვათა სახით, გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად ჩვენ არ ვიზიარებდით ზოგიერთი ეროვნულ-დემოკრატის დაახლოებას ქართველ მენშევიკებთან პარიზში, არ ვუჭერდით მხარს „დამოუკიდებელი საქართველოს კომიტეტს“ და ვემიჯნებოდით ამ საქმეს. ეს დადგენილება გავგზავნეთ პარიზში.

1933 წლამდე ბერლინში არსებობდა ქართველ ემიგრანტთა ჯგუფები: ეროვნულ-დემოკრატები, ნაციონალ-ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატები, მაგრამ ისინი მცირერიცხოვანი და ნაკლებადმნიშვნელოვანნი იყვნენ და არაფერს არ საქმიანობდნენ.

1933 წელს ბერლინში ლადო ახმეტელისა და ქართული პარლამენტის ყოფილი წევრის შალვა ქარუმიძის ინიციატივით შეიქმნა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ („ქნო“). ორგანიზაციის წევრთა გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციის პირველ თავმჯდომარედ არჩეული ვიქენი მე, მაგრამ 3 თვის შემდეგ მე გავწყვიტე კავშირი ამ ორგანიზაციასთან.

კითხვა: გვითხარით, რა მიზნებს ისახავდა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ და კერძოდ თქვენ, როგორც თავმჯდომარე, რა საქმიანობას ეწეოდით?

პასუხი: ჩვენი ორგანიზაცია თავიდან ორ ძირითად მიზანს ისახავდა: 1) „ქნო“-ში გაგვეერთიანებინა ბერლინში არსებული ყველა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური დაჯგუფების წევრები და ამით მოგვესპო შესაძლებლობა მიუნხენიდან ბერლინში ჩამოსული ემიგრანტის, ფიზიკის პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძისთვის, შეექმნა ახალი ეროვნულ-სოციალისტური ორგანიზაცია ამ ადამიანებისაგან; 2) შეგვექმნა ერთიანი ბეჭდური ორგანო, რომელიც პოპულარიზაციას გაუწევდა გერმანიაში ქართველებს, მის წარსულსა და ისტორიულ როლს.

„დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს“ იდეისთვის პროპაგანდის გაწევა ჩვენ მაშინ არ შეგვეძლო, რადგან გერმანიაში ეს არ შეიძლებოდა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა ჩემგან, რომ ჩვენს ორგანიზაციას და მთელ კოლონიას საერთო ჯამში არ ეწარმოებინა მტრული საქმიანობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ხაიმ, გერმანიის ყოფილმა ელჩმა სსრკ-ში, ამის შესახებ მითხრა შემდეგი: „ჩვენ, გერმანელები არაფრისთვის არ ვართ მზად, ომი არ შეგვიძლია, გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა ყველაზე უარესია, ამიტომ ახლა ყველაფერი, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესებამდე, დაუშვებელია“.

ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში ორგანიზაციას არანაირი არსებითი პრაქტიკული საქმიანობა არ უწარმოებია, თუ არ ჩავთვლით ხაისგან მიღებულ პირობას, რომ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ შეუშლიდა ხელს ბერლინში ე.წ. „კავკასიის სამმართველოს“ შექმნას, რომელსაც უნდა დაეცვა ქართული კოლონიის ინტერესები და უფლებები. ჩემი წასვლის შემდეგ ორგანიზაციამ შეძლო, გამოეშვა გაზეთი „კლდე“, რომელიც არსებობდა დაახლოებით 1935 წლამდე.

კითხვა: ქართველ ემიგრანტთაგან ვინ ეწეოდა აქტიურ ანტისაბჭოთა მუშაობას „ქართველ ნაციონალიტთა ორგანიზაციაში“?

პასუხი: მე საერთოდ არ ვიცი, ეწეოდა თუ არა ორგანიზაცია შალვა ქარუმიძის ხელმძღვანელობით რაიმე ანტისაბჭოთა

საქმიანობას, გარდა გაზეთ „კლდის“ რედაქტირებისა. ამიტომ არ შემიძლია ამ შეკითხვაზე გაგცეთ პასუხი.

კითხვა: რას წარმოადგენდა შინაარსობრივად გაზეთი „კლდე“, რომელსაც გამოსცემდა „ქართველ ნაციონალიტთა ორგანიზაცია“ ბერლინში?

პასუხი: არაფერს განსაკუთრებულს. მასში იბეჭდებოდა ძირითადად ისტორიული ხასიათის სტატიები, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა XVIII საუკუნეში, 1783 წლის ტრაქტატი, თამარ მეფის შესახებ სტატიები და სხვა.

კითხვა: გამოძიებას აქვს ცნობები, რომ გაზეთ „კლდეში“ სისტემატურად იბეჭდებოდა ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური სტატიები და ამ მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ მთელი რიგი ქართველი ემიგრანტები. ეს ეწინააღმდეგება თქვენს ჩვენებას, თითქოს „ქართველ ნაციონალიტთა ორგანიზაცია“ არანაირ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ეწეოდა და მისი ბეჭდური ორგანოც მხოლოდ ისტორიული ხასიათის ნაწერებს აქვეყნებდა. რატომ მალავთ ჭეშმარიტ ფაქტებს და კონკრეტულ პირებს, რომლებიც მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ სსრკ-ის წინააღმდეგ იმ პერიოდში?

პასუხი: ჩემი მიზანი არ არის რაიმეს დამალვა და ვაცხადებ, რომ ჩემი წამოსვლის შემდეგ „ქართველ ნაციონალიტთა ორგანიზაციიდან“ მე მისით აღარ ვინტერესდებოდი და მისი წევრების საქმიანობის შესახებ არაფერი ვიცი. რაც შეეხება გაზეთ „კლდის“ ნომრებს, მე მათ არასოდეს ვკითხულობდი. ემიგრანტ ხოშტარიას მიერ ჩემთვის შემთხვევით ნაჩვენები გაზეთ „კლდის“ ერთ-ერთ ნომერში ვნახე თამარ მეფის სურათი და რაღაც დაწერილი საქართველოზე. ერთხელაც ემიგრანტმა მიხეილ წერეთელმა სხვა ნომრიდან წამიკითხა რაღაც ნაწყვეტი, რაც მეხებოდა პირადად მე.

კითხვა: კიდევ რომელი ქართული ემიგრანტული ორგანიზაციები არსებობდა ბერლინში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომამდე?

პასუხი: ამ პერიოდში ბერლინში არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ მიხეილ წერეთლის შვილის, ოთარ

წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელშიც შედიოდნენ ემიგრანტები: არჩილ გომართელი, ლეო ჭეიშვილი, დიტო ჯაფარიძე და ალექსანდრე ალანია.

ქართველი მენშევიკების ჯგუფი: ალექსანდრე კორძაია, ნიკო იმნაიშვილი, მიხეილ წულუკიძე, გიორგი საჯაია, დავით ბერძენიშვილი, ალექსანდრე ფაჩულია, გელა გელაზანია და სხვ.

სოციალ-ფედერალისტების ჯგუფი: დოქტორი მიხეილ ყაუხჩიშვილი, ვალერიან ტოგონიძე.

გაიდარ ბამატის ჯგუფი: დოქტორი ლადო ახმეტელი და შალვა ამირეჯიბი.

ყველა ეს ჯგუფი, გარდა ბამატისა, ნომინალურად არსებობდა და 1937 წელს გერმანიის მიერ ლიკვიდირებულ იქნა. ბამატის ჯგუფი არსებობდა ბერლინში 1937-1939 წლებში და გამოსცემდა ანტისაბჭოთა ჟურნალ „კავკასიას“ ქართულ და გერმანულ ენებზე, მაგრამ ზემოხსენებულ პირთა წასვლის შემდეგ ორგანიზაცია დაიშალა.

კითხვა: რომელმა ემიგრანტულმა დაჯგუფებებმა გააააქტიურეს თავიანთი საქმიანობა ომის დროს?

პასუხი: ომის დაწყების შემდეგ ბერლინში მხოლოდ ერთმა ქართულმა ფაშისტურმა ორგანიზაციამ განაახლა არსებობა – „თეთრმა გიორგიმ“. ეს იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ოფიციალურად თანამშრომლობდა გერმანელებთან ანტისაბჭოთა მუშაობაში.

კითხვა: ვინ იყო „თეთრი გიორგის“ ორგანიზატორი და ხელმძღვანელი?

პასუხი: ორგანიზაციის სულისჩამდგმელი იყო ლეო კერესელიძე (დაიღუპა 1943 წელს), მის შემდეგ კი მიხეილ წერეთელი. წევრები ორგანიზაციისა ომის დროს იყვნენ ქართველი ემიგრანტები: კალე სალია, დიტო ჯაფარიძე, ვალერიან ტოგონიძე, ვლადიმერ ცხომელიძე, გიორგი მაღალაშვილი, არჩილ გომართელი და კიდევ რამდენიმე პირი პარიზიდან ბერლინში ჩამოსული (გვარები არ მახსოვს).

ისინი ძირითადად მუშაობდნენ გერმანული საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ოლქების ქართულ განყოფილე-

ბაში... მაღალაშვილის ხელმძღვანელობით უშვებდნენ ანტისაბ-ჭოთა ჟურნალს „ქართველი ერი“.

კითხვა: უშუალოდ ვინ თანამშრომლობდა ამ ჟურნალთან ქართველ ემიგრანტთაგან?

პასუხი: არ მახსოვს, მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ მაღალაშვილი ამ საქმეს გარეშე პირებს არ ანდობდა.

დაკითხვა დამთავრდა 1. 20 სთ-ზე
25. V. 1946 წ.

ოქმი პირადად წავიკითხე, ჩემი საუბარი ჩაწერილია სწორად:
Маргвелашвили

დავკითხე:
სსრკ სუკ-ის განსაკუთრებულ საქმეთა საგამოძიებო ნაწილის უფ. გამომძიებელი – პოდპოლკოვნიკი ბოლხოვიტინი

დაკითხვის ოქმი

31 ივლისი 1946 წ.
დაკითხვა დაიწყო 13. 15 სთ
დაკითხვა დამთავრდა 16. 40 სთ

კითხვა: რა არის თქვენთვის ცნობილი ორგანიზაცია ბამატის მოღვაწეობის შესახებ?

პასუხი: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბამატის ნაციონალისტური ორგანიზაცია „კავკასია“ დაფუძნდა 1934 წ. პარიზში კავკასიაში მეფისნაცვლის ვორონცოვ-დაშკოვის ყოფილი ჩინოვნიკის გაიდარ ბამატის მიერ. ამ ნაციონალურ ორგანიზაციაში შედიოდნენ:

1. ამირეჯიბი შალვა, ჟურნალისტი, გარდაიცვალა 1943 წ., პარიზში.

2. ავალიშვილი ზურაბ დავითის ძე, ყოფილი სენატორი პეტერბურგში, მენშევიკური მთავრობის იურიდიული მრჩეველი პარიზსა და ლონდონში.

სხვა წევრები პარიზში არ ვიცი.

კითხვა: როგორი ხასიათის წერილები იბეჭდებოდა ჟურნალ „კავკასიაში“?

პასუხი: ჟურნალ „კავკასიაში“ იბეჭდებოდა საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული სტატიები, რომლებშიც გატარებული იყო ნაციონალისტური შეხედულებები.

კითხვა: ნუთუ თქვენ არ დაგიწერიათ სტატიები ჟურნალ „კავკასიისთვის“?

პასუხი: არა, არ დამიწერია, თუმც ბამატმა ორჯერ შემომთავაზა, „კავკასიასთან“ მეთანამშრომლა, კარგ ჰონორარსაც დამპირდნენ, მაგრამ მე უარი ვუთხარი. ჟურნალს აფინანსებდა ქარუმიძე შალვა. როგორც ვიცი, ბამატმა იგივე შესთავაზა მიხეილ წერეთელს, მაგრამ მანაც უარი უთხრა.

ტიტე მარგველაშვილის საქმეში არის უამრავი დაკითხვა როგორც მისი, ასვევე სხვა პირთა: ბიძინა აბულაძის, კორნელი ხოშტარიას, ვალერიან ტოგონიძის. არის ასევე მათი დაპირისპირებების ოქმები.

„ვამტკიცებ“
სსსრ სახ. უშიშროების მინისტრი
გენერალ-ლეიტენანტი რაფავა
21 აგვისტო 1946 წ.

საბრალდებო დასკვნა

საძიებო საქმეზე №8251 მარგველაშვილი ტ. ფ.
ბრალდების შესახებ საქ. სსრ სსკ-ის 58. 4,
58. 10-ის II ნაწ. და 58. 11 მუხლებით

ტიტუს ფეოდოსის ძე მარგველაშვილი დაპატიმრებულია იმის საფუძველზე, რომ იმყოფებოდა რა ემიგრაციაში გერმანიაში, წლების განმავლობაში ეწეოდა მტრულ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მარგველაშვილი საქმის მასალებით მხილებულია მასში, რომ საქართველოში საბჭოთა წყობის დამყარებამდე იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, თანამშრომლობდა მენშევიკებთან და მუშაობდა საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან, ხოლო 1921 წელს საზღვარგარეთ ემიგრირების შემდეგ მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა მტრულ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1921-დან 1935 წლამდე მარგველაშვილი ცხოვრობდა ქ. ბერლინში, სისტემატურად წერდა და ათავსებდა პარიზის ეროვნულ-დემოკრატიული ცენტრის გაზეთებში „სამშობლოსათვის“ და „საქართველოს გუშაგი“ ანტისაბჭოთა სტატიებს, რომლებშიც ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო წყობას და კომუნისტურ პარტიას.

მაშინაც და მოგვიანებითაც მარგველაშვილი წარუდგენდა გერმანიის მთავრობას საინფორმაციო მოხსენებებს ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ მისი გერმანიის აღმოსავლურ პოლიტიკასთან დაკავშირების მიზნით.

1933 წელს ბერლინში მარგველაშვილის ინიციატივით დაფუძნებულ იქნა „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაცია“ („ქნო“), რომლის მიზანიც იყო ყველა ქართული ნაციონალური ჯგუფის გაერთიანება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

იყო რა „ქნო“-ის პირველი თავმჯდომარე, მარგველაშვილმა დაწერა მოხსენება ორგანიზაციის ანტისაბჭოთა მიზნების, ასევე საბჭოთა საქართველოს მდგომარეობის შესახებ და გაუგზავნა იგი ალფრედ როზენბერგს. გარდა ამისა, მან გააერთიანა ორგანიზაციაში ახალი წევრები და ჩამოაყალიბა მისი პროგრამა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს, იყო რა ბერლინის ქართული კოლონიის თავმჯდომარე, მარგველაშვილი აწყობდა ქართველთა შეკრებებს, რომლებზეც მისი გამოსვლები მიმართული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და „ასაბუთებდა“, რომ გერმანული ჯარები უთუოდ დაამარცხებდნენ წითელ არმიას.

1941 წელს მარგველაშვილმა მუშაობა დაიწყო საგარეო საქმეთა სამინისტროში და თანამშრომლობდა გერმანელებთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული პროპაგანდის წარმოებაში. მისი ამ საქმიანობის შესახებ დაკითხვაზე 11/II-1946 წ. განაცხადა ქართველმა ემიგრანტმა ვ. დ. ტოგონიძემ.

ბრალდებულმა მარგველაშვილმა თავისი მტრული ანტისაბჭოთა მუშაობის შესახებ განაცხადა დაკითხვებზე 10/VI-46 წ. და 15/VIII-46 წ.

ბრალდებული ტ. ფ. მარგველაშვილი მისთვის წაყენებულ ბრალში თავს ცნობს სრულად დამნაშავედ, ასევე მხილებულია სხვა დაკავებულთა – ვ. დ. ტოგონიძის, კ. ი. ხოშტარიასა და ბ.ვ. აბულაძის – ჩვენებებით.

ზემოთქმულის საფუძველზე **ბრალი ედება:**

მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძეს, დაბადებულს 1890 წ., მცხ. ქ. ქუთაისში, სსსრ, ემიგრანტს, მოქალაქეობის გარეშე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, ბერლინის ვილმერსდორფის მაგისტრატის მთარგმნელს, მცხ. ქ. ბერლინში, გიუნცელშტრასე №24-ში

მასში, რომ

1. იმყოფებოდა რა ემიგრაციაში ბერლინში, ათავსებდა თავის ანტისაბჭოთა სტატიებს პრესაში, გამოდიოდა ანტისაბჭოთა მოწოდებებით და ჰქონდა კავშირი ქართული ემიგრაციის ანტისაბჭოთა ჯგუფებთან;
2. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციისა“ და მისი პირველი თავმჯდომარე.
3. მე-2 იმპერიალისტური ომის დროს მუშაობდა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, თარგმნიდა ანტისაბჭოთა ხასიათის ტექსტებსა და სტატიებს, ასევე სამჯერ გამოვიდა რადიოთი ანტისაბჭოთა სიტყვით.

ანუ, ჩაიდინა დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58. 4, 58. 10-ის II-ის ნაწ. და 58. 11 მუხლებით.

საბრალდებო დასკვნა შედგენილია 16 აგვისტოს 1946 წ.

სსსრ სუკ-ის მე-2 განყ. უფრ. მოადგილე მაიორი თავდიშვილი

„ვეთანხმები“ სსსრ სუკ-ის სპეცგანყ. უფროსი პოლკოვნიკი მანია

ც ნ ო ბ ა

ბრალდ. მარგველაშვილი ტ. ფ. დაპატიმრებულია 28/II-46 წ. და იმყოფება სსსრ სუკ-ის შინაგან ციხეში.

ოქმი №1 (ქართულ ენაზე)

საქ. სსრ უმაღლესმა სასამართლომ დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ი. ს. ოდიშვილი

სახალხო მსაჯულნი: კაციტაძე, ბეგიაშვილი

პროკურორი ბოთერაშვილი

მდივანი ზაიჩიკი

განიხილა საქმე ბრალდებისა გამო მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძისა, დანაშაული გათვალისწინებული სსსრ სსკ-ის 58. 4, 58. 10-ის II ნაწ. და 58. 11 მუხლებით.

სასამართლოს სხდომა დაიწყო დღის 1 საათზე და 40 წუთზე.

შინაციხიდან წარმოდგენილი იქნა პატიმარი მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძე.

თავმჯდომარე შეუდგა ბრალდებულის ვინაობის შემოწმებას, რომელმაც სასამართლოს შემდეგი ცნობები მისცა:

მარგველაშვილი ტიტუს ფეოდოსის ძე, დაბ. 1890 წ. ქ. ქუთაისში, უმუშევრადმყოფი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ბერლინის მაგისტრატის ვილმერსდორფის რაიონის მთარგმნელი, დაპატიმრებამდე ცხოვრობდა ქ. ბერლინში, გიუნცელშტრასე №24.

საბრალდებო დასკვნას გაეცნო დროზე.

იცავს ადვოკატი შავლაძე.

თავმჯდომარემ გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა, განუმარტა ბრალდებულს ბრალდების შინაარსი და შეეკითხა, თუ ცნობს ის თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალში.

ბრალდებული მარგველაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს მთლიანად.

განაჩენი (ქართულ ენაზე, სტილი დაცულია)

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1946 წლის 7-9 სექტემბერს ქალ. თბილისში დახურულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ი. ს. ოდიშვილი

სახალხო მსაჯულნი: კაციტაძე, ბეგიაშვილი

პროკურორი ბოთერაშვილი

ადვოკატი შავლაძე

მდივანი ზაიჩიკი

განიხილა საქმე №8251 ბრალდებისა გამო ***ტიტე (ტიტუს) ფეოდოსის ძე მარგველაშვილის***...

განიხილა რა წინასწარი გამოძიების მიერ შეგროვილი მასალები და მოისმინა სასამართლოს პროცესი, სამართალში მიცემულისა და მოწმეთა ჩვენებები, სასამართლოს კოლეგია უდაოდ დადასტურებულად სთვლის შემდეგს:

სამართალში მიცემული ტ. ფ. მარგველაშვილი ჯერთ კიდევ 1921 წელში, საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების დამხობის შემდეგ გადავიდა საზღვარგარეთის ემიგრაციაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბურჟუაზიულ პრესაში ათავსებდა ანტისაბჭოთა ხასიათის წერილებს. გამოდიოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო მოხსენებებით და კავშირი ქონდა ქართველი ემიგრაციის ანტისაბჭოთა ჯგუფებთან.

იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი თავმჯდომარე ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციისა, რომელიც არსე-

ბობდა ქ. ბერლინში და რომელშიც, როგორც ცნობილია, გაერთიანებული იყო საბჭოთა ხელისუფლებისადმი აგრესიულად განწყობილი ქართველ ემიგრანტთა ჯგუფები.

მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში სამართალში მიცემული ტ. ფ. მარგველაშვილი მუშაობდა ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც სთარგმნიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ფურცლებს და წერილებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, ვრცელდებოდა ქართველ ტყვეთა შორის, აგრეთვე იგი სამჯერ გამოვიდა რადიოთი და წარმოთქვა ანტისაბჭოთა ხასიათის სიტყვები.

ყველა ზემოაღნიშნული დადასტურებული არის საქმეში არსებული მასალებით.

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამართალში მიცემული ტ. ფ. მარგველაშვილი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე წარმოადგენდა და წარმოადგენს მუშათა კლასის მოძრაობის და საბჭოთა ხელისუფლების მტერს და სთვლის მას, როგორც სოციალურად საშიშ ელემენტს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 319-320 მუხლებით,

დაადგინა:

მარგველაშვილი ტიტე (ტიტუს) ცნობილი იქნეს დამნაშავედ სსკ-ის 58. 4, 58. 10-ის II ნაწ. და 58. 11 მუხლებით და როგორც სოციალურად საშიშ პიროვნებას შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა*** მთელი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და განსაჩივრებას საკასაციო წესით არ ექვემდებარება.

თავმჯდომარე: ოდიშვილი
წევრნი – სახ. მსაჯულნი: 1. კაციტაძე
2. ბეგიაშვილი

განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1946 წლის 17 ოქტომბერს.

მოგვიანებით განაჩენი გაუპროტესტებიათ, მაგრამ 1990 წლის 31 იანვარს საქართველოს მაშინდელმა პროკურატურამ საჩივარი არ დააკმაყოფილა: „ტ. ფ. მარგველაშვილის დანაშაული მთლიანად დადასტურებულია და მის მიმართ გამოტანილი სასამართლოს განაჩენი კანონიერია და მისი გაპროტესტების საფუძველი არ არსებობს“. საქმეს ხელს აწერენ: საქ. სსრ პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში გამოძიებაზე ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი გ. ა. დარბაიძე, საქ. სსრ პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში გამოძიებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ვ. ს. გელაშვილი.

გივი მაღულარია

მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი გივი მაღულარია 1926 წელს ქ. თბილისში დაიბადა. 1944 წელს დაამთავრა თბილისის რკინიგზის მეორე საშუალო სკოლა. 1945 წელს კი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. თუმცა სწავლა მან მეტად სერიოზული მიზეზის გამო შეწყვიტა. მეოთხე კურსზე ყოფნის დროს, ანუ 1948 წლის ოქტომბერში, სტალინური პოლიტიკის კრიტიკაში „მხილებულ“ ახალგაზრდებთან ერთად გივი მაღულარიას აპატიმრებენ. მათთვის წაყენებული ბრალდება ასე იყო ჩამოყალიბებული: „მცდელობა შეიარაღებული აჯანყებისათვის, ტერორის მცდელობა, აგიტაცია და პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ მოწოდებას, ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და განხორციელებისათვის“. იმავე წლის 8 მარტს საქართველოს შინაგან საქმეთა ჯარების სამხედრო ტრიბუნალმა 10 კაციან ჯგუფს, რომელშიც გივი მაღულარიასთან ერთად შედიოდნენ შოთა ჯიჯაძე, ალეკო მელაძე, ჟორეს (გიორგი) ცინცაძე, იური მაჩაიძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარაშვილი, თენგიზ ზალდასტანიშვილი, ოტია პაჭკორია, მიუსაჯა თავისუფლების 25 წლით აღკვეთა და გადასახლება. გივი მაღულარიას სასჯელის მოხდა მოუწია ყაზახეთში, ყარაგანდის ოლქის ჯესკაზგანის უდაბნოში, სპეციალურ ბანაკ

„სტეპლაგერში“. თავის მოგონებებში დაპატიმრების წინა-პირობას გ. მაღულარია ასე ხსნის: „ომის შემდეგ, 1947-48 წლებში, ჩვენ უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის მე-სამე-მეოთხე კურსის სტუდენტები, ყოველივეს ვხედავდით, ვფიქრობდით იმაზე, თუ რა გზით გვეშველა ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის. ვიკრიბებოდით და ვმსჯელობდით, რა გვეღონა, რა მოგვემოქმედა იმ უზარმაზარი მანქანის შესაჩერებლად, ქართველ ხალხს გასრესას რომ უქადდა. მაგრამ ვიღაცამ ჩვენი „შეთქმულება“ გასცა და ჩვენ ... სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ციხეში აღმოვჩნდით“ (კვერენჩხილაძე 2017: 394). საბჭოთა ხელისუფლებისადმი საკუთრივ თავისი და ქართული საზოგადოების განწყობილებაზე კი ასე წერს: „ჩემზე ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ომის პერიოდმა. მაშინ მოზარ-დი ვიყავი. ცხოვრებამ დიდი სისაძაგლეები გამოაჩინა როგორც ხელმძღვანელობის და ადმინისტრაციის, ისე მოქალაქეების მხრიდან. ის, რაც ადრე მიღებული იყო, თანდათან ჩაისახა, კრი-ტიკული აზროვნების შედეგად გაფართოვდა და ჩამოყალიბდა აზრი, რომ ტოტალიტარული წყობა და რეჟიმი იყო უვარგისი, დამთრგუნველი და არაპროგრესული. ეს პროცესი შეიძლება იმანაც გამოიწვია, რომ ომს, სადაც ამდენი სისხლი დაიღვარა, ამდენი მსხვერპლი შეეწირა, შეღავათი უნდა მოჰყოლოდა, მაგ-რამ ეს ასე არ მოხდა. არავითარი შეღავათი, არავითარი რეჟი-მის შესუსტება და კულტურული წინსვლა. ამას მოჰყვა მძაფრი წინააღმდეგობა“ (მაღულარია 1992).

გივი მაღულარიასთან ერთად გადაასახლეს ცნობილი კრი-ტიკოსი ოტია პაჭკორია და მთარგმნელი თენგიზ ზალდას-ტანიშვილი. ისინი 1948 წელს შექმნილ ბანაკთან განლაგებულ სპილენძის მაღაროებში 10 საათის განმავლობაში მუშაობდნენ (კვერენჩხილაძე 2017: 399). არადა, ახალგაზრდები თურმე მარ-თლა იკრიბებოდნენ საჯარო ბიბლიოთეკის ქვედა სართულზე, თამბაქოს მოწევისთვის განკუთვნილ ერთ ბნელ კუთხეში და პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობდნენ. ამიტომაც თავიანთ თავს „საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორგანიზაციას“ უწოდებდნენ. ძნელი სათქმელია, რა უნდა დაეპირისპირებინათ კბილებამდე შეიარაღებული სტალინური რეჟიმისთვის წიგ-

ნზე შეყვარებულ ამ ახალგაზრდებს. სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლის უფლება, რომელიც კონსტიტუციაში იყო ჩაწერილი, მათთვის ერთგვარი ორიენტირი ყოფილა, რაზედაც ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, ჟორეს ცინცაძეს, გამომძიებელმა იოსებ ჭავჭანიძემ თურმე ცინიკურად უთხრა: ეს მუხლი დაწერილია არა შენთვის, არამედ უცხოელებისთვის, შე ყეყეჩოო.

ბანაკში გატარებულმა წლებმა, ცხადია, დიდი დაღი დაასვა ამ ახალგაზრდებს. ოტია პაჭკორია საერთოდ გაურბოდა თურმე გადასახლების თემაზე საუბარს, გივი მაღულარიამ კი მოგვიანებით, კერძოდ კი, 1961 წელს, რომანი, სახელწოდებით „უკუქცევა“ დაწერა და თავისი ცხოვრების ამ ურთულეს პერიოდს მიუძღვნა. აი, რას ვკითხულობთ ამ რომანის ანოტაციაში: „ავტორი ჯერ მხოლოდ ოცდაორი წლის ბიჭი იყო, როცა დააპატიმრეს და ციმბირის გზას გაუყენეს. მომავალმა მწერალმა ჯესკაზგანის სპეცბანაკში რვა წელი დაჰყო. 1956 წელს მშობლიურ თბილისში დაბრუნებისთანავე შეუდგა იგი ამ წიგნის წერას, რომელშიც დაუფარავად, შეულამაზებლად არის მოთხრობილი საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკის პატიმართა დუხჭირი ცხოვრებისა და არაადამიანური ტანჯვის შესახებ“ (მაღულარია 1996:). რომანში აგრეთვე აღწერილია დამსჯელი ორგანოების თვითნებობა და სისასტიკე, რომელიც ავტორმა პირადად იწვნია. რევაზ ინანიშვილმა რომანი ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე, ანუ 1996 წლამდე წაიკითხა და თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „ეს რომანი წავიკითხე ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ და მაშინვე ვყვიროდი, რომ „უკუქცევა“ გაცილებით უკეთესი ნაწარმოებია, ვიდრე სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“. მე იმასაც ვყვიროდი და ვიყვირებ ახლაც: „უკუქცევა“ შედევრთაგანია მდიდარ ციმბირულ საბანაკო ლიტერატურაში...“ (ინანიშვილი 2005).

ვინ იცის, საბოლოოდ რა ბედი ეწეოდათ გადასახლებულებს, გაუძლებდნენ თუ არა ისინი ყოველდღიურ უმძიმეს ფიზიკურ შრომას, უპერსპექტივობის მტანჯველ განცდას, რომ არა 1953 წლის მარტში ბელადის გარდაცვალება. შედეგად, გივი მაღულარია სხვებთან ერთად მშობლიურ თბილისს 1956 წელს დაუბრუნდა და მალევე აღიდგინა თავი უნივერსიტეტში. სწავ-

ლის დამთავრების შემდეგ იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მთარგმნელად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრაზე ჯერ ლექტორად, შემდეგ კი პროორექტორის თანაშემწედ სამეცნიერო დარგში, ჟურნალ „ხელოვნების“ თეატრალური განყოფილების გამგედ.

ლიტერატურული მოღვაწეობა გივი მაღულარიამ დაიწყო 1966 წელს, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა მისი პირველი წერილი ჰაინრიხ ბიოლის რომანის „კლოუნის თვალით“ შესახებ. ამას მოჰყვა წერილები ბესიკ ხარანაულის „ხეიბარი თოჯინას“, მარსელ პრუსტის, კონსტანტინე გამსახურდიას, ომარ ხაიამის, ფიოდორ დოსტოევსკის „წერილები მკვდარი სახლიდან“, მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ შესახებ და არაერთი მწვავე პუბლიცისტური სტატია, რომლებშიც უკომპრომისოდ განიხილებოდა თავისუფლებისთვის ქართული საზოგადოების მზაობის პრობლემატური საკითხები. ლიტერატურულ წრეებში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა გ. მაღულარიას მოთხრობამ „მეამბოხენი“ (1973 წ.). 2008 წელს კრიტიკოსმა თამაზ ვასაძემ მის მიერ შედგენილ „კრიტიკის სასკოლო ქრესტომათიაში“ კ.გამსახურდიას, ა. ბაქრაძის, ნ. კაკაბაძის, გ. კანკავასა, თ. დოიაშვილის გამორჩეულ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებს შორის მოათავსა მ. ჯავახიშვილის შემოქმედების გ. მაღულარიასეული ანალიზიც, რაც ავტორის მრავალწლიანი შრომის დადებით შეფასებასთან ერთად მისი, როგორც ლიტერატურათმცოდნის აღიარებას ნიშნავდა.

მხოლოდ 1996 წელს, მწერლის გარდაცვალების შემდეგ, რომან „უკუქცევას“ დაბეჭდვა ეღირსა (პირველი პუბლიკაცია 1989 წლის ჟურნალ „ცისკრის“ №5-8-ში განხორციელდა). ამ რომანზე მაღალი აზრის იყო ოტია პაჭკორია, რაც თავის დროზე (ო.პაჭკორია 1984 წელს გარდაიცვალა) შემდეგი სიტყვებით გამოხატა – „მოვიდა მწერალი“, ხოლო გურამ გეგეშიძემ, რევაზ ინანიშვილის მსგავსად, აღიარა წიგნში აქცენტირებული თავისუფლების თემის უჩვეულო, თუმცა ღრმა და ადეკვატური გადაწყვეტა. „უკუქცევის“ პერსონაჟი, ციხიდან

გაქცეული პოლიტპატიმარი, რომელსაც თავისუფლებაზე საიმედო თავშესაფარი ელოდება, მოულოდნელად უკან, ბანაკში, ბრუნდება. რთული ფსიქოლოგიური დრამა, რომელიც ამ პიროვნების სულიერ სამყაროში თამაშდება, უთუოდ განპირობებულია თავისუფლების ხარისხის განსხვავებულობით ე.წ. „ზონაზე“ და გარეთ. ირკვევა, რომ სამუდამო პატიმრობას შეგუებული ახალგაზრდები, მარტოდმარტო მდგარნი თავიანთი ბედისა და ღვთის წინაშე და ამ მარტოობაში შინაგანად გაძლიერებულ-განმტკიცებულნი, უფრო დაცულად გრძნობდნენ თავს საპატიმროში, ვიდრე საკუთარ სახლში, სადაც ყოველი მხრიდან რეჟიმის მიერ დანერგილი შიში და ხვალინდელი დღის წინაშე გაურკვევლობის დაუძლეველი შეგრძნება აღწევდა.

კრიტიკოსმა როსტომ ჩხეიძემ გ. მაღულარიასადმი მიძღვნილ წერილში „ხვედრი“ საინტერესო პარალელი გაავლო ბაირონის „შილიონის პატიმარსა“ და „უკუქცევის“ მთავარი პერსონაჟის, ჯუანშერ სამთავნელის, არაორდინალურ გადაწყვეტილებებს შორის. მანვე გულისტკივილით აღნიშნა, რომ იმ პერიოდში რუსი დისიდენტების გამბედაობით აღფრთოვანებულმა ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა თითქმის არაფერი იცოდა საკუთარ თანამემამულეთა მიერ შექმნილ ანტიტოტალიტარულ ტექსტებზე (ჩხეიძე 1996).

გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში გ. მაღულარიამ ერთ-ერთ ინტერვიუში ეროვნული მოძრაობის არსებულ შინაარსსა და მომავლის მიზნებზე ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „მე მგონი, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამთავრდა და დამთავრდა მაშინ, როცა ხელისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო. სადაც იწყება ხელისუფლებისთვის ბრძოლა, იქ მთავრდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რადგან ბრძოლის მიზანი იცვლება... ერთდაერთი გამოსავალი ის არის, რომ საქართველოში დემოკრატიული წყობა უნდა დამყარდეს... შენ რომ ჩამორჩე სხვა ხალხების ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ, რომ შენი დრომოჭმული და დახავსებული ტრადიციები შეინარჩუნო, ეს თვითმკვლელობის ტოლფასია“ (მაღულარია 1992).

გივი მაღულარია 1995 წელს გარდაიცვალა. რწმენა საკუთარი ქვეყნისადმი, რომელიც მან არსებულ პირობებში შეინარჩუნა, მისი, როგორც პროტესტანტული სულის მქონე ადამიანის მაღალზნეობრიობაზე მეტყველებს.

გივი მაღულარიას საქმე სშსს არქივში არ ანახება. არის მხოლოდ ანალიტიკური განყოფილების სააღრიცხვო ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ:

გვარი – მაღულარია
სახელი – გივი
მამის სახელი – ნოეს ძე
დაბადების წელი – 1926
დაბადების ადგილი – ქ. თბილისი
მისამართი – ქ. თბილისი, ტრამვაის შესახვ. №8
პროფესია (სპეციალობა) – არა აქვს
სამუშაო ადგილი, თანამდებობა – სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი
კომკავშირის წევრი
ეროვნება – ქართველი
მოქალაქე – სსრკ
დაპატიმრებულია – 1948 წ. 27/X
დანაშაულის ხასიათი – არალეგალური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის წევრი
გასამართლებულია – საქ. სსრ სისხლის სამართლის 19-58-2, 10-58-8, 56 – 10 მუხლებით
ბარათი შევსებულია – საქ. შინსახკომის ჯარების სამხედრო ტრიბუნალის მიერ
როდის – 1949 წ. 8/III, 19-58-2, 19-58-5, 58-10 მუხლებით
მიესაჯა – 25 წელი, 5 წლით საარჩევნო უფლების ჩამორთმევით და ქონების კონფისკაციით

1949 წ. 20/X ეტაპირებულ იქნა სსრკ შსს საველე ბანაკ სადგურ ნოვორუდნაიაში.

გათავისუფლდა – 1956 წ. 28/V №28 ოქმის ამონაწერიდან 1956 წ. 25/III ბრძანებულების საფუძველზე.

დამოწმებანი:

ინანიშვილი 2005: ინანიშვილი, რ. „მარტო ჩემთვის აღარც თავისუფლება მინდა“. *გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“*, 14/05. 2005,

კვერენჩხილაძე 2017: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა*, წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

მაღულარია 1992: მაღულარია, გ. „ასე იწყებოდა“. *გაზ. „დედამიწა“.* 14/03. 1992.

მაღულარია 1992: მაღულარია, გ. *უკუქცევა.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1996.

ჩხეიძე 1996: ჩხეიძე, რ. ხვედრი, ბოლოსიტყვა რომანისთვის „უკუქცევა“, თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1996.

შალვა ნუცუბიძე

შალვა ნუცუბიძე – ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელი, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1918-1921 წლებში, იმ დროის მრავალი სხვა ქართველი ინტელექტუალის მსგავსად, სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში შევიდა; მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების მუშაობაში, იყო პირველი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი. საქართველოს პარლამენტის სხდომებზე თავისი გამოსვლებით მან იშვიათი ორატორის სახელი მოიხვეჭა. თუ მისი მეცნიერული ნაწერები, როგორც წესი, მეთოდური სიმკაცრითა და სისადავით გამოირჩევა, მისი ზეპირი გამოსვლები არტისტიზმით, ხატოვანებითა და ზეაწეული პათოსით ხასიათდებოდა.

შ. ნუცუბიძემ გერმანიაში ხანგრძლივი მივლინების დროს თავისი ორიგინალური ალეთოლოგიის თეორია გამოაქვეყნა წიგნებში „ჭეშმარიტება და შემეცნების სტრუქტურა“ (ბერლინი-ლაიფციგი, 1926) და „ფილოსოფია და სიბრძნე“ (ბერლინი-კენისბერგი, 1931).

1938 წლის 31 აგვისტოს ტაშისკარში ყოფნისას ნუცუბიძე დააპატიმრეს. იმავე წლის ნოემბერში საქართველოს უშიშროების კომიტეტის საბრალდებო დასკვნის თანახმად, რომელსაც ხელს აწერენ შინსახკომის მეოთხე განყოფილების

თანამშრომლები სავიცკი და ქადაგიშვილი, შალვა ნუცუბიძე იყო „საქართველოში ფაშისტური იატაქვეშეთის ცენტრის წევრი. ახორციელებდა ფართო გადმობირებითსა და ფაშისტურ მუშაობას, იცნობდა ამ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ტერორისტულ საქმიანობას და მის კავშირს მემარჯვენე ტროცკისტულ ცენტრებთან. 1925 და 1930 წლებში თავის მივლინებებს საზღვარგარეთ იყენებდა კავშირების დასამყარებლად ქართული ემიგრაციის ლიდერებთან, გერმანიის ფაშისტურ წრეებთან და გერმანიის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენლებთან [...]“. ეს დასკვნა გადაეგზავნა სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას. იმავე წლის 29 ნოემბერს მოხდა მისი ეტაპირება მოსკოვის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში. ნუცუბიძე ხშირად ამბობდა, რომ

სიკვდილს რუსთაველმა გადაარჩინა. მართლაც, საოცრება მოხდა – ნუცუბიძისა და სტალინის ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ დროში ერთმანეთს დაემთხვა! სტალინს სურდა რუსთაველის პოემის ახალი რუსული თარგმანი მიეღო და ეს დაავალა შალვა ნუცუბიძეს, რომელსაც პოემის ქართული ტექსტი საკანში შეუტანეს.მალე გაათავისუფლეს კიდეც მოსკოვიდან გაუსვლელობის პირობით. 1940 წლის 20 ოქტომბერს ნუცუბიძე კრემლში სტალინს შეახვედრეს. სტალინის მიერ არაოფიციალურად რედაქტირებული თარგმანი 1941 წელს მოსკოვში მასიური ტირაჟით დაიბეჭდა.

1942 წელს მოსკოვის საერთო ევაკუაციის დროს შალვა ნუცუბიძეს საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1945 წელს, გერმანიაზე სსრკ-ს გამარჯვების შემდეგ, იგი სუ-

კის თანამშრომლების თანხლებით მოულოდნელად ბერლინში გაგზავნეს იმ ქართველ ემიგრანტებთან შესახვედრად, რომლებთანაც გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ კავშირი დაამყარა. სუკის თანამშრომლებით გარშემორტყმულმა ნუცუბიძემ, რომელიც ასეთ ვითარებაში საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა, შემდეგი ტაქტიკა აირჩია: იგი გამუდმებით ეუბნებოდა ქართველ ემიგრანტებს: მე სტალინისტი ვარ და სტალინმა გამომაგზავნაო.

თავისი თაობის თვალსაჩინო მეცნიერთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ნუცუბიძე არ გამხდარა კომუნისტური პარტიის წევრი. როგორც მისი თანამედროვენი იგონებენ, თავისი ცნობილი საჯარო გამოსვლებით იგი მიძინებულ პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა. ამგვარდვე იქნა აღქმული როგორც საზოგადოების, ასევე კომუნისტური ხელისუფლების მიერ 1948 წელს გამოქვეყნებული მისი წიგნი „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. 1948 წლის აპრილ-მაისში ფილოსოფიის ინსტიტუტში გაიმართა ამ წიგნის განხილვა, რომელსაც თავმჯდომარეობდა პეტრე შარია, საქართველოს კომპარტიის ცეკას პროპაგანდის საქმეთა მდივანი, ხოლო 1930-იან წლებში უშიშროების სამსახურის თანამშრომელი. მომხსენებელი იყო ილარიონ ტალახაძე, 1937 წლების რეპრესიების ე.წ. სამეულის წევრი, 1936-1946 წლებში საქართველოს პროკურორი, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მომხსენებელი ამხელდა ავტორს, როგორც „მარქსიზმის ვულგარიზატორსა“ და „შუასაუკუნეობრივი მისტიკის“ აპოლოგეტს. ნუცუბიძისათვის თანადგომის გამომჟღავნება ვერავინ გაბედა. დისკუსიის შემდეგ ჟურნალ „ბოლშევიკში“ (1948, №8) გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია

„ქართული კულტურის ისტორიის დამახინჯების წინააღმდეგ“, რომელშიც ნუცუბიძეს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა თავს.

1949 წლის 25 აპრილს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის № 10 ბრძანებით ინსტიტუტის ფილოსოფიის განყოფილების გამგე შ. ნუცუბიძე და, აგრეთვე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი სერგი დანელია გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან იმის გამო, რომ „თავიდანვე იდგნენ იდელისტურ თვალსაზრისზე და არიან ავტორები იდეალისტური შრომებისა. მიუხედავად დიდი დროისა, უმთავრესად ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, რომლის განმავლობაშიც, მრავალგზის კრიტიკისა და მითითებათა შედეგად, მათ შეეძლოთ თავიანთი იდეალისტური თვალსაზრისის დაძლევა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე გადასვლა, ისინი მაინც აგრძელებენ ძველ თვალსაზრისზე დგომას, არ იძლევიან მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით გამართლებულ მეცნიერულ პროდუქციას [...]“

1953 წელს ბერიას სასამართლო პროცესზე გაიზიარეს სსრკ პროკურატურის ბრალდება, რომ ნუცუბიძე იყო ბერიას აგენტი, რომელიც ეწეოდა ანტისაბჭოურ, ჯაშუშურ მოქმედებას ფაშისტური გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ.

1953 წლის 22 დეკემბერს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ შ. ნუცუბიძეს ჩამოართვა აკადემიის ნამდვილი წევრის წოდება, ხოლო 25 დეკემბერს იგი გაათავისუფლეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობიდან და აუკრძალეს ლექციების კითხვა. საერთო კრებაზე მისმა ერთ-ერთმა კოლეგა პროფესორმა განაცხადა: „ვწუხვარ, რომ ჩვენს რიგებში აღმოჩნდნენ ასეთი კვალიფიკაციის ადამიანები, რაც გვავალებს ჩვენ უდიდეს დაძაბვას სიფხიზლისა. ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო რექტორის ბრძანების დროული და მართებული ხასიათი“.

ნუცუბიძემ მხოლოდ 1960 წელს მიიღო საკავშირო პროკურატურიდან რეაბილიტაცია. მიუხედავად ამისა, ლექციების კურსი მაინც არ წააკითხეს.

1966 წელს ძალიან უნდოდა, სიტყვა ეთქვა რუსთაველის საიუბილეო სხდომაზე, რომელსაც მრავალი უცხოელი სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ „ზემოთ“ არასასურველად ჩათვალეს საიუბილეო ღონისძიებებში შალვა ნუცუბიძის მონაწილეობა. მეცნიერი ეგზისტენციალისტურ ფილოსოფიაზე მუშაობდა, მაგრამ არც საქართველოში ჩამოსულ ჟან-პოლ სარტრს შეახვედრეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1968 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლის იუბილეზე მის ერთ-ერთ დამაარსებელს სიტყვა არ მისცეს. 1969 წელს შალვა ნუცუბიძე გარდაიცვალა.

მანანა კვატაია

ტერენტი ყიფიანი

1943 წელს პუბლიკაციაში „წყაროსთვალი“ გრიგოლ რობაქიძემ აღტაცებით შეაფასა ქართული ნაციონალური ლეგიონის ყოველკვირეულ გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი ლექსები, რომლებიც ვ. ურდოელისა და ტ. ბარათელის სახელით ქვეყნდებოდა: „ლეგ. ვ. ურდოელი ღრმად გრძნობს საქართველოს წარსულს.. ლეგ. ტ. ბარათელი ცდილობს, ქროლვაში დაიჭიროს ქროლვა ბედისწერისა“. ამ ლექსების რეალური ავტორის ვინაობით პროფესორი გურამ შარაძე მიუნხენში სამეცნიერო მივლინების დროს დაინტერესდა და ქართველი ემიგრანტების, კარლო ინასარიძისა და ილია კუჭუხიძისაგან შეიტყო, რომ აღნიშნული ფსევდონიმებით პოეტი ტერენტი ყიფიანი წერდა. გურამ შარაძემ საზოგადოებას უცნობი შემოქმედის პიროვნება და პოეზია წარუდგინა, რის შემდეგ გაზეთ „ქართველ ერში“ 1991 წლის აგვისტოში (№15) დაიბეჭდა ინტერვიუ სენაკში მოღვაწე პედაგოგთან, ტერენტი ყიფიანთან, რომელშიც ის თავის მძიმე ცხოვრებისეულ გზაზე საუბრობდა. პუბლიკაციაში ყიფიანი აცხადებდა, რომ „ურდოელი“ მისი ფსევდონიმია და რომ მან ის აიღო კონსტანტინე გამსახურდიას დაუმთავრებელი რომანიდან „ევროპა გალიაში“. ამავე გაზეთში ტერენტი ყიფიანის ოთხი ლექსი გამოქვეყნებულა.

ამასთანავე, ყიფიანს გურამ შარაძისათვის წერილი გამოუგზავნია, რომელშიც საკუთარ თავსა და შემოქმედებაზე მოუთხრობდა. კერძოდ, ის შენიშნავდა, რომ „ხუთასი ლექსიდან

ქარიშხალს გადაურჩა მხოლოდ 80 და ერთი „აზრები სხვადასხვა საკითხებზე ფიქრის დროს“ (შარაძე 1993: 232). ტერენტი ყიფიანს მეცნიერისთვის, ასევე, გამოუგზავნია მანქანაზე გადაბეჭდილი 125 გვერდიანი საკუთარი ლექსების კრებული სათაურით „რაც გადარჩა“, რომელშიც 82 ლექსთან ერთად შეტანილი ყოფილა „აზრები სხვადასხვა საკითხებზე ფიქრის დროს, 1954-1960 და 1982 წელი“. პროფესორ შარაძეს წერილით მიუმართავს სენაკელი პედაგოგისათვის და უთხოვია, საკუთარი ცხოვრებისა და პოეზიის შესახებ დაწვრილებით მოეთხრო. პასუხად ტერენტი ყიფიანს მეცნიერისათვის რვეულის ფურცლებზე დაწერილი „ჩემი ბიოგრაფია“ გამოუგზავნია, რომელიც გამოქვეყნებულია გ. შარაძის წიგნში „უცხოეთის ცის ქვეშ“ (შარაძე 1993).

ავტობიოგრაფიულ ტექსტში ტერენტი ყიფიანი აღნიშნავს, რომ დაიბადა სენაკის რაიონში, 1918 წლის 1 იანვარს, 1935 წელს დაამთავრა ამავე რაიონის პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1939 წელს დაასრულა და მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1941 წლის 22 ივნისს ის საბჭოთა არმიაში გაუწვევიათ.

„ჩემს ბიოგრაფიაში“ ტერენტი ყიფიანი მოუთხრობს ფრონტზე გაწვევაზე, ტყვეობაზე (ამ დროს, მისი თქმით, გერმანელებმა 300 ათასი მეომარი დაატყვევეს), სამხედრო ტყვეთა ბანაკში მის ყოფნაზე, ქართულ ნაციონალურ ლეგიონში შესვლაზე, გაზეთ „საქართველოსთან“ თანამშრომლობაზე. აქვე აღშინულია, რომ ლექსების წერა ყიფიანმა 15 წლის ასაკიდან დაიწყო, 18 წლისას კი წერა „ორგანულ მოთხოვნილებად“ ექცა. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მისი ამხანაგები ლადო ასათიანი და გიორგი ნაფეტვარიძე ყოფილან. ლადო ასათიანის შესახებ ტერენტი ყიფიანი წერს: „გულალალი და კეთილი ყმაწვილი ყველას უყვარდა. ომიდან დაბრუნებულმა მისი გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, რვა ლექსი მივუძღვენი. რვავე დაიკარგა იმ 300-მდე ლექსთან ერთად, სახლის გაჩხრეკის შიშით რომ გაანადგურეს სახლში“ (შარაძე 1993: 238).

1943-1944 წლებში დაწერილ საკუთარ პოეტურ ტექსტებზე ტერენტი ყიფიანი შენიშნავს: „ვწერდი ლექსებს ფრონტზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე, გმირ წინაპრებზე, სამშობლოს სიყვარულზე, ვგმობდი ომს... ომიდან დაბრუნების შემდეგაც დაწერილი ყველა ჩემი ლექსი ამგვარი იდეითაა სულდგმული“ (შარაძე 1993: 238). ყიფიანის თქმით, მისი პოეტური შემოქმედება ეფუძნება ილიას, აკაკის, ვაჟას „მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციებს“. „ჩემს ბიოგრაფიაში“ ასევე მითითებულია, რომ 1943 წელს ტერენტი ყიფიანმა ითანამშრომლა პარიზში გამომავალ გაზეთ „ლეგიონერში“, რომელშიც საკუთარი ლექსები დაბეჭდა.

1945 წელს ბერლინში პაატა ვარძიელის (მიხეილ მამულაშვილის) „წინასიტყვაობით“ გამოვიდა ტერენტი ყიფიანის „ლექსები“, რომელშიც 66 ტექსტი შევიდა. კრებულის შემდგენელი შენიშნავს: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა მგოსნის ლექსების მაღალი მხატვრული ღირებულება და წერის იშვიათი ოსტატობა.. ძირითადი თემა, რომელსაც მუდმივად დასტრიალებს მგოსნის მოუსვენარი მუზა, არის ჩვენი სამშობლოს ბედი“.

გურამ შარაძის ცნობით, საქართველოში დაბრუნების შემდეგ გერმანელებთან ტყვეობის ბრალდებით 1951 წელს დაპატიმრებული ტერენტი ყიფიანი ციხეში თავისი ბედის მოზიარე პროფესორ ივანე ლოლაშვილს შეხვედრია და ერთად სურათიც გადაუღიათ. ოთხი წლის პატიმრობის შემდეგ ყიფიანი გაუთავისუფლებიათ და თითქმის ოთხი ათეული წელი სენაკში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში ტერენტი ყიფიანი შენიშნავს, რომ იგი სამშობლოში 1946 წლის მაისში ჩამოვიდა. აქვე ის წერს, რომ მის მშობლებს რვა შვილი ჰყოლიათ, თავად კი – ერთი ქალიშვილი, პროფესიით ფილოლოგი ნანი ყიფიანი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია ტერენტი ყიფიანის სისხლის სამართლის საქმე,* რომელიც 1951 წელს ლეგიონერი პოეტის დაპატიმრებისა და მისი შემდგომი ბედის დეტალებს გვაცნობს. ყიფიანის დაკავებაზე

* ფონდი 6, საარქივო № 51167, ტ. 2, ყუთი 85.

გამოტანილ დადგენილებაში (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი), რომელიც 1951 წლის 20 დეკემბრით თარიღდება, ხელს აწერენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლები: პარემუზაშვილი, აბზიანიძე და უშიშროების მინისტრის მოადგილე ბერიშვილი. დადგენილებაში მითითებულია, რომ ტერენტი ყიფიანი დაიბადა 1918 წელს, ქალაქ ცხაკაიას მკვიდრია, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაოჯახებული, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით პედაგოგი, მასწავლებლად მუშაობს ქ. ცხაკაიას მე-2 სკოლაში, ცხოვრობს იქვე, ჟდანოვის ქ. №16-ში.

დადგენილების მიხედვით, ტერენტი ყიფიანი სამამულო ომის ფრონტზე ყოფნისას, 1942 წლის მაისში, ქერჩის რაიონში გერმანელებმა დაატყვევეს, რის შემდეგ სამხედრო ტყვეების სხვადასხვა ბანაკებში იმყოფებოდა. დაბა კრუშინოში (პოლონეთი) ყოფნისას, 1942 წლის შემოდგომაზე, ის ჩარიცხეს გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში, მისცეს გერმანული არმიის სამხედრო ფორმა და ლეგიონის ლიტერატურული ნაწილის უფროსად დანიშნეს.

დოკუმენტში, ასევე, მითითებულია, რომ 1942 წლის შემოდგომიდან 1944 წლის აგვისტომდე ყიფიანი იყო კორესპონდენტი ქართული ლეგიონის მეთაური შტაბის გაზეთის, „საქართველოსი“, რომელშიც ხშირად ათავსებდა ანტისაბჭოთა შინაარსის სტატიებს, ლექსებს და ლეგიონერებს მოუწოდებდა, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ებრძოლათ. ზემოთქმული ბრალდებების საფუძველზე მიუღიათ გადაწყვეტილება ტერენტი ყიფიანის ჩხრეკა-დაპატიმრების თაობაზე.

მეორე, 1951 წლის 25 დეკემბრის დადგენილება ისევ ტერენტი ყიფიანის დაპატიმრების მოტივაციას ეხება. ამავე დღესაა შევსებული ანკეტა (რუსულ ენაზე), რომელშიც მითითებულია, რომ ყიფიანი პედაგოგია, დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, ნასამართლევი არ ყოფილა, ჰყავს მშობლები, მეუღლე ელენე, შვილი ნანი ყიფიანი. 1951 წლის 25 დეკემბრის დაკითხვის ოქმში ბრალდებულისათვის დაუსვამთ კითხვა: „დაპატიმრებული ხართ სამშობლოს ღალატისათვის. მოგვცემთ ჩვენებას არსობრივად?“ პასუხად ტერენტი ყიფიანს განუცხა-

დებია: „საკითხის არსზე არაფრის ჩვენება არ შემიძლია, რადგან მე სამშობლოსათვის არ მიღალატია“.

ბრალდებულის დაკითხვის ოქმებში გადმოცემულია მისი საბჭოთა არმიაში სამსახურის, დატყვევების, ტყვეობაში ყოფნის დეტალები. 1952 წლის 28 იანვრის დაკითხვის ოქმში ყიფიანი აღიარებს, რომ ის 1942 წლის შემოდგომიდან 1944 წლის აგვისტომდე გერმანიის არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში მსახურობდა, რის შემდეგ საფრანგეთის პარტიზანებმა ტყვედ აიყვანეს. 1942 წლის სექტემბერში ის დაბა კრუშინოში ქართულ ნაციონალურ ლეგიონში ჩაირიცხა, სადაც საშტაბო ასეულში ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს. აქ ბრალდებული 1944 წლის აგვისტომდე – ფრანგ პარტიზანთა მიერ მის დატყვევებამდე – დარჩენილა. ყიფიანის ჩვენების მიხედვით, იგი ბრძოლებში არ მონაწილეობდა, მაგრამ საკუთარი ლექსებით ლეგიონერებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისა და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისაკენ მოუწოდებდა.

ამავე ოქმიდან ჩანს, რომ ტერენტი ყიფიანმა გამომძიებლებს დაუმალა ის ფაქტი, რომ ლექსებს ადრეც წერდა და განაცხადა, რომ წერა 1942 წლიდან, ქართულ ნაციონალურ ლეგიონში ჩარიცხვის დროიდან, დაიწყო. „როგორც მახსოვს, სულ მექნება დაწერილი 15 საკუთარი ლექსი. ყველა ეს ლექსები თავისი შინაარსით იყო ანტისაბჭოთა სულისკვეთების“, – განუცხადებია მას და გამომძიებლების თხოვნით დაუსახელებია ამ ლექსების სათაურები: „დალოცვა გიორგი მესამის მიერ“, „შვილის მოკვეთილ თავთან“, „ქართლის ქალწული“, „ორი სონეტი“, „სამაისო“, „ყველაფერი დამეკარგა“, „კვართი უფლისა“, „პოეტის გზა“, „ალალი მზეწვია და მე“, „წუხელის მთელი ღამე იქროლა“, „მგოსნის გოდება“, „სიყვარული ასე ქრება” და სხვ.

ბრალდებულის თქმით, 1943 წელს, ერთ ღამეს ბერლინიდან დაბა კრუშინოში ჩამოვიდა გაზეთ „საქართველოს“ პასუხისმგებელი რედაქტორი ხუროძე, რომელმაც მას სთხოვა, საკუთარი ლექსი მიეძღვნა „26 მაისისათვის“. ყიფიანის თქმით, მან დაწერა ლექსები: „დალოცვა გიორგი მესამის მიერ“, „შვილის მოკვეთილ თავთან“, „სამაისო“ და ორი-სამი დღის შემდეგ ისი-

ნი ფოსტით ბერლინში, გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში, გააგზავნა.

1952 წლის 28 იანვრის ოქმის მიხედვით, გამომძიებლებს უკითხავთ, თუ რა იცოდა ტერენტი ყიფიანმა 26 მაისის თარიღის შესახებ. ბრალდებულს უპასუხია: „26 მაისი“ არის „საქართველოს დამოუკიდებლობის“ თუ დაარსების დღე. როდესაც ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა გაიქცა საზღვარგარეთ, ისინი ყოველწლიურად აღნიშნავენ ზემო აღნიშნულ თარიღს“.

დაკითხვისას ტერენტი ყიფიანს ასევე განუხადებია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ის კალმით ებრძოდა. „მართალია, მე ჩემს საკუთარ ლექსებში ვამხნევებდი ლეგიონერებს და უნერგავდი მათ საბჭოთა საქართველოს სიძულვილს, მაგრამ მე მეტი გამოსავალი არ მქონდა. ფრონტზე წასვლას ვამჯობინე ანტისაბჭოთა შინაარსის ლექსების წერა“, – უთქვამს მას. ჩვენებაში ტერენტი ყიფიანს ისიც განუმარტავს, რომ გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე ლექსებს ვ. ურდოელის ფსევდონიმით ბეჭდავდა, ხოლო კითხვაზე: უხდიდნენ თუ არა ჰონორარს, უპასუხია, რომ გასამრჯელოს არ აძლევდნენ, რადგან გერმანელებისაგან ყოველთვიურად ხელფასს და სურსათსანოვაგეს იღებდა.

ტერენტი ყიფიანის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია 1951 წლის 28 დეკემბრით დათარიღებული ცნობა (ხელნაწერი, ქართულად), რომელიც ქალაქ ცხაკაიას ვაჟთა მე-2 სკოლის დირექტორს ვ. შანგიას გაუცია. მასში მითითებულია: „ქალაქ ცხაკაიას ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი მასწავლებელი ტერენტი ვასილის ძე ყიფიანი ვაჟთა II საშუალო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად 1947 წლის 28 აგვისტოდან.. სკოლაში მუშაობის პერიოდში დირექციის მიერ არ ყოფილა შემჩნეული პედაგოგიურად გაუმართლებელ ქმედებაში“.

1952 წლის 29 იანვრისა და 19 თებერვლის დაკითხვის ოქმებში მითითებულია, რომ ტერენტი ყიფიანი საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს 1941 წლის 23 ივლისს აბაშაში, სადაც ის მასწავლებლად მუშაობდა. შემდეგ ყიფიანი ფოთში საპროჟექტო-

რო ბატალიონში ჩარიცხეს, აქედან ბათუმში, შემდეგ – ლენინაკანში გადაიყვანეს. იმავე ჩვენებების მიხედვით, ტერენტი ყიფიანი ფეხოსანთა ბატალიონში იბრძოდა და იგი ნოვოროსიისკის გავლით ფრონტის ყირიმის მონაკვეთზე განამწესეს, სადაც 1941 წლის 29 დეკემბრიდან 1942 წლის 16 მაისამდე იმყოფებოდა. 1942 წლის 16 მაისს ის გერმანელებმა დაატყვევეს.

ტერენტი ვასილის ძე ყიფიანის №4372 საგამოძიებო საქმის საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ ეს საქმე 1951 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში დაიწყო, რადგან მიიღეს ინფორმაცია ყიფიანის გერმანელთა ტყვეობაში ყოფნისა და სამშობლოს ღალატის შესახებ. კერძოდ, 1942 წლის სექტემბერში, დაბა კრუშინოში ყოფნის დროს, ის შევიდა გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში, მიიღო ფიცი და 1943 წლის იანვრამდე სამხედროტაქტიკურ მომზადებას გადიოდა. 1943 წლის იანვარში ყიფიანი გადაიყვანეს ქართული ნაციონალური ლეგიონის საშტაბო ასეულში და ბიბლიოთეკის გამგედ დანიშნეს. ამ თანამდებობაზე ის 1944 წლის ივნისამდე მუშაობდა, იყო გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი, რომელიც ამ შტაბთან გამოდიოდა. ყიფიანი ვ. ურდოელის ფსევდონიმით ანტისაბჭოთა ლექსებს აქვეყნებდა და ლეგიონერებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

იმავე საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1943 წელს კრუშინოში ყიფიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ გარჩევაში. 1951 წლის დეკემბერში „სრულიად საიდუმლოს გრიფით გაცემულ ცნობაში ასევე მითითებულია, რომ ქართული ნაციონალური ლეგიონის ლიტერატურული ნაწილის ხელმძღვანელობის დროს ტერენტი ყიფიანი აწყობდა გასაუბრებებს და ლიტერატურულ საღამოებს „ხალხის გამოაშკარავებული მტრების – მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის და სხვებისას“.

1952 წლის 19 მარტის განაჩენის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებებისათვის ტერენტი ყიფიანს მიუსაჯეს 25 წლით პატიმრობა და 5 წლით საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა მთელი ქონების კონფისკაციით.

ტერენტი ყიფიანის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია 1954 წლის 21 აგვისტოთი დათარიღებული საჩივარი (ხელნაწერი. ქართულ ენაზე), რომელშიც პატიმარი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორს აუწყებს, რომ ორწელიწადნახევარია დაუმსახურებლად ატარებს „უმძიმესი ბრალდების ბნელ ლაქას“. ყიფიანი დაწვრილებით განიხიავს საკუთარ ლექსებს და განმარტავს, რომ მათში მოღალატური არაფერია.

1954 წლის 2 დეკემბრის საჩივრის მიხედვით, ტერენტი ყიფიანისათვის სასჯელის 25 წლიდან 15 წლამდე შემცირება მოუთხოვიათ. 1952 წლის 20 დეკემბრის ოქმის ამონაწერიდან (სრულიად საიდუმლოდ) ცნობილი ხდება, რომ 1952 წლის 19 მარტის განაჩენი მართებულად მიიჩნიეს და აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

რაც შეეხება ლეგიონერი პოეტის შემოქმედებას, შევნიშნავთ, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი ტერენტი ყიფიანის პოეტური ტექსტები უმეტესად პატრიოტული ხასიათისაა. ამაზე მათი სათაურებიც მეტყველებს: „სიმღერა სამშობლოზე“, „ქართველ ქალს“, „სამშობლო“ და სხვ. ლექსი „გამოცხადება“ ცოტნე დადიანის თავგანწირვას ეძღვნება. თამარ მეფის პორტრეტი კი გააფთრებული ლომის ბოკვერის ფონზე ილანდება: მეფე-ქალის „ნაზმა მშვენებამ“ მსხვერპლის დასაგლეჯად გამოვარდნილი მხეციც კი შეაჩერა. „რა ქალი არის თამარ-ქალი, რა ცის თენება, რომ აგრერიგად დაატყვევა ავგულა მხეცი“, – წერს ავტორი. ლექსი „კვართი უფლისა“ წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევას ეძღვნება. გურამ შარაძის შენიშვნით, „წუხელის მთელი ღამე იქროლა“ ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშია და ა. შ.

როგორც აღინიშნა, 26 მაისისადმი მიძღვნილი ტერენტი ყიფიანის ლექსი გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა. ავტორი აღფრთოვანებულია ამ საზეიმო დღით და წერს:

„აჰა, მაისი – ვარდების და სხივთა ლაშქარი!..
ირგვლივ უსაზღვრო სურვილების ლაღი დინება!..
და ოცდაექვსში საქართველოს აღორძინება!..“

სამშობლოსადმი ტერენტი ყიფიანის გულწრფელ სიყვარულს გამოხატავს მისი ლექსი, რომელშიც მრავალჭირნახული პოეტი შენიშნავს, რომ საკუთარ სიცოცხლეს საქართველოსათვის უყოყმანოდ გასწირავს:

„კლდეს სჭრის, მთებს ნთქავს, წყვდიადს აქრობს მისი ფხა
და ძალა,
საქართველოს სიცოცხლისათვის სასიკვდილოდ მზად
ვარ!..“

ტერენტი ყიფიანის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ შესაკრები და გამოსაცემია. ვფიქრობთ, პოეზიად გადმოღვრილი ქართველი ლეგიონერის ნაფიქრ-ნააზრევის გაცნობა თანამედროვე მკითხველს ახალ, განსხვავებულ პოეტურ სივრცეებს აზიარებს.

დამოწმებანი:

შარაძე 1993: შარაძე გ. *უცხოთის ცის ქვეშ*. წ. 3. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993.

ფონდი 6, საარქივო № 51167, ტ. 2, ყუთი 85
(ტერენტი ვასილის ძე ყიფიანის საქმე)

1952 წლის 28 იანვრის დაკითხვის ოქმი. ხელნაწერი. ქართულ ენაზე (სტილი დაცულია).

კითხვა: გადასწყვიტეთ მისცეთ გამომძიებელს ჩვენება თქვენი მოღალატური მოქმედების შესახებ?

პასუხი: მე წინა დაკითხვების დროს მგონი მივეცი სრული ჩვენება გამოძიებას... ახლაც ვიმეორებ, რომ 1942 წლის შემოდგომიდან, თუ არ ვცდები, სექტემბრის თვიდან, 1944 წლის აგვისტოს თვემდის მე ვმსახურობდი გერმანიის არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში, რის შემდეგ კი ვიქენი აყვანილი ტყვეთ საფრანგეთის პარტიზანების მიერ.

კითხვა: ძიება მოითხოვს თქვენგან, მისცეთ მას ჩვენება თქვენი პრაქტიკული მოღალატური მოქმედების გარშემო.

პასუხი: როგორც ზემოთ აღვნიშნე, გერმანიის არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში მე ვიქენი ჩარიცხული დაბა კრუშინოში 1942 წლის სექტემბრის თვეში, სადაც მიმაწერეს მე-4 ბატალიონს და აღნიშნული ბატალიონის პირად შემადგენლობასთან ერთად იმავე წლის ნოემბრის თვემდის გავდიოდით სამხედრო-ტაქტიკურ მეცადინეობას და გვასწავლიდნენ სროლას.

კითხვა: რა მიზნით გადიოდით სამხედრო-ტაქტიკურ მეცადინეობას?

პასუხი: ჩვენ მხოლოდ იმისათვის გვასწავლიდნენ სამხედრო საქმეს და სროლას, რომ შემდეგისათვის გავეგზავნეთ საბჭოთა კავშირის ფრონტზე და მიგვეღო ბრძოლებში მონაწილეობა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ, მაგრამ მე მალე ვიქენი გადმოყვანილი მე-4 ბატალიონიდან ქართულ ნაციონალურ ლეგიონში, სადაც საშტაბო ასეულში დამნიშნეს ბიბლიოთეკის გამგეთ და ამ თანამდებობაზე მე ვიმსახურე 1944 წლის აგვისტოს თვემდის, ე.ი. მანამდი მე ვიქნებოდი აყვანილი ტყვეთ ფრანგ პარტიზანების მიერ.

კითხვა: როდის და სად მიიღეთ ბრძოლებში მონაწილეობა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ?

პასუხი: საბჭოთა არმიის წინააღმდეგ მე არასდროს ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია. მხოლოდ არ უარვყოფ იმ ფაქტს, რომ, როდესაც მე ლეგიონში დამნიშნეს ბიბლიოთეკის გამგეთ, იმ დღიდან მე ლეგიონერებს მოვუწოდებდი ჩემი საკუთარი ლექსებით აქტიურათ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისათვის.

კითხვა: რომელი წლიდან დაიწყეთ თქვენ ლექსების წერა?

პასუხი: საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მე არცერთი ლექსი არ დამიწერია, მიუხედავად იმისა, რომ მე მაქვს დამთავრებული სალიტერატურო ფაკულტეტი.

კითხვა: მაშ, რომელი წლიდან დაიწყეთ საკუთარი ლექსების წერა?

პასუხი: საკუთარი ლექსების წერა მე დავიწყე 1942 წლიდან, ესე იგი, როდესაც ჩამრიცხეს გერმანიის არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში.

კითხვა: რამდენი საკუთარი ლექსი დაწერეთ და რა შინაარსის?

პასუხი: როგორც მახსოვს, სულ მექნება დაწერილი 15 საკუთარი ლექსი. ყველა ეს ლექსები თავისი შინაარსით იყო ანტისაბჭოთა სულისკვეთების.

კითხვა: დაასახელეთ ის ლექსები როლებიც თქვენს მიერ იქნა დაწერილი გერმანულ არმიაში სამსახურის დროს.

პასუხი: გერმანიის არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონში სამსახურის დროს მე დავწერე შემდეგი საკუთარი ლექსები: „დალოცვა გიორგი მესამის მიერ“, „შვილის მოკვეთილ თავთან“, „ქართლის ქალწული“, „ორი სონეტი“, „სამაისო“, „ყველაფერი დამეკარგა“, „კვართი უფლისა“, „პოეტის გზა“, „ალალი მზეწვია და მე“, „წუხელის მთელი ღამე იქროლა“, „მგოსნის გოდება“, „სიყვარული ასე ქრება“ და სხვა. ყველა არ მახსოვს. აქვე მინდა, გამოძიებას მოვახსენო, რომ 1943 წელში დაბა კრუშინოში ერთ ღამეს ბერლინიდან ჩამოვიდა გაზეთ „საქართველოს“ პასუხისმგებელი რედაქტორი ხუროძე, რომელმაც მე მითხრა, რომ დამეწერა საკუთარი ლექსი და მიმეძღვნა „26 მაისისათვის“. მეც, რა თქმა უნდა, დავწერე საკუთარი ლექსები: „დალოცვა გიორგი მესამის მიერ“, „შვილის მოკვეთილ თავთან“ და „სამაისო“. არ გაიარა ორმა თუ სამმა დღემ, მე ზემოთ აღნიშნული ლექსები გავაგზავნე ფოსტით გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში, ქალაქ ბერლინში.

კითხვა: მიეცით გამოძიებას ჩვენება, რა იცით თქვენ „26 მაისის“ თარიღის შესახებ?

პასუხი: როგორც მე ვიცი, „26 მაისი“ არის „საქართველოს დამოუკიდებლობის“ თუ დაარსების დღე. როდესაც ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობა გაიქცა საზღვარგარეთ, ისინი ყოველწლიურად ზეიმობენ ზემო აღნიშნულ თარიღს და მოუწოდებენ საზღვარგარეთ მყოფ ყველა ქართველებს, დაუჭირონ მხარი მენშევიკების დღეს, „26 მაისს” და აქტიურათ იბრძოლონ „დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისათვის“.

მეც, როგორც ქართველმა და, ამავე დროს, გერმანიის არმიის ჯარისკაცმა, 1942-1944 წლების განმავლობაში რამოდენიმე ლექსი უძღვენი მენშევიკების დღეს „26 მაისს“ და მოუწოდებდი საკუთარ ლექსებში საქართველოს ლეგიონერებს, აქტიურათ ებრძოლათ „დამოუკიდებელი საქართველოს“ შექმნისათვის.

მართალია, მე ჩემს საკუთარ ლექსებში ვამხნევებდი ლეგიონერებს და უნერგავდი მათ საბჭოთა საქართველოს სიძულვილს, მაგრამ მე მეტი გამოსავალი არ მქონდა. ფრონტზე წასვლას ვამჯობინე ანტისაბჭოთა შინაარსის ლექსების წერა.

კითხვა: ე.ი. თქვენ საბჭოთა კავშირს ებრძოდით კალმით, არა?

პასუხი: დიახ, ასე გამოვიდა. თოფის მაგიერ მე ხელში ავიღე კალამი და კალმით დავიწყე ბრძოლა საბჭოთა კავშირის მიმართ.

კიდევ ვიმეორებ, რომ მე ეს არ უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რომ ვარ უმაღლესი განათლებით, სადაც სწავლა-განათლება მე მივიღე საბჭოთა კავშირში, მაგრამ, როდესაც ჩამიგდო მტერმა ხელში, როგორც უნდოდა, ისე გამომიყენა.

კითხვა: სავალდებულო იყო, რომ ყველა ლეგიონერს დაეწერა თავისი საკუთარი ლექსი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოთ?

პასუხი: სავალდებულო არ იყო, მხოლოთ სასურველი კი იყო, მაგრამ ყველა ლეგიონერს არ ჰქონდა ამის უნარი. ჩემთვის კი სავალდებულო იყო. მე რომ ლექსები არ დამეწერა და არ გამომექვეყნებინა გაზეთში ანტისაბჭოთა შინაარსისა, მაშინათვე ფრონტზედ გამაგზავნიდნენ.

კითხვა: რა ფსევდონიმით ქვეყნდებოდა თქვენი ლექსები?

პასუხი: ჩემი საკუთარი ლექსები ქვეყნდებოდა გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე “ვ. ურდოელის“ ფსევდონიმით.

კითხვა: გეძლეოდათ ჰონორალი?

პასუხი: არა, ჰონორალს არ მაძლევდნენ, ვინაითგან მე ყოველთვიურად ვღებულობდი გერმანელებისაგან ხელფასს და სურსათ-სანოვაგეს.

დაკითხვა შეწყდა.

დაკითხა: საქართველოს სუსის საგანგებო განყოფილების უფროსმა გამომძიებელმა, უფროსმა ლეიტენანტმა ფარემუზაშვილმა.

ოტია პაჭკორია

ქართველი მწერლის, ესეისტისა და კრიტიკოსის ოტია პაჭკორიას ცხოვრება რეპრესირებული და რეაბილიტირებული ახალგაზრდების დამახინჯებული ბიოგრაფიის კიდევ ერთი მაგალითია. მის რეკონსტრუქციაში, საარქივო მასალასთან ერთად, მწერლის მეგობრების ინტერვიუები და მოგონებები, ასევე მწერლის ქალიშვილთან საუბარი დაგვეხმარა.

ოტია პაჭკორია 1928 წელს დაიბადა. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ოც წელზე მეტხანს მუშაობდა „ცისკარსა“ და „მნათობში“. 1946 წლის შემოდგომაზე პაჭკორიამ და მისმა მეგობრებმა შექმნეს ლიტერატურული წრე და გამოსცეს ხელნაწერი გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“. როგორც მწერლის ქალიშვილი ამბობს, გაზეთის 1 ან 2 ნომერი ხელნაწერი სახით გამოიცა. დაჯგუფების წევრები უმეტესად პეტრიაშვილის ქუჩაზე, პაჭკორიას სახლში იკრიბებოდნენ. რეზი თვარაძე იგონებს: „ათას ცხრაას ორმოცდაშვიდის შემოდგომაზე საგულისხმო ამბავი მოხდა: ოტიამ და მისნაირმა ინტელექტუალებმა და ესთეტებმა ლიტერატურული წრე შექმნეს და ამ წრემ მაინცდამაინც პეტრიაშვილის ქუჩაზე, მაინცდამაინც პაჭკორიების სახლში დაიდვა ბინა (იმდროინდელი უბინაობის პირობებში ამათი სამი ვრცელი ოთახი სასახლედ შეიძლებოდა დაგესახა)“ (თვარაძე 1990: 169).

რა მიზანი ჰქონდა ამ დაჯგუფებას? გეგმავდნენ თუ არა მისი წევრები შეიარაღებულ აჯანყებას, რაშიც ბრალი დაედოთ და რის გამოც გაასამართლეს? ჰქონდათ თუ არა მოქმედების კონკრეტული გეგმა? ჯგუფის წევრი, ჟორეს ცინცაძე, იხსენებს: „ვინ ვიყავით ჩვენ მართლაც? მე ჩვენს თავს ვუწოდებდი „საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველთა ორგანიზაციას“. ჩვენ ყოველდღე, დილის 10 საათიდან ღამის თერთმეტის ნახევრამდე, საჯაროში ვისხედით. ცხადია, ლექციებიდან თავისუფალ დროს (ხშირად ლექციების დროსაც). აქ იმართებოდა ცხარე კამათი (ტუალეტის ოთახში. იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: საკუთრივ ტუალეტი და „წინა ოთახი“); აქვე ვოცნებობდით ხმამაღლა, თუნდაც ამ „ოთახში“ გაშლილ კარგ სუფრაზე, საქართველოს თავისუფლებაზე, ცისფერ სიყვარულზე და ვარდისფერ გზებზე. აქვე გადაწყდა (1946 წელს): საქართველო დროა გახდეს თავისუფალი; თავისუფლებას მოგვიტანს არა „საერთაშორისო პროლეტარიატი“ და მისი ერთადერთი ბელადი, ხალხთა მამა, მასწავლებელი, მზე, მთვარე, მეცნიერი, ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი, წინასწარმეტყველი (კიდევ რას უწოდებდნენ მას?) დიდი სტალინი, არამედ ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ იგი. ცხადია, კონსტიტუციაში ჩაწერილი ცნობილი მუხლისა და ორგანიზებული მშვიდობიანი ბრძოლის მეშვეობით (ერთა გამოყოფის შესახებ) (მახსოვს, რამდენი იცინა გამომძიებელმა იოსებ ჭუმბურიძემ ამ ჩემს სულელურ არგუმენტზე: ეს მუხლი დაწერილია არა შენთვის, არამედ უცხოელებისთვის, შე ყეყეჩოო). ასე ჩამოყალიბდა 1946 წელს ჩვენი „ორგანიზაცია“ (ცინცაძე 1990: 8).

ორგანიზაციაში, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III-IV კურსელები იყვნენ გაერთიანებულნი. ლიტერატურული სალონის წევრი, შემდგომ ასევე გადასახლებული და რეაბილიტირებული გივი მაღულარია იხსენებს, რომ ომის შემდეგ ის და მისი კურსელები ხშირად ფიქრობდნენ იმაზე, როგორ შეიძლებოდა ქვეყნის გადარჩენა და დამპყრობლის შეჩერება. ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, ასევე საკმარისი დროის არქონის გამო, მათ არ ჰქონიათ კონკრეტული პროგრამა. მათი ბრძოლა უფრო ენთუზიასტების ამხედრება იყო უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შიშველი ხელებით და

იმედებით. თუმცა სადამსჯელო მანქანა სრული დატვირთვით მუშაობდა და საიდუმლო ორგანიზაციის არსებობის შესახებ მალევე გაიგეს იქ, სადაც ჯერ იყო. დღემდე უცნობია, ვინ გასცა შეთქმულება. ყოველ შემთხვევაში, გამცემის გვარი ღიად ორგანიზაციის არცერთ წევრს არ დაუსახელებია. 1948 წლის შემოდგომაზე 11 კაცი დააპატიმრეს, აქედან 9 (ალეკო მელაძე, შოთა ჯიჯაძე, გიორგი (ჟორეს) ცინცაძე, იური მაჩაიძე, ბორის ხუხუა, კუკური ძიმისტარიშვილი, ოტია პაჭკორია, თენგიზ ზალდასტანიშვილი, გივი მაღულარია) გაასამართლეს, 2 კი ჯანმრთელობის პრობლემების გამო არ გაუსამართლებიათ. დაპატიმრებულთა ბედი სამეულმა გადაწყვიტა. ჟორეს ცინცაძე ასე იხსენებს ე.წ. სასამართლო პროცესს: „ყველას ჩამოგვირიგეს 25-25 წელი. სასამართლო დაიწყო დილის ცხრა საათზე შინაგან ციხეში, „წითელი კუთხის“ ოთახში. გვასამართლებდა ტრიბუნალი – სამეული. თავმჯდომარეობდა ნადირაშვილი. წევრები – გიორგობიანი; მეორის გვარი არ მახსოვს. ღამის პირველ საათზე წაგვიკითხეს განაჩენი: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელით, ამას და ამას (ყველას) კოდექსის მუხლების 15-58-2, 19-58-8, 8-102-11 საფუძველზე მიესაჯოთ სამჯერ 25 წელი, სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთი წლით ხმის უფლების ჩამორთმევით. წითელ კუთხეში ეკიდა დიდი სტალინის სურათი. მე გულიანად შევუკურთხე ამ სურათზე გამოხატულ შეშლილს და „სასამართლოს“ ვთხოვე: საარჩევნო ხმის უფლების 5 წლით ჩამორთმევა მომიხსენით, რადგან ძალიან მინდა ჩამოსვლისთანავე მივიღო არჩევნებში მონაწილეობა ამ კაცის სიყვარულით-მეთქი“ (ცინცაძე 1990: 8). უშიშროების არქივში დაცულია ასლი აღნიშნული

განაჩენისა,* რომელშიც ვკითხულობთ: „ანტისაბჭოურ-ნაციონალისტურად განწყობილმა ა. მელაძემ, შ. ჯიჯაძემ, ჟ. ცინცაძემ 1946 წლის მიწურულს შექმნეს არალეგალური ანტისაბჭოური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზითა და ტერორის გამოყენებით საბჭოთა ხელისუფლების გადაგდება, ბურჟუაზიული ნაციონალისტური სახელმწიფოს შექმნა ლოზუნგით „დამოუკიდებელი საქართველო“. ისინი წარმოადგენდნენ ორგანიზაციის მმართველ ბირთვს და ახორციელებდნენ რიგ ანტისაბჭოურ ღონისძიებებს.

ი. მაჩაიძე, ბ. ხუხუა, კ. ძიმისტარიშვილი, ო. პაჭკორია, თ. ზალდასტანიშვილი და გ. მაღულარია იყვნენ წევრები ანტისაბჭოური არალეგალური ორგანიზაციისა, რომელიც 1946 წლის ბოლოს შეიქმნა მელაძისა და სხვათა მიერ და მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას შეიარაღებული აჯანყების გზით, მის დამხობას და ე.წ. „დამოუკიდებელი საქართველოს“ შექმნას. აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ორგანიზაციის არალეგალურ შეკრებებში, რომლებზეც განიხილებოდა სამომავლო ანტისაბჭოური საქმიანობისა და აღნიშნული მიზნების განხორციელებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ საკითხები.

ამრიგად, ჯიჯაძემ, ცინცაძემ, მაჩაიძემ, ხუხუამ, ძიმისტარიშვილმა, პაჭკორიამ, ზალდასტანიშვილმა და მაღულარიამ ჩაიდინეს დანაშაულებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 19-58.2, 19-58.8, 58-10, ნაწ.1 და 58-11 მუხლების თანახმად, რაც სასამართლომ ჩათვალა დამტკიცებულად. შესაბამისად, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-ე და 320-ე მუხლებით,

* ფონდი 6, საქმე №6018, ტ. 6, გვ.127. ეს საქმე ეხება 1960 წელს დაპატიმრებულ ალბერტ მელაძესა და შოთა მექვაბიშვილს, რომელთაც ბრალად ედებოდათ 1961 წლის თებერვლისთვის ტერორისტული აქტის მზადება, რომელიც უკავშირდებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის, ნიკიტა ხრუშჩოვის საქართველოში ვიზიტს.

გამოიტანა განაჩენი:

ალბერტ შალვას ძე მელაძეს, შოთა ალექსანდრეს ძე ჯიჯაძეს, ჟორეს ივანეს ძე ცინცაძეს, იური პავლეს ძე მაჩაიძეს, ბორის ელიზბარის ძე ხუხუას, კუკური ვარლამის ძე ძიმისტარიშვილს, ოტია მიხეილის ძე პაჭკორიას, თენგიზ ალექსანდრეს ძე ზალდასტანიშვილს და გივი ნოეს ძე მაღულარიას შეეფარდოთ თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად“.

„დამნაშავეებს“ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ პირადი ქონების კონფისკაციით. 18-58-8 მუხლის მიხედვით, გამოტანილი განაჩენი საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, ხოლო 19-58-2 და 58-10 გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-400 მუხლის საფუძველზე საკასაციო წესით სამხედრო კოლეგიაში სსრ საქართველოს შსს ჯარების სამხედრო ტრიბუნალის საშუალებით 5 დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც გასამართლებულები მიიღებდნენ აღნიშნული განაჩენის ასლს. საქმისმწარმოებლად მითითებულია იუსტიციის პოდპოლკოვნიკი ნადირაშვილი. განაჩენის ასლი რუსულ ენაზეა ნაბეჭდი და დათარიღებულია 1960 წლის 31 დეკემბრით.

პატიმრები ორ ბანაკში, კოლიმასა და ჯეზკაზანი (ჟეზყაზანი) გაანაწილეს. ოტია პაჭკორია, გივი მაღულარიასთან ერთად, სწორედ ამ ბანაკში მოხვდა. ქ. ჯეზკაზანი სწორედ იმ ქალაქთაგანია, რომელიც პატიმრებმა ააშენეს. იგი ყაზახეთში მდებარეობს. საკმაოდ მკაცრი ბუნებრივი პირობებია, ვინაიდან ქალაქი, ფაქტობრივად, უდაბნოშია გაშენებული. გივი მაღულარია ბანაკის შესახებ იგონებს: „1948 წელს საბჭოთა კავშირში შექმნეს 4 სპეცბანაკი, სწორედ ისეთი ტიპისა, როგორიც გერმანული საკონცენტრაციო ბანაკები იყო. ქუდზე, ზურგზე, მარცხენა ხელსა და მარცხენა ფეხზე ნომრები გვეკერა, რაც იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც მანქანის ნომერი. ვმუშაობდით სპილენძის მაღაროებში. რეჟიმი უმკაცრესი, შრომა-კატორღული, ულუფა კი მიზერული. თუ პატიმარს საკვების შოვნის სხვა საშუალება არ ჰქონდა, სამ თვეში დისტროფიამდე მიდიოდა. ჩვენ სახლი-

დან მიღებული ამანათები გვშველოდა. პატიმარს წელიწადში 2 წერილის გაგზავნის უფლება ჰქონდა და უმეტეს შემთხვევაში იმასაც არ აგზავნინებდნენ. ამანათზე კი არავითარი ნორმა არ იყო დაწესებული. ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ, ჯერ ერთი, ეს ადმინისტრაციასაც აძლევდა ხელს, რადგან თუ ამანათში რაიმე კანონით აკრძალული აღმოჩნდებოდა, ადმინისტრაციას მისი კონფისკაციის უფლება ჰქონდა, აღმოჩენით კი რამეს აუცილებლად აღმოაჩენდნენ. მეორეც: სახელმწიფო დასჯილთა პატრონებს არჩენინებდა იმათ, ვისი რჩენაც თავად არ შეეძლო. სხვაგვარად ამის ახსნა ჭირს. პატიმრები დილის 6 საათზე დგებოდნენ. 1 საათი საუზმეს ხმარდებოდა. რაციონში შედიოდა წყალწყალა წვნიანი, ასი გრამი ფაფა და სამასი გრამი ნახშირივით შავი პური. ყინვაში პური ისე იყინებოდა, რომ სურავანდით დაავადებულ პატიმრებს მისი ღრღნა კბილების ფასად უჯდებოდათ. შვიდ საათზე კოლონებად დაწყობილი ბრიგადები სამუშაოდ გადიოდნენ. სამუშაო დღის ხანგრძლივობა ათი საათი იყო, უმეტეს შემთხვევაში დასვენების დღის გარეშე. ყველა სამუშაო ხელით სრულდებოდა. კოლონას ობიექტამდე და ობიექტიდან ბანაკამდე ავტომატებით შეიარაღებული თითქმის მთელი ოცეული აცილებდა დაგეშილი ძაღლებით. სამუშაოზე პატიმრებს არაფერს აჭმევდნენ, საღამოს კი მეორდებოდა იგივე რაციონი, რაც დილით იყო. ბარაკის თითოეულ სექციაში ეძინა 100-120 კაცს, ფანჯრებს გარედან გისოსები ჰქონდა. საღამოს ცხრა საათზე პატიმრებს თვლიდნენ, კარს გარედან უკეტავდნენ და დილამდე ბარაკიდან ვერავინ გამოვიდოდა“ (მაღულარია 1990: 4).

სტალინის სიკვდილის შემდეგ უამრავი პატიმრის საქმე გადაიხედა. მათ შორის ოტია პაჭკორიასა და მისი თანამოაზრეებისაც. ისინი 1956 წელს გაამართლეს. თუმცა სამშობლოში დაბრუნების მომლოდინეთა რიგი იმხელა იყო, 2 წელი ელოდნენ, სანამ დაბრუნდებოდნენ. როგორც მწერლის ქალიშვილი იხსენებს, ოტია პაჭკორია იშვიათად საუბრობდა გადასახლების წლებზე. ისე გარდაიცვალა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას ვერ მოესწრო (1984 წ.). ამდენად, წარსულზე ღიად საუბრის საშუალებაც არ მისცემია. ინტერვიუები და მასალა, რომელსაც

თენგიზ ზალდასტანიშვილი
და ოტია პაჭკორია

ვეყრდნობით, მოძიებულია 1990-91 წლების ქართულ პერიოდიკაში, მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად მნიშვნელოვანი გახდა წარსულის გააზრება-გადაფასებაც. სამაგიეროდ ის, რაც ღიად ვერ თქვა, ცხადად იგრძნობა ოტია პაჭკორიას ნაწერებში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჟანრობრივად მრავალფეროვანია – მოთხრობები, კრიტიკული წერილები, ესეები. აღსანიშნავია ლიტერატურის მუზეუმის მიერ 2015 წელს გამოცემული ოთხტომეული, რომელიც მოიცავს მწერლის თითქმის სრულ მემკვიდრეობას, ამასთან, ტექსტების (ძირითადად მოკლე მოთხრობებისა და ჩანახატების) ნაწილი პირველადაა გამოქვეყნებული. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ უკანასკნელმა ტექსტებმა მიიპყრო. მწერალი ავტორეფლექსიას მიმართავს, ეხება რა უდაბნოს, პატიმრობის, მარტოობის, უიმედობისა თუ მოლოდინის თემებს.

ერთგან იგი წერს – „ოდესმე, როდესაც წელთა მანძილიდან გადმოხედავ განვლილს, მიხვდები, რომ შენი მე სულ რამდენიმე მოვლენამ განსაზღვრა, რამდენიმე დღემ და ამბავმა, ხოლო დანარჩენი მხოლოდ და მხოლოდ მანძილია ამ დღეთა შორის“ (პაჭკორია 2015: 331). ან კიდევ – „მოგონებები ზოგჯერ დილეგივითაა, გვატყვევებს და ვერასდიდებით ვერ დააღწევ თავს“ (პაჭკორია 1999: 40). წარსულის ამგვარი ტრაგიკული განცდა, დროის ფრაგმენტაცია და ამაო მოლოდინის შეგრძნება ლაიტმოტივად გასდევს მის ჩანახატებს (ამ შემთხვევაში ჩვენთვის

თენგიზ ზალდასტანიშვილი,
ოტია პაჭკორია და გივი მაღულარია

განსაკუთრებით საინტერესო იყო სწორედ მცირე მოთხრობები და ჩანახატები, ტექსტები, რომლებიც შესაძლოა ფორმით სრულყოფილი არც არის, უფრო მონახაზების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ შინაარსობრივად სწორედ ამ ტექსტებში ვლინდება და ცნაურდება უდაბნოში განცდილი ტრაგედია).

საერთოდ, უდაბნოს სახე ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია მის ჩანახატებში. ვფიქრობთ, ბიოგრაფიული სიმართლის აღწერის მიღმა უდაბნოს სიმბოლური დატვირთვაც აქვს. მარტოობა, უნაყოფობა, უსიცოცხლობა, მიუსაფრობა – ეს უდაბნოს ზოგადი სიმბოლიკაა. თუ დავუმატებთ ბიბლიურ მნიშვნელობასაც – უდაბნო, როგორც გამოცდა, ცხადი გახდება, რომ ოტია პაჭკორიას ჩანაწერებში იგი მწერლის ფიზიკური თუ სულიერი გამოცდილების მხატვრულ სიბრტყეზე გადატანისთვის ყველაზე მოქნილი სიმბოლოა („როგორ დაიღუპა კოზაკი უდაბნოში“, „ქარავანი“, „ზღაპარი ქალაქზე, ქალზე და მაღაროზე“, „ერიხ-მარია ოილე“... და სხვ.). ამ ტექსტებით იგი ათასობით პატიმრის სათქმელს და ტრაგიზმს გადმოსცემს, პატიმრებისას, რომლებიც ცოცხლებად კი მიიჩნეოდნენ, მაგრამ მათ არცერთ ადამიანურ სურვილს, ოცნებას განხორციელება არ ეწერა.

„რას იზამ, ასეთია ჯარისკაცისა და პატიმრის ხვედრი, იარო სადღაც ცხოვრების მიღმა, ხედავდე ყველაფერს, გრძნობდე, გქონდეს შერჩენილი ყველა ადამიანური სურვილი და ატარებდე სიღრმეში ტკივილს და გაოცებას. რისთვის გამოიგონეს ადამიანებმა ყველაფერი ეს – ომი, მკვლელობა, ციხე და ცხაური? სიკვდილი გარდაუვალია, ამიტომ ყოველთვის გაურბი მასზე ფიქრს და რისთვის უნდა ეხმარებოდნენ ადამიანები ბუნებას ამაში, რის მაქნისია ყველაფერი მოგონილი ნათლის შესახებ, რისთვის არსებობს ქვეყნად სილამაზე და ხელოვნება, თუკი არსებობს პატიმარი და ჯარისკაცი?“ (პაჭკორია 2015: 23). სამყაროს ასეთი აღქმა ტკივილს წარმოშობს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მიუსაფრობისა და მარტოობის განცდას. „დღეს ყველა უსახლკაროა, ამაზე გამტეხი, მტკივნეული არაფერი არსებობს, იარო ქვეყნად და არ იყო დარწმუნებული, რომ სადღაც გაქვს სახლი, სადღაც გელოდებიან. ჩვენი სახელი წყევლად შემორჩება ისტორიას, ჭიანჭველებს ვგავართ, რომელთაც ვეება ტვირთი წამოიკიდეს და გაისრისნენ“ (პაჭკორია 2015: 25). სწორედ ამ დაწყევლილმა ისტორიამ შთანთქა ბევრი პატიმარი უსახელოდ და უგვაროდ, ისე, თითქოს არც არასდროს უცხოვრიათ. გადასახლებაში მყოფთათვის დროც სხვანაირად გადიოდა, უფრო სწორედ, გაყინული იყო და თავის გარდაუვალ აღსასრულს ელოდა. ყველაფერს წარმავალობის, დროებითობის დაღი დაჰყვებოდა. „აქ ყველაფერი დროებითია. მეხსიერებაში არაფერი რჩება. არსებობს მხოლოდ წარსული. აწმყო და მომავალი მტვერია“ (პაჭკორია 2015: 299). საპატიმრო კი რაღაც აზრით სამარხს ემსგავსებოდა. „კედელი ისეთია, როგორც ყველა საკანში ამქვეყნად – რუხი, წარწერებით აჭრელებული. მოდიოდნენ ადამიანები, წვებოდნენ კედლისკენ სახით და ასანთის თავმომწვარი ღეროთი ან შემორჩენილი ფანქრის ნაფცქვენით აწერდნენ კედელზე სახელს, თარიღს, ვედრებას, წყევლას. აწერდნენ იმის გამო, რის გამოც პომპეელები აჭრელებდნენ მსგავსი წარწერებით თავიანთი ქალაქის ქათქათა კედლებს; აწერდნენ იმიტომ, რომ აწვალებდათ კვალის დატოვების უბრალო და მაღალი ვნება. ვინმემ ხომ უნდა იცოდეს – აქ შეჩერდა მგზავრი და თუ უდაბნოში გზები წარიშლებიან, კედლები დგანან და

რატომღაც ყოველთვის სამარხის ნანგრევებს ჰგვანან“ (პაჭკორია 2015: 283).

რა თქმა უნდა, ასეთი რამეები უკვალოდ არ ქრება. როგორც არ უნდა ეცადო, ვერ დაივიწყებ ამგვარ განსაცდელსა და გამოცდილებას. „გადასახლებიდან დაბრუნებისას პირველი გრძნობა ასეთი მქონდა – საგნები, ნივთები უცვლელად, თავის ადგილზე დამხვდნენ... თითქოს არსად არ ვყოფილვარ, თითქოს არაფერი არ შეცვლილა. არის ამ საგნების მუდმივობაში ბოროტი აზრი“ (პაჭკორია 1990: 181). საგნები და ნივთები არ შეცვლილა, მაგრამ მათი მუდმივობა და სიმყარე კიდევ უფრო ამძაფრებს საკუთარ სულსა და გონებაში მომხდარი ცვლილებების განცდას. ყველაფერი იგივეა, მაგრამ თავად აღარ ხარ იგივე. და ოტია პაჭკორია მხოლოდ ერთ-ერთია მათგან, ვინც ფიზიკურად გადაურჩა რეპრესიებს, თუმცა მწერლის ჩანაწერებზე დაკვირვება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, როგორ ანადგურებდა და ანაწევრებდა რეჟიმი ახალგაზრდების ცხოვრებას, როგორ ცდილობდა, ჩაეხშო მათში შემოქმედებითობა.

დამოწმებანი:

თვარაძე 1990: თვარაძე, რ. *ოტია პაჭკორია და მისი ძმაკაცები.* ჟურნ. ლიტერატურა და ხელოვნება, №1, 1990.

კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა.* თბილისი: „უნივერსალი“, 2014.

მაღულარია 1990: მაღულარია, გ. „უკუქცევა. საუბარი მწერალთან გ. მაღულარიასთან“. *გაზ. „თბილისი“,* №54. 1990.

პაჭკორია 1990: პაჭკორია, ო. *ჩანაწერები.* ჟურნ. ლიტერატურა და ხელოვნება, №1, 1990.

პაჭკორია 1999: პაჭკორია, ო. *უბის წიგნაკი.* თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 1999.

პაჭკორია 2015: პაჭკორია, ო. *მოთხრობები, ფრაგმენტები.* წიგნი 1. თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2015.

ცინცაძე 1990: ცინცაძე, გ. „ეცინება და იცინის“. *გაზ. „ერი“,* №8, 1990.

ვლადიმერ სულაბერიძე



ვ ლ ა დ ი მ ე რ (ლადო) სულაბერიძე დაიბადა 1919 წელს ვანის რ-ის სოფელ შუამთაში. მამა სიმონ სულაბერიძე სოციალ-დემოკრატი იყო, თუმცა მენშევიკური პარტიიდან გასვლის შემდეგ ბოლშევიკებს მიემხრო. დედა მარიამ ნამიჭეიშვილი, დიასახლისი, ორი ვაჟის, ლადოსა და შოთას აღზრდას უძღვებოდა. 1926 წელს ოჯახი შუამთიდან საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა და შვიდკლასდამთავრებული ლადო ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩაირიცხა. იქ მალე შეამჩნიეს მისი პოეტური ნიჭი და ლიტერატურისადმი განსაკუთრებული ინტერესი, ამიტომაც სკოლის დამთავრება ურჩიეს. მართლაც, ლადო სულ მალე სწავლას ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლაში განაგრძობს. იგი აქტიურად იწყებს თავისი ლექსების ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებას, მონაწილეობს ქუთაისის მწერალთა კავშირის მიერ მოწყობილ საღამოებში.

ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის მამის პოლიტიკური სიმპათიების ცვლა შეუმჩნეველი არ რჩება. მას დაითხოვენ სამსახურიდან და ოჯახს, ფაქტობრივად, შემოსავლის გარეშე ტოვებენ, თანაც მკაცრად განუსაზღვრავენ, რომ არც იფიქრონ სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობაზე. მოგვიანებით, მეგობრების დახმარებით სიმონ სულაბერიძე ბუღალტერიას შეისწავლის და სადღაც კუსტარულ ცეხში დაიწყებს მუშაობას. იმავდროულად, პრობლემები ექმნება დამამთავრებელ კლასში

მყოფი უფროსი ვაჟის, ლადო სულაბერიძის, კომკავშირის მდივნად დაწინაურებას. საგანგებოდ გამართულ სასკოლო კრებაზე ქუთაისის კომკავშირის კომიტეტის წარმომადგენელი მას მოხსენების ბოლომდე ჩაკითხვის უფლებას არ აძლევს და „ხალხის მტრის“ შვილადაც კი აცხადებს. სკოლის დამთავრებისადმი მიძღვნილ გამოსაშვებ საღამოზე სიტყვებით, „იქ, სადაც ხალხის მტრის შვილია, მე არ მივალ“, დირექტორიც არ გამოცხადდება.

მიუხედავად ამისა, 1938 წელს ლადო მაინც ირიცხება უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მისი უმცროსი ძმა შოთა კი – სამედიცინო ინსტიტუტში. თუმცა უფროსი ძმის კანდიდატურის შეუსაბამობა ქუთაისის კომკავშირის კომიტეტის მოთხოვნებთან ამჯერად უმცროსს, შოთას, შეეხება იმდენად, რომ იგი იძულებული ხდება საბუთები სამედიცინო ინსტიტუტიდან უნივერსიტეტში გადაიტანოს.

ლადო სულაბერიძემ ლექსების წერა სიჭაბუკის წლებში დაიწყო. იგი იბეჭდებოდა მაშინდელ ახალგაზრდულ ჟურნალ „ჩვენს თაობაში“, ახლოს იყო ამ ჟურნალის გარშემო შემოკრებილ გამორჩეულ ლიტერატურულ ბირთვთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, კოტე ხიმშიაშვილი, მომავალში 1941 წლის ანტისაბჭოთა შეთქმულების სახელით ცნობილი პატრიოტული ორგანიზაციის ზოგიერთი წევრი. რომ არა

ომში გაწვევა, ლადო უეჭველად გახდებოდა ამ ორგანიზაციის წევრი და მათ მსგავსად დაისჯებოდა კიდეც (როგორც ცნობილია, ამ ანტისაბჭოთა შეთქმულების 17 წევრი 1941 წელსვე დახვრიტეს).

ლადო სულაბერიძე სხვა ქართველ მეომრებთან ერთად 1942 წელს ქერჩის ნახევარკუნძულზე ჩავარდა ტყვედ. გამოიცვალა საბჭოთა სამხედრო ტყვეების სამი ბანაკი – კრივოი როგის, ვლადიმერ-ვოლინსკისა და ზასლავისა. მან, როგორც სხვა სამხედრო ტყვეებმა, იცოდა, რომ ხალხთა ბელადი ამ „გადაცდომას“ არავის აპატიებდა. მეტიც, ლადომ ხომ სიჭაბუკეშივე იგრძნო მისი ოჯახზე განხორციელებული მიმართული ჩეკისტური ზეწოლის სუსხი, ასე რომ, მისი გადაწყვეტილება, ჩარიცხულიყო ქართველი სამხედრო ტყვეებისგან ფორმირებულ ქართულ ნაციონალურ ბატალიონში და საკუთარი ქვეყნის, თუნდაც, ილუზორული გამარჯვებისთვის ებრძოლა, შესაძლოა ამითაც ყოფილიყო განპირობებული.

ვლადიმერ სულაბერიძე (ზის მარჯვნივ)
თანამებრძოლებთან ერთად.

ვლადიმერ სულაბერიძე გაასამართლეს ომის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ცნობილი 58-1

„ნ“ მუხლით. მას ბრალად ედებოდა გერმანელებთან თანამშრომლობა და, შესაბამისად, სამშობლოს ღალატი. უშიშროების არქივში (ფონდი № 6, საარქივო № 48) ინახება ვლ. სულაბერიძის ოთხტომიანი საქმე, რომელიც 1948 წლის 20 თებერვალს იხსნება უშიშროების კომიტეტის მე-4 განყოფილების უფროსის მოადგილის, კაპიტან კუკულაძის, მიმართვით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ ნ. რუხაძისადმი. საქმეში ვლ. სულაბერიძის შესახებ აღნიშნული სამძებრო-აგენტურული საქმის განხილვის შედეგებია ასეა წარმოდგენილი:

„ს უ ლ ა ბ ე რ ი ძ ე ვლადიმერ სიმონის ძე, დაბადებული 1919 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში, ქართველი, სსრკ-ს მოქალაქე, უპარტიო, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ოსტროვსკის სახელობის ბიბლიოთეკის გამგე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრობის კანდიდატი, მცხოვრები ქ. თბილისში, აქსტაფის ქ. 5-ში, 1942 წლის აგვისტოში ქ. თბილისის კიროვის რ-ის პარტიის რაიკომის მიერ მობილიზებულ იქნა წითელი არმიის რიგებში. იმავე, 1942 წელს, იმყოფებოდა რა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ქ.-ქერჩის მიდამოებში გერმანელების მიერ იქნა დატყვევებული. იმყოფებოდა საბჭოთა სამხედრო ტყვეების ბანაკებში, ქალაქებში კრივოი როგი, ვლადიმერ-ვოლინსკი და ზასლავა.

1943 წელს ზასლავაში გერმანელების მიერ ქართველი სამხედრო ტყვეებისგან ფორმულირებულ იქნა ქ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ბ ა ტ ა ლ ი ო ნ ი, რომელშიც ვლ. სულაბერიძე ჯერ ოცმეთაურად, შემდეგ კი ასმეთაურად იქნა არჩეული. გერმანელებმა მას ლეიტენანტის წოდებაც მიანიჭეს. ბატალიონის მთელ პირად შემადგენლობას ეცვა გერმენული არმიის ფორმა, აღჭურვილი იყო გერმანული იარაღით. 1943 წელს ყველამ საზეიმო ვითარებაში ფიცი დადო გერმანული ხელმძღვანელობის წინაშე.

რაზმს, რომელსაც სულაბერიძე ხელმძღვანელობდა, ძირითადად, სამშენებლო საქმეები ევალებოდა: თავდაცვითი ნაგებობების, სანგრებისა და გერმანელი ჯარისკაცებისთვის სათვალთვალო პუნქტების აშენება. აგრეთვე, ისინი იცავდნენ

გზებს და ებრძოდნენ პარტიზანულ რაზმებს. სულაბერიძე, იყო რა „ქართული ნაციონალური ბატალიონის“ მე-2 რაზმის მეთაური, გერმანული ხელმძღვანელობის დიდი ნდობით სარგებლობდა; იღებდა აქტიურ მონაწილეობას პარტიზანებთან ბრძოლებში, ხშირად ქართველი ჯარისკაცების ჯგუფით გადიოდა პარტიზანების დასატყვევებლად. ასე მან ერთხელ მაიორის ჩინის მქონე (თავად სულაბერიძის და მასთან დაპირისპირებული მოწმეების დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ ეს იყო კაპიტანი – ნ.კ.) ერთ-ერთი პარტიზანული რაზმის მეთაური დაატყვევა (მისი გვარი დადგენილი არ არის), გადასცა იგი გერმანელებს, რის შემდეგაც მაიორი დახვრიტეს.

1943 წლის ზაფხულში გერმანული არმიის ქართული ბატალიონი საზეიმოდ გამწკრივეს. სწორედ მათ წინაშე გერმანულმა ხელმძღვანელობამ ვლ. სულაბერიძეს გადასცა საბრძოლო ორდენი გერმანიის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის გამო.

ვლ. სულაბერიძის წინააღმდეგ ჩვენებები მისცეს სამშობლოს სხვა მოღალატეებმა: ხოჭოლავა ოთარი სოკრატეს ძემ, გოროზია შალვა გერასიმეს ძემ (სწორედ მან აჩვენა, რომ ქ.ბახმაჩში, კიევთან ახლოს, სულაბერიძე თავის ზემდეგ ვასიასთან ერთად (ვლ.სულაბერიძე თავის ჩვენებებში მას ვანოდ მოიხსენიებს – ნ.კ.) წავიდა ნაცნობ გოგონებთან, სადაც ისინი წააწყდნენ კიდეც ორ პარტიზანს. ერთი ცხენით გაიქცა, მეორე კი, მაიორი, დააკავეს), აგრეთვე ანალოგიური ჩვენებები მისცეს სულაძე ნ.მ., ხვიჩია პ.გ. და აბაშმაძე ვ.ლ-მ. 1944 წელს სოფ. ფრაუნაში, ქ. კნეზენთან ახლოს, სულაბერიძე თითქოს გერმანელებმა დააკავეს პოლონელთან ჩხუბის გამო.

საბჭოთა არმიის მიერ ქ. მინსკის გათავისუფლების შემდეგ სულაბერიძე ვლ. საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ გადაცემულ იქნა 31-ე საკონტროლო პუნქტისთვის, სადაც დროებით გამოყენებულ იქნა გარკვეული სამუშაოებისთვის. აქედან 1945 წლის 27 სექტემბერს იგი გაიგზავნა სპეცკონტროლის გასავლელად სმოლენსკის სამხედრო ოლქის მე-5 მსროლელთა პ ო ლ კ შ ი . 1945 წლის დეკემბერში, სპეცშემოწმების გავლის შემდეგ, სულაბერიძე დაბრუნდა თბილისში. მის მტრულ მოქმედებებს ადასტურებენ მოწმეები. სულაბერიძე ამოცნობილ იქნა ფოტოსურათით“.

ამის შემდეგ კაპიტანი კუკულაძე ითხოვს ვლ. სულაბერიძის დაკავების უფლებას. ვლ. სულაბერიძე დაკითხვის დროს, ძირითადად, ადასტურებს მისთვის წაყენებულ ბრალდებებს და გამოძიების მოთხოვნით თავის მხრივ ასახელებს ქართული ნაციონალური ბატალიონის ხელმძღვანელობას 8 კაცის შემადგენლობით. რიგითების შესახებ იგი აცხადებს, რომ არ ახსოვს მათი გვარები.

დადგენილება

ვლ. სულაბერიძეს ბრალი წარედგინა სამშობლოს ღალატში. 1942 წელს იმყოფებოდა რა გერმანელთა ტყვეობაში, ვლადიმირ-ვოლინსკის ბანაკში, გადმობირებულ იქნა ანტისაბჭოთა აგიტატორების მიერ (ვლ. სულაბერიძე მოგვიანებით, დაკითხვის დროს, განაცხადებს, რომ ეს იყო რუსი ემიგრანტი, რომელმაც გერმანიის კულტურულ-ეკონომიკურ ვითარებაზე და გერმანული საქმის უპირატესობაზე ვრცელი ლექცია წაიკითხა – ნ.კ.) და თანხმობა განაცხადა ემსახურა გერმანელებთან ქართულ ნაციონალურ ბატალიონში. იყო რა ერთ-ერთი რაზმის მეთაური, გერმანული არმიის ლეიტენანტის ჩინით, მონაწილეობას ღებულობდა გერმანელების მიერ დროებით ოკუპირებულ დასავლეთის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანების წინააღმდეგ. პირადად მან შეიპყრო და გერმანულ ხელმძღვანელობას გადასცა პარტიზანული რაზმის ერთ-ერთი მეთაური, რისთვისაც გერმანელებისაგნ სამხედრო ჯილდო (ოსტ-მედალი) მიიღო.

1945 წელს, როდესაც „გათავისუფლებულ“ იქნა (ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად სიტყვები გათავისუფლდა, ტყვედ ჩავარდა ამ დოკუმენტებში ბრჭყალებშია ჩასმული –ნ.კ.) საბჭოთა არმიის მიერ, სახელმწიფო კონტროლის დროს დამალა თავისი მოღალატეობრივი საქმიანობა.

1948 წლის მარტ-აპრილში თბილისში უშიშროების კომიტეტის მიერ წარმოებული საკმაოდ საფუძვლიანი დაკითხვის დროს (აღნიშნული საქმის ტ. მე-3) ვლინდება ვლ. სულაბერიძის

ტყვეობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეტალები, რომელთა გათვალისწინება, ვფიქრობთ, აუცილებელია.

ა) პირველ ყოვლისა, ეს ეხება ტყვედ ჩავარდნის წინაპირობას. ირიცხებოდა რა 93-ე საზღვაო ბრიგადის ოფიცრად, ვლ. სულაბერიძე 1942 წლის 18 მაისს ქ. ქერჩის მიდამოებში გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა. კითხვაზე, რატომ არ გაუწიეთ შეიარაღებული წინააღმდეგობა თქვენ და თქვენმა თანხმლებმა ჯარისკაცმა გერმანელებს, ვლ. სულაბერიძე პასუხობს: „ალყაში ვიყავით, სულმოკლეობა გამოვიჩინეთ; გარდა, ამისა, დაჭრილი ვიყავი მარცხენა ფეხში და როდესაც მთების მიმართულებით გადავწყვიტეთ გადაადგილება, არჩილს (ასე ერქვა მის თანამებრძოლს – ნ.კ.) ვეყრდნობოდი.

ბ) დატყვევებული პარტიზანული რაზმის მეთაური, როგორც თვითონ ვლ. სულაბერიძის დაკითხვის ოქმებში გამოჩნდა, ჩინით კაპიტანი ყოფილა და არა მაიორი, თუმცა ეს ბევრს ვერაფერს ცვლის.

გ) გერმანელების მიერ ქართველი ტყვეების გადაბირების შესახებ ვლ. სულაბერიძე აჩვენებს, რომ ვლადიმერ-ვოლინსკის ტყვეთა ბანაკში კავკასიელებს 25 გრამით მეტ შაქარს აძლევდნენ, ვიდრე სხვებს. აქ მაღალ დონეზე ყოფილა დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა (ბიბლიოთეკა-სამკითხველო, კლუბი, რადიო-გადაცემები, ღია ლექციები ანტისაბჭოთა თემებზე). ბიბლიოთეკაში შეხვდებოდით ანტისაბჭოური შინაარსის მხატვრულ ნაწარმოებებს ან ბროშურას, დაწერილს პოპულარულ ენაზე. თურმე სისტემატურად შემოდიოდა გაზეთი „Русское слово“, რომელსაც გამოსცემდა РОА, ანუ რუსული განმათავისუფლებელი არმია. ამ გაზეთებში იყო მრავალი კარიკატურა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებზე. ტყვეთა წინაშე გამოდიოდა უკრაინული გუნდიც, რომელიც ასრულებდა ანტისაბჭოური შინაარსის სიმღერებს, თუმცა იმავე სიმღერით განადიდებდა ჰიტლერს. რაც შეეხება ლექციებს, ისინი რუსულ ენაზე ტარდებოდა. ერთ-ერთი რუსი ემიგრანტი ტყვეებს არწმუნებდა საბჭოთა არმიის დამარცხებაში და ურჩევდა ჯარისკაცებს, დროზე ჩარიცხულიყვნენ РОА-ში. კავკასიელები კი,

მისი თქმით, კავკასიის გათავისუფლების შემდეგ დაუბრუნდებოდნენ თავიანთ მიწა-წყალს. ვინც ჩაეწერება, გათავისუფლდება ტყვეობისგან და შეექმნება უკეთესი მატერიალური პირობები, – უთქვამს აგიტატორს. ვლ. სულაბერიძე ამბობს, რომ მან ორი დღე იფიქრა ამ შემოთავაზებაზე და რადგან შიმშილით სიკვდილი ელოდა, თანხმობა განაცხადა.

დ) ჰქონდა თუ არა ასეთი გადაწყვეტილების მიღებას უფრო ღრმა მიზეზი? (სხვათა შორის, ამავე გარემოებაზე მიუთითებენ ვლ. სულაბერიძეს აღნიშნულ დაკითხვაზეც: თქვენ ტყუით, – ეუბნება მას გამომძიებელი, – გერმანელებთან თქვენი შემდგომი საქმიანობით თუ ვიმსჯელებთ, მათ მხარეს გადასვლას უფრო ღრმა მიზეზი ჰქონდა). დაკითხვის ოქმებში ჩანს, რომ გერმანელებთან გადასვლას ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა. იყვნენ ისეთი ტყვეებიც, რომლებიც სხვადასხვა ვითარებაში თანამშრომლობაზე უარს აცხადებდნენ, რისთვისაც მათ ციხეში სვამდნენ, თუმცა, ჩანს, ზოგიერთ შემთხვევაში არსებობდა გადარჩენის შანსიც (მაგ. გადარჩნენ ვინმე ერასტი რობაქიძე, რაფიელ ჩიტაია, ზაქრო გოგოძე; რაფიელ ჩიტაიას ვლ. სულაბერიძე, როგორც ეს 1948 წლის 19 მარტის დაკითხვიდან ირკვევა, თბილისში 1947 წელს შეხვდა – ფონდი №6, საარქივო №48, ტ. 3, გვ. 62). ვლ. სულაბერიძე, რომელიც ახ-ლოს იცნობდა ჟურნალ „ახალი თაობის“ გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა პოეტებს, მომავალი შეთქმულების ზოგიერთ წევრსა და ამ შეთქმულების იდეურ ხელმძღვანელებსაც (მაგ. უნივერსიტეტის პროფესორებს, მიხეილ ზანდუკელსა და ერეკლე ტატიშვილს), უთუოდ იზიარებდა იმ იმედს, რომელსაც ისინი ომის პირველ წლებში გერმანულ არმიაზე, როგორც საქართველოს ბოლშევიზმისგან გამათავისუფლებელ რეალურ ძალაზე, ამყარებდნენ. ამიტომაც ლ. სულაბერიძემ თანხმობა განაცხადა არა მარტო თანამშრომლობაზე, არამედ გადაწყვიტა ზუსტად შეესრულებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა და ამით ბანაკის ხელმძღვანელობის ნდობა მოეპოვებინა.

ე) ვლ. სულაბერიძე ქართულ ნაციონალურ ბატალიონში ყოფნას მხოლოდ ერთხელ ადასტურებს და ისიც მაშინ, როდესაც პოლონეთში შემოსულმა საბჭოთა არმიამ ისინი ჩვეულებ-

რივ ტყვეებად მიიჩნია და გაათავისუფლა. თუ დავაზუსტებთ, ისინი „გათავისუფლდნენ“ 1945 წლის იანვარში სოფ. გნეზივნში (პოლონეთი) დასავლეთში ევაკუაციის დროს. ამას მოჰყვა სპეციალური შემოწმება, რომლის დროსაც ვლ. სულაბერიძეს, ცხადია, არ გაუმხელია საქმის ნამდვილი ვითარება. მხოლოდ 1948 წლის 28 აპრილს უშიშროების კომიტეტის მიერ ჩატარებული სამძებრო-აგენტურული ღონისძიებების შედეგად ვლ. სულაბერიძე, „როგორც თავისი ანტისაბჭოთა კავშირებითა და მტრული საქმიანობით საზოგადოებისთვიოს საშიში პირი“, დააპატიმრეს და გაგზავნეს განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკში. მანამდე კი იგი 4 თვის განმავლობაში სუკ-ის შინაგან ციხეში იმყოფებოდა. სწორედ იქ ყოფნის დროს გაიგო ვაჟიშვილის დაბადების ამბავი.

ვლ. სულაბერიძის საქმის მე-2 ტ.-ში ინახება მისი მეუღლის, ქ. თბილისში, აქსტაფის ქ. 5-ში მცხოვრები ეთერ გედევანის ასული შათირიშვილის თხოვნა, გაგზავნილი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის სახელზე:

„ჩემი ქმარი, პოეტი სულაბერიძე ვლადიმერ სიმონის ძე, დაპატიმრებულია სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მიერ. მისი დაპატიმრებისას მე ვიყავი ფეხმძიმედ. ახლა შემეძინა ვაჟი. მამას თავისი პირველი შვილი არ უნახავს. გთხოვთ მომცეთ შესაძლებლობა ვაჩვენო მამას თავისი პირმშო ვაჟი.

მთხოვნელი ე. შათირიშვილი
1948 წლის 11 მაისი. (სტილი დაცულია)
განცხადებას აწერია: Исполнено 14/V – 48

აქვეა ვლ. სულაბერიძის დედის, მარიამ სულაბერიძის, თხოვნაც, დაწერილი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრის, რუხაძის სახელზე:

„სიღარიბესა და სიდუხჭირეში აღზრდილი, სკოლის გარე შინაური წერა კითხვის მცოდნე ქალმა, მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში შევძელი შვილების აღზრდა უმაღლესი განათლებით და ახლა ვგრძნობდი თავს ბედნიერად ბედნიერ ქვეყანაში. ჩემი

სიამაყე, შრომის დიდი ნაყოფი და იმედი, ახალგაზრდა პოეტი ვლადიმერ სულაბერიძე დაპატიმრებულია და მას წაყენებული აქვს ბრალდება. გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ვლადიმერის შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ასახულია მის წიგნში „ყირიმის ღამეები“ და მრავალ სხვა მხატვრულ ორგანოში, და რითაც მან დაამტკიცა საბჭოთა ქვეყნის ერთგულება და პატრიოტიზმი, მიიღოთ მხედველობაში მისი პროლეტარული წარმოშობის მოხუცი დედ მამა, ახლად შერთული ცოლი და თვე ნახევრის ბავშვი, მიიღოთ მხედველობაში, რომ მას საბჭოთა ქვეყნის საკეთიდღეოდ, როგორც უნიჭიერეს მწერალს, შეუძლია მოუტანოს სარგებლობა, გთხოვთ დამეხმაროთ, აღმიძრათ შუამდგომლობა სასამართლოს წინაშე შეუმსუბუქონ სასჯელი, რომ შესაძლებელი გახდეს ჩემი ოჯახისათვის შვილის დაბრუნება და მისი დაწყებული სასარგებლო საქმის გაგრძელება. მომეცით საშვალება დავესწრო ჩემს შვილს სასამართლოზე და თუ კანონით აუცილებელია სასჯელის მოხდა, დამიტოვეთ საქართველოში (სტილი დაცულია – ნ.კ.).

მთხოვნელი მ. სულაბერიძე
20 მაისი, 1948 წ.
(თხოვნა დაწერილია სხვისი ხელით, ხელმოწერა ორიგინალურია – ნ.კ.)

ვლ. სულაბერიძის საქმის მე-3 ტ.-ში (გვ. 172) ინახება 1948 წლის 5 აპრილით დათარიღებული საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მიერ გაცემული ვლ. სულაბერიძის დახასიათება, რომელშიც აღნიშნულია, რომ იგი 1937 წლიდან იბეჭდებოდა შემდეგ ჟურნალ-გაზეთებში: „მნათობში“, „ჩვენს თაობაში“, „პიონერში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, „ნორჩ ლენინელში“, „ინდუსტრიულ ქუთაისში“. აღნიშნულია ჯარში გაწვევის დროც: 1941 წელი.

„ომის დამთავრების შემდეგ 1945 წლის დეკემბრიდან კი იგი კვლავ განაგრძობდა ლიტერატურულ მუშაობას. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟ. „მნათობსა“ და გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“. 1948 წლის დასაწყისში ცალკე წიგნად გამოიცა ვლ. სულაბერიძის ლექსთა კრებული. ახალ-

გაზრდა მწერალთა შორის თავისი ლექსებით იგი იქცევდა მკითხველთა ყურადღებას და ყოველ მის ახალ ლექსში სჩანდა შემოქმედებითი ზრდა“.

საქ. საბჭ. მწერლების კავშირის გამგეობის
თავ-რე ს. ჩიქოვანი
საქ. საბჭ. მწერლების კავშირის გამგეობის
პასუხისმგ. მდივანი ალ. გომიაშვილი

ვლ. სულაბერიძეს მიუსაჯეს 25-წლიანი პატიმრობა და ეტაპით გააგზავნეს მაგადანის ოლქში, მდინარე კოლიმას შენაკად მიაუნჯას ნაპირებზე განლაგებულ ბანაკში (შემდგომ ეს მდინარე, ისევე როგორც კალიმა, სათანადოდ აისახა კიდეც ვლ. სულაბერიძის პოეზიაში). წიგნში „წამების გზა“ ნაწ. მე-2 ვკითხულობთ: „1949 წლის 15 ივნისს ყინულოვან შორეთში გადასაკარგავად ეტაპით წაყვანილმა, გზად ბაქოსა და როსტოვის ციხეთა საკნებშიც იწვნია სიმწარე. მაგრამ გადასახლებისკენ მიმავალი გზის საშინელებათა შორის ყველაზე მძიმე მაინც საქონლის ვაგონებში გამომწყვდეულ, თევზის ჭამით მოწყურებულ პატიმართა ტანჯვა იყო“ (კვერენჩხილაძე 2017: 445). სწორედ ამ გზაზე შეხვდა პატიმარი ვლ. სულაბერიძე ჯერ ლევან გოთუას, ფილოსოფოს გიორგი (ჟორეს) ცინცაძეს, შემ-

დეგ კი – ჭაბუა ამირეჯიბს. ალექსანდრე ქათამაძემ კი, შემდგომში აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მცველმა, პატიმრობიდან გათავისუფლების წინ შეასრულა ვლ. სულაბერიძის თხოვნა და ხელთათმანებში დამალული მისი ლექსები სამშობლოში ჩამოიტანა (კვერენჩხილაძე: 445-446).

ისევე, როგორც არაერთი პოლიტპატიმარი, ვლ. სულაბერიძე იხსნა ბელადის გარდაცვალების შემდეგ გამოცხადებულმა საყოველთაო ამნისტიამ. ამიტომაც იგი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულების თანახმად თბილისში 1956 წლის 18 იანვარს დაბრუნდა. მას შემდეგ, რაც 1956 წლის 27 აპრილს აღადგინეს მწერალთა კავშირში, კვლავ განაგრძო აქტიური ლიტერატურული საქმიანობა.

70-იან, განსაკუთრებით კი 80-იანი წლების დასასრულს ვლ. სულაბერიძეს უკვე თამამად შეეძლო გაეხსენებინა თავისი წარსული. მაგ. პოეტ შუკო ჯიქიას შეკითხვაზე, ხომ არაფერი იცოდა 1942-45 წლებში ბერლინში გამომავალ ქართველ ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოში“ ა მ უ რ ი ს ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსების ავტორის შესახებ, უპასუხა, რომ „ამური“ მისი ფსევდონიმი იყო. 1991 წლის „მნათობში“ პოეტმა გადაწყვიტა, უფრო ფართოდ მოეთხრო ამ პუბლიკაციის შესახებ და ქართველ მკითხველს მაშინდელი ლექსებიც შესთავაზა*. გარდა ამისა, მან დაიწყო ბელეტრიზებული მოგონებების წერა. 1985 წელს გამოქვეყნდა რომანი „ზღვისკენ მიმავალი გზები“, რომელშიც საერთო სურათი ბუდუ ბედიას თავგადასავლით და ავტორისეული ჩანართებით არის წარმოდგენილი. რაც შეეხება ტყვეობისა და გადასახლების უმძიმეს წლებს, ვლ. სულაბერიძე მათ შესახებ პირველ პირში გვიყვება დოკუმენტური ხასიათის ვრცელ მოგონებაში „ცხადსიზმარიანა“, რომლის მხოლოდ ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“**.

ვლადიმერ სულაბერიძე გარდაიცვალა 1993 წლის 27 სექტემბერს. იმ დღეს სოხუმი დაეცა...

---

* ლადო სულაბერიძე, ლექსები, ჟურნ. მნათობი, 1991, №2.
** იხ. , ჟურნ. მნათობი, 1992, №12, 1993, №1.

ზოია ცხადაია

სამსონ სულაკაური

1942 წელს დაპატიმრებულ და დახვრეტილ შეთქმულთა შორის იყო ქართული კინოდრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი სამსონ სულაკაური. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ „მუნჯი“ ხელოვნების სახით აღმოცენებული კინო წლების განმავლობაში „უგულებელყოფდა კინოდრამატურგის ხელობას... კინემატოგრაფისტები ცნობილ სიუჟეტებსა და პერსონაჟებს მიმართავდნენ, რათა მაყურებლისთვის იმთავითვე გასაგები ყოფილიყო ყველაფერი“ (გ. დოლიძე)... ამ შემთხვევაში იშვიათ გამონაკლისად მიიჩნევენ შალვა დადიანის სცენარებს ფილმებისათვის: „არსენა ჯორჯიაშვილი“ და „ქარიშხლის წინ“. ნამდვილი პროფესიონალი სცენარისტები 20-30-იანი წლების მიჯნაზე გამოჩნდნენ, რომელთა შორის ერთ-ერთ უპირველესად სამსონ სულაკაურია მიჩნეული. 1926 წელს იგი წერს თავის პირველ სცენარს „იბრაჰიმი და გოდერძი“, რომელმაც წარმატება მოუტანა არა მარტო ახალგაზრდა ავტორს, არამედ მთელ ქართულ კინემატოგრაფიას; სამსონ სულაკაურის სასცენარო შემოქმედების ძირითადი წყარო იყო თანამედროვე რიგითი ადამიანების ყოფა. ასეთია მისი ფილმები: „შეხვედრა“, „უდაბნო“, „ქალიშვილი ხიდობიდან“ და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამსონ სულაკაურის სცენარით შექმნილ ფილმს „ღრუბელთა თავშესაფარი“ (1928 წ.), რომელშიც აისახა იმ დროისთვის აქტუალური თემა – მთა-თუშეთის ცხოვრება. „როცა ვიგონებთ ამ ფილმებს,

რომლებიც ს. სულაკაურის სცენარით დაიდგა, ცხადია, რომ მათ ყოველთვის ეტყობოდათ არა მხოლოდ ნიჭიერი ლიტერატორის, არამედ საერთოდ ხელოვნებაში ღრმად ჩახედული და, ამასთან, რაც მთავარია, გაწაფული ოსტატის ხელი“ (დოლიძე 1983: 121).

სამსონ სულაკაურს ეკუთვნის მრავალი თეორიული ხასიათის წერილი კინემატოგრაფის განვითარების საკითხებზე: „პირველი ქართული რევოლუციური კინო-ფილმები“*, „ალისა ქიქოძე“, რომელშიც იგი საუბრობს ქართული კინოს პირველ ვარსკვლავზე, თეატრისა და კინოს ცნობილ მსახიობზე** „თეატრალურ გრიმიორთა ქართული სკოლა“*** და სხვ.

სამსონ სულაკაური დაიბადა 1899 წელს, თელავში, ს. ზემო ალვანში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი შევიდა თბილისის დრამატულ სტუდიაში, რომელიც დაამთავრა 1924 წელს. ეს სტუდიაა, რომელიც თავდაპირველად აკაკი ფაღავას სახელს ატარებდა, მალე კი სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტად გადაკეთდა.

სამსონ სულაკაურმა მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში მსახიობად. გადაიღეს მრავალ ფილმშიც („საბა“, „ღრუბელთა თავშესაფარი“ და სხვ.), შემდეგ იგი კოტე მარჯანიშვილის ასისტენტი იყო კინოფილმ „სამანიშვილის დედინაცვლის“ გადაღებისას. შემორჩენილია კოტე მარჯანიშვილის რეკომენდაცია, რომელიც ნათლად დაგვანახებს სამსონ სულაკაურს, როგორც ნიჭიერ სცენარისტს: „სამსონ მიხეილის ძე სულაკაურს ვიცნობ როგორც სცენარისტსა და თანამშრომელს. იგი ჩემთან მუშაობდა ფილმის გადაღებისას. მისი რეჟისორული უნარი და ნიჭიერება სასცენარო საქმეში უცილობელია. ფრიად საჭიროდ მიმაჩნია მისი მივლინება საზღვარგარეთ, რამეთუ კინოტექნიკაში გაწაფვის შემდეგ მისგან ჩინებული რეჟისორი და სცენარისტი უნდა დადგეს“ (მარჯანიშვილი 1983: 121).

ბოლშევიკური რეპრესიების სისასტიკე სამსონ სულაკაურმა შემოქმედებითი აღმავლობის წლებში იწვნია. იგი დააპატიმრეს

---

* ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1957 წ., №10.

** ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №4

*** ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969 წ.

1942 წლის 26 დეკემბერს სამანელთა* საქმესთან კავშირის გამო. ბრალდების ტექსტი შედგენილია რუსულ-ქართულად:

სულაკაური სამსონ მიხეილის ძე, დაბ. 1900 წ., თელავი, ს.ზემო ალვანი, საცხ. ადგილი – თბილისი, ქვიშის ქ. №17, უპარტიო, დაოჯახებული.

„საკმაოდ მხილებულია მასშიდ, რომ 1942 წელს, როცა გერმანული ჯარები მოადგნენ საქართველოს საზღვრებს, კ/რევოლუციურ პოზიციაზე მდგარი, შევიდა ტერორისტულ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანული იმპერიალიზმის მხარდაჭერას, საბჭოთა ხელისუფლების დამხობას ბობღიაშვილისა და იმედიძის ბანდის ხელმძღვანელობით. დაუკავშირდა მათ, აწვდიდა ინფორმაციებს მიმდინარე ვითარებაზე; ავრცელებდა ფაშისტური შინაარსის ფურცლებს, ბანდიტებს შორის თავს წარადგენდა თბილისის არალეგალური ორგანიზაციის წარმომადგენლად.

დავადგინე: „ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სსრ დროებითი წესების 36 მუხ. მიცემულ იქნეს პასუხისგებაში (შემდეგ ტექსტი გრძელდება რუსულად): ვხელმძღვანელობ მუხ. 128 და 123.

სულაკაური სამსონ მიხეილის ძე ცნობილია დამნაშავედ. მუხ. ბ 19-58-I-ა, 58/10, მუხ. 58/11

გამომძიებელი მარქაროვი (საქმე გადაეგზავნა პროკურატურას)

1942 წ. 26 დეკემბერი

სამსონ სულაკაურთან ერთად ერთი და იმავე ბრალდებით **დააპატიმრეს 22 კაცი.** საქმე აღიძრა შემდეგი გარემოების გამო:

„1941 წლის სექტემბერში თბილისში გამომჟღავნდა და ლიკვიდირებულ იქნა არალეგალური შეიარაღებულ მეამბოხეთა ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის საქმესთან დაკავშირებით დააპატიმრეს 33 კაცი. მათ შორის **ქადაგიძე გიორგი ივანეს ძე**, სახ. უნივერსიტეტის ასპირანტი, დაბ. თელავში, ს. ზემო ალ-

* „სამანი“ – საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები; შეთქმულთა ჯგუფის ეს წოდება უნდა ეკუთვნოდეს ადამ ბობღიაშვილს, რომელსაც შეუმუშავებია სამოქმედო წესდება. სამანის ცენტრი მდებარეობდა ზემო ალვანში.

ვანში; ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელმაც გადაიბირა ზემოთ დასახელებულ ორგანიზაციაში თანასოფლელები და მეგობრები: **ბობღიაშვილი ადამ იასონის ძე**, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, **იმედიძე მიხეილ** – მეტყევე ინჟინერი, დაბ. ზ. ალვანში, **ჭელიძე ალექსანდრე** – დაბ. დუშეთში.

„ელიზბარს და აბაშო აბაშიძეებს, ჭარელიშვილს და სხვა შეთქმულებს ბრალად ედებათ ალვანში კოლმეურნეობიდან ყველის (სურსათის) გატაცება და თბილისში გაგზავნა იარაღზე გაცვლის მიზნით... დაკითხვისას ე. აბაშიძემ თქვა, რომ 1942 წლის ოქტომბერში ზემო ალვანის არალეგალურ მოღალატურ ჯგუფს დაუკავშირდა თბილისიდან ჩამოსული ადგილობრივი მკვიდრი (ალვანში დაბადებული) **ს. სულაკაური**, ავტორიტეტული პიროვნება თუშეთში (აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელიც დაჭერილია)...

... ლაგაზიძემ ასევე აღიარა გიგო ქააძის ნათქვამი, რომ ზემო ალვანში ჩამოვიდა სამსონ მიხეილის ძე სულაკაური, რომელიც არის თბილისის არალეგალური ორგანიზაციის წარმომადგენელი. ქააძემ საღამოსთვის ლაგაზიძე დაპატიჟა თავის სახლში, შეიკრიბებოდნენ ბობღიაშვილი, იმედიძე და სულაკაური. ლაგაზიძე არ წასულა და როგორც აღნიშნავს, ის შეხვედრის გარეშეც ენდობოდა სულაკაურს.

... „გიგო ქააძემ ე. აბაშიძეს (ორივე დახვრიტეს, – ზ.ც.) უამბო სულაკაურის შესახებ, რომ სულაკაურმა მას (ქააძეს) შეხვედრისას უთხრა, რომ თბილისში იცოდნენ ზემო ალვანში ამ ორგანიზაციის არსებობის შესახებ. მან ინფორმაცია მიაწოდა ქააძეს, რომ თბილისშიც არსებობდა მსხვილი არალეგალური ორგანიზაცია, ჯაჭვური სისტემით შექმნილი.

სამსონ სულაკაური, სახ.კინმრეწვის დრამატურგი, არის ბავშვობის მეგობარი მოღალატური ორგანიზაციის ერთი წევრის, გიგო ქააძისა, რომელიც პირადად იცნობდა ჩეჩნური პოლიტბანდის მეთაურს, იდრის მაგომედოვს.*

... ბობღიაშვილმა და ქააძემ, თავის მხრივ, სულაკაურს გააცნეს გეგმა, რომ ისინი აპირებდნენ ფართო მასშტაბის არა-

* იდრის მაგომედოვი – ჩეჩნეთის ეროვნული მოძრაობის ლიდერი.

ლეგალური ორგანიზაციის შექმნას კახეთში, დეზერტირთა ერთიანობის ძალით, ასევე უნდა დაკავშირებოდნენ მთა-თუშეთს, იქიდან – ჩეჩნეთის პოლიტბანდას, იდრის მამედოვს, რომელსაც ბანდაში ჰყავდა ემიგრანტი ქისტი, გერმანული არმიის წარმომადგენელი... სულაკაურმა მიიღო დავალება გიგო ქააძისგან, წასულიყო მთა-თუშეთში გიგოს ძმის დახმარებით (იკალე ქააძის), წაეღო ჟურნალ-გაზეთები და საიდუმლო წერილები...

პატიმარი დიმიტრი ბაკურიძე ყვება, რომ ის აცნობდა სულაკაურს თავის თავგადასავალს ჩეჩნეთში, რის შემდეგაც სულაკაურმა მას უთხრა, რომ ამის გამო დახვრეტა დაემუქრებოდა, ურჩია, თბილისიდან გასულიყო, დამალულიყო, დაბრუნებულიყო მთა-თშეთში. შეჰპირდა, რომ თვითონაც ჩავიდოდა მთა-თუშეშთი, იქაური მდგომარეობის შესასწავლად.

დიმიტრი ბაკურიძის აღიარებით, ის უყვებოდა სულაკაურს იდრისის ბანდის შესახებ, რომ ის (იდრისი) გერმანიის ჯარებისგან ქისტების საშუალებით იღებდა მითითებებს (ეს ქისტები იყვნენ გერმანიის ჯარებთან და ამჟამად –ჩეჩნეთში, იდრისთან...

საგამოძიებო დასკვნებიდან:

... ბრალდებული სულაკაური ჯიუტად უარყოფდა თავის ორგანიზებულ კავშირს მოცემულ მოღალატურ ორგანიზაციასთან, აცხადებდა, რომ ის არ იყო ამ ორგანიზაციის წევრი და მან მოატყუა ისინი – ვითომ თბილისში არსებობდა ასეთი ორგანიზაცია და ის იყო ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი, რათა ამით აემაღლებინა თავისი ავტორიტეტი მათ თვალში, კიდევ იმიტომ, რომ მას აქვს უარყოფითი თვისება ხასიათისა – ტრაბახი...“

ს. სულაკაური ხსნის თავისი საქციელის მიზეზებს და ამბობს, რომ მას აინტერესებდა, გაეგო, რა არალეგალურ საქმიანობას ეწეოდნენ გიგო ქააძე და მისი თანამზრახველები სსრკ წინააღმდეგ, რადგან თვითონ თავდაჯერებული მტერი იყო საბჭოთა ხელისუფლებისა იმ წუთებიდან, რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფაშიტური გერმანიის სამხედრო მოქმედებები დაიწყო.

26.II. 1943 წ.

... „სულაკაურმა თავისი ხელმოწერით დადასტურებულ ჩვენებაში განაცხადა:

„რასაკვირველია, მე რომ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე ვყოფილიყავი, ვალდებული ვიყავი, ყოველივე ამის შესახებ განმეცხადებინა იქ, სადაც საჭირო იყო, მაგრამ მე ეს არ გავაკეთე, რამდენადაც ჩემში ჯერ კიდევ მყარად იჯდა საბჭოთა ხელისუფლების მტერი. გადავწყვიტე დუმილი იმ იმედით, რომ იქნებ 1943 წლის გაზაფხულამდე ჩემი საქმე ქააძესთან მიმართებით არ გაიხსნებოდა. ამასობაში დავასრულებდი ჩემს პიესას „1920 წლის მოვლენები ჩრდილოეთ კავკასიაში სერგო ორჯონიკიძის თაოსნობით“, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ პიესა წარმატებულად გახმაურდებოდა და დაპატიმრების შემთხვევაში ის მე მიხსნიდა. დავიწყე მუშაობა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირვანდელი გულწრფელობა გამქრალიყო. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ჩემი არაგულწრფელი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან გამოვლინდებოდა ჩემს ნამუშევარში და მივატოვე პიესის წერა“...

... „საბოლოოდ სულაკაურმა აღიარა, რომ თავის ნაცნობთა შორის ავრცელებდა გერმანელთა შესახებ ფურცლებს, რომლებსაც თავის ბინაში ინახავდა. ჩხრეკის დროს აღმოჩნდა პრესის ფურცლები, როგორც დამამტკიცებელი საბუთი“...

„ბრალდებულებმა **ვახტანგ ცისკარიშვილმა, სამსონ სულაკაურმა** და **ფირუზ ბექურაიძემ** თავი ცნეს დამნაშავედ, თუმცა სულაკაური, რომელმაც თითქმის ყველაფერი აღიარა, აცხადებს, რომ ის, ფაქტობრივად, არ ყოფილა ორგანიზაციის წევრი; გამჟღავნებულია ელიზბარ აბაშიძის, კიმოთე ლაგაზიძის და დიმიტრი ბაკურიძის მიერ (ბაკურიძე, თავის მხრივ, უარყოფს ამას, მაგრამ მას ყურადღებას არ აქცევენ).

განაჩენი*

დახვრეტა მიესაჯათ: **ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძეს, კიმოთე სიმონის ძე ლაგაზიძეს, დიმიტრი გაბრიელის ძე ბაკუ-**

* ტ. I, საქ. 42-15-75 გვ. 212

რიძეს, ირაკლი დიმიტრის ძე გარსევენიძეს, ივანე სიმონის ძე არინდაულს, სამსონ მიხეილის ძე სულაკაურს; დანარჩენებს – გადასხლება 10 წლით და 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.

საბოლოო განაჩენით დახვრეტის მუხლი დარჩათ ელიზბარ გაბრიელის ძე აბაშიძეს და გოგალე მიხეილის ძე მინდიძეს (ბრალად ედებოდათ თელავის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის, ციხისთავის, და ვინმე ირაკლი აფთარაულის მკვლელობა, რომლებსაც ისინი დამსმენებად მიიჩნევდნენ); საგამოძიებო დასკვნის მიხედვით, ელიზბარ აბაშიძეს ეკუთვნოდა მკვლელობის იარაღი. უშუალოდ მკვლელობა ბრალდებოდა გოგალე მინდიძეს; იარაღის „ნაგანის“ გადატანა ბრალდებოდა „კულაკ“ (სტილი დაცულია) ევა ოჟილაურს; დანარჩენ 6 მსჯავრდებულს, მათ შორის სამსონ სულაკაურს, დახვრეტა შეეცვალა 10 წლიანი გადასახლებით და 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით*

სამსონ სულაკაურმა მისჯილი ათი წელი ბოლომდე მოიხადა: ჯერ ავჭალის კოლონიაში, შემდეგ – გადასახლებაში. „სამსონი ძალიან განათლებული კაცი, ნიჭიერი კინოსცენარისტი და რეჟისორი იყო, მაგრამ პატიმრობაში ცოტა სასოწარკვეთილ კაცს ჰგავდა“, – იხსენებდა მასთან ერთად პატიმრობაში მყოფი პოეტი შალვა მჭედლიშვილი (კვერენჩხილაძე 2017: 287).

ცნობილმა ქართველმა პოეტმა და პროზაიკოსმა არჩილ სულაკაურმა მამის, სამსონ სულაკაურის, ცხოვრების ეს ტრაგიკული ისტორია შთამბეჭდავ მხატვრულ სიტყვად აქცია თავის მოთხრობაში „აბელის დაბრუნება“. პოეტმა ირაკლი აბაშიძემ პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში 30-იანი წლების რეპრესიებს „კაენის სულის აღზევება“ უწოდა და ეს ფრაზა საბჭოთა რეპრესიების პოეტურ-ირონიულ მინიშნებად იქცა. არჩილ სულაკაურმა კი კაენისგან განწირულ რეპრესირებულ თბილისელ კაცს (პროტოტიპი – მწერლის მამა), აბელი დაარქვა და მკითხველს ნაწარმოების სათაურშივე უთხრა მთავარი სათქმელი. მოთხრობის მთავარი ღირსება ისაა, რომ აქ გან-

* ფონდი № 6. საარქივო №421575, ტ. I.

ზოგადებულია აბელის (რეპრესირებულის) სახე. მის თავს მრავალი რამ ხდება ისეთი, რაც ბევრ რეპრესირებულს გადახდენია. აქ, ძირითადად, საუბარია იმაზე, თუ რა სიტუაცია, როგორი გულსატკენი ვითარება ხვდება გადასახლებიდან დაბრუნებულ აბელს – წართმეული სახლი, გარდაცვლილი მეუღლე, გაუცხოებული ადამიანები...

გადასახლებიდან დაბრუნებული სამსონ სულაკაური მუშაობდა საქართველოს ხელოვნების სამმართველოს სასწავლო დაწესებულებათა ინსპექტორად, იყო სახკინომრეწვთან არსებული კინომსახიობთა სასწავლებლის პირველი დირექტორი. სიცოცხლის ბოლო წლები (1959-1969) კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ერთ-ერთ განყოფილებას უძღვებოდა და, ამავე დროს, აგრძელებდა თანამშრომლობას პერიოდულ პრესაში, მაგრამ მისი მოღვაწეობის მთავარი სფერო მაინც კინოდრამატურგია იყო. იგი 1969 წელს გარდაიცვალა.

დამოწმებანი:

დოლიძე 1983: დოლიძე, გ. *დრამატურგის გახსენება*. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №5, 1983.

კვერენჩხილაძე 2017: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

მარჯანიშვილი 1983: მარჯანიშვილი, კ. *დრამატურგის გახსენება*. წიგნში: გ. დოლიძე. საბჭოთა ხელოვნება, №5, 1983.

ადა ნემსაძე

ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, მწერალი და მთარგმნელი ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი დაიბადა 1893 წელს* ქ.გორში. როგორც თავად აღნიშნავს, ***ალექსანდრე ჩაჩიკოვი*** თავიდან მისი ლიტერატურული ფსევდონიმი იყო, 1924 წლიდან კი მუდმივ საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში და უკვე ოფიციალურადაც ასე იწოდებოდა.

ალ. ჩაჩიკაშვილი თავადური წარმომავლობისა იყო. მამამისს, მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩაჩიკაშვილს, მოსკოვის კადეტთა კორპუსი ჰქონდა დამთავრებული. სწორედ მამის რჩევით ჩაბარა მანაც ვლადიკავკაზის კადეტთა კორპუსში 1904 წელს, საიდანაც 1907 წელს ავადმყოფობის გამო თბილისის კადეტთა კორპუსში გადავიდა. 1912 წელს სასწავლებელი დაამთავრა და მოსკოვში, ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში გაემგზავრა, სადაც 1914 წელს პოდპორუჩიკი გახდა. მალევე გაუგზავნიათ ომში, მაგრამ ავსტრია-გერმანიის ფრონტზე მარცხენა ხელში დაჭრილა და სამხედრო სამსახური დროებით შეუწყვეტია. 1915 წელს თურქეთის ფრონტზეა კავკასიის მე-5 სასაზღვრო ქვეითი პოლკის ადიუტანტად, მაგრამ 1916 წლის მარტში კვლავ

---

* ვეყრდნობით მის ანკეტას, რომელიც მოიპოვება პატიმრის სისხლის სამართლის საქმეში (შსს საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საარქივო №45362, ტ. 6). იგივე თარიღია (1893 წლის 7 სექტემბერი) მითითებული „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ (Большая советская энциклопедия в 66 т., М.: Советская энциклопедия, 1926-1947) პირველი გამოცემის 61-ე ტომში (1934).

დაჭრეს მარჯვენა ფეხში და სამკურნალოდ ბათუმში გაგზავნეს. 1917 წელს გამოჯანმრთელებული ირანში გადაისროლეს უკვე პორუჩიკის ჩინით. ალ. ჩაჩიკაშვილს უმაღლესი სამხედრო განათლების მიღება უნდოდა, რისთვისაც თხოვნა დაუწერია. მისი სურვილი 1917 წელს დააკმაყოფილეს და ისიც ლენინგრადის სამხედრო-იურიდიული აკადემიის სტუდენტი გახდა, მაგრამ ამ სურვილს ახდენა არ ეწერა: 1917 წლის ნოემბერში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, აკადემია დაიხურა და ალექსანდრე ჩაჩიკაშვილიც სამშობლოში გამოემგზავრა. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი სამჯერ იყო დაჯილდოებული: ანას მე-4, ანას მე-3 და სტანისლავსკის მე-3 ხარისხის ორდენებით.

თავისი მაშინდელი მსოფლმხედველობის გამო ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი ოქტომბრის რევოლუციას ეჭვის თვალით უყურებდა, არც ბოლშევიკები ესიმპათიურებოდნენ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მენშევიკურ რეგულარულ არმიაში შედის, ჯერ დარიალის ბატალიონის მეთაურის თანაშემწეა, ორ-სამ თვეში კი შტაბსკაპიტნის წოდებას იღებს და ბატალიონის მეთაურად გადაჰყავთ, მაგრამ მალე კვლავ ჯანმრთელობის პრობლემები უჩნდება და სამხედრო სამსახურს საბოლოოდ ანებებს თავს.

1919 წლიდან იწყება ალ. ჩაჩიკაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა. გარკვეული ხნით მთარგმნელად მუშაობდა ბათუმში, მერე ცოტა ხანს თბილისში ცხოვრობდა, 1924 წლის ივლისში კი სამუდამო საცხოვრებლად გაემგზავრა მოსკოვში, სადაც გერმანიასთან ომის დაწყებამდე ცხოვრობდა.

1941 წლის 3 ივლისს იგი საკუთარი ნებით გამოცხადდა წითელი არმიის შემკრებ პუნქტში და ომში წასვლის სურვილი გამოთქვა. დანაყოფი, რომელშიც იგი ირიცხებოდა, სმოლენსკის რაიონში იბრძოდა. იმავე წლის 4-5 ოქტომბრის ღამეს ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს და მოხვდა სამხედრო ტყვეთა ბანაკში „დულაგი 260“. აქ ტყვეთა გადასაბირებელ საქმიანობას გერმანელი ოფიცერი, ზონდერფიურერი ადოლფ პელცერი ასრულებდა. მას ალ. ჩაჩიკაშვილისთვისაც შეუთავაზებია გერმანელთა მხარეს გადასვლა და შეჰპირებია, რომ როგორც კი

გერმანული ჯარები მოსკოვს აიღებდნენ, მას საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშნავდნენ. ჩაჩიკაშვილი იქვე შეხვედრია ქართველ ემიგრანტებს – ალექსანდრე სულხანიშვილსა და შალვა დაღაშვილს, რომლებიც ასევე აქებდნენ გერმანიის სამხედრო ძლიერებას. ჩაჩიკაშვილიც დათანხმებულა, რადგან საბჭოთა არმიის ძლიერებისა არც მას სჯეროდა. გადაბირებულ ტყვეებს, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური მოტივით ნასამართლევი ძველი ოფიცრები და ანტისაბჭოთა განწყობილების მქონე პირები შეადგენდნენ, რომლებიც მზად იყვნენ, ემსახურათ გერმანიის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

1941 წლის 8-9 ნოემბერს ჩაჩიკაშვილი, სულხანიშვილი და დაღაშვილი ზონდერფიურერ პელცერთან ერთად სმოლენსკის ბანაკიდან ს. კატინში გაემართნენ. იქ მათ გერმანული სამხედრო დაზვერვის აგენტთა სკოლაში შეასწავლეს სადაზვერვო მუშაობისათვის საჭირო მეთოდები წითელი არმიის ზურგში, კერძოდ კი, მოსკოვსა და მის შემოგარენში გამოსაყენებლად. ჩაჩიკაშვილი 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის 8 სექტემბრამდე კატინის დაზვერვის სკოლაში დაცვის უფროსად მსახურობდა, შემდეგ კი კვლავ სმოლენსკში გაუშვეს, სადაც 1943 წლის სექტემბრამდე მთარგმნელად მუშაობდა. ქ. სმოლენსკში წითელი არმიის შესვლის დროს ჩაჩიკაშვილი გერმანულ ჯართან ერთად ჯერ მინსკშია, სადაც იგი კვლავ მთარგმნელია, ივნისის ბოლოს კი ჯარს გერმანიაში მიჰყვება და 1945 წლის აპრილამდე ნეკარზულმის საქსოვ ფაბრიკაში მუშაობს. ამერიკული ჯარების მიერ ქ. ნეკარზულმის ოკუპაციის შემდეგ ჩაჩიკაშვილი ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ნეკარზულმის და მა-

იჰაიმის ბანაკებში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში იქნა რეპატ-რირებული. დაკითხვისას ლუკენვალდის ფილტრაციის ბანაკში წითელი არმიის მეთაურებს ჩაჩიკაშვილმა დაუმალა გერმანულ დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ.

ნოემბერში ალექსანდრე ჩაჩიკაშვილი დააპატიმრეს და 1945 წლის 12 დეკემბერს მიღებული დადგენილებით ბრალი წაუყენეს – „ჩაჩიკოვი, იგივე ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე ჩაითვალოს ბრალდებულად რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლის თანახმად“. 1945 წლის 26 ნოემბრიდან 1946 წლის 2 აპრილამდე იგი ათჯერ დაკითხეს. სთხოვდნენ საბჭოთა წყობის წინააღმდეგ მებრძოლ-თა დასახელებას. ერთ-ერთი მოწმე, ვინმე სამუელ სტრელეცი, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობდა: ტყვეებთან საუბრისას ერთხელ საბჭოთა კავშირის ბელადზე ჩაჩიკოვმა თქვა: „გყავდეთ თქვენ, ჩვენ, ქართველებს, არ გვჭირდება ეგ ბანდიტი“; „როცა მოსკოვს აიღებენ გერმანელები, შეიქმნება ახალი მთავრობა და გერმანია დაამყარებს მშვიდობას, რუსე-თი გათავისუფლდება ბოლშევიკების მონობისაგან“; „საბრალო საქართველო, როგორ დაშალეს ბოლშევიკებმა. როგორც იქნა, მოვიდა გათავისუფლების საათი. ახლა და მხოლოდ ახლა შეძ-ლებს იგი ნამდვილ დამოუკიდებლობას“. თანამედროვე საბ-ჭოთა მმართველობას იგი ებრაულ-იუდაისტურს უწოდებდა, ხოლო სტალინს – პოლიტიკურ ბანდიტს კრიმინალური წარსუ-ლით. მეორე მოწმე, ივან ბესპალოვიც, ალ. ჩაჩიკაშვილის წი-ააღმდეგ მიცემულ ჩვენებაში ამბობდა: იგი უშვრი კ/რ ფორმით საუბრობდა საბჭოთა არმიაზე, აკრიტიკებდა საბჭოთა მწერ-ლებს შოლოხოვს, ფადეევს...

1946 წ. 6 აპრილს გამოიტანეს **საბრალდებო დასკვნა**. ალექ-სანდრე ჩაჩიკაშვილს ბრალი დასდეს დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით. ამ დროს იგი ბუტირკის ციხეში იმყოფებოდა. 1946 წლის 11 მაისს ჩატარ-და მოსკოვის ოლქის სამხედრო ტრიბუნალის სხდომა, რომელ-მაც დაადგინა, რომ საქმე განიხილებოდა დახურულ სასამარ-თლო სხდომაზე სახელმწიფო ბრალდების, დაცვისა და მოწმე-ების გარეშე. აღნიშნული სხდომა გაიმართა 1946 წლის 18 მაისს, რომელზეც ბრალდებულმა, ძირითადად, თავი დამნაშავედ ცნო.

საბოლოო სიტყვა მან ასე დაასრულა: „მე დამნაშავე ვარ ყველაფერში. მე ბედნიერი ვარ, რომ არ წავედი სამუშაოდ ჩემი პირდაპირი სპეციალობით და არ ვემსახურე გერმანელებს, როგორც ლიტერატორი“. სხდომამ გამოიტანა განაჩენი – **„ყოფილ წითელარმიელს, ალექსანდრე მიხეილის ძე ჩაჩიკაშვილს, რომელიც გასამართლებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით სამშობლოს ღალატის ბრალდებით, მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა – მთელი პირადი ქონების კონფისკაციით“**. 1946 წლის 9 ივლისს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაამტკიცა მოსკოვის სამხედრო ოლქის სასამართლოს მიერ გამოტანილი ზემოაღნიშნული განაჩენი, რომელიც მალევე იქნა მოყვანილი სისრულეში.

რაც შეეხება ალექსანდრე ჩაჩიკაშვილის ლიტერატურულ საქმიანობას: იგი 20-30-იან წლებში საკმაოდ პოპულარული ყოფილა რუსულ ფუტურისტულ წრეებში. იყო მოსკოვის მწერალთა კლუბის წევრი, თარგმნიდა უცხოურ ლიტერატურას, ძირითადად, ფრანგულიდან რუსულად. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნებულა გაზეთ „კავკასიის ხმაში“ („Голос Кавказа“); ასევე 1920 წელს ბათუმში გამომავალ ალმანახ „ოდის“ (Альманахъ „Оди“, №2, 1920 г., Батумъ, изданіе литературной секціи общества деятелей искусствъ (Оди) მე-2 ნომერში და კრებულში „სოფია გიორგევნა მელნიკოვას. ფანტასტიკური დუქანი“ („Софіи Георгіевне Мельниковой. Фантастическій Кабачек. Тифлис.

1917 1918 1919“). ლექსები რუსულენოვანია. 1938 წელს ალექსანდრე ჩაჩიკოვს რუსულ ენაზე გამოუცია „პოემა რუსთაველზე“ (Поэма о Руставели. Тбилиси: Изд-во и тип. „Заря Востока“, 1938). მასვე ეკუთვნის ქართველ პოეტთა – აკაკის, გალაკტიონის, ილო მოსაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სანდრო ეულის – ლექსების რუსულენოვანი თარგმანები; ასევე პირველად მას უთარგმნია რუსულ ენაზე ჩუვაშური, მორდოვული, კომური და დაღესტნური პოეზიის ზოგიერთი ნიმუში.

Гатиков-Гачикошвили
Александр
Никанорович
1893 г. Груз. сер
Грузия, Кутаисская губ. г. Кутаиси
Москва
Совмест. студент. писатель
28. I. 1945
58-1 б
Пуст. от. сер. дела сер
21. III. 1946



Кем окружен: Вин. слово.
Когда: 18.IV.46 г. 58-1 б
Начало срока ... конец срока
Приговор. исполнен
22/VIII 46 г.
Форма № 1

ფონდი 6, საარქივო №45362, ტ. 6, ყუთი 105.
ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე

დადგენილება
დაპატიმრებზე

ქალ. თბილისი 28 ნოემბერი, 1945 წ.

მე, კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის* თბილისის სამხედრო ოლქის სამმართველოს მე-4 განყოფილების გამომძიებელმა
კაპიტანმა პეშტამალჯანმა

განვიხილე რა კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის განყოფილებაში შემოსული მასალები დანაშაულებრივი საქმიანობისა **ჩაჩიკოვი** (იგივე **ჩაჩიკაშვილი**) ალექსანდრე მიხეილის ძისა, დაბ. 1893 წ., მცხ. ქ. გორში, საქ. სსრ, ქართველი, თავადი, მწერალი-დრამატურგი, უპარტიო, არასრული უმაღლესი განათლებით, დაუოჯახებელი, მისი თქმით, ნასამართლევი არ არის, წითელ არმიაში იყო 1941 წლის ივლისიდან 1941 წლის ოქტომბრამდე, იმყოფებოდა მოწინააღმდეგის ტყვეობაში, ცხოვრობდა გერმანელთა მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე და გერმანიაში.

ვპოვე:

ჩაჩიკოვი (იგივე ჩაჩიკაშვილი) ა. მ. იმყოფებოდა რა გერმანელთა ტყვეობაში, უღალატა სამშობლოს, 1941 წლის ოქტომბერში, სმოლენსკის ტყვეთა ბანაკში ყოფნისას, არ სჯეროდა რა საბჭოთა კავშირის გამარჯვებისა ფაშისტურ გერმანიაზე, მიიღო გერმანული არმიის ოფიცრის წინადადება გერმანიის სამხედრო დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ.

სწავლობდა გერმანიის სადაზვერვო ორგანოს „აბვერგრუპა 103“-ის კატინის სადაზვერვო სკოლაში, შემდეგ კი დაინიშნა ამ სკოლის შეიარაღებული დაცვის უფროსად.

---

* „Смерш“ – (შემოკლ. „Смерть шпионам!“) კონტრდაზვერვის ორგანოები საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს.

დავადგინე:

ჩაჩიკოვი (იგივე ჩაჩიკაშვილი) ალექსანდრე მიხეილის ძე – იქნეს გაჩხრეკილი და დაპატიმრებული.

კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის სამმართ. მე-4 განყ. გამომძიებელი კაპიტანი (პეშტამალჯანი)

„ვეთანხმები“ კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის სამმართ. მე-4 განყ. უფროსი პოლკოვნიკი ქვლივიძე

დადგენილება

აღმკვეცზომის არჩევისა

ქალაქი თბილისი 28 ნოემბერი 1945 წ. მე, კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის სამმრთველოს მე-4 განყოფილების გამომძიებელმა

კაპიტანმა პეშტამალჯანმა

განვიხილე რა კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის განყოფილებაში შემოსული მასალები დანაშაულებრივი საქმიანობისა ჩაჩიკოვი (ჩაჩილაშვილი) ალექსანდრე მიხეილის ძისა

ვპოვე: რომ ჩაჩიკოვი (იგივე ჩაჩიკაშვილი) ეჭვმიტანილია დანაშაულში გათვალისწინებული საქ. სსრ სისხ. სამ. კოდ. 58-1 „ბ“ მუხ. და მივიღე რა მხედველობაში, რომ

ჩაჩიკოვი (იგივე ჩაჩიკაშვილი)

თავისუფლებაში ყოფნისას შესაძლოა დაემალოს გამოძიებას და ვიხელმძღვანელე რა რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 145 და 158 მუხლებით

დავადგინე:

აღმკვეცზომად ძიებისა და სასამართლოსგან თავის არიდების მიზნით ჩაჩიკოვი (იგივე ჩაჩიკაშვილი) ალექსანდრე მი-

ხეილის ძის მიმართ აერჩიოს პატიმრობა, თანახმად რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 146-2 მუხლისა.

თანახმად რსფსრ სისხ. სამ. კოდ. 160 მუხლისა დადგენილების ასლი გადაეგზავნოს პროკურორს და გადაეცეს ციხის უფროსს საპატიმრო პირად საქმეზე დასართავად.

კონტრდაზვერვა „სმერშ"-ის თბილისის სამხედრო ოლქის სამმართ. მე-4 განყ. გამომძიებელი კაპიტანი პეშტამალჯანი

„ვეთანხმები" კონტრდაზვერვა „სმერშ"-ის თბილისის სამხედრო ოლქის სამმართ. მე-4 განყ. უფროსი პოლკოვნიკი ქვლივიძე

დადგენილება მე გამომეცხადა 28 ნოემბერს 1945 წ.

ხელის მოწერა ჩაჩიკაშვილი

დაპატიმრებულის ანკეტა

სახელი, გვარი, მამის სახელი – ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე

დაბ. თარიღი და ადგილი – 1893 წ. ქ. გორი, საქ. სსრ

მუდმივი საცხ. დაპატიმრებამდე – მოსკოვი, ნიკიტსკი ბულვარი 14, ბინა 8

პროფესია და სპეციალობა – მწერალი

ბოლო სამუშაო ადგილი და საქმიანობის სახე – რეპატრირებული

ეროვნება – ქართველი

მოქალაქეობა – სსრკ

პარტიულობა – უპარტიო

განათლება – არასრული უმაღლესი

სოციალური და პოლიტიკური წარსული – ყოფილი თავადი

ნასამართლეობა – ნასამართლევი არაა

სამამულო ომში მონაწილეობა – იყო წითელარმიელი

იყო თუ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტყვედ – გერმანელთა ტყვედ 4. X. 41 წ.-დან

ოჯახის წევრები

	სახ. გვ. მამის სახ. დაბ. დრო და ადგ.	საცხ. ადგილი, სამს. და თანამდ.
მამა	გარდ. 1922 წ.	
დედა	ჩაჩიკოვა ანა ივანეს ასული, 1869 წ.	ქ. თბილისი, ნინოშვილის 25.
მეუღლე	უცოლო	
შვილები	არა	
ძმები, დები	ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე, 1885 ჩაჩიკოვა ელენა მიხეილის ასული, 1900 ჩაჩიკოვა ელიზავეტა მიხეილის ასული, 1904	თბილისი, ნინოშვილის 25 თბილისი, ნინოშვილის 25 თბილისი, ნინოშვილის 25

დაკითხვის ოქმი

1945 წ. 26 ნოემბერი

კითხვა: დაასახელეთ სწორი სახელი და გვარი.

პასუხი: ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, ალექსანდრე ჩაჩიკოვი ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმია. 1924 წლიდან მუდმივ საცხოვრებლად გადმოვედი მოსკოვში და პასპორტის მიღების შემდეგ ვიწოდები – ჩაჩიკოვი ალექსანდრე მიხეილის ძე.

კითხვა: მოგვიყევით თქვენი წარსული საქმიანობის შესახებ.

პასუხი: წარმოშობით ვარ თავადი. მამაჩემს – მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩაჩიკაშვილს – დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის

კადეტთა კორპუსი პროპორშჩიკის ჩინით. იმყოფებოდა რა უწყვეტ სამხედრო სამსახურში, მან მიაღწია პოდპოლკოვნიკობამდე და 1908 თუ 1909 წელს გავიდა პენსიაზე პოლკოვნიკის ჩინით. 1904 წელს მამის რჩევით მე მოვეწყვე ვლადიკავკაზის კადეტთა კორპუსში, სადაც ვიყავი 1907 წლამდე, რის შემდეგაც ავადმყოფობის გამო გადავედი თბილისის კადეტთა კორპუსში. 1912 წ. დავამთავრე და გამაგზავნეს მოსკოვში, ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში, სადაც 1914 წელს გავხდი პოდპორუჩიკი. იმავე წელს ავსტრია-გერმანიის ფრონტზე დავიჭერი მარცხენა ხელში, რის გამოც სამკურნალოდ ევაკუირებული ვიქენი ქ. გორში. რამდენიმე თვის შემდეგ სამედიცინო კომისიამ ჩამთვალა ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის და მშვიდობიანობის პირობებში დავინიშნე ს. ყაზბეგში ეტაპის კომენდანტად. 1915 წელს გამაგზავნეს მე-5 სასაზღვრო პოლკში თურქეთის ფრონტზე. 1916 წლის მარტში, ვიყავი რა აღნიშნული პოლკის ადიუტანტი, დამჭრეს მარჯვენა ფეხში და სამკურნალოდ გამომგზავნეს ბათუმში. გამოჯანმრთელების შემდეგ 1917 წელს გადამისროლეს ირანში, უკვე პორუჩიკის ჩინით. 1917 წელს დააკმაყოფილეს ჩემი თხოვნა და გამაგზავნეს ლენინგრადის სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში სასწავლებლად, სადაც ვსწავლობდი 1917 წლის ნოემბრამდე. იქ მომისწრო ოქტომბრის რევოლუციამ. რადგანაც სამხედრო-იურიდიული აკადემია დაიხურა, მე გამოვემგზავრე სამშობლოში, ქ. გორში.

კითხვა: როგორ შეხვდით ოქტომბრის რევოლუციას?

პასუხი: გულწრფელად გითხრათ, თავიდან მე შეშინებული ვიყავი და ეს ბუნებრივია ჩემი თავადური წარმომავლობისა და სამხედრო განათლების გამო. მე ველოდი გასახლებას საბჭოთა სახელმწიფოდან, მაგრამ ეს არ მოხდა. მის წინააღმდეგ ბრძოლაში მე არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია. ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა ლუნაჩარსკის პუბლიცისტურმა გამოსვლებმა, ალ. ბლოკის სტატიებმა და მაიაკოვსკის რევოლუციურმა ლექსებმა. ამის გამო სრულიად სხვანაირად დავინახე ოქტომბრის რევოლუცია. 1917 წლის დეკემბერში არჩევნებზე ხმა მივეცი ბოლშევიკებს.

კითხვა: თქვენი მსჯელობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახებ არადამაჯერებელია. თქვენი მსოფლმხედველობა წლების მანძილზე ყალიბდებოდა ცარისტული რეჟიმის დროს. რამდენად გულწრფელია თქვენი განცხადება ბოლშევიკების მიმართ სიმპათიის შესახებ?

პასუხი: მე ვლაპარაკობ სრულიად გულწრფელად და გთხოვთ დამიჯეროთ. რა თქმა უნდა, ჩემი მაშინდელი მსოფლმხედველობის გამო რომ გითხრათ, თითქოს მე ოქტომბრის რევოლუცია მივიღე როგორც ფაქტი, რომელსაც ველოდი და როგორც კანონზომიერი მოვლენა, არასწორი იქნება. მაშინ მე არ მესიმპათიურებოდნენ ბოლშევიკები, თუმცა ვხედავდი, რომ ისინი რაღაც ახალს მოუტანდნენ რუსეთს.

კითხვა: გააგრძელეთ ჩვენება.

პასუხი: 1918 წლის თებერვალში მივიღე ნებართვა კომისარ მიხაილოვისაგან და გავემგზავრე გორში. რამდენიმე თვის შემდეგ მე, როგორც მეფის არმიის ოფიცერი, მობილიზებული ვიქენი მენშევიკურ რეგულარულ არმიაში ქ. თბილისში. მე დავინიშნე დარიალის ბატალიონის მეთაურის თანაშემწედ ქ. მცხეთაში. ორი-სამი თვის შემდეგ მივიღე შტაბსკაპიტნის წოდება და გადამიყვანეს აღნიშნული ბატალიონის მეთაურად. ამ თანამდებობაზე ვიმყოფებოდი დაახლოებით 4 თვე, რის შემდეგაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავი დავანებე სამხედრო სამსახურს და მთლიანად მივუძღვენი თავი ლიტერატურულ მოღვაწეობას. 1919 წელს ილია მიხეილის ძე ზდანევიჩის დახმარებით, რომელიც მუშაობდა მთარგმნელად ჩემთვის უცნობ რაღაც ინგლისურ ფირმაში, მე მივიღე ნებართვა და გავემგზავრე ბათუმში, სადაც მოვეწყვე სამუშაოდ იტალიურ ფირმა „საგოში“ დაბალ თანამდებობაზე. 1924 წელს დავბრუნდი თბილისში და იმავე წლის ივლისში გავემგზავრე მოსკოვში მუდმივ საცხოვრებლად, სადაც ვცხოვრობდი კიდეც გერმანიასთან ომის დაწყებამდე.

კითხვა: როგორ ახსნით იმ გარემოებას, რომ თქვენ მუშაობდით მენშევიკურ არმიაში და თან ხმა მიეცით ბოლშევიკებს? ეს არადამაჯერებელი და წინააღმდეგობრივია. კარგად დაფიქრდით და სწორი ჩვენება მოგვეცით.

პასუხი: ვიზიარებ თქვენს არგუმენტებს ჩემი ჩვენების არადამაჯერებლობისა და წინააღმდეგობრიობის შესახებ. მაგრამ მე მართლაც მივეცი ხმა ბოლშევიკებს 1917 წელს. მე არ უნდა მიმეღო მენშევიკური ხელისუფლების გაწვევა და არ უნდა წავსულიყავი მენშევიკურ არმიაში, განსაკუთრებით ხელმძღვანელ თანამდებობაზე. ეს შემთხვევა შემიძლია ავხსნა ჩემი მერყეობით და დასჯის შიშით მენშევიკური მთავრობის მხრიდან. მეორე მხრივ, მქონდა რა განსაზღვრული მოღვაწეობა ლიტერატურულ სფეროში, მე არ მინდოდა, მენშევიკებთან მემსახურა ლიტერატორის ხარისხში.

კითხვა: იყავით თუ არა დაჯილდოებული არმიაში სამსახურის დროს და რამდენჯერ?

პასუხი: მთელი სამსახურის განმავლობაში მე დაჯილდოებული ვიყავი სამჯერ: 1914 წელს „ანას მე-4 ხარისხის ორდენით, 1916 წელს ანას მე-3 ხარისხის ორდენით და სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით.

კითხვა: როგორ აღმოჩნდით გერმანიის ტერიტორიაზე ომის დროს და რას მოწმობს თქვენთვის დაკავებისას ჩამორთმეული დოკუმენტები?

პასუხი: 1941 წლის 3 ივლისს მე საკუთარი ნებით გამოვცხადდი წითელი არმიის შემკრებ პუნქტში და ჩემივე თხოვნით ჩამრიცხეს მე-8 პოლკის 32-ე არმიაში. ამ ნაწილში ყოფნისას ვიბრძოდი სმოლენსკის რაიონში. 1941 წლის 4 ოქტომბერს ჩავვარდი ტყვედ და ვიყავი სამხედრო ტყვეთა სმოლენსკის ბანაკში.

კითხვა: დაწვრილებით გვიამბეთ თქვენი ტყვეობის შესახებ.

პასუხი: ჩვენ ვიყავით ს. სტაიკში, საღამოს გავიგეთ, რომ ვართ გერმანული არმიის ალყაში. ჩვენი ცდა, გაგვერღვია ალყა და შევერთებოდით ჩვენს მეომრებს, წარუმატებელი აღმოჩნდა. განუწყვეტელი სროლის გამო მტრის მხრიდან მე დავყრუვდი და 4-დან 5 ოქტომბრის ღამეს ამიყვანეს ტყვედ გერმანელმა ჯარისკაცებმა. ამის შემდეგ მიმიყვანეს უკვე მათ მიერ დაპყრობილ ს. სტაიკში, მათ მიერ ორგანიზებულ სამხედრო ტყვეთა ბანაკში. მე ვიყავი ბანაკში „დულაგი 260“, სადაც იყო რამდენიმე ათასი ტყვე. მათ შორის ორი ადამიანი მივამგვანე კავკასიელებს და ვკითხე, ქართველები იყვნენ თუ

არა. ამასობაში გარს შემოგვეხვივნენ სხვა ტყვეებიც. ცოტა ხანში მოგვიახლოვდა გერმანელი ოფიცერი, ზონდერფიურერი ადოლფ ადოლფის ძე პელცერი და იკითხა, იყვნენ თუ არა ჩვენ შორის მოსკოველები. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ვართ. ასე შეკრიბა მან 70 მოსკოველი. რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოველების ჯგუფი, მათ შორის მეც, გადაგვიყვანეს ცალკე ბარაკში. იქ ჩვენ გაცილებით უკეთესი საცხოვრებელი პირობები გვქონდა, ვიდრე „დულაგ 260-ში“.

კითხვა: რით აიხსნება თქვენსა და სხვა მოსკოველების მიმართ ბანაკის ადმინისტრაციის ასეთი დამოკიდებულება?

პასუხი: ბანაკში ყოფნის მეორე-მესამე დღეს გავიგე, რომ ქართველები, რომელთაც მე ვესაუბრე, იყვნენ ემიგრანტები. ერთი იყო ალექსანდრე სულხანიშვილი და მეორე დაღაშვილი შალვა. როგორც შევიტყვე, ისინი მოსული იყვნენ „დულაგ 260-ში“ მოსკოველთა კონტინგენტიდან ინტელიგენციის წარმომადგენელთა ასარჩევად, რათა გამოეყენებინათ ისინი თავიანთი ინტერესებისათვის. პირად საუბრებში აქებდნენ გერმანიის სამხედრო ძლიერებას და ირწმუნებოდნენ, მალე მოსკოვი დაეცემაო. ისინი ჩვენ, მოსკოველებს, მაცდუნებელ პერსპექტივას გვიხატავდნენ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში. როგორც უკვე ვთქვი, ქართველ ემიგრანტებთან პირველი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ გამთბარ ბარაკში გადაგვიყვანეს და პირობები გაგვიუმჯობესეს. გამომრჩა მეთქვა, რომ ზონდერფიურერი პელცერი ახალ ბანაკში გადაყვანამდე ჩვენ ყველას გაგვესაუბრა ინდივიდუალურად (იგი კარგად ფლობდა რუსულს). ამის შემდეგ ჯგუფი შეიცვალა და მხოლოდ 45-50 კაცი დარჩა. პირად საუბარში პელცერი ინტერესდებოდა თანამოსაუბრის წარსულითა და პოლიტიკური შეხედულებებით. იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს ჩათვლიდა გერმანელთა მხარეს მუშაობისთვის შესაფერის კანდიდატურად, სთავაზობდა, შეევსო შესაბამისი ანკეტა. ჩემთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ გერმანიის ჯარები მალე აიღებდნენ მოსკოვს, წითელი არმია განადგურებულია და თუ მე თანახმა ვიქნები, ვიმუშაო გერმანიის სასარგებლოდ, შემიქმნიან კარგ პირობებს შემოქმედებითი მუშაობისათვის მოსკოვში. თანაც აღნიშნა, რომ,

თუ დავთანხმდებოდით, მე და სხვა პირები გერმანული არმიის კვალდაკვალ ვივლიდით და მოსკოვში შესვლისთანავე დავიკავებდით საპასუხისმგებლო თანამდებობებს.

კითხვა: როგორ შეხვდით ზონდერფიურერ პელცერის წინადადებას?

პასუხი: გულახდილად გეტყვით, რომ იმ დროს მე არ მჯეროდა საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიის გამარჯვებისა. სრულიად შეგნებულად, საკუთარი ნებით მივიღე წინადადება, მემსახურა ჩემი ქვეყნის მტრებთან, შემესრულებინა მათი დავალებები. ამ საქციელით მე ვუღალატე სამშობლოს, დავაყენე რა პირადი ინტერესები მასზე მაღლა. ამ დროიდან იწყება ჩემი დანაშაულებრივი მოღვაწეობა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კითხვა: განაგრძეთ თქვენი ჩვენება „დულაგ 260-ში“ ყოფნისას.

პასუხი: როგორც აღვნიშნე, ამის შემდეგ გადაგვიყვანეს უკეთეს ბანაკში. აქ ვიყავით დაახლოებით 20 დღე, 1941 წლის 8-9 ნოემბრამდე. ამ პერიოდში ჩვენთან არაერთხელ მოვიდნენ სულხანიშვილი, დაღაშვილი და პელცერი. ისინი საუბრობდნენ გერმანული არმიის წარმატებაზე და გვპირდებოდნენ, რომ მალე უკეთეს ბანაკში გადაგვიყვანდნენ. ერთი-ორჯერ ბანაკში მოგვიტანეს კონტრრევოლუციური ხასიათის გაზეთიც „სმოლენსკის მოამბე“ („Смоленский вестник“). გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენი ჯგუფის უმეტესობა არ საჭიროებდა ანტისაბჭოთა სულისკვეთების იდეოლოგიურ დამუშავებას, რადგან ძირითადად იყვნენ საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური მოტივით ნასამართლევი ძველი ოფიცრები და ანტისაბჭოთა განწყობილების მქონე პირები, რომლებიც მზად იყვნენ, ემსახურათ გერმანიის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

კითხვა: თქვენ და სამშობლოს სხვა მოღალატეები სად წაგიყვანეს სმოლენსკის ბანაკიდან?

პასუხი: 1941 წლის 8 თუ 9 ნოემბერს ჩვენ ქართველ ემიგრანტებთან და ზონდერფიურერ პელცერთან ერთად დავტოვეთ სმოლენსკის ბანაკი. გვითხრეს, რომ გავემართებოდით ს. კატინში. გზად ობერლეიტენანტმა გრამიტკომ გადაგვიღო ფოტოები. ამის შემდეგ მივედით კატინში და მოგვათავსეს

ყოფილი საავადმყოფოს შენობაში. 9 თუ 10 ნოემბერს, კვირა დღეს, გრამიტკომ და პელცერმა ყველანი მიგვიწვიეს მათ მიერ ორგანიზებულ საღამოზე. თავიანთ სიტყვებში მათ კიდევ ერთხელ შეაქეს გერმანიის სამხედრო ძლიერება და მოგვიწოდეს აქტიური თანამშრომლობისაკენ. შევსვით ფრონტზე მყოფი გერმანული არმიის წარმატების სადღეგრძელო. ორი-სამი დღის შემდეგ ზონდერფიურერმა პელცერმა გვითხრა, რომ ჩვენი ჯგუფის მოვალეობაა გერმანული არმიის დახმარება. ასევე გვითხრა, რომ ჩვენ აქ, კატინში, გავივლიდით სპეციალურ მომზადებას, რის შემდეგაც გამოგვიყენებდა გერმანიის სადაზვერვო სამსახური. ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ კატინში, იმ შენობაში, სადაც ვიმყოფებოდით, ფუნქციონირებდა გერმანული სამხედრო დაზვერვის აგენტთა სკოლა და ჩვენი მოვალეობა იყო, შეგვესწავლა სადაზვერვო მუშაობისათვის საჭირო მეთოდები წითელი არმიის ზურგში, კერძოდ კი, მოსკოვსა და მის შემოგარენში გამოსაყენებლად.

კითხვა: როგორ გაფორმდა თქვენი ჩარიცხვა გერმანული სამხედრო დაზვერვის კატინის სკოლაში?

პასუხი: 1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში დამიბარეს ზონდერფიურერ პელცერის კაბინეტში. ვიყავით მხოლოდ ჩვენ ორნი. პელცერმა შემომთავაზა, გავცნობოდი მის ხელთ არსებულ დოკუმენტს და მომეწერა ხელი. ეს იყო დოკუმენტი გერმანულ სამხედრო დაზვერვასთან ჩემი ნებაყოფლობითი თანამშრომლობისა და სადაზვერვო სკოლის საიდუმლოს გაუთქმელობის შესახებ, რომელსაც ხელი მოვაწერე.

კითხვა: მოგვიყევით დაწვრილებით გერმანული სამხედრო დაზვერვის კატინის სკოლის მუშაობისა და თქვენი, როგორც გერმანელი აგენტის, პრაქტიკული საქმიანობის შესახებ.

პასუხი: კატინის დაზვერვის სკოლაში მე ვიყავი 1941 წლის ნოემბრიდან 1942 წლის სექტემბრამდე. არსებობდა თუ არა ეს სკოლა და ამზადებდა თუ არა იგი აგენტებს ჩვენს მისვლამდე, არ ვიცი. ეს სკოლა ექვემდებარებოდა გერმანიის სადაზვერვო ორგანოს „აბვერგრუპა 103-ს“. ამ უკანასკნელს ხელმძღვანელობდა მაიორი, გერმანული ჯარის პოდპოლკოვნიკი ფონ ჰერლიცი. 1942 წლის მარტში მოიყვანეს ბელორუს ახალგაზ-

რდათა ჯგუფი, 45-50 კაცი. სადაზვერვო მუშაობის წარმოებას წითელი არმიის ზურგში, პარტიზანულ რაზმში გვასწავლიდა ცნობილი პოლონელი, შემდეგ კი გერმანელი მზვერავი ერვინ ბრონიკოვსკი. 1942 წლის აპრილში მოიყვანეს კიდევ ჯგუფი ვარშავიდან, რომელიც მხოლოდ ერთი კვირა იყო კატინში და გადაისროლეს წითელი არმიის ზურგში. აღსანიშნავია, რომ ჩვენი „სმოლენსკის ჯგუფი“ 1941 წლის დეკემბერში შესაბამისი ეკიპირებითა (გლეხურ ტანსაცმელში) და ყალბი საბუთებით გადაისროლეს სპეციალური სადაზვერვო დავალებით ქ. მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში. მე ამ ჯგუფში არ ვყოფილვარ. ქართველი ემიგრანტის სულხანიშვილის ხელშეწყობით მე დამტოვეს სკოლაში ქართველ დესანტთა რიგებში შემდეგ პირებთან ერთად: წითელი არმიის ყოფილი უფროსი ლეიტენანტი თოქმაზაშვილი ალექსი, წითელი არმიის ყოფილი სერჟანტი ნიკოლაიშვილი ივანე, ნინიკელაშვილი გიორგი და იაშვილი დიმიტრი – და დამნიშნეს კატინის სადაზვერვო სკოლის დაცვის უფროსად. ამ თანამდებობაზე ვიყავი 1942 წლის 8 სექტემბრამდე. ამის შემდეგ გამიშვეს ქ. სმოლენსკში, სადაც ერთი თვე ვიმალებოდი კონსპირაციულ ბინაში, წითელი არმიის ქუჩა №14-ში. ეს ბინა გამოიყენებოდა, როგორც გადასაყვანი პუნქტი მზა აგენტურისათვის. აქვე მოდიოდნენ დავალებიდან დაბრუნებული აგენტებიც.

დაკითხვის ოქმი

1945 წ. 28 ნოემბერი
დაკითხვა დაიწყო 21 სთ. 30 წთ.

კითხვა: გვიამბეთ დაწვრილებით 26 ნოემბერს დაკითხვისას თქვენ მიერ ნახსენებ ქართველ ემიგრანტთა, სულხანიშვილისა და დაღაშვილის, მოღვაწეობის შესახებ.

პასუხი: როგორც ვთქვი, კატინის სადაზვერვო სკოლაში ჩვენ მიგვიყვანა ზონდერფიურერმა ადოლფ პელცერმა. იგი ქ. მაიკოპში დაიბადა და იქვე დაამთავრა რეალური სასწავლებელი. 1914-18 წლებში იბრძოდა პირველ იმპერიალისტურ ომშიც. ქ.

შტეტინში მას ჰქონდა საკუთარი ზეთსახდელი ქარხანა, სადაც მუშაობდნენ ქართველი ემიგრანტები სულხანიშვილი ალექსანდრე, დაღაშვილი შალვა, ჟურული სიმონ და ნიობერიძე სამსონი. ოთხივე მათგანი 1941 წელს პელცერთან ერთად მოვიდა კატინში. მათგან სულხანიშვილი და დაღაშვილი ახლდნენ პელცერს სმოლენსკის ბანაკში, სადაც მე შევხვდი მათ პირველად, ხოლო ჟურულსა და ნიობერიძეს გავეცანი კატინის სკოლაში მისვლის შემდეგ. იქვე შევიტყვე, რომ ქ. შტეტინში პელცერთან მუშაობის დაწყებამდე ისინი ცხოვრობდნენ პარიზში და მუშაობდნენ ავტოქარხანა „რენოში“. სულხანიშვილი ასევე იყო ტაქსის მძღოლიც. 1943 წლის გაზაფხულზე უკვე კონსპირაციულ ბინაში ცხოვრებისას შევხვდი გერმანული დაზვერვის ზონდერფიურერ ვლადიმირ ვაირიხს, რომელმაც მითხრა, რომ 1942 წლის იანვარში ქართველმა ემიგრანტებმა – სულხანიშვილმა, დაღაშვილმა, ჟურულმა და ნიობერიძემ – დატოვეს სკოლა. ისინი გადაისროლეს პარაშუტებით საქართველოში, მაგრამ ქარმა უკან, თურქეთის საზღვარზე გადააფრინა. რა ბედი ეწიათ მათ თურქეთში, არ ვიცი. თუმცა 1944 წელს მინსკში შემთხვევით შევხვდი ივანე ნიკოლაიშვილს, რომელმაც მითხრა, რომ პარიზიდან მიიღო თოქმაზაშვილის წერილი, რომელშიც ის ატყობინებდა, რომ პარიზში შეხვდა სულხანიშვილს. როგორც ჩანს, ქართველი პარაშუტისტი ემიგრანტები თურქეთიდან კვლავ პარიზში ჩასულან.

12 დეკემბერი 1945 წ.

დადგენილება

ქ. თბილისი

მე, კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის გამომძიებელმა, კაპიტანმა პეშტამალჯანმა განვიხილე საგამოძიებო საქმე №459 და დავადგინე, რომ ჩაჩიკოვი, იგივე ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე მხილებულია იმაში, რომ 1941 წლის 4 ოქტომბრიდან სმოლენსკის ოლქში ჩაბარდა ტყვედ გერმანელებს.

ბანაკში ყოფნისას საკუთარი ნებით დათანხმდა თანამშრომლობაზე გერმანულ დაზვერვასთან. იმყოფებოდა კატინის სადაზვერვო სკოლაში, სადაც გაიარა სპეციალური მომზადება და მუშაობდა სკოლის დაცვის უფროსად.

სმოლენსკის ბანაკში ყოფნისას იყო გამცემი – გერმანული დაზვერვის თანამშრომლებს ატყობინებდა პოლიტიკურად „არა-საიმედო“ პირთა შესახებ. 1942 წლის სექტემბერში ხელმძღვანელობის მიერ გადაყვანილ იქნა მთარგმნელად ქ. სმოლენსკის ქალაქის წყალმომარაგებაში, სადაც იმუშავა 1943 წლის სექტემბრამდე, ისე რომ არ შეუწყვეტია გერმანულ დაზვერვასთან კავშირი.

ქ. მინსკში ევაკუირების შემდეგ აგრძელებდა თანამშრომლობას გერმანულ კონტრდაზვერვასთან, რათა გამოევლინა ანტიფაშისტურად განწყობილი პირები ადგილობრივ მოსახლეობაში. ვხელმძღვანელობ რა რსფსრ სსკ-ის 128-ე და 129-ე მუხლებით,

ვადგენ:

ჩაჩიკოვი, იგივე ჩაჩიკაშვილი, ალექსანდრე ჩაითვალოს ბრალდებულად რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლის თანახმად, რის შესახებაც გამოეცხადოს ბრალდებულს.

კონტრდაზვერვა „სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის
გამომძიებელი, კაპიტანი პეშტამალჯანი

6 აპრილი 1946 წ.

საბრალდებო დასკვნა

ბრალდებული **ჩაჩიკოვი,** იგივე **ჩაჩიკაშვილი, ალექსანდრე მიხეილის ძე, რ**ომელიც ბრალდებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

„სმერშ“-ის თბილისის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის განყოფილების მიერ 1945 წლის 28 ნოემბერს დაკავებულია

გერმანული დაზვერვის აგენტი ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე.

საქმეზე ძიებით დადგინდა, რომ ჩაჩიკოვ-ჩაჩიკაშვილმა 1941 წლის ოქტომბერში, იმყოფებოდა რა 32-ე არმიის მე-8 მსროლელი პოლკის მეთაურის ადიუტანტის თანამდებობაზე, საკუთარი ნებით უღალატა სამშობლოს და ჩაბარდა გერმანელებს ტყვედ.

ამის შემდეგ იყო სმოლენსკის სამხედრო ტყვეთა ბანაკში, იმავე თვეში დაამყარა კავშირი გერმანულ დაზვერვასთან და მისი დავალებით აწარმოებდა აგენტურის გადაბირებას სსრკ-ის წინააღმდეგ ჯაშუშური საქმიანობისათვის.

1941 წლის ნოემბერში ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი აგენტთა ჯგუფთან ერთად სასწავლებლად გაგზავნეს გერმანული დაზვერვის კატინის სკოლაში.

ამ სკოლაში ყოფნისას ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ეწეოდა პროვოკაციულ საქმიანობას, აწარმოებდა გამოვლენას იმ პირებისა, რომელნიც ავლენდნენ მტრულ დამოკიდებულებას გერმანული მთავრობისადმი და გადასცემდა მათ გერმანელებს. ნაწილობრივ მისი გაცემული იყვნენ მიშენკო და სოლოვიოვი, რომლებიც გერმანელებმა დახვრიტეს.

1942 წლის იანვარში ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი გერმანელების მიერ დაინიშნა აგენტთა ჯგუფის უფროსად, რომელიც იცავდა კატინის სკოლას და ხელმძღვანელობდა მას 1942 წლის სექტემბრამდე. შემდეგ კი გადაყვანილ იქნა ქ. სმოლენსკში და ჩაირიცხა მთარგმნელად სმოლენსკის ქალაქის წყალმომარაგების განყოფილებაში.

ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი აგრძელებდა კავშირს გერმანულ დაზვერვასთან და მისი დავალებით აკვირდებოდა მუშა-მოსამსახურეთა განწყობილებებს აღნიშნულ დაწესებულებაში.

ამასთან ერთად, მიდიოდა რა გერმანული დაზვერვის კონსპირაციულ ბინაში, ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ეხმარებოდა გერმანული დაზვერვის თანამშრომლებს ანკეტების შევსებაში იმ პირებისათვის, რომლებიც ამ ბინაში მოდოდნენ წითელი არმიის ზურგში დავალების შესრულების შემდეგ.

ქ. სმოლენსკში წითელი არმიის შესვლის დროს ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი გერმანულ ჯართან ერთად გაიქცა მინსკში.

მინსკში იგი მუშაობდა მთარგმნელად ე. წ. საადგილმამულო ამხანაგობაში 1944 წლის ივნისამდე, გერმანული დაზვერვის დავალებით ასრულებდა პროვოკაციულ საქმიანობას.

იმავე წლის ივნისის ბოლოს გერმანულ ჯართან ერთად გაიქცა მინსკიდან გერმანიის ტერიტორიაზე, სადაც იმყოფებოდა 1945 წლის აპრილამდე და მუშაობდა ნეკარსულმის საფეიქრო ფაბრიკაში.

ამერიკული ჯარების მიერ ქ. ნეკარსულმის ოკუპაციის შემდეგ ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა ნეკარსულმის და მაინჰაიმის ბანაკებში, შემდეგ კი რეპატრირებულ იქნა საბჭოთა კავშირში.

დაკითხვისას ლუკენვალდის ფილტრაციის ბანაკში წითელი არმიის მეთაურებს ჩაჩიკოვ-ჩაჩიკაშვილმა დაუმალა გერმანულ დაზვერვასთან თავისი კავშირი, ასევე პრაქტიკული გამცემლური საქმიანობა.

ძიების შედეგად მისთვის წაყენებულ ბრალში ჩაჩიკოვ-ჩაჩიკაშვილმა თავი დამნაშავედ ცნო; გარდა ამისა, იგი, როგორც გერმანული დაზვერვის აგენტი, მხილებულია შემდეგ პირთა ჩვენებებიითაც: სტრელეცი ს. ლ., ბესპალოვი ი. ტ., კლეოპინი ნ. ა., ოვსიანკინი პ. და ა. შ.

ზემოთქმულის საფუძველზე –

ჩაჩიკოვი, იგივე ჩაჩიკაშვილი, ალექსანდრე მიხეილის ძე, დაბ. 1893 წელს, მცხ. ქ. გორში, ქართველი, თავადი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლებით, 32-ე არმიის მე-8 მსროლელი პოლკის ყოფილი წითელარმიელი, –

ბ რ ა ლ დ ე ბ უ ლ ი ა იმაში, რომ:

იმყოფებოდა რა მოქმედ წითელ არმიაში, უღალატა სამშობლოს, საკუთარი ნებით ჩაბარდა გერმანელებს ტყვედ.

სამხედრო ტყვეთა ბანაკში ყოფნისას გამოთქვა თანხმობა გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობაზე, რომლის დავალებითაც ეწეოდა პროვოკატორულ საქმიანობას და აგენტუ-

რის გადაბირებას ჯაშუშური საქმიანობისათვის სსრკ-ის წინააღმდეგ, ანუ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით.

საძიებო საქმე №1613 ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძის ბრალდებისა გადაგზავნილ იქნას სსრკ შეიარაღებული ძალების მთავარ სამხედრო პროკურატურაში.

უფრ. გამომძიებელი ჩევორიკინი
„ვეთანხმები“ „სმერშ“-ის მთავარი განყოფილების
უფროსი გენერალ-მაიორი ლეონოვი

ცნობა: ჩაჩიკოვი-ჩაჩიკაშვილი ა. მ. დაპატიმრებულია 1945 წლის 28 ნოემბერს, იმყოფება ბუტირსკის ციხეში.

1946 წლის 18 მაისს გაიმართა მოსკოვის ოლქის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს დახურული სხდომა, რომელზეც ბრალდებულმა თავი ძირითადად დამნაშავედ ცნო. 1946 წლის 9 ივლისს კი სსრკ უმაღლესმა სასამართლო სამხედრო კოლეგიამ დაამტკიცა მოსკოვის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენი:

„ყოფილ წითელარმიელს, რომელიც გასამართლებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით სამშობლოს ღალატის ბრალდებით, მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** მთელი პირადი ქონების კონფისკაციით.

1946 წლის 13 აგვისტოს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მოითხოვა სამშობლოს მოღალატის ოჯახის სრულწლოვან წევრთა ადგილსამყოფელის დადგენა მათი რეპრესირების მიზნით.

მანანა კვატაია

ლევან ხაინდრავა

ეს არაორდინარული, მრავალთათვის ჯერ კიდევ უცნობი მწერალი წინააღმდეგობრივი, ურთულესი ეპოქის ამსახველი 9 წიგნის, მათ შორის, 5 რომანის ავტორია. კრიტიკოსი ამირან გომართელი მისი შემოქმედების ლაიტმოტივს ამგვარად განსაზღვრავს: „ლევან ხაინდრავამ ჩვენი მწერლობის მარადიული თემა თუ იდეა – საქართველოს დამოუკიდებლობა – საკუთარ მხატვრულ ქმნილებებში ჩააქსოვა“ (ხაინდრავა 2016: 8).

ის, გამორჩეული ხვედრის შემოქმედი, 1916 წლის 27 დეკემბერს ქ. ხარბინში დაიბადა. მამა – ივლიანე ხაინდრავა (1873-1938) სენაკის მაზრის სოფელ ლეხაინდრაოდან იყო, ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა და, როგორც მის ბიოგრაფიაშია აღნიშნული, იქ ანარქისტების რიგებს შეუერთდა. ერთ-ერთი აქციის დროს ამ ორგანიზაციის წევრებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი აუფეთქებიათ. ტერორისტულ აქტში მონაწილეობისათვის ივლიანე ხაინდრავას 25 წლიანი კატორღა მიესაჯა. მან პატიმრობაში 14 წელი დაჰყო, რის შემდეგ რუსეთის იმპერიიდან გაასახლეს და იძულებული გახდა, საცხოვრებლად ჩინეთში გადასულიყო.

ივლიანე ხაინდრავა მანჯურიაში, ქ. ხარბინში დამკვიდრდა და გადასახლებულის სტატუსის მოხსნა მოახერხა. აქ მან ბიზნესს მიჰყო ხელი და დიდძალი ქონებაც დააგროვა. 1908 წელს ი.ხაინდრავას მონაწილეობით ხარბინში „ქართული სათვისტომო“ დაარსდა, რომლის თავმჯდომარე გარდაცვალებამდე თა-

ვად გახლდათ. ლევან ხაინდრავას დედა – მარიამ კაჩანოვა – ასევე რეპრესირებულთა ოჯახიდან იყო. ხარბინში ცოლქმარს 2 ვაჟი: ლევანი და ალექსანდრე შეეძინათ.

რუსეთის იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ხარბინში გასული საუკუნის დასაწყისში დიდი კოლონია დაარსდა. იქ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დასახლდა, მათ შორის, ქართველებიც. ქალაქ ხარბინის იმდროინდელი რეალობა და იქ ქართველი ემიგრანტების ცხოვრება ასახულია ლევან ხაინდრავას მოთხრობებსა და რომანებში: „მამისეული სახლი“, „მოჯადოებული შორეთი“, „კვამლი ჰორიზონტზე“ და სხვ.

ჩინეთში ცხოვრების წლებში ლევან ხაინდრავამ კარგი განათლება მიიღო. 1938 წელს მან შანხაის ფრანგული უნივერსიტეტი „ავრორა“ დაამთავრა. მალე მას მამა გარდაეცვალა. 1947 წელს ლევანი დედასთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა. 1951 წელს ის დააპატიმრეს და რამდენიმე თვე სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ციხეში იმყოფებოდა. შემდეგ იგი ყაზახეთში გადაასახლეს, საიდანაც მწერალი 1955 წელს დაბრუნდა (გადასახლებაში ლევან ხაინდრავას გაჰყოლიან დედა და მეუღლე 2 წლის ვაჟთან ერთად). 1955 წელს საქართველოში ლევანის ძმა, ალექსანდრეც ჩამოსულა, რომელიც რეპრესიებს გადაურჩა.

ლევან ხაინდრავას ბიოგრაფიის, კერძოდ, მისი პატიმრობის, უცნობი დეტალების აღდგენა შესაძლებელი გახდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით, რომელიც ჩინეთიდან დაბრუნებული რეემიგრანტის, ხაინდრავას თანამოაზრის, ვლადიმერ მატკავას სისხლის სამართლის საქმეში ინახება (ფონდი №6, საარქივო № 50287, ტ. 4, ყუთი 164).

1950 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული რუსულენოვანი დოკუმენტი, გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ ნ. რუხაძის სახელზე ტყიბულიდან გამოუგზავნიათ. ამ წერილით ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მატკავას დაკავების ნებართვას ითხოვენ. დასკვნა მის დაპატიმრებაზე 1950 წლის 12

ოქტომბრით თარიღდება. ლეიტენანტ ასათიანს შეუსწავლია ე.წ. „შანხაელების“ საქმე და გამოურკვევია, რომ ვლადიმერ მატკავა, 1913 წელს დაბადებული, ქ. ვლადივოსტოკის მკვიდრი, არასრული უმაღლესი განათლებით, მცხოვრები ქ. თბილისში, „ტყიბულნახშირის“ ტრესტის ბუღალტერი იყო. 1918 წელს იგი მშობლებმა ვლადივოსტოკიდან მანჯურიაში გადაიყვანეს და იქ 1947 წლამდე ცხოვრობდა. 1947 წელს მატკავა რეპატრიაციით სსრკ-ში დაბრუნდა, ცხოვრობდა ქ. სვერდლოვსკში, 1949 წელს კი საქართველოში ჩამოვიდა.

ამავე საბრალდებო დასკვნის მიხედვით, 1935-1937 წლებში ვლადიმერ მატკავა ხარბინში ქართული ემიგრაციის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გახლდათ და აქტიურ ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა. 1938 წელს იგი თავის ძმებთან ხარბინიდან შანხაიში გადავიდა, ერთხანს ინგლისურ გემზე მატროსად მუშაობდა, შემდეგ ფრანგული არმიის დამხმარე რაზმში ირიცხებოდა. ბრალდების თანახმად, ვლადიმერ მატკავა ხარბინში ანტისაბჭოთა სტატიებს წერდა სათაურით „ყველანი კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად“, იყო ფაშისტური პარტიის წევრი. საბრალდებო დასკვნაში დამოწმებულია ასევე აგენტურული ცნობები იმის თაობაზე, რომ რეპატრიანტი უკმაყოფილო იყო საქართველოში არსებული მდგომარეობით და აცხადებდა, რომ იაპონიაში უკეთ ცხოვრობდა. დოკუმენტების მიხედვით, 1950 წლის 20 ოქტომბერს ბრალდებულის დაპატიმრების ნებართვა გაიცა. ვლადიმერ მატკავა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-4 მუხლით დააკავეს.

იმავე, „შანხაელების“ საქმეში ინახება დოკუმენტი „დასკვნა დაპატიმრებაზე“, რომელიც ეხება ლევან ივლიანეს ძე ხაინდრავას, დაბადებულს 1916 წელს, ქ. ხარბინის მკვიდრს, ქართველს, თბილისში მცხოვრებს, ჩინეთის ყოფილ ქვეშევრდომს, უმაღლესი განათლებით, პროფესიით ჟურნალისტს. დასკვნის თანახმად, ლევან ხაინდრავა 1947 წელს ჩინეთიდან საბჭოთა კავშირში რეპატრიაციით დაბრუნდა, ერთხანს ქ. ყაზანში იმყოფებოდა, შემდეგ მუდმივ საცხოვრებილად თბილისში გადმოვიდა. ამავე დასკვნის მიხედვით, ხარბინში ხაინდრავა გახლდათ წევრი ანტისაბჭოთა ახალგაზრდული წრისა, რომელიც დააარსა „ქარ-

თულმა საზოგადოებამ“ და მის მიერვე ფინანსდებოდა. დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ ეს ემიგრანტული წრე საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას ისახავდა მიზნად და კადრებს კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური სულისკვეთებით ზრდიდა. წრის თავმჯდომარე ვლადიმერ მატკავა გახლდათ, ლევან ხაინდრავა – წრის ყველაზე რეაქციული წევრი, ამასთანავე, „ქართული საზოგადოების“ ყოფილი თავმჯდომარის – ივლიანე ხაინდრავას შვილი. 1934 წელს იგი შანხაიში გადავიდა და შევიდა ფრანგულ ინსტიტუტში „ავრორა“, რომელსაც რომელიღაც კათოლიკური საზოგადოება ინახავდა.

საბრალდებო დასკვნაში მოტანილია ფრაგმენტები მოწმეთა ჩვენებებიდან იმის ხაზგასმით, რომ ლევან ხაინდრავა „ქართული საზოგადოების“ წევრთა შეკრებებზე ხშირად ნაციონალისტური მოხსენებებით გამოდიოდა, რომ ის მომხრეა „დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს“ შექმნისა, რომ დაამთავრა ფრანგული უნივერსიტეტი „ავრორა“ და შანხაიში ერთხანს ფრანგულ პოლიციაში მსახურობდა, ახლო ურთიერთობაში იყო ამერიკელ და ინგლისელ კორესპონდენტებთან, ვლ. მატკავასთან ერთად იაპონიის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის ფერად მეტალებს ყიდულობდა და ა.შ.

„სრულიად საიდუმლოს“ გრიფი ადევს ვლ. მატკავასა და ლ. ხაინდრავაზე შედგენილ „ცნობებს“, რომლებშიც იგივე ბრალდებები მეორდება. ხაინდრავას შესახებ დამატებით მითითებულია, რომ 1938 წელს იგი საფრანგეთის პოლიციის რუსულ დამხმარე რაზმში მსახურობდა, 1941 წლიდან თანამშრომლობდა პროსაბჭოთა გაზეთში „ახალი ცხოვრება“, ჩინეთში ყოფნის დროს მჭიდრო კავშირი ჰქონდა თეთრ ემიგრანტულ წრეებთან. სსრკ-ში გამომგზავრების წინ ლევან ხაინდრავა მონაწილეობდა ლიტერატორთა შეხვედრებში, სადაც ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწეოდნენ (ცნობის თარიღია 1950 წლის 21 ოქტომბერი). სხვა დოკუმენტის მიხედვით, ხაინდრავა ანტისაბჭოთა სულისკვეთებით აღიზარდა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ შეხედულებებს იზიარებდა.

1951 წლის 29 მარტით დათარიღებულ საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო

უშიშროების სამინისტროში 1951 წლის იანვრიდან დაიწყო გამოძიება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-4 და 58-11 მუხლებით, იმ მონაცემთა საფუძველზე, რომ ჩინეთიდან საბჭოთა კავშირში რეპატრიაციით დაბრუნებული ლ. ი. ხაინდრავა საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში ანტისაბჭოთა ორგანიზაციებში მოღვაწეობდა და მტრულ საქმიანობას ეწეოდა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. სსრკ-ში რეპატრიაციის შემდეგ ის ცხოვრობდა თბილისში და უკმაყოფილო იყო აქ დაბრუნებით, ანტისაბჭოთა შეხედულებებს გამოხატავდა და აქებდა მანჯურიის ცხოვრების პირობებს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბრალი დადასტურებულად ჩაითვალა და სასამართლოს გადაწყვეტილებით ლევან ხაინდრავას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა. ამავე დროს, მისი საქმე განსახილველად სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ სათათბიროს გადაეგზავნა.

იმავე სისხლის სამართლის საქმეში დაცული დოკუმენტების მიხედვით, 1951 წლის 7 დეკემბერს მოსკოვში სსრკ პროკურატურის სპეცსაქმეების განყოფილების პროკურორს, იუსტიციის უფროს მრჩეველ შარუტინს განუხილავს ვლ. მატკავასა და ლ. ხაინდრავას საქმეები და დაუდგენია: ლევან ხაინდრავას საქმე დამატებითი განხილვისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს დაბრუნებოდა. ამავე დროს, ხაინდრავას ბინიდან, ასევე, საქართველოს არქივიდან ან მოსკოვის ცენტრალური წიგნის პალატიდან უნდა ამოეღოთ მისი სტატიებისა და მოხსენებების ასლები. ვლ.მატკავას სისხლის სამართლის საქმე განსახილველად სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულ საბჭოს გადაეგზავნა.

როგორც აღინიშნა, ლევან ხაინდრავა გადასახლებიდან 1955 წელს დაბრუნდა და ლიტერატურულ და პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. მწერალი თბილისში 1996 წელს გარდაიცვალა. ტარიელ ჭანტურია წერს:„ლევან ხაინდრავა ჩვენზე კარგი მამულიშვილი იყო – ჩვენ სამშობლო გამზადებული დაგვხვდა. მან კი თავად მოიპოვა იგი და ამით პატიოსნად შეასრულა მამის ანდერძი“.

ლიტერატურული მოღვაწეობა ლევან ხაინდრავამ 1938 წლიდან დაიწყო. ხარბინში მას დაუწერია რომანი, რომრომლის ხელნაწერი საქართველოში ჩამოიტანა, თუმცა ეს ტექსტი მწერლის არქივთან ერთად განადგურდა.

რეპრესირებულმა, მრავლისმნახველმა მწერალმა ცხოვრების მანძილზე ნანახი და გაგონილი მხატვრულ ტექსტებში გადაიტანა. ბევრ მათგანს ავტორის პირადი ბიოგრაფიის სულისშემძვრელი ანაბეჭდები შემოუნახავს. ლევან ხაინდრავას პროზაული ტექსტების დიდი ნაწილი რუსულ ენაზეა შექმნილი. მის კალამს ეკუთვნის: „პირველი შეხვედრა“ (1962), „ტყეში“ (1972), „კვამლი ჰორიზონტზე“ (1977), „მშობლიური კერა“ (1985) და სხვა წიგნები.

ქართულ ენაზე მწერლის მოთხრობები გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1973 წელს გამოსცა, მეორე, უფრო სრული კრებული „მოკრძალებული მოწმე“ 1980 წელს იმავე გამომცემლობაში დაიბეჭდა. წიგნის ანოტაციაში მითითებულია, რომ ტექსტებში ასახულია სამშობლოდან მოშორებით მცხოვრებ თანამემამულეთა ერთგულება უძველესი ქართული ტრადიციებისადმი, პიროვნების სწრაფვა თავისუფლებისაკენ. მოთხრობაში „შორს მშობლიური მიწიდან“ მეოცე საუკუნის დასაწყისის ქალაქ ხარბინის რეალობაა ასახული, მასში გადმოცემულია აქაური ქართული კოლონიის თვალსაჩინო წევრის, დავით ნიჟარაძის თავგადასავალი. წიგნში დაბეჭდილია ლევან ხაინდრავას სხვა მოთხრობები: „ანდერძი“, „ბედნიერება“, „მოკრძალებული მოწმე“, „ინტურისტი“, „თევზის ვერცხლის-

ფერი ქერცლი“ და სხვები. ეს საინტერესო ტექსტები ავტორის ინდივიდუალური ხელწერით, სტილის ორიგინალობითა და თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მწერლის მხატვრული ოსტატობის საჩვენებლად დავიმოწმებთ ფრაგმენტს მოთხრობიდან „თევზის ვერცხლისფერი ქერცლი“:„ სიჩუმეა. სიჩუმეა გარეთაც. ისეთი სიწყნარეა, გარკვევით ისმის... როგორ მოძრაობს ნაკადი – დროის მდინარე, რომელიც შეუცნობლიდან შეუცნობელშივე მიედინება, სადაც თევზის ვერცხლისფერი ქერცლივით გაიელვებს ადამიანის ცხოვრება და იდუმალ სივრცეებში სამუდამოდ უჩინარდება“ (ხაინდრავა 1980: 300).

პიროვნული თუ ნაციონალური თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას ხედავს კრიტიკოსი ამირან გომართელი მწერლის ვრცელ მოთხრობაში „ასლან-ბეკ“, რომელიც პირველად 1991 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა.

გამორჩეული ღირებულებისაა ლევან ხაინდრავას ვრცელი რომანი „ჟამი მეექვსე“, რომელიც 1958-1969 წლებში დაიწერა და 1992 წელს რუსულ ენაზე გამოიცა (რომანს ავტორი უძღვნის შვილებს: ივლიანეს, გიორგის და ლიდას). 2016 წელს, მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეოდ, მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა (მთარგმნელები: ელზა მეტრეველი, ნინო ქუთათელაძე). რომანში წარმოდგენილია ქართული საზოგადოების ცხოვრება გასული საუკუნის 30-50-იან წლებში. თხრობა 1956 წლის მარტის ტრაგიკული მოვლენებით მთავრდება. ლევან ხაინდრავას ამ რომანს ოთარ ჩხეიძისა და გურამ გეგეშიძის ნაწარმოებებთან ერთად იმ იშვიათ გამონაკლისად მიიჩნევენ, რომელმაც 9 მარტის თბილისური ტრაგედია აღწერა, რაც მისი ავტორის მოქალაქეობრივ გამბედაობაზე მეტყველებს. „ჟამი მეექვსის“ წინასიტყვაობაში ამირან გომართელი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის წინააღმგეგობრიობრივ ხასიათზე მსჯელობს და მართებულად შენიშნავს: „რაოდენ გასაოცარი და პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავისუფალი სიტყვა იმ კაცის ძეგლთან გაისმა, ვინც მთელი ცხოვრება ახშობდა მას“ (ხაინდრავა 2016: 13).

ამ ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით „ჟამი მეექვსის“ ავტორის პოზიცია ნათლად იკვეთება რომანის ერთ-ერთი გმირის სიტყვებში: „არა, იქ ჩემი ადგილი არ არის. ამ დროშის ქვეშ ვერ აღსდგება საქართველო.. ჩვენი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა“ (ხაინდრავა 2016: 234). 1956 წლის 9 მარტის გამოსვლების მონაწილეთა სულისკვეთების გამომხატველია მიტინგის ერთ-ერთი ორატორის ლაკონური, მრავლისმთქმელი ფრაზა: „ჩვენ არავითარი ორგანიზაცია არ გვაქვს... საქართველო – აი, ჩვენი ორგნიზაცია! ჩვენ ყველანი ამ ორგანიზაციის წევრები ვართ“ (ხაინდრავა 2016: 233) და ა.შ.

ლევან ხაინდრავა მეოცე საუკუნის საქართველოს რეალობის უმნიშვნელოვანესი, ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული, წინააღმდეგობრივი ეტაპების საიმედო მკვლევარი და მხატვრული მემატიანეა. მისი ტექსტები სტილის სისადავითა და გმირთა ხასიათის სიღრმისეული კვლევით გამოირჩევა. რეპრესიებგამოვლილი პროფესიონალი მწერლის შემოქმედება ჯერ კიდევ საფუძვლიან შესწავლასა და შეფასებას ელის.

დამოწმებანი:

ხაინდრავა 1973: ხაინდრავა, ლ. *მოთხრობები.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

ხაინდრავა 1980: ხაინდრავა, ლ. *მოკრძალებული მოწმე.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1980.

ხაინდრავა 2016: ხაინდრავა, ლ. *ჟამი მეექვსე.* რუსულიდან თარგმნეს ელზა მეტრეველმა და ნინო ქუთათელაძემ. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016.

ეროვნული საგანძურის დაბრუნება საქართველოში

მანანა კვატაია

ქართული ეროვნული საგანძურის თავგადასავალი

1921 წლის თებერვალში, წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ივანე ჯავახიშვილმა ამავე უნივერსიტეტის პროფესორსა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილეს ექვთიმე თაყაიშვილს სთხოვა, მთავრობასთან ეშუამდგომლა, რათა ბოლშევიკების დარბევისაგან გადარჩენის მიზნით ქართული სამუზეუმო საგანძური, რომლის დიდი ნაწილი იმჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინახებოდა, დროებით საზღვარგარეთ გაეტანათ. ნოე ჟორდანიას განკარგულებით, ეროვნული საგანძური 249 ყუთში განთავსდა და მისი სრული აღწერილობა 2 ცალად მომზადდა. განძეულის მეთვალყურედ და პასუხისმგებელ პირად ექვთიმე თაყაიშვილი დაინიშნა.

1921 წლის 20-21 თებერვლის ღამეს ეროვნული საგანძური ტფილისის რკინიგზის სადგურიდან მატარებლით წაიღეს. ქუთაისში მას იქაური ექსპონატებიც დაემატა. 3 მარტს მატარებელი ბათუმში ჩავიდა და კავკასიაში საფრანგეთის ემისრის, აბელ შევალიეს, დახმარებით განძი ვაგონებიდან ფრანგულ კრეისერზე გადაიტანეს, რომელმაც 11 მარტს გეზი სტამბულისაკენ აიღო. 1921 წლის 11 აპრილს ეროვნული საგანძური მარსელის ნავსადგურში შემოიტანეს, გადმოტვირთეს და იქაურ ბანკში დააბინავეს. მიუხედავად ამისა, ამ უნიკალური ექსპონატების ბედი მუდმივად საფრთხის ქვეშ იყო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც ასახულია ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოდან გატანისა და მისი სამშობლოში დაბრუნების პერიპეტიები.

საარქივო დოკუმენტების პარალელურად ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ საქმის მთავარ ფიგურანტთა პორტრეტებს:

მარიამ გიორგაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი



ისტორიკოსი, არქეოლოგი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი დაიბადა 1863 წელს სოფელ ლიხაურში. მშობლები, სიმონ თაყაიშვილი და ნინო ნაკაშიძე, ადრე გარდაეცვალნენ. სწავლობდა ოზურგეთისა და ფოთის სამაზრო სასწავლებლებში, შემდეგ კი ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. 1887 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი.

ექვთიმე თაყაიშვილი აქტიურ სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა. მისი თაოსნობით 1097 წელს დაარსდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება; აქტიურად იყო ჩართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობაში; მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. ექვთიმე თაყაიშვილის სახელს უკავშირდება არაერთი მნიშვნელოვანი ექსპედიცია, მანამდე უცნობი ხელნაწერების შესწავლა თუ გამოცემა.

საქართველოს გასაბჭოებიდან მალევე, 1921 წლის 11 მარტს, ექვთიმე თაყაიშვილმა და მისმა მეუღლემ, ნინო პოლტარაცკაიამ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ქვეყანა დატოვეს. ამის შემდეგ მეცნიერი თითქმის 25 წელი საფრანგეთში განაგრძობდა მოღ-

ვაწეობას. ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის „საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს“ უწოდებენ იმ განსაკუთრებული ღვაწლის გამო, რომელიც მან ქართულ კულტურას დასდო, უპატრონა რა ქვეყნიდან გატანილ ეროვნულ საგანძურს. გარდა ამისა, მან დაამყარა სამეცნიერო ურთიერთობები ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან, კრებდა ინფორმაციას საზღვარგარეთ არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების შესახებ.

25 წლის განმავლობაში ქართულ განძს არაერთხელ დაემუქრა საფრთხე – ექსპონატების ხელში ჩაგდება სურდა ნიუიორკისა და ბრიტანეთის მუზეუმებს, სამეგრელოდან გატანილ განძზე პრეტენზიას გამოთქვამდა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, ნიკოლოზ დადიანის ასული სალომე ობოლენსკაია, თუმცა ექვთიმე თაყაიშვილის ძალისხმევის შედეგად ყველა ეს მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

1933 წელს ერთა ლიგის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობამ უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ემიგრანტულ მთავრობაზე – გაუქმდა საქართველოს საელჩო საფრანგეთში და მის ნაცვლად გაიხსნა „ქართული ოფისი“, ხოლო განძის მფლობელი საფრანგეთი გახდა. 1935 წელს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ უარი თქვა განძის მეურვეობაზე და მისი დაცვა ექვთიმე თაყაიშვილს მიანდო. მეცნიერი ცდილობდა, გამოეყენებინა ყველა შესაძლებლობა, რათა გადაერჩინა ექსპონატები, რომლებსაც წლების განმავლობაში აგროვებდა და პატრონობდა. ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას. საფრანგეთი გერმანიის მიერ აღმოჩნდა ოკუპირებული. ჰიტლერის ჯარის შესაბამისი უწყებები ცდილობდნენ ქართული განძეულის გერმანიაში გატანას. ექვთიმე თაყაიშვილისა და ნოე ჟორდანიას მეცადინეობით ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრდა, მათ დაარწმუნეს გერმანელები, რომ ექსპონატებს მხოლოდ ქართველი ხალხისთვის ჰქონდა მნიშვნელობა და სხვა მხრივ არანაირ მატერიალურ-კულტურულ ღირებულებას არ წარმოადგენდა.

1944 წელს პოლიტიკური ვითარება კვლავ შეიცვალა – საფრანგეთის დროებით მთავრობას სათავეში შარლ დე გოლი

ჩაუდგა. ექვთიმე თაყაიშვილმა მაშინვე გაუგზავნა სსრ კავშირის ელჩს საფრანგეთში ბოგომოლოვს ბარათი ქართული განძის მდგომარეობის შესახებ და ითხოვა შუამდგომლობა საფრანგეთის ახალი მთავრობის წინაშე. 1944 წელს დე გოლი საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ჩავიდა და იოსებ სტალინს შეხვდა. ეს ვიზიტი მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი – დე გოლს სურდა სტალინის მხარდაჭერის მოპოვება და ანტიჰიტლერული კოალიციის სრულუფლებიანი წევრობა. პირადი საუბრისას სტალინს ფრანგ პოლიტიკოსთან ქართული განძის შესახებაც ჩამოუგდია სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგული კანონებით განძი უკვე საფრანგეთის რესპუბლიკის საკუთრებად იყო მიჩნეული, სტალინის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დე გოლი მზად იყო, დაერღვია ეს კანონები. გადაწყდა განძის სამშობლოში დაბრუნება. შეირჩა ორი მეცნიერი – შალვა ამირანაშვილი და პეტრე შარია – რომლებსაც საფრანგეთში ჩასვლა, განძის აღწერა და ჩამოტანა დაევალათ.

განძის აღწერის დამღლელ და ხანგრძლივ პროცესში ექვთიმე თაყაიშვილიც აქტიურად ჩაერთო. მალევე გაირკვა, რომ კოლექციას არაფერი აკლდა. სამუშაოებმა კიდევ უფრო მეტად შეურყია ჯანმრთელობა მხცოვან მეცნიერს. სამშობლოში დაბრუნების სანუკვარი ოცნების ახდენამდე სულ ცოტა იყო დარჩენილი. გაირკვა, რომ მეცნიერს დუხჭირი ცხოვრების გამო ტანსაცმელიც კი არ ჰქონდა, რომლითაც შეძლებდა საქართველოში დაბრუნებას. სსრ კავშირის ელჩმა, ბოგომოლოვმა, 50 ათასი ფრანკი გამოყო მისი გარდერობის გასაახლებლად.

1945 წლის აპრილში განძი ორი თვითმფრინავით თბილისში ჩამოიტანეს. მეცნიერი აღადგინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორად, აირჩიეს აკადემიის წევრად. თუმცა 50-იანი წლების დასაწყისში ბოლშევიკურმა ტერორმა მისი შევიწროება დაიწყო – იგი უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს, დააპატიმრეს მისი შვილობილი, ლიდა პოლტარაცკაია. დევნამ დიდად იმოქმედა მხცოვან მეცნიერზე. იგი 1953 წლის 21 თებერვალს გულის დამბლით გარდაიცვალა. ექვთიმე თაყაიშვილი ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს. 1963 წელს იგი ჯერ დიდუბის პანთეონში, ხოლო 2000 წელს მთაწმინდაზე გადაასვენეს. 2002 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხა და „ექვთიმე ღვთისკაცი“ უწოდა.

ექვთიმე თაყაიშვილის დაკითხვის ოქმი – 1952 წლის 24 თებერვალი

ფონდი 6, საარქივო № 51295, ტ.9, ყუთი 167 (პეტრე შარიას საქმე)*

თაყაიშვილი ე.ე., დაბადებული 1863 წელს, ქ. თბილისის მცხოვრები, უპარტიო, სსრკ მოქალაქე, სპეციალობით არქეოლოგი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ცხოვრობს ქ. თბილისში, ვაშლოვანის ქ. სახლი №6-ში.

დაკითხვა დაიწყო 13 საათსა და 10 წუთზე.

კითხვა: თქვენთან რამდენიმე შეკითხვა გვაქვს.

პასუხი: მზად ვარ, მოგისმინოთ და ვუპასუხო თქვენს კითხვებს.

კითხვა: ჩვენ გვაინტერესებს საქართველოდან საფრანგეთში სამუზეუმო ფასეულობათა გატანის საკითხი.

პასუხი: როგორც ცნობილია, საქართველოს სამუზეუმო ფასეულობანი გატანილ იქნა საფრანგეთში და შესანახად საფრანგეთის მთავრობას ჩაბარდა. მე მასზე მეთვალყურეობას

* რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ.

ვახორციელებდი. საფრანგეთში ჩემი ყოფნის პერიოდში მაშ-ფოთებდა ის, რომ შეიძლებოდა, საგანძური გაეფლანგათ და ვღებულობდი ზომებს, რათა უკან, საქართველოში მისი დაბრუნებისათვის მიმეღწია. მახსოვს, რომ ჯერ კიდევ 1935 წელს წერილობით მივმართე ვუკოლ ბერიძეს თხოვნით, საფ-რანგეთში დეპუტაცია გამოეგზავნათ, საკითხი დაესვათ საფ-რანგეთის მთავრობის წინაშე და საქართველოს კუთვნილი სამუზეუმო ფასეულობანი დაებრუნებინათ. როგორც ვფიქ-რობ, ჩემი წერილის შედეგად საქართველოდან იმავე, 1935 წელს, გამოგზავნეს ვიკტორ კვიტაიშვილი, რომელიც რამდენჯერმე შემხვდა, შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა.

კითხვა: ვისი სახელით ჩამოვიდა საფრანგეთში ვიკტორ კვიტაიშვილი?

პასუხი: ვფიქრობ, რომ კვიტაიშვილი გამოგზავნა საქარ-თველოს მთავრობამ დეპუტაციასთან ერთად, რომელსაც მე ვითხოვდი. ვიხსენებ, რომ ვიკტორ კვიტაიშვილი ჩემთან საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელთან ერთად ჩამოვიდა. საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ სამუზეუმო ფასეულობებში ის ნაკლებად ერკვეოდა და მე იმედი არ მქონდა, რომ მისი ვიზი-ტიდან რაიმე გამოვიდოდა. სინამდვილეში ვ. კვიტაიშვილი სა-ქართველოში დაბრუნების შემდეგ აღარც გამომხმაურებია და ამ ფასეულობათა დაბრუნების საკითხი ამით დამთავრდა.

კითხვა: თხრობა გააააგრძელეთ.

პასუხი: ბოლოს, როდესაც გერმანელები საფრანგეთიდან განდევნეს და საბჭოთა საელჩო საფრანგეთში დაბრუნდა, ვგონებ, 1944 წელს, მე კვლავ მივმართე ელჩ ბოგომოლოვს იმავე სამუზეუმო ფასეულობათა საქართველოში დაბრუნების თხოვნით. ჩემი ეს განცხადება დაემთხვა ელჩი ბოგომოლოვის მოსკოვში გამგზავრებას საფრანგეთის მთავრობის მეთაურ-თან დე გოლთან ერთად. სახლში შენახული მაქვს დოკუმენტე-ბი ამ საკითხებზე და აუცილებლობის შემთხვევაში შემიძლია, მათი ასლები წარმოგიდგინოთ.

კითხვა: გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ ისინი.

პასუხი: კარგი, მე ამას გავაკეთებ. ჩანს, ჩემი განცხადების შედეგად საკითხი დადებითად გადაწყდა და 1945 წლის დასა-

წყისში ჩამოვიდნენ პროფესორები პ. შარია და შ. ამირანაშვილი. დავამატებ, რომ მათ ჩამოსვლამდე მიღებული იყო საფრანგეთის მთავრობის ნებართვა სამუზეუმო ფასეულობათა გადატანაზე საფრანგეთის საბჭოთა საელჩოში. ამასთან, ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კონსული პარიზში ა.გუზოვსკი, ემიგრანტი გ. გეგელია და საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო ტყვეები ა. ნიჟარაძე და ნ. მელაძე.

კითხვა: რამდენი წერილი მისწერეთ ვუკოლ ბერიძეს?

პასუხი: პირველი წერილი საქართველოს მთავრობის დეპუტაციის საფრანგეთის მთავრობასთან გამოგზავნის საკითხზე ვუკოლ ბერიძეს 1935 წლის 8 აპრილს მივწერე და მისგან პასუხი იმავე წლის 8 მაისს მივიღე, მეორე და უკანასკნელი წერილი იმავე ბერიძეს 1935 წლის 26 მაისს მივწერე, რის შედეგად, როგორც ვფიქრობ, ჩამოვიდა ვ. კვიტაიშვილი ელჩ პოტიომკინის მდივანთან ერთად (მდივნის გვარი აღარ მახსოვს). პარიზში თითქმის ყოველდღიურად მსტუმრობდნენ, მაგრამ მთელი ეს წამოწყება წარმატებით არ დასრულებულა.

კითხვა: ემიგრაციის ხელმძღვანელები, კერძოდ, ნ. ჟორდანია და ე. გეგეჭკორი, როგორ უყურებდნენ ფასეულობათა საქართველოში დაბრუნების საკითხს?

პასუხი: პირდაპირ უნდა გითხრათ, რომ ამან ისინი გაახარა. ისინი კმაყოფილნი იყვნენ, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ, საქართველოში ფასეულობათა დაბრუნების ფაქტით რამდენადმე გაემართლებინათ თავი (სახელი აღედგინათ). საერთოდ, იყო დრო, როდესაც ისინი განზე გადგნენ და ხელი დაიბანეს, დაწერეს რა ოფიციალურად, რომ მათ ფასეულობათა კუთვნილების შესახებ არაფერი იციან და მთელი პასუხისმგებლობა მე, როგორც საქართველოს მუზეუმის წარმომადგენელს, დამაკისრეს, რომელსაც რწმუნება ჰქობდა, ფასეულობები დაეცვა. ამ საკითხზე 1935 წელს მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს სპეციალური სხდომა შედგა, რომელზეც გამოიტანეს გადაწყვეტილება იმაზე, რომ მე საქართველოს მუზეუმების ერთადერთი წარმომადგენელი ვარ და ფასეულობების შენახვაზე ზრუნვა მე დამეკისრა. ამ სხდომას ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ი. ზურაბიშვილი,

ა.ჩხენკელი და კ. კანდელაკი. მე მაქვს ეს დოკუმენტი და ასევე მისი წარმოდგენაც შემიძლია.

კითხვა: ამ საკითხზე 1945 წელს პირადად ესაუბრეთ ნ. ჟორდანიას და ე. გეგეჭკორს?

პასუხი: დიახ. ჩემთან საუბარი ჰქონდა ნ. ჟორდანიას და მილოცავდა, რომ მე მოვახერხე, ფასეულობები საქართველოში დამებრუნებინა. აქვე აუცილებელია, აღვნიშნო, მათ ამგვარი განწყობილებები უკანასკნელ დიდ სამამულო ომში სსრკ-ის ისტორიული გამარჯვების შემდეგ გაუჩნდათ. ე. გეგეჭკორს ფასეულობების საკითხზე ჩემთან საუბარი ჰქონდა, ისევე, როგორც ჟორდანიას, რომელიც ფასეულობების დაბრუნების მოხარული იყო.

კითხვა: გქონდათ მიმოწერა შ. ამირანაშვილთან?

პასუხი: მიუხედავად იმისა, რომ შ. ამირანაშვილი ჩემი მოწაფეა, მასთან მიმოწერა 1931 წლიდან საქართველოში დაბრუნებამდე მაინც არ მქონია. იგი არც არასოდეს მინახავს. 1945 წლის აპრილში, დაბრუნებისას, რა თქმა უნდა, შევხვდი მას.

კითხვა: ვისგან მოდიოდა ინიციატივა ფასეულობებთან დაკავშირებით საფრანგეთში პ. შარიასა და შ. ამირანაშვილის ჩამოსვლაზე?

პასუხი: ამაზე არაფერი ვიცი. ვფიქრობ, რომ ისინი საბჭოთა მთავრობამ გამოაგზავნა.

კითხვა: ხომ არ მოდიოდა ეს ინიციატივა პარიზის ემიგრანტული წრეებისაგან, კერძოდ, ნ. ჟორდანიასა და ე.გეგეჭკორისაგან?

პასუხი: არ ვიცი. ვფიქრობ, რომ არა. ჩემთვის ცნობილია, რომ ამერიკელები საქართველოს სამუზეუმო ფასეულობების შეძენით ძალზე დაინტერესებულნი იყვნენ და დიდ თანხას სთავაზობდნენ, მაგრამ მათი მცდელობა ჩაიშალა.

კითხვა: საიდან შეიტყვეს ამერიკელებმა საქართველოს სამუზეუმო ფასეულობებზე?

პასუხი: საქართველოს სამუზეუმო ფასეულობებზე იცოდნენ არა მხოლოდ ამერიკელებმა, არამედ ინგლისელებმაც. არ ვიცი, ეს საიდან უნდა სცოდნოდათ.

კითხვა: რამდენად ხშირად იყვნენ თქვენთან შარია და ამირანაშვილი?

პასუხი: შ. ამირანაშვილი ჩემთან ძალზე ხშირად იმყოფებოდა. შარია მხოლოდ ერთხელ იყო და დამამცირებლად თვლიდა, ისეთ უბრალო ადამიანთან მისულიყო, როგორიც მე ვარ. როდესაც მესაჭიროებოდა, მე შარიასთან თავად მივდიოდი. რამდენადაც ვიცი, შარია ე. გეგეჭკორს და სხვებს ხვდებოდა.

კითხვა: იცით თუ არა შარიას შეხვედრის შესახებ ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებთან?

პასუხი: ვიცი, რომ შარიას ჰქონდა მოლაპარაკებები ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელებთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებათა ხასიათის შესახებ არაფერი მსმენია. ერთი რამ ცნობილია ჩემთვის, რომ იმ პერიოდში ემიგრანტთა მასობრივი სურვილი იყო საქართველოში დაბრუნება, ვინაიდან ემიგრაციაში ყოფნას ისინი უსარგებლოდ მიიჩნევდნენ. ეს ფაქტი განაპირობა გერმანიაზე სსრკ-ის გამარჯვებამ.

დაკითხვა დასრულდა 15 საათსა და 30 წუთზე.

დაკითხვის ოქმი ჩაწერილია ჩემი სიტყვების მიხედვით. სწორია, წავიკითხე

(ე. თაყაიშვილი)

დაკითხეს: საქართველოს სსრ სახელმწიფო უშისროების მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. რუხაძე

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშისროების სამინისტროს მე-2 განყოფილების უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი სირაძე

სტენოგრამა ჩაიწერა: უმცროსი სერჟანტი აირაპეტოვა.

მანანა კვატაია

გიორგი გეგელია

პუბლიცისტი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საფრანგეთის წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე გიორგი გეგელია 1904 წელს ფოთის რაიონის სოფელ ჭალადიდში დაიბადა, ფოთის გიმნაზია დაამთავრა და სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა. მეორე კურსიდან ის სასწავლებლად საფრანგეთში გაემგზავრა, დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იქვე არსებული კრიმინალისტიკის ინსტიტუტი. პარიზშივე გეგელიამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გიორგი გეგელია საფრანგეთის არმიაში, უცხოელთა ლეგიონში მოხალისედ შევიდა, როგორც ფრანგული, გერმანული, რუსული ენების მცოდნე. ის მალე დაწინაურდა, ვიცე-პოლკოვნიკის წოდება მიიღო და სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა.

1944 წლიდან გიორგი გეგელია აქტიურად იღვწოდა მენშევიკთა მიერ საფრანგეთში 1921 წელს გატანილი საქართველოს ეროვნული განძის უკან დაბრუნებისათვის. 1948 წელს ის საქართველოში ჩამოვიდა და ჯერ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში, შემდეგ – თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ისტიტუტში ფრანგული ენის კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა.

გიორგი გეგელიამ ფრანგულად თარგმნა კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“, ფრანგულიდან ქართულად კი გადმოთარგმნა რომენ როლანის „ბეთჰოვენის ცხოვრება“, მისივე რომანი „კოლა ბრონიონი“ და სხვ.

1951 წლის 17 ნოემბერს გიორგი გეგელია, ისევე, როგორც ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული რამდენიმე ცნობილი მოღვაწე, დააპატიმრეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია მისი სისხლის სამართლის საქმე (ფონდი №6, საარქივო № 51260, ტ. 16/1, ყუთი 136), რომელშიც საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ნ. რუხაძის ხელმოწერით გაცემულია სანქცია გ. გეგელიას დაპატიმრებაზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროსი გამომძიებელი, უფროსი ლეიტენანტი თოფურია 1951 წლის 16 ნოემბრის დადგენილებაში აღნიშნავს, რომ გიორგი დიმიტრის ძე გეგელია მოსამსახურის ოჯახიდანაა, უპარტიო, უმაღლესი იურიდიული განათლებით, პროფესიით ჟურნალისტი, მუშაობს უცხო ენების ინსტიტუტის ლექტორად, წარსულში იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ცხოვრობს ქ. თბილისში, საბჭოს ქ. 210-ში.

ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ საფრანგეთში ყოფნის დროს გიორგი გეგელიას კავშირი ჰქონდა ქართულ ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ ფორმირებებთან, 1939 წლიდან იგი იყო ორგანიზაცია „მომავლის“ წევრი, რომელიც იტალიელების მეშვეობით სსრკ-ს წინააღმდეგ აქტიურად მოღვაწეობდა. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გიორგი გეგელია დააპატიმრეს და მისი ბინა გაჩხრიკეს. პატიმრის რუსულენოვანი ანკეტის მიხედვით, ამ დროს გ. გეგელიას ჰყავდა დედ-მამა და მეუღლე.

ბრალდების წარდგენის დოკუმენტი საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს უფროს გამომძიებელს, უფროს ლეიტენანტ მაღრაძეს შეუდგენია. მასში აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში გიორგი გეგელია 1926-1947 წლებში იყო აქტიური წევრი ანტისაბჭოთა ფორმირებებისა საფრანგეთში, ასევე, კავშირი ჰქონდა სადაზვერვო ორგა-

ნოებთან. დოკუმენტის მიხედვით, სსრკ-ში რეპატრიაციის შემდეგ ბრალდებული კვლავ მტრულ საქმიანობას ეწეოდა.

1952 წლის 12 იანვრის დაკითხვის ოქმში გამომძიებელი გეგელიას ეკითხება, რა კავშირი ჰქონდა მას გერმანული არმიის ქართულ ნაციონალურ ლეგიონთან. პასუხად ბრალდებული მიუგებს, რომ ამ ლეგიონების ორგანიზატორები იყვნენ მიხეილ კედია, გიორგი მაღალაშვილი და ტოგონიძე (კედიას ნათესავი), ხოლო საერთო ხელმძღვანელი – გივი გაბლიანი, რომელსაც პირადად არ იცნობდა. სამაგიეროდ, ის იცნობდა ქართული ნაციონალური ლეგიონის უშუალო ხელმძღვანელს ფრიდონ წულუკიძეს.

1952 წლის 13 იანვრის დაკითხვის ოქმის მიხედვით, გამომძიებლები ბრალდებულს ეკითხებიან ანტივლასოვურ კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაში გიორგი გეგელიაც შედიოდა. ბრალდებული პასუხობს, რომ ეს კომიტეტი ჩამოყალიბდა პარიზში, 1943 წლის სექტემბერსა თუ ოქტომბერში და მაშინ მას კოჩეტოვი, 1944 წლიდან კი გეგელია ხელმძღვანელობდა. გ. გეგელიას ეუბნებიან, რომ ეს კომიტეტი საბჭოთა მოღალატეების თავშესაფარი იყო, რაზეც ბრალდებული პასუხობს, რომ ადამიანები დახმარებას ითხოვდნენ, რადგან ომის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფოს შურისძიების ეშინოდათ. 1952 წლის 17 იანვრის დაკითხვის ოქმის მიხედვით, გიორგი გეგელიას განუცხადებია, რომ არც ერთ უცხოურ დაზვერვასთან არ იყო დაკავშირებული.

საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის 1952 წლის 1 მარტის დაკითხვის ოქმი, რომელშიც ბრალდებულს სთხოვენ, გაიხსენოს საფრანგეთში ქართულ სამუზეუმო ფასეულობებთან დაკავშირებული დეტალები. პასუხად გიორგი გეგელია აღნიშნავს, რომ გერმანელების მიერ პარიზის ოკუპაციამდე, 1940 წელს, საფრანგეთის მთავრობამ, რომელსაც ქართული საგანძური ებარა, განძი საფრანგეთის ბანკიდან ვერსალის ეროვნულ ბიბლოთეკაში გადაიტანა, რათა ის გერმანელებისათვის გადაემალა. 1944 წლის აპრილამდე გერმანელებმა და ქართველმა ფაშისტებმა მისი ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოახერხეს. შემდეგ მათ თავიანთი აგენტის, გრიგოლ ბერიძის მეშვეობით

ეს ინფორმაცია მიიღეს და დაიწყეს სამზადისი განძის გერმანიაში გასატანად, თუმცა მათსა და ფრანგულ მხარეს შორის მოლაპარაკება ისე გაჭიანურდა, რომ ამასობაში დამარცხებულმა გერმანელებმა პარიზი დატოვეს. გიორგი გეგელია შენიშნავს, რომ ქართული განძეულის შესახებ ვიქტორ კირკიტაძის, ირაკლი ზალდასტანიშვილისა და სხვა ემიგრანტებისაგან შეიტყო, ამიტომ გერმანელებისაგან პარიზის გათავისუფლების შემდეგ მან ვერსალის ნაციონალურ ბიბლიოთეკას მიაშურა და იქ ქართული განძის არსებობაზე პირადად დირექტორისაგან მიიღო დასტური.

1944 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში საგანძურის ადგილსამყოფელზე გიორგი გეგელიას ინფორმაცია მიუწოდებია ყოფილი გენერალური კონსულის გუზოვსკისათვის და გამოუთქვამს აზრი, რომ იმჟამად კარგი მომენტი იყო შექმნილი, რათა საბჭოთა მთავრობას საფრანგეთის ხელისუფლების წინაშე დაესვა საკითხი 1921 წელს გატანილი განძის საქართველოში დაბრუნების თაობაზე.

1952 წლის 1 მარტის ჩვენების მიხედვით, 1944 წლის ოქტომბრის ბოლოს შექმნილა საგანძურის მიმღებ-ჩამბარებელი კომისია, რომელშიც შედიოდა 7 კაცი: 1. კომისიის თავმჯდომარე გუზოვსკი, სსრკ ყოფილი გენერალური კონსული პარიზში; 2. ჟოდონი – საფრანგეთის სახელმწიფო მრჩეველი, განძეულის სეკვესტრი; 3. პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი, პასუხისმგებელი ქართული საგანძურის შენახვაზე; 4. თვით გიორგი გეგელია და სხვა პირები. აქვე აღნიშნულია, რომ გიორგი გეგელია კომისიის მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

ამავე ჩვენებაში მითითებულია, რომ გუზოვსკი ინსტრუქციებს მოსკოვიდან ელოდა. 1945 წლის იანვრის ბოლოს თუ თებერვლის დასაწყისში შეუტყვიათ, რომ ქართული საგანძურის მისაღებად პარიზში ოდიშარია (შემდეგ გაარკვიეს, რომ ეს პიროვნება ოდიშარია კი არა, საქართველოს სსრ ცეკას მდივანი შარია იყო) და ამირანაშვილი ჩამოდიანო. გეგელია აღნიშნავს, რომ მან პეტრე შარია გუზოვსკისთან ჩამოსვლის დღესვე გაიცნო, შემდეგ კი სასტუმრო „ბრისტოლში“ მასთან ყოველ-

დღიურად დადიოდა. გ. გეგელიას ცნობით, ერთ-ერთ პარიზულ რესტორანში პეტრე შარია ევგენი გეგეჭკორს შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ კი გეგეჭკორს კედიასათვის უთქვამს: „შარია სრულიად ღირსეული ქართველია და, ახალგაზრდობის მიუხედავად, ის ძალზე ჭკვიანია“.

თავად ევგენი გეგეჭკორის შესახებ გიორგი გეგელიას განუცხადებია, რომ მას საქართველოში დაბრუნება არ უნდოდა, მაგრამ სურდა, რომ საბჭოთა მთავრობას უკან დაბრუნებული ემიგრანტებისათვის ღირსეული პირობები შეექმნა.

ემიგრაციის წლებში გიორგი გეგელია პუბლიცისტურ წერილებსაც წერდა. მას სხვადასხვა პრობლემატიკის სტატიები დაუბეჭდავს 1946 წელს პარიზში დაარსებულ გაზეთ „ქართულ საქმეში“. მის პირველივე ნომერში გამოქვეყნებულია გ. გეგელიას „ჩვენი მოვალეობა“, რომელიც იმდროინდელი ქართული ემიგრაციის უმთავრეს ამოცანებს ეხება. ავტორის აზრით, რომ სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტების მოვალეობაა, გააცნობიერონ ის სულიერი ტრანსფორმაცია, რომელიც იმჟამინდელ საქართველოში მოხდა, მათი ვალია, შეისწავლონ და ახლოს გაიცნონ სამშობლო.

გაზეთ „ქართული საქმის“ 1946 წლის მეორე ნომერში ასევე დაბეჭდილია გიორგი გეგელიას წერილი სათაურით „ვეფხის ტყავზე უგუნური ჯირითი“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს შოთას უკვდავი პოემის ბალეტად გადმოცემის მცდელობას (ბალეტი „შოთა რუსთაველი“ მონტე-კარლოში დაუდგამთ და ამ წარმოდგენას აზრთა სხვადასხვაობა გამოუწვევია).

1947 წლის იანვარში „ქართულ საქმეში“ (№7) დაბეჭდილა გ. გეგელიას „ღია წერილი ბატონ გობეჩიას“, რომელშიც ავტორი კამათობს „ეროვნული კომიტეტის“ გარშემო და ა.შ.

გიორგი გეგელია, როგორც მთარგმნელი, დაინტერესებულა ფრანგი რომანისტისა და პუბლიცისტის, თავისი დროის დიდი ჰუმანისტის, „ევროპის სინდისად“ აღიარებული რომენ როლანის შემოქმედებით. როგორც ცნობილია, ფრანგმა მწერალმა გამოჩენილი ადამიანების შესანიშნავი მხატვრული ბიოგრაფიების სერია შექმნა.

ქართულ ენაზე გიორგი გეგელიას მწერლის ცნობილი თხზულებები უთარგმნია. ერთ-ერთი მათგანია „ბეთჰოვენის ცხოვრება“, რომლის წინასიტყვაობაში რომენ როლანი წერს: „ჩვენს ირგვლივ ჰაერი დამძიმებულია. მძიმე და გახრწნილ ატმოსფეროში იყინება მოხუცი ევროპა. სიდიადეს მოკლებული მატერიალიზმი მძიმედ აწვება აზრს და ხელს უშლის მთავრობათა და პიროვნებათა საქმიანობას. მსოფლიო თავის მშიშარა და სულმდაბალ ეგოიზმში იხუთება. მსოფლიო სულს ღაფავს. მაშ, გავაღოთ ფანჯრები, შემოვუშვათ სუფთა ჰაერი, ვიგრძნოთ გმირების სუნთქვა“ (როლანი 2009: 4) (გ. გეგელიას თარგმანი). მოტანილი ფრაგმენტი ნათლად მეტყველებს, თუ რატომ დაინტერესდა გეგელია რომენ როლანის ამ ტექსტით. მისი, როგორ მთარგმნელის, სულს ალბათ ასევე ეხმიანებოდა რომანის პროტაგონისტის, ბეთჰოვენის სიტყვები: „მხოლოდ სიკეთეს მსახურებდე, სადაც კი ძალგიძს. ყველაზე მეტად შეიყვარე თავისუფლება და თვით მონარქის ტახტის წინაც არ მოიდრიკო, ჭეშმარიტებას არასოდეს არ უღალატო“ და ა.შ.

ფრანგულიდან უთარგმნია გიორგი გეგელიას რომენ როლანის რომანი „კოლა ბრონიონი“, რომელსაც წინ უძღვის მწერლის „გაფრთხილება მკითხველს“: „ეს წიგნი მიიღონ ისე, როგორიც არის, გულღია, მოურიდებელი... ეს არის უპოლიტიკო, უმეტაფიზიკო წიგნი, წიგნი „კარგ ფრანგულ ყაიდაზე“, რომელიც დასცინის ცხოვრებას“.

გეგელიას, როგორც მთარგმნელის, ოსტატობის საჩვენებლად მოვიხმობთ ფრაგმენტს „კოლა ბრონიონის“ პირველი თავიდან „მირქმის ტოროლა“: „იკურთხოს წმინდა მარტინი! საქმეები ჩახლართულია, არადა, ღირს წელის წყვეტა... ქვემოთ ცოლი ბუზღუნებს, გარეთ სუსხიანი ქარი ზუზუნებს და ომიც იმუქრება. დაე, იბობოქროს, ეჰ!“ (როლანი 1967: 4). უნდა ვივარაუდოთ, რომ შესაძლებელია, გიორგი გეგელიას არქივში სხვა უცნობი ტექსტებიც ინახებოდეს.

გიორგი გეგელია გარდაიცვალა 1972 წლის 7 თებერვალს.

დამოწმებანი:

ამირანაშვილი 1968: ამირანაშვილი, შ. *საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1968.

რიდი 2014: რიდი, მ. *ოცეოლა, სემენოლების ბელადი.* ინგლისურიდან თარგმნა პეტრე შარიამ. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2014.

როლანი 2009: როლანი, რ. *მიქელანჯელოს ცხოვრება. ბეთჰოვენის ცხოვრება.* მთარგმნელები: ნესტან იორდანიშვილი, გიორგი გეგელია. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009.

როლანი 1973: როლანი, რ. *კოლა ბრონიონი.* თარგმნეს გიორგი გეგელიამ და ნესტან იორდანიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1973.

შარია 1966: შარია, პ. *ეგზისტენციალიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიის კრიტიკული მიმოხილვა.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966.

შარია 1976: შარია, პ. *შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.

შარაძე 1998: შარაძე, გ. *ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა.* თბილისი: გამომცემლობა „სახალხო წიგნი“, 1998.

შარია 2018: შარია, პ. *რჩეული ნაწერები.* თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. 2018.

მანანა კვატაია

პეტრე შარია

მეცნიერი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, პარტიული მუშაკი – ასე ახასიათებენ თანამედროვენი პეტრე ათანასეს ძე შარიას, რომელმაც რთული, წინააღმდეგობრივი ცხოვრების გზა განვლო. იგი 1902 წელს გალის რაიონის სოფელ თაგილონში დაიბადა და ოთხწლედის დასრულების შემდეგ სწავლა ზუგდიდის სკოლაში გააგრძელა. 1919-1920 წლებში პეტრე შარია სოხუმის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში სწავლობდა, 1922-1924 წლებში – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1924-1926 წლებში – მოსკოვის კომუნისტური აღზრდის აკადემიაში, ბოლოს იქვე, ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ იმავე აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკის სექციის სწავლული მდივანი გახდა.

1931-1932 წლებში პეტრე შარია მუშაობდა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1932-1934 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, 1934-1936 წლებში – საქართველოს კომპარტიის თბილისის პროპაგანდისა და კულტურის განყოფილების გამგე, საიდანაც საქართველოს სსრ კომუნისტური

პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. 1938-1943 წლებში პეტრე შარია სსრკ შინაგან საქმეთა კომისარიატის ცენტრალურ აპარატში მუშაობდა. 1946 წელს იგი ფილოსოფიის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ.

1943-1948 წლებში პეტრე შარია საქართველოს სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იყო და აგიტაციისა და პროპაგანდის მიმართულებას ხელმძღვანელობდა. 1948-1952 წლებში ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორი გახლდათ. 1952 წლის 15 თებერვალს პეტრე შარია, როგორც ე.წ. მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, დააპატიმრეს. 1953 წლის მარტში იგი გაათავისუფლეს. იმავე წლის 10 აპრილს შარია რეაბილიტირებულ იქნა და დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის (ლავრენტი ბერიას) თანაშემწედ. 1953 წლის 27 ივლისს პეტრე შარია, როგორც ბერიას თანამოაზრე, ისევ დააპატიმრეს. 1954 წლის 28 სექტემბერს მას სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ 10 წლით პატიმრობა და 5 წლით საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა მიუსაჯა. მას ჩამოართვეს სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის წოდება და ჯილდოები. სასჯელი პატიმარმა ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ, ვლადიმირის ცენტრალის ციხეში მოიხადა, საიდანაც იგი 1963 წელს გაათავისუფლეს. პეტრე შარია ცხოვრობდა თბილისში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობდა. ის რეაბილიტირებულ იქნა 2012 წლის 14 აგვისტოს.

1966 წლიდან პეტრე შარია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თეორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გახდა, 1932 წელს მას პროფესორის წოდება, 1934 წელს – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. პეტრე შარიამ იცოდა ექვსი უცხო ენა: რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შარია, როგორც ბერიასა და სტალინის ნდობით აღჭურვილი პირი, პარიზში ამზადებდა ნიადაგს ქართველი ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებისათვის.

როგორც აღინიშნა, 1952 წელს პეტრე შარია დააპატიმრეს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია მისი სისხლის სამართლის საქმე (ფონდი №6, საარქივო №51295, ტ.2, ყუთი 163), სადაც გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“ ინახება დოკუმენტი დაპატიმრებული მ. ი. ბარამიასა და სხვა პირების მონაწილეობით ანტიპარტიული, ანტისახელმწიფოებრივი მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის საქმიანობის გამოძიების მიმდინარეობაზე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 1952 წლის 1 მარტის მონაცემებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ ანტიპარტიული, ანტისახელმწიფოებრივი მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის კუთვნილებისათვის დააპატიმრა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა: ბარამია მიხეილ ივანეს ძე – საქართველოს სსრ კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მეორე მდივანი; რაფავა ავქსენტი ნარიკის ძე – საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, დაპატიმრებამდე იუსტიციის მინისტრი; შარია პეტრე ათანასეს ძე – საქართველოს სსრ საკავშირო კპ (ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი – დაპატიმრებამდე თსუ პროფესორი; კარანაძე გრიგოლ თეოფილეს ძე – საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი; შონია ვლადიმერ იაკობის ძე – საქართველოს სსრ ყოფილი პროკურორი; რაფავა ივანე ნარიკის ძე – საქართველოს სსრ პროკურორის ყოფილი მოადგილე; ჭიჭინაძე კონსტანტინე გრიგოლის ძე – საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე; ჩაჩიბაია გიორგი დუტუს ძე – ზუგდიდის რაიკომის ყოფილი მდივანი; კვარაცხელია მიხეილ ვასილის ძე – წალენჯიხის რაიკომის ყოფილი მდივანი; სიორდია მიხეილ ალექსის ძე – ხობის რაიკომის ყოფილი მდივანი; ჭკადუა მარია გრიგოლის ასული – საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე და სხვა პირები.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში დაცული საარქივო დოკუმენტების მიხედვით, დაპატიმრებულმა პეტრე შარიამ „აღიარა“, რომ მეგრელი ნაციონალისტების საქმის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო და რაფავას მსგავსად სურდა, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ადამიანი გამხდარიყო.

1952 წლის 19 თებერვალს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსს, მაიორ კუციავას განუხილავს მასალები პეტრე ათანასეს ძე შარიას დანაშაულებრივ საქმიანობაზე (იხ. ფონდი №6, საარქივო №51295, ტ. 9, ყუთი 167) და გამოურკვევია, რომ შარია პეტრე ათანასეს ძე დაბადებულია 1902 წელს, არის აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის მკვიდრი, ქართველი, სსრკ მოქალაქე, სკკპ(ბ)-ს წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დოკუმენტში საუბარია პეტრე შარიას ანტიპარტიულ მოღვაწეობაზე, კერძოდ, აღნიშნულია, რომ იგი მეგრელი ნაციონალისტების ანტისაბჭოთა ჯგუფს მიემხრო, რომელსაც საქართველოს სსრ ცკ-ს ყოფილი მეორე მდივანი მ. ი. ბარამია მეთაურობდა. ერთ-ერთი მოწმის ინფორმაციით, 1924-1925 წლებში პეტრე შარიას ტროცკისტული განწყობილებები ჰქონდა შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხებზე. ზემოხსენებული ბრალდებებიდან გამომდინარე, მაიორ კუციავას პეტრე შარიას დაპატიმრებისა და ჩხრეკის დადგენილება გამოუტანია.

საქმეში ინახება ვრცელი დაკითხვის ოქმები, რომლებიც პირადად შარიას და მისი გარემოცვის საქმიანობის დეტალებს აზუსტებს. ვფიქრობთ, გამორჩეულად ღირებულია ქართული ეროვნული საგანძურის საქართველოში დაბრუნების ისტორიის ამსახველი მასალები, რომლებშიც კარგად ჩანს ამ საქმეში პეტრე შარიას როლი.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ექვთიმე თაყაიშვილის 1952 წლის 24 თებერვლის დაკითხვის ოქმი (იხ. გვ. 229), სადაც მოწმის სახით დაბარებული მეცნიერი ამ რთული პერიოდის დეტალებს იხსენებს. 1952 წლის 18 მარტის დაკითხვის ოქმში პეტრე შარია გამომძიებლებს დაწვრილებით მოუთხრობს, თუ რომელ პირებს შეხვდა პარიზში და რაზე ესაუბრა მათ. ბრალდებულის თქმით, ესენი იყვნენ: სპ. კედია, ა. მეუნარგია, გ. გეგელია, ს. ფირცხალავა, კ. კობახიძე და სხვები. იქვე შარია შენიშნავს, რომ ემიგრანტ თანამემამულეებს საქართველოს რესპუბლიკის მიღწევებზე ესაუბრებოდა. ამავე დროს, ბრალდებული იძულებულია, „აღიაროს“, რომ შეცდა, მათ გარემოცვას რომ მიენდო. გამომძიებლები განსაკუთრებით დაინტერესებულან,

ხვდებოდა თუ არა შარია საფრანგეთში ნოე ჟორდანიასა და ევგენი გეგეჭკორს.

პეტრე შარიასა და სხვა პირების სისხლის სამართლის საქმეებში დაცული საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ შალვა ამირანაშვილთან ერთად პარიზში ჩასული პეტრე შარია აქტიურად იღვწოდა ქართული საგანძურის სამშობლოში დასაბრუნებლად. დოკუმენტებიდან აშკარად იკვეთება ისიც, რომ ამ ფასდაუდებელი სიმდიდრის საქართველოში დაბრუნება მრავალ სიძნელეს უკავშირდებოდა. პროფესორი შალვა ამირანაშვილი, რომელიც ამ რთული ოდისეის ნიუანსებს აღწერს, მიუთითებს, რომ განძის სამშობლოში დაბრუნების თაობაზე ჯერ კიდევ 1923 წელს ექვთიმე თაყაიშვილისათვის წერილით მიუმართავს. ამირანაშვილს უთხოვია მისთვის, შეეტყობინებინა, თუ რა მდგომარეობაში იყო ეროვნული განძი. საპასუხო წერილში თაყაიშვილს აღუნიშნავს: „განძი კარგადაა დაცული და.. ახლო მომავალში ყველაფერი ქართველ ხალხს დაუბრუნდება“ (ამირანაშვილი 1968: 7). წლების შემდეგ, 1935 წლის 9 აპრილით დათარიღებული წერილით, რომელიც ე. თაყაიშვილს საქართველოს განათლების კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა უფროსის, ვ. ბერიძისათვის გამოუგზავნია ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი განძის დაბრუნებისათვის ქმედით თანადგომას ითხოვს, თუმცა, შ. ამირანაშვილის თქმით, „მიუხედავად მიღებული ზომებისა, საფრანგეთში წაღებული ქართული განძის დაბრუნება სამშობლოში არ მოხერხდა“ (ამირანაშვილი 1968: 10). მალე ინფორმაცია ქართული საგანძურის შესახებ გავრცელდა და ევროპისა და ამერიკის მუზეუმები მის შეძენას შეეცადნენ.

საქართველოდან გატანილი განძეულობის შესახებ არსებული დოკუმენტები ექვთიმე თაყაიშვილთან ინახებოდა. ისინი დაბეჭდილია გურამ შარაძის წიგნში „ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა“, რომელიც ე. თაყაიშვილს ეძღვნება (იხ. შარაძე 1998).

ნაცისტთა მიერ პარიზის აღების შემდეგ ქართულ ეროვნულ განძს კვლავ საფრთხე დაემუქრა. 1944 წლის 22 ოქტომბერს შალვა ამირანაშვილს ქართული საგანძურის დაბრუნების თაობაზე მოსკოვში ყოფნისას წერილით სტალინისათვის მი-

უმართავს, იმავე წლის 16 ნოემბერს მეცნიერი საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში გამოუძახებიათ და მოსკოვში დაუყოვნებლივ გამგზავრება უთხოვიათ. ამავე დროს, განძის საქართველოში დაბრუნებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება დაიდო სსრკ-სა და საფრანგეთის მთავრობებს შორის. როგორც ცნობილია, შალვა ამირანაშვილმა პეტრე შარიასთან ერთად შეძლო, საგანძური სამშობლოში დაებრუნებინა, თუმცა ამირანაშვილი თავის ნაშრომში გასაგები მიზეზების გამო შარიას სახელს ვერ ახსენებს.

1952 წლის 19 მარტის პეტრე შარიას დაკითხვის ოქმში საუბარია ბრალდებულის ურთიერთობაზე ქართველ რეემიგრანტებთან და აღნიშნულია, რომ შარია მათ სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც ეხმარებოდა. კერძოდ, მისი ხელშეწყობით სამსონ ფირცხალავას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაუწყია მუშაობა. მწერალი ინასარი (ნ. ინასარიძე) კი პეტრე შარიას გამომცემლობაში მოუწყვია (ნ. ინასარიძის შესახებ ოქმში მითითებულია, რომ იგი 1930 წლის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და საფრანგეთში არალეგალურად გაემგზავრა).

1952 წლის 2 აპრილის დაკითხვის ოქმში პეტრე შარიას აზუსტებინებენ, გადასცემდა თუ არა იგი რეემიგრანტებს საიდუმლო ინფორმაციას. აქვე აღნიშნულია, რომ ბრალდებულმა დაწერა მისტიკური განწყობილებების ანტისაბჭოთა წიგნი. ღიმილისმომგვრელია პეტრე შარიას „აღიარება“: 1945 წელს საფრანგეთში ყოფნისას ფუქსავატურად ვიქცეოდიო.

1952 წლის 16 აპრილის დაკითხვის ოქმი მეგრელ ნაციონალისტებთან პეტრე შარიას კავშირს ეხება, რაზეც ბრალდებული მიუგებს, რომ პარტიის მტერი არასოდეს ყოფილა, მაგრამ სათანადო პრინციპულობას ვერ იჩენდა, მინდობილ საქმეს უპასუხისმგებლოდ ეპყრობოდა. „თავს მეგრელ ნაციონალისტად არ მივიჩნევ, არანაირი მონაწილეობა მტრულ ნაციონალისტების ჯგუფებთან არ მქონია“, – განუცხადებია შარიას. მეტიც, მას უთქვამს, რომ ბარამიამ იგი სამსახურიდან გაათავისუფლა, ცკ-ს სხდომებზე კი რაფავას წინააღმდეგ გამოდიოდა.

სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების უფროსის ყოფილი მოადგილის ილია თავაძის 1952

წლის 19 მარტის დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ გამომძიებლები საფრანგეთში შარიას მიერ ჩადენილი დანაშაულობებით დაინტერესებულან. ილია თავაძე პასუხობს, რომ 1944 წლის ბოლოს პეტრე შარია საფრანგეთში ქართული განძის დასაბრუნებლად ჩავიდა, განძისა, რომელიც ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ საზღვარგარეთ გაიტანა. ამას გარდა, შარიას დავალებული ჰქონია, ქართული ემიგრაციის განწყობილებანი და მოღვაწეობა გაერკვია. ილია თავაძის თქმით, პეტრე შარია საფრანგეთიდან 1945 წლის თებერვალში თუ მარტში დაბრუნდა. რაც შეეხება მის "დანაშაულობებს", თავაძე მიუთითებს, რომ პეტრე შარია პარიზში ემიგრანტებთან ერთად რესტორნებში ქეიფობდა, მათ სასტუმროებში იღებდა, სახელმწიფო სახსრებს უყაირათოდ ხარჯავდა. აქვე მითითებულია, რომ შარია საჩუქრად ღვინოს უგზავნიდა ჟორდანიასა და გეგეჭკორს და ა.შ. ბრალდებულის „თანამეინახეთა" შორის ჩამოთვლილნი არიან: ჟორდანია, გეგეჭკორი, კობახიძე, მეუნარგია, გეგელია, ნიჟარაძე, თაყაიშვილი და სხვა პირები. ილია თავაძის თქმით, ეს ვიგინდარები მან მისივე დაარსებულ ანტისაბჭოთა განწყობილების გაზეთ „ქართულ საქმეში" შეიყვანა. აქვე საუბარია პარიზის ერთ-ერთ რესტორანში ჟორდანიასთან პოლიტიკურ თემებზე კამათის შემდეგ შარიას მიერ მოწყობილ სკანდალზე, რომლის შემდეგაც ჟორდანიასა და ნიჟარაძეს რესტორანი დაუტოვებიათ.

პეტრე შარიას წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოტანილი 1952 წლის 1 აპრილის დადგენილების მიხედვით, ბრალდებული სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში შემდგომი გამოძიებისათვის ეტაპით უნდა გაეგზავნათ. ერთ-ერთი საიდუმლო დოკუმენტის ინფორმაციით, 1952 წლის 4 აპრილს შარიას საქმე სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილისათვის მოსკოვში გადაუგზავნიათ. 1952 წლის 7 აპრილის სრულიად საიდუმლო დოკუმენტი გვაუწყებს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილეს მოსკოვში გაუგზავნია გეგელიას, მეუნარგიას, ნიჟარაძის დაკითხვის ოქმების ასლები. აქვე ამოვიკითხეთ ინფორმაცია ემიგრაციიდან საქართველოში დაბრუნებული მწერლის ნ. ინასარიძის ტრაგიკული

ხვედრის შესახებ: „ნ. გ. ინასარიძე ვერ დავკითხეთ, რადგან ქ. თბილისში ჩამოსვლისას მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა“, – წერს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ჩინოვნიკი.

ერთ-ერთი მოწმის, მარიამ ჭკადუას 1952 წლის 5 მაისის დაკითხვის ოქმში ხაზგასმულია სკკპ ცეკას მდივნობის პერიოდში პეტრე შარიას განსაკუთრებული თანადგომა მეგრელების – სერგი ჭილაიას (იმჟამად საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივნის), კონსტანტინე გამსახურდიას, სიმონ ჩიქოვანის, თსუ ლექტორის სერგი დანელიას მიმართ.

პეტრე შარიას ბიოგრაფიის რამდენიმე მომენტს იხსენებს მოწმე კონსტანტინე ჭიჭინაძე 1952 წლის 5 მაისის დაკითხვის ოქმში. მისი მითითებით, ბრალდებული 1938 წლის დასაწყისში მოსკოვში წავიდა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობდა. ომის ბოლო წლებში იგი თბილისში დაბრუნდა და საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩიეს. ამ პოსტს იგი 1949 წლამდე იკავებდა, ვიდრე არ მოხსნეს და ცკ-ს ბიუროს შემადგენლობიდან არ გამოიყვანეს.

გამომძიებელი მოწმე ჭიჭინაძეს სთხოვს, ამ პოსტიდან შარიას გათავისუფლების საკითხზე დაწვრილებით შეჩერდეს, რაზეც იგი პასუხობს, რომ პეტრე შარიამ დაწერა რელიგიურ-მისტიკური სულისკვეთების ლექსი, რომელიც ეძღვნებოდა მისი გარდაცვლილი შვილის ხსოვნას. რუსულ ენაზე დაწერილი პოემა „დაზმირი“ ავტორმა მოსკოვში 100 ეგზემპლარად დაბეჭდა, გაავრცელა და ამისათვის დაისაჯა კიდეც: პეტრე შარია ცენტრალური კომიტეტის მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. კონსტანტინე ჭიჭინაძის დახასიათებით, შარია „ძალზე უცნაური ადამიანია, ხშირად დაბნეულია“. ის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია და ფილოსოფიურ სტატიებს წერს. მოწმის თქმით, ბრალდებულს ცკ-ს ბიუროზეც წიგნები და ბროშურები მოჰქონდა და კითხულობდა. ბიუროს წევრების მოსაზრებებს ის ხშირად ეპასუხებოდა.

პეტრე შარიას პარიზული ვიზიტის დეტალებს აზუსტებს მოწმე გიორგი გეგელია, რომლის 1952 წლის 7 მაისის დაკითხვის

ოქმიდან ჩანს, რომ გეგელია შარიას პარიზში, სასტუმრო „ბრისტოლში“ საგანძურის დაბრუნებასთან დაკავშირებით თითქმის ყოველდღიურად ხვდებოდა. მოწმე იხსენებს ერთ მომენტს, როდესაც მან მოიპატიჟა ფრანგები, რომლებიც საფრანგეთში ქართულ განძს იცავდნენ.

ქართული საგანძურის დაბრუნებაზე საუბრობს მოწმის სახით გამოძახებული სამსონ ფირცხალავა 1952 წლის 3 მაისის დაკითხვის ოქმში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ ფირცხალავა შარიას 1945 წელს პარიზში შეხვდა, როდესაც პროფესორ ამირანაშვილთან ერთად ქართული სამუზეუმო განძეულობის დასაბრუნებლად ჩავიდა. ამას გარდა, სამსონ ფირცხალავა იხსენებს, რომ მან პეტრე შარიას სამსახურში მოწყობა სთხოვა და მისი ხელშეწყობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიბლიოთეკის გამგედ დაინიშნა. ფირცხალავას ასევე განუცხადებია, რომ პეტრე შარიას დახმარებით დაიბეჭდა მისი ბროშურა „ქართველების წინაპრები და მათი მონათესავე ტომები შუა აზიაში“, რომელიც თავდაპირველად საფრანგეთში გამოქვეყნდა. საქართველოში გამოცემული ბროშურის ერთი ეგზემპლარი ავტორს პეტრე შარიასათვის გადაუცია, მას კი ის აკადემიკოს ბერძენიშვილისათვის უჩვენებია, რომელსაც ნაშრომში ზოგი რამ გაუსწორებია. ეს შენიშვნები ს. ფირცხალავას წიგნის ხელახალი გამოცემისას გაუთვალისწინებია. „გამოცემისათვის მივიღე 8 თასი მანეთი“, – უთქვამს ასევე მოწმის სახით დაბარებულ სამსონ ფირცხალავას.

პეტრე შარიას სისხლის საქმეში დაცულ დაკითხვის ოქმებში ვრცლადაა მოთხრობილი ბრალდებულის ურთიერთობებზე ე. წ. მეგრელების ნაციონალისტურ დაჯგუფებასთან. პატიმარს განუცხადებია: ავქსენტი რაფავასთან და ბარამიასთან ანტიპარტიული ხასიათის ურთიერთობა მქონდა, სხვებთან – არაო. შარიას თქმით, ის პარიზში წასვლის წინ შეხვდა რაფავას – სახელმწიფო უშიშროების იმდროინდელ მინისტრს, რათა გაცნობოდა მასალებს ემიგრაციაზე. 1952 წლის 18 აგვისტოს პეტრე შარიას ვრცელ დაკითხვის ოქმში საუბარია ორ ყოფილ სამხედრო ტყვეზე – შავდიასა და მელაძეზე, რომლებიც შარიამ საქართველოში წამოიყვანა. ბრალდებული პასუხობს, რომ ეს პირები იცავდნენ თვითმფრინავს, რომელსაც ქართული საგანძური მოჰქონდა.

სხვა ოქმებში ჩამოთვლილია პეტრე შარიასთან განსაკუთრებით დაახლოებული პირები: ნ. ცხაკაია, შ. ხიდაშელი, ალ. ქუთელია, ლ. ებანოიძე, ს. დანელია, ნინო ჯავახიშვილი, ვენერა ურუშაძე, რომელიც აშშ-ში დაიბადა და გაიზარდა. აქვეა თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის, ახალგაზრდა ნინო ჟვანიას დაკითხვის ოქმები და სხვა მასალები. აღსანიშნავია, რომ პეტრე შარიას სისხლის სამართლის საქმეში ინახება მისადმი კონსტანტინე გამსახურდიასა და ექვთიმე თაყაიშვილის მიერ მიწერილი ორი უცნობი პირადი წერილის რუსულად ნათარგმნი ტექსტები და სხვ.

როგორც აღინიშნა, 1963 წელს პეტრე შარია პატიმრობიდან გაათავისუფლეს და გარდაცვალებამდე* სამეცნიერო და პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა. მის კალამს ეკუთვნის სტატიები, წიგნები, თარგმანები, რომელთაგან მისი, როგორც ფილოსოფოსის, აზროვნების სტილის დახასიათებისათვის აღსანიშნავია წიგნი „ეგზისტენციალიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიის კრიტიკული მიმოხილვა“ (შარია 1966). ნაშრომის შესავალში ავტორი შენიშნავს, რომ იმჟამად ეგზისტენციალიზმი ბურჟუაზიული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების ყველაზე „მოდური“ მიმართულება გახლდათ.

ნაშრომის პირველ თავში პეტრე შარია ეგზისტენციალიზმის ზოგადფილოსოფიურ ასპექტებს მიმოიხილავს და მის დადებით თუ უარყოფით ტენდენციებზე ჩერდება. საყურადღებოა მისი დასკვნა იმის თაობაზე, რომ ეგზისტენციალური ელემენტები შეიძლება თითქმის ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებაში აღმოვაჩინოთ. ამასთან, ავტორის აზრით, ყველა კომენტატორი აღნიშნავს ეგზისტენციალიზმის კავშირს ტრადიციულ ქრისტიანულ მოძღვრებასთან. მართალია, თავის წიგნში განხილულ პრობლემატიკას პეტრე შარია იმ დროს გაბატონებული მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან განიხილავს, მაგრამ ამავე დროს ავტორი უხვად მოიხმობს და მკითხველს აცნობს ჰეგელის, შოპენჰაუერის, სარტრის, ჰაიდეგერის და დასავლური სამყაროს სხვა მოაზროვნეთა შეხედულებებს.

პეტრე შარიას წიგნის მეორე ნაწილი ეგზისტენციალიზმისა და მხატვრული ლიტერატურის მიმართების საკითხებს ეძ-

* პეტრე შარია გარდაიცვალა 1979 წლის 25 აპრილს. დაკრძალულია თბილისში, ვერის სასაფლაოზე.

ღვნება. ავტორი ხაზს უსვამს ეგზისტენციალიზმის კიდევ ერთ თავისებურებას: მის სწრაფვას თავისი აზრების მხატვრული განსახიერებისაკენ. ამ თეზის დასტურად პეტრე შარიას წიგნში დამოწმებულია ფრანც კაფკას ნააზრევი და სხვა საინტერესო მასალები.

თავის ნაშრომში ავტორი ეგზისტენციალიზმის ესთეტიკურ პრინციპებსაც მიმოიხილავს, აანალიზებს მშვენიერების სარტრისეულ განმარტებას და სხვა კონცეპტუალურ ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ პარადიგმებზე მსჯელობს. პეტრე შარიას წიგნი „ეგზისტენციალიზმის ესთეტიკურ-ლიტერატურული თეორიის კრიტიკული მიმოხილვა“ ერთი მხრივ, ხარკს უხდის გაბატონებულ იდეოლოგიას, მეორე მხრივ, ავტორი მკითხველს დასავლური სააზროვნო სივრცის დისკურსის კარდინალურ მიმართულებებს აცნობს.

პეტრე შარიას, როგორც რუსთველოლოგის, შეხედულებებს გადმოსცემს 1976 წელს გამოქვეყნებული წიგნი „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი საკითხი“ (შარია 1976), რომლის ანოტაციაში მითითებულია, რომ ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს რუსთაველის მსოფლმხედველობის ირგვლივ არსებულ თეორიებს (ნეოპლატონიზმი, მანიქეიზმი, სუფიზმი, მაჰმადიანობა, პაგანიზმი, დეიზმი და სხვ.).

ნაშრომის შესავალში მითითებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი შინაარსის ახსნის სხვადასხვაობა პოემის კვლევის განსხვავებული მეთოდითაა განპირობებული. წიგნში პეტრე შარია რუსთაველის იდეურ-თემატურ ჩანაფიქრს იმ დროს გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკური პრინციპების საფუძველზე აანალიზებს. ამავე დროს, ვრცელ ოპუსში ავტორი ღირებულ კონცეპტებსაც წარმოადგენს, კერძოდ, პირველ თავში არგუმენტირებულად განიხილავს “ვეფხისტყაოსანს”, როგორც ქართულ ეროვნულ ეპოსს. აქ ის იმოწმებს ჰეგელის პოსტულატს, რომლის თანახმად, ხალხის ნაციონალური ცნობიერება ყველაზე უფრო მკაფიოდ ეპიკურ ნაწარმოებში ვლინდება.

ინფორმაციულია პეტრე შარიას წიგნის მეორე თავი „ძირითადი შეხედულებანი რუსთაველის მსოფლმხედველობაზე“,

რომელშიც განხილულია დიდი პოეტის ნეოპლატონიზმთან, მანიქეიზმთან, სუფიზმთან, ქრისტიანობასა და მაჰმადიანობასთან მიმართების საკითხები. კომუნისტური ეპოქისათვის თითქმის წარმოუდგენლად ჟღერს პეტრე შარიას ფრაზა: „ვეფხისტყაოსანი“ სუნთქავს ქრისტიანული სულისკვეთებით“ (შარია 1976: 49).

„ვეფხისტყაოსნისადმი“ წიგნის ავტორის არაორდინარულ მიმართებაზე მეტყველებს ნაშრომის შემდეგი თავები, რომლებშიც განხილულია ღმერთის ცნება „ვეფხისტყაოსანში“, „სოფლის“ და ღმერთის დაპირისპირება და ა.შ. აქვე დახასიათებულია რუსთაველი, როგორც ჰუმანისტი, გაანალიზებულია სიყვარულისა და მეგობრობის, კეთილისა და ბოროტის მიმართების, ქალთა საკითხები და სხვ. ავტორის ერუდიციის დამადასტურებელია მისეული პარალელები რუსთაველსა და ნიზამის, რუსთაველსა და კრეტიენ დე ტრუას, რუსთაველსა და ვოლფრამ ფონ ეშენბახს, რუსთაველსა და გოტფრიდ სტრასბურგელს შორის.

საყურადღებოა პეტრე შარიას რუსთველოლოგიური ოპუსის „ბოლოსიტყვა“, რომელშიც ავტორი მიუთითებს, რომ წარმოდგენილი წიგნი უაღრესად შემოკლებული ვარიანტია 1966 წლის გაზაფხულზე დამთავრებული მისი ვრცელი, 32 თაბახიანი მონოგრაფიისა „ვეფხისტყაოსანი, როგორც ქართული ნაციონალური ეპოსი“. იქვე მითითებულია, რომ ნაშრომის ტექსტი ავტორს გამოცემისათვის 10 თაბახამდე შეუმოკლებია*.

პეტრე შარიამ ინგლისურიდან თარგმნა მაინ რიდის რომანი „ოცეოლა, სემენოლების ბელადი“, რომელიც პირველად 1995 წელს გამოიცა. მეორედ, 2014 წელს, ეს წიგნი გამომცემლობა „ინტელექტმა“ დაბეჭდა.

მთარგმნელის ოსტატობის საჩვენებლად რომანის ერთ ადგილს დავიმოწმებთ. მაინ რიდის თხზულების პირველი თავი – „ყვავილების ქვეყანა“ – ფლორიდის მშვენიერ ადგილებს ამგვარად აღწერს: „შენი ტყეები ისევ უღრანია და ხელშეუხებელი. მწვანედ ბიბინებს შენი სავანეები. ისევ საამო სურნელება

* ზემოთ განხილულ მონოგრაფიაზე აკადემიკოსმა ალექსანდრე ბარამიძემ ვრცელი რეცენზია დაწერა (ჟ. „განთიადი“, 1977, №2), რომელშიც ხაზი გაუსვა პეტრე შარიას ფართო მეცნიერულ დიაპაზონსა და ერუდიციას.

ტრიალებს შენს – ანისულის, ფორთოხლის, ნუშისა და მაგნოლიის სურნელოვან წარაფებში. შენს ჭაობებში ცამდე აზიდულა უზარმაზარი კვიპაროსი, გოლიათი კედარი, ევკალიპტი და დაფნა. ვერცხლისფრად მბზინავ ქვიშიან ფერდობზე ისევ ირწევა ფიჭვი და წიწვიანი ტოტები ჩასწვნია პალმის ფოთლებს. რა არ ხარობს შენს კურთხეულ მიწაზე!“ (რიდი 2014: 5). პეტრე შარიას, როგორც მთარგმნელის, ნიჭი და პროფესიონალიზმი მაინ რიდის რომანის ქართულ თარგმანში აშკარად იკვეთება. ამას გარდა, მეცნიერს გერმანულიდან უთარგმნია კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკა“, იტალიურიდან – ჯორჯო ვაზარის „შემოქმედთა ცხოვრებანი“ (ეს თარგმანები არ დაბეჭდილა) (შარია 2018: 7).

პეტრე შარია კომუნისტური იდეოლოგიის ამსახველი შრომების ავტორიცაა, რომლებსაც იმ დროისათვის კონიუნქტურული დანიშნულება ჰქონდა. მისი ბიოგრაფიისა და ნააზრევის საფუძვლიანი გაცნობა და ანალიზი გასული საუკუნის წინააღმდეგობრივი, სასტიკი ეპოქის ენიგმის იდუმალ შრეებს ააშკარავებს.

პეტრე შარიას „რჩეული ნაწერები“ 2018 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გამოსცა (რედაქტორები გურამ ყორანაშვილი და ბეჟან ხორავა). წიგნში შეტანილია პეტრე შარიას ფილოსოფიური და რუსთველოლოგიური ნაშრომები, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია, ნაწილი კი პირველად იბეჭდება. სარედაქციო კოლეგიის შესავალ წერილში დახასიათებულია პეტრე შარია, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე. მის დამსახურებათა შორის აღნიშნულია შარიას როლი ქართული ეროვნული საგანძურის სამშობლოში დაბრუნების საქმეში, მისი დამსახურება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის გამოცემისათვის. საყურადღებოა პეტრე შარიას ღვაწლი 1937-1938 წლებში აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანაში (შარია ამ საკითხთან დაკავშირებული სპეციალური კომისიის თავმჯდომარე ყოფილა) და ა.შ. აქვე მოხსენიებულია მისი ლექსად დაწერილი მოგონება „აღსარება“, რომელშიც ავტორი მკითხველს იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე მოუთხრობს, რომელთა მონაწილეც თავად გახლდათ.

ფონდი №6, საარქივო № 51295, ტ. 9, ყუთი №167 (პეტრე შარიას საქმე). რუსულ ენაზე. მანქანაზე ნაბეჭდი

ექვთიმე თაყაიშვილის წერილი პეტრე შარიასადმი (თარგმანი ქართულიდან).

22.XI.46 წ.

დიდად პატივცემულო პეტრე!

დიდი ხანია, მსურს, სათანადო მადლიერება გადმოგცეთ წყალტუბოში ჩემი მშვიდობიანად მოწყობის გამო, მაგრამ ავადმყოფობამ ხელი შემიშალა.

თქვენი კეთილი რეკომენდაციით წყალტუბოს ხელისუფლებამ და სანატორიუმის დირექციამ კარგად მიმიღეს და უარს არაფერზე მეუბნებოდნენ, მაგრამ ბედმა მიმუხთლა.

პირველი აბაზანის შემდეგ ტემპერატურამ ამიწია და საშუალება არ მომცა, მკურნალობა გამეგრძელებინა. ექიმები ფიქრობდნენ, რომ ტემპერატურა დაეცემოდა, მმკურნალობდნენ, მაგრამ არაფერმა მიშველა. ორი კვირა ველოდი გამოჯანმრთელებას და შემდეგ თბილისში დავბრუნდი. ვფიქრობდი, აქ გამივლის-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორი თვე ვიწექი. ახლა ტემპერატურამ რამდენადმე იკლო, მაგრამ ზოგად სისუსტეს ვგრძნობ. სიარული არ შემიძლია, მაგრამ, რადგან მცირედ მოვმჯობინდი, ვჩქარობ, დიდი მადლობა გადაგიხადოთ წყალტუბოში მზრუნველობისათვის, თუმცა იქ მკურნალობა ვერ მოვახერხე.

დიდი სიამოვნება მივიღე, ეს კურორტი რომ ვიხილე. იქ პირველად 1918 წელს ვიყავი. მაშინ წყალტუბო სრულიად მოუწყობელი იყო. სულ 2-3 სახლი და 2 საერთო აუზი იყო, მეტი არაფერი. ახლა წყალტუბო სამოთხედ ქცეულა, აუგიათ შესანიშნავი სანატორიუმი და პარკები, სააბაზანოები, სასტუმროები და ყველაფერი გემოვნებით არის გაკეთებული. მეტად საოცარია, ასეთ მცირე დროში როგორ გაკეთდა ყველაფერი.

გზა ქუთაისიდან ისე მშვენიერია, თითქოს ბაღში მიდიხარ. მთელი ეს სურათი გულს ახარებს.

ახლა ნება მიბოძეთ, სხვა თემაზე გადავიდე და შევიტყო თქვენი აზრი.

ამ დღეებში მომიტანეს ნ. მ. ტოკარსკის წიგნი „ძველი სომხეთის არქიტექტურა“ – სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, ერევანი, 1945 წელი.

ვერიდები, კრიტიკული თვალსაზრისით განვიხილო სხვისი შრომები, მაგრამ ობიექტურად მივიჩნევ (----- – გამოტოვებულია ლათინური ფრაზის მთარგმნელის არყოლის გამო), ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ გამოცემასთან დაკავშირებით. აქ ტოკარსკი შირმაა სომეხი ნაციონალისტებისა, რომლებიც ქართული კულტურის, კერძოდ კი, ხუროთმოძღვრების წარმომავლობას სომხურად მიიჩნევენ. მათ მომხრეები უცხოელ მეცნიერთა შორის ჰყავთ. ავტორი არ აღიარებს აღდგენილ თარიღებს „მცხეთის ჯვართან“, წრომისთან და სხვა ეკლესიებთან მიმართებით. ის ვახტანგ ბერიძეს საყვედურობს, რომ იგი წერს ქართული ხუროთმოძღვრების სვანურ და ოსურ ხუროთმოძღვრებაზე გავლენაზე, რასაც მოტივად უყენებს იმას, რომ ეს ქვეყნები პოლიტიკურად საქართველოში შედიოდნენ. თუმცა ამაზე პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ასე გამოდის. ის წერს, რომ მხოლოდ ქართული გავლენა კი არ არის, სომხურ-ქართულია. ის უფრო სასტიკად ატარებს ამ იდეას, როდესაც ტაოს ძეგლებს ეხება. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ოსტატურად კეთდება, პასუხად „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ ჩემს სტატიაზე იმის შესახებ, თითქოს ტაოს ძველი ძეგლები მხოლოდ ქართული არ იყო, არამედ – სომხურ-ქართული. ის ჩემს სტატიას რომ იცნობს, იქიდან ჩანს, რომ ოშკის თარიღს ზუსტად ისე წერს, როგორც მე ამ სტატიაში ვწერდი. ჩემი წინამორბედები: ბროსე, ი. ჯავახიშვილი სულ სხვა აზრისანი იყვნენ. თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სომხები ლიგის მეშვეობით თურქებისაგან არდაგანის მიწების სრულად დაბრუნებას ითხოვენ. ჩემი სტატია ამას არ აღიარებს და ჩანს, სომეხ ნაციონალისტებს ეს არ მოეწონათ.

ის (ტოკარსკი – მ.კ.) ძალზე უცნაურად მსჯელობს დავით კურაპალატზე. გაერთიანებული საქართველოს ეს მესაძირკვლე, რომელმაც ბაგრატ III იშვილა, მან საქართველოს მტრად გამოიყვანა. როდესაც დავით კურაპალატის ლეგენდარულ ტახტზე აყვანას ეხება, ის ამბობს: მართალია, მან თავდაპირველად მთელი თავისი სამეფო თავის ნაშვილებ ბაგრატ III-ს უანდერძა, მაგრამ შემდეგ თემის (მამულის) მხოლოდ ის ნაწილი დაუტოვა, რომელიც სარგებლობისათვის ბიზანტიიდან მიითვისა და თავისი სამფლობელო ტაოც კი ბასილი II-ს უანდერძა

იმ მიზეზით, რომ დავითის სამფლობელოებში მცხოვრებნი უმეტესწილად სომხები იყვნენ, ქალკედონური რწმენით. ქართველების ძალაუფლების ტაო-კლარჯეთში განმტკიცების შემდეგ ძველ სომხურ პროვინციებში – ტაოში სომხები წრაფად გაქართველდნენ და, ეს პროცესი რომ შემწყდარიყო, თითქოს დავითმა გაქართველებული სომხები და ტაო იმპერატორ ბასილის უანდერძა.

აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ის (ტოკარსკი) არ აღიარებს ტბეთის და, საზოგადოდ, დავით კურაპალატის მიერ აშენებულ ამ დროის ნაგებობათა თარიღებს და მათ გადაკეთებას.

ჩემთვის ძნელია, ყოველივე ეს უყურადღებოდ დავტოვო და ამიტომ მსურს, სტატია მოვამზადო „ზარია ვოსტოკასათვის“, თუ ჯანმრთელობა არ მიმტყუნებს.

როგორ მირჩევთ, ახლანდელ პირობებში უხერხული ხომ არ იქნება?

ვიმედოვნებ, რომ მაცნობებთ თქვენს აზრს, რისთვისაც მადლობელი ვიქნები.

თქვენდამი ღრმა პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

P.S. ცუდ ხელწერაზე ბოდიშს გიხდით. წერა ავადმყოფობის გამო მიჭირს. ე.თ.

თარგმანი. 15. XI.52 წ.

ფონდი №6, საარქივო № 51295, ტ. 9, ყუთი 167, გვ. 321-328 (პეტრე შარიას საქმე). რუსულ ენაზე. მანქანაზე ნაბეჭდი. ასლი. გადათარგმნილია ქართული ენიდან.

კონსტანტინე გამსახურდიას გზავნილი პეტრე შარიასადმი.*

საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის მდივანს პეტრე შარიას პირადად

20. II.

ქ. თბილისი, 1946, 20-24.

ძვირფასო და დიდად პატივცემულო ამხანაგო პეტრე!

ჩემი ბედკრული ცხოვრების მოვლენებში თქვენ არაერთხელ მიგიღიათ მონაწილეობა, იმ დროსაც კი, როდესაც ზოგიერთ

* ვაქვეყნებთ შემოკლებით. წერილის კერძო ადგილები ამოღებულია.

ქართველ კომუნისტს ჩემთან მოსალმებისაც ეშინოდა. შესაძლებელია, ხშირად გაწუხებდით, თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ თქვენ ჩვენი კულტურის ხელმძღვანელი ბრძანდებით და მსურს, ქართველი მწერლის ტრაგედიის რომელიღაც მომენტებზე გიამბოთ.

ჩვენი პრესა დღემდე აგრძელებს ჩემს უსამართლო დაცინვას, თითქოს ინერციით (იხ. „ნიანგის“ უკანასკნელი ნომერი). გასულ წელს კი მათ ჩემი მისამართით ლანძღვის რეკორდი მოხსნეს.

იგივე პრესა თესავდა აზრს, თითქოს ეროტომანისტი, პორნოგრაფი ვარ და გარყვნილების პროპაგანდას ვეწევი.

ნუთუ დოსტოევსკი, „იდიოტს“ რომ წერდა, იდიოტიზმს ქადაგებდა? ბრწყინვალე ინგლისელი პოეტი სტივენსონი ხატავდა ბუნებით კრიმინალური დამნაშავეების, მკვლელებისა და ბანდიტების პორტრეტებს. ნუთუ ის ამით ბანდიტიზმს ქადაგებდა?

თუ ლიტერატურულ სამყაროში დავრჩი, დაწვრილებით აღვწერ, 1921-1944 წლებში ამის წყალობით როგორი ჯოჯოხეთური პირობები შემიქმნეს.

საბოლოო ჯამში ყველაფერი შემოტრიალდა და ისეთი რიკოშეტი გაიხსნა, რომელმაც ჩემი ოჯახიც დაანგრია და პირადი ცხოვრებაც.

პრესის ცუდი პროპაგანდა უკულტურო ადამიანებზე ბუნებრივად გავლენას ახდენს.

მსგავსი ცინიზმის მსხვერპლი ჩვენში ილია ჭავჭავაძე იყო, ალექსეი ტოლსტოი თეთრგვარდიელი გახლდათ, მაგრამ ეს მისთვის არავის შეუხსენებია..

...ამ საშინელ წუთებში, როდესაც ქუჩებში დავდიოდი, ფეხის აჩქარება მიხდებოდა, რათა ამგვარი რამ არ მომესმინა..

...ვცხოვრობ ჩემს სამუშაო ოთახში, სადაც ორი სკამისა და წიგნების მეტი არაფერი მაქვს. თუ ბინასაც ვიშოვი, თუნდაც ორსულიან ოჯახს ელემენტარული საგნები და სხვა რამეები სჭირდება.

თუ თქვენ შესაძლებლად მიიჩნევთ (თუ ახლა ჩემთან ვერ შეძლებთ დანტეს კომედიებისათვის ხელშეკრულების გაფორ-

მებას), „მთვარის მოტაცების“ ორი ტირაჟით (გამოცემის) ნებართვას, რომანი დასაბეჭდად უკვე მზადაა..

...საქალაქო აღმასკომმა წელს საბურთალოზე სამოსახლო ნაკვეთი გამომიყო... შემპირდნენ, რომ ახლო მომავალში ჩემს საბინაო საკითხს დაარეგულირებენ.

ჩემს მდგომარეობაში მე არ შემიძლია, არალეგალური ყიდვა-გაყიდვით დავკავდე, თორემ ჩემი და ჩემი ვაჟის მიერ დაკავებულ 3 ოთახიან ბინაში მივიღებდი 100600-ს და პატარა სახლს ავაშენებდი. თუ მთავრობა დაავალებდა „საქმშენს“, ან რომელიმე სხვა ორგანიზაციას, ამ ნაკვეთზე პატარა სახლი ამიშენონ, ჩემს ბინას ქალაქს ჩავაბარებდი, მე კი სასტუმროში ან რაიონში გადავსახლდები, სანამ სახლს არ ააშენებენ.

...ბოლოს პირადად თქვენ გთხოვდით: მთელი ზაფხული არ დამისვენია, ავად ვარ და არ მეცალა, რომ მემკურნალა. თითქმის ყოველდღე სტამბაში დავდიოდი, დაკავებული ვიყავი „მთვარის მოტაცების“ კორექტურით და გამოცემით. როგორც რედაქტორის, ისე მთავლიტის ყოველი შესწორება, ჩემი აზრით, არასწორი იყო და გავასწორე. სანამ წიგნს სტამბას გადავცემდი, ამოვიღე მთელი რიგი პასაჟები, შევცვალე, ზოგი ახლად დავწერე. ამ დღეებში ბეჭდვა უნდა დაეწყოთ, მაგრამ ჩვენში მიღებულია: თუ რუს მწერლებს შორის გაუგებრობა ჩნდება, ჩვენც გვიტევენ..

იმედი მაქვს, პირადად ჩაერევით ამ საქმეში და ნებას დამრთავთ, წიგნის ბეჭდვა დაიწყონ.

ბოდიშს გიხდით, ამდენხანს რომ მოგაცდინეთ.

ყოველთვის თქვენი,
კონსტანტინე გამსახურდია.

თარგმანი. 15.XI.52.

გიგლა ბერბიჭაშვილის საქმე

ზოია ცხადაია

გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილის საქმე

მეოცე ასწლეული საუკუნის უმძიმესი ტრაგედიით დაიწყო საქართველოს ისტორიაში. „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი“, – გალაკტიონ ტაბიძის ამ პოეტურ შეფასებაში სრულიად გასაგებად ითქვა, ვინ იყო ილია ჭავჭავაძე ქართველი ერისათვის, ვინ და რა დაკარგა მისი სახით ქვეყანამ. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე, 1907 წლის 30 აგვისტო, წიწამურის ტრაგედიის სახელით დარჩა საზოგადოების ცნობიერებაში. 1908 წლის 28-29 ნოემბერს კავკასიის საოლქო სასამართლომ ილიას მკვლელებს: თედო ლაბაურს, გიგოლა მოძღვრიშვილს და გიორგი ხიზანიშვილს ჩამოხრჩობა მიუსაჯა (დანარჩენი მკვლელები – გიგლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური) და ივანე ინაშვილი იმალებოდნენ). ისინი დამნაშავედ ცნეს ილია ჭავჭავაძის და მისი მსახურის, იაკობ ბითარიშვილის მკვლელობაში და კნეინა ოლღა ჭავჭავაძის მოკვლის განზრახვაში.

გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართლო პროცესი. მოწმე ყარამან ფაღავა.

ამასთან დაკავშირებით 1908 წლის 13 დეკემბრის (№22) გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა „ილია ჭავჭავაძის ქვრივის თხოვნა თბილისის გენერალ-გუბერნატორისდამი“, რომელშიც ოლღა ჭავჭავაძე წერდა (ნაწყვეტები): „სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვის და მთელი საქართველოსთვის ძვირფას ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სუ-

გიგლა ბერბიჭაშვილი

ლიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს დღეს, რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ, გზადაბნეულ ძმებად მიიჩნევდა... ... ამჟამად თქვენგანაა დამოკიდებული, მოიქცეთ ისე, რომ სიცოცხლის აღსასრულის ჟამს ვიგრძენო უმაღლესი ნეტარება, რომელსაც ადამიანის სულს ძალუძს მიაღწიოს ამ წუთისოფელში, შეერთება ღმერთთან, რომელიც განიცადა ქრისტემ, როცა ჯვარზე გართხმული, სიკვდილის ჟამს, ღვთიურ სიყვარულის შუქით განათებული, ევედრებოდა შემოქმედს შენდობას იმის მტრებისას, რამეთუ „არ იციან რასა იქმან!“

„ოლღა ჭავჭავაძის თხოვნამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ – რუსეთში და საზღვარგარეთ“, – წერს გურამ შარაძე (შარაძე 1990: 391). ამ ფაქტით, გარდა ქართველი მოღვაწეებისა, აღფრთოვანებას გამოხატავდნენ ლევ ტოლსტოი, მარჯორი უორდროპი, რუსეთის გამოჩენილი სამართალმცოდნე პროფ. ნ. ტაგანცევი და სხვ.*

ოლღა ჭავჭავაძის ამ თხოვნის გამოქვეყნების დღეს, 13 დეკემბერს, პოლიციამ დააპატიმრა ილიას მკვლელობის აქტიური მონაწილე, საგურამოს ყოფილი მამასახლისი ივანე ინაშვილი (ამ ფაქტს გამოეხმაურა გაზ. „დროება“, 16.XII. 1908, №24, გვ. 3), ხოლო 17 დეკემბერს პოლიციელებმა დევნის დროს ორმხრივი სროლისას მოკლეს პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), რომე-

* დაინტერესებულ მკითხველს გ. შარაძის წიგნში („ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება, 1990, გამ. „ხელოვნება“, გვ. 405) შეუძლია წაიკითხოს ოლღა ჭავჭავაძის წერილი მარჯორი ურდროპისადმი, როგორც ამ ისტორიის ალტერნატიული ვერსია.

ლიც 1908 წლის მაისში მეტეხის ციხიდან გაიქცა. ამ ფაქტსაც გაზ. „დროება“ გამოეხმაურა (19.XII. 1908, №27, გვ. 3).

ილიას მკვლელების ჩამოხრჩობა, როგორც ირკვევა, მაშინვე არ აღასრულეს და ივანე ინაშვილის საქმეც მათ შეუერთეს. საბოლოოდ, ოლღა ჭავჭავაძის თხოვნა არ გაითვალისწინეს და 1909 წლის 10-11 აგვისტოს მეორედ შედგა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლო, რომელმაც ივანე ინაშვილს, გიორგი ხიზანიშვილს და თედო ლაბაურს სიკვდილით დასჯის – ჩამოხრჩობის – განაჩენი გამოუტანა (გიგოლა მოძღვრიშვილი კი მანამდე ციხეში გარდაიცვალა); 1909 წლის 21 აგვისტოს, დილის 5 საათზე, თბილისის საგუბერნიო საპატიმროს ეზოში კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს 11 აგვისტოს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი: ილია ჭავჭავაძის მკვლელები – ივანე ინაშვილი, თედო ლაბაური და გიორგი ხიზანიშვილი ჩამოახრჩვეს (ამ ფაქტს იუწყებოდა გაზ. „დროება“, 22.VIII. 1909, №186; „ჩანგი“, 22.VIII. 1909, №41 და სხვ).

თედო ლაბაური

გაზ. „ისარი“ (1908, 10.II, №38, გვ. 2) იუწყება, რომ დაპატიმრებულ ფშავლიშვილს (ციხიდან გაქცევამდე) განუცხადებია: „ჩემთან მოვიდნენ ბერბიჭაშვილი, ვანო ინაშვილი, ვიღაც ერთი იმერელი და მითხრეს, წამოგვყევი ჭავჭავაძის მოსაკლავად საგურამოშიო... დამემუქრნენ მოგკლავთო, დავთანხმდი...“

„29 აგვისტოს საგურამოში ჩამოდის **ვიღაც იმერელი**. ბერბიჭაშვილი, ინაშვილი და ფშავლიშვილი სოფ. წიწამურში ვინმე გიორგი ხიზანიშვილს მიადგებიან და განუცხადებენ: „სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა, მოიკლას ილია ჭავჭავაძე იმისათვის, რომ იგი გლეხებს ავიწროვებსო. წიწამურში მათ დაჰყვეს მთელი ღამე“ (გაზ. „დროება“, 1908 წ., №11, 12).

„ვინმე იმერელის“ გარშემო ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. „სერგო ორჯონიკიძეს აიგივებენ ილიას მკვლელობაში მო-

პავლე ფშავლიშვილი

ნაწილე „ვინმე იმერელთან... ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალაც ამ ვერსიას უჭერს მხარს“, – წერდა გ. შარაძე (შარაძე 1990: 403) და ასახელებდა მკვლევრებს (ვ. გურგენიძე, ალ. სიგუა), რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით ვარაუდს გამოთქვამდნენ. ალექსანდრე შუშუნაშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელები“ (გამ. „მერანი“, 1996) „ერთი იმერელის“ თავსატეხი და, ალბათ, სამუდამო საიდუმლობად დარჩენილი მითი თუ სინამდვილე ასეა წარმოდგენილი: „მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო „ვიღაცა იმერელი“? რაში დასჭირდა პოლიციას, რომ ეს დაუდგენელი პიროვნება გამოაჩინა და კიდევ ერთი თავსატეხი გაიჩინა? ამ კითხვაზე გადაჭრით პასუხის თქმა ძნელია. ერთი გარემოება კი იქცევს ყურადღებას. იმ ხანებში მცხეთის შემოგარენში დათარეშობდა ვანო იმერლიშვილის ბანდა. იგი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მიმალვაში მყოფ მონაწილეებთანაც იყო დაკავშირებული და პოლიციამ ის და პავლე ფშავლიშვილი ერთად დახოცა შეტაკების დროს, რის შემდეგ „ვიღაცა იმერელისადმი“ პოლიციის ინტერესიც მინელდა. ხომ არ აპირებდნენ იმ იმერლიშვილისათვის ილიას მკვლელობაში შარის მოდებას და იმიტომ ამოატივტივეს „ვიღაცა იმერელი“ და არც ილიას მკვლელებს დაუსახელებიათ ასეთი პიროვნება“ (შუშანაშვილი 1996: 44). სწორედ ეს ბოლო ფრაზაა განსაკუთრებით საგულისხმო. გიგლა ბერბიჭაშვილის საქმის გაცნობიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ის (და არც სხვები) არ ასახელებენ ასეთ ვინმეს. ყაჩაღ იმერლიშვილის, როგორც „ვიღაც იმერელთან“ იდენტობის ახალ ვერსიას გვთავაზობს ნოდარ გრიგალაშვილი წიგნში „თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა)“. ნოდარ გრიგალაშვილის ამ საკითხთან დაკავშირებით

გამოტანილი დასკვნიდან მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით: „ვფიქრობ, 100 წლის შემდეგ „უცნობი იმერლის“ გაშიფრვა არა მტკიცებით ფორმაში, მაგრამ ვერსიით დონეზე შესაძლებელია“ (გრიგალაშვილი 2011: 498), ვერსია კი ბევრს აქვს, მაგრამ მტკიცე პასუხი – არავის.

ამ „ბევრი ვერსიიდან“ გვინდა მკითხველს შევთავაზოთ ერთ-ერთი, რომელიც საზიაროა ნოდარ გრიგალაშვილის ვერსიასთან, ესაა ვერსია თენგიზ სიმაშვილისა, რომლის აზრით, „ვიღაც იმერელი“ უნდა იყოს ილიკო იმერლიშვილი, „ცნობილი სოციალ-დემოკრატი, ბოლშვიკი-ტერორისტი, დუშეთის მაზრაში მოქმედი სოციალ-დემოკრატების მცხეთის „წითელი რაზმის“ მეთაური. ილია ჭავჭავაძის მოსაკლავად განხორციელებული ტერორისტული აქტის მთავარი ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და ილიას ფიზიკური მკვლელობის უშუალო მონაწილე... ამ საკითხის ირგვლივ ჩემი და ბატონი ნოდარ გრიგალაშვილის წინამორბედ მკვლევარებს არაფერი აქვთ ნათქვამი. გამონაკლისს წარმოადგენს ცნობილი იურისტი და მწერალი ალექსანდრე შუშანაშვილი... იგი ერთგან ახსენებს იმერლიშვილს და ისიც სულ სხვა სახელით. ის იყენებს ილიას მკვლელობის საქმეში არსებულ ინფორმაციას. ბატონი ალექსანდრე შუშანაშვილის წიგნში არსად არ არის საუბარი და განხილული ილიკო იმერლიშვილის მონაწილეობაზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. დასკვნა, რომ ილიკო იმერლიშვილი ილიას მკვლელობის მონაწილე იყო, მე და ბატონმა ნოდარ გრიგალაშვილმა სხვა მკვლევარებისგან სრულიად დამოუკიდებლად გამოვიკვლიეთ“. თენგიზ სიმაშვილი თავისი მოსაზრების გასამყარებლად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გიგლა ბერბიჭაშვილი და ილიკო იმერლიშვილი, ორივე მონაწილეობდა თბილისში, 1905 წლის ნოემბერში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ განხორციელებულ სომეხ-თათრების შეტაკების თავიდან ასაცილებელ ღონისძიებაში (სიმაშვილი 2011: 3, 4; 161).

დიმიტრი ჯაში (ილიას მოურავი), ილიას მკვლელობის ორგანიზაციაში ეჭვმიტანილი, დააპატიმრეს 1907 წლის 13 სექტემბერს და 16 დეკემბერს გაათავისუფლეს სამხილების უქონლობის გამო. სასამართლოზე იგი მხოლოდ მოწმედ იყო მიწვეული. 1911 წელს იგი ადმინისტრაციული წესით დაუპატიმრებიათ და

სამი წელი მიუსჯიათ. 17 თვე მჯდარა. მოგვიანებით, 1917 წელს, იგი კვლავ დააპატიმრეს, ოხრანკის აგენტობა დასდეს ბრალად, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როგორც ჩანს, მტკიცებულებების არარსებობის გამო გაათავისუფლეს (შარაძე 1990: 402).

დ. ჯაშის შესახებ ვრცელი მსჯელობის შემდეგ ა. შუშანაშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს: „საქმის მასალების მიხედვით დიმიტრი ჯაში ანგელოზად არ გამოიყურება. იგი რთული კაცი იყო და მისი ცხოვრების გზა ფათერაკებით იყო აღსავსე. მისი პიროვნებით არც ილია ჭავჭავაძე იყო დიდად კმაყოფილი, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და სხვა საკითხი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, საქმის მასალებით ეს უდავოდ ჩანს“ (შუშანაშვილი 1996: 36). მკვლელობის უშუალო მონაწილედ ის, მართლაც, არ ჩანს, მაგრამ ილიას მოკვლის ინსპირატორი, გლეხების და გლეხთა წიაღიდან გამოსული ყაჩაღების წამქეზებელი კი ნამდვილად იყო. ილიას მკვლელობის დღეს მას ალიბი ჰქონდა – „იქ არ იყო“ – და პლატესავით დაიბანა ხელი.

ილია ჭავჭავაძე

წინამურის ტრაგედიის პირველსავე დღეებში გაჩნდა ეჭვი, რომ ილიას მკვლელობაში სოციალ-დემოკრატების ხელი ერია. 1907 წლის 10 ოქტომბერს, ცხელ გულზე, ილია ჭავჭავაძის დიდი გულშემატკივარი, მისი ერთგული თანამებრძოლი, გამოჩენილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ფედერალისტური პარტიის წევრი სამსონ ფირცხალავა* „სიტყვა-ს“ ფსევდონიმით

* ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი სამსონ ფირცხალავა (1872-1952), საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, ბოლშევიკებმა დააპატიმრეს 1922 წელს

გაზ. „ისარში“ (221) აქვეყნებს წერილს „ვინ მოჰკლა ილია“. სრული ტექსტი ვრცელია. ყველაზე მტკივნეული ავტორისთვის პეტერბურგში 1907 წლის 10 ოქტომბერს ჩატარებული ქართველი სტუდენტების კრების ფაქტია... კრების დამსწრე 72 სტუდენტიდან 45-ს მიუცია ხმა პეტერბურგიდან სამძიმრის დეპეშის გამოგზავნისთვის, 2 აშკარად წინ აღდგომია, 39 გაჩუმებულა: „ჯერ უნდა ვითათბიროთ და მერე გადავწყვიტოთ, ღირსია თუ არა ილიას სიკვდილი იმისა, რომ მწუხარება გამოვსთქვათ... დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კრებამ მიიღო დეპეშა და დაადასტურა მისი შინაარსი. ყველა ეს ორმოცდაერთი სტუდენტი, „ღრმად ჩახედული ცხოვრებაში“, ყველა იმ მოძღვრების მიმდევარია, რომელსაც სოციალ-დემოკრატიულს ეძახიან, იმ ორდენის წევრები არიან, რომელიც გონებას უხშობს ადამიანს. მათ მოინდომეს ილიას სახელის შებღალვა, გამოვიდნენ მის ბრალმდებლად, უნდა მოიწონონ ასეთი მამულიშვილის მოკვლა, რომლითაც იამაყებდა ყოველი განათლებული ქვეყანა“... ამასთან დაკავშირებით წერს გურამ შარაძე: „ჩვენ საშუალება მოგვეცა დაგვეზუსტებინა აღნიშნული კრების ზოგიერთი მონაწილის ვინაობა. ცნობილი ეროვნული მოღვაწე რევაზ გაბაშვილი, რომელიც მაშინ პეტერბურგში სწავლობდა და დასწრებია ამ კრებას, მოგვითხრობს: „თოფვითი გავარდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი და აღაშფოთა სტუდენტობა. მახსოვს ყრილობაზედ კინაღამ გავგლიჯეთ ვალიკო ჯუღელი, მაშინვე ბოლშევიკი, რომელმაც ცინიკურად განაცხადა: „лес рубят – щепки летят“, რასაც იმეორებდა ყველა მენშევიკი“ (შარაძე 1990: 404-405). გურამ შარაძე აქვე ასკვნის: „ამ პოზიციას თუ მაშინ ბოლშევიკი ვალიკო ჯუღელი ადგა – მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო გვარდიის მთავარსარდალი და 1924 წლის აჯანყების გმირი – ადვილი წარმოსადგენია, რა თვალსაზრისზე იდგებოდნენ ორთოდოქსი სოციალ-დემოკრატები“...

(იანვარში), სექტემბერში კი აიძულეს, წასულიყო ემიგრაციაში, საფრანგეთში; 1948 წელს ის მოტყუებით დააბრუნეს ემიგრაციიდან, 1951 წელს დააპატიმრეს. 1952 წლის 5 ივლისს სამხედრო ტრიბუნალმა მას 25 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გარდაიცვალა ციხეში, 1952 წლის 25 ივლისს.

აქვე გავიხსენებთ ნოე ჟორდანიას ცნობილ წერილსაც ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით „ბნელი ძალები“ (გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ., №28, 9 ოქტომბერი, გვ. 2), რომელშიც ავტორი ცდილობს, ილიას დამსახურებაზეც ილაპარაკოს და საბოლოოდ დაასკვნას: „საქართველოს ბნელმა ძალებმა... თავის პარტიული და კლასიკური ანგარიშის გასასწორებლად არ დაინდეს განსვენებული ილია ჭავჭავაძის ცხედარი და მის გარშემო გამართეს საზიზღარი განგაში... ეს დიდებული გლოვაა. ეს იშვიათი სანახაობაა, მარა ჩვენში ფედერალისტებმა და მათმა ამყოლ-დამყოლებმა ეს ერთიანათ შერყვნეს, ფეხქვეშ გათელეს, ილიას ცხედარი თავის საპოლემიკო იარაღათ გაიხადეს... რით დაასაბუთეს ფედერალისტებმა ეს თავისი ასეთი ზნეობრივი დაცემა? რა ბრალდება წამოაყენეს სოციალ-დეოკრატიის წინააღმდეგ?. აი, რას წერს „ისარი“: „სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენში ცხოვრებამ შეჰქმნა ატმოსფერა, სადაც ასეთ ბოროტებათ ადგილი აქვს და მარჯვე ნიადაგი აქვს მომზადებული... ვთქვათ, ყველა ეს მართალია, ვთქვათ, სოციალ-დემოკრატების მიერ მომზადებულ ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა. მერე ამისთვის დასაგმობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველ ხალხმა განიცადა და დღე მუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, ასეული ახალი ისტორიით და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტიც ცვივა. რვოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლაუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“...

როცა ასე თუ ისე განათლებულ ახალგარდებზე იქონია გავ-ლენა ზოგი პოლიტიკური მოღვაწის შეხედულებებმა, ადვილად წარმოსადგენია, უვიც ავაზაკებზე როგორ იმოქმედებდა ილია ჭავჭავაძის მიმართ გამოთქმული პასკვილები, უმსგავსო კრი-ტიკა, განსაკუთრებით ფილიპე მახარაძის ცნობილი წერილები გაზ. „მოგზაურში“*.

მკითხველს შევახსენებთ ფრაგმენტებს ფილიპე მახარაძის წერილიდან „თავის გამართლებაც ასეთი უნდა“ (პასუხათ ილია

* 1905 წ. ფილიპე მახარაძე პარტ-პოლიტ. პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა 1905-07 წლებში (ქსე 1984: 517).

ჭავჭავაძეს). იგი უპასუხებს ილიას წერილს, რომელიც „ივერიას“ დაუსტამბავს: „მტერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის თავს უქნა... ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, – ამაზე ითქმის... ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს... არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „ივერიის“ 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ ჩვენ იმ ჭავჭავაძესთან გვაქვს საქმე, რომელიც სინამდვილეში არსებობს: აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზათ არის იარაღით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები... ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება... ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობელათ მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა... თავადი ჭავჭავაძე კერძო საკუთრების მოტრფიალეა (მახარაძე 1905: 1, 2).

ფილიპე მახარაძის ამ წერილს „უკვდავი ბოროტება“ უწოდა და ამ სათაურით გამოაქვეყნა „სახალხო გაზეთში“ (12.V.1913 წ.) გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ქართველი სამოციანელების ღირსეულმა თანამებრძოლმა, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა*; „თუ რა „იდეურ“ ბრძოლას ეწეოდა ფილიპე მახარაძე და რა ჭეშმარიტებით იყო „აღჭურვილი“, ამას ახლავე დაგანახვებთ. ამისათვის საჭიროა სიტყვასიტყვით ამოვწერო ადგილები მაშინდელ „მოგზაურობიდან“ და ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, რომ იძულებული ვხვდები მის ფაქიზ გრძნობასა და ბრწყინვალე ილიას სახელს შუა ფ. მახარაძის შავი აჩრდილი გავატაროთ ერთის წუთით“. ფ.გოგიჩაიშვილი ჩამოთვლის ცალკეულ პუნქტებად ფ. მახარაძის გამონათქვამებს ილიაზე და თითოეულს დაურთავს ავტორისეულ

* წერილი უცვლელად დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (1988, 18 აგვისტო, გვ. 5-6).

განმარტებებს. მოგვყავს მხოლოდ ეპითეტების სახით გამონათქვამები ილიაზე, ვრცელი განმარტებების გარეშე: „ვაგლახი იდეოლოგი და გათახსირებული მწერალი“; „ბურჟუა“; „პასუხისმგებელი სოციალური უთანასწორობისათვის“; „ადამიანი, რომელსაც კაცური კაცის სახელი ვერ ეწოდებოდა“; „კაცი, რომელიც საკუთარი ნათლობის სახელით მოხსენიების ღირსიც არ იყო“, „უზრდელი“, „ოინბაზი“, „მაბეზღარი და ჯაშუში“, „ურცხვი და საზიზღარი“; „ზნეობრივად მახინჯი“; „უსინდისო და მესაკუთრე“; “თვითნება“; „ავაზაკი“; „უსასტიკესი ადამიანი, რომელიც მოთხრობების მასალის მოსაპოვებლად სტანჯავდა გლეხებს“; „შეუნდობელი დამნაშავე“.

და ამის შემდეგ, – წერს ფილიპე გოგიჩაიშვილი, – ეს მიწის დამამაძიმებელი ჰეროსტატე კიდევ ჰბედავს ჩვენსკენ სიბინძურე გადმოისროლოს! რად არ დაიცავითო. ვერ დავიცავით! ეს ჩვენი სიგლახე და დანაშაული არის. მაგრამ ამით შენ რა, უკვდავო ბოროტებავ“; – მიმართავს იგი წერილის ადრესატს ფილიპე მახარაძეს.

ფილიპე მახარაძეს სიცოცხლის ბოლომდე არ ასვენებდა ილია ჭავჭავაძისადმი ბოღმა და სიძულვილი. 1931 წლის 27 ოქტომბერს გაზ. „კომუნისტში“ (გვ. 3) იგი აქვეყნებს წერილს „მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „ილია იყო წარჩინებული თავადის შვილი მემამულე და გლეხების მებატონე. იგი იყო მუშების და გლეხების ექსპლოატატორი. როგორც მწერალ-რეაქციონერი მემამულეების ინტერესის უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“... იქვე (გვ. 3) ფ. მახარაძე ედავება ბ. ბუაჩიძეს: „ამხანაგი ბუჩიძე აკეთებს ფედერალისტთა საქმეს. სახელს უკეთებს და ავტორიტეტს უქმნის ქართულ ლიტერატურაში რეაქციონერ მწერლებს და უწინარეს ყოვლისა, იმათ ბურჯსა და მებაირახტრეს ი. ჭავჭავაძეს“... ეს წერილი მთლიანად წამძღვარებული აქვს წიგნს „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“*. წიგნის მე-6 გვერდზე იგი აკრიტიკებს კ. კაპანელსა და ვ. კოტეტიშვილს: „კ. კაპანელის აზრით, ი. ჭავჭავაძე თურმე ყოფილა ქართულ ლიტერატურაში

* დ. ბენაშვილის, შ. შავგულიძის, ფრ. ნაროუშვილის და პ. ქიქოძის წერილები, 1931 წ. ტფილისი, “სახელმწიფო გამომცემლობა”.

ჭეშმარიტი ღაღადება თავისუფლებისა, ადამიანობისა, შრომის პატივისცემისა, რევოლუციისა და სოციალიზმისა... ...ვახტანგ კოტეტიშვილი, გათამამებული კაპანელის მაგალითით, მიდის იქამდის, რომ აცხადებს: „ჩვენი თერგდალეულები სოციალისტებიც იყვნენო“...

ასეთი ბოღმა და შხამი ინთხეოდა ილიას სახელის გარშემო მის მკვლელობამდე და შემდეგაც. ამიტომაც არ გასჭირვებია მის უშუალო მკვლელს, მკვლელობის შემსრულებელს, გიგლა ბერბიჭაშვილს, მიმალვა და გაქცევა. საქართველოში დაბრუნებული უზრუნველყვეს სხვადასხვა საჯარო სამსახურით, პერსონალური პენსიით, რომლის გაზრდასაც ყოველ წელიწადნახევარში ითხოვდა და იღებდა კიდეც ყოველ ჯერზე თითქმის გაორმაგებულს.

გიგლა ბერბიჭაშვილი ილიას მკვლელობიდან მხოლოდ სამი ათეული წლის შემდეგ წარდგა სასამართლოს წინაშე.

საქმე №683
ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე
მწერალ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

ფონდი №6, საარქივო №41890

გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ბრალდებით დააპატიმრეს 1941 წლის 24 მაისს. საქმეში დევს ბერბიჭაშვილის დაკითხვის ოქმი, დათარიღებული 1940 წ. 9.X, როცა ის ჯერ კიდევ არ არის დაპატიმრებული. დაკითხვის ოქმის ფურცლებს ეტყობა, რომ ისინი ამოხეულია სხვა საქმიდან და ჩაკერებულია 1941 წლის 24 მაისის საქმეში, ანუ მაშინ, როცა ბერბიჭაშვილი დააპატიმრეს.

1940 წლის 9 ოქტომბერი, საარქივო №41890, ფ. 22

გ. ბერბიჭაშვილი გამოძიებას უყვება, რომ 1905 წლიდან არის პარტიის წევრი, პარტიაში მიიღო დუშეთის პარტორგანიზაციამ... მაშინ მას ერქვა მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბოლშევიკები და მენშევიკები ცალ-ცალკე დაყოფილი არ იყვნენ.

კითხვაზე, ვის მხარეს იყავითო, უპასუხებს: მაშინ ყველა ვიყავით ერთად, ერთ მუშათა პარტიაში; სპარსეთში წავედი 1907 წლის გაზაფხულზე. შავმა რეაქციამ გაიმარჯვა და თავს

ვარიდებდი მეფის მთავრობას. წავედი ჩემი სურვილით. წასვლაზე არავისი დავალება არ მქონია. იქ ვცხოვრობდი კაზვინში, თავრიზში, ფერეიდანში, თავს ვირჩენდი სოფლის მეურნეობაში დღიური მუშაობით; იქ ვცხოვრობდი 1907-1919 წლებში. დაკავშირებული ვიყავი თათრებთან, რომლებიც შედიოდნენ მუშათა პარტიაში. ბოლშევიკური პარტია იქ არ იყო*...სპარსეთიდან დაბრუნებული 1919 წ. (ნოემბერი თუ დეკემბერი, ვერ იხსენებს ზუსტად) ჩავედი დუშეთში. სოფ. ახატში. ავად ვიყავი, 1 წელი ვიაქიმე კარგად და წავედი თბილისში. ავადმყოფობის გამო არ მომეცა საშუალება, მქონოდა კავშირი ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციასთან. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 16 მარტს ჩავედი დუშეთში. ბორის ძნელაძემ და ლაურენტი ადამიძემ ჩამომართვეს 1905 წ. მანდატი და მომცეს ახალი საბუთი. იმ დღეს გამაგზავნეს წინამძღვრიანთკარის რევკომის თავმჯდომარედ და ამ დღიდან ვმუშაობ სხვადასხვა ორგანიზაციაში**.

კითხვა: რა საქმიანობას ეწეოდით 1905-07 წლებში, სპარსეთში წასვლამდე?

პასუხი: გლეხებში აგიტაცია-პროპაგანდას, ვავრცელებდი პროკლამაციებს, ჟურნალებს და სხვ.

დანარჩენი კითხვები ეხება ისევ სპარსეთში მის საქმიანობას. ამბობს, რომ იქაური პარტიის მანდატი გზაში მოპარეს. მოწმეებიდან ცოცხალი არავინ ეგულება.

კითხვა: როდის გაიგე ილიას მოკვლა?

პასუხი: 1921 წელს.

კითხვა: რამდენად სწორია 1937 წ. გამოშვებულ „სალიტერატურო გაზეთში“ მოთავსებული ბრალდება თქვენ მიერ ილიას მოკვლის შესახებ?

პასუხი: ამის შესახებ არაფერი ვიცი და ილიას მკვლელობაში მონაწილეობა არ მიმიღია (ილიას მკვლელობაში მონაწილეობა მან აღიარა 1941 წლის 13 ივნისს. ზ.ც.).

კითხვა: მაშინ გაზეთში რატომ გამოყავხართ ილიას მკვლელად?

---

* გიგლა ბერბიჭაშვილი იტყუება, რადგან ის არ ყოფილა მუშათა პარტიის წევრი.

** გ. ბერბიჭაშვილი გაუნათლებელი იყო. მის ანკეტაში პირდაპირ წერია: „საშინაო განათლება“.

პასუხი: შავი რეაქციონერების მახინაციაა. ისინი მსდევნიდნენ და ჩემი დაჭერა ვერ მოახერხეს, ილიას მკვლელი გამომიყვანეს.

კითხვა: ვინ არიან ეს შავი რეაქციონერები, რა შესწორებიას შეიტან გუშინდელ ჩვენებებში?

პასუხი: იქ მე ვუჩვენე, თითქოს 1905 წ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში არ ყოფილიყოს ბოლშევიკური და მენშევიკური მიმართულება. პირიქით – ასეთი იყო და მე პირადად ვიბრძოდი ბოლშევიკების მხარეს (მოწმის სახით ვერ ასახელებს ცოცხალ თანაპარტიელებს).

კითხვა: თუ გითქვამთ ვინმესთვის, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობას იღებდი?

პასუხი: ასეთი არავიზე არ მითქვამს.

კითხვა: როდის გაიცანით აპოლონ ჯაფარიძე* და სად?

პასუხი: თბილისის კომიტეტში, სანამ ის დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარედ წავიდოდა.

კითხვა: მართალია თუ არა ჯაფარიძის ჩვენება, რომ თითქოს მას 1905 წ. დუშეთში, მის კაბინეტში, თქვენ თავი გაიცანით, როგორც ილიას მკვლელობაში ერთ-ერთმა მონაწილემ.

პასუხი: ასეთი რამ არ გამიგონია, მაგისთანას იქ ადგილი არ ქონია.

კითხვა: ხელმეორედ გეკითხებით, ხომ არ დაგიკვეხნიათ სადმე, რომ თქვენ მონაწილეობას იღებდით ილიას მკვლელობაში?

პასუხი: ასეთს ადგილი არ ჰქონია.

აპოლონ ჯაფარიძის და გიგლა ბერბიჭაშვილის დაპირისპირება

ა. ჯაფარიძე: პირადად ჩემთვის არ უთქვამს, მაგრამ მთელი დუშეთი ლაპარაკობდა ამაზე... ერთხელ ალექსანდრეს ბაღში ვიყავით, მოვიდა ამხანაგი, რომელმაც თქვა, ეს არის ის ბერბიჭაშვილი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ილიას მკვლელობაში... ბერბიჭაშვილმა კი თქვა: „თავი დამანებეთ. მომბეზრდა აქამდე ლაპარაკიო“ და წავიდა... ამ სურათმა ჩემში დატო-

* ბოლშევიკი რევოლუციონერი, რომელიც მუშათა პარტიის სახელით სპარსეთში იბრძოდა.

ვა ღრმა რწმენა, რომ ბერბიჭაშვილი იყო ილიას მკვლელობის მონაწილე.

ბერბიჭაშვილმა უარყო ჯაფარიძის ჩვენება.

ა. ჯაფარიძე თავისი ნათქვამის ცოცხალ მოწმეებად ასახელებს ს. ლალიაშვილს, იორდანიშვილს, ვ. სუჯაშვილს და სხვ. აქვე, ჯაფარიძე უარყოფს სპარსეთში ბერბიჭაშვილის ბრძოლის ფაქტს.

ბერბიჭაშვილი: სპარსეთში წავედი 1907 წლის გაზაფხულზე, აგვისტოში აქ არ ვყოფილვარ და ყველაფერი გამიკეთეს მეფის მსახურებმა, შავმა რეაქციამ.

კითხვა: იცნობდით თუ არა ლაბაურსა და პავლე ფშავლიშვილს (იგივე – აფციაურს)?.

პასუხი: ვიცნობდი.

დაკითხვის ოქმები:

ფონდი №6. საარქივო №41890, ტ. 1, ფ. 12

დაპატიმრების ორდერი

გაცემულია 24.V.1941 (სახ. უშიშ. კომიტეტის მიერ)

ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძე, 1878, დუშეთი

მცხ. თბილისი, პლეხანოვის მე-3 ჩიხი (ზოგან – კამოს 19)

პროფესია – არ აქვს;

განათლება – შინაური (წერა-კითხვის მცოდნე);

ცოლი – ანიჩკა შამანაური;

შვილები – ვაჟიშვილი – სათარხან – 20 წლის, ქალიშვილი – ქეთევანი 16 წლის.

მუშაობს – უნივერმაღის დარაჯად.

პარტიულობა – ამჟამად სკკპ(ბ) წევრი, ბარათის №1529557.

ბრალად ედება –ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება, მოტყუებით შეძვრა კომპარტიაში, ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას.

1941 წლის 24 მაისი

დაკითხვისას ბერბიჭაშვილი ნაწილობრივ იმეორებს წინასაგამოძიებო ჩვენებებს, ზოგს – ცვლის, იძლევა ახალ ინფორ-

მაციებს: ... „წინამძღვრიანთკარის რევკომის თავმჯდომარეობიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ გადამიყვანეს **მუხრანის რაიალმასკომის** თავმჯდომარედ. 1925 წლიდან დამნიშნეს დუშეთის სალაროს გამგედ. 1928 წლიდან გადმოვედი თბილისში ოჯახით, საცხოვრებლად, მას შემდეგ ვმუშაობ სხვადასხვა ადგილზე და ვცხოვრობ ქ. თბილისში.

კითხვაზე, ვინ იყვნენ მისი მშობლები, ბერბიჭაშვილი პასუხობს: დედ-მამა მყავდა, თავადებმა დამიხოცეს... ფეიქრიშვილს (რომელმაც ილიას მოკვლა შემომთავაზა) ვუთხარი, მოსაკლავები სხვები მყავს, ვინც დედ-მამა მომიკლეს-მეთქი, იმან მითხრა: შენ არხეინად იყავი, იმათაც მოვკლავთო.

კითხვა: თქვენ ბრალად გედებათ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილეობა, რაზედაც კვლევა-ძიებამ საკმაო მასალები მოიპოვა. აღიარეთ სიმართლე და ილაპარაკეთ მთელი ისტორია, თუ როგორ მოეწყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.

ბერბიჭაშვილი ამ ფაქტს უარყოფს და ამბობს, რომ ილია ცოცხლად მხოლოდ წიგნებში ენახა. მალავს, რომ სპარსეთიდან ჩამოსული იმალებოდა თბილისში, ვერაზე...

მას უკითხავენ მოწმე ალექსანდრე წამალაშვილის ჩვენებას, რომ თითქოს მან მოისმინა ბერბიჭაშვილის საუბარი ალექსანდროვის ბაღში. ბერბიჭაშვილი ყველაფერს უარყოფს: „ილიას მკვლელობას მაბრალებდნენ და გავიქეცი სათათრეთში...”

კითხვაზე, რას აკეთებდა 1921 წლის თებერვლის თვეში, იგი **უპასუხებს**:

„21 თებერვალს შემოვიდა წითელი ჯარი თბილისში. ამ დროს საშა ობოლაძის ხელმძღვანელობით საჩქაროდ შევიკრიბეთ წითელი რაზმი და ავიღეთ პლეხანოვის კლუბის თეთრგვარდიელთა შტაბი. რამოდენიმე დავატუსაღეთ...“ შემდეგ ყვება, როგორ დაბრუნდა დუშეთში და როგორ შეუდგა სამსახურებრივ საქმიანობას.

1941 წლის 6 ივნისი

გ. ბერბიჭაშვილს ეკითხებიან, სად მიიღო ჭრილობა, რომლის ნაიარევიც მუხლზე ამჩნევია. უპასუხებს, რომ გახურებული რკინა დაეცა და დაიწვა. საბოლოოდ გამოტყდა, რომ მას ილიას მსახურის, ბითარიშვილის ტყვია მოხვდა, თუმცა არ აღიარა, რომ პირველმა მან ესროლა ილიას: “როგორც კი ეტლი მიუახ-

ლოვდა ხიზანიშვილს, მან მიზანში ამოიღო და ესროლა მწერალ ილია ჭავჭავაძეს ახლოდან და პირველივე ტყვია მოხვდა. გაისმა ქალის კივილი. ილიას სიკვდილისთანავე, დაჭრისთანავე წამოვარდა იაკობ ბითარიშვილი, რომელიც ფეიქრიშვილის ტყვიით იქნა მოკლული... ფეიქრიშვილის თოფის გასროლისთანავე ყველა გამოვედით ტყიდან, ჩვენც ვისროლეთ. მე დავიჭერი მუხლის თავზე... ილია სისხლში გასვრილი გადაწოლილი იყო ეტლზე და სულს ღაფავდა. ხმა არ გამიგონია. იაკოფა ბითარიშვილი ეგდო ეტლის მარცხნით. ილიას ცოლი ოლღა გულშეწუხებული იჯდა ეტლში. ხოლო ლაბაური ცხენების გვერდით იდგა... ხიზანიშვილმა ბოღჩას დასტაცა ხელი, ფეიქრიშვილმა – ჩემოდანს და საათს, მე და ინაშვილმა სათვალეები ავიღეთ და წავედით ტყეში. ინაშვილმა ყველაფერი ჩაალაგა და, თავს უშველეთო, ამას მე და ჯაში შევინახავთო...ტყეში დავყავით 2-3 თვე. საჭმელს ჩემი სახლიდან მაწვდიდნენ ბიძები. იქიდან წავედი სპარსეთში... უკმაყოფილო ვიყავი მეფის მთავრობის... მამა მომიკლა აზნაურმა. 1906 წელს დამიჭირა მაზრის უფროსმა კობიაშვილმა წითელ რაზმელობისათვის და იარაღით ხელში რევოლუციაში მონაწილეობისათვის. მომათავსეს დუშეთის ციხეში. გავიქეცი იქიდან. დაიბარეს ბიძაჩემი, აწამეს. ეს ჩემში აღვივებდა შურს. ტყე-ველად გასული ვარ. მეძებენ. ვერიდები მთავრობას. ვიცნობდი სოფლად ჩამოსულ პროპაგანდისტებს. გააკეთებდნენ მოხსენებას და წავიდოდნენ. ერთი ორჯერ **ფილიპე მახარაძე** იყო. სხვების გვარი და სახელი არ მახსოვს.

კითხვა: რას გითითებდნენ ისინი?

პასუხი: კობიძე, ნაცვლიშვილი, **მახარაძე** და სხვები, რომელთა გვარები არ მახსოვს, გვითითებდნენ:

1. მღვდლებს საწირავი და გადასახადები არ მისცეთო;
2. მთავრობას არ მისცეთ სალდათიო;
3. მემამულეებისთვის ღალაზე და მოჯამაგირეობაზე უარი თქვითო;
4. ისეთი ჯიუტი და უდიერი მებატონეები, რომლებიც აწიოკებენ გლეხობას და მოსახლეობას, მოკალით კიდევაცო.

კითხვა: ვის იცნობდით პროპაგანდისტებიდან?

პასუხი: ვიცნობდი საგურამოში მცხოვრებ ინაშვილს ვანოს, ხიზანიშვილს სანდროს, ლაბაურს თედოს, ფშავლიშვილს პავლეს და სხვებს... კარგ დამოკიდებულებაში ვიყავით ერთმა-

ნეთთან... ხალხს ეუბნებოდნენ, რომ მემამულეების წინააღმდეგ ებრძოლათ, იარაღით ხელში გამოსულიყვნენ მათ წინააღმდეგ. საჭიროების შემთხვევაში მოეკლათ და გაენადგურებინათ ისინი, როგორც ხალხის ამწიოკებლები და მჩაგვრელები... ამას ამბობდა ყველა. ამით ვიყავით გამსჭვალული ჩვენ, წითელ რაზმელები.

კითხვა: ჩამოთვალეთ მემამულეები, რომელთა მიმართ მტრულად იყო განწყობილი გლეხობა.

პასუხი: ყველას ვერ აღვადგენ, ვერ შევძლებ.

აგრძელებს ჩვენების მიცემას და ასახელებს მემამულეებს, რომლებიც კარგად ახსოვს: გოგი მუხრანსკის, ნიკა ხიმშიაშვილს ბულაჩაურში, ქსანზე ერისთავებს... „საგურამოში – ილია ჭავჭავაძეს არ გადაუხადა ღალა გლეხობამ (როგორც შემდეგ აღნიშნავს ფაღავა, დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსი, იმ წელს გვალვა ყოფილა). 1907 წელში ი. ჭავჭავაძემ ძველი წლების გადაუხდელი ნადელი მთლიანად გადაახდევინა გლეხობას... ამიტომ მასზედაც განაწყენებული იყო გლეხობა ძლიერ ცუდად...

კითხვა: დასახელებულ მემამულეებს პროპაგანდისტები როგორ იხსენიებდნენ?

პასუხი: პირდაპირ ასახელებდნენ ხიმშიაშვილებს, ერისთავებს, მწ. ჭავჭავაძეს ილიას, მუხრანსკის და სხვებს და მოუწოდებდნენ გლეხობას მათ განადგურება-მოსპობაზე, როგორც გლეხობის ამწიოკებლებს.

კითხვა: ჩამოსული პროპაგანდისტებიდან ვინ იყო უფრო უკმაყოფილო?

პასუხი: ყველაზე უფრო უჯერებდნენ **ფილიპე მახარაძეს**.

გ. ბერბიჭაშვილი საუბრობს ფ. მახარაძის სამ წერილზე, რომელიც ინაშვილსა და ჯაშს წაუკითხავთ.* მისი გადმოცემით, თითოეულ წერილში საუბარი იყო ილიაზე, როგორც სასტიკ მჩაგვრელზე და ნათქვამის დასადასტურებლად სათანადო მაგალითებიც იყო მოტანილი. ბერბიჭაშვილის მტკიცებით, **სამივე წერილს ხელს აწერდა ფილიპე მახარაძე.**

ბერბიჭაშვილი: "ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში მყოფს შემხვდნენ ფშავლიშვილი პავლე, ხიზანიშვილი სანდრო, იგივე ლომა და ფეიქრიშვილი... იძულებული გამხადეს, წავყოლოდი მათ, სიკვდილითაც კი დამემუქრნენ. ილიას სახლთან ახ-

* ერთ-ერთი იხ. გაზ. „მოგზაური". 15 მაისი, 1905. №18, გვ. 1-3.

ლოს, ზევით, მთის ფერდობზე მივიდნენ. ხიზანიშვილი ჩამოვიდა სოფელში და ამოიყვანა ჯაში... რამოდენიმე ხნის შემდეგ ამოვიდნენ დროული კაცები, 12-13. სულ 19-20 კაცი ვიქნებოდით.

1941 წლის 19 აგვისტო

ბერბიჭაშვილი: 1907 წელს მივდიოდი ქალაქში... მცხეთის რაიონში რომ ჩავედი, ტყიდამ დამიძახა ხიზანიშვილმა და ფშავლიშვილმა. მათთან კიდევ იყო **ერთი უცნობი**, მოდი აქო. მივედი, მითხრეს, სად მივდიოდი, ჩვენთან უნდა წამოხვიდეო. არ მეცალა, არ გრცხვენიაო. ჩვენი ტოლი ხარო, იძულებული გამხადეს, წავყოლოდი. ამიყვანეს ილიას სახლთან. 11-12 გლეხი ამოეყვანა ინაშვილს. ინაშვილი ლაპარაკობდა: ამ კაცმა (ილიამ) სულ ერთიანად შეგვჭამაო... ჩვენ ან წყალში უნდა გადავცვივდეთ, ან თავი უნდა გავითავისუფლოთო. ილია ჭავჭავაძე უნდა მოვიშოროთ თავიდანო. რამდენი ხალხი ვართ და ერთი კაცი ვერ უნდა მოვიშოროთო?..

კითხვა: რამდენი კრება გქონდათ მწერალ ილია ჭავჭავაის მკვლელობის მოწყობისთვის?

პასუხი: სამი დღის განმავლობაში ვაწყობდით. გლეხობა პირველად უფრო ბევრი იყო. მერე ნაკლები მოდიოდა.

კითხვა: რაზე ლაპრაკობდით ორ უკანასკნელ კრებაზე?

პასუხი: საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნა, რომ ილია ჭავჭავაძე უნდა მოეკლათ. ამავე კრებაზე ილიას მეეტლიდან (თედო ლაბაური) გამორკვეული იქნა, ვის დავალებოდა მკვლელობა. მკვლელობის მთელი ხელმძღვანელობა იკისრა ინაშვილმა, ხიზანიშვილმა და ფეიქრიშვილმა.

კითხვა: რამ იქონია თქვენზე გავლენა ან რატომ იყო 3 დღე კრება. ვინმე ხომ არ იყო წინააღმდეგი?

პასუხი: დიდი და მთავარი გავლენა იქონია გაზეთის წერილებმა. 3 დღე იმიტომ დასჭირდა, რომ ილის 30 აგვისტოს ჩამოდიოდა, თორემ ჯაშის და ინაშვილის მიერ ისე იყო მოწამლული ყველა, წინააღმდეგი არავინ იყო და გაიძახოდნენ – ილიასთან მივდივართო...

კითხვა: ყველა თანახმა იყო, ილია რომ მოეკლათ?

პასუხი: დიდი და მთავარი გავლენა იქონია გაზეთის წერილებმა.

კითხვა: არ ასახელებთ იმ პირებს, ვინც მათ დაავალათ ილიას მოკვლა?

პასუხი: ისინი (ჯაში, ინაშვილი – ზ.ც) ასახელებდნენ გაზეთის წერილებს...

შემდეგ ბერბიჭაშვილი ყვება, ვის რა იარაღი ჰქონდა, როგორ მოგროვდნენ საგურამოში, ილიას სახლთან; როგორ ამოიყვანეს ჯაშმა და ინაშვილმა გლეხები საგურამოდან. როგორ წაიკითხეს ხელმეორედ **ფილიპე მახარაძის წერილები.** „ეს თავადი თუ არ მოვაშორეთ, ჩვენი გახარება არ იქნებაო“, – უთქვამს ინაშვილს.

„...გლეხები დაიშალნენ და ტყეში დავრჩით: ჯაში, ინაშვილი, ლაბაური, ფეიქრიშვილი, ხიზანიშვილი და მე – ბერბიჭაშვილი”.

კითხვა: როდის უნდა ამოეყვანათ ხაზეინი?

პასუხი: ... დილით ადრე დაეშვა ტელეშკა. ჩვენ ჩავსხედით ფოთლებში, კარგა ხანი გავიდა. მოდის ტელეშკა. რომ მოვიდა ამ ადგილზე, შეაჩერეს ტელეშკა. დაუპირისპირა თუ არა ხიზანიშვილმა, ესროლა და **გადაწვა ეს კაცი.**

კითხვა: ვინ კაცი?

პასუხი: ჭავჭავაძე. მერე ტელეშკიდან გადავარდა ეს ბიჭი, ის ქალი – ბებერი დედაკაცი (ოლღა ჭავჭავაძე ამ დროს 60 წლისაა. ზ.ც.), ცოლი იყო მისი თუ რა, არ მახსოვს, ძირს გადმოვარდა... (აქ ბერბიჭაშვილი იტყუება, რადგან ილია სწორედ მისმა გასროლამ მოკლა).

კითხვა: შენ იყავი დარწმუნებული, რომ ჭავჭავაძე იყო მოსაკლავი კაცი?

პასუხი: კი, დავრწმუნდი გაზეთების წაკითხვის შემდეგ.

კითხვა: გვაინტერესებს, ვინ ხელმძღვანელობდა, ვისი საშუალებით მოხდა ეს?

პასუხი: ორი კაცი იყო ჩვენი მთავრები.

კითხვა: შენ გეხათრება და იმიტომ არ იძახი, ვინ ხელმძღვანელობდა?

პასუხი: არა, ბატონო, რაზე უნდა მეხათრებოდეს. მარტო **ფილიპე მახარაძის** წერილები იყო ეს... არა ვთქვი იმიტომ, რომ ეს კაცი დაბერდა. მუშაობს და იმიტომ აღარა ვთქვი.

კითხვა: შენ შესახებ გაზეთში რომ ეწერა, წაიკითხე?

პასუხი: კი, „ლიტ. გაზეთში“ ლენინის რაიკომმა მაჩვენა.

კითხვა: არ უთხარი, რომ მართალი არის?

პასუხი: არ მითქვამს. **ფილიპეს წერილები** რომ არ მქონოდა წაკითხული, ვიტყოდი.

კითხვა: რატომ რაიკომს არ უთხარი, რომ მართალია თუ არა?

პასუხი: მე მდებენ ბრალს და თვითონ მართლები გამოდიან.

კითხვა: ვინ წერს ამას, იცი?

პასუხი: გუგუშვილი წერს.

კითხვა: შენ ესროლე თოფი?

პასუხი: კი.

კითხვა: ვის ესროლე?

პასუხი: ლაქიას.

კითხვა: ჭავჭავაძეს არ ესროლე?

პასუხი: იმას ერთი მოარტყეს და გადავარდა კაცი... თოფის გავარდნა და მისი

გადმოვარდნა ერთი იყო;

კითხვა: ვისგან გქონდათ ინსტრუქცია?

პასუხი: ინაშვილი და ჯაშისგან...

კითხვა: ციციშვილიც იყო თავადი. ის რატომ არ მოკალით?

პასუხი: გაქცეული იყო...

ფ. 116-117

ყარამან გრიგორის ძე ფაღავას დაკითხვის ოქმიდან:

დაბ. 1858 წ. თბილისი, მცხ. კალინინის №20. პენსიონერი (ყოფილი აზნაური), ცოლშვილიანი. შვილი, გიორგი, არის შვეიცარიაში; ყარამან ფაღავა 1907 წლიდან დუშეთის მაზრის უფროსი იყო, მას ეკუთვნის პირველი გამოძიება ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა.

კითხვა: მოგვიყევით, ვინ მართავდა ბრძოლას ლიტერატურაში ილიას წინააღმდეგ და ვინ იცავდა?

პასუხი: მე მგონი, ეს გაზეთშიც იყო. ეს კი ვიცი, რომ ილია ჭავჭავაძეს და **ფილიპე მახარაძეს** შორის იყო უთანხმოება...

კითხვა: ეს 1905, 6, 7 ხომ არ იყო (სტ. დაცულია).

პასუხი: არა.

კითხვა: ჯაში ხომ არ იცნობდა ფილიპეს?

პასუხი: არა.

კითხვა: ისე, როგორ ატყობდით, ილია გლეხებს როგორც ექცეოდა? ბერბიჭაშვილი ამბობს, რომ ცუდად ექცეოდა.

პასუხი: ეს არ არის მართალი. იყო მხოლოდ ერთი შემთხვევა. ილიას ჰქონდა გამოყოფილი წყალი, გლეხების სასმელი, მეორე – საქონლის. გლეხები არ ერიდებოდნენ. ყველგან მიჰყავდათ საქონელი. ტყეს ჩეხდნენ. ილია ეუბნებოდა, ნუ იზამთ ამას, თქვე დალოცვილებო, ისევ თქვენსას აფუჭებთო. ილიას კახეთში მამული ჰქონდა და გლეხებს დაუთმო.

კითხვა: ეს რომელი წლის ამბავია?

პასუხი: ეს დიდი ხნის ამბავია. საგურამოს გლეხებს ილიამ სიყმაწვილოდან შესწირა თავი. იმას ვერავინ იტყოდა, რომ ილიას გლეხობა სძულდა ან გლეხებს – ილია. რა დროსაც უნდა მისულიყავით ილიას სახლში, მუდამ ნახავდით გლეხებს: აი, შენი ჭირიმე, იმან ეს წამართოო, იმან ისაო... სულ საჩივლელად მოდიოდნენ მასთან. პოლიციაც ხელს ვერ შეახებდა, რადგან პატივცემული ადამიანი იყო. მხოლოდ ეს იყო, ეს შემთხვევა, რომ: „ამ ქართველებს ვერ შევაგონე, მაინც და მაინც აქეთ გამოდენიან საქონელსო, სასმელი წყალი უნდა დაალევინონო“... ფაღავა უარყოფს ბერბიჭაშვილის ნათქვამს, თითქოს ილიას ეგზეკუცია შეიყვანოს გლეხებთან. იმ წელს გვალვა იყო და გადასახადი ვერ შეძლესო.

ყარამან ფაღავა: ვნახე, ჯაში როგორ შევიდა ჟანდარმერიის კანცელარიაში. როდესაც კვლევა ვაწარმოვე, დამტკიცდა, რომ დიმიტრი ჯაში იყო ნამდვილი აგენტი „ოხრანკის“ და მომწყობი ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა... ჯაში დავაპატიმრე, გენერალ-გუბერნატორმა თავის თავზედ ჩარიცხა და მერე გაათავისუფლა და როდესაც სასამართლო დაინიშნა, ჯაში სრულებით არ გამოცხადდა სასამართლოზე. შემდეგ ამისა, მთელი გლეხობა იძახდა მაშინ, რომ ი. ჭავჭავაძის მკვლელობა მოურავის ჯაშის მოწყობილიაო (1917 წელს მენშვიკებმა გამოააშკარავეს ჯაში, როგორც „ოხრანკის“ აგენტი, მაგრამ ცოტა ხნით დააპატიმრეს და გაუშვეს)...

კითხვა: თქვენ ამტკიცებთ, რომ ი. ჭავჭავაძის მოკვლა არის მოწყობილი მეფის მთავრობის შავრაზმელების და „ოხრანკის“ მიერ?

ყარამან ფაღავა: დიახ (პასუხები დადასტურებულია ყარამან ფაღავას ხელმოწერით).

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ყველა მკვლევარი ყარამან ფაღავას მიიჩნევს წესიერ კაცად, რომელმაც შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი სცადა მკვლელების დასადგენად. იგი 1941 წელს სასამართლოს წინაშეც წარდგა და თავისი ჩვენება არ შეუცვლია. მისი აზრით, ილიას მკვლელობა მოაწყო მეფის ხელისუფლებამ, ე.წ. „ოხრანკამ“ დ. ჯაშის ხელშეწყობით. მას ერთხელ დაუნახავს კიდეც თბილისში ჟანდარმერიის შენობიდან გამოსული ჯაში (ფაღავას ამ მოსაზრებას ადასტურებს ილიას მკვლელობის საქმის ყველა მკვლევარი).

დიმიტრი ჯაშის პიროვნების შესახებ საინტერესო მასალაა მოცემული ა. შუშანაშვილის, გ. შარაძის, ნ. გრიგალაშვილის და სხვა მკვლევრების ნაშრომებში. **ჯაშს ბევრი შავბნელი ისტორია გადახდა თავს ილიას მკვლელობის შემდეგაც. იგი ბევრჯერ დააპატიმრეს და სიცოცხლეც ტრაგიკულად დაასრულა. ასეთ კაცს, ცხადია, არ გაუჭირდებოდა ერთმანეთთან შეეთავსებინა ჟანდარმერიის და სოციალ-დემოკრატების აგენტობა.**

მოწმეთა ჩვენებები:

20.11.1940

საქართველოს კ.პ./ბ/ დუშეთის რაიაღმასკომის მდივანს ამხ. გ. მიზანაშვილს

თანახმად თქვენი პირადი თხოვნისა, თუ ყოფილი დუშეთის მაზრიდან ვინ მიიღო მონაწილეობა ი. ჭავჭავაძის მკვლელობაში, გაცნობებთ, რომ მკვლელობაში მონაწილეობა მიეღო გ. ბერბიჭაშვილს, რომელიც აშკარად ლაპარაკობდა ხოლმე ხალხში, ჭავჭავაძე მე მოვკალიო. ყოველთვის საკვეხურად ჰქონდა ჭავჭავაძის მკვლელობა, რის გამოც ამაყობდა ამხანაგებში, როგორც ძველი რევოლუციონერი და გაბედული, რომელმაც საგურამოს გლეხებს მოაშორა ფეოდალი. ეს იყო მისი სიტყვები ყოველთვის და ყველგან.

ხელმოწერა გაურკვეველია.

21.11.1940

ასეთივე ახსნა-განმარტებით მიმართავს მოქალაქე (ხელმოწერა აქაც გაურკვეველია) დუშეთის რაიაღმასკომის მდივანს:

... 1924 წელს მე ვმსახურობდი მუხრანის თემკომის თავ-რედ და ამავე პერიოდში მუხრანის აღმასკომის თავ-რედ მუშაკობდა სოფელ ახატნელი გიგლა ბერბიჭაშვილი, რომელიც ბევრჯელ

ახსენებდა-ხოლმე კერძო საუბრებში, რომ მე ძველი მებრძოლი ვარ, თავადაზნაურობას სულ ტუტას ვადენდი და ჭავჭავაძე მე (ჩავაძაღლე) მოვკალიო. ასეთი ლაპარაკი ბევრჯელ გამიგია აღნიშნულისაგან.

25.06.1940

სვიმონ ისაკის ძე მოხევიშვილის დაკითხვა:

... ის (ბერბიჭაშვილი) გამოჩნდა 1921 წელს და ყველგან აშკარად აცხადებდა, რომ ილია ჭავჭავაძე მოსაკლავი კაცი იყოვო, რადგან მან გადაუხვია მუშათა პარტიის ხაზს. მეტი არაფელი ვიცი.

წავიკითხე, ხელს ვაწერ

(ხელს სხვა აწერს, რადგან მან წერა-კითხვა არ იცის – ზ.ც.).

იმავეს ამბობენ სხვა მოწმეებიც: ვ. რუხაძე, ქ. ფეიქრიშვილი, ილო ლოლაშვილი.

თბილისის I საშუალო სკოლის მასწავლებლის (ხელმოწერა არ ჩანს კარგად) ახსნა-განმარტება:

„1937 წ. გამოქვეყნდა, ილიას იუბილეზე, დოკუმენტური მასალები მკვლელებზე. ერთ-ერთად დასახელებული იყო გ. ბერბიჭაშვილი, I საშ. სკოლის მოსწავლის, ჩემი ყოფილი მოსწავლის, სათარხან ბერბიჭაშვილის მამა. იმ (დოკუმენტურ) წიგნში წავიკითხე ეს ცნობა. დავინტერესდი და ვკითხე ამხ. მასწავლებლებს: ნუთუ ეს ჩვენი მოსწავლის მშობელი გიგოლა ბერბიჭაშვილია-მეთქი. ამხანაგებმა დამიდასტურეს, რომ ის არისო. ერთ-ერთმა კოლეგამ, ნინო ვარდიაშვილმა, ისიც კი აღნიშნა, ბერბიჭაშვილი თურმე სკოლაში მშობელთა კრებაზე, ვგონებ 1932 წელში, თუ არ ვცდები, როდესაც შეხებიან ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას*, როგორც მიუღებელს, ფეოდალური კლასის

* საბჭოთა ხელისუფლება 20-იან წლებსა და 30-იანების პირველ ნახევარში მტრულად იყო განწყობილი ილია ჭავჭავაძის მიმართ. 1934 წლიდან ეს განწყობა შეიცვალა. 1934 წელს საბჭოთა მწერალთა პირველ ყრილობაზე სტალინის ბრძანებით საქართველოს მწ/კავშირის თავმჯდომარეს, მალაქია ტოროშელიძეს, მოხსენების შინაარსი შეაცვლევინეს, რადგან მასში საერთოდ იგნორირებული იყო ილია ჭავჭავაძე. იმ დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში პირველად გამოჩნდა რუსთაველის სურათი, ტოროშელიძის გადაკეთებულ მოხსენებაში კი გაიჟღერა ქართველი 60-იანელების,

იდეოლოგიის თვალსაზრისით, მას დაუკვეხნია და უთქვამს: ამ ხელმა მიიღო მონაწილეობა მის მკვლელობაში (დაახლოებით მე ასე გადმომცა ნინო ვარდიაშვილმა), დაწვრილებით კი პოეტის მკვლელობის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წიგნში სწერია“.

ფონდი 37-38 (საარქივო №17619 ტ. 11)

1929 წლის 9 მარტს გ. ბერბიჭაშვილი, ს.კ.პ,/ბ/ წევრი 1905 წლიდან (პარტბილეთის №085683), რომელსაც დანიშნული აქვს ჩვეულებრივი პენსია, 35 მან. თხოვნით მიმართავს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტს:

განცხადება

მოგმართავთ, რომ ჩაბმული ვარ 1903 წლიდან რევოლუციონურ მუშაობაში, თუმცა კი პარტიაში შესვლის დატა ეკუთვნის 1905წ. დღიდან ჩემი რევოლუციონური მუშაობისა, მე ყოველთვის და ყველგან პირნათლად ვასრულებდი პარტიის დავალებულ ამოცანებს, მეფის პოლიციისგან ვიყავი დევნილი, რამდენჯერმე დაპატიმრებული ვიყავი, რის შემდეგ გადახვეწილი ვიქენი პერსიაში – სპარსეთში დავყავი 1920 წლამდე. 20 წელში კი დავბრუნდი ემიგრაციიდან და კვლავ შეუდექი კონსპირატიულ მუშაობას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 20 წელში მაისის ჩატარების დღეს მენშევიკებთან შეტაკების დროს სასახლესთან მივიღე ფიზიკური დაზიანებები.

მიუხედავად ყველა ზემოხსენებულისა მე დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ვასრულებდი სხვა და სხვა საპასუხისუხიმგებლო მუშაობას და აგრეთვე გაცხოველებით ბრძოლას ვაწარმოებდი დუშეთის მაზრაში სხვა და სხვა ბანდიტ (ბრბოებთან), რის გამოც არა ერთხელ იყო ჩემი ოჯახი აწიოკებული, ჯერ ნიკოლოზის შავ რეაქციისგან და მერე ჩოლოყაშვილის ბანდებისგან.

უკანასკნელი ჩემი სამსახური იყო დუშეთის სამაზრო საადაზღვევო სალაროს თავმჯდომარეობა წარსული წლის ოქტომბრამდე. ვინაიდან ხანგრძლივმა რევოლუციურმა მუშაობამ ჩემს ჯანმრთელობაზე იქონია ერთგვარი გავლენა და მე-

---

კერძოდ კი, ილიას სახელმა.

ორე მხრივ მოხუცებულობის ხანაში გადასვლამ და ორთავემ კი იქონიეს გადამწყვეტი გავლენა ჩემს შრომის უნარიანობაზე.

ყველაზემოხსენებულის გამო მოგმართავთ რა თქვენ განცხადებით, სრული იმედი მაქვს, რომ ამ სიბერის დროს დაკმაყოფილებული ვიქნები სრული პენსიით, როგორც რევოლუციის ძველი მოღვაწე, რითაც საშუალებას მომცემთ ჩემი ოჯახის დაკმაყოფილებისა, რომელიც შესდგება სამი წვრილი შვილებისგან და ინვალიდი ცოლისგან.

9 მარტი, 1929 წ.

ქ. ტფილისი, მთხოვნელი – გ. ბერბიჭაშვილი

სოც. უზრუნველყოფის სახალსო კომისარიატს გადაეგზავნა ბრძანება №197, რათა ბერბიჭაშვილს გიორგის, რომელიც ღებულობდა პენსიას, 35 მანეთს, გაუდიდდეს 50 მანეთამდე და მიეცეს 1-ლი ივლისიდან.

1929 წ. 22 ივნისი

როგორც ვხედავთ, ეს საკითხი სასწრაფოდ და ძალზე ოპერატიულად გადაწყდა სულ რაღაც 1 კვირაში.

მოგვიანებით გ. ბერბიჭაშვილმა კვლავ მოითხოვა პენსიის მომატება და 1931 წლის დეკემბერში ის 50-დან 100 მანეთამდე გაუზარდეს.

პერსონალური პენსიის დამნიშვნელი რესპუბლიკური კომისიის სხდომის ოქმი

1932 წლის 4 დეკემბერი

მოისმინეს: ზოგიერთ პ/პენსიონერთათვის პენსიის მომატების შესახებ.

დაადგინეს: გაუდიდდეს პენსია ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს ძეს. ღებულობდა 100 მან. გაუდიდდეს 120 მან.

თავ-რე ტ. მახარაძე

სწორია (ხელმოწერა გაურკვევლია)

1939 წ. ივლისში ბერბიჭაშვილი ისევ ითხოვს პენსიის მომატებას „დიდ, აუტანელ, ცუდ მატერიალურ მდგომარეობის

გამო...“ წლის ბოლოს მას პენსია 250 მანეთამდე გაუზარდეს... საქმეში დევს ბერბიჭაშვილის დახასიათება (ავტორი უცნობია), რომელშიც საუბარია ყველა მის „დამსახურებაზე“ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

ცნობა

პენსიონერ გიორგი ბერბიჭაშვილს 1936 წლის 1.12-დან გაუდიდდა პენსია – 130 მანეთით, ღებულობდა 120 მანეთს, მიიღებს 250 მანეთს.

სახკომსაბჭოსთან არსებულ აკადემიურ და პერს. პენსიების დამნიშვნელ კომისიის ოქმი №9, 1959 წ. 23.X.

განყოფილების გამგე – ხელმოწერები გაურკვეველია
მდივანი

ასეთ პატივში ჰყავდათ კომუნისტებს ილიას მკვლელი, მისთვის სრულიად შეუფერებელ თანამდებობებზედაც ნიშნავდნენ და ბოლოს აცხადებდნენ, „შემოიპარაო“...

1941 წლის 24 ივნისამდე გ. ბერბიჭაშვილი, როგორც ვნახეთ, ხშირად ასახელებდა ფილიპე მახარაძეს და მის წერილებს, 24 ივნისს კი „მისივე სურვილის თანახმად“ იძახებენ დამატებითი ჩვენების მისაცემად.

კითხვა: სურვილი აგისრულდათ. რა გინდათ დაუმატოთ თქვენს წინა ჩვენებებს?

პასუხი: პირველი ის, რომ მე მინდა ვთხოვო **სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძეს**, რათა შევიდეს ჩემი ბავშვების მდგომარეობაში. როგორც ის ჩემს ბავშვებს იცნობს, ვინაიდან მის ხელში არიან აღზრდილი. (?..) და გაუწიოს სათანადო დახმარება და ამას გარდა მინდა გთხოვოთ, რომ ჩემი სასჯელი მოხდეს გასახლებით.

კითხვა: სხვა რა გინდა კიდო ილაპარაკოთ?

პასუხი: მინდა შევიტანო შესწორება ჩემს 13 ივნისის ჩვენებაში იმაზედ, რომ, ვითომდა ილიას მკვლელობის წინათ ინაშვილმა და ჯაშმა წაგვიკითხეს ფილიპე მახარაძის წერილები ილია საწინააღმდეგოდ. **ეს სიმართლეს არ შეიცავს.** ვინაიდან იქ,

სადაც ჩვენ თავი მოვიყარეთ, გაზეთებს კი არ გვიკითხავდნენ, არამედ ლაპარაკობდნენ ზეპირათ, რაც ეხება წერილებს, **ფ.მახარაძისას** (დიდი ასოებითაა,ზ.ც.), მე ასეთები არ მინახავს. მხოლოდ ლაპარაკი იყო გლეხებში ჩამოვარდნილი, რომ მაგ კაცს, ე.ი. ილიას სუყველა კუთხიდან ემდურიან.

კითხვა: მაშ როგორ დაისწავლეთ ის 4 საბუთი, რომელიც დაგაწერინეს 13 ივნისს?

პასუხი: ესენი ჩამრჩა გულში ჯაშის, ინაშვილის და გლეხების ნალაპარაკევები.

კითხვა: მაშ რატომ მოგვატყუეთ თქვენი ჩვენებით 1941 წლის 13 ივნისს.

პასუხი: მე დავუშვი შეცდომა.

ხელს აწერს გ. ბერბიჭაშვილი

დაკითხა მაღრაძემ.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ბერბიჭაშვილზე იმოქმედა ინფორმაციამ, რომ მისი სიკვდილით დასჯის ბრძანება **ფ. მახარაძემ** გასცა.

1941 წლის 14 ივნისი. ამონაწერი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმოდან (საქ. რესპ. სესია, ს. №17612-60, ტ.I, ს.ფ. 201).

1941 წ. 14 ივნისი. ოქმი №25, საქართველოს სსრ სუსკის წარდგინება გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის საქართველოს სსრ სსკ 58-13 მუხლით პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომასარს გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი საქართველოს სსრ სსკ 58-13 მუხლით მისცეს პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

მომდევნო დაკითხვისას, 24 ივნისს, გ. ბერბიჭაშვილმა ფ. მახარაძის შესახებ ყველა წინა ჩვენება უარყო.

ადვოკატმა ჯაფარიძემ, როგორც ბერბიჭაშვილის დამცველმა, **მოითხოვა მისი სიკვდილით დასჯა.**

საბოლოო სიტყვა მიეცა ბერბიჭაშვილს: „რა უნდა ვთხოვო სასამართლოს? ჩემი სასჯელი ის იქნება, თუ ისეთი სახელი და-

მედება, რაც ტყუილია და სიმართლეს არ შეეფერება. მე გთხოვთ ყველაფერი ეს ჩემი მდგომარეობა მიიღოთ მხედველობაში, ჩემი უმწეოდ დარჩენილი ოჯახი, შვილი, რომელზეც ჩემი წუთისოფელი იყო დამყარებული. მე მქონდა კანონი, რომ ჩემი შვილი არ წასულიყო ჯარში და ვუთხარი, რომ შენ უნდა წახვიდე და დაიცვა შენი სამშობლო-მეთქი. ცოლი ინვალიდია სახლში. ქალიშვილი მოწაფეა, რომელთაც მოუხდებათ ქუჩაში ხელის გაშვერა და თხოვნა. მე გთხოვ, რომ ჩემს ოჯახს არ ენახა ჩემი პირადი ტანჯვა და თუ გავცდებოდი აქაურობას, მაშინ არაფერი. მიიღეთ მტკიცებულებაში, რომ მე არ ვარ დამნაშავე, გარდა იმისა, რომ სიკვდილის ქვეშ ვიყავი დაყენებული. დიდი მადლობელი ვარ პროკურორისა და დამცველისა, რომ გავიგე, ვინ ყოფილა დიდი ილია. მისი ისტორია ჩემს შვილებს გამოადგება.

განაჩენი*

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წ. 5 იანვრამდე ქ. თბილისში გამართა საჯარო სხდომა შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – უმაღლესი სასამართლოს წევრი – **ოდიშვილი ი.ც.**

წევრები – უმაღლესი სასამართლოს მსაჯულები: **მირიანაშვილი ვ.წ.** და **აბესაძე გ.ი.**

რესპუბლიკის პროკურორის მოადგილე – **ა.კ. ჩიქვანაია**

ადვოკატთა კოლეგიის წევრი – **ა. ჯაფარიძე**

განიხილეს სისხლის სამართლის საქმე №683 ბრალდების გამო გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილის მიმართ... სისხლის სამართლის კოდექსის 5813 მუხლით. საუბარია ბერბიჭაშვილის პიროვნებაზე, ილია ჭავჭავაძის დამსახურებაზე... იმაზე, რომ თავიდან უარყოფდა ბერბიჭაშვილი მონაწილეობასაც კი ილია ჭავჭავაის მკვლელობაში, მერე მონაწილეობა აღიარა... ის არ შეიძლება ყოფილიყო წითელი რაზმელი, რადგან ამ პერიოდში ეწეოდა ქურდბაცაცობას. იმოწმებენ ყ. ფაღავას ჩვენებას,

* საქმე №683, საარქივო №17619, ტ.XI. ფ. 44-54

რომ მას ხელში ჩაუვარდა დუშეთის მაზრაში წითელარმიელთა სია, მაგრამ იმ სიაში ბერბიჭაშვილი არ ყოფილა, მოტყუებით მიიღო მანდატი... მოატყუა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი და მიიღო პერსონალური პენსია... ბერბიჭაშვილი 1921 წლის შემდეგ ხშირად იკვეხნიდა, რომ მან მოაშორა ქვეყანას გლეხობის შემავიწროებელი და „დესპოტი“ ილია ჭავჭავაძე... სასამართლო უარყოფს „პროვოკატორ“ გრეკოვის ნათქვამს, რომ მან ფაქტი მოიტანა, თითქოს ბახვის კრებაზე (გურიაში) გადაწყვიტეს, თავადი უნდა მოიკლასო. სასამართლოს დასკვნით, სანდრო გრეკოვი იყო მოსყიდული პროვოკატორი, სუსტი, მერყევი. ორი თვის შემდეგ უარყოო ეს ნათქვამი (გრეკოვი გაათავისუფლეს მაშინ, მაგრამ მალე მოკლეს – ზ.ც.).

სასამართლოს რწმენით, ილია ჭავჭავაძე განგმირული არის ბრ. ბერბიჭაშვილის მიერ გასროლილი ტყვიით, რადგან იგი ყველაზე წინ იყო და ილიას მსახურის მიერ გასროლილი ტყვიაც სწორედ მას მოხვდა...

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა მოწყობილია მეფის ოხრანკის მიერ დაქირავებული აგენტის, ილია ჭავჭავაძის ყოფილი მოურავის დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის ხელმძღვანელობით, ინაშვილის, ბერბიჭაშვილის, ლაბაურის, ფშავლიშვილის (აფციაურის), ხიზანიშვილის და ფეიქრიშვილის მონაწილეობით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319-329-2 მუხლებით, დაადგინა: ბრალდებული გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ სსრ 58-13 მუხლით და აერჩიოს სასჯელის უმაღლესი ზომა **დახვრეტა**, პირადი ქონების კონფისკაციით... განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავმჯდომარე – **ოდიშვილი**

უმაღლესი სასამრთლოს მსაჯულნი: **გ. აბესაძ**ე

ვ. მირიანაშვილი

სშსს საარქივო მასალებში არ ჩანს ინფორმაცია (ცნობა) იმის შესახებ, რომ ბერბიჭაშვილის დახვრეტა 10-წლიანი პატიმრობით შეიცვალა. ალექსანდრე შუშანაშვილის წიგნში „ილია ჭავჭავაძის მკვლელობა“ კი ვკითხულობთ:

1942 წლის 16 მაისი. ამონაწერი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმიდან (საქ. რესპ. სუსა, ს. №17 6112-50, ტ. 2, ს.ფ. 281).

ამონაწერი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 16 მაისის №8278 სხდომის ოქმიდან. მოისმინეს შუამდგომლობა შეწყალების შესახებ. გიორგი (გიგოლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი, დაბადებული 1878 წელს, თბილისის უნივერმაღის სალაროს ყოფილი მცველი, სკპ(ბ) ყოფილი წევრი, პენსიონერი, წერა-კითხვის მცოდნე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1942 წლის 5 იანვრის განაჩენით საქართველოს სსრ სსკ 58-13-ე მუხლით მისჯილი აქვს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

დაადგინეს: გიორგი პეტრეს ძე ბერბიჭაშვილს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა შეეცვალოს ათი წლით თავისუფლების აღკვეთით შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით (შუშანაშვილი 1996: 270-271).

დამოწმებანი:

გრიგალაშვილი 2011: გრიგალაშვილი, ნ. *თანამდევი სული (ილია და მისი ეპოქა).* წიგნი II. თბილისი: „ახალი საქართველო“, 2011.

მახარაძე 1905: მახარაძე, ფ. „თავის გამართლებაც ასეთი უნდა“. *გაზ. „მოგზაური“*, №18, 15 მაისი, 1905.

სიმაშვილი 2011: სიმაშვილი თ. *სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები – ილია ჭავჭავაძის მკვლელები (ილიას მკვლელთა ვინაობისათვის).* თბილისი: 2011.

ქსე 1984: *ქსე.* ტ. VI. თბილისი: სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვით კომბინატი, 1984.

შარაძე 1990: შარაძე, გ. *ილია ჭავჭავაძე – 1837-1907. ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება.* წიგნი II. თბილისი: „ხელოვნება“, 1990.

შუშანაშვილი 1996: შუშანაშვილი, ალ. *ილია ჭავჭავაძის მკვლელობა.* თბილისი: „მერანი“, 1996.

1942 წლის შეთქმულება და "სამანელების საქმე"

ადა ნემსაძე
მანანა შამილიშვილი
ზოია ცხადაია

1942 წლის შეთქმულება და „სამანი“

ანტისაბჭოთა მოძრაობის მატიანე საქართველოს უახლესი ისტორიის მძლავრი და მრავალფეროვანი სეგმენტია, რომლის ერთი მეტად საინტერესო და ტრაგიკული ფურცელია 1942 წლის შეთქმულება და „სამანი“.

1941 წელს, მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ჩართვის შემდეგ, გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია და ფრონტზე უამრავი ადამიანი იქნა გაწვეული. როგორც საარქივო მასალაშია აღნიშნული, სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა ჯგუფის წევრები, რომლებიც „მობილიზაციამდე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი კონტრრევოლუციონურ-ნაციონალისტური მრწამსით“, 35-ე (ავჭალა) და 83-ე (კიროვაბადი) სარეზერვო სამშენებლო პოლკებში (სსპ) აღმოჩნდნენ. ესენი იყვნენ: კონსტანტინე ჯოგლიძე, გიორგი ძიგვაშვილი, კოტე ხიმშიაშვლი, შალვა შავიანიძე, გიორგი იმერლიშვილი და სხვები.

1941 წელს სწორედ განჯის სამხედრო ნაწილში გაჩენილა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის იდეა, რომელიც გიორგი იმერლიშვილსა და კოტე ხიმშიაშვილს ეკუთვნოდათ (ისინი იმ დროს 83-ე სსპ-ში მსახურობდნენ). ორგანიზაციას ჰქონია თავისი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, თუკი გერმანია მოსკოვს აიღებდა (მათ ამის იმედს

აძლევდათ გერმანიის ჯარის წინსვლა ომის დასაწყისში), საქართველოში მოაწყობდნენ შეიარაღებულ აჯანყებას (დააპატიმრებდნენ ხელისუფლებისა და საბჭოთა არმიის ხელმძღვანელებს, შსსკ-ის თანამშრომლებს...) და გამოაცხადებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ. ამ საქმეში შეთქმულნი ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებას იმედოვნებდნენ: ფოსტა, ტელეგრაფი, რადიოკვანძები, არსენალი... 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ისინი აქტიურად მუშაობდნენ ახალი წევრების გადაბირებისა და საერთო საქმიანობაში ჩართვისათვის. ამასთან, აგვისტოს ბოლო რიცხვებში გიორგი იმერლიშვილი კიროვაბადიდან ავჭალაში, 35-ე სსპ-ში, გადმოუყვანიათ და ახლა აქ გაუგრძელებია საიდუმლო საქმიანობა. ასე რომ, 1941 წლის ბოლოსთვის მათ უკვე საკმაოდ ბევრი ადამიანი ჰყავდათ გადაბირებული (სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, წევრთა საერთო რაოდენობა 62 კაცი იყო). უკეთესი კოორდინაციისათვის პოლკში მათ შეუქმნიათ „არალეგალური კომიტეტიც“. კოტე ჯოგლიძეს პაროლიც კი მოუფიქრებია: „ვარ უმტკიცესი რვალისა!“ ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ წევრს, გიორგი ქადაგიძეს, დავალებული ჰქონია არალეგალური კომიტეტების შექმნა თელავისა და დუშეთის რაიონებში, რისთვისაც მან ორგანიზაციაში ჩართო თავისი მეგობრები: ადამ ბობღიაშვილი და ალექსანდრე ჭელიძე.*

ორგანიზაციის წევრებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნდათ თბილისთან კავშირი, რის გამოც კოტე ჯოგლიძის დავალებით შალვა შავიანიძე და თურმან შანშიაშვილი დაკავშირებიან თბილისში პარალელურად არსებულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციას (ხელმძღვანელები: მიხეილ კაციტაძე და გიორგი ახობაძე), რომლის დევიზი იყო „საქართველო ქართველებისთვის“. აღნიშნული ორგანიზაციაც ომის დაწყებიდან მალევე შექმნილა და მასში ძირითადად უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები იყვნენ გაერთიანებული (აღნიშნულ პირებს ჯერ კიდევ 1936-37 წლებში ჰქონიათ უნივერსიტეტში არალეგალური სტუდენტური კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ანტისაბჭოთა დაჯგუფება, ხელმძღვანელი და იდეოლოგი მ. კაციტაძე). თბილი-

* ამ პიროვნებების საშუალებით შეთქმულებას უკავშირდება მწერალი ლადო ბალიაურიც (იხ. გვ. 34).

სის ორგანიზაციის წევრები იყვნენ: მიხეილ საბაშვილი, გიორგი თარგამაძე, აბო ფარეშიშვილი, ლევან კვაჭაძე, ვახტანგ შიხაშვილი და სხვები.

შეთქმულებს ორგანიზაციაში ავტორიტეტული პირების ჩართვაც ჰქონიათ განზრახული, რისთვისაც შეეცადნენ, დაკავშირებოდნენ აქტიურ ეროვნულ-დემოკრატ ალექსანდრე კალანდარიშვილს, ადვოკატ ალექსანდრე ასათიანს (ასევე ეროვნულ-დემოკრატი), მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელ დიმიტრი ვიგდაის (სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, იყო „ყოფილი „შავრაზმელი“ და კონტრრევოლუციური მისტიკური რაინდული ორდენის „სულის რაინდების“ (“рыцари духа”) წევრი.

1941 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობისთვის ცნობილი გახდა ამ ორგანიზაციის არსებობა და რეპრესიებმაც არ დააყოვნა. 1942 წლის იანვარ-მარტში ქვეყნისთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდში ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის დააპატიმრეს 33 პიროვნება და სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულში დასდეს ბრალი. 1942 წლის 11-12 სექტემბერს თბილისში, ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა დახურულ სასამართლო სხდომაზე გამოიტანა „განაჩენი №194“ (გასაჩივრების უფლების გარეშე), რომლის თანახმად, შეთქმულთა ნაწილი (გიორგი იმერლიშვილი, კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, კოტე ჯოგლიძე, გიორგი ძიგვაშვილი, შალვა შავიანიძე... სულ 17 კაცი) დახვრიტეს, ნაწილი კი (სულ 12 კაცი) სხვადასხვა დროით (10, 7, 5 და 3 წლით) გადაასახლეს შრომა-გასწორების ბანაკებში, მხოლოდ 3 კაცი გაათავისუფლეს დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო.

1942 წლის შეთქმულთა ორგანიზაციაში შედიოდნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი *მიხეილ ზანდუკელი* და ასპირანტები: *კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი კალანდაძე, ვახტანგ შიხაშვილი, მიხეილ საბაშვილი, გიორგი ქადაგიძე, გიორგი ძიგვაშვილი, მიხეილ კაციტაძე, თურმან შანშიაშვილი, გიორგი ახობაძე, გიორგი იმერლიშვილი, კოტე ჯოგლიძე, ზურაბ მისაბიშვილი, შალვა შავიანიძე;* ენათმეცნიერები და ლიტრატორები: *ლევან კვაჭაძე, გიორგი თარგამაძე, აბო ფარეშიშვილი, თინათინ გონიაშვილი, ნიკიტა ბუაჩიძე, სიმონ გერგიშვილი.*

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ აგრეთვე ორგანიზაციის წევრები: *აქვსენტი უთურგაიძე, ისააკ იმერლიშვილი, სოლომონ იმერლიშვილი, იოსებ იმერლიშვილი, გრიგოლ კოკილაშვილი, დიმიტრი ბურდიაშვილი, გიორგი ახობაძე, ივანე ლაპიაშვილი, რომან ბათიაშვილი, ლევან თორაძე, გიორგი არსენიძე, მიხეილ არეშიძე, გიორგი ციბოლაშვილი.*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გიორგი ქადაგიძე დახვრიტეს. მანამდე, ქადაგიძის დაპატიმრებისთანავე, თბილისს გაეცალნენ ადამ ბობღიაშვილი და მიხეილ (ფანცალე) იმედიძე და თელავის რაიონის ტყეს შეაფარეს თავი, სადაც ახალი ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს.* აქედან იწყება ამ ფართო ანტისაბჭოთა მოძრაობის ახალი ფრთის ამბავი, რომელსაც **„სამანი“** („საქართველოს აღორძინებისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ნაციონალისტები“) ეწოდება.** ორგანიზაციის ძირითადი ცენტრი ზემო ალვანში მდებარეობდა. 1942 წლის ოქტომბერში „სამანის“ მეთაურები (ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ იმედიძე) თუშეთში გადავიდნენ, რათა ორგანიზაცია იქაური წევრებით გაეზარდათ და პარალელურად დაკავშირებოდნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მოქმედ იდრის მაგომედოვის შეიარაღებულ ფორმირებას. პარალელურად კახეთში, ზემო და ქვემო ალვანში მყოფი ორგანიზაციის წევრები გარკვეულ შეიარაღებულ მოქმედებებს გეგმავდნენ და ზოგს ახორციელებდნენ კიდეც. 1942 წლის გაზაფხულზე საომარი მოქმედებები მათ იმედს აძლევდა, რომ 1943 წლისთვის გერმანიის ჯარები კავკასიონის ქედს გადმოლახავდნენ და საქართველოს ბოლშევიკური მთავრობისაგან გაათავისუფლებდნენ. ორგანიზაციის შტაბი იყო სოფელი დოჭუ. ჰქონდათ ორი საყარაულო პუნქტი – ბოჭორნასა და ხახაბოში. მოძრაობას მართავდა ოთხეული: ადამ ბობღიაშვილი, გიგო ქააძე, მიხეილ (ფანცალე) იმედიძე და არჩილ კიტოშვილი. ამავდროულად, ცდილობდნენ ჯგუფის შეიარაღებას. „სამანელთა“ მომხრე უკვე

* ვსარგებლობთ შემდეგი წყაროებით: 1) ჭუმბურიძე დ., კიკნაძე ვ., ქოქრაშვილი ხ., სარალიძე ლ. საქართველო რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში. (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით). წ. 2. თბილისი: მერიდიანი, 2016, გვ. 372-374; 2) ცოცანიძე გ. თუშური ქრონიკები. მენშევიკური პერიოდი; სამანელები. თბილისი: დიოგენე, 2004, გვ. 18-36; 3) ჩხეიძე რ. დაწყევლილი თაობა (სამანი). თბილისი:ლომისი, 1995.

** მიუხედავად იმისა, რომ სახელწოდება „სამანი“ მხოლოდ ამ დროს ჩნდება, დღეს „სამანის“ სახელით მოიხსენიებენ ხოლმე მთელ ამ მოძრაობას.

საკმაოდ ბევრი თუში იყო, თუმც ჰყავდათ მოწინააღმდეგეებიც (რამდენიმე მათგანი, რომლებსაც არ სჯეროდათ შეთქმულთა გეგმების განხორციელებისა, ახსოვდათ რა სისხლიანი 24 წელი და ბოლშევიკური ხელისუფლების სისასტიკე, მოუშორებიათ კიდეც). თანდათან „სამანელები“ ინფორმაციულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ: ვეღარ ახერხებდნენ ორგანიზაციის თბილისში დარჩენილ წევრებთან დაკავშირებას (ბევრი მათგანი უკვე დაპატიმრებული იყო და პროცესი კვალავაც გრძელდებოდა), არც ფრონტზე მდგომარეობის შეცვლის შესახებ იცოდნენ რამე და კვლავ ჰქონდათ იმედი გაზაფხულზე გერმანელების შემოსვლისა. ამიტომაც „სამანელებმა“ დამოუკიდებლად მოქმედება დაიწყეს.

ამასობაში (წლის ბოლოსთვის) ხელისუფლებისათვის ცნობილი გახდა ამ ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ თუშეთის მკაცრმა ზამთარმა მათ აქტიური მოქმედებების საშუალება არ მისცა. ამიტომ შინსახკომმა ჯერ „სამანის“ ბირთვისთვის ხალხის ჩამოშორებაზე იზრუნა, თებერვლის ბოლოს კი დაღესტნიდან თუშეთში ალიოშა კვაშალის მეთაურობით შინსახკომის ჯარი გაგზავნა. არჩილ კიტოშვილის თანაკლასელი, პროფესორი კოტე ჭრელაშვილი იხსენებს: „სასწრაფოდ მდევარი გამოუყენეს: კობე არშაულიძე (დართლოს საბჭოს თავმჯდომარე), იორამე ომიაძე (დართლოს საბჭოს მდივანი), გაბრო ჭაბუკაიძე (დართლოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე), სვიმონ ღუბაქველიძე (ხახაბოდან), მათე წვერაიძე (შტროლთიდან)... (ჭრელაშვილი 1991: 8), მათ დაევალათ, რომ შეთქმულნი ან ცოცხლები შეეპყროთ, ან დაეხოცათ. 1943 წლის 18 მარტს თორღვას ხეობაში ჩახოცეს ადამ ბობღიაშვილი, მიხეილ (ფანცალე) იმედიძე და დევანოზ ამირანიძე. პოეტ ილო ბეროშვილის მოგონების მიხედვით, რომელმაც ზოგი რამ თავად ნახა, ბევრიც ადამ ბობღიაშვილთან ერთად მოკლული დევანოზ ამირანიძის ძმამ, კოტე ამირანიძემ უამბო, საქმის ვითარება ასეთი ყოფილა: „ომალოში თუშები გამოიძახეს, დაავალეს, თუ გინდათ დანაშაული გამოისყიდოთ, დაედევნეთ, ან დააპატიმრეთ, ან ჩახოცეთო. ადამსა და მის რაზმს ხუთკაციანი ჯგუფი დაედევნა. დევნილებმა ორწყალზე გადასვლა მოასწრეს. მდევარნი ერთმანეთს გამოუტყდნენ: დავბრუნდეთ, ვთქვათ – ცერზე გადაგვასწრესო. ერთ-ერთმა, მეხუთემ – მე მაინც გამოვეკიდებიო (ილო ბეროშვილი გვარს არ ასახელებს – „ისე ყველა თუშმა იცისო“). ის მეხუთე მელთქუდის

სამანელი გოგალე ხოხიაიძე და პროფესორი გიორგი ცოცანიძე

ცერზე გადადგა და ბარისახოსკენ მიმავალებიბიდან პირველად ლად ფანცალა იმედიძე მოკლა (კოტე ჭრელაშვილის მიხედვით კი პირველად ადამი მოუკლავთ), კოტე ამირანიძის ძმა, დ ე ვ ა ნ ო ზ ი ც, გ ა მ ო ა ს ა ლ მ ა ს ი ც ო ც ხ ლ ე ს“ (ბ ე რ ო შ ვ ი ლ ი 1999). ადამს და ფანცალეს თავი მოჰკვეთეს და ომალოში სკოლა-ინტერნატის ეზოში ძალით შეკრებილი მოსახლეობის თვალწინ ურმით ჩამოატარეს. ერთ-ერთი ვერსიით, ადამის თავი ამ საქმეზე დაპატიმრებულ ქალს, ევა ოჟილაურს,* დაუდო წინ გამომძიებელმა.** ამ ბარბაროსული ქმედებით, პირველ ყოვლისა, შიშს ნერგავდნენ საზოგადოებაში, მეორე მხრივ, იმავე საზოგადოების ნაწილს არწმუნებდნენ: ყაჩაღები ლიკვიდირებულნი არიან და აი, მტკიცებულებებიცო... მაგრამ თურმე, როცა „დახვრეტილთა თავები

* ევა ოჟილაური – თუშეთში მცხოვრებ შეთქმულთა მეკავშირე, რომლის ბინა იქცა არა მარტო ა. ბობღიაშვილის თავშესაფრად, არამედ ჯგუფის საიმედო დასაყრდენად. ევას ოჯახი ბოლშევიკებმა თითქმის გაანადგურეს. მამა განკულაკებას გადაჰყვა; ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი მისი ანტისაბჭოთა განწყობილებისა; ევას ოჯახში იწერებოდა პროკლამაციები, ინახავდნენ იარაღს.

** გიორგი ცოცანიძის „თუშურ ქრონიკებში“ განსხვავებულ ვერსიას ვკითხულობთ: „მსუბუქად მოიტანეს ბობღიაშვილის და იმედიძის თავები (კვაშალთან). თავებს სურათები გადაუღეს და მერე იმავე ზურგჩანთებით, რითაც მოიტანეს, ომალოს კლდეებში გადაყარეს... გადაყრილი თავები მალულად ამოუტანია რეზო იჭირაულს, იქვე, მამულების განაპირას, ორმო ამოუჭრია და დაუმარხავს. ხანი რომ გავიდა, მეორე-მესამე წელს, მაშინღა გვითხრა, აქ დავმარხე, აქ არიანო. ჩვენ, ბალღები, გავდიოდით, ზედ ქვებს ვანყობდით“ (ცოცანიძე 2002: 33).

წინ დაუწყვეს ომალოში შეკრებილ მოსახლეობას, თანაც გამარჯვებულთა მზერა მიმოავლეს თავდახრილ თუშებს, აქა-იქ ყრუდ გაისმა მანდილოსანთა ქვითინი“ (ჭრელაშვილი 1991). კვაშალმა შესთავაზა შეკრებილ ხალხს, ვისაც რამე კავშირი გქონდათ შეთქმულებთან და გინდათ მთავრობას შეურიგდეთ, სიაში ჩაეწერეთო. ხალხმა დაუჯერა. სიის შედგენას რომ მორჩენილან, ჯარს ალყა შემოურტყამს ეზოსთვის და ყველა დაუპატიმრებია. მარტის ბოლოს 52 პატიმარი თელავში ჩაუყვანიათ. ქაალე და კიტოშვილი მაშინვე თბილისში გაუგზავნიათ, დანარჩენების საქმეების გამოძიება კი იქვე დაუწყიათ.

როგორც ცნობილია, მოგვიანებით დახვრიტეს გიგო ქააძე, არჩილ კიტოშვილი, ელიზბარ აბაშიძე, გოგალე მინდიძე, ილია (ილიკო) ცისკარიშვილი, გიორგი ვეშაგულიძე; სუკის საკნებში გარდაიცვალნენ ივანე არინდაული, ირაკლი გარსევანიშვილი, როსტომ ბეგოიძე; დახვრეტას გადაურჩნენ და გადაასახლეს: აბაშო აბაშიძე, კიმოთე ლაგაზიძე, ამირან ქადაგიძე, ევა ოჟილაური, ივანე თუგიშვილი-ცისკარიშვილი, სამსონ სულაკაური, ფირუზ ბაქურიძე, არჩილ მამუკელაშვილი, კიმოთე ლუხუმიძე, ილია ჭარელიშვილი, ვახტანგ ცისკარიშვილი, გაბრიელ ლაგაზიძე, ივანე იმედიძე, იოსებ ბეთუმიშვილი, დიმიტრი ბაკურიძე, ბესარიონ ყვითელაშვილი, ფირუზ ბაკურაძე, ზაქარია ფილიშვილი. მათგან მხოლოდ ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში.

შეთქმულთა სახელის დასაკნინებლად სუკის აგენტურა ყოველმხრივ ცდილობდა მათზე უმსგავსო ჭორების გავრცელებას, რომელსაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ცნობილი ინტელექტუალებიც (!) იმეორებდნენ, მაგრამ სანთელ-საკმეველმა გზა არ დაკარგა... დღემდე ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდა ამ განწირულ თაობას, ბევრი დაიწერა მასზე. ამის დასტურია როსტომ ჩხეიძის წიგნი „დაწყევლილი თაობა“, რევაზ კვერენჩხილაძის, ლეო კვაჭაძის, თინათინ თუშმალიშვილის, სილოვან ნარიმანიძის, ოთარ ჩხეიძის, ტ. ჯოგლიძის, გიორგი ცოცანიძის წერილები თუ ნარკვევები, ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „გეგათ ოლა“.*

* გეგათ ოლა, მოხუცი ქალი, ტყეში შემთხვევით „ყაჩაღებს“, ილოსა და ვანოს, გადააწყდა. დიდსა და პატარას პირზე ეკერათ: „ილო და ვანო მწყემსებს დასცემიან მთაში და ორმოცი მარტო სულ ნარჩევი ჭედილა წაურთმევიათო!.. ნატბერავზე ცხავერელი ოსები დახოცესო... სხვა კიდევ ამაზე უარესი ხმები დადიოდა ილოსა და ვანოზე“... გეგათ ოლას „ყაჩაღებმა“ საჭმელი სთხოვეს...არავის გააგებინა გეგათ ოლამ ეს ამბავი, ისე გაუმზადა სანოვაგე და ხორაგით სავსე კალათა ჩუმად დაუდო ტყეში... გადიოდა დღეები, თვეები. გეგათ ოლას საკუთარ სადარდებელს ილოსა და ვანოზე

როსტომ ჩხეიძის წიგნის „დაწყევლილი თაობა“ შესავალშივეა მინიშნებული ამ ტრაგედიის საგულისხმო შტრიხები: „გარსევან კურდღელაიძის სახელი სამანელთა ტრაგიკული თავგადასავლის მოსმენისას ჩამრჩა ხსოვნაში. თვითონ იგი სამანელი არ ყოფილა. პირიქით, მოწინააღმდეგე ჩანდა, რადგან მათ შორის ერია, ვინც თელავის ჩეკას უფროსმა, ალექსი კვაშალმა მიუგზავნა ეროვნული მოძრაობის თავკაცებს სოფელ დოჭუში: თქვენი საქმე წასულია, ნუღარც გერმანელების იმედი გექნებათ და ნუღარც სხვისი, შემოგვიერთდით და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთო. იმათ ძალიან უთაკილიათ ეს შემონათვალი და შუამავლებისათვის დაუბარებიათ: საბჭოთა აგიტაცია ჩვენზე არ მოქმედებს და ვინც მოგიტყუებიათ, ისინი მოატყუეთო; არადა სამანელთა მოძრაობა მძიმე დღეში იყო: ზოგი მომხრე განუდგათ, ზოგი ჩეკამ შეიპყრო, მაგრამ ძირითადი ნაწილი ხელისუფლებასთან შერიგებას არ აპირებდა. საბოლოოდ კი საბედისწეროდ დასრულდა სამანელთა ბრძოლა თავისუფლებისათვის, ასე დაიმსხვრა მათი იმედები“.

გარდაუვალი მსხვრევისთვის განწირულ, ილუზორულ, მაგრამ გულწრფელ, უანგარო იმედებს შეეწირა ნიჭიერი, უდავოდ კარგი მომავლის მქონე თაობა. ისტორიას კი დაუტოვეს რეჟიმთან დაუმორჩილებლობის და თავგანწირვის მაგალითი. მარტო იმ 17 „შეთქმულთა“ შორის, რომლებიც დახვრიტეს, 11 ასპირანტი იყო; გადარჩენილთა შორისაც იყვნენ მომავალი მეცნიერები, პროზაიკოსები, პოეტები... ზოგმა მოასწრო კიდევაც საჯაროდ საკუთარი სიტყვის თქმა, ბევრი კი დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო მკითხველი საზოგადოებისათვის და მათმა შემოქმედებამ დღის სინათლე მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის დამსხვრევის შემდეგ იხილა...

წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანის პორტრეტს:

და სანოვაგე და ხორაგით სავსე კალათა ჩუმად დაუდო ტყეში... გადიოდა დღეები, თვეები. გეგათ ოლას საკუთარ სადარდებელს ილოსა და ვანოზე დარდიც შეემატა. როცა შვილებს, შვილიშვილებს, შინაურს და გარეულს ავედრებდა ღმერთს, აუცილებლად დაამატებდა: „ის საწყლებიც – ილო და ვანოო“... მოხუცს სჯეროდა, მათზე რასაც ამბობდნენ, კაცს დასცემიან, ვიღაც უცემიათო, მაგრამ ქვეცნობიერად ვანოსა და ილოს მაინც დამცველად უდგებოდა. ხალხი დაარწმუნეს, ილომ და ვანომ ერთმანეთი დახოცესო... გორგიჯანოვმა ბრძანება გასცა, მოკლულებს „თავები დააჭერით და აქ ჩამოიტანეთო“... შეუსრულეს ნაბრძანები... მათი თავების დამარხვაც კი აკრძალეს, მაგრამ ეს საქმე გეგათ ოლამ აღასრულა და როცა შვილები შეეწინააღმდეგნენ, ციხეში ხო არ უნდა ამოალპობინო ჩვენი თავი გორგიჯანოვსო, თმაგაწეწილმა ქალმა თავისი საცვალი აუფრიალა ცხვირწინ შეშინებულ კაცებს და შეარცხვინა: „დასჭერით და ქუდები შეიკერეთო“...

მანანა შამილიშვილი

დრამატული ეპიზოდი კომედიოგრაფის ცხოვრებიდან (კიტა ბუაჩიძე)

ცნობილი ქართველი დრამატურგი კიტა მიხეილის ძე ბუაჩიძე დაიბადა 1914 წლის 21 სექტემბერს, ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალში. უმაღლესი განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. სწავლობდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დაამთავრა. სწავლის პერიოდში აქტიურად ჩაერთო ანტისაბჭოთა საქმიანობაში. უნივერსიტეტის დამთავრების წელს გაწევრიანდა კონტრრევოლუციურ ორგანიზაცია „სამანში“, რომელიც საბჭოთა სისტემისადმი კრიტიკულად განწყობილ პედაგოგებსა და სტუდენტებს აერთიანებდა. როგორც ცნობილია, შეთქმულები გასცეს, ორგანიზაციის წევრები დააპატიმრეს, მოთავეები კი სასტიკად დასაჯეს. ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა კიტა ბუაჩიძეც.

მისი პატიმრობის საქმე „სამანელთა“ დაკითხვის ოქმებს შორის მოვიძიეთ. მსჯავრდებული მწერალი მხილებულია კონტრრევოლუციურ საქმიანობაში. საიდუმლო დაჯგუფებაში სათანამშრომლოდ იგი მეგობარს გადაუბირებია, ამავე საქმეში ბრალდებულ გიორგი ძიგვაშვილს. მასვე დაუსმენია. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ძიგვაშვილის ჩვენებით ამხილეს კიტა ბუაჩიძე. თუმცა, მწერალს თავიდანვე შეუტანია ეჭვი მეგობრის ღალატში. საკუთარ თავზე გამოუცდია გამომძიებელი მარქაროვის დაუნდობლობა და სისასტიკე. მოგვიანებით, როცა წარსულის მტკივნეულ რეალიებს იხსენებდა, 1956 წლის საქარ-

თველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომაზე ყვებოდა, რა ძლიერი ფიზიკური ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა დაკითხვებისას, როგორ გახდა იძულებული, საკუთარი ხელით ეწერა განცხადებები, რომელთაც მარქაროვი კარნახობდა: „...ის ძიგვაშვილის ჩვენებების მიხედვით აფორმებდა ჩემი დაკითხვის ოქმებს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ძიგვაშვილის ჩვენებებიც მარქაროვის შედგენილ-გამოგონილი იყო“.*

საკუთარი გასამართლების ამბავს რომ იგონებდა, კიტა ბუაჩიძე გამომძიებლის მხრიდან მის მიმართ განხორციელებულ მძიმე ფსიქოლოგიურ წნეხზე მიუთითებდა:

„სასამართლოს წინ მარქაროვმა გამომიძახა და მითხრა: სასამართლოზე როგორ მოიქცევიო. სიმართლეს ვიტყვი-მეთქი, მეცა – ჩემს ხელში ხარ და ისე მოვაწყობ, დაგხვრეტენო..

მარქაროვი პროცესს ესწრებოდა და ტრიბუნალის თავმჯდომარეს წერილს სწერდა; ... გამომძიებელი მარქაროვი სასამართლო სხდომებზე მუდამ მაგონებდა წინასწარი გამოძიების საშინელებებს და მე ვერ ვიპოვე ძალ-ღონე უარი მეთქვა წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებებზე“.**

დაკითხვის ოქმიდან ჩანს, რომ ორგანიზაციაში ახალგაზრდა დრამატურგის როლი საძიებო საქმით შემოიფარგლებოდა. მას უნდა შეეგროვებინა ინფორმაცია მთავრობის ცალკეულ წევრთა შესახებ და გამოერკვია, რა ურთიერობა ჰქონდათ ერთმანეთთან. დაპატიმრებული მწერლის მდგომარეობას ამძიმებდა ის გარემოებაც, რომ ძმა რეპრესირებული ჰყავდა, „ხალხის მტრის“ ბრალდებით იყო გასამართლებული (დამოწმებულ საარქივო დოკუმენტს ქვემოთ უცვლელად გთავაზობთ). ანტისაბჭოთა საქმიანობაში მხილებულ კიტა ბუაჩიძეს მიუსაჯეს შვიდი წლით გადასახლება და სამი წლით ჩამოართვეს სამოქალაქო პოლიტიკური უფლებები.

მიუხედავად ახალგაზრდა ასაკში ასეთი მძიმე ხვედრისა, პოეტსა და დრამატურგს აქტიური შემოქმედებითი საქმიანობა არ შეუწყვეტია. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავ-

---

* რ. კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011, გვ. 448-449.
** იქვე, გვ. 449.

ლობაში ნაყოფიერად მუშაობდა და საინტერესო თხზულებებით ამდიდრებდა ქართულ მწერლობას. პოეზიაში ბედი 13 წლისამ სცადა. მისი პირველი ლექსი 1927 წელს დაიბეჭდა, პირველი პიესა კი 1931 წელს დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. დიდი წარმატება ხვდა წილად კიტა ბუაჩიძის კომედიებს, განსაკუთრებით პიესას „ეზოში ავი ძაღლია!“. იგი დღემდე უცვლელად შედის ქართული თეატრების სასცენო რეპერტუარში და კვლავაც იმსახურებს მაყურებლის მოწონებასა და სიყვარულს.

სხვადასხვა დროს ქართულ სცენაზე დაიდგა დრამატურგის არაერთი ნაწარმოები, მათ შორის: „მკაცრი ქალიშვილები“, „ვარდი ასფურცლოვანი“, „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“, „ამბავი სიყვარულისა“ და სხვა. კიტა ბუაჩიძე ცნობილია, აგრეთვე, თავისი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილებით, რომლებშიც მწვავე პოლემისტად გვევლინება. მის კალამს ეკუთვნის გახმაურებული კრებულები: „შავი წიგნი, ანუ ყოველ ერს თავისი სატკივარი აქვს, ან კიდევ: წამხედურობამ ქვეყანა ამოაგდო...“ (1990), „შავზე შავი წიგნი, ანუ როცა ბედი წყდება საქართველოსი...“ (1996), „ვიღუპებით“ (1999). ამ კრებულებში თავმოყრილ წერილებში ავტორი მსჯელობს ქვეყნისთვის საჭირბოროტო პრობლემებზე, მწვავე სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე, საკუთარ გულისტკივილს უმხელს მკითხველს და შექმნილი სირთულეებიდან გამოსავალ გზებს სთავაზობს. მამხილებელი ტონი, ბასრი ენა გამოარჩევს აღნიშნულ თხზულებათა ავტორს, რომლის თვალთახედვით დანახული საზოგადო სატკივარი, თუნდაც ზოგჯერ მეტისმეტად სუბიექტური (ბევრისთვის შეიძლება საკამათო ან, სულაც, მიუღებელი), სამშობლოს კეთილდღეობაზე ფიქრითაა ნასაზრდოები.

კიტა ბუაჩიძე გარდაიცვალა 2000 წელს 85 წლის ასაკში. ქართულმა თეატრალურმა და სამწერლო საზოგადოებამ 2014 წლის 18 მაისს საზეიმოდ აღნიშნა ღვაწლმოსილი დრამატურგის დაბადების 100 წლისთავი.

შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო № 42, 1549-07, ტ. 56, ყუთი № 350, 359, 352, 353 – „სამანის“ საქმე

ბუაჩიძე ნიკიტა (კიტა) მიხ. ძე
დადგენილება

დაპატიმრებაზე

ქ. თბილისი, 23 იანვარი, 1942 წ.

მე, შსსკ საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების მე-5 განყოფილების უფროსმა, სახელმწიფო უშიშროების უფროსმა ლეიტენანტმა მარქაროვმა

განვიხილე რა სსსრ შსსკ-ში შემოსული ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძის, დაბადებული 1914 წელს, ს. ხარაგაული, ქართველი, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, ახალგაზრდა დრამატურგი, ჰყავს რეპრესირებული ძმა, ხალხის მტრის ბრალდლებით გასამართლებული, მცხოვრები მისამართზე: ბროსეს ქუჩა № 8, მამხილებელ-დანაშაულებრივი მასალები,

ვპოვე:

ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე, ანტისაბჭოურად განწყობილი, გადაბირებული იქნა კონტრრევოლუციურ ფაშისტურ – მეამბოხე ორგანიზაციაში, ეწეოდა აქტიურ კ/რ მუშაობას, მხილებულია გიორგი ძიგვაშვილის ჩვენებებით, რომელმაც აღიარა კ/რ ორგანიზაციაში მონაწილეობა.

დავადგინე:

ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე, მცხოვრები ბროსეს ქუჩა №8-ში, იქნას გაჩხრეკილი და დაპატიმრებული.

ოპერრწმუნებული – სსსრ შსსკ სპგ-ს მე-5 განყ. უფრ.
სახ. უშიშროების უფრ. ლეიტენანტი მარქაროვი

„ვეთანხმები“ – საქ.სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე

დადგენილება

აღმკვეც ზომის არჩევისა

ქალაქი თბილისი, 23 იანვარი, 1942 წ. მე, სსსრ შსსკ საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების მე-5 განყოფილების უფროსმა, სახ. უშიშროების უფროსმა ლეიტენანტმა მარქაროვმა განვიხილე სსსრ შსსკ-ში შემოსული მამხილებელი დანაშაულებრივი მასალები:

გვარი: ბუაჩიძე
სახელი და მამის სახელი: ნიკიტა მიხეილის ძე
დაბადების წელი: 1914
დაბადების ადგილი: ს. ხარაგაული
პროფესია და სპეციალობა: დრამატურგი
სამსახურის ადგილი და თანამდებობა: (არ არის მითითებული)
პარტიულობა: უპარტიო
განათლება: უმაღლესი
ეროვნება: ქართველი
ქვეშევრდომობა: სსრკ
ოჯახური მდგომარეობა: დაუოჯახებელი
მისამართი: ბროსეს № 8

ვპოვე: რომ ბუაჩიძე ეჭვმიტანილია დანაშაულში, გათვალისწინებული სსსრ სისხ. სამ. კოდ. 58/10, 58/11 მუხლებით. მივიღე რა მხედველობაში, რომ ბუაჩიძის თავისუფლებაში ყოფნა ზეგავლენას მოახდენს ძიების პროცესზე და ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ დროებ. წეს. 44-ე და 49-ე მუხლებით,

დავადგინე:

ძიებისა და სასამართლოსგან თავის არიდების მიზნით, ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძეს აღმკვეც ზომად აერჩიოს პატიმრობა, რის შესახებ გამოეცხადოს პატიმარს ამავე დადგენილებაზე ხელმოწერით, თანახმად საქ. სსრ დროებ. წეს. 45-ე მუხლისა.

თანახმად საქ. სსრ დროებ. წეს. 50-ე მუხლისა, დადგენილების ასლი გადაეგზავნოს პროკურორს და გადაეცეს ციხის უფროსს, პატიმრის პირად საქმეზე დასართავად.

გამომძიებელი: სსსრ შსსკ სპგ-ს მე-5 განყ. უფრ.
სახელმწიფო უშიშროების უფროსი
ლეიტენანტი მარქაროვი

„ვეთანხმები“: საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი
სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე

დადგენილება მე გამომეცხადა: (არაა ხელმოწერილი)

დადგენილება

ბ რ ა ლ დ ე ბ ი ს წ ა რ დ გ ე ნ ი ს ა

ქალაქი თბილისი, 1942 წ., 28 თებერვალი,

დღეს მე, საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების მე-5 განყოფილების უფროსმა, სსსრ შსსკ სახ. უშიშროების უფროსმა ლეიტენანტმა მარქაროვმა განვიხილე კვლევა-ძიების მასალა საქმეზე 1964 და მივიღე რა მხედველობაში, რომ ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე საკმაოდ მხილებულია მასშიდ, რომ 1941 წ., ქვეყანაში განსაკუთრებით დაძაბული ვითარებისას, როდესაც გერმანულ ჯარებს მოსკოვზე მიჰქონდათ იერიში, გაწევრიანდა კ/რ არალეგალურ ნაციონალისტურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა, შეიარაღებული აჯანყების გზით დაემხო საბჭოთა ხელისუფლება და დაემყარებინა „დამოუკიდებელი საქართველო“. ორგანიზაციაში გადაიბირა თავისმა ამხანაგმა, ამავე საქმეზე ბრალდებულმა, ძიგვაშვილმა გიორგიმ, რომლისგანაც მიიღო დავალება, შეესწავლა საქ, სსრ მთავრობის ცალკეულ წევრებს შორის დამოკიდებულება.

დავადგინე:

ვიხელმძღვანელე რა საქ. სსრ დროებითი წესების 36 მუხ. მიცემულ იქნეს პასუხისგებაში ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე.

სისხ. სამ. კოდ. მუხ. მუხ. 58/10-ის II ნაწ.ა 58/11. რის შესახებ გამოეცხადოს პატიმარს ამავე დადგენილებაზე ხელწერის ქვეშ.

ასლი ამ დადგენილებისა, თანახმად საქ, სსრ დროებითი წესების 45 მუხ., გადაეგზავნოს პროკურატურას.

გამომძიებელი
„ვეთანხმები“ – გან-ბის უფროსი სსსრ შსსკ
სპგ-ს მე-5 განყ. უფრ. სახ. უშიშროების უფრ.
ლეიტენანტი მარქაროვი

აღნიშნული დადგენილება გამომეცხადა: 28 /II 1942 წ.

ბრალდებულის ხელის მოწერა: ბუაჩიძე (ხელმოწერილია რუსულად)

ვადასტურებ: მარქაროვი (ხელმოწერილია რუსულად)

ზოია ცხადაია

გიორგი ძიგვაშვილი

გიორგი ძიგვაშვილი დაიბადა 1917 წელს, ვანის რაიონის სოფ. ციხესულორში. 1935 წ. შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლებში გაიწვიეს წითელ არმიაში, მონაწილეობდა დასავლეთ უკრაინის განთავისუფლების ოპერაციებში; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში. მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო მრავალმხრივ განსწავლული მეცნიერი, მწერალი და პედაგოგი, პროფესორი ერეკლე ტატიშვილი, უნივერსიტეტში ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ფუძემდებელი. გიორგი ძიგვაშვილი სტუდენტობის წლებშივე დაეუფლა ინგლისურ ენას ისე, რომ შესანიშნავად თარგმნიდა მისთვის საინტერესო პოეტურ ტექსტებს. მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი, პოეტი (შემდეგ თავადაც რეპრესირებული) ლადო სულაბერიძე წლების შემდეგ ასე გაიხსენებს ტრაგიკულად დაღუპულ თავის თანატოლსა და მეგობარს: „ბატონი ერეკლეს ერთ-ერთი რჩეული მოსწავლეთაგანი იყო გიორგი ძიგვაშვილი... მუშაობდა თავაუღებლად... საჯაროში მისვლა იმიტომ მიხაროდა, ძიგვას ვნახავდი (ძიგვას ვეძახდით მეგობრები). შუაღამისას ბიბლიოთეკიდან გამოვდიოდით და ფეხით გავუყვებოდით ორთაჭალისკენ. ის თათრის მოედანზე ცხოვრობდა ბიძასთან, ერთ ოთახში... სხვაზე უკეთესი სტუდენტი რომ იყო, ამით თავი არ მოჰქონდა... საშუალოზე უფრო დაბალი ტანის იყო, უფრო ჩიაც, ძვალმსხვილობისა და ათლეტურობისა არა ეტყობოდა რა. მიმზიდველი გარეგნობისა კი იყო, სახე ჰქონდა ნათელი

და მუდამ შუქიანი. თვალებიდან სულ სიკეთისა და სიწმინდის ელფერი გამოუკრთოდა. მართლაც ასეთი იყო, მართლა კეთილი და წმინდა“ (სულაბერიძე 2000: 71).

ლადო სულაბერიძემ, გარდა იმისა, რომ საინტერესო და გულთბილი ესეი უძღვნა თავის სიყრმის მეგობარს, სხვა მხრივაც შეუწყო ხელი მის დაბრუნებას ქართულ სალიტერატურო სივრცეში. მისი ინიციატივით გამოქვეყნდა გიორგი ძიგვაშვილის რამდენიმე ლექსი და თარგმანი „ლიტერატურულ საქართველოსა“ (25.X.1988) და „მნათობში“ (1990, 7), ასევე, კრებულში „პოეზია“, ხოლო 2000 წელს წიგნად გამოიცა ლადო სულაბერიძის მიერ შედგენილი გიორგი ძიგვაშვილის ლექსების კრებული „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე“. გიორგი ძიგვაშვილი, – წერს ლადო სულაბერიძე კრებულის ბოლოსიტყვაში, – ერთ-ერთი ტრაგიკული ბედის „ჩვენთაობელია“ და, მადლობა ღმერთს, დღეს უფლება გვეძლევა, ამგვარი ბედის ადამიანებზე ვილაპარაკოთ, ვიზრუნოთ, გამოვამზეუროთ მათი ნამოღვაწარი. გიორგის არქივი დაკარგულია. ვერსად აღმოვაჩინეთ. რაც რამ გამოქვეყნებული ჰქონდა ჟურნალებში – ორგინალური და თარგმნილი ლექსები – თავი მოვუყარეთ და ერთი მცირე ფორმატის, მაგრამ დიდად საინტერესო კრებული შედგა“... (სულაბერიძე 2000: 74).

1984 წელს, რეაბილიტაციამდე ოთხი წლით ადრე, „სიყვარულის წიგნში“ „ცენზურის თვალის ახვევით“ დაიბეჭდა გიორგი ძიგვაშვილის მიერ თარგმნილი რობერტ ბერნსის ლექსი. ამასთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძე წერს: „თუმცა ოფიციალური რეაბილიტაცია ჯერაც იგვიანებდა, შემდგენლები იმას ვეღარ დაელოდებოდნენ და საკუთარი პასუხისმგებლობით შეეცდებოდნენ უსამართლობის გამოსწორებას. ის მეტად თვალშისაცემი იქნებოდა, გიორგი ძიგვაშვილის ორიგინალური სატრფიალო ლექსიც რომ შეეტანათ კრებულში, ვთქვათ, „შეხვედრა“, რომლის პირველივე სტრიქონებსაც მკაფიოდ ეტყობა, რარიგ დამშვენდებოდა ეს ლექსი „სიყვარულის წიგნს“:

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა –
ღამით შევხვდი და არ დამიღამდა,
შუქი კმაროდა მისი,

დავიწყე, მაგრამ თითონ დამასწრო:
– ცოლად გამომყე, ქალო ლამაზო,
ამას მეტყვიო, ვიცი.

მაგრამ ამ ლექსის ცენზურისათვის, აბა, რა მნიშვნელობა ექნებოდა – წითელი ფანქრით გადახაზ-გადმოხაზავდნენ და კვლავ დაუბრუნებდნენ. ბერნსის ავტორიტეტს კი მარჯვედ ამოეფარა და წითელ ფანქარსაც ასე დაუსხლტა (ჩხეიძე 2000: 3).

შეიძლება ითქვას, ასე, ინიციალებით, ამოეფარა გიორგი ძიგვაშვილის სახელი მირზა გელოვანის ფრონტზე დაწერილ მისდამი მიძღვნილ ლექსს „მეგობარ პოეტს“, რომელიც მირზას პოეტურ კრებულებში არაერთხელ დაბეჭდილა და მიძღვნის ადგილას მხოლოდ ინიციალები იყო აღნიშნული: „გ. ძ...ს“. მირზამ არ იცოდა, რომ გიორგი უკვე დახვრეტილი იყო, იგი ომში ეგულებოდა. რა თქმა უნდა, მას არავინ მისწერდა ამის შესახებ – ჯერ ერთი, ტაბუდადებული თემა იყო, მერედა, გულსაც არ ატკენდნენ... მისი მთელი ტექსტი გაჯერებულია მონატრებით, სიყვარულით, სინანულით, შიშით, რომ „დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი, ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟოს“:

იქნებ იმისთვის, რომ საკუთარი
იყავი გულით და გარეგნულად,
იქნებ იმისთვის, რომ მე სხვაგვარი,
შენ სხვაგვარი გზა ბედმა გარგუნა,
რომ შენი მწარე, ქილიკი ენა
მე არ შემეძლო ახლოს მეთმინა,
იქნებ იმისთვის, რომ შენ ერთხელაც
არ მომიგონებ ასე კეთილად, –
მე შენ გეძახი... სადა ხარ ეხლა,
სად იქნევ მკლავებს, ბრძოლას უჩვევი...
ამაღამ მტერთან მომიწევს შეხლა,
და იქნებ ტყვიას ვერც გადვურჩები.
ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს,
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს,

...და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
არ შორდებოდა ძალ-ღონე მიხდილს,
ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს,
ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში,
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს, –
მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
გისაყვედუროს, გაგკიცხოს შორით,
თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს.
(19.2.43 წელი, ფრონტი)

1994 წელს გამოცემულ წიგნში „სამება“ დაიბეჭდა გიორგი ძიგვაშვილის ლექსებიც: „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე“, „ღამე ოპერის ბაღში“ და „შეხვედრა“.*

გიორგი ძიგვაშვილის პოეზიაში ძირითადად სატრფიალო და პატრიოტული მოტივებია გულწრფელად და სათუთად წარმოსახული. „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე“ შესანიშნავად გამოხატავს ახალგაზრდა პოეტის ეროვნულ სულისკვთებას, წარსულთან მის მამულიშვილურ დამოკიდებულებას. ცხრა ძმა ხერხეულიძის ლანდებთან საუბარში იკვეთება მისთვის ესოდენ სათაყვანებელი საქართველოს წარსული:

ამ ქვებს რომ ხედავ, ზმებს და ანდაზებს,
ბევრი ცრემლს ითხოვს, ბევრიც შენდობას.
აქ საქართველოს სძინავს გარდასულს,
მის დიდ დარდებს და დიდ უბედობას...

... სანამ ცოცხალ ვართ, – თქვენთან ვიქნებით,
მოვკვდეთ, დაგვმარხონ თქვენსავ მდგმურებად...
შავს ნუ მოისხამთ მაინც, ბიჭებო, –
თეთრი აპრილი დაგემდურებათ....

* „სამება“. რედაქტორ-გამომცემლები ა. მირიანაშვილი, ს. ნარიმანიძე, თბილისი: 1994

ნიჭიერ, იმედისმომცემ ახალგაზრდას აღარ დასცალდა, გაეგრძელებინა საყვარელი საქმე. თავისუფლების წყურვილმა იმ გზით წაიყვანა, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა მისთვის და მასავით გულანთებული თანამოაზრეებისათვის. ალბათ, ყველა მათგანის სათქმელი იწინასწარმეტყველა ჭაბუკმა პოეტმა ლექსში „სიმღერა ამირანზე“:

– სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
ელვა კრთოდა ჩემი ხმლისა.
ვკვდები, მაგრამ ჯავრი მიმაქვს
ერთი დევის, ვერაგისა.

საქართველოს ბედზე ფიქრი, როგორც ირკვევა, პირველად კიროვაბადში (განჯა), 83-ე მსროლელ პოლკში დაუწყიათ 1941 წლის ივნის-ივლისში გაწვეულ მეთაურებს: გიორგი იმერლიშვილს, კოტე ხიმშიაშვილსა და ილია სეფაშვილს. აგვისტოში ეს ოფიცრები, როგორც მათი საქმებიდან ირკვევა, საქართველოში განლაგებულ ქართულ დივიზიაში გადმოიყვანეს. სწორედ აქ, ავჭალაში განლაგებულ 35-ე სათადარიგო ლეგიონის მეთაურებში აღმოაჩინეს მათ თავიანთი საქმის თანამგრძნობნი, ეროვნული მოძრაობის ენთუზიასტები: კონსტანტინე ჯოგლიძე, შალვა შავიანიძე, გიორგი ძიგვაშვილი; ცხადია, რომ ისინი ანტისაბჭოთა პოზიციებზე იდგნენ. შეთქმულთა ჩანაფიქრი ასეთი იყო: მზად ყოფილიყვნენ, გერმანიისა და საბჭოთა არმიების შეჯახებისათვის ხელი შეეშალათ და გადაერჩინათ ჩვენი ქალაქები და სოფლები დანგრევისაგან, მოსახლეობა – გაჟლეტისაგან. გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, ზოგიერთის აზრით, ინგლისსაფრანგეთზე ორიენტაციით, სხვების მიხედვით – გერმანიის პროტექტორატით. ისინი ცდილობდნენ, განზრახვა საიდუმლოდ შეენახათ, არ აჩქარებულიყვნენ და დახმარების ნაცვლად ზიანი არ მიეყენებინათ ქვეყნისა და ხალხისათვის; როცა 1941 წლის მიწურულს საბჭოთა ჯარებმა სასტიკი დარტყმებით უკუაქციეს გერმანელები, შეთქმულები მიხვდნენ, რომ საბჭოთა იმპერიის დამარცხება ადვილი არ იყო. ამიტომ ამბოხე-

ბა გამოირიცხა, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ამბოხების ბრალდებით დასაჯეს.

პატიმარ **კოტე (კონსტანტინე) ჯოგლიძის** ჩვენებიდან (საქმე №1964, ტ. 2. ფურც. 525)

კოტე ჯოგლიძე აღნიშნავს, რომ მასთან დაახლოებულმა პირმა, ბრალდებულმა გ. იმერლიშვილმა, ჰკითხა, თუ იცნობდა მათი საერთო აზრის მქონე სანდო პიროვნებას. მან პასუხად უთხრა, რომ ასეთი აზრის სხვაც შეიძლება ყოფილიყო. სხვაში კ. ჯოგლიძე გ. ძიგვაშვილს გულისხმობდა:

„...მე მხედველობაში მყავდა გ. ძიგვაშვილი. ამ უკანასკნელის აზრს მე ვიცნობდი ჩვენი პირადი საუბრებიდან, განსაკუთრებით კი საუბრიდან, რომელიც ეხებოდა ომს, მის მოსალოდნელ შედეგებს და საქართველოს ბედს იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. იმერლიშვილმა მითხრა, თუ ასეთი ხალხი გეგულება, გამაცანი და ერთად ვისაუბროთ ამგვარ საკითხებზეო. მე როგორც მახსოვს, მას ძიგვაშვილის გვარი დავუსახელე. აგრეთვე ძიგვაშვილსაც ვუთხარი, ამგვარი საკითხებით სხვაც არის დაინტერესებული-მეთქი, რაც მან დიდის ინტერესით მიიღო. თუმცა ისინი ერთმანეთს მანამდისაც იცნობდნენ, მაინც იმერლიშვილმა მითხრა, შენთან ერთად თუ იქნება, თორემ ცალკე ასეთ საკითხზე აგრე პირდაპირ მე ვერ მივალო, მე ეს შევასრულე... ჩემი მგზავრობისას ავჭალიდან თბილისამდის იმერლიშვილთან და **ძიგვაშვილთან**, მე მათ ჩამიყვანეს თბილისში ტრამვაის გაჩერებასთან არა პირდაპირ შარაგზით... არამედ გორაკებიდან ღელეში...

საუბრისას ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდა ძიგვაშვილი... იმერლიშვილი და ძიგვაშვილი ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ამ წრეში ცენტრალური ადგილი მე მჭეროდა... პრაქტიკული საკითხი ჩვენს წრეში არ დასმულა... იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრე, სადაც თავისუფლად შეიძლებოდა ლაყბობა ყოველგვარ საკითხზე. იყო ლაპარაკი ასეთ საკითხზე უმთავრესად: რა უნდა ქნას კაცმა იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა. ყველანი, თუ არ ვცდები, იმ აზრისანი ვიყავით, რომ თუ მართლაც ეს ასე მოხდებოდა და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დაისმებოდა, მაშინ ჩვენ მომხრე ვიქნებოდით

საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა გერმანიისაგან. ეს ყოველივე ხდებოდა, ვიდრე გერმანია წინ მოიწევდა ჩვენს ტერიტორიაზე და ჩვენი ჯარები ახირციელებდნენ დროებით უკანდახევას. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამხანაგმა სტალინმა სიტყვა წარმოსთქვა და შემდეგ ომის სრული შემოტრიალება დაიწყო, მე ვუთხარი მათ საერთოდ, რომ ჩვენი უადგილო საუბრები, როგორც ვხედავთ, სისულელე იყო და ამიერიდან ასეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ-მეთქი. მართლაც, მას შემდეგ ჩვენ არც პირად საუბარში, არც ერთად ყოფნისას აღნიშნულ ლაყბობას არ დავბრუნებივართ.

რაიმე ორგანიზაციის არსებობის შესახებ იმერლიშვილს ჩემთვის არასოდეს არაფერი უთქვამს, არ უთქვამს არც ძიგვაშვილს. ისე კი ორივენი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი სხვანიც იქნებიანო, მაგრამ მათთვის არასოდეს მიკითხავს, თუ ვინ იქნებოდნენ და არც მათ უთქვამთ რაიმე ამის შესახებ“.

გასათვალისწინებელია ის, რომ გამომძიებელი და ჯალათად აღიარებული (მრავალი მოწმის ჩვენებით) მარქაროვი, საქმეების გადასინჯვასთან დაკავშირებით დაკითხული, აღიარებდა: კოტე ჯოგლიძე ვცემეთ, რათა მასაც და სხვებსაც საჭირო ჩვენება მიეცათო. „ჩემთვის მარქაროვს არ უცემია, მაგრამ ვიცი, გიორგი ძიგვაშვილს სცემდაო“, – ამას გიორგი კალანდაძე გაიხსენებს.

გ. ძიგვაშვილის წამების შედეგად მიღებულ ე.წ. „აღსარებით ჩვენებებს“ იყენებდნენ სხვებისთვის ბრალდების წარსადგენად. ერთ-ერთი იყო კიტა ბუაჩიძე, რომელსაც, მისი თქმით, ძიგვაშვილის ჩვენებით წარუდგინეს მძიმე მუხლი. „დიდხანს ვითხოვდი პირზე წაყენებას. არ შვრებოდნენ, ბოლოს საშინელი ზემოქმედების შედეგად „ვაღიარე“, თითქოს ძიგვაშვილისგან ვიცოდი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობა.

გამომძიებელი მარქაროვი სასამართლოს სხდომებზე მუდამ მაგონებდა წინასწარი გამოძიების საშინელებებს და მე ვერ ვიპოვე ძალ-ღონე – უარი მეთქვა წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებებზე... გამომძიებელი მარქაროვი დაკითხვებზე აკრძალულ ხერხებს იყენებდა, უცენზურო სიტყვებით

მედავებოდა, მერე მოითხოვდა, „სწორი“ პასუხის მიცემას, მუშტებით მცემდა, სახეშიც გამილაწუნებდა (ერთხელ ისე ხეთქა, მარჯვენა ყურით დააყრუა, – დაამტებს კ. ბუაჩიძის ამ მოგონებას რ. კვერენჩხილაძე)... ბოლოს იძულებული გავხდი, ჩემი ხელით მეწერა განცხადებები, რასაც მარქაროვი მკარნახობდა – ის ძიგვაშვილის ჩვენებების მიხდვით აფორმებდა ჩემი დაკითხვის ოქმებს. შთაბეჭდილება შემექმნა, რომ **ძიგვაშვილის ჩვენებებიც მარქაროვის შედგენილ-გამოგონილი იყო** (კვერენჩხილაძე 2017: 143-144). არამცთუ შთაბეჭდილება იქმნება, არამედ უტყუარი ფაქტია, რომ მარქაროვი მრავალი ბრალდებულის სიტყვით და თავად მისივე აღიარებით, იყო ჯალათი, რომელიც ცემით იღებდა პატიმრებისგან ჩვენებებს, მათ შორის, დასახვრეტად განწირული ძიგვაშვილისგან.

საარქივო მასალა გიორგი ძიგვაშვილზე მწირია (ფონდი №6. საქ. №20285-6 6_{421549}. ყ. 350-381); საქმეში დევს მისი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, ბრალდება, განაჩენი, ძმის, სულიკო ძიგვაშვილის, რამდენიმე განცხადება, რეაბილიტაციის გადაწყვეტილების ასლი;

ფონდი №6. საქ. №20285-6

ძიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე, დაბადებული 1917 წელს. ვანის რაიონში, სოფ. ციხე-სულორში, ფილოლოგი, უპარტიო, ქართველი, მოქალაქეობა – სსრკ;

დაიჭირეს 1942 წლის 11 იანვარს.

ბრალდება კ/რევოლუციური ორგანიზაციის წევრი.

მუხლი 58/10 2 ნაწ. 458/11

რეგისტრაციის თარიღი 1.VIII.1980

გაასამართლა: ამიერკავკასიის ფრონტის სახალხო ტრიბუნალმა. 11-20/IX

მიესაჯა დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციით.

გიორგი ძიგვაშვილმა, ისევე, როგორც „შეთქმულთა საქმის“ სხვა მონაწილეებმა, მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს მიიღო რეაბილიტაცია. ნაწყვეტი მათი გამამართლებელი (საერთო) ტექსტიდან:

„...ბრალდების საფუძველია ბრალდებულთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები ერთმანეთის მიმართებით... გარდა ამისა, დამატებითი გამოძიებით დადგინდა, რომ წინასწარი გამოძიება მიმდინარეობდა კანონის უხეში დარღვევით, გამოძიებისათვის მიუღებელი უკანონო მეთოდების გამოყენებით, სისტემატური ცემით, რაც აიძულებდა მათ „ეღიარებინათ“ ბრალდებები. საქმეების გამომძიებელი ა.მ. მარქაროვი ესწრებოდა ხოლმე სასამართლო პროცესს და ზემოქმედებდა განსასჯელებზე“.

როგორც სხვა დახვრეტილების, ასევე გიორგი ძიგვაშვილის ოჯახმაც დიდხანს არ იცოდა მისი დახვრეტის ფაქტი. მშობლებს, ოჯახის წევრებს ატყუებდნენ, რომ ისინი გადასახლებაში იყვნენ. ომში დაიღუპა გიორგის უმცროსი ძმა, პიმენიც, რომელიც, ასევე, ლექსებს წერდა და აქვეყნებდა. დედამ ვერ გაუძლო ლოდინს და როცა იმედი გადაეწურა, 1962 წელს თავი ჩამოიხრჩო.

კოტე ხიმშიაშვილის საქმეში (საარქივო №20285-6$_{421599\text{-}01}$, №12) დევს გიორგი ძიგვაშვილის ძმის, სულიკო ძიგვაშვილის, განცხადებები. საპასუხოდ გაგზავნილ ცნობაში (1979 წლის 2 აპრილი) წერია, რომ გიორგი ძიგვაშვილი დაიჭირეს 1942 წელს, იმავე წლის 11-20 სექტემბერს გაასამართლა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა, მიუსაჯა დახვრეტა, განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 1942 წლის 17 ოქტომბერს; რაც შეეხება რეაბილიტაციას, ამ საკითხთან დაკავშირებით ოჯახს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურისთვის უნდა მიემართა (ხელს აწერს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პოდპოლკოვნიკი გ. პატარკაციშვილი).

მხოლოდ 1988 წლის 10 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე მიეცა გიორგი ძიგვაშვილს რეაბილიტაცია. პასუხი ამის შესახებ გაეგზავნა გიორგი ძიგვაშვილის ძმას, სულიკო ძიგვაშვილს:

ს.მ. ძიგვაშვილს

მცხ. ვანის რაიონი, ს. ციხესულორი

თქვენი განცხადება ძმის, გიორგი მიხეილის ძე ძიგვაშვილის რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს სსრ პროკურატურაში განხილულია. გაცნობებთ, რომ სსრკ უმაღლესი სასამართლოს

სამხედრო კოლეგიის სისხლის სამართლის საქმე წარმოებით შეწყვეტილია მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის გამო და იგი რეაბილიტირებულია.

საქართველოს სსრ პროკურატურის სახელმწიფო უშიშროების ორგანიზაციებში სახელმწიფო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ვ.ს. გელაშვილი.*

დამოწმებანი:

ავალიანი 1972: ავალიანი, ლ. „ალექსანდრე საჯაია“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,* №13. 1972.

სულაბერიძე 2000: სულაბერიძე, ლ. „სანამ ცოცხალ ვართ, თქვენთან ვიქნებით“. წიგნში: *გიორგი ძიგვაშვილი. გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2000.

ჩხეიძე 2000: ჩხეიძე, რ. „სიტყვა გიორგი ძიგვაშვილზე“. წიგნში: *გიორგი ძიგვაშვილი. გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2000.

* საქმე №20285-60, საარქივო №421549-01, №12

კოტე ხიმშიაშვილი

კოტე ხიმშიაშვილის ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა. მამა – ალექსანდრე ხიმშიაშვილი, ზედმიწევნით განათლებული პიროვნება, პროვიზორი, აფთიაქის გამგედ მუშაობდა. დედა – წერეთლებისა და ბაგრატიონების ჩამომავალი, აკაკი წერეთლის ბიძაშვილი იყო. როგორც კოტეს და, ცნობილი საბავშვო მწერალი, ძმის ხსოვნისთვის თავგადადებული ქალბატონი, დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია* გაიხსენებს, კოტე თავის ასაკთან შედარებით ძალიან განათლებული, ნიჭით გამორჩეული, ჭკვიანი ბავშვი იყო და ექვსი წლისა პირდაპირ მესამე კლასში ჩარიცხეს. ამიტომაც მოასწრო ბევრი: სკოლის დამთავრება თექვსმეტი წლის ასაკში, უნივერსიტეტი, ასპირანტურა. სრულიად ახალგაზრდამ მძიმე სულიერი ტრავმაც მიიღო. როსტომ ჩხეიძე წერილში „სახება კოტე ხიმშიაშვილისა“ მის ცოცხალ პორტრეტს გვიხატავს: „30-იანი წლების ფოტოსურათებზე, რომლებზეც მაშინდელი ახალგაზრდა მწერლები, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ შემოკრებილი პოეტები და პროზაიკოსები არიან აღბეჭდილნი, უიშვიათესად, შემთხვევით თუ გაკრთება კოტე ხიმშიაშვილის სახე. არც „ჩვენი თაობის“ რედაქციაში დაყოვნდებოდა დიდხანს. არც უნივერსიტეტში ტრიალებდა. სუფრებს და დროსტარებასაც გაურბოდა. რუს-

* ქალბატონმა დოდომ მთელი ცხოვრება ვადაჭკორიას გვარით გაატარა, ვინაიდან მისი გვარი ბევრ დაბრკოლებას შეუქმნიდა კომუნისტური რეჟიმის პირობებში.

თაველის გამზირზეც იშვიათად გამოჩნდებოდა... „ჯონქა ხორ-ნაულში“ რუსთაველის გამზირი ისეთი დაკვირვებით და სი-ყვარულით აქვს აღწერილი, ვერც დაიჯერებ, იქ თუ არ ათენ-აღ-ამებდა... მისი ეს მალ-მალე გაუჩინარება შეუმჩნეველი როგორ დარჩებოდა და ასე ახსნიდნენ: ამაყი და უკარებაა, თავს არავის უტოლებსო. ახლობლებმა ხომ მაინც იცოდნენ, უკარება არა ყოფილა, მისი ბუნების ადამიანს მეგობრებსა და საზოგადოე-ბაში ტრიალი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ ის უნებლიე, ოღონდ ტრაგიკული და საბედისწერო შემთხვევა მძიმე და განუკურ-ნებელ დაღად დააჩნდა ყმაწვილის სულს, შინაგანი მარტოობისა და ტანჯვისთვის გაწირა და ისიც გაურბოდა ადამიანებს. მანამ-დე სულ სხვა ბიჭი ყოფილა, ლაღი და ხალისიანი, უდარდელი და მეოცნებე და ასე ერთბაშად გადასხვაფერებული“ (ჩხეიძე 2010: 220).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო საქმეებში კოტე ხიმშიაშვილთან დაკავშირებით ბევრი დოკუ-მენტი განადგურებული აღმოჩნდა. შემორჩენილია ბრალდების, განაჩენის და რეაბილიტაციის ფურცლები. ბრალდების ოქმე-ბი რამდენჯერმე მეორდება. მათგან მხოლოდ ერთშია (ისიც გიორგი კალანდაძის საქმეში, №20285-60 – ფონდი № 6, საარ-ქივო №42 1549-07, ყ.351, გვ. 1-9) ნახსენები ის ტრაგიკული შემ-თხვევა, რომელიც 16 წლის ასაკში შემთხვევია კოტე ხიმშიაშ-ვილს, რამაც, როგორც ჩანს, არსებითად შეცვალა მისი სული-ერი მდგომარეობა.

ხიმშიაშვილების ოჯახი ქუთაისიდან ჯერ კოჯორში, მერე თბილისში გადმოსახლდა. კოტემ ბრწყინვალედ ჩააბარა გა-მოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლო-გიის ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპე-ციალობაზე. ასწავლიდა პროფესორი ერეკლე ტატიშვილი, რომელთანაც, როგორც წარჩინებულ სტუდენტს, ახლო ურ-თიერთობა ჰქონდა.

„ჩვენ ერთდროულად ვსწავლობდით თბილისის სახელმწი-ფო უნივერსიტეტში (იგი ჩემზე ორი კურსით უკან იყო), – იხ-სენებს მწერალი გრიგოლ აბაშიძე, – ლამაზი, თვალტანადი ჭა-ბუკი – კოტე ხიმშიაშვილი – შორიდანვე იქცევდა მნახველის ყუ-

რადღებას. იგი თავის ტოლ სტუდენტებში მარტო გარეგნობით კი არა, განათლებით, დახვეწილი მანერებითა და ბუნებრივი კეთილშობილებითაც გამოირჩეოდა“ (აბაშიძე 1984: 5).

1934 წელს ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალში“ (№4, 5) კოტეს პირველი ნოველა, „ბებია ელისაბედი“ გამოქვეყნდა – 1924 წლის რეპრესიებით გამოწვეული ტრაგედიის ერთგვარი მხატვრული ინტერპრეტაცია. მოთხრობის პერსონაჟთა პროტოტიპები მწერლის ახლობლები იყვნენ. ბებია ელისაბედის მხატვრულ სახეში კოტე ხიმშიაშვილმა ანეტა ყიფიანი-აბაშიძე გააცოცხლა, რომლის ვაჟიშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი აბაშიძე, 1924 წელს დახვრიტეს. დიმიტრის ქალიშვილს, რომელიც ძალზე ახალგაზრდა გარდაიცვალა, ბაბუის მოსახელედ დარჩა სამი წლის ბიჭუნა, მიტო (ნოველაში ქუჩუკი), კოტე ხიმშიაშვილის ბიძაშვილი.* ნოველაში გასაგები მიზეზების გამო რეალური ფაქტები შეცვლილია: ბებია ელისაბედის ერთადერთი ვაჟიშვილი, რომლის ჯანმრთელობა ისედაც შერყეულია „ღვინის სმითა და უწესო ცხოვრებით“, დამბლისგან უეცრად გარდაიცვლება ბოლშევიკების მიერ ქალაქის აღების შემდეგ. ორაზროვანია ფინალიც, რომელშიც პიონერთა რიგებში შესვლით გაბრწყინებული, წითელყელსახვევიანი ქუჩუკის სრულ კონტრასტად აღიქმება ამღვრეულ თვალებში სასოწარკვეთაჩამდგარი ბებია ელისაბედის სახე.

ნოველამ გამოქვეყნებისთანავე მიიქცია გერონტი ქიქოძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის ყურადღება. გაზეთებში დაიწერა, რომ ქართულ ლიტერატურაში დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა პროზაიკოსი მოვიდა. საფიქრებელია, რომ ცენზურის მახვილ თვალს გამოეპარა ის თამამი გამონათქვამები, რომლებიც აქა-იქ „გაბნეული“ იყო ნაწარმოებში, მაგალითად: ელისაბედის „დედისერთა შვილს გული გაუხეთქეს ამ საზიზღრებმა, ოჯახი დაუქციეს, ყველაფერი წაართვეს და მოხუცებული ქალი ძუძუმწოვარა ბავშვით, ღვთისანაბარა დატოვეს... ფუფუნებაში გაზრდილი

* მოგვიანებით, 1937 წელს, სიმამრის ბედი ხვდა წილად პატარა დიტოს მამას, ილიკო მამულაიშვილს, თეთრ ოფიცერს, თავის დროზე ოქროს იარაღით დაჯილდოებულს.

ქალი ერთ ვიწრო ოთახში შეკუშნეს, რაღაც ხარახურა დაუტოვეს და თავის ბედს მიანდეს... უკიდურეს სიდუხჭირეში ზრდიდა პატარას, ქსოვდა, კერავდა, ყიდდა, რომ მჩხავანასთვის შაქრიანი რძე ესმია. არ მიიღო მეზობლების რჩევა, არ გაიმეტა ბავშვთა სახლისთვის პატარა ქუჩუკი. თავად ბასრიძეების ერთადერთ შთამომავალს, კეთილშობილი სისხლის ყმაწვილს, ბოლშევიკების ტურტლიან ბოგანოებთან და ნაბუშრებთან ერთად გასაზრდელად არ მივცემო, დიმიტრის მკვლელ ბოლშევიკებს მაინც არ ჩავუგდებო ხელში".

ავტორი აღნიშნავს, რომ ძილის წინ ბებია ელისაბედი ზანდუკიდან ძველ წიგნებს იღებდა და უკითხავდა ქუჩუკს: გიორგი სააკაძის, სოლომონ მეორის, დიმიტრი თავდადებულის ამბებს... წიგნების გარდა, მას აღარაფერი ჰქონდა, თითქმის ყველაფერი წაართვეს, ხატიც კი გაყიდა შვილიშვილის გამოსაკვებად, მაგრამ მოხუცი იმედს არ კარგავდა, რომ გაზრდიდა ქუჩუკს: „და დაე, მის დამღუპველებს, ბასრაძეების გვარით, მტრები ნუ მოაკლდებათ". ბებია არიგებდა შვილიშვილს, პიონერთა რიგებში არ შესულიყო, რადგან მერე კომკავშირში შესვლასაც აიძულებდნენ, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ქუჩუკი პიონერი გახდა. უყურებდა ბებია ელისაბედი ბავშვთა დღის დემონსტრაციაზე წითელყელსახვევიან შვილიშვილს და პატარა მებუკეებისა და მედოლეების თავზე თავისი შვილის ცხედარს ხედავდა. „...პატარები მოიწევენ ზევით, ყიჟინით მოაქვთ ცხედარი და მის სისხლში დასვრილ დროშებს აქნევენ..." შთამბეჭდავია ნოველის ფინალი: „ოთახში შვილიშვილი იდგა. საოცრად უბრწყინავდა თეთრი ხალათი და თითქოს ანათებდნენ ამ ბნელ ოთახს წითელი ყელსახვევი, მბზინავი თვალები, თმა და ქუჩიდან შემოტანილი მხიარულება... რა ნათელი ადგია, ენაცვალოს ბებია", – თითქოს ბედს ეგუება მოხუცი. ამ პასაჟს მოსდევს ავტორის მრავლისმთქმელი დასკვნა: „უსაზღვრო ბავშვურ ბედნიერებას მხოლოდ ბებიას ქცევა უჩრდილავდა, ვერ შეხედავდი ცუდის თვალით. **ეს ხომ თვითონ სიყმაწვილე იყო**" (ხიმშიაშვილი 2010)...

ნოველა მკითხველს ხიბლავს სწორედ ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, თხრობის თავისებური სტილით, რომლითაც „შენიღბულია" მწერლის განწყობა როგორც მის მიერ აღწერილი

მოვლენების, ისე მთავარი პერსონაჟის მიმართ. დღეს უკვე ნათელია, თუ რა უნდოდა ეთქვა 17 წლის ყმაწვილს ამ ტრაგიკულ სიუჟეტით...

მწერლის დებიუტს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც მკითხველთა, ასევე თანამოკალმეთა (გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი) მხრიდან. გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ქართულ ლიტერატურაში დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა პროზაიკოსი მოვიდა.* მალე „ბებია ელისაბედს“ მოჰყვა სხვა ნოველებიც და, რაც მთავარია, რომანი „ჯონქა ხორნაული“.

თურმე კოტე ხიმშიაშვილი და მისი ოჯახის წევრები ხშირად სტუმრობდნენ კოჯრის ბავშვთა სახლს, სადაც პატარებს უკიდურესად ცუდ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება (დოდო ვადაჭკორია-ხიმშიაშვილის მოგონებიდან). ხიმშიაშვილებს აბგით მიჰქონდათ მათთვის საკვები და აუცილებელი ნივთები. სწორედ ამ ბავშვებს მიუძღვნა მწერალმა მოთხრობა „ღამე“ (1934), რომელსაც ლაიტმოტივად გასდევს ობოლი ბავშვების მთავარი ოცნება – დედის მოსვლა. „ბავშვების სიზმრებით სავსე ოთახი (ზუსტად მიგნებული, შთამბეჭდავი და ნაღვლიანი მეტაფორა – ზ.ც.) სდუმს. პატარა ლილი მოუსვენრად ტრიალებს და საბნის ზემოდან იყურება. ის სწუხს. რატომ, – პასუხს ვერ მოგცემს, რადგან ამ წუხილს არცერთი ჩამოყალიბებული მიზეზი არა აქვს. ლილის არც შია და არც სწყურია... საბანიც თბილია და გარედან ზაფხულის წყნარი ღამე შავი ზურგით მიჰყუდებია სარკმელს“... დედას უხმობს პატარა, „უნუგეშო და უსუსური არსება“... (ხიმშიაშვილი 2010: 22). ერთი მხრივ, მოულოდნელი უნდა იყოს სრულიად ახალგაზრდა მწერლისგან ასეთი სიყვარულით, თანაგრძნობით, სევდით, წუხილით აღსავსე სტრიქონები...ამ მოთხრობასთან დაკავშირებით საყურადღებოა დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიას მოგონება: „ჯერ კიდევ სკოლაში და-

* მოგვიანებით გ. აბაშიძემ ასეთი შეფასება მისცა ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებას: „კ. ხიმშიაშვილი ისეთივე განსაკუთრებული მოვლენა იყო ჩვენს ახალ მწერლობაში, როგორიც გ. რჩეულიშვილი. ერთიცა და მეორეც არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული“ (აბაშიძე 1984: გვ. 5-6).

დიოდა კოტე, როდესაც კოჯორს გორკი ესტუმრა. განათლების კომისარმა მარიამ ორახელაშვილმა ამოიყვანა სკოლაში. ამ შეხვედრაზე კოტე სიტყვით გამოვიდა რუსულ ენაზე, მაგრამ საქებარი არაფერი უთქვამს, პირიქით, აღნიშნა, რა დღეში უყვნენ უდედმამო ბავშვები. სწორედ ეს მოეწონა გორკის. ეგონა, რომ კოტეც უდედმამო იყო, მაგრამ მარიამ ორახელაშვილმა გააცნო იქვე, პირველ რიგში მსხდარი ჩემი მშობლები. მეც მათ შორის ვიჯექი. გორკიმ მარიამს უთხრა, გამოუწერე საგზური და როგორც კი სკოლას დაამთავრებს, მოსკოვში გამოაგზავნეთ სასწავლებლადო. ეს რომ მომხდარიყო და კოტე რუსეთში წასულიყო, ალბათ, ეს ტრაგიკული ბედი ასცდებოდა და სამშობლოს ერთი ნიჭიერი შვილი არ დაეკარგებოდა“ (ხიმშიაშვილი 2010: 258).

1934 წელს გამოქვეყნდა კოტე ხიმშიაშვილის ნოველა „გლობუსი“, რომელმაც განსაკუთრებული გამოხმაურება გამოიწვია, პრემიაც კი დაიმსახურა. ნოველის გმირი, უწიგნური იორღულა, სიღატაკეში, ლელითა და ტალახით ნაგებ ისლის ქოხშია გაზრდილი. კოლმეურნეობის წყალობით ის ოდა სახლს ააშენებს, მომჭირნეობით ფულსაც დააგროვებს, მაგრამ მაინც ძველებურად ჩამოძონძილი დადის. ის ისეთივე ბოგანო და გაუთლელია, როგორიც იყო. სამაგიეროდ, მისი შვილები სწავლობენ „საექიმოზე და აგრონომიულზე“... ერთ დღესაც იორღულამ გლობუსი იყიდა. ფული ჰქონდა და რატომღაც მოეწონა. რომ ჰკითხეს, რად გინდაო, უპასუხა: „ისე ვიყიდე, კარგი შესახედავია, დავდგამ სახლში და იყოს. არც ქე ვიცოდი, რისი მოსახმარი იყო. ხანდახან დავატრიალებ“ (ხიმშიაშვილი 2010: 17). როგორც ვხედავთ, კოტე ხიმშიაშვილმა მიაგნო სიმბოლოსაც და გამოსახვის შთამბეჭდავ ხერხსაც, რომელსაც როსტომ ჩხეიძემ შესანიშნავი დეფინიცია მოუძებნა: „გარეგნულად იუმორისტული, შინაგანად – ტრაგიკული მოტივი“ (ჩხეიძე 2010: 3).

ღიმილისმომგვრელია უვიცი კაცის ხელში სათამაშაოდ ქცეული გლობუსი, ტრაგიზმი კი იმაშია, რომ „იორღულებს“ დანაზოგით, შრომით, ჯახირით თუ „შემთხვევისა გამო“ ნაშოვი ფულით ქვეყნის ბედის „დატრიალების“ ამბიცია უჩნდებათ. კოტე ხიმშიაშვილს თურმე ხმა გაუვრცელეს, იორღულაში სტალინს გულისხმობსო; როგორც დოდო ხიმშიაშვილი იხსენებს, იორ-

კოტე ხიმშიაშვილი დასთან - დოდო ხიმშიაშვილ-ვადაჭკორიასთან ერთად

ღულა ნამდვილად ცხოვრობდა კოჯორში, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მწერლისთვის, მასში ვინც უნდოდა, ის ეგულისხმა, ან, თუნდაც, მკითხველისთვის დაეთმო ამ გამოცანის გასაღები... „გლობუსს სიმბოლოდ, როგორც სამყაროს სათამაშოდ გადაქცევის, მისი დასაღუპად განწირვის მოსალოდნელ პერსპექტივის გამოხატულებას, რამდენიმე წლის შემდეგ გამოიყენებს ჩარლი ჩაპლინი ფილმში „დიქტატორი“ და ისიც თვალწინ აღმართულ რეალურ ყოფას და რეალურად არსებულ პიროვნებას (ოღონდ სხვას) იგულისხმებს“ (ჩხეიძე 2010: 3).

„გლობუსი“ კოტე ხიმშიაშვილის ყველაზე წარმატებული ნოველა აღმოჩნდა. გარდა ამისა, ის ავტორია კიდევ რამდენიმე მოთხრობისა, მათ შორის: „თავთავი მწიფეა“, „ჯიბის სარკე“, „შუადღის ზღაპარი“, „მიკროსკოპი“ და სხვ.

ნოველა „მიკროსკოპი“ საბჭოთა სატუსაღოს სურათს ასახავს: ვიწრო, დახუთულ ინტრიერით და ჭრელი „საზოგადოებით“: ე.წ. კომბინატორით, კამეჩის ქურდი მახარა, პროფესორი, რომელმაც ათწლიანი სასჯელი ციმბირში უნდა მოიხადოს და ყოველ წუთს საკნიდან გაყვანას ელოდება. ამ ყველაფრის მთხრობელი ძალიან ახალგაზრდაა, ორი წელი აქვს მისჯილი. პროფესორთან საუბარში, როცა ისინი დოსტოევსკიზე მსჯელობენ, პროფესორი ინტერესდება, რაზე იხდის სასჯელს ეს ახალბაზრდა კაცი – „გრძელი ამბავია, სისხლის სამართლის დანაშაულია“, – პასუხობს ახალგაზრდა (მთხრობელის პროტოტიპი თადავ ავტორია).

სშსს არქივში ფონდი №6, საქ. №20285, საარქივო №421549 აღმოჩნდა სწორედ ამ სისხლის სამართლის დანაშაულის ამსახველი ფაქტი:

ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, დაბ. 1917, ქუთაისში, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაოჯახებული, მოსამსახურის ოჯახიდან, თსუ ასპირანტი, უმცროსი ლეიტენანტი პატიმრობაში იყო 21/2 1933 წელს მკვლელობისათვის – რომანტიკულ ნიადაგზე. ჰყავს რეპრესირებული ბიძა. სახლში ჰყავს დედა, მამა, ცოლი, და. წითელ ჯარში არავინ ჰყავს. თბილისში ცხოვრობს კალინინის ქუჩა №9. ეს ფაქტი უნდა ედოს საფუძვლად კოტე ხიმშიაშვილის ამ მოთხრობას, რომელიც სავარაუდოდ, სასჯელს იხდიდა მძიმე დანაშაულისათვის.

როცა რაპის ექო ჯერ კიდევ არ იყო მიჩუმებული, როცა ტოტალიტარული რეჟიმის წნეხი და იმ იდეოლოგიას დამორჩილებული სალიტერატურო კრიტიკა ლამის პოლიციურ რეჟიმში აკონტროლებდა მხატვრულ სიტყვას, როცა ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლების ნაწილი განადგურებული იყო, ახალგაზრდა კოტე ხიმშიაშვილმა გამონახა გზა და საშუალება, ორიგინალური მხატვრულ-ესთეტიკური მიგნებებით და ლიტერატურისთვის მანამდე უცხო ყოფითი დეტალებით წარმოეჩინა თავისი თანადროული ეპოქა რომანში „ჯონქა ხორნაული“ (1939 წ.). აქ მხილებულ მავნებელთა საქმიანობამ, ისევე როგორც მათმა დახვრეტა-გაციმბირებამ კოტე ხიმშიაშვილის თაობის თვალწინ ჩაიარა.

რა იყო ის, რაც კოტე ხიმშიაშვილის რომანს აცოცხლებს დღემდე და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, უფროსი თაობის ქართველ მკითხველს ერთგვარ ნოსტალგიას აღუძრავს, ახალგაზრდებში კი ცნობისწადილს გააჩენს, რათა ამ რომანის ფურცლებიდან გადახედონ წარსულს, როგორც ცოცხალ ისტორიას? – ახალგაზრდა მთიელი სტუდენტის, ჯონქა ხორნაულის სახით მწერალი ძერწავს პროვინციიდან ჩამოსული ახალგაზრდის პორტრეტს, რომელსაც თბილისის სიყვარულის სენი შეჰყრია და „ქალაქის დაპყრობა“ სურს. ქალაქში დამკვიდრებისთვის „ბრძოლის“ წადილი ჯონქას გარეგნობაშიც მჟღავნდება (ახალი ჩაცმის სტილი, ყელსახვევი...), თუმცა იმთავითვე

განწირულია მისი გულწრფელი და უიღბლო სიყვარული საეჭ-ვო ოჯახში ფუფუნებით გაზრდილ გოგონას (მანანას) მიმართ. ჯონქა ხორნაული საბოლოოდ უკან იხევს: თბილისში დარჩენის, დამკვიდრების პატივმოყვარე სურვილს წერტილს უსვამს. ამაში არშემდგარ სიყვარულთან ერთად ის მოულოდნელი ფაქტიც ეხმარება, რომლის მოწმეც შემთხვევით გახდება. ჯონქას თვალ-წინ იკვრება „მავნე ელემენტების“ ჯგუფი: თანამდებობის პირი ალფეზ ჩიქოვანი, პროფესორი დავით ციხისელი... მავნებელი სა-რახანია, რომელსაც ცხვრების მოწამვლა სურს (ცნობილია, რომ 1937 წელს მთელ საქართველოში, დივერსიული მავნებლობის ბრალდებით, ასეულობით ადამიანი დააპატიმრეს და ბევრი მათ-განი დახვრიტეს. რაიკომის მდივნები, აგრონომები, ზოოვეტე-რინარები, მეცხვარეები, მეცნიერ-თანამშრომლები და სხვები. კახეთის შემთხვევაში საუბარი იყო იმაზე, რომ თითქოს სამეგ-რელოდან შემოჰყავდათ ავადმყოფი თხები და ასე გავრცელდა ცხვრის ავადმყოფობა კახეთში. მხოლოდ სიღნაღის რაიონში 80-მდე კაცი გაასამართლეს და ზოგს დახვრეტა მიესაჯა, ზოგს – ციმბირში გადასახლება).

სუკის არქივში აღმოჩნდა ამ ბრალდებით დახვრეტილი, საქართველოს სასოფლო სამეურნეო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრმოლის, ზოოტექნიკოს-აგრონომის, **შალვა პავლეს ძე გენძეხაძის** განაჩენის ოქმი, რომელიც, ზოგადად, საყოველთაო სურათის ერთი მოცემულობაა. განაჩენში ვკითხულობთ:

ოქმი № 99. 10 მარტი, 1938 წ. შ. პ. გენძეხაძეს, დაბადებულს 1902 წელს, ქალაქ წულუკიძეში, უპარტიოს, ცოლშვილიანს, უმაღლესი განათლებით, აგრონომ-ზოოტექნიკოსს, დაპატიმ-რებამდე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს ბრალი ედება იმაში რომ:

იყო აქტიური წევრი კონტრრევოლუციური-ტერორისტუ-ლი დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშური ორგანიზაციისა, რომლის დავალებით ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას საქართველოს მეცხოველეობაში.

მუხლი 58/7, 58“11

თავი დამნაშავედ არ ცნო.

მომხ. რუსკოვი

დაადგინეს: გენძეხაძე შალვა ნიკოლოზის ძე დაიხვრიტოს.

პირადი საკუთრების ქონების კონფისკაციით.

დახვრიტეს 1938 წლის 14 მარტს. განაჩენის გამოტანიდან მეოთხე დღეს. ოჯახს დიდხანს ეუბნებოდნენ, რომ გადასახლებულია მიმოწერის უფლების გარეშე.

ვინ იცის, საზოგადოების დიდ ნაწილს და იქნებ ახალგაზრდა მწერალსაც სჯეროდა (?) ამგვარი მავნებლობისა. ასე იყო თუ ისე, რაღაც უნდა დაწერილიყო ისეთი, რომ მთავარი გადარჩენილიყო მწერლის ჩანაფიქრიდან. ვიზიარებთ იმ აზრს, რომ „მაშინდელი ტენდენციის გამოჩენა რომანში უდავოდ ფერმკრთალდება პირწმინდად მხატვრულ-ესთეტიკური მიგნებისა და განწყობილებათა ფონზე“ (რ. ჩხეიძე).

ჯონქა ხორნაული ფაქტზე წაასწრებს სარახანიას, რომელსაც ბოთლით მოუტანია საწამლავი და უნდა მოწამლოს ცხვარი. ჯონქას დახმარებით „დივერსანტს“ აპატიმრებენ... ჯონქა, სრულიად გათავისუფლებული ყოველგვარი საჭოჭმანო გრძნობა-ამბიციებისგან, უბრუნდება თავის სოფელს, მასწავლებლად. წასვლამდე ერთხელ კიდევ შეიარა სტუდენტთა ქალაქში, ფეხით იარა, უნივერსიტეტთან დიდხანს იდგა... და მაინც – გული მიუწევს მთისკენ.

კოტე ხიმშიაშვილის თანამედროვეთა მოგონებით, რომანის ფინალი ავტორის დაუკითხავად გამომცელობას „შეულამაზებია“, რის შესახებაც მწერალს თავისი მასწავლებლისა და უფროსი მეგობრისთვის, ერეკლე ტატიშვილისთვის შეუჩივლია... „მიხეილ ჯავახიშვილივით უნდა გაგეწირა თავი ანდა უჯრაში გამოგეკეტა შენი ნაწერები და ასე გადაგერჩინა შეუბღალავად შენი მხატვრული სამყარო. სიცოცხლის მიწურულს თვით მიხეილ ჯავახიშვილიც ვეღარ გაბედავდა ხმალშემართულ დგომას ახალმოწესეთა წინაშე... მორჩილების გარეგნული გამოცხადება ვერ უშველიდა, რადგან თვით „ქალის ტვირთიც“ ვერ გამოუვიდოდა მთლად მორგებული სახელისუფლებო სქემებს... განკითხვის დღე მოუახლოვდებოდა... და როდესაც კოტე ხიმშიაშვილი შესჩივლებდა (ერეკლე ტატიშვილს), სულ დამიმახინჯეს რომანის ფინალი, შეუთანხმებლად ჩაერივნენ და მე თვითონ ვეღარ მიცვნია „ჯონქა ხორნაულის“ დასასრულიო, – მოძღვარი თანაუგრძნობდა ახალგაზრდა კაცის

იმ წუხილს, მაგრამ იძულებული გახდებოდა შეეხსენებინა: ამათ ხელში უკეთესს რას მოელოდიო?“ (ჩხეიძე 2014: 120-121).

კოტე ხიმშიაშვილის განკითხვის დღეც ახლოვდებოდა...

ომის დაწყებისთანავე კოტე ჯარში გაიწვიეს, მაგრამ 1942 წელს (თვე და რიცხვი ჯერჯერობით გაურკვეველია) დააპატიმრეს გორში; დანაშაულის ხასიათი – ანტისაბჭოთა აგიტაცია; კ/რევოლუციურ-ნაციონალისტურ სამხედრო ორგანიზაციაში მონაწილეობა, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით ხელისუფლების დამხობა და „თავისუფალი საქართველოს“ აღდგენა გერმანიის პროტექტორატით. მასთან ერთად დაპატიმრებული 17 ახალგაზრდა 1942 წლის 20 სექტემბერს გაასამართლა ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალმა მუხლით 58-10, ნაწ. II, 58-11, რომელიც ითვალისწინებდა დახვრეტას. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1942 წლის 17 ოქტომბერს (საარქ. №20285-60). როგორც თინათინ თუშმალიშვილი აღნიშნავს, „კოტე ხიმშიაშვილს უმძიმესი დაკითხვის დროს რომ ეხსენებინა საიდუმლო წერილი, რომელიც იოჰან ბეკმანმა გადასცა შესანახად სოლომონ (ცუგრი) თევზაძეს,* მაშინ 33 ბრალდებულს კიდევ 2 პიროვნება დაემატებოდა, ხოლო დახვრეტილთა რიცხვი 19 გახდებოდა“ (თუშმალიშვილი 1994).**

---

* სოლომონ (ცუგრი) თევზაძე, თსუ ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი, გერმანული ენის შესწავლის მიზნით 1940 წელს დაუკავშირდა უნივერსიტეტის გერმანულის მასწავლებელს, წარმოშობით გერმანელ იოჰან ბეკმანს. თევზაძეს მალე დაუმსახურებია მასწავლებლის ნდობა... „გამოარჩია და ბარათიც გადასცა, დაშიფრული სახელებიც გაუმჟღავნა (მაქს მაიერ ჰაიდენბაგენი და ალფრედ როზენბერგი) და ამცნო, რა უნდა მოემოქმედა, როცა გერმანიის ჯარები კავკასიონს გადმოლახავდნენ. სოლომონ თევზაძეს უნდა მოეხერხებინა მათი სამხედრო კომენდანტთან დაკავშირება და ამ ბარათის გადაცემა... ამის მეოხებით ექნებოდა სრული უფლებამოსილება, ჩარეულიყო გერმანიის ჯარების მოქმედებაში და ქვეყნისთვის განადგურება აერიდებინა (ჩხეიძე 1992: 63). ბეკმანი საქართველოდან გაასახლეს. სოლომონ თევზაძე 1943 წელს დააპატიმრეს. ბრალად დასდეს გერმანული ჯარების წინსვლისთვის ხელშეწყობა, კ/რ ორგანიზაციის შექმნა. მიუსაჯეს დახვრეტა. საბჭოთა ჯარების მიერ ფაშისტებისაგან ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებასთან დაკავშირებით დახვრეტებმა იკლო და სოლომონ თევზაძეს დახვრეტა ვორკუტაში სამუდამო გადასახლებით შეუცვალეს.

** ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ ალექსანდრე საჯაია და კოტე ხიმშიაშვილი იყვნენ ინფორმირებულნი.

კოტე ხიმშიაშვილის ოჯახმა სიმართლე არ იცოდა, რასაც მოწმობს საქმეში დაცული რამდენიმე განცხადება:* 1946 წელს კოტეს დედა თამარ ივანეს ასული ხიმშიაშვილი მოსკოვის შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს სთხოვს, აცნობონ, ცოცხალია თუ არა მისი შვილი. პასუხი არ ჩანს; მეუღლე – ნუნუ ქადეიშვილიც იმავეს ითხოვს (1946 წელს), კვლავ დუმილი. საქმეში დევს ცნობა, რომ კოტე ხიმშიაშვილი 1941 (?) წლის 26 აპრილს, ქუთაისის ციხეში მუცლის ტიფით გარდაიცვალა.

მთავარმა სამხედრო პროკურატურამ 1960 წლის 29 სექტემბრის ბრძანებით უარი თქვა კოტე ხიმშიაშვილის რეაბილიტაციაზე, თუმცა მოგვიანებით, 70-იან წლებში დახვრეტილთაგან მხოლოდ კოტე ხიმშიაშვილი გაამართლეს. „სსრკ გენერალური პროკურორის, ა. რუდენკოსადმი სსრკ უმაღლესი საბჭოს წევრის, სოციალისტური შრომის გმირის მწერალ გრიგოლ აბაშიძის 1976 წ. 10 ნოემბრის მიმართვის საპასუხოდ 1977 წ. 14 ივნისს მთავარი სამხედრო პროკურატურის სამხედრო პროკურორის, იუსტიციის პოლკოვნიკის, ეჟოვის დადგენილებით კვლავ გადახედეს კ. ხიმშიაშვილის საქმეს და აღნიშნეს:

„გამოძიებისას დაშვებული იყო დიდი დარღვევები. ფიზიკური ზემოქმედება პატიმრებზე, ზეწოლა სასამართლოს შემადგენლობაზე, გამოძიება დაფუძნებული იყო ურთიერთსაწინააღმდეგო, არაკონკრეტულ, ზერელე ჩვენებებზე, რომლებიც სხვა ობიექტური საბუთებით არ დასტურდებოდა; გამომძიებელ მარქაროვის გარეშე ტრიბუნალის სხდომა არ იწყებოდა. თუ მას რაიმე არ მოეწონებოდა, მსაჯულებს დაამუშავებდნენ და უკარნახებდნენ, როგორ აეხადათ ფარდა სხვებისათვის, გასამართლება ჩატარდა დამცველების გარეშე, განაჩენი გამოაცხადეს არა იქ, სადაც პროცესი ტარდებოდა, არამედ შინაგან ციხეში; რამდენიმე კაცი ანალოგიური ბრალდებით არათუ არ დაუპატიმრებიათ, არც კი გამოუძახებიათ“ (კვერენჩხილაძე 2017: 149). 9-20 სექტემბერს მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. ტრიბუნალს თავმჯდომარეობდა სამხედრო პირი, რუსეთიდან მოწვეული ვინმე ფომინი. მდივანი იყო პეტროსიანი, გამომძიებელი არტაშეს მარქაროვი. გამოძიებას ხელმძღვანე-

* საქმე №20285-60, ფონდი 6. საარქივო №42 1549-07, გვ. 6.

ლობდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ირაკლი ნიბლაძე. პროცესი მიმდინარეობდა რუსულად, რადგან მოსკოვი არ ენდობოდა ქართულიდან თარგმანს. როგორც დაპატიმრებულთა შორის ერთ-ერთი (შემდეგ გაათავისუფლეს), თინათინ თუშმალიშვილი, წერს: „**მსჯავრდებულები, მათივე პრინციპული მოთხოვნით, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, ჩვენებებს კატეგორიულად მხოლოდ ქართულად იძლეოდნენ. მათ ნათქვამს თარგმნიდა ყოვლად უვიცი ადამიანი, ვაი-თარჯიმანი, რომელიც ჩვენებებს ენის უცოდინარობის გამო დამახინჯებულად გადასცემდა. ეს კიდევ უფრო ძაბავდა ისედაც გაუსაძლის ვითარებას**“ (თუშმალიშვილი 2007: 25).

1978 წლის 20 ივნისს კოტე ხიმშიაშვილის დამ, დოდო ხიმშიაშვილმა, განცხადებით მიმართა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს, რათა რეაბილიტაციის შემდეგ მაინც გაერკვია, გარდაიცვალა თუ დახვრიტეს პატიმარი. მისი განცხადება უპასუხოდ დარჩა. 1982 წელს ამავე თხოვნით საქართველოს სსრ შინაგარ საქმეთა სამინისტროს მიმართა კოტე ხიმშიაშვილის მეუღლემ, ნუნუ ქადეიშვილმა:

კოტე ხიმშიაშვილი მეუღლესთან, ნუნუ ქადეიშვილთან ერათად

„ჩემი მეუღლე კონსტანტინე ალექსანდრე ძე ხიმშიაშვილი 1942 წელს იყო რეპრესირებული. **1978 წელს იგი რეაბილიტირებულ** იქნა (სსრკ უმაღლესი სამხედრო კოლეგიის ცნობა №34-09366. 57.22.06.1978) და ამის შესახებ ეცნობა მის დას დ.ა. ვადაჭკორია-ხიმშიაშვილს, მცხ. ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქ. №6ბ ქ. 47. კ. ა. ხიმშიაშვილის გარდაცვალების

მოწმობა უნდა მიგვეღო მმაჩში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ არც ოქტომბრის რაიონის მმაჩში, არც ქალაქის არქივში და არც სსსრ იუსტიციის სამინისტროში გარდაცვალება არ არის ფიქსირებული.

გთხოვთ, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილის გარდაცვალების შესახებ აცნობოთ სსსრ იუსტიციის შესაბამის განყოფილებას.

ნ. ქადეიშვილი. 12.IV.82 წ.

როგორც ჩანს, ნუნუ ქადეიშვილის განცხადებას მოჰყვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს **მოთხოვნა** (დანართი №19) არქივის უფროსისადმი, გადამოწმებულიყო კ. ხიმშიაშვილის საქმე და გამოეგზავნათ სრული ინფორმაცია გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. ამ მოთხოვნას უკანა გვერდზე აქვს მინაწერი: ცნობა გადამოწმების რეზულტატის შესახებ (რუსულად): ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1942 წლის 20 სექტემბერს, მუხლი 58.10 ნაწ. II, 58-11, გასამართლებულის (იგულისხმება კ. ხიმშიაშვილი) განაჩენი სისრულეშია მოყვანილი 17/X.42 წ. არქივი №20285-60. თუმცა 1982 წლის 23 ივლისს ნუნუ ქადეიშვილის მიერ მეუღლის „გარდაცვალების“ დამადასტურებელ ცნობაში* აღნიშნულია, რომ „ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა 1941 წლის 26 აპრილს, მუცლის ტიფით (გარდაცვალების ადგილის მისათითებელი გრაფა ცარიელია) ქვემოთ კი მიწერილია: გარდაიცვალა დაპატიმრების ადგილას.**

კოტე ხიმშიაშვილის და ბევრი სხვის დახვრეტის ფაქტი კიდევ რამდენიმე წელი რჩებოდა საიდუმლოდ. შემდეგ თავს იმით

---

* გარდაცვალება დარეგისტრირებულია ქ. ქუთაისში, ლენინის რაიონის მმაჩის ბიუროში 1982 წლის 29 ივნისს. ხელს აწერს ნ. გუბელაძე.

** კოტე ხიმშიაშვილის საქმეში დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების (სუკის) სამსახურის უფროსის, გ. პატარკაციშვილის მოთხოვნა ქ. ქუთაისის მმაჩის ბიუროს თანამშრომლის ამხ. გუბელაძისადმი (1982 წ. 2.X): „1982 წ. 5.V-ს გვეცნობა კ. ა. ხიმშიაშვილის შესახებ (რომლის სიკვდილის ფაქტის დარეგისტრირება გთხოვეთ. გარდაცვლილია დაპატიმრების ადგილას, 26. I.1941 წ. – მუცლის ტიფით (თარიღი სიკვდილისა ზუსტი არ არის, – ზ.ც.). გთხოვთ გადააკეთოთ (! ზ.ც.) გარდაცვალების თარიღი – 26. IV. 1942 წლით და გვაცნობოთ. გიგზავნით ხიმშიაშვილის გარდაცვალების მოწმობას – №27096, გაცემულია 1982 წ. 2.X.

იმართლებდნენ, რომ ამით დახვრეტილთა ოჯახებს, ახლობლებს ნაკლებ ტკივილს აყენებდნენ, ფაქტობრივად კი ამით ხელისუფლების მიერ აღსრულებულ სისასტიკეს ფარავდნენ...

ამავე თაობის წარმომადგენელი, ეპოქის ავბედით განსაცდელს გადარჩენილი, ლადო (ვლადიმერ) ავალიანი ჭირისუფლის გულწრფელი წუხილით იტყვის წლების შემდეგ: „საკვირველია ის ბედი და უბედობა, რაც ჩვენს თაობას დაჰყვა. სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის სამი მეოთხედი რომ 22-25 წლის ასაკში განადგურებულიყოს, მეორე ამგვარი შემთხვევა ქართულ მწერლობას არ ახსოვს“ (ავალიანი 1972).

დამოწმებანი:

აბაშიძე 1984: აბაშიძე, გრ. *კოტე ხიმშიაშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1984.

ავალიანი 1972: ავალიანი, ლ. „ალექსანდრე საჯაია“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“*, №13. 1972.

თუშმალიშვილი 1994: თუშმალიშვილი, თ. „დაწყევლილი თაობის სურათები“. რეცენზია როსტომ ჩხეიძის წიგნზე „დაწყევლილი თაობა“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“*, 28.X. 1994.

კვერენჩხილაძე 2017: კვენეჩხილაძე, რ. *წამების გზა.* წიგნი II. თბილისი: „უნივერსალი“, 2017.

ჩხეიძე 2010: ჩხეიძე რ. „სახება კოტე ხიმშიაშვილისა“. *კოტე ხიმშიაშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010.

ჩხეიძე 2014: ჩხეიძე რ. „ლეგენდა ერეკლე ტატიშვილისა“. *საგა ვახტანგური.* თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2014.

ხიმშიაშვილი 2010: ხიმშიაშვილი დ. *კოტე ხიმშიაშვილი. მოგონებები.* თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010.

ზოია ცხადაია

ადამ ბობღიაშვილი (ალვანელი)

ადამ ბობღიაშვილი (1912.28.V – 1943.18.III) დაიბადა სოფ. ზემო ალვანში. საშუალო სკოლა დაამთავრა თელავში. 1931 წელს სწავლა განაგრძო საკავშირო საბეითლო ინსტიტუტის ერევნის ფილიალში, რომელიც 1935 წელს დაასრულა. მუშაობდა ბეითლად (ექიმ-ვეტერინარად) სვანეთსა და კახეთში. ლექსებს სიყმაწვილის ასაკიდან წერდა, შესაბამისად, გულიც ლიტერატურისკენ, პოეზიისკენ მიუწევდა, ამიტომ სრულიად ბუნებრივია მისი არჩევანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი სტუდენტობისდროინდელი ლექსები „ჩვენი თაობის“ (1935-1940) ფურცლებმა შემოგვინახა. ის წერდა სიყვარულზე, განშორების სევდაზე, გმირ წინაპრებზე, სახელოვან წარსულზე, ადამიანის ამქვეყნიურ დანიშნულებაზე, თუმცა მისი ბედი, როგორც ადამიანისა და პოეტისა, მეტად ხანმოკლე და ტრაგიკული აღმოჩნდა.

IV კურსის სტუდენტი იყო ადამი, როცა 1941 წლის შემოდგომაზე შინსახკომმა აღმოაჩინა საქართველოს გადარჩენაზე მზრუნველი უნივერსიტეტელი ასპირანტებისა და ამავე უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ქართველი სამხედრო მეთაურების შეთქმულება. ადამმა ზემო ალვანში ნათესავებს შეაფარა თავი. თბილისთან განშორებით უნდა იყოს განპირობებული მისი გულისტკივილი **(„ბევრი დაადნა სანთელივით თბილისის ქუჩებს, ბევრმა მათგანმა ვაჟკაცური კვალი დატოვა“)** თუ სასოწარკვეთისა და მარ-

ტოობის განცდა **(„მე კი გავქრები სამზეოდან ჩრდილვით უცებ, რადგან სიცოცხლის მიწურულშიც ისევ მარტო ვარ“)...** ამას დაემატა ისიც, რომ ნათესავებთან ყოფნისას ბეითლობის დროს მთაში შეყრილმა სენმა, ბრუცელოზმა, შეახსენა თავი. კარგა ხანს იავადმყოფა, შემდეგ მასპინძლის ოჯახის დარბევის შიშით ტყეში გადავიდა და გიორგი ქადაგიძესთან და გიგო ქააძესთან ერთად დააარსა სამანი, ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ანტისაბ-ჭოთა ორგანიზაცია.

მწერალი სილოვან ნარიმანიძე იხსენებს, თუ როგორ შეხვდა ის, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაღრანის ტყეში ადამ ბობღიაშვილს და რა უთხრა მან: „თბილისში მატარებლით მარ-ტოდმარტო მივემგზავრებოდი თელავიდან. საგარეჯოს სად-გურში ვაგონში ვიღაცა ამოვიდა და ამბავი ამოიტანა – გუშინ მიხეილ ზანდუკელი დააპატიმრესო, სხვა ჩემი მეგობრების გვარებიც ახსენეს, ვიცოდი, მეც არ ამცდებოდა ბორკილები, გადმოვხტი მატარებლიდან და აგერ ხომ ხედავ, აქა ვარ“ (ნა-რიმანიძე 1991).

ერთ-ერთი შეთქმულთაგანი, გიორგი ქადაგიძე, 1942 წლის 13 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში* ამბობს:

„გერმანიის შემოჭრისას ანარქიისგან საქართველოს გა-დარჩენაზე და დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე საუბარი მქონდა ალექსანდრე გიორგის ძე ჭელიძესთან და ბავშვობიდან ნაცნობ ადამ ბობღიაშვილთან. ჩემი დაპატიმრების რამდენიმე დღის წინ ისინი შემხვდნენ და მათ ვუთხარი: დააპატიმრეს ჩემი რამდენიმე ამხანაგი, აგრეთვე მ. ზანდუკელი, ალბათ მეც წამიყ-ვანენ-მეთქი. მაშინ ბობღიაშვილმა და ჭელიძემ თქვეს: ალბათ, ჩვენც დაგვატუსაღებენ, ჩვენ ხომ შენი ამხანაგები ვართო“.** 1942 წლის 1-ლ დეკემბერს ა. ბობღიაშვილისა და მისი ჯგუფის საქმე ცალკე გამოყვეს. ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1943 წლის 12 იანვარს მას დაუსწრებლად დახვ-რეტა მიუსაჯა.

---

* საქმე № 964, ტ. 2. ა. 483, 486-490; კვერენჩხილაძე 2017: 276-277.

** იხ. ილია ცისკარიშვილის აღიარება (სშსს არქივი. ფონდი №6, საარქივო №43527-07, ყ.110, გვ. 2).

ადამ ბობღიაშვილის უკანასკნელი ლექსი „გულის სამარე“ დაწერილია 1943 წელს. ლექსი ავტორის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის, დამსხვრეული იმედების, დანგრეული ადამიანური ყოფის გადმოცემით იპყრობს მკითხველის ყურადღებას:

აღარ მახარებს განთიადის ასხივოსნება,
არც ქართლის ცაზე მოწოლილი ნამგალა მთვარე.
გრიგალს მივეცი ფოთოლივით ნაზი ოცნება,
მწარე ოცნება უნდო გულში დავასამარე
უღრან ბილიკებს შევრჩი, როგორც მგზავრი გვიანი,
ბევრი ცრემლები დავადინე მშობლიურ მხარეს,
ჩემში ცხოვრობდა შმაგი სული ადამიანის,
და ახლა ისიც უნდო გულში დავასამარე.
... გაქრა ნუგეში, ხვალინდელი დღეც გამიმწარდა,
სულის მშვიდობა გავატანე მოხეთქილ ღვარებს,
რაღა მაქვს მეტი გამოფიტულ სხეულის გარდა,
სხვა დანარჩენი უნდო გულში დავასამარე!..

სიცოცხლეში ბობღიაშვილის ლქსები „ჩვენი თაობის“ (1935-1940) ფურცლებზე იბეჭდებოდა, სიკვდილის შემდეგ კი პირველად არალეგალურ გამოცემა „საწმისში“ (1976, №4) დაიბეჭდა, შემდეგ „ლიტ. საქართველოში“, „მნათობში“...

ადამ ბობღიაშვილის თითქმის ყველა ლექსი მრავალსტროფიანია. „ნანა“ (ძველი თუშური ნანა) – 30 სტროფიანია, მთის ხალხის მძიმე წარსულის სევდიანი ხმაა – საუკუნეთა მანძილზე განცდილ-გამოვლილი ჟამთა სიავე ჩანს ამ ნანაში: ლეკების, ჩეჩნების, ქისტების დაწიოკებულები, „სიცოცხლე შხამად ქცეული“, მთის ხალხი – „აწიოკების ლოდინით კერასთან თეთრად თენება, გვერდზე შეკრული ლოგინი, არც ძილი, არც მოსვენება“...

სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი ჭიდილი, ბრძოლის, საკუთარი სახლ-კარის, მშობლიური თემის დაცვის, მისთვის თავდადების იდეა იკვეთება დედის ნანაში, დედის წარილში: „მოუსვენარო წოვათა / თუშეთის მთებო, მაღალო, / თქვენ დამიფასეთ შრომა და / დამივაჟკაცეთ ნანალო“.

ძალზე შთამბეჭდავი მეტაფორული სურათით მთავრდება ტექსტი:

დასატირებელ სუდარად
კოშკს დაეკიდა საღამო...

წინაპრებისადმი პატივის მიგება, წინაპართა გმირული სახეების სიამაყით წარმოჩენა, 30-იანი წლების ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული თემა იყო. ადამ ალვანელის პოეზიასაც ადგას წინაპართა შარავანდი – ზეზვა გაფრინდაული, დავით გურამიშვილი, ივანე ჯავახიშვილი და სხვ. ის მშვენიერი ფერწერული სურათების მხატვარიცაა. უტყუარი პოეტური განცდით აღიქვამს ბუნების ფერისცვალებას:

ახლა სტრიქონი მაქვს თითისტარად,
ზედ ფარტენივით სურვილებს ვართავ,
ნუშმა ყვავილი ბელტზე დაყარა
და გაზაფხული ჩამოდგა კართან.

ყვავის ატამი ხეივნებს შორის,
გადაუხსნია ტყემალს რტოები,
ალაზნის პირად შრიალებს წნორი,
შრიალებს წნორი განმარტოებით.
(„დედის ბარათი“, 1940 წ.)

ადამს გულით ეწადა, „შეუვალ რკინის კარად“ დახვედროდა მტერს, სიკვდილს, მაგრამ ვერაგულად გაიწირა. მისი საფლავი სანატრელი გაუხდა დედამისს, რომელიც ბევრი მეამბოხის ოჯახის წევრთა მსგავსად, დააპატიმრეს და გადაასახლეს.* გადასახლებიდან დაბრუნებულს დიდხანს უძებნია შვილის საფლავი, მაგრამ ამაოდ. „თვითონაც ისე წავიდა ამქვეყნიდან, რომ შიშით ვერა თქვა რა“ (ცოცანიძე 2002: 36). მთის განთქმულ ხმით ნატირალებს მისიც შეემატა „ვაიმე, წვერაიძეო,**

* რეპრესიები შეეხოთ ბობღიაშვილის, იმედიძის, ვეშაგურის, არინდაულის, მაჩაბლიშვილისა და სხვათა ოჯახებს.

** **გიორგი ცოცანიძის** მოგონებიდან: მათე წვერაიძე ჯარიდან ავადმყოფობის გამო ჩამოსულა დროებით (სოხუმში მდგარა მისი ნაწილი). თელავის კომისარიატში ურჩევიათ, შენი ნაწილი გერმანელებმა გაწყვიტეს, არავინ

შვილ რად მომიკალივ, შვილ თუ მომიკალივ, თავ რად მომიჭერივ, თავ თუ მომიჭერივ, ტან რად დამიგორევ, ტან თუ დამიგორევ, მე რად არ მომკალავ...“.*

ეთერ თათარაიძე იგონებს: „რუსულის მასწავლებელს, თინა თურქოშვილს, დავყავდით ადამის დედის მისახმარებლად. პირველი შთაბეჭდილება შემზარავი და სამუდამოდ დასამახსოვრებელი იყო: პატარა ფიცრული სახლი გამორჩეული ეზოთი... ჩემი შვილის ოთახს გაჩვენებთო... შეგვიძღვა... პირველად ვნახე მაშინ ძაძაში ჩაცმული ოთახი... ამ ოთახმა შემაშინა. ფანჯრებსაც კი შავი მიტკლის ნაჭრები ჰქონდა ჩამოფარებული... ეს არის ადამის ოთახი, აქ ეძინაო. რაღაცნაირად დაზაფრული ვიდექი... ისე მოკვდა ის ქალი, შვილის ოთახისთვის შავები არ გაუხდია“ (თათარაიძე 1991: 5).

სვანეთში ყოფნის დროს, 1937 წელს, დაუწერია ადამს ლექსი „სვანეთის მთებში“, რომელშიაც ისეთივე მძიმე სულიერი განცდებია წარმოსახული, როგორიც მის ბოლო ლექსში. ლოგიკური იქნებოდა, რომ სვანეთის დიად მთებს და ბუნებას აღმაფრენა გამოეწვია მთიელი ჭაბუკში, ლექსში კი, პირიქით, უმძიმესი სულიერი ტკივილი და შეძრწუნებული კაცის გულისთქმა ჩანს:

შორს ქანჩახის სილუეტი ჩნდება,
დახურული, გაცრეცილი ღამით,
გული ისევ დათოვლილი მრჩება,
გული ღელავს ავსებული შხამით.
ვინ იქნება, ვინ გაუძლებს ამდენს.
მწარე ბოღმას, დაქანებულს ღვარად!
სტიქიონო, ოხ, ნეტავი სადმე
ჩემს სამარედ მიწა გაგეთხარა.

მოგიკითხავსო და მთაში წადიო. მთაში სამანელებს დაკავშირებია, წესდებაზე ხელიც მოუწერია. შემდეგ კი ჭინჭახოვნელებთან ერთად კვაშალს შერიგებია და სამანელების მდევარს გაჰყოლია.

* ჩაწერილია **ეთერ თათარაიძის** მიერ, პირველად გამოაქვეყნა როსტომ ჩხეიძემ.

ან, იქნებ, საკუთარი ბედისწერის ხილვა ქვეცნობიერის ძალით...

წინათგრძნობასავით ჟღერს ადამ ბობღიაშვილის სიტყვები ლექსიდან „ოცდამეათე გაზაფხული“:

> და ვხედავ ახლა, ამ ცხოვრების უდაბურ გზაზე,
> ოცდამეათე გაზაფხულის შემოღამებას...

სამწუხაროდ, ეს წინასწარმეტყველება აუხდა პოეტს – მისთვის ოცდამეთერთმეტე გაზაფხული აღარ დადგა... (ადამ ბობღიაშვილის ტრაგიკული სიკვდილის ფაქტის შესახებ იხ. გვ. 293).

დამოწმებანი:

თათარაიძე 1991: თათარაიძე, ე. „პოეტის გახსენება“. *გაზ. „თბილისი“*, №10. 1991.

ნარიმანიძე 1991: ნარიმანიძე, ს. „არ დაივიწყოთ ის დღე“. *გაზ. „ლიტ. საქართველო“*, №37. 1991.

ცოცანიძე 2002: ცოცანიძე, გ. *თუშური ქრონიკები. მენშევიკური პერიოდი; სამანელები.* თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2002.

ზოია ცხადაია

გიორგი ქადაგიძე

გიორგი ქადაგიძე – გიორგი ივანეს ძე ქადაგიძე დაიბადა 1914 წელს თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1930 წლის ნოემბრიდან 1932 წლამდე, მუშაობდა მასწავლებლად ხევსურეთსა და ქისტების სოფლებში. 1932 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ზემო ალვანში ქართული ლიტერატურის მასწავლებლად და დირექტორად. ამ დროს ასწავლიდა იგი თავის გამორჩეულ, ნიჭიერ მოსწავლეს, არჩილ კიტოშვილს, რომელიც მალე მისი სულისკვეთების თანამოზიარე გახდა და რომელმაც შემდეგ მასწავლებლის ხვედრი გაიზიარა. 1940 წელს გიორგი ქადაგიძე ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში, მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო პროფ. მიხეილ ზანდუკელი. გიორგის გამოჩენილი მეცნიერისა და ლიტერატორის ხვედრს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა და ამ წლებში საქართველოში შექმნილმა ვითარებამ გიორგი ქადაგიძის და მისი თანამზრახველების ცხოვრების ვექტორი საპირისპიროდ შეცვალა. 1942 წლის 28 იანვარს გიორგი ქადაგიძე დააპატიმრეს.

გიორგი ქადაგიძის ჩვენება. 1942 წლის 17 თებერვალი:* „ჯოგლიძე ამბობდა: გერმანიის არმიის შეტევის შედეგად მთავრობა იძულებული იქნება გაიქცეს, მაშინ ჩვენ გამოვალთ, გვინდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა გერმანი-

* სშსს არქივი. ტ. 2. ფონდი №486-490.

ის პროტექტორატით. ისე, გამორიცხული არაა, საბოლოოდ ინგლისმა გაიმარჯვოსო. მე ამ საქმეში ჩავაბი ბობღიაშვილი. როცა კ. ჯოგლიძის დაპატიმრება გავიგეთ, გადავწყვიტეთ, სახლში არ გაგვეთია“. აქ გაიყო მათი გზები: გიორგი ქადაგიძე დააპატიმრეს, ადამ ბობღიაშვილმა გაქცევით და ტყეში გახიზვნით გაახანგრძლივა ბრძოლა.

გიორგი ქადაგიძის ჩვენება ტრიბუნალის სხდომაზე:

„ივლის-აგვისტოში ქუჩაში შევხვდი გ. იმერლიშვილსა და კ. ჯოგლიძეს (მათ ომამდეც ვიცნობდი). ჯოგლიძემ თქვა: გერმანიის არმიას რობაქიძე* და სხვები მოჰყვებიან, მათ დააყენებენ სათავეშიო“...

გიორგი ქადაგიძეს მიესაჯა დახვრეტა.

დაპატიმრებამდე მას მზად ჰქონდა სადისერტაციო ნაშრომი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე, დაკარგულად ითვლება მისი ლიტერატურული ნარკვევი აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკზე“... დაუმთავრებელი დარჩა პოემა ვაჟა-ფშაველაზე. მისი გადარჩენილი ლექსები, საყმაწვილო ნოველა და ლერმონტოვის ლექსის თარგმანი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1990, №4), კრებულში „პოეზია – 1990“, გაზ. „მამულში“, 1992, №7.

თავისი თაობის სულისკვეთებას და, ზოგადად, ადამიანის უპირველეს და უწმინდეს მოვალეობას გამოხატავს გიორგი ქადაგიძის ერთსტროფიანი ლექსი „სახსოვრად ლიზას“:

> მაშ, რაღად ვცოცხლობთ? რადა ვცხოვრობთ ამა ქვეყნადა,
> თუკი ვხედავთ, რომ არ გვიდგება ნანატრი ბედი?
> მხოლოდ ერთი რამ გვასულდგმულებს, ჯერ მოვკვდეთ რადა?
> როცა კვლავ არის მკლავში ძალა, გულში იმედი.

„მაშა, რაისათვის ვცოცხალ ვართ?!“, – წერდა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი

---

* როგორც ჩანს, ხელისუფლებას და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ძალიან აშინებდათ გრიგოლ რობაქიძის სახელი. ამასთან დაკავშირებით, როგორც სხვა პატიმრების საქმეებიდან (პოეტ ალექსანდრე ბეგაშვილის) ირკვევა, რეპრესიები ამ გვარის ადამიანებსაც შეეხოთ. რობაქიძის შემოქმედების შესახებ აზრის გამოთქმის გამოც კი მძიმდებოდა სასჯელი (იხ. კონსტანტინე გაბაშვილისა და ალექსანდრე ბეგაშვილის საქმეები).

(ყველაზე მკაცრად დასჯილი) სოლომონ დოდაშვილი – სიცოცხლის საზრისად ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლას რომ ისახავდა... „მაშ, რაღად ვცოცხლობთ“ – ამ კითხვით და იქვე ლექსად გაცემული პასუხით ეხმიანება საუკუნის შემდეგ ღირსეულ წინაპარს გიორგი ქადაგიძე...

სამშობლოს გრძნობა მის ლექსებში ხან ემოციურად ხმიანობას („მინდა, სულ მუდამ გიმღერო, სუდ მუდამ გელოლიავო“), უფრო კი ფერწერულ წარმოსახვებშია გამოვლენილი:

... ცის ტატნად მთები დაჩნდება,
სპეროზა ქანჩახიანი,
მთვარეც ამოვა, პირსავსე,
წალურჯო ხალებიანი,
ძირს მიწა გდია, მაღლა – ცა,
ორივე ვარსკვლავიანი.
(„სამშობლო“, 1937)

გიორგი ქადაგიძის ლექსები, მეტწილად, სატრფიალო ხასიათისაა („შენი თვალები ზღვებია“, „მას თაფლისფერი თმა ჰქონდა“, „გინა წყალს მიმცა“, „არ მეგონა თუ ეს ღამე“ და სხვ). ამ ლექსებს ინტონაციით, გამოთქმის სილაღით, ეფექტური სისადავით ხალხური პოეზიის ელფერი დაჰკრავს:

შეგხედავ, ალვა მგონიხარ,
ცის კიდის შემომზომელი,
ცისფერი იადონი ხარ,
ვარდის კოკორზე მჯდომელი,
შენ მზის ამოსვლის ტოლი ხარ,
ვინ უნა გჯობდეს, რომელი!

ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია „ვაჟას“, რომელშიც ერთმანეთს თითქოს ეჯაჭვება დიდი მგოსნისა და ჭაბუკი პოეტის ბედისწერა:

იბრძოდი მოუღალავი, შეურიგები მტერთანა,
და ისე წახვე, მოგვშორდი, გულს მიწა ჩამოგეყარა,
ვერ ნახე თავისუფალი შენი მზე, შენი ქვეყანა,
შენი სამშობლოს იღბალი ყვავსა და ყორნებს ებარა!

კიდევ ერთი უდროოდ გასრულებული სიცოცხლე...

ზოია ცხადაია

ილია ცისკარიშვილი

ილია ცისკარიშვილი დაიბადა 1916 წელს, აგვისტოში, ზემო ალვანში. დაწყებით კლასებში სწავლობდა თავის სოფელში, საშუალო სკოლა დაამთავრა თელავში. შემდეგ შევიდა თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, რომელიც 1940 წელს დაამთავრა. პარალელურად სწავლობდა ქუთაისის პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. დიდი სამამულო ომის დაწყებისთვის ლეჩურში იყო სამხედრო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უფროსი ლეიტენანტი ალექსი ცისკარიშვილი (ისტორიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული). ადამ ბობღიაშვილის სიყრმის მეგობრის, ლიზა ვახვახიშვილის ინფორმაციით, სამხედრო შტაბს ევალებოდა გასული „ბანდების“ წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ როდესაც ილიკო ცისკარიშვილი 1942 წელს „სამანს“ შეუერთდა, ალექსიც მის კვალს გაჰყვა. მან სამანელებს მთაში ავტომატებიც კი აუტანა და მათი მეთაური გახდა. როცა 1942 წლის მარტის დასაწყისში მთავრობამ გასულების უმრავლესობა შეირიგა, მათ შორის იყვნენ ილიკო და ალექსი ცისკარიშვილები. ილიკო ცისკარიშვილს, შინსახკომის დავალებით, შუამდგომლობა უნდა გაეწია ადამ ბობღიაშვილთან (თავის დეიდაშვილთან) და მიხეილ (ფანცალე) იმედიძესთან შესარიგებლად, რაც მას არ გამოუვიდა. 1943 წლის 17 მარტს იგი თბილისში უშიშროებაში გამოცხადდა. ლ. ვახვახიშვილის ინფორმაციით იგი 17 მარტს დააპატიმრეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში კი დაჭერის თარიღად მითითებულია 1943 წლის 30 მარტი.

ილია ცისკარიშვილი გაასამართლეს 17-58-1 „ბ“, 58.8 და 58-11 მუხლით; დახვრეტა დამტკიცდა ყველა ინსტანციის მიერ. სასჯელი მოყვანილია სისრულეში 1943 წლის 9 სექტემბერს.

ილიკო ცისკარიშვილი, როგორც გადმოცემით ვიცით, პოეტიც იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი მხოლოდ ერთადერთი ლექსია შემორჩენილი – „არაგვს“:

მორბის, მოშხუის არაგვი,
თან მოაქვს არემარეო,
მთას შეჰყეფს ღვართქაფიანი
– მითხარ, რათ გამამწარეო.
შენ, კორდო, ლაზათიანო,
ზეცით რომ დაგცქერს მთვარეო,
ან გადმოგლახავ ერთიან,
ან ამიქციე მხარეო.
ან შენ ვინა ხარ, ვაჟკაცო,
ჩუმად რომ მომეპარეო,
ჩემი ზვირთების მიმნდობი,
მითხარ, ვინ გავახარეო?
– აუ, არაგვო, რას ჯავრობ,
რა ქაფი გადმოღვარეო,
თუ ლაჩრად შეგხვდი, ჯაბანი,
სამარე გამითხარეო,
გამიტიალდეს ეგ ცხენი,
თუ შენ ვერ გადაგღარეო,
შეიქნას მგლისა ვახშამი,
ყორანთა გასახარეო,
თუ ორ შებრძოლვით აქედან
ვერ ვნახო იქით მხარეო...

შეიძლება ითქვას, რომ ამ პოეტური სტრიქონებიდან, რომლებიც ინტონაციით ვაჟას „არაგვს“ მოგვაგონებს, გამოსჭვივის ბედისწერას შეჭიდებული ახალგაზრდა კაცის „განწირული სულისკვეთება“, კაცისა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის გა-

საყარზე დგას და არ კარგავს შინაგან მხნეობას, უშიშრად უსწორებს თვალს დაუნდობელ სიკვდილს, რომელიც არაგვის მხატვრული სახითაა წარმოჩენილი.

შემორჩენილია ილიკო ცისკარიშვილის დღიურებიც, რომლებიც 1943 წლით თარიღდება (ახალი წლიდან იანვრის ბოლომდე).*

„ამ ჩანაწერებს მკითხველი განწირულთა გოდებას თუ დაარქმევსო“, – წერს ლიზა ვახვახიშვილი. თუმცა დღიურის ფურცლებიდან გაუსაძლის სირთულეებთან ერთად სიმხნევეც გამოსჭვივის, დათოვლილი გარემოს პოეტური აღქმაც და ზოგჯერ მსუბუქი იუმორიც.

ფრაგმენტები დღიურებიდან:

1943 წლის 2 იანვარი: „დილის 4 საათზე გავედი პოსტზე. მშვენიერი მოწმენდილი იანვრის დილაა. იანვარი მაინც თავისას არ იშლის, ღამით სუსხავს ყველაფერს... სიცივისგან შეწუხებულმა ავანთე ცეცხლი. ესეც მხოლოდ ცალმხრივად მათბობს. ვზივარ ქვაზე და ვფიქრობ ჩემს ბედზე, აწმყოზე და მომავალზე“...

4 იანვარი: „დილის 7 საათზე გამოველი პოსტზე. ისევ მოკამკამებული ცაა და ვარსკვლავები ისევ თავისებურად კიაფობენ. სუსხავს ყველაფერს... დავღონდი: რანაირია კაცის ბედი, დაჰქროლა უცაბედად ზენა ქარმა და მე აგერ, აქ გადმომტყორცნა“.

8 იანვარი: „დილის 7 საათზე გამოვედი პოსტზე. სასტიკი სიცივეა... ვცადე ცეცხლის დანთება... ვერ დავანთე. ისე მოუჭირა სიცივემ, რომ ცეკვაც კი დამაწყებინა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მიცეკვია. მთელ დღეს მოწყენილი ვარ. წავიხურე ნაბადი. ძილი არ მომეკარა. მივლულავ თვალებს და რას ვხედავ: „აგერ გამოჩნდა ჭაღარა მამაჩემიც. მოვიდა და ორივე ხელი მომაწოდა. მე მისი თვალების სიმკაცრე ვერ ავიტანე და ძირს თავდახრილმა ძლივს მოვახერხე ხელის ჩამორთ-

* პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ (1990, №4).

მევა... თავი ამიწია, თვალი თვალში გამიყარა და მითხრა. შვილო, შენ მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის რატომ გინდა დაღუპო ჩემი ნაამაგარი... დაფიქრდი... მე გირჩევდი: რომ შეურიგდებოდე... მე ეს ჩემს თავზე შეურაცხყოფად მივიღე და ხმის ამოუღებლად გავცილდი. გავახილე თვალი და გაქრა ჩვენება“.

21 იანვარი: „...რაინაირი ცვლილებაა ხოლმე ბუნებაში. მთაში მშვენიერი მზეა. კახეთში კი ჯანღი დგას ისე, რომ არაფერი არ ჩანს“.

30 იანვარი: „რისაც გვეშინოდა, სწორედ ისეთი მოთოვა. თოვს განუწყვეტლივ. რას ვიზამთ... შევუდექით საყორნიას მთის აღმართს“...

31 იანვარი: „ნახევრი კილომეტრი სამ საათში ძლივს გავიარეთ. სიბნელეა ისეთი, რომ წინ მიმავალი კაცი არ ჩანს. ერთმანეთს მხოლოდ ხმაურით ვიგებთ. ამოვედით ალვნის ტერიტორიაზე და ეს სასტიკი ღამე ნათლისმცემლის ეკლესიაში გავატარეთ, მთლად სველებმა. ცეცხლის დაუნთებლად, პირდაპირ

დავეყარენით. რა ტკბილი იყო საფარში ყოფნა! ნეტა აღარ მეღირსება ის სანეტარო წუთები, რომ ტკბილად ჩემს სახლში მოვისვენო?“

დღიურები აქ წყდება.

ილია ცისკარიშვილის საქმეც ოპერატიული არქივის შემოწმების შედეგად გამოვლენილი განადგურებულ სისხლის სამართლის საქმეთა ნუსხაშია. გადარჩენილია მხოლოდ ანკეტები, ოქმები, ჩვენებები, რომლებიც ნაჩქარევად შეკოწიწებული ნაწყვეტების შთაბეჭდილებას ტოვებს.

ფონდი №6. საარქივო №43537-07

ცისკარიშვილი ილია აბრამის ძე
დაპატიმრების ორდერის ტალონი №1615
დააპატიმრა – სახ. უშიშროების მაიორმა მარქაროვმა
ქ. თბილისი, 30.III.1943 წ.

დადგენილება
(დაპატიმრებაზე)

თბილისი, 1943 წ. 30. III
სახ. უშიშროების მაიორი მარქაროვი
ცისკარიშვილი ილია აბრამის ძე, დაბ. 1916, ს. ზემო ალვანი, თელავი
ზოოტექნიკოსი, ზემო ალვანის კოლმეურნეობის მწყემსი, უპარტიო, დაუოჯახებელი. ყავს მამა, დედინაცვალი, არაღვიძლი ძმა და და. წითელ არმიაში არავინ ჰყავს. ნასამართლევი არაა.
ეჭვმიტანილია დანაშაულში – მუხ. 17-58-ბ, 58-8, 58-11
აღმკვეთ ზომად ძიებისა და სასამართლოსთან თავის არიდების მიზნით ილია ცისკარიშვილს აერჩიოს პატიმრობა.

გამომძ. მარქაროვი

ბრალდების ტექსტი

1942 წ. ზაფხულში შევიდა არალეგალურ ტერორისტულ ორგანიზაციაში, იმალებოდა იარაღით ხელში. გერმანიის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემთხვევაში წავიდოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. მონაწილეობდა არალეგალური ორგანიზაციის კრებებში. უშუალოდ მონაწილეობდა თელავის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, ციხისთავის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის მცდელობაში. სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა სოფ. ლეგუთში ჯარის შეიარაღებულ ნაწილზე თავდასხმაში, სადაც დაჭრეს და მოკლეს სამი ჯარისკაცი და გაიტაცეს იარაღი. გადაიბირეს აბაშიძე ელიზბარმა, აბაშიძე აბაშომ და სხვებმა.

გადაიბირა ბობღიაშვილმა (მიწერილია ცალკე – ზ.ც.)

1942 წელს დაამთავრა თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. ბრალდებული ცისკარიშვილი, სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, თბილისიდან თელავში ჩავიდა და სოფ. ზემო ალვანის კოლმეურნეობაში მოეწყო მწყემსად, რაც დაეხმარა სამხედრო ვალდებულებისაგან გათავისუფლებაში.

ილია ცისკარიშვილის ჩვენება

„გულწრფელად ვაღიარებ, რომ 1942 წ. ზაფხულში ვუღალატე სამშობლოს და შევედი არალეგალურ-მოღალატურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, ს. ზემო ალვანში... ბობღიაშვილთან შეხვედრის დროს ამ უკანასკნელმა მითხრა, რომ ის გადავიდა არალეგალურ მდგომარეობაში, რადგან დაკავშირებული იყო გიორგი ქადაგიძესთან და როცა გ. ქადაგიძე დააპატიმრეს, თბილისიდან გამოიქცა... ბობღიაშვილმა თქვა, რომ არავითარ შემთხვევაში არ წავსულიყავი არმიაში. ომი მალე დამთავრდება, გერმანია გაიმარჯვებს საბჭოთა კავშირზე, გერმანელები საქართველოსთან ახლოს იბრძვიან, ჩვენ მალე მოვცოცხლდებით თავისუფლებით და მითხრა, რომ მეც შევუერთდე მათ ჯგუფს. მე მას ვუპასუხე, თუ მე დავინახავ, რომ დამავალდებ-

ულებენ ჯარში წასვლას, არ წავალ და შემოგიერთდებით თქვენ, რაც გავაკეთე კიდევაც.

1948 წლის 18 თებერვალს ილია ცისკარიშვილის მამა განცხადებას უგზავნის სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს: „ჩემი შვილი ილია აბრამის ძე ცისკარიშვილი დაიჭირეს 1943 წლის მარტის თვეში და მოხუცმა მამამ დღემდე არ ვიცი, ცოცხალია თუ არა. თუ ცოცხალია, სად არის იმყოფება. ამიტომაც გთხოვთ თქვენ, მაცნობოთ“.

ა. ლ. ცისკარიშვილი

ცნობა

განაჩენი ილია აბრამის ძე ცისკარიშვილთან დაკავშირებით სისრულეშია მოყვანილი 9/IX/43 წ.*

* ეს განცხადებაც და ყველა საქმე რუსულ ენაზეა წარმოდგნილი.

ზოია ცხადაია

არჩილ კიტოშვილი

არჩილ კიტოშვილი დახვრეტილ „სამანელთა“ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. იგი სოფელ ზემო ალვანში დაიბადა, 1923 წლის 8 ივნისს. 1930 წელს შევიდა ზემო ალვანის არასრულ საშუალო სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაამთავრა. არჩილს ლექსების წერა ადრეული ასაკიდან დაუწყია, მაგრამ თავისი შემოქმედებით თავმომწონეობა არა სჩვეოდა. მისი ლექსების ღირსება ყველაზე კარგად მის მასწავლებელს ესმოდაო, – იხსენებს არჩილის თანაკლასელი, კოტე ჭრელაშვილი. სკოლის დამთავრებისთანავე გიორგი ქადაგიძის გადაწყვეტილებით (ზემო ალვანის სკოლის დირექტორი) იგი თუშეთის სოფელ ქუმელაურის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დაინიშნა; 1941 წლის შემოდგომაზე ჯარში გაიწვიეს, სამხედრო სამსახურს გადიოდა თელავის გარნიზონის სამეთაურო სკოლაში. იქიდან დროებით შინდაბრუნებული სამანელებს შეუერთდა. დააპატიმრეს 1943 წლის 4 აპრილს. „52 პატიმარი ჩააბეს ერთ თოკში და ფეხით გაუყენეს გზას. ასე წაიყვანეს თელავში. ქააძე და კიტოშვილი მაშინვე გადააგზავნეს თბილისში, დანარჩენების შესახებ გამოძიება იქვე დაიწყო“ (ცოცანიძე 2002: 33). „თვითმხილველთა გადმოცემით, არჩილ კიტოშვილი ფეხშიშველა, მოყინული, დასისხლიანებული ფეხებით მტკიცედ მიაბიჯებდა ვიწრო ბილიკებზე. სოფელ ქუმელაურთაში, ქალებს რომ უნახავთ, სასწრაფოდ თუშური ჩითები გამოუტანიათ, მაგრამ არჩილს ზედაც არ შეუხედავს. ეს იყო პროტესტი, მძლავრი პროტესტი გამცემლებისა და მოღალატეების მიმართ. ამაყი, პრინციპუ-

ლი და გაუტეხელი იყო არჩილი სკოლის მერხიდანვე“, – წერს კოტე ჭრელაშვილი (ჭრელაშვილი 1991: 8).

1943 წლის 7 ივლისს ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ მიესაჯა დახვრეტა.

ფონდი №6. საარქივო №43527

ფორმა 2 – დაპატიმრება სანქცირებულია 4.IV.1943 წ.

დადგენილება

აღმკვეც ზომის არჩევისა

ქ. თბილისი, 1943 წ. საქ. სსრ

არჩილ ალექსანდრე ძე კიტოშვილი, დაბ. 1923, ზემო ალვანი, თელავი. პროფესიით პედაგოგი, უპარტიო, საშ. განათლების (სსრკ მოქალაქე).

მისამართი – თელავი, ალვანი

ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სსრ დროებითი წესების 44 და 49 მუხლებით, დავადგინე: ძიებისა და სასამართლოსგან თავის არიდების მიზნით აღმკვეც ზომად კიტოშვილ არჩილ ალექსანდრეს ძეს აერჩიოს პატიმრობა.

ბრალდებული კიტოშვილი არჩილ ალექსანდრეს ძე ამ ორგანიზაციაში გადაიბირეს ქააძემ, ბობღიაშვილმა. კიტოშვილი არმიიდან დაბრუნდა, დეზერტირობით. არმიაში მიიღო მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონის ლეიტენანტის წოდება.

აღიარებითი ჩვენება:

„ვაღიარებ, რომ, ფაქტობრივად, ვიყავი იმ არალეგალურ-მოღალატეობრივ ორგანიზაციაში, რომელიც ეწეოდა აქტიურ შეიარაღებულ ბრძოლას სსრკ-ის წინააღმდეგ“.

1943 წელს დააპატიმრეს არჩილ კიტოშვილის დედა და მცირეწლოვანი ძმა (მამა ბავშვობაშივე გარდაეცვალა) და ყაზახეთში გადაასახლეს, საიდანაც 1948 წელს დაბრუნდნენ.*

---

* კიტოშვილი სიდო მიხეილის ასული, დაბ. 1882 წ. სოფ. დიკლო, თელავი, ქართველი, მცხ. ზემო ალვანი, თელავის რაიონი, მუშაობს კოლმეურნეობაში, გლეხური წარმოშობის, უპარტიო, ოჯახში ჯილდო არავის არ აქვს. თვით ს. კიტოშვილი არის ზემო ალვანის სოფლის დეპუტატი. მსჯავრდებულია შვილის კ/რ ორგანიზაციაში მუშაობის გამო. ოჯახის სხვა წევრებს არ უმუშავიათ გერმანელებთან. ოჯახის არცერთი წევრი არ ყოფილა წითელ არმიაში. ოჯახში არიან ს. კიტოშვილი და მისი შვილი – კიტოშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, დაბ. 1929 წელს (IX კლასის მოსწავლე).

საქმეში დევს **ცნობა**, გაცემული 1998 წელს იმის შესახებ, რომ:

მოქალაქე არჩილ ალექსანდრე ძე კიტოშვილი, დაბადებული 1923 წ. თელავის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, 1943 წლის 7 ივლისს გასამართლებული იყო ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის 58-I „ბ“ /სამშობლოს ღალატი/ 58-8/ტერორი/, 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის /მუხლების საფუძველზე და მიესაჯა **სასჯელის უმაღლესი ზომა /დახვრეტა/.**

განყოფილების უფროსი – მირონოვი
თბ. 6. 5. 1998 წ.

არჩილ კიტოშვილის საბოლოო ბედი დიდხანს იყო გაურკვეველი. არსებობს სხვადასხვა ვერსია, მაგრამ სუკის არქივში მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ იგი დახვრიტეს 1943 წლის 10 სექტემბერს – „ночь девятого на десятое сентября“. დახვრეტის თარიღის ასეთი „სიზუსტით“ აღნიშვნა იყო ცინიზმი.

განაჩენის სისრულეში მოყვანისას არჩილ კიტოშვილი მხოლოდ 20 წლის იყო...*

არჩილ კიტოშვილის საქმეში დევს მისი ძმისშვილის განცხადება: ანეტა ივანეს ასული კიტოშვილი (არჩილის ძმისშვილი) მცხ. ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში, 1998 წელს განცხადებით მიმართავს საქართველოს სახ. უშიშროების მინისტრს არჩილ კიტოშვილის რეაბილიტაციის შესახებ. წერს, რომ არჩილის დედა და ძმა გადასახლებელი იყვნენ 1943 წ. კემბერნს, ჩრდ. ყაზახეთის ოლქში, ქონების კონფისკაციით. გათავისუფლდნენ 1948 წლის 25 დეკემბერს. ივანე ალექსანდრეს ძე კიტოშვილი ამჟამად ცოცხალიაო. ითხოვს ცნობას იმის შესახებ, რომ ივანე კიტოშვილი დედასთან ერთად ნამდვილად იყო გადასახლებული.

სიდო კიტოშვილი, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრი, გადასახლებულ იქნას ჩრდილოეთ ყაზახეთში 5 წლით, პირადი ქონების კონფისკაციით.

სსსრ შინსახკომი, 25.XI.1943 (საქმე №708, გვ. 69).

* არჩილ კიტოშვილთან ერთად სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯათ: გრიგოლ ალექსანდრეს ძე ქააძეს და ილია აბრამის ძე ცისკარიშვილს (1943 წლის 24.IX).

1998 წელს გაცემული ცნობა:

სსრკ უმაღლესი პრეზიდიუმის 1989 წ. 16 იანვრის ბრძანების I მუხლის თანახმად არჩილ ალექსანდრეს ძე კიტოშვილი რეაბილიტირებულია.

ი. მირონოვი

განმცხადებელი ვერ იღებს დასტურს ივანე კიტოშვილის გადასახლების შესახებ.

2015 წელს ივანე კიტოშვილის შთამომავალი ითხოვს, მიიღოს ცნობა, რომ ივანე კიტოშვილი ნამდვილად იყო გადასახლებული ყაზახეთში დედასთან ერთად. არქივმა უარყოფითი პასუხი გასცა...

გადარჩა მისი ლექსების ხელნაწერი რვეული, გადარჩა იმ ადამიანების კეთილშობილების წყალობით, რომელთაც სასურველ დრომდე შემოინახეს და მერე დღის სინათლეც აჩვენეს. არჩილის თანაკლასელმა, პროფესორმა კოტე ჭრელაშვილმა, გამოსცა მისი პოეზიის კრებული „რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო“*. წიგნს წამძღვარებული აქვს როსტომ ჩხეიძის („ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი“) და კოტე ჭრელაშვილის („პოეტის სული ვერ მოკლა ტყვიამ“) შესავალი წერილები. 1993 წლის 20 აგვისტოს „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა არჩილ კიტოშვილის ერთი ლექსი რუბრიკაში „გალაკტიონიდან – ლადო ასათიანამდე“... ეს უკვე აღიარება იყო გალაკტიონიდან ლადო ასათიანამდე ჩაკარგული, მაგრამ არდასავიწყები პოეტის გვარ-სახელისა. ასე მოკრძალებით შემოვიდა ქართულ პოეზიაში არჩილ კიტოშვილის შეწყვეტილი ხმა.

ეს ჩემი გული რა არი?
გრძნობით მქუხარე ზღვა არის.
ნაპირზე მთები დრკებიან,
იმის იქით კი სხვა არი!
გონება, გრძნობის სადავე,
ჭკუის სასინჯი ქვა არი,
ის, რაც ჩანს, არის სათავე,
ბოლოში კიდევ სხვა არი!

* კიტოშვილი, ა. „*რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო*“ (ლექსები, ზღაპრები და თარგმანები). თბილისი: „დეგი“, 1998.

წალკოტის გრძნობის მპარავი, –
ეგ ჩემი გულის თქმა არი,
ნაპირს დგას ოქროს კარავი,
შუაში კიდევ სხვა არი!
ბუნდად რომ მოსჩანს ნისლებში, –
ჩემი დიდების მთა არი,
რასაც შენ ხედავ, ძირია,
მწვერვალი კიდევ სხვა არი!
ეს ჩემი გული რა არი?
ეხ, შენი ტრფობის ზღვა არი!
ნაპირზე ედემს გიშენებ,
იმის იქით კი სხვა არი!
(„ეს ჩემი გული რა არი?“, 1941)

ლექსების წერა არჩილ კიტოშვილს ადრევე დაუწყია. პირველი, რაც თვალშისაცემია მკითხველისათვის, ესაა საოცარი გულწრფელობა და დროის სწრაფმავლობის შეგრძნება, ამიტომაც წამოსცდენია: „იჩქარეთ! დრო რბის, ჟამი არ იცდის, სიცოცხლე ერთი დამთქნარებაა“... საბედისწერო დროის ათვლა მისთვის ძალიან ადრე დაწყებულიყო და უნდა მოესწრო...

ვზივარ გორაკზე და დავცქერი ჩემს წინ ბახტრიონს,
შემოყრილ ლოდებს, ვით მთვრალსა და მძინარ მაყრიონს,
თითქოს გასქცერის სევდით მოცულ ძველ კავკასიონს
და კვლავ მოელის დროთა ახალ-ახალ დაფიონს...
... ბევრჯერ გსმენია ჩონგურის ხმა, ტკბილი ნაური,

უფრო მეტი კი ბროლის ზათქი, აურზაური,
როცა მოადგა შენს გალავანს გაფრინდაული
ცხენის უკუღმა დაჭედილი ტორთა ხმაურით.
(„ბახტრიონი“, 1934)

არჩილ კიტოშვილის პატრიოტული ლექსებიდან გამოსჭვივის ახალგაზრდული შემართება და სიმართლე. უშორესი წარსულიდან, „ლომგულ ხეთებიდან“ მოყოლებული, იგი ქებას უძღ-

ვნის და პატივს მიაგებს ყველას, ვინც **„მოვიდნენ და მიებჯინ-ნენ ზურგით კლდეკარ კავკასიონს, დაემკვიდრნენ ულამაზეს ზურმუხტ ხმელეთს, ფირუზ ციონს“** („საქართველო“, 1940 წ.)

„ნისლი ფიქრია მთებისა“, – ვაჟას ამ გენიალური გამონათ-ქვამით შთაგონებული ყმაწვილი პოეტი თავის სათქმელსაც გამონახავს და სათანადო პოეტურ ფორმას მოარგებს:

> რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო,
> შემჯდარო გორის ფხაზედა?
> განა შენც რამე გაწუხებს
> ამ ოხერ ქვეყანაზედა?

„ეს იმ ღირსების ლექსია, თუნდ მარტოსულად გადარჩენი-ლიც, პოეტის ხსოვნას უთუოდ რომ შემოინახავს ხოლმე; მთქმე-ლის სახელი რომც ვერ შემოგვრჩეს, ხალხურ პოეტურ ქმნილე-ბათა შორის დამკვიდრდება და სინანულით ვიფიქრებთ უჩინარ მელექსეზე“ (ჩხეიძე 1998: 11).

საბედისწერო დღეები ჯერ არ დამდგარა, მაგრამ წინასწარ-მეტყველებასავით ჟღერს 1941 წლის მაისში სიკვდილისადმი მიმართული სტრიქონები:

> რატომ დამიმძიმდა დღეს ასე გუნება,
> ახლოს ხომ არა ხარ, სიკვდილო, შენ?
> რატომ ლამაზია ან ასე ბუნება,
> რად გიფენს თვის ლამაზ იგ ტილოს შენ?!..
> ... მაინც კი მისმინე, გულო, გეუბნები,
> აზრნი უვარგისნი გადახარშენ,
> შენი ისლიანი დადაგე უბნები!
> მე მზად ვარ, სიკვდილო, სადა ხარ შენ?!
> („სიკვდილო, სადა ხარ შენ?“ 27 მაისი, 1941)

თუმცა მისი სიცოცხლის და პოეტური შემოქმედების ფინა-ლისთვის უფრო სადაგი ის სიტყვები აღმოჩნდა, რომლებიც უკვე მანამდე დაეწერა:

მარტოდ მოვედი, მარტოდვე წავალ,
მარტოდ გავთელავ მე ჩემს გზას სავალს,
ცეცხლის სიტყვებით დავწერ ამ გზაზე
ჩემი ცხოვრების თავგადასავალს“.
(„მარტოდ მოვედი“)

მისი „ცხოვრების თავგადასავალი“ კი მეტად ხანმოკლე და ტრაგიკული აღმოჩნდა...

დამოწმებანი:

ჩხეიძე 1998: „ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი“ (წინასიტყვაობა არჩილ კიტოშვილის ლექსების წიგნისა „რას ფიქრობ, ნისლო, ტიალო“). თბილისი: გამომცემლობა „დეგი“, 1998.

ცოცანიძე 2002: ცოცანიძე, გ. *თუშური ქრონიკები. მენშევიკური პერიოდი; სამანელები.* თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2002.

ჭრელაშვილი 1991: ჭრელაშვილი, კ. „პოეტის სული ვერ მოკლა ტყვიამ“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,* №25. 1991.

ფონდი №6, საარქივო №421549-07, იმერლიშვილი გ. ს. და სხვ.*

საქართველოს სსრ

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ შინსახკომი
სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი რაფავა
26 ივნისი, 1942 წ.

საბრალდებო დასკვნა

საგამოძიებო საქმე №1964 ბრალდებულთა:

1. იმერლიშვილი გიორგი სიმონის ძე
2. ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
3. ბურდიაშვილი დიმიტრი იოვანეს ძე
4. იმერლიშვილი მიხეილ იასონის ძე
5. თორაძე ლევან ივანეს ძე
6. ბათიაშვილი რომან თეოდორეს ძე
7. ქადაგიძე გიორგი ივანეს ძე
8. იმერლიშვილი სოლომონ ანდრიას ძე
9. იმერლიშვილი ისაკ სიმონის ძე
10. კოკილაშვილი გრიგოლ გრიგოლის ძე
11. იმერლიშვილი იოსებ გიორგის ძე
12. უთურგაიძე აქვსენტი გრიგოლის ძე
13. ჯოგლიძე კონსტანტინე სერგოს ძე
14. შავიანიძე შალვა ნაუმის ძე
15. ძიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე
16. ლაპიაშვილი ივანე თეოდორის ძე
17. არსენიძე გიორგი ვიქტორის ძე
18. შანშიაშვილი თურმან მოსეს ძე
19. კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე
20. ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე
21. კაციტაძე მიხეილ ილიას ძე
22. მისაბიშვილი ზურაბ ნიკოლოზის ძე

* მოამზადა ადა ნემსაძემ და მანანა შამილიშვილმა.

23. ახობაძე გიორგი მიხეილის ძე
24. თარგამაძე გიორგი რაფიელის ძე
25. ფარეშიშვილი აბო ნიკოლოზის ძე
26. კვაჭაძე ლევან მიხეილის ძე
27. შიხაშვილი ვახტანგ ივანეს ძე
28. საბაშვილი მიხეილ მიხეილის ძე

საქ. სსრ სისხ. სამ. კოდექ. 58-10-ის მე-2 ნაწ. და 58-11 მუხლებით გასამართლების შესახებ

29. არეშიძე მიხეილ ივანეს ძე
30. ციბოლაშვილი გიორგი გიორგის ძე
31. თუშმალიშვილი თინათინ ალექსანდრეს ასული
32. გონიაშვილი თინათინ ბაგრატის ასული
33. გერგიშვილი სიმონ სიმონის ძე

საქ. სსრ სისხ. სამ. კოდექ. 58-10-ის მე-2 ნაწ. მუხლით გასამართლების შესახებ.

ვითარებები და წინაპირობები საქმის შესახებ:

ომის დროს, რომელიც თავს მოახვია საბჭოთა კავშირს ჰიტლერულმა გერმანიამ, მობილიზაციის პირველ თვეებში 35-ე და 83-ე სარეზერვო სამშ. პოლკებში შეაღწია ანტისაბჭოურად განწყობილმა ქართულმა ფაშისტურმა ელემენტებმა, როგორიცაა საქ. სახ. უნივერსიტეტის ასპირანტების ჯგუფი. ისინი მობილიზაციამდე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი და გაერთიანებულნი კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური მრწამსით: ჯოგლიძე კ. ს., შავიანიძე შ. ნ., ძიგვაშვილი გ. მ. და სხვ. /35-ე სსპ, ავჭალა/ და იმერლიშვილი გ. ს., ხიმშიაშვილი კ.ა., სეფაშვილი ი. მ. /არ არის დამტკიცებული, იმყოფება ფრონტზე/, შიხაშვილი ვ. ი. და სხვ. /83-ე სსპ, კიროვაბადი/.

წითელი არმიის დროებითი უკან დახევის პერიოდში, განსაკუთრებით მაშინ, როცა გერმანული ფაშისტური არმია მოსკოვს მიუახლოვდა, ზემოხსენებულმა ჯგუფმა სახ. უნივერსიტეტის ასპირანტებისა, იდგნენ რა კონტრრევოლუციურ-ძირგამომთხრელ პოზიციაზე და ფსონს დებდნენ ფაშისტური გერმანიის გამარჯვებაზე, დაიწყო აქტიური არალეგალური

საორგანიზაციო მუშაობა, რათა შეექმნა მეამბოხე ფაშისტური კ/რ ორგანიზაციები დასახელებულ პოლკებში, ასევე უახლოეს სამოქალაქო პირებს შორის.

მითითებული არალეგალური სამხედრო მეამბოხე ფაშისტური კ/რ ორგანიზაცია ემზადებოდა შეიარაღებული ამბოხისთვის, რომლის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა; თუკი გერმანია მოსკოვს აიღებდა, მოაწყობდა შეიარაღებულ აჯანყებას და გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.

მთავარი ამოცანა საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამხობის საქმეში ორგანიზაციისთვის იყო თბილისის, როგორც რესპუბლიკის ცენტრის, დაპყრობა, რასაც მოჰყვებოდა რადიოთი გამოცხადება „საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნის შესახებ“.

შეიარაღებული აჯანყების გეგმის პრაქტიკული განხორციელება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გლეხობის ერთდროული გამოსვლები რაიონებში, ძირითადად შემდეგს ითვალისწინებდა:

ა) იერიში 35-ე პოლკისა თბილისზე, გზად ღრმაღელეში უნდა აეღოთ საომარ საშუალებათა საწყობი.

ბ) განიარაღება და განადგურება რუსული ნაწილებისა, რომლებიც ავჭალაში იყვნენ დისლოცირებულნი, იმ შემთხვევაში, თუკი ისინი წინააღმდეგობას გაუწევდნენ აჯანყებულებს.

გ) ფოსტის და ტელეგრაფის, რადიოკვანძების, არსენალის, საქ. სკკპ შსსკ-ისა და ამიერკავკასიის სამხ. ოლქის შტაბის ხელში ჩაგდება.

დ) ხელისუფლების, არმიის ხელმძღვანელობის, შსსკ-ის თანამშრომელების დაპატიმრება, წინააღმდეგობის შემთხვევაში – მათი ფიზიკური განადგურება.

ე) შეიარაღებული გამოსვლის ხელშესაწყობად სამხედრო ამბოხის პროცესში გერმანული ჯარების ხელმძღვანელობასთან რადიოკავშირის დამყარება.

ვ) საბჭოთა ხელისუფლების დამხობის რადიოთი გამოცხადება, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საჯარისო ნაწილებში ახალი ხელისუფლების წინაშე ფიცის დადების შესახებ ბრძანების გამოცემა.

ორგანიზაციაში ახალი წევრების გაერთიანების საქმეში დასახელებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გეგმაში არ შედიოდა რუსული წითელი არმიის რიგითი ჯარისკაცების გადაბირება.

ორგანიზაციაში არსებული განაწესის მიხედვით, გადაბირებულნი უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ და მხოლოდ ქვედანაყოფთა ქართველი მეთაურები. ესაა სწორედ ამ საქმეზე დაპატიმრებული დასახელებული ორგანიზაციის წევრთა 50%. აღნიშნულ საქმეში ბრალდებულნი ეწეოდნენ მებრძოლთა შორის ანტისაბჭოთა მუშაობას, იყენებდნენ საკუთარ ავტორიტეტს და მოპოვებულ წარმატებას, ამასთანავე მეთაურებს ამბოხის მომენტში უნდა მიემხროთ მათდამი დაქვემდებარებული მებრძოლები.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აქტიურ გადამბირებლურ საქმიანობას ეწეოდა 1941 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, როდესაც მეტ-ნაკლებად დაძაბული იყო ვითარება ფრონტზე, განსაკუთრებით მოსკოვის მიმართულებით. ეს ვითარება მოხერხებულად გამოიყენებოდა ორგანიზაციის მიერ გადაბირების პროცესში.

ამგვარად, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამოყენებით /1941 წ. ივლისი-ოქტომბერი/ მოცემული კ/რ ორგანიზაცია შესაბამისი არალეგალური კ/რ საორგანიზაციო საქმიანობისას ხელსაყრელ მომენტში აპირებდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ზურგში მახვილის ჩაცემას, ისწრაფოდა რა, თავი გაეთავისუფლებინა ამ უკანასკნელისაგან, განეხორციელებინა „საქართველოს დამოუკიდებლობა“ გერმანული იმპერიალიზმისთვის გზის გასაწმენდად.

1941 წ. 11/IX საქ. შსსკ-ში შემოვიდა მონაცემები, რომ ზემოხსენებული იმერლიშვილი გიორგი სიმონის ძე, ხსენებული კ/რ ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აპირებდა თავისი ერთ-ერთი ნათესავის გადაბირებას, რა დროსაც დაასახელა ორგანიზაციის წევრები ბურდიაშვილი დიმიტრი და ამირხანოვი არტაში. შედეგად ბურდიაშვილი გაიქცა 35-ე სს პოლკიდან, მაგრამ ორგანიზებული ალყის შედეგად 1941 წ. 20

დეკემბერს იგი დაპატიმრებულ იქნა ყვარლის რაიონში და მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე წითელი არმიიდან დეზერტირობის გამო.

ჩატარებულ საგამოძიებო ღონისძიებათა შედეგად დადგინდა:

არსებულ საქმეზე ბრალდებულები გიორგი სიმონის ძე იმერლიშვილი და კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ხიმშიაშვილი, რომლებიც მობილიზაციით 1941 წლის ზაფხულში მოხვდნენ 83-ე პოლკში /დისლოცირების ადგილი კიროვაბადი/, თავიანთი ძირგამომთხრელი მრწამსის საფუძველზე, დარწმუნებულნი იყვნენ რა, რომ საბჭოთა კავშირი დამარცხდებოდა გერმანიასთან ბრძოლაში, გერმანელების მიერ საქართველოს ოკუპაციის დაჩქარებისა და შედეგად დამოუკიდებლობის დამყარების მიზნით შეთანხმდნენ, შეექმნათ არალეგალური ორგანიზაცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით იმ დროისათვის, როცა გერმანიის ჯარები მიუახლოვდებოდნენ საქართველოს.

1941 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბრალდ. გიორგი იმერლიშვილი 83-ე სსპ-დან გადაიყვანეს თბილისში, 35-ე სსპ-ში და იქ იმყოფებოდა სექტემბრის პირველ რიცხვებამდე. ამ პერიოდში მან მოახერხა, ორგანიზაციაში გადაებირებინა თავისი ნაცნობები, რომლებიც მობილიზაციით ამ პოლკში მოხვდნენ, კერძოდ: დიმიტრი ბურდიაშვილი, არტაში ამირხანოვი /იმყოფება ფრონტზე/, მიხეილ იმერლიშვილი, ლევან თორაძე, რომან ბათიაშვილი და ნაცნობები თბილისიდან: გიორგი ქადაგიძე, სოლომონ იმერლიშვილი...

ბრალდებულმა მიხეილ იმერლიშვილმა აღიარა, რომ 1941 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში მას დაუკავშირდა 35-ე პოლკიდან კონსტანტინე ჯოგლიძე, ბრალდებული აღნიშნულ საქმეში, რომელმაც უთხრა, რომ იცოდა მისი კავშირის შესახებ გიორგი იმერლიშვილთან და შესთავაზა, რომ ამიერიიდან ურთიერთობა მასთან დაემყარებინა არალეგალური მუშაობის საწარმოებლად. მანვე ჯოგლიძისგან გაიგო, რომ არალეგალურ ორგანიზაციაში შედიოდნენ სახ. უნივერსიტეტის ყოფილი ასპირანტები: გიორგი ძიგვაშვილი, შალვა შავიანიძე და სხვები,

რომლებიც ასევე ბრალდებულნი არიან არსებულ საქმეში. იმერლიშვილმა აღიარა, რომ ორჯერ თუ სამჯერ თავად ჯოგლიძემ, ძიგვაშვილმა, შავიანიძემ და ლაპიაშვილმა მოაწყვეს არალეგალური შეკრებები, სადაც განიხილეს საკითხები შეიარაღებული აჯანყების, არალეგალური ორგანიზაციის სტრუქტურის, გადაბირების მეთოდების შესახებ და ა. შ.

მოცემული არალეგალური ორგანიზაციის საორგანიზაციო პრინციპების თანახმად, ერთ-ერთ არალეგალურ შეკრებაზე ბრალდებულმა კონსტანტინე ჯოგლიძემ, ასევე ორგანიზაციის წევრებმა ყარალაშვილმა, ბუაძემ და ბათიაშვილმა, ამავე პოლკში შექმნეს ორგანიზაციის „არალეგალური კომიტეტი“. თვით ჯოგლიძე, ძიგვაშვილი, ლაპიაშვილი, შავიანიძე და მიხეილ იმერლიშვილი წარმოადგენდნენ ორგანიზაციის ბიუროს.

როგორც აღიარებითი ჩვენებებიდან ჩანს, ბრალდებულ ისაკ იმერლიშვილს ჰქონდა დავალება, მეამბოხე რაზმები შეექმნა ყვარლის რაიონში, რაც მან შეასრულა კიდეც. თუმცა თავად იმერლიშვილი ისაკი ამას უარყოფს. ხოლო ბრალდებულ გიორგი ქადაგიძეს ჰქონდა დავალება, შეექმნა არალეგალური ორგანიზაციები თელავისა და დუშეთის რაიონებში.

მიღებული ზომების შედეგად ამ დროისათვის, ანუ 1942 წლის იანვრის მეორე ნახევრისათვის, გიორგი იმერლიშვილი დაპატიმრებულ იქნა ყირიმის ფრონტზე, ქ. სევასტოპოლში, თუმც თბილისში ეტაპირების დროს ცხაკაიის სადგურიდან გაიქცა და დაკავებულ იქნა მხოლოდ ერთი დღე-ღამის შემდეგ იმავე ცხაკაიის რაიონში.

ბრალდებულმა გიორგი ქადაგიძემ გიორგი იმერლიშვილის დავალებით, თავის მხრივ, არალეგალურ ორგანიზაციაში გადაიბირა თავისი მეგობრები – ალექსანდრე ჭელიძე და ადამ ბობღიაშვილი, რომელებიც ქადაგიძის დაპატიმრების შემდეგ გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაში.

გამოვლენილ იქნა ორგანიზაციის წევრთა საერთო რაოდენობა ფრონტზე მყოფთა ჩათვლით – 62 ადამიანი.

ორგანიზაციის პრაქტიკული კ/რ საქმიანობა მდგომარეობდა შემდეგში: ეწეოდნენ ფართო გადამბირებლურ მუშაობას

სამხედრო მოსამსახურეთა და სამოქალაქო პირთა შორის; სპეციალურად ეძებდნენ რადისტს შეიარაღებული ამბოხის დროს გერმანული არმიის მეთაურებთან რადიოკავშირის დასამყარებლად; ცდილობდნენ, სპეციალურად შეესწავლათ და სცოდნოდათ, საქ. სსრ მმართველ პირებში ვის ჰქონდა ცუდი ურთიერთობა ერთმანეთთან, რათა გამოეყენებინათ საჭირო მომენტში; იძებნებოდა კავშირები თვით ფაშისტურ გერმანიასთან; სპეციალურად გადმოიბირეს კავკასიის ფრონტის შტაბის დაზვერვის განყოფილების დაშიფრვის სპეციალისტი, რათა მიეღოთ ცნობები როგორც ფრონტზე, ისე არმიის შტაბში არსებული ვითარების შესახებ; დაამყარეს კონტაქტი არალეგალურ ფაშისტურ-მეამბოხე ორგანიზაციასთან თბილისში, რომელშიც ირიცხებოდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ასპირანტები და სტუდენტები, მათგან უმრავლესობა არის რეპრესირებულთა ოჯახებიდან.

ბრალდ. შალვა შავიანიძეს კონსტანტინე ჯოგლიძე იყენებდა ასევე მოკავშირედ ორგანიზაციის წევრთა შორის, რისთვისაც შეიმუშავა პაროლი: „ვარ უმტკიცესი რვალისა“ /რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“/, თურმან შანშიაშვილი კი არალეგალურ ორგანიზაციაში გადმოიბირა, რათა მისი მეშვეობით მიემხრო რადისტი, ვისგანაც იღებდა ცნობებს ფრონტის შესახებ. თ. შანშიაშვილის დავალება იყო ასევე, შეედგინა არმიის შტაბის ტერიტორიაზე არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების გეგმა, რათა შეიარაღებული ამბოხისას გაადვილებოდათ მათი აღება.

ბრალდ. გიორგი ძიგვაშვილმა გადაიბირა ორგანიზაციაში ნიკიტა ბუაჩიძე, ახალგაზრდა დრამატურგი, რომელიც ხელისუფლების პასუხისმგებელ მუშაკთა ცალკეულ ოჯახებში მიღებული იყო და ასევე ჰქონდა ფართო კავშირები სახელოვნებო სამყაროსთან, რასაც უნდა მიეცა საშუალება, მისი მეშვეობით შეესწავლათ ხელისუფლების ცალკეულ წევრთა შორის ურთიერთობა, რათა შემდეგ შესაფერის მომენტში გამოეყენებინათ მათი უკმაყოფილება.

საბოლოო ჯამში ბრალდ. კ. ჯოგლიძის დავალებით დასახელებული კ/რ ორგანიზაციის წევრებმა, შავიანიძემ და შანშიაშვილმა, დაამყარეს კონტაქტი თბილისში პარალელურად არსე-

ბულ არალეგალურ ფაშისტურ ა/ს ორგანიზაციასთან, დაუკავშირდნენ მიხეილ კაციტაძეს და გიორგი ახობაძეს, რომლებიც იყვნენ დასახელებული კ/რ ორგანიზაციის ორგანიზატორები. ამ ორგანიზაციას, რომლის დევიზი იყო „საქართველო ქართველებისთვის“, ფაშისტური გერმანია მიაჩნდა ერთადერთ რეალურ ძალად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს პარალელური ფაშისტურ-მეამბოხე ორგანიზაცია შეიქმნა მალევე ომის დაწყებიდან, ინიციატორები იყვნენ კაციტაძე და მისაბიშვილი, რომლებიც ორგანიზაციაში აწევრიანებდნენ თავიანთ მეგობრებს, სახ. უნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტებს, რომელთაც ჯერ კიდევ 1936-37 წლებში უნივერსიტეტშივე ჰქონდათ არალეგალური სტუდენტური კ/რ ნაციონალისტური ანტისაბჭოთა დაჯგუფება, რომლის აღიარებული იდეოლოგი და ხელმძღვანელი იყო მიხეილ კაციტაძე.

დასახელებულ პარალელურ ფაშისტურ-მეამბოხე ორგანიზაციაში კაციტაძემ, მისაბიშვილმა და ახობაძემ გადაიბირეს ამ საქმეზე ბრალდებული შემდეგი პირები: მიხეილ საბაშვილი, გიორგი თარგამაძე, აბო ფარეშიშვილი, ლევან კვაჭაძე, ვახტანგ შიხაშვილი. ამასთან ვახტანგ შიხაშვილი მას შემდეგ, რაც იგი გადაიბირა გიორგი ახობაძემ, მოხვდა 83-ე სსპ-ში, გააბა ურთიერთობა გიორგი იმერლიშვილთან და აწვდიდა მას საზღვარგარეთული პროვოკაციული გადაცემების შინაარსებს.

მისაბიშვილის ბინაში მოწყობილ ერთ-ერთ არალეგალურ შეკრებაზე კაციტაძე, მისაბიშვილი, ახობაძე, თარგამაძე, საბაშვილი შეთანხმდნენ, არალეგალურ მუშაობაში ჩაერთოთ უფრო გამოცდილი პირები, გადაწყვიტეს მიემართათ თავიანთი ნაცნობებისათვის, კ/რ საქმიანობაში ავტორიტეტული პირებისთვის, მაგალითად: კაციტაძეს ამ მიზნით თითქოსდა უშედეგო მოლაპარაკება ჰქონდა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაციამდე ცოტა ხნით ადრე დაპატიმრებულ ყოფილ აქტიურ ნაციონალ-დემოკრატთან, ალ. კალანდარიშვილთან. ამავე მიზნით მისაბიშვილი დაუკავშირდა კარგ ნაცნობს, ყოფილ ნაციონალ-დემოკრატს, წარსულში ამ ორგანიზაციის წევრს, ადვოკატ ალექსანდრე ასათიანს, რომელმაც თანხმობა განაცხადა და დაჰპირდა მისაბიშვილს არალეგალურ ორგანიზაციასთან და-

კავშირებას. თარგამაძე დაუკავშირდა თავის თანამშრომელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან დიმიტრი ვიგდაის, რომელიც იყო ყოფილი „შავრაზმელი“, ასევე წევრი კ/რ რაინდული ორდენის მისტიკური კავშირისა „სულის რაინდები“ (рыцари духа), იგი დაპატიმრებული იყო ანგლოშპიონაჟის ბრალდებით 1926 და 1937 წლებში. ამ უკანასკნელმა ასევე თანხმობა განაცხადა და მიუთითა არალეგალური ბრძოლის აუცილებლობის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, თარგამაძემ აცნობა კ/რ ორგანიზაციის შესახებ თავის თანამშრომელს თინათინ გონიაშვილს, რომელიც მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტი და ანტისაბჭოურად განწყობილი პიროვნება იყო.

თურმან შანშიაშვილმა ახობაძეს და კაციტაძეს მიაწოდა ცნობები ფრონტზე მდგომარეობის შესახებ, რაც მან თავის მხრივ მიიღო ამავე საქმეში ბრალდ. სიმონ გერგიშვილისგან, რომელიც მუშაობდა რადიოკომიტეტში. იგი ამ ცნობებს საზღვარგარეთ არსებული მდგომარეობის და გერმანელთა მიერ ოკუპირებული საბჭოთა რაიონების შესახებ კრებდა პროვოკაციული საზღვარგარეთული რადიოგადაცემებიდან.

ზემოთქმულის საფუძველზე **ბრალი ედებათ:**

1. იმერლიშვილი გიორგი სიმონის ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ს. შილდაში, ყვარლის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 778-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს ცოლი და მცირეწლოვანი შვილი, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, რევაზოვსკის ქ. №3-ში.

2. ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე, დაბ. 1917 წ., მცხ. ქ. ქუთაისში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაქორწინებული, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 790-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, 1938 წ. რომანტიკულ ნიადაგზე მკვლელობისათვის ნასამართლევია, ჰყავს რეპრესირებული ბიძა, ოჯახში ჰყავს დედა, მამა, ცოლი და და,

წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, კალინინის ქ. №9-ში.

3. ჯოგლიძე კონსტანტინე სერგოს ძე, დაბ. 1915 წ., მცხ. ს. კულაშში, სამტრედიის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, მამა დაპატიმრებულია 1939 წ. როგორც ხალხის მტერი, ჰყავს დედა და ორი ძმა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ნასამართლევი არაა, ცხოვრობს თბილისში, ჩოდრიშვილის ქ. №21-ში.

4. კაციტაძე მიხეილ ილიას ძე, დაბ. 1912 წ., მცხ. ს. ბარაულში, ამბროლაურის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში კურსანტი, წითელი არმიის უმც. ლეიტენანტი, ჰყავს დედა, და, მამა გარდაიცვალა 1941 წ., ერთი ძმა რეპრესირებულია, როგორც ხალხის მტერი, მეორე ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობს თბილისში, ანაკლიის ქ. №18-ში.

5. მისაბიშვილი ზურაბ ნიკოლოზის ძე, დაბ. 1916 წ., მცხ. დ.სურამში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში საშ. სკოლის პედაგოგი, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა და და, როგორც ხალხის მტრები, დაპატიმრებული ჰყავს მამა, სამი ბიძა და ორი დეიდა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, კამოს ქ. №8-ში.

6. ახობაძე გიორგი მიხეილის ძე, დაბ. 1916 წ., მცხ. ქ. სამტრედიაში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, დაპატიმრების მომენტში ცენტრალური საბჭოს „უღმერთოთა საზოგადოების“ ლექტორი, ნასამართლევი არაა, მამა დაპატიმრებულია 1937 წ., მეორედ კ/რ მენშევიკური მუშაობისათვის, ჰყავს დედა და და, სიძე მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობს თბილისში, საბჭოს ქ. №568-ში.

მასში, რომ:

ეწეოდნენ აქტიურ კონტრრევოლუციურ არალეგალურ მუშაობას, რაც გამოიხატებოდა არალეგალური სამხედრო-მეამბოხე ფაშისტური ორგანიზაციის შექმნით, რომელშიც აქტიური ცილისმწამებლური ფაშისტური აგიტაციის გზით იბირებდნენ ახალ წევრებს და აპირებდნენ შეიარაღებული აჯანყების გზით დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში. რაც წარმოადგენს დანაშაულს, გათვალისწინებულს საქ. სსრ სსკ-ის 58.10-ის II ნაწილითა და 58.11 მუხლებით.

ბრალდებულებმა **გიორგი იმერლიშვილმა, კონსტანტინე ხიმშიაშვილმა, მიხეილ კაციტაძემ** თავი დამნაშავედ ცნეს სრულად, ხოლო **კონსტანტინე ჯოგლიძემ, ზურაბ მისაბიშვილმა და გიორგი ახობაძემ** – ნაწილობრივ.

7. შავიანიძე შალვა ნაუმის ძე, დაბ. 1915 წ., მცხ. ს. ორპირში, ტყიბულის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, ღვთისმსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ძმა და და, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, ლარსის ქ. №3-ში.

8. ძიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე, დაბ. 1917 წ., მცხ. ს. ციხესულორში, ვანის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა და დედა, ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობს თბილისში, სამღებროს ქ. №5-ში.

9. ლაპიაშვილი ივანე თევდორეს ძე, დაბ. 1910 წ., მცხ. ს. მირზაანში, სიღნაღის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, სკპ/ბ/ წევრობის კანდიდატი, დაუქორწინებელი, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, პედაგოგი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ძმა და სიძე მობილიზე-

ბულნი არიან წითელ არმიაში, ცხოვრობს ზემო ქედში, წითელ-წყაროს რ-ნში.

10. შანშიაშვილი თურმან მოსეს ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ს. ქვემო მაჩხაანში, სიღნაღის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ყოფ. ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში ამიერკ. ფრონტის შტაბის სადაზვერვო განყოფილების 1-ლი თანრიგის მთარგმნელი /გერმანული ენიდან/, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა და ცოლი, სიმამრი ყოფილი კულაკი, გასამართლებული და მსჯავრდებული 1936 წ., წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, კოსომის ქ. №8-ში.

11. ბურდიაშვილი დიმიტრი ისაკის ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ს. შილდაში, ყვარლის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, გარიცხულია ალკკ წევრობიდან, უპარტიო, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, სპეციალობით პედაგოგი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა, ცოლი, ორი და, რომელთა ქმრები მობილიზებულნი არიან წითელ არმიაში, ცხოვრობდა ახმეტაში, თელავის რ-ნი, საქ. სსრ.

12. იმერლიშვილი მიხეილ იასონის ძე, დაბ. 1913 წ., მცხ. გურჯაანში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი და მეთაურის თანაშემწე, ნასამართლევი არაა, გლეხის ოჯახიდან, ჰყავს მამა, დედა და და, წითელ არმიაში ჰყავს ძმა, ცხოვრობდა თბილისში, ფოთის ქ. №36-ში.

13. ქადაგიძე გიორგი ივანეს ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ს. ალვანი, თელავის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაქორწინებული, კულაკის ოჯახიდან, მამა რეპრესირებულია, როგორც ხალხის მტერი, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, დაპატიმრების მომენტში სახ. უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა, ცოლი, ქალიშვილი და და, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობდა თბილისში, რაკეტის ქ. №15-ში.

14. იმერლიშვილი სოლომონ ანდრიას ძე, დაბ. 1904 წ., მცხ. შილდაში, ყვარლის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, ქვრივი, გლეხის ოჯახიდან, საშუალო განათლებით, სახ. უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების I კურსის სტუდენტი, დაპატიმრების მომენტში მსახურობდა ქ. თბილისის სახანძრო რაზმში, ნასამართლევი არაა, ჰყავს ვაჟი და ქალიშვილი, ორი ძმა და ოთხი და, ერთი ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობდა თბილისში, ლომოურის ქ. №18-ში.

15. ბათიაშვილი რომან თევდორეს ძე, დაბ. 1918 წ., მცხ. ბოდბისხევში, სიღნაღის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი და მეთაურის თანაშემწე, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა, ცოლი, ორი და, სამი ძმა, მათგან ორი ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობდა ს. ყვარელში.

მასში, რომ:

ფაშისტური გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებიდან მალევე საკუთარი კ/რ ძირგამომთხრელი განწყობილებებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრული დამოკიდებულების საფუძველზე გადაბირებულ იქნენ არალეგალურ სამხედრო-მეამბოხე ფაშისტურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და „დამოუკიდებელი საქართველოს“ დამყარებას. დასახელებული ორგანიზაციის დავალებით, როგორც მისი აქტივი, ეწეოდნენ არალეგალურ კ/რ საქმიანობას, იბირებდნენ რა ახალ წევრებს აღნიშნულ ორგანიზაციაში, გამონაკლისს წარმოადგენდნენ ბრალდებულები შავიანიძე და ლაპიაშვილი, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული გადაბირებით, მაგრამ იყვნენ კ/რ ორგანიზაციის „ბიუროს“ წევრები.

აქედან გამომდინარე მხილებულნი არიან დანაშაულებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58.10-ის II ნაწილითა და 58.11 მუხლებით.

ბრალდებულებმა **გიორგი ძიგვაშვილმა, შალვა შავიანიძემ, მიხეილ იმერლიშვილმა, ივანე ლაპიაშვილმა, თურმან შანშიაშვილმა, გიორგი ქადაგიძემ, სოლომონ იმერლიშვილმა, დიმიტრი ბურდიაშვილმა და რომან ბათიაშვილმა** თავი დამნაშავედ ცნეს.

16. კვაჭაძე ლევან მიხეილის ძე, დაბ. 1908 წ., მცხ. ს. ლახამულაში, ზემო სვანეთის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, სპეციალობით პედაგოგი, დაპატიმრების მომენტში უმუშევარი, 1925 წელს დაპატიმრებულია არალეგალური კ/რ საქმიანობის გამო, იჯდა ერთი თვე, გაამართლეს, 1940 წელს დააპატიმრეს კ/რ არალეგალური საქმიანობის გამო, იჯდა ორი თვე, გაათავისუფლეს მტკიცებულებათა არქონის გამო, ჰყავს მამა, დედა და და, ძმა გადასახლებულია 1937 წელს, როგორც ხალხის მტერი, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობდა თბილისში, პეროვის ქ.№5-ში.

17. საბაშვილი მიხეილ მიხეილის ძე, დაბ. 1918 წ., მცხ. ქ.ოზურგეთში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, არასრული უმაღლესი განათლებით, დაპატიმრების მომენტში სახ. უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტი, ნასამართლევი არაა, მამა დახვრიტეს 1924 წელს მენშევიკურ ავანტიურაში მონაწილეობისათვის, ბიძა რეპრესირებულია 1927 წელს, ჰყავს დედა და და, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობდა თბილისში, კალანდაძის ქ.№9-ში.

18. თარგამაძე გიორგი რაფიელის ძე, დაბ. 1915 წ., მცხ. ქ. თბილისში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, მუშის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, დაპატიმრების მომენტში საქ. მეცნ. აკადემიის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ორი და, სიძე მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობდა ქ. თბილისში, პლეხანოვის პრ. №197/1-ში.

19. ფარეშიშვილი აბო ნიკოლოზის ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ქ. თბილისში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, დაპატიმრების მომენტში სახ. უნივერსიტეტის ენათმეც-

ნიერებისა და ფონეტიკის კათედრის ასისტენტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობდა ქ. თბილისში, ლარსის ქ. №5-ში.

20. თორაძე ლევან ივანეს ძე, დაბ. 1915 წ., მცხ. ქ. თბილისში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაქორწინებული, მოსამსახურის ოჯახიდან, საშუალო განათლებით, დაამთავრა ბაკურციხის მეღვინეობის ტექნიკუმი აგრონომ-ტექნიკოსის სპეციალობით, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის პოლიტხელმძღვანელი, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა, ცოლი, და, სიძე მობილიზებულია წითელ არმიაში.

21. არსენიძე გიორგი ვიქტორის ძე, დაბ. 1910 წ., მცხ. წულუკიძის რ-ნი ს. კორჩხეთში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ ყოფილი წევრი, დაქორწინებული, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი და მეთაურის მოადგილე, ნასამართლევი არაა, ჰყავს ცოლი, ორი ქალიშვილი და ვაჟი, ძმა მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობს ქ. ონში, ონის რ-ნი.

22. უთურგაიძე აქვსენტი გრიგოლის ძე, დაბ. 1912 წ., მცხ. ქვემო ალვანში, თელავის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ-ის წევრობის ყოფილი კანდიდატი, დაქორწინებული, კერძო მესაკუთრის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მეღვინის სპეციალობით, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენანტი და მეთაურის მოადგილე, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ცოლი, ვაჟი, ქალიშვილი და ორი ძმა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ს. კარდენახში, გურჯაანის რ-ნი.

23. კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე, დაბ. 1911 წ., მცხ. ს.აჯარაში, ზესტაფონის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ წევრი, დაუქორწინებელი, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, სახ. უნივერსიტეტის ასპირანტი, ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, სამი და და ძმა, ბიძაშვილი დაპატიმრებულია 1941 წელს, ცხოვრობდა თბილისში, ბარათაშვილის ქ. №32-ში.

24. ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე, დაბ. 1914 წ., მცხ. ს. ფარცხვალში, ხარაგაულის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო,

დაუქორწინებელი, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, დაპატიმრების მომენტში პოეტი-დრამატურგი, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ორი და და ძმა, კიდევ ერთი ძმა და მესამე და რეპრესირებულნი არიან 1937-38 წლებში, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, პრესის ქ. №2-ში.

25. შიხაშვილი ვახტანგ ივანეს ძე, დაბ. 1916 წ., მცხ. ბოდბისხევში, სიღნაღის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ ყოფილი წევრი, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, ყოფილი ასპირანტი, დაპატიმრების მომენტში 802-ე მსროლელი პოლკის შტაბის უმცროსი ლეიტენანტი და თარჯიმანი გერმანული ენიდან, ნასამართლევი არაა, ჰყავს დედა, და და ძმა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობდა ქ. თბილისში, არსენალის ქ. №6-ში.

26. იმერლიშვილი ისაკ სიმონის ძე, დაბ. 1879 წ., მცხ. შილდა, ყვარლის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, დაბალი განათლებით, დაპატიმრების მომენტში მუშაობდა ტყის მცველად ყვარლის რ-ნში, მეფის წყობილების დროს ნასამართლევი იყო 8-წლიანი კატორღით ძარცვის გამო, 1937 წელს გასამართლებული იყო მავნებლობის მუხლით, მიესაჯა 2 წელი, იჯდა 11 თვე, გაამართლეს, ჰყავს ცოლი და სამი ვაჟი, რომელთაგან ორი მობილიზებულია წითელ არმიაში, ცხოვრობს ს. შილდაში.

27. კოკილაშვილი გრიგოლ გრიგოლის ძე, დაბ. 1903 წ., მცხ. ს. შილდაში, ყვარლის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაპატიმრების მომენტში კოლმეურნეობის პუნქტის უფროსი თბილისში, ნასამართლევი არაა, ჰყავს ცოლი, ორი ვაჟი, ძმა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს თბილისში, საბჭოს ქ.№15-ში.

28. იმერლიშვილი იოსებ გიორგის ძე, დაბ. 1907 წ., მცხ. ს.გურჯაანში, გურჯაანის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ ყოფილი წევრი, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით , დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-

ტი პედაგოგ-აგრონომის სპეციალობით, დაპატიმრების მომენ-ტში იყო წითელი არმიის საშუალო სამეთაურო შემადგენლო-ბის საოლქო სკოლის კურსანტი, ნასამართლევი არაა, ჰყავს ცოლი, ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ს. გურჯაანში.

მასში, რომ:

ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი განწყობილების საფუძ-ველზე მალევე, რაც დაიწყო ფაშისტური გერმანიის ომი საბ-ჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შევიდნენ არალეგალურ სამხედ-რო-მეამბოხე ფაშისტურ ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას საქართველოში.

აქედან გამომდინარე მხილებულნი არიან დანაშაულებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58.10-ის II ნაწილითა და 58. 11 მუხლებით.

ბრალდებულებმა **ლევან თორაძემ, გიორგი არსენიძემ, აქ-ვსენტი უთურგაიძემ, მიხეილ საბაშვილმა, აბო ფარეშიშვილმა** თავი დამნაშავედ ცნეს. ბრალდებულებმა **ნიკიტა ბუაჩიძემ, ლევან კვაჭაძემ, გიორგი კალანდაძემ, იოსებ იმერლიშვილმა, ისააკ იმერლიშვილმა, ვახტანგ შიხაშვილმა** თავი ნაწილობრივ ცნეს დამნაშავედ. ხოლო ბრალდებულმა **გიორგი კოკილაშ-ვილმა** თავი დამნაშავედ არ ცნო.

29. არეშიძე მიხეილ ივანეს ძე, დაბ. 1915 წ., მცხ. ს. ვაკი-ჯვარში, მახარაძის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, ალკკ ყოფილი წევრი, დაქორწინებული, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათ-ლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, სპეციალობით პედაგო-გი, დაპატიმრების მომენტში 35-ე სსპ-ის უმცროსი ლეიტენან-ტი და მეთაური, ნასამართლევი არაა, ჰყავს მამა, დედა, ცოლი, ვაჟი, ძმა და ოთხი და, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ქ. თბილისში, გოგოლის ქ. №55-ში.

30. ციბოლაშვილი გიორგი გიორგის ძე, დაბ. 1902 წ., მცხ. ს.ველისციხეში, გურჯაანის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, დაქორწინებული, სასულიერო წოდებიდან, საშუ-ალო განათლებით, დაპატიმრების მომენტში მუშაობდა თბი-ლისის რძის ქარხნის ბუღალტრად, 1926-31 წლებში იყო და-პატიმრებული კ/რ მენშევიკური საქმიანობის გამო, ჰყავს მამა,

ცოლი, ვაჟი, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ქ.თბილისში, გლდანის ქ. №2-ში.

31. თუშმალიშვილი თინათინ ალექსანდრეს ასული, დაბ. 1917 წ., მცხ. ს. წინანდალში, თელავის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, დაუქორწინებელი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაპატიმრების მომენტში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რუსული ენის მასწავლებელი, ნასამართლევი არაა, მამა რეპრესირებულია 1937 წელს, როგორც ხალხის მტერი, ჰყავს დედა, და, ძმა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ქ. თბილისში, ჯანაშვილის ქ. №3-ში.

32. გონიაშვილი თინათინ ბაგრატის ასული, დაბ. 1910 წ., მცხ. ქ. თბილისში, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, განქორწინებული, უმაღლესი განათლებით, დაამთავრა სახ. უნივერსიტეტი, მოსამსახურის ოჯახიდან, დაპატიმრების მომენტში მეცნ. აკადემიის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ნასამართლევი არაა, ოჯახის წევრები არ ჰყავს, ჰყავს რეპრესირებული ნათესავები, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ქ. თბილისში, ფიროსმანის ქ. №29-ში.

33. გერგიშვილი სიმონ სიმონის ძე, დაბ. 1912 წ., მცხ. ს.კონდოლში, თელავის რ-ნი, სსსრ, სსრკ მოქალაქე, უპარტიო, გარიცხულია ალკკ-დან, დაუქორწინებელი, გლეხის ოჯახიდან, უმაღლესი განათლებით, დაპატიმრების მომენტში საქართველოს რადიოკომიტეტის რადიოკორესპონდენტი, ნასამართლევი არაა, წითელ არმიაში არავინ ჰყავს, ცხოვრობს ქ.თბილისში, დერსკის ქ. №55-ში.

მასში, რომ:

იყვნენ რა ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი განწყობილებისა, ჰქონდათ კავშირი კ/რ ორგანიზაციის წევრებთან, იცოდნენ ამ უკანასკნელის შესახებ, მაგრამ თავდაცვის მიზნით კ/რ საუბრებს ატარებდნენ ორგანიზაციის წევრებთან ისე, რომ არ ახსენებდნენ ორგანიზაციის არსებობას.

აქედან გამომდინარე მხილებულნი არიან დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58.10 მუხლის II ნაწილით.

ბრალდებულმა **სიმონ გერგიშვილმა** თავი დამნაშავედ ცნო. ბრალდებულებმა **გიორგი ციბოლაშვილმა** და **თინათინ გონიაშვილმა** თავი დამნაშავედ ნაწილობრივ ცნეს. ბრალდებულებმა **მიხეილ არაშიძემ** და **თინათინ თუშმალიშვილმა** თავი დამნაშავედ არ ცნეს.

გამოძიება საქმეზე ჩაითვალოს დასრულებულად, წარდგენილი ბრალი ყველა დამნაშავის მიმართ დამტკიცებულია და საქმე №1964 საქ. შსსკ-ის 1-ლი სპეცგანყოფილების მეშვეობით ექვემდებარება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორისთვის გადაგზავნას.

სსსრ შსსკ სპგ-ს მე-5 განყ. უფრ. სახ. უშიშროების უფრ. ლეიტენანტი მარქაროვი

„ვეთანხმები“ საქ. სსრ შსსკ სპგ-ს უფროსი სახ. უშიშროების კაპიტანი ნიბლაძე

1942 წლის 15 აგვისტოს საქ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა საგამოძიებო საქმე №1964 მოსასმენად გადაუგზავნა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო პროკურორს გრიფით – სრულიად საიდუმლოდ.

განაჩენი №194

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალი

11-12 სექტემბერი 1942 წ.

დახურულ სასამართლო სხდომაზე, ქალაქ თბილისში

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე – მე-2 რანგის სამხედრო იურისტი ფომინი
წევრები: მე-3 რანგის სამხედრო იურისტი ზალანკო და
სამხედრო იურისტი რომანოვიჩი
მდივანი – სამხედრო იურისტი ბერლოვსკი

განიხილეს საქმე შემდეგ სამხედრო პირთა შესახებ:

1. იმერლიშვილი გიორგი სიმონის ძე
2. ხიმშიაშვილი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე
3. ბურდიაშვილი დიმიტრი ისაკის ძე
4. იმერლიშვილი მიხეილ იასონის ძე
5. თორაძე ლევან ივანეს ძე
6. ბათიაშვილი რომან თევდორეს ძე
7. იმერლიშვილი იოსებ გიორგის ძე
8. უთურგაიძე აქვსენტი გრიგოლის ძე
9. ჯოგლიძე კონსტანტინე სერგოს ძე
10. შავიანიძე შალვა ნაუმის ძე
11. ძიგვაშვილი გიორგი მიხეილის ძე
12. ლაპიაშვილი ივანე თევდორეს ძე
13. არსენიძე გიორგი ვიქტორის ძე
14. შანშიაშვილი თურმან მოსეს ძე
15. კაციტაძე მიხეილ ილიას ძე
16. შიხაშვილი ვახტანგ ივანეს ძე

ასევე შემდეგი მოქალაქეების შესახებ:

17. ქადაგიძე გიორგი ივანეს ძე
18. იმერლიშვილი სოლომონ ანდრიას ძე
19. იმერლიშვილი ისაკ სიმონის ძე
20. კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე
21. ბუაჩიძე ნიკიტა მიხეილის ძე
22. მისაბიშვილი ზურაბ ნიკოლოზის ძე
23. ახობაძე გიორგი მიხეილის ძე
24. თარგამაძე გიორგი რაფიელის ძე
25. ფარეშიშვილი აბო ნიკოლოზის ძე
26. კვაჭაძე ლევან მიხეილის ძე
27. საბაშვილი მიხეილ მიხეილის ძე
28. არეშიძე მიხეილ ივანეს ძე
29. ციბოლაშვილი გიორგი გიორგის ძე
30. თუშმალიშვილი თინათინ ალექსანდრეს ასული
31. გონიაშვილი თინათინ ბაგრატის ასული
32. გერგიშვილი სიმონ სიმონის ძე

წინასწარი და სასამართლო გამოძიებით დადგინდა:

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის წამოწყებული ომის დროს საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ ასპირანტებში აღმოჩნდნენ ანტისაბჭოთად განწყობილი ელემენტები, როგორებიც არიან: გიორგი იმერლიშვილი, კონსტანტინე ჯოგლიძე, შალვა შავიანიძე, კონსტანტინე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი და სხვები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან ნაციონალისტური კ/რ შეხედულებებით ჯერ კიდევ თბილისის სახ. უნივერსიტეტში სწავლისას.

ტრიბუნალმა დამნაშავედ მიიჩნია ბრალდებულები:

გიორგი იმერლიშვილი, კონსტანტინე ხიმშიაშვილი, მიხეილ იმერლიშვილი, კონსტანტინე ჯოგლიძე, გიორგი ძიგვაშვილი, მიხეილ კაციტაძე, ზურაბ მისაბიშვილი, გიორგი ახობაძე, გიორგი თარგამაძე, მიხეილ საბაშვილი – მასში, რომ გერმანული არმიის მიერ საბჭოთა რაიონების დროებითი ოკუპაციის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მტერი მიისწრაფო-

და მოსკოვისკენ, წითელ არმიაში მყოფმა კ/რ ელემენტებმა გააჩაღეს აქტიური კ/რ საქმიანობა სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციის შესაქმნელად, რომლის მიზანიც იყო საქართველოში საბჭოთა წყობის დამხობა შეიარაღებული აჯანყების გზით, ფაშისტური გერმანიისთვის დახმარების აღმოჩენა საქართველოს სწრაფ ოკუპაციაში და ფაშისტურ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით „დამოუკიდებელი საქართველოს“ დამყარება გერმანული ფაშიზმის პროტექტორატის ქვეშ – ანუ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-2, 58-10-ის II ნაწილითა და 58-11 მუხლებით.

დიმიტრი ბურდიაშვილი, ლევან თორაძე, რომან ბათიაშვილი, გიორგი ქადაგიძე, სოლომონ იმერლიშვილი, შალვა შავიანიძე, ივანე ლაპიაშვილი, თურმან შანშიაშვილი და *აბო ფარეშიშვილი* – მასში, რომ ისინი იყვნენ წევრები სამხედრო-ფაშისტური ორგანიზაციისა, რომელშიც ჩააბეს ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა 1941 წელს და ეწეოდნენ გადმომბირებლურ საქმიანობას მოქალაქეებში – ანუ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-2, 58-10-ის II ნაწილით და 58-11 მუხლებით.

ისაკ იმერლიშვილი, იოსებ იმერლიშვილი, აქვსენტი უთურგაიძე, გიორგი არსენიძე, გიორგი კალანდაძე, ნიკიტა ბუაჩიძე და *ვახტანგ შიხაშვილი* – მასში, რომ მათ იცოდნენ სამხედრო-ფაშისტური მეამბოხე ორგანიზაციის არსებობის შესახებ, ისმენდნენ მათ კ/რ საუბარს, თუმც თავად არ მონაწილეობდნენ მასში, თუმცა ამის შესახებ შესაბამის ორგანოებში არ განუცხადებიათ დაპატიმრებამდე – ანუ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-12 მუხლით. ამავე დროს, აღნიშნულ პირებს საქ. სსრ სსკ-ის 58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არ დაუდასტურდათ ძიების პროცესში.

გიორგი ციბოლაშვილი და თინათინ გონიაშვილი – მასში, რომ მათ იცოდნენ სამხედრო-ფაშისტური მეამბოხე ორგანიზაციის არსებობის შესახებ, ისმენდნენ მათ კ/რ საუბარს, თუმცა ამის შესახებ შესაბამის ორგანოებში არ განუცხადებიათ დაპატიმრებამდე – ანუ დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-12 მუხლით. ამავე დროს,

აღნიშნულ პირებს მოეხსნათ ბრალი გათვალისწინებული საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწილით დაუმტკიცებლობის გამო.

სიმონ გერგიშვილი – მასში, რომ იგი კ/რ მიზნით ავრცელებდა ცილისმწამებლურ აზრებს უკრაინელ ხალხზე და აქებდა ფაშისტურ წესრიგს, რომელიც დამყარდა უკრაინის ოკუპირებულ რაიონებში – ანუ ბრალი, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწილით. ამავე დროს, მას მოეხსნა ბრალი გათვალისწინებული საქ. სსრ სსკ-ის 58-12 მუხლით დაუმტკიცებლობის გამო.

წარდგენილი ბრალი *ლევან კვაჭაძის* მიმართ საქ. სსრ სსკ-ის 58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით, *მიხეილ არაშიძისა* და *თინათინ თუშმალიშვილის* მიმართ 58-10-ის II ნაწ. და 58-12 მუხლებით ტრიბუნალის მიერ არაა დამტკიცებული არანაირი დოკუმენტით.

იხელმძღვანელა რა საქ. სსრ სსკ-ის 49, 58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-12 მუხლებით, ჩადენილი ბრალის სიმძიმისა და თითოეული ბრალდებულის სოციალური საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, ტრიბუნალმა

დაადგინა:

გიორგი იმერლიშვილს, კონსტანტინე ხიმშიაშვილს, დიმიტრი ბურდიაშვილს, მიხეილ იმერლიშვილს, ლევან თორაძეს, რომან ბათიაშვილს, გიორგი ქადაგიძეს, სოლომონ იმერლიშვილს, კონსტანტინე ჯოგლიძეს, შალვა შავიანიძეს, გიორგი ძიგვაშვილს, თურმან შანშიაშვილს, მიხეილ კაციტაძეს, ზურაბ მისაბიშვილს, გიორგი ახობაძეს, გიორგი თარგამაძეს და *მიხეილ საბაშვილს* – მიესაჯოთ სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ზომა – **დახვრეტა** პირადი ქონების კონფისკაციით;

ივანე ლაპიაშვილსა და *აბო ფარეშიშვილს* – მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში 10 წლის ვადით თითოეულს და უფლებების ჩამორთმევა 5 წლით პირადი ქონების კონფისკაციით;

ისაკ იმერლიშვილს, იოსებ იმერლიშვილს, აქვსენტი უთურგაიძეს, გიორგი არსენიძეს, გიორგი კალანდაძეს, ნიკიტა ბუაჩიძესა და *ვახტანგ შიხაშვილს* – მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში 7 წლის

ვადით თითოეულს და უფლებების ჩამორთმევა 3 წლით პირადი ქონების კონფისკაციით. ჩაითვალონ გამართლებულად 58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

გიორგი ციბოლაშვილს – მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში 7 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 3 წლით პირადი ქონების კონფისკაციით. ჩაითვალოს გამართლებულად 58-10-ის II ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

სიმონ გერგიშვილს – მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში 7 წლის ვადით და უფლებების ჩამორთმევა 3 წლით პირადი ქონების კონფისკაციის გარეშე. ჩაითვალოს გამართლებულად 58-12 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

თინათინ გონიაშვილს – მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა და გადასახლება შრომა-გასწორების ბანაკში 5 წლის ვადით უფლებების ჩამორთმევის გარეშე და პირადი ქონების კონფისკაციის გარეშე. ჩაითვალოს გამართლებულად 58-10-ის II ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ლევან კვაჭაძე – 58-2, 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში, *მიხეილ აროშიძე* – 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში და *თინათინ თუშმალიშვილი* – 58-10-ის II ნაწ. და 58-12 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში – სასამართლოს მიერ გამართლდნენ დანაშაულის დაუმტკიცებლობის გამო.

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სწორია:
თავმჯდომარე – მე-2 რანგის სამხედრო იურისტი ფომინი

დამოწმებანი:

აბაშიძე 1984: აბაშიძე, გრ. *კოტე ხიმშიაშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1984.

ავალიანი 1972: ავალიანი, ლ. „ალექსანდრე საჯაია“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,* №13. 1972.

ბეროშვილი 1999: ბეროშვილი, ი. „მოგონება“. *გაზ. „ახალი საქართველო“,* №23, 1999.

თათარაიძე 1991: თათარაიძე, ე. „პოეტის გახსენება“. *გაზ. „თბილისი“,* №10. 1991.

თუშმალიშვილი 1994: თუშმალიშვილი, თ. „დაწყევლილი თაობის სურათები“. რეცენზია როსტომ ჩხეიძის წიგნზე „დაწყევლილი თაობა“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“*, 28.X. 1994.

კვერენჩხილაძე 2017: კვენეჩხილაძე, რ. *წამების გზა.* წიგნი II. თბილისი: „უნივერსალი“, 2017.

ნარიმანიძე 1991: ნარიმანიძე, ს. „არ დაივიწყოთ ის დღე“. *გაზ. „ლიტ. საქართველო“,* №37. 1991.

სულაბერიძე 2000: სულაბერიძე, ლ. „სანამ ცოცხალ ვართ, თქვენთან ვიქნებით“. წიგნში: გიორგი ძიგვაშვილი. *გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2000.

ჩხეიძე 1992: ჩხეიძე, რ. „1942 წლის შეთქმულების გახსენება“. *გაზ. „მამული“,* №7. 1992.

ჩხეიძე 1992: ჩხეიძე, რ. „საიდუმლო ბარათი“. წიგნიდან: *დაწყევლილი თაობა–1942 წლის შეთქმულება.* თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1992.

ჩხეიძე 1995: ჩხეიძე, რ. *დაწყევლილი თაობა (სამანი).* თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1995.

ჩხეიძე 2000: ჩხეიძე, რ. „სიტყვა გიორგი ძიგვაშვილზე“. წიგნში: გიორგი ძიგვაშვილი. *გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2000.

ჩხეიძე 2010: ჩხეიძე რ. „სახება კოტე ხიმშიაშვილისა“. *კოტე ხიმშიაშვილი.* თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010.

ჩხეიძე 2014: ჩხეიძე რ. „ლეგენდა ერეკლე ტატიშვილისა“. *საგა ვახტანგური.* თბილისი: გამომცემლობა „ჩვენი მწერლობა“, 2014.

ცოცანიძე 2004: ცოცანიძე, გ. *თუშური ქრონიკები. მენშევიკური პერიოდი; სამანელები.* თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2004.

ჭრელაშვილი 1991: ჭრელაშვილი, კ. „პოეტის სული ვერ მოკლა ტყვიამ“. *გაზ. „ლიტერატურული საქართველო“,* №25. 1991.

ჭუმბურიძე ... 2016: ჭუმბურიძე, დ., კიკნაძე, ვ., ქოქრაშვილი, ხ., სარალიძე, ლ. *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით).* წ. 2. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.

ხიმშიაშვილი 2010: ხიმშიაშვილი დ. *კოტე ხიმშიაშვილი. მოგონებები.* თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010

ხიმშიაშვილი 2010: ხიმშიაშვილი, კ. *ვარ უმტკიცესი რვალისა.* რომანი. მოთხრობები. წერილები. თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2010

ლიტერატურული სალონი “ანათემა”

საქმე №210 –
ლიტერატურული სალონი „ანათემა“

პეტრე გრუზინსკი

1944 წლის შემოდგომაზე პოეტ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ლიტერატურული სალონი, რომელიც აერთიანებდა ახალგაზრდა პოეტებსა და მათ მეგობრებს. სალონის მუდმივ წევრებად თავად პეტრე ბაგრატიონი, მარი აბრამიშვილი, შალვა მჭედლიშვილი, ვახტანგ კეკელიძე და თამარ შანშიაშვილი მიიჩნეოდნენ. მათი აქტიური მსმენელი იყო პროფესიით ფარმაცევტი იზა აღნიაშვილი. სალონს ხშირად სტუმრობდნენ პოეტები: მიხეილ ქვლივიძე, არჩილ სულაკაური, ალეკო შენგელია, მერი ჩხაიძე, ქუჯი ძიძიშვილი, იაკობ (ჟაკი) ბალახაშვილი. მათ გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალის, „ანათემას“ ორი ნომერი, რომლებიც მალე მთავარი ნივთმტკიცება გახდა ახალგაზრდების დაპატიმრების საქმეში, ხოლო მარი აბრამიშვილის ლექსი – „ჩვენ ამ საღამოს წაგვიყვანენ“ – წინასწარმეტყველებასავით აუხდათ დაჯგუფების წევრებს.

შალვა მჭედლიშვილი იხსენებს: „პეტრემ და მარიმ გადაწყვიტეს, გამოგვეცა და გაგვევრცელებინა ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა“. მე ჟურნალის ლეგალურად გამოცემის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან უკვე „ნათლობა“ მქონდა მიღებული იატაკქვეშა ორგანიზაცია „ქარიშხალში“, აგრეთვე

„ცისფერ საღამოებში“ და გარკვეული წარმოდგენა გამაჩნდა კონსპირაციაზე. მხოლოდ იმის შემდეგ დავთანხმდი ჩემი ლექსების ამ ჟურნალში გამოქვეყნებას, როდესაც პეტრემ მწერალი იაკობ (ჟაკი) ბალახაშვილი მოიყვანა, გაგვაცნო და სთქვა: აი, ეს კაცი ძლიერ მოხერხებული ადამიანია, მწერალთა კავშირის წევრი, ბარათაშვილის ნაწარმოებების აკადემიური გამოცემების წინასიტყვაობის ავტორი, დაგვეხმარება და მწერალთა კავშირში გამოგვიცემს ჟურნალს. ცოტა მოგვიანებით პეტრემ ხელი მოგვაწერინა ჟურნალის ყდაზე: თქვენი ავტორობა რომ ირწმუნონ, საჭიროა ხელმოწერებიცო. ავტორთა შორის, კარგად მახსოვს, იყვნენ მარი აბრამიშვილი, ვახტანგ კეკელიძე, მერი ჩხაიძე, თვით პეტრე გრუზინსკი, მე, ჟაკი ბალახაშვილი და სხვანი. გამოვიდა ამ ჟურნალის რამდენიმე ნომერი და გავრცელდა ნაცნობ-მეგობართა შორის. შემდეგ მოვლენები ძლიერ ცუდად და სწრაფად განვითარდა. პეტრემ გვითხრა, რომ ჟურნალი მიუტანა და გამოცემაში დახმარება სთხოვა ერთ მწერალს, რომელსაც თურმე სუკ-ში დიდი პოსტი ეკავა, მაგრამ დახმარების ნაცვლად მას უთქვამს, საჭიროა იმ ავტორების დასჯა, რომელნიც ჟურნალში მონაწილეობენო. ცხადია, ყველანი შევშფოთდით და არ ვიცოდით, რა გვეღონა“ (მჭედლიშვილი 1992: 59).

მარი აბრამიშვილი

დაახლოებით იმავეს ყვება მარი აბრამიშვილი მემუარულ წიგნში „ბედისწერის განაჩენი“: „ერთხელ პეტრე გრუზინსკიმ გვითხრა: მოდი, ამ ჩვენი ხელნაწერი ჟურნალის ორ ნომერს კოლია მიქავას ვაჩვენებ, ჩემი მეგობარია, ცეკაში მუშაობს და ის მეტყვის, შეიძლება თუ არა ამ სახით შემდეგი ნომრებიც შევადგინოთ. მაშინ ჩვენ

ამაზე არც დავფიქრებულვართ, ეჭვიც არ გვეპარებოდა მის გულწრფელობაში. ამის შემდეგ ეს ჟურნალები უკან აღარ დაბრუნებულა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, 1945 წლის 27 მარტს, ჩვენ, ძირითადი წევრები ამ თავყრილობებისა, დაგვაპატიმრეს: პეტრე გრუზინსკი მე – მარი აბრამიშვილი, შალვა მჭედლიშვილი, თამარ შანშიაშვილი (სულ არაფერში რომ არ ერია) და იზა აღნიაშვილი (აგრეთვე სრულიად უდანაშაულო, პეტრეს დიდი ხნის თაყვანისმცემელი და მეგობარი). ყველანი ერთ საღამოს ქუჩიდან აგვიყვანეს და შინსახკომის ციხეში მიგვაბრძანეს. გარეთ დარჩნენ: ჟაკი ბალახაშვილი, ქუჯი ძიძიშვილი, მიხეილ ქვლივიძე, რომელიც მალევე მოსკოვში გადასახლდა. რაც შეეხება ვახტანგ კეკელიძეს, რომელიც განუყრელად ჩვენთან იყო, არც ის დაუჭერიათ, რამაც მის ორგულობასა და ღალატში დაგვაეჭვა. მან 1952 წელს თავი ჩამოიხრჩო. მანამდე მერი ჩხაიძემაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, სრულიად ახალგაზრდამ, ოღონდ ეს მან სიყვარულის ნიადაგზე ჩაიდინა. რა თქმა უნდა, გარეთ დარჩნენ ის ახალგაზრდა პოეტებიც, რომლებმაც ჩვენი სალონი ადრე დატოვეს. მაშინ კი არა, დღესაც ვერც ერთი (მე და შალვა ვართ მხოლოდ ცოცხალი) დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ვინ გაგვწირა იმ წამებისთვის. მას შემდეგ იქნებ სხვაგვარადაც ვფიქრობთ, მაგრამ ფიქრის გამხელაც გვიჭირს“ (აბრამიშვილი 2016: 55).

საარქივო საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 1945 წლის 27 მარტს ლიტერატურული სალონის წევრები – მარი აბრამიშვილი, შალვა მჭედლიშვილი, იზა აღნიაშვილი, თამარ შანშიაშვილი და პეტრე გრუზინსკი დააკავეს. მათ ბრალად ედებოდათ კონტრრევოლუციური ლექსების წერა და საქართველოში

მონარქიის აღდგენის სურვილი. საქმეში დაცულია დაკავებულების პირადი წერილები და ხელნაწერი ლექსები, რომლებშიც წითელი ფანქრითაა მონიშნული ყველა „საეჭვო“ ფრაზა, ისეთი მხატვრული სახეები, რომლებიც, სისტემის გადმოსახედიდან, ირიბად მაინც შეიცავდა რეჟიმის წინააღმდეგ შეტყობინებებს ან მონარქიის შესახებ მინიშნებებს. საქმეშია სახელმწიფო უსაფრთხოების პოდპოლკოვნიკის, ჩიტაიას ოთხგვერდიანი ანგარიში* ჟურნალ „ანათემის“ შესახებ, რომელშიც მიმოხილულია დაჯგუფების წევრების ანტისაბჭოური საქმიანობა, მოყვანილია ციტატები „საეჭვო“ ლექსებიდან და, ასე განსაჯეთ, მოცემულია მათი ინტერპრეტაციები. მაგალითად, დამოწმებულია გრუზინსკის ლექსიდან სტროფი:

„... ამ თოვლივით მეც ოდესღაც
ვიცი, წმინდა მქონდა გული,
დღეს ზიზღით და სიძულვილით,
შავად რომ მაქვს შერუჯული“.

ჩიტაია ასკვნის, რომ გრუზინსკი ადრე კმაყოფილი იყო საკუთარი ბედით, თუმცა ახლა შავად შეიფერა მისი გული. მაგრამ მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ საფრანგეთში იზრდებოდა ვინმე ბაგრატიონი, მონარქიული საქართველოს მომავალი მეფე, გრუზინსკის კვლავ აუჩქროლდა სისხლი და დაიწყო ოცნება სამეფო ტახტზე. ანგარიშში განხილულია გრუზინსკის სხვა ლექსიც, რომლიდანაც ჩიტაია სატრფოს სახეს გამოყოფს და მიიჩნევს, რომ „საოცნებო სატრფო“ გრუზინსკისთვის მომავალი მონარქიული საქართველოა. იდეოლოგიზებული კრიტიკისა და დემაგოგიის შესანიშნავი ნიმუშია ანგარიშის მორიგი აბზაცი: „ანათემის“ მეორე ნომერში გრუზინსკი ამბობს:

„...ზნე მაქვს ავი
ეს ველური სიჯიუტე
სადაც წაველ ყველგან მახლავს...“
„... უკვდავების ვეძებ წყაროს,
რომ განვაგრძო ჩემი ბრძოლა“.

* ფონდი №6, საქმე № 45285, ტ 6/2.

მაგრამ როგორ და რით უნდა იბრძოლოს? ცხადია, რომ ანტისაბჭოურად განწყობილი მწერლისთვის ცოცხალი სიტყვა – პოეზიაა უპირველესი იარაღი. მაგრამ როგორ უნდა წეროს? რა თქმა უნდა, დაშიფრულად, ოსტატურად შენიღბოს სათქმელი, მაგალითად ისე, როგორც წერდა გრუზინსკი: „ვინ ახსნას ჩემი ლექსის თილისმა, გრძნობით ნასეტყვი და ნამეხარი?“ ჩიტაია ანგარიშს ასრულებს იმით, რომ გრუზინსკისა და მისი თანამოაზრეების ლექსები ჟურნალ „ანათემაში“ ნამდვილად ანტისაბჭოური განწყობისაა და რომ ისინი არც ისე წარმატებითაა შენიღბული.

საბოლოოდ, მჭედლიშვილს და აბრამიშვილს – 6 წლით, ხოლო შანშიაშვილსა და აღნიაშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიესაჯათ. პეტრე ბაგრატიონმა თავი დამნაშავედ ცნო მხოლოდ იმაში, რომ მისი ხელმძღვანელობით დაარსებულ სალონში მართლაც იკითხებოდა ანტისაბჭოური ლექსები. მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს, თუმცა მალე მისი საქმე სხვა დანარჩენებისგან გამოიყო.

1945 წლის ივნისში ციხის შემოწმებისას პეტრე ბაგრატიონს შუბლზე დარტყმის ნაკვალევი აღმოაჩნდა. მან განაცხადა, რომ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი იყო. გრუზინსკიმ ციხეში რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. 1945 წლის 28 მაისს იგი გამოსაკვლევად გადაიყვანეს ფსიქიატრიულ ინსტიტუტში, სადაც დაიწერა დასკვნა მისი ფსიქიკურად გაუწონასწორებლობის შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ გრუზინსკი შრომით უუნაროა, მოცემული მომენტისთვის მას სჭირს რეაქციული დეპრესია, რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა და საჭიროებს სტაციონარში მკურნალობას. უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, 1946 წლის 7 მაისს საქმე შეწყდა ბრალდებულის შეურაცხადობის გამო და იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიგზავნა სამკურნალოდ – საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

დღემდე არ არის ცნობილი, რა იდგა ამ საქმის მიღმა. ერთი ვერსიით, ვინაიდან ბაგრატიონი 1945 წლის მარტში დააპატიმრეს, ანუ მაშინ, როდესაც ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და გერმანელები კავკასიაში შემოდიოდნენ, არსებობდა

საფრთხე, რომ პეტრე ბაგრატიონი, როგორც ერეკლე მეფის შთამომავალი, შეიძლებოდა მტერს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ამდენად, მისი შეურაცხადად გამოცხადება ბოლშევიკებს ხელს აძლევდა. სხვა ვერსიით კი შეშლილობა იყო ერთგვარი სიმულაცია, ნიღაბი, რომელიც გრუზინსკის ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად ესახებოდა.

რაც შეეხება დანარჩენ დაპატიმრებულებს – მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანმა მოიხადა სასჯელი საპატიმროებში, ისინი მაშინვე არ დაბრუნებულან სამშობლოში. შალვა მჭედლიშვილი და იზა აღნიაშვილი სასჯელის მოხდის შემდეგ შრომით გადასახლებაში დატოვეს. მათი დაბრუნება მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ გახდა შესაძლებელი. საარქივო საქმეში დაცულია იზა აღნიაშვილის მამის, პეტრე აღნიაშვილის წერილები, რომელთა მიხედვითაც მას რამდენჯერმე მიუმართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის უკვე პატიმრობამოხდილი ქალიშვილის თავისუფალი გადასახლებიდან დაბრუნების თხოვნით. პირველი ორი წერილი 1949 წლით თარიღდება, ხოლო ბოლო, ყველაზე ვრცელი, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1954 წელსაა დაწერილი სსსრ შსს მინისტრის, ინაურის სახელზე. წერილში აღნიშნულია, რომ ყველა გამომძიებელს, რომლებიც „ანათემის“ საქმეს იძიებდნენ, თანამდებობა დაატოვებინეს, როგორც მავნებლებს. წერილიდან ისიც ირკვევა, რომ აღნიაშვილს, რომელმაც პირნათლად მოიხადა სასჯელი, არ მისცეს სამშობლოში დაბრუნების უფლება და ხელმეორედ გადაასახლეს კიროვის ოლქიდან კრასნოიარსკის ოლქში. პეტრე აღნიაშვილის თქმით, იგი პედაგოგი იყო და მოწაფეებსაც და შვილსაც საბჭოთა სულისკვეთებით ზრდიდა. იგი გამორიცხავს, რომ იზა პოლიტიკური საკითხებით დაინტერესებულიყო, ხოლო ლიტერატურულ დაჯგუფებასთან სიახლოვეს ქალიშვილისა და პეტრე გრუზინსკის რომანით ხსნის: „ჩემს ქალიშვილს ეუბნებოდნენ, გსჯით მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ შენ პეტრე გრუზინსკისთან ხარ დაახლოებულიო. დიაღ, ჩემი ქალიშვილი დაახლოებული იყო პეტრე გრუზინსკისთან, ვინაიდან ჩემი ქალიშვილი იყო პეტრე გრუზინსკის საცოლე და მათ შორის იყო რომანი და არა იმიტომ, თითქოს ჩემი ქალიშვილი გრუზინსკისთან ერთად წერდა ანტისაბჭოთა ლექ-

სებს. გიმეორებთ, სრულიად მოკლებულია სიმართლეს და ყალბად შეთხზულია. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი ქალიშვილი ხვდებოდა გრუზინსკის ხშირად, ეს გარემოება იმით იყო გამოწვეული, რომ ჩემი ქალიშვილი დაინტერესებული იყო გრუზინსკით, როგორც მისი საქმრო და არა პეტრე გრუზინსკის საქმიანობით. 1945 წელში პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკი, როგორც გამოირკვა და საგამომძიებლო ორგანო აცხადებდა, დამნაშავე იყო, ის ითვლებოდა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელად, რაზედაც პასუხისგებაში იყო მიცემული. ის მავნებლებმა გაამართლეს, მისი საქმე წარმოებით მოსპეს და დღემდე სრულიად ჯანმრთელი ადამიანი პეტრე გრუზინსკი გაათავისუფლეს. მაშ, რა დააშავა ჩემმა ქალიშვილმა? რათ დასაჯეს იგი უდანაშაულო? და კიდევ განაგრძობს დასჯასა?"* წერილის ავტორის აზრით, აღნიშნული მავნებლობა ბერიას სახელს უკავშირდება. მისი თქმით, გოგონას მიმართ წინასწარი გამოძიების მიმდინარეობისას გამოყენებული იყო ფიზიკური ძალადობა და მუქარა, რაც „საბჭოთა კავშირში კანონით დაუშვებელია". იგი ამბობს, რომ ძიება რუსულად მიმდინარეობდა, მისმა შვილმა კი ენა კარგად არ იცოდა, ჩვენებებს მოტყუებით აწერინებდნენ ხელს: „საჭიროა გაიგოთ, თუ როგორი როლი ითამაშა პეტრე გრუზინსკიმ ჩემი უდანაშაულო ქალიშვილის დაღუპვაში. პეტრე გრუზინსკიმ ჩემს ქალიშვილს ჩუმად მოპარა ორი ცალი დღიური, სადაც შეიტანა შესწორება – მავნებლური მასალა, შემდეგ ეს შესწორებული და დამახინჯებული დღიურები გადასწერა თავის ჟურნალში თუ ჩააკერა, რომელსაც თვით გრუზინსკი უშვებდა და ამის შემდეგ ეს ჟურნალები თვითონვე გადასცა საგამომძიებლო განყოფილებას".

წერილის ავტორი ყურადღებას ამახვილებს გრუზინსკის გათავისუფლების ფაქტზე. იგი ამბობს, რომ 1946 წელს გრუზინსკის დედა, თამარა გრუზინსკაია, წავიდა მოსკოვში, მავნებელ ბერიასთან, რომელთანაც იგი ადრევე იყო დაახლოებული. ბერიას დახმარებით კი სრულიად ჯანმრთელი გრუზინსკი ფსიქიკურად დაავადებულად ცნეს და მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც თვალის ასახვევად 1 წელზე მეტი იწვა.

* ფონდი № 6, საქმე № 45285, ტ. 6/4 (სტილი დაცულია).

წერილის ავტორი იხსენებს, რომ თავის დროზე თამარა გრუ-ზინსკაიაც გადასახლებული იყო (1937 წელს) და 1943 წელს იგი ხალხის მტერმა, ბერიამ გაათავისუფლა: „ეჭვი არ არის იმ უდავო ჭეშმარიტებაში, რომ პეტრე გრუზინსკის ოჯახი – თამარა გრუზინსკაია, თვით პეტრე გრუზინსკი – იყვნენ მარჯ-ვენა ხელი მავნებელი ბერიასი, რომლებიც არ ზოგავდნენ უდა-ნაშაულო საბჭოთა მომავალ თაობას და ღუპავდნენ მათ, რისი შედეგიც არის მსხვერპლი გრუზინსკების ჩემი უდანაშაულო ქალიშვილიც“.

ადრესანტი მოითხოვს, გადაისინჯოს მისი ქალიშვილის საქ-მე და ასევე შემოწმდეს, არის თუ არა გრუზინსკი ფსიქიკურად დაავადებული.

რაც შეეხება მარი აბრამიშვილს, რომელიც ერთადერთი ქალია ქართველ რეპრესირებულ მწერლებს შორის, მისი ავ-ტობიოგრაფიული ჩანაწერები სახელწოდებით „ბედისწერის განაჩენი“ 2016 წელს გამოქვეყნდა. წიგნში მწერალი დაწვრი-ლებით აღწერს სალონის შექმნის, მეგობრების დაპატიმრებისა და ტუსაღობაში ყოფნის ამბებს.

ფონდი №6, საქმე № 45285, ტ. 6/4, ფურც. 127.

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

(სტილი დაცულია):

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სა-ხელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1946 წლის 8-9 აპრილს ქ.თბი-ლისში საჯარო სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: ეფრემიძე

სახალხო მსაჯულნი: ედიბერიძე, სტეფანიანი

პროკურორ მიქაძის მონაწილეობით და მდივან წაქაძის თანდასწრებით განიხილა საქმე №210 ბრ. გამო მჭედლიშვილი შალვა ზაქარიას ძე, 1923 წელს დაბადებული, ეროვნებით ქარ-თველი, სსსრ მოქალაქე, უცოლო, უპარტიო, მოწაფე, პასუ-ხისგებაში არ ყოფილი, მცხოვრები ქ. თბილისში, პუშეჩნის ქ.№27.

2. აბრამიშვილი მარიამი – მარი ივანეს ასული, 1922 წელს დაბადებული, ეროვნებით ქართველი, სსრკ მოქალაქე, გაუთხოვარი, ალკკ წევრი, უმაღლესი განათლებით, სპეციალობით პედაგოგ-ლიტერატორი, პასუხისგებაში არ ყოფილი, მცხოვრები ქ. თბილისის ბელინსკის ქუჩა №48-ში.

3. აღნიაშვილი ლიზა (იზა) პეტრეს ასული, 1922 წელს დაბადებული, ეროვნებით ქართველი, სსრკ მოქალაქე, გაუთხოვარი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, პასუხისგებაში არ ყოფილი, მცხოვრები ქ. თბილისის ბარნოვის ქუჩა №71-ში.

4. შანშიაშვილი თამარა ვლადიმერის ასული, 1922 წელს დაბადებული, ეროვნებით ქართველი, სსრკ მოქალაქე, გაუთხოვარი, უმაღლესი განათლებით, უპარტიო, პასუხისგებაში არ ყოფილი, მცხოვრები ქ. თბილისის არაგვის ქუჩა №15-ში.

ყველას ბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული ს.ს.კ. 58-10,2 58-11 მუხლებით. საბრალდებო დასკვნით აღნიშნულ ბრალდებულებს ბრალი ედებათ მასშიდ, რომ იყვნენ რა ისინი მტრულად განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და მომხრენი საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენის, 1944 წელში ისინი გაერთიანდენ ეგრედწოდებულ სალონში, სადაც სწერდენ, არჩევდენ და ავრცელებდენ კონტრეულიციონურ ლექსებს. გამოსცეს კონტრეულიციონური ჟურნალი /ხელთ ნაწერი/ ეგრედ წოდებული „ანათემა“, რომელშიდაც სწერდენ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ლექსებს და ავრცელებდენ ნაცნობთა ვიწრო წრეში. ამასთან ერთად, აქებდენ ხალხის მტრებს, რომლებიც რეპრესირებულია შინსახკომის ორგანოების მიერ. იხელმძღვანელა რა სასამართლომ საქმეში არსებული წინასწარი გამოძიების მასალებით, ნივთიერი მტკიცებებით და თვით სასამართლო პროცესზე ბრალდებულების დაკითხვით, გამოირკვა, რომ ამ საქმეზე ბრალდებული მჭედლიშვილი, აბრამიშვილი, აღნიაშვილი და შანშიაშვილი დაუკავშირდენ რა ერთი მეორეს და ამავე დროს ამ საქმეზე ბრალდებულები მჭედლიშვილი და აბრამიშვილი იყვნენ რა თავიდანვე მტრულ განწყობილებაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩამოაყალიბეს 1944 წელში ლიტერატურული ეგრედწოდებული სალონი. აღნიშნული სალონი მათ მიერ გამოყენებულ იქნა კ/რევოლუციონური ლექსებისა და პროზების დასაწერად

და წასაკითხავად, რომელის მთავარ ხელმძღვანელად ითვლებოდა გრუზინსკი-ბაგრატიონი, რომლის საქმეც გამოყოფილია ამ საქმიდან. დადგენილია, რომ ამ საქმეზე ბრალდებულებმა გამოუშვეს ორი ცალი ხელნაწერი ჟურნალი ეგრედწოდებული „ანათემა“, რომელშიდაც გააერთიანეს ნაწილი თავიანთი კ/რევოლუციონური ხასიათის ლექსები, ხოლო ნაწილის გაერთიანება კი ვერ შესძლეს მათდა დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დადგენილია ისიც, რომ აღნიშნულ სალონში სისტემატიურად ეწყობოდა მათი თავმოყრა და ლექსების წაკითხვა, სადაც ჯგუფის წევრები ხოტბას ასხამდენ ყველა ისეთ ლექსებს, რომელიც უფრო კონტრრევოლუციონური ხასიათის იყო, გამორკვეულია ის გარემოებაც, რომ ა/საბჭოთა ხასიათის ლექსებს ისინი უკითხავდნენ სხვა ახალგაზრდობასაც, რომლებიც ახლოს იყვნენ აღნიშნულ ჯგუფის წევრებთან. ბრალდებული მჭედლიშვილი და აბრამიშვილი სასამართლოს პროცესზედაც აღიარებენ იმ ფაქტს, რომ ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ვინაიდან აბრამიშვილს 1941 წელში ყავს გასამართლებული ძმა კ/რევოლუციონური დანაშაულისთვის, ხოლო მჭედლიშვილს კი – კარგი ამხანაგი კირაკოზოვი /ხალიფაშვილი/, რომელიც კ/რევოლუციონური ორგანიზაციის წევრი იყო. მჭედლიშვილი აღიარებს იმ ფაქტსაც, რომ კირაკოზოვს /ხალიფაშვილს/ მან თავშესაფარი მისცა და მალავდა რამოდენიმე დღეს თავის ბინაში. ბრ. აბრამიშვილმა ამასთან ერთად მიუძღვნა ლექსი კ/რეულიციონურ, ამჟამად ლიკვიდირებულ, მუსტაფა შელიას. დადგენილია, რომ ბრალდებულები მჭედლიშვილი, აბრამიშვილი და შანშიაშვილი თავიანთ მიერ დაწერილ ლექსებში აქეზებდენ მკითხველებს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისკენ და საქართველოში მონარქიული წესების აღდგენისკენ, რასაც თითონაც არ უარყოფენ სასამართლო პროცესზე, ხოლო რაც შეეხება ამ საქმეზე ბრალდებული აღნიაშვილი კი მონაწილეობას იღებდა ლექსების კითხვაში და ამავე დროს მის ოჯახში ხდებოდა ბრალდებულთა თავშეყრა სისტემატიურად, რასაც თითონაც არ უარყოფს. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან მათზე წაყენებული ბრალდება გათვ. ს.ს.კ. 58-10 მე-2 ნაწილით და

58-11 მუხლით სასამართლომ სცნო დამტკიცებულად. მიხედვით ზემოაღნიშნულისა და ხელმძღვანელობით ს.ს.ს.კ. 319-320 მუხ. საქ. უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაადგინა: მჭედლიშვილი შალვა ზაქარიას ძე, აბრამიშვილი მარიამ ივანეს ასული, აღნიაშვილი ლიზა (იზა, ციცო) პეტრეს ასული და შანშიაშვილი თამარა ვლადიმერის ასული ცნობილ იქნან დამნაშავედ ს.ს.კ. 58-10 მუხლის მე-2 ნაწილით და 58-11 მუხლით და მიესაჯოს მჭედლიშვილს და აბრამიშვილს ექვსი /6/ წლით თავისუფლების აღკვეთა თვითოეულს, ხოლო აღნიაშვილს და შანშიაშვილს კი ოთხი /4/ წლით თავისუფლების აღკვეთა. თვითეულს მათი წილი ქონების კონფისკაციით. თანახმად ს.ს.კ. 31 მუხ. „63“ პუნქტით ჩამოერთვათ საარჩევნო ხმის უფლება სასჯელის მოხდის შემდეგ, /2/ წლით თვითეულს თანახმად ს.ს.კ. 29 მუხლისა ჩაეთვალოთ წინასწარი პატიმრობა 1945 წლის 27 მარტიდან. განაჩენი საბოლოოა და კასაციური წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავმჯდომარე: ეფრემიძე
სახალხო მსაჯულნი: ედიბერიძე, სტეფანიანი.

საგანგებო დადგენილება
(სტილი დაცულია):

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 1946 წლის 7 მაისს ქ. თბილისში საჯარო სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ი. ეფრემიძე, სახ. მსაჯულნი: შოვნაძე და ქარუმიძე, პროკურორის მიქაძის მონაწილეობით და მდივნის წაქაძის თანდასწრებით განიხილა საქმე №210 – ბრალდებისა გამო – გრუზინსკი-ბაგრატიონი პეტრე პავლეს ძე, 1920 წელში დაბადებული, ეროვნებით ქართველი, სსრკ მოქალაქე, ცოლშვილიანი, უპარტიო, მოწაფე უმაღლესი განათლებით, პასუხისგებაში არ ყოფილა, მცხოვრები ქ. თბილისის ლენინის ქუჩა 47-ში. ბრ. დან. გათ. სსკ 58-10 მუხ. 2 ნაწილით და 58-11 მუხლით.

სასამართლო კოლეგიამ სცნო, რომ ბაგრატიონ-გრუზინ-სკის მიმართ სისხლის სამართლის საქმე წარმოებით უნდა მოისპოს, ხოლო თვით გრუზინსკის მიმართ კი უნდა მიღებული იქნეს სამკურნალო ღონისძიება შემდეგი გარემოებათა გამო: საქმეში არსებული მასალებით და საექიმო საექსპერტო დას-კვნებით /იხ. ს.დ. 30 27 910/ ბაგრატიონ-გრუზინსკი დაავა-დებულია ფსიქიურად, რომელიც პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაზე და ამასთან ერთად შეპყრობილია ფილტვების აქტიური ტუბერკულიოზით. მაგრამ იმდენად, რამდენადაც იმის მიერ ჩადენილი მოქმედება არის საზოგადოებრივად სა-შიში და მძიმე, ხოლო თუ მის მიმართ გამოყენებული არ იქნა იძულებითი მკურნალობა, შესაძლებელია მან კიდე გაიმეო-როს ასეთი, ამისთვის სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი მოთავსება ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობისთვის. გამომდინარე ზემოდაღნიშნულიდან სა-სამართლო კოლეგიამ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

გრუზინსკი-ბაგრატიონი პეტრე პავლეს ძეს მიმართ შედ-გენილი საქმე სსკ. 58-10 მუხ. 2 ნაწ. და 58-11 მუხლით მოისპოს წარმოებით, როგორც სულით ავადმყოფის მიმართ, რომელიც პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაზე და თვით გრუზინსკი-ბაგრატიონი კი მოთავსებული იქნეს ქალ. თბილისის ფსიქი-ატრიულ საავადმყოფოში იძულებითი მკურნალობისთვის განკურნებამდე.

თავმჯდომარე ეფრემიძე და სახალხო მსაჯულები – შოვნაძე და ქარუმიძე.

დამოწმებანი:

აბრამიშვილი 2016: აბრამიშვილი, მ. *ბედისწერის განაჩენი.* თბილისი: გამომ-ცემლობა „ინტელექტი“, 2016.

კვერენჩხილაძე 2017: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა.* წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

მჭედლიშვილი 1992: მჭედლიშვილი, შ. *იმ ავბედითი წლების მოსაგონარი.* ჟუ-რნალი „კრიტიკა, 1992, №2-3.

ყიფშიძე 2011: ყიფშიძე ნ. *გიჟად შერაცხული პეტრე გრუზინსკი.* საარქივო მოამბე, 2011, №10.

პარტორგანიზაცია მწერლობაზე იდეური კონტროლის სტრატეგი

ზოია ცხადაია

მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის არქივიდან (1941-1947 წწ.)*

1941 წლის დასაწყისში საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრებებზე მთავარ საკითხად იდგა პარტიაში ახალ წევრთა მიღება და დისციპლინის მაქსიმალურად განმტკიცება პარტიულთა და განსაკუთრებით კომკავშირელთა შორის; პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით კომკავშირლებისთვის კ.პ(ბ) ისტორიის სწავლება; ზრუნვა პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ოქმებში აღნიშნულია, რომ „პარტორგანიზაციის ხაზით შემოქმედებითი მუშაობა მოისუსტებს“ და საჭიროა, მიბაძონ მოსკოვის მაგალითს.

ერთ-ერთი გამოკვეთილი საკითხი იყო აგრეთვე „სათანადო ღონისძიებების გატარება თბილისის თემებზე ახალ-ახალი ნაწარმოებების შექმნისათვის“. დევიზი ასეთია: „არ კმარა კარგი პოეტობა და კარგი ადამიანობა. საჭიროა კარგი პარტიულობა“ (ოქმი № 1, 1941 წ., 17. V).

ომის დაწყების წინ, 9 ივნისს, პარტორგანიზაციის კრებაზე, ბედის ირონიასავით გაისმა მწ/კავშირში გერმანული ენის შემსწავლელი წრის დაარსების საკითხი. მისი ხელმძღვანელობა დაეკისრა მწერალ ალექსანდრე ჭეიშვილს (ოქმი №4).**

პარტორგანიზაციის ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა, რომ 1941 წლის 28 ივნისს საზეიმოდ აღენიშნათ რუსი პოეტის, მიხეილ ლერმონტოვის, გარდაცვალებიდან 100 წლისთავი, რაც, ბუნებრივია, ვერ განხორციელდა – 22 ივნისს ომი დაიწყო. 23 ივნისს მწერალთა კლუბში გაიმართა მიტინგი; იმავე დღეს გამგეობის პრეზიდიუმმა იმსჯელა მწერლებისა და მათი ორგანიზაციის მუშაობის გარდაქმნაზე და მოუწოდა ამხანაგებს,

---

* სტატიაში გამოყენებულია საქართველოს შსს არქივის მასალები.

** ალექსანდრე ჭეიშვილი 1958 წელს სსრკ მწერალთა კავშირმა მიავლინა დასავლეთ გერმანიაში, სადაც მან ითხოვა პოლიტიკური თავშესაფარი და უკან აღარ დაბრუნებულა. გარდაიცვალა იქვე, 1962 წელს.

ყველაფერი გაეკეთებინათ მტრის გასანადგურებლად. ჩატარდა პარტორგანიზაციის საგანგებო და დახურული კრება, რომელზეც მწერლებს დაევალათ, მყისიერად გამოხმაურებოდნენ ამ ფაქტს.*

მომდევნო კრება ჩატარდა მოგვიანებით – 1941 წლის 22 ივლისს, ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე. პარტორგანიზაციის დახურულ კრებაზე აირჩიეს ახალი მდივნები: ი. ლისაშვილი და ს. შავიშვილი (ი. ლისაშვილს 27 აგვისტოს 13-წლიანი პარტიული საყვედური მოუხსნეს).

1941 წლის 24 სექტემბერს გამართულ პარტორგანიზაციის კრებაზე პარტიულები და კომკავშირლები ერთად მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა გაკეთდა ამ მოკლე დროში. მომხსენებელმა ი. აბაშიძემ აღნიშნა, რომ ომის დაწყებისთანავე მწ/კავშირის პრეზიდიუმის მიერ დასახული მიზანი განხორციელდა, გამოიცა ქართველი პოეტების ომისადმი მიძღვნილი ლექსების კრებული „სამშობლო“, გამოსაცემად მზადდებოდა მეორე წიგნიც; „ლიტერატურული საქართველო“ და ჟურნ. „მნათობიც“ გარდაიქმნა ახალი ამოცანების შესაბამისად; გამოდიოდა სააგიტაციო-ლიტერატურული ფურცელი „ლახვარი“; მწ/კავშირში დააარსეს სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ს. ჩიქოვანი; მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით კიდევ მეტი იყო გასაკეთებელი: უნდა „მოწესრიგებულიყო მწერლების მონაწილეობა რადიოგადაცემებში, სახკინმრეწვში და ესტრადაზეც“. აქტიურობდნენ ი.ხომერიკი (ლისაშვილი) და ე. ასტვაცატუროვი. ისინი მოითხოვდნენ, უფრო ფართოდ გაშლილიყო სააგიტაციო-საპროპაგანდო სამუშაოები, უნდობლობას და საყვედურს უცხადებდნენ საჯაროდ ს. წვერავას (სახალხო ლაშქრობის მეცადინეობაზე გამოუცხადებლობისათვის), ი. აბაშიძეს, რომელიც მხოლოდ განვლილი მუშაობით კმაყოფილდებოდა და ა.შ. მათვე გამოთქვეს აზრი იმის შესახებ, რომ „ლიტერატურულ საქართველო-

* 27 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ (№26) დაიბეჭდა მიტინგის ანგარიში; გ. კაჭახიძის, შ. მიქელაძის, ს. თავაძის ლექსები, ბ. ჟღენტის წერილი „სამშობლოსათვის“. „ლიტერატურული საქართველო“, გაზ. „კომუნისტი“, ჟურნ. „მნათობი“ აქტიურად ეხმაურებიან ომის თემას.

ში“ იბეჭდებოდა დაბალი ხარისხის მასალები და ამ პუბლიკაციებს არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა... ისინი „უსარგებლოდ“, „უიდეოდ“ მიიჩნევდნენ იმას, რაც აგიტაცია-პროპაგანდის სტილს არ შეესაბამებოდა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სანდრო ეულმა. იგი შეეხო უკვე გამოცემულ ლექსების კრებულს, რომელშიც თავმოყრილი იყო ბოლო პერიოდის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ყველა ლექსი: „ქართველი მწერლები ომს შეხვდნენ მომარჯვებული კალმებით. თვითეული მწერლის ნაწარმოებში გამოვლენილია მწერლის პატრიოტული გრძნობა... საჭირო იყო და თუ დღემდე ვერ მოხერხდა, ახლო მომავალში უნდა გაირჩეს ეს ნაწარმოებები. ყველაფრის დაბეჭდვა ხომ არ შეიძლება... ჩვენ უნდა ვიცოდეთ, როგორ გარდაქმნეს ჩვენმა ბეჭდვითმა ორგანოებმა მუშაობა ომის პერიოდში... ასევე უნდა მოვისმინოთ ჩვენი გამომცემლობების მუშაობა: სახელგამის, ფედერაციის და საბავშვო გამომცემლობების“...

პარტიული ხელმძღვანელები დირექტივას „ზემოდან“ – ცენტრალური კომიტეტიდან და რაიონული კომიტეტიდან იღებდნენ. მათი წარმომადგენლები სტუმრობდნენ პარტორგანიზაციის კრებას, ისმენდნენ პარტიული მწერლების დაპირებებს, კვლავ ცოცხლობდა მოწოდება-ლოზუნგი „კალამი უნდა ხიშტს გავუთანაბროთ“. პოეზია კარგავდა თავის არსებით მნიშვნელობას. ომის თემატიკას პირველ წლებში სწორედ ლირიკული პოეზია გამოხატავდა. იგი სწრაფად მიჰყვებოდა მოვლენებს და, უმეტესწილად, ვერ გასცდა დეკლარაციულობას, ერთსახოვან, ერთფეროვან სტილს; მოწოდების ხმად გაისმა გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, იოსებ ნონეშვილის და სხვ. ლირიკული ტექსტები. „კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა, გადაივიწყე სხვა ყველაფერი“, – წერდა 1941 წლის 23 ივნისს გაზ. „კომუნისტში“ ალექსანდრე აბაშელი; 4 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ალიო მაშაშვილის 25 ივნისს დაწერილი ასეთივე განწყობას ლექსი „სიმღერა გამარჯვებისა“. 1941 წლის 26 ივნისს გამოქვეყნდა გალაკტიონის „სიცოცხლეო მამულო“:

სიცოცხლეო, მამულო!
მძაფრი, არაფარული,
შვილთა შენთა ხმამაღლა
სთქვან შენი სიყვარული.
სიცოცხლეო, სამშობლოვ!
მტერი დაუნდობელი,
რომ თვალს არ გაცილებდა,
ვიყავ წინამგრძნობელი.

– ასე გამოხატა თავისი პირველი ემოციები პოეტმა, თუმცა ლექსში დეკლარაციული პათეტიკა სჭარბობს ჭეშმარიტ პოეტურ იმპულსს. მას მოჰყვა მისი „ჰე, მამულო!“ – პატრიოტული გრძნობის ახლებური, დროის ადეკვატური გააზრება (სამშობლო, გმირი, მოვალეობა):

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია,
სთქვა: „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა!“
არ მოშიშარს ქარისა და თოვლისა,
ყოველ ჩვენგანს ურყევ მიზნად ექნება
მხოლოდ შენთვის თავდადების შეგნება:
მამულს გული, უპირველეს ყოვლისა.

ზოგადად, ქართველი პოეტები (გამონაკლისების გარდა) თავს არ ზოგავდნენ, რომ დროის მოთხოვნილებებისთვის ეპასუხათ. მიუხედავად ამისა, 1942 წლის 17 მარტს საქართველოს მწ/კავშირის პარტორგანიზაციის სხდომაზე (ოქმი №12) გაჟღერდა (მომხსენებელი ი. აბაშიძე), რომ მოსკოვში ჩატარებული პრეზიდიუმის სხდომების მუშაობამ და საქართველოს მწ/კავშირის ბოლო პრეზიდიუმის დასკვნებმა ცხადყო როგორც მიღწევები, ასევე (და უფრო მეტად) სუსტი მხარეები ჩვენი მწერლებისა... რომ ქართულ მწერლობას ჯერ კიდევ არ მოეპოვებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც „წამყვანად ითვლებოდნენ“... შეეფერებოდნენ დიდ სამამულო ომს. პოეზიისგან მეტს ითხოვდნენ, განსაკუთრებით კი საყვედურობდნენ დრამატურგიას (ალბათ ფიქრობდნენ, რომ

აგიტაცია-პროპაგანდა სცენიდან უფრო ეფექტური იქნებოდა, ერთი მხრივ, ავტორთა, მეორე მხრივ კი, ნიჭიერი მსახიობების გარდასახვის უნარის შესაბამისად).

როგორც, ზოგადად, სხვა სხდომებზე, აქაც ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო „პოლიტიკური აგიტაცია და მწერლობა“ (ანუ პოლიტიკური აგიტაცია მწერალთა შორის და პოლიტიკური აგიტაცია მწერლების მიერ). ამაში მათთვის დახმარება გაზ. „ლიტერატურულ საქართველოს“ უნდა გაეწია; აღნიშნეს, რომ „ინტელიგენციის მოწინავე რაზმი უნდა გავიდეს მასებში როგორც თავიანთი ნაწარმოებებით, ისე ზეპირი სიტყვით... რომ მწერალთა შორის, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, პოლიტიკური აგიტაცია ჯერ კიდევ ვერ დგას თავის სიმაღლეზე“ და ა.შ.

რაჟდენ გვეტაძის აზრით, მწერლის პოლიტიკური აგიტაცია ის ნაწარმოებია, რომელსაც ის ქმნის. მისი თქმით, გამომცემლობას განზრახვა ჰქონდა, გამოეცა კრებული „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, მაგრამ მწერლებს ამ კრებულის მასალები არ მოჰქონდათ. ჩანს, არცთუ ისე ადვილი იყო ნაძალადევად განწყობის შექმნა ბელადის სახოტბოდ; ასეთი ლექსები ადვილად არ იწერებოდა, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. მით უმეტეს, როცა მოსკოვიდან ხშირად ჩამოდიოდნენ პარტიული ამხანაგები მათ „დასამოძღვრად“. მწ/პარტიული ორგანიზაციის 17 მარტის სხდომას ესწრებოდა თბილისში სტუმრად მყოფი ლევიტინა, ჩანს, იგი საკმაო ხანს იყო საქართველოს დედაქალაქში, გაეცნო მწერალთა „ნაყოფიერ მუშაობას“ და აღმოაჩინა რამდენიმე ხარვეზიც. მან მოსთხოვა ქართველ მწერლებს მეტი „სიფხიზლის“ გამოჩენა თბილისში ევაკუირებული მწერლების მიმართ.*

---

* ომის დროს საქართველოში თავშესაფარი ჰპოვეს მშობლიური ქალაქებიდან ლტოლვილმა მწერლებმა: მოსკოვიდან – ანა ანტონოვსკაიამ (რომელიც ადრე საქართველოში ცხოვრობდა), რიურიკ ივნევმა, ალექსანდრ ფევრალსკიმ, ვასილი კამენსკიმ, ლენინგრადიდან – ვლადიმირ ორლოვმა, უკრაინიდან – იური კარსკიმ; თბილისში დაბრუნდნენ რუსეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები: ნატო ჩხეიძე, ელიზბარ ანანიაშვილი, ვლადიმერ ტატიშვილი. ევაკუირებული მწერლები თანამშრომლობდნენ პრესაში („ზარია ვოსტოკა“, „ბოეც რკკა“), გამოდიოდნენ რადიოში, სამხედრო ნაწილებსა თუ ჰოსპიტლებში.

მომდევნო სხდომებზედაც (ოქმი №18, 19, 20, 1942 წ.) აღნიშნავენ, რომ მთავარია „პროპაგანდის მაღალ საფეხურზე აყვანა, ამისთვის უნდა ჩამოყალიბდეს აგიტკოლექტივი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგიცატია-პროპაგანდას მწერალთა კავშირის აპარატში მომუშავეთა შორის.

1943 წლის პარტორგანიზაციის პირველსავე სხდომაზე (ოქმი №21) პარტორგანიზაციის სტაჟიანმა მდივანმა, სანდრო ეულმა, მოითხოვა მდივნის მოვალეობიდან გათავისუფლება. მიზეზად დაასახელა ჟურნ. „ნიანგში“ მუშაობა, რაც მისგან საკმაო ძალისხმევას მოითხოვდა და, ასევე, გადაიღალა პარტიულ მწერალთა უდისციპლინობით, საწევროების გადაუხდელობით და სხვ. მისი წინადადება კრებამ არ მიიღო.*

1943 წლის 27 აპრილის სხდომას (ოქმი №24) ისევ სტუმრობს ლევიტინა და საჭიროდ მიიჩნევს, გამოინახოს ქართველ უპარტიო მწერალთაგან ისეთები, რომლებიც „ღირსნი იქნებიან ატარონ პარტიის წევრის სახელი“. იწუნებს მწ/კავშირის სააგიტაციო განყოფილების მუშაობას და აღნიშნავს, რომ „ეს მუშაობა არ იდგა თავის სიმაღლეზე“. სხვა გამომსვლელები ცდილობენ, დასახონ მომავლის გეგმები ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად, შექმნან მეტი და უფრო ეფექტური ნაწარმოებები. ი. ლისაშვილი ამ თვალსაზრისით შეეხო კომკავშირლების მუშაობას და მიანიშნა იმ მძიმე, ტრაგიკულ ფაქტზე, რომელიც წინა წელს მოხდა: „უმთავრესად ამ ორგანიზაციაში იჩენდა თავს იდეოლოგიური გადახრები, ამ ორგანიზაციაში გამოჩნდნენ ანტისაბჭოთა ახალგაზრდები. პარტორგანიზაციამ განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიაქციოს კომკავშირის ორგანიზაციას“ (გვ. 22). დამსწრეთაგან არავინ გამოხმაურებია ლისაშვილის გამოსვლას.

საგულისხმოა ერთი ფაქტი: 1943 წლის იანვარში (ოქმი №6. გვ. 31) განიხილავენ პოეტ ალექსანდრე საჯაიას განცხადებას კომპარტიის რიგებში მიღების თაობაზე. ცნობილია, რომ მას

---

* სანდრო ეული 1937 წლიდან ასრულებდა ამ მოვალეობას. თავისი განცხადების საფუძველზე პარტორგანიზაციის მდივნის მოვალეობიდან იგი გაათავისუფლეს 1944 წლის 27 ივნისს (ოქმი №1). ახალ მდივნად აირჩიეს დიმიტრი ბენაშვილი.

კავშირი ჰქონდა ე.წ. 1942 წლის „შეთქმულთა საქმის“ ახალგაზრდებთან, მაგრამ მათ იგი არ დაასახელეს და გადარჩა. მისი ეს ნაბიჯი (პარტიაში შესვლის სურვილი) უთუოდ შიშის შედეგი იყო (ალექსანდრე საჯაია მალე გარდაიცვალა. იგი არ გამხდარა კომპარტიის წევრი).

კვლავ აქტიურად განახლდა კამათი ლიტფონდის შესახებაც (ოქმი №8, 1943 წ.). დაადგინეს: არსებულ დარღვევებზე ეცნობოს ზემდგომ ორგანოებს, განსაკუთრებული პასუხი მოეთხოვოს ლიტფონდის დირექციას, „დამნაშავეები მიეცნენ პასუხისმგებლობაში“. რაჟდენ გვეტაძემ გამოთქვა აზრი, რომ ლიტფონდის მუშაობა უნდა გაეკონტროლებინა არა პარტორგანიზაციას, არამედ სახალხო კონტროლს.* კრებას ესწრებოდა ლ. ბერიას სახელობის რაიკომის პარტორგანიზანიზაციის ახალი მდივანი მ. გომელაური, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს ორგანიზაცია „ყველაზე მოწინავე იყო რაიონში“, საყვედური გამოთქვა მხოლოდ პარტიის საწევროს გადაუხდელობასა და კრებების გაცდენების გამო. იმ დროისათვის გომელაური, როგორც ჩანს, ახალი დანიშნული იყო თანამდებობაზე და შედარებით მოკრძალებულად გამოდიოდა მწერლების წინაშე. რამდენიმე თვის შემდეგ იგი უკვე საყვედურს უცხადებდა მწერლებს, რომ უფრო მეტად არ ეხმარებოდნენ პარტორგანიზაციას. იმავდროულად, გომელაური ქებას არ იშურებდა რუსთაველის თეატრის მსახიობების მისამართით: „ჩვენი მოწინავე მსახიობები არ ერიდებიან შავ მუშაობას, თუ კი მათ ავალებს პარტორგანიზაცია. თქვენს ორგანიზაციაში კი

* 1944 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე (ოქმი № 9) მომხსენებელმა დიმიტრი ბენაშვილმა ისაუბრა ლიტფონდში სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის მიერ ჩატარებული რევიზიის შესახებ. მისცა საკმაოდ ვრცელი მითითება ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, დირექციიდან გაათავისუფლა მთელი რიგი პირები. აღნიშნა, რომ ლიტფონდის დირექტორმა, ბესარიონ ჟღენტმა, არათუ გამოასწორა მდგომარეობა, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა დამანგრეველი მუშაობა... მომხსენებლის აზრით, საჭირო იყო პარტორგანიზაციას კონკრეტულად დაესვა საკითხი მწ/კავშირის პრეზიდიუმის წინაშე, რათა ბ. ჟღენტი გაეთავისუფლებინათ დირექტორის თანამდებობიდან... ახალ კანდიდატურად დ. ბენაშვილმა თედო შავიშვილი წამოაყენა, როგორც საქმის მცოდნე და შრომისმოყვარე პიროვნება.

ზოგიერთი მწერალი ასეთ მუშაობას გაურბის“ (ოქმი №1, 27.VI. გვ. 15-16)...*

ამ წლების ოქმები ზოგჯერ არ არის თანმიმდევრული. 1945 წლის ივლისში, როცა ომი ახალი დამთავრებული იყო, გამოსვლებში არავინ შეხებია ამ მნიშვნელოვან ფაქტს. პარტორგანიზაციის სხდომებზე საუბრები გრძელდებოდა ისევ აგიტაციისა და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. ახალ საკითხად დაისვა მწ/კავშირში კომკავშირული ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა.

გაიზარდა პარტიულ მწერალთა რაოდენობა. 1946 წელს კრებას უკვე 33 მწერალი ესწრებოდა. ბოლომდე აქტუალური იყო დისციპლინის დამრღვევთა საკითხი. კურიოზულია 1946 წლის 1-ლი ივლისის ოქმში (№31) დისციპლინის დამრღვევთა შესახებ გაკეთებული ჩანაწერი: „დისციპლინა მოიკოჭლებს. მაგ. ამხ. გიორგი ლეონიძეს ხშირად 2-3 თვის დავალიანება აქვს. ასევე ითქმის გრიგოლ აბაშიძეზე, ირაკლი აბაშიძეზე და სხვ. ჩაჩავა დისციპლინის დამრღვევთა ზემოთ დასახელებულ პირთა სიას ამატებს გ. ჯიბლაძეს, ს. ჩიქოვანს, ი. ქავჟარაძეს; მკაცრ მითითებებს იძლევა ი. ლისაშვილი: „ამასთან დაკავშირებით საჭიროა მეტი კონკრეტულობა, როდესაც ლაპარაკია უდისციპლინო ამხანაგებზე. მიუხედავად იმისა, რომ პარტბიუროზე რამდენჯერმე იდგა საკითხი ერთი და იგივე ამხანაგზე დისციპლინის დარღვევის გამო, ჩვენ მხოლოდ დავკმაყოფილდით უბრალო მითითებით და არ გადავედით უფრო სასტიკ ღონისძიებებზე (ოქმი №31, გვ. 18. 1946)... „ჩვენი პარტორგანიზაციის ზოგი წევრი ძალიან ჩამორჩენილია პოლიტიკურად, თეორიულად, ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ვერ გასცილდა პარტისტორიის პირველ თავებს“ და ა.შ. (ოქმი № 33, გვ. 35, 1946).

ოდიოზურია პარტორგანიზაციის მოთხოვნები კედლის გაზეთის გამოშვებასთან დაკავშირებით. ეს მწ/კავშირის ერთ-

* „შავი მუშაობის“ ერთ-ერთი მხარე იყო აგიტაცია-პროპაგანდა. 1945 წლის 14 მარტის სხდომაზე (ოქმი №5, გვ. 18) ამ თვალსაზრისით საყვედური გამოეცხადათ რაჟდენ გვეტაძეს (მხოლოდ 5 საუბარი ჰქონდა), ი. ხოშტარიას (4 საუბარი), ი. აბაშიძეს („აბსოლუტურად არაფერი გაუკეთებია“, სტილი დაცულია, ზ.ც.)...

ერთი მნიშვნელოვანი და „საჭირბოროტო“ საკითხია. ამასთან დაკავშირებით სასტიკ საყვედურს უცხადებენ აგიტატორებს. ერთ-ერთ სხდომაზე მკაცრად გაუსწორდნენ, საბედნიეროდ, მხოლოდ სიტყვიერად, გიორგი ლეონიძეს; მხოლოდ შალვა დადიანი გამოვიდა მის დასაცავად (ოქმი №30, 1946).

განსაკუთრებით საინტერესოა პარტორგანიზაციის კრებაზე მსჯელობა 1946 წელს ჟურნ. „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ „პრავდაში“ დაბეჭდილი წერილების გამო... სსრკ კომპარტიის ცკ-ის 11 აგვისტოს დადგენილებით სასტიკად გაკიცხეს ანა ახმატოვა, მიხაილ ზოშჩენკო, ნიკოლოზ ტიხონოვი და სხვ. პირველს მრუში უწოდეს, მეორეს – უპრინციპო, ტიხონოვი კი გაათავისუფლეს მწ/კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობიდან.* რასაკვირველია, საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიულმა ორგანიზაციამ უყურადღებოდ არ დატოვა ეს ფაქტი. 1946 წლის „მნათობის“ მე-9 და მე-10 ნომრებში დაიბეჭდა „აღშფოთებულ ქართველ მწერალთა“ წერილები, რომელთა საერთო პათოსიც ერთი ციტატით შეიძლება გადმოიცეს: „ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ადგილი არ ჰქონია ზოშჩენკოსებურ პასკვილებს და ახმატოვასებურ დაცემულობისა და უიმედობის გამოხატულებას“.

1947 წლის 5-7 სექტემბერს ჩატარებულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე სიმონ ჩიქოვანმა წაიკითხა მოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჟურნალები „ზვეზდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ პარტიის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილების შემდეგ“. მან აღნიშნა, რომ პარტიის დადგენილებამ გამაჯანსაღებელი გავლენა იქონია ქართულ მწერლობაზე. რასაკვირველია, ეს ფაქტი სათანადოდ აისახა პარტორგანიზაციის სხდომათა ოქმებში. მეტწილად, ამ ფაქტმა განაპირობა ის მკაცრი ვერდიქტი, რომელიც ანა კალანდაძის პოეზიას გამოუტანეს – მისი პირველი კრებულის გამოცემა 7 წლით შეჩერდა. ჯერ კიდევ 1946 წლის 7 ოქტომბერს მწერალთა ყრილობაზე საგანგებოდ იმსჯელეს პოეტი ქალის

* “როგორც წესი, მწერლების რბევა-დაწიოკების გეგმა მოსკოვში მუშავდებოდა და მერე ვრცელდებოდა ე.წ. “მოკავშირე რესპუბლიკებში” (ბაქრაძე 1990: 320).

გარშემო შექმნილ „გაუმართლებელ აჟიოტაჟზე“ (ცკ-ის მდივანი პ. შარია, გ. ჯიბლაძე). ამავე ყრილობაზე უიდეო ლექსების შექმნისაკენ მიდრეკილებაში დაადანაშაულეს მწერლები: გ. შატბერაშვილი, მ. ქვლივიძე. მომდევნო, 1947 წელს, პარტიულმა და ლიტერატურულმა პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ჟურნალი „მნათობი“,* პოეტები კ. ნადირაძე, ალ. მაშაშვილი, პროზაიკოსი კ. გამსახურდია. ამავე წლის 5-7 სექტემბერს ჩატარებულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე ხმამაღლა ითქვა, რომ „საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რა ამ წიგნის (კ. გამსახურდიას ნოველები – ზ.ც.) გამოცემის საკითხი, სასტიკად დაგმო იგი და შეაჩერა მისი გავრცელება“. როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს, ამ დადგენილებაში ეს წიგნი „კაცთმოძულეობის გრძნობის გამჩაღებელ წიგნად იქნა აღიარებული“ (ბაქრაძე 1990: 133). ეს იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, როგორ მკაცრად ზღუდავდა ტოტალიტარული რეჟიმი მწერლების შემოქმედებით თავისუფლებას და იდეოლოგიური წნეხის ქვეშ აქცევდა მას.

* იხ. ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947. 23.08.

ნონა კუპრეიშვილი

მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის არქივიდან (1949-1953 წწ)

1949 წელს მწერალთა კავშირში ჩაუტარებიათ პარტორგანიზაციის 13 დახურული კრება, რომელთაც „განდობილთა“ თავყრილობები შეიძლება ვუწოდოთ. წინა წლების ოქმების ძირითად ფიგურანტებს: ი. აბაშიძეს, გრ. აბაშიძეს, დ. შენგელაიას, კ. ბობოხიძეს, კ. კალაძეს, ს, ჩიქოვანს, შ. აფხაიძეს ახალი და კიდევ უფრო ფანატიკურად განწყობილი დამხმარე ძალა ემატება. მაგალითად, ალ. გომიაშვილი, რომელიც წარმატებით ჩაენაცვლა რადიკალური გამოსვლებით გამორჩეულ იაკინთე ლისაშვილს. როგორც ერთ რუსულ ანდაზაშია, „Свято место пусто не бывает“, გომიაშვილის გამოსვლები ადასტურებს ოფიციოზის რიტორიკის ბოლშევიკურ სიმყარესა და მიზანდასახულობას.

მაინც რომელ საკითხს მიიჩნევდნენ იმხანად უმთავრესად შემოქმედებითი კავშირის სრულიად არაშემოქმედებითი მეთოდებით განმკარგველი პარტორგანიზაციის წევრები? რა თქმა უნდა, ბელადის ერთ-ერთი უკანასკნელ ინიციატივას, ცნობილ დადგენილებას „კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის“ შესახებ.

ორიოდე სიტყვა თვით ამ დადგენილებაზე: 1949 წ. 28 იანვარს „პრავდაში“ იბეჭდება სტატია „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს ავტორთა კოლექტივი („პრავდის“ თანამშრომლების, ვ. კოჟევნიკოვის და დ. ზასლავსკის გარდა, სტატიის შესაქმნელად მწერალთა კავშირიდან მოიწვიეს: ალ. ფადეევი, კ. სიმონოვი, ა. სოფრონოვი და სხვ.), ხოლო რედაქტორობა თვით ბელადმა, ი. სტალინმა ინება. სხვათა შორის, მასვე ეკუთვნის სტატიის სათაურიც. ამ პუბლიკაციაში ებრაული გვარების მქონე კრიტიკოსები: იუზოვსკი, გურვიჩი, ვარშავსკი და ბორშაგოვსკი – დახასიათებული არიან, როგორც „ბურჟუაზიული

ესთეტიკის მიმდევრები, რომლებმაც დაკარგეს პასუხისმგებლობის გრძნობა საბჭოთა ხალხის წინაშე, იცავენ საბჭოთა ადამიანისთვის სრულიად უცხო კოსმოპოლიტიზმს, რითაც ხელს უშლიან საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას". მთავარი ბრალდება, რომელსაც მიზანში ამოღებულ ამ კრიტიკოსებს უყენებდნენ, იყო საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოწინავე მოვლენების დისკრედიტირება, უსაფუძვლო გაკრიტიკება სწორედ იმ ნაწარმოებებისა, რომლებიც საბჭოთა ხალხის პატრიოტულ გრძნობებს აღვივებდა, მათი მხატვრული არასრულფასოვნების საბაბით. პარტიული კრიტიკის ვალია, – ეწერა სტატიაში, – იდეური განადგურება თეატრალური კრიტიკოსების ამ ანტიპარტიული ჯგუფისა.

ასე დაიწყო ეს იდეოლოგიური ანტიდასავლური კამპანია, რომელიც სსრკ-ში 1947-49 წლებში ტარდებოდა და მიმართული იყო ინტელიგენციის იმ ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც, ერთი მხრივ, თითქოს ვერ გათავისუფლდა ცარისტული რუსეთის წარსულისგან, მეორე მხრივ კი, გამოირჩევა პროდასავლური და სკეპტიკური განწყობილებით. „პრავდის" სტატიის გამოსვლის შემდეგ პოლიტიკური ბრალდებები კოსმოპოლიტიზმში, ძირითადად, ებრაელებს წაუყენეს, ამიტომაც ამ კამპანიას აღნიშნული პერიოდის არაერთი მკვლევარი ანტისემიტურად მიიჩნევს.

1949 წ. მარტში სტალინმა გამოთქვა შენიშვნა, რომ კამპანია, მართლაც, წააგავს ანტისემიტურს და „საჭიროა ბრძოლა არა ადამიანების, არამედ იდეების წინააღმდეგ", მაგრამ ეს იყო ნაცადი ბოლშევიკური ხრიკი, რადგან რეპრესიები, რომლებიც 1949 წელს ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის დარბევით დაიწყო, 1953 წლამდე გრძელდებოდა.

ი. ერენბურგის ცნობით, 1953 წლამდე დააპატიმრეს ებრაელ ლიტერატორთა და ხელოვნების მუშაკთა არაერთი წარმომადგენელი: 217 მწერალი, 108 მსახიობი, 87 მხატვარი, 19 მუსიკოსი – სულ 431 ადამიანი. თუმცა პარტიას არც ისინი მოსდიოდა თვალში, ვინც ზედმეტ მონდომებას გამოიჩენდა. სწორედ ამის გამო გაათავისუფლეს გაზეთ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი ვ. ვდოვიჩენკო და ცკ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ფ. გოლოვენჩენკო.

თბილისის მწერალთა პარტორგანიზაციაშიც მხედველობაში უნდა მიეღოთ ამ „პოლიტიკურად მნიშვნელოვანი“ საკითხის ნათელი და შედარებით ბნელი მხარეები. ამგვარი ლავირებისთვის სრულიად მზად აღმოჩნდა ახალგაზრდა პოეტი ალ. გომიაშვილი. აი, როგორი, შეიძლება ასეც ითქვას, სადამსჯელო კრიტიკის საუკეთესო ტრადიციების დაცვით შედგენილი სიტყვა წარმოთქვა მან აღნიშნული საკითხის განხილვისადმი მიძღვნილ პირველივე კრებაზე:

„პრავდის“ სარედაქციო წერილს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში. იგი უნდა გახდეს ჩვენი კრიტიკის გაჯანსაღების მთავარი ძალა, კრიტიკისა, რომელიც ჩამორჩა ჩვენს საბჭოთა მწერლობის საერთო განვითარებას. კრიტიკის ჩამორჩენილობის შესახებ გარკვევით იყო ნათქვამი ამხ. კ. ჩარკვიანის მოხსენებაში საქართველოს ბოლშევიკების მე-14 ყრილობაზე და ახლა, როდესაც ჩვენ ვიხილავთ „პრავდის“ სარედაქციო წერილს თეატრალური კრიტიკის შესახებ, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი კრიტიკის საერთო მდგომარეობა. ჩვენ სასტიკად უნდა დავგმოთ თეატრალურ კრიტიკაში არსებული ნაკლოვანებანი და შეცდომები და, ამასთან, აღნიშნული წერილი უნდა დავუკავშიროთ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის საერთო მდგომარეობას.

„პრავდის“ სარედაქციო წერილი გვასწავლის, რომ კრიტიკოსი უნდა იყოს საბჭოთა მწერლობის პატრიოტი და ლიტერატურაში ახ(ა)ლის, იდეურად ჯანსაღის და მხატვრულად მაღალხარისხოვანი ნაწარმოების პირველი პროპაგანდისტი. ამრიგად, როდესაც „პრავდის“ წერილს ვიხილავთ, ჩვენი კრიტიკოსების მთელ მუშაობას უნდა გადავხედოთ და აღვნიშნოთ, (თუ) კრიტიკოსის ამ მაღალ ღირსებას ასრულებდნენ თუ არა ისინი? არიან თუ არა ისინი საბჭოთა მწერლობის პატრიოტები? ...

ლიტერატურის პარტიულობის საკითხი ჩვენი პირველი ამოცანაა. პირდაპირი, პრინციპული, პირუთვნელი კრიტიკა უნდა გახდეს ჩვენი მწერლობის განვითარების მთავარი ბერკეტი... საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის

პლენუმებზე, პრეზიდიუმის სხდომებზე ადგილი აქვს ზოგიერთი ამახანაგების არაჯანსაღ განცხადებებს, პირადი განაწყენების საფუძველზე აშენებულ კრიტიკას, ქართული საბჭოთა მწერლობის არსებული მდგომარეობისადმი ზერელე დამოკიდებულებას, კრიტიკის მიუღებლობას...“

ოქმი №2 , 1949 წლის 5 თებერვალი.

თავ-რე: ი. ხომერიკი
მდივანი: ი. ხოშტარია

დღის წესრიგი:

ა) საქართველოს კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მე-5 კონფერენციის შედეგების შესახებ;

ბ) განხილვა „პრავდის“ სარედაქციო წერილის „თეატრალური კრიტიკოსების ერთი ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“ (მომხს. ალ. გომიაშვილი).

დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა ს შენიშვნა მწერალთა კავშირის სოხუმის, ბათუმისა და ქუთაისის განყოფილებებთან არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შესახებ შეიცავს ერთ ძალზე საგულისხმო ინფორმაციას, რომელმაც წლების შემდეგ ტრაგიკული შედეგი გამოიღო. საუბარია აფხაზი ავტორების მიმართ თბილისის რედაქციებში გამჟღავნებულ წინდაუხედავ გულგრილობაზე, როდესაც მაგ. გ. გულიას „გაზაფხული საკენში“, დაწუნებული თუ უპასუხოდ დატოვებული ადგილობრივი ჟურნალების მიერ, რუსულად ითარგმნა და დაიბეჭდა კიდეც ჟურნალ „ნოვი მირში“ (ამავე საკითხზე გასული საუკუნის 70-იან წლებში ლიტერატურის მუზეუმის დირექტორად ყოფნის დროს წუხილს გამოთქვამდა გ. ნატროშვილიც – ნ.კ.).

კ. კ ა ლ ა ძ ე დასძენს: მართალია, ჩვენში არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ უშუალო იუზოვსკ-გურვიჩის გამოსვლების ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონდეს ადგილი, მაგრამ კრიტიკოსების ერთი ნაწილის დუმილი თანამედროვე მწერლების თანამედროვე თემებზე დაწერილი ნაწარმოების შესახებ, ანდა სრულებით გადასვლა კლასიკოსების შემოქმედებაზე გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი კრიტიკის მდგომარეობა არ არის სახარბიელო“.

როგოც აღვნიშნეთ, კრემლის თამაშში ჩართვა და უშეცდომო სვლების გაკეთება არც ისე ადვილი იყო. ვინ იცის, რამდენი ფიქრი, დაკვირვება თუ გათვლა სჭირდებოდათ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ჩვენს პოეტებსა და კრიტიკოსებს, რაში იხარჯებოდა რეალურად მათი სულიერი ენერგია. ამ მოსაზრების ილუსტრირებას ახდენს შემდეგი ოქმები, რომლებშიც თავმჯდომარეთა (გრ. აბაშიძე, ა. მირცხულავა, ირ. აბაშიძე, ერ. ასტვაცატუროვი და სხვ.) მონაცვლეობის მიუხედავად, არ იცვლება ძირითადი პათოსი, რომელიც საბჭოთა მწერლობის იდეოლოგიური საფუძვლების გამყარებას ემსახურება. მთელ ამ ორომტრიალში კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას და, შესაბამისად, ჩვენს (თანამედროვე მკითხველის – ნ.კ.) ინტერესს ორი საკითხი:

ა) მონანიება კოლეგის დასმენის თანხლებით;

ბ) თავის მართლების რეჟიმში მყოფი თითო-ოროლა ავტორი.

1949 წლის 19 მარტს გამართულ რიგით მე-5 სხდომაზე საკუთარ წარსულსა და ფორმალისტურ გადახრებს ინანიებს პოეტი კ. კ ა ლ ა ძ ე: „მე მქონდა ფორმალისტური ძიებანი, – აცხადებს იგი, – მაგრამ ახლა გამოვედი იმ ძნელი მდგომარეობიდან. მე უარვყავ ჩემი შეცდომები. სხვა ამხანაგები როდი იქცევიან ასე. მთელი რიგი კომუნისტი მწერლები თავიანთ შეცდომებს არ აღიარებენ და ბრმად მისდევენ უკვე უარყოფილ მოესთეტო სიმბოლისტებს და ფორმალისტურ რეციდივებს“.

თავის მართლება უწევს ცნობილ კრიტიკოსს, ლევან ასათიანს, რომელსაც ალ. გომიაშვილი ბრალს სდებს თანამედროვე მწერლების იგნორირებასა და წარსულის ისეთი წარმომადგენლის გადაჭარბებულად შეფასებაში, როგორიც ვ. გაფრინდაშვილია: „ვ. გაფრინდაშვილი იყო სიმბოლისტი და დეკადენტი, – აცხადებს ალ. გომიაშვილი, – ჩვენ ვ. გაფრინდაშვილს ვაფასებთ იმ ლექსებით, რომელიც მან და(ს)წერა საბჭოთა საქართველოზე, მაგრამ მისი ზედმეტად ქება არასწორად მიგვაჩნია. ამას სჩადის კრიტიკოსი ლ. ასათიანი“ (ოქმი №5). მიზანში ამოღებულია ლ. ასათიანის წერილი „მეოცე საუკუნის მწერლობის ისტორიისათვის“, რომლებშიც ი. გრიშაშვილი, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი და გ. ლეონიძე მხოლოდ საბჭოთა

პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებით უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი და არა ისეთი ობიექტური შეფასებების ჭრილში, როგორც ეს ლ. ასათიანმა წარმოადგინა. სწორედ ამას პასუხობს ლ. ასათიანი და ითხოვს მეტი ყურადღებით იქნას წაკითხული მისი სტატიები, თანაც მოხმობილ იქნას საილუსტრაციო მასალა ან, სულაც, საგანგებო სხდომა მიეძღვნას მისი „პროფესიული გადაცდომების“ საკითხს.

„კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მიმართული საკავშირო კამპანიის მოთხოვნების (სინამდვილეში კი კომუნისტური რეჟიმის გასამყარებლად გამოყენებული მორიგი იდეოლოგიური წნეხის) ქართულ რეალობასთან უშუალოდ მისადაგების თვალსაჩინო მაგალითია ფრონტგამოვლილი ბოლშევიკი კრიტიკოსის გ. ნატროშვილის სიტყვა, რომელიც მან 1949 წლის 26 მაისის რიგით მე-7 სხდომაზე წარმოთქვა. მისი მოხსენება „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის შესახებ“ კარგად იყო გააზრებული და სწორედ იმ მკვლევრების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც, მოხსენების ავტორის აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არა მარტო დასავლეთის ბურჟუაზიულ, რეაქციონერ ფილოსოფოსთა ნააზრევის, არამედ ირანულ-თურქული კულტურის აპოლოგიას ეწეოდნენ. ს. დანელია, კ. კაპანელი, შ. ნუცუბიძე, ი. აბულაძე მხილებულნი იყვნენ „მტრის წისქვილზე წყლის მიშვებაში, ანუ უცხოური კულტურების წინაშე მონური ქედის მოხრაში“. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დ. შენგელაია სრულიად არაორაზროვნად უჭერს მხარს გ. ნატროშვილის მოხსენების დედააზრს. აი, რას ამბობს იგი: „ამ მეცნიერებმა გამოიჩინეს სრული უვიცობა და უგულებელყოფა ქართული კულტურისა. ისინი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენენ ჩვენი ისტორიულ-ლიტერატურული ქმნილებების შეფასებისას, თავზე გვახვევენ მცდარ შეხედულებებს და ლაფს ასხამენ ჩვენს ისტორიულ-ეროვნულ წარსულს. ეს დილეტანტობა და პედანტიზმია ...ლიტერატურის წინააღმდეგ... ასეთი მცდარი შეხედულებანი მეორე სახეა რასიული თეორიისა. ასეთი მკვლევრები ღირსნი არ არიან იდგნენ საბჭოთა მოწინავე ადამიანთა რიგებში...“. ძნელია ამ სიტყვებში „სანავარდოსა“ და „ლაფშას“ ავტორის ამოცნობა...

ზოია ცხადაია
ნონა კუპრეიშვილი

ქუთაისის ეროვნული არქივის მასალები

ქუთაისის ეროვნულ არქივში აღმოჩნდა საკვლევ პერიოდთან დაკავშირებული გარკვეული მასალა, კერძოდ, 1947-54 წლებით დათარიღებული საქართველოს სსრ-ის მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მწერალთა ბიუროს სხდომათა ოქმები, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ქუთაისელ მწერალთა ლიტერატურულ ცხოვრებაზე.* ბუნებრივია, რომ მათი მოთხოვნები, ვალდებულებები, სხდომებზე სიტყვით გამომსვლელთა სტილი, ღონისძიებათა ფორმა და შინაარსი თითქმის ადეკვატურია საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის კრებებისა და ბიუროს სხდომებისა; 40-იან წლებში ძირითადად ყურადღების ცენტრშია მოქცეული მწერალთა იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდისა და თეორიული ცოდნის ამაღლების საკითხები, მწერალთათვის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისთვის ზრუნვა, კავშირის რიგების ზრდა და სხვა.** იმართება ლიტერატურული საღამოები, განხილვები როგორც ქართველ მწერალთა, ასევე რუსი მწერლების წიგნებისა, მაგ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიისა“. ლიტმუშაკებს ამის შესახებ მოხსენება წაუკითხავთ აბრეშუმკომბინატში და ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ხშირად იმეორებენ, რომ ისინი მოქმედებენ რაიკომის ბიუროს მითითებით, დისციპლინის დამრღვევებს მკაცრად ეთითებათ კოლეგებისაგან: „მწერლები, რომლებიც გაურბიან მწერალთა კავშირის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს, თავს არიდებენ მუშაობას, ანდა რაიმე მხრივ ჩირქს სცხებენ საბჭოთა მწერლის საპატიო სახელს, მათი საკითხი დასმულ იქნას პარტიის ქალაქკომის წინაშე ზომების მისაღებად“ (ფურც. 8).

---

* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1953 წლის ოქმები, რომლებშიც ირიბად მაინც იქნებოდა ასახული რეფლექსია ბელადის გარდაცვალებაზე, სამწუხაროდ, ვერ მოვიძიეთ.

** ოქმები №1-9, 15.02.1947 წ. – 12.12. 1947 წ.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან „ღონისძიებას“ წარმოადგენს ქუთაისელი მწერლების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისა და ნაწარმოებთა გამოქვეყნების უზრუნველყოფა. „აღიარებენ“ თავიანთ ჩამორჩენას ამ მხრივ და მიზნად ისახავენ საქმის გამოსწორებას: „ქალაქკომის ბიურო სწორად მიგვითითებს იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ მოუგვარებელია მწერალთა იდეურ-პოლიტიკური სწავლება, მოისუსტებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების დამოუკიდებლად შესწავლა, არ ეწყობა გასაუბრებები“ (ფურც. 9). მწერლები აგიტაციური მუშაობისათვის ითხოვენ ფულად დახმარებას, რათა საქართველოს კ.პ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის საფუძველზე სოფლად გაიგზავნოს მწერალთა ბრიგადა, რომელიც კულტურულ მომსახურებას გაუწევს კოლმეურნეებს. ერთ-ერთი თხოვნაა, დაეხმარონ ქუთაისელ მწერლებს კრებულების გამოცემაში (ამ დროს ქუთაისის მწერალთა კავშირი სულ 25 მწერლისგან შედგება): „ეთხოვოს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რათა ოქტომბრის რევოლუციის ოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმოს ქუთაისში მომუშავე მწერლებს. თავის მხრივ, გვიშუამდგომლოს საქართველოს კ.პ./ბ/ ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რათა ამ თარიღისათვის გამოცემულ იქნას ქუთაისელი მწერლების ახალი კრებულები”. ქუთაისელი მწერლები თხოვნით მიმართავენ ჟურ. „მნათობისა“ და „ლიტერატურა და ხელოვნების“ რედაქტორებს, რათა ამ გამოცემებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოს ქუთაისელი მწერლების ნაწარმოებებს. აქვე შეახსენებენ ადრესატებს, რომ მათ განყოფილებას გამოაკლდნენ (ფრონტზე დაიღუპნენ) სევერიან ისიანი და გიორგი ნაფეტვარიძე. თბილისში გადავიდნენ ვლ. სულაბერიძე და ზურაბ ლორთქიფანიძე (ამით მიანიშნებენ, რომ ქუთაისელ მწერლებს არ ჰქონდათ არანაირი პირობები და ხელშეწყობა, რათა გამოეცათ თავიანთი ნაწარმოებები).

ამავდროულად, პარტიის საქალაქო კომიტეტი ამტკიცებს კულტმომსახურების ახალ-ახალ გეგმებს, თუ რა სახის ლიტერატურული ნაწარმოებები უნდა წერონ მწერლებმა და სად წაიკითხონ ისინი:

ოქმი № 9, ფურც. 29

1947 წ. 12 დეკემბერს შესდგა ქუთაისში მომუშავე საბჭოთა მწერლების საერთო კრება (თავ-რე – გ. სამხარაძე, მდივანი – ს. ახვლედიანი).

დღის წესრიგიდან ერთ-ერთია:

1. ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში მწერალთა მონაწილეობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს გ. სამხარაძის მოხსენება:

„მიმდინარე არჩევნებში მწერლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. ახლა მთავარია, უბნებს მოვემსახუროთ ლიტერატურული საღამოებით, საღამოებზე წავიკითხოთ კონსტიტუციისადმი, არჩევნებისადმი, სამშობლოსადმი მიძღვნილი პატრიოტული ნაწარმოები. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა კულტმომსახურების გეგმა, რომლის მიხედვითაც დეკემბერში უნდა ჩავატაროთ 12 ლიტერატურული საღამო. ზოგიერთი მწერალი (დ. ხუროძე, შ. ნიჟარაძე, ა. გურჯიძე, ვ. გვეტაძე, შ. კიკალიშვილი) გაურბის საღამოებში მონაწილეობის მიღებას. არჩევნებს აქტიურად ეხმაურებიან ე. ფურცხვანიძე, ს. ახვლედიანი, დ. ახობაძე. საჭიროა, ყველა მწერალი მონაწილეობდეს ამ უდიდესი მნიშვნელობის კომპანიის ჩატარებაში“;

ქუთაისის მწერალთა ბიუროს ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 27 წლისთავისა და საბჭოთა არმიის 30-ე წლისთავის აღნიშვნის საკითხი იყო: „საბჭოთა საქართველოს მშრომელები, გაცხოველებით ემზადებიან თავიანთი ნაციონალური დღესასწაულის – საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 27-ე წლისთავის იუბილესათვის. ჩვენი ქვეყნის ხალხები 25 თებერვალს დიდი ზეიმით აღნიშნავენ. საბჭოთა ადამიანები ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ ამ ისტორიულ თარიღებს“.

მომხსენებელი პარტიის რაიკომის ბიუროს სახელით მოითხოვდა, რომ მწერლებს თავიანთ პოეზიაში, ნოველებში, ნარკვევებში აესახათ საბჭოთა საქართველოს სამეურნეო-კულტურული წარმატება ლენინ-სტალინის დიადი პარტიის

ბრძნული ხელმძღვანელობით, ეჩვენებინათ მამაცი საბჭოთა არმიის გმირული გზა, სამამულო ომის სახელოვანი ეპიზოდები, ცალკეულ გმირთა სახეები...

1948 წლის 31 მარტს შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილებებში შემავალ მწერალთა საერთო კრება, რომელმაც შემდეგი დადგენილება მიიღო: „მწერლებმა იხელმძღვანელონ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. პარტიის, ბრძენი სტალინის უდიდესი მზრუნველობით საბჭოთა ხელისუფლების, კულტურის რეალიზმის პრინციპებით მკვეთრი განვითარებისათვის, რეალისტური ხელოვნების აღმოჩენისათვის. ამ დადგენილებით ჩვენი პარტია სასტიკ ბრძოლას უცხადებს საბჭოთა ხელოვნებაში უაღრესად მავნე მიმდინარეობას, როგორიცაა: ფორმალიზმი და უხეირო, უშედეგო ექსპერიმენტები, ხალხური შემოქმედებიდან და განწყობილებიდან მოწყვეტა, აქტიური, ხალხის სასიცოცხლო ამოცანებიდან გვერდზე განდგომა, მასებიდან ჩამოშორება“.

1948 წელს გაგრძელდა ქუთაისელ მწერალთა ბრიგადების მუშაობა შრომით ორგანიზაციებში, ჩატარდა იუბილეები (ალ. ყაზბეგის, გ. ორბელიანის). ქუთაისელმა მწერლებმა მოითხოვეს „ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემის ნებართვა და ფინანსური დახმარება, აგრეთვე, 1949 წლიდან პერიოდული სალიტერატურო ორგანოს გამოცემა: „ამხ. გ. სამხარაძე აღნიშნავს, რომ საქართველოს კ.პ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის ნებართვით 10 დეკემბრისათვის უნდა გამოვცეთ ერთდროული ლიტერატურული გაზეთი, აქ წარმოდგენილი იქნება პოეზია, პროზა, კრიტიკა და ინფორმაცია. საჭიროა ნარკვევები ავტომანქანისა და ქარხანა „მაღაროელის“ მუშაობაზე. ყველა მწერალმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გაზეთში“.*

სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ აქამდე ქუთაისში გამოდიოდა მხოლოდ ერთი პერიოდული ორგანო – „ინდუსტრიული ქუთაისი“ (გაზეთი, როგორც ჩანს, ითავსებდა ლიტრატურულ ფუნქციასაც, – ზ. ც.), რომელმაც გამოაცხადა კონკურსი საუკე-

* ოქმი №1, ფონდი №28.

თესო მხატვრულ ნაწარმოებებზე. 1948 წლის 16 ოქტომბერს შედგა ჟიურის სხდომა. საკონკურსოდ შემოტანილი იყო 20 ნაწარმოები. ჟიურიმ დაადგინა:

1-ლი პრემია – არავის არ მიეკუთვნოს;

მე-2 პრემია, თითოეული 1000-1000 მანეთი:

ა. დავით ბეროძეს ლექსისათვის „ასოცი წლის კოლმეურნე“, „ყანები“, „გმირი“ და „მერცხალი“;

ბ. დიმიტრი ახობაძეს ლექსისათვის „შრომის გმირთან“;

მე-3 პრემია, 500-500 მანეთის ოდენობით:

ა) სოლომონ ახვლედიანს ლექსების ციკლისათვის „ქუთაისის პეიზაჟები“;

ბ) ვასილ გვეტაძეს ლექსებისათვის „ქუთაისის დილა“, „ქლუხორი“;

მე-4 პრემია – მოწონებულ იქნას დასაბეჭდად ლ. მარდალეიშვილის ნოველა „ორსახოვანი“, შ. ნიჟარაძის ნოველა „ჩვენ გავიმარჯვებთ“, ნ. ბეროძის ლექსი „ლენინური კომკავშირი“.

50-იან წლებში ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. სამხარაძეა, კრებებზე კი აქტიურობს ქუთაისელ მწერალთა ძირითადი ბირთვი – მწერლები დ. ახობაძე, დ. კვიცარიძე, ა. გურჯიძე, ვ. გვეტაძე, დ. ხუროძე, კ. მეძველია, მ. ასათიანი, პ. ხმალაძე.

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული თბილისის პარტიული ორგანიზაციის ოქმების ქუთაისურ მასალასთან შედარებამ ცხადყო, რომ ფსევდოპათეტიკური ტონი, დემაგოგიური პასაჟები, ღიად გაცხადებული მაამებლობა ქუთაისის მწერალთა გამოსვლებში ბევრად უფრო თვალშისაცემია. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1950 წლის 22 თებერვლის ოქმი 2.* შესავალი სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გ. სამხარაძე. მისი მოხსენება ეხება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა-მოწოდებას არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. მიმართვის ადრესატია ყველა ამომრჩეველი: მუშები, გლეხები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო

* საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ფონდი №268, საქმე №16.

ფლოტის მეომრები, საბჭოთა ინტელიგენცია: „...ლ ე ნ ი ნ - ს ტ ა ლ ი ნ ი ს პ ა რ ტ ი ა მ დ ა ა მ ხ ო ჩ ვ ე ნ ს ქ ვ ე - ყ ა ნ ა შ ი ბ ო რ ო ტ ე ბ ა და თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა და ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს მ ზ ე ა ა ნ თ ო (ხაზი ჩემია-ნ.კ.). 12 მარტს, მივალთ რა ყუთთან, ერთსულოვნად მივსცეთ ხმა რჩეულ ადამიანებს, უპარტიოებისა და პარტიულების ბლოკის სტალინურ კანდიდატურებს. ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი დღითიდღე რომ იზრდება, მშვიდობის მოყვარე ხალხთა რაოდენობა თუ ყოველდღიურად მატულობს, ეს შედეგია ლენინ-სტალინის პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ე სამართლიანობისა... ის შედეგია იმისა, რომ საბჭოთა ადამიანები, ადგანან რა კომუნიზმის დიად გზას, დაუღალავად შრომობენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლიერებისთვის“.

ამავე ოქმში „აგიტაციის“ (ვგულისხმობთ სააგიტაციო პროცესში მწერლობის როლს – ნ.კ.) ნაცვლად გამოყენებულია საკმაოდ ორაზროვანი ტერმინი „არჩევნების მხატვრული მომსახურეობა“, რომლისთვის უკვე შექმნილი ყოფილა მწერალთა ბრიგადები. მიზანი კი ასეა ფორმულირებული: ამგვარმა მომსახურეობამ „კიდევ უფრო უნდა აღანთოს ხალხთა პატრიოტული სული, რათა 12 დეკემბერს უკლებლივ გამოცხადნენ საარჩევნო უბნებში და ხმა მისცენ უპარტიოებისა და პარტიულების ბლოკის კანდიდატებს“.

იკვეთება საკავშირო მასშტაბის ღონისძიებებისთვის მზადებისა და მათი სათანადოდ ჩატარების ტენდენცია. მით უფრო, თუ ეს ეხება ვლ. მაიკოვსკის, ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი მოწაფის, ხსოვნის უკვდავყოფას. მიუხედავად თვითმკვლელობისა (თუ მკვლელობისა), ვლადიმერ მაიაკოვსკი კარგა ხანია უკვე კანონიზებულია და საბჭოთა ეპოქის ლამის უპირველეს კლასიკოსადაა მიჩნეული. 1950 წლის 11 მარტის სხდომა სწორედ მაიკოვსკის საიუბილეო თარიღს (გარდაცვალებიდან 20 წლისთავს) ეძღვნება. ამასთან დაკავშირებით დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები: „1. გამოიყოს კომისია გ. სამხარაძის, მ. პატარიძის, ა. გურჯიძის, ე. ფურცხვანიძისა და დ. ხუროძის შემადგენლობით; 2. დაევალოს

კომისიას ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაშალოს ვ. ვ. მაიაკოვსკის იუბილესათვის; 3. მოეწყოს მაიაკოვსკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები ქალაქის მსხვილ საწარმოებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლებში; მომზადდეს ლიტერატურული გვერდი გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“. მასალების შეგროვება და რედაქცია დაევალოს ამხ. გ. სამხარაძეს, დ. ახობაძეს და ა. გურჯიძეს; 4. დამტკიცდეს მომხსენებლად ვ. ლალიაშვილი, გ. სამხარაძე, კ. მეძველია, პ. ხმალაძე“.

ამავე ტიპისაა ნ.ვ. გოგოლის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრება, რომელიც ამ თარიღის აღსანიშნავად მიზნად ისახავს მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარებას („მოხსენებები, ლიტერატურული საღამოები ქალაქის მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, აგრეთვე ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებში“). აქვეა გამჟღავნებული ამგვარი ინიციატივაც: „რჩევა მიეცეთ მწერლებს ასათიანს, კვიცარიძეს, გვეტაძეს, ხუროძეს, ნუცუბიძეს, ახობაძეს, ნიჟარაძეს, ბეროძეს დ ა ს წ ე რ ო ნ (ხაზი ჩემია-ნ.კ.) გოგოლისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები“.*

ირკვევა, რომ ამ პერიოდისთვის ქუთაისის მწერალთა კავშირს არა აქვს საკუთარი პერიოდული ორგანო, ამიტომაც მას ხშირად უწევს საკუთარი მასალების გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისსა“ და რუსულენოვან გაზეთ „კუტაისსკაია პრავდაში“ საამისოდ სპეციალურად მომზადებულ ლიტერატურულ ფურცლებზე გამოქვეყნება. ამ და სხვა მტკივნეულ თემებს ეძღვნება 1950 წლის 6 ოქტომბრის კრება-თათბირი,** რომელსაც თბილისიდან ჩამოსული მწერალთა კავშირის მიერ მივლინებული წევრები კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ქ უ თ ა თ ე ლ ი ესწრებიან. ყველა გამომსვლელის სიტყვა საკმაოდ მწვავეა, თუმცა მაინც გამოვაჩევდით ვასო გვეტაძესა და ახალგაზრდა პოეტს, ლ ი ლ ი ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს , ასევე მსახიობ დ ო დ ო ა ნ თ ა ძ ე ს , რომლებიც ცდილობენ ყურადღება მათთვის და არა მარტო მათთვის მნიშვნელოვან

* საქმე № 16, ოქმი №1, 1952 წ. 5 იანვარი.
** საქმე № 16, ოქმი №5.

საკითხებზე გაამახვილონ. მაგ. „პოეტი ვასო გვეტაძე აღნიშნავს, რომ ამ თათბირმა თავისი შედეგი უნდა გამოიღოს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა დაისვას საკითხი იმ ამხანაგების კავშირის წევრად მიღების შესახებ, რომლებიც ამის ღირსნი არიან. ეს გააძლიერებს ქუთაისის მწერალთა კავშირს, რომელიც ახლა მხოლოდ ოთხ კავშირის წევრს ითვლის. უნდა მოგვარდეს, აგრეთვე, ქუთაისელი მწერლების რესპუბლიკურ მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდვის საქმე“. რაც შეეხება ლ. ნუცუბიძეს, მას, როგორც ჩანს, მართალია, საბჭოური ტრადიციების დაცვით, მაგრამ მაინც უსაუბრია ახალგაზრდა ავტორების პრობლემებზე: „ლ. ნუცუბიძემ თათბირს მოუთხრო, რომ ალკკ ქუთაისის სახ. კომიტეტი ნაკლებად იყო დაინტერესებული დამწყებ ავტორთა შემოქმედებით. იგი არც კი იცნობს იმ ნაწარმოებს (?), რომელიც დამწყებ ავტორებს ეკუთვნის. მათ მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ დამწყებ მწერალთა წრეში გაერთიანებულ ამხანაგებს“. დ. ანთაძე კი აღნიშნავს, რომ ,,ქუთაისელი მწერლები არ იბეჭდებიან რესპუბლიკურ მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებში. ამიტომაა, რომ მათ ქუთაისის გარეთ არც კი იცნობენ. ეს არასახარბიელო მდგომარეობაა. ეს უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებამ, რომელიც არცთუ ისე გულისხმიერებით ეკიდება ქუთაისში მომუშავე ახალგაზრდა მწერლებს“.

რაც შეეხება ქუთაისის მწერალთა კავშირში მხატვრული ტექსტების განხილვის პრაქტიკას, ნიმუშად გვაქვს 1952 წლის 26 იანვრის ოქმი, რომელიც სწორედ ამგვარ ღონისძიებას ასახავს. იგი ეძღვნება ახალგაზრდა დრამატურგის, ვინმე შოთა გრიგოლიას, პიესის „თამარ მეფე და რუსთაველის“ წარდგენასა და მეტად ნიშანდობლივ რეცენზირებას.* აი, როგორ შეფასებას აძლევს პიესას მ. ტუსკია: „პიესა „თამარ მეფე და რუსთაველი“ დრამატიული პიესის ხასიათს არ ატარებს, არამედ წარმოადგენს ქრონოლოგიას (?-ნ.კ.). ავტორი კარგად არ იცნობს საქართველოს ისტორიას, სუსტია პიროვნებების დახატვის საქმეში. კერძოთ ჭიაბერი ყალბია, პიესაში მის მიერ

* საქმე № 16, ოქმი №7.

„ვეფხისტყაოსნის“ დ ა წ ვ ა დაუჯერებელია. იმისთვის, რომ თამარ მეფის სახე წინ წამოსწიოს, ამცირებს გიორგი მესამის როლს. თამარის და რუსთაველის ტრფიალი ა რ ა ჯ ა ნ ს ა - ღ ი ა (ხაზი ორივეგან ჩემია – ნ.კ.). იმისთვის, რომ მაშინდელი ეპოქა გამოესახა, წინ წამოსწია უხეირო კონფლიქტები. პიესაში თამარი მანდილოსანი უფრო მშვენიერია, ვიდრე გვირგვინოსანი. მას აქ სოციალური ღირსებები გამოცლილი აქვს. პიესაში არ იყო საჭირო არქაიზმის ხმარება. საბოლოოდ, პიესა სქემატურია, გმირები არ არიან გამოკვეთილნი. მისი გადაკეთება მოუხერხებელია. სასურველია ავტორმა იმუშაოს თანამედროვე თემებზე“. მორიგი რეცენზენტი თ. ლორთქიფანიძე კი აცხადებს, რომ „პიესა დაწერილია სასამოვნო თეთრი ლექსით... თუმცა აგებულია ინდივიდუალურ გრძნობებზე და არა სოციალურ ღირსებებზე“.

გამოვარჩევდით, აგრეთვე, იდეოლოგიური დატვირთვის მქონე კიდევ ერთ კრებას, რომელიც დამსწრეთ აცნობს „ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარის გ ო მ ო - ჟ ო ს განცხადებას და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფ რ ე დ ე რ ი კ ჟ ო - ლ ი ო - კ ი უ რ ი ს მიმართვას ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ კორეაში და ჩრდილოაღმოსავლეთ ჩინეთში“. გამომსვლელთა რიტორიკა სრულად ეთანხმება პარტიისა და მთავრობის ცენტრალური კომიტეტების მაშინდელი მუშაობის სტილს.*

ქუთაისის მწერალთა კავშირის კრებებს, ძირითადად, 15-17 მწერალი ესწრებოდა.

* საქმე №16, ოქმი №8, 19 მარტი.

ზოია ცხადაია

აჭარის მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაცია 1953-1956 წლებში

აჭარის მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეიქმნა 1953 წლის 2 თებერვალს. ის ექვემდებარებოდა პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტს; გაუქმდა საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანების – „საქართველოში კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის შეჩერების შესახებ“ – საფუძველზე.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდში (პ-330) ინახება 1953-1978 წლების 24 საქმეთა ერთეული, მათ შორის, აჭარის მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საერთო კრების ოქმები: სამუშაო გეგმების დამტკიცების, მწერალთა კავშირის ცალკეული სექციების მუშაობის, ახალი ნაწარმოებების განხილვის, მწერალთა საყოფაცხოვრებო და სამუშაო პირობების გაუმჯობესების შესახებ და სხვ.

აჭარის მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება* ჩატარდა 1953 წლის 2 თებერვალს. განცხადება წაიკითხა ხემიდ (ფრიდონ) ხალვაშმა; წარმოადგინეს ქალაქის პარტიული აქტივის რეზოლუცია და დაადგინეს: დაევალოთ მწერლებს, შექმნან ახალი ნაწარმოებები სოფლის მეურნეობის ნოვატორთა ცხოვრებიდან. პლენუმის ამ მოწოდებას გამოეხმაურნენ ვ. კანდელაკი, პ. ლორია; პ. ლორიამ მოუწოდა მწერალთა განყოფილებას, რომ შეფობა აეღოთ რომელიმე სოფელზე, სადაც მოეწყობოდა ლიტერატურული საღამოები; ასევე გამოსაცემად მოემზადებინათ ნაწარმოებები, რომლებშიც სათანადოდ იქნებოდა ასახული სასოფლო-სამეურნეო ხასიათის თემატიკა.

---

* კრებას ესწრებოდა 5, ხან 6 პარტიის წევრი, აგრეთვე, პარტიის წევრობის რამდენიმე კანდიდატი. პარტორგანიზაციის მდივანი – ა. თევზაძე, მოადგილე – ვ. კანდელაკი (წლის ბოლოს მდივნად – ვ. კანდელაკი, მოადგილედ – ხ. ხალვაში)

კრებაზე მოისმინეს: **ხემიდ იშილის ძე ხალვაშის** განცხადება სახელის შეცვლის შესახებ. ხემიდი **შეიცვალა ფრიდონით**. განცხადებას თან ერთვის მმაჩის ბიუროს ცნობა.

აჭარის მწერალთა კავშირის განყოფილების პარტიული კრებების პათოსი* ზუსტად იმეორებს საქართველოს მწერალთა კავშირის მოწოდებებსა და დადგენილებას. აჭარელი მწერლები ცდილობენ, იდეოლოგიურ-პოლიტიკური სწავლების საფუძველზე გააუმჯობესონ იდეოლოგიური მუშაობა; მკაცრად აკრიტიკებენ კრების გამცდენებს (მათ შორის – თვით კანდელაკს, პარტორგანიზაციის მდივნის მოადგილეს). იღებენ გადაწყვეტილებას, ჩატარდეს იდეოლოგიური ხასიათის ლექციები. კრების მონაწილეები ცდილობენ, იყვნენ კრიტიკულები. საყვედურობენ ვ. გეგელიას და ა. ჩხაიძეს, რომ ისინი ნაყოფიერად არ მუშაობენ პროზაში, საყვედურს იღებენ პოეტებიც, სამაგიეროდ, ქებას იმსახურებს ვ. კანდელაკი, რომლის „წყალობითაც“ დაწინაურებულა დრამატურგია...

ფრიდონ ხალვაში პირობას იძლევა, რომ ამიერიდან გამოასწორებს თავის ნაკლს და აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სემინარებში, ამასთანავე, უფრო მეტი პასუხისმგებლობით იმუშავებს ლიტერატურის დარგში. იმავეს იმეორებენ გ. სალუქვაძე, კ. რუსიძე, ა. თევზაძე. დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა პარმენ ლორიამ: **„რაოდენობა კი არა, ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს, წარსულის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ“, – ეს სრული ჭეშმარიტება იყო, მაგრამ იდეოლოგიის წნეხი არ იძლეოდა ამის საშუალებას და მწერლობის ეს ნაწილიც ინერციით მიჰყვებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის დინების ზოგად მიმართულებას**.

პარტიული სასჯელისგან არავინ იყო დაზღვეული. 1953 წლის 19 ნოემბრის კრებაზე, რომლის თავმჯდომარეც იყო ფრიდონ ხალვაში, ერთ-ერთ საკითხად დაისვა ფრიდონ ხალვაშისთვის (!) იმ „სასტიკი საყვედურის“ მოხსნა, რომელიც 1952 წლის 20 სექტემბრის დადგენილებით მას პირად ბარათში შეტანით გამოეცხადა. მიზეზი: „აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის

* ოქმი №2, 18.III.

დირექტორმა ამხ. ხ. ხალვაშმა ფიქციური ხელშეკრულებით და აქტის შედგენით 1000 მანეთი უკანონოდ მიიღო და მისი ლიტერატურული ნაწარმოებები ცალკე წიგნად გამოსცა“. ხალვაშმა ფაქტი აღიარა, მაგრამ საყვედური მაინც მიიღო.

ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს პ. ლორიამ, მ. ვარშანიძემ, ი. რურუამ. მათ აღნიშნეს, რომ განვლილ პერიოდში ხალვაშმა ენერგიულად იმუშავა, თავისი ლიტერატურული მასალა გაამდიდრა ახალი პოეტური ნაწარმოებებით, პირნათლად ასრულებდა სამსახურებრივ და პარტიულ დავალებებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით ხალვაშს საყვედური მოეხსნა.

1953 წლის ბოლო პარტიულ კრებაზე, რომელიც 10 დეკემბერს ჩატარდა,* კვლავ აღინიშნა, რომ იდეოლოგიურ საკითხში მათი მუშაობა „მოისუსტებდა“: თერთმეტი თვის განმავლობაში პარტიული კრება მხოლოდ 7-ჯერ ჩატარდა, არ შეუქმნიათ სოფლის მეურნეობის თემაზე ახალი ნაწარმოებები, სათანადოდ არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა და ა.შ.

1954 წლის 2 აპრილს ჩატარებულ კრებაზე მოისმინეს ნ. ხრუშჩოვის მოხსენების ცალკეული საკითხები.** ამ ისტორიული დადგენილების საპასუხოდ მწერალთა ორგანიზაციამ მოვალეობად მიიჩნია, რაც შეიძლება მეტად შეეწყო ხელი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიღწევების პროპაგანდისთვის. მწერლებს უნდა შეესწავლათ იმ კოლმეურნეთა ცხოვრებისა და შრომის ისტორია, რომელთაც უხვი მოსავალი მოიწიეს სოციალისტური სამშობლოს სასახელოდ და შეექმნათ შესაბამისი მხატვრული ნაწარმოებები, კერძოდ, ნარკვევები. ეს საქმე დაევალათ: ვ. კანდელაკს, გ. სალუქვაძეს, მ. ვარშანიძეს, ნ. გვარიშვილს, პ. ლორიას, ი. რურუას. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებისათვის. კრების

* ოქმი №7. 1953, 10.XII.

** 1953 წლის სექტემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და დასახა მისი აღმავლობის ღონისძიებები. პლენუმები გაგრძელდა 1954 წლის თებრვალ-მარტსა და ივნისში. მომხსენებლად სოფლის მეურნეობის საკითხების შესახებ პლენუმებზე გამოდიოდა ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს მასალები მოდიოდა მწერალთა კავშირებში განსახილველად (საბჭოთა კავშირის კომ.პარტიის ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 822-823).

ერთ-ერთი დადგენილებით ყურადღების ცენტრში უნდა მოექციათ კომუნისტებისა და აჭარაში მომუშავე უპარტიო მწერლების იდეურ-პოლიტიკური მომზადების საკითხი – ეს იყო საყოველთაო ვალდებულება მთლიანად საქართველოს მწერალთა კავშირისა, მწერალთა საზოგადოებისა.

საქართველოს კ.პ. ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1954 წლის 6 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „ქალაქში მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის მდგომარეობისა და მათი გაუმჯობესების შესახებ“. მწერლებს დაევალათ ამ საქმის სათანადოდ შესწავლა და მოგვარება. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ ძალისხმევას ითხოვდნენ ადგილობრივი მწერლებისაგან, ვინაიდან ისინი უკეთესად იცნობდნენ ისლამს. გამომსვლელთა აზრით, ცრუმორწმუნეობის აღმოფხვრა ადამიანების შეგნებაში მოითხოვდა თავისებურ, ფაქიზ მიდგომას და ამას ყველაზე უკეთ მწერლები გააკეთებდნენ; დაასკვნეს, რომ საჭირო იყო, ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ რელიგიური ცრურწმენის აღმოფხვრას. ყოველი ასეთი ცდა უნდა წაეხალისებინათ. „წახალისებაში“ კი გულისხმობდნენ ცრურწმენების (ამ შემთხვევაში ტრადიციების) წინააღმდეგ გალაშქრებას. მაგალითისთვის დასახელდა ფრიდონ ხალვაშის ლექსი ჩადრის წინააღმდეგ, რომელიც დიდი ხანი რედაქციაში იდო და არ ქვეყნდებოდა... რა მიზეზით, არ ვიცით: ალბათ იმ რედაქციის თანამშრომლებისთვისაც ეს იყო ადამიანის რელიგიური უფლებებისა და პიროვნული თავისუფლების შელახვის ფაქტი (ფრიდონ ხალვაშისთვის კი ქართველი მუსულმანი ქალებისათვის ჩადრზე უარის მინიშნება უთუოდ იყო მოწოდება ეროვნული ტრადიციისკენ მიბრუნებაზე. ცნობილია ფრიდონ ხალვაშის ნათქვამი, როცა ის ქრისტიანად მოინათლა: „მე კი არ გავქრისტიანდი, არამედ დავუბრუნდი ჩემს სარწმუნოებასო“).

კრებაზე ხმამაღლა გაცხადდა, რომ მომწიფებული იყო ანტირელიგიური შინაარსის ნაწარმოებთა კრებულის გამოცემის აუცილებლობა, მაგრამ ჯერ ასეთი ნაწარმოებები არ იყო შექმნილი. ეს საქმე დაევალათ პ. ლორიას, ვ. კანდელაკსა და ა. შერვაშიძეს: სწორედ მათ უნდა დაეწერათ ერთმოქმედებიანი პიესები, კომუნისტ მწერლებს კი უფრო აქტიური მონაწილეო-

ბა უნდა მიეღოთ ათეისტურ პროპაგანდაში, ლიტერატურული საღამოების გამართვასა თუ ანტირელიგიურ თემებზე ლექციების ჩატარებაში.

1956 წლის 9 ივლისს* აჭარის მწერალთა კავშირის გამგეობის პარტორგანიზაციის კრებას გააცნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევის შესახებ“: „პიროვნების კულტმა ფართო გავრცელება ჰპოვა საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, ჩვენს ნაწარმოებებშიც. პარტია გვავალებს, რომ მომავალში ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს, რადგან პიროვნების კულტი ვნებს საქმეს, ამცირებს პარტიისა და ხალხის როლს“...

გ. სალუქვაძე: „პარტიის მე-20 ყრილობა ისტორიული მოვლენა იყო ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში. არსებულ ნაკლოვანებათა კრიტიკა, რაც ყრილობაზე და ყრილობის შემდეგ გაიშალა, ლაპარაკობს ჩვენი პარტიის ძლიერებაზე. კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე კურსის აღება სავსებით სწორი, ერთადერთი სწორი კურსია და იგი იძლევა თავის ნაყოფს. კოლექტიურობის ეს პრინციპი გამოხატავს პიროვნების კულტს, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი. ცხადია, რომ კულტის განვითარებას საგრძნობლად უწყობდა ხელს ლიტერატურაც... საჭიროა, მომავალში ასეთი რამ არ დავუშვათ...“

დაადგინეს: პარტიის კრება მოუწოდებს მწერლებს, თავიანთ შემოქმედებაში არ დაუშვან პიროვნების კულტის რეციდივები, ამიერიდან მთავარი ყურადღება მიაქციონ ისტორიის ნამდვილი შემოქმედის – ხალხის ასახვას, უბრალო რიგითი საბჭოთა ადამიანის ღირსების ასახვას“...

მომდევნო კრებაზე გაგრძელდა პიროვნების კულტის საკითხის განხილვა. თითოეულმა გამომსვლელმა აღიარა თავისი „თანამონაწილეობა“ ამ პროცესში (ცხადია, ყველას ჰქონდა კულტის ამსახველი ლექსი თუ მოთხრობა, რომლითაც ხალხთა ბელადს განადიდებდა) და ფიცი დადო, რომ ეს აღარ განმეორდებოდა. საბოლოოდ დაადგინეს: ... „მწერლებმა მთელი საქმი-

* ოქმი №12.

ანობა წარმართონ ლიტერატურაში პიროვნების კულტის შედეგების აღმოფხვრისაკენ, მაღალ იდეურ-მხატვრული ნაწარმოების შექმნისკენ, რომელშიც ასახული იქნება ჩვენი – საბჭოთა სინამდვილე, აწარმოონ ბრძოლა წარსულის იდეალიზაციის, ხალხის მასების როლის უგულებელყოფის წინააღმდეგ. უფრო ფართოდ გაშალონ ამხანაგური კრიტიკა და თვითკრიტიკა, უფრო ხშირად მოაწყონ დისკუსიები შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე, გააკრიტიკონ იდეურ-მხატვრულად სუსტი ნაწარმოები და აღმოფხვრან ზოგიერთ ლიტერატორს შორის ყოყოჩობისა და თავგასულობის საძრახი ფაქტები“...

ამ დროიდან იწყება დათბობის (ოტტეპელის) ხანა, რომელსაც მასობრივად არ მოუხდენია გავლენა მწერლების იდეოლოგიაზე, მაგრამ, ცხადია, ბელადომანიას სამუდამოდ დაესვა წერტილი. უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ ამ წლებიდან განხორციელდა ქართულ პოეზიაში „ყოფითი რეფორმა“ (თ. დოიაშვილი). „ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 60-იანელთა პოეზიაში. მათ თავისუფლების ის მიზერული, უმნიშვნელოდ მონაქროლი სიო შემოქმდებით სტიქიად აქციეს და მასში გამოტარებული მსოფლგანცდით უპასუხეს თანამედროვეობის სულიერ მოთხოვნებს“ (ცხადაია 2006: 73).

ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი ასეთია ამ დიდებული კუთხის, აჭარის წარმომადგენელი, პოეტი ფრიდონ ხალვაში, რომელიც წარმოშობით საქართველოს ძირძველი კუთხიდან – ლაზეთიდან იყო. როგორც ის აღნიშნავს, მას ბევრი რამის მოთმენა და თავშეკავება უწევდა შემოქმედებითი გზის დასაწყისში: „იმედი, მოთმინება, გატანა, პატიება... **დედასაქართველოსაგან ასეული წლობით მოწყვეტილი კუთხის შვილი...** შეგნებული ცხოვრების ყოველდღე ვცდილობდი, რამენაირად დამეჩქარებინა სხვა რელიგიით მიყენებული განცალკევებულობის ტკივილის მოშუშება... მტრობისთვის მტრული პასუხი არ გამიცია, ამით ბევრი მოვიგე“ (ხალვაში: https://ka.wikipedia.org/wiki/ფრიდონ ხალვაში); 50-იანი წლების მიწურულიდან და შემდგომ ფრიდონ ხალვაშს მეტი თავისუფლება მიეცა იმისათვის, რომ თავის ლირიკაში უფრო ღიად გამოეხატა ტკივილი „გაღმა-გამოღმად“ დაყოფილ

თავის მამულ-დედულზე, ჭოროხის იქითა და აქეთა საქართველოზე... ნოსტალგია, გრძნობა გაუცხოებული ახლობლებისადმი და პირიქით: ნოსტალგია იმ ახლობლებისა მემლექეთზე. საბოლოოდ ამას მოჰყვა მისი ლექსების შესანიშნავი ციკლი „მემლექეთი“ (1968), რომელიც არასოდეს დატოვებს გულგრილს თავის მკითხველს.

დამოწმებანი:

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე, ა. *მწერლობის მოთვინიერება*. თბილისი: გამომცემლობა „სარანგი“, 1990.

ცხადაია 2006: ცხადაია ზ. XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 2006.

ხალვაში: https://ka.wikipedia.org/wiki/ფრიდონ ხალვაში

მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაცია

მაკა ელბაქიძე

მეორე მსოფლიო ომი და ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ილუზიები

II მსოფლიო ომის დაწყებამ ქართულ ემიგრაციაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ევროპაში იძულებით გადასახლებულ ქართველთა ერთი ნაწილი, რომელთა შორისაც სოციალ-დემოკრატები სჭარბობდნენ, გერმანიას უნდობლად უყურებდა და თავის მოკავშირედ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს მიიჩნევდა[1], მეორე ნაწილს კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ერთადერთ საშუალებად საბჭოთა კავშირის ნაცისტურ გერმანიასთან დამარცხება მიაჩნდა[2].

თავის მხრივ, გერმანიამაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა საბჭოთა კავშირის ფარგლებში მცხოვრები კავკასიისა და აზიის ხალხების ნაციონალისტური და ანტიბოლშევიკური განწყობა. გერმანიის არმიის რიგებში შედიოდა რამდენიმე ეროვნული ლეგიონი. 1941 წელს OKW-მ (Oberkommando der Wehrmacht – ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა) სომხური და ქართული ლეგიონის შექმნის განკარგულება გასცა. ამ სამხედრო შენაერთში შედიოდნენ, ძირითადად, ემიგრანტები და წითელი არმიის რიგებში მებრძოლი, ტყვედ ჩავარდნილი ჯარისკაცები (მათ შორის იყო განსაკუთრებული დანიშნულების კავკასიური შენაერთი „ბერგმანი“). სულ „ჩამოყალიბებულ იქნა 13 აზერბაიჯანული, 12 სომხური, 12 ქართული და 8 ჩრდილოკავკასიური ბატალიონი. საერთო ჯამში, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში მომსახურე კავკასიელთა რიცხვი 100.000 ადამიანს აღემატებოდა“ (ჯავახიშვილი 2015: 102-105). მათ 1942 წლის ოქტომბრამდე წვრთნიდნენ დასავლეთ უკრაინაში (თუმცა, მიუხედავად თავიანთი შორსმიმავალი მიზნებისა, გერმანელები ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ ე.წ. „აღმოსავლურ ბატალიონებს“ და იყენებდნენ ისეთი „მეორეხარისხოვანი“ ამოცანებისთვის, როგორებიცაა სანგრების გათხრა, მომარაგება და ზურგის დაცვა).

გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტთა შორის იყვნენ პიროვნებები, რომლებიც ნაცისტური მთავრობის მაღალჩინო-

სანთა განსაკუთრებული ნდობით, პოლიტიკური გავლენითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ, სახელდობრ: მიხეილ ახმეტელი – აღმოსავლეთის („ვანზეეს“) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; ალექსანდრე ნიკურაძე – ევროპის კონტინენტური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, გამოჩენილი ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი; ექიმი გიორგი მაღალაშვილი; ვერმახტის გენერალ-მაიორი შალვა მაღლაკელიძე; ქართული ქვედანაყოფის „ქართული ცხენოსანი SS“-ის ხელმძღვანელი, შტანდარტენფიურერი ფრიდონ წულუკიძე; გერმანული შეიარაღებული ძალების ოფიცრები: დიმიტრი შალიკაშვილი, გივი გაბლიანი, მიხეილ ალშიბაია, მიხეილ ქავთარაძე; „კავკასიის საგანგებო შტაბის“ თანამშრომელი ალექსანდრე ცომაია; საქართველოს ყოფილი ელჩი გერმანიაში ვლადიმერ ახმეტელი; ქართული ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი; ენათმეცნიერი კიტა ჩხენკელი; პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე შალვა ამირეჯიბი, ასევე „აბვერისა“ და „გესტაპოს“ თანამშრომელი მიხეილ კედია (ჯავახიშვილი 2011: 42-43). ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 10-იან წლებში მთავრობის ხელშეწყობით გაემგზავრა ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად. სწავლობდა ჯერ ბერლინის, შემდეგ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. თუმცა მასაც, ბევრი ქართველი ახალგაზრდის მსგავსად, არ დასცალდა, რომ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებელი საქართველოს წინსვლისა და განვითარების სამსახურში ჩაეყენებინა. მასაც, როგორც ათასობით მის თანამემამულეს, ემიგრანტის მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა, თუმცა არც ევროპაში გადასახლების შემდეგ დაუშურებია

მიხეილ კედია

ძალისხმევა სამშობლოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. სხვადასხვა დროს იყო სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წევრი, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, მონაწილეობდა „კავკასიის კონფედერაციის“ საქმიანობაში, თანამშრომლობდა ჰაიდარ ბამატის ჟურნალ „კავკასიასთან“. 1940 წლის შემოდგომაზე, როდესაც გერმანიის საგანგებო წარმომადგენელმა პარიზში მოქმედი ქართული წარმომადგენლობა გააუქმა, აუცილებელი გახდა ისეთი ავტორიტეტული პიროვნების მოძიება, რომელიც გერმანიის ხელისუფლების წინაშე ქართული ემიგრაციის დაცვას შეძლებდა. ეს მისია მიხეილ კედიას დაეკისრა. მან, მოგვიანებით ქართველ შინდლერად წოდებულმა[4], დეპორტაციისაგან იხსნა ქართველი მაჰმადიანები, გერმანელებს დაუმტკიცა, რომ ისინი ისლამის მიმდევარი ქართველები იყვნენ, ხოლო როცა ნაცისტებმა ქართველი ებრაელების დაპატიმრებებიც დაიწყეს (რეპრესირებულთა შორის მოხვდა საქართველოს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე იოსებ ელიგულაშვილი, ეროვნული საგანძურის საფრანგეთში გატანის ერთ-ერთი ორგანიზატორი), მათი გათავისუფლება მხოლოდ ქართველი ემიგრანტების ჩარევითა და მიხეილ კედიას ძალისხმევით გახდა შესაძლებელი[5].

ქართული ემიგრაციის ერთი ნაწილის მსგავსად, მიხეილ კედიაც ფიქრობდა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ანექსიისგან განთავისუფლება ნაცისტური გერმანიის მხარდაჭერით შეიძლებოდა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირზე თავდასხმამდე, ანუ 1941 წლის ივნისამდე, ბერლინში შემუშავებული იყო საბჭოთა კავშირში შემავალი არარუსი ხალხების გადაბირების სპეციალური გეგმა, რომელსაც თავად ადოლფ ჰიტლერი კურირებდა. ნაცისტები იმედოვნებდნენ, რომ ამ ხალხების, მათ შორის ქართველების ეროვნულ გრძნობებზე თამაშით კრემლს მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებდნენ. მიხეილ კედიასაც, არაერთი მისი თანამოაზრე ემიგრანტის მსგავსად, სწორედ ამ თვალსაზრისით აძლევდა ხელს ნაცისტებთან თანამშრომლობა. Amt VI C[6], RSHA-ს[7] საზღვარგარეთული დაზვერვის დივიზიონის რუსული ბიურო მჭიდროდ თანამშრომლობ-

და მის გარშემო თავმოყრილ ნაციონალისტებთან, რომლებმაც ბერლინში ერთგვარი „კვლევითი ინსტიტუტიც“ ჩამოაყალიბეს და რაიხის სამსახურში ჩააყენეს ქართულ დიასპორაში „ჩანერგილი“ საკონტაქტო პირები და იატაკქვეშა მოკავშირეები[8]. რუსული ბიურო, რომელიც უაღრესად მოსურნე იყო საბჭოთა კავშირიდან უტყუარი ინფორმაციის მიღებისა, მალე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ინფორმაციის მოპოვების საუკეთესო წყაროს ქართველები წარმოადგენდნენ. ამ მიზნით და კედიას შუამდგომლობით მომზადდა საქართველოში გადმოსასხმელი პარაშუტისტთა ჯგუფები „თამარ I“ და „თამარ II“. 1943 წლის ოქტომბერში მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა „სამეკავშირეო შტაბი“, რომელსაც წესრიგში უნდა მოეყვანა ის სამხედრო ერთეულები, რომლებშიც ირიცხებოდნენ გერმანელთა ინიციატივით ბანაკებიდან გამოყვანილი ქართველები. ექვს თვეში შტაბმა მოახერხა ქართველი და კავკასიელი მუშების უფლებრივად ევროპელ მუშებთან, ხოლო ქართველი ჯარისკაცების – გერმანელ ჯარისკაცებთან გათანაბრება. მიუხედავად გერმანიის მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობისა, ქართული ემიგრანტული მოძრაობის ლიდერი არ ეთანხმებოდა „ნაცისტების მხეცურ პოლიტიკას“ და მეგობრობდა ჰიტლერთან დაპირისპირებულ გავლენიან გერმანელებთან[9]. სწორედ მისი მრავალრიცხოვანი კონტაქტების იმედით, რომლებიც ისევ და ისევ ქართულ საქმეს უნდა მოხმარებოდა, დაუკავშირდა მიხეილ კედიას ცნობილი სასულიერო პირი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის მკვლევარი, მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი[10].

როგორც იტალიის არქივებში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს[11], მას სასწრაფოდ ესაჭიროებოდა ბელგიის ვიზა ბრიუსელში გარდაცვლილი ქართველი ქალბატონის, სოფიო გოკიელის ანდერძთან დაკავშირებული ფორმალობების მოსაგვარებლად[12], გერმანიის მთავრობა კი მის მოთხოვნას უპასუხოდ ტოვებდა. კედიამ იოლად მოახერხა მამა მიქელის სამოგზაურო საბუთებით უზრუნველყოფა და სრული მზადყოფნა გამოთქვა, დახმარებოდა მღვდელს დიდი ხნის ოცნების ასრულებაში – ქალბატონი გოკიელის ნაანდერძევი თანხით რომში ქართული კათოლიკური კოლეგიუმის დაარსებაში. ეს იქნებოდა

ერთგვარი რელიგიური კომუნა, რომლის კედლებშიც ქართველ ახალგაზრდებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, კათოლიკური სამყაროს წიაღში ეროვნული ფესვებისგან მოუწყვეტლად მოეხდინათ თავიანთი კულტურული და ნაციონალური იდენტობის დემონსტრირება. სამწუხაროდ, ნაანდერძევი თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ კედიამ დაარწმუნა მღვდელი, რომ სხვა წყაროებიდან შეძლებდა დამატებითი დაფინანსების შოვნას. ამ მიზნით კედია დაუკავშირდა გერმანიის საელჩოს რომში და რეკომენდაცია გაუწია მამა მიქელს პოლიციის ატაშესთან, ჰერბერტ კაპლერთან[13]. ამავდროულად, მიხეილ კედია ესაუბრა თავის მეგობრებს Amt VI-იდან თარხნიშვილის გეგმების შესახებ. ქართველ ნაციონალისტთა ლიდერი ხვდებოდა, რომ მისი „პროექტი" ერთნაირად დააკმაყოფილებდა ორივე მხარის ინტერესებს: ერთი მხრივ, RSHA-ს მიერ გაღებული თანხებით მიქელ თარხნიშვილი შეიძენდა შენობას ქართული კოლეგიუმისთვის და აისრულებდა თავისი დიდი ხნის ოცნებას, მეორე მხრივ, გერმანელებს მიეცემოდათ შესაძლებლობა, გამოეყენებინათ კოლეგიუმი სადაზვერვო და პროპაგანდისტული მიზნებისთვის. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სასიკეთოდ წაადგებოდა ქართულ ნაციონალიზმს. გულმხურვალე კათოლიკესა და პატრიოტის, მიქელ თარხნიშვილის ძალისხმევით კოლეგიუმი მალევე გახდებოდა ქართული ეროვნული იდენტობის ერთგვარი სიმბოლო და ნაციონალური მისწრაფებების გავრცელების ძლიერი ცენტრი.

თავდაპირველად Amt VI გულგრილად მოეკიდა კედიას შეთავაზებას. ამ ორგანიზაციის შეფი, უოლტერ შელენბერგი, სკეპტიკურად იყო განწყობილი ამ წამოწყების მიმართ, ამიტომ უარი განაცხადა არაპრაქტიკული სქემის განხილვაზე, თუმცა მოგვიანებით RSHA-ს შეფს ერნსტ კალტენბრუნერს, გული მოუბრუნდა ამ იდეის მიმართ. კალტენბრუნერმა გაიხსენა, რომ მისი წინამორბედი, რაინჰარდ ჰაიდრიხი, ძალისხმევას არ იშურებდა კათოლიკური ეკლესიის კულუარებში შესაღწევად და ამ მიზნით გავლენიანი სასულიერო პირების გამოყენება სურდა. გერმანიის დაზვერვა დიდი ხანია ეჭვობდა, რომ რომის

მონასტრებში და რელიგიურ ინსტიტუციებში ასობით ებრაელი, ანტიფაშისტი და გაქცეული სამხედრო ტყვე პოულობდა თავშესაფარს. ე.წ. „რომის სამაშველო ხაზის“ ცენტრი ვატიკანის გალავნის შიგნით იყო მოქცეული და გაქცეულთა ერთი ნაწილი ჩრდილო ამერიკული კოლეგიუმის შენობის მახლობლად იმალებოდა. ასეთ ვითარებაში კედიას გეგმა შესაძლებლობას მისცემდა გერმანულ დაზვერვას, მოკავშირეთა ჯარებისა და პოლიციის ზურგში საკუთარი „უსაფრთხოების კუნძული“ შეექმნა. სწორედ ამ გარემოების გამო RSHA-მ ქართველებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადა[14].

მიხეილ კედიას რეკომენდაციით მამა მიქელ თარხნიშვილი რომში ჩავიდა და მას შემდეგ, რაც ვატიკანს მიაწოდა ოფიციალური ინფორმაცია ქართული კოლეგიუმის გახსნის მცდელობის შესახებ, პოლიციის ატაშეს ოფისში გამოცხადდა, სადაც ის მიიღო კაპლერის ასისტენტმა, კურტ ჰასმა. მართალია, საელჩოს ჯერ არ მიეღო ბერლინიდან არავითარი თანხა, მაგრამ ჰასმა დაარწმუნა მღვდელი, რომ აუცილებლად დაუკავშირდებოდა დედაქალაქში შესაბამის უწყებებს და რამდენიმე კვირის შემდეგ პასუხს აცნობებდა.

მიქელ თარხნიშვილი

იმავდროულად, ბერლინში Amt VI-ის ოფიცრები ხვეწდნენ თავიანთ გეგმებს ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით. ისინი აპირებდნენ ამ დაწესებულების საჯაშუშო ბაზად გამოყენებას. ბერლინთან მუდმივი კავშირის მიზნით იგეგმებოდა შენობის სარდაფში რადიოსადგურის განთავსება. კოლეგიუმში „ჩანერგავდნენ“ რამდენიმე

აგენტსაც, რომლებსაც შეარჩევდნენ ე.წ. „ქართული ლეგიონის“ რიგებიდან. ისინი საგანგებო მომზადებას გაივლიდნენ და როგორც სხვადასხვა სასულიერო სასწავლებლის სტუდენტებს, რომში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა და სხვადასხვა რელიგიურ ინსტიტუციაში თავისუფლად შეღწევის საშუალება ექნებოდათ. რამდენადაც მამა მიქელი რომსა და ვატიკანში ერუდირებული და უაღრესად პატიოსანი პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა, გადაწყდა, რომ კოლეგიუმის რექტორად მას დანიშნავდნენ.

1943 წლის ოქტომბერში მამა მიქელი ხელახლა გამოცხადდა გერმანიის პოლიციის ატაშეს ოფისში. კურტ ჰასმა ამჯერად საიმედო ინფორმაცია დაახვედრა: ბერლინიდან უკვე მოსულიყო დიდი ხნის ნანატრი დაფინანსება. პოლიციის მაღალჩინოსანმა დაარწმუნა მღვდელი, რომ თანხა ანონიმმა დამფინანსებელმა გაიღო, რამაც საბოლოო ჯამში ქალბატონი გოკიელის ანდერძთან ერთად 1 200 000 ლირა შეადგინა, ეს კი სავსებით საკმარისი იყო კოლეგიუმის დასაარსებლად. მას შემდეგ, რაც ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელება მიულოცა, ჰასმა დაყოვნება სთხოვა მღვდელს და რამდენიმე კითხვა დაუსვა: ჰქონდა თუ არა მას კონტაქტები ვატიკანში, იცნობდა თუ არა რომელიმე კარდინალს ან მაღალი სამღვდელოების წარმომადგენელს და ა.შ. მამა მიქელმა გულუბრყვილოდ უპასუხა, რომ მართლაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა ბევრ მნიშვნელოვან ფიგურასთან ვატიკანში, მათ შორის აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციის პრეფექტთან, კარდინალ ტისერანთან. მაშინ ჰასმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შესთავაზა მღვდელს, შეეკრიბა ვატიკანში გერმანიისთვის საჭირო ინფორმაცია და ახლად დაარსებულ ქართულ კოლეგიუმში რადიოსადგურის გამართვის ნებართვა მიეცა. ამ შეთავაზებით გაოგნებულმა მამა მიქელმა უხეშად უპასუხა კაპლერის თანაშემწეს, რომ ამგვარი ქმედება რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა მისი, როგორც სასულიერო პირის, მოწოდებას და რომ ის არასოდეს მიიღებდა მონაწილეობას ჯაშუშურ საქმიანობაში, განსაკუთრებით – ვატიკანის წინააღმდეგ. მღვდლის პასუხით უკმაყოფილო

ჰასმა კარისკენ მიუთითა სტუმარს და ყოველგვარი თანხის გადმორიცხვაზე უარი განუცხადა.

პოლიციის ატაშეს ოფისში უშედეგო ვიზიტის შედეგად შეშფოთებულმა მიქელ თარხნიშვილმა დახმარებისთვის თავის ძველ მეგობარს, ვასილ (ბასილიუს) სადათიერაშვილს მიმართა[15]. ამ უკანასკნელმა თანაგრძნობით მოუსმინა თანამემამულეს და აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ მიიღებდა ზომებს – გაემგზავრებოდა ბერლინში, პირადად დაელაპარაკებოდა მიხეილ კედიას და აღმოფხვრიდა ამ გაუგებრობას. დღემდე გაურკვეველია, რა თვალსაზრისით იყო ჩართული სადათიერაშვილი ამ ოპერაციაში, თუმცა ის კი ფაქტია, რომ მამა მიქელთან საუბრის შემდეგ მან მიაშურა კაპლერის ოფისს და დახმარება შესთავაზა. კაპლერმა ბასილუსს 50 000 ლირა გადაუხადა და რამდენიმე დღით ბერლინში გაგზავნა, რათა RSHA-ს ოფისში ეწარმოებინა მოლაპარაკებები კედიასთან, კაპიტან რეიმანთან (Amt VI-ის ვატიკანის ბიუროს უფროსთან) და Amt VI-ის რუსული სექციის წარმომადგენლებთან. გერმანელ მაღალჩინოსნებს არ სურდათ ხელიდან გაეშვათ პროექტი, რომლის ფარგლებშიც სოლიდური თანხა იყო გათვალისწინებული სადაზვერვო ოპერაციებისთვის, არადა ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში მათ მიქელ თარხნიშვილი უშლიდათ ხელს. კედია ამტკიცებდა, რომ მღვდლისთვის კიდევ ერთხელ უნდა შეეთავაზებინათ თანამშრომლობა, თან სათანადოდ განემარტათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ გერმანელებთან თანამშრომლობით იქნებოდა შესაძლებელი. ისიც აუცილებლად დათანხმდებოდა, ქართული ნაციონალიზმის სასარგებლოდ ემოქმედა. Amt VI-ის პროფესიონალებმა იმთავითვე უარყვეს კედიას წინადადება. მათი თვალსაზრისით, მამა მიქელი ნამდვილად არ იყო ისეთი გულუბრყვილო, რომ პატრიოტული სულისკვეთებით აღტკინებულს სს-სთან თანამშრომლობის პერსპექტივა არად ჩაეგდო. ეს ფაქტი უფრო გააძლიერებდა, ვიდრე შეამცირებდა მის წინააღმდეგობას. უფრო მეტიც. გერმანული მხარე დარწმუნებული იყო, რომ მარადიული ფასეულობებისკენ მიდრეკილ მღვდელს არ ეყოფოდა გაქანება და ენერგია არალეგალური სადაზვერვო ცენტრის გასაძღოლად.

პროფესიონალ ჯაშუშებს სურდათ მამა მიქელის თამაშიდან გამოყვანა და საბოლოოდ მათმა თვალსაზრისმა გაიმარჯვა. გადაწყდა, რომ მიქელ თარხნიშვილისთვის, შეთანხმებისამებრ, გამოეყოთ თანხა ქართული კოლეგიუმის დასაარსებლად, სადაც „არაოფიციალური ადმინისტრატორის“ სტატუსით იმუშავებდა ვასილ სადათიერაშვილი. მას დაევალებოდა დაწესებულების ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის წარმართვა. ვიდრე მამა მიქელი დაკავებული იქნებოდა კოლეგიუმის ბიბლიოთეკისთვის სასულიერო წიგნების შეძენით, სამლოცველოს მოწყობითა და სტუდენტებისთვის სათანადო სამოსის შერჩევით, ბასილიუსი უხელმძღვანელებდა კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობის რეკონსტრუქციას. ფართობის განახლება გულისხმობდა საკუთრივ სადათიერაშვილისთვის განკუთვნილი ორი ოთახის მოწყობას, რომელთაგან ერთ-ერთში მოათავსებდნენ რადიოგადამცემს, მეორე კი აგენტთა თავშესაფრად იქნებოდა გამოყენებული. ბასილიუსს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ეს გეგმა რომში დაბრუნებისთანავე განეხორციელებინა. მამა მიქელმა სიხარულით მიიღო სემინარიისდროინდელი მეგობრის შეთავაზება და მას კოლეგიუმის ადმინისტრატორის პოსტი ჩააბარა. გეგმის შემდეგი პუნქტი იყო კოლეგიუმისთვის ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე შენობის შეძენა. ბერლინში მიაჩნდათ, რომ შენობა უცილობლად ვატიკანის სახელით ყოფილიყო რეგისტრირებული. ნაცისტი მაღალჩინოსნები ფიქრობდნენ, რომ ლატერანის ხელშეკრულების შედეგად (რომელიც ვატიკანმა იტალიასთან 1929 წელს დადო), რომის პაპის მთელი უძრავი ქონება ექსტრატერიტორიულად იყო აღიარებული და საერთაშორისო სამართლით დაცული.

საარქივო დოკუმენტებში ჩანს, რომ მიქელ თარხნიშვილმა და ვასილ სადათიერაშვილმა შეადგინეს ოფიციალური განაცხადი რომის პაპის, პიუს მე-12-ისადმი, რომელშიც შეახსენეს პონტიფექსს იმ ისტორიული კავშირების შესახებ, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქართველ კათოლიკეებს წმინდა საყდართან აკავშირებდა, ასევე გამოხატეს მადლიერების გრძნობა, რომ, როგორც იქნა, რეალობად იქცა ქართველ სასულიერო პირთა ხანგრძლივი ოცნება მარადიულ ქალაქში

ეროვნული რელიგიური კერის დაარსებისა. მათ თხოვნით მიმართეს პიუს მე-12-ს, ნება დაერთო, ანონიმი ქველმოქმედის მიერ გაღებული თანხებით კოლეგიუმისთვის შესაბამისი შენობა შეეძინათ. საპასუხო წერილში პაპმა აღნიშნა, რომ წმინდა საყდარი ყოველთვის მოხარული იყო რომში ეროვნული სასულიერო კერების დაარსებით, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებისა, რომლებშიც კათოლიკეები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. კონგრეგაცია, რომელსაც სათავეში კარდინალი ტისერანი ედგა, ადმინისტრაციულადაც იყო პასუხისმგებელი ქართველი კათოლიკეების მიმართ და, შესაბამისად, საგანგებო მიზეზიც ჰქონდა მამა მიქელის წინადადების მხარდასაჭერად. ქართული კათოლიკე სამღვდელოება თურქეთში უკიდურესად იყო შევიწროებული იქაური მთავრობის მიერ, რომელიც მას ჯაშუშობასა და სავალუტო მაქინაციებში სდებდა ბრალს. სათუო გახდა, ქართველ კათოლიკეებს შეენარჩუნებინათ სტამბოლის მონასტერი, რომის კოლეგიუმი კი, იმ შემთხვევაში, თუ მათ თურქეთიდან გააძევებდნენ, მათთვის საიმედო თავშესაფარი გახდებოდა.

ჰერბერტ კაპლერი
სს-ის შტურბანფიურერი

1943 წლის 28 დეკემბრისათვის ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე მდებარე შენობის შესასყიდად ყველა ფორმალობა უკვე მოგვარებული იყო, საბუთებს ორმხრივად მოეწერა ხელი და დამოწმდა ვატიკანის ადმინისტრაციაში მონსენიორ ჯულიო გუადე-

ტისა და ვატიკანის ნოტარიუსის სავერიო ურმანის მიერ. 1944 წლის 5 იანვარს კარდინალმა ტისერანმა ოფიციალური წერილით შეატყობინა ბასილიუსს, რომ შენობა უკვე გადასული იყო წმინდა საყდრის მფლობელობაში: „მას შემდეგ, რაც პონტიფექსს მოხსენდა მამა მიქელ თარხნიშვილისა და თქვენ მიერ ხელმოწერილი კეთილშობილური თხოვნის შესახებ, მოხარული იყო, ებოძებინა თავისი უწმინდესი კურთხევა ანონიმი შემომწირველისთვის და ყველა იმ პირისთვის, რომელთაც ძალისხმევა არ დაიშურეს პროექტის სისრულეში მოსაყვანად“[16].

ამჯერად საჭირო იყო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რათა ოჯახური ვილა – კოლეჯად, შესაბამისად კი, ჯაშუშთა ბაზად ექციათ. მამა მიქელთან შეთანხმების შესაბამისად, სარემონტო სამუშაოებს მონასტრის ადმინისტრატორი, ბასილიუსი ხელმძღვანელობდა. ჯაშუშთა თავშესაფრად განკუთვნილი ორ ოთახის მოსაწყობად იგი კონსულტაციებს გადიოდა ლეიტენანტ უნტევენგერთან, საელჩოში მომუშავე სს-ის კავშირგაბმულობის გენერალთან. უნდა აღინიშნოს, რომ ლეიტენანტის მონაწილეობა ამ საქმეში არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტის ფუნქციით. გადაწყვიტეს რა ბასილიუსის გამოყენება თავიანთი მიზნებისთვის, გერმანელები ბოლომდე არ ენდობოდნენ ქართველ აგენტს, რადგან იგი კორუმპირებული და უპრინციპო პიროვნების რეპუტაციით სარგებლობდა. ოფიციალურმა პირებმა ბერლინიდან გააფრთხილეს ჰერბერტ კაპლერი, რომ ბასილიუსისთვის თვალი კარგად ედევნებინა. მას შემდეგ, რაც სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდა და საიდუმლო ოთახებიც მზად იყო რადიოგადამცემის დასამონტაჟებლად, გადაწყვიტეს სადათიერაშვილი ბერლინში გაეგზავნათ, მის ადგილას კი უფრო საიმედო აგენტი გაემწესებინათ.

რაც შეეხება მამა მიქელ თარხნიშვილს, კურტ ჰასთან საუბარმა იგი დაარწმუნა, რომ თანხები, რომლებსაც მისი ოცნება რეალობად უნდა ექცია, არა ანონიმი ქართველი შემომწირველის, არამედ ნაცისტებისა იყო, მაგრამ გადაწყვიტა, დროებით დადუმებულიყო. ის რაციონალურად მიუდგა შექმნილ სიტუაციას: ქრისტიანობის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში

არაერთ მთავრობას დაეფინანსებინა ეკლესიის საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები და ამჯერადაც ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორიც ქართული კოლეგიუმის დაარსება იყო, აიტანდა ამგვარ მორალურ ფლექსიურობას. კოლეგიუმის სარემონტო სამუშაოები წარმატებით მიიწევდა წინ, ამ ფაქტით ფრთაშესხმულ მიქელ თარხნიშვილს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ იმ ორ ოთახში, რომელთა სადათიერაშვილისადმი მიკუთვნებაზე თავად გასცა განკარგულება, რადიოგადამცემს ამონტაჟებდნენ და რომ ბერლინის გეგმები ქართულ კოლეგიუმთან დაკავშირებით მხოლოდ რადიოგადამცემით არ შემოიფარგლებოდა.

ვასილ (ბასილიუს) სადათიერაშვილი

თებერვლის შუა რიცხვებში ბასილიუსი ხანმოკლე ვიზიტად ეწვია რაიხის დედაქალაქს და რომში ექვს ახალგაზრდა ქართველთან ერთად დაბრუნდა, რომლებიც სასტუმრო „კონტინენტალში“ დააბინავა. მამა მიქელის წინაშე მან ეს ახალგაზრდები გულმხურვალე ქართველ კათოლიკეებად წარადგინა, რომლებსაც თითქოსდა სურდათ სასულიერო მოღვაწეობისთვის მოსამზადებლად თეოლოგიასა და ფილოსოფიას დაუფლებოდნენ. მამა მიქელი სწრაფად გაეშურა სასტუმრო „კონტინენტალისკენ“ თავისი კოლეგიუმის პოტენციური ბინადრების გასაცნობად, თუმცა სახტად დარჩა უხეში და არაკომუნიკაბელური ახალგაზრდების ნახვით, რომლებმაც იგი საკმაოდ ცივად მიიღეს. შეშფოთებული მღვდელი მეორე დღესვე ეწვია მონსენიორ არატას, აღმოსავლეთის ეკლესიების კონგრეგაციაში კარდინალ ტისერანის მოადგილეს,

და ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ უამბო. ვატიკანის ოფიციალურმა პირმა, რომელსაც იმ დროისათვის 20 წელი ჰქონდა გატარებული პაპის დიპლომატიურ სამსახურში, საეჭვოდ მიიჩნია ექვსი უცნობი სემინარისტის უცაბედი გამოჩენა, ამიტომ ურჩია მღვდელს, ისინი უკან, გერმანიაში, გაეგზავნა. მამა მიქაელმა ეს საკითხი კარდინალ ტისერანთანაც განიხილა, რომელმაც შესთავაზა, სათანადოდ გამოეცადა ყმაწვილები და კოლეგიუმში მხოლოდ ღირსეულნი მიეღო.

რეგინა კოელის ციხე

მამა მიქელი დაჰყვა კარდინალის რჩევას და კანდიდატებთან ხანმოკლე გასაუბრების შედეგად აღმოაჩინა, რომ სასულიერო მოღვაწეობისთვის არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა. თავის მხრივ, ისინიც გაენდვნენ მღვდელს, რომ მხოლოდ იმ მოტივით დათანხმდნენ ბასილიუსის წინადადებას, რომ რომში უსაფრთხოდ და მატერიალურად უზრუნველყოფილებს ეცხოვრათ. ცხადია, ექვსივე მათგანი თვითმარქვია იყო. ისინი შეარჩიეს ქართველთა ლეგიონიდან, გაწვრთნეს და იტალიის დედაქალაქში საჯაშუშოდ გაგზავნეს. ერთ-ერთ მათგანს ადმინისტრატორის პოსტზე არაკეთილსაიმედო ბასილიუსი უნდა შეეცვალა. მამა მიქელი არ იყო ამ გეგმის ნაწილი და მისმა გაუთვალისწინებელმა უარმა ნაცისტებ-

თან თანამშრომლობაზე RSHA-ს გეგმები ჩაშალა. ოპერაციის განხორციელება საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ალესანდრო ბრისეს ქუჩაზე მდებარე შენობის რეკონსტრუქცია გვიანდებოდა, შესაბამისად, იძაბებოდა ურთიერთობა მამა მიქელსა და ბასილიუსს შორის. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ სადათიერაშვილმა საგანგებოდ ჩამოაშორა მღვდელი ყოველგვარ ადმინისტრაციულ თუ ფინანსურ საქმეებს, არადა მამა მიქელისთვის ცნობილი გახდა, რომ კოლეგიუმის ეზოში გამავალ ორ ოთახში ბასილიუსს რადიომიმღების დამონტაჟება ჰქონდა განზრახული. მღვდელი გაოგნებული დარჩა, როცა ვატიკანში აცნობეს, რომ მის მეგობარს რომში გერმანიის ჯაშუშად იცნობდნენ. ამ ფაქტით აღშფოთებულმა, მან კატეგორიული უარი განაცხადა თავისი კოლეგიუმის ტერიტორიაზე რადიოგადამცემის დამონტაჟებაზე, რითაც, ფაქტიურად, ჩაშალა Amt VI-ის გეგმები. მით უფრო, რომ იდგა 1944 წლის გაზაფხული და მოკავშირეთა ძალები უკვე რომის მისადგომებთან იყვნენ განლაგებულნი.

როდესაც მოკავშირეებმა ივნისის დასაწყისში რომი დაიკავეს, კონტრდაზვერვის მთავარი სამიზნე (პრიორიტეტი N1, ანუ პირველი იმ 100 ეჭვმიტანილ აგენტს შორის რომში, რომლებიც უყოყმანოდ უნდა დაეპატიმრებინათ) ბასილიუს სადათიერაშვილი იყო, მაგრამ მოხერხებული ქართველი მაისის ბოლოს გაქრა რომიდან და მის კვალს ვეღარასოდეს მიაგნეს. პოლიციამ უგულებელყო ის ფაქტი, რომ ქართული კოლეგიუმისთვის განკუთვნილი შენობა წმიდა საყდრის კუთვნილება იყო და 18 ივნისს იქ რეიდი ჩაატარა[17]. შენობის ერთადერთი ბინადარი, იტალიელი დარაჯი, დაკითხვაზე წაიყვანეს, შენობაში კი ჩხრეკა ჩაატარეს. შესასვლელი იმ ოთახებში, რომლებიც ბასილიუსს თავისთვის ჰქონდა შეგულებული, ძველი გარდერობის უკან აღმოჩნდა. ოთახები ცარიელი იყო, მაგრამ პოლიციამ სახურავზე რადიო-მოწყობილობის ანტენა აღმოაჩინა[18]. ფიქრობდნენ, რომ მამა მიქელმა, როგორც ნაცისტთა მოკავშირემ, გაქცევით უშველა თავს, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მას არც კი უცდია დამალვა – წიგნებში ჩაფლული, ის ჩენტროპრეტიში, ღარიბი

პილიგრიმი მღვდლების თავშესაფარში აღმოაჩინეს, სადაც მას შემდეგ გადაბარგებულიყო, რაც მისი კოლეგიუმი დაიხურა. ვინაიდან ავადსახსენებელი პროექტის მონაწილეთაგან მღვდელი ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც მოკავშირეების ხელში აღმოჩნდა, იგი დააპატიმრეს და როგორც გამოძიების ცენტრალური ფიგურა, რეგინა კოელის ციხეში გამოამწყვდიეს. მიქელ თარხნიშვილს, როგორც გულმხურვალე კათოლიკეს, არ უნდოდა ვატიკანიც გაეხვია ამ საჩოთირო საქმეში, ამიტომ თავდაპირველად სიტყვაძუნწი იყო და შეკითხვებს თავს არიდებდა, მაგრამ მოგვიანებით, დაკითხვებისას, პოლიციასთან თანამშრომლობის სურვილი გამოამჟღავნა. გამოძიებიდან ორი თვის შემდეგ კონტრდაზვერვის ოფიცრები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები ჯაშუშობის ბრალდებით მიქელ თარხნიშვილის სასამართლოსთვის გადასაცემად. რთული იქნება მისი დაკავება გერმანიასთან კოლაბორაციის ბრალდებითაც, ვინაიდან ყველა დოკუმენტი ცხადყოფს, რომ ბრალდებულმა აღნიშნული საქმის შესახებ არაფერი იცოდა“ (ალვარესი ... 1997: 107). გამომძიებლების რეკომენდაციით, მეკავშირეებმა გაათავისუფლეს მღვდელი, ოღონდ გარკვეული შეზღუდვით: ომის დასრულებამდე ის პაპის რომელიმე ინსტიტუტში უნდა დარჩენილიყო.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მიქელ თარხნიშვილმა დარჩენილი ცხოვრება ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესწავლას მოახმარა. მისი მეცნიერული კვლევის მიმართულება იყო საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, ქრისტიანული აღმოსავლეთი და ბიზანტინისტიკა. 1948 წელს მან გამოსცა იაკობის ჟამისწირვის ქართული ნუსხის გერმანული თარგმანი გამოკვლევითურთ, რასაც მალე მოჰყვა ქართული ჟამისწირვის ტექსტების გამოცემა ლათინური თარგმანით. აღსანიშნავია ის დიდი მუშაობა, რომელიც მან გასწია იერუსალიმური ლექციონარის ვრცელი ქართული ვერსიის ტექსტის დასადგენად, რომლის გამოქვეყნებას მეცნიერი ვერ მოესწრო (მის მიერ მომზადებული ძეგლი 1959 წელს გამოსცეს რ. დრაგემ და ჟ.გარიტმა ქართულ და ლათინურ

ენებზე). მიხეილ თარხნიშვილმა იულიუს ასფალგთან ერთად გერმანულ ენაზე გადაამუშავა და გამოაქვეყნა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, შედგენილი კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ I ტომის საფუძველზე; პირველმა სწორედ მან გაშიფრა და მეცნიერულად გააანალიზა ოთხი ქართული ასომთავრული წარწერა, რომლებიც იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ პალესტინაში, ბეთლემის მახლობლად გათხრილ წმიდა თეოდორეს სახელობის ქართული მონასტრის მოზაიკურ ფილებზე აღმოაჩინა. მეცნიერის ეს გამოკვლევა შევიდა 1955 წელს იერუსალიმში იტალიურ ენაზე გამოცემულ ვირჯილიო კორბოს წიგნის „მწყემსთა მინდვრის გათხრები და შემოგარენის მონასტრები“ VIII თავში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეცნიერის პირადი ურთიერთობა და თანამშრომლობა ევროპაში მოღვაწე ქართველოლოგებთან. როდესაც 1949 წელს პარიზში კალისტრატე სალიას ინიციატივითა და რედაქტორობით დაიწყო ჟურნალ „ბედი ქართლისას“ გამოცემა, მიქელ თარხნიშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ამ ფაქტს და ჟურნალის აქტიური თანამშრომელი გახდა. სწორედ „ბედი ქართლისაში“ დაიბეჭდა გაგრძელებებით მისი ნაშრომი „ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში“. მიქელ თარხნიშვილის გამოკვლევები იბეჭდებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის ისეთ ავტორიტეტულ ორგანოებში, როგორებიცაა Byzantische Zeitschrift, Le Muséon, Oriens Christianus, Archiv für Liturgiewissenschaft და სხვა. მეცნიერი აწვდიდა ცნობებს საქართველოს შესახებ ევროპულ ჟურნალებსა და ენციკლოპედიებს (Enciclopedia Cattolica, der Christliche Orient in Vergangenheit und Gegenwart).

მიქელ თარხნიშვილი გარდაიცვალა რომში 1958 წლის 15 ოქტომბერს. დაკრძალეს ვატიკანში მოღვაწე უცხოელ მამათა საერთო აკლდამაში. მისმა მოწაფემ და კოლეგამ გერმანელმა ქართველოლოგმა, იულიუს ასფალგმა მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ შეკრიბა ბიოგრაფიული ცნობები და გამოაქვეყნა ვრცელი ნეკროლოგი ჟურნალ „ბედი ქართლისას“

ფურცლებზე. მანვე შეადგინა მიქელ თარხნიშვილის შრომების ბიბლიოგრაფიაც.

ე.წ. „რომაული პროექტის“ მეორე ქართველი მონაწილე, მიხეილ კედია, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, ყოველი ქმედება „ბოლშევიკების საზიანოდ“ და თავისი სამშობლოსა და ხალხის სასიკეთოდ იყო მიმართული. სიცოცხლის ბოლო წლები მან შვეიცარიაში გაატარა, თავისი მთავარი მიზნის აღუსრულებლობით იმედგაცრუებულმა: დიდი სამამულო ომი საბჭოთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა; „ერთიანი ძმური ოჯახის“ წევრი საბჭოთა საქართველო აქტიურად ჩაება სოციალისტური აღმშენებლობის ფერხულში; ქართველ ემიგრანტებს საბოლოოდ გადაეწურათ სამშობლოში დაბრუნების იმედი. საქართველოს მონატრებას ზოგი სამეცნიერო მოღვაწეობით იქარვებდა, ზოგი – მწერლობით და პუბლიცისტობით, ზოგი კი სამუდამოდ ჩაიძირა უიმედობის მორევში. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მიხეილ კედიაც, რომელმაც 1953 წელს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

შენიშვნები:

1. 1924 წლის აგვისტოს ავჯანყების მონაწილე, ემიგრანტი მიხეილ ქავთარაძე თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „გერმანია დაეჯახა იმ ძალას, რომლის წაქცევაც აუცილებელი წინასწარი პირობა იყო ჩვენი თავისუფლებისათვის. იყვნენ ემიგრანტები, რომელთაც ოცი წელი თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს. ამ ოცი წლის განმავლობაში ვერცერთი ნამდვილი მოკავშირე ვერ იპოვეს და როდესაც იმ ქვეყანამ, რომელიც სინამდვილეში ერთადერთი შესაძლებელი მოკავშირე იყო ჩვენთვის..., რუსეთს შეუტია, ზემოხსენებული ქართველები შეძრწუნდნენ და ეს მოვლენა ჩვენთვის უარყოფით საქმედ ჩათვალეს. მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ გერმანიას განაგებდა არასიმპათიური რეჟიმი და, ამავე დროს, ეს გერმანია, რუსეთის გარდა, ჩვენთვის სიმპათიურ დემოკრატიულ ქვეყნებსაც ეომებოდა“ (ქავთარაძე 2007: 111-112).

2. „ქართველები იმედოვნებდნენ, საჭიროების შემთხვევაში გერმანელებზე სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ. იმ ხანებში გავრცელებული აზ-

რის მიხედვით, გერმანია კავკასიის მიმართ I მსოფლიო ომის დროინდელ პოლიტიკას გაატარებდა... დამოუკიდებლობის იმედი კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც გერმანელებმა II მსოფლიო ომის დროს დაიკავეს ჩრდილო კავკასია. აქ გერმანია განსხვავებულ პოლიტიკას ატარებდა, ვიდრე მის მიერ ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიებზე, სადაც მკვიდრი მოსახლეობა ჰიტლერის ანტიჰუმანური კანონების გამო საშინელ ტანჯვას განიცდიდა“ (გაბლიანი 1998: 9).

3. იხ. ჯავახიშვილი, ნ. ქართველი შინდლერი. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2011. მარტი. 3. გვ. 42-49; ქართველები უცხოეთში. წ.1. თბილისი, 2012. გვ. 113-115.

4. მიხეილ კედიამ შექმნა მითი, რომ ქართველ მაჰმადიანთა მსგავსად, ქართველი ებრაელებიც ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო რწმენით – მოსეს რჯულის მიმდევარნი. ნოე ჟორდანიას, ალექსანდრე ქორქიას, კონსტანტინე კანდელაკის, ევგენი გეგეჭკორისა და მიხეილ კედიას მიერ გაყალბებული საბუთებით ათასზე მეტი ქართველი და ევროპელი ებრაელი გადაურჩა სიკვდილს. ამ თავგანწირვის გამო მიხეილ კედიამ პარიზის დიდი რაბინის, ვაისის, და ებრაული კულტურის ასოციაციის ხელმძღვანელის, მოსერის, მადლობა დაიმსახურა. შესაბამისად, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ის გერმანელებთან თანამშრომლობის გამო სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადეს, თავისი უდანაშაულობის დასამტკიცებლად მან ფიცის ქვეშ მისცა წერილობითი ჩვენება, რომელიც გამყარებული იყო შესაბამისი დოკუმენტებითა და იმ ადამიანთა მტკიცებულებებით, რომლებიც მან უეჭველი სიკვდილისგან იხსნა.

5. იხ. ჯავახიშვილი, ნ. ქართველი შინდლერი. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი, 2011. მარტი. 3. გვ. 42-49; ქართველები უცხოეთში. წ.1. თბილისი, 2012. გვ. 113-115.

6. Amt VI C – რაიხის უშიშროების ადმინისტრაციის (RSHA) ერთ-ერთი განყოფილება – საზღვარგარეთის სადაზვერვო სამსახური. დაარსების დღიდან მას ხელმძღვანელობდა სს-ის ბრიგადენფიურერი ჰაინც იოსტი, შემდეგ კი სს-ის ბრიგადენფიურერი უოლტერ შელენბერგი.

7. Reichssicherheitshauptamt (რაიხის უშიშროების მთავარი სამმართველო, შემოკლებით RSHA) იყო სს-ის რაიხსფიურერის, გერმანიის პოლიციის შეფის ჰაინრიხ ჰიმლერისა და მისი მოადგილის, რაინჰარდ ჰაიდრიხის განკარგულებით შექმნილი ორგანიზაცია (დაარსდა 1939 წლის 27 სექტემბერს). სამმართველოში გაერთიანდა 2 უწყება: უშიშროების სადაზვერვო

ქვედანაყოფი sd, რომლის ფუნქციაც იყო პარტიის დაცვა რეალური და წარმოსახვითი საფრთხეებისგან და უშიშროების პოლიცია (ზიპო), რომელიც მეთვალყურეობდა კრიმინალურ და საიდუმლო პოლიციას.

8. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, გერმანელი „მფარველებისადმი" კედიას რწმენა ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული. ნაცისტების პროგრამაში ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ არ იყო გათვალისწინებული არავითარი მატერიალური რესურსი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ნავთობით მდიდარი კავკასიის რეგიონში არსებული დამოუკიდებელი ქვეყნებისათვის. თუმცა შორსმიმავალ პერსპექტივაში ალფრედ როზენბერგის ოფისი გეგმავდა ოკუპირებული აღმოსავლეთის ტერიტორიებზე ე.წ. ანტირუსული სანიტარული კორდონის (არასასურველი იდეოლოგიის გავრცელების საწინააღმდეგოდ ჩატარებული ღონისძიებების ერთობლიობა) მოწყობას რუსეთს დაქვემდებარებული სახელმწიფოებისთვის, რომელთა შორის ქართველებს (როგორც არიული რასის წარმომადგენლებს) ენიჭებოდათ გარკვეული პრივილეგიები, ოღონდ გერმანიის მეურვეობის ქვეშ (დალინი 1981: 226-9).

9. ერთ–ერთი მათგანი იყო გრაფი ფონ შულენბურგი, რომელიც 1944 წლის 20 აგვისტოს ჩამოახრჩვეს ჰიტლერის წინააღმდეგ წარუმატებელი შეთქმულების შემდეგ.

10. მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი (1897-1958) ჯერ კიდევ 1913 წელს კონსტანტინოპოლში გაჰყვა ქართველ კათოლიკე მოწესეებს, რომლებიც იქაურ სამონასტრო სკოლებში სწავლის მსურველებს არჩევდნენ. 1913-17 წლებში ის კონსტანტინოპოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში იღებდა განათლებას (იხ. პაპუაშვილი 2016), 1917 წლიდან კი სწავლა განაგრძო ქალაქ ეტალის (ზემო ბავარია) ბენედიქტელთა სააბატოში. 1919 წლის აგვისტოში საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის მოლაპარაკების შედეგად, სხვა შვიდ ქართველ სტუდენტთან ერთად მიქელ თარხნიშვილი სამშობლოში დაბრუნდა, თუმცა დეკემბერში თურქეთში გაემგზავრა კონსტანტინოპოლის კაპუცინების კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად და მას შემდეგ საქართველო აღარ უნახავს. 1924 წელს ფილოსოფიასა და თეოლოგიაში ცოდნის გასაღრმავებლად იგი ვენაში ჩავიდა, 1929 წლიდან კი ის რომშია, სადაც ჯერ ბერძნულ კოლეგიუმში შედის თავისუფალ მსმენელად, შემდეგ კი სწავლობს პაპის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. იქვე იცავს დისერტაციას „თეატინელთა სამოციქულო ღვაწლი საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში" და მოიპოვებს თეოლოგიის დოქტო-

რის სამეცნიერო ხარისხს. 1931 წლის 6 აგვისტოს მიქელ თარხნიშვილი მღვდლად აკურთხეს რომის მახლობლად, გროტაფერატას ბიზანტიური წესის სააბატოში. 1934 წელს მიიღო დავალება – საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანიაში მყოფ ქართველთაგან აღეზარდა წარმომადგენლები აღ-მოსავლური ეკლესიისათვის. ამ მიზნით იგი გაემგზავრა ბენედიქტელ მამებთან ჯერ პარიზში, შემდეგ კი დეგენდორფში (ბავარია). 1934-1936 წლებში ქართველ კათოლიკეთა სულიერი მოძღვარი იყო ბელგიაში, გერ-მანიასა და საფრანგეთში. 1936-1942 წლებში ბენედიქტელ ბერებთან იმ-ყოფებოდა ბავარიაში (ჯერ დეგენდორფში, შემდეგ მეტენში).

11. ინფორმაცია მოპოვებულია მიქელ თარხნიშვილის დაკითხვის ოქმი-დან (1944 წლის 29 ივლისი. რეგინა კოელის ციხე), რომელიც დაცულია იტალიის პოლიციის გადამდგარი კომისრის, ჯუზეპე დოსის არქივში. იხ. გაზ. L'EUROPEO, 573. 7 ოქტომბერი, 1956, გვ. 23-26. იხ.ასევე. David Alvarez & Robert A. Graham, Sj. Nothing Sacred. Nazi Espionage Against the Vatican, 1939-1945. Franc Cass. London. Portland, OR. 1997. pp.92-113.

12. 1941 წლის თებერვალში ბრიუსელში გარდაცვლილმა მდიდარმა ქვრივმა, ელენე გოკიელმა 360 000 ბელგიური ფრანკი უანდერძა წმინდა მარიამის უბიწოდ ჩასახვის ქართულ კათოლიკურ კონგრეგაციას, რომ-ლის ცენტრი სტამბოლის მონასტერში იყო განთავსებული. (იხ: ღაღანიძე, მ. პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი. „ლიტერატურული ძი-ებანი". XXXVII, 2016, გვ. 238-243) და თავისი ანდერძის განმკარგულებლად ამ კონგრეგაციის ერთ-ერთი წარმომადგენელი ევროპაში, მიქელ თარხნიშ-ვილი დაადგინა.

13. ჰერბერტ კაპლერი – სს-ის ობერშტურბანფიურერი. გესტაპოს წარ-მომადგენელი რომში 1939-1944 წლებში. პროფესიით ელექტრიკოსი, ის 1932 წელს შეუერთდა სს-ის რიგებს. 1937 წელს Sicherheits polizei-ს (უშიშ-როების პოლიცია) ლიდერთა სკოლის წარმატებით დასრულების შემდგომ კაპლერმა ისეთი ტალანტი გამოამჟღავნა საიდუმლო პოლიციაში სამსახ-ურისას, რომ მაშინვე მიიქცია ბერლინში უმაღლესი ხელმძღვანე-ლობის ყურადღება. ის შეიყვანეს პოლიციის ატაშეთა იმ პირველი გუნდის შემად-გენლობაში, რომელიც გაიგზავნა გერმანიის დიპლომატიური მისიით ევ-როპის სხვადასხვა ქვეყანაში. კაპლერის უშუალო უფროსი, დიპ-ლომატიის ძველი სკოლის წარმომადგენელი, გერმანიის ელჩი იტალიაში, ჰანს გეორგ ფონ მაკენსენი, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დისტანცია დაეცვა თა-ვის ახალ ატაშესთან, ამიტომ კაპლერის ოფისი განთავსდა არა გერმანიის

საელჩოში, არამედ საელჩოს კულტურული განყოფილებისათვის განკუთვნილ სხვა შენობაში, ტასოს ქუჩა ნომერ 20-ში, რომელიც მალე ყველა რომაელისთვის (და ამაში, უდავოდ, დიდი წვლილი კაპლერსაც მიუძღვის) იქცა პოლიციური ტერორის სიმბოლოდ (ალვარესი ... 1997: 72-73).

14. გერმანულმა დაზვერვამ იმთავითვე უარი განაცხადა, თავისი მიზნებისთვის გამოეყენებინა სამი გერმანულენოვანი კოლეგიუმი რომში: სანტა მარია დელ ანიმა, გერმანიკუმი და ტევტონიკუმი. პირველ ორ კოლეჯში მცხოვრები გერმანელი და ავსტრიელი მღვდლები არ მალავდნენ თავიანთ მტრულ განწყობას ნაცისტების მიმართ, ტევტონიკუმის მდებარეობა ვატიკანის ტერიტორიაზე კი შეუძლებელს ხდიდა მის კედლებში ჯაშუშური საქმიანობის წარმოებას.

15. თარხნიშვილი და სადათიერაშვილი ერთ ოთახს იყოფდნენ კონსტანტინოპოლის სემინარიაში. 1917 წლის 18 თებერვალს ერთად შეაღეს სოფელ ეტალის ბენედიქტელთა სააბატოს სასწავლებლის კარი (იხ. პაპუაშვილი 2016). სადათიერაშვილი 1920 წელს დაბრუნდა სამშობლოში. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მისი ადგილსამყოფელი უცნობია, მაგრამ 1937 წლიდან ის ჩანს იტალიაში, როგორც რამდენიმე სკანდინავიური გაზეთის კორესპონდენტი. ის, ასევე, თანამშრომლობდა გაზეთ Corriere Diplomatico Consolare-სთან, რომელსაც რომში გამოსცემდა თვითმარქვია არისტოკრატი ჯიაჩინტო კოტინი-აგოსტინელი, სადათიერაშვილის მეგობარი და ფინანსური მრჩეველი. გერმანიის საბჭოთა კავშირზე თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ ქართული ფაშისტური მოძრაობის, „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი ვასილ სადათიერაშვილი ქართულ დელეგაციასთან ერთად ბერლინში გაემგზავრა, რათა გერმანიის მთავრობის წინაშე ეშუამდგომლა ქართული მონარქიის აღსადგენად. 1943 წლის სექტემბერში უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბასილიუსი რომში ცხოვრობდა, ყიდდა გაურკვეველი წარმომავლობის ნახატებს, თარჯიმნად მუშაობდა გერმანიის სამხედრო სარდლობის ოფისში და, იმავდროულად, თანამშრომლობდა გესტაპოსთან, როგორც ინფორმატორი.

16. ტისერანი ბასილიუს სადათიერაშვილს. 5.01.1944. ჯუზეპე დოსის არქივი (იხ, ასევე: ალვარესი ... 1997: 107).

17. ჩხრეკაში უშუალო მონაწილეობა მიიღო ჯუზეპე დოსიმ, რომლის არქივსაც ეყრდნობა წინამდებარე სტატია.

18. რადიოგადამცემთან დაკავშირებით ჯუზეპე დოსის ჩანაწერებში ფიგურირებს ვინმე აბულაძე, რომელმაც გაიტანა კოლეგიუმის შენობი-

დან რადიოაპარატურა და ჯაშუშთა მაკომპრომიტირებელი სხვა ნივთები. დოსი ამტკიცებს, რომ ეს აბულაძე ერთ-ერთია იმ ექვსი თვითმარქვია სემინარისტისგან, რომლებიც ბასილიუსმა ბერლინიდან რომში ჩამოიყვანა (ევროპა 1956: 25-26).

დამოწმებანი:

ალვარესი ...1997: Alvarez, D & Graham R, A, Sj. *Nazi Espionage Against the Vatican, 1939-1945.* Franc Cass. London. Portland, OR. 1997.

გაბლიანი 1998: გაბლიანი, გ. *ჩემი მოგონებანი (მეორე მსოფლიო ომი)*, ტ. I. ქუთაისი: ს/ს „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრი, 1998.

დალინი 1981: Dallin, A. *German Rule in Russia, 1941-1945: A Study of Occupation Policies.* 2nd edition. Boulder: Westview, 1981.

ევროპა 1956: *Quei Falsi Frati, Iavovavono per le SS.* L'EUROPEO, 573. 7 Ottobre, 1956.

პაპუაშვილი 2016: პაპუაშვილი, ნ. *ბიზანტიური წესის კათოლიკეები სტამბოლსა და ეტალში.* ქართველოლოგია (სამეცნიერო ჟურნალი). თბილისი: 2016.

ქავთარაძე 2007: ქავთარაძე, მ. *ცხოვრების 100 წელი (მოგონებები, წერილები, თარგმანები, ლექსები).* თბილისი: 2007.

ქართველები ... 2012: *ქართველები უცხოეთში.* წ.1. თბილისი: 2012.

ღაღანიძე 2016: ღაღანიძე, მ. „პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრება და ღვაწლი“. *ლიტერატურული ძიებანი.* XXXVII. თბილისი: 2016.

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი, ნ. *ქართველი შინდლერი.* ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი. თბილისი: 2011, მარტი. № 3.

ჯავახიშვილი 2015: ჯავახიშვილი, ნ. *ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი.* გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო შრომათა კრებული „ელდარ მამისთვალიშვილი – 75“. გორი: 2015.

გოჩა კუჭუხიძე

„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

(*ილია კუჭუხიძის მოგონებები ქართველთა ლეგიონის შესახებ*)

ილია კუჭუხიძე
თბილისი, 30-იანი წწ.

ილია კუჭუხიძე – ქართველი ემიგრანტი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის დოქტორი. დაიბადა 1901 წელს დედულეთში – ხობის რაიონის სოფელ აბასთუმანში. მისი მამა ვასილ კუჭუხიძე ქუთაისიდან, სოფელ ფარცხანაყანევიდან იყო, ხობში სამკერვალო საამქრო ჰქონდა გახსნილი, იქ შეირთო ცოლი, ქრისტინე ქარდავა (თავისი თანამშრომლის და), ერთხანს ოჯახით ხობშიც ცხოვრობდა და ილია კუჭუხიძის ბავშვობის წლებმა სამეგრელოშიც გაიარა და იმერეთშიც. სწავლობდა: ხობის სამრევლო სკოლაში, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, ბათუმის ჰუმანიტარულ სასწავლებელში (ყოფილი ვაჟთა გიმნაზია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე (სწავლა ხსენებულ ფაკულტეტზე ჯერ პედაგოგიკის, შემდეგ იურისპრუდენციის განხრით დაასრულა); ახალგაზრდობის წლებში იყო საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი; მუშაობდა: საქართველოს პროფკავშირებში კულტურის განყოფილების გამგედ, თბილისის სკოლებში – ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ბორჯომის რაიონის სოფელ ტაძრისში სკოლის დირექტორად, იურისტ-კონსულ-

ტანტად თბილისში; იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო საბჭოს წევრი; ქართულ პერიოდიკაში აქვეყნებდა წერილებს ქართული ლიტერატურისა და თეატრალური ხელოვნების საკითხებზე.

1942 წელს ომში გაიწვიეს. ქერჩში ტყვედ ჩავარდა. მოხვდა შეპეტოვკის სამხედრო ტყვეთა ბანაკში. შემდეგ ქართველი ტყვეები ბანაკიდან ქართულ ლეგიონში გადაიყვანეს. ილია კუჭუხიძე ომის დამთავრებამდე გაზეთ „საქართველოსა“ და ჟურნალ „ქართველი ერის“ მდივნად მუშაობდა.

ომის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო. ცხოვრების ძირითადი ნაწილი გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში, გაატარა. იყო აშშ-ის მიერ დაარსებული „რადიო თავისუფალი ევროპის“ („რადიო თავისუფლება“) ქართული რედაქციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი თანამშრომელი (რაჟდენ არსენიძესა და დავით ურატაძესთან ერთად), ამ რედაქციის მდივანი; წლების განმავლობაში უძღვებოდა რუბრიკას – „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“; თავისი ყოველკვირეული გადაცემებით ეხმაურებოდა ქართულ ლიტერატურულ პროცესებს, რელიგიურსა და ეროვნულ პრობლემებს, საერთოდ, ქართულ კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს; სარედაქციო მუშაობაში ეკავა მტკიცე პოზიცია, რომლის თანახმად, რადიო თავისუფლებას ეროვნულ პრობლემატიკაზე უნდა ჰქონოდა მთავარი აქცენტი გადატანილი; ხსენებულ რადიოში ალეკო ლორიას ფსევდონიმით თითქმის 40 წელი იმუშავა (რადიომასალა დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, ქართული ემიგრაციის მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში); იყო მიუნხენის უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებელი.

ქართულ, გერმანულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის შესახებ; ქართველ ემიგრანტთა ჟურნალ-გაზეთებში („სახალხო საქმე“, „ქართული აზრი“, „ბედი ქართლისა“, „კავკასიონი“, „ივერია“, „ჩვენი დროშა“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“...) დაბეჭდილია მისი სტატიები, რომლებიც ასევე ქართული ლიტე-

რატურის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს ეძღვნება; ოკლაჰომის უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულებში – World Literature Today შეტანილია მისი ნარკვევი: „საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზია“, წერილი კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელზე“, „მთვარის მოტაცებაზე“, ჟურნალ „ცისკრის“ ნომრების მიმოხილვა და სხვადასხვა; მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედია Kindler-ში (Kindlers Literatur Lexikon. Kindler Verlag, 1965-1972) შესულია ილია კუჭუხიძის წერილები ქართული მწერლობის შესახებ (ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის „ომაინიანი“, უცნობი ავტორის „რუსუდანიანი“, თეიმურაზ პირველის „ქეთევანიანი“, გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“, დავით კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძე“, ნიკო ლორთქიფანიძის „რაინდები“ და სხვ.).

გარდა პერიოდიკაში პუბლიკაციებისა, მიუნხენში, უმეტესწილად მინდია ლაშაურის ფსევდონიმით, ძირითადად არჩილ მეტრეველის სტამბაში, გამოქვეყნებულია მისი შემდეგი წიგნები: История Грузии XIX-XX вв. в современной советской интерпретации (1956); წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანობის როლი საქართველოში (1959), Необходимые возражения против искажения истории грузинского народа (1960); ქართული სული (I-II, 1961), ლაზთა მეფე გუბაზ მეორე (1972)... მიუნხენის უნივერსიტეტში დაცული დისერტაციის თემა იყო – Georgien zwischen Nord und Süd (1953); მწერლის არქივში ინახება ავტორის მიერ მანქანაზე დაბეჭდილი, ქსეროასლებით რამდენიმე ეგზემპლარად გამრავლებული (დაუსტამბავი) ნაშრომები („ფიქრები საქართველოზე“ /მოთხრობები და ლექსები, 1983/, „ოდიშის მთავარი ცოტნე დადიანი“ /ისტორიული მოთხრობა, 1985/, „მოგონებების წიგნი, სამაგიდო რვეულიდან“ /1985/, „მინიატურები“ /პროზაული ჩანაწერები, 1987....), მისსა და სხვა არქივებში შემონახულია მრავალი ხელნაწერი, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, ეს ყოველივე თავმოყრას, ერთიანობაში აღნუსხვას, გამოსაცემად მომზადებასა და გამოქვეყნებას საჭიროებს...

მწერალი გარდაიცვალა 1992 წელს მიუნხენში.

როგორც ითქვა, ილია კუჭუხიძე ომის დროს მუშაობდა ქართველ ლეგიონერთა გაზეთ „*საქართველოში*“ და ჟურნალში – „*ქართველი ერი*“; ჩვენ მოვიძიეთ ჩანაწერები, რომლებშიც ხსენებულ გამოცემებში მუშაობისა და, საერთოდ, იმ წლების ემიგრანტულ ცხოვრებას იხსენებს ავტორი და რომლებიც არაერთ საინტერესო და ძალზე საყურადღებო ცნობას შეიცავს.

ზემოხსენებულ მემუარებში – „*სამაგიდო რვეულიდან*“ ქერჩში ტყვედ ჩავარდნის, შემდეგ ბანაკში ყოფნისა და იქიდან ქართულ ლეგიონში გადაყვანის ამბებს ასე იგონებს ილია კუჭუხიძე (ტექსტს შემოკლებულად წარმოვადგენთ):

«1942 წლის 15 მაისს გერმანელები ამოძრავდნენ და მთელ ჩვენს ფრონტზე კომბინირებული თავდასხმა მოახდინეს საჰაერო ძალებით, არტილერიით, ტანკებით. მოულოდნელად ჩვენი განლაგების ადგილზე გერმანული ტანკები შემოიჭრნენ.

– როგორ მოვიქცეთ? – ვკითხე დევდარიანს,* არავითარი იარაღი არ გაგვაჩნია...

– იყუჩე! ომი ჩვენთვის ღვთის წყალობით დამთავრებულია, ტანკისტებს ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო, საშიში მხოლოდ ინფანტერისტები არიან!

– გერმანელები ტყვეებს არ იყვანენო! – მივუგე მე.

– არ მჯერა!

– აკი თქვა სტალინმა, – „ტყვეები არ მყავსო, ყველანი, ვინც გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდებიან, სამშობლოს მტრები და მოღალატეები არიანო“, ახლა რა მოხდება? – მგონი თავი მოვაბეზრე ამდენი შეკითხვით, მაგრამ დევდარიანს ეს არ უგრძნობინებია ჩემთვის...

გერმანელები მოულოდნელად დაგვადგნენ თავს. ორივე წამოვდექით და ხელები ავწიეთ. ერთი ახალგაზრდა გერმანელი ჯარისკაცი მომიახლოვდა, რაღაც ოციოდე წლის იქნებოდა, გაღიმებული სახით მითხრა:

– როგორაა საქმე, ივან?

მე ვუპასუხე:

– გეორგიერ, კაუკასიერ!

---

* ილია კუჭუხიძის ფრონტელი მეგობარი, ლეიტენანტი; მოგონებებში მისი სახელი ნახსენები არ არის (შენიშვნები ყველგან სტატიის ავტორისაა).

... დევდარიანი და მე გერმანელებმა თან გაგვიყოლეს. უკრაინის რომელიღაც სოფელში მოვხვდით. გერმანელმა ჯარისკაცებმა შეისვენეს, მიწაზე დაეყარნენ და ჭამას შეუდგნენ. თავიანთი ულუფიდან ცოტა რამ ჩვენც გვიზიარეს. ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა გერმანელებთან... თუმცა, არა, – გერმანელებთან ჩემი პირველი შეხვედრა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს მოხდა, – მაშინ, როცა ქუთაისში შემოვიდნენ ისინი... გიმნაზიელები ვარდ-ყვავილებით შეგვახვედრეს მათთან... ახლა კი... ჯარისკაცი, უთოფო, მაგრამ მაინც – ჯარისკაცი, მხედარი, მეომარი... მეცინება ჩემს თავზე, რომელი რანგის მეომარი?!

თითოეულ ადამიანს თავს სდევს თავისი ბედი, დავემორჩილე ბედს...

მრავალი ათასი ჩაუვარდათ ხელში გერმანელებს. მრავალ ათასსა და მეც მათთან ერთად უკრაინის ქალაქ შეპეტოვკის სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოგვიყარეს თავი. ღვთის ანაბარა ვიყავით მიტოვებულნი, – უპატრონოდ. სტალინმა ხელი აიღო ჩვენზე. ნუთუ არ იცოდა სტალინმა, რომ ომი ტყვეთა გარეშე არ ხდება! შიმშილისაგან ყოველდღიურად ასეულობით კვდებოდნენ. მეც უკვე ნახევრად მკვდარი ვიყავი. სისუსტისაგან ფეხზე დგომა აღარ შემეძლო, დავჯდებოდი, ვეღარ ვდგებოდი...

აუტანელი იყო პოლიციელთა მოქმედება, – არ გვინდობდნენ, ხელში ხისგან გამოთლილი მსხვილი ჯოხები ეჭირათ და ვაი იმას, ვისაც მოხვდებოდა! დაუნდობელნი იყვნენ. მერე, არ იკითხავთ, ვინ იყვნენ ეს არაადამიანური და ნახევრად გამხეცებული პოლიციელები? – რუსები და უკრაინელები, ისინი ჩვენსავით სამხედრო ტყვეები გახლდნენ, მაგრამ „ბედმა გაუღიმათ“ და ბანაკში პოლიციელებად იყვნენ. მათი უპირატესობა ის იყო, რომ „ბალანდას“ რიგგარეშე ღებულობდნენ და ღებულობდნენ იმდენს, რამდენიც უნდოდათ, იმ ნარჩენებითაც იკვებებოდნენ, რაც ლაგერის ხელმძღვანელობას გადაურჩებოდა ხოლმე. რუსებსა და უკრაინელებს ერთმანეთი ეჯავრებოდათ, მაგრამ ჩვენ, არარუსები, ორივეს ჭირივით ვძულდით, გვცემდნენ და მერე თავიანთ ნამოქმედარზე იცინოდნენ.

ერთხელ რაღაც სამუშაოზე გაგვიყვანეს. ეს იყო მისწრება, – ეგებ რაიმე საჭმელი გვეგდო ხელთ. იმ დროს ჩვენი ოცნება ბალახის შოვნა გახლდათ, – თუ სადმე ვიხელთებდით, ჯოგივით ვძოვდით. ტყვეებს შორის შეხლა-შემოხლა იწყებოდა: – „ჩემკენ ნუ ძოვ, ხომ გაქვს თავზე საყარად შენი ბალახი, შენ ჩემი ბალახი იონჯა ხომ არა გგონია, იქით მიიწი, შე უბედურო, თორემ გაგათავე!“ – და გამთავებელი თვითონაც გათავებული იყო.

ერთხელ სადღაც სოფელში შეგვაჩერეს, ვხედავთ: დედაკაცები გამწკრივებულან, პური, კომბოსტოს მწნილი, ხაჭო გამოუტანიათ გზაზე. ტყვეები გაექანნენ მათკენ და ის ის იყო უნდა მისწვდენოდნენ, რომ გერმანელმა ჯარისკაცმა თოფი ისროლა და შეაჩერა ეს ველური გადარბენა, შემდეგ ერთად მოუყარეს გერმანელებმა სანოვაგეს თავი და გაგვინაწილეს. დაუვიწყარია ჩემთვის უკრაინელი დედაკაცების ზრუნვა ჩვენთვის! მერე სადღაც ყაზარმაში შეგვრეკეს და იქაც დაგვხვდნენ მსხვილკეტიანი პოლიციელები...

ტყვეთა ბანაკში თავმოყრილნი ვიყავით კავკასიელები, უკრაინელები და რუსები. შემდეგ მოულოდნელად დაგვშალეს და ეროვნებების მიხედვით გადაგვანაწილეს. უკრაინელები და რუსები სადღაც წაასხეს. ერთ ბანაკში დავრჩით ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები. საიდან სადაო და აზერბაიჯანელებს აღმოუჩნდათ მოლა და ეს მოლა ყოველ პარასკევობით ხელდახელ გაკეთებული მინარეთიდან აყვირდებოდა ხოლმე და ხმამაღლა მოუწოდებდა მლოცველებს...

ერთხელ მე და ჩემისთანა ათასებს ხელი ჩაგვავლეს და სადღაც შორეულ გზას გაგვიყენეს. მიგვიყვანეს ქართულ ლეგიონში, რომელიც პოლონეთში, ქალაქ რადომთან არცთუ შორს, – სოფელ კრუშინაში იყო დაბანაკებული. ლეგიონის ეზოში აღმართულ სვეტზე დროშები ფრიალებდა, – ერთი სრულიად უცნობი, ხოლო მეორე – ნაცნობი დროშა... ქართული, სამფეროვანი.... შავი, თეთრი და წითელი. ვიცანი იგი და უმალ ბათუმი მომაგონდა... 1923 წელი იყო მაშინ, მოწაფეები მარცხნივ და მარჯვნივ მოედვნენ ქუჩებს აზიზიის მოედანზე, ააფრიალეს ქართული დროშა... ძალიან გამიხარდა ამ დროშის

დანახვა, – დროშის, რომელიც აკრძალულია საქართველოში. იმ ორიდან, რომელიც ლეგიონის ანძაზე ფრიალებდა, უცნობი იყო გერმანიის მესამე რაიხის სახელმწიფო დროშა, მე ის პირველად იქ დავინახე...

ლეგიონში გავიცანი ახალგაზრდა პატრიოტი, მეტად ნიჭიერი შოთა აბაშიძე, რომელიც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ხელმძღვანელობდა. იგი სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდა. მან ლეგიონის უფროსთან წარმადგინა და ბიბლიოთეკის გამგედ დამნიშნეს. ეს არ იყო ბიბლიოთეკა სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, არამედ – სამკითხველო. შოთა აბაშიძის დავალებით კვირაში ერთხელ ლეგიონის კლუბში ვკითხულობდი ლექციას საქართველოს ისტორიაში. შოთა აბაშიძე დღეს პარიზში ცხოვრობს, პროფესორია.

ერთხელ ბიბლიოთეკაში შემოვიდა შოთა, თან ერთი უცნობი ახალგაზრდა შემოჰყვა, – მეტად სიმპატიური ადამიანი. შევხედე: მაგონდება, სადღაც უნდა მენახოს მეთქი. ხელი გამომიწოდა და მეუბნება: – „ლეო ხუროძე გახლავართ ბერლინიდანო“. გამახსენდა, – როცა ქუთაისში ტფილისის ოლიმპიადაზე მხატვრული თვითმოქმედი წრეების ჩამოსაყვანად ვიყავი, მაშინ ქუთათურ გაზეთში რამდენიმე წერილი დავბეჭდე, ლეო ხუროძე იქ მუშაობდა, პასუხისმგებელი მდივანი იყო. ეხლა თურმე ბერლინშია და ლეგიონერთა გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორად მუშაობს. ამ გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი ასეულის უფროსი გაიოზ მაღლაკელიძეა. ლეო ხუროძე სამი დღე დარჩა ლეგიონში, მითხრა: – „თუ გსურთ, თქვენს თავს ბერლინში, ჩვენს რედაქციაში, სამუშაოდ გადმოვაყვანინებო“. მე ეს წინადადება ძალიან გამიხარდა.

დაიწყო ჩემი ცხოვრების ბერლინური პერიოდი. დამნიშნეს რედაქციის მდივნად და თანაც სისტემატურად ვწერდი წერილებს ლიტერატურულ საკითხებზე და ვხელმძღვანელობდი რუბრიკას – „დიდი ქართველი ინტელიგენცია“» (კუჭუხიძე 1985: 208-218).

შემდეგ ილია კუჭუხიძე გაზეთ „*საქართველოში*“ მუშაობის ამბებს იხსენებს და ჩვენ წინ წარმოდგება სურათები, თუ როგორ იღვწოდნენ ქართველები, რომ საქართველოს დამოუკი-

დებლობა აღედგინა, ამ გაზეთის (და ჟურნალ – „*ქართველი ერის*“) გარშემო ის პოლიტიკური წრეები, იმ მოღვაწეთა უმეტესობა, იყო შემოკრებილი, რომლებიც ცდილობდნენ, რომ საქართველოს გერმანიის მიერ ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმის დამარცხებით დაებრუნებინა თავისუფლება. მაშინდელი ცხოვრების სურათს კარგად აცოცხლებს მემუარების ავტორის ეს მოგონება:

«ერთხელ ბერლინში, ეს იყო 26 მაისს, არ მახსოვს, რომელ წელს, გაიოზ მაღლაკელიძის თაოსნობით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება მოეწყო. დარბაზი გერმანული და ქართული დროშებით იყო მორთული. მოვიდნენ გერმანელი ოფიცრერები, ჯარისკაცები, ბერლინში არსებული ქართული ეროვნული კომიტეტის მთელი შემადგენლობა პროფესორ მიხეილ წერეთლის მეთაურობით, აქ იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესბუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჩკორი, საქართველოს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სპირიდონ კედია, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, ჟურნალისტი და მწერალი დავით (დათა) ვაჩნაძე, ალექსანდრე ასათიანი... აქ იყო ზონდერფიურერი ლუდერსენი, რომელიც ყველა ეროვნულ რედაქციას ხელმძღვანელობდა. ეს ლუდერსენი მეტად სიმპატიური ადამიანი გახლდათ, – მშვენიერი აგებულების კაცი, ნამდვილი ქართული ულვაშები ჰქონდა, გვეტყოდა ხოლმე: „ვგავარ ხომ ქართველსაო?“ ამ შეკრებაზე მე გავაკეთე მოხსენება – „საქართველო-გერმანიის ურთიერთობა 1918 წელს“. მოხსენების დამთავრების შემდეგ ლუდერსენი ღიმილით მეკითხება: – „რამდენი მილიონი არიან ქართველები?“ – დაახლოებით ოთხ მილიონამდე მეთქი; – „თქვენ ისე გმირულად და მებრძოლი განწყობილებით საუბრობდით, მეგონა, 40 მილიონამდე ხართ! კარგად ილაპარაკეთ“! – ეს მე კი არ ვიყავი კარგი მოლაპარაკე, ბატონო ზონდერფიურერო, არამედ, – ჩვენი ერის სამიათასწლოვანი ისტორია მეთქი».

შეკრების შემდეგ კონცერტიც გამართულა, მის ერთ მომენტს სევდანარევი იუმორით იხსენებს ავტორი: „პოლონეთიდან,

სოფელ კრუჩინადან, შოთა აბაშიძემ ჩამოიყვანა მოცეკვავეთა ანსამბლი, – მამაკაცთა გუნდი. მოცეკვავეთა გუნდში ერია თითო-ოროლა ქალიშვილი, მაგრამ ესენი იყვნენ ახალგაზრდა ლეგიონერები, – მოკაზმულნი ქალურ ტანსაცმელში“ (კუჭუხიძე 1985: 222-224).

ისტორიოგრაფიისათვის ძალზე საინტერესო და ღირებულია ილია კუჭუხიძის ერთი მოგონება, რომელიც ხსენებულ მემუარებში შესული არაა, ეს არის გერმანიიდან ავტორის მიერ გამოგზავნილი ხელნაწერი, უფრო ზუსტად, მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი (ამ დროს უკვე 90 წელს იყო მიტანებული), რომლის პუბლიკაცია 1992 წელს გურამ შარაძემ დაიწყო:

«როგორც ცნობილია, მოსკოვის მისადგომებთან ბრძოლის დროს გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდათ საბჭოთა არმიის გენერალ-ლეიტენანტი ანდრეი ვლასოვი. მან რუსი სამხედრო ტყვეებისაგან მილიონიანი არმია შეადგინა, სახელწოდება ამ არმიისა იყო „როა“, რაც რუსულად ნიშნავს: „რუსსკაია ოსვობოდიტელნაია არმია“. გენერალ ვლასოვს თავის არმიაში ეროვნული ნაწილების შეერთება უნდოდა, ეს იყო ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული და სხვა ეროვნული ნაწილები. ამ მიზნის მისაღწევად ვლასოვმა ყოველგვარ ღონისძიებას მიმართა. მას ამის თაობაზე შეხვედრა და მოლაპარაკება გერმანიის რაიხსკანცლერ ჰიმლერთან ჰქონდა:

*„დილის 10 საათზე ჰიმლერმა მიიღო ვლასოვი, მაგრამ განაცხადა, რომ სურს მხოლოდ მასთან შეხვედრა, მარტო... მოლაპარაკებას გერმანელი პოლკოვნიკი – მთარგმნელი კრეტერი ესწრებოდა. ჰიმლერი მეგობრულად შეხვდა ვლასოვს და უთხრა: – მე თქვენ შესახებ კარგად ვარ ინფორმირებული... მე ვესაუბრე ფიურერს... იმისათვის, რომ ჩვენს მიზანს მივაღწიოთ, საჭიროა, ყველა ეროვნული მოხალისე შენაერთი და ჯგუფი, რომელიც გერმანულ ჯარში იმყოფება, როას შეუერთდეს»** «ქართველმა ლეგიონერებმა კარგად იცოდნენ, თუ

---

* აქ ილია კუჭუხიძეს წიგნის სათაურის ქართულ ენაზე დასახელებით /„*მიწისათვის, თავისუფლებისათვის*“/ მითითებული აქვს კრომიადი 1980: 166; *კონსტანტინ კრომიადი ანდრეი ვლასოვის* არმიის შტაბის კომენდანტი და მისი პირადი კანცელარიის უფროსი, **ამ მოვლენებთან ახლოს მყოფი და მათი უშუალო მომსწრე გახლდათ**.

რა იყო რუსული არმია, თუ რა არაადამიანურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საბჭოთა არმიაში, არა მარტო ქართველები, არამედ, სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ჯერ კიდევ ომის დაწყებისთანავე სამხედრო ნაწილებში ქართულად ლაპარაკი აკრძალეს, ჯარისკაცებმა რუსული ენა არ იცოდნენ და ბრძანებისას: „ნა პრაავო!“ მარცხნივ ბრუნდებოდნენ... ეს კიდევ არაფერი: „ნაცმენებს“ ეძახდნენ არარუსებს. როცა გენერალი ვლასოვის განზრახვის შესახებ შეიტყეს ლეგიონერებმა, ყალყზე შედგნენ: გვირჩევნია, უკან, სამხედრო ბანაკში, დაგვაბრუნონ, ვიდრე – ვლასოვის მიერ შედგენილ რუსულ არმიაშიო. *„რუსების დამპყრობელობა აქაც არ ისვენებს, იქ თუ ქვეყანა შთანთქეს, აქ ვლასოვის არმია უპირებს ჩვენს ეროვნულ ნაწილებს იმასვე“* (ციტირებისას მითითებულია შენგელია 1984: 40-41).

გაზეთ „საქართველოს“ თანამშრომლები, წინა რიგში (მარცხნიდან მარჯვნივ): ლეო მეტრეველი, კარლო ინასარიძე, გაიოზ მაღლაკელიძე; უკანა რიგში: ილია ტატიშვილი, ლეო ხუროძე, დავით მარჯანიშვილი, ილია კუჭუხიძე, შალვა მეტრეველი; ბერლინი (ფოტო ეკუთვნის გიორგი მამულიას)

ერთხელ გაზეთ „საქართველოს“ მთავარმა რედაქტორმა გაიოზ მაღლაკელიძემ თავის კაბინეტში გამომიძახა და მითხრა: „ზეგ პოტსდამში რედაქციების წარმომადგენლებს ეროვნული ნაწილების შემდგომი არსებობის თაობაზე თათბირი ექნებათ, მე აღმოსავლეთ საქმეთა სამინისტროში ვარ გამოძახებული, ხსენებულ თათბირს რედაქციიდან თქვენ დაესწრებითო“.

ეს იყო მგონი 1943 წელს. მოხსენება გენერალ ვლასოვის არმიასთან შეერთების შესახებ ვიღაც ბობოლა სამხედრო პირმა გააკეთა. იგი ბალტიელი იყო, რუსულ ენას საუკეთესოდ ფლობდა, მან თქვა:

„აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია ეროვნული ნაწილებისა და დანაყოფების როას შემადგენლობაში შეერთება, ჩვენ: პრუსიელები, ბავარიელები, საქსონელები, შვაბები, რაინლანდელები ხომ ერთად ვართ ერთ გერმანულ არმიაში, ასევე მოხალისე ეროვნული ნაწილებიც როას შემადგენლობაში უნდა იყონ... ძალიან გვინდა, ამ საკითხზე თქვენი აზრი მოვისმინოთო“.

პირველად სიტყვით გამოვიდა ჩრდილო-კავკასიურ გაზეთ „ღაზავათის“ მთავარი რედაქტორი აბდურაჰმან ავტორხანოვი, რომელმაც აღნიშნა:

„ვლასოვი ებრძვის სტალინის დიქტატურას, ჩვენც ვიბრძვით ამ დიქტატურის წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენი მიზანი არის დამოუკიდებლობა, რისი გაგონება გენერალ ვლასოვს და მის თანამოაზრეთ არ სურთ“.

ავტორხანოვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა თურქესტანის რედაქციის წარმომადგენელი, რომლის გვარი სამწუხაროდ არ შემორჩა ჩემს მეხსიერებას:

„ჩვენი ბრძოლის მიზანი თურქესტანის დამოუკიდებლობის აღდგენაა... ჩვენი ეროვნული ნაწილები არ უნდა შეუერთდეს როას“...

მე ჩემს სიტყვაში აღვნიშნე:

ღრმად პატივცემულო ბატონო!

თქვენ ბრძანეთ, რომ პრუსიელები, შვაბები, ბავარიელები, საქსონელები, რაინლანდელები გერმანულ არმიაში იმყოფებიან, რაც სავსებით ნორმალურია, რადგან ისინი გერმანელები არიან. ჩვენ, ე. ი. ქართველები, არ ვართ რუსები... საქართველო რუსეთი არ არის... ჩვენ ხმელთაშუა ზღვის რე-

გიონს ვეკუთვნით... მე-12 საუკუნეში საქართველო კავკასიური მასშტაბის იმპერიულ სამეფოს წარმოადგენდა, საქართველო ორ ზღვას შუა იყო გადაჭიმული... მრავალ მტერთან ბრძოლაში იგი დასუსტდა, მას მფარველობის ხელი ცარისტულმა რუსეთმა გაუწოდა და 1783 წელს მასთან ხელშეკრულება დადო. ეს ერეკლე მეორის მეფობის დროს მოხდა. ეს ის ქართველი მეფეა, რომლის შესახებაც პრუსიის მეფე ფრიდრიჰ დიდმა ბრძანა: „მე ვბრძანებლობ ევროპაში, ხოლო აზიაში ერეკლეო“. ცარისტულმა რუსეთმა 1801 წელს ხელშეკრულება დაარღვია და საქართველოს სამეფოს ანექსია მოახდინა. 117 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ მას ხელი როდი აუღია თავისუფლებისათვის ბრძოლაზე! აქ მახსენდება დიდი გოეთეს სიტყვები: „მხოლოდ ის არის ღირსი სიცოცხლისა და თავისუფლების, ვინც მისთვის ყოველდღიურად იბრძვის!“. ქართველმა ერმა იბრძოლა... დადგა დღე და 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მას მაშინ მფარველად მოევლინა კაიზერ ვილჰელმის გერმანია, რომლის გარეშეც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა...

ღრმად პატივცემულო ბატონო!*

გენერალი ვლასოვი რუსია... იგი ებრძვის სტალინურ ბოლშევიზმს, მაგრამ ვლასოვი საქართველოს დამოუკიდებლობას არ დაუშვებს... მისი განზრახვა სწორედ რუსული იმპერიალიზმია, ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებით მომხრე ვლასოვის არმიასთან შეერთებისა! ჩვენ რედაქციაში მოგვდის აუარებელი წერილი ლეგიონერებისგან, რომლებიც გვწერენ: „გვირჩევნია, სამხედრო ტყვეთა ბანაკში დაგვაბრუნონ, ვიდრე ვლასოვის არმიაში მოგვაქციონ!“. თუ გნებავთ, შემიძლია გაგაცნოთ ზოგიერთი წერილი... გმადლობთ ყურადღებისთვის!

„არ არის საჭირო“, – თქვა გერმანული მხედრიონის წარმოგზავნილმა. მთელი ხნის განმავლობაში იგი თავის უბის წიგნაკში შენიშვნებს აკეთებდა» (გამოსვლის სრული ტექსტი იხ. – კუჭუხიძე 1992).

---

* ხაზგასმა ავტორისაა; ჩანს, მტკიცე პოზიციის წარმოსაჩენად გამოკვეთილად წარმოთქვა ეს სიტყვები.

შემდეგ ავტორი განაგრძობს: «განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სომხურ გაზეთ „ჰაიასტანის“ რედაქციის წარმომადგენლის, ნიჭიერი პოეტის, ვაჰან შაუნის მგზნებარე სიტყვა და ბრწყინვალე გამოსვლა. ასე რომ, გენერალ ვლასოვის რუსული იმპერიალისტური შემოტევა ჩაიშალა» (კუჭუხიძე 1992).

ამგვარი რანგის შეხვედრები, ცხადია, ტყუილად არ იმართებოდა, – ჩანს, იმ დროს ჯერაც ძლიერი იყვნენ გერმანიის ხელისუფლებაში მყოფი ის ძალები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობის გადაცემას უჭერდნენ მხარს და ხსენებულ შეხვედრაზე საბჭოთა ხალხების სურვილის დემონსტრირება მოხდა იმ ძალთა წინაშე, რომელთაც სურდათ, რომ გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში ყოფილი საბჭოთა ხალხები რუსეთის შემადგენლობაში შეეყვანათ და რომლებსაც, როგორც ვხედავთ, ჰიმლერი უჭერდა მხარს. ცნობილია, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ 1944 წელს მოწყობილ შეთქმულებაში ცარისტული რუსეთის დროს ტფილისის გუბერნიაში გერმანიის ვიცე-კონსულმა, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში გერმანიის წარმომადგენელმა საქართველოში და შემდგომში გერმანიის ელჩმა საბჭოთა კავშირში, ძალიან გავლენიანმა დიპლომატმა, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ერთ-ერთმა მოთავემ და მისი ოფიციალურად აღიარების ძალიან დიდმა ხელშემწყობმა, შეიძლება ითქვას, – საქართველოს ერთგულმა მეგობარმა,

გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგი

გრაფმა ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგმაც მიიღო მონაწილეობა, რის გამოც დახვრიტეს იგი, მართალია, ამ შეთქმულებაში მონაწილეობა ვერ დაუმტკიცდა, მაგრამ სხვა ანტიჰიტლერულ ქმედებაში დაადანაშაულეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ქართველთა მიმართ კეთილად განწყობილ ადმირალ *ვილჰელმ კანარისს*, შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სიკვდილით დასაჯეს მაიორი *გრაფი კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგი* (ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ეს ადამიანი ჰიტლერს დაუპირისპირდა, ებრაელთა და სხვა ხალხთა ხოცვა იყო, იგი საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას უჭერდა მხარს) და სხვები (ქართულ ემიგრაციასთან დაკავშირებულ ხსენებულ და სხვა პიროვნებათა, საერთოდ, ამ საკითხების შეს. იხ. დაუშვილი 2011...), ასეთმა ფაქტებმა, ცხადია, შემდგომში შეასუსტა ის გერმანული ძალები, რომლებიც საბჭოთა რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის აღდგენას უჭერდნენ მხარს... ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგს, კლაუს შენკ ფონ შტაუფენბერგს ჰიტლერი გერმანიისათვის უბედურების მომტანად მიაჩნდათ და, შესაძლოა, იმ დროს, როცა შეთქმულებას აწყობდნენ, საბჭოთა ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მოპოვების გზაც უკვე სულ სხვაგვარად ესახებოდათ... ვფიქრობთ, ხსენებული ასპექტიდან ამ და გერმანიის მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელ სხვა პიროვნებათა მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები ისტორიკოსთაგან სულ უფრო გაღრმავებულ შესწავლას საჭიროებს...

ლეგიონერთა გაზეთ „*საქართველოში*“ ყოველთვის საქართველო, მისი ისტორია და კულტურა იყო უმთავრესი ყურადღების ცენტრში. როცა მის სხვადასხვა ნომრის მასალებს ყურადღებით გაეცნობა მკითხველი, როცა იმასაც შეიტყობს, თუ ვინ არიან ნაშრომთა ავტორები, გასაგები გაუხდება, რომ საქართველო ყოფილა ამ გაზეთის მესვეურთა ნამდვილი საზრუნავი, აქ ნახავთ: *ზურაბ ავალიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, მიხეილ (მიხაკო) წერეთლის, ვიქტორ ნოზაძის, გრიგოლ რობაქიძის, კალისტრატე სალიას, დავით (დათა) ვაჩნაძის, გიგო დიასამიძის, ნიკო იმნაიშვილის, ლეო ხუროძის* და სხვათა ნაღვაწს; მწერალთა სახელები, ცხადია, უმეტეს შემთხვევაში,

ფსევდონიმებშია მიმალული [გაზეთ „*საქართველოს*“ 100-ზე მეტ ნომერში გამოქვეყნებულია: *ექვთიმე თაყაიშვილის „გიორგი მეფის ერთი ფულის შესახებ“ (სამეცნიერო შენიშვნა), ზურაბ ავალიშვილის „რუსეთი და საქართველო“ (წერილი), გრიგოლ რობაქიძის „ცხენი გაატყავეს“ (ნაწყვეტი „ჩაკლული სულიდან“), დავით ვაჩნაძის „გერმანული ფურცელი ქართულ ისტორიაში“ (მოგონება), კალისტრატე სალიას (კ. ბოგაშელის ფსევდონიმით) „ეროვნული მთლიანობის იდეა ქართველი ერის ცხოვრებაში“, კ. ს.-ს* (ასევე – *კალისტრატე სალია?*) „*ბოლშევიკები ქართველი ერის ისტორიას ივიწყებენ*“ *(წერილი); რიჰარდ ადელტის** „*სიცოცხლე საქართველოსათვის*“ *(თარგმანი გერმანულიდან), ა. მ.-ს „დიდგორის ომი“ (ნარკვევი), დიმიტრი სინჯიკაშვილის „ჩვენი ბრძოლები“ (მოგონება), გიგო დიასამიძის „მოგონება აკაკი წერეთელზე“, მიხეილ მამულაშვილის (პაატა ვარძიელი) „ვეფხის ტყაოსანი“ (ბიბლიოგრაფია), მისივე: „დედა“ (ნოველა), „გიზელა“ (ესკიზი), „მშობლიური უნივერსიტეტი“ (ქართული კულტურის მატიანე)... გიორგი მაღალაშვილის (გ. ფრონელი)* წერილი *„ქართველებისადმი“, ვიქტორ ნოზაძის „ეროვნული ერთობის საფუძვლები“ (სამეცნიერო ნარკვევი), „განვლილი გზა“* (ნარკვევი), *მისივე (ბ. ვარდანის* ფსევდონიმით) *„ომის მიზანი“, მიხეილ წერეთლის „სამი დროშა“, მ. წ.-ს* (იგივე *მიხეილ წერეთელი?) „ბოლშევიზმის ბრძოლა ერისა და მისი კულტურის წინააღმდეგ“ (გამოკვლევა), გაიოზ მაღლაკელიძის „აგვისტოს აჯანყება“ (მეთაური წერილი), ნიკო იმნაიშვილის „დამოუკიდებელი საქართველო“, პ. ნ.-ს „ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრება“ პ. სარაძის (პავლე სარჯველაძე?)* მოგონებები *„ახლო წარსულიდან“; გელას* (ესეც ფსევდონიმია) *„მოგონებანი ვაჟაზე“*, „ფსევდონიმ *ლ. ლინის* უკან *ლეო ხუროძე* იმალება, მას გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები: *„ვახტანგ გორგასლანი“, „ბაგრატ დიდი“, „დავით აღმაშენებელი“, „თორნიკე ერისთავი“, „თამარ მეფე“, „გიორგი მეთორმეტე“ (ისტორიული ქრონიკა), „სისხლი უდუღს“ (ნოველა), „გულდაი“ (ნოველა)]; ი. კოლხელი* იგივე *ილია კუჭუხიძეა*, გაზეთში ამ ფსევდონიმით არის დაბეჭდილი მისი: *„ქართული თეატრი“ (ნარკვევი), „აკაკი წერეთელი“ (წერილი), „საქართველო და რუსეთი“ (ნარკვევი), ი. ოდიშელიც*

* იგი ამ გაზეთის სამხედრო კორესპოდენტი გახლდათ.

ილია კუჭუხიძის ფსევდონიმია და ამ სახელით აქვს გამოქვეყნებული *„ინგლისი და საქართველო“ (ნარკვევი), ი. დურუჯელის* ფსევდონიმით დაბეჭდილია მისი: *„გიორგი ლასხიშვილი – დიდი ქართველი მოღვაწე“ (ნარკვევი),* წერილი *„ნიკო ნიკოლაძის 100 წლისთავის გამო“, „გიორგი წერეთელი“ (ნარკვევი)...* (ილია კუჭუხიძის სხვა ფსევდონიმებია: *ლაშა ეგრისელი, ი. კ., იმერიძე...* ძირითადი – *მინდია ლაშაური* და *ალეკო ლორია (ი. დურუჯელი* იმიტომ შეირქვა, რომ ახალგაზრდობაში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებულ კორპორაცია „*დურუჯის*“ იდეური მხარდამჭერი გახლდათ...), მას, ისევე, როგორც, საერთოდ, ემიგრანტთა უმეტესობას, ფსევდონიმები, ცხადია, უპირველესად საქართველოში დარჩენილი ოჯახისა და ახლობლების უსაფრთხოების დასაცავად ესაჭიროებოდა, თბილისში ცხოვრებისას, როცა ვინაობის დამალვა არ იყო საჭირო, პუბლიკაციებზე ხელს ზოგჯერ ასე აწერდა – *პოლიო კუჭუხიძე* (რამდენადაც ვიცით, სიყმაწვილეში *ფარცყანიშვილის* ფსევდონიმითაც წერდა, როგორც გაგვიგონია, ქუთაისის გიმნაზიის /ადრე მას *ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია* ეწოდებოდა, ამჟამად *იოსებ ოცხელის* სახელობისაა/ მოსწავლეებს ხელნაწერი ჟურნალი ჰქონდათ დაარსებული, თუ სადმე არის ეს ჟურნალები შემონახული, შესაძლოა, იქ აღმოჩნდეს ამ ფსევდონიმით, ან *პოლიო კუჭუხიძის* სახელით, ხელმოწერილი ლექსი, მოთხრობა ან წერილი; ზემოთქმულს დავამატებთ, რომ, როგორც თვითონვე წერს, ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეებს დაუარსებიათ ხელნაწერი ჟურნალი, სახელად – „ჩირაღდანი“).[1]

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ილია კუჭუხიძე პარალელურად მუშაობდა ჟურნალ „*ქართველ ერში*“, იყო მისი პასუხისმგებელი მდივანი (ი. დურუჯელის ფსევდონიმით); სიყვარულით იგონებს იგი ხსენებული ჟურნალის თანამშრომლებს, აღნიშნავს *ვიქტორ ნოზაძის* იმ განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ, რაც მას ჟურნალის სარედაქციო მუშაობაში გაუწევია. ამ ჟურნალის შესახებ *გურამ შარაძე წერს: „ქართველი ერის“ მთავარი რედაქტორი იყო გიორგი მაღალაშვილი (გ. ფრონელი), ხოლო ფაქტიური რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე. ჟურნალ „ქართველ ერში“ 1942-1944 წლებში თანამშრომლობდა მთელი ელიტა მაშინდელი ქართველი ემიგრაციისა: გრიგოლ რობაქიძე, აკაკი პა-*

პავა, ტიტე მარგველაშვილი, გიგო დიასამიძე, რევაზ გაბაშვილი, ისიდორე მანწკავა, დავით საღირაშვილი და სხვები“ (შარაძე 1991: 591). ბერლინში არსებობდა ქართული სტამბა, *არჩილ მეტრეველის* მიერ დაარსებული, და გაზეთიცა და ჟურნალიც სწორედ იქ იბეჭდებოდა.

ჟურნალ „*ქართველი ერის*“ მასალების შესწავლა და გამოქვეყნება, საერთოდ, ამ ჟურნალისა და მის ავტორთა შესახებ საუბარი ცალკე ნაშრომებში იქნება საჭირო (ცხადია, იგივე ითქმის გაზეთ „*საქართველოში*“ დაბეჭდილ ნაშრომთა და მათ ავტორთა შესახებ), მაგრამ იქიდან, რაც წარმოვადგინეთ, ვფიქრობთ, უკვე სრულიად ნათლად ჩანს, რომ ორივე პერიოდიკაში მოღვაწე პიროვნებები საქართველოს პატრიოტები არიან და არ უნდა დაგვაბნიოს ისეთმა ფოტოსურათებმა, როგორიც წინამდებარე სტატიას დავურთეთ და რომლიდანაც გერმანულ სამხედრო ფორმებში შემოსილი ქართველები მოჩანან (ცხადია, ისინი შინ ინახავდნენ ასეთ ფოტოებს და იმ დროს არსად არ აქვეყნებდნენ); ქართველი ლეგიონერები (ყოველ შემთხვევაში – ეს მათ უმეტესობას ეხება) ჰიტლერის ნაციონალ-სოციალიზმით კი არ იყვნენ აღფრთოვანებულნი, – მათ გერმანიის საშუალებით საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევა სწადდათ (ქართველი მეფეები ზოგჯერ თუ ოსმალეთის დახმარებით ირანს ებრძოდნენ, ზოგჯერაც პირიქით ხდებოდა, – ირანის მეშვეობით ცდილობდნენ ოსმალთაგან გათავისუფლებას; გერმანიის მხარეს მყოფი ის ქართველებიც, რომელთა შესახებაც აქ ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, დაახლოებით ამ კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ); თვითონ ილია კუჭუხიძე „*გერმანული ჩანაწერების*“ დასაწყისში წერს, რომ მტრის მტერი ესახებოდა იმედად, გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის იდეები ნამდვილად არ ყოფილა მისი სულიერი შთაგონებისა და აღმაფრენის წყარო, არჩილ ჯორჯაძის მიერ დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი გახლდათ და არა – გერმანიის ნაციონალ-სოციალისტურისა, ამ პარტიით არც იგი ყოფილა გატაცებული და არც მის გვერდით მოღვაწე ქართველთა უმეტესობა (მათგან ზოგი ეროვნულ-დემოკრატი, ზოგი „მენშევიკი“, ანდა – უპარტიო იყო), საქართველოს თავისუფლებისთვის ცხოვრობდნენ და გერმანიის გამარჯვების შემთხ-

ვევაში სამშობლოს დამოუკიდებლობის შანსს ტოვებდნენ; ასეთ ვითარებაში ისინი მეტის გაკეთებას შეძლებდნენ საქართველოს გადასარჩენად, ვიდრე – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნაბრძოლი საბჭოთა ჯარის ქართველი მეომრები; საბჭოთა მეომართა შესახებ ჩვენი პირადი დამოკიდებულების შესახებაც გარკვევით უნდა ითქვას: – ისინი, ცხადია, თავიანთი ბრძოლით დამოუკიდებლობის მოპოვებაში ვერ შეეწეოდნენ საქართველოს, მაგრამ ფაშისტური გერმანიის დამარცხება თავიანთ წმიდა მოვალეობად მიაჩნდათ და ასრულებდნენ ამ მოვალეობას, ქართველობისთვის საბჭოთა ჯარში სამსახურისაგან თავის არიდების მასობრივი სურვილი რომ შეემჩნიათ, მკაცრად დაისჯებოდა ეს ქვეყანა და, თუ ადრე, ვთქვათ, ყირიმელ თათრებსავით მთლიანად არ გაასახლებდნენ ქართველებს სამშობლოდან (ობიექტურნი უნდა ვიყოთ და აღვნიშნავთ, რომ სტალინი და ბერია ამას ნამდვილად არ დაუშვებდნენ... სხვა თუ არაფერი, „მოღალატე ერის“ შვილის არაოფიციალურ „სტატუსს“, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ შეიძენდა ადამიანი, ვინც ხალხთა ბელადის სახელით იყო ცნობილი, ეს გამორიცხულია), მოგვიანებით, იქნებ, რაიმე მიზეზი მოედოთ და ამგვარი საშიშროებაც დამდგარიყო (აკი, 1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვს დაებადა კიდეც საქართველოდან ქართველთა ერთიანად გასახლების სურვილი...), გმირები რომ იყვნენ ქართველი საბჭოთა მეომრები, ეს ცხადია და მათი თავდადების დავიწყება არაფრით არ შეიძლება, მაგრამ გმირები იყვნენ ისინიც, ვინც გერმანიის დახმარებით საქართველოს გათავისუფლებისათვის იღვწოდნენ, ვიმეორებთ, ომში გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს გადარჩენის შანსს ტოვებდნენ ისინი და არც ეს უნდა დავივიწყოთ; აქვე ვიტყვით: ცნობილია ის განსაკუთრებული როლი, რაც ქართველ ებრაელთა გადარჩენის საქმეში მიუძღვით გერმანიის საშუალებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების მეცადინე ადამიანებს (*მიხეილ კედია, მიხეილ ალშიბაია, გივი გაბლიანი, იოსებ ელიგულაშვილი, გიორგი მაღალაშვილი*...), – მათ დაარწმუნეს გერმანელები, რომ რასიულად ჩვეულებრივი ქართველები იყვნენ ისინი, ვისაც *ქართველ ებრაელებს* ეძახიან საქართველოში და მათ წინაპრებს მხოლოდ სჯული ჰქონდათ მიღებული იუდაური (რო-

გორც ვიცით, ქართული სამოკავშირეო შტაბის ხელმძღვანელს – *მიხეილ კედიას* ამის გამო „*ქართველი შინდლერიც*“ შეარქვეს); ქართველ ებრაელთა გარდა, სხვა ეროვნების ებრაელების დახსნაც შეძლეს მათ (ამ საკითხებზე იხ. – ჯავახიშვილი 2011), ამას გარდა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ საკონცენტრაციო ბანაკებიდან დაეხსნათ ქართველები და სხვა კავკასიელები და მათი სიცოცხლის გადასარჩენად ქართულ ლეგიონში ჩაერიცხათ ისინი, კარგად იცოდნენ, თუ რა საშინელებაც ელოდათ ბანაკში ჩარჩენილ ტყვეებს, უამრავი სასიკვდილოდ განწირული გადაარჩინეს სიკვდილს; ტყვედ ჩავარდნილებს და შემდეგ ლეგიონში გადაყვანილებს ოფიციალური უფლება ჰქონდათ, რომ არასაომარ ნაწილებში ემსახურათ და საბრძოლო მოქმედებებში არ მიეღოთ მონაწილეობა; საერთოდ, ქართული ლეგიონი გერმანელებს ბრძოლაში გამოსაყენებელ საიმედო ძალად არ მიაჩნდათ და, ამდენად, ლეგიონერთათვის არსებობდა კარგი საშუალება, არ ებრძოლათ და მხოლოდ ფორმალურად ეტარებინათ გერმანული სამხედრო ფორმა; ქართული ბატალიონები ჩრდილო კავკასიაში ძირითადად სტრატეგიული ობიექტების მწყობრიდან გამოსაყვანად გამოიყენეს, შემდეგ კი უმეტესწილად პოლონეთში და, საერთოდ, ფრონტის უკანა ხაზებზე გადაიყვანეს ისინი, გერმანელები უნდობლად უყურებდნენ მათ, რადგან ჩრდილო კავკასიაში ბრძოლის დროს ბევრი ლეგიონერი საბჭოთა მხარეს გადადიოდა (ის საკითხიც შესასწავლია, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოღვაწეთა დამსახურებაც ხომ არ არის, რომ მებრძოლ ძალად არ მიაჩნდათ გერმანიაში ეს ლეგიონი, – ისინიც ხომ არ უხსნიდნენ გერმანელებს, რომ ქართველებს ეშინოდათ, თანამემამულეებიც არ აღმოჩენილიყვნენ ბრძოლის დროს მათ მოწინააღმდეგეთა შორის, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ ბრძოლის სურვილი არ ჰქონდათ ყოფილ ტყვეებს), ქართველი ემიგრანტები იმედოვნებდნენ, რომ ომში გერმანიის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა გამარჯვების შემთხვევაში ისინი მაინც არ დაისჯებოდნენ, ვინც სიცოცხლის გადასარჩენად ფორმალურად მიიღეს გერმანული ჩინი, ვისაც არავინ ავალდებულებდა ბრძოლას, ვინც პოლიტიკაში საერთოდ არც ყოფილან გარეულნი, ან სულაც კომუნისტური სულისკვეთებისანი იყვნენ, სტალინს უარი

ჰქონდა ნათქვამი საბჭოთა ტყვეთა პატრონობაზე, მაგრამ ძნელი დასაჯერებელი გახლდათ, რომ გერმანიის დამარცხების შემთხვევაში რუზველტი და ჩერჩილიც იმათაც კი არ დაიცავდნენ, ვისაც ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ არც ეროვნული დამოუკიდებლობისათვის უღვაწია და არც ეროვნულ ჟურნალ-გაზეთებში უწერია სტატიები (ზოგი ყოფილი ტყვე მხოლოდ იმას აშავებდა, რომ ლეგიონის ხალხურ ანსამბლში ცეკვავდა), რომ მათ რეპატრიაციაზე თანხმობის შემთხვევაში იმის მტკიცე გარანტიასაც კი არ მოითხოვდნენ საბჭოთა მხარისგან, რომ ისინი მაინც არ დასჯილიყვნენ ომის დამთავრების შემდეგ, ვისაც მხოლოდ იმიტომ ეცვათ გერმანული სამხედრო ტანსაცმელი, რომ ტყვეთა ბანაკებისაგან დაეღწიათ თავი და ფორმალურად ერქვათ ლეგიონის ჯარისკაცები (ქვემოთ ვნახავთ, რომ სტალინთან ერთად რუზველტსა და ჩერჩილსაც მწვავედ აკრიტიკებს ილია კუჭუხიძე); საუბედუროდ, საბჭოთა კავშირში დაბრუნების მერე სრულიად ფორმალურ ლეგიონერთა უმეტესობაც ვერ გადაურჩა რეპრესიებს, თუმც, მთავარი ის იყო, რომ დახვრეტა მაინც აღარ ელოდათ ამ ადამიანებს და სიცოცხლე რომ გადაურჩათ ბანაკებიდან გამოყვანითა და ქართულ ლეგიონში ჩაწერის საშუალებით, ეს არაერთ შემთხვევაში ხსენებულ ქართველ მოღვაწეთა დამსახურებაც არის და არც მისი დავიწყება ეგების ჩვენგან; ერთ გარემოებაზეც გავამახვილებთ ყურადღებას: გერმანიის დახმარებით საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მეცადინე ქართველები ბოლშევიკურ-კომუნისტური წყობილების წინააღმდეგნი კი იყვნენ, მაგრამ რუსოფობიით, ან რომელიმე სხვა ხალხის სიძულვილით არ ყოფილა მათი უმეტესობა დაავადებული, ყოველ შემთხვევაში, თვითონ ილია კუჭუხიძე, როცა უარყოფით კონტექსტში ახსენებს რუსებს, რუსული იმპერიალიზმით დასნეულებულ და ქართველთა და სხვა ხალხთა მოძულე ადამიანების ცოდვაზე აქვს ყურადღება გადატანილი და, ცხადია, მის ნაწერში სრულებით არ იგულისხმებიან ის კეთილი, უბრალო რუსი თუ სხვა ეროვნების ადამიანები, რომელნიც იმპერიალისტური სულისკვეთებითა და სხვა ერებისათვის საკუთარი სახის წართმევის სურვილით არ ყოფილან აღვსილნი და მართლა უყვარდათ საქართველოცა და სხვა ქვეყნებიც (აქ წარმოდგე-

ნილ მასალაშიც ვნახეთ, რა სიყვარულით წერს ავტორი უკრაინელ ქალებზე, რომლებიც ბანაკში დატანჯულ ტყვეებზე ზრუნავდნენ); მაგრამ თავისი სიტყვით ძალზე უკომპრომისო ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოს საწინაამღდეგო ქმედებას ხედავდა ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლის მხრიდან, განსაკუთრებით სამშობლოს ერთიანობის ხელყოფა, კუთხეებად დაჩეხვის სურვილის დანახვა იყო მისთვის შემზარავი ფაქტი, ილია კუჭუხიძის უმთავრესი დევიზი გახლდათ: **„საქართველო უპირველეს ყოვლისა!“**, როგორც ზემოთაც ითქვა, წლების განმავლობაში სწორედ ამ სიტყვებით იწყებოდა მისი საუბარი „*რადიო თავისუფალ ევროპაში*“ (ბოლო რამდენიმე წელიწადი მის წერილებს *ნუგზარ შარია* კითხულობდა), შემონახულია ოჯახში გამოგზავნილი წერილიც, რომელშიც შვილიშვილს სწერს, – „*მარად გახსოვდეს, – საქართველო უპირველეს ყოვლისა*!“ საკუთარი ერის **ნამდვილი** სიყვარული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების, სხვა ერების კულტურული ღირებულებების სიყვარულს რომ თავისთავად გულისხმობს, ეს მის ნაწერებში ხშირად ჩანს; მძიმე ასატანი იყო მისთვის, როცა სულიერი კულტურის ნაკლებობას ხვდებოდა სადმე, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, როგორ უძნელდებოდა ცხოვრება, როცა მხეცურობამდე დასულ არაადამიანურობასთან უხდებოდა შეხვედრა.[2]

რადგან წინამდებარე წერილში ქართველ ემიგრანტთა და ლეგიონერთა ომისდროინდელი ცხოვრების პერიოდზე ვამახვილებთ ძირითად ყურადღებას, ისევ უშუალოდ ომზე გადავიტანთ სიტყვას.

ომის დამთავრების შემდეგ ავსტრიაში, ზალცბურგში, გადავიდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველთა უმეტესობა, მერე კი ზემო ბავარიის სოფელ რუპოლდინგში იმალებოდნენ ისინი. სამშობლოში დაბრუნება, დახვრეტის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში გადასახლების ტოლფასი იყო.

„საბჭოთა არმია ბერლინს მიუხლოვდა. 50 კილომეტრიღაა ბერლინამდე. ქართველობა აიყარა და ავსტრიის სხვადასხვა ქალაქში გადაიხიზნა. გავიდა უკანასკნელი მატარებელი ბერლინიდან და მიმართულება ზალცბურგისაკენ აიღო. ეს ქალაქი ავსტრიაშია და საოცრად ჩამოჰგავს ქუთაისს“ (კუჭუხიძე 1993

ა). ქუთაისის მონატრების გამო მასთან მიმსგავსებული ზალცბურგის ხსენების შემდეგ ავტორი წერს:

«აქ არიან ძველი და ახალი ემიგრანტები, ანუ ყოფილი სამხედრო ტყვეები. ძველი ემიგრანტებიდან არის დავით საღირაშვილი. ერთხელ მას აზრად აეკვიატა: – „გინდა თუ არა, ქართული გაზეთი უნდა გამოვცეო“. თანამდგომად მე ამიყვანა. ნებართვისათვის სათანადო უწყებაში წავედით. ავსტრიელმა მოხელემ თავაზიანად მიგვიღო და თანაც განდობილად გვითხრა: „ვისთვის ან რისთვის გინდათ გაზეთი, ომი დამთავრებულიაო“. ამით გათავდა ეს აქცია.

ზალცბურგში იყვნენ აგრეთვე *რევაზ გაბაშვილი*, რომელიც თავს დასტრიალებდა ყოფილ სამხედრო ტყვეებს და ზრუნავდა მათზე, აქ იყო აკაკი გამსახურდია, – ჩემი სიყრმის მეგობარი, ჩვენ ერთად ვსწავლობდით ბათუმის ყოფილ ვაჟთა გიმნაზიაში და ვეკუთვნოდით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდობის არალეგარულ ორგანიზაციას, რომელსაც ფილიპე შარაძე ხელმძღვანელობდა; აკაკი გამსახურდია იყო ენერგიული ადამიანი და კეთილი; ლტოლვოლობაში იყვნენ ასევე პოლკოვნიკი ფრიდონ წულუკიძე, თენგიზ დადეშქელიანი, გივი გაბლიანი (იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწის – ეგნატე გაბლიანის ვაჟი იყო)... ზალცბურგში იმყოფებოდა სილამაზით განთქმული და ცეკვის ჯადოქარი მარიამ კერესელიძის ასული, მას ბერლინში თავისი როკვით განცვიფრებაში მოჰყავდა გერმანელებიცა და ქართველებიც; ზალცბურგში ხშირად ჩამოდიოდა გაზეთ „საქართველოს“ ყოფილი რედაქტორი გაიოზ მაღლაკელიძე, ლტოლვილობაში იყო აგრეთვე ლულუ ბაგრატიონის ასული, რომელსაც სიყვარულით უფლისწულს ვეძახდით» (კუჭუხიძე 1993ა).

რუპოლდინგს ასე იხსენებს ილია კუჭუხიძე:

«მე დიდხანს არ დავრჩენილვარ ზალცბურგში და საცხოვრებლად რუპოლდინგში გადავედი. ეს სოფელი ზემო ბავარიაში მდებარეობს და ალპებიანი მთის კალთებზეა შეფენილი. მას მდინარე ტრაუნი ჩამოუდის. მოსახლეობა ამ სოფლისა უმთავრესად მესაქონლეობას და ხე-ტყის დამუშავებას მისდევს. სოფელში არის ხე-ტყის სახერხი ორი ქარხანა. ლუკმაპურისათვის ვმუშაობდი ბავარიელ გლეხთან და მასთან ერთად ტყეში ხეს ვჭრიდი.

ერთ მშვენიერ დღეს რუპოლდინგში გამოჩნდა გენერალი შალვა მაღლაკელიძე თავისი მეუღლით და ცხოვრობდა ნოიმაიერის სახლში. ამავე სახლში იმყოფებოდა გრიგოლ ჩომახიძე (გვარი ჩომახად რომ გადაიკეთა).

ბოლოს საიდან სადაო და გამოჩნდა ვიქტორ ნოზაძეც და იმავე სახლში დაიდო ბინა. ვიქტორ ნოზაძე დღე-ღამეს ასწორებდა და დაუღალავად მუშაობდა „ვეფხისტყაოსანზე“. ამ სოფელში ცხოვრობდნენ ლტოლვილები პოლონეთიდან, გვარად ჩერქეზიშვილები, – დედა და შვილი» (კუჭუხიძე 1993ა). «მძვინვარებდა შიში... რომელ წუთს დაგვეცემოდნენ თავს შინსახკომელები, არვინ იცოდა...

სამმა ადამიანმა – რუზველტმა, სტალინმა და ჩერჩილმა – გადაწყვიტა ბედი მილიონი ადამიანისა... სამარცხვინოდ დარჩება მათი საქმიანობა... წყევლა-კრულვით მოიხსენიებს მომავალში ისტორია მათ მიერ ჩადენილ სიბოროტეს და ვერაგობას...

ქალაქ ტრაუნშტადტში მოეწყო საბჭოთა მისია, რომლის მიზანს შეადგენდა ყოფილი საბჭოთა ტყვეების რეპატრიაცია საბჭოთა კავშირში...

შინსახკომის თანამშრომლები ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე რუპოლდინგის სამხედრო კომენდატურას და მცხოვრებთა სიაში იქექებოდნენ... ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაში ქართველები ვიყავით... უკრაინელები თავს აკუთვნებდნენ ავსტრიას როგორც გალიციელები და, ჩვენთან შედარებით, თავს იცავდნენ... ტრიალებდა შიში და იყო ვარამი...

ერთ დღეს, სადილობის წინ, ჩემთან მოვარდა გრიგოლ რობაქიძე და დაიძახა: „აბა, ილიკო, ჩქარა გამოდი... სოფელში შინსახკომელები მოვიდნენ, თავს ვუშველოთო“... უმალ გავიქეცით ორივენი მთებში... სხვათა შორის, აქ, ბავარიის ალპებში, ერთმანეთისაგან მოშორებით პატარ-პატარა ქოხები დგას, შიგ არის ტახტი, ზედ თივაა დაყრილი, არის შეშა და სამი დღის სამყოფი საჭმელი, თუ ვინიცობაა, ვინმე მონადირე ან გზასაცდენილი მოხვდება, დროებით იქ აფარებს თავს... ჩვენც იქ მივაშურეთ; სხვათა შორის, გვყავდა ერთი ბავარიელი მეგობარი, ახალგაზრდა გლეხი, რომელიც თანაგვიგრძნობდა და როცა სოფელში შინსახკომელები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, მაშინვე გვატყობინებდა; ასე შიშში გადიოდა ცხოვრება, თუ შეიძლება, ამას

ცხოვრება უწოდოს ადამიანმა, ყველას გვინდოდა, დაგვეტოვებინა გერმანია და სადმე შორს გავვარდნილიყავით... მე შევძელი ირაკლი ბატონიშვილთან (ირაკლი ბაგრატიონი) შეხვედრა მადრიდში, ვთხოვე, გავეყვანე აქედან, მან ეს მომიხერხა, მაგრამ რიგ გარემოებათა გამო ვერ მოვახერხე წასვლა და ჩავრჩი რუპოლდინგში. ვიქტორ ნოზაძესა და გრიგოლ რობაქიძეს ბედმა გაუღიმა და არგენტინაში გაემგზავრნენ საცხოვრებლად. ვიქტორს საფრთხე არ ელოდა, იგი არ იყო საბჭოთა მოქალაქე, მიზანში ჩვენ ვიყავით ამოღებულნი.

ერთხელ ჩემთან მოვიდა ილო ტატიშვილი, იგი ომის დროს გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში მუშაობდა მხატვრად, მითხრა: „რა ვქნა, რომ ჩამომახრჩონ, ვერ დავბრუნდები საბჭოთა კავშირში, შენ რას იზამო?“ მე ამაზე გადაჭრით მივუგე: „მე არსად მივდივარ, ჩემი გზა გადაჭრილია, ვრჩები აქ, რაც მომივა, მომივა მეთქი“. ერთ დღეს რას ხედავს ჩემი თვალები: ილო ტატიშვილს სტალინის დიდი სურათი დაუხატავს, ხე-ტყის ქარხანაში მომუშავე ქართველებს სატვირთო მანქანა უშოვიათ სადღაც... აღმართეს წითელი დროშა და სტალინის სურათი და წავიდნენ... წავიდნენ და რა დაემართათ მათ სტალინურ „ელდორადოში“, დღემდე უცნობია ჩემთვის»[3] (კუჭუხიძე 1993).

ილია კუჭუხიძის იმდროინდელ განწყობილებას კარგად ამჟღავნებს მისი პირადი წერილი, რომელიც ვიქტორ ნოზაძისადმი გაუგზავნია (ვიქტორ ნოზაძის არქივში დაცული ეს წერილი ემიგრანტული მწერლობის მკვლევარმა *ნათელა ჩიტაურმა* გაგვაცნო, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას), აი, ამონარიდი ამ წერილიდან:

„30. 7. 47.

*ძვირფასო ბიქტორ!**

გუშინ მივიღე თქვენი წერილი სან-დომინგოს წასვლის თაობაზე. ზრუნვისათვის და მოგონებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ ჩემთვის სან-დომინგო მეტად გრძელი გზაა; მე მინდა დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში მოვხვდე: იტალიაში, ან საფრანგეთში. ველოდები დ. საღირაშვილს, ძალიან მინდა იტალიაში წასვლა, იქედან იქნება ბასკების ქვეყანაში მოხერ-

* წერილის ავტორი დასაწყისში ასე წერს სახელს – **ბ***იქტორ.*

ხდეს. რა ვქნა ვიქტორ! არ ვიცნობ წყალგაღმა ქვეყნებს, მათს ენას, ჩვეულებას, არ ვიცი, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა იქ; რომაული ქვეყნები ჩვენთვის ნაცნობი და გასაგებია. კიდევ მადლობა, რომ ყურადღებას იჩენთ ჩემდამი!“

ილია კუჭუხიძე მინდია ლაშაურის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ერთ წიგნში წერს:

„*საქართველო ლამაზი ფერიებისა და პარნასელთა მუზის დაუშრეტელი ქვეყანაა. ქართული რასა მსოფლიოში შვენიერი რასაა და ქართული პოეზიის აღლუმი ძველი რომის ტრიუმფს არ ჩამოუვარდება. ჰუმანიზმი საქართველოში ადრე დაიწყო და ქართული ჰუმანიზმის გვირგვინი არის პარნასელთა მუზის რაინდი პოეტი რუსთავიდან. შოთა რუსთაველის პოეზიას დიდმა თამარმა ჩაუდგა სული, რადგან თამარი იყო და არის ქართული პოეზიის გვირგვინი და ქართული სულის უკვდავება*“ (ლაშაური 1961: 5).

1921 წელსა და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოდან გადახვეწილთათვის სამშობლოს ცნება თითქმის რელიგიური გრძნობის ტოლფასი იყო, სამოთხედ ესახებოდათ საქართველო და რადგან ფიზიკურად ვეღარ ხედავდნენ მას, ქართული სულის, ქართული სიტყვის მსახურებაში პოულობდნენ შვებას, სამშობლო იყო მათი უპირველესი სადარდებელი და მათმა უმეტესობამ საქართველოს ფაქტობრივად შესწირა კიდეც მთელი თავისი ცხოვრება, სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებასა და მის მსახურებაში გალია ეს წუთისოფელი...

ილია კუჭუხიძე საქართველოს უზომო მონატრების გრძნობით სავსე სიტყვებით ამთავრებს ხსენებულ წიგნს, რომლისთვისაც *ქართული სული* დაურქმევია და ჩვენც მისი სტრიქონებით დავასრულებთ ამ წერილს:

„*უბედური ბედის მიერ სამშობლოდან მოწყვეტილებმა ყველაფერი დავკარგეთ: სამშობლო, ‘ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი’... ‘მოდუდუნე მტკვრის’ ნაპირი... აღარ გვესმის აღზევანს მიმავალი ქართველი გულგადაღეღილი გლეხის ურმული... მაგრამ სული ხომ შეგვრჩა, ქართული სული და მისი შვენება – ქართული ენა, რომლითაც დიდმა ილიამ ხალხის გულში უკვდავად გამოაქანდაკა:*

– ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

შენიშვნები:

1. ილია კუჭუხიძის ოჯახი, რომელიც თბილისში ცხოვრობდა, მოგვიანებით მაინც ვერ გადაურჩა რეპრესიებს (ფსევდონიმებით წერა დიდხანს ვერ დამალავდა მის და სხვა ემიგრანტთა ვინაობას...) და მთელი შემადგენლობით (მეუღლე ნატო სოლოღაშვილი, შვილები: ნოდარ და მზია, რძალი ელენე კობიაშვილი და ახალშეძენილი შვილიშვილი ლალი კუჭუხიძე) გასახლებაში იმყოფებოდა სამხრეთ ყაზახეთში (მშობლები იმ დროს ცოცხლები აღარ ჰყავდა), გასახლების ოფიციალურ მიზეზად ომში ოჯახის წევრის უგზო-უკვლოდ დაკარგვა დასახელდა; თავისიანების უსაფრთხოებისათვის მათთან გახსნილ ურთიერთობას ერიდებოდა ილია კუჭუხიძე, წლების განმავლობაში თითქმის არავისთან, არცერთ მეგობართან თუ ნათესავთან, აღარ ჰქონდა კონტაქტი (წერილის გამოგზავნითაც კი საშიშროებას შეუქმნიდა ოჯახს და აქ მყოფ ახლობლებს), რაც სულიერად უმძიმესი ასატანი იყო და გადარჩენისათვის საჭირო მთელი სულიერი ძალების უკიდურეს მობილიზებას საჭიროებდა, გერმანიაში თავისიანებზე საუბარსაც თავს არიდებდა (ამას ისიც დაემატა, რომ 77 წლის ასაკში ავადმყოფობის გამო დაინვალიდდა, – ცალი ფეხი მოკვეთეს)... მხოლოდ საბჭოთა „პერესტროიკის“ დაწყების შემდეგ, 80-იანი წლების ბოლოს, როცა საშიშროებამ იკლო, აღდგა ოჯახთან ურთიერთობა; 1991 წელს მიუნხენში ნახა თავისი შვილიშვილი (წინამდებარე წერილის ავტორი); მწერალი 64 წლის ასაკში დაქორწინდა თავისზე ბევრად ახალგაზრდა გერმანელ ქალ ანელიზეზე, რომლისგანაც დარჩა ქალიშვილი – გაბრიელა (ხრისტინა), რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს.

2. გვინდა, ზემოთქმულს დავძინოთ: ბანაკებში სასიკვდილო საფრთხისგან ილია კუჭუხიძესაც ჰყავს ტყვეები დახსნილი; გერმანელმა მხატვარმა და მოგზაურმა, საქართველოზე შეყვარებულმა ადამიანმა – ვერნერ რუდიგერმა, რომელიც ილია კუჭუხიძესთან ქართულ ენას სწავლობდა, საინტერესო ამბავი გვიამბო (ვერნერ რუდიგერი ტაო-კლარჯეთში მოგზაურობდა საბჭოთა კავშირის არსებობის, ანუ იმ დროს, როცა ქართველ მეცნიერებს იმავეს გაკეთების საშუალება არ ჰქონდათ, და წლების განმავლობაში ქართულ ეკლესია-მონასტრებს ხატავდა და მათ ფოტოსურათებს იღებდა, ამ დამსახურებისთვის მას მოგვიანებით საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდებაც მიენიჭა), მონათხრობში არის ერთი სახალისო ეპიზოდიც ქართველ ტყვეზე, რომელიც ბანაკში ყოფნის დროს, როგორც ჩანს, მშობლიური კუთხის სიყვარულის გამო აპირებდა, რომ გერმანელების წინაშე ამაყად განეცხადებინა, – „მეგრელი ვარო“, რაც ილია კუჭუხიძეს გაუძნელებდა, სხვა ტყვეებთან ერთად გაეთავისუფლებინა იგი, – იმიტომ, რომ გერმანელებს, სიტყვა „მეგრელის“ მნიშვნელობა, შესაძლოა,

არც სცოდნოდათ და სხვა ეროვნებისა ჰგონებოდათ იგი; გთავაზობთ ბ-ნი ვერნერ რუდიგერის ჩანაწერს, რომელიც მან სპეციალურად ჩვენი წიგნისთვის გააკეთა:

«Tbilisi, 19.10.2019.

In Erinnerung meines Lehrers der georgischen Sprache, Herrn Dr. Ilia Kutschuchidse im Kirchheim bei München vor ca. 40 yahren.

Bei einem Gespräch mit seinem Enkel, Dr. Gotscha Kutschuchidse, kamen einige Erinnerungen aus der Zeit des Zweitten Weltkrieges, die mir herr Ilia erzälte.

Nach seiner Gefangennahme hatte er dann die Aufgabe als Georgier zur Befreiung des Kaukasus in deutscher Uniform mit der Aufschrift Georgien und der georgischen Flagge von 1918 aus den sovjetischen Kriegsgefangenen die Georgier herauszuholen, denen dann ein Sonderstatus erteilt und aus denen dann die Georgische Legion gebildet wurde.

Einer der Kringsgefangenen soll gesagt haben, – "aber ich bin doch da, – Mingrele", Ilia K.: "was redest du da,- du bist doch Georgier".

Herr Ilia Kutschuchidse war in Berlin in den Kriegsyahren auch Mitherausgeber der grossformatigen Zeitungen in georgischen Sprache.

Wenren Rüdiger»

(«თბილისი, 19. 10. 2019.

ჩემი ქართული ენის მასწავლებლის, ბატონი დოქტ. ილია კუჭუხიძის მიერ დაახლოებით 40 წლის წინათ მიუნხენთან ახლოს კირჰაიმში გახსენებული ამბავი:

მის შვილიშვილთან დოქტ. გოჩა კუჭუხიძესთან საუბრისას მომაგონდა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი რამდენიმე ამბავი, რომელიც ბატონმა ილიამ მომითხრო:

თავისი ტყვეობის შემდეგ მას, როგორც ქართველს, ევალებოდა, რომ საქართველოს ემბლემისა და 1918 წლის ქართული დროშის მქონე გერმანული უნიფორმის საშუალებით კავკასიის გასათავისუფლებლად საბჭოთა ტყვეთა ბანაკებიდან ქართველები გამოეყვანა, რათა განსაკუთრებული სტატუსი მიეღოთ და შემდეგ ქართულ ლეგიონში ჩარიცხულიყვნენ ისინი.

ერთი ტყვეთაგანი აპირებდა ეთქვა: – „მეგრელი ვარო", ილია კ.-მ: „რას ამბობ, – შენ ხომ ქართველი ხარო!"

ბატონი ილია კუჭუხიძე ომის დროს ფართოფორმატიანი ქართული გაზეთების /უნდა იყოს: – „გაზეთისა და ჟურნალის", – გ. კ./ თანაგამომცემელი იყო.

ვერნერ რუდიგერი»).

3. თუ რა დაემართა ილია, ანუ ილო (როგორც ილია კუჭუხიძე მოიხსენიებს მას მეგობრულად) ტატიშვილს, ეს ირკვევა მანანა შამილიშვილისა

და ადა ნემსაძის მიერ შსს საარქივო სამმართველოს არქივში მოძიებული მასალებიდან, ილია ტატიშვილის დაკითხვის ოქმებიდან (ფონდი №6, საქმე №4682, ტ. 3, ტატიშვილი ი. ვ.), რომლის ნაწილი მათ 2019 წელს გამოაქვეყნეს: «ილია ტატიშვილის საქმე თარიღდება 1946 წლის 11 ოქტომბრიდან 9 დეკემბრის პერიოდით. იგი ეჭვმიტანილად მიიჩნიეს 58-1 „ბ“ მუხლით, რაც გულისხმობს სამშობლოს ღალატს, ჩადენილს სამხედრო მოსამსახურის მიერ» (შამილიშვილი, ნემსაძე 2019: 97; 102...); როგორც მანანა შამილიშვილთან პირადი საუბრიდან შევიტყეთ (ვსარგებლობთ შემთხვევით და გვინდა, მადლობა გადავუხადოთ მას და ადა ნემსაძეს), ილია ტატიშვილს 10 წლით ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს, იქიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში მუშაობდა პედაგოგად; იგი გაზეთ „საქართველოში“ სტალინის კარიკატურებს ხატავდა და, ცხადია, საბჭოთა დროშითა და ბელადის სურათით საბჭოეთში დაბრუნება რეპრესიებისაგან ვერ იხსნიდა...

დამოწმებანი:

დაუშვილი 2011: რუსუდან დაუშვილის ინტერვიუ მანანა გაბრიჭიძესთან. *გაზ. კვირის პალიტრა,* 28,VII, 2011.https://www.kvirispalitra.ge/new/index.php? option=com_content&view=article&id=8782:politikuri-emigracia-safrangethshi-dasakhlda-germaniashi-mckhovrebi-qarthvelebi-ki-inteleqtualebi-iyvnen&catid=10:istoria&Itemid=14&add=1

კრომიადი 1980: Кромиади, К. За землю, за волю. Сан-Франциско: 1980.

კუჭუხიძე 1985: კუჭუხიძე, ი. *მოგონებების წიგნი, სამაგიდო რვეულიდან,* მიუნხენი: 1985.

კუჭუხიძე 1992: კუჭუხიძე, ი. „გერმანული ჩანაწერები“. *გაზ. „განათლება“,* №35. თბილისი: 1992.

კუჭუხიძე 1993: კუჭუხიძე, ი. „გერმანული ჩანაწერები“. *გაზ. „განათლება“,* №3, თბილისი: 1993.

კუჭუხიძე 1993ა: კუჭუხიძე, ი. „გერმანული ჩანაწერები“. *გაზ. „განათლება“,* №6, თბილისი: 1993.

ლაშაური 1961: ლაშაური, მ. *ქართული სული,* II. მიუნხენი: 1961.

შამილიშვილი ... 2019: შამილიშვილი, მ. ნემსაძე, ა. „კარიკატურა როგორც აზროვნების მოდელი საბჭოთა ტოტალიტარიზმის პირობებში“. *სჯანი.* თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2019, 20/1.

შარაძე 1991: შარაძე, გ. უცხოეთის ცის ქვეშ, I. თბილისი: 1991.

შენგელია 1984: შენგელია, ი. მოგონებათა დღიურები. ივერია, №33, პარიზი: 1984.

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი, ნ. *ქართველი შინდლერი.* ჟურნ. ისტორიანი, №3, თბ.: 2011.

ლიტერატურა იდეოლოგიის ტყვეობაში

მერაბ ღაღანიძე

ისტორიული პიესის იდეოლოგიური ინტერპრეტაცია: ნიკო ბერძენიშვილის გამოხმაურება პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ გამო

1954 წელს გამოიცა დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის (1895-1972) „რჩეულ თხზულებათა“ თითქმის ოთხასგვერდიანი კრებული, რომელშიც, სხვა პიესებთან ერთად, შესული იყო პირველად დაბეჭდილი „დავით მერვე“ [კაკაბაძე 1954: 131-228][1].

1955 წლის გაზეთ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნდა ისტორიკოს ნიკო ბერძენიშვილის (1895-1965) სტატია-რეცენზია „დავით მერვის“ გამო [ბერძენიშვილი 1955][2].

პიესა, რომელსაც თავდაპირველად „ბახტრიონი“ ერქვა, ხანგრძლივად იწერებოდა, 1929 წლიდან მოყოლებული, მაგრამ მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახე მან, როგორც ჩანს, სწორედ 1954 წელს მიიღო[3]. თუმცა თხზულებამ მანამდეც და შემდგომაც არაერთი ცვლილება განიცადა, რაც საგანგებო საარქივო-ტექსტოლოგიურ კვლევასა და შესწავლას იმსახურებს. მაინც, ნაწარმოების საბოლოო ავტორისეულ ვერსიად მიჩნეული უნდა იქნეს ტექსტი, რომელიც დრამატურგმა „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით შეიტანა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოცემულ საკუთარ თხზულებათა ორტომეულის პირველ ტომში [კაკაბაძე 1971: 104-251]. ამავე დროს, არსებობს პიესის საოპერო ვერსიაც – ლიბრეტოს სახით, რომელსაც „ბახტრიონი“ ეწოდება და რომელიც, კაკაბაძისეული დათარიღებით, 1934 წელსაა შესრულებული. ამ ლიბრეტოს ტექსტი იმავე ორტომეულის მეორე ტომშია შესული [კაკაბაძე 1973: 503-540].

„კახაბერის ხმლის“ მოკლე ლიტერატურული, სასცენო და მუსიკალურ-სასცენო ისტორია ამგვარია: მუშაობა პიესაზე, რომელსაც იმჟამად „ბახტრიონი“ ეწოდებოდა, პოლიკარპე კაკაბაძეს დაუწყია „ყვარყვარე თუთაბერის“ დამთავრებისთანავე, 1929 წელს, ხოლო 1934 წელს მისი დადგმა

რუსთაველის თეატრში ჩაუფიქრებია სანდრო ახმეტელს (1886-1937), თუმცა ის მაშინ სცენამდე აღარ მისულა. იმავე, 1934 წელს პიესის მიხედვით დრამატურგს შეუქმნია საოპერო ლიბრეტო, რომლის საფუძველზე კომპოზიტორ გრიგოლ კილაძეს (1902-1962) დაუწერია ოპერა „ბახტრიონი“, მაგრამ, გენერალურ რეპეტიციაზე მისი ჩვენების შემდეგ, იმჯერად არც ის დადგმულა. გამოუქვეყნებელი პიესა 1936 წლის ოქტომბერში განუხილავთ საქართველოს მწერალთა კავშირში, თუმცა ნაწარმოები, გამართული მსჯელობის შედეგად, დაუწუნებიათ გამოსაქვეყნებლად. 1940-იანი წლებიდან ავტორი მას უცვლის სახელწოდებას და არქმევს „კახაბერის ხმალს“. 1946 წელს მარჯანიშვილის თეატრში ჩატარებულა მის საფუძველზე მომზადებული სპექტაკლის გენერალური რეპეტიცია, მაგრამ საბოლოოდ ისიც აღარ წარმოდგენილა სცენაზე. როგორც ითქვა, პირველად პიესა, სახელწოდებით „დავით მერვე“, გამოქვეყნდა დრამატურგის საავტორო კრებულში 1954 წელს. „კახაბერის ხმალი“ პირველად, გიგა ლორთქიფანიძის (1927-2013) რეჟისორობით, დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში, 1965 წელს, ხოლო მომდევნოდ, თეატრის გაყოფის შემდეგ, 1968 წელს, – სპექტაკლი გადატანილი იქნა რუსთავის თეატრში[4].

მიუხედავად იმისა, რომ პიესის მოქმედება შუა საუკუნეთა საქართველოს სამეფოშია მოთავსებული და სახელდებით მეფე დავით მერვის (სახელისუფლო მმართველობა: 1293-1311), – მეფე დიმიტრი მეორის, თავდადებულის, ძის, – ხანას უკავშირდება, კომედია[5] მაინც ავტორისეულ წარმოსახულ გარემოში ვითარდება და არანაირად არ აღწერს კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებსა და გარემოებებს, არ ეფუძნება და არ გაშლის ისტორიულად დამოწმებულ მოვლენებს და, მით უმეტეს, არანაირად არ ასახავს – თუნდაც მცირედად – დავით მერვის მეფობას, რომელიც საკმარისადაა ცნობილი ისტორიული ქრონიკებიდან[6]. საყურადღებოა, რომ კაკაბაძის საოპერო ლიბრეტოს „ბახტრიონის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი, სიუჟეტურად იგივე მეფე, საერთოდ, უსახელოა, ხოლო პიესასთან შედარებით ეს ბევრად მოკლე (ან შემოკლებული)

ტექსტი საერთოდ არ უკავშირდება საქართველოს წარსულის რომელიმე განსაზღვრულ, გარკვეულ პერიოდს.

აღსანიშნავია, რომ დავით მერვის მეფობა გამორჩეული იყო მძაფრი, მრავალწლიანი დაუმორჩილებლობით მონგოლი დამპყრობლების მიმართ და ამ ბრძოლებს პირადად ხელმწიფე მეთაურობდა [ლომინაძე 1979: 609-612], მაგრამ მათ არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება დრამატურგის ჩანაფიქრისათვის და ისინი სრულიადაც არ მიიქცევს მწერლის ყურადღებას.

ზოგადად, შესაძლოა ითქვას, რომ „კახაბერის ხმალში“ მწერლის მხრივ არსად მჟღავნდება რამენაირი მცდელობა, რამდენადმე მაინც აღწერილი იქნეს რომელიმე კერძო დრო ან დაცული იქნეს კერძო დროისეული ყოფითი სიზუსტე. პიესაში ქვეყნის წარსული წარმოდგენილია მხოლოდ მითოსურ-ფოლკლორულად, მითოსურ-ფოლკლორული სახეებით, თუმცა ნაწარმოების მოქმედების ქრონოლოგია თითქოს უნდა თარიღდებოდეს მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მიჯნით, დავით მერვის მეფობით, რაც ნაწარმოების ზოგიერთი ვერსიის სათაურითაცაა გაცხადებული.

პიესის მიხედვით, ამბის მსვლელობის დასაწყისშივე საქართველო დაპყრობილია მტრის ძალების მიერ (რომელთაც ტექსტში განუსაზღვრელად „თათრები“ ეწოდება), ხოლო ქვეყნის მდგომარეობა ყოველმხრივ და უკიდურესად ბედკრულია: გლეხი არ შრომობს და არაფერს ქმნის, მეომარი არ იბრძვის და არ იცავს სამშობლოს, ცოლ-ქმარი დაუძლურებულა და არ ზრდის შთამომავლობას, ბრძენი მიმალულა და არავის ასწავლის რასმე სასარგებლოს, მეფე დამფრთხალია და არც ცდილობს სახელმწიფოებრივ საქმეთა წარმართვას, ქვეყნის ძლიერების საყრდენი – ბახტრიონის ციხესიმაგრე – მტერს უკავია, ქვეყნის მხსნელად ნაგულვები კახაბერი დატყვევებულია და ორმოშია ჩაგდებული, ხოლო მისი უძლეველი ხმალი – „კახაბერის ხმალი“ – უსარგებლოდ აგდია უსაქმური გლეხის კერაზე.

ნაწარმოების განმავლობაში, მოქმედებათა განვითარებისას, ულოდნელად და უცაბედად, მაინც ჩამოყალიბდება მოხალისე მებრძოლთა ლაშქარი, რომელიც სხვადასხვა ხრიკის გამოყენებით გაათავისუფლებს ბახტრიონს, – მათ შორის, შიგ-

ნით მყოფთა ნებსითი თუ უნებლიე დახმარებითაც, – თუმცა ამ ბრძოლას მეთაურად არც მეფე უდგას და არც კახაბერი, რომელიც, სამშობლოს გადამრჩენად მიჩნეული, მხოლოდ პიესის ბოლოს, მხოლოდ სახილველის სიღრმეში გამოჩნდება ბუნდოვანი აჩრდილის სახით, როცა მას მის საკუთარ ხმალს გადასცემს სახალხო მეომართა მეთაურის განთავისუფლებული ცოლი, სულ ცოტა ხნით ადრე გამოხსნილი ბახტრიონის ტყვეობიდან.

როგორც ჩანს, დრამატურგს მიზნად არ დაუსახავს, „კახაბერის ხმალს“ ჰყოლოდა ერთი წამყვანი მოქმედი პირი, რომელიც ნაწარმოების მთელ ქმედებასაც იტვირთავდა, დამუხტავდა, განაპირობებდა, და ავტორის სათქმელსაც ცხადად გადმოსცემდა. ამ შემთხვევისას, პიესის თავისთავად მითოსურ-ფოლკლორულმა სულისკვეთებამ, მაგრამ არა იმდენად ეპიკურმა ჩარჩო-საფუძველმა, რამდენადაც უფრო საერთოხალხურმა მდინარებამ და მისწრაფებამ, ან საერთო-სახალხო გამოხატულებამ განსაზღვრა, რომ თხზულების განვითარებისას ქცევათა სიმძიმე გადანაწილებულიყო სხვადასხვა მოქმედ პირთა მთლიანობაზე, – ერთი რომელიმე გამორჩეული გმირის გამოკვეთის გარეშე. საქმე ისაა, რომ მოლაშქრეთა მეთაური გოსტაშაბი პიესის განმავლობაში ხანგამოშვებით იშვიათად გამოჩნდება ხოლმე; მეფე დავით მერვე, რომელიც პიესის სასათაურე პერსონაჟადაც კი ჰქონდა არჩეული ავტორს ერთ დროს (ყოველ შემთხვევაში, იმ დროს, როცა პიესას რეცენზიით გამოეხმაურა ნიკო ბერძენიშვილი), საერთოდ ფერმკრთალად გაიელვებს პიესის განმავლობაში და, ფაქტობრივად, არავითარი განსაკუთრებული ქმედებით არ გამოირჩევა; დაბოლოს, კახაბერი, რომელიც პიესის საბოლოო ვერსიაში სასათაურე პერსონაჟი ხდება, ხილულად, საერთოდ, არ ჩნდება პიესის განმავლობაში და მისგან მკითხველი თუ მაყურებელი ერთ სიტყვასაც ვერ მოისმენს[7].

ღირსშესანიშნავია ისიც, რომ თავად გოსტაშაბიც ირეკლავს ნაცარქექიას ფოლკლორულ სახეს[8], რომელიც სრულიადაც არ ხასიათდება რამენაირი ეპიკური თვისებებით ან მახასიათებლებით და, როგორც ზღაპრის პერსონაჟი, უფრო საკუთარი

მოხერხებულობით, მოტყუებითა და მოწინააღმდეგის სიბრიყვის მეშვეობით აღწევს გამარჯვებას[9]. ჩვეულებრივ, ნაცარქექიას მთავარი თვისება უსაქმურობა და უმოქმედობაა, მაგრამ თუკი იგი რასმე საქმეს ან ქმედებას შეუდგება, სინამდვილეში ესეც უთუოდ თვალმაქცობა და თვითმარქვიობაა.

საერთოდ, „კახაბერის ხმლის“ მოქმედ პირებს გაუფერულებული, ხშირად წაშლილიც აქვთ საკუთარი პიროვნული სახე, რადგან ისინი განუწყვეტლად ფარავენ ან გაურბიან საკუთარ ვინაობასაც და მეობასაც, ერთთავად თვალმაქცობენ და თვითმარქვიობენ, მუდამ ირგებენ თუ იცვლიან ნიღაბს: გოსტაშაბი ქვეყნის გადასარჩენ საქმეს ჩაუდგება წინამძღოლად, თუმცა საამისოდ შესაფერისი თვისებები მას არანაირად არ გამოუვლენია მანამდე, როცა შინ მყოფი, მეუღლის გვერდით, მხოლოდ მუქთახორობით გამოირჩეოდა, მაგრამ რაკი გასაჭირის ჟამი ჩამოდგა, რაკი მეუღლე წაჰგვარეს, რაკი სამშობლოს გამოხსნა ცოლის გამოხსნას განუყოფლად გადაეჯაჭვა, მან ბრძოლა წამოიწყო, მოლაშქრენი დარაზმა და გამარჯვება მოიპოვა, თუმცა უმეტესწილად კახაბერის ფუჭი, ტყუილი სახელის დახმარებითა და გამოყენებით; ლიპარიტე კიკოტე, რომელიც, ზოგადად, თაღლითი და ყალთაბანდია, ჯერ ბახტანგ ხანის უფლისწული ასულის აღმზრდელობას დაიბრალებს, თუმცა კარგად იცის, რომ გულქანა არავითარი ბატონიშვილი არაა, შემდგომ – მოღალატე თავადების სინდისის გამაღვიძებლად წარმოაჩენს თავს, ბოლოს კი მეფის იდუმალ წარმოგზავნილობას მიიწერს, რათა თითქოს თავად ჩასდგომოდა სათავეში ბახტრიონის აღებას; შოშკობა ბახტანგ ხანის ცოლს, ფატის, მის მიმართ თავის მგზნებარე ტრფიალებას დააჯერებს, თუმცა მისი გული გულქანას ეკუთვნის, ხოლო საბოლოოდ იგიც მიითვისებს თითქოსდა გადამწყვეტ მნიშვნელობას ციხესიმაგრეში გამაგრებული ბახტანგ ხანის დასამორჩილებლად; როსტომი, რომელიც ბრძენად და ერის გონიერ დამრიგებლადაა მიჩნეული, თანამემამულეთა თვალიდან გაუჩინარებულა და გლეხის ქოხს შეჰფარებულა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, მაგრამ იქაც ვერასოდეს ახერხებს რამე გონივრული რჩევის მიცემას და ნებისმიერ შემკითხველს, შეგონების მაგივრად, – მაცდური

იდუმალებით, – ყოველთვის უშინაარსო ანდაზური გამონათქვამებით ისტუმრებს; გულქანა სამეფო ოჯახის წევრობას ადვილად იჯერებს, და სხვასაც აჯერებს, თუმცა უღატაკესი გლეხის ქალია; მეფე დავით მერვე ან მისი ძმა ბახტანგ ხანი თითქოს სრულიად განუსჯელად და შეუმოწმებლად დარწმუნდებიან, რომ გულქანა მათი ძმისშვილი ან ქალიშვილია, თუმცა ისინი, როგორც შემდგომ თავადვე აცხადებენ, უმალვე ხვდებოდნენ მათთვის ამ ხელსაყრელ სიცრუეს და მხოლოდ სარგებლობდნენ ამ გაცნობიერებული სიყალბით, რაკი მათი ნამდვილი მიზანი, ცბიერების მეშვეობით, მხოლოდ მტრის ნების აღსრულება იყო; მეფე დასასრულ ქვეყნის მხსნელი ბრძოლის მეთაურად წარმოაჩენს თავს, თუმცა თავდაპირველად აპირებდა ჩაჰბარებოდა მოღალატე ძმას და მის ყველა სურვილს დაჰმორჩილებოდა; სასტიკი და დაუნდობელი ბახტანგ ხანი თითქოს გულწრფელად დაჰყვება მორჩილ მლიქვნელთაგან შეპარებულ ფლიდობას, რომ ქვეყანაში ბარტყებდაკარგული დედა ჩიორას უბედურებაზე უფრო დიდი განსაცდელი არ მომხდარა და გულმხურვალედ დასტირის ჩიტის უბედურებას; ქვეყნის მოღალატე თავადები მოღალატე ბახტანგ ხანის წინააღმდეგ აჯანყებულებად აჩვენებენ თავს და სხვების დარწმუნებასაც ცდილობენ, რომ ისინი სამშობლოს საქმეს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან; ზოგადად, ნაწარმოების პერსონაჟები სულ იტყუებიან და ატყუებენ ერთმანეთს, საკუთარ თავს მიწყივ სხვად წარმოაჩენენ, პიროვნულად სრულიად მოუხელთებელნი ხდებიან, ხოლო ნაწარმოების მთავარი თუ სასათაურე პერსონაჟი – კახაბერი ჯერ, უბრალოდ, შეკერილი ტიკინაა, ანუ მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბს წარმოადგენს, როგორი იერითაც, არარსებული პიროვნული სახით, დააფრთხობს ქვეყნის მტერს და გამარჯვებას მოაპოვებინებს ამ უსულო თოჯინათი შეგულიანებულ ქვეყნის მოყვარეთ, თუმცა ნაწარმოების დასასრულ თითქოს ცოცხლად, მაგრამ მაინც სრულიად უმეტყველოდ და სრულიად უსახურად წარმოდგება.

ნამდვილი საქმე, სამშობლოს გადარჩენის საბოლოო და გადამწყვეტი საქმე, – რაკი თხზულება ისე მთავრდება, რომ მტრის საფრთხე მაინც გარდაუვალია, – მხოლოდ ტექსტის

მიღმა უნდა აღსრულდეს, ნაწარმოების დასასრულს იქით, „ეს-ქატოლოგიურ“ მოლოდინში: მას შემდეგ, რაც კახაბერი დაბ-რუნდა და მას თავისი ხმალი სამოქმედოდ და საბრძოლველად დაუბრუნდა.

კომედიის მსვლელობისას იკვეთება, რომ მისი პერსონაჟე-ბი, ფოლკლორულ-მითოსურ პერსონაჟთა მსგავსად, მკაფიოდ იცვლიან სახესაც და დანიშნულებასაც, რითაც ისინი პიროვნუ-ლად მეტად საძნელოდ მოსახელთებელნი ხდებიან: მუქთახორა მამაც მეომრად გადაიქცევა, მუსუსი – თავგანწირულ მეტრ-ფედ, მოღალატე – მონანიე აღმსარებლად, კერას მიჯაჭვული ქალი – სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლად. მაგრამ არა მხოლოდ ისინი, არამედ ნივთებიც კი, ისევ ფოლკლორულ-მითოსური ნივთების მსგავსად, იცვლიან თავიანთ ჩვეულებ-რივ ბუნებას და ჯადოსნური ან თითქმის ჯადოსნური ძალით აღიჭურვებიან, რითაც ხშირად განსაზღვრავენ კიდეც იქ მყოფ ადამიანთა ქმედებებს: ამგვარია ხმალი, მარგალიტი, ბეჭედი, თუმცა პიესაში ამ ნივთების ნამდვილი არსებობაც ისევე სათუო და გაურკვეველია, როგორც მათი ძალმოსილების უნარი.

რაც შეეხება თვით კახაბერის სახეს, – ისევ ფოლკლორულ-მითოსურ სახეს, – თხზულებაში ითქმება, რომ „კახაბერობას ყველა ვერ იქმს“ [კაკაბაძე 1971: 249], თუმცა თავად მისი არა-ნაირი გმირობა ნაწარმოების ფურცლებზე არსად ჩანს. მისი თავდადების შესახებ კი, რომელიც კერძოდ არსად განისაზღ-ვრება და ბოლომდე უშინაარსოდ რჩება, მხოლოდ პერსონა-ჟები ლაპარაკობენ, – უმეტესად, გადმოცემათა მეშვეობით. ისიც სათქმელია, რომ პიესის თითქმის დასასრულამდე (თუ არ ჩავთვლით გვიან დამატებულ ავტორისეულ პროლოგს), იგი ორმოშია ჩაგდებულ-დატუსაღებული, ხოლო მტერს აფრთხობს არა თავად ნამდვილი კახაბერი, არამედ მხოლოდ მისი სახელი და მისი ტიკინა. ამასთანავე, მკაფიოდ განუმარტავია, როგორ გათავისუფლდა იგი ტყვეობიდან, რის შესახებ ვრცელდება განსხვავებული თქმულებანი, რომელთაც თავად პერსონაჟე-ბიც კი არ იჯერებენ („მასეთი [...] ზღაპრები არ მწამს“ [კაკაბაძე 1971: 229]).

უნდა ითქვას, რომ ქართულ ფოკლორულ წყაროებშიც კახა-ბერის ვინაობა მეტისმეტად ბუნდოვანია და, ფაქტობრივად,

მხოლოდ დავით გურამიშვილის ასევე ბუნდოვან მოხსენიებას ეყრდნობა:

> მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გაჴდეს გასაბერად,
> ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად,
> [გურამიშვილი 1955: 50]

ხოლო ის, თუ, საკუთრივ, ვის გულისხმობს აქ პოეტი, ან რატომ ახსენებს მას, კვლევითს ლიტერატურაშიც კი, შეიძლება ითქვას, აუხსნელი და განუმარტავია[10]. ამდენად, კახაბერის პიროვნებაც – თუნდაც ისტორიულად და თუნდაც დრამატურგიულად – სრულიად გაურკვეველი, დაუდგენელი და სიცხადეს მოკლებულია.

შემდგომში – პიესის სტრუქტურული ცვლილებისას – დრამატურგმა „კახაბერის ხმლის“ მოქმედება კიდევ უფრო ან საერთოდ მოაშორა ისტორიულ გარემოს (თუმცა სიუჟეტურად ამბავი ასევე სრულებით მოწყვეტილი იყო ისტორიულ კონკრეტულობას უფრო ადრეულ „ბახტრიონშიც“), როცა ნაწარმოების საბოლოო ვერსიაში თხზულების ოთხ მოქმედებას წინ წაუმძღვარა პოეტური, ლექსითი პროლოგი [კაკაბაძე 1971: 107-112] (განსხვავებით პიესის დანარჩენი ტექსტის პროზაული გადმოცემისაგან). ეს პროლოგი გათამაშდება მეფე გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, სასახლის მოედანზე, სადაც – მეფის, პატრიარქის, კახაბერის, დიდებულთა წინაშე – ბერიკები, მსახიობები ემზადებიან, წარმოადგინონ ის ქმედებები, რაც პიესაში ხდება. ავტორისეული ეს გვიანდელი გადაწყვეტილება იმას მეტყველებს, რომ დრამატურგმა საერთოდ უარყო ტექსტში აღწერილ მოვლენათა მიმართ ისტორიული ნამდვილობის პასუხისმგებლობა, ხოლო ის, რაც პიესაში აისახება, მოხეტიალე ხელოვანთა მიერ წარმოდგენილ სახიობად წარმოჩნდება. კახაბერის ხმლის ამბავი, ამ დამატებული პროლოგის მიხედვით, საერთოდ, გადასცდება ისტორიული სანდოობის ჩარჩოებს და გადაიქცევა „თეატრონის“ მსახიობთა მიერ, ევაგრის მეთაურობით, გიორგი ბრწყინვალის კარზე, მეფის თვალწინ წარმოსახულ წარმოდგენად.

სათქმელია, რომ ის გამოხმაურება, რომლითაც ნიკო ბერძენიშვილი შეეგება პოლიკარპე კაკაბაძის პიესის – „დავით მერვის“ – გამოქვეყნებას, შეეხებოდა ნაწარმოების უპროლოგო ვერსიას, ხოლო ამ ვერსიაში კომედიის ისტორიული გარემო არ იყო ასე შეგნებულად თუ გაცხადებულად უგულებელყოფილი, რაც სწორედ პროლოგის შინაარსმა განაპირობა. მიუხედავად ამისა, მაინც უჩვეულოა ნიკო ბერძენიშვილის, პროფესიული ისტორიკოსის მხრივ, საგანგებო შეფასება-განხილვა პიესისა, სადაც, – ასეა თუ ისე, – ისტორიული თვალსაზრისით, მეტად ბუნდოვნად, სიცხადის გარეშე, სრულიად არამკაფიოდაა აღწერილი საქართველოს წარსულის ერთი სურათი. ბერძენიშვილის ეს გამოძახილი – და თავად ეს გამორჩევა – მით უმეტეს გასაკვირველია იმ დროს, როცა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უხვად იქმნებოდა გარდასული ჟამის ამსახველი სხვადასხვა შინაარსისა და სხვადასხვა ღირებულების მხატვრული ნაწარმოებები, ხოლო არცერთ მათგანს ათწლეულების განმავლობაში არასოდეს მოჰყოლია მისეული შეფასება. ამდენად, ხომ არ იყო ეს რეცენზია ნიკო ბერძენიშვილისათვის შესაძლო საბაბი, – რაკი თავად პოლიკარპე კაკაბაძის კვაზიისტორიული კომედია გარიდებული იყო კონკრეტული ისტორიული მოვლენების აღწერას, – გამოეთქვა თავისი შეხედულება ან შეხედულებანი არა რომელიმე კერძო, განცალკევებულ ამბავთა შესახებ ქვეყნის წარსული ცხოვრებიდან, არამედ გადმოეცა საკუთარი ზოგადი თვალსაზრისი ძველი საქართველოს ერთიანი ისტორიის მსვლელობის, მისი სახეცვლილების ძირითადი ხაზის შესახებ, როგორც ის წარმოედგინა ისტორიკოსს? გასათვალისწინებელია, რომ ნიკო ბერძენიშვილს თავისი კვლევითი საქმიანობის განმავლობაში არასოდეს დაუწერია ფართო, ერთიანი ნაშრომი საქართველოს ისტორიის მთლიანი სურათის აღსაწერად თუ ჩამოსაყალიბებლად, ხოლო მისი შეხედულებები, უაღრესად ფასეული და გამორჩეულად გააზრებული, სწორედ ამგვარად იყო გაფანტული მის ცალკეულ წვრილ ნარკვევებსა თუ სულაც ცალკეულ შემფასებელ გამოხმაურებებში. როგორც ჩანს, საკუთარ შემოქმედებითს გარემოებათა გამო, იგი არცთუ იშვიათად სარგებლობდა გამოხატვის ამ ირიბი საშუალებით.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენიშვილმა „კახაბერის ხმალი“ განიხილა მარქსისტული იდეოლოგიის საფუძველზე და განსჯის საგანგებო საყრდენად გამოიყენა მარქსიზმის (ან მარქსიზმ-ლენინიზმის) იმ ნაწილის პოსტულატები, რომელიც ისტორიული მატერიალიზმის სახელით იყო ცნობილი საბჭოთა კავშირში. მისი ამგვარი მეთოდური არჩევანი იმ დროს სრულებით არ იყო უჩვეულო და გამორჩეული, და არც იმის მკაფიოდ დადგენა იქნება ადვილი, რამდენად ნებაყოფლობითი იყო მკვლევრის გადაწყვეტილება[11]. კომუნისტურ სახელმწიფოში ისტორიკოსის უპირველეს საქმედ და მოვალეობად თანდათანობით იქცა საკუთარი კვლევის ჩაყენება მმართველი ძალაუფლების იდეოლოგიურ საჭიროებათა მოსამსახურებლად, როცა მოვლენები უნდა ახსნილიყო არა იმდენად ცოდნისა თუ გამოცდილების, რამდენადაც „მართალი რწმენის“ საფუძველზე. ამჟამინდელი სწორი და ზუსტი ფორმულირებით, ბოლშევიკურ სახელმწიფოში „ისტორია ხდებოდა იდეოლოგიის ნაწილი, ხოლო იდეოლოგია, რომელსაც ახლა ოფიციალურად ერქვა ‘მარქსიზმ-ლენინიზმი’, რელიგიური ცნობიერების საერო ფორმად გადაქცევას იწყებდა“ [მედვედევი 2007: 166].

ისტორიის საბჭოთა-ბოლშევიკური კონცეფცია მოკლე, მაგრამ სრულიად უკამათო (შეუკამათებელი!) სახით ჩამოყალიბდა იოსებ სტალინის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“ (1938)[12], რომელიც მსოფლიო ისტორიის „განვითარების“ ერთადერთ უცდომელ გადმოცემად იყო მიჩნეული და რომლის ქარგაზე უნდა დალაგებულიყო თუ ახსნილიყო ნებისმიერი ადგილობრივი ისტორიული გარემოება. სტალინის ამ თხზულებაში – კლასთა ბრძოლის ზოგადმარქსისტული თვალსაზრისის გათვალისწინებით – ცალკეულად იყო გამოყოფილი „საზოგადოებრივი განვითარების პერიოდები“, რომელთა შორის იყო ფეოდალური წყობა, ხოლო მას მოჰყვებოდა ბურჟუაზიული, ანუ კაპიტალისტური წყობა. შესაბამისად, „ბურჟუაზიული კლასი“ უფრო მეტად „პროგრესული“ იყო „ფეოდალურ კლასთან“ შედარებით. იმდროინდელი, ეპოქის თანადროული მკვლევრის სიტყვებით, ყოველ საბჭოთა ისტორიკოსს ევალებოდა ამ სქემის მიხედვით

შეეფასებინა (არა მხოლოდ აღეწერა, არამედ სწორედ შეეფასებინა!) თავისი თუ სხვა ქვეყნის ისტორია: „ისტორიკოსი მოვალეა, უსიტყვოდ დადგეს რევოლუციური კლასების მხარეს მათი ბრძოლისას რეაქციულ კლასებთან“ [ვალენსკი 1954: 85]. „განვითარების“ ეტაპების იმ თანმიმდევრობას, რასაც აღიარებდა და ამკვიდრებდა სტალინური ისტორიული მატერიალიზმი, მისდევს ბერძენიშვილის ხედვაც, ისევე, როგორც ცხადია თანხვედრა „კლასთა“ „პროგრესულობის“ განსაზღვრა-გამორჩევისას.

„მე-13 საუკუნის დამდეგისათვის ფეოდალურმა საქართველომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. მისი შემდგომი განვითარება ამ (ფეოდალური) ურთიერთობის რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის ჩასახვა-წარმოქმნის გზით შეიძლებოდა მხოლოდ წასულიყო [ბერძენიშვილი 1971: 283],“ – სწორედ ასე იწყებს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის განხილვას ნიკო ბერძენიშვილი. მაგრამ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ისტორიულმა ძნელბედობამ, განსაკუთრებით კი, გარეშე მტერმა, არ მისცა ქვეყანას საშუალება, ლოგიკურად მალევე გადასულიყო „საზოგადოებრივი განვითარების“ შემდგომ „პერიოდში“, ანუ ბურჟუაზიულ ხანაში, რაც, მისი თვალსაზრისით, მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში მოხდა [ბერძენიშვილი 1971: 283].

ქვეყნის განვითარების დაბრკოლებად ისტორიკოსი წარმოაჩენს ბატონყმობას, რომელმაც, მისი თვალსაზრისით, იმ დროისათვის უკვე ამოწურა საკუთარი შესაძლებლობანი, ხოლო შექმნილი მდგომარეობას ნათელსაყოფად იგი ამგვარად შთამბეჭდავ სურათს ხატავს:

„ქვეყნის წინსვლა დაეხუთა ხანმოთეულ ბატონყმობას, რომელიც გაუდაბურებით ემუქრებოდა ქართულ სოფელსა და ქალაქს. ტყვის სყიდვა, დასავლეთ საქართველო რომ ამოაგდო, და ლეკიანობა, აღმოსავლეთ საქართველო რომ გაანადგურა, კანონზომიერი მოვლენები იყო, ხანმოთეული ბატონყმობის ნიადაგზე რომ განვითარდნენ ოსმალურ-ყიზილბაშური გარემოცვის პირობებში“ [ბერძენიშვილი 1971: 283].

მკვლევარი ქვეყნის შიდა თუ გარე შეჭირვებას ბატონყმობის ბუნებრივ შედეგად ხედავს, – მის ნიადაგზე წარმოშობილ

გამოვლინებად, – ხოლო ბატონყმობას საგანგებოდ, ორგზის უწოდებს „ხანმოთეულს“, ანუ მიიჩნევს, რომ მან უკვე ამოწურა საკუთარი „პროგრესული“ შესაძლებლობანი და მხოლოდ ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას. ამ შემთხვევისას, მტრების შემოტევებსაც კი არ ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა და უცხოტომელების თარეში, – ნამდვილად გამანადგურებელი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრებისათვის, – მხოლოდ „გარემოცვად“ არის მოხსენიებული.

ისტორიკოსი იწონებს და მხარს უჭერს დრამატურგის გადაწყვეტილებას, რომ ეპოქის მძიმე მდგომარეობის აღსაწერად მწერალმა ჟანრობრივად არჩია კომედია და არა დრამა (რომელთა ადრეული, დაუზუსტებელი წყება გამოხატულადაა დაწუნებული მკვლევრის მიერ: „ასეთი დრამა ჩვენში არა ერთი მოიპოვება; სამწუხაროდ, ჩვენი დროისათვის ყველა მოძველებულია“ [ბერძენიშვილი 1971: 284]). პიესის განხილვისას იგი ამ არჩევანში შესაბამისობას ხედავს გამოხატულებასა და ჟანრს შორის, რადგან, მისი სიტყვებით, „პ. კაკაბაძემ სწორი ალღოთი მიაგნო, რომ კომედიის ხერხებით არანაკლები დამაჯერებლობით შეიძლება აღნიშნული ეპოქის დუხჭირი ვითარების დახატვა“ [ბერძენიშვილი 1971: 284]. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი პროგრესისტული და, მათ შორის, მარქსისტული თვალსაზრისი (განსხვავებით, ვთქვათ, რომანტიზმისაგან) თითქმის მთლიანად გამორიცხავდა „წარმავალი კლასების“ გადაშენების ტრაგიკულ თუ დრამატულ ასახვას და ამ „კლასების“ „უკანასკნელ წარმომადგენელთა“ საბჭოთა იდეოლოგიურ-მხატვრული პორტრეტები უმეტესად იუმორისტულ-სარკასტულად იხატებოდა. როგორც ჩანს, ნიკო ბერძენიშვილი ამიტომაც მიესალმა, რომ დრამატურგმა ისტორიული თემატიკის წარმოჩენა, ჩვეულებრივ-გაცვეთილი დრამატული პათოსის ნაცვლად, კომიკური ხერხებით სცადა.

პიესის მთავარი, თუმცა უჩინარი გმირი – კახაბერი – ისტორიკოსს ქვეყნის არა იმდენად ეროვნული მხსნელის სახედ მიაჩნია, რამდენადაც იმჟამად ხელფეხშეკრული, მაგრამ მომავლის მაცნე, „პროგრესული კლასის“ განსახოვნებად, – ფაქტობრივად, „კლასობრივ“ მხსნელად და მეთაურად, თუმცა მხოლოდ პოტენციური, მოსალოდნელი განზომილებით.

ის, რომ გმირი თითქმის მთელი ნაწარმოების განმავლობაში დამალული და დატყვევებულია, ბერძენიშვილისათვის ასახავს იმგვარ მდგომარეობას, როდესაც „პროგრესისათვის მებრძოლი კლასი“ დამონებული ჰყავს ფეოდალურ „კლასს“, რომელიც, ერთი მხრივ, უფრო „პროგრესულ“ გლეხობას გასაქანს არ აძლევს, ხოლო, მეორე მხრივ, ასევე უფრო „პროგრესულ“ ბურჟუაზიას ჯერჯერობით აღმოცენების პირობებსაც კი უხშობს: „ვიდრე ქვეყანა ჩიხშია, გმირი კახაბერი ‘ორმოშია’“ [ბერძენიშვილი 1971: 285]. გმირი, საერთოდ, ვერც იქნება ირგვლივ, რადგან „გმირს წარმოშობს პროგრესისთვის მებრძოლი კლასი, მოწინავე კლასი“ [ბერძენიშვილი 1971: 285]. შესაბამისად, „საზოგადოებრივ სარბიელზე არა ჩანს შემოქმედი კლასი, რომ ხალხს უთავოს, წინ წაუძღვეს მას და პროგრე სის გზით წაიყვანოს“ [ბერძენიშვილი 1971: 284]. ისტორიკოსის მსჯელობის გაშლა-გააზრებითა და იდეური კონტექსტის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ ბერძენიშვილი გულისხმობს იმჟამინდელ საქართველოში ბურჟუაზიის გამოუჩენლობას, რის გარეშეც ქვეყნის განვითარება შეუძლებელი გამხდარა. გამოხმაურების ავტორს მიაჩნია, რომ ქვეყნის განსაცდელი სწორედ ახალი „კლასის“ დაუბადებლობა იყო, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, უცხოელთა ბატონობა განაპირობებდა, ხოლო უცხოელების ბატონობის დაძლევა კი მხოლოდ ამ ახალ „კლასს“ უნდა ეკისრა.

საქართველოს ისტორიის მკვლევრის შეხედულებით, საზოგადოების დამამუხრუჭებელი ფენებია „ხალხის და ქვეყნის მოღალატე მთავრები“ [ბერძენიშვილი 1971: 287], მაგრამ მისივე დაუნდობელი შეფასება სწვდება, ასევე, ქვეყნის ინტელექტუალურ ფენასაც, – „ამ უქნარა ნაცარქექიათა ბანაკს, რომლის იდეური გამომხატველი არის როსტომ ბრძენი“ [ბერძენიშვილი 1971: 287].

ასევე, მნიშვნელოვანია მარქსიზმის სტალინურ ინტერპრეტაციაში ლიდერის („ბელადის“) ადგილი, რომელიც ისტორიულ განზომილებაში მეფეს ეკისრებოდა. უცნაურია, მაგრამ მეფე, ამ შეხედულებით, მოწყვეტილი იყო თავის „კლასს“ და ხალხის „პროგრესულ“ მეთაურს წარმოადგენდა. თუმცა, ბერ-

ძენიშვილის აზრით, „საზოგადოებრივი შეფერხების, საზოგადოებრივი ჩიხის ერთ-ერთი გამოხატულება იყო ის, რომ მეფეს გვიანფეოდალურ საქართველოში ხალხი არ ჰყავდა“ [ბერძენიშვილი 1971: 285], რის გამოც, მარქსისტული თეორიის მიხედვით (თუ საწინააღმდეგოდ?), „მეფე გვიანფეოდალურ საქართველოში ქვეყნის პროგრესულ ძალთა შემკრების როლში (ენგელსი რომ აღნიშნავს) ვერ გამოდიოდა“ [ბერძენიშვილი 1971: 285]. ამდენად, ისტორიკოსი ეთანხმება პიესის ავტორს, როცა იგი ვერაფრისმქმნელ „დავით მერვეს ტრაგიკომიკური სითბოთი ხატავს და არსებითად ნაცარქექიათა წრეში ათავსებს“ [ბერძენიშვილი 1971: 285]. საჩინოა, რომ იმ დროს, როცა ნიკო ბერძენიშვილი წერდა თავის გამოხმაურებას, პოლიკარპე კაკაბაძის პიესას ერქვა „დავით მერვე“, რაც არასწორად მიაჩნდა ნაწარმოების შემფასებელს და მოუწოდებდა დრამატურგს, არ დაეკავშირებინა პიესა კონკრეტული მეფის სახელთან:

„სჯობდა, რომ ასეთი ისტორიული ნაწარმოები, რომელიც საქართველოში გვიანფეოდალური ხანის მთელს ეპოქას შეეხება, არ ყოფილიყო მიმაგრებული რომელიმე მეფის სახელთან და ამ ნაწარმოებს იგივე ძველი სახელი „კახაბერის ხმალი“ აღდგენოდა“ [ბერძენიშვილი 1971: 288].

ძნელი სათქმელია, რამდენად გაითვალისწინა დრამატურგმა ისტორიკოსის რჩევა, მაგრამ ფაქტად რჩება, რომ ნაწარმოებს მართლაც დაუბრუნდა ძველი სახელწოდება და საბოლოოდ ამგვარი სახელდებითვე დარჩა.

ღირსშესანიშნავია, რომ ბერძენიშვილისეული გამოხმაურება გამოქვეყნდა მაშინ, როცა სტალინი უკვე გარდაცვლილია, მაგრამ საბჭოთა კომუნისტურ მმართველობას ჯერ არ დაუგმია ეგრეთ წოდებული „პიროვნების კულტი“, რაც 1956 წელს, კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე მოხდა. ამდენად, მკვლევრის მსჯელობანი პიროვნების მნიშვნელობის შესახებ ისტორიულ მოვლენათა განვითარებისას მაინც ორჭოფულია. ნიკო ბერძენიშვილი მკაფიოდ იწონებს დრამატურგის პოზიციას, რომ ისტორიულ პროცესებს (რასაც ისტორიკოსი „ისტორიული პროგრესის“ თვალსაზრისით განიხილავს) წარმართავს არა ერთი კონკრეტული ისტორიული პიროვნება, არამედ

„პროგრესული ძალები“ (ანუ „კლასი“), რის გამოც მითოსური კახაბერი „კახაბერის ხმალში“, ფაქტობრივად, არც კი ჩანს: იგი პიესის ბოლომდე უხილავად რჩება (თუ არ ჩავთვლით მოგვიანებით გაჩენილ „პროლოგს“, რომელსაც არც შეეხება ბერძენიშვილისეული გამოხმაურება). თუმცა თავად პიესისათვის მნიშვნელოვანია კახაბერის არა ისტორიული, არამედ სწორედ მითოსური სახე, რაც იმითაცაა განპირობებული, რომ იგი მართლაც არაა ისტორიული პერსონაჟი.

„პ. კაკაბაძე მართალია, როცა კახაბერს ნახევრად რეალურ, სანახევროდ სიმბოლურ პირად წარმოგვიდგენს, როცა ამ გმირთან დაკავშირებული ყველა მოვლენა არც დასაჯერებელია, არც დაუჯერებელი“ [ბერძენიშვილი 1971: 286], – მიაჩნია ნიკო ბერძენიშვილს.

„კახაბერის ხმალში“ დახატული ისტორიული სამყარო, ავტორის ჩანაფიქრით, სინამდვილეში მითოსური სამყაროა, ხოლო მითოსური ხედვა ყოველთვის უყურადღებოდ ტოვებს ერთადერთს, განუმეორებელს, ინდივიდუალურს, პიროვნულს. მარქსისტული იდეოლოგიაც, რომელიც ნიკო ბერძენიშვილმა პიესის ანალიზის იარაღად თუ ხერხად გამოიყენა, მთლიანად უგულებელყოფს ცალკეული ადამიანის პიროვნულ ღირებულებას, თუკი მას არა აქვს „კლასობრივი“ განზომილება. ამ მხრივ, დრამატურგისა და ისტორიკოსის ხედვები ერთმანეთს დაემთხვა, თუმცა მათი იდეური საფუძვლები და მიზნები სავსებით განსხვავებული იყო.

შეიძლება მკაფიოდ ითქვას, რომ ბოლშევიკურ საქართველოში ტექსტების იდეოლოგიური ტყვეობა გამოიხატებოდა არა მარტო იმით, როცა თავად ტექსტს, მეტად თუ ნაკლებად, განაპირობებდა კომუნისტური იდეოლოგია, მოაქცევდა მას იდეოლოგიის ტყვეობაში (და ეს იყო ტყვეობის ერთი სახეობა!), არამედ იმითაც (ეს ტყვეობის მეორე სახეობა იყო!), როცა უკვე არსებული ტექსტები, – მათ შორის, კლასიკური ნაწარმოებები, – ექცეოდნენ მარქსისტულ-კომუნისტური იდეოლოგიური ინტერპრეტაციის ტყვეობაში, რაც ამ ტექსტებს ხშირად აცლიდა, დააშორებდა ან თუნდაც უფერმკრთალებდა მათ ნამდვილ ავტორისეულ შინაარსს.

შენიშვნები:

1. საბოლოო, ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გამოქვეყნებული ვერსია – „კახაბერის ხმლის“ სახელწოდებით იხ. [კაკაბაძე 1971: 104-251].

2. შემდგომში ის შევიდა ავტორისეულ კრებულში, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდგომ გამოიცა [ბერძენიშვილი 1971: 283-288].

3. ავტორი პიესას სწორედ ამგვარად ათარიღებს: 1929-1954 [კაკაბაძე 1954: 228], [კაკაბაძე 1971: 251].

4. მოვლენათა აღწერა და თარიღები აღებულია ბიოგრაფიული ნარკვევიდან: [კაკაბაძე 2011: 171, 174-176], შდრ. [კაკაბაძე 2003: 326-335].

5. ჟანრობრივად ასე განსაზღვრავს თავად ავტორი: „კომედია ოთხ მოქმედებად“ [კაკაბაძე 1971: 103].

6. დავით მერვის მეფობის ბოლო, მოკლე, დაუნჯებული გადმოცემა იხ. [მეფეები 2007: 156-160].

7. პიესის საბოლოო ვერსიაში, რომელიც ავტორის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა, 1971 წელს, კახაბერი ცოცხლად ჩნდება (და მეტყველებს კიდეც) ოდენ პროლოგში, რომელიც პირველად და მხოლოდ ამ გამოცემაში ჩნდება [კაკაბაძე 1971: 107-112]; ამგვარ ვერსიას, სავარაუდოდ, არ იცნობდა ნიკო ბერძენიშვილი, რაკი ის არ შესულა პიესის პირველ, 1954 წლის გამოცემაში, რომელსაც რეცენზია უძღვნა ისტორიკოსმა.

8. ფოლკლორული, ზღაპრისეული ნაცარქექიას დასახასიათებლად იხ. [კიკნაძე 2008: 108-110].

9. ისევე როგორც კაკაბაძისეული ყვარყვარე თუთაბერი (პიესიდან „ყვარყვარე თუთაბერი“, 1928-1929), რომელშიც არა მარტო ნაგულისხმებია ნაცარქექიას სახე, არამედ მას ასეც მოიხსენიებენ პიესის ტექსტში, ხოლო თხზულების ადრეულ ვერსიებში (მაგალითად, 1936 წლის გამოცემაში ცალკე წიგნად: [კაკაბაძე 1936]) ეს პერსონაჟი რემარკებში, საერთოდაც, მხოლოდ ამგვარად იწოდება; მოქმედ გმირთა ჩამონათვალშიც ამ პერსონაჟების მეტსახელებიც სრულიად ემთხვევა ერთმანეთს: „ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია“ [კაკაბაძე 1971: 7], „გოსტაშაბი, ცნობილი ნაცარქექიად“ [კაკაბაძე 1971: 105].

10. კორნელი კეკელიძისეული განმარტება ამგვარია: „კახაბერი [...] - ქვეყნისათვის თავდადებული გმირის ზოგადი სახე. გ. ლეონიძის გამოკვლევით, კახაბერნი გადმოსულან გურიიდან და ქართლის მეფეების კარზე მსახურობდნენ“ [კეკელიძე 1972: 289]; ეს კომენტარი პირველად გამოქვეყნდა: [გურამიშვილი 1955: 314].

11. ზოგიერთი ზეპირი გადმოცემა მეტყველებს, რომ ქართული შუასაუკუნეობრივი საბუთების მრავალწლიანი, თითქმის ამომწურავი შესწავლის შედეგად ნიკო ბერძენიშვილმა მართებულად მიიჩნია ისტორიის მარქსისტული ახსნა.

12. თავად ეს ნაშრომი („О диалектическом и историческом материализме“) შეტანილი იყო უავტოროდ გამოსულ ოფიციალურ საყოველთაო სახელმძღვანელოში: „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ისტორია: მოკლე კურსი“ (როგორც ამ წიგნის მეოთხე თავის მეორე ქვეთავი), რომელიც წიგნად პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა: [ისტორია 1938: 99-127]; ნაშრომი შესულია სტალინის ტომეულებში: [სტალინი 1997: 253–282]. არსებობს ქართული ცალკე გამოცემაც: [სტალინი 1940]. ამ წიგნის საგანგებო და სავალდებულო შესწავლა, რომელსაც სტალინის პერიოდის ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ყოველკვირეული „პოლიტიკური განათლების“ დღე ეთმობოდა, მხატვრულად (სარკასტულად!) აღწერილი აქვს ალეკსანდრ სოლჟენიცინს თავის რომანში „პირველ გარსში“: [სოლჟენიცინი 2007: 527-536].

დამოწმებანი:

ბერძენიშვილი 1955: ბერძენიშვილი ნ. „პ. კაკაბაძის ‘დავით მერვე’“, *ლიტერატურული გაზეთი*, № 14, 8 აპრილი, 1955.

ბერძენიშვილი 1971: ბერძენიშვილი ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, V, თბ.: მეცნიერება, 1971.

გურამიშვილი 1955: გურამიშვილი დ. *თხზულებათა სრული კრებული*, თბ.: სახელგამი, 1955.

ვალენსკი 1954: Ю. Валенский, *Академик Е. А. Косминский и вопросы интерпретации истории Средних веков в советской школе*, Мюнхен: Единение, 1954.

ისტორია 1938: *История Всесоюзной коммунистической партии (большевиков): Краткий курс*, Москва: Партиздат, 1938.

კაკაბაძე 1936: კაკაბაძე პ. *ყვარყვარე თუთაბერი*, [ტფ.:] ფედერაცია, 1936.

კაკაბაძე 1954: კაკაბაძე პ. *რჩეული თხზულებანი: პიესები*, თბ.: სახელგამი, 1954.

კაკაბაძე 1971: კაკაბაძე პ. *დრამატული პოეზია: ორ ტომად*, ტომი I, თბ.: ხელოვნება, 1971

კაკაბაძე 1973: კაკაბაძე პ. *დრამატული პოეზია: ორ ტომად*, ტომი II, თბ.: ხელოვნება, 1973.

კაკაბაძე 2003: კაკაბაძე მ. „ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაკაბაძის ‘ვახტანგ გორგასალსა’ და ‘კახაბერის ხმალში’“, *ლიტერატურული ძიებანი*, 24, 2003.

კაკაბაძე 2011: კაკაბაძე მ. „პოლიკარპე კაკაბაძე“, წგ-ში: *ქართველ მწერალთა ცხოვრების გზა*, ნაკვეთი მეორე, თბ.: ციცინათელა, 2011.

კეკელიძე 1972: კეკელიძე კ, „დ. გურამიშვილის თხზულებათა კომენტარები“, წგ-ში: კეკელიძე კ. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, XI, თბ.: მეცნიერება, 1972,

კიკნაძე 2008: კიკნაძე ზ. *ქართული ფოლკლორი,* თბ.: თსუ-ს გამ-ბა, 2008.

ლომინაძე 1979: ლომინაძე ბ. „მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება ქართლში XIII-XIV სს-თა მიჯნაზე“, წგ-ში: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები: რვა ტომად,* ტომი III, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1979.

მედვედევი 2007: Медведев Р., Медведев Ж. *Неизвестный Сталин*, Москва: Время, 2007.

მეფეები 2007: *საქართველოს მეფეები*, თბ.: ნეკერი, 2007.

სოლჟენიცინი 2007: Солженицын А. *В круге первом,* Москва: Наука, 2006.

სტალინი 1940: სტალინი ი. *ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმის შესახებ*, თბ: სახელგამი, 1940.

სტალინი 1997: Сталин И. *Сочинения*, Том 14, Москва: Писатель, 1997.

რედაქციისაგან

რედაქცია მადლობას უხდის სტატიის შემოთავაზებისათვის ბ-ნ მერაბ ღაღანიძეს, რომელიც არ მონაწილეობდა საგრანტო პროექტის მუშაობაში.

მანანა შამილიშვილი
ადა ნემსაძე

კარიკატურა – ანტისაბჭოთა იდეოლოგიური იარაღი

ადამიანთა შორის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად ოდითგან ითვლება კარიკატურა. ესაა ნახატი, რომელიც გამოსახავს ვინმეს ან რამეს გაზვიადებული, დამახინჯებული, სასაცილო ფორმით. როგორც ა. დმიტრიევი აღნიშნავს თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „იუმორის სოციოლოგია“, კარიკატურის გამოყენება პოლიტიკურ ურთიერთობებში ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნიდან შეინიშნება. სწორედ ამ დროს გაჩნდა ის სატირული ნახატები, რომლებიც რამზეს III-ს გამოხატავდა, მაგალითად, მაგიდასთან ანტილოპის პირისპირ მჯდომს გამარჯვებული, მოზეიმე და თავდაჯერებული იერით. კარიკატურა აქტუალური იყო ძველ საბერძნეთსა და რომში, სადაც დაცინვის ობიექტები ხშირად ხდებოდნენ ხელისუფალნი (დმიტრიევი 1996: 107).

თანამედროვე კარიკატურის წინამორბედი პირველად გამოჩნდა მე-16 საუკუნის დასასრულის იტალიაში, ბოლონიის ხელოვნების სკოლაში, რომელიც მხატვარმა ძმებმა, კარაჩებმა დააარსეს. ანიბალ კარაჩემ გამოსცა ალბომი, რომელშიც პირველად გამოიყენა სიტყვა „კარიკატურა“. მომდევნო საუკუნეებში ევროპის მრავალი ქვეყნის პრესაში უკვე აქტიურად იბეჭდება კარიკატურები და მათ, ძირითადად, სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა გასაკრიტიკებლად იყენებენ. მე-18 საუკუნის ბოლოს ინგლისური გამომცემლობა „Two and country” ამ ვიზუალური ფორმით, ძირითადად, პოლიტიკურ მოვლენებს აკრიტიკებდა. ფრანგული გამოცემები „Charivari” (1831) და “Le journal pour rire” (1848) გამოსახვის ამგვარ საშუალებას მიმართავდნენ სხვადასხვა თემის გასაშუქებლად. ამჟამად საფრანგეთში არსებობს ორი ყოველკვირეული პროფილური გამოცემა „Charlie Hebdo“ და „Le canard enchaîné“, რომლებიც მთლიანად კარიკატურას ეთმობა. ინფორმაციის ვიზუალიზების ამ სახეს აქტი-

ურად იყენებდა საბჭოთა პრესაც. როგორც აკა მორჩილაძე წერს, „ყველა ეპოქის საბჭოთა სატირული ჟურნალები სავსე იყო წონაში მომტყუებელთა კარიკატურებით“ (მორჩილაძე 2014: 20).

კარიკატურა დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებასა და აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების კრიტიკულ გააზრებაში. სატირული ნახატების იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა ემოციურად წარმოაჩენს კონკრეტული ეპოქის სახეს. თვითგამოხატვის ეს ფორმა ავტორისათვის ეფექტური იარაღია თანადროულობის ნაკლოვანებათა გამოსააშკარავებლად. მან თითქმის დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა შეიძინა ტოტალიტარული მმართველობის პირობებში, როცა ვიზუალური გზავნილით შესაძლებელი იყო სიმბოლურად, შარჟული ენით, ზოგჯერ ენიგმურადაც თქმა იმისა, რაც სიტყვით იკრძალებოდა და ისჯებოდა.

ზემოაღნიშნულს ნათლად მოწმობს ანტისაბჭოთა საქმიანობის მუხლით გასამართლებულ პირთა არაერთი საქმე, რომლებიც საქართველოს შსს არქივშია დაცული. მოძიებული მასალები ცხადყოფს, რომ, მიუხედავად რეჟიმის სისასტიკისა და ტოტალური წნეხისა, სხვაგვარად მოაზროვნეები მაინც ახერხებდნენ სიმართლის თქმას; საკუთარი უსაფრთხოებისა და სიცოცხლის ფასად ამბობდნენ იმას, რაც იდეოლოგიური დიქტატის ქვეშ მყოფი საზოგადოებისთვის დაფარული იყო.

პოლიტიკური კარიკატურის მნიშვნელობასა და ნონკონფორმისტის ხელში მისი, როგორც მამხილებელი იარაღის როლზე მეტყველებს მხატვარ ილია ვლადიმერის ძე ტატიშვილის ძალისხმევა, ვიზუალური ნარატივით ემხილებინა საბჭოთა წყობილების მთელი სისასტიკე და დაუნდობლობა. მის მიერ შექმნილ კარიკატურათა ალეგორიული სიმართლის წაკითხვა ისტორიული ფაქტების ენაზე შესაძლებლობას გვაძლევს, მკაფიოდ წარმოვიდგინოთ ეპოქის სურათი, გამოვავლინოთ საბჭოური კოლონიზატორული პოლიტიკის ძალმომრეობითი ხასიათი.

ილია ტატიშვილის საქმე თარიღდება 1946 წლის 11 ოქტომბერიდან 9 დეკემბრის პერიოდით. იგი ეჭვმიტანილად მიიჩნიეს

58-1 „ბ“ მუხლით, რომელიც გულისხმობს სამშობლოს ღალატს, ჩადენილს სამხედრო მოსამსახურის მიერ. მხატვარ-კარიკატურისტის მოღალატეობრივი საქმიანობა უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ბოლშევიკებისგან საქართველოს გათავისუფლების მიზნით ნაცისტური გერმანიის მხარეს იბრძოდა. დაკითხვის ოქმებიდან ირკვევა, რომ ქართველ ლეგიონერს აქტიური ანტისაბჭოთა საქმიანობა 1941 წელს დაუწყია, იმ დროიდან, როცა ტყვედ ჩავარდნილა, შემდეგ კი დასაქმებულა ბერლინში, გერმანელ ნაცისტთა ხელშეწყობით დაარსებულ ქართულენოვან გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში კარიკატურისტად*. იგი ხატავდა და გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდა კარიკატურებს საბჭოთა ბელადსა და მის თანამებრძოლებზე. ქართველ ლეგიონერთა გაზეთი „საქართველო“ გამოდიოდა 1942-1944 წლებში. თავიდან გამოცემა ქართველმა ემიგრანტებმა დააარსეს გ. ფრონელის ინიციატივით, ხოლო შემდგომ ლეგიონერებს გადაეცა. ამ პერიოდიდან გაზეთს რედაქტორობდა ცნობილი სამხედრო მოღვაწის, ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაურის, შალვა მაღლაკელიძის ვაჟი გაიოზ (გაი) მაღლაკელიძე, 1943 წლიდან – ლეო ხუროძე, ბოლო ნომრებს კი ხელს აწერდა გრ. ჩადუნელი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს სამშობლოს გათავისუფლებისთვის მებრძოლი ქართული ინტელიგენციის ნაწილი გამოსავალს გერმანიასთან, როგორც რუსეთის წინააღმდეგ ძლიერ მოკავშირესთან კოლაბორაციაში ეძებდა. სისტემის მიმართ მრავალწლიან შეურიგებელ, უშეღავათო ომში შესულ ნონკონფორმისტებს ჰქონდათ ილუზია, რომ საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის დაპირისპირებით ისარგებლებდნენ და აღადგენდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას. ეს აზრი ნათლად იკითხება მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაკავებულთა ჩვენებებიდან.

ილია ტატიშვილისა და სხვა ავტორთა მიერ შესრულებული კარიკატურები, რომლებიც გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებ-

* საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საქმე №4682, ტ. 3.

ზე დაისტამბა, იდეოლოგიური დატვირთვისაა და არსებული რეალობის სარკასტულად ჩვენებას ისახავს მიზნად, შესაბამისად, აგიტაცია-პროპაგანდის ეფექტურ იარაღად გვევლინება. კონკრეტული სიტუაციებისა თუ პიროვნების კომიკური ან სატირული აღწერა ეხმარება გაზეთს შექმნილი რთული ვითარების მძაფრად წარმოჩენასა და პოლიტიკური ოპონენტის მხილებაში.

ერთ-ერთი კარიკატურა, სათაურით „სტალინის სიზმარი“, დაიბეჭდა 1944 წლის 27 თებერვალს, გაზეთის მე-9 (86) ნომერში. იგი ნათლად გვიჩვენებს კარიკატურისტის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მიზანდასახულობას, ასახავს გაზეთის მთავარ იდეასა და მის ანტისაბჭოურ სარედაქციო პოლიტიკას. კარიკატურა მიეკუთვნება ე. წ. „პორტრეტის“ კატეგორიას, რომელიც პიროვნების ფიზიკური ნიშნების დეფორმაციის ან მისი რომელიმე მახასიათებლის ჰიპერტროფირების გზით მეტაფორულად გადმოგვცემს სათქმელს. ამ ხერხს იყენებენ უმთავრესად პოლიტიკოსების ან საზოგადოებისთვის ცნობილი პირების გროტესკული სახეების შექმნისას. ჩვენ მიერ მოხმობილ ნიმუშში გაშარჟებულია „დიადი საბჭოელი ბელადი“იოსებ სტალინი.

კარიკატურის მკვლევრების – ქ. კადეს, რ. შარლისა და ჟ.-ლ. გალუსის – მიერ შემოთავაზებული სამკომპონენტიანი ტიპოლოგიის მიხედვით, მოცემული ნიმუში შექმნილია ორი კატეგორიის შერწყმით. კერძოდ, ეს არის „კარიკატურა, შექმნილი რომელიმე ასპექტის გამოკვეთით“, რასაც კარიკატურისტები აქტუალური თემების გაშუქებისას იყენებენ. აქ პერსონაჟის სახე ან სილუეტი ისეა დახატული, როგორიც ის სინამდვილეშია, მაგრამ აქცენტირებულია მისი რომელიმე მახასიათებელი. ამასთან ერთად, გამოყენებულია კატეგორია – „კარიკატურა, შექმნილი რომელიმე ასპექტის გამარტივებით“. ასეთი ტიპის კარიკატურას, ძირითადად, იყენებენ ისეთი სტატიის საილუსტრაციოდ, რომელიც მკითხველისთვის ნაცნობი პერსონაჟის შესახებ მოგვითხრობს. დესინატორი არ ინტერესდება დეტალებით, პერსონაჟის მახასიათებლები მაქსიმალურად გამარტივებულია, აქცენტირებულია მხოლოდ გან-

მასხვავებელი ელემენტი, მაგალითად, ულვაში, ქუდი და ა.შ. (მაჭარაშვილი 2018: 25).

თუკი განსახილველი კარიკატურის დანიშნულებაზე ვისაუბრებთ, მას, პირველ ყოვლისა, ინფორმირების ფუნქცია აქვს. ამასთანავე, იკვეთება დემისტიფიცირების, გამოწვევისა და რეკლამირების ფუნქციებიც. ეს ყოველივე ემსახურება კარიკატურისტის ამოცანას, პერსონაჟის ფიზიკური მონაცემების მოდიფიკაციით მოახდინოს რეალობის დემისტიფიკაცია, საჯარო განხილვის საგნად აქციოს თემა და გაუწიოს მას რეკლამირება მკითხველის წინაშე.

„სტალინის სიზმარი“ სატირული კრეოლიზებული მედიატექსტია, რომელშიც იკონურ და ვერბალურ კომპონენტებს შორის ინსემანტიკური დამოკიდებულებაა – გამოსახულება ტექსტის აუცილებელ ელემენტად გვევლინება. კარიკატურაში საბჭოელი ტირანის ნამდვილი სახეა წარმოჩენილი. კონკრეტული ქვეყნის ეთნოტიპური მახასიათებლის ჰიპერტროფირებითა და მისი სტალინის პერსონაჟისთვის ხელოვნურად მიკუთვნებით მკაფიოდაა გაცხადებული სტალინური დამპყრობლური პოლიტიკა და ბელადის შორსმიმავალი გეგმები, რომლებიც მსოფლიოზე ბატონობას გულისხმობს. გარდა რეალობის სიმბოლური ასახვისა, ეს ნიმუში ერთგვარი გაფრთხილებაცაა, მინიშნებაა იმ საფრთხეზე, რომელიც ევროპის ნებისმიერ საზოგადოებას შეიძლება დაემუქროს, თუ ნათლად არ გააცნობიერებს კარსმომდგარი განსაცდელის რეალურობას.

უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ტექსტის აღქმა, მათ შორის სემიოტიკურად გამდიდრებული ტექსტისა, დიდადაა დამოკიდებული რეციპიენტის ფონურ ცოდნაზე. თუკი მკითხველი არ იცნობს ლოკალურ კოდებს, ვერ შედგება სრულყოფილი კომუნიკაცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ვერბალურ და იკონურ ტექსტთა ურთიერთქმედებით განხორციელებული ეფექტური კომუნიკაცია სწორედ მკითხველი საზოგადოების კულტურული რეპერტუარის გათვალისწინებით მიიღწევა. მისთვის ნაცნობია ის იდეები, ფასეულობანი, რომელთა გაზიარებასაც ავტორი და მთლიანად რედაქცია ისახავენ მიზნად.

ჩვენს საკვლევ მასალაში ვერბალური კოდი წარმოდგენილია მოკლე ინფორმაციული შეტყობინებით, ერთგვარი წინათქმით, რომელშიც გაცხადებულია ამბის არსი, მას ახლავს მთავარი სათაური – „სტალინის სიზმარი“, ხოლო ორ წყებად განლაგებული კარიკატურების ქვევით მიწერილია დანომრილი ქვესათაურები. თითოეული მათგანი იმ კარიკატურის რელევანტურია, რომელშიც კონკრეტული ქვეყნის მახასიათებელია აქცენტირებული და ვერბალური კოდიც ამ ნიშნით მოდიფიცირდება – იმ ჟღერადობას იძენს, რომელიც ამა თუ იმ ენისთვისაა ნიშნეული. მაგალითად: „პოლონეთის პრეზიდენტი სტალინსკი“, „რუმინეთის პრეზიდენტი სტალინუ“, „ბულგარეთის პრეზიდენტი სტალინოვ“, „საბერძნეთის პრეზიდენტი სტალინოსი“, „საფრანგეთის პრეზიდენტი ბატონი სტალინე“ და ა.შ.

იკონურ კოდს წარმოადგენს სტალინის პორტრეტი, რომლის გარეგნული ელენემენტები იცვლება ეთნიკურობის ცვლილების კვალად. მაგალითად, ელინების პრეზიდენტობაზე მეოცნებე „ხალხთა მამა“ ბერძნულ ტოგაშია გამოწყობილი, ფრანგთა

მესვეურის რანგში პენსნე და ფრაკი ამშვენებს, სხვაგან ჩიბუხს სიგარა ცვლის, ემატება ჰალსტუხი, ცილინდრი და სხვა აქსესუარები, რომლებიც ეროვნული იდენტიფიცირებისას განმსაზღვრელ ატრიბუტებად გვევლინება. უცვლელი რჩება თვით პიროვნების მაიდენტიფიცირებელი ნაკვთები, კავკასიელის ტი-

პისთვის მახასიათებელი კეხიანი ცხვირი, გრუზა თმა და ხშირი ულვაში. თუმც ეს უკანასკნელიც ფორმას იცვლის ცალკეული ეთნოსის იერსახის ყაიდაზე.

ქრომატული კოდი გაანალიზებულ კარიკატურაში გამოყენებული არაა, ნახატები მხოლოდ შავ-თეთრ ტონალობაშია შესრულებული. რაც შეეხება გრაფიკულ კოდს, ამ სახით წარმოდგენილია ნუმერაცია – 15 ევროპული ქვეყნის ჩამოსათვლელად მოხმობილი ციფრები. მათგან პირველ რიგში რვა ქვეყანაა დასახელებული, მეორეში კი – შვიდი. დაბოლოს, შინაარსის შექმნაში მონაწილეობს პუნქტუაციაც, როგორც სინკრეტული კოდის ნაწილი. კარიკატურისტის ჩანაფიქრით, სხვადასხვა ევროპული ქვეყნის მესვეურობაზე მოფიქრალი სტალინი კიდევ ბევრს იოცნებებდა, სიზმრიდან რომ არ გამორკვეულიყო – „სამწუხაროდ, მას აქ გამოეღვიძა...“ ქვეყნების დასახელებისას და ვერბალური ტექსტის დასასრულს დასმული სამწერტილი მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე „ხალხთა ბელადის“ ზრახვებს ამხელს და კონოტაციურად აძლიერებს ვიზუალურ ნარატივს.

ამგვარად, განსახილველად შერჩეული კარიკატურა რთული პოლიტიკური ვითარების ფონზე წარმოქმნილ საფრთხეებზე მიანიშნებს და სტალინური ტოტალიტარული მმართველობის სპეციფიკას გამოკვეთს.

სტალინური პოლიტიკის კრიტიკას ისახავს აგრეთვე მიზნად გაზეთ „საქართველოში“ დასტამბული მორიგი კარიკატურა, რომელიც 1943 წლის 14 მარტით თარიღდება. ამ ნახატზე სტალინთან ერთად მოკავშირეთა ლიდერების დეფორმირებულად გამოსახული პროტოტიპებიცაა აღბეჭდილი. მსგავსი მიდგომა ბუნებრივიცაა, რადგან ნაცისტური გერმანიის იდეოლოგიური კურსის გამტარებელი გაზეთი ამ სამზერიდან ცალმხრივად აღიქვამდა მოვლენებს, თუმცა ეროვნული მიზანდასახულობა ყოველთვის ლაიტმოტივად გასდევდა სარედაქციო გამოსვლებს, რაც ჰიტლერული გერმანიის დახმარებით სამშობლოს ბოლშევიზმისგან გათავისუფლების ამოცანას გულისხმობდა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კარიკატურა გაზეთის პირველივე გვერდზე, მეთაური წერილის გვერდითაა განთავსე-

ბული და რედაქციის თვალსაზრისის გამომხატველად გვევ-ლინება. მასში გროტესკულადაა გადმოცემული თანადროული პოლიტიკური მოვლენები, რაც მეორე მსოფლიო ომის მონაწი-ლე მთავარი საერთაშორისო აქტორი ქვეყნების ლიდერთა კომი-კური, დეფორმირებული სახეებითაა ნაჩვენები. მიუხედავად იმისა, რომ ნახატი გლობალური კონფლიქტის სამი მთავარი პოლიტიკური მოთამაშის პორტრეტს ასახავს, იგი მაინც „სი-ტუაციური კარიკატურის“ რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. მასში მთავარი აქცენტი კეთდება სწორედ აქტუალური მოვლენის შარჟულ წარმოჩენაზე, რასაც ომის მონაწილე მთავარ სუბი-ექტთა ქცევის გროტესკულობა უწყობს ხელს.

მოცემული კარიკატურა შექმნილია ზოომორფული ხერხის გამოყენებით. კარიკატურის ეს ტიპი პერსონაჟის ქცევის ახს-ნას ცდილობს მისთვის რომელიმე ცხოველის თვისებათა მინი-ჭებით. ჩვენს შემთხვევაში ავტორმა უზარმაზარი დათვის სახით წარმოაჩინა სტალინი. პერსონაჟის განსჯისთვის შექმნილი ეს სახე ნათლად გამოხატავს კარიკატურისტისა და მთლიანად რე-დაქციის დამოკიდებულებას ბოლშევიკთა მეთაურისა და მისი პოლიტიკის მიმართ. ნახატში უკიდურესად დეფორმირებული პერსონაჟის გვერდით გამოსახულია ასევე ჩერჩილისა და რუზ-ველტის მომცრო ფიგურები.

თითოეულისთვის დამახასიათებელი თვისების გაზვიადე-ბით წარმოჩენილი ეს „პორტრეტები“ მეტაფორულად გად-მოგვცემს ავტორის სათქმელს. დათვი ხარბად ცლის საყვარე-ლი თაფლით სავსე თასს (ამაზე მიანიშნებს ჩამოღვრილი ბლან-ტი წვეთები, მძიმედ რომ ეცემა ძირს), რომელზედაც საბჭოთა კავშირის გერბია გამოსახული. სტალინის პერსონაჟს წელზე თეთრი სალტე აქვს შემორტყმული და მას ხუთქიმიანი ვარსკ-კვლავი ამშვენებს. მიუხედავად შავ-თეთრი ტონალობისა, მკითხველს არ გაუჭირდებოდა მასში კარგად ნაცნობი საბჭო-ური სიმბოლიკის სიწითლე ამოეცნო. ამ სცენის შემყურე იქვე მორჩილად მდგარი ორი დასავლელი ლიდერი მხატვარმა სა-კუთარი ინტერპრეტაციით გამოსახა – ჰიპერტროფირებულად გადმოსცა მათი თვისებები. ჩერჩილი მთელი მონდომებით ცდი-

ლობს, ქვას წვენი გამოადინოს, ინდიფერენტული რუზველტი კი არხეინად არღანზე უკრავს და მზერა ცაში აქვს აპყრობილი.

სატირულ ვიზუალურ ენას სიმძაფრეს მატებს შაირის ყაიდაზე, ლექსად გარითმული მინაწერი, რომელსაც ავტორი ჩერჩილს ათქმევინებს: „... და ჩერჩილმაც შემოსძახა: ამფერ, ჩემო დათუნაო, როგორ გშვენის ეგ დავლური, მალაყები და ხტუნვაო!“ ამ შემთხვევაში, ვერბალური ტექსტი იკონურს ავსებს. მათი ურთიერთმიმართება ინსემანტიკურია, ხოლო ფონური ცოდნა კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველთან კომუნიკაციურ ეფექტს. ლოკალური კოდების ცოდნა, რასაც ავტორი პირველ ყოვლისა ითვალისწინებს, უზრუნველყოფს რეციპიენტისგან ვიზუალიზებული ინფორმაციის სრულყოფილად აღქმას. კარიკატურის ავტორმა ამგვარ ცოდნაზე დაყრდნობით ნათლად უჩვენა მკითხველ საზოგადოებას მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არსი. მან სააშკარაოზე გამოიტანა პოლიტიკოსთა ფლიდური ბუნება, იმ დროს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ხაზი გაუსვა ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეთა მცდელობის უსუსურობას, მათ არაერთსულოვნებას, საბჭოთა ტირანის მიმართ ანგარიშვალდებულებას, გარდა ლიდერებისა, მისდამი სხვა მცირე მოთამაშეთა სრულ მორჩილებასა და ძრწოლას (ეს ნახტზე კარგად ჩანს შიშისგან მოცახცახე ძაღლისა და არღანზე ჩამომჯდარი თუთიყუშის სახით).

მოცემული ნახატით ავტორმა კომპლექსურად გამოხატა მისი თანამედროვეობის აქტუალური პრობლემატიკა, რაც სარედაქციო თვალსაზრისთან კორელაციაში აქტუალური საკითხებისადმი ერთიან კონცეპტუალურ მიდგომას აყალიბებდა. ცხადია, კარიკატურას ენიჭებოდა იდეოლოგიური დატვირთვა და ინფორმირებასთან ერთად აგიტაციური ფუნქციაც ემატებოდა.

მრავალრიცხოვან კარიკატურათაგან ამ ერთზე განსაკუთრებული ყურადღება სხვა მიზეზის გამოც შევაჩერეთ. „დამახინჯებული სახით" დახატულ სტალინის კარიკატურაზე საუბრობდა დაკითხვის ოქმში მოწმე ვასო მიხეილის ძე რამაზაშვილი*, როცა ილია ტატიშვილის გაზეთში საქმიანობას აღწერდა. იგი ტატიშვილს მიაკუთვნებდა აღწერილ ნახატს, თუმცა კარიკატურის მარჯვენა ქვედა კუთხეში გაკეთებული ხელმოწერა ნათლად მიანიშნებს მხატვარ ი. ევგენიძის ავტორობაზე. ი. ტატიშვილის აღიარებითი ჩვენებიდან ირკვევა, რომ, გარდა ევგენიძისა, მასთან ერთად გაზეთში მხატვრად მუშაობდა ასევე გრ. ჭეიშვილიც. კარიკატურები ძირითადად ხელმოწერილია დასახელებულ ავტორთა მიერ ზოგჯერ სრულად, ხან კი – ინიციალებით. აღსანიშნავია, რომ გაზეთს ჰქონდა სპეციალური რუბრიკები: „კარიკატურის კუთხე", „ჰუმორი". გარდა კარიკატურებისა, ამ რუბრიკების ქვეშ იბეჭდებოდა ანეგდოტები, ფელეტონები, იუმორისტული ჩანახატები.

სიტუაციური კარიკატურის სახეობას მიეკუთვნება ილია ტატიშვილის ავტორობით (ხელმოწერილია ინიციალებით „ი.ტ.") შექმნილი ნახატი „დიეპის ავანტიურის უკანასკნელი აქტი". მასში ლეგიონერის მიერ გროტესკულადაა აღწერილი საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ დიეპში განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. ვიზუალური ინფორმაციის ვერბალიზება და მხატვრის ჩანაფიქრის ამოცნობა რთული იქნება კონტექსტური ცოდნის გარეშე.

---

* საარქივო სამმართველო, ფონდი 6, საქმე № 4682, ტ. 3, ტატიშვილი ი. ვ., 18 ივლისის დაკითხვის ოქმი.

დიეპში შექმნილი პოლიტიკური ვითარება კი ამგვარი იყო: მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში დიეპისთვის ბრძოლა ცნობილია, როგორც ოპერაცია „რატერის“ (ინგ. Operation Rutter), ისე „იუბილეს“ (Operation Jubilee) სახელებით. 1942 წელს დიდი ბრიტანეთისა და კანადის შეიარაღებული ძალების საზღვაო დესანტმა იერიში მიიტანა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ლამანშის სანაპიროზე მდებარე საპორტო ქალაქ დიეპზე. ამ ოპერაციის მიზანი იყო ქალაქის გათავისუფლება დამპყრობთაგან და მოწინააღმდეგის რეაქციის შეფასება. ოპერაციაში უმეტესად კანადელები მონაწილეობდნენ. ექვსი ათასი ქვეითი ჯარისკაცით მოკავშირეებმა შეტევა დაიწყეს 1942 წლის 19 აგვისტოს, დილის 5 საათზე, საღამოს ცხრისთვის კი იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. ოპერაცია დასრულდა სწრაფი და გამანადგურებელი მარცხით. დაიღუპა მედესანტეების თითქმის 60 პროცენტი. დიეპის ოპერაციის წარუმატებლობამ გავლენა იქონია მოკავშირეთა სამომავლო გეგმებზე, ჰიტლერულ გერმანიას კი გამარჯვებით ტკბობის შესაძლებლობა მისცა.

ასეთი იყო პოლიტიკური ფონი, რომლის გათვალისწინებითაც გაზეთმა „საქართველომ“ დიეპში გამარჯვებიდან სულ რამდენიმე დღეში, 1942 ნლის 30 აგვისტოს ნომერში, ზემოხსენებული კარიკატურა გამოაქვეყნა. ნახატი ასახავს თეატრალური წარმოდგენის ბოლო აქტს. თეატრალურ სივრცეში, სასცენო ფარდებს მიღმა წარმოჩენილი სურათი შემაძრწუნებელია. მოჩანს ქალაქის ქუჩებში დატრიალებული ტრაგედიის შედეგები – დახოცილები, დაჭრილები და ტყვედ აყვანილი ადამიანები. ფარდის გამწევი თოკი ჩერჩილს უჭირავს, მარჯვენა ლოჟაში კი სტალინთან ერთად მოკავშირეთა ლიდერები სხედან. მართალია, სპექტაკლს დირიჟორიც ჰყავს, მაგრამ ავტორი მიგვანიშნებს, რომ მთავარი „დირიჟორები“ ლოჟაში სხედან, მათ უკან კი იკვეთება ჩერჩილის ფიგურა, რომელსაც რეალურად უჭირავს პროცესების სადავეები.

ამგვარად, იკონური კოდის – იუმორისტული ნახატის – ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტორის ყურადღება მიმდინარე აქტუ-

ალურ თემაზეა კონცენტრირებული. მიუხედავად სუბიექტური პოზიციისა, კარიკატურისტი ახერხებს, შარჟული ენით გადმოგვცეს ისტორიული ფაქტები და თანადროულობის რეალიათა კონტექსტში გამოკვეთოს სათქმელი. ეს ნიმუში ნათლად გვიჩვენებს, რომ კარიკატურა, როგორც ჟურნალისტური ხერხი, ახალი ამბების უკეთ გაანალიზებაში გვეხმარება.

კარიკატურის მკვლევართა შორის საკმაოდ მნიშვნელოვანია მხატვართა კლასიფიკაცია ვიზუალური მასალის ფორმისა და გადმოცემის საშუალებების (იკონური, ვერბალური) მიხედვით. განარჩევენ „მხატვარ-ესთეტებსა“ და „მხატვარ-ფილოსოფოსებს“. „მხატვარი-ესთეტები“ უარს ამბობენ ტექსტზე და ნამუშევარში მთლიან ინფორმაციას ნახატი გადმოსცემს, რადგან მათთვის პირველ პლანზე ესთეტიკური პრობლემებია და მეორეზე – ინფორმაციულობა. რაც შეეხება „მხატვარ-ფილოსოფოსებს“, ისინი ცდილობენ, თავიანთი სათქმელი გამოხატონ „წმინდა“ სიმბოლურ ფორმაში განზოგადების მეშვეობით. შესაბამისად, მათთან პირველ პლანზე ინფორმირებულობაა, მეორეზე კი – ესთეტიკური სამუშაო (დმიტრიევი 1996: 109). ამ კლასიფიკაციის გათვალისწინებით, ზემოხსენებულ კარიკატურათა ავტორები „მხატვარ-ფილოსოფოსებს“ მიეკუთვნებიან, რადგან ყველა განხილულ მაგალითში იკონურის გვერდით თანაბარი მნიშვნელობა განეკუთვნება ვერბალურ ნაწილსაც, რომელიც აძლიერებს და უკიდურესად ამწვავებს კარიკატურის „სიმბოლურ“ პლანს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მიერ განხილულ კარიკატურებს ენიჭება, ძირითადად, ინფორმირების, პერსონაჟის დემისტიფიკაციის, გამოწვევისა და პროპაგანდისტული ფუნქციები. ავტორის მიერ შარჟული ენით გაცხადებული პოზიცია სრულად ემთხვევა სარედაქციო თვალსაზრისს და გამოხატავს გაზეთის კონცეფციას, რაც ნაცისტური გერმანიის დახმარებით სამშობლოს ბოლშევიკური ტირანიისგან გათავისუფლების მიზანს ემსახურებოდა.

გაზეთ „საქართველოში“ დასტამბული ნიმუშების ანალიზმა ცხადყო კარიკატურის, როგორც პროპაგანდისტული იარაღის მნიშვნელობა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. სარედაქციო პოლიტიკასთან მისადაგებული ვიზუალური მასალა, მიუხედავად გერმანული ნაციზმის აპოლოგიისა, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეით იყო აღბეჭდილი. ქართველ კარიკატურისტთა მამხილებელი ხელწერით გაცხადებულ ამ პროპაგანდისტულ გზავნილებში ნათლად იკვეთებოდა სტალინური რეჟიმის მთელი სისასტიკე და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

დამოწმებანი:

ატარდო 2001: Attardo, S. *Humorous texts: A Sementic and Pragmatic Analysis*. Berlin: Mouton de Gruyte, 2001.

ბარტი 2011: ბარტი, რ. *მითოლოგიები*. თბილისი: „აგორა“, 2011.

ბიგნელი 2002: Bignell, J. *Media semiotics*. Manchester: Manchester University Press, 2002.

ბოლონიური სკოლა 1998: *Болонская Школа*. Art-Drawing.Ru – Информационно-образовательный портал. http://www.art-drawing.ru/cultural-heritage/1998-bologna-school

გარსია 1981: Garcia, M. R. *Contemporary Newspaper Designe*. New Jersey: Prentice Hall, 1981.

დიეპი... 1942: „დიეპის ავანტიურის უკანასკნელი აქტი.“ *გაზ. „საქართველო“*. 30 აგვისტო. ბერლინი: 1942.

დმიტრიევი 1996: Дмитриев, А. Социология юмора: Очерки. Москва: Российская Академия Наук, 1996. https://www.gumer.info/bibliotek_Buks/Sociolog/Dmitr/09.php

მაჭარაშვილი 2018: მაჭარაშვილი, თ. *ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში 2012-2014 წლების გამოცდილება*. მასობრივ კომუნიკაციებში აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2018.

მორჩილაძე 2014: მორჩილაძე, ა. *ჩრდილი გზაზე*. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2014.

საქართველო 1943: *გაზეთი „საქართველო“*. ბერლინი. 14 მარტი, 1943.

სტალინის ... 2014: „სტალინის სიზმარი“. *გაზ. „საქართველო“,* ბერლინი. 27 თებერვალი, 1944, №4.

შამილიშვილი 2014: შამილიშვილი, მ. „ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები“. *კრიტიკა*, 9. 2014.

ჯინჭარაძე 2010: ჯინჭარაძე, ს. *სატირული კრეოლიზებული ტექსტის სემიოტიკური ბუნება*. კულტურათაშორისი კომუნიკაციები. 2010, № 11.

ლიტერატურის ინსტიტუტის რეპრესირებული თანამშრომლები

* * *

საბჭოთა რეპრესიებისგან საზოგადოების არც ერთი ფენა არ იყო დაცული. სადამსჯელო ღონისძიებების ტალღა პერიოდულად თავს ატყდებოდა ყველას, ვინც დამოუკიდებელი აზროვნებით ან ამგვარი აზროვნების მცდელობით გამოირჩეოდა. ამდენად, გამონაკლისი ვერც ე. წ. სამეცნიერო ინტელიგენცია იქნებოდა. თავიანთი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ახალგაზრდა ასპირანტები თუ მეცნიერ-მუშაკები უშუალოდ ეხებოდნენ უახლოეს წარსულში ევროპული კულტურული ორიენტაციის გამოვლინებებს, ამ ჭრილში გამოკვეთილ მხატვრულ-ესთეტიკური, გნებავთ, ფილოსოფიური აზროვნების ნიმუშებს და ამით დროთა კავშირის შენარჩუნებას ესწრაფოდნენ. ასეთ ადამიანებს ხელისუფლება მისთვის ჩვეული მეთოდებით დევნიდა და ხელაღებით კონტრრევოლუციონერებსა და ნაციონალისტებს უწოდებდა.

სწორედ ამ მდგომარეობის გათვალისწინებით აღნიშნული პროექტის ფარგლებში სპეციალურად მოძიებულ და დამუშავებულ იქნა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა იმ ჯგუფის პირადი საქმეები (ხოლო საქმეების უქონლობის შემთხვევაში, ანალიტიკური ბარათები), რომლებიც ცხადყოფენ მათი ბიოგრაფიის განსაკუთრებულობას, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებებთან დაკავშირებულ და ამის გამო ნაკლებად გახმაურებულ ეპიზოდებს. ელენე ვირსალაძე, გიორგი კალანდაძე, იოსებ მეგრელიძე, მირიან აბულაძე, ალექსანდრე კალანდაძე, ივანე ლოლაშვილი, თამარ (თათული) ღვინიაშვილი, იოსებ ლორთქიფანიძე, რამაზ კობიძე – აი, ის ლიტერატორები, გამორჩეული მეცნიერ-მკვლევრები, რომლებსაც უშუალოდ შეეხო საბჭოთა რეჟიმის მსახვრალი ხელი. მიუხედავად გადატანილი სირთულეებისა, მათმა დიდმა ნაწილმა შეძლო ცხოვრების გაგრძელება, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება და საყვარელ საქმეში თვითრეალიზება. კიდევ ერთი თვისება გამოარჩევდა ამ მრავალჭირნახულ ადამიანებს: ისინი არასოდეს არ საუბრობდნენ საკუთარ ტრავმებზე, ნანახითა და განცდილით თავს არავის წინაშე არ იწონებდნენ. ეს დუმილი არა იმდენად შიშით, რამდენადაც ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების რწმენით იყო მოტივირებული.

ნონა კუპრეიშვილი

მირიან აბულაძე

მირიან აბულაძე – ქართველი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე. დაიბადა 1921 წლის 7 აპრილს, ყვარელში ცნობილი ეპიდემიოლოგის სოლომონ აბულაძის ოჯახში. ს. აბულაძეს განათლება პეტერბურგის ბეხტერევკას სახელით ცნობილ კერძო სამედიცინო ინსტიტუტსა და იურიევის (დღევანდელი ტარტუს) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე ჰქონდა მიღებული. იგი აქტიურად იყო ჩართული მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიაში, რისთვისაც მთავრობის ჯილდოც ჰქონდა მიღებული.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1939 წელს მირიან აბულაძე მისაღებ გამოცდებს აბარებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუმცა ერთი წლის შემდეგ სასწავლებლად გადადის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1945 წელს იგი ხდება პროფ. აკაკი ურუშაძის ასპირანტი. 1947 წელს მეგობრულ სუფრაზე კითხულობს ლექსს, რომლის შინაარსი იმდენად შეურაცხყოფს ერთ-ერთ თანამეინახე ქალიშვილს (შემდგომში ცნობილ ისტორიკოსს), რომ იგი, გამოიჩენს რა იდეოლოგიურ სიფხიზლეს, საეჭვო დეკლამატორის შესახებ შესაბამის ორგანოებს აცნობებს. მირიან აბულაძე მალევე „აიყვანეს“ და 10 წლით პატიმრობაც მიუსაჯეს (ერთი წელი მან ორთაჭალის ციხეში დაჰყო, 4 წელი კატორღაში – შორეულ ციმბირში, ხოლო დანარჩენი კი მიმაგრებაში, კრასნოიარსკის სოფელ რაზდოლ-

ნაიაში). გადასახლებაში მ. აბულაძე ქორწინდება ლატვიელ გენია აუგაიტიტეზე, რომელიც თავის ოჯახთან ერთად ასევე პატიმრობაში იმყოფებოდა. მათ იქ შეეძინათ ქალიშვილი ნანა (რეგინა), თუმცა 1955 წელს, როდესაც ბელადის გარდაცვალების შემდეგ საყოველთაო ამნისტია გამოხცადდა, მამას თბილისში დაბრუნება პატარა გოგონასთან ერთად, მეუღლის გარეშე მოუწია. რომ არა გ. ლეონიძის ჩარევა, რომელმაც თავის მხრივ შუამდგომლობა სთხოვა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტულ და უმაღლეს სამთავრობო წრეებთან დაახლოებულ მწერალს, მიხეილ შოლოხოვს, დედა-შვილის შეხვედრა და ოჯახის გაერთიანება რამდენიმე წლით დაიგვიანებდა. ქალბატონი გენია თბილისში 1956 წელს, 5 წლით ქალაქიდან გაუსვლელობის პირობით, ჩამოვიდა.

სწორედ ამ წლის მარტში თბილისში გაიმართა პროსტალინური მანიფესტაციები, რომელსაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. მ. აბულაძეც და მისი მეუღლეც ამ გამოსვლებს, როგორც მოსალოდნელი იყო, გულგრილად შეხვედრიან. (გავიხსენოთ ამავე მოვლენაზე გალაკტიონის, გურამ რჩეულიშვილისა და რეზო ჭეიშვილის რეაქცია). სიმონ ჩიქოვანის რეკომენდაციით და მისივე რედაქტორობით 1959 წელს იბეჭდება მ. აბულაძის პოეტური კრებული „აპრილის ხმები“, რომელმაც მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ს. ჩიქოვანის რედაქტორობა მაშინ პოეტის აღიარების ტოლფასი იყო. მალე-

ვე მ. აბულაძემ მუშაობა დაიწყო ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და 1961 წელს გამოსცა კიდეც პირველი გამოკ-ვლევა სულ რამდენიმე წლის წინ რეაბილიტირებული (1954) და ასევე რეპრესირებული პოეტის, ტიციან ტაბიძის, შესახებ („ტიციან ტაბიძის პოეზია“). ეს არჩევანი ბევრ რამეს ამბობდა თავად მ. აბულაძის მეცნიერულ ინტერესსა და მისი პიროვნუ-ლი თვისებების შესახებ. აღნიშნულ ნაშრომს მოჰყვა მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებული წიგნი „ლიტერატურულ

მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერ-ლობაში“ (1977), რომელიც მკითხველს აკრძალული ან ნახევ-რად აკრძალული ქართული მოდერნიზმის ისტორიას აცნობდა და მიზნად ისახავდა, კონკრეტულად, „ცისფერყანწელთა“ ლი-ტერატურული ორდენის ღვაწლის წარმოჩენას. მ. აბულაძემ ამ უნიკალურ ნაშრომში პრაქტიკულად „სამოციანელებად“ წოდე-ბული მთელი შემოქმედებითი თაობის სათქმელი გამოხატა – ქართული სიმბოლიზმი XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო.

კ. გამსახურდიას შემოქმედებისადმი ინტერესი მ. აბულაძემ 1976 წელს მწერლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის პირველ ნაკვთის გამოცემით გამოხატა და გააძლიერა კიდეც (კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ეს ნაშრომი მეცნიერს სადოქტორი დისერტაციად ჰქონია ჩაფიქრებული). განსაკუთრებული რეზონანსი წიგნმა კონსტანტინე გამსახურდიას, XX საუკუნის დასაწყისის „ქართულ რენესანსად“ წოდებული კულტურული განახლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, გარდაცვალების შემდეგ მოიპოვა.

მ. აბულაძე 1987 წელს თბილისში გარდაიცვალა. მისმა ვაჟმა, დავით აბულაძემ, სწორედ ამის შემდეგ გამოსცა მამის ლექსები, რომელთა გამოქვეყნებას ლიტერატურულ პროცესს განრიდებული ავტორი დიდი ხანია, არც ცდილობდა. პატარა კრებულს წინასიტყვაობა წარუმძღვარა მ. აბულაძის ნიჭის თაყვანისმცემელმა, კრიტიკოსმა თ. დოიაშვილმა, რომელშიც მან თავის უფროს მეგობარსა და კოლეგას „განსაკუთრებული ბიოგრაფიის კაცი“ უწოდა.

საქართველოს შსს არქივში მირიან აბულაძის საქმე არ არის. ის, როგორც ირკვევა, 90-იანი წლების დასაწყისში თბილისში გაჩაღებულ სამოქალაქო ომს ემსხვერპლა. თუმცა არქივის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს ე.წ. ანალიტიკური სამსახურის სააღრიცხვო ბარათი, რომლის მწირი, მაგრამ ზუსტი მონაცემები ადასტურებს ამგვარი საქმის არსებობას.

გვარი – აბულაძე
სახელი – მირიან
მამის სახელი – სოლომონის ძე
დაბადების წელი – 1921
დაბადების ადგილი – საქ. სსრ, სოფ. ყვარელი
მისამართი – თბილისი კალინინის №114
პროფესია (სპეციალობა) – პედაგოგი
სამუშაო ადგილი – არ მუშაობს
კომკავშირის წევრი

ეროვნება – ქართველი, მოქალაქე – სსრკ

დაპატიმრებულია – 1945 წლის 22.XII

დანაშაულის ხასიათი – კონტრ./რევოლუც. ორგანიზაციის წევრი

საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 ნაწ.II, 58 –11 მუხლები

ბარათი შევსებულია – საქ. შსს „ა“ განყოფილება

ვის მიერაა გასამართლებული – საქ. სსრ უმაღლ./სასამართლო

როდის – 29/V 46 წელი სისხლ. სამართ კოდექსის 58-10 ნაწ. II

ვადა – 7 წელი

1946 წ. 24/I გადაყვანილია თბილისის №1 ციხეში

შემოვიდა 10/VIII – 46

გადაყვანილია 18/VIII 48 წ. ჩრდილო-პეჩორსკის რკინიგზის სადგურ ინტას საგანგებო ბანაკში

გათავისუფლდა – 1/I, 50 წ. გადაგზავნილია კრასნოიარსკის მხარის ქ. კრასნოიარსკის უშიშროების სამმართველოს განკარგულებაში შემდგომი გასახლებისათვის. 1955 წ. 18/XI საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით სასჯელის ზომა შეუმცირდა 5 წლამდე.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს 1958 წლის 20.5. გაუქმებულ იქნას 1946 წ. 29.5 საქ. სსრ სასამართლოს კოლეგიის მიერ გამოტანილი განაჩენი და საქმე, მასში მტკიცებულებების არქონის გამო, შეწყდეს.

11.9.58 წ.

ზოია ცხადაია

ელენე (ლოლოტა) ვირსალაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნარატიულ ფოლკლორისტთა საერთაშორისო საზოგადოების წევრი, სსსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ელენე ბაგრატის ასული ვირსალაძე დაიბადა 1911 წლის 29 ივნისს თბილისში. მე-8 შრომის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1930 წელს. იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, შალვა ხიდაშელი, დაქორწინდნენ და ერთად გაემგზავრნენ ლენინგრადში. იქ დაამთავრეს ლენინგრადის ლიტერატურის, ენისა და ფილოსოფიის ასპირანტურა 1935 წელს. იქ ეყოლათ ქალიშვილი. 1936 წელს ლენინგრადში დაიცვა ელენე ვირსალაძემ საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ზღაპრის გენეზისის პრობლემა“. იგი ერთ-ერთი პირველი იყო ქართველ ქალთაგან, რომელმაც მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი. 1936 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვადასხვა პედაგოგიურ ინსტიტუტში, ასწავლიდა უცხოურ და რუსულ ფოლკლორსაც. ფართო დიაპაზონისა და დიდი ერუდიციის მეცნიერმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფოლკლორის კვლევა. საკავშირო მასშტაბით გაამდიდრა ფოლკლორისტიკა მნიშვნელოვანი

მონოგრაფიებით და წიგნებით. საშური გულმოდგინებით იკვლევდა ჟანრობრივად მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა საკითხს. ერთნაირად აინტერესებდა მითოლოგიის პრობლემა, ტექსტოლოგიური ხასიათის ძიებანი და კიდევ ბევრი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის შრომა, რომელიც მეცნიერმა ბიბლიოგრაფიული ხასიათის სამუშაოს განხორციელებას შეალია. ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართული ზღაპრების გენეზისისა და მათი შემეცნებითი თუ ესთეტიკური ღირებულებების ჩვენებას, მსოფლიო ფოლკლორში ეროვნული ზღაპრების ადგილისა და სპეციფიკის გარკვევით მეტად საინტერესო დასკვნები გააკეთა. 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1976 წლიდან ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოკლორისტიკის კათედრას. მისი ძირითადი ნაშრომებია: „ქართული სამონადირეო ეპოსი“ (1964), „ქართული ხალხური შემოქმედება – ლირიკა“ (1968), „XIX საუკუნის I ნახევრის ხალხური პოეზიის პრობლემები და ქართველი რომანტიკოსები“ (1968), „ქართული ხალხური ეპიკური ტრადიციების ზოგიერთი თავისებურებანი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვენი, საარქივო მასალები“ (1947), „ზღაპართა სიუჟეტის საძიებელი“ (აარნე-ანდრეევის სისტემის მიხედვით)“, „ქართული ფოლკლორის მოკლედ ანოტირებული ბიბლიოგრაფია (1829-1901), (1973), „შოთა რუსთაველი და ქართული ხალხური პოეზია“ და სხვ.

ელენე ვირსალაძეს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეშიც. გამოკვლევითა და მეცნიერული კომენტარებით გამოსცა „რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები“ (ტ. 1-2, 1949-59), მონაწილეობდა „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედების“ (ტ, 1-3, 1960-73) შედგენაში. 1958 წელს გამოაქვეყნა „ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება“ და სხვ. მისი ნაშრომები თარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ ენებზე.

ელენე ვირსალაძე, ალბათ, ერთ-ერთი პირველია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის, რომელსაც 30-იანი წლების მიწუ-

რულის რეპრესიები შეეხო. 30-იანი წლების მასალების ძიებისას მისი საგამოძიებო დოკუმენტები შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ამჟამად მაინც შევძელით რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება მეცნიერის ამ რთული და მძიმე მონაკვეთის წარმოსაჩენად.

1937 წელს რამდენჯერმე დაიბარეს სუკ-ში, მაგრამ ყოველთვის სახლში უშვებდნენ. „თუ არ ვცდები, საიდუმლო თანამშრომლობას სთავაზობდნენ, რაზეც დედა არ თანხმდებოდა“, – იხსენებს მისი ქალიშვილი მანანა ხიდაშელი. რა თქმა უნდა, ის არ ცდება. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ფაქტები, რომლებიც სხვა ცნობილ საზოგადო მოღვაწეებსაც გადახდათ თავს (ერთ-ერთია მიხეილ ზანდუკელი, რომელსაც, ასევე, თანმშრომლობას აიძულებდნენ და უარის გამო სათანადოდაც დაისაჯა, 5 წლით გადაასახლეს): სახლი გაჩხრიკეს, ხელმოსაჭიდი ვერაფერი უპოვეს, მაგრამ მაინც წაიყვანეს. ეს იყო 1938 წელი. დედა დაჭერისას პირველი, ყველაზე საშინელი ტალღის მსხვერპლი გახდა. ერთხელ კამერაში, დაკითხვის შემდეგ, ნაცემი და გასისხლიანებული ნინა ბედია შემოიყვანეს. დედა ცუდად გახდა, დერეფანში გავიდა, ტუალეტში შევიდა, გული წაუვიდა და თავი დაარტყა. მას სისხლი მოეწამლა და საავადმყოფოში დააწვინეს. კარგა ხნის შემდეგ დედა კამერაში დააბრუნეს. ამასობაში დააპატიმრეს ბაბუაჩემი – დედას მამა, 68 წლის ბაგრატ ვირსალაძე. ის უპარტიო იყო, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკაში კონტროლოს პალატას ედგა სათავეში“... (კვერენჩხილაძე 2011: 391-392). შვილმა არაფერი იცოდა მამის დაპატიმრების შესახებ. ერთხელ საკნის ფანჯრიდან ეზოში პატიმრებს შორის მამა დაინახა. ასანთის კოლოფზე დაწერა თავისი სახელი – ლოლოტა – და ფანჯრიდან გადაუგდო.

ქალბატონი ელენეს მამა, ბაგრატ ვირსალაძე, როგორც სამშობლოს მოღალატე, დახვრიტეს... ამ „მოღალატე“ მამამ სამშობლოს სამი ღირსეული შვილი გაუზარდა: ელენე ვირსალაძე, თინათინ ვირსალაძე, მეცნიერი, ხელოვნების ისტორიკოსი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩუბინაშვილის სახ. ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის განყო-

ფილების ხელმძღვანელი, რომლის შრომები, განსაკუთრებით ძველი ქართული ხელოვნების დარგში, ქმნის ქართული მონუმენტური მხატვრობის განვითარების საერთო სურათს. მისი ღვაწლი საგანგებოდაა აღნიშნული და შეფასებული ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიაში; სიმონ (სოლიკო) ვირსალაძე – თეატრალური მხატვარი, სსრკ სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, რომლის შემოქმედებამ ახალი ეტაპი შექმნა თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში. მიღებული აქვს სსრკ სახ. პრემიები (1948; 1951; 1977); დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და სხვ. მათ ჯერ კიდევ მამის დახვრეტამდე, სრულიად ახალგაზრდებმა, მოასწრეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა თავიანთ საქმიანობაში და მნიშვნელოვანი კვალიც დატოვეს...

ელენე ვირსალაძის დისშვილმა, ხელოვნებათმცოდნემ, ბატონმა გოგი ხოშტარიამ, ბევრი საინტერესო რამ გვიამბო დეიდის შესახებ (რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ): სრულიად პატარა ვიყავი, როცა დახვრიტეს მამაჩემის ძმა – აკაკი ხოშტარია (ბიძის, ცნობილი მეცენატისა და ქველმოქმედის – აკაკი ხოშტარიას მოსახელე), 1937 წელს დახვრიტეს მამაჩემი, მეთოდე ხოშტარია, მან ძმას მიაკითხა და გააქრეს. 1937 წელს დახვრიტეს, აგრეთვე, ელენე ვირსალაძის ბიძაშვილი, დავით ვირსალაძე (ცნობილი პიანისტის ელისო ვირსალაძის ბიძა)... შავი დღე ედგა მთელ ნათესაობას, ერთმანეთთან მისვლა-მოსვლაც კი საშიში გაუხდათ. რაც შეეხება თავად ელენეს, მაინც მიიჩნევდა, რომ გაუმართლა: მისი საქმის გამომძიებელს, ლეო (ლევან) აბაშიძეს უმადლოდა იმას, რომ სამშობლოს მოღალატის და კ/რევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობის მუხლი „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრობის“ მუხლით (ЧСИР)* შეუცვალეს. 5 წელი მიუსაჯეს. დეიდას ვეცოდებოდი, როგორც ობოლი, – იხსნებს ბ-ნი გოგი, განსაკუთრებით ზრუნავდა ჩემზე, მერე და მერე (უკვე რეაბილიტირებული) იხსენებდა, მიყვებოდა განვლილი ტანჯვის შესახებ, პირველად რომ შეუყვანიათ გამომძიებელთან, ლევან აბაშიძესთან, ცოტათი ცხელ სკამზე დაუსვამთ, შემდეგ გაუგია, რომ ეს საწამებელი

* член семьи изменника родины.

სკამი ყოფილა, თუმცა აბაშიძეს იგი არ უწამებია. დაკითხვისას დროდადრო, კარს შემოაღებდა ქალი, ეროვნებით რუსი, ნინა არობელიძე (ქმარი ჰყოლია ქართველი) და ეკითხებოდა თურმე ლევან აბაშიძეს: „а тебе не нужна?“. ლევან აბაშიძე კი მკაცრი სახით ეუბნებოდა უარს. შემდეგ გაუგია ელენეს, რომ ეს ქალი ქალთა მწამებლად ჰყოლიათ და ციხეში ჰყვებოდნენო, რომ მისი 10 წლის გოგონა რომ გააბრაზებს, თოვლში ფეხშიშველს აგდებდაო; მკითხველს რაც არ უნდა გაუკვირდეს, მიუხედავად დაუდასტურებელი უმძიმესი ბრალდებისა მიხეილ ჯავახიშვილთან დაკავშირებით, ქ-ნი ელენე მთელი ცხოვრება ემადლიერებოდა თურმე ლევან აბაშიძეს, სანთელსაც კი უნთებდა. მკითხველს შევახსენებთ, რომ ამ დროს არც ელენე ვირსალაძისთვის, არც ფართო საზოგადოებისთვის არ იყო ცნობილი ლევან აბაშიძის ისტორია მიხეილ ჯავახიშვილთან დაკავშირებული. როგორც ელენე ვირსალაძე ყვება ციხეში გაგონილ ამბავს: ლეო აბაშიძე ერთხელ, 1938 წელს, კრებაზე გამოსულა, უთქვამს, რას ვაკეთებთ, ხომ არ ვცდებითო. ის იქვე დერეფანში დაუხვრეტიათ (ლევან აბაშიძის საზედამხედველო საქმეებიდან. იხ. „ადამიანურ ისტორიებში“, გვ. 612).

ელენე ვირსალაძეს, როგორც სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრს, 5 წელი მიუსაჯეს. ჯერ კარელიაში იყო, მერე სხვა პატიმარ ქალებთან ერთად პოტმაში წაიყვანეს. კარელიიდან ყაზახეთამდე მთელი გზა კოშკურები ჩანდა, რაც, თურმე გადასახლებულთა კოლონიების სანიშნე ყოფილა. ყაზახეთში უმკაცრეს ზამთარში არხებს ათხრევინებდნენ ქალებს, 10 კმ. სიშორეზე მიდიოდნენ და ბრუნდებოდნენ უკან. ერთხელ საშინელი ნამქერი ამოვარდნილა. ბანაკში ძლივს მიბრუნებულისთვის ქალებს უთქვამთ: „Лолота, старушки замерзают“ (ლოლოტა, მოხუცები იყინებიანო). იცოდნენ, რომ ლოლოტა არ დაიზარებდა მათ შველას. 5 კმ გაიარა და უშველა იმ „დედაბრებს“, რომლებიც თურმე მხოლოდ 40 წლისანი იყვნენო (ელენე ვირსალაძის მოგონებიდან).

ოჯახმა მთელი წლის განმავლობაში არაფერი იცოდა მის შესახებ. ბოლოს პოტმაში წერილის მიწერის ნება დართეს იმ ქა-

ლებს, რომელთა შვილები ბავშვთა სახლებში იყვნენ განთავსებულნი. „დედამ გარისკა, – იხსენებს მანანა ხიდაშელი და თავისი დეიდის მისამართზე გამოგზავნა თბილისში წერილი“ (რისკი, ალბათ, ის იყო, რომ პოლიტპატიმრის წერილს მეთვალყურეც ჰყავდა და წერილის ადრესატისთვის ეს არცთუ ისე უსაფრთხო იყო), კონვერტზე დააწერა: თბილისი, თხინვალის ქ. ბავშვთა სახლის დირექტორს ნ. მესხს. წერილში ეწერა: „ვიცი, რომ ჩემი შვილი, მანანა ხიდაშელი, თქვენს საბავშვო სახლში იზრდება (იმ საბავშვო სახლში ელენე ვირსალაძის ნათესავი ქალი მუშაობდა და მისი იმედით მიაბარეს იქ 2 წლის მანანა, ზ.ც.). გთხოვთ, გადასცეთ, რომ მისი დედა ცოცხალია და იმყოფება პოტმაში“... ჩემი ბებიდა გაგიჟებული მოვარდნილა ჩვენთან (ეს ფაქტი არ მახსოვს)“, – ამბობს მანანა ხიდაშელი. ქ-ნი ელენეს მეუღლე, შალვა ხიდაშელი, სასწრაფოდ გაემგზავრა ჯერ ლენინგრადში და იქიდან – პოტმაში. როგორც ჩანს, ესეც სარისკო იყო. შალვა ხიდაშელი იგონებს, რომ მატარებელი თანდათან ცარიელდებოდა და ბოლოს მარტო დარჩენილა. მან თურმე სუკ-ის ერთ-ერთი თანამშრომლის რჩევით, რომელმაც მისი მგზავრობის მიზეზი გაიგო, მატარებელი დატოვა. თუ გზას გააგრძელებდა, საფრთხე მელოდა. გაწბილებული უკან გამობრუნდა. ერთი წლის შემდეგ შეძლო ოფიციალური ნებართვის აღება და პოტმაში ჩასვლა მეუღლესთან. კიდევ ერთხელ შეძლეს შალვა ხიდაშელმა და ელენეს ძმამ, სოლიკო ვირსალაძემ, ელენეს ნახვა პოტმაში. შემდეგ ომი დაიწყო და შალვა ხიდაშელი ფრონტზე წავიდა. ამ გაუსაძლის ვითარებაში მიწერ-მოწერას მაინც ახერხებდნენ. 1942 წლიდან ელენე ვირსალაძე პოტმიდან შუა აზიაში წაიყვანეს. ის თავისუფალი მოსახლე გახდა, მაგრამ ტერიტორიის დატოვების უფლება არ ჰქონდა.

მან ბოლომდე საიდუმლოდ შეინახა დახვრეტას გადარჩენილი ლენინგრადელი რუსი პატიმრის გვარ-სახელი, რომელიც ცოლის დასმენით დაუპატიმრებიათ. მას გერმენელების მოსკოვთან მოახლოებით უსარგებლია და გამოქცეულა ბანაკიდან, შემდეგ ოფიცრის ფორმაში, ომში მიღებული ორდენებით შეხვედრია რუსეთში. ომში მოხალისედ წასულს გვარ-სახელიც გამოუცვლია და ისე გაუგრძელებია ცხოვრება. ამიტომაც

ეშინოდა თურმე ქ-ნ ელენეს და არავისთან გაუმხელია ამ კაცის ვინაობა.

ასე უდანაშაულოდ, არაფრისთვის ეწამა კიდევ ერთი ღირსეული ქართველი ქალი. ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ დარჩა უთქმელი. ისინი, რეპრესირებულნი, იმ დროისათვის მაინც უფრო დუმილს არჩევდნენ.

1943 წელს დაბრუნდა თბილისში. „ამ კეთილი საქმის აღსრულებაში უდიდესი დამსახურება აკად. ს.ჯანაშიას ეკუთვნის“, – ამბობს მანანა ხიდაშელი... მძიმე წლების ნაკვალევი მის შემოქმედებით ცხოვრებას არ დასტყობია, მაგრამ ნაადრევად კი წავიდა ამქვეყნიდან. 1977 წლის მაისის თვეში გარდაიცვალა... „ელენე მომხიბლავი იყო თავისი ადამიანური თვისებებით და გარეგნობით – კეთილშობილება, სათნოება, გულმხურვალება იყო მისთვის დამახასიათებელი და ასეთად დარჩება იგი მუდამ ჩვენს მეხსიერებიაში“... ასე გამოეთხოვნენ მას ფოლკლორისტთა საზოგადოებისა და სამეგობროს სახელით მისი უახლოესი ადამიანები – თამარ ოქროშიძე და დემნა შენგელაია.

დამოწმებანი:

კვერენჩხილაძე 2011: კვერენჩხილაძე რ. *საბუთები ღაღადებენ.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011.

ალექსანდრე კალანდაძე

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, ჟურნალისტიკის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ალექსანდრე პავლეს ძე კალანდაძე დაიბადა 1916 წლის პირველ ივნისს, საქართველოში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში .მან საინტერესო ცხოვრების გზა განვლო, სავსე ფათერაკებით, მოულოდნელობებით, ზოგჯერ იმგვარი დაუჯერებელი ამბებით, ადამიანს წარმოსახვაც რომ უჭირს. საკუთარ თავზე გამოსცადა ომის ქარცეცხლი, ტუსაღობა, საბჭოური რეპრესიული სისტემის სისასტიკე. ერთი ადამიანისთვის მეტისმეტად მძიმე ხვედრი არგუნა ბედმა – მუდამ განსაცდელი სდევდა. თუმცა, მტკიცე ხასიათის წყალობით წინააღმდეგობებს მედგრად უმკლავდებოდა და ეს უნიკალური გამოცდილება ფურცელზე გადმოჰქონდა.

ალექსანდრე კალანდაძემ ნაყოფიერი სამწერლო და მეცნიერული მოღვაწეობის შედეგად მდიდარი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს ბიოგრაფიული პროზა შეადგენს („ნეიშნის ფიცი“, „შარავანდედი“, „გარდამოხსნა“, „ცეკვა ხანჯლებით“ და ა.შ.). მასში ავტორმა გააცოცხლა ერის სულიერ მოძღვართა პორტრეტული სახეები: ანტონ კათალიკოსი, მეფე ერეკლე, ალექსანდრე ბატონიშვილი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, სოლომონ დოდაშვილი, ივანე კერესელიძე. მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ და

ბრძოლებგამოვლილმა დაგვიტოვა ამ თემაზე შექმნილი დოკუმენტური რომანები („დღეები ბრესტის სიმაგრეში“, „პიასტის ნამუხლარზე“, „მაკიზარებთან“). მწერლის ინტერესი მხოლოდ წარსულით როდი შემოიფარგლა, მის შემოქმედებაში გატაცებით აისახა თანადროულობის აქტუალური პრობლემებიც („სახიფათო მოსახვევები“, „არჩევანი“ და სხვ.).

მრავალმხრივი მოღვაწის შემოქმედების ნიშანსვეტს წარმოადგენს მისი მეცნიერული კვლევები. მკვლევრის თვალსაწიერში მოექცა მე-19 და მე-20 საუკუნეების ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები. ათწლიანი კვლევა-ძიების ნაყოფია „ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის“ ხუთი ტომი, რომლებიც 1977–1986 წლებში ნოდარ ტაბიძის რედაქტორობით გამოიცა. ამ ფუნდამენტური ნაშრომით შეიქმნა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მეცნიერული კურსი. 1975 წელს ალ. კალანდაძის ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის განყოფილება. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არაერთი სადისერტაციო ნაშრომი, გამოიცა სამეცნიერო კრებული „ქართული ჟურნალისტიკა“. დაისტამბა ამ კრებულის შვიდი წიგნი, რომლებიც ჟურნალისტიკის აქტუალური საკითხების შესწავლას ეძღვნებოდა.*

ალ. კალანდაძის ცხოვრებისეულ გზაზე პირუთვნელად გვიამბობს მწერლის მეუღლე, მისი ერთგული მეგობარი და მესაიდუმლე, ქალბატონი ნუნუ ხომერიკი. მისი გადმოცემით, შემოქმედებითი ინტერესის გაღვივებაში ალექსანდრეს ოჯახურმა გარემომ შეუწყო ხელი. მწერლის მამა, პავლე ლაზარეს ძე კალანდაძე, რუსული ენის პედაგოგი ყოფილა, დედა კი – თამარ არონის ასული კალანდაძე (ორივე მშობელი კალანდაძე იყო) – დიდი და სახელოვანი ოჯახის ერთადერთი მემკვიდრე. თამარის ერთ-ერთი ბიძა, ბესარიონ კალანდაძე, ალექსანდრე ყაზბეგის მეგობარი, მეცენატი გახლდათ, კიდევ

* ალ. კალანდაძის მოღვაწეობას ასახავს მეცნიერის 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „მეოცნებე მარადიული“, რომელიც გამოიცა 2003 წელს მისი თანამშრომლებისა და ასპირანტების ინიციატივით.

ერთი უცოლშვილო ბიძა, ნესტორ კალანდაძე კი (ცნობილია ფსევდონიმებით: *ეშმაკი, სოლომონ ზურგიელიძე* და სხვ.) – სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ეშმაკის მათრახის“ რედაქტორ – გამომცემელი. მამიდა ნადასი, ოდესღაც ეგნატე ნინოშვილის მიუწვდომელი ოცნება, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ისიდორე რამიშვილს გაჰყოლია ცოლად. თავად თამარს იმჟამად პრესტიჟული მარიამ ყაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზია დაუმთავრებია.*

ბოლშევიკთა მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ნესტორ კალანდაძე ემიგრაციაში გაჰყოლია ნოე ჟორდანიას მთავრობას. ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მამაც გადახვეწილა და პატარა ალექსანდრე დარჩენილა დედისა და მცირეწლოვანი ძმების ამარა. პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიუღია. 1931 წელს ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი დაუმთავრებია და 15 წლისა მაღალმთიანი ხულოს რაიონის სოფელ ზენდიდში გაუმწესებიათ მასწავლებლად. მალე ოცნებაც აუსრულებია და შორეული ნათესავის, ცნობილი ფილოსოფოსის, მოსე გოგიბერიძის დახმარებით ჩაუბარებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1936 წელს წარჩინებით დაუმთავრებია. მონდომებულ ახალგაზრდას უსწავლია ასევე უცხო ენათა უმაღლეს კურსებზე, გერმანული და ფრანგული ენების განხრით. 1939 წელს ჯარში გაუწვევიათ.

სამხედრო სამსახურს ბრესტის ციხე-სიმაგრეში იხდიდა, როცა მეორე მსოფლიო ომმა მოუსწრო. ბრძოლაში დაჭრილი ტყვედ ჩავარდნილა, ჯერ ბიალა-პადლიასკის საკონცენტრაციო ბანაკში ჰყოლიათ, შემდეგ კი – ლუბლინის ციხეში. ტყვეების გადაყვანის დროს ქალაქ ლოძის მახლობლად გაქცევა მოუხერხებია და პოლონელ ანტიფაშისტებს დაკავშირებია. ენების კარგად მცოდნეს თავი გერმანელად გამოუცხადებია და წარმატებით გაუვლია ე.წ. „რასობრივი შემოწმება“. თანამებრძოლებს მისთვის პარტიზანულ მეტსახელად „ფაუსტი“ შეურქმევიათ.

---

* აღნიშნულ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის მწერლის მეუღლე, ქალბატონი ნუნუ ხომერიკი, წერილში „მეოცნებე მარადიული“, რომელიც ამავე სახელწოდების კრებულშია შესული.

უშიშარ ქართველ პარტიზანს 1944 წელს საფრანგეთში შეუღწევია. მონაწილეობა მიუღია არაერთ ბრძოლაში, მათ შორის, პარიზიდან ოკუპანტების განდევნის ოპერაციაში. მალე იგი „ტულუზას ომის“ სახელით ცნობილი საფრანგეთის ინტერნაციონალური სახალხო პოლკის კომისრად დაუნიშნავთ. პირადად სცნობია საფრანგეთის ლეგენდარული პრეზიდენტი შარლ დე გოლი, რომელიც სიკვდილსაც გადაურჩენია. მისი თანამებრძოლი ყოფილა აგრეთვე ფრანსუა მიტერანი, შემდგომში საფრანგეთის პრეზიდენტი. ჟუკოვეცის ტყეში შეხვედრია ერნესტ ჰემინგუეის. 1945 წლის 5 ივნისს ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის საფრანგეთის შინაგანი ძალების სარდლის კენიგის ბრძანებით, ქართველი მებრძოლი დაუჯილდოებიათ უმაღლესი საბრძოლო ორდენით „ომის ჯვარი ვერცხლის ვარსკვლავით“. *

ალ. კალანდაძე 1945 წელს ბრუნდება სამშობლოში, იწყებს პედაგოგიურ საქმიანობას, მაგრამ 1950 წელს უსამართლოდ აპატიმრებენ და შორეულ პოლარეთში, ქალაქ ნორილსკში აგზავნიან. იქიდან ამნისტიით ჩამოდის და რეაბილიტაციის შემდეგ აქტიურად ერთვება სამეცნიერო მუშაობაში; წარმატებით იცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს, ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ირჩევენ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, 1982 წელს ენიჭება საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ალ. კალანდაძის ბიოგრაფიული ცნობების გამომზეურებისას არ უნდა დავივიწყოთ მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა ცნობილი. 2008 წლის ოქტომბრის ერთ მზიან დღეს თბილისს ეწვია თამაზ კალანდაძე. ტულუზაში დაბადებული თამაზი ჟულიენ ვიშესა

* საფრანგეთის განმათავისუფლებელ პარტიზანულ მოძრაობაში ქართველთა მიერ შეტანილი წვლილის შესახებ საუბრობს ამ მოძრაობის წევრი, ცოცხლად დარჩენილი ბოლო ქართველი „მაკიზარი“ (ფრანგ. Maquisard) ვახტანგ სეხნიაშვილი. 2008 წლის 12 მაისს, „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი იხსენებს თავის მოადგილესა და თანამებრძოლს ალექსანდრე კალანდაძეს. ინტერვიუ იხილეთ ელ.მისამართზე: https://www.radiotavisupleba.ge/a/1557661.html ბოლო ნახვა: 22.11.2019.

და ალექსანდრე კალანდაძის ვაჟი აღმოჩნდა, მათი დიდი და ტრაგიკული სიყვარულის ნაყოფი. მამა არასდროს უნახავს, მაგრამ მისი სახე, ოჯახის რელიკვიად ქცეული ერთადერთი პორტრეტიდან ამაყად რომ უმზერდა, მუდამ ცოცხლობდა ბიჭის წარმოსახვაში. საფრანგეთში იძულებით დატოვებული საყვარელი ქალის ერთადერთი პირმშო ისე იზრდებოდა, რომ „რკინის ფარდის“ მიღმა დარჩენილი მამის შესახებ არაფერი იცოდა. თამაზი მას მხოლოდ დედის მიერ მოყოლილი გმირული ამბებით იცნობდა (მშვენიერი ჟულიენი აღარ გათხოვილა, სიცოცხლის ბოლომდე უერთგულა ალექსანდრეს) და დიდი ხნის გარდაცვლილი ეგონა. ერთხელაც ქართულ გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა – ალექსანდრე კალანდაძის ნათესავებს ვეძებო. პასუხი მალევე მიიღო და მეგობართან ერთად მამის სამშობლოში გამოემგზავრა. თამაზისა და მისი უცნობი დის, თამარის, შეხვედრა ბატონი ალექსანდრეს შეგირდებმა ვითავეთ და ამაღელვებელი ამბის მოწმენი გავხდით. თამარისა და დისწული მარიამის ნახვით აფორიაქებულმა, ცრემლმორეულმა თამაზმა, გაჭრილი ვაშლივით რომ ჰგავდა მამას, დაუვიწყარი ისტორია გვიამბო – მისი მშობლების მიჯნურობის, განშორების, ერთგულების საოცარი ამბავი. ასე გაცხადდა დიდი ხნის დაფარული უიღბლო სიყვარულის ისტორია ბატონი ალექსანდრეს ბობოქარი ცხოვრებიდან.*

ალექსანდრე კალანდაძე გარდაიცვალა 1996 წლის 26 იანვარს. ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან უდრეკი ნების, საინტერესო ბედის შემოქმედი. 2002 წლის 5 ივნისს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც ალ. კალანდაძემ მრავალი წელი ნაყოფიერად იმუშავა, აღინიშნა მისი დაბადების 85 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის დღე. ამ დღეს კიდევ ერთხელ გაიხსენეს ამაგდარი პიროვნება, ვინც თავდადებით, კეთილსინდისიერად ემსახურა ქართულ საქმეს და დიდი ღვაწლი დასდო ეროვნულ მეცნიერებასა და ლიტერატურას.

---

* ეს ამბავი მოთხრობილია წერილში „ვეძებ სამშობლოს!“, რომელიც 2008 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 ნოემბრის ნომერში (205, გვ. 9) დაიბეჭდა მ. შამილიშვილის ავტორობით.

ზოია ცხადაია

გიორგი კალანდაძე

გიორგი კალანდაძე – ლიტერატურისმცოდნე, თანამედროვე ქართული პოეზიის ჩინებული მკვლევარი, თავადაც პოეტი, მოკრძალებული, კეთილშობილებისა და გულისხმიერების განსახიერება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთაგან იყო ერთ-ერთი, ვინც 40-იანი წლების რეპრესიები გამოიარა.

გიორგი კალანდაძე დაიბადა 1912 წლის 24 აგვისტოს ზესტაფონის რაიონის სოფ. ძირულაში. 1927 წელს დაამთავრა ძირულის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1931 წელს – თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი; 1933 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1937 წელს, რის შემდეგაც ერთი წელი მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1938 წელს გიორგი კალანდაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს. 1938-1942 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე ქართული ფოლკლორის სპეციალობით. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში, 1940-1941 წლის ზამთარში, მივლინებული იყო მოსკოვის აკად. ი. მ. სოლოვიოვთან ფოლკლორის ზოგადთეორიული კურსის შესასწავლად. ასპირანტურაში სწავლის პარალელურად იგი წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, 1939 წელს გამოსცა პირველი პოეტური კრებული. „თითქოს პოეტური პარნასისკენ აღმართ-აღმართ ნელა-ნელა მიმავალს წინ არაფერი ეღობებოდა, მაგრამ იგრ-

გვინა ომმა და, ათას სხვა საზრუნავთან ერთად, საბჭოთა სამოთხის, ხალხთა „ძმური“ ოჯახის გარეშე თუ შინაური მტრებისაგან დამცველთა, უშიშროების სამსახურისა და მისი თანაშემწეების სიფხიზლის გაათკეცება მოიტანა... მათ არ გამოეპარათ, რომ შეთქმულთაგან ვიღაც გ. კალანდაძესთან მივიდა... და ეს საკმარისი აღმოჩნდა მის დასაპატიმრებლად“ (კვერენჩხილაძე 2017: 99). როგორც გიორგი კალანდაძის საქმის შესწავლისას გაირკვა, მასთან საგანგებოდ არავინ მისულა; ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ მეგობრებთან, გ. ძიგვაშვილთან და თ. შანშიაშვილთან, ჰქონია მოკლე საუბარი. იგი 1942 წლის 3 მარტს დააპატიმრეს.

მის დასაპატიმრებლად საკმარისი აღმოჩნდა გიორგი ძიგვაშვილისა და თურმან შანშიაშვილისგან ფიზიკური ზეწოლით მიღებული ჩვენებები.

„საქმის გამოძიება წარიმართა ყოველგვარი პროცესუალური და სამართლებრივი წეს-კანონების დაცვის გარეშე, – წერს თინათინ თუშმალიშვილი*. დარღვევები აშკარა იყო, მაგრამ ამის თაობაზე არამცთუ პროტესტის გამოხატვა, კრინტის დაძვრაც კი შეუძლებელი იყო. ჩაკეტილ საზოგადოებაში ყველაზე მყარად დაგმანული სასამართლო ხელისუფლება გახლდათ. სასურველ „აღიარებასაც“ პატიმართა სასტიკი წამების გზით იღებდნენ. ამიტომ ტყუილი და მართალი ერთმანეთში იყო არეული... გამოძიების მიმდინარეობა ობიექტურობისგან ერთობ დაშორებული იყო. სასურველი ჩვენების, ანუ სიცრუის მოსაპოვებლად გამომძიებლები სასტიკი წამების ხერხებსაც იოლად იყენებდნენ. პიროვნული ღირსების შემლახავი ზემოქმედება პატიმართა ფსიქიკაზე, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა...

იმასაც ვიტყვით, რომ მსჯავრდებულები, მათივე პრინციპული მოთხოვნით, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდნენ, ჩვენებებს კატეგორიულად მხოლოდ ქართულად იძლეოდნენ. მათ ნათქვამს თარგმნიდა ყოვლად უვიცი ადამიანი, ვაი-თარჯიმანი, რომელიც ჩვენებებს ენის უცოდინრობის გამო დამახინჯებულად გადასცემდა“.

---

* თუშმალიშვილი თინათინ ალექსანდრეს ასული, დაპატიმრებული შეთქმულთა საქმეზე, გაათავისუფლეს ბრალდების დაუმტკიცებლობის საფუძველზე. იხ. გვ. 362-386.

გიორგი კალანდაძის დაპატიმრების ანკეტა
ფონდი №6. საარქივო №42154907, ტ. 56.

კალანდაძე გიორგი ალექსანდრეს ძე
დაბ. ზესტაფონის რ. ს. ძირულა, უცოლშვილო
მცხ. თბილისში, ბარათაშვილის ქ. №32
თსუ ასპირატი, პოეტი
საშ. სკოლის მასწავლებელი
ალკკ წევრი

დაპატიმრების მოტივი: „1942 წლის მეორე ნახევარში (გ. კალანდაძე) მხილებულ იქნა არალეგალურ კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტურ სამხედრო გადატრიალების ორგანიზაციაში მონაწილეობაში, რომლის მიზანი იყო შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, რათა აღადგინონ „თავისუფალი საქართველო“.

გიორგი კალანდაძე „გადაიბირა“ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, გიორგი ძიგვაშვილმა, რომელმაც დანაშაული აღიარა და დაკითხვის დროს, 1942 წლის 15 მარტს, კითხვაზე, თუ კიდევ ვინ გადაიბარა მან, უპასუხა:

„გავიხსენე კიდევ ორი ისტორია, რომელიც არ დამისახელებია გამოძიებისათვის: 1. ჭელიძე ვახტანგი, 2. კალანდაძე გიორგი – 26-27 წლის, თსუ ასპირანტი, არსად არ მუშაობს, ცხოვრობს ბარათაშვილის №12-ში, თბილისში... რუსთაველის ქუჩაზე შემთხვევით შევხვდი ჭელიძეს... მე მას მოვუყევი ავჭალის ორგანიზაციაში კომანდირებს შორის უკმაყოფილო პირებზე, რომლებიც ერთმანეთში კამათობდნენ იმაზე, თუ როგორ წარმართულიყო მათი ორგანიზაციის საქმიანობა გერმანელების ძლიერი შემოტევის დროს... მე ვკითხე ჭელიძეს, რომელი სამხედრო ნაწილები იყო თბილისში, არის თუ არა თანხმობა ხელისუფლების ცალკეულ პირთა შორის? რა ხმები ვრცელდება თბილისში და ამ ყველაფერზე მაცნობე-მეთქი.

ასეთი საუბარი მქონდა მე გიორგი კალანდაძესთანაც, რომლისგანაც მივიღე დადებითი პასუხი...

მეორე ბრალდება თურმან შანშიაშვილის საქმიდან (აღიარებითი ჩვენება):

მიმდინარე წლის ნოემბერში მაჩაბლისა და ლერმონტოვის ქუჩის კუთხეში შევხვდი კალანდაძე გიორგის (იყო ძიგვაშვილთან ახლოს)... ჩვენ შორის გაიმართა საუბარი ომზე... რა დროსაც კალანდაძემ თავი გამოამჟღავნა როგორც დამარცხებულმა და მთავარია ის, რომ მან ჩემთან გამართა კოლეგიალური საუბარი, როგორც ჯოგლიძემ, შავიანიძემ და ძიგვაშვილმა (სამივე მათგანი დახვრიტეს. ზ.ც.). ის ლაპარაკობდა, რომ გერმანია მალე იქნება აქ, მაშინ ჩვენ, კომკავშირლებს, ყველას დაგვხოცავენ და რაღაც უნდა მოვიფიქროთო... და დასაშვებად მივიჩნევ კალანდაძის კავშირს არალეგალურ ორგანიზაციასთან (სტილი დაცულია. ზ. ც.).

შანშიაშვილმა განაცხადა, რომ თავის „მუშაობაში" ჩააბა გ. ახობაძე და გ. კალანდაძე" (კვერენჩხილაძე 2017: 96)*, ტრიბუნალის სხდომაზე კი იუარა, არავისთვის არავითარი საიდუმლო ცნობები არ მიმიციაო; პატიმარ ა. ფარეშიშვილის ცნობით (ტ.3. ფ. 819) კ. ჯოგლიძეს და მის ჯგუფს თურმან შანშიაშვილისთვის მიუმართავთ, გვიხელმძღვანელეო, მაგრამ ეს უკანასკნელი არ დათანხმებულა. საბოლოოდ, ის მაინც დახვრეტილთა შორის აღმოჩნდა.

დაკითხვაზე გიორგი კალანდაძე დაბეჯითებით იმეორებდა, რომ ორგანიზაციასთან მას არაფერი აკავშირებდა. თავის საბრალდებო დასკვნაზეც ასე მიაწერა: **„თავს დამნაშავედ არ ვცნობ, ვინაიდან არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებში არ ვყოფილვარ და არც ვიცოდი ასეთი ორგანიზაციის არსებობა"** (ტ. 4, ფ. 977) (კვერენჩხილაძე 2017: 99). მიუხედავად სამხილების არარსებობისა, შეთხზულ-შეკოწიწებული ბრალდებებით იგი გაასამართლა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58/2 მუხლის საფუძველზე (კონტრრევოლუციური დანაშულის განუცხადებლობა) მიუსაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ყაზახეთში გადასახლება, შემდეგ 3 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.**

---

* არადა სხვადასხვა დროს შანშიაშვილს ნათქვამი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც 1942 წლის 14 იანვარს ფრონტზე გაგზავნეს, არავის შეხვედრია, რომ კ. ჯოგლიძეს მისთვის არავითარი კონკრეტული დავალება არ მიუცია, ხოლო გ. ახობაძე არ ენდობოდა.

** იხ. გვ. 362-386.

გიორგი კალანდაძე გადასახლებიდან 1949 წლის მარტში დაბრუნდა. სრული 7 წელი გაატარა იქ. თბილისში მას ცხოვრების და მუშაობის უფლება არ ჰქონდა, ამიტომაც 1950-1953 წლებში მასწავლებლად მუშაობდა დმანისის რაიონისა და აგარის საშუალო სკოლებში.

1954 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „ქართული ხალხური ბალადა“, რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1955 წელს გიორგი კალანდაძემ მიიღო სრული რეაბილიტაცია, ნასამართლობის მოხსნით. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ „ახლადაღმოჩენილ გარემოებათა“ საფუძველზე გააუქმა ა/კ ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის 1942 წლის 9-20 სექტემბრის განაჩენი და გიორგი კალანდაძე გაამართლა.

1957 წლიდან გიორგი კალანდაძემ მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და გარდაცვალებამდე ემსახურებოდა თავის საქმეს; 1973 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „გიორგი ლეონიძე“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა. ეს იყო პირველი სრულყოფილი მონოგრაფია გიორგი ლეონიძეზე, რომელშიც ფართოდ აისახა პოეტის შემოქმედებითი გზა, მხატვრული განვითარების ძირეული ეტაპები და მთლიანად ის წვლილი, რომელიც გიორგი ლეონიძემ შეიტანა ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

გარდა საკვალიფიკაციო ნაშრომებისა, მნიშვნელოვანია მისი შრომები: „XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზია“, „ვაჟას მეტაფორული მეტყველება და თანამედროვე ქართული პოეზია“, „ეგნატე ნინოშვილი“, „ლადო ასათიანი“, „ქართული ხალხური ბალადა“ და სხვ.

გიორგი კალანდაძე თანაავტორია ისეთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოცემებისა, როგორიცაა „История Грузинской литературы“ (1977), „ქართული ლიტერატურის ისტორიის V ტომი (1982). მისი მონოგრაფიების, ლიტერატურული პორ-

ტრეტებისა და წერილების უმრავლესობა დასტამბულია როგორც ცალკეულ წიგნებად, ისე პერიოდულ პრესაში.

1935-1940 წლებში გიორგი კალანდაძის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა უმთავრესად ჟურნალში „ჩვენი თაობა“, რომლის ირგვლივ გაერთიანებული იყვნენ ახალგაზრდა პოეტები, „ჩვენთაობელთა“ სახელით ცნობილები, თაობა, რომლის დიდი ნაწილი შეიწირა ომმა, რეპრესიებმა, ავადმყოფობამ...

ადრეულ ლექსებში მკაფიოდ გამოჩნდა ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებითი სამყარო, ახალი ხედვა, რომლითაც გამოირჩეოდა „ჩვენთაობელთა“ ლირიკა. იგი ორ ათეულამდე ლექსების კრებულის ავტორია, მათ შორის რამდენიმე საბავშვო წიგნისა: „ჩაუქრობელი კერა“ (1958), „მზე შუბის ტარზე“ (1964), „სატრფიალო“ (1967), „ოცნება ცისფრად ამომავალი“ (1974) და სხვ.

გიორგი კალანდაძის ლექსების პირველი კრებულის შემფასებელი იყო ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი, ჩვენთაობელი (შემდეგ ომში დაღუპული) გაბრიელ ჯაბუშანური: „გიორგი კალანდაძეს აქვს ერთი ძალიან კარგი თვისება: ის თავისი ლექსებისათვის ყოველთვის არჩევს თემის შესაფერ მახვილ სახეებს, ერიდება ბუნდოვანებას და ყურადღებით ეკიდება ნაწარმოების ფორმალურ მხარეს“ (ჯაბუშანური 1941: 76); ჯარში მიმავალ ლადო ასათიანს კი ნიკა აგიაშვილისთვის მიბარებულ თავის უბის წიგნაკში ასე ჩაუწერია: „და გზა მოჰგავს არყის ტყეში ამირანის ნასროლ ისარს“, – გიორგი კალანდაძის ეს სტრიქონები მართლა ისრებივით სრიალებენ მთელ ლექსში“ (აგიაშვილი 1971: 257). არც იმ პერიოდის კრიტიკოსები აკლებდნენ ყურადღებას გიორგი კალანდაძის პოეზიას, რომელიც გამოირჩეოდა ჟანრული მრავალფეროვნებით: ისტორიულ თემაზე დაწერილი, სატრფიალო, მიძღვნითი თუ ფილოსოფიური ხასიათის ლექსებით. განსაკუთრებით აღიარებდნენ მის ლექსს „საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში“, რომელშიაც გამოიხატა, „თუ რა არის შთაგონება, რა არის უკვდავება ადამიანის აზრისა და გრძნობისა“ (გ. ნატროშვილი).

გიორგი კალანდაძის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი წიგნი „დე, დაილოცოს“, რომელშიც შევიდა შუა აზიაში

გადასახლებისას შექმნილი პოეტური ციკლი „არიადნას ძაფი“. ადრე „მისი ძირითადი ნაწილი არ იყო გამოქვეყნებული, ხოლო ნაწილმა მკითხველამდე მიაღწია ცენზურის მიერ დამახინჯებული სახით“ (კალანდაძე 2011: 309); ლექსების ეს ციკლი საბოლოოდ ცალკე გამოიცა. მათში, რომლებიც განადგურებას გადაურჩა, ნათლად აისახა რეპრესირებული პოეტის მძიმე განცდები, „პატიმართა ლეგიონებით“ დაფარულ უზბეკეთის მიწაზე ყველაზე სულისშემძვრელი განცდა – სამშობლოს მონატრება:

სამშობლოდან განდევნილი
ამატირა სევდამ ნაზმა,
მომენატრა ჩემი სოფლის
წყაროს წყალი აიაზმა.

ნეტავ მის წინ დამაჩოქა,
მისი ცივი შხეფი მასვა!..
ნეტავ მის წინ დამაჩოქა,
მისი ცივი შხეფი მასვა!..

ლექსი ვრცელია და მასში ჩანს არა მხოლოდ პოეტის, არამედ, ზოგადად, იმ ადამიანთა სათქმელი, რომლებიც, „უცხო მხარეში მიმოფანტულნი“, ერთურთს ნუგეშის ხმას ვერ აწვდიან“:

მათ ბედმა გზები ვერ დაუდაფნოს,
გოდება მათი მათ გულს არ გასცდა,
შუა აზიის ცხელი უდაბნო
გახდა სავანე ქართველ ვაჟკაცთა.

... ვის გაუწოდებს ხელებს დევნილი,
ხმას უდაბნოდან ვინ გაიგონებს,
უნუგეშო და ობლად შთენილი
პატიმრობაში ვთხზავ ამ სტრიქონებს.

წარუშლელ და მძიმე მოგონებად დარჩენილა ტუსაღთა ტანჯვით სავსე დღეები, თვეები, წლები... „შავი ნოემბერი,

კრასნოვოდსკას ბნელი გროვა... დელგმა და წვიმა, „მძარცველთა და მკვლელთა ხროვა“...„გახელება ძნელთა წყლულთა,/ გარს ხიშტების გალავანი,/მშიერთა და დაცემულთა/ უნუგეშო ქარავანი“.

კაცის მკვლელების, რეციდივისტების, განთქმული ყაჩაღების გარემოცვაში გატარებული ჯოჯოხეთი პოეზიამ უნდა გააცოცხლოს, რელობით დაზაფრულ გულს ოდნავი შვება რომ აგრძნობინოს.

განა დათვლი იმ იარებს
განა ყველას იტყვის ენა,
რა ვაება გაიარე,
რაც ევნე, რაც დაგესვენა –
მაგრამ გული არ ისვენებს,
გადაფურცლავს დღეთა ფურცლებს,
კრასნოვოდსკას გაიხსენებს –
თითქოს მეხმა დაჰკრა უცებ (1946).

შავ გარემოცვაში, შავი ფიქრების ფონზე მის პოეტურ წარმოსახვაში, „შვიდფერი მუზის“ წყალობით ნეტარ გახსენებათა ფერებიც აშლილან:

შენი ლამაზი ბროლის თითები –
ტურფა რამ თეთრი სტალაქტიტები,
ვით ახლად ხილვა ჩემი ყრმობისა,
მომნატრებია პატიმრობისას...

მითხარ, რად მოხვალ, რად მელანდები,
განა ცოტა მაქვს ტუსაღს დარდები?!
ქვეყნად ძვირფასი რაც კი მებადა,
გადამქცევია მოგონებადა.

დიდი და რეალური იყო შიშის განცდაც, რომ, შეიძლება, ვერც ღირსებოდა შინ დაბრუნება ისე, როგორც თავის თანამოძმე პატიმარს, იმ შორეულ მიწაზე ტანჯვა-წამებით გარდაცვლილს:

სამი დღე და სამი ღამე
შენი სუნთქვა მაშინებდა,
არცა სვი და არცა ჭამე,
არც ტკივილი გაძინებდა.
მაგრამ როცა თეთრმა ბინდმა
შენს თვალებში დასდო ბინა,
კიდევ უფრო შემეშინდა,
სისხლი უფრო გამეყინა.
დაეძებდა გული თვისტომს
და ჩვენ შევხვდით, როგორც ძმები,
როგორც ზღვაში ქარიშხლის დროს
დამსხვრეული ხომალდები.

გიორგი კალანდაძის „არიადნას ძაფის“ ციკლის ლექსები თითქმის ყველა უსათაურია, მათ ყველას ერთი რამ აქვს საერთო – თავისუფლებაწართმეული, უფლებააყრილი ადამიანის სულიერი და ხორციელი ტანჯვა, წარსული დღეების მონატრება... ციკლის ერთადერთი დასათაურებული ლექსია „ალექსანდრე საჯაიას“, რომელიც მის ჭაბუკობისდროინდელ მეგობარს ეძღვნება. ალექსანდრე საჯაია 1944 წელს ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. მთელი ლექსი პოეტური გამოტირებაა იმ მშვენიერი ახალგაზრდა კაცისა, თავისი გარეგნობით, ნიჭითა და ინტელექტით ყველას ყურადღებას რომ იქცევდა*.

შენი დაღუპვა გავიგონე,
ცა რისხვად მხრებზე დამელეწა,
სიკვდილმა გულთან გაიქროლა,
ფრთა გამკრა სისხლის გამყინავი.
გამყინა, დამცა, გამარინდა,
დამიშრო ცრემლთა ნაკადული.
ცრემლი ხომ სევდის მალამოა,
ტირილი ვცადე, ვერ ავტირდი.

* ალექსანდრე საჯაიას გალაკტიონმა ასეთი სტრიქონები უძღვნა: „ერთ დროს მეც ვიყავ შენებრ ლამაზი, / მაგრამ არ ვიყავ შენსავით ნაზი“.

აზიის მიწავ ულმობელო,
უდაბნოს მიწავ თალხიანო,
ისმინეთ გლოვა მარტვილისა,
მომიკვდა სიყრმის მეგობარი!..
ვაჟკაცო შავო, შავგვრემანო,
შავთვალწარბა და ეშხიანო,
ჩემი სევდის და სიხარულის
სიყრმის ფაქიზო თანამგზავრო...
...ვერა ვქენ, ველარ მოვესწარი,
შენ შავი მიწა დაგაყარეს,
და მეც, აქ ცოცხლად მტვერწაყრილი,
დღეს ვწყევლი ჩემი გაჩენისას... (1945)

გიორგი კალანდაძე ამ თაობის ახალგაზრდებზე (ა. საჯაია, ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, გ. ჯაბუშანური და სხვ.) რამდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ ისინი ერთად გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, ერთად იღვწოდნენ და ერთმანეთის გვერდით ატარებდნენ ხანმოკლე შემოქმედებით ცხოვრებას. ამ თაობის ბედისწერის ზოგად სურათს ქმნის გიორგი კალანდაძე 1947 წელს დაწერილ ლექსში:

ძაფი – თილისმა – გული გრძნეულ
არიადნასი
ბნელს ლაბირინთში, სადაც ტანჯვის
ძნელი გზებისა,
პატიმრობისას მე მრავალგზის მომშველებია...
მაგრამ ამაოდ, ნადგურდება
ჩემი თაობა,
აღარ თავდება მინოტავრთან
ფარიკაობა.

– ეს იყო არა პატიმრობაში მყოფი ადამიანის პესიმისტური განწყობა, არამედ უსაზღვრო ტკივილით ამოკვნესილი სიმართლე, **„განადგურებული თაობის“** სახელით.

გიორგი კალანდაძე ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი „უფრო-

სი ედა“ – ძველი სკანდინავიური, კერძოდ, ისლანდიური ეპოსის საუკეთესი ძეგლი, – მითოლოგიური და საგმირო სიმღერების კრებული. წლების განმავლობაში მან დიდი ენერგია შეალია თერთმეტი ათასი სტრიქონის ქართულად აჟღერებას. დღეს „უფროსი ედის“ გიორგი კალანდაძისეული თარგმანი სამართლიანად არის აღიარებული ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად: „ენის კეთილხმოვანება და სტილისტური მრავალფეროვნება შენარჩუნებულია გ. კალანდაძის თარგმანში... შენარჩუნებულია ორიგინალის სისადავე და მუსიკალობა“(ლაშქარაძე 1972: 383). მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი კალანდაძის თარგმანს ელენე ვირსალაძე: „თარგმანისათვის გიორგი კალანდაძემ შეარჩია ორმუხლედი ურითმო ლექსი, რომელიც ზედმიწევნით შეესაბამება დედნის ენერგიულ რიტმს და განსაზღვრავს მის ვაჟკაცურ და ზოგჯერ საზეიმო ჟღერადობას“ (ვირსალაძე 1973: 91).

მოწონება დაიმსახურა „კავკასიური ხალხური პოეზიის“ გიორგი კალანდაძისეულმა თარგმანმა, რომელშიც ერთიანდება კავკასიის ხალხთა – ოსების, დაღესტნელების, სომხების, აზერბაიჯანელების და სხვ. – ფოლკლორის ნიმუშები: „უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას განაცდევინებს მკითხველს წიგნში შეტანილი თითქმის ყველა ნიმუში პოეზიისა, – აღნიშნავდა ქსენია სიხარულიძე, – იგი მთლიანად გვახარებს თავისი შინაარსითა და ფორმით. მკითხველი მოელის პოეტისა და ფოლკლორისტის გ. კალანდაძის მიერ ასეთივე პასუხისმგებლობითა და სიყვარულით შედგენილსა და თარგმანებს კავკასიური ხალხური პოეზიის უფრო სრული მოცულობის კრებულს (სიხარულიძე 1960). გიორგი კალანდაძის თარგმანთა კრებული „ხალხთა ძმობისათვის“ აერთიანებს მრავალი ერის წარმომადგენლის პოეტურ ნიმუშებს: ბაკქილიდს, გოეთეს, პრუდომის, ლამარტინის, აგრეთვე – გორკის, ბლოკის, სიმონოვის, ბაგრიცკის, ასეევის, პლოტინის, კუპალას, გულიას, გუბლიას, ისააკიანის, შირაზის, გამზატოვის, ტურსუნზადეს და სხვათა ნაწარმოებებს. ამ ციკლში შემავალ თარგმანებს სხვადასხვა დროს გამოეხმაურა როგორც ქართული, ასევე საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა რესპუბლიკების პრესა.

გიორგი კალანდაძე, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული ლიტერატურის სამსახურში გალია, 1979 წლის 20 თებერვალს გარდაიცვალა.

დამოწმებანი:

აგიაშვილი 1971: აგიაშვილი, ნ. *ჭაბუკები დარჩნენ მარად.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1971.

ვირსალაძე 1973: Вирсаладзе, Е. *Старшая Едда.* Литературная Грузия, 1973, №4, გვ. 91.

კალანდაძე 2011: კალანდაძე, ზ. „გიორგი კალანდაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა“. წიგნიდან: *გიორგი კალანდაძის ლექსების კრებული. ერთტომეული.* თბილისი: გამომცემლობა „მთაწმინდა“, 2011.

კვერენჩხილაძე 2017: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა.* თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

ლაშქარაძე 1972: ლაშქარაძე, დ. *ლიტერატურული ნარკვევები.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1972.

სიხარულიძე 1960: სიხარულიძე, ქ. „მეზობელ ხალხთა პოეზია ქართულ ენაზე“. *გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“,* 1960, 12.II.

ჯაბუშანური 1941: ჯაბუშანური, გ. *შენიშვნები ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაზე.* „ჩვენი თაობა“, 1941, №2-3, გვ. 76.

ზოია ცხადაია

რამაზ (ნუკრი) კობიძე

გამოჩენილი მწერალი და მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, რამაზ სერგოს ძე კობიძე ერთ-ერთია ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის, რომელსაც 40-იანი წლების რეპრესიები შეეხო.

რამაზ კობიძე 1923 წელს დაიბადა თბილისში. 1940 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1959 წელს.

სწავლის პერიოდის ხანგრძლივი პაუზა გამოიწვია იმან, რომ 1945 წლის 29 ივნისს იგი დააპატიმრეს, როგორც კ/რ ორგანიზაციის წევრი. „სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა, რვა წელიწადი მიუსაჯეს. „ეგ კია, კატორღაში რვის ნაცვლად თერთმეტი წელი გავატარე“. გენერალსიმუსი რომ არ გარდაცვლილიყო, ალბათ, დღესაც იქ ვიქნებოდი, ხელწერილი მქონდა ჩამორთმეული, თუ გაიქცევი, 15 წლის კატორღა მოგესჯებაო“ (კობიძე 1990).

რამაზ კობიძეს ბრალად დასდეს ანტისაბჭოთა აგიტაცია, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაში მონაწილეობა. გამოუჩხრიკეს წარსულის „ცოდვები“, კერძოდ, 1941 წლის ზამთარში (იგი ამ დროს უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო) მისი საუბარი თანაკურსელთან: „მეუბნება უნივერ-

სიტეტის თანაკურსელი: – ჩარკვიანი და ბაქრაძე* სტალინთან ყოფილან. უკითხავთ, უკან დახევა რომ მოგვიწიოს, თბილისი დავწვათ თუ არაო. სტალინს უთქვამს, თბილისს ეყოფა, რაც ტანჯვა-წამება ნახა. პროფესორ შალვა ნუცუბიძეს გამოვგზავნი, იქნება იმან გერმანელებთან საერთო ენა გამონახოსო. იმხანად შალვა ნუცუბიძე მართლაც ახალი გამოშვებული იყო ციხიდან, რაც მაშინ გაუგონარ ამბად ითვლებოდა**. იმ თანაკურსელსაც, ალბათ, იმიტომ დავუჯერე... მის კითხვაზე, ნუცუბიძეს დახმარება რომ დასჭირდება, რას იტყვიო, რამაზ კობიძის პასუხი იყო: – „მაგისთანა საქმეში ვინ არ დაეხმარებოდა... მე მზად ვარო... ამ დიალოგით დაიწყო და დამთავრდა ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობა“, – წერს რამაზ კობიძე (კობიძე 1990). თუმცა იყო კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელსაც 1993 წელს გაიხსენებს გივი ცინცაძე,*** დაპატიმრებული 1945

* კანდიდ ჩარკვიანი – საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; ვალერიან ბაქრაძე – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

** პროფესორი შალვა ნუცუბიძე დააპატიმრეს 1938 წელს თბილისში (იმ დროს ბერია უკვე მოსკოვში იყო გადაყვანილი). უმძიმესი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის გამო ნუცუბიძემ საკანში თავის ჩამოხრჩობა სცადა. გადაარჩინეს პატიმრებმა – თოკიდან ჩამოხსნეს; ამ დროს მოსკოვში სტალინი ეძებდა „ვეფხისტყაოსნის“ კარგ მთარგმნელს. ბერიამ ურჩია შალვა ნუცუბიძე, მაგრამ ისიც უთხრა, ციხეშიაო. ნუცუბიძე სასწრაფოდ გადაიყვანეს მოსკოვში, ციხეში კარგი პირობები შეუქმნეს და დაავალეს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა, რაც მას ისედაც ჰქონია გამიზნული და წამოწყებული; მან არ იცოდა, ვინ იყო შემკვეთი. არც ის იცოდა, ვისთან მიჰქონდათ თარგმნილი ნაწილები. ბოლოს შეახვედრეს სტალინს და მაშინ გაიგო, რომ ის კითხულობდა მის თარგმანს. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „Гос. издат“-მა, 1941 წელს. სტალინთან რომ მიიყვანეს ღამით, წიგნი მაგიდაზე ედოო, თბილისში წამოსვლის უფლება არ ჰქონდა. ომი დაიწყო და საერთო ევაკუაცია რომ გამოცხადდა, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა (ინფორმაცია მოგვაწოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ ნუცუბიძემ).

*** გივი ამბროსის ძე ცინცაძე – სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი. მას 1944 წელს ექსტერნად დაამთავრებინეს სამედიცინო ინსტიტუტი და ფრონტზე გაგზავნეს ექიმად. ომის დამთავრების შემდეგ მისი ნაწილი ჩეხოსლოვაკიაში გადაიყვანეს. 1946 წლის ივლისში სწორედ იქ ჩააკითხა მას სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა კაპიტანმა მირიან თავდიშვილმა და დაპატიმრებული საქართველოში ჩამოიყვანა. უთხრა, შენი თანამოაზრენი დაპატიმრებულები გვყავს და შენც გასახლებენო; თბილისში დაკითხვისას საშინლად აწამებდნენ, ე.წ. ინკუბატორში (ცხელ საკანში) ჰყავდათ, მაგრამ სასურველი აღიარება მაინც ვერ მიიღეს.

წელს. მას 1942 წლის დასაწყისში განდობია მისი უახლოესი მეგობარი, ლეო ბოლქვაძე (ისიც 1945 წელს დააპატიმრეს): არსებობს ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელსაყრელ მომენტში აჯანყების მოწყობა. ამ ორგანიზაციაში არიან დიმიტრი მამულაიშვილი, ნუკრი (რამაზ) კობიძე, ალიკო მარგველაშვილი და მე. მინდა შენც იყო. ორგანიზაციას თავში კოტე ხიმშიაშვილი უდგას. გეგმა შემუშავდებაო... ამის შემდეგ არ შევკრებილვართ. ომმა ჩვენი გზები გაჰყარაო" (მოგონება ჩაწერილია 1993 წლის 15 აგვისტოს რ. კვერენჩხილაძის მიერ. კვერეჩხილაძე 2017: 377); 1942 წელს მათ ხელი არ ახლეს, მაგრამ დამსმენის წყალობით, შინსახკომმა იცოდა ეს ფაქტი. 1945 წელს პირველი კოტე ხიმშიაშვილის ბიძაშვილი, დიმიტრი (დიტო) მამულაიშვილი* დაიჭირეს. მას ბრალად ედებოდა კოტე ხიმშიაშვილის ანტისაბჭოთა ზრახვების ცოდნა და ამ საქმიანობაში რამაზ კობიძის, ლეო ბოლქვაძის, ალიკო მარგველაშვილისა და გივი ცინცაძის ჩაბმა; დიმიტრი მამულაიშვილმა საქმის გადასინჯვისას, 1956 წლის 31 მარტს, ასე განმარტა 1945 წლის ამბები**: „მე არ დამისახელებია რამაზ კობიძის, ლეო ბოლქვაძის, ალიკო მარგველაშვილის და გივი ცინცაძის ჩაბმა. მე მაიძულეს მეთქვა, თითქოს ისინი ანტისაბჭოთა საქმიანობაში მე ჩავაბი". მას ცემით და წამებით ათქმევინეს, რომ კოტე ხიმშიაშვილმა გადაიბირა, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა: „ჩემი გამომძიებელი ჩიტაია და სამძებრო განყოფილების უფროსი მალანია, რომელიც გამოძიებას ესწრებოდა, ჩემზე ფსიქიკურად ზემოქმედებდნენ, მაშიმშილებდნენ, მცემდნენ... ამიტომ მოვაწერე ხელი, ვითომ მე გადამიბირა კოტე ხიმშიაშვილმა". ერთადერთი, რასაც ის იხსენებს, ისაა, რომ ერთხელ, ხიმშიაშვილთან მისულს, მოუსმენია კოტეს ლაპარაკი ძიგვაშვილთან: „საბჭოთა არმიის დამარცხების შემთხვევაში საქართველოში აღმოჩნდება ხალხი, რომელიც შე-

* დიმიტრი (დიტო) მამულაიშვილი – კოტე ხიმშიაშვილის ბიძაშვილი, ნოველა „ბებია ელისაბედის" ერთ-ერთი პერსონაჟის პროტოტიპი. მას 10 წლით პატიმრობა მიესაჯა იმიერპოლარეთში. იქ გააგრძელა ცხოვრება. პროფესიით ფილოსოფოსს წარმატებული კარიერა ჰქონდა. გარდაიცვალა იქვე 1989 წელს.

** მიმოხილვითი ცნობა 1941 წლის შეთქმულთა საქმეში №1964, ტ.VI. ფ. 361-363.

ეცდება, შეამსუბუქოს გერმანელთა ოკუპაციის სიმძიმე და საქართველო იხსნას დანგრევისგან“. როცა ხიმშიაშვილი და სხვები დააპატიმრეს, ვიფიქრე, ეს ხალხია სწორედ ისინი-მეთქი. ეს გავუზიარე ჩემს ამხანაგებს: კობიძეს, სიკინჭილაშვილს, თოფურიძეს... ამაში ვერაფერს ცუდს ვერ ვხედავდი, ყოველგვარი განზრახვის გარეშე ვუთხარი და მეტი არ გვილაპარაკია“ (კვერენჩხილაძე 2017: 376).

როცა რამაზ კობიძე დააპატიმრეს, უთხრეს, რომ დაპატიმრებული ჰყავდათ ლეო ბოლქვაძე, გივი ცინცაძე, არადა ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყვანილი ჩეხოსლოვაკიიდან, სადაც, როგორც ექიმი, სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

შეატყვეს, რომ კობიძემ არაფერი იცოდა ამ საქმის შესახებ, მაგრამ მაინც ითხოვდნენ აღიარებას. იგი თავის მოგონებაში ასახელებს **მალანიას*** და **ლორთქიფანიძეს**, რომლებმაც ისე სცემეს, რომ დილამდე უგონოდ იყო. დაპატიმრების სანქციაზე ხელი ისე მოაწერინეს, რომ არც წაუკითხავს.

სასჯელის გამოცხადების შემდეგ რამაზ კობიძე, ლეო ბოლქვაძე და გივი ცინცაძე რვა თვე თემქის კოლონიაში იყვნენ. მერე გივი ცინცაძე „შორეულში“ გაგზავნეს; რამაზ კობიძე ღრმაღელეში, უნომრო კოლონიაში მუშაობდა აგურის დამზადებაზე. „დღესაც ბევრმა არ იცის, რომ ჩვენს მზიურ რესპუბლიკაში მაშინ 70-მდე კოლონია და ერთიც რუსთავის უზარმაზარი ბანაკი იყო. თითქმის ყველაფერი, რაც იმ წლებში აშენდა და გაკეთდა, უფლებააყრილი, მშიერი, გაწამებული და თავმოძულებული პატიმრების ნახელავია. პატიმრებმა ააშენეს რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო, თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნები, სანაპირო, ცირკი. პატიმრებს გაჰყავდათ გზები, კრეფდნენ ჩაის, მუშაობდნენ

* ბედის ირონიით ეს მალანია (ილია), (როგორც რამაზ კობიძე იხსნებს თავის მოგონებების წიგნში „ციხიდან ციხეში“ (თბილისი: „გეა“, 1992, გვ. 28), ლიტერატურის ინსტიტუტში გამოცხადებულა დისერტაციის დასაცავად პედაგოგიკის სპეციალობით. მძიმე იყო ყოფილი ჯალათისა და ყოფილი პატიმრის შეხვედრა. რ. კობიძემ, როგორც ჩანს, მაქსიმალურად შეიკავა თავი. მალანიას დისერტაცია ჩავარდა. საბჭოს 25 წევრიდან მას ხმა მხოლოდ 11-მა მისცა.

შახტებში, მაღაროებში, ფაბრიკა-ქარხნებში“ (კობიძე 1990; კვერენჩხილაძე 2017: 383).

1948 წლის აგვისტოში რამაზ კობიძეც იმიერპოლარეთში გაამწესეს. „უკლებლივ ყველა პოლიტიკურ პატიმარს ხელი გვკიდეს, სატვირთო ვაგონებში შეგვრეკეს, ზოგს ციმბირში და ზოგს შუა აზიაში გვიკრეს თავი. ძნელია იქაური რეჟიმის სისასტიკის აღწერა. არავითარი კავშირი გარესამყაროსთან. – წელიწადში მხოლოდ ერთი წერილი, ზურგზე, მკერდზე და მუხლთან ნომრები, კატორღული შრომა, დაუსრულებელი შიმშილი...“ მისთვის და, ზოგადად, ყველა პატიმრისთვის, გაუგებარი იყო რეჟიმის გამკაცრების მიზეზები. როგორც რამაზ კობიძე იხსენებს, „ქვეყანამ ომი მოიგო, უცხოეთის ბევრ სახელმწიფოში ციხეები დაცარიელდა, ჩვენთან კი... ძველი პატიმრები შიშობდნენ, დახვრეტები დაიწყებაო“ (კობიძე 1990). რვა წლის გასვლის შემდეგ იგი იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ იქვე, ინტაში, დასახლდებოდა, ე.წ. სპეცდასახლებულის სახით. მას თვეში ორჯერ ხელი უნდა მოეწერა შინსახკომის განყოფილებაში, რკინიგზის სადგურისკენ გახედვის უფლებაც არ ჰქონდა.

იყო ბედნიერი თარიღიც რამაზ კობიძის მძიმე ბიოგრაფიაში. 1954 წელს მას მომავალმა მეუღლემ – ეთერ ალექსანდრეს ასულმა ჯაჯანაშვილმა – ჩააკითხა ინტაში და იქვე დაქორწინდნენ. გადასახლებიდან 1956 წელს დაბრუნდა. 1959 წელს შეწყვეტილი სწავლა დაასრულა. 1962 წლიდან შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, სადაც ათეული წლების განმავლობაში ეწეოდა მეცნიერულ საქმიანობას, როგორც სწავლული მდივანი და წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიაზე, 1993 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ტრაგიკული ახალ ქართულ ლიტერატურაში“.

რამაზ კობიძე, შექმნილი ვითარების გამო, სამწერლო ასპარეზზე გვიან გამოჩნდა, მაგრამ ძალზე ბევრი რამ მოასწრო. ღირსეულად ემსახურა თავის საყვარელ საქმეს. პირველი მოთხრობები გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე, 1959 წელს დაბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ და ჟურნალ

„დროშაში“. მას შემდეგ მისი მხატვრული თხზულებები, ლიტერატურული წერილები და სამეცნიერო შრომები სისტემატურად ქვეყნდებოდა პრესაში, გამოიცემოდა ცალკე წიგნებად. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მისმა რომანებმა „გვიმრის ფოთლები“, „ბაქარ ანძაველი“, „ნამდვილი და მოგონილი“, მოთხრობების კრებულებმა: „სიცილიანი ბიჭი“, „თეთრკაბიანი გოგონა“, „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“... მოგონებების წიგნმა „ციხიდან ციხეში“... და სხვ. იგი იყო ავტორი სამეცნიერო კრებულისა „ტრაგიკული ახალ ქართულ ლიტერატურაში“, შრომებისა „ქართული ტრაგიკული ლიტერატურის მწერალი“, „ისტორია, ჰეროიკა, ტრაგიზმი“, გამოკვლევებისა („არსენა მარაბდელი“, „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“), თარგმანებისა (ი. ილფისა და ვ. პეტროვის „თორმეტი სკამი“, „ოქროს კერპი“, ა. ბელიაევის „მეორედ მოსვლა“, ვ. ვერესაევის „ექიმის ჩანაწერები“, რ. იუნგის „ათასი მზის ელვარებას“ და სხვ).

ცხოვრების ქარტეხილებს ღირსეულად გაუძლო, პატიოსნად ემსახურა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურას. ახალ ისტორიულ მოვლენებს იმედით ხვდებოდა. 1990 წლის 10 აპრილს გაზ. „თბილისში“ (№82) გამოქვეყნებულ ინტერვიუში ამბობდა: „ღმერთმა ნუ ქნას, ყველაფრისადმი დამკარგვოდეს ინტერესი. რწმენადაკარგული არც მწერალი ვარგა, არც მეცნიერი, საერთოდ, ადამიანი. მით უფრო ახლა, როცა დიდი ეროვნული წვიმების შემდეგ ცაზე ცისარტყელას ნიშნები გამოიკვეთა“.

წესიერი და ნაამაგარი კაცის სახელით დაასრულა სიცოცხლე. რამაზ კობიძე 1998 წელს გარდაიცვალა.

სშსს არქივში აღმოჩნდა რამაზ კობიძის ბრალდებისა და განაჩენის ფურცლები.

ბრალდების ფურცელი:

კობიძე რამაზ სერგოს ძე
დაბ. 1923 წ. ბათუმი, აჭარის ავტ. რესპუბლიკა
მისამართი – თბილისი, ქობულეთის აღმართი
სამუშაო ადგილი – სახ. უნივერსიტეტი, მე-5 კურსის სტუდენტი ალკკ წევრი
დაპატიმრებულია – 24.VI, 1945 წ.
დანაშაულის ხასიათი – კ/რ ორგანიზაციის წევრი
მუხ. 58[1]-10 ნაწ. II, 58 II
27.VI. 1945

განაჩენის ფურცელი:

კობიძე რამაზ სერგოს ძე
გაასამართლა – თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალმა
გასამართლების თარიღი – 1945 წ. 20 სექტემბერი
მუხ. 58[1]-10 ნაწ. II, 58 II
მიესაჯა 8 წელი, 5 წელი უფლებამოსილების ჩამორთმევით.
22.VI.1946

დამოწმებანი:

კვერენჩხილაძე 2017: კვერენჩხილაძე, რ. *წამების გზა*. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

კობიძე 1990: კობიძე, რ. „ცისატყელა გამოჩნდა“. *გაზ. „თბილისი“*, №82, 10.IV. 1990.

მანანა კვატაია

ივანე ლოლაშვილი

გამოჩენილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ლოლაშვილი 1918 წლის 26 დეკემბერს სიღნაღში დაიბადა. 1936 წელს მან აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და, როგორც წარჩინებული მოსწავლე, უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დაასრულა.

მეცნიერის ადრეული ბიოგრაფიის დეტალები იკვეთება მის მოგონებებათა წიგნში „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“ (ლოლაშვილი 1980). ავტორი აღნიშნავს, რომ მომავალი მკვლევრის ცნობიერების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პაპამ – ივანე ლოლაშვილმა, რომელიც ბოდბიდან სიღნაღში ჩამოსახლებულა და ქალაქის ცენტრში სადურგლო სახელოსნო გაუხსნია. მას კლასიკური განათლება არ ჰქონია, მაგრამ თავისი დროისათვის გონებაგახსნილ, მცოდნე კაცად ითვლებოდა. პაპას თანამოსახელე შვილიშვილისათვის ისტორიულ სიძველეთა სიყვარული და პატივისცემა ჩაუნერგავს.

მოგონებათა წიგნის მიხედვით, ივანე ლოლაშვილის ცხოვრებისეულ არჩევანზე დიდი გავლენა მოახდინა დიმიტრი გონაშვილმა – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა. მას ყმაწვილისათვის 1924 წელს გამოცემული კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი

უთხოვებია, რომლის წაკითხვის შემდეგ ნიჭიერი მოსწავლე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკით დაინტერესებულა. 1933 წლის ნოემბერში მას რუსთაველზე მოხსენებაც კი წაუკითხავს. მოწაფეობის პერიოდში ივანე ლოლაშვილი წიგნების შეგროვებითაც ყოფილა გატაცებული.

სტუდენტობის წლებს მეცნიერი თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო ხანას უწოდებს. სახელოვანი ლექტორების, განსაკუთრებით, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის ლექციებმა და წიგნებმა მისი მომავალი სამეცნიერო ინტერესების სფერო განსაზღვრა. პირველი გამოკვლევები ივანე ლოლაშვილს სტუდენტობის წლებში შეუქმნია და გადაუწყვეტია, სწავლა ასპირანტურაში გაეგრძელებინა, მაგრამ მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ჭაბუკის „ოცნებები საპნის ბუშტივით გაქრა“: ივანე ლოლაშვილი მალე ფრონტზე გაიწვიეს.

მოგონებებში მეცნიერი ფრონტულ თავგადასავლებზე არაფერს ამბობს, ამაზე მისი ბიოგრაფებიც სდუმან. რატომ? ამ კითხვას პასუხს სცემს ლოლაშვილის სისხლის სამართლის საქმე (ფონდი №6, საარქივო № 5176, ტ. 3, ყუთი 37), რომელსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში მივაკვლიეთ.

საქმეში დაცული დოკუმენტების მიხედვით, იმჟამად საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის სწავლული მდივანი ივანე ლოლაშვილი 1951 წლის აპრილში დააკავეს. გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“ ადევს 1951 წლის 26 მარტით დათარიღებულ დოკუმენტს „დასკვნა დაპატიმრებაზე“. ოპერრწმუნებულ მაიორ კაზიევს განუხილავს მასალები საქმე – ფორმულარი №11183-ისა, რომელშიც აღნუსხულია ბრალდებულის პირადი მონაცემები: „ლოლაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, დაბადებული 1918 წელს, საქართველოს სსრ ქ. სიღნაღის მკვიდრი, მოსამსახურეთაგან, უმაღლესი განათლებით, უცოლო, სკკპ (ბ)-ს წევრობის ყოფილი კანდიდატი (გერმანელებთან ტყვეობასთან დაკავშირებით მექანიკურად გამოეთიშა), საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, მცხოვრები ქ. თბილისში, კალანდაძის №4-ში“.

საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე მაიორ კაზიევს გამოურკვევია, რომ ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილს, საბ-

ჭოთა არმიის ყოფილ კადრის ოფიცერს, ლეიტენანტის წოდებით, ომის დასაწყისში ეკავა ბატალიონ №1155-ის მესამე ოცეულის მსროლელთა დივიზიის მეთაურის თანამდებობა. მისი სამხედრო დანაყოფი ქალაქ კალაჩთან, დონის სანაპიროზე იბრძოდა. 1942 წლის აგვისტოში გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა ლოლაშვილი სხვებთან ერთად დააპატიმრეს და გაამწესეს ქ.მილეროვოში, შემდეგ კი გერმანიაში, ქ. ორდუში გადაიყვანეს, სადაც ე.წ. „ნორდლაგერში“ იმყოფებოდა. იმავე დოკუმენტის მიხედვით, 1943 წლის ბოლოს ლოლაშვილი გერმანელმა ოფიცრებმა და ქართველმა ემიგრანტებმა გადაიყვანეს ქ. ბერლინში, საიდანაც გერმანული არმიის ნაციონალურ ლეგიონისათვის კადრების მოსამზადებელ სკოლაში გაამწესეს. ეს სკოლა დისლოცირებული ყოფილა რორბახის დასახლებაში, ქ. რიის (ლოტარინგია) მახლობლად და შედიოდა დაზვერვის ორგანოს „ცეპელინის“ გამგებლობაში. აღნიშნულ სკოლაში ივანე ლოლაშვილი ქართული ენის კონსულტანტად მიუღიათ, თან ფაშისტური გერმანიის ოფიცრის ფორმა გადაუციათ. ამავე ბრალდებაში მითითებულია, რომ გერმანიის არმიის განადგურების შემდეგ ივანე ლოლაშვილი საფრანგეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, საიდანაც საბოლოოდ რეპატრიაციის წესით სსრკ-ში დააბრუნეს.

ყოველივე ზემოთქმულისა და მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილმა ჩაიდინა დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-I „ბ“ (სამშობლოს ღალატი) მუხლით, რაც ბრალდებულის ჩხრეკა-დაპატიმრებას ითვალისწინებდა. 1951 წლის 17 აპრილის დადგენილებით, მეცნიერს ბრალად ედება ის, რომ სამამულო ომის ფრონტზე 1942 წლის აგვისტოში ქ. კალაჩთან ყოფნისას გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. ტყვეობის პერიოდში იგი გერმანელთა არმიის ფორმირებებში მსახურობდა და ეწეოდა სსრკ-ს წინააღმდეგ აქტიურ მტრულ საქმიანობას, რის გამოც მიცემულ იქნა პასუხისგებაში სისხლის სამართლის კოდექსის 58-I „ბ“ მუხლით.

ივანე ლოლაშვილის სისხლის სამართლის საქმეში ინახება დაპატიმრებულის ანკეტა, რომელშიც მითითებულია, რომ ის

გახლავთ ფილოლოგი, საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის სწავლული მდივანი, ნასამართლევი არ არის, დედ-მამა სიღნაღში ცხოვრობს, ჰყავს მეუღლე და შვილი – ალექსანდრე, დაბადებული 1947 წელს.

მეცნიერის ბიოგრაფიისათვის საყურადღებო ცნობები შემოუნახავს მისი დაკითხვის ოქმებს. ვრცელი და ინფორმაციულია 1951 წლის 3 აპრილის დაკითხვის ოქმი, რომელიც აზუსტებს, თუ რა საქმიანობას ეწეოდა ბრალდებული მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე. გამომძიებლის შეკითხვაზე ივანე ლოლაშვილი პასუხობს, რომ ომამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, ფრონტზე 1941 წლის ივლისში გაიწვიეს და იმავე საღამოს ხარკოვის საინტენდანტო აკადემიაში კურსანტად წაიყვანეს. ახალგაზრდა ლოლაშვილი ხარკოვში ოქტომბრამდე დარჩენილა, შემდეგ მათი აკადემია ქალაქ ტაშკენტში გადაუტანიათ, სადაც ახალწვეული 1942 წლის 8 ივნისამდე დარჩენილა და ტექნიკოს-ინტენდანტის წოდება მიუღია. ივანე ლოლაშვილი შემდეგ ქ. ვორონეჟში, სამხრეთ-აღმოსავლეთის შტაბის განკარგულებაში გადაუგზავნიათ და სატრანსპორტო-სამეურნეო მომარაგების უფროსად დაუნიშნავთ. „ამ თანამდებობაზე არ მიმუშავია, რადგან შტაბმა ხელახლა გამაგზავნა სამწყობრო მეთაურთა გადასამზადებელ კურსებზე სარატოვის ოლქში, სოფელ სამუილოვკაში“, – უთქვამს დაკითხვაზე პატიმარს. ამ სოფელში ივანე ლოლაშვილი ორ თვეს დარჩენილა და ლეიტენანტის წოდება მიუღია. შემდეგ იგი ისევ უკან, ვორონეჟში, იმავე შტაბის განკარგულებაში გადაუყვანიათ და იქიდან ხარკოვის მიმართულებით, ფრონტზე გაუგზავნიათ, სადაც საბჭოთა კავშირის მე-9 არმია იბრძოდა.

1951 წლის 3 აპრილის დაკითხვის ოქმის მიხედვით, ივანე ლოლაშვილი ფრონტზე ყოფილა 1942 წლის მარტის ბოლო რიცხვებიდან ან აპრილის დასაწყისიდან 1942 წლის 13 აგვისტომდე. ის ოცმეთაური გახლდათ და ლეიტენანტის წოდება ჰქონდა.

იმავე ოქმში ბრალდებული თავის ტყვედ ჩავარდნის ამბებს დაწვრილებით ჰყვება. მდინარე დონთან, კალაჩის მახლობლად,

მათი ნაწილი მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულა. 13 აგვისტოს, განთიადისას, გერმანელები კონტრშეტევაზე გადმოსულან და მთელი ბატალიონი ტყვედ აუყვანიათ. ივანე ლოლაშვილს სხვა ტყვეებთან ერთად მილეროვოს ფაშისტურ ბანაკამდე ფეხით უვლია. აქ მას სკოლის ამხანაგი, სიღნაღელი დავით პატატიშვილი შეხვედრია, რომელსაც ომამდე ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაუმთავრებია.

ჩვენების მიხედვით, მილეროვოდან ლოლაშვილი გერმანელთა ბანაკში, ხაროლში გადაუყვანიათ, სადაც ორთვენახევარი თუ თვენახევარი გაუტარებია. აქ მას სტუდენტობის ამხანაგი ვახტანგ ფოფხაძე უნახავს. აღნიშნულ ბანაკში ივანე ლოლაშვილი დაუტოვებიათ, როგორც გერმანული ენის მცოდნე. მისი მოვალეობა ბანაკში მყოფი ადამიანების სიის შედგენა ყოფილა. ამავე დროს, ის დამლაგებლობდა კიდეც. ხაროლიდან ტყვეები მატარებლით ნოიჰამირში წაუყვანიათ. დატყვევებული ლოლაშვილი აქ 1943 წლის ივნისამდე დარჩენილა. ახალგაზრდა ამჯერად ასეულის მწერლად დაუნიშნავთ და გერმანული ფორმა გადაუციათ.

ბრალდებულის მონათხრობის მიხედვით, ნოიჰამირის ბანაკში ქართველები ცალკე გადაურჩევიათ და მათგან ე.წ. „მუშათა ბატალიონი“ შეუდგენიათ, რომელშიც სამი ასეული შედიოდა. ბანაკში ივანე ლოლაშვილს ევალებოდა პროდუქტებისა და ტანისამოსის აღრიცხვა, ასეულის თითოეულ წევრზე ანკეტური მონაცემების შედგენა, ტყვია-წამლისა და მძიმე ტვირთების გადატან-გადმოტანა.

იმავე ჩვენებაში ივანე ლოლაშვილის ტყვეობის პერიოდის სხვა დეტალებიც იკვეთება. მას ფიცი ნოიჰამირში 1943 წელს მიუღია, რის შემდეგ „შრომის წიგნაკი“ მიუციათ. ფორმის ჩაცმისა და ფიცის მიღების შემდეგ ლოლაშვილისათვის, როგორც ასეულის მწერლისათვის, ეფრეიტორის ხარისხი მიუნიჭებიათ, რამდენიმე თვეში კი ის უნტეროფიცერი გამხდარა. „ყოველივე საქმიანობის შესრულებას გერმანელები გვაიძულებდნენ იარაღით“, – უთქვამს დაკითხვისას ბრალდებულს. ნოიჰამირში ივანე ლოლაშვილი 5 თუ 6 თვე დარჩენილა, შემდეგ მათი

ბატალიონი გერმანიიდან უკრაინაში, ქ. ხარკოვში გადაუყვანიათ, თვენახევრის შემდეგ – ქალაქ კრემენჩუგში გადასულან. აქედან ლოლაშვილი სხვა ტყვეებთან ერთად მატარებლით გერმანია-იტალიის საზღვართან მიუყვანიათ, სადაც ხიდებისა და რკინიგზების მშენებლობაში მონაწილეობდა.

ამის შემდეგ დატყვევებული ივანე ლოლაშვილი ბერლინში, სამთარგმნელო სკოლაში გაუგზავნიათ. აქაურ „ქართულ კომიტეტში“ მას ერთი ემიგრანტი დახვედრია, ხარისხით ლეიტენანტი და ქართულ გაზეთში თანამშრომლობა შეუთავაზებია. ჩვენების მიხედვით, ლოლაშვილს ამაზე უარი განუცხადებია, რადგან, მისი თქმით, ბერლინში ჩამოსვლისას მისი მთავარი მიზანი გერმანული ენის უკეთ შესწავლა გახლდათ. სამთარგმნელო სკოლას, რომელიც ელზას-ლოტარინგიაში, ქალაქ სტრასბურგის მახლობლად იყო, „თურქ ხალხთა სამთარგმნელო სკოლა“ ეწოდებოდა და ივანე ლოლაშვილი იქ ჩაურიცხავთ. სწავლება ექვსთვიანი ყოფილა, მაგრამ ლოლაშვილი მთარგმნელის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სკოლაში დაუტოვებიათ და მისთვის დაუნიშნავთ ხელფასი: 33 მარკა თვეში.

მეცნიერის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია ივანე ლოლაშვილის „საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება“ (გვ. 33-39), ხელნაწერი, რომელიც 1951 წლის 16 მარტით თარიღდება. აქ ბრალდებული დაწვრილებით აღწერს სამთარგმნელო სკოლაში მისი საქმიანობის დეტალებს, საუბრობს სკოლის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე. დაწესებულების მიზანი ნაციონალური ლეგიონებისათვის მთარგმნელების მომზადება ყოფილა. ლოლაშვილის ცნობით, სკოლაში გერმანული ენის მინიმუმს – სამხედრო ტერმინებს და ყოველდღიურ სალაპარაკო ენას ასწავლიდნენ. აქვე სამეცნიერო განყოფილება ჰქონიათ, სადაც ამავე სკოლისათვის გერმანული ენის სახელმძღვანელოებს ადგენდნენ და ნაციონალურ ენებზე თარგმნიდნენ.

დაპატიმრებული მეცნიერისათვის ბრალი 1951 წლის 17 აპრილს წარუდგენიათ. საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ნაწილის უფროსს, ლეიტენანტ ჭელიძეს განუხილავს საქმე №411-ის კვლევა-ძიების მა-

სალა და აღუნიშნავს: „ი. ა. ლოლაშვილი მხილებულია მასში, რომ სამამულო ომის ფრონტზე ყოფნისას, 1942 წლის აგვისტოში, ქ. კალაჩთან გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს. ტყვეობისას მან უღალატა სამშობლოს და მსახურობდა გერმანული არმიის ფორმირებებში და სსრკ-ს წინააღმდეგ დაკავებული იყო აქტიური მტრული მოღალატეობრივი საქმიანობით“. ლეიტენანტ ჭელიძის დასკვნით, ი. ა. ლოლაშვილი პასუხისგებაში მიეცა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-I „ბ“ მუხლით.

მსგავს ინფორმაციას გადმოსცემს 1951 წლის 9 მაისს ივანე ლოლაშვილის საქმეზე „სრულიად საიდუმლოდ“ შედგენილი ცნობა: „დაპატიმრებულია 1951 წლის 3 აპრილს. მან აჩვენა, რომ 1942 წელს დატყვევების შემდეგ იყო ბანაკებში: მილეროვოში, ხაროლში და გოდიაჩეში, სადაც ემიგრანტმა ალშიბაიამ დაამუშავა, რათა გერმანულ არმიაში ემსახურა, რის შემდეგ გაუშვეს ქ. ზენკოვოში და ჩარიცხეს ქართულ ნაციონალურ ბატალიონში მწერალ-მოანგარიშედ. შემდეგ ივანე ლოლაშვილი კიროვოგრადში განამწესეს და სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებს იცავდა. 1943 წელს ის გადაიყვანეს ჩრდილოეთ იტალიაში, ქალაქ პონტებაში. 1944 წლის ივნისში იგი გაუშვეს რორბახის თარჯიმანთა სკოლაში, რომელიც თარჯიმანთა კადრებს ნაციონალური ლეგიონებისათვის ამზადებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ ლოლაშვილი სამეცნიერო განყოფილებაში კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისა და სპეციალურ თარგმანისათვის დატოვეს. 1945 წლის თებერვალში სკოლა გადაიტანეს ქ. ფელდშტეტინში (გერმანია), სადაც 1945 წლის აპრილის დასაწყისში მთელი პირადი შემადგენლობა შეაიარაღეს და გაუშვეს ფრონტზე, საბჭოთა არმიასთან საბრძოლველად. სასწავლებლების შემადგენლობა და სამეცნიერო განყოფილება ქ. ულმში (გერმანია) გადაიტანეს, სადაც 1945 წლის 23 აპრილს ყველანი, მათ შორის, ი. ა. ლოლაშვილი, საფრანგეთის ჯარებმა შეიპყრეს. ის საფრანგეთის ზონაში, ქ. ბირბახში 1945 წლის აგვისტომდე იმყოფებოდა, შემდეგ რეპატრირებულ იქნა სსრკ-ში. სახელმწიფო შემოწმების გავლისას თავისი გერმანიაში სამსახურის შესახებ მან ინფორმაცია დამალა“.

აღნიშნულ დოკუმენტს ხელს აწერს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალ-მაიორი ნ. რუხაძე.

1951 წლის 3 აპრილის დაკითხვის ოქმში ბრალდებული მეცნიერი ხსნის, თუ რატომ გახდა იძულებული, სათანადო ორგანოების წინაშე თავისი ტყვეობის დეტალები დაემალა: „როდესაც მე პირველად ფილტრაციაში მივედი, გადაწყვეტილი მქონდა, ყველაფერი გულწრფელად მეთქვა, მაგრამ შემაშინეს, ცოცხალს არ დაგტოვებენო, დაგსჯიანო და ამიტომ მთლიანად არ აღმინიშნავს ჩემი ტყვეობაში ყოფნის ისტორია“. აქვე ბრალდებული იხსენებს, რომ ბაუტენში, პირველი ფილტრაციის დროს, მან აღიარა, რომ გერმანიის სამთარგმნელო სკოლაში იმყოფებოდა, რისთვისაც დააპატიმრეს და ორეხოვო-ზუევოში ჩამოიყვანეს, სადაც მისი პიროვნების დადგენა ხდებოდა. 1946 წლის სექტემბერში ფილტვების დაავადების გამო ივანე ლოლაშვილი გაუთავისუფლებიათ და ის საქართველოში დაბრუნებულა.

როგორც აღინიშნა, მეცნიერი 1951 წლის აპრილში დააპატიმრეს. 1951 წლის 15 აპრილით თარიღდება ივანე ლოლაშვილის მიერ საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შინაგანი ციხის უფროსის სახელზე ფანქრით დაწერილი განცხადება, სადაც აღნიშნულია: „გთხოვთ, ჩემს ოჯახს შეატყობინოთ, რომ მე მესაჭიროება ჩუსტები, ქუდი, მოკლესახელოებიანი მაიკა და ტანისამოსის ჩანთა“.

ფანქრით, მეოთხედ ფურცელზე, ქართულად დაუწერია მეცნიერს განცხადება საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილების უფროსის, მაიორ კუციავასადმი: „1945-1946 წლებში ტუბერკულოზით ვიყავ დაავადებული, რის საფუძველზე ქ. ორეხოვო-ზუევოს საფილტრაციო ბანაკიდან განთავისუფლებულ ვიქენ. წამლობითა და კარგი ხელშეწყობის შემდეგ განვიკურნე, მაგრამ აქ თვენახევარია, რაც პატიმრობაში ვიმყოფები და დღეს ნახველთან ერთად სისხლიც ამოვაყოლე. ექიმს მივმართე და მან წამალი დამინიშნა, მაგრამ ეს საკმაო არ არის. ჩემთვის აუცილებელია დიეტური კვება. აქაური საჭმელი (შავი პური, მლაშე თევზი და ბორშჩი) იწვევს კუჭის ტკივილებს, რის გამოც

იძულებული ვარ, ვიშიმშილო. ამისათვის გთხოვთ, დამრთოთ ნება, ოჯახიდან საჭმელი შემომიგზავნონ, რომ მოსალოდნელი არ იყოს ტუბერკულოზის განვითარება. ამასთან, გთხოვთ, ჩემი გამოძიება დააჩქაროთ, ვინაიდან ამგვარი პირობები ჩემი ჯანმრთელობისათვის სახიფათოა“.

ივანე ლოლაშვილის სიხლის სამართლის საქმეს შემოუნახავს სრულიად საიდუმლო დოკუმენტი (რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი), რომლითაც საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილე შარაშიძე საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს, გიორგი ლეონიძეს მიმართავს: „აუცილებელი საჭიროებისათვის გთხოვთ, მოგვცეთ დახასიათება და ცნობა სამუშაო ადგილიდან თქვენდამი რწმუნებული მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის ლოლაშვილი ივანე ალექსანდრეს ძის შესახებ“.

საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის, გიორგი ლეონიძის ხელმოწერით უშიშროების სამინისტროში გაუგზავნიათ საპასუხო დოკუმენტი: „პასუხად თქვენი მომართვისა ა/წ 30 მაისის თარიღით №16/5075 გაცნობებთ შემდეგს:

ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა ი. ა. ლოლაშვილმა საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში სწავლული მდივნის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო 1947 წლის 1 აპრილიდან (ბრძანება №212, 1947 წ. 31 მარტი) და მუშაობდა 1951 წლის 3 აპრილამდე. ამ ხნის განმავლობაში ის ითვლებოდა კეთილსინდისიერ თანამშრომლად, პატიოსან მუშაკად. იგი მეტად ნაყოფიერად მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. კერძოდ, მან დაამთავრა შრომა საბა ორბელიანის შესახებ.

ივანე ლოლაშვილი აქვეყნებდა პერიოდულ პრესაში ლიტერატურული ხასიათის სხვადასხვა წერილებს.

თავის მოვალეობას ლიტერატურული მუზეუმის მდივნისას იგი ასრულებდა ერთგულად და კეთილსინდისიერად“.

ამგვარი დახასიათების მიუხედავად, 1951 წლის 1 ივნისს ივანე ლოლაშვილისთვის საბრალდებო დასკვნა გამოუტანიათ.

ჩამოთვლილი ბრალდებების (გერმანელებთან ტყვეობა, ქართულ ნაციონალურ ლეგიონში სამსახური და ა.შ.) საფუძველზე 1951 წლის 28 ივნისის განჩინებით (საიდუმლოდ) მეცნიერს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 25 წლით, უფლებებში შეზღუდვა 5 წლით, ქონების კონფისკაცია და „ლეიტენანტის“ წოდების ჩამორთმევა.

ბრალდებულის სისხლის სამართლის საქმეში ინახება დოკუმენტი, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიას 1951 წლის 11 აგვისტოს სხდომაზე ადვოკატ ვ. გვილავას საჩივრის საფუძველზე განუხილავს განჩინება განსასჯელი ი. ა. ლოლაშვილისა, რომელიც 1951 წლის 28 ივნისის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ლოლაშვილის ადვოკატის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

ივანე ლოლაშვილის პატიმრობის შემდეგ ნიუანსებს საქმეში დაცული რამდენიმე მიმართვა გვაცნობს. 1954 წლის 7 აპრილს მეცნიერის დედას, ოლღა ნიკოლოზის ასულ ლოლაშვილს განცხადებით მიუმართავს ნ. ს. ხრუშჩოვისათვის, სადაც ის აღწერს მისი ოჯახის მძიმე მდგომარეობას და რუსთავის შრომა-გასწორების ბანაკში მყოფი ვაჟის, ივანე ლოლაშვილის შერყეულ ჯანმრთელობაზეც წერს: „დაავადებული აქვს ფილტვები, რის გამოც ის ქ. თბილისის ციხის საავადმყოფოში 1951 წლის ნოემბერში მოხვდა. ბორჯომის რაიონში ცენტრალურ ტუბერკულოზის საავადმყოფოში 1952 წლის სექტემბრამდე მკურნალობდა“. ოლღა ლოლაშვილი ითხოვს, მის დაავადებულ შვილს დანაშაული აპატიონ და ვადამდე ადრე გაათავისუფლონ.

1954 წლის 7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვისათვის თვით პატიმარ ივანე ლოლაშვილს მიუმართავს განცხადებით, სადაც ის დაწვრილებით ყვება თავის ბიოგრაფიაზე, სამეცნიერო საქმიანობაზე, ამტკიცებს, რომ მოკავშირეთა არმიის თუ პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ არასოდეს უბრძოლია. რაც შეეხება სამთარგმნელო სკოლაში მის ყოფნას, მეცნიერი ამას გერმანული ენის სრულყოფილად შესწავლის სურვილით ხსნის. აქვე ის თავის დაავადებაზე საუბრობს და მიუთითებს, რომ 1952 წლის სექ-

ტემბრიდან რუსთავის შრომა-გასწორების ბანაკში იმყოფება. „ზემოხსენებულის საფუძველზე გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი დადებითი მხარეები, ავადმყოფობა, განსასჯელის პირველი შემთხვევა, ოჯახური მდგომარეობა.. მოხუცი მშობლები და საკმარისად მიიჩნიოთ სასჯელის ის ვადა, რომელიც მოვიხადე და ვადამდე ადრე გამათავისუფლოთ“, – წერს ხრუშჩოვს პატიმარი ლოლაშვილი.

როგორც ჩანს, მოსკოვში გაგზავნილ მიმართვებს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. 1954 წლის 28 აგვისტოს ოლღა ლოლაშვილს კვლავ გაუგზავნია განცხადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სამსახურის უფროსის, გენერალ-მაიორ ინაურისათვის. პატიმრის დედა ითხოვს, გაითვალისწინონ ივანე ლოლაშვილის ოჯახის უმწეო მდგომარეობა, გადახედონ მის საქმეს და მეცნიერი პატიმრობიდან გაათავისუფლონ.

„საიდუმლოს“ გრიფი ადევს 1954 წლის 31 აგვისტოს გამოტანილ დასკვნას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ივანე ლოლაშვილის საქმე მისი დედის საჩივრის საფუძველზე განუხილავთ და მხედველობაში მიუღიათ ის გარემოება, რომ „ქართულ ნაციონალურ ლეგიონში“ ლოლაშვილი მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩაეწერა. მეცნიერის 25-წლიანი პატიმრობის ვადა 10 წლამდე შეუმცირებიათ.

1998 წლის 13 თებერვალს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, ჯემალ გახოკიძისათვის განცხადებით მიუმართავს ივანე ლოლაშვილის შვილს, მელიტა ლოლაშვილს, რომელიც გარდაცვლილი მამის დაპატიმრების დეტალებზე საუბრობს და ითხოვს, დაუდასტურონ მისი პატიმრობაში ყოფნის ფაქტი და მისცენ სათანადო ცნობა.

ღვაწლმოსილი მეცნიერის სასჯელისა და მისი შემდგომი ხვედრის დეტალები იკვეთება 1998 წლის 19 მარტის ცნობიდან (ქართულად, მანქანაზე ნაბეჭდი): „ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილი, დაბადებული 1918 წელს, ქ. სიღნაღში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ 1951 წლის 28 ივნისს გასამართლებული იყო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ბ (სამშობლოს ღალატი) მუხლის საფუძველზე და მიესაჯა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

კონტრრევოლუციური დანაშაულებისათვის გასამართლებულ პირთა საქმეების გადასინჯვის შემდეგ რესპუბლიკური კომისიის 1954 წლის 22 ოქტომბრის დადგებილებით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდა 15 წლამდე.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 17 სექტემბრის ბრძანებულების მე-3 მუხლის თანახმად, ის განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან 1955 წლის 11 ოქტომბერს. ამჟამად მოქ. ივანე ალექსანდრეს ძე ლოლაშვილი რეაბილიტირებული არ არის“.

ცნობას ხელს აწერს ოპერატიული აღრიცხვის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ი. მირონოვი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ ივანე ლოლაშვილის სისხლის სამართლის საქმეში არსებული დოკუმენტები მკვლევრის სამეცნიერო საქმიანობასაც ასახავს. კერძოდ, 1951 წლის 3 აპრილის დაკითხვის ოქმში მეცნიერი მიუთითებს, რომ იგი 1947 წლის 1 აპრილიდან დაპატიმრებამდე მუშაობდა საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის სწავლულ მდივნად და მის სამეცნიერო საქმიანობას ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში მას მოუწყვია სამი რესპუბლიკური გამოფენა – „ქართული მწერლობა V-XX საუკუნეებში“; მისი პასუხისმგებლობით გამოცემულა „ლიტერატურის მატიანის“ მეხუთე წიგნი. ამასთან, მკვლევარი გაზეთ „ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ ქართული ფილოლოგიის საკითხებზე წერილებსა და ნარკვევებს ბეჭდავდა, მონაწილეობდა აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებაში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში საკანდიდატო მინიმუმის გამოცდებს აბარებდა. ინფორმაციულია საქმეში დაცული ივანე ლოლაშვილის „განმარტება ჩემი გერმანიის არმიაში სამსახურისა და გერმანიაში ცხოვრების შესახებ“, ასევე, მისივე “ჩემი საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება“.

ციხიდან გათავისუფლებულ ივანე ლოლაშვილს 1956 წელს მუშაობა დაუწყია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მთავარ ბიბლიოთეკარად. ამავე დროს, იგი ამ ბიბლიოთეკის სწავლული მდივნის

მოვალეობას 1957 წლამდე ასრულებდა (კუტიბაშვილი 1992: 6). 1957 წლის ნოემბრიდან ლოლაშვილი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი გახდა.

მოგონებების წიგნის – „ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან“ – პირველ თავში ივანე ლოლაშვილი იხსენებს, რომ ის ლიტერატურულ მუზეუმში გიორგი ლეონიძემ მიიღო და დიდი რუდუნებით შეკრებილ მწერალთა არქივებზე მუშაობა დაავალა. კერძოდ, ლოლაშვილს უნდა მოემზადებინა მოგონებათა ცალკე ტომი და ჟურნალი „ლიტერატურის მატიანე“. დიდ პოეტს უმადლის ივანე ლოლაშვილი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ასპარეზზე მის გამოყვანას ჯერ – 1947-1951 წლებში – ლიტერატურულ მუზეუმში, შემდეგ – 1958-1966 წლებში – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც გიორგი ლეონიძე – დირექტორი, ივანე ლოლაშვილი კი რუსთველოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი გახლდათ.

1958 წელს ივანე ლოლაშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ძველი ქართველი მეხოტბენი, 1. ჩახრუხაძე“, რომელიც ცალკე წიგნად 1957 წელს დაიბეჭდა. 1959 წელს ი. ლოლაშვილი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად გადაიყვანეს, 1971 წლიდან გარდაცვალებამდე ის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. 1965 წელს ივანე ლოლაშვილმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა“. 1973 წელს მეცნიერს პროფესორის წოდება მიენიჭა.

ივანე ლოლაშვილი 150-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და ცალკე მონოგრაფიის ავტორია. პირველი წერილი მან სტუდენტობისას, 1939 წელს, გამოაქვეყნა და ის ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის მე-40 წლისთავს მიეძღვნა. ამავე პერიოდში ახალგაზრდა მკვლევარი „ამირანდარეჯანიანის“ პრობლემატიკით დაინტერესდა, ასევე, გამოკვლევები დაწერა დავით გარეჯის კულტურულ-საგანმანათლებლო კერა-

ზე, შეისწავლა სულხან-საბას „სწავლანი“ და „საქრისტიანო მოძღვრება“.

ივანე ლოლაშვილის მონოგრაფიები: „ძველი ქართველი მეხოტბენი, 1. ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი“ და „იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა“ ქართული ფილოლოგიური მეცნიერების შენაძენია. მეცნიერის რუსთველოლოგიური ნაშრომები დიდი პოეტის მსოფლმედველობას, „ვეფხისტყაოსნის“ ლიტერატურულ წყაროებს და სხვა კონცეპტუალურ პრობლემატიკას იკვლევს. ძველი ქართული საერო მწერლობის საკითხები განხილულია ნაშრომში „კლასიკური ხანის (XI-XIII ს.ს.) ფრაგმენტები, არმოღწეული ძეგლები და უცნობი ავტორები“. ივანე ლოლაშვილის მემკვიდრეობაში დიდი ადგილი ეთმობა იოანე პეტრიწ-ჭიმჭიმელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ცხოვრება-მოღვაწეობას (კუტიბაშვილი 1992: 11).

წიგნი „იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე“ გამოქვეყნდა სერიით „ძველქართული ფილოსოფიური ძეგლები, ტექსტები და ძიებანი“. მასში შედის ივანე ლოლაშვილის მიერ „სათნოებათა კიბის“ („კლემაქსის“) მეცნიერულად მომზადებული კრიტიკული ტექსტი. ინოვაციურია მეცნიერის მცირე მონოგრაფია „არსენ იყალთოელი“.

განსაკუთრებით ღირებულია ივანე ლოლაშვილის არეოპაგიტული ძიებანი. წიგნი „არეოპაგიტიკის პრობლემები“, რომელიც ავტორმა 1970-1972 წლებში დაწერა, ვრცელი ფილოლოგიური გამოკვლევაა, რომელშიც შესწავლილია ქრისტიანული ნეოპლატონური ფილოსოფიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენლის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხები. ძველი ქართული ტექსტების მონაცემებით ივანე ლოლაშვილს გაურკვევია, თუ რა იცოდნენ ძველ საქართველოში პეტრე იბერზე, მასვე განუხილავს „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ ასურული და ქართული რედაქციები და ა.შ.

მეცნიერმა გერმანულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა პეტრე იბერიელის ცხოვრების ასურული რედაქციის თარგმანი, ვრცელი ფილოლოგიური გამოკვლევითა და კომენ-

ტარებით. წიგნი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა (ცხოვრება.. 1983). „წინასიტყვაში“ ავტორი მიუთითებს, რომ ნაშრომი გაგრძელებაა მისი შრომებისა: „არეოპაგიტიკის პრობლემები“ (1972) და „ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში“ (1973). ივანე ლოლაშვილს კრიტიკულად განუხილავს ნუცუბიძე-ჰონიგმანის ჰიპოთეზა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და პეტრე იბერიელის იდენტურობის შესახებ. „პეტრე იბერის ცხოვრების“ სრული თარგმანი მეცნიერს თხზულების 1895 წელს დაბეჭდილი რიხარდ რააბეს გერმანული თარგმანიდან შეუსრულებია. ტექსტს წინ უძღვის ივანე ლოლაშვილის გამოკვლევები: „პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „პეტრეს ცხოვრების“ ტექსტის საკითხები“. პროფესორ აკაკი ურუშაძის შეფასებით, „ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის, ქართული საზღვარგარეთული ლიტერატურული სკოლების ისტორიის შესწავლისათვის“ (ცხოვრება ... 1983: 4).

ივანე ლოლაშვილმა სათანადო ყურადღება დაუთმო ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის შესწავლას. ვრცელი ფილოლოგიური გამოკვლევა წაუმძღვარა მან მის მიერვე მომზადებულ ანტონ ბაგრატიონის „წყობილსიტყვაობას“ და ნაშრომს „მცირე უწყებანი ქართველთა მწერალთათვის (XVI-XIX სს.)“. 1994 წელს დაიბეჭდა გიორგი მცირეს „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“, რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი ნარკვევების კრებული „მრავალკარედი“ (ლოლაშვილი 1984). წიგნში თავმოყრილია ისტორიულ-ფილოლოგიური და ლიტერატურული ნარკვევები ძველი ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ის მკვლევართათვის დღესაც სამაგიდო წიგნია.

ივანე ლოლაშვილმა აკაკი გაწერელიასთან ერთად გამოსაცემად მოამზადა და გამოაქვეყნა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი. მეცნიერის მონოგრაფია „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (ლოლაშვილი 1968) დიდი

პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის დღესაც ფასდაუდებელი ღირებულებებისაა. ივანე ლოლაშვილმა ასევე გამოკვლევები უძღვნა ვაჟას, აკაკის, ყაზბეგისა და სხვათა შემოქმედებას.

1983 წელს მეცნიერის სიცოცხლე 65 წლის ასაკში მოულოდნელად ტრაგიკულად შეწყდა, რაც ქართული ფილოლოგიური სკოლის დიდი დანაკლისი იყო. ივანე ლოლაშვილს ბევრი სამეცნიერო გეგმა და პროექტი დარჩა განუხორციელებელი.

დამოწმებანი:

გიორგი მცირე 1994: გიორგი მცირე. *ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1994.

კუტიბაშვილი 1992: კუტიბაშვილი, ზ. „ივანე ლოლაშვილი“. წიგნში: *ი. ლოლაშვილი. ბიობიბლიოგრაფია.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992.

ლოლაშვილი 1984: ლოლაშვილი, ი. *მრავალკარედი.* თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984.

ლოლაშვილი 1980: ლოლაშვილი, ი. *ოცი წელი გიორგი ლეონიძესთან.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1980.

ლოლაშვილი 1968: ლოლაშვილი, ი. *ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა.* თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1968.

ცხოვრება ... 1983: *ცხოვრება პეტრე იბერისა. ასურული რედაქცია.* გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი საძიებლები დაურთო ივანე ლოლაშვილმა. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1983.

ნონა კუპრეიშვილი

იოსებ ლორთქიფანიძე

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბჭოთა ხელისუფლება თავის პოლიტიკურ მიზნებს არა მარტო საზოგადოებაზე ზეწოლით, არამედ, სახალხო მმართველობის იმიტირებითაც ახდენდა. ეს იყო ფიქციური უფლება, რითაც ნებისმიერ საბჭოთა მოქალაქეს შეეძლო ესარგებლა. სხვა სიტყვებით, ყველას უფლება ჰქონდა წერილობით მიემართა მთავრობისთვის და ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისა და იდოლოგიური მტრებისგან ქვეყნის დაცვის პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით საკუთარი მოსაზრება გამოეხატა. ცხადია, ეს ტრადიცია სათავეს იღებდა ვლადიმერ ლენინის პოპულისტური განცხადებიდან „ნებისმიერ დიასახლისს შეუძლია მართოს სახელმწიფო“. ზოგჯერ ფანატიკოსთა გვერდით ასეთ აქტივობებში, შესაძლოა, თავიანთი ნამდვილი პოზიციის გადასაფარად, რეპრესირებულთა ოჯახის წევრებიც ერთვებოდნენ. ასე იყო იოსებ ლორთქიფანიძის შემთხვევაშიც (მამამისს, პავლე ლორთქიფანიძეს, რომელსაც მატერიალურად ძლიერი ოჯახი ჰქონდა, ბოლშევიკებმა ყველაფერი ჩამოართვეს).

მდგომარეობა საგრძნობლად გაამწვავა ბელადის გარდაცვალების შემდეგ პიროვნების კულტის გამოცხადებამდე, ანუ XX ყრილობამდე გამეფებულმა გაურკვევლობის ატმოსფერომ. საბჭოთა მოქალაქეები, განსაკუთრებით კი იოსებ ლორთქიფანიძის მსგავსად, ომში ნამყოფი და იქ საბრძოლო მედლებით

დაჯილდოებული ადამიანები, შფოთავდნენ, გულწრფელად განიცდიდნენ, სვამდნენ ზედმეტ კითხვებს და მიმართავდნენ ნაცად გზას: გზავნიდნენ წერილებს კრემლსა და ცენტრალური გაზეთების რედაქციებში. ერთ-ერთი ასეთი წერილის ავტორი აღმოჩნდა მოგვიანებით ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი პროფ. იოსებ ლორთქიფანიძე.

იოსებ ლორთქიფანიძე 1922 წლის 26 იანვარს დაიბადა. ამ ციფრს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის ცხოვრებაში – ცოლიც 26 რიცხვში შეირთო და პოლიტპატიმრობიდანაც ამ რიცხვში გაათავისუფლეს.

გაიზარდა თბილისში, სოლოლაკში, ალავერდოვის ქუჩაზე; იმ სახლში, რომელშიც გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ერთადერთი ოთახი დაუტოვა მამამისს, პავლე ლორთქიფანიძეს. პავლე დაოჯახებამდე სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა ირანში და შეხება ჰქონდა ფერეიდნელ ქართველებთან, ხოლო დაოჯახების შემდეგ ფიზიკის პედაგოგად მუშაობდა. დედა, თამარ აღნიაშვილი, დიასახლისი იყო.

იოსებ ლორთქიფანიძემ 1939 წელს დაასრულა საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თუმცა მისი სტუდენტობა ბევრად უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ამას თავად ივარაუდებდა. 1941 წელს დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. 1942 წელს დაასრულა ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელი და ლეიტენანტის წოდებით ოცმეთაურად გაგზავნეს ფრონტზე. მონაწილეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში, მათ შორის, სტალინგრადის ბრძოლაში, ბრიანსკისა და ვორონეჟის გათავისუფლებაში, ცენტრალური და უკრაინის პირველი ფრონტის მიერ ჩატარებულ სამხედრო ოპერაციებში.

მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა ერთადერთი ძმა, ვალერიან ლორთქიფანიძე, რომელიც მასზე 2 წლით უფროსი იყო. ომის დასრულებამდე იოსები დედ-მამას უმალავდა ძმის დაღუპვის ამბავს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მშობლებმა ეს ამბავი იცოდნენ და, პირიქით, იოსებს არ უმხელდნენ.

1943 წელს მის ახლოს მინა აფეთქდა და მძიმედ დაიჭრა, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა და ისევ ფრონტზე დაბრუნ-

და. 1945-1947 წლებში იოსები მსახურობდა გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ავსტრიის ტერიტორიებზე განლაგებულ საბჭოთა არმიის დაჯგუფებებში, თუმცა ცდილობდა, დემობილიზაცია მიეღო და საქართველოში დაბრუნებულიყო. სურვილი 1947 წელს აისრულა და თბილისში ჩამოსვლისას მალევე აღიდგინა თავი ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1951 წელს დაამთავრა და სწავლა ასპირანტურაში განაგრძო. ასპირანტურის დასრულებამდე, 1954 წლის 26 ივნისს ოჯახიც შექმნა. 1955 წლის 4 აპრილს შეეძინა ქალიშვილი.

1955 წლის 6 ივნისს, ქალიშვილის შეძენიდან ორ თვეში, იოსებ ლორთქიფანიძე დააპატიმრეს ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელების ბრალდებით და სასამართლო პროცესის დასრულებამდე იმყოფებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის იზოლატორში.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივის №6 ფონდში ინახება ლორთქიფანიძე იოსებ პავლეს ძის **საქმე №7394-59,** რომელშიც ვკითხულობთ:

ლორთქიფანიძე იოსებ პავლეს ძე – დაიბადა თბილისში 1921 წელს, ქართველი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, კპ. წევრი 1944 წლიდან, დაპატიმრების მომენტში სტალინის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი, მცხოვრები თბილისში, ალავერდის ჩიხი №12.

მამა – პავლე ლორთქიფანიძე, ფიზიკის მასწავლებელი №23-ე ვაჟთა სკოლაში;

დედა – თამარა ლორთქიფანიძე – დიასახლისი;

მეუღლე – ფატიმა შატბერაშვილი – დიასახლისი.

ბრალი ედება საქ. სსრ სისხლის სამართლ. კოდექის 53-ე სტატიის 1-ლი ნაწილით.

ჩხრეკისას აღმოჩენილ იქნა პასპორტი, სამხედრო ბილეთი, პროფკავშირის ბილეთი, „ორდენის წიგნაკი“, მოწმობა მედლებზე „პრაღის გათავისუფლებისათვის“, „ბერლინის აღებისთვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისთვის“; მადლობა „ბრესლაუს აღებისთვის“, „სამამულო ომის მე-2 ხარისხის“ ორდენი, „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი, გერმანული ორდენი „რკინის ჯვარი“, აგრეთვე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გაგზავნილი წერილის შავი პირი, გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში გაგზავნილი წერილი (11 ფურცლ.).

1955 წლის 6 ივნისს დადაპატიმრებულ იქნა ლორთქიფანიძე ი. პ. ანტისაბჭოური ცრუ ინფორმაციის შემცველი ანონიმური წერილების შედგენისა და გავრცელებისთვის. ამასთან, დაპატიმრების დროს აღმოჩენილ იქნა 11-ფურცლიანი წერილი, განკუთვნილი „პრავდის“ რედაქციისთვის.

მხილებულია იმაში, რომ იყო რა ანტისაბჭოურად განწყობილი პიროვნება, 1953-54 წლებში ადგენდა ანონიმურ დოკუმენტებს მკვეთრად გამოხატული ანტისაბჭოთა შინაარსით, რომლებიც შეიცავდა ცრუ ინფორმაციას საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის ხელმძღვანელობაზე.

მას შემდეგ, რაც გრაფოლოგიური ექსპერტიზით დადასტურდა, რომ წერილები ნამდვილად იოსებ ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა, პატიმარი დაკითხეს. დაკითხვაზე გაირკვა, რომ

ადრეც, 1933 წელს, ი. ლორთქიფანიძეს დაუწერია ანონიმური წერილი და გაუგზავნია გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში.

კითხვა: რატომ ეწეოდით ამგვარ ანტისაბჭოთა ქმედებებს?

პასუხი: მე არასწორად მესმოდა პარტიის პოლიტიკა პიროვნების კულტთან დაკავშირებით.

კითხვა: თქვენ სერიოზული პოლიტიკური კვალიფიკაცია გაქვთ, შეუძლებელია მხოლოდ ეს ყოფილიყო მიზეზი.

პასუხი: ვერაფერს დავუმატებ უკვე ნათქვამს.

კითხვა: ვინ ახდენდა თქვენზე ზემოქმედებას?

პასუხი: მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავინ. მე საბჭოთა სულისკვეთებით გავიზარდე. ვარ ომის მონაწილე 1941-დან 1945 წლამდე.

კითხვა: დაასახელეთ პირები, ვისთანაც გქონდათ ახლო მეგობრული ურთიერთობა სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პასუხი: ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტებთან: რ. მიმინოშვილთან, რ. დოღონაძესთან, გ. ძაუტაშვილთან; ლაბორანტებთან: გ. კაჭარავასთან, ი. ბაქანიძესთან; მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტთან ო. ნიორაძესთან; ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტთან ტ. კვანჭილაშვილთან – ხოლო მე დღემდე ვარ ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანი; ფილ. მეცნ. კანდიდატებთან დ. თუხარელთან და თ. ბუაჩიძესთან ერთად. გარდა ამისა, მქონდა საქმიანი ურთიერთობა პროფ. მ. ზანდუკელთან, კათედრის გამგესთან შ. რადიანთან, დოც. გრ. კიკნაძესთან, აპ. მახარაძესთან და სხვ.

კითხვა: კიდევ ვისთან?

პასუხი: მეგობრული ურთიერთობა მაქვს ორ ადამიანთან – არჩილ ჩხეიძესა და ზურაბ ბერიშვილთან. პირველი ახალი ისტორიის კათედრის დოცენტია, მეორე კი კალინინის რაიონის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე.

კითხვა: ვისთან გქონდათ პოლიტიკური საუბრები?

პასუხი: აქ დასახელებულ პირთაგან არავისთან.

კითხვა: ეს სიმართლე არ არის. გირჩევთ დაასახელოთ ის პირები, ვისთანაც თქვენ გქონდათ საუბრები პოლიტიკურ თემებზე.

პასუხი: 1953 წელს ერთხელ სახელმწიფო უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის ასპირანტს გრიგოლ აბულაძეს დავუსვი კითხვა პიროვნების კულტის შესახებ, ვინაიდან, როგორც ადრე განვაცხადე, ამ საკითხთან დაკავშირებით არასწორი წარმოდგენა მქონდა. აბულაძემ ეს საკითხი სწორედ ისე განმიმარტა, როგორც სინამდვილეში იყო. ამით დავასრულეთ საუბარი.

განაჩენი

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკ-ის ასპირანტის ლორთქიფანიძე იოსებ პავლეს ძის.

ი.პ. ლორთქიფანიძეს საქ. სსრ. სისხლ. სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით, უფლებების დაზიანების გარეშე.

სასამართლო კოლეგიამ მხედველობაში მიიღო ის, რომ ანონიმურმა წერილებმა ფართო გავრცელება ვერ ჰპოვეს, აგრეთვე ის, რომ განსასჯელს მიღებული აქვს აქტიური მონაწილეობა დიდი სამამულო ომის ბრძოლებში, იყო დაჭრილი, მიიღო ტვინის შერყევა, აქვს დადებითი დახასიათებები პარტიული ხაზით და, აგრეთვე, რომ მან სრულიად გაიაზრა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისჯილი 5 წელი ჩაითვალოს პირობითად 5 წლის გამოსაცდელი ვადით, ამიტომ გათავისუფლდეს (გერმანული „რკინის ჯვარი“ ჩაბარდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს).

განაჩენი საბოლოა და საკასაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავმ-რე: ა. ნადირაშვილი
ზედამხედველები: სულავა, გვენეტაძე

იოსებ ლორთქიფანიძე 1955 წლის 26 ოქტომბერს გაათავისუფლეს, თუმცა უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. 1956 წლის მარტში მან აქტიური მონაწილეობა მიიღო საპროტესტო აქციებში, რის გამოც საბჭოთა კავშირის კო-

მუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხეს. ამ სტატუსის აღ-
დგენაზე მას არასოდეს უფიქრია.

1956 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში. 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

იოსებ ლორთქიფანიძე რვა მონოგრაფიის ავტორია, რომ-
ლებიც ეხება იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მეცნიერი აქტიურად თა-
ნამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ გამომცემლობასთან, გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი ნაშრომი, ძირითადად, ტექსტოლოგიის დარგში.

სიცოცხლის ბოლო წლებში იკვლევდა აკაკი პაპავას, არჩილ ჯაჯანაშვილის, კოკი აბაშიძის და ვარლამ ხუროძის ნაშრომებს და ცდილოდა, რომ ეს ღირსეული პიროვნებები, რომელთაგან ნაწილი ემიგრაციაში გარდაიცვალა, ნაწილი კი რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ფართო საზოგადოებისთვის გაეცნო.

იოსებ ლორთქიფანიძე 1999 წლის 12 დეკემბერს გარდა-
იცვალა, ერთადერთი ქალიშვილის დაღუპვიდან წელიწადსა და ოთხ თვეში.

იოსებ მეგრელიძე

იოსებ მეგრელიძე იყო არა მარტო ტიტულოვანი მეცნიერი, არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევის, სამეცნიერო ნაშრომის თუ მონოგრაფიის ავტორი, არამედ ღირსეული პიროვნება, რომელსაც უშუალოდ შეეხო ჩვენი უახლესი ისტორიის მრავალი საეტაპო მნიშვნელობის ტრაგიკული მოვლენა. ის იმ ე.წ. ჰუმანიტარულ ეპოქის წარმომადგენელი იყო, რომელიც თავისუფლებისადმი სიყვარულს, პროფესიონალიზმს და საქმისადმი ერთგულებას გულისხმობდა. ამიტომაც საბჭოთა მთავრობა ასეთ ადამიანებს ბოლომდე არ ენდობოდა და ამ დამოკიდებულების გამოხატვასაც არ ერიდებოდა.

იოსებ მეგრელიძე დაიბადა 1909 წლის 9 აპრილს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. მამამისი, ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძე, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იყო, რომელიც აჭარისა და ართვინის, აგრეთვე საინგილოს რეგიონებში არაერთი სკოლის გახსნის მოთავე და ინიციატორი გახლდათ.

ხიდისთავისა და ფოთის სასწავლებლების დამთავრების შემდეგ იოსებ მეგრელიძე სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელსაც 1931 წელს წარჩინებით ამთავრებს და ასპირანტურაში სწავლის გას-

აგრძელებლად ლენინგრადში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი) იგზავნება. 1931-1935 წლებში იგი მაშინდელი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტია, ხოლო მომდევნო პერიოდში, 1939 წლამდე, იქვე, ენისა და აზროვნების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობს. ლენინგრადშივე დაიცვა მან დისერტაცია თემაზე „ლაზური და მეგრული ფენები გურულში“. ლენინგრადში სწავლის პერიოდში იოსებ მეგრელიძე დაუახლოვდა იქაურ მეცნიერებსა და ასპირანტებს. განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა აკადემიკოს ნიკო მართან, იყო მისი სწავლული მდივანიც სამეცნიერო დარგში. დიდი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ კი უპატრონა მის არქივს და რამდენიმე გამოუქვეყნებელი ნაშრომიც (აფხაზეთის ენის ისტორია, სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობა) გამოსცა.

1939 წელს იოსებ მეგრელიძე სამშობლოში ბრუნდება და 1942 წლამდე მუშაობს თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტად და ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენების კათედრის ხელმძღვანელად. 1942 წელს მოსკოვის „Особое совещание“-ს გადაწყვეტილებითა და დადგენილებით, იოსებ მეგრელიძეს ქართველ მეცნიერებთან – მოსე გოგიბერიძესთან, მიხეილ ზანდუკელთან და სხვა ცნობილ მოღვაწეებთან ერთად – აპატიმრებენ და ყაზახეთში ასახლებენ. ეს უთუოდ იყო გერმანიაში დაწყებული და შემდგომ სსრკ–ზე თავდასხმით გამოხატული პოლიტიკური პროცესების გამოძახილი. მუდმივად ფხიზელი ჩეკას თვალს არ უნდა გამოჰპარვოდა ნაციონალისტური მიდრეკილებებით გამორჩეული მეცნიერები, მით უფრო, თუ ისინი გერმანული კულტურისადმი ინტერესითაც გამოირჩეოდნენ. ასე, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში, 1942 წლის დასაწყისში, დაპატიმრებულ იქნა უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული ლექტორი, გერმანისტი ირ. ტატიშვილი, იმავე წელს კი „გაუვნებელყოფილ იქნა“ უნივერსიტეტის ასპირანტების, დასავლეთ ევროპული ლიტერატურის მომავალი სპეციალისტების, მოვგიანებით „სამანის“ სახელწოდებით ცნობილი 17 კაციანი ჯგუფი, რომლის წევრებსაც (ორის გამოკლებით) სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიესაჯათ.

მოსე გოგიბერიძე (მას განათლება სულაც გერმანიაში ჰქონდა მიღებული), მიხეილ ზანდუკელი და იოსებ მეგრელიძეც ასეთ არასაიმედო მოღვაწეებად, გერმანელების კავკასიის

მისადგომებთან მიახლოების პირობებში კი პოტენციურ მოღალატეებად იქნენ მიჩნეული. იმ რთულ წლებშიც, მას შემდეგ, რაც „საგანგებო კრებამ“ („ოსობოე სოვეშჩანიემ“) მოსკოვში დაუსწრებლად მიუსაჯა მ. ზანდუკელსა და ი. მეგრელიძეს ხუთ-ხუთი წელი, ხოლო მ. გოგიბერიძეს, როგორც გერმანიაში ნაცხოვრებსა და თითქოს კაუცკის სასიძოს, 10 წელი ბანაკში მოთავსებით, პატიმრობაში მყოფთ ერთმანეთთან ურთიერთობა არ გაუწყვეტიათ (ამაზე თვით ი. მეგრელიძე საუბრობს მოგონებიდან „ვა, სოფელო“, რომელიც 1988 წლის გაზეთ „თბილისის“ 14 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა). ი. მეგრელიძე, მას შემდეგ, რაც ალმა-ათიდან ჩამოსულ ეროვნებით რუს განათლების მინისტრის მოადგილეს პოლიტმეცადინეობაზე ნაროდნიკული მოძრაობის შესახებ საუბარი გაუბა, კოკჩეტავის ოლქის ჩკალოვის რაიონის საშუალო სკოლაში მასწავლებლად გაამწესეს. 1947 წლის ოქტომბერში გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე (მ. ზანდუკელი რამდენიმე ხნით უფრო ადრე დაბრუნდა სამშობლოში, ხოლო მ. გოგიბერიძე გადასახლებაშივე გარდაიცვალა) ხელახლა იწყებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას გორის, ცხინვალის, თბილისის (ალ. პუშკინის სახ.) პედაგოგიურ ინსტიტუტებში, აგრეთვე, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობს კიდეც ლექციებს.

ამავე პერიოდში იგი ეძიებს და იკვლევს ლიახვის ხეობის სიძველეებს. ამ მეტად მნიშვნელოვანი ძიებების შედეგი, სამეცნიერო ნაშრომი „ლიახვის ხეობის სიძველეები“ (პირველი ნაწილი), გასაგები მიზეზების გამო მხოლოდ 1984 წელს დაიბეჭდა, მეორე ნაწილი კი ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისმა ვაჟმა, გუბაზ მეგრელიძემ, გამოსცა.

1959 წლიდან იოსებ მეგრელიძე შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაში მუშაობს. მალევე იგი ამზადებს მონოგრაფიას „რუსთაველი და ფოლკლორი“, რომელიც 1960 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა. 1961 წელს კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭომ სწორედ ამ ნაშრომის წარდგენის შემდეგ იოსებ მეგრელიძეს

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. 1970 წელს მომზადდა და გამოიცა ი. მეგრელიძის უმნიშვნელოვანესი მონოგრაფია რუსთველოლოგები“, რომელშიც ვახტანგ VI-დან მოყოლებული XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისამდე რუსთველოლოგიაში ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ შეტანილი წვლილი აისახა.

2016 წელს გამოცემული ფართო საზოგადოებისთვის ფაქტობრივად უცნობი ვ. კოტეტიშვილის წერილების კრებულში* შეტანილია ლენინგრადიდან ი. მეგრელიძის მიერ ვ. კოტეტიშვილისთვის გამოგზავნილი ორი წერილი, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ფოლკლორის კათედრის დაარსების მოსამზადებელ ეტაპს და მასში დიდი მეცნიერის, ნიკო მარის, ჩართულობის მზაობას ეხება.

სხვადასხვა დროს იოსებ მეგრელიძემ მის მიერ მოძიებულ საარქივო მასალებზე დაყრდნობით ცალკე წიგნებად გამოსცა ნარკვევები ჭოლა ლომთათიძის, ეგნატე ნინოშვილის, გუგუნავების შესახებ. სამეცნიერო სტატიები გამოაქვეყნა ვაჟა-ფშაველას, ლევ ტოლსტოის, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, შალვა ნუცუბიძის, მოსე გოგიბერიძისა და სხვათა შესახებ.

იოსებ მეგრელიძის ბიოგრაფიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ურთიერთობა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელსაც თა-

* კოტეტიშვილი, ვ. *წერილები*. თბილისი: „არტანუჯი“, 2016.

ვის დროზე ნიკო მარის მეშვეობით დაუკავშირდა. გარდა იმისა, რომ ემიგრაციაში იროდიონ სონღულაშვილთან და ნიკო მართან ერთად თვითონაც უგზავნიდა კვლევისთვის აუცილებელ ლიტერატურას, რაც გარკვეულ გამბედაობას მოითხოვდა, არც ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ მიუტოვებია იგი უყურადღებოდ. საინტერესოა ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავებასთან დაკავშირებული ეპიზოდი, რომელიც ბევრ რამეს გვეუბნება იოსებ მეგრელიძის პიროვნულ თვისებებზე.

ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვისას მის ცხედარს მხოლოდ 48 კაცი მიაცილებდა. უშიშროების თანამშრომლები ექვთიმეს სახლს არავის აკარებდნენ. მეცნიერებს უნდოდათ, რომ სამგლოვიარო მანქანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაეჩერებინათ. იოსებ მეგრელიძემ მძღოლს ფული მისცა და სთხოვა, უნივერსიტეტთან გაჩერებულიყო, მანქანის გაფუჭება მოემიზეზებინა. მძღოლი ასეც მოიქცა. ზოგჯერ წერენ, თითქოს ეს მძღოლის გმირობა იყო, მაგრამ მან არც იცოდა, ვის მიასვენებდნენ. გაზაფხულზე ექვთიმე თაყაიშვილის საფლავზე აკაკი შანიძე და იოსებ მეგრელიძე გავიდნენ, ძლივს მიაგნეს მას. გაწმინდეს, წარწერაც გააკეთეს და ამით გადაარჩინეს დაკარგვას.

მოგვიანებით ექვთიმე თაყაიშვილს იოსებ მეგრელიძემ საკმაოდ დიდტანიანი მონოგრაფია „ექვთიმე თაყაიშვილი: ცხოვრება და მოღვაწეობა“ მიუძღვნა, რომელშიც სათანადოდაა შესწავლილი და ასახული საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებული ამ დიდი მეცნიერის ხანგრძლივი და უამრავი სირთულით აღსავსე ცხოვრებისეული გზა.

სახელოვანი მეცნიერი 1996 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში იოსებ მეგრელიძის საქმე არ არის. როგორც გაირკვა, ისიც არაერთ სხვა მნიშვნელოვან საარქივო დოკუმენტაციასთან ერთად სამოქალაქო ომის დროს გაჩენილ ხანძარს ემსხვერპლა. სახეზეა მხოლოდ სშსს ანალიტიკური დეპარტამენტის სააღრიცხვო ბარათი.

გვარი – მეგრელიძე
სახელი – იოსები (სოსო)
მამის სახელი – ბართლომეს ძე
დაბადების წელი – 1909,
დაბადების ადგილი –. საქ. სსრ, ჩოხატაურის რ-ის სოფ. ხიდისთავი
მისამართი – ქ. თბილისი, ანაგის ქ. №16
პროფესია (სპეციალობა) – დოცენტი
სამუშაო ადგილი, თანამდებობა – პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელი
პარტიულობა – უპარტიო
ეროვნება – ქართველი
მოქალაქე – სსრკ
დაპატიმრებულია – 1942 წლის 1.V III
დანაშაულის ხასიათი – ანტისაბჭოთა აგიტაცია
საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის – 58/101 2 , 58/11 მუხლები
ბარათი შევსებულია – საქ. სსრ. თბილისი, შინაგან საქმეთა სამინისტრო
განყოფილება – პოლიტიკური გამოძიების განყოფილება.

საბედნიეროდ, მეცნიერის ვაჟმა, გუბაზ მეგრელიძემ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს შეძლო მამის პირადი საქმის ნახვა და ზოგიერთი მონაკვეთის ქსეროასლის გადაღება. მოგვყავს რამდენიმე ფრაგმენტი იოსებ მეგრელიძის სწორედ ამ გზით გადარჩენილი საქმიდან:

№2 456 საქმის საგამომძიებო საბრალდებო დასკვნა

(ჩამოთვლილია საქმის 23 მონაწილე. მათ შორის იოსებ ბართლომეს ძე მეგრელიძე)

საქმის წარმოქმნის გარემოებები:

გერმანელ-ფაშისტთა სასტიკი შემოტევის პერიოდში (1941 წლის აგვისტო-ოქტომბერი), როდესაც მტრის ლეგიონები მოსკოვს უახლოვდებოდა და ფრთაშესხმულ და გამოცოცხ-

ლებულ შინაგან კონტრრევოლუციას მოსკოვის დაცემისა და ფაშისტური გერმანიის წინაშე სსრკ-ს კაპიტულაციის იმედი მიეცა, მოსკოვიდან თბილისში ევაკუირებულ იქნა ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი ბიქტორ სერგის ძე მამალაძე, თბილი-სელი, ამ საქმის ერთ-ერთი ძირითადი ბრალდებული.

შენიშვნა: ბიქტორ მამალაძის შესახებ არსებობს 27/VIII – 37 წ. გასამართლებული ხალხის მტრის გ. ს. გვარჯალაძის ჩვენება, როგორც საქენერგოს სისტემაში შექმნილი კ/რევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის წევრზე.

იოსებ ბართლომეს ძე მეგრელიძე – დაბ. 1909 წ., ჩოხატა-ურის რ-ის, სოფ. ხიდისთავი, მოსამსახურის ოჯახიდან, უმაღ-ლესი განათლებით, მუშაობდა პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის დოცენტად, უცოლშვილო, ჰყავს ორი ძმა, მამა 1942 წ. დაპა-ტიმრებულია მასთან ერთად, საცხ. ადგილი – თბილისი, ანაგის ქუჩა №16

ბრალი ედება მასში, რომ:

თავისი ანტისაბჭოური პროფაშისტური განწყობილებების ნიადაგზე ახლობელთა წრეში სისტემატურად აწარმოებდა კაპიტულანტურ აგიტაციას, აქებდა ფაშისტებს და ყველას არწმუნებდა საბჭოთა არმიის განადგურებაში. ამასთან და-კავშირებით ბ უ კ ი ა მ ი რ ი ა ნ თ ა ნ ა ც ისაუბრა, იყო რა მასთან სოლიდარული გერმანიასთან სსრკ-ს უეჭველ და-მარცხებაში. ამ საუბარში ბუკიას არწმუნებდა იმაში, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ საქართველოს ახალი ხელისუფლება დაიცავს მას, გერმანელები კი ხელს არავის ახლებენ, ანუ მხილებულია დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლით“.

ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან

განსასჯელი მეგრელიძე იოსებ ბართლომეს ძე

1942 წლის 11 დეკემბერი
დაკითხვა დაწყებულია: 12 სთ. 30 წთ.

კითხვა: მეგრელიძე, გაიხსენეთ თუ არა თქვენს უახლოეს გარემოცვაში ვისთან აწარმოებდით ანტისაბჭოურ კაპიტულანტურ საუბრებს?

პასუხი: ასეთ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია, ამიტომაც ვერაფერს გავიხსენებ.

კითხვა: გვითხარით, ლექციების წასაკითხად სოხუმის გარდა კიდევ რომელ ქალაქებში დადიოდით?

პასუხი: ჩემი ინსტიტუტი მავალებდა ლექციები წამეკითხა ქალაქებში, გორსა და სტალინირში.

კითხვა: რამდენჯერ და როდის იყავით თქვენ ქ. გორში?

პასუხი: გორში ლექციებით მე ვიყავი დაახლოებით 15-ჯერ. 1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის ივნისამდე. ვკითხულობდი პედაგოგიურ ინსტიტუტში, ვცხოვრობდი ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში.

კითხვა: სტალინირში?

პასუხი: სტალინირშიც ამდენჯერვე ვიყავი, 15-ჯერ, 1941 წლის თებერვლიდან თუ მარტიდან 1942 წლის მაისამდე.

კითხვა: აპრილის თვეში იყავით სტალინირში?

პასუხი: დიახ, ვიყავი.

კითხვა: ახლა კი მოგვეცით გულწრფელი ჩვენება იმის შესახებ, აპრილსა და მაისში სტალინირში ყოფნის დროს ვისთან, როდის და რა ვითარებაში აწარმოებდით ანტისაბჭოურ კაპიტულანტურ საუბრებს?

პასუხი: ანტისაბჭოურ-კაპიტულანტურ საუბრებს 1942 წლის აპრილსა და მაისში სტალინირში მე არავისთან არ ვაწარმოებდი. მეტს ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ.

დაკითხვა შეწყდა: 13სთ. 30 წთ.

დაკითხვის ოქმი სწორადაა შედგენილი ჩემი სიტყვებიდან. გავეცანი, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით

/ი. მეგრელიძე/

დაკითხვა მიჰყავდა საქ. შსს მე-6 სპეც. განყოფილების ხელმძღვანელს უფროს ლეიტენანტ

გ.ბ. მარქაროვს

იოსებ მეგრელიძის პირად არქივში აღმოჩნდა მოსე გოგიბერიძის მიერ აქტიუბინსკიდან გამოგზავნილი წერილი, რომელიც 1949 წლით თარიღდება. ამ დროისთვის თავად იოსები ორი წელია, რაც გათავისუფლებულია, მ. გოგიბერიძე კი ჯერ კიდევ გადასახლებაში იმყოფება. თუმცა სათანადო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, რასაც შესაძლოა ხელი შეუწყო იოსებ მეგრელიძის პეტიციების მოსკოვსა და ლენინგრადში ჩამორიგებამაც, მ. გოგიბერიძე პატიმრების ბანაკიდან ე.წ. ,,პერესილკაშია" გადაყვანილი. მოგვყავს ფრაგმენტი ამ წერილიდან:

„ჩემო სოსო! მე მეგონა, გამართლდებოდა ჩემზე მაღალი ფილოსოფია რუსთველისა, ავთანდილს, მიმავალს ფრიდონისას რომ ათქმევინა ავტორმა, შენთვის კარგად ცნობილი ტაეპი: „ვა, სოფელო, რაშიგან ხარ...". თქმა ,,სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა", მართლდება ჩემზე მთელი ასი პროცენტით, მაგრამ დასკვნა სიბრძნისა და ოპტიმიზმი ავტორისა „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა!' აღარ მართლდება, ჩემო სოსო, არც ერთი პროცენტით. მე უკვე განწირული ვარ ღმერთისაგანაც და კაცისაგანაც. შენ შემრჩი ერთი კაცთაგანი, რომელმაც არ გამწირე და ამიტომ შენ გწერ ჩემს უკანასკნელ ჭირსა და ვარამს ...".

1949 წ. აქტიუბინსკი

ზოია ცხადაია

თამარ (თათული) ღვინიაშვილი

თათული ღვინიაშვილი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის ერთ-ერთი ქალბატონია, რომელსაც ბოლშევიკური ტერორის სუსხი სრულიად პატარას, ქვეყნად ახალმოვლენილს შეეხო. ბავშვობისა და ყმაწვილქალობის წლები, „უტკბესი ხანა“, მრავალ დაუმსახურებელ წვალებაში გაატარა, გაიზიარა თავისი მშობლების მძიმე ხვედრი.

1950-იანი წლების ბოლშევიკური ტერორის ახალმა ტალღამ ბევრი ისეთი ადამიანი მოიყოლა, რომელთა ოჯახის წევრები – მამები, მეუღლეები – უსამართლოდ გაწირეს ოცდაათიან წლებში. მათ რიცხვში აღმოჩნდნენ ქალბატონი ბაბო დადიანი (გამორჩეული თავისი ღირსებითა და გამძლეობით) და მისი შვილები: თამარ (თათული) და გიორგი მასხარაშვილები. ქალბატონმა ბაბო დადიანმა (პროფესიით ფილოლოგმა) „მოგონებათა დღიური“ დატოვა (დადიანი 2008), შვილიშვილები წაიკითხავენო, მაგრამ იმდენად რეალური და ტკივილიანია წიგნში მოთხრობილი ამბები, რომ არავის დატოვებს გულგრილს... „ასი წლის წუთისოფელი“ ისახება ამ ქალბატონის თავგადასავალში, ალაგ ბედნიერი დღეებით, ალაგ – ქარტეხილებით...

ქალბატონი ბაბოს მეუღლე, ალექსანდრე მასხარაშვილი ჭიათურის მარგანეცის საბადოებს ფლობდა, რომლებიც მამისგან გადმოეცა. ალექსანდრე სამთო ინჟინრის სპეციალობას ოქსფორდში დაეუფლა თავის ძმასთან, ბესარიონთან ერთად (ეს უკანასკნელი უცხოეთში დარჩა). ალექსანდრე მაღალ

პროფესიულ დონეზე ჭიათურაში ამერიკელებთან ერთად ამუშავებდა მაღაროს (უცხოელ პარტნიორებთან ოცწლიანი ხელშეკრულება ჰქონდა დადებული). ეს იყო უაღრესად მომგებიანი საქმე ქვეყნისთვის, მწარმოებლებისთვის, მუშებისთვის (როგორც ბაბო დადიანი იხსენებს, ამერიკელებმა საქართველოს გასაბჭოებიდან მალევე დატოვეს ქვეყანა). ბაბო დადიანმა და მისმა მეუღლემ ქორწინებიდან ნახევარ თვეში, 1921 წლის 25 თებერვალს დატოვეს თბილისი და კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ, სადაც თავი მოიყარეს მათმა ახლობლებმა (მათ შორის, მერი შერვაშიძემ და გიგუშა ერისთავმა). მიუხედავად საუკეთესო გარემოცვისა და კომფორტული საცხოვრებელი პირობებისა, სამშობლოს მონატრება იმდენად ძლიერი იყო, რომ ცოლ-ქმარმა საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. თუმცა სამშობლოში ერთი თვეც ვერ დაჰყვეს. ქაოსმა, არეულობამ და უმძიმესმა პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა ვითარებამ ისევ გამგზავრების გადაწყვეტილება მიაღებინათ. კონსტანტინეპოლში მეორედ ჩასვლისას დაიბადა მათი პირველი შვილი, გიორგი. ბიჭი 8 თვის შესრულდა, როდესაც მშობლებმა ისევ საქართველოში დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღეს. ამ დროს საბოლოოდ გაიყარა ბაბო დადიანისა და მისი მამის გზები: კოკი დადიანმა პარიზში გადასვლა და იქ დამკვიდრება არჩია, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1939 წელს*.

თბილისში დაბრუნებულ ცოლ-ქმარს მალე ბინა დააცლევინეს, გამოუცხადეს, გ.პ.უ-ს ფონდის საკუთრებაა. წინააღმდეგობის გაწევა გამორიცხული იყო. ასე უწევდათ ბინიდან ბინაში გადასვლა. სწორედ ოჯახისთვის ამ მძიმე პერიოდში, 1924 წლის 18 მარტს დაიბადა თამარ (თათული) ღვინიაშვილი. ამავე წელს ალექსანდრე მასხარაშვილი დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა კონტრრევოლუციური საქმიანობა, ქა-

* კოკი დადიანის საფლავის ქვაზე, ლევილში, ანდერძად დანატოვარი მისივე ლექსია წარწერილი:

მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა,
ოდეს უამბობ ამ ლექსს მწარესა,
თქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე:
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე.

ბაბო დადიანი და მისი მეუღლე ალექსანდრე მასხარაშვილი

ქუცა ჩოლოყაშვილის დახმარება. ციხე სავსე იყო ცნობილი ადამიანებით: კათალიკოსი ამბროსი ხელაია, მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე, ვაჩნაძეები, ჯორჯაძეები და ბევრი სხვა. თუმცა ორთაჭალის, ე.წ. გუბერნიის ციხე, ერთგვარ ბედის წყალობად მიიჩნეოდა სხვა ციხეებთან შედარებით. პატიმრებთან მნახველებს არ უშვებდნენ, მაგრამ ბაბო დადიანი მაინც ახერხებდა მეუღლის შორიდან დანახვას: „ალიოშას ვნახულობდი ასეთი გზით (ხერხით). კათალიკოს ამბროსი ხელაიასთან და მიტროპოლიტ კალისტრატე ცინცაძესთან მნახველებს უშვებდნენ. ფანჯარასთან რომელიმე პატიმარი (ჩვენი ნაცნობი) გადაიწერდა პირჯვარს. ეს ნიშნავდა მცველებისთვის მეთქვა: მივდივარ ხელაიასთან ან ცინცაძესთან. მათთან რომ მივიდოდი, ჩემი ალიოშა იქვე ახლოს გაივლიდა და ასე დავინახავდით ერთმანეთს“ (დადიანი 2008: 48). სწორედ ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს ურჩიეს ბაბო დადიანს კათალიკოსმა ამბროსიმ და მიტროპოლიტმა კალისტრატემ, პატარა თათული სოფელში ძიძისთვის მიებარებინა, თავად კი მეუღლესთან ახლოს ყოფილიყო: აქ სიარულით ბევრ დროს და ენერგიას დახარჯავ და ბავშვის ჯანმრთელობასაც საფრთხეს შეუქმნიო. რჩევა უმძიმესი იყო, მაგრამ აუცილებელი. სამი თვის თათული ბანძაში, სართანიებთან დატოვა. გულდარდიანი დაბრუნდა თბილისში. ამას დაემატა ისიც, რომ ახალმა მთავრობამ (საშა გეგეჭკორის შუამავლობით) სვანეთიდან ჩამოიტყუა ბაბოს ნათესავები: ოთარ და მუშნი დადიანები მოსალაპარაკებლად, რომ სვანეთ-

ში გამოსვლები ჩაეშალათ. მოლაპარაკება ვერ შედგა და ისინი დახვრიტეს...

ცოტა ხანში, როგორც იქნა, დახვრეტები შეწყდა და პოლიტიკური პატიმრები გაათავისუფლეს. მეუღლის დაბრუნების შემდეგ დედამ 1 წლისა და სამი თვის თათული ძიძის ოჯახიდან წამოიყვანა.

1931 წელს ალექსანდრე მასხარაშვილი ისევ დააპატიმრეს ჭიათურაში და ბრალად ინგლისის ჯაშუშობა წაუყენეს. „პატარა ვიყავი, – იხსენებს ქალბატონი თათული, – მაგრამ საოცრად კარგად მახსოვს ყველაფერი. ახლაც თვალწინ მიდგას ის ოთახები, საიდანაც გამოგვასახლეს... შეკრული ბარგი. ჩავედით თბილისში, იქ ბინა არ გვქონდა. დედა იდგა ქუჩაში და ფიქრობდა, ღამე სად გაგვეთია. ზოგჯერ გიორგის სხვაგან ეძინა, მე – სხვაგან. სულ ვტიროდი და ვერ ვიძინებდი. თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა გამოძიება. ბევრი წვალების მერე გამოუცხადეს თავისუფალი გადასახლება.

1932 წელს თათულისა და გიორგისთან ერთად ცოლ-ქმარი ვოლგისპირეთში, სარატოვში, ჩავიდა. ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ. ეს იყო საშინელი შიმშილიანობის წლები მთელ რუსეთსა და უკრაინაში. ამბობს ქ-ნი თათული, – მე და ჩემი ძმა გამხმარი მჭადის ნატეხით რომ გამოვდიოდით ეზოში, ბავშვები თითს იშვერდნენ ჩვენკენ, – ნახეთ, ბურჟუებს პური სულ აქვთო. იცოდნენ, რომ გადასახლებულები ვიყავით, ბურჟუები... მკაცრ ყინვებს თათული და გიორგი ვერ უძლებდნენ. თათულის პარტახტიანი ტიფი შეეყარა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. საავადმყოფოში უმძიმესი პირობები ყოფილა. სარატოვის სამედიცინო ინსტიტუტის ხუთი ქართველი სტუდენტი დაეხმარა ბაბო დადიანს ბავშვის მკურნალობაში, საავადმყოფოში არ წააყვანინეს და ასე გადაარჩინეს სიკვდილს.

1935 წელს ოჯახი უკვე თბილისში იყო. თითქოს დალაგდა ყველაფერი, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მათი მშვიდი ცხოვრება. თავს 37 წელი დაატყდათ. ისევ დააპატიმრეს თათულის მამა, ბინა დააცლევინეს, როგორც ეს წესად ჰქონდათ, და შვიდმეტრიან ოთახში გადაიყვანეს.

იმ სასტიკ დროშიც იყვნენ გულისხმიერი ადამიანები, 1937 წელს, ალიოშა მასხარაშვილის დაპატიმრებისას, როგორც ბაბო დადიანი იხსენებს, „სომეხმა ჩეკისტმა გულისხმიერება გამოიჩინა. ჩხრეკის დროს მან ჩემს და ალიოშას შემნახველი სალაროს წიგნაკს საქაღალდე გადააფარა, სხვებს რომ არ დაენახათ და ასე გადაარჩინა ეს წიგნაკები“ (დადიანი 2008: 72). მეუღლის წიგნაკით ფულს არ მისცემდნენ ბაბო დადიანს, მაგრამ ფინანსთა მინისტრი კოტე ციმაკურიძე დახმარებია, რომელსაც დიდი მადლიერებით იხსენებს.

ბაბო დადიანი

ბაბო დადიანი მოსკოვში ჩავიდა და ბერიასთან შეაღწია. მერე გაიხსენებს: „მაგიდას უჯდა სათვალეებიანი გველი“. როცა ბერიას ჩასვლის მიზეზი უთხრა – ჩემს ქმარს და ძმას, ბონდო დადიანს, ვეძებო, ბერიას უპასუხია: „თქვენი ქმარი ინგლისის ჯაშუშია, ვერაფრით დაგეხმარებითო“.

როგორც ხალხის მტრის შვილები, გიორგი და თათული დაითხოვეს მე-14, საჩვენებელი სკოლიდან, რომელიც საუკეთესო პედაგოგებით გამოირჩეოდა, მაგრამ ბავშვების ბედს მთავრობა წყვეტდა და არა მასწავლებლები. დაპატიმრებული მშობლების შვილები თავშესაფარში მიჰყავდათ, რომ მათ ბინას თვითონ დაპატრონებოდნენ. ბევრი რეპრესირებული ოჯახის ბავშვი გაირიცხა იმ სკოლიდან. გიორგი გადაიყვანეს სკოლაში, რომელიც თათრის მოედანზე მდებარეობდა, თათული – სხვაგან, თითქოს ერთად ყოფნით რამე საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებას და ქვეყანას.

თათული 13 წლის იყო, როცა გეოგრაფიის მასწავლებელმა დააბრალა, ვოროშილოვის სურათზე რაღაც თქვაო. ახლობლების ჩარევა დასჭირდათ, რომ ბავშვი გადაერჩინათ.

ბაბო დადიანის ძმა გაათავისუფლეს, მეუღლე დახვრიტეს. უმუშევრად და უბინაოდ დარჩენილი ბაბო სიმონ ჯანაშიამ მიიღო სამსახურში, მუზეუმის ბიბლიოთეკაში. სამწლიანი ბრძოლის მერე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაიბრუნა ბინა, რომელიც წაართვა „მათემატიკოსმა ზერაგიამ... უნივერსიტეტის წითელმა პროფესორმა. ეს იყო 1940 წლის 2 მარტი“ (დადიანი 2008: 79).

1946-47 წლებში ბაბო დადიანი ენათმეცნიერების ინსტიტუტში ტერმინოლოგიის განყოფილებაში მუშაობდა განმარტებით ლექსიკონზე. ბარათების შედგენაში დამატებით სამუშაოს აძლევდნენ და ამ საქმეში თათული და გიორგი ეხმარებოდნენ, თავგამოდებულად მუშაობდნენ. თათული უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი იყო. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა ასპირანტურაში გააგრძელა. საკანდიდატო მინიმუმს აბარებდა, როცა ახალი განსაცდელი დაატყდათ თავს.

1951 წელს ქალბატონი ბაბო და მისი შვილები ჩრდილოეთ ყაზახეთში გადაასახლეს. 25 დეკემბრის ღამეს, ჩეკისტები მიადგნენ. უბრძანეს, ერთ საათში გაემზადებინათ ბარგი. ერთ-ერთი რუსი იყო, ხანჯალი წაართვა მათ, არ შიძლება ამის წაღებაო. „ქართველები უფრო ლმობიერად მოგვექცნენ, გვამშვიდებდნენ: თქვენისთანა 500 ოჯახზე მეტი დაგხვდებათ ნავთლუღშიო“, – იგონებს ბაბო დადიანი (დადიანი 2008: 88-89), თუმცა ეს ბაბო დადიანისთვის სულაც არ ყოფილა დასამშვიდებელი. 40 გრადუსიან ყინვაში მგზავრობდნენ ე.წ. სტოლიპინის ვაგონებით. საქართველოდან გასული 18 ეშელონი 14 დღე-ღამის მოგზაურობის შემდეგ ჩავიდა დანიშნულ ადგილას. თათული ფილტვების ანთებით გახდა ავად... იქ ჩასულებს მოსთხოვეს, ხელი მოეწერათ ორ მითითებაზე: ერთი – „На вечное поселение“ (სამუდამო გადასახლება), მეორე – თუ გაიპარებოდნენ, 25 წელი კატორღა ელოდათ. „ჩვენ გავშეშდით.

იქვე ჩავიჩოქე, – წერს ბაბო დადიანი, ვერ ვდგებოდი“, გადმოვიდა ვიღაც ჩეკისტი, მოვიდა ჩემთან და მეუბნება: „Мамаша, чего вы плачете?“* მე ვუპასუხე, ჩემი შვილი არ აწერს ხელს კითხვაზე „სამუდამო გადასახლება“, ამაზე მან მხარზე ხელი დამადო და მითხრა: „Мамаша, ничего вечного нет“**. ამ კეთილი კაცის სიტყვებმა გონს მომიყვანა... ყაზახეთში ბამბის კრეფისა და მარგვლის დროს, – ყვება ქალბატონი თათული, – შავ დღეში ვიყავი, მით უმეტეს, როცა უკვე ყინავდა. გაშლილი ბამბა ადვილად იკრიფებოდა. დედა აიკიდებდა ხოლმე ტომარას და მიჰქონდა. თავის გადასარჩენად მძიმე შრომა უწევდა ყველას. ბაბო დადიანი ამ ჯოჯოხეთში თავისი სიკეთით და გულისხმიერებით გამოირჩეოდა. 1952 წელს ქ-ნი ბაბო შემთხვევით წააწყდა 8 წლის რაჭველ ბიჭუნას სამედიცინო პუნქტში, რომელსაც საავადმყოფოს ეძახდნენ. ავადმყოფებს არც წამალს აძლევდნენ და არც აჭმევდნენ. ის შენობა ზამთარში არ თბებოდა, – იხსენებს ქ-ნი თათული. შიმშილისგან დასუსტებული ბავშვი ჩონჩხივით იყო, ავიტამინოზი ჰქონდა. ბაბომ ითავა ამ ბავშვის მოვლა. დღეში სამჯერ მიჰქონდა ბავშვთან საჭმელი. სხვა მისმა ახლობლებმაც გამოიჩინეს ყურადღება (გაბაშვილებმა, ჩხარტიშვილებმა, ბაქრაძეებმა, კალანდაძეებმა), თბილისიდან წამლებს უგზავნიდნენ, გამოჯანმრთელებული ბავშვი მამასთან, რომელიც იქ იყო გადასხლებული, არ დაბრუნდა, ქ-ნმა ბაბომ და თათულიმ წაიყვანეს. იქ მყოფ ბერძენ მღვდელს მოანათვლინეს, ბავშვს მელორი ერქვა და გიორგი დაარქვეს. „ნათლიას მეძახდა, – იხსენებს ბაბო დადიანი. ჩემი ორი შვილი, ძიძიშვილის შვილი (5 წლიდან ჩემი გაზრდილი, ლუდა სართანია) და ეს რაჭველი ბიჭი ერთად ვინაწილებდით გაჭირვებას. სტალინის სიკვდილის შემდეგ პირველად ბავშვებს ათავისუფლებდნენ, ჩვენი რაჭველი ბიჭი გაათავისუფლეს. მისცეს გათავისუფლების ქაღალდი. მან კი თათულის უთხრა: თათული, შენ წადი ამ ჩემი საბუთით, მე დავრჩები და სათვალავში ისევ ის რაოდენობა ვიქნებით, პავლოვი ვერ გაიგებსო. პავლოვი ჩვენი კომენდანტი იყო“ (დადიანი 2008:

* დედი, რა გატირებს? (რუს).

** დედილო, მუდმივი არაფერია (რუს).

94-95). ბავშვი ბებიასთან გაგზავნეს საქართველოში, დედით ობოლი იყო.

სხვებსაც ახსოვთ ბაბო დადიანის სიკეთე. ლიტერატურათმცოდნემ – გოჩა კუჭუხიძემ მოკრძალებით მოგვაწოდა თავისი რეპრესირებებული მშობლების ისტორიიდან ერთი ეპიზოდი: მისი ახალდაქორწინებული მშობლები ნოდარ და ელენე კუჭუხიძეები სწორედ ორმოცდაათიანი წლების რეპრესიებში მოჰყვნენ*. ძალიან გაუჭირდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარს იქ სამუშაოს შოვნა. ბაბო დადიანს თან ჰქონია წაღებული საკერავი მანქანა (ფეხის) და მიუცია დედამისისთვის, უთქვამს: „იქნებ რამე შეკერო, ძველმანები გადააბრუნო ან გადააკეთოო“... თვითონაც უსწავლებია ცოტა რამ. შედეგიც მიუღიათ და შვება უგრძვნიათ გოჩას მშობლებს იმ მცირეოდენი შემოსავლით. ქ-ნი ბაბოს სიკეთე მუდამ ახსოვდათ. „არასოდეს დამავიწყდება ქალბატონი ბაბოს ოჯახის მიერ გაწეული ამაგი, ახლაც მიკვირს, როგორ წაიღო იმ ურთულეს ვითარებაში ეს მანქანა ამ ქალბატონმა, ალბათ ასეთი კეთილი განზრახვით, რაზედაც მოგახსენეთ. მინდა კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემა გამოვხატო ამ დიდებული ქალბატონის ხსოვნისადმი“, – ამბობს გოჩა კუჭუხიძე.

ძალზე მძიმე დღეების მიუხედავად, ამ წამების დასასრულიც დადგა, როცა ამ საქმეების მთავარი შემოქმედი იოსებ სტალინი გარდაიცვალა.

სანამ ყაზახეთიდან საბოლოოდ წამოვიდოდნენ, ერთი ბედნიერი დღე დაუდგათ: „ჩიმკენტში დიდი სიხარულის სხივმა შემოანათა ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაში. ჩამოვიდა თათულის საქმრო – თენგიზ ღვინიაშვილი (მოქანდაკე) და წაიყვანა ჩემი ქალიშვილი. ეს წარმოუდგენლად დიდი გმირობა იყო მაშინ, ვინაიდან ჩვენ განთავისუფლებული არ ვიყავით. ეს ჩემთვის დაუვიწყარი ამბავია და ის – სათაყვანებელი სიძე“ (დადიანი 2008: 95). „მე ვიცოდი, რომ მოვწონდი, მაგრამ ცოტას ლაპარაკობდა ამ თემაზე, – იხსენებს ქალბატონი თათული, – მუსტა-

* გასახლების მიზეზი იყო ის, რომ ნოდარ კუჭუხიძის მამას – ილია კუჭუხიძეს II მსოფლიო ომის შემდეგ ემიგრაციაში მოუხდა დარჩენა.

ფა შელიასთან დაკავშირებით ისეთი განსაცდელი გამოვიარე, შიშით დიდად არ ვფიქრობდი გათხოვებაზე (დაწვრილებით იხ. ქვემოთ. ზ.ც.). სანამ მე გადამასახლებდნენ, ჩემს მომავალ მეუღლეს, თანგიზ ღვინიაშვილს, 20 წლის და გარდაეცვალა. ერთ წელიწადში დედამისი შვილს გადაჰყვა. დიდი უბედურება დაატყდა თავს... ჩვენ ისე უცებ გადაგვასახლეს, თენგიზს არც გაუგია. მერე, როცა შეიტყო, წერილი გამომიგზავნა: თავზარი დამცა შენმა გადასახლებამო. არ მეგონა, თუ რაიმე კიდევ შეაწუხებდა თავისი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ. მალე სტალინიც გარდაიცვალა და მოულოდნელად ჩამოვიდა ჩვენთან. ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ეს არ იყო სრულყოფილი ბედნიერება. დედა ავადმყოფი დავტოვე, მოგვიანებით ჰეპატიტი აღმოაჩნდა. მასზე ძალიან ვდარდობდი. ტაშკენტიდან მოსკოვში ჩავფრინდით. იქ პროკურატურაში გამოვცხადდით. მართალია, სტალინი მოკვდა, მაგრამ ჯერ კიდევ ამოწმებდნენ, ვინ იყო გათავისუფლებული და ვინ – არა. მე თბილისში დაბრუნების ნება დამრთეს. ხელი მოსკოვში მოვაწერეთ“...

თამარ (თათული) ღვინიაშვილმა გააგრძელა შეწყვეტილი სწავლა ასპირანტურაში, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თეორიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად. იგი არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, ლიტერატურული ნარკვევისა და სტატიის ავტორი („რამდენიმე შენიშვნა ანტონ ფურცელაძის შეხედულების შესახებ“, „სერგეი მესხის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებების ძირითადი ხასიათი და ისტორიული მნიშვნელობა“; „რეალიზმის ზოგიერთი საკითხი მიხეილ თუმანიშვილის კრიტიკულ წერილებში“; ლიტერატურული წერილები გიორგი შერვაშიძის შესახებ; „რას ვკითხულობთ გალაკტიონის უბის წიგნაკში მერი შერვაშიძის შესახებ“, „პოეზიის დასაცავად“ – კვირაძალის საკითხავი, ინტერვიუები ქართველი ემიგრანტების თემაზე). თამარ ღვინიაშვილს თავისი წვლილი ტექსტოლოგიაშიც აქვს შეტანილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი პაოლო იაშვილის ორტომეულის მომზადებასა და გამოცემაში.

დღესაც, 95 წლისა, მხნედ და ინტერესით ადევნებს თვალს ლიტერატურულ ცხოვრებას, თუმცა შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით გარშემორტყმული, ვერაფრით ივიწყებს წარსულს. „შვილიშვილები მეუბნებიან, ამოიღე ეგ ყველაფერი თავიდან, ნუ იფიქრებო, მაგრამ ეს შეუძლებელია... ერთხელ ჩვენთან უცნობი კაცი მოვიდა, გვარად წერეთელი, რომელმაც მოგვიყვა, რომ მამაჩემთან ერთად იჯდა ციხეში. ბევრი საშინელი ეპიზოდი გაიხსენა. მხოლოდ ერთს მოგითხრობთ: მამა დაკითხვაზე პერანგით და ჰალსტუხით გაუყვანიათ. უკან გრძნობადაკარგული ექვს კაცს შემოუყვანია. თურმე პერანგის მაგივრად ძაფები ეკიდა... აბა, ეს როგორ დამავიწყდეს?.. რა დამავიწყებს, როგორ დამყვებოდნენ უკან ლურჯფორმაინი კაცები... როგორ წამიყვანეს შინსახკომში დაკითხვაზე, როგორ მატარებდნენ თვეზე მეტხანს. 1943 წელს 19 წლისა ვიყავი. თურმე პოლიტპატიმრობაში ნამყოფი (1937-1940) ახალგაზრდა მუსტაფა (ლევან) შელიას თაოსნობით ჩამოყალიბებული ყოფილა არალეგალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია, „თეთრი გიორგი“, რომლის მიზანი იყო დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა (მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი). მას დასდევდნენ დასაჭერად. მეგობრებმა: ჭაბუა ამირეჯიბმა, გოგი წულაძემ, ლევან აბდუშელიშვილმა და სხვებმა ურჩიეს, თურქეთში გადასულიყო, რაზეც არ დასთანხმდა. მე ვიცოდი, რომ ის ჩემზე შეყვარებული იყო. როგორც მითხრეს, ამ მიზეზით არ მიდიოდა, არადა, იცოდნენ, რომ დაიჭერდნენ. მე მის მიმართ მქონდა მხოლოდ ადამიანური, მეგობრული გრძნობა. ჭაბუამ მთხოვა: დაწერე წერილი და აუხსენი, რომ მასზე არ ფიქრობ... იქნებ წავიდეს და თავს უშველოსო. ჭაბუას კარნახით, მართლაც, დავწერე პატარა ბარათი, რომელშიც ვუსურვებდი ყველაფერს კარგს, რომ ვაფასებდი, როგორც კარგ ახალგაზრდას, მაგრამ მის მიმართ სხვა გრძნობა არ გამაჩნდა... მალე დააპატიმრეს ჭაბუა ამირეჯიბი, გოგი წულაძე და მუსტაფას ბიძა ლევან აბდუშელიშვილი, რომელიც მოგვიანებით დახვრიტეს. მუსტაფა შელია დაჭერისას მოკლეს თბილისში. „მუსტაფა შელია ვახტანგ (ჯორიკო) ჯორჯაძის ბინის ფანჯრიდან გადმოხტა, როცა თავს დაესხნენ და ენგელსის ქუჩაზე განგმირეს ტყვიით“ (აბრამიშვილი 2017: 325).

თამარ იაშვილმა და მანანა ქიქოძემ გამაგებინეს ეს ამბავი და გამაფრთხილეს, ფრთხილად იყავი, შენც არ დაგიჭირონო. თვითონაც ეშინოდათ, მათაც იბარებდნენ დაკითხვაზე. ვტიროდი, ცრემლებად ვიღვრებოდი... დედა მეკითხებოდა, გიყვარდაო?.. ვპასუხობდი, რომ არა, არ მიყვარდა, მაგრამ ძალიან მეცოდებოდა, უზომოდ მწყდებოდა გული. დღემდე მენანება, კარგი ახალგაზრდა იყო, კარგი მომავალი ჰქონდა. მისი დაღუპვიდან რამდენიმე დღეში შინსახკომში წამიყვანეს ჩემს სახლთან ჩასაფრებულმა ლურჯხალათიანებმა. შემიყვანეს გამომძიებელთან, ვინმე გამრეკლიძესთან. მის გარდა, ოთახში ორნი იყვნენ, ერთ-ერთი იყო მალანია (ცნობილი ჯალათი-გამომძიებელი. ზ.ც.). გამრეკლიძე საქაღალდეში იქექებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა. გამოჩნდა ჩემი პატარა წერილი, ქაღალდის ფერით ვიცანი. მივხვდი (თუ მიმახვედრა გამომძიებელმა), რომ ამ წერილზე შემეკითხებოდნენ. „Начни“, – მიმართა ერთ-ერთმა. ის ერთი სიტყვა დღემდე მზარავს. ერთი და ორი დაკითხვა არ მაკმარეს, მერე სხვადასხვა დროს სხვებმაც დამკითხეს. როგორც შემდეგ გაირკვა, გამრეკლიძეს შევცოდებივარ: გამხდარს, შეშინებულს, თავსაფარი მეფარა... მერე ბიძაჩემს, ბონდო დადიანს, რომელიც მისი თანაკლასელი აღმოჩნდა, ძერჟინსკის ქუჩაზე შეხვედრია; საუბარში გაუგია, რომ მე ბონდო დადიანის დისშვილი ვიყავი და უთქვამს, სიმართლე რომ არ ეთქვა თათულის, უნდა დაგვეპატიმრებინა, ასეთი მითითება გვქონდაო. არ დავუჭერივართ. საბოლოოდ, თავი გამანებეს. ძალიან კი დავითრგუნე. მგონი ამიტომაც გავთხოვდი გვიან. ყველაფრის სურვილი ჩაკვდა ჩემში თითქოს.*

---

* **მუსტაფა შელიასთან** დაკავშირებული ეს ისტორია, როგორც ჩანს, ბევრმა იცოდა. პოეტ მარი აბრამიშვილს, რომელიც 1945 წელს დააპატიმრეს, ჩხრეკისას უპოვეს მუსტაფა შელიასადმი მიძღვნილი ლექსი, უსათაურო – „მ.შ.“-ს ინიციალით, სულ სამი სტროფია. პირველ სტროფში ახალგაზრდა პოეტი ქალი სწორედ იმ ბიოგრაფიულ ფაქტს გულისხმობს, რომელიც გაგვიმხილა ქ-მა თათულიმ (პოეტს ეს ლექსიც გადაუცია თათულისთვის და დღეს მასთან ინახება):

> კიდევ ცოცხლობდნენ ამაყ სუნთქვით თურმე გმირები,
> მაგრამ დაახრჩვეს, თავის სატრფოს ვინცა ყვარობდა,
> ჰოი, ქართველნო, კიდევ ბევრნი განიგმირებით
> იმ სამსხვერპლოზე, საქართველოდ რომა ყვაოდა...

ახლა, ამ გადასახედიდან, როცა შენი ცხოვრების მისია შესრულებული გაქვს და განუსაზღვრელად გცალია ფიქრისთვის, რაც არ უნდა ეცადო, თავისთავად მოდიან ის მწარე მოგონებები, მაინც თავს გახსენებენ... ალბათ ბოლომდე...“, – ამბობს ქალბატონი თათული – ბედნიერი დედა, ბებია, დიდი ბებია.

დამოწმებანი:

აბრამიშვილი 2017: აბრამიშვილი მ. „კიდევ ერთი ფურცელი იმ წარსულიდან“ (მოგონებები). წიგნში: კვერნჩხილაძე რ. *წამების გზა*. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017.

დადიანი 2008: დადიანი, ბ. *მოგონებათა დღიური*. თბილისი: გამომცემლობა „პეგასი“, 2008.

1944 წელს დაწერილი ეს ლექსი, რომელიც ჩემს სხვა ლექსებთან ერთად შინსახკომმა დააპატიმრა 1945 წელს (ავტორიანად) და დღესაც მისი არქივის ტუსაღია. მ.ა.“ (აბრამიშვილი 2017: 325). მარი აბრამიშვილმა არ გაუმხილა გამოძიებას, ვის ეძღვნებოდა ეს ლექსი. მთლიანი ტექსტი ბატონ რეზო კვერენჩხილაძეს ამოუწერია სუკის არქივიდან.

ადამიანური ისტორიები

მანანა კვატაია
მანანა შამილიშვილი

ადამიანური ისტორიები

ტოტალიტარიზმის თეორიის ცნობილი მკვლევარი, ებრაული წარმოშობის გერმანელ-ამერიკელი ფილოსოფოსი ჰანა არენდტი (Hannah Arendt), რომლის აზრით, თვით სიცოცხლე ნარატივია, თავის აღიარებულ ნაშრომში „ტოტალიტარიზმის საწყისები“ (The Origin of Totalitarism) ამ სისტემის „რადიკალურ ბოროტებას“ ადამიანის „ზედმეტად ქცევის“ „პერვერსიულ ნებაში“ ხედავს. მეცნიერის თქმით, ტოტალიტარული ინდივიდი ანგრევს ადამიანურ სიცოცხლეს მას შემდეგ, რაც საზრისს ართმევს ყველას სიცოცხლეს, საკუთარი თავის ჩათვლით. „შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური ბოროტება მოგვევლინა იმ სისტემასთან კავშირში, რომელშიც ყველა ადამიანი თანაბრად ზედმეტი გახდა“, – წერს არენდტი.

ფრანგი ფილოსოფოსი ალენ დე ბენუა ტოტალიტარიზმის უმთავრეს არსს საზოგადოების უნიფიცირების მცდელობაში ხედავს. ის აღნიშნავს: „ტოტალიტარული რეჟიმები მიისწრაფიან, აღმოფხვრან „კლასობრივი“ ან „რასობრივი“ მტრის არსებობა. ეს არ ნიშნავს მხოლოდ ოპოზიციური აზრის ჩახშობას, არამედ მთლიანი საზოგადოების მოწყობას ერთიან ნიადაგზე, რომელსაც ისინი საუკეთესოდ მიიჩნევენ“. მისი თქმით, საბჭოთა კავშირში დევნიდნენ და ავიწროებდნენ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, რომლებიც ხშირად ფიზიკურ განადგურებას ექვემდებარებოდნენ. სსრკ-ში მათი მარგინალიზება ხდებოდა და რეჟიმისათვის არასასურველი პირები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროდან იყვნენ განდევნილნი.

კიდევ ერთი ფრანგი ფილოსოფოსი ალექსის დე ტოკვილი ხაზს უსვამს, ზოგადად, ტირანიის ძალადობას ინდივიდთა უმრავლესობაზე, იმ ვითარებას, როდესაც პიროვნებას ადამიანურობის უფლებაც კი არა აქვს. თავის წიგნში „დემოკრატია ამერიკაში“ ავტორი შენიშნავს: ტოტალიტარულ სახელმწიფოში

„შენ თავისუფალი ხარ განსხვავებულად.. შენ დარჩები სხვებთან ერთად, მაგრამ შენ აღარ გექნება ადამიანურობის უფლება. შენი თანამოქალაქეები მოგექცევიან, როგორც უწმინდურს და ისინიც კი, ვისაც შენი უდანაშაულობის სჯერა, გვერდს აგივლიან, ვინაიდან მათაც იგივე ელით.. მე გინაჩუნებ სიცოცხლეს, მაგრამ შენი არსებობა სიკვდილზე უარესი იქნება“.

ტოტალიტარიზმის თეორეტიკოსთა შრომებში გამოკვეთილი ყველა ნიშანი აშკარად ჩანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთა შესწავლა ადასტურებს, რომ საზოგადოების უნიფიცირების პროცესში კომუნისტური რეჟიმი არ ერიდებოდა, დაესაჯა და საზოგადოებიდან გაერიყა ნებისმიერი პიროვნება, უმცირესი წინააღმდეგობის შემთხვევაშიც კი ძირფესვიანად დაენგრია არასასურველი ადამიანების და მათთან დაახლოებული პირების ცხოვრება. განსაკუთრებული სისასტიკით ისჯებოდნენ ისინი, რომლებიც საძულველი რეჟიმისადმი უნდობლობასა და პროტესტს ღიად გამოხატავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ნათლად ჰქონდათ გაცნობიერებული, როგორი რეპრესიები ელოდათ. მათ შორის იყვნენ კულტურის, მეცნიერების მოღვაწეები, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლები.

ყველასთვის კარგად ნაცნობ მოღვაწეთა გვერდით საკუთარ დაუვიწყარ ისტორიებს ქმნიდნენ რიგითი მოქალაქეები – შეუპოვარი, მამაცი ადამიანები, რომელთა სახელები მხოლოდ დაკითხვის ოქმებს შემორჩა (და ალბათ ოჯახის წევრთა მეხსიერებას, იმ ამბების სახით, შიშით ერთმანეთსაც რომ ვერ უმხელდნენ). ახალმა დროებამ ნათელი მოჰფინა მათ საქმეებს; გაამჟღავნა მათი გმირობის ამბავი, ვინც თავგანწირვით, სამშობლოსადმი სიყვარულითა და საკუთარი ღირებულებებისადმი ერთგულებით იბრძოდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

„ადამიანური ისტორიების“ სახელდებით წინამდებარე გამოცემაში შესული ნაკვეთი სწორედ ამგვარი შემთხვევების შესახებ გვიყვება, იმ ადამიანთა ბედზე გვიამბობს, რომლებიც არ შეეპუვნენ პიროვნული ღირსების შელახვას, დაუპირისპირდნენ

სისტემას და თავი სამსხვერპლოზე მიიტანეს. ამ ამაღელვებელი ისტორიების კითხვისას შეუძლებელია, არ აღფრთოვანდე მათი სიმამაცით. სწორედ ამ უსახელო გმირების შეუპოვრობამ შექმნა წინაპირობა შემდგომი წლების უშეღავათო ბრძოლებისთვის, რასაც შედეგად მოჰყვა მძლავრი, საყოველთაო საპროტესტო მუხტი და დაასრულა საბჭოთა სისტემა.

რეპრესიების მორიგი ტალღა უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, როცა ახალი შემართებით დაიწყეს „ხალხის მტრების“ ძიება-დაპატიმრება. მიუხედავად ნაცისტურ გერმანიასთან ფართომასშტაბიანი ომისა, 1941 წლიდან საბჭოთა ხელისუფლებამ გაამკაცრა კონტროლი და გააძლიერა დასმენის ინსტიტუტი. მას მხედველობიდან არ გამორჩენია ანტისაბჭოურად განწყობილი არც ერთი მოქალაქე. კონტროლი განსაკუთრებით გამძაფრდა საბჭოთა არმიის ჯარისკაცებისა, კულტურის მოღვაწეებისა და უმაღლეს სასწავლებლებში სისტემისადმი სკეპტიკურად განწყობილი პედაგოგ-სტუდენტების მიმართ. ამ პერიოდის დაკითხვის ოქმებში სწორედ მათი საქმეები სჭარბობს.

საომარი მოქმედებების პარალელურად იზრდებოდა სადამსჯელო ღონისძიებები მათ წინააღმდეგ, ვისაც ეჭვი შეჰქონდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში და ვინც ამ გლობალური საფრთხის საკუთარი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენებას ცდილობდა. გერმანიასთან თანამშრომლობისა და ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით გასამართლებულთა ჩვენებებიდან ნათლად ჩანს ის ძალმომრეობითი პოლიტიკა, რომლითაც საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა განსხვავებულად მოაზროვნეთა დათრგუნვასა და ფიზიკურ განადგურებას.

დაკავებულთა საქმეებიდან ირკვევა, რომ ქართველი პატრიოტები შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს ნაცისტურ გერმანიასთან, რუსეთის წინააღმდეგ ძლიერ მოკავშირესთან, კოლაბორაციაში ხედავდნენ. ომში რუსეთის შესაძლო მარცხით გულმოცემულმა ბევრმა ადამიანმა გამოხატა თავისი პრინციპული პოზიცია არსებული რეჟიმის წინააღმდეგ: ზოგმა – ღიად, სხვამ – ფარულად, ერთმა ნაწილმა კი გასაიდუმლოებულ მეამბოხე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. ანტისაბჭოთა

იატაკქვეშა ორგანიზაციებსა და წინააღმდეგობის ჯგუფებში გაწევრიანებული პირები აქტიურ აგიტაციურ საქმიანობას ეწეოდნენ ნაცნობ-მეგობართა შორის. ისინი ავრცელებდნენ პროკლამაციებს, იატაკქვეშა გამოცემებს და ომის რეალურ ამბებს აცნობდნენ მოსახლეობას, საბჭოთა არმიის გერმანიასთან გარდაუვალ მარცხს ვარაუდობდნენ. ომის დასრულების შემდგომ, 1950-იან წლებში მკაცრი რეპრესიები შეეხოთ ყოფილ სამხედრო ტყვეებს. როგორც რიგითი, ისე საზოგადოებისათვის ცნობილი მოქალაქეების დაპატიმრება-გასამართლებამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

შსს არქივში მოძიებული საქმეები ნათლად წარმოაჩენს ამ გაბედული, მამაცი ადამიანების თავდაუზოგავი ბრძოლის ისტორიებს. ნათქვამის დასტურად წიგნის ამ თავში არაერთი ამბავია მოხმობილი. დავიმოწმებთ რამდენიმეს:

სამხედრო ტრიბუნალმა ფრონტის ხაზზე მებრძოლი ვარლამ დარსალია ანტისაბჭოთა პროპაგანდაში ამხილა და მკაცრად დასაჯა. ქართველი ჯარისკაცი დაასმინა თანამებრძოლმა, მისივე თვისტომმა, ვისთანაც ხუმრობით უთქვამს: „კარგი იქნებოდა, სტალინი ჰიტლერს შებრძოლებოდა. ჰიტლერი მოუგებდა, რადგან სტალინს მეტი ულვაში აქვს და ჩაბღაუჭებას შეძლებდა, ჰიტლერს კი ულვაში არ აქვსო“. ამ ოხუნჯობის გამო მას რვა წლით პატიმრობა მიესაჯა. გერმანული არმიის ნაციონალური ლეგიონის წევრი სოსო მოსეშვილი მოღალატეობრივი საქმიანობის გამო გაასამართლეს და 1951 წლის 11 ოქტომბერს დახვრეტა მიუსაჯეს. ათი წლით აღუკვეთეს თავისუფლება გორის მკვიდრს, ეროვნებით უკრაინელ ნ. ა. სტოროჟენკოს, რომელსაც ანტისაბჭოთა შინაარსის პროკლამაციები აღმოუჩინეს. პროკლამაციის ერთ მხარეს კარიკატურები იყო დაბეჭდილი, მეორე მხარეს კი – საშვი. საშვით საბჭოთა არმიის დეზერტირ ჯარისკაცებს უნდა ეხელმძღვანელათ, თუკი გერმანელების მხარეს გადავიდოდნენ.

საბჭოთა რეჟიმმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში მცხოვრებ გლეხს, ილიკო მათითაიშვილს. საქმეში წარმოდგენილი დაკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ მათითაიშვილს დიდი გამბედაობა გამო-

უჩენია და არ დაუსმენია შემოპარული თანასოფლელები – უცხოეთის კონტრდაზვერვის მიერ გამოგზავნილი ემისრები: სიმონ გოგიბერიძე და დავით ერქომაიშვილი. ქვეყნიდან უსაფრთხოდ რომ გაეღწიათ, მსჯავრდებული დახმარებია მათ და საკუთარი პასპორტი მიუცია. მოწმის ჩვენებიდან ჩანს, რომ მათითაიშვილი თანაუგრძნობდა საიდუმლო დავალებით სამშობლოში მალულად შემოსულ ყოფილ მენშევიკებს. მას გულწრფელად სჯეროდა, რომ საბჭოთა კავშირთან ომში გერმანია გაიმარჯვებდა, საქართველო კი ნანატრ დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა და ამ იდეისთვის ბრძოლას შესწირა სიცოცხლე.

ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდისათვის გაუსამართლებიათ ხაშმის სამების ეკლესიის დარაჯი გიორგი მოსეშვილი (ფონდი №6, საარქივო № 50131, ტ. 2, ყუთი 49), რომლის ბრალდებაში მითითებულია, რომ აღნიშნული პიროვნება 1941 წელს არალეგალურ ანტისაბჭოთა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მონაწილეობდა, სისტემატურად ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, წერდა ხელისუფლების საწინააღმდეგო უხამს ლექსებს და სხვ. ამ არც თუ მძიმე ბრალდებათა გამო გიორგი მოსეშვილს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და 5 წლით ჩამოართვეს საარჩევნო ხმის უფლება. 1950 წლის 12 იანვრით დათარიღებულ დაკითხვის ოქმში გამომძიებელს ბრალდებულისათვის უკითხავს: დაპატიმრებული ხართ ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის. რას იტყვით? გიორგი მოსეშვილს ამაზე უპასუხია: „არავითარ ანტისაბჭოთა საქმიანობას არ ვეწეოდი.. მხოლოდ უარი ვთქვი ცხოვრებაზე და ბერად შევდექი და ეს ჩემი ქმედებები, რასაკვირველია, საბჭოთა სისტემის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება“.

დოკუმენტების მიხედვით, 10 წლით პატიმრობისა და 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევის მკაცრი განაჩენი გამოუტანეს ასევე ოჩამჩირელ აფხაზს ლევარს კვარჩხიას, რომელიც დამნაშავედ ცნეს იმის გამო, რომ კოლმეურნეთა შორის ანტისაბჭოთა განწყობილებებს აღვიძებდა, კომუნისტური პარტიის ღონისძიებების დისკრედიტაციას ეწეოდა და პროვოკაციულ განწყობილებებს აღვივებდა პარტიისა და

საბჭოთა სახელმწიფოს ბელადის წინააღმდეგ (იხ. ფონდი №6, საარქივო № 50131, ტ. 2, ყუთი 92).

ამგვარივე მკაცრი სასჯელი – 10 წლის პატიმრობა და 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა – წილად ხვდა ხაშურის რაიონში მცხოვრებ იოსებ სამხარაძეს, რომელსაც ბრალი წაუყენეს ამიერკავკასიის რკინიგზაში მუშაობის პერიოდში თანამშრომელთა შორის ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის. ბრალდების მიხედვით, ი. სამხარაძე დასავლური სამყაროს ცხოვრების უპირატესობას აღიარებდა და ნანობდა იმის გამო, რომ გერმანიაში ტყვეობის შემდეგ ამ ქვეყანაში არ დარჩა. აქვე აღნიშნულია, რომ ბრალდებულს კოლექტივიზაციისა და სტალინის მისამართით აზრი უცენზურად გამოუთქვამს და ა.შ. (იხ. ფონდი №6, საარქივო № 50164, ტ. 3, ყუთი 105). იმავე საქმეში სამხარაძის დაკითხვისა და მოწმეებთან დაპირისპირების ოქ-მები ინახება, საიდანაც ჩანს, რომ იოსებ სამხარაძე ბრალდებას არ ეთანხმება. იგი აცხადებს: საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არავითარი ქმედება არ ჩამიდენიაო.

სმოლენსკელი ალდო ხანდოგინი პიროვნების დადგენის მიზნით არაფხიზელ მდგომარეობაში დაუკავებიათ (იხ. ფონდი №6, საარქივო № 50167, ტ.4, ყუთი 106). დაპატიმრებისა და გასამართლების საფუძველი გამხდარა სიმთვრალეში ნათქვამი მისი „პროვოკაციულ-ცილისმწამებლური გამოხდომები“ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენების თაობაზე. ბრალდების თანახმად, დაკავებული მთვრალი პიროვნება აგინებდა პარტიისა და საბჭოთა მეთაურებს, ადიდებდა ხალხის მტრებს. იმის მიუხედავად, რომ ხანდოგინს სიფხიზლეში უღიარებია, ამ ინციდენტის შესახებ აღარაფერი მახსოვსო, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს.

თბილისელი ინჟინერი ნესტორ სვანიძე ასევე ანტისაბჭოთა საქმიანობისათვის დაუკავებიათ (იხ. ფონდი №6, საარქივო №50290, ტ. 2, ყუთი 160). 1950 წლის 22 ივნისით დათარიღებული დადგენილების მიხედვით, ბრალდებული დახასიათებულია, როგორც ანტისაბჭოთა განწყობილებების პიროვნება, რომელიც საბჭოთა სინამდვილესა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებზე დოკუმენტებს ადგენდა და ავრცელებდა. ამ პა-

ტიმარსაც იგივე მკაცრი სასჯელი: 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა დაუდგინეს.

ნოე ჟორდანიას დავალებით საქართველოში დაბრუნებული ყოფილი სამხედრო ტყვის, გიორგი გაბინაშვილისა და მის თანამოაზრეთა ანტისაბჭოთა საქმიანობაზე მოგვითხრობს ლ. ტურაშვილისა და სხვა რამდენიმე პირის სისხლის სამართლის საქმეები. გასამართლების შემდეგ ამ ჯგუფის რამდენიმე წევრის სასჯელი ძალზე მკაცრი იყო: მათ 25 წლით პატიმრობა შეუფარდეს (იხ. ფონდი №6, საარქივო საქმე № 50174, ტ. 9/2, ყუთი 111).

აღნიშნულ საქმეში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ სოფელ თერგვისის მკვიდრი ლეონტი ტურაშვილი, უდაბლესი განათლებით, სადგურის მორიგე ყოფილა. ის დაუკავებიათ, როგორც ანტისაბჭოთა ჯაშუშური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა გ. გაბინაშვილი.

1950 წლის 16 დეკემბრის ვრცელ დაკითხვის ოქმში ტურაშვილი თავისი საქმიანობის დეტალებს გადმოსცემს. მისი მონათხრობიდან გიორგი გაბინაშვილის ცხოვრებისა და ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ნიუანსებიც იკვეთება. გ. გაბინაშვილი და ლ. ტურაშვილი სკოლის მეგობრები ყოფილან. ორივენი სოფელ ძეგვში ცხოვრობდნენ. 1941 წელს გაბინაშვილი ფრონტზე გაუწვევიათ, 1949 წლის ბოლოს კი იგი საფრანგეთიდან ნოე ჟორდანიას სპეციალური დავალებით საქართველოში დაბრუნებულა და ლ. ტურაშვილს შეხვედრია. სადილის დროს გაბინაშვილს მისთვის თავისი თავგადასავალი უამბია.

ტურაშვილის ინფორმაციით, გიორგი გაბინაშვილი 1942 წელს გერმანელებს ტყვედ აუყვანიათ და საფრანგეთში გაუმწესებიათ. აქ იგი ერთხანს გერმანული არმიის რიგითი ყოფილა, შემდეგ – ეშელონის მემანქანე. გერმანელთა დამარცხების შემდეგ გ. გაბინაშვილი 10-15 ადამიანთან ერთად პარიზში ჩასულა, რათა ქართულ ემიგრაციას შეხვედროდა. მას ხანგრძლივად უსაუბრია თვით ნოე ჟორდანიასთან და რჩევა უკითხავს, როგორ მოქცეულიყო: საფრანგეთში ეცხოვრა თუ საქართველოში დაბრუნებულიყო, რაზეც ნ. ჟორდანიას უპასუხია: აქ არავითარ შემ-

თხვევაში არ დარჩეო. გამომგზავრების წინ გაბინაშვილი ისევ ნოე ჟორდანიას მიუღია და უთქვამს: დადგება დღე, როდესაც საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებს და აუცილებელია, ამისათვის შესაბამისი კადრები წინასწარ მოვამზადოთო.

ლ. ტურაშვილის იმავე ჩვენების მიხედვით, სამშობლოში რეპატრიაციით დაბრუნებული გიორგი გაბინაშვილი ქალაქ გორში, „საქმშენის“ კანტორაში მთავარ ბუღალტრად მოეწყო, მოგვიანებით კი რუსი ეროვნების მეუღლესთან ერთად რუსეთში გაემგზავრა. გარკვეული დროის შემდეგ მან სიძის დახმარებით კვლავ საზღვარგარეთ გაქცევა მოახერხა, თუმცა თურქეთის საზღვრის გადაკვეთისას ის თურქ მესაზღვრეთა ძაღლს შეუნიშნავს, საზღვრის დამცველებს გაქცეულისათვის უსვრიათ და ის თავში დაუჭრიათ. დაჭრილი გიორგი გაბინაშვილი თურქეთის ტერიტორიაზე ხევში ჩავარდნილა და გონება დაუკარგავს. ართვინის სამხედრო ჰოსპიტალში ის გონს მოსულა და მის საქმეს 4 თვის განმავლობაში იძიებდნენ. შემდეგ ერთი მაღალჩინოსნის დახმარებით გაბინაშვილი 4 სხვა ქართველ ემიგრანტთან ერთად თვითმფრინავით საფრანგეთში გაუმგზავრებიათ. პარიზში ის კვლავ ნოე ჟორდანიას მიუღია და თავისთან ბინა შეუთავაზებია. აქ გიორგი გაბინაშვილს დაუწერია წიგნი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ნაშრომს ჟორდანია გაცნობია და გამოუცია კიდეც, ავტორს კი გასამრჯელოდ გარკვეული თანხა მიუღია.

გიორგი გაბინაშვილი საფრანგეთში 3 თვე დარჩენილა და შემდეგ არალეგალური საქმიანობის მიზნით საქართველოში წამოსვლა განუზრახავს, თუმცა, ჩვენების მიხედვით, ნოე ჟორდანია საფრთხის გამო მას უკან დაბრუნებას არ ურჩევდა. პარიზიდან გამომგზავრებული გიორგი გაბინაშვილი ერთხანს თურქეთში დარჩენილა, შემდეგ 3 ქართველთან ერთად წყალქვეშა ნავით ქობულეთამდე ჩამოუღწევია და ტყისათვის შეუფარებია თავი. აქედან ის ქარელში, სიმამრთან ჩასულა, შემდეგ თავის სოფელში – ძეგვში გადასულა.

ლ. ტურაშვილის ჩვენების მიხედვით, გაბინაშვილს საზღვარგარეთიდან ჩამოუტანია ანტისაბჭოთა ლიტერატურა, რადიომიმღები – გადამცემი სადგური-აპარატი, ფოტოაპარატი

და სხვა ნივთები. საქართველოში მას რამდენიმე პიროვნება, მათ შორის, ლ. ტურაშვილი, ანტისაბჭოთა საქმიანობაში ჩაუბამს, თუმცა გიორგი გაბინაშვილი მალე იძულებული გამხდარა, თურქეთის საზღვრის გავლით კვლავ ემიგრაციაში წასულიყო. მის შემდგომ თავგადასავალზე საქმეში არაფერია ნათქვამი.

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლთა 1951 წლის მრავალრიცხოვან სისხლის სამართლის საქმეთა შორის შეგვხვდა განთქმული ექიმის, ერმი ქართველიშვილის საქმე (იხ. ფონდი №6, საარქივო № 51117, ტ. 3, ყუთი 56). საქართველოს ექიმების ბიოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, ერმი გიორგის ძე ქართველიშვილი 1895 წელს სოფელ ქვედა სიმონეთში დაიბადა, 1924 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, გარდაიცვალა 1966 წელს (71 წლის ასაკში). აღნიშნულ ლექსიკონში არაფერია ნათქვამი მისი ცხოვრების ტრაგიკულ ფურცლებზე: გერმანელებთან ტყვეობასა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პატიმრობის წლებზე. აღნიშნული დეტალები ცნობილი ხდება მისი სისხლის სამართლის საქმიდან, სადაც მითითებულია, რომ ე. გ. ქართველიშვილი, მცხოვრები ქუთაისის რაიონის სოფელ ბარდუბანში, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, იმავე სოფელში სამედიცინო პუნქტის გამგედ მუშაობდა.

1951 წლის 11 აპრილის დადგენილებაში იკვეთება ექიმ ქართველიშვილის ბრალდება: იგი 1941 წლის ოქტომბრიდან 1945 წლამდე გერმანელთა ტყვეობაში იმყოფებოდა და გერმანიის არმიის თურქესტანის ბატალიონში ექიმად მუშაობდა, შემდეგ გადაიყვანეს ვარშავაში, ქართული ნაციონალური ბატალიონის ჰოსპიტალში და „ზონდერ ლაზარეთში“ მთავარ ექიმად დანიშნეს. ქართველიშვილს ჰქონია „ობერ-არტცის“ ჩინი, გერმანული არმიის უფროსი ლეიტენანტის წოდება. ხსენებული ბრალდებების საფუძველზე გამოტანილია განჩინება ე. ქართველიშვილის დაპატიმრებისა და ჩხრეკის თაობაზე. აქვეა პატიმრის ანკეტა ფოტოსურათით, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ დაპატიმრების მომენტში ექიმს ჰყოლია მეუღლე და 4 შვილი.

ქართველიშვილის ფრონტზე წასვლის, გერმანელთა მიერ მისი დატყვევებისა და ტყვეობაში საქმიანობის დეტალები ასახულია ამავე საქმეში დაცულ დოკუმენტში „ჩემი ხელით დაწერილი ჩვენება“, რომლის მიხედვით, ბრალდებული ფრონტზე 1941 წლის 23 ივნისს გაუწვევიათ. მისი სამედიცინო ბატალიონი თავდაპირველად ქუთაისში იმყოფებოდა, შემდეგ ქართველიშვილი როსტოვისა და ვოროშილოვგრადის გავლით სამხრეთის ფრონტზე გაუმწესებიათ. სასტიკი ბრძოლების შედეგად მისი დივიზიის ნაწილები დამარცხებულან და ექიმები დაჭრილებთან ერთად ზაპოროჟიეს მიმართულებით წაუყვანიათ. დატყვევებული ქართველიშვილი ფილტვების ანთების დიაგნოზით ქერჩის საავადმყოფოში მოუთავსებიათ. შემდეგ ის დნეპროპეტროვსკსა და ვარშავაში იმყოფებოდა. 1945 წლის 19 ივნისს ერმი ქართველიშვილი საქართველოში დაბრუნებულა და იმავე წლის 20 აგვისტოდან 1951 წლის 18 აპრილამდე (დაპატიმრებამდე) ბარდუბნის საექიმო უბნის გამგედ მუშაობდა.

ე. ქართველიშვილის სისხლის სამართლის საქმეში ინახება ამიერკავკასიის სამხედრო ტრიბუნალის 1951 წლის 23 ივლისის განაჩენი, რომლის მიხედვით, ღვაწლმოსილი ექიმი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-I „ბ“ მუხლით (სამშობლოს ღალატი) გაასამართლეს და 25 წლით შრომა-გასწორების ბანაკებში პატიმრობა, ასევე, 5 წელი – უფლებების აღკვეთა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. ამავე დროს, მას „მე-3 რანგის ექიმის“ წოდებაც ჩამოართვეს.

როგორც ჩანს, სტალინისა და ბერიას ეპოქის დასრულების შემდეგ ე. ქართველიშვილს, სხვა პატიმართა მსგავსად, საშუალება მიეცა, ზემოხსენებული მკაცრი განაჩენი გაესაჩივრებინა. საქმეში დაცულ საჩივარში, რომელიც 1954 წლის 20 მაისით თარიღდება, პატიმრობაში მყოფი ექიმი სასჯელს უაღრესად მკაცრად მიიჩნევს, თან მიუთითებს, რომ ტყვეობისას პარტიზანული რაზმებისათვის ფარულად არალეგალურად მუშაობდა და ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ქართველიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ 30 წლის მანძილზე ის რაიონის ექიმად მუშაობდა, ექიმები იყვნენ მისი და, სიძე

და ისინიც ფრონტზე იმყოფებოდნენ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ე. ქართველიშვილი ითხოვს, გადახედონ მის საქმეს და მკაცრი განაჩენი შეუცვალონ.

პატიმარი ექიმის სისხლის სამართლის საქმეში დაცულია მისი „სამსახურებრივი დახასიათება“, რომლის მიხედვით, ქართველიშვილი 1926-1941 წლებში, შემდეგ კი – 1945-1951 წლებში სოფელ ბარდუბნის საექიმო პუნქტის გამგედ მუშაობდა ავტორიტეტით სარგებლობდა. 1940 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდება მიუღია.

1955 წლის 17 სექტემბერს გამოუციათ სსრკ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება დიდი სამამულო ომის პერიოდში – 1941-1945 წლებში – ოკუპანტებთან თანამშრომლობის ბრალდებით გასამართლებული საბჭოთა მოქალაქეების ამნისტიის შესახებ. ამავე პერიოდში ე. ქართველიშვილს სსრკ გენერალური პროკურორის რუდენკოსათვის გათავისუფლების მოთხოვნით მიუმართავს. 1955 წლის 31 ოქტომბრით თარიღდება სსრკ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ჩეპცოვის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის მიხედვით, პატიმარი ქართველიშვილი ექვემდებარება სასჯელისაგან გათავისუფლებას, ნასამართლეობის მოხსნითა და უფლებებში აღდგენით.

ამავე საქმეში დაცულია 1976 წლის 16 მარტის განცხადება, რომლითაც ე. ქართველიშვილის მეუღლე საქართველოს სსრ პროკურორს მიმართავს და ქმრის რეაბილიტირებას ითხოვს. ექიმი ქართველიშვილის ბიოგრაფიისათვის საყურადღებოა ასევე სხვა დეტალი მისი მეუღლის განცხადებიდან: 1959 წელს პოლონეთიდან ჩამოსულ რეჟისორს ერმი ქართველიშვილის მოღვაწეობაზე დოკუმენტური ფილმი გადაუღია, რომელიც მოსკოვის ტელევიზიასაც უჩვენებია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული სისხლის სამართლის საქმეებიდან მკაფიოდ იკვეთება საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ნამდვილი სახე, რეჟიმისა, რომლის დროსაც ქვეყნის მილიონობით მოქალაქემ წამების, არაადამიანური მოპყრობის, ღირსების შელახვისა და შეურაცხყოფის, „ზედმეტად ქცევის“ დაუმსახურებელი, მწარე ხვედრი გაიზიარა.

ზოია ცხადაია

ლევან (ლეო) კონსტანტინეს ძე აბაშიძე*

ლევან (ლეო) კონსტანტინეს ძე აბაშიძე დაიბადა 1908 წელს დაბა ოჩამჩირეში. არასრული საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც დაასრულა 1925 წელს. 1937 წლამდე იგი იყო ალკკ წევრი, საიდანაც გარიცხეს დაპატიმრების გამო. ცხოვრობდა ქ. თბილისში. 1925 წლიდან თამაშობდა ამიერკავკასიის საფეხბურთო ნაკრებში. როგორც საზედამხედველო გამოძიების მიერ შედგენილ ლევან აბაშიძის ანკეტაში ვკითხულობთ, იგი 1925 წლიდან წარმატებული სპორტსმენი (ფეხბურთელი) იყო. „სპორტულ საქმიანობასთან დაკავშირებით“ 1925 წელს ყოფილა თურქეთში, 1927 წელს კი – ფინეთში. 1931-32 წლებში მიუღია ფულადი ჯილდოები. 1930-37 წლებში მუშაობდა შინსახკომის საიდუმლო-პოლიტიკურ IV განყოფილებაში; ბოლო თანამდებობა – ამ განყოფილების უფროსი. სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით **კერძო პირებთან ჩხუბის გამო მიუღია ორი გაფრთხილება.** დააპატიმრეს 1937 წელს. ბრალად ედებოდა კ/რ შეთქმულების წევრობა. საქმეში აღნიშნულია, რომ იგი გადაიბირა კ/რ ორგანიზაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, კლავდიოზ სულთანიშვილმა. აბაშიძემ არ აღიარა დანაშაული. საარქივო მასალებში მითითებულია, რომ მისი კონტრრევოლუციური საქმიანობა ამხილეს კლავდიოზ სულთანიშვილმა, ალექსანდრე (შურა) ავქსენტის ძე გამსახურდიამ და ვერა სულთანიშვილმა (კ. სულთანიშვილის მეუღლე, შსს-ს დამლაგებელი. ზ.ც.). სამივეს და მათთან ერთად ლევან აბაშიძესაც მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

---

* ფონდი №6. საარქივო №38829; ტ. 2; საზედამხედველო საქმე №28653, აღწ. №30376 (საზედამხედველო (სადამკვირვებლო) საქმე მაშინ იქმნებოდა, როცა საგამოძიებო საქმე განადგურებული აღმოჩნდებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო სახელდახელოდ მოძიებული მასალებით შედგენილ-შეკოწინებული ე.წ. „საქმე“).

ლევან აბაშიძის საზედამხედველო საქმის მოძიება და შედგენა დაიწყო მას შემდეგ, რაც 1957 წ. 23 იანვარს მისმა ძმისშვილმა, მიხეილ დავითის ძე აბაშიძემ (მცხ. ქ. თბილისში, კლარა ცეტკინის ქ. №190ა), როგორც ლევან აბაშიძის ერთადერთმა მემკვიდრემ, მოითხოვა ბიძის რეაბილიტაცია და მისთვის ჩამორთმეული ბინის დაბრუნება. განცხადებაში ის წერს, რომ 1938 წელს ბათუმში დააპატიმრეს მამამისიც – **დავით კონსტანტინეს ძე აბაშიძე**,* რომელიც, მისი აზრით, „ლაგერში" უნდა იყოს გარდაცვლილი 1943 წელს (სინამდვილეში ის დახვრიტეს. ზ. ც). მისი განაჩენის (დახვრეტის) სისრულეში მოყვანის აქტი შედგენილია 1938 წლის 25 აპრილს ბათუმში, აჭარის ასრ შინსახკომის სერჟანტების მიერ: „თანახმად 25/IV-1938 წ. საქმე №20525-ისა საქ. სსრ შს კომისრის გოგლიძისა და პირადად აჭარის სახ. უშიშროების ლეიტენანტ ზაქარაიას ბრძანებით, დილის 3 საათზე სისრულეში მოიყვანეს განსაკუთრებული სამეულის ბრძანება დახვრეტის შესახებ ბრალდებულებისა... (ერთვის 15 ადამიანის სია). დავით აბაშიძე სიაში მეთხუთმეტეა. ის იყო მატარებლის მემანქანე ბათუმში. ბრალად ედებოდა ჯაშუშური ინფორმაციების მიწოდება იტალიელი ფაშისტებისთვის; კავშირი იტალიის საკონსულოს ყოფილ მდივანთან და სხვ. ფაქტობრივად კი, სრულიად უდანაშაულო კაცი ძმის გამო დახვრიტეს (შვილისთვის მამის დახვრეტის შესახებ, როგორც ჩანს, არც მაშინ უცნობებიათ).

1957 წლის 28 აგვისტოს მიხეილ დავითის ძე აბაშიძის საჩივარი ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის საარქივო-საგამოძიებო საქმის აღდგენის მიზნით გაეგზავნა საქ. სსრ სახ. უშიშროების კომიტეტს. საჩივრის საპასუხოდ აღნიშნულია, რომ ბრალდებულ ლ.კ. აბაშიძის საქმე განადგურებულია, რაც დამტკიცებულია 1948 წლის 30 ივნისს შედგენილი აქტით (ხელს აწერს იუსტიციის პოლკოვნიკი....). აღნიშნულის თაობაზე სუკის საგამოძიებო განყოფილების უფროსი გ. ნადირაძე **1957 წ. 11 სექტემბერს სრულიად საიდუმლოდ** აცნობებს სუკის არქივის უფროსს, პოდპოლკ. დარჯანიას, რომ მათ მიერ გადამოწმდა

* დავით კონსტანტინეს ძე აბაშიძის საქმე დაცულია სშსს არქივში.

1937 წ. ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის დაპატიმრების ფაქტის სისწორე. ლევან აბაშიძის საქმე განადგურებულია 1948 წ. 30 იანვარს შედგენილი აქტის საფუძველზე. იქვე დაკონკრეტებულია, რომ საქმე გაანადგურა ხალხის მტერმა, სახელმწიფო უშიშროების ყოფილმა **მინისტრმა, რუხაძემ** (რუხაძე ამ დროს უკვე დახვრეტილია. ზ.ც).*

28 სექტემბერს გ. ნადირაძეს განმეორებით, ისევ **სრულიად საიდუმლოდ** ეგზავნება იგივე ტექსტი, რომელსაც დამატებული აქვს აღნიშნული საქმის განადგურების გარემოებები: уничтожено путём сожжения, ანუ საქმე დაუწვავთ.

გრძელდება კომპრომატების მოძიება ლევან აბაშიძის საქმიანობასთან დაკავშირებით: 1957 წ. 29 სექტემბერს სუკის სპეცგანყოფილების უფროსს, პოდპოლკოვნიკ ნადირაძეს მოთხოვნის პასუხად ატყობინებენ (საიდუმლოდ), რომ **აბაშიძის მიერ უკანონო მეთოდების გამოყენების მასალებს არ ფლობენ** (ნ. საყვარელიძე). 1957 წ. 23 ნოემბერს სამხედრო პროკურატურა (საიდუმლოდ) ასეთივე ტექსტს უგზავნის შინაგან საქმეთა სამინისტროს. 1957 წ. 11 ოქტომბერს (საიდუმლოდ) სუკის განსაკუთრებულ საქმეთა ინსპექციის უფროსს დ.ა. გუგუნავას პოდპ. გ. ნადირაძე უგზავნის თხოვნას, რომ მიაწოდონ მაკომპრომეტირებელი მასალები 1937 წ. გასამართლებულ შინსახკომის ყოფილ თანამშრომელ ლ. კ. აბაშიძეზე. 15 ოქტომბერს გ. ნადირაძეს ეგზავნება პასუხი, რომ მოცემული მომენტისთვის ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მიერ სოც. კანონების დარღვევის ფაქტები არ მოეპოვებათ. ასეთი მოთხოვნები გრძელდება, პასუხები კი იგივეა, რომ შესაბამისი მასალები არ გააჩნიათ.

---

* ჯგუფში, რომელმაც გამოძიების მასალები 1948 წელს დაწვა, შედიოდნენ: **ნიკიტა არკადის ძე კრიმიანი, კონსტანტინე სერგის ძე სავიცკი, ალექანდრ სამუელის ძე ხაზანი, ნადარაია, აქვსენტი რაფავა, ნიკოლოზ რუხაძე, პარამონოვი (სისხლის სამართლის საქმე №5376, ფონდი №6)** (ინფორმაცია მოგვაწოდა სშსს არქივის პოირველი განყოფილების უფროსმა ექსპერტმა ლალი ეხვაიამ). ეს საქმეები დაწვეს, რადგან ზემოთ მოყვანილი პირები სუკის თანამშრომლები იყვნენ და ფაქტები მათი დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ უნდა განადგურებულიყო.

საქმეში ცალკე დევს **ინფორმაცია** შინსახკომის ბეჭდიანი რეზოლუციით, რომ ლ.კ. აბაშიძეს ბრალი დასდეს 58-10, 58-11 მუხლებით (ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა და კონტრ-რევოლუციური საქმიანობა, შეთქმულებაში მონაწილეობა).

ინფორმაცია: ლ. კ. აბაშიძე იმყოფებოდა განმარტოებულ საკანში, შინსახკომის შიდა ციხეში (პონომარიოვი, სახ. უშიშ-როების IV განყოფილები უმცროსი ლეიტენანტი). **ინფორმა-ცია:** კ. სულთანიშვილისა და სხვა წევრების ჩვენებების მიხედ-ვით, ლევან აბაშიძე შედიოდა კ/რ ორგანიზაციაში (ხელს აწერს ქობულოვი).

საზედამხედველო საქმეში დევს ლ. აბაშიძის კ. სულთანიშ-ვილსა და ა. გამსახურდიასთან დაპირისპირების ოქმები. **კლავ-დიოზ სულთანიშვილი** ყველაფერს აღიარებს; პირზე ადგება ლევან აბაშიძეს, რომ სწორედ მან ჩაითრია იგი კ/რ შეთქმუ-ლებაში. **სულთანიშვილის ცოლი, ვერა,** „ამტკიცებს“, რომ ის ეხმარებოდა ქმარს ინფორმაციების გატანაში და სხვ. ამათ გარდა, ლევან აბაშიძეს კ/რ შეთქმულებაში ამხელენ სხვა თა-ნამშრომლებიც: დ. კილაძე, ტ. ლორთქიფანიძე, მ. ძიძიგური, ი. კიკ-ნაძე, აბალიანი და სხვები. ისინი აცხადებენ, რომ ლ. აბაშიძე და მისი ჯგუფი ბერიას წინააღმდეგ ტერაქტს ამზადებდნენ. მოწმეთა ჩვენებებს ხელს აწერენ: პარამონოვი, სავიცკი და ქო-ბულოვი. მოწმეები დაკითხა შინსახკომის ლეიტენანტმა სავიც-კიმ, ლევან აბაშიძის საქმის გამომძიებელმა. თავად ბრალდე-ბული კატეგორიულოად უარყოფს ყველა მოწმის ჩვენებას და ამბობს, რომ ის არასოდეს ყოფილა კ/რ ორგანიზაციის წევ-რი და არაფერი იცის მისი არსებობის შესახებ. მას აფრთხი-ლებენ, რომ თქვას სიმართლე, წინააღმდეგ შემთხვევაში, და-აპირისპირებენ ბრალდებულ ალექსანდრე გამსახურდიასთან (ლ. აბაშიძის მეგობარი, შინსახკომის ყოფილი მდივანი). აბა-შიძე არაფერს აღიარებს, ამიტომ დაპირისპირება შედგება. ალექსანდრე გამსახურდია, რომელიც 1937 წლის ნოემბერში დააპატიმრეს, ისე იყო „დამუშავებული“, რომ აბაშიძესთან და-პირისპირებისას მან დაადასტურა გამოძიებისთვის მიცემუ-ლი აბაშიძის მაკომპრომეტირებელი ჩვენებები. გამსახურდიამ „აღიარა“ რომ მათ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ

ერთმანეთთან და კ/რ ორგანიზაციაშიც ერთად იყვნენ: „აბაშიძე გამოთქვამდა აშკარად ანტისაბჭოთა განწყობას. უკიდურესად პესიმისტურ შეფასებას აძლევდა საბჭოთა კავშირს, გამოჰქონდა დასკვნა, რომ სსრკ-ს სიცოცხლის უნარი არ აქვს და კატასტროფის ზღვარზეა... ერთ-ერთი საუბრის დროს მან მითხრა კლავდიოზ სულთანიშვილთან მისი კავშირის შესახებ... საუბრობდა შინსახკომში კ/რ ორგანიზაციის არსებობის შესახებ”... დაპირისპირების ოქმი საკმაოდ ვრცელია. აბაშიძე უფლებას ითხოვს, რამდენიმე კითხვა დაუსვას გამსახურდიას. ის დაჟინებით მოითხოვს დაპირისპირებული მხარისგან, დააკონკრეტოს, სად, რა ვითარებაში და რა თემაზე საუბრობდა მასთან. „მე ვთქვი ყველაფერი“, – უპასუხებს გამსახურდია. „შურა, რატომ ლაპარაკობ ტყუილს, გაიგე, შენ მე მღუპავ“. გამსახურდია კი მაინც იმავეს იმეორებს: „მე სიმართლე ვთქვი და ვიმეორებ“. იგი ისე იყო ნაწამები, რომ უყოყმანოდ დაასახელა რამდენიმე ცნობილი და წარმატებული (რეპრესიებს გადარჩენილი) პირი, მათ შორის, ყოფილი ფეხბურთელი (1921 წლამდე), შემდგომში კი ცნობილი კინომსახიობი და კინორეჟისორი, ლევან ხოტივარი: „პირადად მე კ/რ ორგანიზაციაში ჩავითრიე სახკინმრეწვის მსახიობი ხოტევარი (სტ. დაცულია) და არმიის თანამშრომელი ივანე სააკაშვილი. ხოტევარი თითქმის ყოველდღე დადიოდა სტადიონზე, ფეხბურთით იყო გატაცებული. მასთან პირველსავე საუბრისას მივხვდი, რომ ხისტი განწყობა ჰქონდა სსრკ-ის მიმართ. ვისარგებლე ამით და ვთხოვე, სახკინმრეწვში დაეარსებინა კ/რ ორგანიზაცია. თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას ეს შეეძლო... მე ხოტევარი გადავიბირე 1936 წელს“ (დაკითხა გამომძიებელმა სავიცკიმ*). მიუხედავად დაპირისპირებულის

* ამასთან დაკავშირებით ლევან ხოტივარის ვაჟიშვილი, კინორეჟისორი ბუბა ხოტივარი იხსენებს: „ეს ფაქტი მამაჩემამდე ამ სახით არ მოსულა, მაგრამ მისგან მონაყოლიდან ვიცი, რომ 1937-38 წლების მიჯნაზე მასთან მოსულა ჩვენი მეზობელი, მამაჩემთან დაახლოებული პირი - რუდერმანი, „დინამოს“ ტექსნიკური მუშაკი, ამასთანავე, შინსახკომის თანამშრომელი და უთქვამს (მამაჩემი ხალისიანი კაცი იყო. ანეკდოტებს ყვებოდა კარგად, მათ შორის პოლიტიკურსაც გამოურევდა, ამბობს ბუბა ხოტივარი): „ლევიკო ენას კბილი დააჭირე, ბევრს ნუ ილაპარაკებ... მე შენ ახლა დასაჭერთა სიიდან ამოგშალეო“...

ჩვენებისა, აბაშიძემ ყველაფერი უარყო: „ყველაფერი, რასაც მოწმეები ამბობენ, სრულიად გამოგონილია“* (საქმე №28653, საარქივო №38828).

ამ დაკითხვის ოქმის ასლი ინახება სშსს-ს არქივში. დაკითხვის ფურცელს მიწერილი აქვს საქმე №9, მაგრამ თვითონ საქმე არ იძებნება.

რა აკავშირებდა წარმატებულ ფეხბურთელ ლევან აბაშიძეს „ჩეკასთან“, როგორ გახდა ის ჩეკისტი? პასუხისთვის დავიმოწმებთ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის მკვლევრის დავით ჯიშკარიანის დასკვნებს**: „ლავრენტი ბერია, როგორც პოლიტიკურ ინტრიგებში დახელოვნებული ადამიანი, ძალიან კარგად ხვდება, რომ მას მასისგან ესაჭიროება მხარდაჭერა. მასა კი 30-იან წლებში საქართველოში აბსოლუტურად არის გადართული ფეხბურთზე. ფეხბურთის ინსტიტუციონალიზაციაში ძალიან აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა ჩეკისტი – ლავრენტი ბერია... როგორც კარგი საფეხბურთო და სპორტული მენეჯერი, ჩართულია ამ საქმიანობაში. მას ირგვლივ ჰყავს ფეხბურთზე გაგიჟებული ჩეკისტები: სერგო გოგლიძე, მილშტეინი, ა. გამსახურდია და სხვ.“*** 1936 წლამდე თბილისის „დინამო“ იყო ჩეკისტებისა და მილიციელების გუნდი, რადგან წევრების უმეტესობა არა მარტო ფორმალურად იყო გაფორმებული ამ ორგანიზაციებში, არამედ აქტიურად ახორციელებდა საგამოძიებო საქმიანობებს... 1936 წლიდან „დინამოში“ გაჩნდა პირველი დიდი დაპირისპირება, რადგან დინამოელთა ერთ თაობას უკვე მიეღწია „არასაფეხბურთო“ ასაკისთვის და ლავრენტი ბერია ძველი მოთამაშეების ახლებით ჩანაცვლებას გეგმავდა. როგორც დავით ჯიშკარიანის საარქივო მასალებში მოძიებული ფაქტებიდან ირკვევა, „დინამოელებს“ ბერიასთვის 200-მანეთიანი ფინანსური დახმარება, ე.წ. პრემია მოუთხოვიათ წარ-

* „ასლი ასლიდან“, 1957 წ. 1.XI. გამომძიებელი ჟვანია.

** ნინო თარხნიშვილი. ლავრენტი ბერიას „დინამო“. რადიო „თავისუფლება“. გადაც. მეათე სტუდია. 5 მაისი, 2017 წ.

*** როგორც შემდგომში ცხადი გახდა, ლავრენტი ბერიას „კარგი საფეხბურთო და სპორტული მენეჯერობა“ ახალი საფეხბურთო სტადიონის აშენებასა და ფეხბურთელების „გადაბირებაში“ გამოვლინდა.

მატებული მატჩებისათვის, რაც, მკვლევრის აზრით, ძვირი დაუჯდა „დინამოს“: ერთი მხრივ, ფეხბურთელები თავად იქცნენ სასტიკი რეჟიმის თანამონაწილეებად, მეორე მხრივ კი, თავადვე გახდნენ ამ რეჟიმის მსხვერპლნი. ფეხბურთელებსა და, ამავე დროს, ჩეკისტებს შორის იყვნენ გრიგოლ (ჭიჭიკო) ფაჩულია, მიშა ასლამაზოვი და ლევან აბაშიძე.

ლევან აბაშიძის დაპატიმრებიდან მალევე დააპატიმრეს მიშა ასლამაზოვი. ორივე მათგანის წინააღმდეგ გამოძიებას ატარებდნენ ყოფილი ფეხბურთელები კრიმიანი და სავიცკი (მოგვიანებით მათაც დახვრეტენ), „ოღონდ არა ისეთი გავლენიანები, როგორებიც ლევან აბაშიძე და მიხეილ ასლამაზოვი“, – ამბობს დავით ჯიშკარიანი. ისინი, რა თქმა უნდა, მეგობრებიც იყვნენ, თანაგუნდელები... სწორედ **მიშა ასლამაზოვის** ჩვენებაა განსაკუთრებით საინტერესო: **„კ/რ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის მრავალი პიროვნების დაპატიმრების შემდეგ მე ალექსანდრე გამსახურდიასთან ერთად საუბრისას, ასევე ლევან აბაშიძესთან, არაერთხელ გაგვიმჟღავნებია ძლიერი სიბრაზე და ყველანაირი ცილისწამება შინსახკომის ორგანოსადმი. გამსახურდია მეუბნებოდა, რომ ძალიან ბევრი საქმე „ყალბია“. ვეთანხმებოდი რა მათ, ჩემი მხრიდან მეც ცილს ვაწამებდი პარტიას და ვამბობდი, რომ დაპატიმრება ასეთი დიდი პარტიულებისა და საბჭოთა მუშაკებისა, მეტყველებს პარტიის არასწორ პოლიტიკაზე“.** ამავე ჩვენებაში ასლამაზოვი არ ადასტურებს პატიმრების ცემის ფაქტებს. ლ. აბაშიძეზე კი ამბობს, რომ მან სამტრედიაში იარაღის მოსაძებნად ტყეში ატარა პატიმარი (თუმცა იარაღი ვერ იპოვეს), რომელსაც უთხრა: ხომ იცი, ფეხბურთელი ვარო... მერე ის პატიმარი თბილისში წაიყვანეს”*.

მიშა ასლამაზოვის ჩვენების მიხედვით (თუ ის გულწრფელია და ზეწოლის შედეგად არ საუბრობს ამგვარად), ის, გამსახურდია და აბაშიძე გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას შინსახკომში არსებულ უსამართლობებზე. დაახლოებით იმავეს ამბობს **მიხეილ გიორგის ძე ნაცვლიშვილიც**, რომელიც დაკითხეს ე.წ.

* „ასლი – ასლიდან“, 17.XII.37 წ. (ჩვენება მიცემულია 16 დეკემბერს, ღამით, შინსახკომის სახელმწიფო უშიროების სამმართველოს უფროსის ქობულოვის და მე-4 განყოფილების ოპერრწმუნებული აივაზოვის თანდასწრებით).

ბერიას ჯგუფის პროცესზე. ამ ჩვენებაში ის შეეხო ლევან აბაშიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის „ინცინდენტს“: „1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს ქართველი მწერალი მიხეილ საბას ძე ჯავახიშვილი. მას ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა მუშაობა. პირველ დღეს ჯავახიშვილის დაკითხვა ჩაატარა ბერიამ ქობულოვის და საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილეობით. ამ დაკითხვაზე ჯავახიშვილმა მისცა საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები ანტისაბჭოთა საქმიანობის თაობაზე. მეორე დღეს აბაშიძემ ჯავახიშვილის საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები გადმომცა მე... გამიჩნდა ეჭვი ამ ჩვენების უტყუარობაში... აბაშიძეს მივმართე, რაშია საქმე-მეთქი? მან **რამდენიმე თანამშრომლის თანასწრებით** (რომელთაგან ახლა მახსენდება ერთი, საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი აივაზოვი) მიპასუხა: ჩემთვის რომ ისე ეცემათ, მეც ვაღიარებდი, რომ სიამის ჯაშუში ვარო“. ნაცვლიშვილი იხსენებს აბაშიძის ნაამბობს*: „ბერიას ბრძანებით, ყურის არეში მუშტით ისეთი დარტყმა მივაყენე, რომ ჯავახიშვილი სკამთან ერთად იატაკზე გაგორდა და გონება დაკარგა. ხოლო ბერია იცინოდაო... ჯავახიშვილის დახვრეტის შემდეგ მალე დააპატიმრეს და დახვრიტეს საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსი ლევან კონსტანტინეს ძე აბაშიძე, რომელიც ბერიასთან და ქობულოვთან ერთად მონაწილეობდა ჯავახიშვილის დაკითხვაში. რაში სდებდნენ ბრალს აბაშიძეს – არ ვიცი. მის საქმეს იძიებდა საიცკი. ჩემი აზრი აბაშიძის დაპატიმრების თაობაზე ასეთია: **„ის, ცხადია, დააპატიმრეს იმისათვის** (ხაზგასმა ჩემია – ზ.ც.), **რომ მრავალი თანამშრომლის თანდასწრებით ლაპარაკობდა ჯავახიშვილის ცემის შესახებ ქობულოვისა და ბერიას მიერ მისი დაკითხვისას. სავსებით შესაძლებელია, რომელიმე თანამშრომელმა ამის შესახებ შეატყობინა ქობულოვს ან ბერიას და ეს შეიქნა ძირითადი მიზეზი მისი დაპატიმრებისა“** (კვერენჩხილაძე 2011: 371-373). სავსებით სარწმუნოა, რომ მიშა ასლამაზოვიც

* სავსებით შესაძლებელია, რომ აბაშიძის მონათხრობი ნაცვლიშვილმა საკუთარი თავის გადასარჩენად და ბერიას კომპრომეტირებისთვის მოიგონა.

და ლევან აბაშიძეც გარკვეულ პროტესტს გამოთქვამდნენ იმაზე, რაც მათ თვალწინ და, საუბედუროდ, მათივე მონაწილეობით ხდებოდა. ქალბატონი ელენე ვირსალაძეც, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია რეპრესიების მთელი სისასტიკე, ადასტურებს, რომ ლევან აბაშიძე მისსავე საპროტესტო გამონათქვამს ემსხვერპლა (იხ. ელენე (ლოლოტა) ვირსალაძე, გვ. 523), თანაც ამ ქალბატონის გადარჩენაში დიდი წვლილი სწორედ ლევან აბაშიძეს მიუძღოდა. აბსოლუტური ჭეშმარიტება კი სამუდამოდ დაუდგენელი რჩება. ერთი რამ ცხადია, რომ ლევან აბაშიძესაც და მიშა ასლამაზოვსაც, რჩეულ სპორტსმენებს, საბედისწერო მისია დააკისრეს... ლევან აბაშიძის საზედამხედველო საქმეში დევს ნიკიტა აბრამის ძე კრიმიანის ჩვენება (1955 წ. 7.III). მას ეკითხებიან, იყო თუ არა ის მოწმე აბაშიძის მიერ პატიმრების ცემის ფაქტისა. პასუხობს, რომ იყო ამის მოწმე, მაგრამ პატიმრების გვარს ვერ იხსენებს. ასევე არ ახსოვს კონკრეტული ფაქტები, მაგრამ დარწმუნებულია, რომ აბაშიძესთან ერთად პატიმრებს სცემდნენ მისი თანაშემწე **ნაცვლიშვილი** და დავით ურუშაძე, იმავე განყოფილების თანამშრომლები (14.XI.1957); როგორც ვხედავთ, ჩვენებებზე ორი სხვადასხვა თარიღია მითითებული – 1955 და 1957 წლები. საეჭვოა, რომ ეს ჩვენება სინამდვილეს შეესაბამებოდეს, შეთხზულს უფრო ჰგავს.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ლევან აბაშიძის საქმის საზედამხედველო მოძიება გამოიწვია მისი ძმისშვილის, მიხეილ დავითის ძე აბაშიძის საჩივარმა რეაბილიტაციაზე. საბოლოო დასკვნა ამ საქმეზე ასე გვესახება:

სუკის ლეიტენანტმა გეგელიამ გადახედა საგამოძიებო საქმეების არქივს (საქმე №26007), კონკრეტულად კლავდიოზ სულთანიშვილის საქმეს, და აღმოაჩინა, რომ ის მხოლოდ ერთხელ დაიკითხა. აღწერილია სიყალბეები, რომლებიც მისი საქმის გამოძიებას ფალსიფიცირებულად წარმოაჩენს. კ. სულთანიშვილის საქმე შეწყდა ბრალეულობის უსაფუძვლობის გამო და იგი რეაბილიტირებულია. ასეთივეა დასკვნა მისი მეუღლის, ვერა სულთანიშვილის, საქმესთან დაკავშირებით. ის დაიჭირეს 1937 წლის 20 სექტემბერს, ქობულოვის მიერ მისი დაპა-

ტიმრება კი გაფორმდა 1937 წლის 5 ნოემბერს, რასაც დიდ უზუსტობად მიიჩნევენ. გამომძიებელი, ლეიტენანტი ჟვანია, ადგენს: 1937 წლის 7 დეკემბერს ვერა სულთანიშვილისათვის ტროიკის მიერ გამოტანილი განაჩენი შეწყდეს სამხილების არქონის გამო. გადაწყვეტილებებს კლავდიოზ და ვერა სულთანიშვილებზე ადასტურებს ამიერკავკასიის სამხედრო პროკურატურა (აბაშიძესთან დაპირისპირებისას ვნახეთ, როგორ აღიარებდნენ და როგორ მტკიცედ იცავდნენ ისინი თავიანთ ჩვენებებს, კერძოდ, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად იყვნენ კ/რ შეთქმულების მონაწილენი ბერიას წინააღმდეგ). მათი საქმის გადასინჯვისას დაასკვნეს, რომ მათთან მიმართებით არაკანონიერ მეთოდებს იყენებდნენ.

კონტრრევოლუციურ შეთქმულებაში მონაწილეობა არ დაუმტკიცდა ალექსანდრე გამსახურდიას. ამ ნაწილში იგი უდანაშაულოდ ცნეს, მაგრამ ბრალდებად დარჩა სოციალისტური კანონების დარღვევა და მის მამას უარი ეთქვა შვილის რეაბილიტაციაზე.

ლევან აბაშიძის საქმის დამატებითი გადამოწმებისას დადგინდა, რომ აბაშიძე კ/რ შეთქმულების წევრი არ იყო და გასამართლდა უსაფუძვლოდ. მას არასოდეს უღიარებია დანაშაული; არ უმტკიცდება მოწმეთა ჩვენებები. მიუხედავად ამისა, მის ძმისწულს, მიხეილ დავითის ძე აბაშიძეს, საბოლოოდ უარი ეთქვა ბიძის რეაბილიტაციის მოთხოვნაზე.

ლევან აბაშიძე დამნაშავედ ცნეს 58-7 მუხლით, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი უშვებდა უხეშ შეცდომებს, არღვევდა სოციალისტურ კანონმდებლობას პატიმრების მიმართ და ეწეოდა ფალსიფიკაციას.

ასეთია ტრაგიკული აღსასრული ამ უთუოდ კარგი ფეხბურთელისა და მძიმე ხვედრისთვის განწირული ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ათასობით მისნაირის მსგავსად ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლი გახდა.

დამოწმებანი:

კვერენჩხილაძე 2011: კვერენჩხილაძე, რ. *საბუთები ღაღადებენ.* თბილისი: „უნივერსალი“, 2011.

ადა ნემსაძე

ფიოდორ რადოლინ-გაუკი

მეორე მსოფლიო ომის დროს სამშობლოს ღალატისა და გერმანიის ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებულთა შორისაა გრიბოედოვის თეატრის რეჟისორი და მსახიობი ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკი.

როგორც ირკვევა, ფიოდორ რადოლინ-გაუკის ნამდვილი გვარი გაუკია, ეროვნებით კი გერმანელია. რადოლინი მისი სასცენო ფსევდონიმი ყოფილა*, რომელიც შემდეგ გვარად დაუტოვებია (თეატრალურ საარქივო დოკუმენტაციაში იგი მხოლოდ ამ გვარითაა მოხსენებული). დაბადებულა 1883 წელს ქ. ლენინგრადში, ეროვნებით რუსი (ასე წერია მის პატიმრის ანკეტაში, რომელიც 1941 წელსაა შევსებული). განათლებით ყოფილა იურისტი, საქართველოში ჩამოსვლამდე სასცენო მოღვაწეობას ეწეოდა რუსეთში, კერძოდ, იგი ირიცხებოდა რუსეთის სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის დასის მსახიობად 1911-12 წლებში**.

როგორც ბრალდებულის ცოლის წერილიდან ვიგებთ, ფიოდორ რადოლინი საქართველოში ჩამოსულა 1912 წელს თბილისში ქალაქის სახალხო სახლში (Городской народный дом) სამუშაოდ, მისივე აღიარებითი ჩვენების თანახმად კი, 1918 წლიდან მონაწილეობს გერმანული დრამწრის მიერ მოწყობილ წარმოდგენებში. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქი-

* Чикалин Ратмир. Чикалин и Зелимхан. – http://www.specnaz.ru/article/?1928
** Труппа Малого Театра – 1824-1917 – https://www.maly.ru/pages?name=truppa_17

ვის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში დაცული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იგი 1922 წლიდან უკვე აქტიურად მოღვაწეობს სახელოვნებო სფეროში. კერძოდ, „ახალი თეატრის ზამთრის სეზონის შემადგენლობის კოლეგიების და ჯგუფების სიაში“, რომელიც დათარიღებულია 1922 წლის 13 ოქტომბრით, ჩამოთვლილი არიან რეჟისორები: მარჯანოვი, მარგარიტოვი, რადოლინი*. იგი ასევე არის მონაწილე თბილისში ჩატარებული სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა III ყრილობისა, რომელიც 1923 წლის 3 თებერვალს დილით გახსნილა ოპერის თეატრის სვეტებიან დარბაზში და 8 თებერვალს საღამოს დახურულა სახელმწიფო კონსერვატორიაში. ყრილობას ესწრებოდა 75 დელეგატი საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან (ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი, ჭიათურა). რადოლინი იყო ამ ყრილობის დელეგატთა სიაში თბილისიდან. იგი ყრილობის სხდომათა ოქმებში დაფიქსირებულია, როგორც მდივანი ყველა, როგორც დილის, ისე საღამოს, სხდომისა**.

1933 წელს ფიოდორ რადოლინისათვის მიუნიჭებიათ დამსახურებული მსახიობის წოდება, რისი დამადასტურებელი ამონაწერიც ასევე ინახება ეროვნულ არქივში:

„ოქმი №40 – 1933 წ. 3/XII.

მოისმინეს: ამხ. ფ. ვ. რადოლინის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

დაადგინეს: ამხ. ფ. ვ. რადოლინს მიენიჭოს დამსახურებული მსახიობის სახელწოდება.

თავმჯდომარე : შიპინიცი
*მდივანი: ჩოჩიევი“****.

უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულ ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის დოკუმენტაციაში

---

* უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების გან-ბა, ფონდი №141, ჩანაწერი №1, შეს. ერთ. №82.

** უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების გან-ბა, ფონდი №58, ჩანაწერი №1, შეს. ერთ. № 23.

*** უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების გან-ბა, ფონდი № 141, ჩანაწერი №1, შეს. ერთ. №1417.

მოიპოვება კიდევ ერთი საინტერესო ოქმი, რომელიც თეატრალური სასწავლებლის გახსნას იუწყება (სწორედ ამ საწავლებელში მუშაობდა ფიოდორ რადოლინ-გაუკი დაპატიმრებამდე). საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 4 დეკემბერს მიუღია დადგენილება, რომელშიც წერია: ვინაიდან თეატრალურ ინსტიტუტში არ არის რუსული განყოფილება, გრიბოედოვის თეატრისა, სოხუმის რუსული თეატრისა და თვითმოქმედი კოლექტივებისთვის შესაბამისი კადრების მოსამზადებლად დაერთოს ნება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს, აღადგინოს თეატრალური სასწავლებელი გრიბოედოვის სახელობის თეატრთან და ყოველწლიური მისაღები კონტინგენტი განისაზღვროს არა უმეტეს 15 კაცით*. დოკუმენტაცია ასევე ინახავს ამ სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ რადოლინი დირექტორის მოადგილე ყოფილა უშუალოდ დაპატიმრების წინა წლებში (1939-1941). დოკუმენტაციაში დაცულია მისი საანგარიშო მოხსენებები, რომლებიც წლის განმავლობაში სასწავლებელში სწავლის ხარისხსა და აკადემიურ მოსწრებას შეეხებოდა. ბოლო ოქმი, რომელიც ამ საქაღალდეშია, ეკუთვნის 1941 წლის 10 ივნისს. ყველა ოქმს ბოლოში ერთვის მისი ხელმოწერა**.

როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტაციიდან ჩანს, ფიოდორ რადოლინ-გაუკი საკმაოდ მნიშვნელოვანი ფიგურა ყოფილა სახელოვნებო წრეებში ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან. დაპატიმრების დროს იგი პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად მუშაობდა გრიბოედოვის სახელობის თეატრში არტისტად და რეჟისორად, კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა არსებულ აგენტურულ ცნობებზე დაყრდნობით იგი 1941 წელს დააპატიმრა და ბრალად დასდო შემდეგი: ხელმძღვანელობა იმ თეატრალური წრისა, რომლის საფარქვეშაც მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური ჯაშუშური საქმიანობა, კონტრრევოლუციური ფაშისტური პროპაგანდა და კავშირი გერმანულ დაზვერვასთან.

* უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების გან-ბა, ფონდი №58, ჩანაწერი №1, შეს. ერთ. №23.

** უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ლიტერატურისა და ხელოვნების გან-ბა, ფონდი №58, ჩანაწერი №1, შეს. ერთ. №25. №32.

სისხლის სამართლის საქმე მოცულობითია და მასში ბრალდებულის დაკითხვის რამდენიმე ოქმია შესული. 1941 წლის 26 სექტემბერს დაკითხვისას იგი საუბრობს აღნიშნული ორგანიზაციის შესახებ, ხოლო ამ ორგანიზაციაში მის მოხვედრას ჩაკერტს უკავშირებს.

რადოლინ-გაუკის მიერ დასახელებული რაინჰოლდ ჩაკერტი არის საკმაოდ ცნობილი პიროვნება ქართული კულტურის ისტორიაში, გრიგოლ რობაქიძის მეგობარი და მისი „მეგის“ გერმანულ ენაზე მთარგმნელი. იგი 1935 წლის 21 აპრილს დაუპატიმრებია ამიერკავკასიის ფედერაციის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და ბრალად წაუყენებია ჰიტლერის აქტიური მხარდაჭერა და ანტისაბჭოთა აგიტაცია, რისთვისაც დახვრეტა მიუსჯიათ, რაც 1936 წლის 14 თებერვალს მოუყვანიათ სისრულეში*. ჩაკერტს ჯაშუშური საქმიანობა საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე 1917 წელს დაუწყია, – აღნიშნულია მის სისხლის სამართლის საქმეში. ფიოდორ რადოლინ-გაუკიც აღნიშნავს დაკითხვის დროს, რომ მას დაახლოებით 1918 წლიდან აქვს კავშირი და ნაცნობობა ჩაკერტთან. რაც შეეხება ჯაშუშურ და ანტისაბჭოთა საქმიანობას, მისივე თქმით, ამას 1933 წლიდან ეწეოდა. ამგვარი აღიარების შემდეგ, ბუნებრივია, მასაც იმ „ფაშისტურ-ჯაშუშური რეზიდენტურის“ წევრად მოიაზრებდნენ, რომელიც, საგანგებო კომისიის მასალების მიხედვით, გერმანიის გენერალურ საკონსულოში არსებობდა ბრუნო ფრანკეს ხელმძღვანელობით 1925 წლიდან და რომლის წევრობისთვისაც დახვრიტეს ჩაკერტი.

რადოლინ-გაუკს ბრალი ედებოდა სამშობლოს ღალატში (საქ. სსრ სსკ-ის 58-1 „ა“ მუხლი). 1941 წლის 10 ნოემბრის საბრალდებო დასკვნის მიხედვით, მას ბრალი დაუმტკიცდა და ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო სრულად. 1941 წლის 21 ნოემბერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის

---

* ამ პიროვნების შესახებ მასალა ქ-ნი მანანა კვატაიას ავტორობით გამოქვეყნებულია წიგნში – „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941), თბილისი: „მწიგნობარი“, 2016, გვ. 335-341 – ამიტომ მის ბიოგრაფიულ დეტალებზე ვრცლად აღარ შევჩერდებით.

დახურულმა სასამართლო სხდომამ მოისმინა საქმე ბრალ-დებულის, დაცვისა და მოწმეების გარეშე და გამოიტანა განაჩენი: ფიოდორ რადოლინ-გაუკს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – *დახვრეტა*, პირადი ქონების კონფისკაციით. განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება. შეწყალებისა და დახმარებისთვის შესაბამის ორგანოებს წერილით მიმართეს როგორც სტუდენტებმა, ისე მისმა მეუღლემაც, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გავლენა ვერაფერმა მოახდინა. ფიოდორ რადოლინ-გაუკი დახვრიტეს, შემდეგ კი მისი მეუღლეც გადაასახლეს 10 წლით. 1957 წელს ფიოდორ რადოლინ-გაუკის მეუღლემ ლარისა რადოლინმა შეიტანა თხოვნა ქმრის რეაბილიტაციაზე. იმავე წლის 29 მარტს სასა-მართლომ განიხილა მისი საქმე და უცვლელი დატოვა სამ-ხედრო ტრიბუნალის 1941 წლის 21 ნოემბრის განაჩენი.

ფონდი №6, საარქივო №41226, ტომი №6, რადოლინ-გაუკი ფიოდორ ვასილის ძე

ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკი – დაბადებული 1883 წელს, ქ. ლენინგრადი, ეროვნებით რუსი, პროფესიით იურისტი, არტისტი და რეჟისორი გრიბოედოვის სახელობის თეატრში, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, მცხ. თბილისში, მილიციის ქ. №19.

ფიოდორ რადოლინ-გაუკი იყო ხელმძღვანელი გერმანული თეატრალური წრისა, რომლის საფარქვეშაც მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური ჯაშუშური საქმიანობა. აღნიშნული გერმანული დრამატული წრე ორგანიზებული იყო გერმანიის გენერალური საკონსულოს მიერ, თავის წევრთა შორის ეწეოდა კონტრრევოლუციურ ფაშისტურ პროპაგანდას და საკუთარი წევრებისგან ამზადებდა კადრებს გერმანული დაზვერვისთვის. ამ ჯაშუშური ორგანიზაციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელები იყვნენ ამჟამად გამოაშკარავებული გერმანელი მზვერავები: ბრუნო ფრანკე, ჩაკერტი, ფუფაევი, შნეიკასი, პრისმანი, გაბიხი და სხვ. 1934-35 წლებში ამ ფაშისტურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ ჩაკერტი, პრისმანი და რადოლინ-გაუკი. რადოლინ-გაუკს ჰყავს ნათესავები გერმანიაში, რომლებთანაც ბოლო დრომდე ჰქონდა მიმოწერა. ამ ფაშისტური ორგანიზაციის განადგურების შემდეგ იგი ეწეოდა ძირგამომთხრელ ანტისაბჭოთა აგიტაციას გერმანიის მიერ სსრკ-ზე მუხანათურ თავდასხმასთან დაკავშირებით. იგი ამბობდა: „დამნაშავე არსებულ ომში, სსრკ-სა და გერმანიას შორის არის ჩვენი ქვეყანა (ე. ი. სსრკ) და საუბარი იმაზე, რომ გერმანია ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და რომ ეს იყო მოულოდნელი – სიცრუეა“. ამით რადოლინ-გაუკი იმეორებდა იმავე პროვოკაციულ განცხადებას, რომელსაც ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელები, რომ ომში ნამდვილი დამნაშავე არის საბჭოთა კავშირი.

ამონაწერი დაკითხვის ოქმიდან:

26 სექტემბერი 1941 წ.
10 სთ 45 წთ

კითხვა: გერმანიის აგენტთაგან ვისთან დაამყარეთ კავშირი?

პასუხი: ჩაკერტთან.

კითხვა: ვინაა ჩაკერტი?

პასუხი: სახელი და მამის სახელი არ ვიცი, არის გერმანელი, როგორც მე ვიცი, მუშაობდა საქართველოს სსრ საბჭოთა სახალხო კომისარიატში (совнарком ГССР), თანამდებობა არ ვიცი, იყო აქტიური მოღვაწე გერმანულ დრამწრეში, რომელიც არსებობდა თბილისში 1935 წლამდე.

კითხვა: რა დროიდან იცნობთ ჩაკერტს?

პასუხი: თარიღის დასახელება არ შემიძლია, დაახლოებით, 1918 წლიდან, როცა პირველად მივიღე მონაწილეობა იმ სპექტაკლებში, რომლებიც მოაწყო გერმანულმა დრამატულმა წრემ.

კითხვა: დაასახელეთ, ზუსტად რა დროიდან დაიწყეთ ჯაშუშური საქმიანობა?

პასუხი: გერმანული დაზვერვის ჯაშუშად მუშაობა დავიწყე 1933 წლიდან, ამ საქმიანობის დროს დავუკავშირდი ჩაკერტს მის დაპატიმრებამდე, ანუ 1935 წლამდე მქონდა მასთან ურთიერთობა.

კითხვა: რა სახით დაამყარეთ კავშირი ჩაკერტთან 1933 წელს ჯაშუშური მუშაობისას?

პასუხი: როგორც უკვე გითხარით, მე მას ვიცნობდი ადრეც და ხშირად მიხდებოდა შეხება მასთან გერმანული დრამატული წრის მუშაობისას, რომლის რეჟისორიც მე ვიყავი. მე უკმაყოფილო ვიყავი დრამწრის ცუდი მუშაობით, 1933 წელს ჩაკერტმა მიმიწვია თავის ბინაში, რათა აგვერჩია შესაბამისი პიესები იქიდან, რაც მას ჰქონდა. მე უკმაყოფილება გამოვთქვი და ისევ გავიმეორე, რომ ვაპირებდი მუშაობის შეწყვეტას, რადგან არც წრის მუშაობა და არც ჩემი ხელფასი არ მაკმაყოფილებდა. ამაზე ჩაკერტი გაბრაზდა და თქვა: „ეს საქციელი საფრთხეს უქმ-ნის ჩვენი ორგანიზაციის შემდგომ არსებობასაც“. ჩემს კითხვაზე, რომელ ორგანიზაციაზე იყო საუბა-

რი, მიპასუხა, რომ საუბარია პოლიტიკურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაზე, რომელიც არსებობს და მუშაობს იმ დრამწრის საფარქვეშ, რომლის რეჟისორიც თქვენ ხართ, იგი რამდენიმე წელია არსებობს და შეუძლებელია, მისი არსებობა არ იცოდეთო. ჩემს განცხადებაზე, რომ მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ და თუკი ეს ასე იყო, განვუცხადებდი შესაბამის ორგანოებს და დააპატიმრებდნენ მის წევრებს, მითხრა, რომ მაშინ დამაპატიმრებდნენ მეც, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს. ამის გამო მე გავჩუმდი და დავთანხმდი მუშაობის გაგრძელებაზე დრამწრეში. ამ დროიდან მე თავს ვთვლი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრად, რომელიც არსებობს გერმანული დრამწრის საფარქვეშ და რომლის რეჟისორიც მე ვარ.

საბრალდებო დასკვნა

10 ნოემბერი 1941 წელი

საგამოძიებო საქმისა №1080 ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკის დანაშაულზედ, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58/1-ა მუხლით

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შემოსული ცნობის თანახმად, თბილისში, გრიბოედოვის სახელობის თეატრში იგი ეწეოდა კონტრრევოლუციურ ფაშისტურ საქმიანობას.

დაკითხვისას მან აჩვენა, რომ 1918 წელს თბილისში შეხვდა გერმანიის საოკუპაციო არმიის გენერალ კრესს, რომლისგანაც მიიღო დავალება, მონაწილეობა მიეღო გერმანული დრამატული წრის მუშაობაში და დახმარებოდა გერმანული კულტურის განვითარებას იმ გერმანელ მოსახლეობაში, რომელიც თბილისში ცხოვრობდა. 1933 წლიდან ფიოდორ რადოლინ-გაუკი ხდება კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის წევრი და იწყებს მუშაობას გერმანული დაზვერვის სასარგებლოდ. ჯაშუშურ მუშაობაში იგი ჩააბა გერმანიის დაზვერვის რეზიდენტმა ჩაკერტმა. გერმანული დრამატული წრის რეჟისორად

მუშაობისას იგი აგროვებდა ცნობებს მოსახლეობის პოლიტიკური განწყობის, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების, კოლექტივთან დამოკიდებულების შესახებ და ა. შ. ამავე დროს, ფ. რადოლინ-გაუკი ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, იზიარებდა კონტრრევოლუციურ შეხედულებებს.

ზემოთქმულზე დაყრდნობით მას

ბრალი ედება:

ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკს, დაბ. 1883 წ. ქ. ლენინგრადში, რუსს, იურისტს, არტისტსა და რეჟისორს გრიბოედოვის სახ. თეატრში, უპარტიოს, უმაღლესი განათლებით, მცხ. თბილისში, მილიციის ქ. №19-ში. ოქტომბრის რევოლუციამდე იყო ავსტრიაში, გერმანიაში, ინგლისში, ჰყავს დები საფრანგეთსა და პოლონეთში (ამჟამად გერმანია), რომლებთანაც მიმოწერა აქვს ბოლო დრომდე, მენშევიკური მმართველობისას მუშაობდა გუბერნიის კომისრის მდივნად, დაპატიმრებამდე იყო გრიბოედოვის სახ. თეატრის მსახიობი

იმაში, რომ

იყო ხელმძღვანელი გერმანული თეატრალური წრისა, რომლის საფარქვეშაც მიმდინარეობდა კონტრრევოლუციური ჯაშუშური საქმიანობა ანუ ჩაიდინა დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58/1-ა მუხლით. თავი დამნაშავედ ცნო სრულად.

მივიღე რა მხედველობაში აღნიშნული,

ვადგენ:

საგამოძიებო საქმე №1080 ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკის ბრალდებაზე გადაეცეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალს.

საქმე მოისმინეს დახურულ სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის, დაცვისა და მოწმეების გარეშე. 1941 წლის 21 ნოემბერს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტრიბუნალის დახურულმა სხდომამ გამოიტანა განაჩენი:

ბრალდებული ***ფიოდორ ვასილის ძე რადოლინ-გაუკი*** ცნობილ იქნა დამნაშავედ სამშობლოს ღალატში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58/1-ა მუხლით და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა***, მთელი პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავ-რე: შაიკოვი
წევრები: პაპაიანი, სამთელაძე

სისხლის სამართლის საქმეში მოიპოვება როგორც მისი სტუდენტების, ისე მისი მეუღლის ვრცელი წერილი, რომელშიც ჩამოთვლილია ფიოდორ რადოლინ-გაუკის დამსახურებანი და საქმიანობა. ნაწყვეტი აღნიშნული წერილიდან:

ჩემი მეუღლე საქართველოში ჩამოვიდა 1912 წელს. თბილისში ქალაქის სახალხო სახლში სამუშაოდ. იგი ასევე მუშაობდა ქ. სოხუმის თეატრში 1920-21 წლებში; კასპინელის უმეფე დაბსაწინდა თბილისში და მუშაობდა თეატრებში: სახალხო სახლში, პოლიკლინიკების მიეკან თეატრში, სოფლათვა-ალეკინის ტამაფლენ თეატრში, ხელმძღვანელობდა ჰაყსა სახელმწიფო აკადემიურ დრამას, მუშაობდა ნიოელი ანმის თეატრში, კინოლოგიის სახ. თეატრში. კარგა ამბავი, ეროდა ბედგეოგიურ საქმიანობას, იყო კინოლოგიის სახ. თეატრალური სასწავლებლის დირექტორი.

1957 წელს ფიოდორ რადოლინ-გაუკის მეუღლეს, ლარისა რადოლინს, დაუწერია თხოვნა ქმრის რეაბილიტაციის მოთხოვნით. 1957 წლის 29 მარტს სასამართლომ განიხილა მისი საქმე და დაეთანხმა სამხედრო ტრიბუნალის განაჩენს. მთხოვნელს უარი ეთქვა რეაბილიტაციაზე.

დავით კავსაძე

ქართველი ლოტბარი და მომღერალი დავით (დათაშკა) სანდროს ძე კავსაძე დაიბადა 1907 წლის 10 აგვისტოს ცნობილი ქართველი ლოტბარის, სანდრო კავსაძის ოჯახში. 1929 წელს სწავლა დაიწყო თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებელში, შემდეგ კი კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მოგვიანებით გუნდის დირიჟორის სპეციალობას დაეუფლა და ხელმძღვანელობდა თბილისის სკოლების, ტექნიკუმებისა და მუშფაკების გუნდებს.

1941 წლის 12 დეკემბერს დათა კავსაძე გაიწვიეს ომში, მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც სახელმწიფო ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ეს გაწვევა არ უნდა შეხებოდა. ომში გაიწვიეს მისი ძმა გიგუშაც. გიგუშა ქერჩთან დაიღუპა, ხოლო დავითი 1942 წლის 18 მაისს ქერჩთანვე ჩაუვარდა გერმანელებს ტყვედ. შვილი, კახი კავსაძე, იგონებს*: „იმ დროს ანსამბლის რიგით მომღერლებს ჰქონდათ ჯავშანი, არამც თუ ხელმძღვანელს. ძალაუნებურად იფიქრებ: „ჩაუწყვეს“ და განგებ დაუმალესო. მამაჩემიც ადგა, დაიხურა ქუდი და წავიდა ფრონტზე. რა თქმა უნდა, ქერჩში უკრეს თავი (მოგვიანებით დათაშკა სწერდა დედაჩემს, ქერჩში ზღვაც იწვოდაო). როცა ტყვედ ჩა-

* კავსაძეები, მონოგრაფია. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. თბილისი, 2007 წ. გვ. 19.

ვარდა, მერე თქვეს, აგერ არ იყო ჯავშანიო?! კავსაძეები მტრიანი გვარია, მაგრამ ესეც ხომ არის, „კარგია მუდამ მტრიანი!“ ტყვედჩავარდნილ ოფიცრებსა და პოლიტხელებს გერმანელები ადგილზე ხვრეტდნენ. დათაშკას ჩხრეკისას ფოტოსურათი უპოვეს: მეუღლე და ორი პატარა ბიჭი – მე და იმერი. დიდხანს უყურა გერმანელმა ოფიცერმა ფოტოს, მერე დათაშკას და უთქვამს: ასეთი ცოლ-შვილის და გარეგნობის კაცი კომუნისტი ვერ იქნებიო. იმჯერად დათაშკა აშკარა სიკვდილს გადაურჩა. ჩვენ დიდხანს არ ვიცოდით მისი ტყვედ ჩავარდნის ამბავი – დაღუპული გვეგონა“.

დავით კავსაძე ტყვედ აიყვანეს წოდებით – პოლიტხელი დათაშკა კავსაძე. იგი შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას, თუმცა ბანაკში ყოფნის დროს ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შეერყა. ქართველი ემიგრანტების დახმარებით მკურნალობის კურსი გაიარა და კვლავ ვუსტროვის ბანაკში დაბრუნდა. ემიგრანტებისვე ხელშეწყობით დავით კავსაძემ დაიწყო ქართველი ტყვეებისგან მომღერალ-მოცეკვავეთა ეთნოგრაფიული გუნდის ჩამოყალიბება (არქივში დაცულია გუნდის ფოტო. იხ. დანართის სახით). იგი აგროვებდა ქართველ ტყვეებს, განურჩევლად იმისა, იცოდნენ თუ არა სიმღერა. ეს იყო ერთგვარი ხერხი ქართველი ტყვეების საშინელი პირობების შემსუბუქებისა. ქართველ ტყვეებთან ერთად მან სიკვდილს არაერთი სომეხი, აზერბაიჯანელი თუ ებრაელი ტყვე გადაარჩინა, რომლებიც ბანაკში შესულ დავითს, დაძახილზე – თუ ქართველი ხართ ვინმე, გამოდითო, – ეხმიანებოდნენ. ზოგ მათგანს შემდეგ გაქცევაშიც დაეხმარა.

1943 წლის 26 მაისს გუნდმა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ბერლინში, ბეთჰოვენის სახელობის საკონცერტო დარბაზში იმღერა. სწორედ აღნიშნულ კონცერტზე შესრულდა კავსაძის მიერ დაწერილი „სიმღერა თეთრ გიორგიზე“, რომლის ტექსტი, როგორც საგანგებო სამხილი, საქმეში ინახება*. ცნობილია, რომ არსებობდა აღნიშნული კონცერტის ჩანაწერი, თუმცა იგი უკვალოდაა გამქრალი. დღემდე უცნობია ტყვეთა გუნდის რეპერტუარის სხვა აუდიოჩანაწერების ადგილსამყოფელიც.

* ფონდი №6, საქმე № 46206, ტ. 3, ფურც. 368. ფოტო იხ. დანართის სახით.

1944 წლის ოქტომბერში ქართველი ემიგრანტების – ფრიდონ წულუკიძის, მიხეილ კედიას და გოგი მაღალაშვილის – გადაწყვეტილებით, ანსამბლის წევრები ჩაირიცხნენ გერმანიის არმიის – „სს“ – ქართულ საკავალერიო პოლკში. ამავე წელს, ბერლინის ევაკუაციის დროს, აღნიშნული პოლკი იტალიაში გადაისროლეს. სწორედ ამ დროს მიიღო კავსაძემ გადაწყვეტილება, შეერთებოდა იტალიელ პარტიზანებს და 1945 წლის 10 მაისს ინგლისის ჯარის ნაწილებს ჩაბარდა, რომელთაც იგი საბჭოთა სარდლობას გადმოსცეს.

დავით კავსაძემ, მიუხედავად იმისა, რომ ურჩევდნენ, სამშობლოში არ დაბრუნებულიყო, რადგან დააპატიმრებდნენ, მაინც ცოლ-შვილთან დაბრუნება არჩია. იგი თბილისამდე ვერ ჩამოვიდა. 1946 წლის იანვარში სოჭში დააპატიმრეს. 1946 წლის 11 მაისს თბილისის სამხედრო სასამართლომ მას 10 წლით შრომა-გასწორების ბანაკში გადასახლება შეუფარდა, ხმის უფლების 5 წლის ჩამორთმევითა და პირადი ქონების კონფისკაციით. დღემდე უცნობია, როგორ გარდაიცვალა 1952 წელს გადასახლებაში დათა კავსაძე – იყო ეს ბუნებრივი სიკვდილი თუ დახვრიტეს. უცნობია მისი საფლავიც. საბჭოთა კავშირში კარგა ხანს აკრძალული იყო მისი ხსენება. კავსაძის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები არ იყო მითითებული არც ლადო გეგეჭკორის წიგნში „ქართული ხალხური სიმღერის ოსტატები“ (1966 წ.), რომელშიც მისი ბიოგრაფია 1941 წელს ქერჩში გაწვევით და დაღუპვით მთავრდებოდა.

დათა კავსაძის მეუღლემ, თამარ კავსაძემ, 1959 წლის 22 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორს მეუღლის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით*, თუმცა უარყოფითი პასუხი მიიღო. კავსაძის საქმეშივეა დაცული დათა კავსაძის შვილის, ქართველი მსახიობის, კახი კავსაძის მიერ სტალინისადმი გაგზავნილი წერილი**, რომელშიც 10 წლის ბავშვი მამის განთავისუფლებას სთხოვს „პაპა სტალინს“ (ფოტო იხ. დანართის სახით).

განაჩენის მიხედვით***, კავსაძემ ქართველი ემიგრანტი მაღალაშვილის ხელშეწყობით შექმნა ქართველი ტყვეებისგან შემ-

* ფონდი № 6, საქმე № 46206, ტ. 1, ფურც. 420.
** ფონდი № 6, საქმე № 46206, ტ.2, ფურც. 55.
*** ფონდი № 6, საქმე № 46206, ტ.1, ფურც. 400.

დგარი ეთნოგრაფიული გუნდი, რომლისთვისაც თავად არჩევდა რეპერტუარს. დაწერა მენშევიკური მუსიკა „თეთრი გიორგი“, რომელსაც თავადაც ასრულებდა გუნდთან ერთად. ასევე რეპერტუარში ჰქონდათ მენშევიკური ჰიმ-ნი „დიდება“. 1943 წლის 26 მაისს გუნდთან ერთად გამოვიდა ბერლინში საღამოზე, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო კავსაძე და რომელიც ეძღვნებოდა ყოფილი მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნას. კავსაძე ატარებდა კონცერტებს ტყვეთა ბანაკებში, გუნდის წევრები სისტემატურად ისმენდნენ ქართველი თეთრემიგრანტების ლექციებს. განაჩენშივეა აღნიშნული, რომ კავსაძე განსაკუთრებული დამსახურებისთვის 1944 წლის აგვისტოში ავსტრიაში გაგზავნეს სამი თვით დასასვენებლად. 1944 წლის ოქტომბერში კი იგი თავის გუნდთან ერთად თავისი ნებით ჩაირიცხა პოლკოვნიკ წულუკიძის მიერ შექმნილ ქართულ საკავალერიო პოლკში – „სს“. „ომის დამთავრებამდე, ჩრდილოეთ იტალიაში გერმანელების მასობრივი უკან დახევის დროს, თეთრემიგრანტ კერესელიძესთან შეთანხმებით, კავსაძემ ორგანიზება გაუკეთა საკუთარი გუნდის შემადგენლობის იტალიელ პარტიზანების მხარეზე გადასვლას. ამ გზით ცდილობდა, დაემალა გუნდის წევრების იტალიელი პარტიზანების წინააღმდეგ გამოსვლები და საკუთარი თავი გადაერჩინა. 1945 წლის 27 აპრილის ღამეს კავსაძე შეუერთდა პარტიზანებს, მაგრამ მათ მიერ არაფერი გაკეთებულა გერმანული ჯარის წინააღმდეგ“.

ასეთია სისტემის თვალით დანახული ისტორია დავით კავსაძისა. საგულისხმოა, საქმეში არსებული კავსაძის რამდენიმეგვერდიანი ჩვენება, რომელშიც ის დაწვრილებით ყვება ტყვედ ჩავარდნის, გუნდის შეკრების, ქართველ ემიგრანტებთან თანამშრომლობისა და შემდეგ სამშობლოში დაბრუნების ამბავს. იგი ამბობს, რომ მისი მიზანი არასდროს ყოფილა სამშობლოს ღალატი, რომ არასდროს გადასულა მტრის მხარეზე

და რომ ყველა მისი ქმედება ჩვენი ქვეყნის კულტურის პოპუ-ლარიზაციას ემსახურებოდა. თუმცა ამბის ამგვარი ვერსია მიუღებელი იყო სისტემისთვის. იგი სწორედ სამშობლოს ღა-ლატისთვის იქნა გასამართლებული და დასჯილი.

ფონდი №6, საარქივო № 46206, ტომი 3

ამონაწერი დავით კავსაძის ჩვენებიდან (იბეჭდება შემოკლე-ბით . სტილი დაცულია):

„1941 წლის დეკემბერს მობილიზაციით გაწვეული ვიქენი ჯარში, გაგზავნილი ვიყავი ქ. ბაქოს რაიონში, დაბა ლოკბატ-ში, პოლიტ-მუშაკების კურსებზე, რომელიც სასწრაფოდ იყო გამოშვებული და თებერვლის 1-ლ რიცხვებში გაგვაგებინეს ქერჩის ფრონტზე, სადაც პირველ ხანებში ვიყავი თადარიგში, რის შემდეგ მივიღე ბრძანება ნაწილში გამოძახების. ნაწილში გამოვცხადდი 1942 წლის მარტის თვეში, სადაც გამაფორმეს როგორც დივიზიის კლუბის უფროსის მოადგილე 224-ე ქარ-თულ მსროლელ დივიზიაში.

აპრილის თვეში გავხდი ავად და მოთავსებული ვიყავი მედ-სანბატში. მედსანბატში დავყავი დაახლოვებით 2 კვირამდე, ავადმყოფობამ გამიმეორა კიდევ მაისში და 1942 წლის 8 მაისს მომათავსეს იმავე მედსანბატში. 1942 წლის 11 მაისს დაიწყო უკან დახევა. დივიზიის პოლიტ-განყ-ბის უფროსის ბრძანებით მოვიდა ბრძანება, რომ რაც შეიძლება მალე წავსულიყავით კერ-ჩის მიმართულებით, რათა მოსალოდნელი იყო მტრის მოახლოე-ბა. პოლიტ განყ-ის უფროსის ბრძანებით ჩამსვეს რედაქციის მანქანაში და გაუდექით გზას ქერჩის მიმართულებით, მაგრამ ჩვენი განლაგების ადგილიდან, საიდანაც ვიყავი გამოგზავნილი, დაახლოებით 16 კილომეტრის შემდეგ უკვე მანქანით გადასვლა შეუძლებელი იყო, რადგან დასაძლევი იყო მდინარე და იძულე-ბული ვიყავი, რომ ფეხით დავდგომოდი გზას და 13 თუ 14 მაისს მივაღწიეთ გადასასვლელს. ვეცადე ძალიან, რომ როგორმე მოვხვედრილიყავი გადამყვან ტრანსპორტზე, მაგრამ ამ ცდამ არ გაამართლა.

15 თუ 16 მაისს მოახდინეს მობილიზაცია გადასასვლელზე მყოფ დაქსაქსულ ხალხის, მათ შორის ჩემიც და წაგვიყვანეს

თავდაცვით სამუშაოზე, სადაც მსუბუქად ვიყავი დაჭრილი საჰაერო ქვემეხისა და მინამიოტის ცეცხლის შედეგად, რის შემდეგ გამოყვანილი ვიყავი და დაბრუნებული ისევ გადასასვლელზე.

ცდა იმის შესახებ, რომ როგორმე მომეხერხებინა გადასვლა, უშედეგოდ დარჩა, რადგან ჩვენივე ხალხი ტყვიით უმასპინძლდებოდნენ მათ, ვინც კი მოიწადინებდა გადასვლას და მიუახლოვდებოდა პრისტანს. 16 თუ 17 შევხვდი გადასასვლელზე გაიოზ კანდელაკს, რომელსაც შეუძლიან დაადასტუროს ჩემი გამოუვალი მდგომარეობა. მტერი უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა გადასასვლელს და იმის შედეგად, რომ მიგვამწყვდიეს ზღუდეზე და არავითარი შესაძლებლობა არ იყო სადმე გასვლის, 18 მაისს გერმანელებმა აგვიყვანეს ტყვედ. გაგვრეკეს ქ. ჯანკოის მიმართულებით.

[...]როდესაც მიმიყვანეს ჯანკოისში, საშინელი რეპრესიების ქვეშ სცდილობდნენ, რათა მეღიარებინა ჩემი ვინაობა*, რაკი ჩემგან დადებითი პასუხი ვერ მიიღეს, დამაპატიმრეს. დაპატიმრებული ვიყავი შვიდ დღეს და მეშვიდე დღეზე ისევ გამომიყვანეს დაკითხვაზე, ვერც მაშვინ მიიღეს ჩემგან დადებითი პასუხი, რის შემდეგ ე.ი. იმავე დღეს გამგზავნეს ტყვეთა ლაგირში ქ. ჯანკოიზში.

ლაგირში ყოფნის დროს შევადგინე გუნდი, ამის გარდა მიხდებოდა ხოლმე შავი სამუშაოს შესრულება, როგორც ლაგირში, ასევე ლაგირის გარეთ.

ჯანკოიზში დავყავი 1942 წლის ივნისის თვიდან 1942 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე, რის შემდეგ წამიყვანეს უკრაინაში ქ. პროსკუროვში ტყვეთა ლაგირში. აქ დავყავი 1942 წლის სექტემბრიდან 1943 წლის მარტამდე. პროსკუროვში ყოფნის დროს გერმანიიდან ჩამოვიდა ემიგრანტი სანაძე, რომელმაც წინადადება მომცა თანხმობა გამეცხადებინა ბერლინში წასვლაზე, რაზედაც ჩემგან უარი მიიღო. ნოემბერში გავხდი სიპნოი ტიპით ავად.

1943 წლის 8 მარტს დილის წყობილებაზე გამომიძახა ლაგირის უფროსმა და მიბრძანა, რომ ახლავე შეჰკარით თქვენი ბარგი და გამოცხადდით ლაგერის კომენდატურაში. ლაგერის

* გერმანელები ცდილობდნენ, გაეგოთ ტყვის სტატუსი. ეჭვობდნენ, რომ იგი გერმანელი კომისარი იყო. თუმცა კავსაძე დაჟინებით იმეორებდა, რომ იგი ჩვეულებრივი რიგითი იყო.

კომენდატურიდან წამოგვიყვანეს ქ. პროსკუროვის კომენდატურაში, საიდანაც გამაყოლეს შეიარაღებული მცველი, ჩამსვეს მატარებელში და მომიყვანეს ქ. ბერლინში. ბერლინში ღამე გავათენე სადგურის კომენდატურაში-საპატიმროში და დილით კი წამიყვანეს, ჩამსვეს მატარებელში და მიმიყვანეს ვუსტრაოს ტყვეთა ლაგირში მარტის 11 თუ 12. ვუსტრაუსში იყო ორი ლაგირი, ამ ლაგერს უწოდებდნენ ერთ დახურულ ლაგირს და მეორეს კი – ღიას. მე პირველად მოვხვდი დახურულ ლაგირში, ამავე ლაგირში 19 მარტს მოიყვანეს კელცის ლაგირიდან ერთი ჯგუფი ქართველების. ამ ჯგუფში, როგორც შემდეგ გამოვარკვიე, იყო მომღერალთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა კ. გაბუნია. გუნდის მოსმენის შემდეგ, რომელიც ტარდებოდა შინაურულ პირობებში, წევრებმა გამოსთქვეს სურვილი, რათა ამეღო ხელმძღვანელობა, რაზეც განუცხადე თანხმობა. ვინაიდან დახურულ ლაგირიში გუნდის მუშაობას ძალიან ხელს უშლიდა ცუდი პირობები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ხალხი ძალიან დატვირთული იყო სამუშაოებით, როგორც ლაგირში შიგნით, აგრეთვე ლაგირის გარეთ, ამიტომ შესაძლებლობა არ იყო, რათა გუნდის მეცადინეობა ჩატარებულიყო, რამაც იძლებული გამხადა შემეჩერებინა მუშაობა, რადგან არავინ ხელს არ გვიწყობდა და გერმანელებთან კი საერთო ენის პოვნა ჩვენთვის ძალიან ძნელი იყო.

1943 წლის აპრილის თვეში გადამიყვანეს მეორე ლაგირში, რომელსაც უწოდებდნენ თავისუფალ ლაგირს. აქ იყვნენ ქართული განყ-ბის წარმომადგენლები ბერლინიდან, რომლებიც ფაქტიურად ითვლებოდნენ ჩვენ მეთვალყურეებად. ამათი საშუალებით მოვახერხე დახურული ლაგირიდან ევლო ხალხს მეორე ლაგირში ვითომ სამუშაოდ და ნამდვილად კი ვატარებდი ხოლმე მათთან საგუნდო მეცადინეობას. თავისუფალ ლაგირში ჩამოვიდა ქართული განყ-ბის უფროსი გოგი მაღალაშვილი, რომელმაც მოისმინა ჩვენი გუნდი. მე ვინაიდან გუნდის შემადგენლობა არ მაკმაყოფილებდა, ვთხოვე, რომ გუნდის რაოდენობა გაეზარდათ, ვინაიდან მე უკვე მქონდა ცნობები, თუ სად შეიძლებოდა ასეთი ხალხის გამოძებნა. მაღალაშვილი ესაუბრა ჩვენ ხალხს, ამას ქონია კერძო ხასიათი და როდესაც აპირებდა წასვლას, მითხრა, რომ თქვენ განაგრძეთ მუშაობა და ბერლინში მოველაპარაკები იმის შესახებ, რომ მოხერხდეს გუნდის გადიდება, რის შემდეგ თქვენ ყველაფერს გაცნობებთო.

მაისის თვეში გამომიძახეს ბერლინში და მითხრეს, რომ თქვენმა გუნდმა უნდა მიიღოს მონაწილეობა 26 მაისის სხდომაზეო. ერთი სიტყვით გუნდი განაგრძობდა მუშაობას და 24 მაისს დახურული ლაგირიდან გუნდის შემადგენლობა და ვგონებ კიდევ სხვებიც, რომლებიც გუნდის გარეთ იყვნენ, გამოიყვანეს მეორე ლაგირში. გუნდმა მონაწილეობა მიიღო 26 მაისის სხდომაზე.

[...]ქართულ ლეგიონში ვიცოდი, რომ არსებობდა გუნდი, რაზედაც მე ამის შესახებ ადრე ველაპარაკე მაღალაშვილს, რომ როგორმე იქნებ მოხერხებულიყო, რათა გუნდი ლეგიონისა გადმოეყვანათ და შეგვეერთებინა ჩვენთან. [...] ჩემი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი ხალხი წამომეყვანა ლეგიონიდან, მაგრამ მე ამის საშუალება არ მქონია. მაგრამ მაინც მივაღწიე იმას, რომ 2 კაცის მაგივრად 8 კაცი წამოვიყვანე. მათ შორის: 1) წურწუმია ილია; 2) ქავთარაძე; 3) სოფრომაძე; 4) იორამაშვილი; 5) გრძელიშვილი თუ გრძელიძე. დანარჩენების გვარები არ მახსოვს“ (შემდეგ კავსაძე წერს, რომ მას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა, პარიზში იმკურნალა, თუმცა სრულად ვერ გამოჯანმრთელდა, რის გამოც გადაწყვიტეს მისი გაგზავნა საფრანგეთის რომელიმე კურორტზე, თუმცა ეს არ მოხერხდა შემდეგი გარემოების გამო): „ერთ-ერთ ქართულ რესტორანში, სადაც ღვინოს ვსვამდი, შევსვი სტალინის სადღეგრძელო. ამის შესახებ ხელათ მიუტანეს ამბავი მიხეილ კედიას, რომელმაც ალბათ კიდევ სხვას უთხრა და მარტში ჩამოდის პარიზში კედია და მაღალაშვილი, რომლებმაც გამომიძახეს სასტუმროში, სადაც მაღალაშვილი ცხოვრობდა, რომლებმაც წინადადება მომცეს, რათა ორ დღეში პარიზი უნდა დამეტოვებინა და თან გამაფრთხილეს, რომ ასეთს შემდეგში ადგილი არ ქონებოდა.

[...] 1944 წლის მაისში ჩამოვედი ისევ ვუსტრაუსში, სადაც მივიღე მომღერალთა გუნდი პაპიჯანაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ორივე გუნდი გავაერთიანე და 1944 წლის 1-ლ თუ 2 ივლისს მივიღეთ მონაწილეობა კავკაზიურ საღამოზე, სადაც კავკაზიის ყველა ერები ღებულობდნენ მონაწილეობას და მათ შორის ჩვენც, პოტსდამში. ამის შემდეგ ვბრუნდებით უსტრაუზში, გვაძლევენ წინადადებას, რომ ვინაიდან თქვენი ლაგირი გაგანთავისუფლებთ და ჩვენ თქვენი შენახვა არ შეგ-

ვიძლია, ამისთვის რომ გუნდი არ დაიშალოს, ყალიბდება ქართული ცხენოსანთა ნაწილი უნგრეთში და თქვენ იქ წახვალთ არა როგორც ჯარისკაცები, მხოლოდ მაინც საჭირო იქნება თქვენი ფორმალურად გაფორმება, რომ არავინ არ შეგედაოს თქვენ შენახვაშიო, წახვალთ იქ და იქნებით როგორც გუნდი და არავითარი საქმე არ გექნებათ, გარდა გუნდისა. ამ ხნის განმავლობაში ლაგერზე ბრძანება მოვიდა, ყველანი გაგვწერეს ლაგერიდან და გადაგვცეს ქართული კომიტეტის განკარგულებაში. ბერლინში კი კატეგორიულად დაგვისვეს საკითხი, რომ ჩვენ ან უნდა გაგვგზავნონ ქარხნებში სამუშაოდ, ან და ჩავეწეროთ ამ ნაწილშიო, თანაც გვითხრეს, რომ ეს არ ვრცელდება იმ ჯგუფზე, რომელიც პაპიჯანაშვილმა ჩამოიყვანაო, ესენი თავიდანვე როგორც სამხედროები არიან ჩვენს განკარგულებაში და მთლიანად წავლენ ნაწილში და თქვენ კი როგორც გინდათ, ისე გააკეთეთო. ძველმა ჯგუფმა, ზოგიერთების გამოკლებით, ყველამ უარი განაცხადა. დაიწყო ამ ხალხის გაფორმება. [...] ის ხალხი, რომლებიც გააფორმეს – გაგზავნეს უნგრეთში. მე კი დამტოვეს და მიჭიანურებდნენ გაფორმებას, მათთვის არ იყო საინტერესო მე წავიდოდი თუ არა. ... ხალხი დაგზავნეს სამუშაოზე, უფრო სწორი იქნება ვთქვა დაქსაქსეს სხვადასხვა ადგილებზე და ზოგს კი სრულიად სამუშაო არ ქონდა. ბოლოს როგორც იქნა მეც გავფორმდი და წავედი უნგრეთში, გამოვცხადდი თუ არა, საყვედურიც კი მითხრა წულუკიძემ, რა გინდოდა რომ მოდიოდი, წადი დაისვენეო. ჩემთან შეუთანხმებლად გამოგზავნეს ქაღალდი და მომცეს მიმართულება ავსტრიაში რორბახში, სადაც იყო ქართული დასასვენებელი სახლი.“

ჩვენების თანახმად, რორბახიდან იგი გერმანიიდან ჩამოსულ ტყვეებთან და ემიგრანტებთან ერთად იტალიაში წაიყვანეს. კავსაძის ჩვენებით, ფრიდონ წულუკიძე საშუალებას არ აძლევდა მას, ყოფილიყო გუნდთთან, თუმცა კავსაძემ მაინც მოახერხა ეს და 27 აპრილს მოაწყო შეიარაღებული გაქცევა და ნაწილიდან გუნდთან ერთად ას შვიდი კაცი გაიყვანა. თავისი მოქმედების მიზნად იგი გერმანელებთან ბრძოლას ასახელებს. იგი წერს, რომ 1945 წლის 10 მაისს ინგლისელებმა წამოიყვანეს და მოიყვანეს სამხრეთ იტალიაში, საბჭოთა ლაგირში. შემდეგ

წაიყვანეს ავსტრიაში და ბოლოს – კალინინის ოლქში, სადაც 1945 წლის 23 დეკემბერს განთავისუფლება მიიღეს.

„ჩემი ტყვეობაში ყოფნის დროს და განსაკუთრებით ის მიზეზები, რომ თუ რამ მაიძულა გუნდი მყოლოდა, ეს იყო, რომ სამშობლოდან მოშორებული ხალხის გულში არ შემენელებინა და არ მისცემოდა დავიწყებას ის სიყვარული, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე მოისმენდა ჩვენში ჩვენს ჰანგებში ქართველი ტყვე თავის ქვეყანაზე. საბჭოთა კავშირიდან ჩვენს სამშობლოს შვილებს, რომლებიც საშინელ წამებას განვიცდით და სიცარიელეს გადაგვარებული გახრწნილი ევროპის ლაგერებში, საჭიროებდა მორალურად მხარის დაჭერას, მთელ ამ პირობებში, რაც მე მიხდებოდა ვუსტრაუს ლაგირში ყოფნა, არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ვახდენდი არა ლეგარულ რადიოს მოსმენას, რომელიც სასტიკად იყო აკრძალული, არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ზოგიერთ ყმაწვილებთან საუბარი მქონია იმაზე, რომ თუ როგორი არის თვითეული ჩვენთაგანის როლი გერმანელ საქციელების წინააღმდეგ. [...] ნუთუ ჩვენ არ უნდა გვეჩვენებინა ჩვენი კულტურა იმ დროს, როდესაც გამხეცებული ფაშიზმი თავისი პროპაგანდით გაჰკიოდა საბჭოთა ერების უკულტურობას და მეც ჩემი მხრივ დავუმტკიცე, რომ არც ისეთი უკულტურონი და უვიცნი ვართ, როგორც თქვენ ეს წარმოგიდგენიათ. ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის პატრიოტები და ვფიქრობთ, რომ ცუდი ჩემი ქვეყნისთვის არ გამიკეთებია.

1921 წლიდან, ბავშვობის ასაკიდან ვმუშაობ ამ დარგში, გავიზარდე საბჭოთა კავშირში და ვფიქრობ, რომ შემდეგშიდაც მთელი ჩემი ცოდნა, გამოცდილება და შესაძლებლობა დავანაცვლო ჩვენს საბჭოთა კავშირს.“

დ. კავსაძე – ხელს აწერს

1/1-1946

დამოწმებანი:

ბარბაქაძე 2017: ბარბაქაძე მ. *საქმე № 294 – დავით კავსაძე.* საარქივო მოამბე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. თბილისი: 2017. №17.

კავსაძეები 2007: კავსაძეები. *მონოგრაფია.* საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი. თბილისი: 2007.

ადა ნემსაძე

გრიგოლ კოსტავა

საქართველოს სახალხო არტისტი, მსახიობი გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავა 1907 წლის 4 იანვარს დაიბადა ქ. ქუთაისში. 1924 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-2 გიმნაზია და მუშაობა ქუთაისის თეატრში დაიწყო. აქედან იწყება მისი სამსახიობო კარიერაც: 1925-26 წლებში ჭიათურის, 1928 წლიდან კი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია; 1934-40 წლებში პარალელურად მუშაობდა თბილისის თოჯინების თეატრშიც, სადაც ჩრდილების თეატრი დააარსა. გრიგოლ კოსტავა იყო ცნობილი ქართველი კინომსახიობის, მედეა ჯაფარიძის პირველი მეუღლე და ეროვნული მოძრაობის ლიდერის, მერაბ კოსტავას ბიძა.

როგორც სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, გრიგოლ კოსტავა სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი ყოფილა და პირველად 1924 წელს დაუპატიმრებიათ ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით. 1945 წლის 30 მარტს იგი, იმხანად მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, კვლავ დაიჭირეს „არალეგალური, კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის – „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ – წევრობისათვის“, რომელშიც 1942 წლიდან ყოფილა გაერთიანებული და სხვადასხვა ანტისაბჭოთა დავალებასაც ასრულებდა. მასთან ერთად დააკავეს ამავე ორგანიზაციის სხვა წევრებიც: ვალერიან დვალიშვილი (ორგანიზაციის თავმჯდომარე), ქართლოს ახვლედიანი, თამარ გარსევანიშვილი, ალექსანდრე ციციშვი-

ლი, გიორგი მამაცაშვილი, ზურაბ ჯანელიძე, ალექსანდრე მაღლაკელიძე და ა. შ. (სხვათა შორის, საქმეში ნახსენებ იმ პირთა შორის, რომლებმაც იცოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის არსებობის შესახებ, მაგრამ მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად საკმარისი მასალა ვერ მოიპოვა სახ. უშიშროების კომიტეტმა, არის ცნობილი ენათმეცნიერი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი, აკადემიკოსი არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავაც).

სისხლის სამართლის საქმეში დაცულია მედეა ჯაფარიძის მიერ სხვადასხვა პირისთვის ნათქვამი რამდენიმე ფრაზა, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის თანაუგრძნობდა მეუღლეს*.

1945 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით საქ. სსრ სსკ-ის 58. 10-ის II ნაწილითა და 58. 11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გრიგოლ კოსტავას შსსკ-ის სამხედრო ტრიბუნალმა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა. ამის შესახებ მას ციხიდან ოჯახში გამოუგზავნია სიფრიფანა ფურცლებზე დაწერილი პატარა წერილები, რომლებიც ლობიოს მარცვლებში იყო გახვეული: *„მომისაჯეს დახვრეტა. ბედნიერი ვარ, რომ თქვენ ყველანი კარგათ ხართ. მე არაფრის არ მეშინია. ჩემთვის ეხლა სულ ერთია. მხოლოთ ის მაწუხებს, რომ თქვენ გაგაწვალეთ. არ მიდარდოთ. გკოცნი. კარგათ იყავით ყველანი“***. 1945 წლის 13 სექტემბერს გრიგოლ კოსტავას პირვანდელი სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთით შეუცვალეს. გადაასახლეს ყარაგანდაში, განსაკუთრებულ ბანაკ №4-ში.

1955 წლის 29 მარტს გრიგოლ კოსტავა გადასახლებიდან გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 1956 წლის 13 მაისის განჩინებით საქმე შეწყდა.

სამშობლოში ახლად დაბრუნებული მსახიობი ქუთაისში ჩასულა და მესხიშვილის თეატრში გიგა ლორთქიფანიძეს სწვევია, რომელიც მაშინ „ტარიელ გოლუას“ დგამდა. იმ დროს ყოფილი პოლიტიკური პატიმრის თეატრში დასაქმება მთლად

---

* იხ. საქმის მასალები.

** ნ. მიქიაშვილი, მერაბ კოსტავა, (წინაპრები, მოწამეობრივი ცხოვრება, აღსასრული), ქუთაისი, 2016, გვ. 8.

უსაფრთხო საქმე არ იყო, მით უმეტეს, რომ ასეთი მუხლით გასამართლებულ პირებს კანონითაც ეკრძალებოდათ პატიმრობის შემდგომ წლებში დიდ ქალაქებში ცხოვრება და პროპაგანდისტული მიმართულების დაწესებულებებში მუშაობა. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდა რეჟისორს გაურისკავს და, ახსოვდა რა მის მიერ შესრულებული როლები, ნიჭიერი მსახიობი გაიოზ გადალენდიას როლზე დაუმტკიცებია. ამისთვის გიგა ლორთქიფანიძეს არაერთი უსიამოვნება შეხვედრია, სამაგიეროდ, ეს დღე გრიგოლ კოსტავასთვის თეატრში დაბრუნების დღედ იქცა. შემდეგ იყო მრავალი როლი თეატრსა თუ კინოში. 1956 წლიდან გარდაცვალებამდე იგი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი იყო. 1935 წლიდან მოყოლებული მას 90-ზე მეტი როლი აქვს განსახიერებული სპექტაკლებში: „ოტელო“, „ურიელ აკოსტა“, „კოლმეურნის ქორწინება“, „მთვარის მოტაცება“... კინოში: „ბაში-აჩუკი“, „ფატიმა“, „მამლუქი“, „ნინო“, „მაია წყნეთელი“, „გლახის ნაამბობი“, „ღიმილის ბიჭები“ და ა. შ.

1961 წელს გრიგოლ კოსტავას დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭეს, 1965 წელს კი – საქართველოს სახალხო არტისტისა. იგი 1979 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს პანთეონში.

ფონდი №6, საარქივო №45453, ტომი №1, კოსტავა გრიგოლ ქრისტეფორეს ძე

გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავა, დაბ. 1907 წელს, ქ. ქუთაისში, უპარტიო, ყოფილი ფედერალისტი, ანტისაბჭოთა მუშაობისათვის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული იყო 1924 წელს, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, მცხ. რუსთაველის პრ. №34-ში, საშუალო განათლებით, დაოჯახებული (მეუღლე – ჯაფარიძე მედეა, 24 წლის).

1945 წელს საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოავლინა არალეგალური კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაცია „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ და დააპატიმრა მისი წევრები: ვალერიან დვალიშვილი

(ორგანიზაციის თავმჯდომარე), გრიგოლ კოსტავა, ქართლოს ახვლედიანი, თამარ გარსევანიშვილი, ალექსანდრე ციციშვილი, გიორგი მამაცაშვილი, ზურაბ ჯანელიძე, ალექსანდრე მაღლაკელიძე და ა. შ. (სულ 17 კაცი).

1942 წელს გრიგოლ კოსტავა შევიდა არალეგალურ კონტრრევოლუციურ ფაშისტურ ორგანიზაციაში, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტში", სადაც იგი ასრულდებდა პრაქტიკულ საქმიანობას აღნიშნული კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დავალებით – ცდილობდა ორგანიზაციაში ახალი წევრების ჩართვას, პირადად დაბეჭდა ანტისაბჭოთა პროკლამაციები გასავრცელებლად 500 ცალის ოდენობით, ამისთვის იყენებდა საკუთარ ბინას, ადგენდა ანტისაბჭოთა ხასიათის ტექსტებს, ეწეოდა ბოროტ და ცილისმწამებლურ ფაშისტურ აგიტაციას. კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენდა კოსტავა, მიზნად ისახავდა საბჭოთა წყობის დამხობას, გერმანულ ჯარებთან შეხვედრის ორგანიზებას და ნაციონალური ხელისუფლების ფორმირებას საქართველოში.

საქმეში არის კოსტავას მეუღლის მსახიობ მედეა ჯაფარიძის სიტყვებიც, რომელიც მას სხვადასხვა დროს უთქვამს სხვადასხვა პირთან.

კლარა ცეტკინის ქუჩაზე მცხოვრებ (ქმრის გვარი ნაზარეთიანი) პირთან თქვა: „*გერმანული თვითმფრინავები არ დაბომბავენ თბილისს. რადგან გერმანელებმა იციან, რომ ქართველები მათი თანამოაზრეები არიან*" (2/IX/1941 წ.).

თეატრის ბუღალტრის მოადგილესთან მიხეილ ლორთქიფანიძესთან საუბრისას უთქვამს (წყარო „ჩახმური"): „*იქ, სადაც გერმანელებმა დაიკავეს ქალაქები, მოსახლეობა იღებს კარგ საქონელს, და თუკი გერმანელები მოვლენ აქაც, ჩვენც მოგვიტანენ ბევრ კარგს. ეს ყველაფერი მე მიამბეს მათ, ვინც იყო გერმანელებთან და ახლა არიან თბილისში*" (19/XI/1941 წ.).

წყარო „ესენინთან" საუბარში ამბობდა: „*საბჭოთა არმიის წარმატება ფრონტზე არ შეიძლება ჩავთვალოთ საბოლოო წარმატებად. სულ ერთია, ინგლისი და სხვა ევროპული ქვეყნები ჩვენ არ მოგვცემენ გამარჯვების უფლებას. ჩემი ქმარი გრიშა ძალიან ნერვიულობს და ამბობს, რომ თუკი კიდევ გაგრძელ-*

დება საბჭოთა მმართველობის ბატონობა, იგი მზადაა, გაიქცეს ტყეში, რადგან მას არ შეუძლია მეტად მოითმინოს ასეთი მდგომარეობა. როცა მე ვკითხე, რა უნდა ვქნა მე, თუკი იგი გაიქცევა ტყეში, მითხრა: თუ გინდა, შენც წამოდი ტყეში ჩემთან ერთად“ (1942 წლის მარტის დასაწყისი).

საქ. სსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარიატი

დადგენილება*

ქ. თბილისი, 18 ივლისი, 1945 წ.

მე, საქ. სსრ პროკურორის თანაშემწემ სპეცსაქმეებში, იუსტიციის უმცროსმა მრჩეველმა ბოთერაშვილმა განვიხილე საძიებო საქმე №212:

2) გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავას ბრალდების შესახებ დანაშაულში, რომელსაც ითვალისწინებს საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლები,

ვპოვე:

გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავა იყო წევრი ანტისაბჭოთა არალეგალური ორგანიზაციისა სახელწოდებით „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტი“ (ხელ-ლი ვალერიან დვალიშვილი). მათ სურდათ, ხელისუფლების მიტაცების გზით დაემყარებინათ „თავისუფალი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა“. ამისთვის ელოდებოდნენ საქართველოში გერმანული ფაშისტური ჯარების შემოსვლას. ამ მიზნით მათ დაიწყეს საქართველოს მომავალი „მთავრობის“ შედგენა, რომელიც ამზადებდა და ავრცელებდა ანტისაბჭოთა პროკლამაციებს, უნდოდათ კავშირის დამყარება გერმანულ სამხედრო მეთაურებთან და ქართულ ემიგრაციასთან იარაღის,

* დადგენილება, საბრალდებო დასკვნა და განაჩენი საერთოა მთელი ჯგუფისათვის. ჩვენ მოგვყავს მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ გრიგოლ კოსტავას ეხება, ა. ნ.

ლიტერატურისა და ფულის მიღების მიზნით. დაამზადეს გერბი, ბეჭედი, მანდატებისთვის ბლანკები და ორგანიზაციის დროშა. შეადგინეს ქ. თბილისის აღების გეგმა, ასევე ეწეოდნენ ორგანიზაციაში ახალი წევრების გადმობირებას და ა. შ.

ბრალდებულმა *გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავამ* თავი დამნაშავედ ცნო მისთვის წაყენებულ ბრალში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,

დავადგინე:

საქ. სსრ სუსკ-ის 16/VII/45 წ. საბრალდებო დასკვნა ამ საქმეზე იქნას დადასტურებული და არსებითი განხილვისთვის გადაეცეს საქ. სსრ შსსკ-ის სამხედრო ტრიბუნალს.

საქ. სსრ პროკურორის თანაშემწე სპეცსაქმეებში, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ბოთერაშვილი

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

1945 წლის 1-2-3-4 აგვისტო, საქ. სსრ შსსკ-ის სამხედრო ტრიბუნალი, ქ. თბილისი

თავ-რე – იუსტიციის კაპიტანი ბრაგვაძე
წევრები – პოდპოლკოვნიკი ესიავა, კაპიტანი ხახუბია
მხარეთა მონაწილეობის გარეშე

დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა ბრალდების საქმე:

3. ამიერკავკასიის რკინიგზის კლუბის დირექტორისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის – გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავასი, დაბ. 1907 წელს, ქ. ქუთაისში, მცხ. ქ. თბილისში, რუსთაველის პრ. №34-ში, უპარტიო, ყოფილი ფედერალისტი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ანტისაბჭოთა მუშაო-

ბისათვის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებული იყო 1924 წელს – ჩადენილი დანაშაულისთვის, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით.

დადგენილია:

1939 წლის ბოლოსა და 1940 წლის დასაწყისში ქ. თბილისში იქნა დაფუძნებული არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია სახელწოდებით „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტი“. კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენდა კოსტავა, მიზნად ისახავდა საბჭოთა წყობის დამხობას, გერმანულ ჯარებთან შეხვედრის ორგანიზებას და ნაციონალური ხელისუფლების ფორმირებას საქართველოში. ისინი ელოდებოდნენ საქართველოში გერმანული ფაშისტური ჯარების შემოსვლას. ამ მიზნით მათ დაიწყეს საქართველოს მომავალი „მთავრობის“ შედგენა, რომელიც ამზადებდა და ავრცელებდა ანტისაბჭოთა პროკლამაციებს, უნდოდათ კავშირის დამყარება გერმანულ სამხედრო მეთაურებთან და ქართულ ემიგრაციასთან იარაღის, ლიტერატურისა და ფულის მიღების მიზნით. დაამზადეს გერბი, ბეჭედი, მანდატებისთვის ბლანკები და ორგანიზაციის დროშა. შეადგინეს ქ. თბილისის აღების გეგმა, ასევე ეწეოდნენ ორგანიზაციაში ახალი წევრების გადმობირებასაც და ა. შ.

გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავა 1942 წელს გადმოიბირა ვალერიან დვალიშვილმა, იგი იყო არალეგალური კონტრრევოლუციური ფაშისტური ორგანიზაციის „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ წევრი, ეწეოდა გადმომბირებლურ საქმიანობას, საკუთრივ მან გადმოიბირა ორგანიზაციაში ალექსანდრე მაღლაკელიძე. ცდილობდა სხვა წევრების ჩართვასაც ორგანიზაციაში ზესტაფონსა და ქუთაისში. გრიგოლ კოსტავა პირადად ბეჭდავდა ანტისაბჭოთა პროკლამაციებს გასავრცელებლად 500 ცალის ოდენობით, ადგენდა ანტისაბჭოთა ხასიათის ტექსტებს, ანტისაბჭოთა პროკლამაციებზე მუშაობისათვის იყენებდა საკუთარ ბინას, ეწეოდა ბოროტ და ცილისმწამებლურ ფაშისტურ აგიტაციას.

ზემოთქმულის საფუძველზე სამხედრო ტრიბუნალი დამტკიცებულად თვლის ბრალდებას კოსტავასთან მიმართებით საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

მიესაჯოს:

გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოსტავას

მის მიერ ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე საქ. სსრ სსკ-ის 58-10-ის II ნაწ. და 58-11 მუხლებით სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა*** პირადი ქონების კონფისკაციით.

განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თავ-რე კაპიტანი ბრაგვაძე

1945 წლის 13 სექტემბერს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ ტრიბუნალის გადაწყვეტილება კოსტავასთან დაკავშირებით შეიცვალა და ბრალდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეეცვალა ***10 წლით თავისუფლების აღკვეთით*** და შემდეგი 5 წლით უფლებების ჩამორთმევით.

გრიგოლ კოსტავა იმყოფებოდა განსაკუთრებულ ბანაკში №4, სადგ. ყარაბასი (ყარაგანდის რკინიგზა). ბანაკიდან გათავისუფლდა 29. 03. 55 წ. და გადავიდა ქ. კიროვოგრადში. სსრკ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის 13. 05. 56 წ. განჩინებით საქმე შეწყდა.

ადა ნემსაძე

ტარიელ ქუთათელაძე

დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი ტარიელ ქუთათელაძე ცნობილი ქართველი მხატვრისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის, პროფესორ აპოლონ ქუთათელაძის ოჯახში დაიბადა 1921 წელს. 18 წლის ასაკში, 1939 წელს, იგი სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვში და გამოცდები ჩააბარა არქიტექტურის ინსტიტუტში, მაგრამ სწავლის გაგრძელება ვერ მოახერხა, რადგან, ვოროშილოვის ბრძანებით, იმხანად ყველა პირველკურსელი ჯარში გაიწვიეს. მალე მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირიც ჩაერთო და ტარიელ ქუთათელაძეც ფინეთის ფრონტზე აღმოჩნდა.

1942 წელს ლიტვაში, ქ. შიაულიაიში ყოფნისას იგი რამდენიმე ქართველთან ერთად გაიპარა ბანაკიდან და ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს. ჯერ ქ. მიტავას (დღევანდელი ქ. ელგავა, ლატვია) სამხედრო ტყვეთა ბანაკში იყო, შემდეგ კი გერმანიაში, ქ. ლუკენვალდში გადაიყვანეს. ტ. ქუთათელაძეს სამთო-მსროლელ ბატალიონ „ბერგმანში“ გაუვლია სამხედრო მომზადება და უბრძოლია კავკასიის ფრონტზე. შემდეგ გერმანულ ჯართან ერთად ყირიმში გადასულა. იქ მას დახმარებია გივი გაბლიანი*,

* გივი გაბლიანი – ქართველი სამხედრო მოღვაწე, ექიმი, მემუარისტი. II მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ვერმახტის ქართულ ლეგიონში. მიიღო გერმანიის არმიის ობერლეიტენანტის წოდება და 1943 წელს დაინიშნა აბვერის ქართული ბატალიონის „თამარი II-ის“ მეთაურად. მან ტყვედ ჩავარდნილ არაერთ ქართველ ჯარისკაცს შეუნარჩუნა სიცოცხლე. ომის

რომელიც იმხანად შტაბის უფროსი იყო. ასე მოხვდა იგი ბერლინში, ე. წ. „კავშირის ქართულ შტაბში“, სადაც ტექნიკურ თანამშრომლად მუშაობდა 1945 წლის მაისამდე.

ომის დამთავრების შემდეგ ტარიელ ქუთათელაძე საბჭოთა კავშირში დაბრუნდა. როგორც ყოფილ ტყვეს, ამუშავებდნენ დონბასში. მას არ განუცხადებია საკუთარი ტყვეობის ამბები, თუმცა, ამის მიუხედავად, მისი წარსულის შესახებ მაინც შეუტყვიათ. 1945 წლის 26 დეკემბერს იგი დაიჭირეს და ბრალად წაუყენეს სამშობლოს ღალატი. ამ ამბის გაგებისთანავე შვილის დასახმარებლად მოსკოვში აპოლონ ქუთათელაძე ჩასულა, შეხვედრია ბერიას და მისთვის დახმარება უთხოვია. ისიც შეჰპირებია, ორი-სამი წლით ჩასვამენ და გამოუშვებენო. ბრალდებული გაასამართლეს კონტრდაზვერვა „სმერშ-ის“ ხარკოვის სამხედრო ოლქში, მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და შემდეგი 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა. როგორც ჩანს, დაპირება დაპირებად დარჩა, ტარიელ ქუთათელაძემ 10 წელი მოიხადა შრომა-გასწორების ბანაკში. მუშაობდა სხვა პატიმრებთან ერთად ჩრდილოეთში, სადაც მაშინ რკინიგზა გაჰყავდათ.

1955 წელს ტარიელ ქუთათელაძე გადასახლებიდან დაბრუნდა. სტუდენტობის ასაკს გადაცილებულმა, სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა და 1956 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე ჩააბარა. სწავლის დამთავრების შემდეგ მუშაობაც იქვე გააგრძელა და მთელი თავისი ცხოვრება პედაგოგიურ საქმიანობას მიუძღვნა.

ტარიელ ქუთათელაძე იყო პროფესორი, დამსახურებული არქიტექტორი, პედაგოგიური მეცნიერების აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი და თბილისის საპატიო მოქალაქე. იგი გარდაიცვალა 2015 წლის 22 სექტემბერს.

შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა და 1987 წლამდე ექიმად მუშაობდა. გივი გაბლიანის მოგონებები II მსოფლიო ომზე ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1998 წელს.

ფონდი №6, საარქივო №45395, ტომი №2,
ქუთათელაძე ტარიელ აპოლონის ძე

ქ. ხარკოვი, 1946 წლის 7 მარტი

ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძე, დაბ. 1921 წელს, მცხ. ქ. თბილისში, ეროვნებით ქართველი, მოსამსახურის ოჯახიდან, საშუალო განათლებით, სტუდენტი, უპარტიო, უცოლო, 1941-1945 წლებში ცხოვრობდა გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და გერმანიაში.

საბრალდებო დასკვნა

საქმეზე №1350 ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძის ბრალდების შესახებ რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით.

1945 წლის 26 დეკემბერს კონტრდაზვერვა „სმერშ-ის“ ხარკოვის სამხედრო ოლქის განყოფილების მიერ სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებულ იქნა ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძე, ყირიმის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურე.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 1941 წლის 30 ივნისს ქ. შიაულიაის /ლიტვა/ ტერიტორიაზე ჩავარდა ტყვედ. 1942 წლის მაისამდე იყო სამხედრო ტყვეთა ბანაკში ქ. მიტავაში /ლატვია/, ხოლო 1942 წლის მაისში ჯერ ცოტა ხანს იყო რიგის სამხედრო ტყვეთა ბანაკში, შემდეგ კი გადაიყვანეს გერმანიაში, ქ. ლუკენვალდში, ბანაკ „შტალაგ-ა“-ში.

იმყოფებოდა რა „შტალაგ-ა“-ში, 1942 წლის ივნისში სამშობლოს მოღალატე გივი გაბლიანთან (რომელიც გერმანელთა მხარეს იყო გადასული) საუბრის შემდეგ ნებაყოფლობით შევიდა გერმანულ არმიაში, სამთო-მსროლელ ბატალიონ „ბერგმანში“, რომელიც ჩამოყალიბებული იყო სამშობლოს მოღალატე კავკასიელი ეროვნების ყოფილი წითელარმიელებისაგან.

„ბერგმანის“ შემადგენლობაში 1942 წლის ივლის-სექტემბერში მან გაიარა სამხედრო მომზადება გერმანიაში, ხოლო ოქტომ-

ბრის პირველი რიცხვებიდან დეკემბრის ბოლომდე იგი იბრძოდა ჩრდ. კავკასიის ფრონტზე ქ. მოზდოკის რაიონში.

გერმანიის არმიის ჩრდ. კავკასიიდან წასვლის შემდეგ „ბერგმანის“ ბატალიონი 1943 წლის მაისში სამხედრო მომზადებას გადიოდა ყირიმში, ჯერ ქ. ბახჩისარაის რაიონში, შემდეგ კი – ქ. სიმეიზის სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში.

1943 წლის სექტემბერში, სიმეიზის სკოლის ყირიმიდან ევაკუაციის შემდეგ, შეშფოთებული იყო რა თავისი მდგომარეობის სიმძიმით, ტ. ქუთათელაძე ქ. ხერსონის რაიონში გაიქცა მატარებლიდან და დაბრუნდა სიმფეროპოლში, სადაც დააკავეს გერმანელებმა და ჩასვეს სიმფეროპოლის ციხეში.

ერთი თვის პატიმრობის შემდეგ ზემოხსენებული გაბლიანის პროტექციით გაათავისუფლეს და გაგზავნეს გერმანიაში, ბერლინში, ე. წ. „კავშირის ქართულ შტაბში“, რომელიც ომის დროს წარმოადგენდა თეთრი ემიგრაციისა და კავკასიელი ნაციონალისტების კონტრრევოლუციური საქმიანობის ბირთვს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აქ იგი მუშაობდა რიგითი ტექნიკური თანამშრომლის თანამდებობაზე 1943 წლის დეკემბრიდან 1945 წლის მაისამდე.

1945 წლის მარტში „კავშირის შტაბის“ ევაკუაცია განხორციელდა ბერლინიდან ზალცბურგში /ავსტრია/, რომელიც 5 მაისს აღებულ იქნა ამერიკის ჯარების მიერ, შემდეგ კი გადმოეცა საბჭოთა მხარეს. დამალა რა საკუთარი დანაშაულებრივი მოღვაწეობა, ტ. ქუთათელაძე რეპატრირებულ იქნა და მოეწყო სამუშაოდ დონბასში.

წაყენებულ ბრალში ქუთათელაძემ თავი დამნაშავედ ცნო.

ზემოთქმულის საფუძველზე, **ბრალი ედება:**

ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძეს, დაბ. 1921 წელს, მცხ. ქ. თბილისში, ეროვნებით ქართველს, მოსამსახურის ოჯახიდან, საშუალო განათლებით, სტუდენტს, ალკკ-ის ყოფილ წევრს, უცოლოს, წარსულში ნასამართლევი არაა

მასში, რომ:

უღალატა სამშობლოს, იყო წითელარმიელი და ჩაუვარდა რა ტყვედ გერმანელებს, საკუთარი ნებით გადავიდა მტრის მხარეს და მონაწილეობდა ბრძოლაში წითელი არმიის წინააღმდეგ.

სწავლება გაიარა სიმეიზის სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში, სადაც ემზადებოდა დივერსიული საქმიანობისთვის წითელი არმიის ზურგში.

წელიწადნახევრის განმავლობაში მუშაობდა ბერლინში ტექნიკურ თანამშრომლად გერმანელთა მიერ ორგანიზებულ კონტრრევოლუციურ, ე. წ. „კავშირის ქართულ შტაბში“,

ანუ იმ დანაშაულებში, რომლებიც გათვალისწინებულია რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით.

1946 წლის 30 მარტს ხარკოვის ტერიტორიული ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა განაჩენი. რსფსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ტარიელ აპოლონის ძე ქუთათელაძეს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მთელი პირადი ქონების კონფისკაციით, ხოლო შემდეგი 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.

მანანა კვატაია

სვიმონ ციციშვილი

1941-1942 წლებში გერმანიაში შეიქმნა „საქართველოს ნაციონალ-სოციალისტური სამეფოს გარიგება“ – ქართული სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალი ორიგინალური მოდელი, რომლის ავტორი გახლდათ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ბაგრატიონ-გრუზინსკების ჩამომავალი სვიმონ ციციშვილი. დიდი ფორმატის ორ ფურცელზე მოთავსებული პროექტი შედგება ორი ნაწილის, სქემისა და ტექსტისაგან.

„გარიგების“ სქემის მიხედვით, სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, მისი მოადგილეა „მაგიერი“, პარლამენტის ფუნქციას ასრულებს „ერის დარბაზი“, რომელსაც განაგებს „მეთაური“. „ერის დარბაზი“ ირჩევს „ბელადს“, ქართული ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელს (პრემიერ-მინისტრს), რომელიც მთავრობას აყალიბებს. მთავრობაში კონკრეტულ მიმართულებებს „მთავრები“ (მინისტრები) განაგებენ.

1942 წელს სვიმონ ციციშვილი დაასახელეს საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტად, თუმცა 1942 წლის მაისში მან დაწერა მოწოდება, რომლითაც თანამემამულეებს მეფობის კანდიდატად ირაკლი ბაგრატიონის მხარდაჭერას სთხოვდა.

სვიმონ ციციშვილს შეუდგენია, აგრეთვე, საქართველოს უნიკალური ატლასი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. თავდადებული მამულიშვილის საქმიანობას ნ. ყიფშიძე ასე აფასებს: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“, – ეს ფრაზა აქვს წამძღვარებული სვიმონ ციციშვილის „გარიგებას“ და მის მოღვაწეობასა და განვლილ ცხოვრების გზა-

საც სწორედ ეს აღნიშნული სიტყვები გასდევს“ (ყიფშიძე 2017: 37).

ეს გამორჩეული ხვედრის მოღვაწე მრავალი ცხოვრებისეული ქარტეხილის მომსწრე და მონაწილე გახლდათ. იგი დაიბადა 1886 წელს ქარელის რაიონის სოფელ ქარელში, თავად არჩილ ციციშვილის ოჯახში. სათავადაზნაურო გიმნაზიის დასრულების შემდეგ მან უმაღლესი საინჟინრო განათლება მენავთობე ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით მიიღო. 1906 წელს ის საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი გახდა. 1920 წლის დამლევს ფრანგულმა ნავთობკომპანიამ სვიმონ ციციშვილი საფრანგეთში მიიწვია. ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო იგი იძულებული გახდა, საცხოვრებლად საფრანგეთში დარჩენილიყო.

ემიგრაციაში ყოფნის დროს ციციშვილი აქტიურად თანამშრომლობდა იმ ორგანიზაციებთან, რომელთა მიზანი ბოლშევიკური მარწუხებიდან საქართველოს საბოლოო გამოხსნა იყო. 1924 წლის დამლევს პარიზში შეიქმნა ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“ გენერალ ლეო კერესელიძისა და პროფესორ მიხეილ (მიხაკო) წერეთლის ხელმძღვანელობით. 1928 წელს ორგანიზაციის წევრად სვიმონ ციციშვილიც მიიღეს, რომელიც ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში 20 წლის მანძილზე საქმიანობდა. 1941 წელს ციციშვილი ბერლინში ჩავიდა და 1942 წელს აქტიურად მონაწილეობდა „ქართული ეროვნული კომიტეტის“ შექმნაში, რომელსაც მიხაკო წერეთელი ხელმძღვანელობდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1947 წელს, საბჭოთა რეჟიმმა ზოგიერთი ემიგრანტი საქართველოში დააბრუნა. მათ შორის იყვნენ: სვიმონ ციციშვილი, მისი ქალიშვილი ელენე, სიძე ირაკლი ლორთქიფანიძე და შვილიშვილები. 1951 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა სვიმონი, მისი სიძე და ქალიშვილი დააპატიმრა და სამივე მათგანს სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია სვიმონ ციციშვილის სისხლის სამართლის საქმე (ფონდი №6, საარქივო № 51234, ტ. 8/1, ყუთი 115), რომელშიც ინახება

1951 წლის 30 ნოემბრის დადგენილება (დაპატიმრებაზე). საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო განყოფილების უფროს გამომძიებელს, უფროს ლეიტენანტ ქათამიძეს, განუხილავს მასალები სიმონ (სვიმონ) არჩილის ძე ციციშვილის დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

დადგენილებიდან ირკვევა, რომ დაპატიმრებამდე სვიმონ ციციშვილი საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ინჟინერი გახლდათ. დოკუმენტში ბრალმდებელი პატიმრის ემიგრაციის პერიოდის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ასპექტებს აზუსტებს: „თეთრი გიორგის“ წევრობა, „ქართული ნაციონალ-სოციალისტური სამეფოს გარიგების“ ავტორობა, ორგანიზაცია „ბამატის“ წევრობა, რომელიც სსრკ-ს დამხობას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ისახავდა მიზნად და ა.შ. დადგენილების მიხედვით, სვიმონ ციციშვილი სსრკ-ში გამომგზავრების წინ შეხვდა ქართული ემიგრაციის ლიდერებს და მათგან გარკვეული დავალებები მიიღო. ამავე დროს, მან საქართველოში დაბრუნებისას თავისი წარსული სრულად დამალა.

ჩამოთვლილი ბრალდებების საფუძველზე სახელმწიფო უშიშროების თანამშრომელს გამოუტანია დადგენილება სვიმონ ციციშვილის ბინის ჩხრეკისა და მისი დაპატიმრების შესახებ. ბრალდებულის ანკეტაში დასახელებულნი არიან დაპატიმრებულის ოჯახის წევრები – მშობლები: არჩილი და ეფემია – გარდაცვლილები, მეუღლე – მარიამი – გარდაცვლილი; შვილები: ელენა, არჩილი, დავითი.

აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ერთ-ერთი მოწმის, ყოფილი გენერლის, სპირიდონ ჭავჭავაძის დაკითხვის ოქმიდან (1951 წლის 28 დეკემბერი) ცნობილი ხდება ციციშვილის მეუღლის გარდაცვალების მიზეზი: „საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ სვიმონ ციციშვილის საქართველოში გამომგზავრებამდე მან თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე“, – განუცხადებია სპირიდონ ჭავჭავაძეს.

1952 წლის 4 მარტის დადგენილებით, სვიმონ ციციშვილის საქმესთან გააერთიანეს მისი ქალიშვილის, ელენესა და სიძის, ირაკლი ლორთქიფანიძის საქმეები. მათი დაპატიმრების

საფუძველიც აღნიშნული პირების ანტისაბჭოთა საქმიანობა გახლდათ („თეთრი გიორგის“ წევრობა, გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობა და სხვ.). იქვე ხაზგასმულია, რომ სსრკ-ში დაბრუნების შემდეგ მათ საბჭოთა ორგანოების წინაშე, ასევე, დამალეს თავიანთი წარსული, აქებდნენ საზღვარგარეთ ცხოვრების დონეს და ა.შ.

სვიმონ ციციშვილის სიძე ირაკლი დავითის ძე ლორთქიფანიძე 1910 წელს სომხეთის ქალაქ ლენინაკანში დაიბადა. იგი უმაღლესი განათლების მქონე ინჟინერი გახლდათ და დაპატიმრებამდე რუსთავის ავტოშემკეთებელი ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 1929 წელს მას არალეგალურად გადაუკვეთავს თურქეთის საზღვარი, ემიგრაციაში წასულა და პარიზში დამკვიდრებულა. 1930-1933 წლებში ის „თეთრი გიორგის“ წევრი გახლდათ. 1941 წელს ირაკლი ლორთქიფანიძე სხვა ემიგრანტებთან ერთად გაუგზავნიათ ქალაქ ორლეანში, სადაც 3 კვირის მანძილზე სადაზვერვო-დივერსიულ სკოლაში სწავლობდა. მისი დამთავრების შემდეგ ლორთქიფანიძე ქ. ვენაში ახლად ჩამოყალიბებულ „თამარ-2“-ში ჩაურიცხავთ, სადაც საომარ და ტაქტიკურ წვრთნებს გადიოდა (ყიფშიძე 2017: 118). 1941 წლის დეკემბერში მას დაუტოვებია „თამარ-2“ და 1942 წელს ბერლინში ისევ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციაში დაბრუნებულა. იმავე წელს, მ. კედიას წინადადებით, ის სტავროპოლში გაუგზავნიათ, რათა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია საქართველოს დაიპყრობდა, მას პოლიციური ფუნქციები შეესრულებინა.

1943 წლის მარტში ირაკლი ლორთქიფანიძემ პარიზში გაიცნო სვიმონ ციცშვილის ქალიშვილი ელენე, რომელზეც იმავე წლის ნოემბერში დაქორწინდა. ომის დასრულების შემდეგ ლორთქიფანიძე ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში გაემგზავრა, სადაც ამერიკულ ნავთობმომპოვებელ აქციონერთა კუთვნილ რადიოსადგურში მუშაობდა.

სვიმონ ციციშვილის ქალიშვილი ელენე 1915 წელს დაიბადა და მშობლებთან ერთად ემიგრაციაში გაემგზავრა. ის აქტიურად თანამშრომლობდა „თეთრი გიორგის“ დარაზმულობასთან. ემიგრანტ ზალდასტანიშვილთან ერთად ელენე ციციშვილს

ემიგრანტებისაგან ჩამოუყალიბებია ახალგაზრდული ნაციონალური დაჯგუფება, რომლის მმართველ კომიტეტში თავადაც შედიოდა. გიორგი კერესელიძის მიწვევით 1943 წლის აპრილში მას მუშაობა დაუწყია ბერლინში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, ემიგრანტების აღმწერ რეგისტრატორად. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ელენე ლორთქიფანიძე უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის მასწავლებელი გახლდათ.

როგორც სვიმონ ციციშვილის სისხლის სამართლის საქმეში დაცულ 1951 წლის 18 დეკემბრის დადგენილებაშია აღნიშნული, სვიმონ ციციშვილი, მისი სიძე და ქალიშვილი საფრანგეთსა და გერმანიაში ცხოვრების დროს მტრულ საქმიანობას ეწეოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი ამგვარ მოღვაწეობას აგრძელებდნენ.

1951 წლის 20 დეკემბრის დაკითხვის ოქმში სვიმონ ციციშვილი აცხადებს, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობას არ ეწეოდა. ამავე დროს, ის არ უარყოფს, რომ სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტები ერთმანეთს სოციალური ხასიათის უკმაყოფილებას უზიარებდნენ.

1952 წლის 10 იანვრის დაკითხვის ოქმში სვიმონ ციციშვილი გამომძიებლებს მოუთხრობს, რომ პარიზიდან წამოსვლის წინ შეხვდა სპირიდონ კედიას, რომელმაც მას დაუსახელა თავისი ახლობელი ადამიანები: სანდრო ყანჩელი, გერონტი ქიქოძე და უზნაძე. გამომძიებლები განსაკუთრებით დაინტერესებულან სვიმონ ციციშვილის გერონტი ქიქოძესთან ურთიერთობით, რაზეც ბრალდებული პასუხობს, რომ იცნობს ქიქოძეს, როგორც კრიტიკოსს, ლიტერატორს, მენშევიკების დროის პარლამენტის წევრს. გერონტი ქიქოძეს სვიმონ ციციშვილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრია, რადგან თან ჰქონია ისტორიული დოკუმენტები და ისინი ქიქოძისათვის უჩვენებია. დაკითხვის ოქმის მიხედვით ციციშვილი, ასევე, იმედოვნებდა, რომ კრიტიკოსი მას სამუშაოზე მოწყობაში დაეხმარებოდა. ბრალდებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერონტი ქიქოძე მასთან ქართულ ემიგრაციაზე საუბრისაგან თავს იკავებდა.

საქართველოს შსს არქივში (ფონდი №6, საარქივო №51234, ტ. 8/4, ყუთი 116) ინახება 1952 წლის 29 იანვრის დადგენილება, რომლის მიხედვით, საქართველოს სსრ უშიშროების სამინისტროს პოლკოვნიკ შავგულიძეს განუხილავს საქმე №4308 – სიმონ არჩილის ძე ციციშვილისა, რომელიც ბრალდებული გახლდათ დანაშაულობებში, 58-4, 58-1, 58-14 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით. დადგენილებაში მეორდება ბრალდებულის ანტისაბჭოთა დანაშაულობათა ჩამონათვალი და მოთხოვნილია, გამოძიების ვადა 10 დღით გაიზარდოს, რათა სვიმონ ციციშვილის სიძე-ქალიშვილის მტრული მოღვაწეობის ნიუანსებიც შეისწავლონ.

სისასტიკით გამოირჩევა 1952 წლის 13-17 მაისის განაჩენი №112 (იხ. ფონდი №6, საარქივო № 51234, ტ. 8, ყუთი 116), რომლის თანახმად, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა დახურულ სასამართლო სხდომაზე ქ. თბილისში დაადგინა: ელენა ციციშვილ-ლორთქიფანიძეს 58-4 საფუძველზე მიესაჯოს თავისუფლება აღეკვეთა შრომა-გასწორების ბანაკებში 10 წლით, მთელი ქონების კონფისკაციით, სამოქალაქო უფლებების შეზღუდვით 5 წლით, ირაკლი ლორთქიფანიძეს – 58-I „ა“-ს საფუძველზე მიესაჯა 25 წელი შრომა-გასწორების ბანაკებში მოხდით, ქონების კონფისკაციით და 5 წლით უფლებების შეზღუდვით. სვიმონ ციციშვილს – 58-I „ა“ მუხლით – უმაღლესი სასჯელი – დახვრეტა, მთელი ქონების კონფისკაციით. დოკუმენტების მიხედვით, 1952 წლის 26 აგვისტოს სვიმონ ციციშვილის საქმეს ხელახლა გადახედეს და დახვრეტის განაჩენი 25-წლიანი ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს, სადაც მან 10 წელი გაატარა. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სვიმონი ქალიშვილთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. ღვაწლმოსილი მამულიშვილი 1973 წელს გარდაიცვალა.

დამოწმებანი:

ყიფშიძე 2017: ყიფშიძე, ნ. *სვიმონ ციციშვილი – „საქართველო უწინარეს ყოვლისა“*. ჟურნ. „საარქივო მოამბე“, 2017, №17.

ყიფშიძე 2017ა: ყიფშიძე, ნ. *ემიგრანტი ცოლ-ქმრის ისტორია*. ჟურნ. „საარქივო მოამბე“, 2017, №17.

ზოია ცხადაია

„გველის პერანგოსანი“ – ბრალდების მთავარი არგუმენტი

1941-1942 წლებში, როდესაც გერმანიის ჯარები მოსკოვის მისადგომებთან იმყოფებოდნენ, ასობით ქართველი დააპატიმრეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამშობლოს ღალატი, შეიარაღებული აჯანყება, კონტრრევოლუციური მიზნით უცხო ქვეყნებთან კავშირის დამყარება, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი სახელმწიფო მოღვაწეთა წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აგიტაცია-პროპაგანდა, კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, კონტრრევოლუციური დანაშაულის განუცხადებლობა და ა.შ.

პატიმართა დიდ უმრავლესობას, შეიძლება ითქვას, წარმოდგენაც არ ჰქონდა თავისი დაპატიმრების მიზეზებზე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში აბსურდულიც კი იყო. მოვიტანთ ერთ კერძო შემთხვევას: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ მასალებში აღმოჩნდა პატიმარ კონსტანტინე ივანეს ძე გაბაშვილის საქმე*. პატიმარი 1886 წელს დაბადებულა თელავში, იყო უმუშევარი, გაურკვეველი პროფესიისა, უპარტიო. ცხოვრობდა ქ. ქუთაისში, კიროვის ქ. № 9; 1918-21 წლებში მენშევიკების ჯარში უმსახურია. იგი 1941 წლის 6 ნოემბერს დააკავეს ქუთაისში (მუხლი 58-10. 2 ნაწ. – აგიტაცია-პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირგამოსათხრელად და დასამხობად) და როგორც საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტს, ბრალად წაუყენეს ანტისაბჭოთა და კონტრრევოლუციურ-ფაშისტური აგიტაცია. ჩხრეკის დროს პატიმარს აღმოაჩნდა პასპორტი, სამხედრო ბილეთი და 1934 წელს გამოცემული წიგნი „გველის პერანგოსანი“, რომელსაც, როგორც უტყუარ ნივთმტკიცებას, დაეფუძნა მისი გამამტყუნებელი განაჩენი.

---

* 17.337-60. საარქივო №41846 ტ. 2. ყ. 25

საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ, რომ კონსტანტინე გაბაშვილმა 1941 წლის 26 სექტემბერს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს განუცხადა: „სახალხო კომისარიატების გადასვლა მოსკოვიდან კუიბიშევში ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა აწი მოსკოვს ველარ იხილავს“. აგრეთვე შეეხო რა ფაშისტურ-რასისტულ თეორიას, დაამცირა დიდი რუსი ხალხი და მისი ბრძოლისუნარიანობა და თავისი შეხედულების დასასაბუთებლად სტუდენტებს წასაკითხად ათხოვა სამშობლოს მოღალატის, გრიგოლ რობაქიძის (!) კონტრრევოლუციურ-ფაშისტური წიგნი „გველის პერანგოსანი“. არადა სინამდვილეში „გველის პერანგოსანი” იყო გრიგოლ ხოფერია-მუშიშვილის მიერ 1934 წელს გამოცემული პამფლეტი, რომელიც მიზნად ისახავდა ემიგრაციაში მყოფი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოღალატედ შერაცხული გრიგოლ რობაქიძის დამცირებას და გაქილიკებას. საქმე ისაა, რომ სოციალ-ფედერალისტ გრიგოლ ხოფერიას 1920-იანი წლების რეპრესიებმა და შიშმა პოლიტიკური ვექტორი შეაცვლევინა. საბჭოთა ხელისუფლებისთვის ერთგულების დასამტკიცებლად იგი ბოლშევიკების ბანაკში გადავიდა, გვარიც შეიცვალა, მუშიშვილი გახდა და საბჭოთა კრიტიკოსთა რიგებს შეუერთდა. მიუხედავად ამისა, გრიგოლ მუშიშვილი რეპრესიებს მაინც ვერ გადაურჩა. იგი 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი „გველის პერანგოსანი“ კი აკრძალულ წიგნთა ნუსხაში შეიტანეს.

კონსტანტინე გაბაშვილის დაკითხვის ოქმებით ვლინდება ერთი პარადოქსული ფაქტი: არც პროკურორი, არც გამომძიებელი და არც თვითონ ბრალდებული ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ საქმეში ფიგურირებს გრიგოლ რობაქიძის საწინააღმდეგოდ შეთითხნილი პამფლეტი „გველის პერანგოსანი“ და არა დიდი მწერლის რომანი „გველის პერანგი“ (!).

ფრაგმენტები კონსტანტინე გაბაშვილის დაკითხვის ოქმებიდან: „ჩემი დაპატიმრების მიზეზათ მე მიმაჩნია ის, რომ 1941 წლის 26 ოქტომბერს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს, რომელთა გვარები არ ვიცი, ვინაიდან მე მათ პირველათ შევხვდი, ვუამბე წიგნი „გველის პერანგოსანიდან“ ზოგიერთი ადგილების შინაარსი და შემდეგ სახლშიდაც კი ვათხოვე აღნიშნული წიგნი, რომ წაეკითხათ და კარგად გაცნობოდნენ მას. აღნიშნული წიგნი, როგორც ეს მე დაპატიმრების შემდეგ გავიგე, ყოფილა კონტრრევოლუციონერული – აკრძალული და ეს არის ალბათ მიზეზი ჩემი დაპატიმრებისა (...) სტუდენტებს შევხვდი ქუთაისის ბაღში, თან ვესაუბრებოდი, რომ გაზეთებში ეწერა, მთავრობამ მოსკოვი დატოვაო (...) ისიც ვთქვი: „თუმცა ამბობენ, რომ რუსის ჯარი ძლიერია ხიშტით ბრძოლაში, მაგრამ თუ ერთი უკან დაიხიენ, შემდეგ იმათ ვეღარავინ დაეწევა-თქო (...) შემდეგ საუბარი ჩამოვარდა, თუ რას უშვრება გერმანიის ფაშიზმი სხვა ერებს, რაზედაც მე პასუხი გავეცი სტუდენტებს წიგნი „გველის პერანგოსანის“ შინაარსის მიხედვით, რომელიც ორი დღის უკან წავიკითხე, რომელშიც ეს საკითხები კარგად არის განმარტებული. წამოდით ჩემთან სახლში და თუ გსურთ, გათხოვებთ-თქო. მართლაც აღნიშნული სამი სტუდენტიდან ორი წამომყვა, გამოვუტანე მათ წიგნი „გველის პერანგოსანი“ და გავატანე წასაკითხად“.

დაკითხვისას გაბაშვილი ასახელებს პიროვნებას (ცხვედიანს), რომელმაც მას „გველის პერანგოსანი“ ათხოვა, მაგრამ იქვე დასძენს, რომ არც მას და არც ცხვედაძეს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, თუ ეს წიგნი აკრძალული იყო და თანაც – კონტრრევოლუციური. თუმცა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ფლობს გარკვეულ ცნობებს გრიგოლ რობაქიძის შესახებ (ამ სიტყვებით ჩანს, რომ პატიმარსაც „გველის პერანგოსანი“ გრიგოლ

რობაქიძის დაწერილი ჰგონია. ზ.ც.), კერძოდ, იცის, რომ ის გერმანიაშია, ჰიტლერთან ახლო ურთიერთობაში... ახსენებს ვინმე დათეშიძესაც, რომელიც, ასევე, ახლოს ყოფილა ჰიტლერთან და ა.შ.

დაკითხვებისას გაბაშვილს დაუპირისპირეს ის სტუდენტები, რომლებმაც მის საწინააღმდეგოდ მისცეს ჩვენება, კერძოდ, შალვა ნიკიფორეს ძე ხანთაძე, ვარლამ აკაკის ძე მამრიკაშვილი და ამბროსი ლოსაბერიძე. მოწმე შალვა ხანთაძემ დაკითხვისას განაცხადა, რომ ბაღში შეხვდნენ გაბაშვილს, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია გრიგოლ რობაქიძის წიგნის, „გველის პერანგოსნის“ შესახებ და თან დაჰპირდა, რომ ათხოვებდა. აღნიშნული წიგნი, მართლაც, გამოურთმევიათ გაბაშვილისთვის, მიუტანიათ ინსტიტუტში და ერთ-ერთ ცარიელ ოთახში დაუწყიათ კითხვა. მათი განსაკუთრებული ყურადღება მიუპყრია სხვადასხვა რასის ხალხთა დახასიათებას გერმანული პოზიციიდან. ქართველები კარგად ყოფილან დახასიათებულნი და უმაღლეს რასად მიჩნეული, სომხები და ებრაელები კი მონების რანგში ყოფილან დაქვეითებულნი.

შეკითხვა: როგორ შეაფასეთ თქვენ აღნიშნული წიგნი, თვით გაბაშვილი და რა ზომები მიიღეთ ამის გამო?

კოტე გაბაშვილი მე შევაფასე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის არასაიმედო ელემენტი და წიგნიც, როგორც კონტრრევოლუციური შინაარსის. მე, როგორც გამოუცდელმა, ეს ამბავი თავის დროზე ვერ ვაცნობე შინსახკომს, მხოლოდ ჩემს ძმას, რომელიც არის სკპ(ბ) წევრი და რომელიც ამჟამად მასწავლებლად მუშაობს რაიონის სკოლაში, მას ვუამბე ყველაფერი (შალვა ხანთაძე დაკითხა ოპერრწმუნებულმა შალამბერიძემ 1941 წ. 5.XI).

მოწმე ვარლამ აკაკის ძე მამრიკაშვილი თითქმის იმავეს ყვება: „ცენტრალურ ბაღში ვისხედით, ვკითხულობდით გაზეთს... მოვიდა საშუალო ტანის, დაახლოებით ორმოცი წლის კაცი". შ. ხანთაძისგან განსხვავებით, იგი უფრო დაწვრილებით საუბრობს ამ წიგნის შესახებ: „გერმანელები თავის თავს აყენებენ ყველაზე მაღლა, მათ შემდეგ კი – ქართველებს... ეს იმიტომ, რომ გიტლერთან არიან ამჟამად ქუთაისელი დათეშიძე და რობაქიძე... ამიტომ დაიჭირეს მათი გვარის ადამიანები ქუთაისში და ჩხარში"... მამრიკაშვილი ყვება იმასაც, რომ მას და ლოსაბერიძეს ეს წიგნი გაბაშვილმა მისცა და როდესაც ჰკითხეს, აკრძალული ხომ არ იყო, უპასუხა, რომ აკრძალული არ იყო, მაგრამ ურჩია, ყოველი შემთხვევისათვის, გაზეთში გახვეული წაეღოთ.

კითხვა: წაიკითხეთ თუ არა წიგნი?

პასუხი: წავიკითხეთ რამდენიმე ფურცელი და ჩვენ დავრწმუნდით აღნიშნული უცხო პიროვნების არაკეთილსაიმედობაში.

კითხვა: სად გაქვთ თქვენ ამჟამად კ. გაბაშვილის მიერ გადმოცემული წიგნი?

პასუხი: იმ ღამეს ბიძასთან გავათენე. მეორე დღეს ბაღის კიდეზე შევხვდი და გადავეცი. მან ერთჯერ კი მკითხა, მოგეწონა თუ არაო და სწრაფად განაგრძო გზა. ინსტიტუტში ერთ სტუდენტს (სახელი არ ვიცი) ვუამბე ამაზე და სოფელში – მამას. მამამ მისაყვედურა, რატომ არ აცნობე შინსახკომსო... (დაკითხა ოპერრწმუნებულმა შალამბერიძემ 7.XI.1941 წ).

მოწმე ცხვედიანი სამსონ ივანეს ძე: „კონსტანტინე გაბაშვილს ვიცნობ 1928 წლიდან. თბილისში გამაცნო მიშა ჩიქოვანმა. მას შემდეგ კარგი დამოკიდებულება მქონდა მასთან... ის არის მოხეტიალე, არ მუშაობს, ფუქსავატი ადამიანია. ძალიან დაახ-

ლოებული იყო ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით – სტუდენ-ტებთან და მოწაფეებთან, რომლებთანაც დადიოდა ოჯახებში, მაგრამ მე არ ვიცი მათი გვარები და სახელები. გაბაშვილს მთე-ლი რიგი სისულელეები აქვს ჩემთან ნალაპარაკები. სამი წელია, არ მუშაობს. შარშან ბათუმიდან ძველ ტანსაცმელს ეზიდებოდა და აქ ყიდდა“.

კითხვა: რას ამბობდა კ. გაბაშვილი ჰიტლერზე?

პასუხი: ჰიტლერი შედარებით კარგად ეპყრობა ქართველ ტყვეებს, რადგან რობაქიძე და დათეშიძე მასთან მუშაობენ.

კითხვა: გაბაშვილის ბინაში ინახება თქვენი წიგნები, მათ შორის „გველის პერანგოსანი“. გვიპასუხეთ, როგორ მოხვდა გაბაშვილთან თქვენი წიგნები?

პასუხი: მე ბინა გამოვიცვალე, ცოტა მოშორებით გადავედი და წიგნები არ წამოვიღე. „გველის პერანგოსანი“ ჩემთან მო-იტანა ჩემმა დისშვილმა, რომელმა (?)... კარგად არ ვიცი... მე და ჩემი და თავისი შვილებით ერთად ვცხოვრობთ...

ამ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა, აგრეთვე, გაბაშ-ვილის თანამოსაკნე პატიმარი ფირალიშვილი ალექსანდრე ზა-ქარიას ძე, დაბად. 1893 წ. თბილისში, უმაღლესი განათლებით, გარიცხული სკპ(ბ) რიგებიდან 1937 წელს დაპატიმრებასთან დაკავშირებით (სტილი დაცულია, ზ.ც.), „რიონჰესის ყოფილი დირექტორი. იმ დროს (1941 წ.) შინსახკომის ქუთაისის განყო-ფილების პატიმარი.

ნაწყვეტები ა. ფირალიშვილის დაკითხვის ოქმიდან:

კითხვა: იცნობთ თუ არა კ. გაბაშვილს და რა დამოკიდებუ-ლება გაქვთ მასთან, როგორ დაახასიათებთ მას.

პასუხი: ვიცნობ მას შემდეგ, რაც გაბაშვილი ჩემთან შემო-იყვანეს კამერაში. თქვა, რომ ბაღში სტუდენტებთან (უცნობ ახალგაზრდებთან) ისაუბრა ჰიტლერზე, თუ როგორ ექცეოდა ჰიტლერი სხვადასხვა ეროვნების ხალხს საბჭოთა ჯარების-გან დატოვებულ ქალაქებში. ილაპარაკა წიგნზე „გველის პერ-ანგი“ (მხოლოდ ეს პიროვნება ახსენებს „გველის პერანგს“, ზ.ც.) გადაუცია ეს წიგნი ახალგაზრდებისთვის, წაიკითხეთ და ყველაფერს გაიგებთო. ამბობდა, ნეტავ კარგად მაინც მქონდეს წაკითხულიო... ვკითხე, თუ წაკითხული არ გქონდა, რა გალა-პარაკებდა-მეთქი, პასუხი არ გამცა.

კითხვა: კიდევ რაზე ილაპარაკა?

პასუხი: ხალხი შიმშილით იხოცება. სოფლის მოსახლეობას მთლიანად მოუსპენ არსებობის საშუალება. წელს ხალხი კი არა, ცხოველები დაიხოცება შიმშილით. ცუდი მოსავალი იქნება. ასეთ მომენტში შემოიღეს საბარათო სისტემა, 1 კგ. პური 8 მანეთი გახდა... თუ სიმართლე თქვი, მაშინვე შინსახკომში მიგაბრძანებენო და სხვ.

კითხვა: რას ამბობდა, ვინ იკრიბებოდა ბაღში მასთან ერთად?

პასუხი: ამბობდა, რომ ყოველთვის მარტოკა იყო... (დაკითხა ოპერრწმუნებულმა შალამბერიძემ. 1941. წ. 13.XI.).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ,მთავარი, რაც თავად კონსტანტინე გაბაშვილის და ყველა მოწმის დაკითხვის ოქმებიდან ჩანს, ისაა, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის ვერც ერთი ფიგურანტი და ვერც გამომძიებელი ვერ ხვდება, რომ ეს არის მუშიშვილის შედგენილი წიგნი-პამფლეტი, პოლემიკურ-აგრესიული პათოსით დაწერილი პასკვილი გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგ და არა თავად „სამშობლოს მოღალატე მწერლის“, რომანი. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სტალინური რეჟიმის დროს არსებული სასამართლო სისტემის აბსურდამდე მისულ „გაუმართავობას“, რამაც უაზრო, თითიდან გამოწოვილი ბრალდებების გამო, რომლის შინაარსიც არათუ პატიმარს, გამომძიებლებსაც და მოსამართლესაც კი არ ესმოდათ, იმსხვერპლა ათასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე და მომავალი. ამას მოწმობს ზემოთ განხილული საქმის გამო გამართული სასამართლოს დადგენილება და გამოტანილი განაჩენი.

სასამართლომ დაადგინა: კონსტანტინე ივანეს ძე გაბაშვილი 1941 წლის ოქტომბერში და ნოემბერში ქალაქის ბაღში სტუდენტებს შორის და დაპატიმრების შემდეგ – პატიმრებთან ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას, სტუდენტებს რეკომენდაციას უწევდა, რომ წაეკითხათ სამშობლოს მოღალატე რობაქიძის ნაწარმოები და აწვდიდა მათ ცრუ ინფორმაციას ფაშისტების შესახებ.

მუხლი: 58-10 – აგიტაცია-პროპაგანდა საბჭოთა ხელისუფლების ძირგამოსათხრელად, დასამხობად.

განაჩენი: მიესაჯა 8 წლით პატიმრობა, 3 წლით ხმის უფლების ჩამორთმევა და პირადი ქონების კონფისკაცია.

ადა ნემსაძე

„ჩვეულებრივი“ ტრაგედიები

პავლე ივანეს ძე მოსიძე *

დაიბადა 1865 წელს, საქალაქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ყოფილი ქალაქის თავი ქ. ქუთაისში.

პავლე მოსიძე ცხოვრობდა ქუთაისის პედინსტიტუტის წინ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. აუდიტორიიდან სტუდენტებმა შეამჩნიეს, რომ იგი იჯდა ხოლმე ფანჯარასთან და იწერდა ქუჩაში გამვლელი მანქანების ნომრებს. ეს გრძელდებოდა დაახლოებით 2 თვის განმავლობაში. სტუდენტებმა მიმართეს უშიშროების სამსახურს. 1941 წლის 14 აგვისტოს პავლე მოსიძე დააპატიმრეს. ბრალდებულმა აღნიშნა, რომ იგი არის მოხუცი, ავადაა და აღარ შეუძლია გადაადგილება. სახლში მთელი დღე მარტოა, ვინაიდან შვილი და რძალი დილიდან საღამომდე მუშაობენ, ამიტომ მოწყენილობისაგან თავდასაღწევად მოიგონა ეს გასართობი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ყოფილი თავადი მოსიძე იყო უცხო ქვეყნის დაზვერვის მიერ გადაბირებული და აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მათთვის. როდესაც მივიდნენ მასთან დასაპატიმრებლად, მან დაიწყო აღნიშნული ფურცლების განადგურება, მაგრამ ყველა ვერ მოასწრო (სს საქმეში დევს ჩამორთმეული ფურცლები – დახეულიც და მთელიც – ჩაწერილი ნომრებით). 1941 წლის 14 ნოემბერს პავლე მოსიძეს მიესაჯა ***დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით***, ბრალდება – სამშობლოს ღალატი. ასევე გადაასახლეს მისი ოჯახის წევრები, გარდა ვაჟიშვილისა და მისი მეუღლისა, რადგან ისინი ყრუ-მუნჯები იყვნენ.

---

* ფონდი №6, საარქივო №4195, მოსიძე პ. ი.

გოგია თათუშა ერასტის ასული*

დაიბადა 1922 წელს, გასათხოვარი, განათლება – დაბალი.

გერმანიის მუხანათური თავდასხმის შემდეგ, 1941 წლის 2 ივლისს, თათუშა გოგიამ დაიწყო შემოვლა და მოსახლეობის აღწერა ს. მენჯში, საწულეისკიროსა და სახარბედიოში, რათა დაედგინა მამრობითი სქესის იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც გაწვეული არ იყო საბჭოთა არმიაში. მისი თქმით, ეს დაავალა ვინმე ანჩიბაია ვალოდიამ, იმავე აპოლონმა, რომელსაც, თავის მხრივ, ეს უნდა გადაეცა გერმანული დაზვერვისთვის. გოგიას განცხადებით, იგი ამ საქმეს აკეთებდა ანაზღაურების გარეშე, რადგან ანჩიბაია შეჰპირდა ცოლად მოყვანას. დაკითხვებისას მოსახლეობამ აღიარა, რომ ეს ქალი ნამდვილად დადიოდა სოფელში და იწერდა იმ მამაკაცთა ვინაობას, რომლებიც დარჩენილნი იყვნენ სოფელში მობილიზაციის შემდეგ.

1941 წლის 2 ოქტომბერს სასამართლომ თათუშა გოგიას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

აბრამაშვილი გერონტი ბეჟანის ძე**

დაიბადა 1915 წელს ს. სავსკში.

იმყოფებოდა რა წითელ არმიაში, გერონტი აბრამაშვილი „გამოთქვამდა აშკარა კონტრრევოლუციურ, ნაციონალისტური შინაარსის ცილისწამებას არსებულ წყობილებაზე“. იგი ამბობდა: ჩვენ ვერ მოვითმენთ რუსიფიკაციას, ქართველი ხალხი, სხვასთან შედარებით, უფრო კულტურული და დისციპლინირებულია, ქართველი ხალხი ამაყია და ვერ აიტანს რუსის ხელმძღვანელობას. ამიტომ ვითხოვთ ქართველ მეთაურს და 8-საათიან სამუშაო დღეს. წითელარმიელ ქართველებს ასწავლონ არა რუსულ, არამედ ქართულ ენაზე და მეთაური უნდა იყოს ეროვნებით ქართველი.

სასამრთლომ მას სომხეთის სსრ სსკ-ის 227 „ა“ მუხლით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

---

* ფონდი №6, საარქივო №41100, ტომი 3, გოგია თ. ე.

** ფონდი №6, საარქივო №41128, აბრამაშვილი გ. ბ.

სმირნოვი პეტრე ნიკონორის ძე*

დაიბადა 1904 წ. კოსტრომის გუბერნიაში, ეროვნებით რუსი, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით, იყო აფხაზეთის №6 სამშენებლო უბნის უფროსი ბუღალტერი.

პეტრე სმირნოვი ეწეოდა ანტისაბჭოთა აგიტაციას, მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ცილს სწამებდა კომუნისტურ პარტიას. მოუწოდებდა ხალხს საბჭოთა სახელმწიფოს დამხობისაკენ. ბრალდებაში თავი დამნაშავედ ცნო და განმარტა, რომ 1941 წ. ივლისში, როდესაც ცხოვრება გაჭირდა, მივიდა დასკვნამდე, რომ კომუნისტური წყობა იყო მშრომელი ხალხის დამამხობელი. ამიტომ გადაწყვიტა, ებრძოლა მის წინააღმდეგ. მან შეადგინა ანტისაბჭოთა მოწოდება და გაგზავნა რუსეთისა და ყაზახეთის სხვადასხვა რაიონში 10 მისამართზე. ასევე შეთხზა კონტრრევოლუციური ხასიათის ლექსი და გაუგზავნა მწერალთა კავშირებს სხვადასხვა რესპუბლიკაში.

Всем советским поэтам

Предатели певцы – поэты,
Гнилой поэзии творцы,
К чему обман и песни эти,
Позор вам ложные борцы.
    Вы лжёте пред лицом народа
    О счастье жизни на земле
    И воспевайте словно бога
    Убийцу грустного в Кремле.
Смотрите на народ России,
Голодный, босый, словно тень,
Как раб, измученный и хилий,
Безцельно бродит ночь и в день.
Налог, побери нет спасенья,
    Вместе свободы рабский труд,
    Страна насильства принужденья,
    Закон дракона - вечный кнут.

* ფონდი №6, საარქივო №41762, ტომი №4, სმირნოვი პ. ნ.

Земля от гор до океана
Могилам, трупом устлана,
Рука невеждого тирана
Миллионы жизней унесла.
А вы кричите - «Счастье, радость!
Свободно дышет человек!»
Позор и стыд! не жизнь а гадость,
Тиранство помнить будет век.
Безумные торговцы славой,
Смотрите уж, страна в огне,
Прольется гнев народа лавой,
Врагов сметет он не земле.
И вы тогда, продажный творцы,
Умрёте от руки народа,
Ложь вам скажут, подлецы,
Смерть - пряма дорога.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, სმირნოვის მიერ შედგენილი მოწოდებები მძიმე საომარი მოქმედებების დროს მიმართული იყო საბჭოთა სახელმწიფოს დამხობისაკენ, რაც ისჯება საქ. სსრ სსკ-ის 58-10 მუხლის II ნაწილით. საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს 1941 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ბრალდებულს შეეფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა***.

ერდელი თამარ ნიკოლოზის ასული*

დაიბადა 1906 წ., ეროვნებით რუსი, საშუალო განათლებით, მომღერალი, მცხ. ქ. სოხუმში.

თამარ ერდელი ომის დროს მოსახლეობაში ატარებდა ცილისმწამებლურ ანტისაბჭოთა აგიტაციას, აქებდა გერმანიის ძლიერებას, ცილს სწამებდა საბჭოთა პრესას. იგი ამბობდა: „იგი ისეთი ჭკვიანია, გენიალური თავი აქვს, ერთ თვეში აიღებს მოსკოვს, ჰიტლერი მხსნელია, ჩვენს ველურ ქვეყანა-

* ფონდი №6, საარქივო №41771, ტომი №3, ერდელი თ. ნ.

ში შემოიტანს კულტურას. ჩვენი გაზეთები წერენ სიცრუეს, გაუმარჯოს გერმანიას! გაუმარჯოს ჰიტლერს!“

ბრალდებულმა თავი დამნაშავედ ცნო ნაწილობრივ. 1941 წლის 2 დეკემბერს გამოუტანეს განაჩენი: საქ. სსრ სსკ-ის 58-10 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა პირადი ქონების კონფისკაციით***.

კახაბერი გიორგი იგორის ძე*

დაიბადა 1916 წ. დაბა ჩანბორინსკში (გურჯაანის რაიონი), ბუღალტერი, საშუალო განათლებით.

გიორგი კახაბერი სრულიად ღიად, სხვა წითელარმიელების თანდასწრებით, გამოთქვამს კონტრრევოლუციური ხასიათის შეხედულებებს; აცხადებს, რომ საერთაშორისო რევოლუცია არ იქნება, ჰიტლერი ამას არ დაუშვებს, იგი თავისი განვითარებით ყველა სხვა პროლეტარულ ბელადზე მაღლა დგას, ლენინზეც და სტალინზეც. მან შეძლო, დაემორჩილებინა ბევრი ქვეყანა და ჩაეხშო იქ რევოლუციური მოძრაობა. ლენინისა და სტალინის მიმართ გამოხატავს უპატივცემულობას. გაზეთებში დაბეჭდილი მათი სურათებისგან აკეთებს სიგარეტებს, აქებს გერმანიის სამხედრო ძალას და ტექნიკას.

1941 წლის 14 ოქტომბერს საქ. სსრ სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად მიუსაჯეს *10 წლით გადასახლება* შრომა-გასწორების ბანაკში, მომდევნო 5 წლით კი – პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა.

ადეიშვილი ოთარ ივანეს ძე**

დაიბადა 1926 წელს ს. მტერჩვეულში (სამტრედიის რაიონი), სწავლობს სურამის 1-ლი საშუალო სკოლის IX კლასში.

---

* ფონდი №6, საარქივო №41794, ტომი №3, კახაბერი გ. ი.

** ფონდი №6, საარქივო №41939, ტომი №3, ადეიშვილი ო. ი.

ოთარ ადეიშვილი და მისი მეგობრები – იოსებ გვენცაძე და ისრაილ მანაშეროვი – 1941 წლის 28 მაისს დააპატიმრეს. ისინი ადეიშვილის ხელმძღვანელობით სისტემატურად ავრცელებდნენ კონტრრევოლუციური ხასიათის ფურცლებს და მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. საქმეში არის მუყაოზე დაწებებული ჩამორთმეული მოწოდებები:

„ხალხს საშველს არ აძლევენ, ორმაგად გვაძრობენ ტყავს, ძირს რუსეთთან კავშირი!“

„სისხლს გვწოვენ, ტურფა საქართველოს თავისუფლება ჩამოართვეს, საჭიროა საქართველოს დახსნა რუსეთის ბრჭყალებისაგან, ემზადეთ საქართველოს გასათავისუფლებლად!“

„ყველაფერს თქვენთვის ნუ იმარაგებთ, ხალხშიც გამოუშვით, თორემ ხალხი აჯანყდება!“

„ქართველებო! ას ორმოცი წელია, რაც საქართველო იტანჯება მძიმე უღლისაგან. ძირს საქართველოს შემავიწროებელი რუსეთი!“

ოთარ ადეიშვილმა აღნიშნული ფურცლები დააწება მუყაოს ქაღალდზე და გააკრა სკოლასა და სურამის ცენტრალურ ქუჩებში. ეს ჯგუფი ხშირად მართავდა ანტისაბჭოთა ხასიათის საუბრებსაც. ისინი აპირებდნენ მომავალში ბრძოლის ტაქტიკის შეცვლასა და კონტრრევოლუციური ხასიათის ფართო ახალგაზრდული ჯგუფის შექმნას.

ამავე სკოლაში პედაგოგად მუშაობდა ოთარ ადეიშვილის მამა, ივანე დავითის ძე ადეიშვილი. მან იცოდა და ხელი არ შეუშალა ახალგაზრდებს ამ საქმიანობაში. აღნიშნული კონტრრევოლუციური ფურცლები მის სახლში ინახებოდა, ამიტომ დამანაშავეა ისიც, რაც აღიარა კიდეც.

ბრალდებულებს – ადეიშვილს, გვენცაძესა და მანაშეროვს – მიესაჯათ ***10-10 წლით გადასახლება*** შრომა-გასწორების ბანაკში პირადი ქონების კონფისკაციით, შემდეგ სასჯელი 5 წლამდე შეუმცირდათ, ადეიშვილის მამა კი გათავისუფლდა.

თავბერიძე კარლო იაგორის ძე*

დაიბადა 1915 წელს ს. ზენობანში (ჩოხატაურის რაიონი), საშუალო განათლებით, მსახურობს 805-ე პოლკში, უცოლო.

კარლო თავბერიძეს ბრალი ედება ფაშისტური ფურცლის შენახვაში (იხ. დანართი), რადგან მისი მიზანი იყო სამშობლოს გაყიდვა.

ბრალდებულს მიუსაჯეს გადასახლება ***10 წლით***.

ბაბალიშვილი შიო მიხეილის ძე**

დაიბადა 1905 წ., განათლება უმაღლესი, მუსიკოსი-პედაგოგი, მუშაობდა მე-4 მუსიკალურ ტექნიკუმში მასწავლებლად.

საქმეში არის შიო ბაბალიშვილის ჩვენება, მისივე ხელით დაწერილი ქართულად, სადაც საკმაოდ ვრცლად და დაწვრილებით აღწერს, როგორ ცხოვრობდა ტყვედ ჩავარდნის შემდეგ. იგი იყო გერმანული დაზვერვის, აუშვიტცის სკოლა „ცეპელინში“. აღწერილია დღის განრიგი საათების მიხედვით: ექსკურსიები, ლექციები, კვების რეჟიმი... ჩვენებაში ნახსენებია მარგველაშვილი (*სავარაუდოდ, ტიტე მარგველაშვილი, ა. ნ.)*, რომელიც გერმანიაში უნახავს ტყვეობისას: ერთ-ერთ შენობაში შეხვედრია, ბაბალიშვილს გერმანულად რაღაც უკითხავს, მას კი ქართულად უპასუხია, ქართველი ხარო? ბაბალიშვილი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა სკოლაში.

ამავე საქმეში ერთ-ერთი დაკითხული, იოსებ მიხეილის ძე სტეპანოვი აჩვენებს, რომ შიო ბაბალიშვილმა დაწერა სიმღერა სახელწოდებით „თამარის დროშა“, კერძოდ, მუსიკა ამ სიმღერაზე. მან იგი შეასრულა ყირიმში, მზვერავთა თვითშემოქმედების საღამოზე. სიმღერა შედგენილი იყო ანტისაბჭოთა სულისკვეთებით. სიმღერის შინაარსი ეხებოდა იმას, რომ საქართველო უნდა ყოფილიყო თავისუფალი და აქ დამყარებულიყო ეროვნული ხელისუფლება. სიმღერა მოუწოდებდა ყველას კომუნისტი ბოლშევიკებისაგან საქართველოს გასათავისუფლებლად.

---

* ფონდი №6, საარქივო №42387, თავბერიძე კ. ი.

** ფონდი №6, საარქივო №4320-07, ტომი №5, ბაბალიშვილი შ. მ.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალის 1944 წლის 26 ივნისის №43 განაჩენით შიო ბაბალიშვილს (მასთან ერთად ფორე ელაშვილს, გიორგი ინაძეს, დიმიტრი მანჩარაულს, შალვა ანდიაშვილს) საქ. სსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გამოუტანეს სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა***. განაჩენი დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი.

ჯღარკავა ვიქტორ პორფირის ძე*

დაიბადა 1902 წელს ს. ახალ სენაკში, 1929 წლიდან ემიგრანტია, დაოჯახებული, პროფესიით ექიმი-თერაპევტი, ირანის მოქალაქე, ირანში ეწეოდა კერძო სამედიცინო პრაქტიკას.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ვიქტორ ჯღარკავას 1929 წელს ჰქონდა კავშირი არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან, არალეგალურად დაარღვია საზღვარი და გადავიდა ირანში. იქ დაუკავშირდა ადრე წასულ ემიგრანტებს, შემდეგ კი „საზღვარგარეთულ მენშევიკურ ბიუროს“ პარიზში. მან მიიღო მანდატი, როგორც საქართველოს ყოფილი მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენელმა და მათივე დავალებით დააფუძნა ირანში „ეროვნული კომიტეტი“, რის შემდეგაც შეუდგა აქტიური კონტრრევოლუციური ჯაშუშური საქმიანობის განხორციელებას სსრკ-ის წინააღმდეგ. იგი გამოგზავნეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სპეციალური კონტრრევოლუციური დავალებით, ასევე იყო დაკავშირებული უცხოური დაზვერვის წარმომადგენლებთან. ბრალად ედება სამშობლოს ღალატი, რაც გამოიხატა 1929 წელს სამშობლოდან გაქცევითა და ანტისაბჭოთა საქმიანობით. ემიგრაციული ცენტრის დავალებით მან კავშირი დაამყარა ემიგრანტ-მუსავატელებთან, რომლებიც ცხოვრობდნენ ირანში და შეუდგა აქტიურ კონტრრევოლუციურ საქმიანობას. იგი სპეცემისრებმა მოავლინეს საქართველოს ტერიტორიაზე

* ფონდი №6, საარქივო №43635-07, ტომი №4, ჯღარკავა ვ. პ.

სამუშაოდ საზღვარგარეთ გამოცემული კონტრრევოლუციური ლიტერატურითა და სხვადასხვა კონტრრევოლუციური დავალებით.

1943 წლის 2 დეკემბრის საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ბრალდებულს ჩადენილი დანაშაულისთვის საქ. სსრ სსკ-ის 58-1 „ა“ და 58-11 მუხლების თანახმად მიესაჯა ***20 წელი*** შრომა-გასწორების კოლონიაში, ხოლო 1944 წლის 15 აპრილს სსრკ შსსკ-ის სასამართლომ სასჯელი ***10 წლამდე*** შეუმცირა. მოგვიანებით მის მეუღლეს მოუთხოვია საქმის გადახედვა, მაგრამ განაჩენი ძალაში დატოვეს.

ჩადუნელი შ. გ., ნანობაშვილი ა. ი., გულდამაშვილი ს. გ.*

1945 წელს დააპატიმრეს შალვა გაბრიელის ძე ჩადუნელი, ამბროსი იოსების ძე ნანობაშვილი და სერგო გიორგის ძე გულდამაშვილი, რომელთაც ბრალად ედებოდათ სამშობლოს ღალატი. როგორც საქმეშია ნათქვამი, შალვა ჩადუნელი და სერგო გულდამაშვილი 1942 წელს ირიცხებოდნენ საბჭოთა არმიის რიგებში და იმყოფებოდნენ ფრონტზე, ყირიმის ნახევარკუნძულზე, სადაც იმავე წლის 10 მაისს შესვენების დროს ჩაბარდნენ ტყვედ გერმანელებს. ისინი გადაიყვანეს სამხედრო ტყვეთა გერმანულ ბანაკში, რომელიც დისლოცირებული იყო გერმანიის ტერიტორიაზე. ამბროსი ნანობაშვილიც 1941 წლიდან იმყოფებოდა ტყვეთა ბანაკში. დაემორჩილნენ რა ფაშისტურ აგიტაციას, ჩადუნელმა, გულდამაშვილმა და ნანობაშვილმა 1942 წლის სექტემბერში გაიარეს სამხედრო კომისია და საკუთარი ნებით შევიდნენ ქართულ შეიარაღებულ ლეგიონში, რომელიც იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ. აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლით. წარდგენილ ბრალში ჩადუნელმა, ნანობაშვილმა და გულდამაშვილმა თავი დამნაშავედ ცნეს.

1945 წლის 17 აპრილს ბრალდებულებს – შალვა ჩადუნელს, ამბროსი ნანობაშვილს და სერგო გულდამაშვილს – საქ. სსრ

* ფონდი №6, საარქივო №45366, ტომი №2, ნანობაშვილი ა. ი.

სსკ-ის 58-1 „ბ“ მუხლის თანახმად მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა – ***დახვრეტა***, რომელიც 1945 წლის 20 აპრილს პროტესტის შემდეგ შეუცვალეს ***20 წლიანი კატორღით*** და შემდეგი 5 წლით პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევით.

გედევანიშვილი გრიგოლ ალექსანდრეს ძე*

დაიბადა 1915 წ. ქ. თბილისში, დაოჯახებული, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, სამედიცინო სამსახურის კაპიტანი, მუშაობს სანიტარიის ლექტორად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ძიებამ დაადგინა, რომ გრიგოლ გედევანიშვილს, იყო რა უკმაყოფილო არსებული წყობით, 1947 წლის აპრილში საბჭოთა ხალხის ბელადის, სტალინის, სახელზე დაუწერია ანტისაბჭოთა ხასიათის ორი ანონიმური წერილი. წერილებში გამოთქმული იყო ტერორისტული შეხედულებები საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურთა და პარტიის ხელმძღვანელთა მიმართ.

1947 წლის 7 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-3 კორპუსის კედელზე აღმოჩნდა ანტისაბჭოთა ხასიათის წარწერა ხალხთა ბელადის შესახებ ქართულ ენაზე: „*სტალინი წითელი ფაშიზმის ხელმძღვანელია*“. შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ იგი იმავე ხელწერითაა შესრულებული, რომლითაც ზემოაღნიშნული წერილები და ეკუთვნის გრიგოლ გედევანიშვილს. მოვიყვანთ ადგილებს წერილებიდან:

„*ჩვენთან მუშაობენ მშრომელები, ანუ „ვირები“, ხოლო ჭამენ წითელმანდატიანი ჭკვიანები და მათი მეგობარი ჯიბის ქურდები...*“

„*ჩვენ, სპეციალისტებს, არ გვაძლევენ შესაბამის სამუშაო ადგილებს, უმუშევრობა ჩვენთან ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა, იგი რეალურად არსებობს ყველგან მთელ წითელ ფაშიზმში, ჩვენთან შრომა არის იძულებითი და დამქანცველი, არა 8 საათი, არამედ მეტი...*“

---

* ფონდი №6, საარქივო № 47137, გედევანიშვილი გ. ა.

„სულელური გეგმების შესრულების სტახანოვურ-მატროსოვულ მოძრაობას მიჰყავს მშრომელები გონების დაკარგვამდე და ძალების გამოცლამდე, თუკი იგი დააგვიანებს ან არ მოვა სამუშაოზე, ასამართლებენ – აი, ესაა წითელი ფაშისტების მიერ შრომის სტალინური თავისუფლების გაგება. საზღვარგარეთ შრომა ნამდვილად თავისუფალია და იქ შრომობენ ნებაყოფლობით...“

„ჩვენში გლეხის შრომაც ძალიან მძიმეა. იგი უფრო ველურ ადამიანს ჰგავს, ვიდრე ნორმალურს. ისინი ამბობენ, რომ ადრე, როცა მუშაობდნენ ქირით, უფრო მეტი ჰქონდათ და უკეთ ცხოვრობდნენ...“

„დღეს აღვირახსნილი, თავხედური, უსირცხვილო ექსპლოატაცია ყვავის ჩვენს ქვეყანაში...“

„წითელ ფაშიზმს სტალინის მეთაურობით მშრომელთა ცხოვრება კატასტროფამდე მიჰყავს...“

„საზღვარგარეთ ღარიბი და საშუალო მოსახლეობა უკეთ ცხოვრობს, ვიდრე ჩვენთან ყველაზე ცნობილი მეცნიერი...“

„წითელი ფაშიზმის ხელმძღვანელებო, ეცადეთ, ისტორიამ არ გამოგიტანოთ ისეთი განაჩენი, როგორიც თქვენ გამოუტანეთ ჰიტლერს...“

ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო ტრიბუნალმა 1948 წლის 5 მაისს გამოიტანა განაჩენი: გრიგოლ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი მხილებულია დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია საქ. სსრ სსკ-ის 58-10 მუხლის I ნაწილით და 19-58-8 მუხლით. ორივე დანაშაულისთვის ჯამში მიესაჯა ***25 წლით*** თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში ქონების კონფისკაციით და შემდეგი 5 წლით პოლიტიკური უფლების ჩამორთმევა.

ბრალდებულმა გააპროტესტა აღნიშნული დადგენილება, რომელშიც ადასტურებს, რომ ბრალს აღიარებდა, მაგრამ განმარტავდა, რამ დააწერინა აღნიშნული წერილები – ეს იყო მატერიალური გაჭირვება. აღნიშნავს, რომ წერილში რამე მუქარა არ დაუწერია, მხოლოდ ხალხის მძიმე მდგომარეობა აღწერა, რაშიც ადანაშაულებდა საბჭოთა მთავრობას, ამიტომ ლანძღავდა ბელადს და საბჭოთა სახელმწიფოს. ჩემი მიზანი იყო, მთავ-

რობის ყურამდე მიმეტანა ეს მძიმე მდგომარეობა ჩემი და ჩემი ხალხისა, რათა აღმოეჩინათ ჩვენთვის მატერიალური დახმარება, – განმარტავს იგი. 1955 წლის 10 დეკემბერს სასამართლომ უსაფუძვლოდ ცნო მისი პრეტენზიები და სასჯელი ძალაში დატოვა, როგორც დანაშაულის შესაბამისი.

ჯანიაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე*

დაიბადა 1927 წ. ქ. თბილისში, 7 კლასის განათლებით, უპარტიო.

გიორგი ჯანიაშვილი მუშაობდა თბილისის პლასტმასის ქარხანაში. 1948 წლის 25 დეკემბერს შესვენებისას ფანქრით გადაუხაზავს ბელადის სურათი, რომელიც ეკიდა წარჩინებულთა დაფაზე, შემდეგ კი სურათის ბოლოზე წაუწერია უცენზურო სიტყვები, რითაც გამოხატა ანტისაბჭოთა განწყობილება.

ამისათვის 1948 წლის 28 ივნისის განაჩენით საქ. სსრ სსკ-ის 58. 10 მუხლის I ნაწილის თანახმად მიუსაჯეს ***10 წლით*** თავისუფლების აღკვეთა და შემდეგი 3 წლით პოლიტიკური უფლების ჩამორთმევა.

1990 წლის 19 მარტის დადგენილებით გიორგი ჯანიაშვილი რეაბილიტირებულია მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

იგოზაროვი ბორის ნიკოლოზის ძე**

დაიბადა 1915 წ., ეროვნებით სომეხი, განათლებით დაბალი, უპარტიო.

ბორის იგოზაროვი 1949 წელს მუშაობდა ამიერკავკასიის ჯარების ერთ-ერთი სამხედრო მშენებლობის საჭაპანო ტრანსპორტის მუშად. საქმეში ნათქვამია, რომ „იყო განწყობილი ანტისაბჭოთად, აქებდა კაპიტალისტური ქვეყნების მდგომარეობას და საბჭოთა კავშირს ახასიათებდა პროვოკაციულად“.

---

* ფონდი №6, საარქივო №4947, ჯანიაშვილი გ. ნ.

** ფონდი №6, საარქივო№49285, იგოზაროვი ბ. ნ.

1949 წლის მაისში მშენებლობის სამჭედლოში გახურებული შანთით სამჭედლოს კარზე სამ ადგილას ამოუწვავს ფაშისტური სვასტიკა.

1949 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ბორის იგოზაროვს საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ მიუსაჯა ***10 წლით*** თავისუფლების აღკვეთა და მომდევნო 3 წლით ჩამოართვა პოლიტიკური უფლებები.

1990 წლის 16 მაისის დადგენილებით ბორის იგოზაროვი რეაბილიტირებულია.

ბრეგაძე ნოდარ კლიმენტის ძე*

დაიბადა 1935 წელს, მე-11 კლასის მოსწავლე, მცხ. ლაგოდეხის რაიონის ს. ფოდანში.

ნოდარ ბრეგაძე უკმაყოფილო იყო ხალხის მტერ ბერიას გამომჟღავნებითა და დაპატიმრებით. ამიტომ ესწრებოდა რა ს. აფენის საკოლმეურნეო კლუბში კინოსეანსს, გამოვიდა დარბაზიდან ფილმის დამთავრებამდე და დაიწყო ანტისაბჭოთა შინაარსის ფურცლების წერა. იგი მხარს უჭერდა ბერიას და ხალხსაც მოუწოდებდა მხარდაჭერისაკენ. ფურცლები გაფანტა კლუბის ღობის გადაღმა შარაგზაზე. 1953 წლის 13 ივლისს იგი ნახეს და აკრიფეს მეტრეველმა, მელიქიშვილმა და სოგრადოვმა.

1954 წლის 6 მაისს ნოდარ ბრეგაძე დააპატიმრეს და წაუყენეს ბრალი. წარდგენილ ბრალში მან თავი დამნაშავედ ცნო, ოღონდ ეს საქციელი ახსნა იმ სულიერი აღელვებით, რაც შეყვარებულის, ეთერ ფულარიას მიერ ცოლობაზე უარის თქმით იყო გამოწვეული.

1954 წლის 29 მაისს სსსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 58. 10 მუხლის I ნაწილით ბრალდებულს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ***4 წლით*** შრომა-გასწორების ბანაკში.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არის ერთი საინტერესო დეტალი: საქმის მასალებში ნივთმტკიცებად ნახსენებ

* ფონდი №6, საარქივო №5401, ტომი №3, ბრეგაძე ნ. კ.

ფურცლებთან ერთად ინახება ქართული ენისა და ლიტერატურის საკონტროლო წერის სასკოლო რვეული, რომელშიც არის თხზულება – *გმირი წინაპრები გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“*. როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ბრალდებულის ნაციონალისტური სულისკვეთების დასადასტურებლად გამოიყენეს.

აბაიშვილი ელბერდ რომანოზის ძე*

დაიბადა 1925 წ. ონის რაიონის ს. სევაში, იყო შსს-ს ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების თანამშრომელი.

ელბერდ აბაიშვილი დააპატიმრეს 1954 წლის 15 მაისს. ბრალად ედებოდა ანონიმური წერილის დაწერა ხალხის მტერ ბერიას დასაცავად, სადაც მას აქებდა და გამოთქვამდა ცილისმწამებლურ აზრებს საბჭოთა სისტემაზე. იგი ასევე წერდა პატრიოტული ხასიათის ლექსებსაც

საქართველო

მშობლიურო ჩემო კუთხევ,
საქართველოს მხარევ,
მე უშენოდ სადაც წაველ,
ვერსად გავიხარე...
    შენს კალთაზე აღვიზარდე,
    გთხოვ, შენ შემიფარე,
    დაღლილსა და დაქანცულსა
    გული გამიხარე...
ჯუღაშვილის მშობელი ხარ,
ნათელის მომფენი,
მსოფლიოს ჩაგრულ ხალხების
.....

* ფონდი №6, საარქივო № 5405, ტომი №2, აბაიშვილი ე. რ.

გზას უნათებ ყოველ მშრომელს,
გზას უნათებ ყველას,
საუკუნოებრ აშენებ
ტკბილ ოჯახურ კერას...

5 მარტი 1954 წ.
ქ. ხარკოვი

1955 წლის 25 იანვარს ელბერდ აბაიშვილი გაასამართლეს და საქ. სსრ სსკ-ის 58. 10 მუხლის I ნაწილით მიუსაჯეს ***5 წლით*** თავისუფლების აღკვეთა.

მივიწყებული ფურცლები

გივი მაღულარია

ფრაგმენტები მოგონებებიდან „წარსულის ყრუ გამოძახილი“*

...ხალხმა უკვე კარგა ხანია იცოდა, რაკი „იქიდან“ მოგაკითხეს, უკან ვეღარ დაბრუნდები. რის უდანაშაულობის პრეზუმპცია, რის ძიება, რის სასამართლო. ბრალდების ყველა მუხლი თავიდანვე იყო განსაზღვრული, თითოეული მათგანი გარდაუვალ სასჯელს ითვალისწინებდა, წამების მეთოდებს კი იმისათვის იყენებდნენ, რომ ბრალდებულს ბრალდება უცვლელად დაედასტურებინა. კონკრეტული ფაქტები არავის აინტერესებდა, არც მათი კომენტარი. მთავარი იყო, ქვეყნის დამაქცევარი მტრის აღმოჩენა ან გამოგონება, ამ გამონაგონის გაზვიადება და ... ხალხის დაშინება, რასაც აღწევდნენ კიდეც. (ჩაბნელებულ უკაცრიელ ქუჩებში) თავისუფლად დათარეშობდნენ მანქანები, რომელთა სალონში ხელებდაბორკილი, ორ მცველს შორის გაუნძრევლად ჩაჭედილი პატიმრები ისხდნენ და ხეირიანად არ იცოდნენ, სად მიჰყავდათ, რა ელოდათ წინ, რომელ ჯურღმულში გამოკეტავდნენ... იქ, სადაც სიმართლე და კანონიერება არ აინტერესებდათ, გამოძიებასაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მთავარი მიზანი იყო, პატიმარი სულიერად გაეტეხათ, ისე ეწამებინათ და დაემდაბლებინათ, კაცური ღირსებისა და თავმოყვარეობისა არაფერი შერჩენოდა. ამისთვის კი იყენებდნენ მხოლოდ ერთ, ყველაზე პრიმიტიულ მეთოდს – ფიზიკურ წამებას. ამას ემატებოდა სიცივე, შიმშილი, უძილობა, ნაწამები მამაკაცების ღრიალი და ქალების კივილი. როცა პატიმარი მთელ ამ პროცესს გაივლიდა, მას უკვე აღარც თავის და აღარც სხვისი მოკვლის ძალა არ ჰქონდა. ამიტომ მზად იყო ყოველგვარ ბრალდებაზე მოეწერა ხელი. ამ ხნის განმავლობაში თუ ვინმეს ჰქონდა ნათელი მზერა, თვალში სხივი უქრებოდა, თუ კაცური ღირსება გააჩნდა, ამ ღირსებას კარგავდა, თმა უთხელდებოდა,

* გაზ. „მამული“, 1991, 10/02.

კბილები სცვიოდა, აზრი უბნელდებოდა... მას უკვე ილუზიები და სასწაულის იმედი აღარ ჰქონდა. ამიტომ მონუსხული მსხვერპლივით თვითონ ისწრაფვოდა გასამართლებისა და სასჯელისაკენ...

პატიმარს დიდი გზა ედო წინ, ე.წ. „ეტაპი“, რაც აგრეთვე ჯოჯოხეთის ერთ-ერთი გარსი იყო ციხესა და ბანაკს შორის. „ეტაპისთვის“ ემზადებოდნენ წინასწარ, საგანგებოდ. ადგენდნენ საბუთებს, არჩევდნენ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, წვრთნიდნენ ძაღლებს.. დახურულ მანქანებში პატიმრებს ციხის ეზოში სვამდნენ, თანაც იმდენს, რომ გატენილ ძარაში წიხლით ტენიდნენ და კარს დიდი ვაივაგლახით ხურავდნენ. მაგრამ დიდი აურზაური, ოფიცრების ღრიალი, ჯარისკაცების ღრიალი და გაავებული გერმანული ნაგაზების ყეფა სადგურში მიყვანის წუთიდანვე იწყებოდა. გზას ისე მიიკვლევდნენ, თითქოს მტრებით იყვნენ გარშემორტყმულნი და „სტოლიპინის“ ვაგონამდე ბრძოლით უნდა მიეღწიათ... ამ ღრიალ-ყვირილ-ყეფაში არარეალურის რეალურისგან გამოყოფა ჭირდა. აურზაური და გაწამაწია მხოლოდ მაშინ წყდებოდა, როცა პატიმრებს გისოსებიან კუპეებში შერეკავდნენ და საიმედოდ დაამწყვდევდნენ.

თითოეული კუპე სამსართულიანი იყო. მესამე სართულზე მხოლოდ ხვრელით შეიძლებოდა აძრომა. იქ აძრომას მხოლოდ ისინი ბედავდნენ, ვისაც ვიწრო სივრცის შიში არ ჰქონდა, რადგან მესამე სართულზე არა თუ ვერ წამოჯდებოდი, ვერც კი წამოიწეოდი. მისი ჭერის სიმაღლე მხოლოდ წოლის საშუალებას იძლეოდა. მიუხედავად ვაგონის მთელი მოცულობის მაქსიმალურად გამოყენებისა, კუპეებში ტევა მაინც არ იყო. პატიმრები მორიგეობით სხდებოდნენ და მორიგეობით წვებოდნენ. გისოსებთან დგომის უფლებას ზედამხედველები არ იძლეოდნენ... ასე მიჰყავდათ პატიმრები ერთი გამანაწილებელი ციხიდან მეორემდე. უზარმაზარი გამანაწილებელი ციხეები იყო ბაქოში, ტაშკენტში, ნოვოროსიისკში, პეტროპავლოვსკში. პატიმრებს აჭმევდნენ შავ პურსა და დამარილებულ ქაშაყს, წყალი კი იმ უდაბურ ადგილებში ნორმირებული იყო და ყოველ ზედმეტ ჭიქაში ზედამხედველები ფულს თხოულობდნენ...

ციხეს უზარმაზარი ტერიტორია ეკავა. ამავე ზონაში მდებარეობდა ქალთა ციხეც. ყოველი მხრიდან ჭუჭყიანი სახეები იმზირებოდნენ და ამიტომ ძნელი წარმოსადგენი იყო, არსებობდა თუ არა ამ ციხეში აბანო და სადეზინფექციო პუნქტი. მაგრამ რომ არსებობდა, ეს ფაქტი ერთმა შემთხვევამ დაადასტურა. რომელიღაც შორეული კოლონიიდან ციხეში ორასამდე ქალი მოიყვანეს. ქალურობისა მათ უკვე აღარაფერი ეცხო. გაძვალტყავებულები, ჩამოხეულ-ჩამოფლეთილები, დაუბანელები, თმაგაჩეჩილები, მცხუნვარე მზისგან სახეგარუჯულები ქვესკნელიდან ამოსულ ალქაჯებსა და როკაპებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ცხოვრების დამამშვენელებს. „მახორკის“ წევისგან ხმაც დაბოხებული ჰქონდათ. ძნელი დასაჯერებელი იყო ქალის ასე გაუბედურება, გაცხოველება, გაუქალურება თუ შეიძლებოდა. არსად, არაფერში არ გამოვლენილა რეჟიმის კაცთმოძულეობა და სისასტიკე ისე ცხადად, როგორც იმ ორასი ქალის გადაგვარებასა და გადაჯიშებაში. ახლა ჭუჭყისგან შეჭმულნი პირდაპირ აბანოსკენ მიჰყავდათ, მაგრამ იმ გამომეტყველებას, მათ რომ ეწერათ სახეზე და იმ სიბინძურეს, კოლონიიდან რომ წამოჰყვათ, ვერავითარი წყალი ვერ ჩამორეცხავდა“.

ოტია პაჭკორია

დაბრუნება მისადგომებთან

მან, ვინც იცოდა, რა იყო შიში...
ძველი ქალაქის მისადგომებთან
მხურვალე მიწის შეცვლილი ფერით,
უხილავ რიტმით...
იგრძნო წუხილი...
მან არ იცოდა არც სიხარული, არც მწუხარება.
ძარღვებში ედგა დიდი სიძველე...
თეთრი ზანგების საიდუმლო, ტრამალთა სევდა...
ასე ეგონა...
იდგა მძიმედ დახშულ კარებთან
და შემკრთალ ხელით შეეხო სივრცეს,
მერე გაშალა შეკრული მუშტი და ხელისგულზე
ნაპოვნ კენჭივით დარჩა სინესტე.
მან არ იცოდა, ეტყვიან სიბრძნედ
არაფრის ცოდნას და არ გაგებას...
იყო სურვილი...
ვაგონის კართან იდგა ჭაბუკი და უფალ ხელით
შემკრთალ ქალწულს უმსხვრევდა ნებას...
იცოდა, უნდა გარიგებოდა და არ შეეძლო...
მან არ იცოდა...
თვალთა უპეში გაჩენილ წვიმას თუ აქვს სახელი...
იქნებ მუხლები მოიყაროს ხრიოკ მიწაზე...
იქნებ წითელი ჰორიზონტის გადასახედთან
ადგება ვინმე და დათრგუნავს მზის არილში გამდნარ ოცნებას.
და გაახსენდა...
ერთ ღამეში წავიდა კაცი, მერე დაბრუნდა...
და ვეღარ ნახა ვერც შუაცეცხლი და ვეღარც ქალი.

ჩანახატი

წარსულისგან უნდა განთავისუფლდე. ამბავი არ დამთავრებულა, არსებობდა ჩემი ცხოვრება, რეალურისა და მირაჟის ნარევი, ჩემი წუხილი და განახლების ძიება, არსებობდნენ წინააღმდეგობანი, იმედი და გულის გატეხა და ყოველივე ყოველთვის დიდი სიყვარულის გრძნობით ადამიანის მიმართ. აღქმა არ შეიძლება მცდარი იყოს, იქნებ მცდარია, აღქმულის ასახვაა, მაგრამ უფლებას გაძლევს გამოცდილება.

ტვირთი უნდა მოიცილო, ყოველივე ეს ტვირთი იყო ჩემთვის, დღეიდან იწყება ახალი ცხოვრება, განახლება ჩემში, ჩემ ირგვლივ.

საქართველოვ, მე მიჭირდა შენთან დაბრუნება, და ასე მგონია, დღესაც შენს კარიბჭესთან ვდგავარ, ვიცილებ ყოველივე უცხოს, რომელიც წლებმა შემმატეს, ვუხდი უკანასკნელ ხარკს ჩემი წარსულის თანამგზავრებს, ჩემს ხეტიალს უკიდეგანო სივრცეებში. წარსული აღარ არსებობს, აღარ არსებობს პატარა იულო, ზღვა, რომელიც არც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე არაა აღნიშნული, ქალაქი, რომელშიც არასდროს მდგარა სინაგოგა, ბავშვობა, რომელმაც გამჭვირვალე სახლები შექმნა, უნტერი ოილე არ დაღუპულა, ცხოვრობს ლაიპციგში და არემონტებს ლიმუზინებს. ედიშერი, რომელიც ორ ფურცელს შორის გასრესილ მელნის ლაქას ჰგავს.

საქართველოვ, მე დღეს გიბრუნდები შენ, შენი უძღები შვილი, და ყოველივე ყალბს, შეძენილსა და უცხოს შენს ბჭესთან ვტოვებ, შემოვდივარ შენში პირველყოფილი და უშუალო, გამზადებული ახალ აღქმათა და შთაბეჭდილებათათვის.

მოვედი უბირი და უტყვი, მოვედი, რომ მოვისმინო სიტყვა და დავისწავლო იგი.

სადღაც ზეიდერზეეს ნაპირებზე, სადღაც შორეულ კუნძულზე დარჩა ძმათა სასაფლაო, სადაც ოთხასი ქართველი ვაჟკაცი წევს. თეთრ ობელისკს ყოველ გაზაფხულზე ყვავილებით ამკობენ. სასკია ცხოვრობს, ცხოვრობს ბებერი იოსებიც. მე კი ერთადერთი მაწვალებს, უთქმელი სიტყვა და გეკითხები შენ:

„ღვთის გულისათვის, მასწავლე, როგორ უნდა ითქვას იგი, ჩემი სიტყვა“.

*ლადო სულაბერიძე**

1942-45 წლებში ბერლინში გამოდიოდა ქართველი ლეგიონერების გაზეთი „საქართველო“. ამ გაზეთში ჩემი ლექსებიც დაიბეჭდა „ამურის“ ფსევდონიმით. ტყვედჩავარდნილებმა შიმშილით სიკვდილს ქართულ ლეგიონებში სამსახური ვარჩიეთ (ამის შესახებ დაწვრილებით მექნება საუბარი ჩემს წიგნში „ცხადსიზმარიანა“). საბჭოების შიშით გაზეთში გვარ-სახელების გამხელას ვერ ვბედავდით და ლექსებს ფსევდონიმებით ვაქვეყნებდით.

შინ დედნები, რა თქმა უნდა, არ ჩამომყოლია. ვეღარ აღვადგინე და მართალი გითხრათ, არც მიცდია დაჟინებით. ვშიშობდი, ჩეკას ყურამდე არ მისულიყო ეს ამბავი. ოთხ ათეულ წელზე მეტი გულისტკივილით ვატარებდი მათ ხსოვნას.

შარშანწინ მწერალთა კავშირში პოეტი შუკო ჯიქია შემხვდა. იცოდა, ტყვეობაში რო ვიყავი და მკითხა, „საქართველოში“ დაბეჭდილი ლექსების ავტორთა ვინაობა თუ ვიცოდი. ჩამომითვალა რამდენიმე ფსევდონიმი. გავოცდი, ჩემი ფსევდონიმიც რომ ახსენა – „ამური“. ამური მე ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, ისიც გაოცდა, თურმე კარგა ხანია ეძებდა ამ ფსევდონიმის ავტორის ვინაობას.

მეორე დღეს შუკომ მომიტანა გაზეთების ფოტოპირები და 46 წლის შემდეგ კვლავ თვალი შევავლე ჩემს იმდროინდელ ლექსებს. მაშინ 22-23 წლის ყმაწვილი ვიყავი.

აქვე შევნიშნავ: გრიგოლ რობაქიძემ ამავე გაზეთში წერილი დაბეჭდა იქ გამოქვეყნებული ლექსების რამდენიმე ავტორზე. მათ შორის ამურზე. დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა, მადლობა ღმერთს, საბჭოურ საქართველოში ტალანტები ჯერ კიდევ ყოფილაო.

გაზეთის ეს ფოტოპირები ამერიკიდან ერთ-ერთ ქართველ ემიგრანტს თბილისში შვილისთვის გამოუგზავნია. შუკოს ამ გზით ჩავარდნია ხელთ. ამ დიდი სიხარულის მონიჭებისათვის დიდი მადლობა მინდა მოვახსენო ბატონ ემიგრანტსა და შუკო ჯიქიას.

---

* ჟურნ. მნათობი, 1991, №2

მაშინვე გადავიღე ქსეროქსზე და ასლები ახლა შინ მაქვს. ამას წინათ ახალი გაზეთი გამოვიდა „მთაწმინდა“. ერთი ამ ლექსთაგანი ამურის ფსევდონიმით ამ გაზეთშია დაბეჭდილი. ამჯერად „მნათობის“ მკითხველებს მინდა შევთავაზო ეს ლექსები.

ბედის ვარსკვლავი

ჩამოცილებულ ღრუბლის პირბადეს,
პატარძალივით დაჯდები ცაზე,
ნეტა რად გაჩნდი, რად დაიბადე,
ანდა რისთვის ხარ ლამაზი ასე?!

თითქოს სიმშვიდის ბურუსში გამხვევ
და მაინც შფოთვის მიმათრევს ტალღა
დამესახები ხან ქალის სახედ,
შეგიყვარებ და გაქრები სადღაც.

ცივ სიშორიდან დამყურებ მშვიდად,
გამოუცნობი იდუმალება
შენი სითბო და სინათლე მინდა,
თორემ დამღუპავს ქვეყნის წვალება.

საით ილტვიან, სად გაიფანტნენ
შენი სიტყვები ლილიან გზაზე?!
ეჰ, რატომ გაჩნდი, რათ დაიბადე,
ანდა რისთვის ხარ ლამაზი ასე?!

1943

კავკასიონი

დედამიწაზე მარად ნათელით,
მძლავრ ხომალდივით წამომართული,
ტალღებს მიარღვევს დიდი ქართველი,
ქარიშხალია მისი ქართული.
გაჭაღარავდა დაბადებიდან
და დღემდე აღარ დაბერებულა,
დარბაისელი სდგას ძველებურად
თეთრ ბაშლაყებით და ნაბდებითა,

ჩამოსწოლია ზეცა ალერსით
და ვარსკვლავებით მოციმციმეთი.
მარადისობის ოკეანეში
სდგას, ვით ოცნება, სდგას, ვით იმედი.

პირველ აქ დაჰკრეს ჟამთასვლის ზარი,
პირველ აქ ითქვა კაცთა ამბავი.
იმ მთაზე არის, ამ მთაზე არის
ალბათ ადამ და ევას საფლავი.

პირველ აქ სჭექდეს სიტყვა ქართული,
პირველ აქ გვესმა ხმა ტკბილ ნანასი.
რუსთველი არის აქ მონათლული,
იალბუზია მისი პარნასი.

ჯვარზე გააკრეს აქ ამირანი
და ქრისტესავით აწამეს რისხვით
შეუდრეკელი ვაჟკაცის სისხლი
კავკასიონის არის მირონი.

ჩამოსწოლია ზეცა ალერსით
და ვარსკვლავებით მოციმციმეთი.
მარადისობის ოკეანეში
სდგას, ვით ოცნება, სდგას, ვით იმედი.

1943

ძველ ნანგრევებთან

ის ციხე-კოშკი ძველთა მეფეთა,
ან მოხავსებულ ქვებად შთენილი,
იდგა ზვიადი და მოწყენილი
და მასთან მისვლა ვერ გამებედა.
ვინმე ჯადოქრის ხელით ნაგები,
ჩემთა წინაპართ დიდი ნასახლი...
ეხლა რჩენილა მხოლოდ ნასახი
იმ დარბაზების და ფარდაგების.
ამ ციხეკოშკთან ძველთა მეფეთა
მე სიყვარული შემომეფეთა...
...და ირხეოდნენ დიდი მუხები...
აქ სიყვარულის სრა ავაშენე.
ის ამ დიდებულ ნანგრევს ამშვენებს,
ჰაეროვანი და ხელუხლები.

1943

მეგობრებს

ჩამოღამდება... თქვენ იქნებ ეხლა
სანგრებში წევხართ დაფიქრებულნი...
ამოინთება ღრუბლებში მაღლა
მთვარე შიშვით გაფითრებული...
მიგელულებათ მოღლილებს წამით,
ტკბილი ბურუსით დაიბურებით...
აილანდება კლდენი და ხრამი,
მშობელი მთები და ჯიხურები, –
თქვენი სოფელი, მაღალ მთის ფერდზე
ხალიჩასავით გადაფენილი,
დიდი არწივი, მართვებს რომ ეძებს,
კლდის ორწოხებზე გადაფრენილი
დედული მიწა, თაკარა მზეში
დახეთქილი და აფეთქებული
პატარა ქალი, ანკარა ეშხით
ლოდინის სუსხში გაქვავებული.

„ვეფხისტყაოსნის“ ელვარე პწკარი,
განთიადსა და ამურს ხლებული,
კავკასიონზე ამდგარი ქარი,
პონტოს ტალღებში ჩამუხლებული...
გაილანდება და მოგონება
წაეკიდება გულს ამბოხებულს...
გადაიარეს თვით მონღოლებმა,
სტოვებდნენ ნგრეულს და აოხრებულს.
თუმცა ანგრიეს, თუმცა გასთელეს,
მადლი შენ, დიდო შოთას ნათელო,
ისე გიყვარდა, ლომგულ ქართველებს
არ დაგვითმია ჩვენ საქართველო.
ახლა ღამეა... არ სჩანს გორები,
მშობელი მთები და ჯიხურები...
ჩაგეძინებათ და მოგონების
ტკბილი ბურუსით დაიბურებით.
და დილით, როცა ატყდება მეხი,
ყუმბარა დათხრის დიდ მუხის ფესვებს,
შეხვდებით მტერს და წარბებს არ შეხრით,
დაიჭრებით და არ დაიკვნესებთ.

1943

კალიმა

(კომპოზიცია)*

1

მე ციმბირში ვახლდი ქარებს,
ციმბირია ცივი მხარე,
თუმცა იქაც მზეა ცაზე,
ცაზე მიყინულა მთვარეც.
ქარი ნამქერს წინ-წინ გარეკს,
სად – გზებს ჩახერგს,
სად ხევს ჩარეგვს...

* ჟურნალი „განთიადი“, 1992, №11-12.

თოვლის სული ვერ ჩავიდგი,
თოვლის საფლავები ვთხარე.
.....
კალიმაშიც ვახლდი ქარებს,
მე ის მხარე მოვიარე.

2

კალიმაშიც ვახლდი ქარებს,
მე ის მხარე მოვიარე,
გაზაფხული ვერსად ვნახე,
ხე ვერ ვნახე მსხმოიარე.
არსად – ყანა,
არსად – მზვარე,
ყველგან – თოვლი,
არსად – ხნული...
.....
„თორმეტი თვე ზამთარია,
დანარჩენი გაზაფხული“.
.....
თუმცა იქაც მზეა ცაზე,
ცაზე მიყინულა მთვარეც.

3

სტოლიპინის მატარებლით
თბილისიდან გამაქანეს.
ამ ქარებში სულს ვითქვამდი,
განმაშორეს ამა ქარებს.
ციხის კართან დედა იდგა,
არც დედილას გამაკარეს, –
მე მივყავდი „ჩორნი-ვორონს“
ის უცქერდა ციხის კარებს.
.....
სტოლიპინის მატარებლით
კალიმასკენ გამაქანეს.

4

სტოლიპინის ვაგონებით
კალიმასკენ გამაქანეს,
განმაშორეს

ჯურხებს,
ზეზვებს,
აღაზებს და
თამარქალებს.
ვამე, ჩემო საწუთროო,
ქართლში რად არ ჩამაქვავე, –
ყინულეთის სამეფოში
ოკეანის გაღმა გაველ...
სად გამძვრება მწირი სული?!
რა ცივ ქვესკნელს დამმარხავენ?!
.....
ქართლო, ჩემი ლეში მიაქვთ,
სულით მაინც ვარ მაქავე.

5

სტოლიპინის ვაგონებში
რკინის ვიწრო საკნებია.
ყველა რისხვა იქ მაგემეს,
ადრე რაც რამ დამკლებია.
უსუგულო გუშაგები
იმ ვაგონებს დაჰყვებიან...
მე ციმბირის ვაკეებზე
ასე გამივაკებია.
ყველა ტანჯვა იქ მაგემეს,
რაც ციხეში დამკლებია.
ვაგონები კი არ არის, –
ცოდვა-მადლის აკვნებია.
.....
სტოლიპინის ვაგონებში
რკინის ვიწრო საკნებია.

6

ბუხტე-ვანინოში მოველ,
რა მინდოდა ვანინოში?!
დავყვებოდი იმედ-იმედ
ჭავჭავაძეს და ნინოშვილს.

აქ გარშემო მასევია
ქურდები და ბანდიტები.
მე წადილი მკლავს გაფრენის
და ლექსებში განდიდების.
ვზრდი ყვავილს მგოსნის სულში,
შენ ყვავილი ჰკალი მასში.
.....
მე რად მოველ ვანინოში?!
მე რა მინდა კალიმაში?!

7

ზურგჩანთაში პური მიდევს,
ლუკმა-ლუკმა დასაზოგი.
ზოგი ძმას წერს, მიშველეო,
წერილსა წერს დასა ზოგი.
ვაიმე, ძმაო ჩემო, მწირო,
შენ გზად რადღა დამადევნე?!
წადი, დედას მიმიხედე,
მიმიხედე ვაზის მტევნებს.

8

დაგიბრუნდებოდი მაინც, მქცეოდი
თუნდაც უდაბნოს დამწვარ ქვიშადა,
ო, საქართველო, მე რა ვიცოდი,
თუ სიყვარული ღალატს ნიშნავდა.

9

„ჩორნი ვორონ!“
„ჩორნი ვორონ!“
„ჩორნი ვორონი!“
დათვის ბუნაგებიც არის, თაგვთა სორონიც,
ყვავები და, ყვავები და... არა ოლოლი.
აწი გზები, გზები, გზები უთავბოლონი,
აწი ყორანთ ჩხავილი და ყვავთა ხორონი...
ამ გზებისკენ მიმაქანებს „ჩორნი ვორონი“.

10

ქართლში ჩემი სიჭაბუკე
იარდა და იარდა.
იმ გზებს ბალახბულახი და,
ენძელა და ია რთავს...
იქ რო დამრჩა ბილიარდი
არაგვთან და იორთან,
სხვაგან არსად, სხვა არცერთი
არ ღირს იმ ბილიარდად...
მივქრი, წინ დევს უსასრულო
ჩემი ციმბირიადა.

11

ევროპული გზები იქით
დამრჩა...
გზები...
გზები...
გზები...
მაქვს წვივებზე მოხვეული,
ვით ზოლები ზორბა ზებრის.
აქ ციმბირის გზებს ვადგავარ,
კაცთა სისხლით მონაღებავთ.
ახლა ამათ შემოვიხევ
მაგრა წვივზე ტოლაღებად
მიმაქვს ჩემი ჭირთა თასი, –
პირთამდეა ასავსები...
ერთი რაა, მე საწუთრომ
მხრებს ამკიდა ას-ასები.
ევროპული გზები იქით,
აქეთ ციმბირული გზები.

12

ჭოლას ლანდი, – ლომთათიძე
ჭოლასი, –
შემეყრება ქარში ძვალგამჭოლავში,
გამოვუდექ,

დავედევნე.
ვეწევი...
ჭლექიანი მყრალ მახორკას ვეწევი,
ლანდი გარბის, გარბის ხველებ-ხველებით.
გაშვერილი მაქვს იმისკენ ხელები.
გამირბიან უკან თეთრი ველები...
მეეყინა ოლა ციმბირს ძველებრივს.
ქარი მსჭვალავს:
ჭოლა,
ჭოლა, ჭოლაო!..
ბედისწერამ მწარემ ჩაიყოლაო.
თოვლში მწარემ ჩაიყოლაო.
თოვლში ლანდი წინ მიმიძღვის ჭოლასი.
ახლა ქარი ჰქრის რიონის ჭალაშიც.
აქ კი ავი ქარი ჩემზე ჭორაობს:
წინ – ჭოლაო!..
ჭოლა!..
ჭოლა!..
ჭოლაო!

13

გამარჯობათ, ციმბირელო ქართველებო,
დახვრეტილნო,
დაღუპულნო,
მკვდრებო!..
უსასრულო თოვლისა და ქართ ველები
აწი ძვლებით ველარ უნდა ვკვებო.
თქვენი ცეცხლი, სამამულო-საშვილებო.
თრთის მთაწმინდელ წმინდანების ალთან.
მიმასპინძლეთ, თქვე მშიერო აჩრდილებო,
მომათბუნეთ გაყინული კალთა.

14

ბორკილების ჟღარუნი და ჟღარუნი...
შორს...
არული, კუდიანო, არული!

აღარ მესმის ცხენთა ფლოქვთა თქარუნი.
ბორკილების ჟღარუნი და ჟღარუნი.
მიწა მარად თოვლით გადაფარული.
აღარც ლტოლვა, აღარც ქროლვა ქარული.
შორს მივდივარ, გესმის ჩემი მგზავრული –
ბორკილების ჟღარუნი და ჟღარუნი?!
შორს...
.....
არული, კუდიანო, არული!

15

– ჟორეს, სიცხე მწვავს, მთანგავს და ვთავდები.
– რო იცოცხლებ, მე ვარ ამის თავდები.
– ამ ყინულეთს, ჟორეს, შევეყინები,
ისე, როგორც კატორღელნი წინები.
– ვიწვებიო, მაშ, რად ამბობ, ვიწვიო?! –
აალდები, როგორც ფიჭვის ხიწვიო.
– ჟორეს, ვბოდავ?!
– ჩვენ სულ ვბოდავთ... ვბოდავდით...
ადამიდან ამ უმწეო მოდგმამდი.
– ჟორეს, მბუგავს, მახრჩობს ტემპერატურა.
– ვიცი, ვიცი, რა მელაც ხარ, რა ტურაც.
– ანდერძს დავწერ, მომე ერთი ფურცელი!
– რა სამეფო გრჩება, მცირე თუ ვრცელი?!
რა სიმდიდრე გაქვს საერთო ან კერძო?!
– არა, ლექსი მინდა რო გიანდერძო, –
ბოლო სუნთქვა, გულის ბოლო ფართქალი.
– მაშინ, აჰა, ფურცელიც და ფანქარიც.

16

კალიმა,
კალიმა,
ო, კალიმა, კალიმა!
შენს ცივ მზეში ვიყინები,
ვერ წაჰკიდა ალი მან.
ქართლის მზეზე გატრუსული

და დამწვარი კანი მაქვს.
მისთვის შეწირული თავი
ვეღაც შევაკალი მას.
შენს ყინვეთში შესასვლელად
შეღებული კარი მაქვს...
.....
კალიმა,
კალიმა,
ო, კალიმა, კალიმა!

17

უპუროდაც გავძლებ, უბალანდოდაც...
დამაშორეს ძმებიც, – ჩემო ლანდო, – დაც.
მიმართავენ მათკენ მაგარ ჯებირებს...
უდაძმებოდ რაღა გამაძლებინებს?!
უპუროდაც გავძლებ, უბალანდოდაც...
ვერ ვძლებ ულექსოდ და უბალადოდა.
ქართლის ნისლო, მკერდს კვართივით მეფინე.
უიმკვართოდ რაღა გამაძლებინებს?!
უპუროდაც გავძლებ, უბალანდოდაც...
განმაშორეს ძველ ქუჩებს და ძველ ბინებს.
მანდ ფაცხაც მაქვს ფარღალალა, მანდ ოდაც...
უიმათოდ რაღა გამაძლებინებს?!

18

ჩვენ ვართ ავი ქვისმტეხები, ოქრომაძიებლები.
სხვად ვის ეპიტნავები და ეტყემლები, ებლები.
ქვისსამტეხლო კარიერი, ოქროს საბადოები.
რო მოვსულვართ, სულ მოვსულვართ, არ მოვსულვართ დროებით.
ცრემლის ღარად უნდა მჩორკნო, ცრემლსადენად მაღარო.
მყლაპავს ოქროსაბადო და ქვანახშირის მაღარო.
მყლაპავს, მყლაპავს, ვერ მინელებს, ვფატრავ ამირანივით.
ისევ ვცოცხლობ, ამ ურჩხულმა ვერ გაიგო, რანი ვართ.
რანი ვართ და,
ქვის კაცები, ოქროს კარიერები.

წუთისოფლის გველეშაპში ჩვენ სიკვდილსაც ვერევით.
მერე რა, თუ შენ არ გეკომშ-გეტყემლები, გებლები?!
ჩვენ ვართ ავი ქვისმტეხლები, ოქრო მაძიებლები.

19

შენ, გუშაგო,
მითვალთვალებ კოშკებიდან,
ჩემს გარშემო აკრძალული ზონებია,
დამიმძიმდა ღამეები კოშმარებითა,
საქართველოს მეტი არრა მზმანებია.
შენ, გუშაგო,
ნუ გამხედავ ნუღარსაით,
მივბჯენივარ მავთულხლართებს ეკლებიანს,
იქ –
საგუთნე უღელს ვწევდი ბუღასავით,
აქ –
მშიერი აჩრდილები მეკვრებიან.
შენ, გუშაგო,
წუხელ მაინც გაგეპარე,
ოცნებებმა ფრთებზე ცეცხლი გამიჩაღეს,
ღრუბლიანი ზეცა ელვით გაგეპო რა,
მე გავწექი ჩემ ჯადოსნურ ხალიჩაზე.
და ჰერი და...
და ჰერი და...
ჰერი... ჰერი...
საქართველოს მთვარის რგოლზე ვიქანავე,
ქართლის ცხელ-ცხელ ვარსკვლავებთან ავიჭერი
და ღრუბლების აქლემებმა მიქარავნეს.
.....
შენ, გუშაგო,
წუხელ მაინც გაგეპარე.

20

ჩრდილოეთის ცის ციალო,
ელავ ათას ფერებად,
მაინცა ხარ შორეული

ცივი მშვენიერება.
მიფრქვევიხარ ჰორიზონტებს
ალთა შადრევანებად.
არც აგზნება, არც გათბობა
კაცის არ გევალება.
ცახცახებ და ცახცახცახცახ
ცის კიდურებს ადნები.
ელვარებ და არ მინათებ,
გცვივა თოვლის ვარდები.
ელდა ხარ და მყინავს ელდა,
მეკვრი მთოშავ ფერებად,
შორით მემშვენიერები, –
რა მემშვენიერება?!

21

ენას ვერა, ვერა, ვერა,
ვეღარ გადამავიწყებ.
ვერ დამიშლი ლექსის წერას,
ლექსის ჩანგი ავიწყე.
ბაბილონის კოშკის მწვერვალს
ვერ ავაღწევთ, ვიცი,
ენას ვერა, –
კანს გველივით
ვიცვლი, ვიცვლი, ვიცვლი.
ჩემს კვნესას და ჩემს სიმღერას
ვფუთნი სულის ნისლით.
სტრიქონს გულის გრდემლზე ვკვერავ,
ისარივით ვისვრი.
ენა – ჩემი ბედისწერა,
ჩემი ჯიშის ჯავშანი.
ვერ ძლევს ბორკილების ჟღერა,
ვერ ნთქავს ქარი აშარი.
გულს მიძიძგნის წარღვნის ძერა
და მიკორტნის ლავიწებს...
ენას ვერა, ვერა, ვერა,
ვეღარ გადამავიწყებ.

22

ახლა მხოლოდ ლექსი მშველის,
ლექსის პური მკვებავს.
შეახტება სტრიქონს შველი,
დედის ზღაპარს ჰყვება.
ლექსის უკვდავებას შვენის,
რითმას თან წაჰყვება.
შემაჭკნება ხორცი სენით,
თოვლს შევრჩები ძვლებად.
და შვლიანი ლექსის ცხენი
მიჰქრის, აღარ კვდება.
ახლა მხოლოდ ლექსი მშველის,
ლექსის პური მკვებავს.

23

შენ იქ წერდი, – უკრაინაში,
ფიქრს ავლებდი კვნესა-გმინვაში.
გინა გარეთ იყავ, გინა შინ,
სულ იდექი ქართლის წინაშე.
ზუბოვკაში უცხო ჰანგებზე
სამამულო სიმი აკვნესე.
ხან გეძახი აქ მეც, ხან გეძებ,
ვჩინჩხლავ ლექსში გულის ნაკვესებს.
გიხსნა ლექსით „დავითიანმა“,
ოხვრამ რითმით დაიფრთიანა.
უცხოეთში დაგინთია რა,
ა, იმ ცეცხლმა დღემდე იარა.
ქართლის ჭირი უკრაინაშიც
გკლავდა ისე, კვნესდა ვიღაც შინ.
მეც აჩრდილის შენის წინაშე
ქართლისაკენ ლექსით ვილაშქრებ.
დამილოცე ლირა, დავითო,
რომ სტრიქონი სანთლად ავინთო.
ჰა, მივცურავ მუზის ბურუსში
შენებრ ტკივილ-საზრუნავითო.

24

აღარა ვარ სამშობლოში,
აქ სულს რაღა გამინაზებს.
კავკასიონიდან ამხსნეს,
მიმაჯაჭვეს კალიმაზე.
იგი ჩემი გოლგოთაა,
ჩემი ბაბილონის კოშკი,
ჩემ ტკივილებს ვერ მოარჩენ
ანალგინითა და ნოშპით.
ყინულეთის ცხრაკლიტული
ცხრაზომ რაზით ჩამირაზეს.
კავკასიონიდან ამსხნეს,
მიმაჯაჭვეს კალიმაზე.

25

ვაჰმე, ჩემო ძეო, ძეო,
არ დაგიშრეს მანდ სარძეო.
გაიზარდე, გაიხარე
და იმღერე ეო – მეო.
რო აწვდები ხის კენწეროს,
ვდებ მე ამის სანაძლეოს.
ღმერთმა შენი გზაშარიდან
ეშმაკები განაძეოს.
არ ჩამიქრო, განმიჩაღე
სანაკვერჩხლე-სანაცრეო.
შენითა ვარ მითასმული
ქართლის მიწას და სამზეოს.
უძეობა კლავდა დავითს,
მე უფალი მექმნა მწეო.
შენითა ვარ წინ წასული,
შენით ჭირთა ვარ გამძლეო...
ვაჰმე, წუთისოფლის ჯარავ!
ვაჰმე, ჩემო ძეო, ძეო!

26

რო არ გაიყინო, შეშა წვი.
იმერეთს კი ახლა იქნებ წვიმს?
აჰა, ბოლო ბედისწერის წრის.
ვინ მიწვდება ჩემი ჩანგის სიმს?
ქარი მთოშავს მარტვილსა და მწირს.
გაყინული გზები მიდევს წინ.
აღარ მახსოვს, ვარ ამდენი წლის.
მე კალიმის თეთრი ჭლექი მჭირს.
.....
იმერეთს კი ახლა იქნებ წვიმს!

27

ვესელა ვესნას და შორ ზუბოვკას შეაკვდი,
ხმამონატრული შენი მეჩონგურ-მეაკვნის.
მე კალიმაში ყინულის ლოდებს ვაკვდები,
დავით, მიშველე, მიხმება გულის ნაკვთები.
შენ უცხო წყალთან წისქვილის ჩონჩხი დახაზე,
მეოცნებარემ ქართლის წისქვილის ნახვაზე.
მიაუნჯასთან წისქვილი ვერც მე გავმართე, –
ფეხი დავადგი სატანის ვიყრი, კამათლებს.
უცხო ზუბოვკას შეაჭკნა შენი ნაკვთები.
მე კალიმაში ყინულის ლოდებს ვაკვდები.

28

ამ ყინულოვან მიწაში, ყინვით გაროფილ ქანებში
არის მამონტის ძვლები და არის მადანი მრავალი.
ქარს ებრძვის ჯუჯა ხეები, თეთრი არაყით გალეშილს,
ჩიტიც არის და მგელიცა არ არის ქვეწარმავალი.
ამ ყინულოვან ზღაპარში მინახავს დილით დევნი...ლით...
ზემოთ ყინული ელვარებს, ქვესკნელში ელავს ჯავარი.
და სამოთხიდან უფლისგან დაწყევლილ-გამოდევნილი
ადამ და ევაც აქ არის... სად არის ქვეწარმავალი?!
ყველა წიაღისეული არს უხვად ამ წიაღშიცა,
ღრუბლებით გადაბურულა ზეცა, სამოთხის თავანი.
მიგორავს, მიგორ-მიგორავს განხეთქილების ვაშლიცა.
მეც აქა ვარ და ევაცა... არ არის ქვეწარმავალი.

29

შენ ტიროდი, მე ხარების
სტვირის გუდას ვბერავდი.
ჩემთვის იყო ტირანი,
შენთვის – დიდი ბელადი
ჩემგან დაუტირალი,
შენგან გამოგლოვილი,
გაქრა, მოკვდა, გაუთავდა
სისხლში გემოგლობინი.
ვაშა! კართან კატორღის
ვდგავართ ცხენი ვაშათი,
შენ ტირი და ვერა მხედავ
მე, იმისგან დანაშთულს.
სისხლში იდგნენ ყელამდი,
კაცნი ჩემზე წინანი.
შენთვის იყო ბელადი,
კატორღელთა ზეცაზე
გაკრთა ელვა იმედის.
შენ ჩვენს თიხას ვერცა ჰზელ,
დამბალს ცრემლის წვიმებით.
შენგან დატირებული,
ჩემგან დაუტირალი,
ჩემთვის – დიდი ტირანი,
ვაშა, ვაშა, დაემხო
ტახტი ავი ტირანის!

გიორგი ძიგვაშვილი

შეხვედრა

მე რომ პატარა ქალი მიყვარდა –
ღამით შევხვდი და არ დამიღამდა,
შუქი კმაროდა მისი,
დავიწყე, მაგრამ თითონ დამასწრო:
– ცოლად გამომყევ, ქალო ლამაზო,
ამას მეტყვიო, ვიცი.

მეც ხომ პირველი ნახვით ვიცანი,
ჩემი ოჯახის სიძე ვინც არი,
ან მე, ვისიც ვარ რძალი...
დავიწყე, მაგრამ ისევ დამასწრო –
ახლა ცეცხლოვან ისრად დამასო,
ორი კაშკაშა თვალი.

„– რომ გაგყვებიო, სულ დავდინჯდები,
ოჯახს მოვუვლი, სახლში ვიჯდები,
თავს ვანაცვალებ ქმარ-შვილს,
ასე აშკარად, ასე გიჟივით,
თრიალეთური ქარის ყიჟინით
როდი ვივლიო მაშინ...“

შედგა, შემხედა და გაეცინა,
მეც არ მინდოდა კიდევ მესმინა, –
ცას გავცქეროდი მწყრალი...
იქ, ვარსკვლავები ბრწყინავდა ყველა,
აქ კი ის ერთი ციცინათელა,
ერთი პატარა ქალი.

ნუ-მეთქი, ვუთხარ, კარგი ხარ, ისე,
მე შენში მხიბლავს ეს სიხალისე,
ეს სიგიჟე და ცეცხლი,

სულ რომ შინ იჯდე, სხვა არ ისურვო,
ხომ გავწყერ-მეთქი, ხომ შეგიძულე,
შეგარცხვინე და შევრცხვი...

აბა, კარგიო, – გადიკისკისა,
ხელი დაჰკრა და თვალი გიზგიზა
ცისკარს სტაცებდა ფერებს,
ბილიკს გასცდა და გადმოიხედა
და ნიავივით მომწვდა იქედან:
– არ ინანოო მერე...

... მე რომ პატარა ქალი მიყვარდა –
ღამეს შევრჩით და არ დაგვიღამდა, –
განა გულშიაც ბნელა?!
წელს რომ ვქორწილობთ, არც მან დამალა
და თან ამ ლექსით მე დამავალა, –
თქვენს დაგპატიჟოთ ყველა.

ღამე ოპერის ბაღში

სადაც აკაკის ქანდაკებაა და ფალიაშვილის,
მარჯანიშვილისა და სარაჯიშვილის სამარე.

დეკორატორი არ აფორმებს ამ ტრაგედიას:
თოვს, პროსპექტის შუქს და შვიდი ცის შვიდკეც ბისონებს,
მარჯანიშვილი არ დაუთმობს სხვა რეჟისორებს, –
იქვე აკაკიც, – სუროს ტბაში თითქოს გედია.

იქნებ, ლირის ხმა სამარეში ვერ დაიტია,
იქნებ, ოპერა მოენატრა დიდ კომპოზიტორს?
ის ქარს შესჩივლებს, – მშობლიური ხმები მოზიდოს, –
სჩანს, მარადი წვა შემოქმედის წმინდა ბედია.

შეერთდებიან, მოჰქარგავენ ბაღის ხალიჩებს,
დილის დროაო, – რეჟისორი ჩიტებს ანიშნებს
და მერე ქალაქს რომ წამოშლის მათი ყიჟინი, –

უკანასკნელად მოითხოვენ ბინდის შლეიფებს...
სამი აკლდამა ფრთოსან სხივებს მხრებზე შეიფენს
და მზეს ლილეოს შეჰღაღადებს სარაჯიშვილი.

ხევსურები არაგვის პირთან

ტკბილ სიმღერებს ბადესავით ართავს,
მოიმარჯვებს შაირებს და ფანდურს...
დადგებიან გურამიანთ-კართან
მოსინჯავენ გუდებსა და ბანდულს.
მზეს შესთხოვენ – გზებს ველითო რამდენს...
ველს გასდევენ, ტკბილ სიზმრებში გართულს –
და ნიავი ამოიტანს მთამდე
ხევსურების ულამაზეს ქართულს.

კოტე ხიმშიაშვილი

მეკოჭობე
(პილპილის კოლოფები და ნაპოლეონ I)

В тридцать пять лет все ешё
собирается что-нибудь сделать!..
„Рудин“. Тургенев

ყოველდღე, საღამოს ექვსიდან ათ საათმდე იგი იჯდა მკითხველთა დარბაზში და მკერდით მაგიდაზე მიყრდნობილი თავაუღებლად ჩასცქეროდა გადაშლილ წიგნს. ვრცელ დარბაზში პატარა მაგიდებთან მსხდარ მკითხველებს შორის ადვილად გამოარჩევდით მის სახეს – ლოყებზე ფოლაქების დანაჭერივით აჩნდა ნაყვავილარი, მაღალი ცხვირი პატრონის უნებურად მუდამ უკმაყოფილებას გამოხატავდა. დანაოჭებულ შუბლიდან უკან გადავარცხნილი, გახუნებული თმა ოდნავ უფარავდა ყოყოჩ ყურებს.

ბიბლიოთეკის გამგე ქალმა სთქვა, ეს კაცი მხოლოდ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობსო. მე იგი მკითხველთა ვერცერთს, ჩემთვის ნაცნობს კატეგორიას ვერ მივაკუთვნე. საჯარო სამკითხველოში მხატვრულ ლიტერატურას უმთავრესად სწავლას თავდანებებული და ჯერ კიდევ გაუთხოვარი ქალიშვილები კითხულობენ. მათ ყოველი ფურცლის შრიალი საბაბს აძლევთ თავი ასწიონ, მეზობლები ჩაათვალიერონ, საათს შეხედონ და თმები გაისწორონ. ხშირად შეხვდებით გამეტიჩრებულ პატარა ბიჭებსაც, პოეტობას რომ აპირებენ. ისინი მუდამ ცქმუტავენ და უმეტერსად კატალოგების ჩხრეკაში და ერთმანეთთან მასლაათობაში ხარჯავენ დროს. სერიოზული მკითხველი ხანდახან, სულ მცირე ხნით თუ შემოიხედავს ხოლმე, ისიც რომელიმე იშვიათ წიგნისათვის.

ეს კაცი ყოველდღე აქ იყო. ღამის ათ საათზე, როცა მუშაობის შეწყვეტის ნიშნად ზარს დარეკდნენ, იგი ზანტად წამოდგებოდა სკამიდან, ეტყობოდა – კიდევ სურდა კითხვა, წიგნით ხელში წყნარის ნაბიჯით მიუახლოვდებოდა მოაჯირს, ხელებს იღლიებში დაიმწყვდევდა და აშკარად ნასესხები პოზით მშვი-

დად უცდიდა წიგნის ჩაბარების რიგს, მას მომწვანო, თაფლის წინწკლებიანი თვალები ჰქონდა, ისეთის გამომეტყველებისა, თითქოს დიდი ხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიეღო, მაგრამ კონვერტი ცარიელი აღმოჩენილიყო. ზოლებიანი, საეჭვოდ ნაცრისფერი კოსტიუმი ოდნავ მოკლე მოსვლოდა და უფრო მაღალს, გამხდარსა და მოუხეშავს აჩენდა, ვიდრე ნამდვილად იყო. დიდი, შავი ხელები და მძიმე სიარული მოწმობდა, რომ ფიზიკურად მუშაობდა.

ჩააბარებდა რა წიგნს, ნაყვავილარი კაცი წყნარი ნაბიჯით დაეშვებოდა ხოლმე კიბეებზე და ჩაფიქრებული გაჰყვებოდა ქუჩას პუშკინის ბაღისაკენ.

მე გადავწყვიტე გავცნობოდი მას.

ბიბლიოთეკის გამგე ქალისგან შევიტყე მისი მეტისმეტად ჩვეულებრივი სახელი – ივანე. შევიტყე, რომ ამჟამად ცვაიგის „ჟოზეფ ფუშე“-ს კითხულობს. თუმცა უკვე წაკითხული მქონდა კორსიკელ თავდაჯერებულის და მისი თანამესუფრის ამბავი, მაინც მივედი და თავაზიანად ვუთხარი:

– ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო ივანე, არ მინდა ვინმემ დამასწროს და ამიტომ, თუ შეიძლება, მაცნობეთ, როდესაც მაგ წიგნს გაათავებთ.

მან მომწვანო, მუდამ გაწბილებული კაცის თვალებით შემომხედა, ოდნავ გაიოცა, რომ მისი სახელი ვიცოდი, და მგონი გაღიმებაც სცადა.

– ძალიან კარგი... უსათუოდ...

რასაკვირველია, იმ საღამოს სამკითხველოდან ერთად გამოვედით და. ასევე კიდევ რასაკვირველია, იძულებული ვიყავ საუბარი კორსიკელზე დამეწყო.

როგორ მოგწონთ ნაპოლეონის პიროვნება? – გოგონებისგან დაშინებული ახალგაზრდა მწიგნობრის ტონით შევეკითხე ივანეს, როცა კიბეებზე ჩამოვედით და ფილაქანზე გავედით.

– მაგარი კაცი იყო, სთქვა ივანემ, ოთხად დაკეცილი თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ტუჩთან მიიტანა და გაუშლელად ისევ ჩაიდო ჯიბეში, – საქმის გაკეთება შეეძლო... ასე იტყვიან ხოლმე სოფელში, გარდაცვალებულ კოლმეურნე ბრიგადირზე.

მე ვცადე ტონი არ დამკარგვოდა:

– გეთანხმებით, უთუოდ გენიოსი იყო. მაგრამ მგონი იმდენი საქმე არ გაუკეთებია, რამდენიც სახელი მოიხვეჭა.

სახელი ჭკუამოკლე ხალხის გასაოცებლადაა მოგონილი, – ჩვენ მხარდამხარ დავიძარით პუშკინის ბაღისკენ. – ის კაცი საქმეს აკეთებდა და სხვები ამ საქმეზე ლაპარაკობდნენ.

– ზოგი რომ საქმეს აკეთებს და არაფერს ლაპარკობს?

– ეგ რა ბედენაა! თავისთავთან სიამაყეც ეყოფა.

– არა, მე იმას ვამბობ, რომ ნაპოლეონისთვის ჯერ სახელი და პატივმოყვარეობა იყო და მერე საქმე... – რაკი მწიგნობრის ტონი ავიღე, ლევ ტოლსტოის გახსენებასაც ვაპირებდი.

– მართალია. მაგაზე არ გეკამათებით. – ივანემ თითებით გადივარცხნა გახუნებული თმა, – უბედურება ის არის, რომ ზოგი სახელზე სულ არ ფიქრობს და საქმეც არსადა ჩანს.

მე ყურები ვცქვიტე და სინანულით გავიფიქრე, რომ უკვე სასტუმრო „პალასს“ მივაღწიეთ, ჩემი თანამგზავრი შეიძლება ტრამვაის გაჰყვეს და მაშინ ვეღარ მოვასწრებ ბოლომდე ვათქმევინო-მეთქი ყველაფერი.

– ეგ შეუძლებელი ამბავია, – ვთქვი მე, – კაცს სურვილი ჰქონდეს, თორემ საქმის მეტი რა არის.

ივანემ ჩაიცინა და ერთის წუთით შედგა (იქნებ ჭვალმა გაჰკრა).

– მარტო სურვილი არ კმარა, – დაბალი ხმით სთქვა მან.

– რასაკვირველია, ძალა უნდა შეგწევდეს.

– ჰო, ძალა და კიდევ... – ივანემ ჩაფიქრებით გახედა მოედანს.

მე გადავწყვიტე, რომ უკვე დროა დაიწყოს, და შევეკითხე:

– თქვენ რა ხელობისა ხართ, ივანე?

– მე?.. მე მეკოჭობე ვარ, ჩემო ძმაო... – ნაყვავილარი სახე თითქო ელამმა სარკემ გააღიმა.

– რაო?

– მეკოჭობე. არ გაგიგონიათ? კოჭობს პატარა კოლოფს ეძახიან.

– ჰოო, – ვთქვი ისე დინჯად, თითქო არ მივმხვდარიყავ რა სიმღერასაც ვისმენდი, – კოლოფებს აკეთებ?

ნაყვავილარი კაცი უთუოდ სხვაგვარ გამოძახილს ელოდა და დადუმდა.

მე წამსვე გავაღიზიანე:

– რას იზამ, ყველას თავისი საქმე აქვს.

– საქმე! ესეც საქმეა რაღა!.. – ივანემ ნერვიულად ჩაიყო ჯიბეში ხელი და მუყაოს პატარა კოლოფი ამოიღო, – აი, რა საქმეს ვაკეთებ!..

ცოტა ხნით ორივენი გავჩუმდით.

– რატომ, – ვთქვი მე. ყველა ხომ ნაპოლეონი არ იქნება...

– ჰო, მაგრამ რამე ხომ უნდა იყო!.. – ივანემ ისევ ამოიღო ოთხად დაკეცილი ცხვირსახოცი, ახლა კი გაშალა და მართლაც გულწრფელად მოიხოცა ცხვირი, – აი, ვკითხულობ წიგნებს... თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, ოდესმე დადგება დრო და ალბათ შეეკითხებით თქვენს თავს, რა გავაკეთეო. თუ უპასუხებთ – თორმეტი წელიწადი პილპილის ჩასაყრელ კოლოფებს ვაკეთებდიო... – ნაყვავილარი სახე თითქო კიდევ გააღიმა ელამმა სარკემ, – უთუოდ უკმაყოფილო დარჩებით.

„ოღონდაც“... გავიფიქრე ჩემთვის.

პუშკინის ქუჩიდან ზარის ჟღარუნით ამოგორდა ხალხით დახუნძლული ტრამვაის ვაგონი.

– აგერ, პირველი ნომერიც, კარგად გნახეთ.

ივანე უეცრად მომცილდა, სწრაფად შეერია ტრამვაისთან შეგროვილ ხალხს და თვალიდან დამეკარგა.

პილპილის კოლოფი ხელში შემრჩა. მერე კოლოფი ფილაქანზე დავაგდე, ფეხიც გავკარი და რაკი აღმასკომის საათი ჯერ თერთმეტის ნახევარსაც არ უჩვენებდა, გადავწყვიტე ჩემთვის ტრამვაისთვის მომეცადა.

გავცქეროდი პროჟექტორებით განათებულ მოედანზე მიმობნეულ ხალხს და ვფიქრობდი:

ვინ იყო ის ნაყვავილარი კაცი?... თითქო სულ უბრალოდ აიხსნება ყველაფერი. ივანეს სურს იყოს ნაპოლეონ I ან მისი მსგავსი რამ და არა პილპილის კოლოფების მკეთებელი ხელოსანი. იგი ყოველდღე დადის საჯარო სამკითხველოში, კითხულობს წიგნებს, იცის, რომ არსებობენ დიდი ადამიანები. და მას სურს იყოს დიდი ადამიანი! დიდი ადამიანი და არა... „მეკოჭობე“!..

ტრაგედიაა.

მაგრამ ივანე არ ჰგავს მიამიტს. ნაპოლეონზე სთქვა: „საქმის გაკეთება შეეძლოო“... ასე იტყვიან ხოლმე სოფელში, კარგს მათოხარზე. საქმე. ივანე სულ საქმეზე ლაპარაკობდა და არა სახელზე... „უთუოდ დადგება დრო და თქვენს თავს შეეკითხებით – რა გავაკეთეო“... ეს იყო კაცობრიული სიამაყე. ივანე მუშაა, კოლოფებს აკეთებს; მასში ალბათ დიდი ხანი არ არის, რაც გაიღვიძა ამ სიამაყემ, თორემ აქამდე ან მართლაც საქმეს გააკეთებდა და უკმაყოფილო აღარ იქნებოდა თავისი თავის, ან... საკუთარ სახელოსნოს გახსნიდა სადმე, ოქრომ-

ჭედელთა რიგში ან კუკიის ხიდისკენ. არა, ნაყვავილარი კაცი, რომელსაც თაფლის წინწკებიანი თვალები ჰქონდა ისეთი გამომეტყველებით, თითქო დიდიხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიეღო, მაგრამ კონვერტი ცარიელი აღმოჩნდა, – უთუოდ განსხვავდებოდა სახელის მაძიებელთაგან, ის საქმის მაძიებელი იყო. და საქმე რამდენია...

ტრამვაი იგვიანებს. შეიძლება მე ვცდები. „ლიტერატურშ-ჩინა“. ვცდილობ ყოველი მოვლენა დავინახო „პრინციპიალურ სიმაღლეზე“...

მას შემდეგ კალენდარს ბევრი ფურცელი მოაკლდა. საჯარო სამკითხველოში აღარ დავდიოდი, ივანეც აღარსად შემხვედრია.

ერთ დღეს, ქუჩაზე მიმავალმა, მთავრობის ძველს სასახლესთან გამოფენილი სტახანოველების ფოტოსურათებში ნაცნობი სახე შევნიშნე. ნაყვავილარი, მუდამ უკმაყოფილო ცხვირი; უკან გადავარცხნილი, გახუნებული თმა ოდნავ უფარავს ყოყოჩ ყურებს; ხელები იღლიებში დაუმწყვდევია და დაჰყურებს მუყაოს პატარა კოლოფების უზარმაზარ გროვას.

ვიცანი – ივანე დორეულია. მაგრამ, საკვირველია, რაღაც დიდი ცვლილება დასტყობოდა. კარგად დავაკვირდი და როგორც იყო მივხვდი – თვალები. მომწვანო, თაფლის წინწკლებიან თვალებს ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქო დიდიხნის ლოდინის შემდეგ წერილი მიიღო, და კონვერტში რაღაც იპოვა ივანემ – თვალები სხვაგან იყურებიან.

მე მივუბრუნდი ამხანაგს და შევეკითხე:

– გივი, აბა, შეხედე ამ კაცს... რას იტყვი, ჰა?..

ამხანაგმა ტყავის პალტოში მხრები შეიშმუშნა და ღიმილით თქვა:

– რა ვიცი, ნაპოლეონივით კი იყურება და...

დიახ, იგი მართლაც ნაპოლეონივით დაჰყურებდა პილპილის ჩასაყრელ პატარა კოლოფების უზარმაზარ გროვას.

სურათის ჩარჩოს დიდი თეთრი ასოებით ეწერა: „სტახანოველები“.

1936 წ.

კ. ხიმშიაშვილი, „ჩემი წილი ზეცა“. ნოველები, რომანი, სტატიები და ბარათები, მემორიალი. თბილისი, გამომცემლობა „პეგასი“, 2010, გვ. 72-74.

გიორგი ქადაგიძე

ვაჟას
(მისი ლექსის გამო „მე რომ ტირილი მეწადას“)

შენ რომ ტიროდი, ყორნები
რას დაგჩხაოდნენ ნეტარა,
კარგები მუდამ ტიროდნენ,
ესეთი იყო ქვეყანა;
მტირალის სტვირის პატრონო,
ვით დასჯდებოდი სხვებთანა,
გინდოდა ქვეყნის ავ-კარგი
მზის გულზე გამოგეტანა;
იბრძოდი მოუღალავი
შეურიგები მტერთანა,
და ისე წახვე, მოგვშორდი,
გულს მიწა ჩამოგეყარა,
ვერ ნახე თავისუფალი
შენი მზე, შენი ქვეყანა,
შენი სამშობლო იღბალი
ყვავსა და ყორანს ებარა!

* * *

შენი თვალები ზღვებია
თუ უბეები ცისანი,
შიგ რომ ტალღები ჰკრთებიან
მგონია ვნების ნიშანი,
შეგხარი ყვითელ თმებიანს
შუქნი მგონიან მზისანი.
შეგხედავ, ელვა მგონიხარ
ცის კიდის შემომზომელი,
ცისფერი იადონი ხარ
ვარდის კოკორზე მჯდომელი,
შენ მზის ამოსვლის ტოლი ხარ,
ვინ უნდა გჯდობდეს, რომელი!

არჩილ კიტოშვილი

ანდერძი

რომ მოვკვდე, მთებში დამმარხეთ,
მთებშია ჩემი სამარე,
მთებში, სად ლაღი არწივი
სცემდეს ირაო-კამარებს.
სად არს ნისლების სამეფო,
შავფერ ჯანღების დუღილი,
სად მარად სიდიადეა,
ელვა, ზათქი და ქუხილი,
სად უცნობია ამ სოფლის
ყოველი ზრუნვა, წუხილი,
სად წყალი ბორგავს კლდეთ შუა
ანჩხლად მოჰყეფენ ხევები,
ბანსა მისცემენ ქუხილით
გამოქვაბული კლდეები,
უკვდავ დიდების სავანე
ბნელი, უღრანი ტყეები.
ცად აბჯენილნი ლარივით
ათასწლოვანი ხეები,
წვანან ვეება ლოდები,
როგორც მძინარე დევები,
სად მარად სიდიადეში
რბიან სიცოცხლის დღეები,
სად ამაოა სათქმელად
ზღაპრული სამოთხეები.
სად იალაღზე ზუზუნებს
ნიავი გრძნობის მხაბლავი,
მთებში წამიღეთ, დამმარხეთ,
მთებშია ჩემი საფლავი.

20.III.1941 წ.

გატყდომა

ნეტავ რა აზრი აქვს ამ ჩემს
უბადრუკ არსებობასა?
თფუჰ, ამისთანა სიცოცხლეს
და ამისთანა ყოფასა!
გავხედავ, მხოლოდ მთანია,
ხავსმოდებული კლდეები,
მოწყებით რბიან ზედიზედ
ერთფეროვანი დღეები!
სად არის ბრძოლა, ძიება,
ჩემის ოცნების საგანი?
მაღლა ცა, გარე მთანია,
საკანი, მხოლოდ საკანი!
არც ქარიშხალი, არც ცეცხლი,
არც მძაფრი ლტოლვა, ძიება,
ღვართქაფეული ვნებების
ალმოდებული ციება!
რას მარგებს ცივი მშვენება
და სიდიადე მთებისა,
თუკი არ ძალმიძს ნებაზე
ორბისებრ გაშლა ფრთებისა!
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი,
სულ სხვაა ჩემი სურვილი,
მახრჩობს, ძიების წყურვილი!
სულ სხვისთვისა ვარ ამქვეყნად,
სულ სხვაა ჩემი მისია!
თავი ეკუთვნის მომავალს
და მომავალიც მისია!
მომეცით ყოფნის ქარ-ცეცხლი
და მისი მზიან-ჩრდილები,
თქვენ გქონდეთ ქვეყნის სიმდიდრე,
არავის შეგეცილებით!
ამ დამპალ არსებობასა,
რა ვუთხრა ამაყობასა,
რა ვუთხრა ასეთ სიცოცხლეს,
ან ამისთანა ყოფასა?!

20.III.1941 წ.

ტერენტი ყიფიანი

სამშობლო

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო“...
შენ გეტრფი, შენით ვამაყობ,
აკაკის დავედარეო.

შორიდან გიძღვნი დიდებას,
ფირუზო არე-მარეო,
ჯალათებისგან დევნილი
გერმანეთს შევაფარეო!

უთავისტომოდ არ დავრჩი,
მტერი არ გავახარეო,
გვერდს ამომიდგა საშველად
დიდი არწივის მხარეო!...

შენგან აღზრდილმა შვილებმა
ომი იციან ცხარეო,
კვალ და კვალ მტერთა შემუსვრით
კვლავ გესტუმრებით მალეო!

მაისის სხივით ნაქარგო,
ილაღე, გაიხარეო –
კვლავ გაგინათებს მიდამოს
ახალი ყოფის მთვარეო.

(გაზ. „საქართველო“, 1943 წ. 11, ბერლინი)

სიმღერა სამშობლოზე

სადაც დამერწა აკვანი
და სადაც გული გალაღდა,
სად სიყვარული დავსახე
ჩემი ცხოვრების ბაღადა, –
მთვარეს სიმკრთალე მოვპარე,
ვარსკვლავებს – თვალის ციმციმი,
და ჯეირანელ გოგოსაც
დავტყუე ერთი სიცილი;
სადაც შრიალმა ვერხვების
სიცოცხლე გამიხალისა,
სადაც შარბათი ვიგემე
ჩვენი დალოცვილ წყალისა;
სად გული ბევრჯერ ვატყვევე
ბულბულის ღვთიურ გალობით,
სადაც გავგრილდი მრავალჯერ
მთის ჩანჩქერების წყალობით, –
იქ ახლა ნისლი დამდგარა,
მთებსაც ჩაუცვამთ ძაძები,
მწუხარებისგან დამდნარან
ტანაშოლტილი ნაძვებიც;
ჩაყვითლებულა მზე-ყანა,
შემწყდარა გულთა ძგერანი...
ნეტავ თუ იცის ქვეყანამ,
რომ ჩვენ აქა ვართ ყველანი,
რომ აქ შევფიცეთ ერთმანეთს
მამაპაპურის ხმალითა:
მტრისგან დავიხსნათ ჯვარცმული
ქართული მკლავის ძალითა;
მზე მივუტანოთ მარადი,
თვალებში ჩადგეს ნათელი,
კვალად აენთოს, ვით ტრფობა,
თამარის წმინდა სანთელი!..

(გაზ. „საქართველო“, 1943 წ. 10, ბერლინი)

დოკუმენტები

ტ. ფ. მარგველაშვილის ხელნაწერი ჩვენება

ჩემი ჩვეული საქმიანობის გვერდით საგარეო საქმეთა სამინისტროში 1941-1942 წლებში მე გამონაკლის შემთხვევებში მიწევდა ქართულად გარკვეული ტექსტების შედგენა.

მიმართვა იყო ასეთი: „წითელარმიელებო და საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო!“ ტექსტი შედგებოდა 10-15 ხაზისაგან. ამ მიმართვების ძირითადი პრინციპები იყო დაახლოებით ასეთი:

„წითელარმიელებო, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებო! გერმანელებმა დაკავებულ ტერიტორიებზე ახალი კეთილმოწყობილი სისტემა შექმნეს: აღარაა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და კომისარიატი. აღდგა გლეხობის კერძო საკუთრება მიწაზე, მიწები გადაეცემათ გლეხებს საერთო სახალხო დღესასწაულზე. აღარაა ძალადობა და ტერორი. ყველგან სამაგალითო წესრიგია და ხალხი მხიარულად ხვდება გერმანელებს. არ დაუჯეროთ საბჭოთა პროპაგანდას ამ ყველაფრის წინააღმდეგ. იგი მოგონილია!“

„რუსეთში არის შიმშილი, გაჭირვება, ამას გრძნობს მთელი რუსული მოსახლეობა ზურგში და ყოველი წითელარმიელი ფრონტზე. რაც უფრო გაგრძელდება ომი, გაძლიერდება შიმშილი და გაჭირვება. ეს გამანადგურებელი ომი უნდა დამთავრდეს. ყველა ხალხს უნდა მშვიდობა, ეს უნდა რუს ხალხსაც. მაგრამ პოლიტკომი და ებრაელები მიერეკებიან რუსებს ომში. ეს ებრაელთა ომია.“

„აქამდე რუსეთი იყო აზიური. გერმანიას უნდა, რომ იგი გახდეს ახალი ევროპის წევრი და ისარგებლოს ყველა სიკეთით, რაც აქვს ევროპულ კულტურას და წესრიგს: აღარ იქნება ძალადობა და ტერორი, უსაგნო დევნა და გადასახლება ციმბირში, იქნება სრული პირადი თავისუფლება, საკუთრების ხელშეუხებლობა, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება და პოლიტიკური შეხედულებების ტოლერანტობა. გერმანიას სურს, ევროპული მოქალაქეობის მთელი ეს თავისუფლება ომის შემდეგ რუსეთისთვისაც იყოს მისაწვდომი.“

ეს მასალები მე გადმომეცემოდა უშუალოდ კონრადისაგან. ისინი უნდა მეთარგმნა ქართულად. ეს თეზისები მიდიოდა საგაზეთო სტატიებში, ბეჭდურ მასალაში. საგარეო საქმეთა სამინისტრომ კარგად იცოდა, რომ ეს ფურცლები ძალიან უშლიდა ხელს საქმეს – რედაქციის ნორმალურ მუშაობას, რადგან მათი მომზადება ითხოვდა დიდ დროს და აფერხებდა სარედაქციო მუშაობის ტემპს.

ტ. მარგველაშვილი
30 მარტი 1946 წ.

64

ИЗ СОБСТВЕННОРУЧНЫХ ПОКАЗАНИЙ О ЖИЗНИ И ДЕЯТЕЛЬНОСТИ ГРУЗИНСКОГО ОБЩЕСТВА В ХАРБИНЕ.

Грузинское общество в Харбине образовалось приблизительно в 1905 году. В то время Харбин только начинал застраиваться и Обществу удалось получить от Горсовета на ул. 2-я линия большой участок земли, примерно немного более 1/4 гектара, на котором было построено помещение Общества, а именно, небольшой зал и раздевальня, на деньги, собранные среди членов Общества. Сперва было организовано "Грузинское общество взаимопомощи в Харбине". В то время занимались именно только взаимной помощью и, насколько я сужу, являлось прикрытием для революционной работы некоторых членов Общества.

Членами устава членом Общества мог быть любой человек грузинской национальности и их семьи. Вскоре или даже одновременно была создана в Харбине также грузинская библиотека для которой обществу отведено помещение на стороне. После революции / 1917 / в Харбине было с 1918 г. учреждено грузинское консульство / правительства Жордания / и насколько я знаю почти все грузины получили паспорта Грузинской республики / меньшевиков /.

О жизни и деятельности общества после советизации Грузии т.е. с 1921 по 1931 г. я мало знаю. Обществу было тяжело жить и о существовании общества наряд знаю только по традиционным грузинским вечерам, устраивавшимся в год 1 раз для сбора средств на существование общества.

Знаю также, что существовала детская площадка, которую я затем посещал также и я. Детская площадка существовала тоже не каждое лето. Я провел там 2 сезона. На площадке мы играли в игры и нас учили петь грузинские песни - фалгоы общества попрежнему имелся фрит меньшевистского правительства.

Примерно в 1926-27 г.г. была сделана к помещению общества пристройка для библиотеки, а впоследствии, ввиду появления малых лет у членов общества, возникла необходимость в постройке нескольких квартир и на средства членов общества также с выручки грузинских вечеров построили во дворе общества одноэтажный 3-х квартирный дом, 2 квартиры сдавали, а одну использовали как общежитие. До прихода японцев в Харбин членами общества, как я уже указал могли быть все грузины, без различия подданства, вероисповедания и пола - не запрещалось никаких партий и вообще не обращали никакого внимания. После образования Маньчжоу-Го под давлением властей общество исключило из своих списков всех граждан СССР.

Со времени моей работы в правлении общества была проведена регистрация членов общества - заполнялись анкеты, т.е. фамилия, год рождения, подданство и адрес. А также был обязательный устав общества, в котором было ясно указано, что лица, имеющие сов.гражданство не могут быть членами общества. Это было примерно с 1932-33 года. Насколько мне известно, как членам правления общества, деятельность общества в период моей работы занимались главным образом хозяйственными вопросами. К тому времени Горсовет решил расширить ул. 3-я линия, на которой

как раз и помещалось О-во и переименовать ее в проспект Ла-Тун. На этом обществе немного заработано, т.к. получена компенсация примерно в 20 тыс.рублей. Собрали общее собрание на котором решили построить приличный дом имея эти деньги и оставшиеся материалы от старого снесенного дома - но и эти денег не хватило и обществу пришло под [illegible] в банке домовладельцев в Харбине необходимые для постройки недостающие деньги / в то время [illegible] являлся членом правления этого банка и много помог обществу /.

Постройка заняла примерно 2 года в течении которых общественная работа на нашемном помещении почти не велась. Но построено помещение для О-ва, т.е. зал, канцелярия, библиотека, приемная, шкафы и 8 магазинов для эксплоатации. Первое время заняли только библиотеку, а остальные помещения сдавали для того, чтобы как можно скорее выплатить долг банку т.к. долг банку после окончания дома выразился в значительной по тому времени сумме, примерно тысяч 25 - точную сумму не [illegible]

Когда я был последний год в правлении долг банку выразился уже тысяч 12. Структура общества при мне была следующая: в [illegible] раз общество выбирало членов правления в количестве сначала в количестве 5 человек и членов ревизионной комиссии в составе 3 человек и давало ему общие директивы в работе и деятельности правления - т.е. определение рамки.

В случае решения каких либо вопросов, которые не входили протокол общего собрания или требовали привлечения смети составлялись так называемые расширенные собрания правления, т.е. [illegible] назначение всем и проводилось при любом количестве [illegible] равнялся.

Никаких директив от каких либо других организаций / кроме [illegible] / за исключением местных властей обществу не получ[illegible] Со времени образования Кальчу-Ти-Го общество правда стало [illegible] гичнее проводить культурно-просветительную работу среди [illegible] колонии в националистическом духе. Организовали кружок [illegible] устраивали доклады, рефераты на разные исторические и нац[illegible] ные темы, участвовали, правда в недолго просуществовавшем [illegible] ществе " Прометей", в которое входили поляки, украинцы, [illegible] и грузины. Насколько я знаю это общество возникло в Польше [illegible] правление получило оттуда журнал " Прометей" на четырех [illegible] / в одном экземпляре /.

Принимали, под давлением властей, участие в антисоветск[illegible] демонстрациях, на демонстрации эти члены общества собирались [illegible] некоторые, т.к. никогда не было более 30 человек, включая [illegible] ный состав правления - если удавалось уклониться от демонстрации - участие в "антикоммунистическом дне" общества сводилось и прочтению доклада на антисоветскую тему в помещении общ[illegible]

Во всей этой работе общества принимал деятельное участ[illegible] и сам. Моя работа сводилась к следующему - являлся одним из [illegible] гизаторов и первым председателем кружка молодежи при Гр[illegible] ском обществе - структура кружка была такая же как и общ[illegible] но правление выбирали каждые полгода. Старался привлечь мол[illegible] дежь к активной работе общества в националистическом напра[illegible]

65

- 3 -

обеспечивал эту молодежь на различные доклады, собрания и общественные праздники, на уроки грузинского языка. Для привлечения молодежи устраивали " чашки чая", танцы и т.д. на которых читали небольшие исторические и национальные доклады.

В правление Общества я и ЖИДАЛЯНОВ были выдвинуты, главным образом, молодежью для того, чтобы добиться средств и помещения для спорт-зала, устройства клуба, библиотеки и спортивного кружков.

Находясь в правлении, я вплотную старался удовлетворять интересы молодежи в этом отношении, а также, в помощи оплаты на кружоучение. Никакой другой работы во время моего нахождения в правлении, Обществу, как мне известно не было и я также не вел

Связи никакой либо с другим обществом, как мне известно, не имеет - находясь в правлении общества я не был зарегистрирован в других. О связи с заграницей, в частности с Парижем, мне известно что мы получали откуда газеты и журналы, издаваемые грузинскими эмигрантами, т.е. бывшими " представительствами" и еще какими то другими организациями, за которые, причем официально, мы платили деньги, а в последнее время примерно с 1937 года стали получать на Берлина газету " Тетри Георги" на грузинском и немецком языках / под газеты по грузинским и под по немецки / хотя мы со на выписывали и денег за нее никаких не платили.

Содержание этих газет я не знаю, т.к. плохо знаю грузинский язык, но бесспорно, они были антисоветские.

О какой либо другой связи мне ничего не известно - я в этом, если это и имело место с отдельными лицами, я участия не принимал.

25 января 1950 г.

ვლადიმერ მატკავას სისხლის სამართლის საქმე
ლევან ხაინდრავას ჩვენება
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №50287



ქუთაისის ცენტრალური არქივი
ფონდი №1142, ანაწერის №1, დოკუმენტის №1
ლადო ასათიანი

154

ПРОКУРАТУРА СССР
ПРОКУРАТУРА
ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ
СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

Секретно

12 сентября 1963г.
№01-А-295-63

НАЧАЛЬНИКУ 1-го ОТДЕЛА МООП ГРУЗИНСКОЙ ССР
Тов. Челидзе В. Е.

Прошу указать архивный номер дела по обвинению КАДАГИДЗЕ Георгия Ивановича за 1942 год и настоящие отношения переслать Начальнику Учетно-Архивного отдела КГБ Груз. ССР.

Начальника УАО КГБ при СМ Грузинской ССР прошу архивно-следственное дело № 20285-4 по обвинению вышеуказанного лица выслать нам для проверки в порядке надзора.

ЗАМ. ПРОКУРОРА ГРУЗИНСКОЙ ССР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ Советник Юстиции (В. Правдин).

Отп.—в 2-х экз.,
1 экз.—адресату,
2—в дел.
Исп. Правдин
№ по 1731
дата 16.IX.1963г.
Исп. ответ. вх. № 01-к-476- 1963г.

3-го класса

Отдел КГБ при СМ Гр. ССР
2/X 1963 Вх. № 12549

Тип. МСХ, зак. 1, № 829. 1.1000

ეროვნული არქივი

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საქმე №421549
სამანელთა საქმე



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №43505-07
ბალიაური ვლადიმერ დავითის ძე

ძვირფასო ბაბა სტალინ სანდრო კვ[illegible] შვილიშვილი
კახა კავსაძის

55

თხოვნა.

ძვირფასო დიდო სტალინ! მე კახა კავსაძე გთხოვთ
მიმაქციოთ ყურადღება და გამოიძიოთ ჩემი
ბერიოზული მამის მდგომარეობა, რომელიც დღიდან
ომის დაწყებისა ჩვენგან შორს საფრთხის
დასაცავად, რომელმა მოხვდა კერძო დატყვევების ტოს
საჭიროს სასხლისმსმელ მეჩხერ გერმანელებთან
ერთად. ამ უკანა, ოფიციალურ ინფორმაციით
ქ. თბილისში ყაზარმების კომახარაში.
მეხუთე წელია მამა ამ მინამაკ. ეიმტოდა ქვესი
ნის, ოჯახ ყველა ათი წლისა და ეს ეზიანდისანი
სულაში, ეფერეული ეზნაურებ ოჯახის ალაში ყანტიერ
ბორიალეთა შორის. გთხოვთ ბაბა სტალინ ყურადრ
სა, რათა მიაქციოთ ყურადღება ჩემს თხოვნას
და - ბერიის მავნეთა შორის მეც ვიყო ბერიერი
სნაკლია და ზესიგის მოყვრის მინაფეე.

ქ. თბილისი

ბულბანოვის ქ. №29

კახა დავითის-ძე კავსაძე.

25 II 46 ნ

კახი კავსაძის წერილი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საქმე №46206
დავით კავსაძის საქმე



ბ ნ ო ბ ნ ბ ბ ბ ბ ბ ბ ბ

ხელ. ახლ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის ინსტიტუტისაგან.

1949 წლის 25 აპრილი.

ფილიალის ინსტიტუტის თანამშრომლები: მეცნ.დოქტორი ს.ი.ნუცუბიძე /ფილიალის ისტორიის განყოფილების გამგე/ და მეცნ.დოქტორი ს.ი.დანელია /ეკონ.მეცნ.თანამშრომელი/ მიავლინეს იდგილზე იფალიხეკ ოკუპაციისა და ანიან აკადემიკოსი ბრძანებისა. მიეგზავნათ ფიდი ტრიბა, ეშმაკურად ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში, ნაბლის განმავლობაში, ბრალდების ტრიალია და მოითხოვთა მეფეკან. ამან მეფლო თავიანთი იფალიხეკი ოკუპაციის გამოვა და მარტისტულ-ლენინური ფილიალის ხელმძღვანელობა გადახვევა, ისინი შეიმენ ადგილებენ ძველ ოკუპაციაზე ყოფას, ან იძლევიან მარტისტულ-ლენინური ოკუპაციის გამოსაღებად მეფ ბევრი ადამიანის. ინსტიტუტის თანამშრომელი კ.კ.ბერძენიშვილი ყველა ფალიალებს ყოფას იფალიხეკ ოკუპაციაზე, ფიქრობ ან ვანუკეთა მან თავისი ბრალები, ოფიციალურ ყიფა სწამებს, ფასადის და ლანძღავს ქართველ ხალხს, მის კულტურას და ისტორიას.

ვთხოვთ:

1/ მეცნიერებათა დოქტორი მაღალ ინტელიგენტ ნუცუბიძე და მეცნიერებათა დოქტორი ბერი ილიჩიძე დანიშნა განთავისუფლებულ ფილიალის ინსტიტუტში შემოობიდან 1/5 21 აპრილიდან.

2/ ინსტიტუტის თანამშრომელი კონსულტანტი ტრიგულიძე ეკუთვნილი მიიბარა ფილიალის ინსტიტუტში შემოობიდან 1/5 21 აპრილიდან.

ფილიალის ინსტიტუტის დირექტორი - /ს.ნუცუბიძე/

/ილია ...

შალვა ნუცუბიძის საოჯახო არქივიდან



Государственный Комитет Грузинской Советской Социалистической Республики по высшему образованию

ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ имени И. В. СТАЛИНА

№ 02-21-1164 3. ივნისი 1960 წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს

პროფ. შ. ნუცუბიძეს

ი.ს.სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიქრობს, რომ საქართველოს საკუთარ 1960 წლის 30 მაისის დადგენილებით ფაქტობრივად უნივერსიტეტის 1953 წლის 25 აპრილის იერარქიულობა და ოფიციალური ფასეულობა უნივერსიტეტში დანერგვის ეფექტია.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ვ.ფილიპოვი /ვ.ბარამიძე/

Ответ отправить на имя ректора

შალვა ნუცუბიძის საოჯახო არქივიდან

ეიდან ამეიყვანეთ ამბავანეთ ყველა,

ბოდიში ამ წერილის დაგვიანებისათვის, მაგრამ ჩემი ბრალი კი არის: ნამდვილად "ოსტროვსკიასთან" მეორეა ხელმე, პასუხისმგებლობა ეიგრძენი და მიხანერის მოდელირება დამჭირდა, თუმცა ანუ ისე ეკუთვნი აღმოჩნდა ჩემი მუხსიერების მიერ შემონახული ყველის ამბავი.

ეიდის სიამოვნებით ეაკითხავენ, რაც ეიყო.

1908 წლის კალენდარის დამლეგს ხარკოვის უნივერსიტეტიდან ბეჭდილ დაეკრძალეთ. ამ ეჩის ხანმოკლეში ეკლამა ნეოლეეფენ მიძრაობას ფანო ხანითი ქონდა მიღებული ნოეონ ბოეიხანის ნაბიჯები, ისე ლაკალიაც /ბეთხანეფენ/.

ბეთხანეფენში ეკლამა მიძრაობა უფრო ხალეური იყო, ვიდრე ბოეიხანის ნაბიჯები, ხალეს ანუ ეე ისე ჩანდა ბათეფისა და ფოთის სოფ-ეემოკრატიული ორგანიზაციების ავტონომიებისა და ინტელიგენციის ხელმძღვანელობა ეე ეკეეენა, - ბოეან ხიხეეანური, ბოეან კი მოუწესრიგებელი და შემთხვეეით. ბეეიხანის ნათონები თავიანთი აღკიცხეეანეობით ეაკეეთრებელი იყვნენ ანინეეი შენათა მიძრაობის ყენეენებთან - ბათეფთან და ფოთთან. ამ ნათონების უმიანესი ეკეხები ხშირად მიდიოდნენ ეახალეებელ ქალაქებში ხანეენთის ხანმოკლეად, ხალეს ნეოლეეფენ ჩეთაიანიც ეამეეოდნენ. როცა ისინი თავიანთ სოფლებს ეაბრუნდებოდნენ, თან მოაეონდათ ეზაკეანი ნეოლეეფენ-პარეიული ეამოყენება. ამთაეან თანდათანობით ეკეამეა ბინთეი შეშა-ეზოპეანდიხეეანისა, ჩამდენიც პირეელი ორგანიზაციები იყვნენ ეკმაყოფილი ეკეხებისა, - მათი, ანუ ეხალეთა, პოლიციეენ-იდეური მეწინავეები.

ასეთი მდგომარეობა არ იყო ჩემი სამეკრძალოში, ეაკადაში, ჩემეიან მეკანებით ეამორჩეული იყო ნეოლეეფენი მიძრაობის ყენეენებს. ბუნებრივია, რომ ამ ყენეენების ეაკეენაც აქ ეფრო

21 104

[illegible]ულად იყო გამოხატული. ჩემის აზრით, ამით უნდა აიხსნებოდეს [illegible]ინიშნული კანონიერება, რომ ყველა მოძრაობა ზემო ხაზეულში უფრო ხელოვნურად და ერთთავად ანარქისულად მიმდინარეობდა, ვიდრე ბელისპირის ნაწილში.

1905 წლის გაბედულს ზემოსამეურნეოში უკვე რამოდენიმეა ეული ორი შეიარაღებული, ცენტრისული ნაწილი: ერთი ჯუნო მრავალნაგოვანი და ძლიერი / წალენჯიხის რაიონში ს. თოლორდავას მფლობელობა, მეორე / ჯაჯანე-ქინწყის რაიონში / ვახიც და ყიმიში ყოფილების მფლობელობა.

ხალხისადღეგრძელია ის კანონიერება, რომ ასეთი შეიარაღებული ნაწილი არ ყოფილა ბელისპირის ხაზეულზე. მიუხედავად ამისა, ყველანი მაინც იარაღით ხელში ებრძოლნენ მეფისეულების დამფყველ ფლის პოლიციას / მაგ. ხოდ. ჩიდეში მიმწყარი ხიხლიანი შეყვანა და სხვ./

ლაკადეში მოქმედი ორი ნაწილი / თოლორდავას და ყოფილების მფლობელობა / ერთმანეთისაგან ხშირად დამოუკიდებლად მეფეობდა და იბრძოდა. ამავე დროს მათ ანალოგიური კავშირი არ ქონდათ ზეული. პარტიებთანაც, რომელიც ბორის ნაწილი აუფრიცეული ეკვ ხანგრძლივობა ხალხში ხოდ.ლეგ. / მოიკონოთ ქუთაისის იმერეთ-ხანგრძლივის კომიტეტი, ბუნდოვ ბათუმის კომიტეტი და კიდევ ერთი ფოთის ერეული ბათუმის კომიტეტისა /. მიუხედავად ხოდ. ლეგ. წარმოიდგენენების ყველა დაუფარებინათ ერთიერთობა ლაკადეში მოქმედი შეიარაღებული ნაწილების დასახელებულ მფლობელობან, ეს უკანასკნელები კავშირდნენ ყოველგვარ კავშირს. ხალხის აზრის, რომ ერთმანეთ და მეორეთან კარგად იყოფნენ, თუ რას მოიმოქმედნენ მათგან. ეს იყო უპირველესად ყოველისა ხალხთა ნეულეგიური წესრიგისადმი დამორჩილება და მათი მიანური დასაყრდენი ცენტრისული მეთოდის ნაცვლად ალიარება მასების ნეულეგიური აზრისა და მიმართების ხოდ.ლეგ.ოფიციალური მეთოდისა, რაც მათ კანონიერებას ნიშნავდა.

22 105

ამ მცირე მეხსიერების მეშვეობით ვაფასებთ ძველთაგან ხანგრძლივი ყოფიერების ამბავსაც.

რიგა ყოფილან ვაჭრობა, ეკონომიკა ვახიერ და ციმბირის, ეს ორი მეტად ნათესავები იყვნენ. ახალგაზრდა ციმბირი ვახიერის ძმისწული ყოფილიყო. / ვახიერის და ციმბირის ნათესაურობა ეკონომიკის ლაბორატორიულ უფლებამოსილებად შეუძლია ამბავთან შობა ყოფილან - ფეოდალთა ხალხურ კომუნიკაციის მეფეებს /.

ციმბირი ყოფილან მე პირადად ან ვიცნობდი. ან მეშინოდა. ეს მეწინააღმდეგეთ მეგობრობის ხასიათი ჰქონდა ყველანაირი. ის იყოფოდა სულიერებისადმი ამის შიგნით მეექვსეული შეფასებული ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა. ციმბირი შიშის ნაწილ სულმდა ანა ერთი მეფის პირადობას, მის აკონტროლებს და მეშვიდეულებს,-ყველას, ეს ერთ კი ორკულობას ეფასებდა, - ამნაირი იქნებოდა იგი, თუ ეგზო. ეკონომიკური ლინიაძეობა, რომელსაც ის მიმართავდა ეროვნულ ეფექტურობისადმი, იგი ცეროინი: - ხალხი ეფექტურობა, ეფექტურობა, ბოიკოტი და ეკონომიკურ მეშვიდეულებში სიკეთეები ეფასებდა / ოღონ სულ ერთი თუ ორი მეშვიდეული მეძლება მეორეულ ეფექტური ასეთი ეკონომიკური ლინიაძეობა /. ციმბირის ეფექტურობას ეფექტურენ. ეფექტური, მეძლევი და ეფექტური იგი თავს ეფექტოდა თავის პატარა ეფექტს, რომელსაც თავის ასლოს ან ეფექტდა, ეფექტა თავისი ეფექტური მეფეებისადმი ვახიერის, რომელთანაც ბრძოლით მოპოვებული ძალაუფლება ჰქონდა ეფექტებული.

ვახიერ ყოფილან კი პირადად ვიცნობდი. ეფექტებული მას ეფექტიდან ეფექტ ხშირად ეფექტდა თავის სოფლიდან, ხანგრძლივ ეფექტ-ეფექტებში ეფექტების ეფექტება ეფექტოდა და მისი ნაოფი ხანგრძლივ ეფექტს ეფექტის მიხეფექტოდა. ვახიერი ორიგინალური, ეფექტ ხანგრძლივი ინოვაცია იყო. ეფექტებამდე ის ხანგრძლივ ხასიათი ხელის მეფეებული იყო. ციმბირის ხელმძღვანელობა, ბოთეში თუ სადღაც ეფექტებული. მან ეფექტური ჰქონდა ეფექტა ხადეიქრ, ეფექტებს

23/106

ამწვალიდა თავის ხელობას და თანაც ჩუმჩუმად ეროპეანდას და
აკეთებდა ეწყოდა არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ხშირად
ამ ხანში ვიყენობდი მას. ხადეიკო მანქანის შესაძენად თუ დასა-
ქენად თუ შესაკეთებლად ჩამოდიოდა ბუდიდში. კარგი მოსაუბრე
იყო, ღიღი ყნობიანობისაკენი კაცის მიაღწევდიდებას ხელოვნდა.
ბუნდოვნად შეიტანდა, ხან ძალიან ბედნიერობა თავისებური ქონდა.
ფილოსოფიური მსჯელობა უყვარდა და კამათში მონინააღმდეგეს
აღვილად არ ნებდებოდა. ჩვეულებრივად კი ოდა კანწყობილი.
ჩვენს სოფლის ინტელიგენციაში მაშინ ცოლსაის ქონდა ღიდი
ზონინება, მისი მოძღვრებით ბევრი იყო კაცაფებული /ბე მეონია,
ისეთნად. ჩამეგნაღად ეს მოძღვრება არსებული წესწყობილების
წინააღმდეგ ეროვნულ ეკლესიას შეიყვანდა/. მახსოვს, ვახილაფ
ანა ენობდა ეკამათნია ჩემთან ცოლსაის წიგნების გამო, რომლ-
ად ის ღრეებით ინტერესებდა.

ვახილი შეაბარეს მინაწერილი თუ ოქნებოდა. ხანეალი ცანისა
ოდა, ბანებში ოდნავ მოხრილი და ხუსტი ავეგულობის. ისე მახსოვს,
რომ ავადმყოფობდა - ფიცებებით, თუ არ ვცდები. შაეგრეგანი კა-
ცი ოდა, ბავი ცმა და ულაბები ოდნავ შეეერცხლილი ქონდა, წვერს
არ აკეთებდა. თვალები - ბავი, წვრილი და მიმზესხეული, ერთად ბა-
ბსლანი. ხასის გამოშეყვეტება ქკვიანი და მიმზიდველი ქონდა.
ოდენა ენდა ყოფილიყო, თუ ბეხსიერება არ მღალატობს.

თავის ნათონის სოფლებში, ხადაც ის პოლიციის ლიკვიდაციის
ბრძოლ, ღიმიყნის ნაბეის თანხლებით ხალეიკაფიოდ დადიოდა, ვახი-
ლი ეიყოდ ავეტიკეტით და ლეკების ხიყვანული ხანგლობდა.

ოდენაც ნალენკოის ნათონში, ხადაც ალანყებულ ლეკებს თოლ-
ოდა შეთანხმდა, ისე ქაქვინდ-ქინწყნში, ლეთიების ხამეთანო
ქანში, ლეკებს-ნეეულებიანი მანთეალამეობა ხელ ნალეაა ხაში
ეს ოთხი თვე კანძეღდა, ალაბლოვებით 1905 წლის ალეხილიდან

ოქრის ალეგორიაზე. შუქის მთავრობამ მაჩრის ადმინისტრაციის ყმოთხოვნით ალანგყვეულ რაოდენობაში პოლიციური წესრიგის აღსადგენად გამხდარი ეგზეკუციის კავშირები ქალაქებისაგან შემდეგნი [ქვეთა ყარან-ჩუნები]. რა თქმა უნდა, კვითეების ნაწილი რა ერ წინააღმდეგობას კაუწევდა ასეთ ექსპედიციას? ყველანი და ბაკალია, ბევრია და ბანდები მოელვნენ ქალაქებში ალანგყვეულ ხოლოებს.

ქალაქებების გამხდარი ეგზეკუციის მაგენებელი იყო ალრეთვე ბოიბერის ხოლოებიც [ქალაქი, ნიდე და სხვა], მაგრამ შუქის ხელისუფალმ კანხალეულანგეული ხიმეკენი ბემოხამეგრელოში კამოიტანეს ადგილ კლეხების მოძრაობას თოლოდგა და კვითები ბელმძღვანელობენ.

ეს იყო ალეკა "ნეაქეია", რომელიც ნამდვილად ალი წინ ეხმარება 1905 წლის ოსტრიელ ხალხელთა კალიყვანა და ალაბყვნას მიელ ნუხეთში. ის ანარქიული იყო: ოქრის-ალეგისტში ალაბყო და ამ ალეგიელ კალაბელი კიდევაც.

ეს "ნეაქეია" ხამეკნელია ან შემოდგენილი. როგორც ყნოხილია, ხანგრძლივ ამავე ლინის შუქის მთავრობის მემოცვა ნეკოლეფანეს ხალანალელის სხვა კალხელებიც მოხდა.

აქ მინდა ალენიშნო, რომ ხამეკნელის 1905 წლის ოქრის-ალეგისტის ნეაქეიის ლიმიური ხაბე მე ანგნილი მაქვს ჩემს "ყარიელ ლიტერატურ" [ის. ნიმანის ალეგი "მეთხუთმეტე", "მეთექვსმეტე" და ბიბლიოგრ]. ამ ალეგების მიხედვით შეიძლება კანმოალმოჩენილად იმის ნაჩვენებია, თუ როგორ ხოლა შუქის მთავრობა ალანგყვეულ ხოლოებს, ხმალეა თუ ანბანელა მეთალენებისა და ალეკალეების ხაბლარს.

ქალაქებ-ლიტერატურის ნაოსნობაც ასეთივე ნიხანია და ალეზოგეულობით მოელინენ ქალაქებები და ხამაბრო პოლიციის შეიარაღებული ხალები. თქმა ხანმოკლე იყო ეს ნეაქეია", მაგრამ მსგავსი კი ლიი შეიმჩნია.

25 108

ციმაფი კეთია მოკლეს ლაღაური მის ჩაბმაში შეპარულმა, მიაკრიბის მიერ მოხდილმა არაშესაბამმა, ჩამაგ ციდი აღმოფიფა კანონიკეა მიდ მაბნაში.

ციმაფი კეთიას ლაღაური მოკლის ფაქტი ხაბრულად ბაგდო ამაკ ჩემი ჩიმანის "ცაბიდ კოლეას" ეჩიენი მიაგან ეპიზოდს, ხაბელიბრ ლეკან კოლეას კაიოდ კაღაღენდიას მიერ მოკლის ეპიზოდს, მაკრამ ყოველკვანი კაკვებრიბის თაკიდან ასაკიღებლად აქვ ყლა აკლნიშნოთ, რომ ჩიმანის ეს ეპიზოდი ნაშესიდ ამბაკს არ ეფუძნებ, ე. ი. ის არის ჩიმანის კმაჩის, ყაოკრებაში კონკრეტულ ... ბინკბული ლეკან კოლეას მოკლის ამბაკი, მაბაკრულად ნაკალაკლეკი და შეიბული, ნაბანიმების ხიკუდის ღრამაფიდი კანონიერებისა და მაბაკრული კომპოზიციის შესაბამისად, და არა ციმაფი კეთიას მოკლის ამბაკი, ვინ იყის ყაოკრების ჩა კონკრეტულ ინიბებბა და კარეფიებში მიმბდარი.

ჩა ბედი ეჩია ვანიდ კეთიას, ღანაშლილებიდ ვენ კეკლეკი. ... ბაკ მაკვს კაკონიდი და მაბსოკს, ჩიმ ის შეიპეკრს იმაკ ეჩიდი, დაპაციმრებულს ავადმყოფობა მიერია ყიბის პირიბებში და კალიკა. ამის წარმოშობა შეიძლება იმაკ ამბ. მოდა კეთიას ხაკალებიდ. ყოველ შემთხვევაში, ეკონია, არ მეყლები, თუ ვიცოდი: ... ბა იმ ხანმოკლე ჩვაკლიის შემდეგ, ჩეკოლეფიებმა მოძრაობამ კვლავ ფაბი მოიკიდა ხაბეკრულობი და ამ კვალობაზე მას ხათაკეში ... ბაკდა სოფ. ...., ვანიდ კეთია ახალრებლ არ კამოჩენილა.

აი, ყოველივე ის, რაკ მიმაკონდა, როდა ოკვენდაში წერილის ... ბანერად კანეკებაკე, თანაბამად ოკვენი ...ბოკნიხა. აქ არის ... ბოკლე ამბაკი, ჩიმელიკ შეეხება იმ კერძო ხაკითხს, თუ ... ბაკ ესაჩკვალობდი მე ყაოკრების კონკრეტული მოკლეებია, როდა "ცაბიდ კოლეას" ეწერდი. ხიკვლეამ მოიცანა და ეს ამბაკები ამაკ ... ბანერეჩინა, ...ბრამ ხაკინი არ იყო მათი ოკვენი ფენიადების შეჩერება. მით ეშეკსად, ჩიმ ამ ჩემი შემოკმედების დამახასიათებელ

26
109

ბერიას მე ვერა ვნახე ბევრ მიკინებებში მეგობები, რომლებსაც
ან ძალიანებათა მე-4 ცოტისათვის ეაბნდეგ, თუ ყოფილი ლავრა.

ეახანურ მინდა ვაუწყოთ ერთი ამბავი, თქვენი მიბნისათვის
ფრად ვამოხადეგი. ეს არის შემდეგი:

ხალანიელის ყაის ფოფილმა მდივანმა ივანემ ქენეფმა ფა-
ბერა წიგნი ხათაურით: " 1905 წელი საბერძნეთში ", რომელიც
ეიდე ეაიბეჭდა 1929 წელს. წიგნი შედგენილია ოფიციალური, ანა-
ბერ ეაფული წყანიებისა და ეიკუმენტების მიხედვით / მაგინდელ
ფალმდეგობის ეიმა მიბერნობერა, მოლიფის ოქმები, ავეფცების
ბერეგანი, ეაკეფცები და სხვა /. ეს წიგნი მე წამიკითხავს. მა-
ხსოვრდება ისეთი ფაბრა მიხვან, რომ ავეფრის მიერ ვამოფენილი
ოფიციალური ხანეფები მაინდაფამაინ ხორცად ან ვადმოხეფენ ხო
ნეს. ბევრი რამ არეფლია, აქაც ხიფალბესად ან არის მოკლეფული.
ეახანურ ეაბეთი მდივანი ხაარეფი მასალის ეარალ მოფოხილეფ
ეკ ოფეთხალად ბევრ ვანძია 1905 წლის ისტორიათ ფაინტერესებელი-
ხალის. ეუძლება ახლა მომავალში ეს მასალა ერთად ერთი წყანი
ეანდეს საბერძნეთში ბეოლეფეფენი მოძრაობის ისტორიის ფასაბერად,
ხალანად მოძრაობის მონაწილენი ეკვე ოთოეის აღარ არიან.

აღნიშნული წიგნის ავტორი ივანემ ქენეფი 1937 წელს, ჩა-
ბერეფად ვამოფენია, ფაალეფიერეს და ვადაასახლეს. მისი ეკალი ან
ფის, რაგა მე ის წიგნი ფაბერა მომავალში, ეერსად ეიპოვნე .
ალბათ, ავტორის ფაალეფიერების ვამო აკრძალეს. მესაძლებელია
მისეულად ბევ მიბლიოთეკას შეერა. მე ეფიქრობ, აფვილად შესა-
ძლებელია ის მოინახოს ბეოლეფის მეგობრების მიბლიოთეკაში.

ხალანურ წიგნში ბევრი მასალაა თავმოყრილი 1905 წლის,
ან ოქვენ ფაეფფასებელ ხაბსახურს ვაეიწევთ.

ეახანურ ვთხოვთ მაფნობოთ ამ წერილის მიღება და ახლა, თუ
ხალეფნად სასარგებლოდ ხფანთ ოქვენთვის ეს მიერ მოწოდებული
ფაქტები.



6.

110

ამის კარგა კარგი ჩემი ეჯრეული სადაში კადაბეული ჩემი ხაყნის საყვანელი ბეყვიდის ხახულეან მშენებელა და ხელ-ძღვანელს ამბ. ყნიბა ჩაჩიბაიან.

მარად იქეენი პაციენტმეტელი [illegible] [illegible]

20 დეკემბერი 1950 წ.

ბაილეხი.

ა.ქაველაძის ქუჩა № 23.

MIA ARCHIVE MIA ARCHIVE MIA ARCHIVE

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6. საარქივო №51295, ტ. 9, ყუთი 167
პეტრე შარიას საქმე



„სიმღერა თეთრ გიორგიზე“
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საქმე №46206
დავით კავსაძის საქმე

Копия

П Р И Г О В О Р

ИМЕНЕМ СОЮЗА СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

1949 года, марта 8 дня, Военный Трибунал войск МВД Грузинской ССР, в гор.Тбилиси, в здании клуба МГБ, в составе: Председательствующего - подполковника юстиции Недиреишвили и членов: капитана Кебадзе и подполковника юстиции Георгобиани, при секретаре ст.лейтенанте Гусевском, без участия сторон, рассмотрел в закрытом судебном заседании дело по обвинению граждан:

1. МЕЛАДЗЕ Альберта Шалвовича, 1926 года рождения, уроженца и жителя г.Тбилиси, 2-й Меховой тупик, дом № 3/5, из служащих, студента 4 курса Тбилисского университета, холостого, члена ВЛКСМ с 1943 года, ранее не судимого.

2. ДЖИДЖАВЕ Пото Александровича, 1926 года рождения, уроженца и жителя г.Тбилиси, по ул. Энгельса дом № 28, из служащих, студента 4 курса, Тбилисского университета, холостого, члена ВЛКСМ с 1944 года, ранее не судимого.

3. ЦИНЦАДЗЕ Георгия Ивановича, 1926 года рождения, уроженца сел.Бухисцихе, Чохатаурского района, проживающего в г.Тбилиси по ул. Собо-Сулаева, дом № 5, из крестьян, студента 5 курса того-же университета, холостого, беспартийного, ранее не судимого.

4. МАЧАВАРИАНИ Юрия Павловича, 1929 года рождения, уроженца селения Цхрацкаро, Вестафонского района, проживающего в гор.Тбилиси по ул. Мордвиниашвили дом № 25, из служащих, студента 3 курса Художественной академии, холостого, члена ВЛКСМ с 1946 года, ранее не судимого.

5. ЛУЖА Бориса Зиновьевича, 1924 года рождения, уроженца сел.Мендзи, Цхинвальского района, проживающего в г.Тбилиси по ул. Менжинашвили дом № 27, из служащих, студента 5 курса Тбилисского университета, холостого, члена ВЛКСМ с 1938 года, ранее не судимого.

6. ДЗИМИСТАРИШВИЛИ Кукури Варламовича, 1925 года рождения, уроженца сел. Сунов, Ланчхутского района, проживающего в гор.Тбилиси по Кобулетскому подъему дом № 16, из крестьян, студента 5 курса того-же университета, холостого, члена ВЛКСМ с 1939 года, ранее не судимого.

7. ПАЧХОРИЯ Отто Михайлович, 1928 года рождения, уроженца и жителя гор.Тбилиси по ул. Петрашевского дом № 16, из служащих, студента 2 курса того-же университета, холостого, члена ВЛКСМ с 1943 года, ранее не судимого.

8. ЗАЗДАСТАНИШВИЛИ Тенгиз Александрович, 1927 года рождения, уроженца и жителя гор.Тбилиси по Дзерокому переулку дом № 6, из служащих, студента 4 курса того же университета, холостого, члена ВЛКСМ с 1943 года, ранее не судимого.

9. МАГУДАРИЯ Гиви Ноевич, 1926 года рождения, уроженца и жителя гор.Тбилиси по Трамвайному переулку дом № 8, из служащих, студента 4 курса Тбилисского университета, холостого, члена ВЛКСМ с 1941 года, ранее не судимого -

В совершении преступлений, предусмотренных в отношении всех ст.ст. 19-58-2, 19-58-8, 58-10 ч.I и 58-11 УК ГССР.

Материалами предварительного и судебного следствия

У С Т А Н О В Л Е Н О:

Нелидзе А.Д., Джиндзадзе Ш.А. и Цинцадзе К.Н., будучи антисоветско-националистически настроенными, в конце 1945 года создали нелегальную антисоветскую организацию, ставившую своей целью, путем вооруженного восстания, с применением террора, свержение Советской власти и установление буржуазно-националистического государства под лозунгом " Независимая Грузия ", являясь активными членами руководящего ядра этой организации, они проводили ряд антисоветских мероприятий в своей работе.

Начкебия Б.П., Хухуа Б.Э., Дзиматоришвили К.Б.,Пачхория О.М.,Заздастанишвили Т.А. и Магудария Г.Н. являясь членами нелегальной антисоветской организации, созданной в конце 1945 года Нелидзе и другими и ставившей своей целью борьбу против Советской власти путем вооруженного восстания, свержения ее и создания так называемой " независимой Грузии ", активно участвовали на нелегальных сборищах этой организации, где обсуждались вопросы дальнейшей антисоветской работы и о мероприятиях для осуществления намеченных целей.

Таким образом, Джиндзадзе, Цинцадзе, Начкебия, Хухуа, Дзиматоришвили, Пачхория, Заздастанишвили и Магудария,совершили преступления, предусмотренные ст.ст. 19-58-2, 19-58-8, 58-10 ч.I и 58-11 УК ГССР, что суд счел доказанным, в посему руководствуясь ст.ст. 319 и 320 УПК Грузинской ССР

П Р И Г О В О Р И Л:

МЕЛАДЗЕ Альберто Шалвович, ДЖИДЖАВЕ Зото Александрович, ЦИЦИАВЕ Георгий Иванович, МАЧАВАРИ Орам Левонович, ДУХУЯ Борис Зембарович, ДАНИЛЕСТАРИШВИЛИ Кукури Зардимович, ПАЧОРИЯ Отто Николаевич, ЗАДДАСТАНИШВИЛИ Тенгиз Александрович и МАГУДАРИЯ Гиви Ноевич, подвергнуть лишению свободы в исправительных трудовых лагерях, на основании уголовного кодекса Груз.ССР.

1. По ст. 19-58-2 сроком на ДВАДЦАТЬ ПЯТЬ / 25 / лет каждого, в силу ст.31 УК ГССР, по пунктам "а", "б", и "в", с поражением прав сроком на ПЯТЬ /5/ лет каждого и с конфискацией всего имущества каждого.

2. По ст.19-58-8, с санкции ст.58-2 УК ГССР, сроком на ДВАДЦАТЬ ПЯТЬ / 25 / лет каждого, на основании ст. 31 УК ГССР, по пунктам "а", "б", и "в", с поражением прав сроком на ПЯТЬ /5/ лет каждого, с конфискацией всего имущества каждого.

3. По ст. 58-10 ч.I, сроком на ДЕСЯТЬ /10 / лет каждого, на основании ст. 31 УК ГССР, по пунктам "а", "б", и "в", с поражением прав сроком на ПЯТЬ /5/ лет каждого.

На основании ст. 46 УК Груз.ССР по совокупности в конечном итоге: Меладзе Альберто Шалвовича, Джиджаве Зото Александровича, Цицаве Георгия Ивановича, Мачавари Орам Левоновича, Духуя Бориса Зембаровича, Даниластаришвили Кукури Зардимовича, Пачория Отто Николаевича, Заддастанишвили Тенгиза Александровича и Магударии Гиви Ноевича, считать осужденными всех по ст. 19-58-2 УК ГССР с лишением свободы сроком на ДВАДЦАТЬ ПЯТЬ / 25 / лет в исправительных трудовых лагерях каждого, на основании ст. 31 УК ГССР по пунктам "а", "б", и "в", с поражением прав сроком на ПЯТЬ / 5/лет каждого, с конфискацией всего имущества каждого.

В силу ст. 29 УК Груз.ССР срок отбытия наказания исчислять:

- Меладзе Д.Н. с 16 октября 1948 года
- Джиджаве З.А. с 15 октября 1948 года
- Цицаве Г.И. с 17 октября 1948 года
- Мачавари О.Л. с 26 октября 1948 года
- Духуя Б.З., Даниластаришвили К.З., Пачория О.Н., Заддастанишвили Т.А. и Магударии Г.Н. - с 27-го октября 1948 года.

По ст.18-58-8 УК ГССР приговор в отношении всех окончательный и кассационному обжалованию не подлежит.

130 109

4.-

По ст.ст.19-58-2 и 58-10 ч.I УК ГССР, на основании ст.400 УПК Груз.ССР в отношении всего приговора может быть обжалован в кассационном порядке в Военную Коллегию Верховного суда СССР через Военный трибунал войск МВД ГССР в течение пяти /5/ суток после вручения копии сего приговора осужденным.

Подлинный за надлежащими подписями:

С подлинным верно:

Председательствующий по делу
полковником юстиции / Надирашвили /

Верно: Нач.след.отд-ния КГБ при СМ
Адж.АССР - м а й о р
/ МАРТЫКЛАШВИЛИ /

Справка: Подлинник настоящего документа находится в архивно-следственном деле № ПР-6154 по обвинению Зеледов Адьберта Белозмчо и других / н.д. 488-490 /. Дело хранится в учетно-архивном отделе КГБ при СМ ГССР в г.Тбилиси.

Нач.след.отд-ния КГБ при СМ
Адж.АССР - м а й о р
/ МАРТЫКЛАШВИЛИ /

«31» декабря 1960 г.
г.Батуми.

ოტია პაჭკორიასა და სხვების განაჩენი
შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საქმე №6018



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6. საარქივო №41890, საქმე №683
ბერბიჭაშვილი გიორგი პეტრეს-ძე

ОБВИНИТЕЛЬНОЕ ЗАКЛЮЧЕНИЕ.

По обв.делу № 16174 по обвинению НАЦИБИДЗЕ Шалвы Константиновича по ст.ст. 58/1-а, 58/7, 58/8 и 58/11 УК ГССР...

О Б В И Н И Л И С Я : ...

В Т О М, Ч Т О :

1.Являлся членом Центра к-р фашистского подполья в Грузии, участвовал широкую вербовочную и фашистскую работу, будучи в курсе террористическо-диверсионной деятельности к-р организации, осуществлявшейся в ближайшем центрами правотроцкистских формирований.

2.Использовал свои выезды в заграничные командировки в 1925 и 1930г.годы установлением связи с лидерами грузинской эмиграции, фашистскими кругами Германии и с представителями немецкой разведывательной службы.

3.Был связан с руководителями германской разведки и на протяжении своего пребывания в Грузии осуществлял подрывную разведывательную и фашистскую деятельность.

4.Вербовал в руководящий состав фашистской работы к-р организации среди студенческой молодежи.

т.е.в преступлениях,предусмотренных ст.ст. 58/1-а, 58/7,58/8 и 58/11 УК ГССР.

Настоящее дело подлежит направлению на рассмотрение Военной Коллегии Верх.Суда СССР.

ПОМ НАЧ 4 ОТДЕЛА УГБ НКВД ГССР
СТ ЛЕЙТЕНАНТ ГОСБЕЗОПАСНОСТИ
/САВИЦКИЙ/

"СОГЛАСЕН" ЗАМ НАЧ 4 ОТДЕЛА УГБ НКВД ГССР
ЛЕЙТЕНАНТ ГОСБЕЗОПАСНОСТИ
/КАДАГИДЗЕ/

СПРАВКА: Обвиняемый НАЦИБИДЗЕ Ш.И. арестован 31/VII-38г. и содержится во внутренней тюрьме НКВД ГССР.

ПОМ НАЧ 4 ОТДЕЛА УГБ НКВД ГССР
СТ ЛЕЙТЕНАНТ ГОСБЕЗОПАСНОСТИ
/САВИЦКИЙ/

შალვა ნუცუბიძის საოჯახო არქივიდან



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №42387
თავბერიძე კარლო იაგორის ძე

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №45366,
ნანობაშვილი ამბროსი იოსების ძე

გერმანიაში მყოფ ქართველ ლეგიონერთა ფოლკლორული ჯგუფი, შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45366 ნანობაშვილი ამბროსი იოსების ძე


Soldbuch
zugleich
Personalausweis



SS-Soldbuch

zugleich Personalausweis

Nr. 6114/44 66

für

den SS Reiter

(Dienstgrad)

ab 1.1.1945 SS-Rottenführer

(Datum) (neuer Dienstgrad)

ab

ab

Schalwa Dchadumeli

(Vor- und Zuname)

Beschriftung und Nummer der Erkennungsmarke 7066 W.-Kav. Ausb. u. - Ers. A

Blutgruppe

Gasmaskengröße II

Wehrnummer

SS-Vordruckverlag W. F. Mayr, Miesbach 13982

ლეგიონერის სამხედრო ბილეთი
შსს საარქივო სამმართველო, ფონდი №6, საარქივო №45366
ნანობაშვილი ამბროსი იოსების ძე

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №4137
სტოროჟენკო ნ. ა.

Пропуск действителен для неограниченного количества переходящих на сторону германских войск командиров и бойцов РККА.

ПРОПУСК

Предъявитель сего, не желая бессмысленного кровопролития за интересы жидов и комиссаров, оставляет добровольно Красную Армию и переходит на сторону Германских Вооруженных Сил. Немецкие офицеры и солдаты окажут перешедшему хорошо принять, накормят его и устроят на работу.

(Перевод на немецкий язык смотри рядом)

Passierschein

Vorstehender dieses wünscht sein freiwilliges Überlaufen zu Gefangenen der Juden und Kommissaren. Er verläßt die bolschewistische Rote Armee und geht auf die Seite der deutschen Wehrmacht über. Die deutschen Offiziere und Soldaten werden den Überläufer gut behandeln, ihn verpflegen und für Arbeit sorgen.

Das Passierscheinheft gilt für eine unbestimmte Anzahl von Offizieren und Soldaten der Roten Armee, die zur deutschen Wehrmacht übergehen

Командиры и бойцы Красной Армии!

Ваше положение безнадежно.

Все теснее и теснее сжимается железное кольцо германских войск вокруг вас.

Вам не хватает боеприпасов, снабжения и продовольствия, ваши правители и вожди ни к чему не способны, бегут и оставляют вас на произвол судьбы.

Многих из вас комвласть до сих пор угнетала и лишала всех прав, теперь же она пользуется вами для защиты своего режима.

Ваша борьба бесполезна!

Разве это допустимо, чтобы ваше начальство из упрямства все еще беспощадно гнало вас на неизбежную смерть?

Нет — вам ваша жизнь дорога! Сохраните же ее для лучшего будущего и для ваших семей.

ПЕРЕХОДИТЕ К НЕМЦАМ — ТАМ ВАС ЖДЕТ ХОРОШЕЕ ОБРАЩЕНИЕ и пропитание, а также скорое возвращение на родину.

Торопитесь!

Немцы в занятых ими областях уже приступают к разрешению земельного вопроса.

Красноармейцы, не опоздайте, иначе вы останетесь без земли!

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №4137
სტოროჟენკო ნ. ა.

Notgeldschein
der
Stadtgemeinde Heilbronn a. N.
Fünfhunderttausend Mark
zahlt die Stadtkasse Heilbronn dem
Einlieferer gegen diesen Kassenschein.
Heilbronn a. N., 15. Aug. 1923.
Oberbürgermeister:
Stadtpfleger:

Notgeldschein
der
Stadtgemeinde Heilbronn
500000



„ან მოიმკოდანია, მხლოიდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს,
ვინც შენიყნოის იმის სიკვდილს,
ყმალ მასვე დაამინებს.

ქალთვალი ხალხი!

გამოგზავნილიდით, ეთის ძოლით, ძალალეთ თქვენს
ბალეთმანოლობას ეროი ნყოთი ძოიძოხოთ ის ძაძალი
ფიეფლეები, ოთძალებიც თქვენს ეონებას თავისყალი
გასაგენს ან ალალებს. დაყსვით თქვენს თავს ყითხვა:
-ნა ძოგვალის? -ნა ძოგალის ჩვენს
საძეძოხლოს?

საქალთვალის ასეთ ყითანებაში განყსება ძოყალის,
ამის ყოველი თქვენთაგანი დაინახავს ყოველალიფენ
ყხოვნებაში.

ნყ ძიგყეთ განოვეს ნყბას ფეხვქვეშ ეთალის
ჩვენი ყალალყენა, ჩვენი ყნაალიყები, ჩვენი ადათ-ნყსები
და ძალხალიყენი ენა.

ქალთვალი ძალხალეები! გამოალყეთ, დაალენთ
და განხაყეთ ჩვენი ძოძაგალი ნყ დაგვანყალებთ
ყანვს ან ძოგვალის ხალყების ასეთი

[illegible]

1955 წ.

Photo

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №5509
გიგინეიშვილი იური მიხეილის ძე



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №41939
ადეიშვილი ოთარ ივანეს ძე



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №41939
ადეიშვილი ოთარ ივანეს ძე

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №43523, ტ. 3
დიდებაშვილი ანტონ ილიას ძე



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №45285
პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი

დედი მანსოვნარ ძილუილეს
შენი დანანავ მწყურია,
ბევრი რაზე მაქვს სათქველი
ლამის აგორგლეს სველია.

ოთხი წელია მენაძვრის
მე შენთან საუბარია,
ვისურ რომ შენი ლოგინი
სრამლებით დანაგვლია.

ვისურ რომ შენი ვაღლილა
ძილუილეს მოგიბრონია,
დაბრიკვნაცის მწარედ
სრამლებიან წამოგდენია.

შენა თანგანებში მოსილი
სურათს დანაღვ ხურია,
ოთხი წლის წინათ დედაო
რომ გულებიანარ შვილადა.

მაგრამ რაგყოთ ანათი
ჩემი ყოვილა ბედია,
ბევრი დავმარხეთ ყველები
ქართველნი ჩვენი ძმებია.

საბერეს მოსყლება სრამლები
დედა დაიწყაგ ფირილა,
ჩვენ საბარეში ვიყენებით
და ვერა ვნანავთ ბილიკსა.



მშვიდობიან საქართველოს
ქალაქის ხალხისაო,
მშვიდობიან ჩვენს ოჯახს
მოგვაკალ ცხოვრებისაო.
რომელ დილის მზე ამოვა
ახალგაზრდობა ადგება,
რომელ სინათლეზე მხედარი
მტივისაკენ აირაკ ჩანგალ. —
-მაგრამ მოთხარეთ შანლობა
ცხოვრებ-ხალვლების ავრგალ.
მაგრ ვალარ მაგყვი ლალი
ომრალი მერაკვა ოვალ
ბულ-ბაკარდ ძმრის ჩვენ ბაკინგრავ
სიკაცილის მოგაკალ.
აბა ცალკეს ბოთქომ
ხალხ მარტოობ მისაო
ტობისაკენ ვალოდ —
ოვალებ ორალ ცდისაო.

სახლოვრად ბალა ჩალგალ.
ბალმალი ტობიანვილებაკ.

ბერგანია — ქალ. ბერანი.
29.5.436. /ჩანაწერ-ნოტარუსი/. 3.6.43.

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №45366
ნანობაშვილი ამბროსი იოსების ძე

ეს ნერგოთს ლანგარზე
პირველ გაღვივები ჯვარზე
ამოიზარდა შალვა გული
მოვარდა ორეული თვალზე.
მაშინ ღელვა შეამოძალა
შვილო ბოლოვლეს ლელეთ
ცაზე ლაჯვარზე ამღენანს
სიზმარში ველარ ბანელეთ
ბოდეა შვილიოთ ილვე
შეამოვლივა ძალიან შვილიდით
მამილო ცაზე ლაჯვარზე
რასთან ეოლაური ყირიდით
ცალთოლანი ბედი ჯარი
ნამოვილა ბედსაც ნელა
შენლოლა ჩალულ ეანგა
ველარ ამოილო ენა
ბაბანა ძმაზე ამოვარდა
ბენესილ ბილონა ცალეულელი
ჩაზე ლაჯვარზე ან მანცანეგილ
რასთან ეოლაური გული
ოან ბილბორლი ბე შენ შეალეგ
ლაჯვარზე სიყვარული
ლელ ლა ლანგე შენთვის ბანური
ლაბერანა ნორჩი გული



27

შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №45366
ნანობაშვილი ამბროსი იოსების ძე



შსს საარქივო სამმართველო
ფონდი №6, საარქივო №41939
ადეიშვილი ოთარ ივანეს ძე

პირთა საძიებელი

აბაიშვილი ელბერდ 687-688
აბალიანი 621
აბაშელი ალექსანდრე 405, 417
აბაშიძე აბაშო 194, 305, 353
აბაშიძე გრიგოლ 61,325, 326, 328, 335, 338,385, 410, 413, 417
აბაშიძე დავით 619
აბაშიძე დიმიტრი 326
აბაშიძე ელიზბარ 194, 196, 197, 305,353
აბაშიძე ირაკლი 32, 61, 68, 197,404-406, 410, 413, 417
აბაშიძე კიტა 106
აბაშიძე კოკი 582
აბაშიძე ლევან (ლეო) 532-533, 618-627
აბაშიძე მიხეილ 619, 626-627
აბაშიძე შოთა 465, 467
აბზიანიძე 160
აბაშმაძე ვ.ლ. 183
აბდუშელიშვილი ლევან 602
აბესაძე გ.ი. 294, 295
აბრამაშვილი გერონტი 675
აბრამიშვილი მარი 389-391, 393, 396-400, 602-604
აბულაძე 457-458
აბულაძე ბიძინა 138, 140
აბულაძე გრიგოლ 581
აბულაძე დავით 527
აბულაძე ილია 418
აბულაძე მირიან 523-527
აბულაძე ნანა 525
აბულაძე სოლომონ 524
აგიაშვილი ნიკა 24, 25, 31,546, 550
ადამია ალიო 24
ადამიძე ლავრენტი 278
ადეიშვილი ივანე 679
ადეიშვილი ოთარ 678-679
ადელტი რიჰარდ 473
ავალიანი ვლადიმერ (ლადო) 32, 338
ავალიანი ლალი 33, 323, 338,385
ავალიშვილი ზურაბ 137,472-473
ავტორხანოვი აბდურახმან 469
აივაზოვი 624-625
აინშტაინი ალბერტ 79, 83
აირაპეტოვა 239
ალადაშვილი ალექსანდრე 85
ალავიძე მიხეილ 24, 27
ალანია ალექსანდრე 136

ალექსანდრე I 92
ალექსანდრე ბატონიშვილი 536
ალვანელი ადამ (იხ. ბობღიაშვილი ადამ)
ალვარესი დ. 451, 457-458
ალიშბაია მიხეილ 14, 438, 476, 566
ამირანაშვილი შალვა 234, 237, 238, 239, 246, 251, 252, 255
ამირანიძე დევანოზ 303, 304
ამირანიძე კოტე 303
ამირეჯიბი შალვა 14,438
ამირეჯიბი ჭაბუა 62, 190,602
ამირხანოვი არტაში 365-366
ამური (იხ. სულაბერიძე ლადო)
ანანიაშვილი ელიზბარ 407
ანდიაშვილი შალვა 681
ანდრიაძე დავით 29, 33
ანელიზე 484
ანთაძე დოდო 425-426
ანტონ კათალიკოსი 536, 574
ანტონოვსკაია ანა 407
ანჩიბაია ვალოდია (აპოლონი) 675
არაბული ადუა 44
არაბული გიორგი (გიგიტა) 36, 49,52, 55, 57
არაბული გიორგი 44, 48, 51, 52, 55, 57
არაბული სანდუა 48
არაგვისპირელი შიო 94
არატა 448
არენდტი ჰანა 607
არინდაული ივანე 197, 305, 342
არობელიძე ნინა 533
არაშიძე მიხეილ 302,363, 378, 380, 382, 384-385
არსენ იყალთოელი 573
არსენიძე გიორგი 302,362, 376, 378, 381, 383-384
არსენიძე რაჟდენ 460
არშაულიძე კობე 303
ასათიანი ალექსანდრე 301,369, 466
ასათიანი 223
ასათიანი ლადო 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 158, 180, 546, 550
ასათიანი ლევან 417-418
ასათიანი მ. 423, 425
ასლამაზოვი მიხეილ (მიშა) 624-626
ასტვაცუროვი ე. 404, 417
ასფალგი იულიუს 452
ატარდო ს. 519
აუგაიტიტე გენია 525
აფთარაული ირაკლი 197
აფციაური პავლე (იხ. ფშავლიშვილი პავლე)

აფხაიძე შალვა 413
აღნიაშვილი თამარ 577-578
აღნიაშვილი იზა (ლიზა) 389, 391, 393-394, 397-399
აღნიაშვილი პეტრე 394
ახვლედიანი გიორგი 101
ახვლედიანი სოლომონ 421, 423
ახვლედიანი ქართლოს 648, 651
ახმეტელი ვლადიმერ (ლადო) 14, 79, 131, 132, 133, 136,438
ახმეტელაშვილი ლადო (იხ. ახმეტელი ვლადიმერ)
ახმეტელი მიხეილ 14,438
ახმეტელი სანდრო 63,490
ახობაძე გიორგი 300, 301, 302,363, 369-372, 382, 384, 544
ახობაძე დიმიტრი 423, 425

ბაბალიშვილი შიო 680-681
ბაგრატ III 261
ბაგრატიონი ანტონ - იხ. ანტონ კათალიკოსი
ბაგრატიონი ირაკლი 482, 661
ბაგრატიონი ლულუ 480
ბაგრატიონ-გრუზინსკი თამარ 395-396
ბაგრატიონ-გრუზინსკი პეტრე 389-396, 398-400
ბათიაშვილი რომან 302,362, 366-367, 374-375, 381, 383-384
ბაიაძე ვასილ 68
ბაირონი ჯორჯ გორდონ 78, 149
ბაკურიძე დიმიტრი 305
ბაკურიძე ფირუზ 305
ბალახაშვილი იაკობ (ქუჯი) 389-401
ბალიაური თომა 34
ბალიაური ლადო 20, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 45, 46, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 59
ბალიაური ლამარა 36, 38
ბალიაური ნათელა 35
ბალიაური ჰალიმათ 38
ბაკურიძე დიმიტრი 195, 196, 197
ბამატი ჰაიდარ 136, 137, 138,439
ბარათაშვილი ნიკოლოზ 83,390, 574-575
ბარათელი ტ. (იხ. ყიფიანი ტერენტი)
ბარამია მ.ი. 249, 250
ბარამიძე ალექსანდრე 106,561
ბარბაქაძე მ. 647
ბარტი როლან 519
ბასილ II 261, 262
ბასილი ზარზმელი 461
ბაქანიძე ი. 580
ბასკანჩალაძე პეტრე 66, 68, 69, 70, 71, 75
ბაქრაძე აკაკი 148,411-412, 434

ბაქრაძე ვ. 292
ბაქრაძე ვალერიან 554
ბაქურიძე ფირუზ 305
ბახია ივანე 66, 67, 68, 69, 70, 71, 75
ბახტაძე ვალია 81, 82
ბეგაშვილი ალექსანდრე 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 71, 72, 73, 75, 346
ბეგაშვილი ცირა 65
ბეგიაშვილი 141, 142, 143
ბეგოიძე როსტომ 305
ბედია ნინა 531
ბეთუმიშვილი იოსებ 305
ბეთჰოვენი ვან ლუდვიგ 241, 245,639
ბეკმანი იოჰან 334
ბელიაევი ალექსანდრე 558
ბენაშვილი დიმიტრი 276, 408-409
ბენუა დე ალენ 607
ბერბიჭაშვილი გიორგი (გიგლა) 97, 267, 269, 270, 271, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 288, 289, 290, 291, 292, 293, 294, 295, 296
ბერბიჭაშვილი სატარხან 280, 289
ბერბიჭაშვილი ქეთევან 280
ბერია ლავრენტი 155
ბერიშვილი 160
ბერია ლავრენტი 248, 395-396, 409, 476, 554, 597, 616, 621, 623, 625, 627, 657, 686-687
ბერიაშვილი ზურაბ 580
ბერიძე გრიგოლ 242
ბერიძე ვახტანგ 261
ბერიძე ვუკოლ 236, 237, 251
ბერლოვსკი 381
ბერნსი რობერტ 315, 316
ბეროშვილი ილო 303, 304,386
ბეროძე დავით 423, 425
ბეროძე ნ. 423
ბერძენიშვილი დავით 136
ბერძენიშვილი ნიკო 255489, 492, 497-505
ბესპალოვი ივანე 202, 219
ბექაურიძე ფირუზ 196
ბიგნელი ჯ. 519
ბიოლი ჰაინრიხ 148
ბითარიშვილი იაკობ 267, 281, 282
ბობოხიძე კალე 413
ბობღიაშვილი ადამ 13, 20, 36, 42, 43, 45, 46, 48, 51, 56, 57, 193, 194, 300, 302, 303, 304, 339, 340, 341, 342, 343, 344, 346,348, 353-354, 356, 367
ბოგომოლოვი 234, 236
ბოთერაშვილი 141, 142,652-653

ბოლქვაძე ლეო 555-556
ბოლხოვიტინი 117, 119, 120, 127, 130, 132, 136
ბორშაგოვსკი 413
ბოჭორიშვილი ანგია 27
ბრაგვაძე 653, 655
ბრეგაძე ნოდარ 686
ბრონიკოვსკი ერვინ 215
ბროსე მარი 261
ბუაჩიძე ბენიტო 276
ბუაჩიძე თ. 580
ბუაჩიძე ნიკიტა (კიტა) 301, 307, 308, 309, 310, 311, 312. 313, 320, 321, 362, 368, 376, 378, 382-384
ბუაძე 367
ბუკია მირიანი 590
ბურდიაშვილი დიმიტრი 302, 362, 365-366, 373, 375, 381, 383-384

ბაბაშვილი კონსტანტინე 346,667-673
გაბაშვილი რევაზ 273,475, 480
გაბინაშვილი გიორგი 613-615
გაბიხი 633
გაბლიანი გივი 14, 242, 438, 454, 458, 476, 480, 656-659
გაბლიანი ეგნატე 480
გაბრიელა (ხრისტინა) - იხ. კუჭუხიძე გაბრიელა
გაბრიჭიძე მანანა 486
გაბუნია კ. 644
გალაკტიონი - იხ. ტაბიძე გალაკტიონ
გალუსი ჟ.-ლ. 510
გამრეკლიძე 603
გამსახურდია აკაკი 480
გამსახურდია ალექსანდრე (შურა) 618, 621-624, 627
გამსახურდია კონსტანტინე 82, 83, 148, 157, 241, 254, 262, 264, 326, 328, 412, 461, 527
გარიტი ჟერარ 451
გარსევანიშვილი თამარ 648, 651
გარსევანიშვილი ირაკლი 305
გარსევანიძე ირაკლი 197
გარსია მ. 519
გაუკი ფიოდორ - იხ. რადოლინ-გაუკი ფიოდორ
გაფრინდაშვილი ვალერიან 203,417
განერელია აკაკი 32,574
გახოკიძე ჯემალ 570
გებელსი 20, 118
გეგელია 626
გეგელია ვ. 429
გეგელია გიორგი 237, 240, 241, 242, 243, 244, 245, 250, 253, 254, 255
გეგეშიძე გურამ 148, 227

გეგეჭკორი ევგენი 237, 238, 239, 244, 251, 253,454, 466
გეგეჭკორი ლადო 640
გეგეჭკორი საშა 595
გედევანიშვილი გრიგოლ 683-684
გელა 473
გელაზანია გელა 136
გელაშვილი ვ. 144
გელაშვილი ნაირა 113
გელოვანი მირზა 180, 316, 550
გენძეხაძე შალვა 332, 333
გერგიშვილი სიმონ 363, 370, 379-380, 382, 384-385
გვაზავა გიორგი 133
გვარიშვილი ნ. 430
გვარჯალაძე გ. 590
გვენეტაძე 581
გვენცაძე იოსებ 679
გვეტაძე ვასილ 421, 423, 425-426
გვეტაძე რაჟდენ 407, 409-410
გვილავა ვ. 569
გიასელი გ. 24
გიგუშა - იხ. კავსაძე გიგუშა
გიორგაშვილი მარიამ 169, 232, 389, 638
გიორგი მცირე 574-575
გიორგობიანი 171
გობეჩია 244
გოგებაშვილი იაკობ 105
გოგია თათუშა 675
გოგიბერიძე გრიგოლ (გრიშა) 88
გოგიბერიძე გუბაზ 85
გოგიბერიძე ელენე 89, 91
გოგიბერიძე იულონ 85, 87, 89
გოგიბერიძე ლილი 81, 89, 91
გოგიბერიძე მიხეილ (მიშიკო) 88, 89
გოგიბერიძე მოსე 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 90, 91, 538, 585-587, 592
გოგიბერიძე სიმონ 611
გოგიჩაიშვილი ფილიპე 275, 276
გოგლიძე სერგო 619, 623
გოგოლაძე-ჭელიძე ანა 48, 51, 52, 55, 57, 58
გოგოლი ნიკოლაი 425
გოგოძე ზაქრო 186
გოეთე იოჰან ვოლფგანგ 470, 551
გოთუა ლევან 189
გოკიელი სოფიო 440, 443, 456
გოლი დე შარლ 233, 234, 236, 539
გოლოვენჩენკო ფ. 414

გომართელი ამირან 221, 227
გომართელი არჩილ 125, 136
გომელაური მ. 409
გომიაშვილი ალექსანდრე 189, 413, 415-417
გომო-ჟო 427
გონაშვილი დიმიტრი 560, 572, 575
გონიაშვილი თინათინ 301, 363, 370, 379-380, 382-383, 385
გონჩარი ოლეს 61
გორკი მაქსიმ 328, 329
გოროზია შალვა
გრამიტკო 213, 214
გრანელი ტერენტი 64
გრეკოვი 295
გრიბოედოვი ალექსანდრე 628-630,633, 635
გრიგალაშვილი ნოდარ 270, 271, 288, 296
გრიგოლია შოთა 426
გრიშაშვილი იოსებ 405, 417, 582
გრძელიშვილი/გრძელიძე 645
გუადეტი ჟულიო 446-447
გუბაზ II 461
გუგუნავა დ. 620
გუგუშვილი 286
გუდიაშვილი ლადო 78
გუზოვსკი ა. 237, 243
გულდამაშვილი სერგო 682
გულია გ. 416
გურამიშვილი დავით 496, 504-506
გურგენიძე 99
გურგენიძე ვახტანგ 269
გურვიჩი 413
გურჯიძე ა. 421, 423-425
გუჯაბიძე 102

დადეშქელიანი თენგიზ 480
დადიანი ბაბო 593-600, 604
დადიანი ბონდო 597, 603
დადიანი კოკი 594
დადიანი მუშნი 595
დადიანი ნიკო 233
დადიანი ოთარ 595
დადიანი შალვა 191, 411
დავით VIII 490, 504
დავით სოსლანი 572-573
დავითაშვილი შალვა 25
დავითაშვილი 56, 58
დათეშიძე 670-672

დალინი ა. 455, 458
დანელია სერგი 83, 155, 254, 418
დანტე ალიგიერი 263
დარბაიძე გ. 144
დარსალია ვარლამ 610
დარჩიაშვილი-ბეგაშვილი ელენე 65
დარჯანია 619
დაუშვილი რუსუდან 472, 486
დაღაშვილი შალვა 201, 211, 213, 215, 216
დე გოლი შარლ - იხ. გოლი დე შარლ
დევდარიანი 462
დევდარიანი კლავდია 32
დემეტრე თავდადებული 327
დვალიშვილი ვალერიან 648, 650, 652, 654
დიასამიძე გიგო 472-473, 475
დიმიტრი II თავდადებული 490
დმიტრიევი ა. 507, 518, 520
დოდაშვილი სოლომონ 87, 347, 536
დოიაშვილი თეიმურაზ 148,433, 527
დოლიძე გიორგი (გოგი) 191, 192, 198
დოლიძე 107, 108, 109, 110
დოსი ჯუზეპე 456-457
დოსტოევსკი ფიოდორ 148, 263, 330
დოღონაძე რ. 580
დრაგე რ. 451
დუმბაძე ნელი 28
დურუჯელი ი. - იხ. კუჭუხიძე ილია

ებანოიძე ლ. 256
ედიბერიძე 396, 399
ევგენიძე ი. 516
ელაშვილი ფორე 681
ელბაქიძე მაკა 11, 437
ელიავა ზურაბ 78
ელიგულაშვილი იოსებ 476
ელიგულაშვილი მიხეილ 439
ენგელსი ფრიდრიხ 502
ეჟოვი 335
ერდელი თამარ 677
ერეკლე II 394, 470, 536
ერენბურგი ილია 414
ერისთავი გიგუშა 594
ერქომაიშვილი დავით 611
ესიავა 653
ეული სანდრო 203
ეფრემ მცირე 573

ეფრემიძე 396, 399-400
ეშენბახი ფონ ვოფრამ 258
ეხვაია ლალი 620

ვადაჭკორია-ხიმშიაშვილი დოდო 324, 328, 330, 336
ვაზარი ჯორჯო 258
ვაირიხი ვლადიმირ 216
ვალენსკი იური 499, 505
ვაჟა-ფშაველა 43, 94, 107, 159, 346, 347, 349, 360, 575, 587
ვარდიაშვილი ნინო 289, 290
ვარძიელი პაატა (იხ. მამულაშვილი მიხეილ)
ვარშავსკი 413
ვარშანისძე მ. 430
ვასაძე თამაზ 148
ვაშაყმაძე ივანე 95
ვაჩნაძე ანიკო 29
ვაჩნაძე დავით (დათა) 466, 472-473
ვახვახიშვილი ლიზა 348, 350
ვახტანგ VI 587
ვდოვიჩენკო ვ. 414
ვებერი მაქს 86
ვერესაევი ვიკენტი (ბიკენტი) 558
ვეშაგულიძე გიორგი 305
ვეშაპელი გრიგოლ 124
ვიგდაი დიმიტრი 301, 370
ვილჰელმი 470
ვირსალაძე ბაგრატ 531
ვირსალაძე დავით 532
ვირსალაძე ელენე (ლოლიტა) 523, 529-535, 551-552, 626
ვირსალაძე ელისო 532
ვირსალაძე თინათინ 531
ვირსალაძე სოლომონ (სოლიკო) 532,534
ვიშე ჟულიენ 539
ვლასოვი ანდრეი 467-470
ვორონცოვ-დაშკოვი 137
ვოროშილოვი კლიმენტი 598, 656

ზაიჩიკი 141, 142
ზალანკო 381
ზალდასტანიშვილი გიორგი 243
ზალდასტანიშვილი თენგიზ 15, 145, 146, 171, 172, 173, 175, 176
ზალდასტანიშვილი სოლომონ 664
ზანდუკელი დავით 92
ზანდუკელი ზურაბ 92
ზანდუკელი თამარ 104
ზანდუკელი მაყვალა 93, 104

ზანდუკელი მიხეილ 12, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 106, 107, 108, 109, 110, 111, 112, 186, 301, 340, 345, 531, 580, 585-586
ზანდუკელი ფიქრია 104
ზასლავსკი დ. 413
ზაქარაია 619
ზდანევიჩი ილია 210
ზემელი 43
ზერაგია 598
ზვამბაია ნიკოლოზ 104
ზოშჩენკო მიხეილ 411
ზურაბიშვილი ილია 237

თავაძე ილია 252, 253თავდიშვილი 108, 110, 111, 112, 141
თავაძე ს. 404
თავბერიძე კარლო 680
თავდიშვილი მირიან 554
თათარაიძე ეთერ 343, 344, 386
თალესი 86
თამარ მეფე 135, 164, 483, 572-573
თარგამაძე გიორგი 301, 363, 369-370, 375, 382, 384
თარხნიშვილი მიხეილ (მიქელ) 14, 440-453, 455-474
თარხნიშვილი ნინო 623
თაყაიშვილი ექვთიმე 93, 231, 232, 233, 234, 235, 239, 243, 250, 251, 253, 260, 262, 472-473, 587-588
თაყაიშვილი სიმონ 232
თვარაძე რევაზ (რეზი) 169, 17893
თევზაძე ა. 428-429
თევზაძე გურამ 85, 87
თევზაძე სოლომონ (ცუგრი) 334
თეიმურაზ I 461
თომაშვილი დ. 24
თორაძე ლევან 302, 362, 366, 376, 378, 381, 383-384
თოფურია 241
თოქმაზაშვილი ალექსი 215, 216
თუგიშვილი-ცისკარიშვილი ივანე 305
თუმანიშვილი მიხეილ 601
თურქოშვილი თინათინ 343, 363, 379-380, 382, 384-386, 542
თოფურიძე 556
თუშმალიშვილი თინათინ 305, 334, 336, 338
თუხარელი დ. 580

იაშვილი დიმიტრი 215
იაშვილი თამარ 603
იაშვილი პაოლო 63, 83, 197, 601
იგოზაროვი ბორის 685-686
ივნევი რიურიკ 407

ილია – იხ. ჭავჭავაძე ილია
ილფი და პეტროვი 558
იმედიძე ივანე 305
იმედიძე მიხეილ (ფანცალე) 56, 193, 194, 302, 303, 304, 342, 348
იმერი – იხ. კავსაძე იმერი
იმერიძე ი. კ. – იხ. კუჭუხიძე ილია
იმერლიშვილი გიორგი 99, 100, 101, 299, 300, 301, 318, 319, 320, 346, 362-363, 365-367, 369-370, 372, 381-382, 384
იმერლიშვილი ვანო 270
იმერლიშვილი იოსებ 302, 362, 377-378, 381, 383-384
იმერლიშვილი ისააკ 302, 362, 367, 377-378, 382-384
იმერლიშვილი ილიკო 271
იმერლიშვილი მიხეილ 362, 366, 373, 375, 381-382, 384
იმერლიშვილი სოლომონ 302, 362, 366, 374-375, 382-384
იმნაიშვილი ნიკო 128, 136, 472-473
ინანიშვილი რევაზ 147, 148, 151
ინასარიძე კარლო 157, 468
ინასარიძე ნ. 252, 253, 254
ინაური 38
ინაური ალექსი 394, 570
ინაშვილი ივანე 267, 268, 269, 282, 283, 284, 285, 286 292, 293, 295
ინაძე გიორგი 681
იოანე პეტრიწ-ჭიმჭიმელი 573
იოანე შავთელი 572-573
იორამიშვილი 645
იორდანიშვილი 280
იოსელიანი პლატონ 93, 107
იოსტი ჰაინც 454
ირაკლი ბატონიშვილი – იხ. ბაგრატიონი ირაკლი
ისიანი სევერიან 24, 420
იუზოვსკი 413
იუნგი რ. 558
იჭირაული რეზო 304

კადე ქ. 510
კავსაძე გიგუშა 638
კავსაძე დავით (დათაშკა, დათა) 15, 638-643, 647
კავსაძე თამარ 640
კავსაძე იმერი 639
კავსაძე კახი 638, 640
კავსაძე სანდრო 638
კაზიევი 561
კაიზერლინგი 84
კაკაბაძე დავით 78
კაკაბაძე მანანა 81, 504, 506
კაკაბაძე ნოდარ 148

კაკაბაძე პოლიკარპე 81, 82, 489-490, 495-497, 499-500, 502-505, 557
კანდელაკი კონსტანტინე 238
კანკავა გურამ 148
კალანდარიშვილი ალექსანდრე 301, 369
კალანდაძე ალექსანდრე 523, 536-540
კალანდაძე ანა 411
კალანდაძე ბესარიონ 537
კალანდაძე გიორგი 12, 304, 320, 325, 362, 376, 378, 382-384, 523, 541-547, 550-552
კალანდაძე თამაზ 539-540
კალანდაძე თამარ 537, 540
კალანდაძე ნადასი 538
კალანდაძე ნესტორ (ეშმაკი, სოლომონ ზურგიელიძე) 537-538
კალანდაძე პავლე 537
კალანტაროვი 65
კალაძე კარლო 413, 416-417, 425
კალცენბრუნერი ერნსტ 441
კამენსკი ვასილი 407
კანარისი ვილჰელმ 472
კანდელაკი გაიოზ 643
კანდელაკი ვ. 428-431
კანდელაკი კონსტანტინე 454
კანტი ემანუილ 84, 85, 86, 87, 258
კაპანელი კონსტანტინე 83, 106, 276, 418
კაპლერი ჰერბერტ 441, 444, 446-447, 456-457
კარანაძე გრიგოლ 249
კარაჩე ანიბალ 507
კარსკი იური 407
კაუცკი კარლ 80, 84, 88, 132, 586
კაუცკი ლუიზა 80
კაფკა ფრანც 257
კაჩანოვა მარიამ 222
კაციტაძე 141, 142, 143
კაციტაძე მიხეილ 300, 301, 362, 369-372, 381-384
კაჭარავა გ. 580
კაჭახიძე გიორგი 404
კაჭირიშვილი ვ.პ. 54 15
კახაბერი გიორგი 678
კედია მიხეილ 14, 242, 438-442, 444, 453, 454-455, 476-477, 640, 645, 664
კედია სპირიდონ 244, 250, 466, 665
კეკელიძე ვახტანგ 389-401
კეკელიძე კორნელი 101, 504, 506, 560-561
კენიგი 539
კერესელიძე გიორგი 131, 641, 665
კერესელიძე ივანე 536
კერესელიძე ლეო 136, 662

კერესელიძე მარიამ 480
კვანჭილაშვილი ტარიელ 580
კვარჩხია ლევარი 611
კვატაია მანანა 157, 221, 231, 240, 247, 560, 607, 631, 661
კვაჭაძე ლევან 363, 369, 375, 378, 382, 384-385
კვარაცხელია მიხეილ 249
კვერენჩხილაძე რევაზ 386, 400, 531, 535, 542, 544, 552, 555-557, 559, 604, 625, 627
კვიტაიშვილი ვიკტორ 236, 237
კვიცარიძე დავით 423, 425
კეცხოველი ნიკო 105
კვაშალი ალექსი (ალიოშა) 303, 305, 306, 343
კვაჭაძე ლევან (ლეო) 301, 305
კვერენჩხილაძე რევაზ 32, 33, 61, 62, 97, 146, 151, 178, 189, 190, 197, 198, 305. 308, 321, 335, 338, 340
კიკალიშვილი შ. 421
კიკნაძე გრიგოლ 100, 580
კიკნაძე ვაჟა 302, 386
კიკნაძე ზურაბ 504, 506
კიკნაძე ი. 621
კილაძე გრიგოლ 490
კილაძე დ. 621
კირაკოზოვი (ხალიფაშვილი) 398
კირკიტაძე ვიქტორ 243
კიტოშვილი ანეტა 357
კიტოშვილი არჩილ 13, 302, 303, 305, 345, 355-361, 723
კიტოშვილი ივანე 356-358
კიტოშვილი სიდო 356
კლდიაშვილი დავით 83, 461
კლეოპინი ნ.ა. 219
კობაიძე ალექსანდრე 54, 58
კობახიძე კ. 250, 253
კობიაშვილი 282
კობიაშვილი ელენე 484
კობიძე 282
კობიძე რამაზ (ნუკრი) 523, 553-559
კოდუა ედუარდ 86
კოენი აიდა 89
კოკილაშვილი გრიგოლ 302, 362, 377-378
კოლხელი ი. – იხ. კუჭუხიძე ილია
კონრადი 125
კოჟევნიკოვი ვ. 413
კორბო ვირჯილიო 452
კორძაია ალექსანდრე 136
კოსტავა გრიგოლ (გრიშა) 648-655
კოსტავა მერაბ 648-649

კოტეტიშვილი ვახტანგ 24, 276, 277, 587
კოჩეტოვი 242
კოტინი-აგოსტინელი ჯიაჩინტო 457
კრესი 635
კრიმიანი ნიკიტა 620, 624, 626
კრომიადი კონსტანტინ 467, 486
კუკულაძე 182, 184
კუპრაძე ვიქტორ 105
კუპრეიშვილი ნონა 145, 179, 183, 184, 188, 413, 419, 523-524, 576, 583
კურაპალატი დავით 261, 262
კურდღელაიძე გარსევან 306
კუტიბაშვილი ზურაბ 572-573, 575
კუციავა 250, 567
კუჭუხიძე გაბრიელა 484
კუჭუხიძე გოჩა 459, 465, 485, 600
კუჭუხიძე ელენე 600
კუჭუხიძე ვასილ 459
კუჭუხიძე ილია 14, 154, 459-462, 465, 467-468, 470, 473-475, 478-480, 482-486, 600
კუჭუხიძე ლალი 484
კუჭუხიძე მზია 484
კუჭუხიძე ნოდარ 484, 600

ლაბაური თედო 267, 269, 280, 282, 284, 285, 295
ლაგაზიძე კიმოთე 194, 196, 305
ლალიაშვილი ვ. 425
ლალიაშვილი ს. 280
ლაპიაშვილი ივანე 302, 362, 367, 372, 374-375, 381, 383-384
ლაუაზიე 274
ლაშა ეგრისელი – იხ. კუჭუხიძე ილია
ლაშქარაძე დავით 551-552
ლებანიძე მურმან 33, 68
ლევიტინა 407-408
ლენინი ვლადიმერ 28, 100, 106, 155, 256, 257, 285, 576, 678
ლეონიძე გიორგი (გოგლა) 32, 37, 82, 405, 410-411, 417, 504, 525, 545, 560, 568, 572, 575, 587
ლეონოვი 220
ლერმონტოვი იური 346
ლერმონტოვი მიხეილ 403
ლინი ლ. – იხ. ხუროძე ლეო
ლისაშვილი (ხომერიკი) იაკინთე 404, 408, 410, 413, 416
ლობე 132
ლოლაშვილი ივანე 15, 159, 523, 560-575
ლოლაშვილი ილო 289
ლოლაშვილი მელიტა 570
ლოლაშვილი ოლღა 569-570

ლომაძე სესილია 79
ლომთათიძე ჭოლა 104, 587
ლომინაძე ბ. 491, 506
ლორთქიფანიძე (?) 81, 556
ლორთქიფანიძე გიგა 490, 649-650
ლორთქიფანიძე ელენე – იხ. ციციშვილი ელენე
ლორთქიფანიძე ვ. 24
ლორთქიფანიძე ვალერიან 577
ლორთქიფანიძე ზურაბ 420
ლორთქიფანიძე თ. 427
ლორთქიფანიძე იოსებ 15, 523, 576-582
ლორთქიფანიძე ირაკლი 662-664
ლორთქიფანიძე მიხეილ 651
ლორთქიფანიძე ნიკო 83, 461
ლორთქიფანიძე პავლე 576-578
ლორთქიფანიძე ტ. 621
ლორია ალეკო – იხ. კუჭუხიძე ილია
ლორია პარმენ 428-431
ლოსაბერიძე ამბროსი 670-671
ლუდერსენი 466
ლუნაჩარსკი 209

მაგომედოვი იდრის 302
მათითაიშვილი ილიკო 610-611
მაიაკოვსკი ვლადიმერ 61, 424-425
მაკალათია ნიკოლოზ 10, 43, 44, 48, 52, 57, 58
მაკენსენი ჰანს გეორგ ფონ 456
მაიმონი სოლომონ 80
მალანია ილია 555, 603
მამალაძე ბიქტორ 590
მამაცაშვილი გიორგი 649, 651
მამრიკაშვილი ვარლამ 670-671
მამუკელაშვილი არჩილ 305
მამულაიშვილი დიმიტრი (დიტო) 555
მამულაშვილი მიხეილ (პაატა ვარძიელი) 159, 473
მამულია გიორგი 468
მანაშეროვი ისრაილ 679
მანია 142
მანჩარაული დიმიტრი 681
მანწკავა ისიდორე 475
მარგარიტოვი 629
მარგველაშვილი ალიკო 555
მარგველაშვილი გივი 113, 114, 121
მარგველაშვილი ელიზავეტა 114, 115, 121, 125
მარგველაშვილი ვასილ 114
მარგველაშვილი თადეოზ (ფეოდოსი) 113, 121

მარგველაშვილი ტიტუს (ტიტე) 20, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 127, 130, 132, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 475, 680
მარგიანი რევაზ 180
მარდალეიშვილი ლ. 422
მარი ნიკო 584, 587-588
მარქაროვი არტაშეს 53, 98, 99, 193, 307, 308, 310, 311, 312, 313, 320, 321, 322, 335
მარქაროვი გ. 380, 592
მარქსი კარლ 256, 257
მარჯანიშვილი დავით 468
მარჯანიშვილი კოტე 192, 198, 460, 474, 629, 648, 650
მარჯანოვი – იხ. მარჯანიშვილი კოტე
მასხარაშვილი ალექსანდრე (ალიოშა) 593-597
მასხარაშვილი ბესარიონი 593
მასხარაშვილი გიორგი 593-594, 596-598
მასხარაშვილი თამარ – იხ. ღვინიაშვილი თამარ (თათული)
მატარაძე ილარიონ 113, 122
მატკავა ვლადიმერ 222, 223, 224, 225
მაღალაშვილი გიორგი 14, 131, 136, 137, 242
მაღალაშვილი გიორგი (გოგი) 438, 473-474, 476, 509, 640, 645, 664
მაღლაკელიძე ალექსანდრე 649, 651, 654
მაღლაკელიძე გაიოზ (გაი) 465-466, 468-469, 473, 480, 509
მაღლაკელიძე შალვა 14, 438, 481, 509
მაღრაძე 241, 293
მაღულარია გივი 15, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 170, 171, 172, 173, 174, 176, 178, 691
მაშაშვილი ალიო – იხ. მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო
მაჩაბლიშვილი 342
მაჩაიძე იური 145, 171, 172, 173
მაჭარაშვილი თინათინ 511, 520
მახარაძე აპოლონ 580
მახარაძე ტ. 291
მახარაძე ფილიპე 96, 97, 98, 274, 275, 276, 282, 283, 285, 286, 292, 293, 296
მებუკე გიორგი 81
მეგრელიძე ბართლომე 583
მეგრელიძე გუბაზ 586, 589
მეგრელიძე იოსებ 12, 78, 88, 96, 104, 583-592
მედვედევი რ. 498, 506
მელაძე ალექსანდრე (ალეკო) 145, 171, 172, 255
მელაძე ნ. 237
მერკვილაძე იოსებ 523
მესხი ნ. 534
მესხი სერგეი 601
მესხიშვილი ლადო 649
მეტრეველი არჩილ 461, 475
მეტრეველი ელზა 227

მეტრეველი ლეო 468
მეტრეველი შალვა 468
მეუნარგია ა. 250, 253
მექვაბიშვილი შოთა 172
მეძველია ეთერ 69
მეძველია კ. 423, 425
მიზანაშვილი გ. 288
მილშტეინი 623
მიმინოშვილი რ. 580
მინდია ლაშაური – იხ. კუჭუხიძე ილია
მინდიძე გოგალე 197, 305
მირიანაშვილი ვ.წ. 294, 295
მირონოვი ი. 358, 571
მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო 405, 412, 417
მისაბიშვილი ზურაბ 301, 362, 369, 371-372, 382, 384
მიტერანი ფრანსუა 539
მიქავა კოლია 390
მიქაუტაძე 53
მიქაძე 396, 399
მიქელაძე ევგენი 63
მიქელაძე შ. 404
მიქიაშვილი ნ. 649
მიშენკო 218
მიშველაძე ავქსენტი 28
მიხაილოვი 210
მკურნალი რომან 133
მოგომედოვი იდრის 194, 195
მორჩილაძე აკა 508, 520
მოსაშვილი ილო 203
მოსეშვილი გიორგი 611
მოსეშვილი სოსო 610
მოსიძე პავლე 674
მოძღვრიშვილი გიგოლა 267, 269
მოხევიშვილი სვიმონ 289
მურადაშვილი 56, 58
მუშიშვილი გრიგოლ იხ. ხოფერია-მუშიშვილი გრიგოლ
მუხრანსკი გოგი 283
მჭედლიშვილი შალვა 197, 389, 391, 393-394, 396-400

ნადასი – იხ. კალანდაძე ნადასი
ნადირაშვილი 171, 173
ნადირაშვილი ა. 581
ნადირაძე გ. 619-620
ნადირაძე კოლაუ 83, 412
ნავროზაშვილი 56, 58
ნაზარეთიანი 651

ნაკაშიძე ნიკო 133
ნაკაშიძე ნინო 232
ნანა (რეგინა) – იხ. აბულაძე ნანა
ნანობაშვილი ამბროსი 682
ნარიმანიძე სილოვან 305, 317, 340, 344, 386
ნაროუშვილი ფრიდონ 276
ნატროშვილი გიორგი 416-418, 546
ნაფეტვარიძე გიორგი 158, 420
ნაცვლიშვილი 282
ნაცვლიშვილი მიხეილ 624-626
ნემსაძე ადა 19, 34, 107, 113, 199, 299, 362, 486, 507, 628, 648, 656, 674
ნიბლაძე ირაკლი 99, 102, 108, 110, 310, 311, 336, 380
ნიზამი 258
ნიკოლაიშვილი ივანე 215, 216
ნიკოლეიშვილი ავთანდილ 28, 33
ნიკოლოზ II 290
ნიკურაძე ალექსანდრე 14, 128, 130, 134, 438
ნინიკელაშვილი გიორგი 215
ნინოშვილი ეგნატე 538, 587
ნიობერიძე სამსონ 216
ნიორაძე ო. 580
ნიჟარაძე ა. 237, 253
ნიჟარაძე დავით 226
ნიჟარაძე შ. 421, 423, 425
ნიშნიანიძე რუსუდან 37
ნოზაძე ვიქტორ 472-474, 481-482
ნონეშვილი იოსებ 405
ნუცუბიძე თამარ 152, 554
ნუცუბიძე ლილი 425-426
ნუცუბიძე შალვა 83, 87, 152, 153, 154, 155, 156, 418, 554, 587

Ობოლაძე საშა 281
ობოლენსკაია სალომე 233
ოდიშელი ი. – იხ. კუჭუხიძე ილია
ოდიშვილი ი.ს. 141, 142, 143, 294, 295
ოვსიანკინი პ. 219
ოკუჯავა გ.ბ. 39, 40, 53, 102
ომიაძე იორამე 303
ოჟილაური ევა 197, 304, 305
ორახელაშვილი მარიამ 320
ორბელიანი გრიგოლ 422, 461
ორბელიანი მანანა 33
ორბელიანი სულხან-საბა 568, 573
ორლოვი ვლადიმერ 407
ორჯონიკიძე სერგო 256
ორჯონიკიძე სერგო 269

ოქროშიძე თამარ 535
ოჩიაური ლელა 34
ოცხელი იოსებ 474

პააატა ვარძიელი – იხ. მამულაშვილი მიხეილ
პავლოვი 599
პაპავა აკაკი 475, 582
პაპაიანი 637
პაპიჯანაშვილი 645-646
პაპუაშვილი ნუგზარ 455, 457-458
პაპუაშვილი შალვა 85
პარამონოვი 620-621
პარემუზაშვილი (იხ. ფარემუზაშვილი)
პატარკაციშვილი გ. 337
პატარიძე მ. 424
პატატიშვილი დავით 564
პაჭკორია ოტია 15, 145, 146, 148, 169, 171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 694
პელცერი ადოლფ 200, 201, 212, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220
პეტრე იბერი (იბერიელი) 573-575
პეტრიწი იოანე 86, 88
პეტროსიანი 335
პეშტამალჯანი 205, 206, 207, 216, 217
პიუს XII 445-446
პოლიო კუჭუხიძე – იხ. კუჭუხიძე ილია
პოლტორაცკაია ლიდა 234
პოლტოროცკაია ნინო 232
პონომარიოვი 621
პოტიომკინი 237
პრისმანი 633
პრუსტი მარსელ 148
პუშკინი ალექსანდრ 43, 103, 105

ჟვანია 627
ჟვანია ნინო 256
ჟოდონი 243
ჟოლიო-კიური ფრედერიკ 427
ჟორდანია ნოე 126, 133, 162, 167, 231, 233, 237, 238, 251, 253, 273, 454, 538, 613-614
ჟურული სიმონ 216
ჟღენტი ბესარიონ 32, 68, 105, 404, 409

რააბე რიხარდ 574
რადოლინი რაისა 632, 637
რადოლინი ფიოდორ – იხ. რადოლინ-გაუკი ფიოდორ
რადოლინ-გაუკი ფიოდორ 628-633, 635-637

რამაზაშვილი ვასო 516
რამზეს III 507
რამიშვილი ბიძინა 78, 79
რამიშვილი ზაქარია 68
რამიშვილი ისიდორე 538
რამიშვილი ნოე 133
რატიანი ირმა 11
რაფავა ავქსენტი 98, 100, 101, 138, 249, 252, 255, 362, 620
რაფავა ივანე 249
რეიმანი 444
რენანი 78
რეხვიაშვილი 66
რიდი მაინ 246, 258, 259
რობაქიძე ერასტი 186
რობაქიძე გრიგოლ 72, 73, 74, 75, 83, 157, 346, 472-474, 481-482, 631, 668-673, 696
როზენბერგი ალფრედ 118, 131, 139, 334, 455
როლანი რომენ 241, 244, 245, 246
რომანოვიჩი 381
რუდენკო ა. 335, 617
რუდერმანი 622
რუდიგერი ვერნერ 484-485
რუზველტი ფრანკლინ 478, 481, 514-515
რურუა ი. 430
რუსთაველი შოთა 30, 83, 86, 88, 153, 154, 156, 244, 246, 257, 258, 259, 325, 483, 530, 571-572, 586, 592
რუსიძე კ. 429
რუსკოვი 332
რუსტამი ს. 61
რუხაძე ვ. 289
რუხაძე ნიკოლოზ 18, 222, 239, 241, 567, 620
რუხაძე ტრიფონ 106
რჩეულიშვილი გურამ 328, 525

სააკაშვილი ივანე 622
სააკაძე გიორგი 327
საბაშვილი მიხეილ 301, 363, 369, 375, 378, 382, 384
სადათიერაშვილი ვასილ (ბასილიუს) 444-445, 447-450, 457
სავიცკი კონსტანტინე 153, 620-622, 624-625
სალია კალისტრატე (კალე, კ. ბოგაშელი) 136, 452, 472-473
სალუქვაძე გ. 429-430, 432
სამთელაძე 637
სამხარაძე გ. 421-425
სამხარაძე იოსებ 612
სანაძე 643
სანდრო ეული 405,408

სარალიძე ლელა 302, 386
სართანია ლუდა 599
სარტრი ჟან-პოლ 156, 256, 257
სარჯველაძე პავლე 473
საღირაშვილი დავით 475, 482, 480
საყვარელიძე ნ. 620
საჯაია ალექსანდრე (ალიოშა) 33, 180, 323, 334, 385, 408-409, 549
საჯაია გიორგი 136
სეფაშვილი ილია 318, 363
სვანიძე ნესტორ 612
სიგუა ალექსანდრე 269
სიდნევი 116
სიკინჭილაშვილი 556
სიმაშვილი თენგიზ 271, 296
სინჯიკაშვილი დიმიტრი 473
სიორდია მიხეილ 249
სირაძე 239
სიხარულიძე ქსენია 551-552
სკოპცოვი მ. 59
სმირნოვი კონსტანტინ 413
სმირნოვი პეტრე 676
სოკრატე 91
სოლოვიოვი ი. 218, 541
სოლომონ II 327
სოლოღაშვილი ნატო 484
სოლჟენიცინი ალექსანდრე 147, 505-506
სონღულაშვილი ეროდიონ 587
სოსლანი შალვა 20
სოფრომაძე 645
სოფრონოვი ა. 413
სოხაძე 75
სპინოზა ბენედიქტ 84
სტალინი 12, 15, 23, 24, 96, 101, 145, 146, 154, 153, 154, 170, 171, 175, 202, 234, 248, 250, 289, 320, 329, 394, 413-414, 422, 462-463, 469, 476-478, 481-482,486, 498, 502, 505-506, 510-514, 516-517, 520, 554, 578, 581, 600-601, 610, 612, 616, 640, 645, 678, 683-685, 687
სტეპანოვი მიხეილ 680
სტეფანიანი 396, 399
სტივენსონი რობერტ ლუი 263
სტოროჟენკო ნ. 610
სტრასბურგელი გოტფრიდ 258
სტრელეცი სამუელ 201, 219
სულაბერიძე ლადო (ვლადიმერ) 14, 24, 179-190, 314-315, 323, 386, 420, 696
სულაბერიძე მარიამ 187, 188
სულაბერიძე სიმონ 179
სულავა 581

სულაკაური არჩილ 197, 389
სულაკაური სამსონ 191, 192, 193, 194, 195, 196, 197, 198, 196, 305
სულაძე ნ.მ. 183
სულხანიშვილი ალექსანდრე 201, 211, 213, 215, 216
სუჯაშვილი ვ. 280
სულთანიშვილი ვერა 618, 621, 626-627
სულთანიშვილი კლავდიოზ 618, 621-622,626-627

ტაბიძე გალაკტიონ 64, 80, 81, 82, 91, 203, 267, 525, 549-550, 582, 587, 601
ტაბიძე ნოდარ 80, 96, 537
ტაბიძე ტიციან 63, 83, 405, 525
ტაგანცევი ნ. 268
ტალახაძე ილარიონ 154
ტატიშვილი ერეკლე (ირაკლი) 13, 186, 314, 325, 333, 386, 585
ტატიშვილი ვლადიმერ 407
ტატიშვილი ილია (ილო) 14, 468, 482, 485-486, 508-509, 516
ტისერანი 443, 447-449, 457
ტიხონოვი მიხეილ 411
ტიხონოვი ნიკოლაი 61
ტოგონიძე ვალერიან 118, 119, 129, 131, 136, 138, 140, 242
ტოკარსკი ნ.მ. 260, 261, 262
ტოკვილი დე ალექსის 607
ტოლსტოი ალექსეი 263
ტოლსტოი ლევ 268, 587
ტოროშელიძე მალაქია 95, 289
ტრუა დე კრეტიენ 258
ტურაშვილი ლეონტი 613-615
ტუსკია მ. 426
ტუღუში 125

უზნაძე დიმიტრი 665
უთურგაიძე ავქსენტი 302, 362, 376, 378, 381, 383-384
უორდროპი მარჯორი 268
ურატაძე დავით 460
ურდოელი ვ. (იხ. ყიფიანი ტერენტი)
ურმანი სავერიო 447
ურუშაძე აკაკი 524, 574
ურუშაძე დავით 626
ურუშაძე ვენერა 256

ფადეევი ალექსანდრ 202, 413, 419
ფალიაშვილი ზაქარია 65, 93
ფარემუზაშვილი 160, 168
ფარეშიშვილი აბო 301, 363, 369, 375, 378, 382-384, 544
ფარცხანაყანიშვილი – იხ. კუჭუხიძე ილია
ფაღავა აკაკი 192, 267

ფაღავა ყარამან 283, 286, 287, 288, 294
ფაჩულია ალექსანდრე 129, 136
ფაჩულია გრიგოლ (ჭიჭიკო) 624
ფევრალსკი ალექსანდრ 407
ფეიქრიშვილი 281, 282, 284, 285, 289, 295
ფილიშვილი ზაქარია 305
ფირალიშვილი ალექსანდრე 672
ფირცხალავა სამსონ 250, 252, 255, 272
ფომინი 335, 381, 385
ფოფხაძე ვახტანგ 564
ფრანკე ბრუნო 631, 633
ფრიდრიხ დიდი 470
ფრონელი ი. – იხ. მაღალაშვილი გიორგი
ფსევდო-დიონისე არეოპაგელი 573-574
ფურცელაძე ანტონ 601
ფურცხვანიძე ევ. 24, 421, 424
ფუფაევი 633
ფშავლიშვილი პავლე 267, 268, 269, 270, 280, 284, 295

ქააძე 355-357
ქააძე გიგო 194, 195, 196, 302, 305, 340
ქააძე იკალე 195
ქადაგიშვილი 153
ქადაგიძე ამირან 305
ქადაგიძე გიორგი 13, 36, 40, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 56, 57, 99, 100, 101, 193, 300, 301, 302, 340, 345, 346, 347, 354-355, 362, 366-367, 373, 375, 382-384, 722
ქადეიშვილი ნუნუ 335, 336, 337
ქავთარაძე 645
ქავთარაძე მიხეილ 14, 438, 453, 458
ქავჟარაძე ირროდიონ 410
ქათამაძე ალექსანდრე 190
ქათამიძე 663
ქარდავა ქრისტინე 459
ქართველიშვილი ერმი 615-617
ქარუმიძე 399-400
ქარუმიძე შალვა 133, 134, 138
ქვლივიძე 206, 207
ქვლივიძე მიხეილ 389, 391, 412
ქიაჩელი ლეო 32, 68, 326, 328
ქიქოძე ალისა 192
ქიქოძე გერონტი 32, 82, 83, 87, 326, 328, 665
ქიქოძე მანანა 603
ქობულოვი ბოგდან (ბახჩო) 621, 624-626
ქორქია ალექსანდრე 454
ქოქრაშვილი ხათუნა 302, 386

ქუთათელაძე აპოლონ 656-657
ქუთათელაძე ნინო 227
ქუთათელაძე ტარიელ 15, 656-660
ქუთათელი ალექსანდრე 425
ქუთელია ალექსანდრე 256
ქუთელია ნესტორ 67, 68

ღაღანიძე მერაბ 456, 458, 489, 506
ღვინიაშვილი თამარ (თათული) 523, 593-601, 603-604
ღვინიაშვილი თენგიზ 600-601
ღუბაქველიძე სიმონ 303

ყაზბეგი ალექსანდრე 422, 536-537, 575
ყანჩელი სანდრო 665
ყარალაშვილი 367
ყაუხჩიშვილი მარიამ 538
ყაუხჩიშვილი მიხეილ 129, 136
ყვითელაშვილი ბესარიონ 305
ყიფიანი-აბაშიძე ანეტა 326
ყიფიანი ელენე 160
ყიფიანი ნანა (ნანი) 159, 160
ყიფიანი ტერენტი 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 168, 725
ყიფშიძე დავით 96
ყიფშიძე ნინო 400, 661, 664, 666
ყორანაშვილი გურამ 258
ყუბანეიშვილი სოლომონ 92, 96, 107
ყურაშვილი კ. 56, 58, 75

შავგულიძე 65, 55, 666
შავგულიძე შ. 276
შავდია 255
შავიანიძე შალვა 299, 300, 301, 318, 362-363, 366-368, 372, 374-375, 381-384, 544
შავიშვილი თედო 409
შავიშვილი ს. 404
შაიკოვი 637
შალამბერიძე 671, 673
შალამბერიძე გ. 24, 25, 28, 33
შავლაძე 142
შათირიშვილი ეთერ 187
შალამბერიძე ერმილე 25
შალიკაშვილი დიმიტრი 14, 438
შამანაური ანიჩკა 280
შამილიშვილი მანანა 76, 299, 307, 362, 485-486, 507, 520, 536, 540, 607
შანგია ვ. 162
შანიძე აკაკი 101, 588

შანშიაშვილი თამარ 389, 391, 393, 397-399
შანშიაშვილი თურმან 300, 301, 362, 368, 370, 373, 375, 381, 383-384, 542-544
შანშიაშვილი სანდრო 417
შარაშიძე 568
შარაძე გურამ 157, 158, 159, 164, 165, 251, 268, 269, 272, 273, 288, 296
შარია პეტრე 154, 234,235, 237, 238, 239, 243,244, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 262, 474-475, 486
შარაძე ფილიპე 480
შარია ნუგზარ 479
შარია პეტრე 412
შარლი რ. 510
შარუტინი 225
შატაიძე ნუგზარ 305
შატბერაშვილი გიორგი 412
შატბერაშვილი ფატიმა 578
შაუნი ვაჰან 471
შელენბერგი უოლტერ 441, 454
შელია მუსტაფა (ლევან) 398, 601-603
შენგელაია ალეკო 389
შენგელაია დემნა 32, 413, 416, 418, 535
შენგელია ი. 468, 486
შერვაშიძე ა. 431
შერვაშიძე გიორგი 601
შერვაშიძე მერი 594, 601
შვარცმანი 119
შიპინიცი 629
შიხაშვილი ვახტანგ 301, 363, 369, 377-378, 381, 383-384
შნეიკასი 633
შოვნაძე 399-400
შოლოხოვი მიხეილ 202, 525
შონია ვლადიმერ 249
შოპენჰაუერი 256
შოშიაშვილი ელიზბარ 58
შპენგლერი ოსვალდ 86
შტაუფენბერგი კლაუს შენკ ფონ 472
შულენბურგი ფრიდრიხ ვერნერ ფონ დერ 455, 471-472
შუშანაშვილი ალექსანდრე 270, 271, 272, 288, 295, 296

ჩადუნელი გრიგოლ 509
ჩადუნელი შალვა 682
ჩაკერტი რაინჰოლდ 631, 633-634, 636
ჩაპლინი ჩარლი 330
ჩარკვიანი კანდიდ 415, 554
ჩაჩავა 410
ჩაჩიბაია გიორგი 243
ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე 14, 20, 199, 200, 201, 202, 203, 205, 206, 207, 208

ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ 208
ჩაჩიკოვა ანა 208
ჩაჩიკოვა ელენა 208
ჩაჩიკოვა ელიზავეტა 208
ჩაჩიკოვი (იხ. ჩაჩიკაშვილი ალექსანდრე)
ჩაჩიკაშვილი მიხეილ 199, 208
ჩახრუხაძე 572-573
ჩევორიკინი 220
ჩეპცოვი 617
ჩერჩილი უინსტონ 478, 481, 514-515, 517
ჩიტაია 392-393, 555
ჩიტაია რაფიელ 186
ჩიტაური ნათელა 482
ჩიტაძე შიო 93
ჩიქვანაია ა.კ. 294
ჩიქობავა არნოლდ 649
ჩიქოვანი მიშა 671
ჩიქოვანი სიმონ 68, 189, 254, 404-405, 410-411, 413, 525
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) 34, 290, 461, 595
ჩომახიძე გრიგოლ (ჩომახი) 481
ჩოჩიევი 629
ჩხაიძე ა. 429
ჩხაიძე მერი 389-401
ჩხეიძე 133
ჩხეიძე არჩილ 580
ჩხეიძე ნატო 407
ჩხეიძე ოთარ 227, 305
ჩხეიძე როსტომ 149, 151, 302, 305, 306, 315, 316, 323, 324, 325, 329, 333, 334, 338, 358, 360-361, 386
ჩხენკელი აკაკი 124, 238
ჩხენკელი კიტა 14, 438

ცეტკინი კლარა 651
ცვეტაევა მარინა 32, 33
ციბოლაშვილი გიორგი 302, 363, 378, 380, 382-383, 385
ციმაკურიძე კოტე 597
ცინცაძე გივი 554-556
ცინცაძე გიორგი (ჟორეს) 15, 145, 147, 170, 171, 172, 173, 178, 189
ცინცაძე კალისტრატე 595
ცისკარიშვილი აბრამი 354,
ცისკარიშვილი ალექსი 348
ცისკარიშვილი ვახტანგ 196, 305
ცისკარიშვილი ილია (ილიკო) 13, 305, 348-350, 352-353, 357
ციციშვილი 286
ცომაია ალექსანდრე 14, 648, 651
ცოცანიძე გიორგი 302, 304, 305, 342, 344

ციციშვილი არჩილ 662-663
ციციშვილი ელენე 662-665
ციციშვილი ეფემია 663
ციციშვილი მარიამი 663
ციციშვილი სვიმონ 661-666
ცომაია ალექსანდრე 438
ცოცანიძე გიორგი 361, 386
ცხადაია ზოია 22, 60, 66, 67, 92, 99, 191, 194, 267, 278, 284, 293, 295, 299, 314, 324, 337, 339, 345, 348, 355, 403, 419, 428, 433-434, 529, 541, 553, 593, 618, 667
ცხაკაია ნ. 256
ცხვედიანი სამსონ 669, 671
ცხომელიძე ვალერიან 136

ძაუტაშვილი გ. 580
ძიგვაშვილი გიორგი 13, 299, 301, 307, 308, 310, 312, 314, 315, 316, 317, 318, 319, 320, 321, 322, 362-363, 366-368, 372, 375, 381-382, 384, 386, 542-544, 555, 714
ძიძიგური მ. 621
ძიგვაშვილი პიმენ 322
ძიგვაშვილი სულიკო 321, 322
ძიმისტარაშვილი კუკური 145, 171, 172, 173
ძიძიგური შოთა 61
ძიძიშვილი ქუჯი 389, 391
ძნელაძე ბორის 278

წამალაშვილი ალექსანდრე 281
წაქაძე 396
წერეთელი აკაკი 64, 159, 203, 324, 346, 571, 575
წერეთელი გრიგოლ 63
წერეთელი ვასილ 34
წერეთლეი მიხეილ (მიხაკო) 14, 129, 135, 136, 138, 438, 466, 472-473, 662
წერეთელი ოთარ 136
წვერავა ს. 404
წვერაიძე მათე 303
წიკლაური ბეციკა 34, 35, 42, 52
წიკლაური წვრილა 34
წმინდა ნინო 461
წულაძე გოგი 602
წულუკიძე მიხეილ 128, 136
წულუკიძე ფრიდონ 14, 242, 438, 480, 640-641, 646
წურწუმია ილია 645

ჭაბუკაიძე გაბრო 303
ჭავჭავაძე ილია 24, 93, 94, 95, 97, 159, 263, 267, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 289, 292, 294, 461, 483, 536

ჭავჭავაძე ოლღა 267, 268, 282, 285
ჭავჭავაძე სპირიდონ 663
ჭავჭანიძე იოსებ 147
ჭავჭანიძე-მარგველაშვილი პელაგია 113, 121
ჭანტურია ტარიელ 225
ჭარელიშვილი ილია 194, 305
ჭარხალაშვილი 25
ჭეიშვილი ალექსანდრე 403
ჭეიშვილი გრიგოლ 516
ჭეიშვილი ლეო 136
ჭეიშვილი რეზო 525
ჭელიძე 565
ჭელიძე ალექსანდრე 42, 43, 44, 45, 46, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 194, 300, 340, 367
ჭელიძე ელენე 48, 52, 58
ჭელიძე ვახტანგ 543
ჭელიძე ლ. 25
ჭელიძე სერგო 68
ჭელიძე ქეთევან 36, 48
ჭიაბრიშვილი გიორგი 45, 46, 56
ჭილაია სერგი 254
ჭიჭინაძე კონსტანტინე 249, 254
ჭკადუა მარიამ 249, 254
ჭრელაშვილი კოტე 303, 304, 305, 355, 358, 361, 386
ჭუმბურიძე დოდო 302, 386
ჭუმბურიძე იოსებ 170

ხაზანი ალექსანდრე 620
ხაი 134
ხაიამი ომარ 148
ხაინდრავა ალექსანდრე 222
ხაინდრავა ივლიანე 221, 224
ხაინდრავა ლევან 20, 221, 222, 223, 224, 225, 226, 227, 228
ხალვაში ფრიდონ 428-431, 433-434
ხალვაში ხემიდ – იხ. ხალვაში ფრიდონ
ხანდოგინი ალდო 612
ხანთაძე შალვა 670-671
ხარანაული ბესიკ 148
ხარაძე არჩილ 105
ხარისჭირაშვილი პეტრე 456, 458
ხახუბია 653
ხელაია ამბროსი 595
ხერხეულიძე (ცხრა ძმა) 31
ხვიჩია პ.გ. 183
ხიდაშელი მანანა 531, 534-535
ხიდაშელი შალვა 256, 529, 534

ხიმშიაშვილი ალექსანდრე 324
ხიმშიაშვილი თამარ 335
ხიმშიაშვილი კონსტანტინე (კოტე) 13, 20, 180, 299, 301, 318, 322, 324, 325, 326, 327, 328, 329, 330, 331, 333, 334, 335, 336, 337, 338, 362-363, 366, 370, 372, 381-382, 384-386, 555, 717, 721
ხიმშიაშვილი ნიკა 283
ხიზანიშვილი გიგოლა 267, 269, 281, 282, 284, 285, 295
ხმალაძე ვ. 54, 55
ხმალაძე პ. 423, 425
ხომერიკი იაკინთე – იხ. ლისაშვილი (ხომერიკი) იაკინთე
ხომერიკი ნუნუ 537-538
ხორავა ბეჟან 258
ხოტევარი – იხ. ხოტივარი ლევან
ხოტივარი ბუბა 622
ხოტივარი ლევან 622
ხოფერია გრიგოლ – იხ. ხოფერია-მუშიშვილი გრიგოლ
ხოფერია-მუშიშვილი გრიგოლ 73, 668, 673
ხოშტარია აკაკი 532
ხოშტარია გოგი 532
ხოშტარია ი. 24
ხოშტარია ილია 410, 416
ხოშტარია კორნელი 119, 135, 138, 140
ხოშტარია მეთოდე 532
ხოჭოლავა ოთარ 183
ხოხიაიძე გოგლა 304
ხრუშჩოვი ნიკიტა 172, 430, 476, 569-570
ხუნდაძე მიხეილ 79
ხუროძე დავით 421, 423-424
ხუროძე ვარლამ 582
ხუროძე ლეო 465, 468, 472, 509
ხუროძე ლევან 23, 161, 167
ხურციძე 25
ხუციშვილი სოლომონ 96
ხუხუა ბორის 145, 171, 172, 173

ჯაბუშანური გაბრიელ 546, 550, 552
ჯავახიშვილი ივანე 86, 231, 261, 524, 572
ჯავახიშვილი ნინო 256
ჯავახიშვილი მიხეილ 63, 82, 148, 163, 326, 328, 333, 533, 587, 625
ჯავახიშვილი ნიკო 437-438, 454, 458, 477, 486
ჯანაშია სიმონ 535, 598
ჯანელიძე 75
ჯანელიძე ზურაბ 649, 651
ჯანიაშვილი გიორგი 685
ჯაფარაიძე აპოლონ 249, 280, 293, 294
ჯაფარიძე დიტო 136

ჯაფარიძე მედეა 648-651
ჯაში დიმიტრი 271, 272, 282, 283, 284, 285, 286, 287, 288, 292, 293, 295
ჯაჯანაშვილი არჩილ 582
ჯაჯანაშვილი ეთერ 557
ჯიბლაძე გიორგი 410, 412
ჯინჭარაძე ს. 520
ჯიქია შუკო 190, 696
ჯიშკარიანი დავით 622, 624
ჯიჯაძე შოთა 145, 171, 172, 173
ჯოგლიძე კონსტანტინე (კოტე) 99, 299, 300, 301, 318, 319, 320, 345, 346, 362-363, 366-368, 371-372, 381-382, 384, 544
ჯოგლიძე ტ. 305
ჯორჯაძე არჩილ 475
ჯორჯაძე ვახტანგ (ჯორიკო) 602
ჯუღაშვილი – იხ. სტალინი იოსებ
ჯუღელი ვალიკო 273
ჯღარკავა ვიქტორ 681

ჰაიდარი რაინჰარდ 441, 454
ჰაიდეგერი 256
ჰაიდენბაგენი მაქს მაიერ 334
ჰარტმანი ნიკოლაი 76, 80, 84, 88
ჰასი კურტ 442-443, 447
ჰეგელი 85, 256, 257
ჰემინგუეი ერნესტ 539
ჰერლიცი ფონ 214
ჰეროსტატე 276
ჰიმლერი ჰაინრიხ 454, 467, 471
ჰიტლერი ადოლფ 12, 70, 72, 73, 74, 75, 108, 185, 233, 234, 439, 454, 455, 471-472, 475, 610, 631, 670-672, 678, 684

შემოკლებები

ОГПУ (обединённое государственное политическое управление) – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო

НКВД (народный комиссариат внутренних дел) – შსსკ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი)

НКГБ (народный комиссариат государственной безопасности) – სუსკ (სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი)

ИТЛагерь (исправительно-трудовой лагерь) – შრომითი გამასწორებელი ბანაკი

ГУЛаг (главное управление трудово-исправителных лагерей и колонии) – შრომითი გამასწორებელი ბანაკებისა და კოლონიების მთავარი სამმართველო

„**Смерш**“ („**Смер**ть **ш**пионам!“) – „სმერში“ - კონტრდაზვერვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორგანიზაციების სახელწოდება საბჭოთა კავშირში მეორე მსოფლიო ომის დროს.

მუხლი 58.10 – აგიტაცია ან პროპაგანდა, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას.

მუხლი 58.11 – ყოველგვარი ორგანიზებული ქმედობა მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის.